ლია თუშური, ნინო შარაშენიძე, ეკა დონაძე,
ჯუანშერ წიქარიშვილი

ქართული ლიტერატურა 11

მოსწავლის წიგნი

978-9941-11-800-5

სარჩევი

თავი I. მემკვიდრეობა

§1. ეპოქათა გზაგასაყარზე 7

§2. აღმოსავლურ-დასავლური ტენდენციები ქართულ ლიტერატურაში 14

აღმოსავლურ-დასავლური დივანი 23

თავი II. სწრაფვა ამაღლებულისკენ

§3. დაკარგული ედემი და საქართველო მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე 29

აკაკი ბაქრაძე – „მეცხრამეტე საუკუნე“ 35

გერონტი ქიქოძე „რომანტიკოსების თაობა“ 47

§4. გაორებული ბედის თაობა – **ალექსანდრე ჭავჭავაძე** 52

- ხვალემ იზრუნოს ხვალისა... 55
- ვისაც გსურთ... 57
- ვაჰ,დრონი, დრონი... 59
- გოგჩა 63

§5. გაორებული თაობის ტრაგედია – პოეტი გენერალი – **გრიგოლ ორბელიანი** 75

- „ჰე, ივერიავ...“ 79
- „იარალის“ 81
- „საღამო გამოსალმებისა“ 88
- „მუხამბაზი“ 92
- „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ 93

§6. უსაზღვროება – **ნიკოლოზ ბარათაშვილი** 102

- ბარათაშვილის წერილები 104
- სული ობოლი 112
- ხმა იდუმალი 114
- სულო ბოროტო 116
- შემოღამება მთაწმინდაზედ 122
- ვპოვე ტაძარი 126
- მერანი 130

თავი III. ცხოვრება _ სცენაზე

§7. კომედია – ანუ როგორები არ უნდა ვიყოთ... 151
გაყრა 154

თავი IV. გზა ხსნისა

§8. საქმით მეტყველი სული – **ილია ჭავჭავაძე** 171
- მგზავრის წერილები 174
- მამათა და შვილთა ბრძოლა 194
- ბედნიერი ერი 202
- კაცია-ადამიანი?! 208
- ოთარაანთ ქვრივი 260
- განდეგილი 310

§9. „რაც არ იწვის, არ ანათებს“ – **აკაკი წერეთელი** 321
- ჭაღარა 322
- აღმართ-აღმართ 323
- გამზრდელი 329

თავი V. არჩევანი

§10. „ქართველების ჰომეროსი“ ანუ ტრაგიკული გარდუვალობა – **ალექსანდრე ყაზბეგი** 345
- ხევისბერი გოჩა 356

თავი VI. თვითშემეცნების გზაზე

§11. „წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს...“ – **ვაჟა-ფშაველა** 421
- ღამე მთაში 422
- სტუმარ-მასპინძელი 425
- ალუდა ქეთელაური 455
- გველისმჭამელი 467

დანართი 487



თავი I
მემკვიდრეობა



ყოველი ახალი ეპოქა წინას ჰგავს კიდეც და არც ჰგავს. ეპოქათა გზაგასაყარზე პარადოქსული რამ ხდება – ახალი ყოველთვის ძველზეა დაშენებული, თითქოს აგრძელებს ძველს, მაგრამ, ამავე დროს, უპირისპირდება მას, არღვევს არსებულ ღირებულებებს და ძველის წიაღშივე ქმნის ახალს. მემკვიდრეობა თავის თავში იტევს წინას დასასრულს და ახლის დასაწყისს, ანუ ძველის წიაღში თვისობრივად ახლის წარმოშობას.

შემთხვევითი არ არის, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის შესწავლას სწორედ მისი წინა ეპოქის პოლიტიკური და კულტურული პროცესების გახსენებით ვიწყებთ, მეთვრამეტე საუკუნის ლიტერატურული მემკვიდრეობისკენ ვიხედებით, იმ სათავისკენ, რომელსაც კარგად ვიცნობთ და თუ ჩავუკვირდებით, მომავლის პროცესების ჩანასახს წარსულშივე დავინახავთ, ძველის ცოდნით შევძლებთ, ამოვიცნოთ ახლის განვითარების შესაძლებლობა.

მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი მეთვრამეტე საუკუნის პოლიტიკურ და ლიტერატურულ მემკვიდრეობას და გავიაზროთ:

- ქვეყნის განვითარების რა პერსპექტივები ჩანდა იმ დროს, რა გზას დაადგებოდა ქართველი ერი; რა ადგილს დაიკავებდა ქვეყანა მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებსა და მსოფლიო რუკაზე, როგორ აისახებოდა ეს პროცესები ლიტერატურაში;
- როგორ განვითარდებოდა ქართული ლიტერატურა, რა ადგილს დაიკავებდა იგი მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებსა და ლიტერატურულ რუკაზე?

წაკითხვამდე

ჩვენი ვარაუდები

მარადიული კითხვები და სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურის პასუხები

ლიტერატურაში ყოველთვის არსებობდა მარადიული კითხვები, მაგალითად:

1. რა მიმართებაა ჩვენს ცხოვრებასა და მარადიულობას შორის? რა ზოგადი და უნივერსალური შეიძლება დავინახოთ რეალურ ფაქტებსა და მოვლენებს მიღმა?

2. რა არის სიკეთე და ბოროტება და რა ადგილი უჭირავს ამ ოპოზიციას ადამიანის ცხოვრებასა და, საერთოდ, სამყაროში?

3. რა არის ადამიანის ცხოვრების საზრისი?

- გაიხსენეთ, როგორ უპასუხებდა მარადიულ კითხვებს ძველი მწერლობა;
- წინა წლებში უკვე შეისწავლეთ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის ზოგიერთი ნიმუში, მაგ., ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“, ილიას „სარჩობელაზედ“, ვაჟას „ჩემი ვედრება“, აკაკის „განთიადი“ და სხვ. ამ ტექსტების მიხედვით გამოთქვით ვარაუდი, როგორ უპასუხებდა მარადიულ კითხვებს მეცხრამეტე საუკუნის მწერლობა?

როგორ ვიკითხოთ?

ამ რუბრიკაში მიიღებთ გარკვეულ რჩევებსა და რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ რა უნდა გავითვალისწინოთ ტექსტის კითხვისას, რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ან რა სპეციფიკურ მასალას უნდა ვიცნობდეთ, რომ ტექსტი ადვილად გავიგოთ და გავიაზროთ.

ამ პარაგრაფში თქვენს ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ სტრატეგიებზე, როგორებიცაა:

- განმეორებითი კითხვა;
- მხატვრული და ისტორიული ტექსტების (წყაროების) შედარება-შეპირისპირება;
- ცალკეული ეპიზოდების ჩაღრმავებული კითხვა.

რა შემთხვევაში უბრუნდება ადამიანი უკვე ნაცნობ ტექსტს და კითხვის რომელი სტრატეგიებია ყველაზე ეფექტური ამ სიტუაციაში?

ტექსტთან დაბრუნება ჩვეულებრივი ამბავია. ტექსტს სხვადასხვა მიზნით უბრუნდებიან და, შესაბამისად, კითხვის სხვადასხვა სტრატეგიას გამოიყენებენ:

- საყვარელი წიგნის ხელახლა გადაკითხვისას ადამიანს ესთეტიკური სიამოვნების მიღება სურს, ამ დროს კითხვას ერთგვარი განმუხტვის, დროის სასიამოვნოდ გატარებისა და გართობის ფუნქცია აქვს (ასეთ შემთხვევებში ხშირად იყენებენ სწრაფი კითხვის სტრატეგიას, ტოვებენ ეპიზოდებს, შედარებით მოკლე ხანში „გადაირბენენ“ ცალკეულ ადგილებს, სხვა ეპიზოდებს კი ნელა და დაგემოვნებით კითხულობენ);
- თუ ტექსტს რაიმე პრობლემური საკითხის გასააზრებლად უბრუნდებიან, ამ დროს იყენებენ ცალკეული ეპიზოდების „ჩაღრმავებული კითხვის“ სტრატეგიას, ანუ ტექსტთან გარკვეული კითხვებით „მიდიან“ და, შესაძლოა, მასში „ჩაღრმავების“ დროს ისეთი რამ აღმოაჩინონ, რაზეც თავის დროზე არ დაფიქრებულან;

- მხატვრული და ისტორიული ტექსტების (წყაროების) შედარება-შეპირისპირებაც ჩაღრმავებული კითხვის სტრატეგიას გულისხმობს. აქ ერთმანეთის გვერდით გაიაზრებენ ორ ან რამდენიმე მოვლენას, ადარებენ, ამოწმებენ სანდოობის კუთხით. ამ მხრივ, ლიტერატურა ძალზე მდიდარ მასალას იძლევა და, შესაძლოა, ზოგჯერ ისტორიულ წყაროდაც კი გამოდგეს.

ტექსტების სამყაროში

გაიხსენეთ, როგორაა აღწერილი საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემა დავით გურამიშვილის თქვენთვის უკვე ცნობილ პოემა „დავითიანში“. ამ მიზნით, გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ლიტერატურულ კოლაჟს.

ლიტერატურული კოლაჟი

რუსთ ხელმწიფის პოზიცია

ხელმწიფემ[1] ვახტანგს[2] მისწერა: მოდი, მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო;
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებ მამადო.

პოზიცია 1.

(რუსეთთან მჭიდრო კავშირის მომხრეები)

ქრისტიანის ხელმწიფისა ხელ-დებულნი შევიქნებით,
ჩვენ მაგაზე რად წავხდებით, თუ არ უფრო გავკეთდებით!

პოზიცია 2.

(რუსეთთან მჭიდრო კავშირის მოწინააღმდეგეები)

მათ მიუთხრეს: თუ უჭკო ვართ, ნახავთ, ბოლოს გამოჩნდების;
არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგი არის, თუ ეგ საქმე მალ მოხდების,
მაგრამ მტერნი შეგვიტყობენ, ყველა ჩვენზე წამოდგების.
ვირემ რუსნი გვიშველიან, მანამ ჩვენი გარდაგვხდების.



პოზიცია 1.
ვახტანგ მეფის პოზიცია

ვითარ ირემსა მაშვრალსა წყაროსა წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის ნახვა სუროდა;
ამჯობინებდა წასვლასა, თუმცა არ მიეშუროდა.
ვინც არ ემოწმის, მაზედა ერთგულად არ უყუროდა.

მეფის კარზე დიდებულთა ერთი ნაწილი, როგორც გახსოვთ, ეწინააღმდეგებოდა რუსეთთან მჭიდრო კავშირის დამყარებას.

[1] **ხელმწიფემ** – იგულისხმება რუსეთის იმპერატორი პეტრე I (1682 – 1725 წწ.)

[2] **ვახტანგი** – თქვენთვის კარგად ცნობილი ვახტანგ VI (1716–1724 მმართვ. წწ.).

პოზიცია 2.
(რუსეთთან მჭიდრო კავშირის მოწინააღმდეგეები)

ტიროდენ, ამას იტყოდენ: ახლა არს ჩვენი დავსება!
ვერ მოგვიხდების კარგათა ამდენი წყვეტა, ტმასება.
მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება.
სამი ვეშაპი ერთს ლომსა აწ ვითარ მოეთავსება?!

მეფეს სძრახევდენ, იტყოდენ ეგევითარსა გმობასა:
სამს დიდს ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა!
ყეენის სპასალარია[1], თავს ირჭვამს მის რაყმობასა[2]!
რუსთ ხელმწიფესთან მამაობს, ხვანთქართან[3] ჩემობს ძმობასა!

ჩვენს ჭკვაში ესე საქმენი არ არის მოსაწონარი:
რა სამთავ ცემა შაექნასთ, ჩვენზე მათ შექნან ონარი[4],
გარს მოგვეჭიროს მუხრუჭი, არსით ჩნდეს მოსაფონარი,
ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარი!

...

ბევრნი ბევრს რასმე იტყოდენ, მაგრამ ვინ მოუსმინებდა?
მეფე იყო და ბრძანებდა, იქმოდა, რასაც ინებდა!

გაიხსენეთ, რომ საგარეო ორიენტაციის საკითხში მეფე და მისი მემკვიდრეც კი განსხვავებული აზრისანი იყვნენ.

მეფისა და მისი მემკვიდრის განსხვავებული პოზიციები

წახდენის დროს მამა-შვილსაც არა ჰქონდათ ერთი პირი,
არჩევდიან, არ მოსწონდათ ერთმანეთის ნავეზირი...
ერთმანეთის ნავეზირი მათ მოსწონდათ ამად არა
მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყეენისა კარა...



ბაქარი (1699-1750)

ჩვენ და ტექსტი

უპასუხეთ კითხვებს:

1. აზრთა რა სხვადასხვაობა არსებობდა ვახტანგ VI-ის კარზე და როგორ აისახა ეს „დავითიანში“?
2. თქვენი აზრით, ჩანს თუ არა ამ ნაწარმოებში თავად ავტორის პოზიცია?
3. თქვენ მეფის კარზე არსებულ რომელ დაჯგუფებას დაუჭერდით მხარს? რატომ?

---

[1] **ყეენი – იგივე ყაენი,** მეფის ტიტული აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში, აქ: ირანის შაჰი;

[2] **თავს ირჭვამს მის რაყმობასა –** თავს სდებს მისი ბრძნებების (რაყამის) ერთგულებაზე.

[3] **ხვანთქარი – იგივე ხონთქარი –** იგულისხმება ოსმალეთის მეფე, სულთანი;

[4] **ჩვენზედ მათ შექმნან ონარი –** ოინი გვიყონ, ოინი მოგვიწყონ.

4. რატომ ეძებდა XVIII საუკუნის ბოლოს საქართველო ძლიერ მოკავშირეს? გაიხსენეთ გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები ისტორიიდან და იმსჯელეთ, რა მოხდა სინამდვილეში? შესრულდა თუ არა ტრაქტატის პუნქტები?
5. გაიხსენეთ წინა წლებში შესწავლილი ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“. ამ მხატვრულ ტექსტში როგორ აისახა ისტორიული სინამდვილე, თქვენი აზრით, ვის პოზიციას იზიარებს ავტორი? თქვენ?

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსია – ძლიერი მოკავშირის ძიებაში

(მცირე ისტორიული ექსკურსი)

თქვენ უკვე იცით, რომ საქართველო თავისი ისტორიული განვითარებით, რწმენით, კულტურითა თუ სახელმწიფოებრივი ხედვით ყოველთვის დასავლური ორიენტაციის ქვეყანა იყო, თუმცა გეოპოლიტიკური მდგომარეობა და, განსაკუთრებით კი, არაკეთილგანწყობილი აღმოსავლური ქვეყნების გარემოცვა მას აიძულებდა, ძლიერი მოკავშირის შეძენაზე ეზრუნა. ეს იდეა ისტორიული ეპოქების ცვალებადობასთან ერთად მწიფდებოდა. ძიებამ ყველაზე ქმედითი სახე XVIII საუკუნის ბოლოს მიიღო. გავიხსენოთ, რომ სწორედ ამ მისიით იმოგზაურა ევროპაში სულხან-საბა ორბელიანმა, მაგრამ ამას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ამიტომაც ქართული არისტოკრატიის ნაწილმა იმედის თვალი ჩრდილოეთს მიაპყრო, თუმცა მეორე ნაწილს საპირისპირო პოზიცია ჰქონდა. ეს გაორებული, საორჭოფო დამოკიდებულება ჩრდილოეთთან (რუსეთთან) თითქოს მემკვიდრეობით მიიღო მეცხრამეტე საუკუნემ.

გაიხსენეთ დავით გურამიშვილისა და სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიები, ასევე, ამ პერიოდის ზოგადი დახასიათება საქართველოს ისტორიიდან და უპასუხეთ კითხვებს:

1. რა მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო XVIII საუკუნის ბოლოს?
2. აღწერეთ, რა ინტერესები ამოძრავებდა კავკასიაში ამ პერიოდში სამ დიდ სახელმწიფოს – ირანს, თურქეთსა და რუსეთს? ვისი გავლენა იყო უფრო ძლიერი?
3. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა საქართველოს თითოეულ მათგანთან?
4. რატომ გახდნენ იძულებულნი ქვეყნის მესვეურები, რომ ძლიერ მფარველსა თუ მოკავშირეზე ეზრუნათ; თქვენი აზრით, რამდენად იყო ამის აუცილებლობა?
5. როგორ აისახა ეს პროცესები იმ პერიოდის ქართველი მწერლების (დავით გურამიშვილის, სულხან-საბა ორბელიანის) ცხოვრებასა და შემოქმედებაში?

ფანტაზიის გაკვეთილები

ივარაუდეთ, როგორ გაგრძელდებოდა ქართულ ლიტერატურაში ეს პრობლემატური თემა? შექმენით თქვენი ვარაუდების რუკა.

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაზე მსჯელობისას თქვენ არა ერთხელ დაუბრუნდებით ვარაუდების რუკას. გექნებათ მისი ჩასწორებისა და რედაქტირების შესაძლებლობაც.

ლიტერატურული ძიებანი

როლური თამაში

ა) დებატები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის შესახებ

წარმოიდგინეთ, რომ მონაწილეობთ საქართველო-რუსეთის ურთიერთობასთან დაკავშირებით ისტორიული გადაწყვეტილების მიღებაში.

საკუთარი პოზიციის გათვალისწინებით ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, დაიყავით ორ ჯგუფად – „ერთმორწმუნე მფარველის“ ძიების მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად.

მოაწყვეთ დებატები: „საქართველოს რუსეთთან სამოკავშირეო ურთიერთობა – პროგრესული თუ საბედისწერო ნაბიჯი?“

დებატებისთვის საგანგებოდ უნდა მოამზადოთ ზეპირი გამოსვლის ტექსტი.

ზეპირმეტყველების გაკვეთილები

ზეპირი გამოსვლის ტექსტის მომზადება

გაიაზრეთ თქვენი პოზიცია საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხთან მიმართებით და მოამზადეთ ზეპირი გამოსვლის ტექსტი დებატებისათვის.

ამისათვის:

1. ააგეთ ზეპირი გამოსვლის ტექსტი ისე, რომ მასში გამოკვეთოთ სამი ნაწილი – შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

- შესავალში მოკლედ მიმოიხილეთ განსახილველი საკითხის ირგვლივ არსებული აზრთა სხვადასხვაობა და გამოხატეთ თქვენი პოზიცია. გახსოვდეთ, შესავალშივე უნდა დაამყაროთ კონტაქტი აუდიტორიასთან (მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გაამახვილოთ ისეთ საკითხებზე, რომლებიც ყველას ინტერესს გამოიწვევს);
- გამოსვლის ძირითადი ნაწილი საკუთარი პოზიციის დასაბუთებასა და სათანადო არგუმენტების მოხმობას დაუთმეთ, ასევე, შეეცადეთ, გააბათილოთ საპირისპირო პოზიცია, მოიყვანეთ კონტრარგუმენტები საკუთარი პოზიციის გასამყარებლად;
- დასკვნაში შეაჯამეთ საკუთარი გამოსვლა, კიდევ ერთხელ გამოკვეთეთ თქვენი პოზიცია.

ზეპირი გამოსვლის მომზადებისა და წარდგენის ეტაპები:

- ✓ გაიაზრეთ, რომელი პოზიციის გამოხატვა გსურთ, რომელ ბანაკს უფრო ემხრობით და რატომ?
- ✓ მოიფიქრეთ, როგორ დაასაბუთებთ საკუთარ პოზიციას;
- ✓ ამოკრიბეთ ციტატები და არგუმენტები, როგორც სახელმძღვანელოში მითითებული მასალიდან, ისე სხვა ავტორების ნაწერებიდან;
- ✓ მოამზადეთ გამოსვლის სიტყვა, დაარედაქტირეთ;
- ✓ მოიმარაგეთ ზეპირი გამოსვლისათვის საჭირო რესურსები (ვიზუალური მასალა, მუსიკალური გაფორმება, ჩანართი ვიდორგოლი, თუ ეს საჭიროდ მიგაჩნიათ და ა. შ.).
- ✓ გაიარეთ რეპეტიცია მეწყვილესთან; გაითვალისწინეთ მისი რჩევები; საჭიროების შემთხვევაში, შეცვალეთ ტექსტი.

დებატების შეჯამება:

დებატებს შეაჯამებს პედაგოგი ან ამ მისიით საგანგებოდ შერჩეული სამწევრიანი ჯგუფი.

სამახსოვრო დებატების შეჯამებისათვის

1. გამოყავით თქვენი მოწინააღმდეგის მიერ დასახელებული ორი ძლიერი არგუმენტი, იმსჯელეთ, რამდენად დამაჯერებლად შეძელით მათი გაბათილება.
2. დაასახელეთ თქვენ მიერ გამოყენებული ორი ძლიერი არგუმენტი. იმსჯელეთ, რამდენად დამაჯერებლად შეძლო მოწინააღმდეგე მხარემ მისი გაბათილება, რამდენად საინტერესო იყო თქვენი კონტრარგუმენტები;
3. დებატების შეჯამებისას გამოკვეთეთ საკვანძო დებულებები და დასკვნები. შეადარეთ ისინი თქვენ მიერ წინასწარ გამოთქმულ ვარაუდებს. იმსჯელეთ, როგორ გავითარა დებატებმა თქვენი პოზიცია? რა აზრი გაგიმტკიცდათ და, პირიქით, რა შეიცვალა თქვენს თვალსაზრისში?

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

იმისათვის, რომ უკეთ გაერკვეთ სადისკუსიო კლუბში წარმოდგენილ საკითხებში, გაეცანით რესურსს:

1. გეორგიევსკის ტრაქტატის საიდუმლო

https://9nes.short.gy/48fhCa

მოიძიეთ და ამ თემაზე პრეზენტაციის მომზადებისას გამოიყენეთ ინტერნეტსივრცეში განთავსებული სხვა რესურსებიც.

ოსტატობის სკოლა

ფანტაზიის გაკვეთილები

რუბრიკაში მოცემული ორი დავალებიდან შეგიძლიათ შეასრულოთ ერთ-ერთი:

დავალება 1. წერილი შთამომავლობას

წარმოიდგინეთ, რომ თქვენი პოზიციის შესახებ ესაუბრებით არა თქვენს თანამედროვეებს, არამედ შორეულ შთამომავლებს, ვთქვათ, 100-200 წლის შემდეგ მცხოვრებლებს. დაწერეთ მომავალი თაობებისადმი მიძღვნილი წერილი, რომელშიც მათ საკუთარ პოზიციას წარუდგენთ და დაუსაბუთებთ.

დავალება 2 (ალტერნატიული) „ვიდეოგზავნილი შთამომავლობას“

არის კი შესაძლებელი, რომ მომავალ თაობებს ვესაუბროთ, მათთან ერთად განვიხილოთ ქვეყნისა და საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი პრობლემები? რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ამას ცხადყოფს მთელი მწერლობა, რომელიც მხოლოდ კონკრეტული ეპოქისათვის რომ იქმნებოდეს, ამ ეპოქის დასრულებასთან ერთად „შეწყვეტდა“ არსებობას.

მომავალი თაობებისადმი მიმართული გზავნილის ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნიმუშია გერმანელი მწერლის, თომას მანის, „რადიომიმართვა მომავალი თაობისადმი“:

„დღეს აუდიტორია, რომელსაც მივმართავ, არა მხოლოდ სივრცეშია ჩემგან დისტანცირებული, არამედ დროშიც... და მე მომავალ დროში მყოფ აუდიტორიას ველაპარაკები. სწორედ ამ მახასიათებლისგან შედგება ფანტასტიკური და თითქმის ექსცენტრიული შეგრძნება, რომელსაც ახლა განვიცდი“, – ამბობს მწერალი.



თომას მანი
(1875-1955)

ვიდეოგზავნილის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ მომავლის ადამიანებს ესაუბრებით. შეეცადეთ, დაანახვოთ მათ:

- ✓ რა პრობლემების წინაშე იდგა ქვეყანა;
- ✓ რაში ხედავდნენ გამოსავალს და რამდენად რეალური იყო იმდროინდელი საზოგადოების პოზიცია; პირადად თქვენთვის რა იყო მისაღები იმდროინდელ ტექსტებში ასახული შეხედულებებიდან და რა – არა;
- ✓ გააცანით საკუთარი პოზიცია; რაკი მომავალ თაობას ესაუბრებით, შეეცადეთ, გაითვალისწინოთ, რომელი პრობლემა იქნება იმ დროისათვის გაუგებარი და უმნიშვნელო (რომელზეც, ალბათ, ყურადღების შეჩერება არც ღირს) და რომელი შეინარჩუნებს აქტუალურობას.
- ✓ დაფიქრდით, როგორ უნდა ააგოთ სიტყვა, რომ გავლენა მოახდინოთ მომავლის აუდიტორიაზე, მაგ., რა ტიპის რიტორიკული მიმართვები ან რიტორიკული შეკითხვები დაგჭირდებათ; შეარჩიეთ მიმართვის ფორმები; შეეცადეთ, თქვენი ვიდეოგზავნილი უბრალო მიმართვად კი არ დარჩეს, არამედ ერთობლივი დაფიქრებისა და განსჯის სახე მიიღოს.

საუბრები ლიტერატურაზე

ა) „ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე“

„ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე“ – ეს გამოთქმა ჩვენი ქვეყნის მხოლოდ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას როდი ეხება. თუ დავფიქრდებით, იგი ამ რეგიონის კულტურათა ურთიერთქმედების პროცესსაც გულისხმობს.

საქართველოში მხოლოდ ევროპა-აზიის უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზები არ იკვეთებოდა. აქ აღმოსავლეთისა და დასავლეთის კულტურები ხვდებოდა ერთმანეთს. აქ ბუნებრივად, ჰარმონიულად ერწყმოდა აღმოსავლეთს დასავლეთი და თვისობრივად ახალ რეალობას ქმნიდა. მიუხედავად იმისა, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის საქართველო პოლიტიკურად უკვე დასავლეთისკენ მიისწრაფოდა, ქვეყნის კულტურაში ჯერ კიდევ მძლავრობდა წინა საუკუნიდან გადმოყოლილი „აღმოსავლური“ გავლენა და ამას იმდროინდელ თბილისში ერთი გავლაც კი ცხადყოფდა.

ბ) აღმოსავლეთი... აღმოსავლეთი...

იმდროინდელი თბილისი აშკარად ჰგავდა აღმოსავლურ ქალაქებს, თავისი ხალხმრავლობით, ვიწრო ქუჩა-ბანდებით, ხელოსანთა ჰამქრებით[1], ჭრელა-ჭრელა, მოედნებზე გაბნეული მრავალრიცხოვანი სავაჭრო დუქნებითა და პირდაპირ ქუჩებში გამართული პატარ-პატარა ბაზრებით, ქარვასლებით, მეკურტნეებით, კინტოებით, ყავახანებით, აშუღებით[2], მეთარეებითა და მეთულუხჩეებით...



ელენე ახვლედიანი
ძველი თბილისი, ბაზარი

---

[1] **ჰამქარი** (შემგომი მოდიფიკაცია – ამქარი) – სპარსული სიტყვა და ნიშნავს „თანამოსაქმეობას“. უცნობია, როდის ჩამოყალიბდა თბილისში ამქრები, მაგრამ უდავოა, რომ ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ჰამქრები აერთიანებდა ერთი ხელობის ადამიანებს, მაგალითად, ყველაზე საპატიო და ძველი ჰამქარი იყო ტყავის დამამუშავებელთა, ანუ დაბაღების, ხარაზების, ოქრომჭედლების და ა.შ.

[2] **აშუღი** (არაბ. აშიკ – მიჯნური, მეტრფე) – სახალხო მგოსანი და მომღერალი. ისინი გვხვდებოდნენ კავკასიის ქვეყნებსა (აზერბაიჯანში, სომხეთში, საქართველოში, დაღესტანში) და ახლო აღმოსავლეთში (ძირითადად, თურქეთსა და ირანის აზერბაიჯანში). აშუღები იმპროვიზირებულად თხზავდნენ სიმღერებს და თავადვე მღეროდნენ რომელიმე სიმებიანი საკრავის (საზის, თარის, ქამანჩის, ჭიანურის) თანხლებით.



ელენე ახვლედიანი
„ძველი თბილისი“



თეკლე ბატონიშვილის ქარვასლა



ფიროსმანი
პატარა კინტო

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სულ რაღაც 9 წლის გარდაცვლილია ბესიკი (1750 – 1791), რომლის ლექსებშიც აშკარად იგრძნობა აღმოსავლური პოეზიის გავლენა. ვერც საიათნოვა მოესწრო ახალი საუკუნის დადგომას, საიათნოვა (1712 – 1795) – ძველი თბილისის მკვიდრი, ეთნიკურად სომეხი პოეტი, აშუღი, მომღერალი, რომელიც საკუთარ ნაწარმოებებს სამ ენაზე – ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად – ასრულებდა.

აღმოსავლური მოტივები და ქალაქური ფოლკლორი ერთმანეთს გადაჯაჭვოდა თითქოს საგანგებოდ სასიმღეროდ შექმნილ ბესიკისა და საიათნოვას კეთილხმოვან ლექსებში.

ერთი სიტყვით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის ქართულ პოეზიაში აღმოსავლურ სამყაროს თავისი ადგილი ეკავა.

დამატებითი რესურსები

იმდროინდელი თბილისის ლიტერატურული ცხოვრების შესახებ საინტერესოდ მოგვითხრობს მწერალი აკა მორჩილაძე თავის წიგნში „მელიქსეთბაშის თბილისი“. ამონარიდებს ამ წიგნიდან შეგიძლიათ გაეცნოთ სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 1, „საუბრები ლიტერატურაზე“, 1.1. „მელიქსეთბაშის თბილისი“, გვ. 488).

ბიოგრაფიული ქრონიკები



ბესიკი (ბესარიონ გაბაშვილი)

ქართველი პოეტი

• დაიბადა 1750 წელს თბილისში, მღვდლის – ზაქარია გაბაშვილის – ოჯახში.
• ბესიკს ქართლ-კახეთის სამეფო კარზე კარგი განათლება მიუღია. მის პოეზიაში ჩანს როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური ლიტერატურის ცოდნა.
• ზაქარია გაბაშვილის ქართლ-კახეთიდან განდევნამ გარკვეული როლი ითამაშა ბესიკის ცხოვრებაში. მას ქართლ-კახეთის დატოვება მოუხდა.
• XVIII საუკუნის 70-იანი წლებიდან ბესიკი იმერეთის მეფის, სოლომონ I-ის კარზე იმყოფებოდა.
• 1778 წელს ბესიკი ირანში, ქერიმ-ხანთან გაემგზავრა დიპლომატიური მისიით. ქართულ მხარეს სურდა, ოსმალეთის წინააღმდეგ დასაყრდენი მოეძებნა ირანის სახით. ირანში ჩასულ ქართველ დიპლომატს ქერიმ-ხანი გარდაცვლილი დახვდა; იქაურმა შინაომებმა კი საბოლოოდ ჩაშალა ოსმალეთის წინააღმდეგ ირანის გამოყენების შესაძლებლობა.
• სოლომონ I-ის გარდაცვალების შემდეგ ბესიკი მხარს უჭერდა დავით გიორგის ძის გამეფებას. 1787 წელს დავით მეფემ ბესიკს დააკისრა საგანგებო მისია: რუსეთისთვის მფარველობის თხოვნა. ამ მიზნით ბესიკი ჩავიდა ქ. კრემენჩუგს, იქიდან კიშინიოვში გაემგზავრა, შემდეგ კი იასში, სადაც 1791 წელს გარდაიცვალა. რუმინეთში ქალაქ იასის სასაფლაოზე შემორჩენილია ბესიკის საფლავის ქვა, მაგრამ თავად საფლავი დაკარგულია.

ტექსტების სამყაროში

ტანო ტატანო

ტანო ტატანო[1], გულწამტანო[2], უცხოდ მარებო[3]!
ზილფო[4], კავებო[5], მომკლავებო, ვერსაკარებო,
წარბ-წამწამ-თვალნო, მისათვალნო, შემაზარებო[6],
ძოწ-ლალ-ბაგეო, დამდაგეო, სულთწამარებო[7],
პირო მთვარეო, მომიგონე, მზისა დარებო!

თვალთა ნარგისი[8], დამდაგისი[9], შეგშვენის მწველად,
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა[10], გველი გყვა მცველად[11],
გესხნეს ხალები, მაკრძალები[12], ამარტის ველად[13],

---

[1] **ტანო-ტატანო** – წერწეტო ტანო.

[2] **გულწამტანი** – გულის წამღები, გულის წამსვლელი.

[3] **უცხოდ მარებო-მარები** – მოსიარულე, მავალი. უცხოდ მარები – საუცხოოდ მოსიარულე.

[4] **ზილფი** – თმის კავი, კულული.

[5] **კავი** – საფეთქლებიდან ლოყებზე ჩამოშვებული დახვეული თმა.

[6] **შემაზარები** – ელდა თუ ზარზეიმი, დღესასწაული.

[7] **სულთწამარები** – სულის ამომხდელი. წამარები – წამყვანი.

[8] **თვალთა ნარგისი** – აქ: წამწამები.

[9] **დამდაგისი** – დამდაგველი, დამწველი.

[10] **უტოლები** – შეუდარებელი.

[11] **გველი გყვა მცველად** – ნაწნავების აღმნიშვნელი მეტაფორაა.

[12] **მაკრძალი** – მოსარიდალი,მოწიწების აღმძვრელი.

[13] **ამარტის ველი** – ლოყის (ღაწვის) აღმნიშვნელი მეტაფორაა. ამარტი – ყვითელი ფერის ძვირფასი ქვა.

ნარინჯნი[1] ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდენ ხელად[2],
მიწვევდენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!

ალვაო[3], გესხნეს ორნი ნორჩნი მოსარხეველნი[4],
მკლავნი მომკლავნი, თითნი თლილნი მოსახვეველნი,
ზარიფსა[5] წელსა დაეკვირვნეს[6] ქვეყანად მვლელნი..
ოდეს გნახვიდი, შევიმატნი ათასნი წელნი.
აწ დამლევიან ყოვლნი დღენი, უცხოდ[7] ვარებო[8].

ბაგემდუმრიად[9] გიალერსებ, ბაგეო ვარდო!
თვალთა სურიან[10] ხილვა შენი, კეკელა[11] მარდო!
გულსა სწყურიან დამაშვრალსა[12], რას შეგაფარდო[13]?
თუცა შენ დაგთმო, ვინღა ვჰპოვო, სად გავიზარდო?
უშენოდ ხილვა არვისი მსურს, შევიზარებო[14].

შენმა გონებამ მიმამსგავსა მილეულს მთვარეს,
სიცოცხლის ნაცვლად მოვინატრი სიკვდილსა მწარეს.
მოდით, მიჯნურნო, შემიბრალეთ, მოვლეთ ჩემს არეს,
მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, დამფალთ სამარეს!
ვაი, სიცოცხლეო უკუღმართად დანაცარებო[15]!

ჩვენ და ტექსტი

1. რა არის ლექსის მთავარი სათქმელი, ვის ეძღვნება იგი და რა სიტუაციაშია ლირიკული გმირი?
2. აღწერეთ, როგორაა დანახული სატრფო ამ ლექსში? რას ანიჭებს უპირატესობას ავტორი – ადამიანის სხეულებრივ თუ სულიერ მშვენიერებას? (გაიხსენეთ „ვისრამიანის“ გმირი ქალი ვისი, ლეილი „ლეილმაჯნუნიანიდან“ და „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები, ასევე, დანტეს ღვთაებრივი ბეატრიჩე და ივარაუდეთ, ლირიკული გმირის სატრფო რეალური ქალი უფროა, თუ მისტიკური მიჯნური? პასუხი დაასაბუთეთ;

---

[1] **ნარინჯნი** – აქ: მკერდის აღმნიშვნელი მეტაფორა.

[2] **მიქმოდენ ხელად** – მახელებდნენ, მაშლეგებდნენ.

[3] **ალვა** – ტანის აღმნიშვნელი მეტაფორაა.

[4] **მოსარხეველნი** – ფეხების აღმნიშვნელი მეტაფორაა.

[5] **ზარიფი** – კოხტა, კეკლუცი, მოხდენილი, მშვენიერი.

[6] **დაეკვირვნეს** – გაეკვირვებინა.

[7] **უცხოდ** – გარეშედ, მიუღებლად.

[8] **ვარებო** – დავდივარ, ვიარები.

[9] **ბაგემდუმრიად** – ხმაამოუღებლივ, ჩუმად, უსიტყვოდ.

[10] **სურიან** – სურთ.

[11] **კეკელა** – კეკლუცი, კოხტა, მოხდენილი.

[12] **დამაშვრალი** – დაღლილი, დაქანცული.

[13] **შეგაფარდო** – შეგადარო.

[14] **შევიზარებ** – მომბეზრდება.

[15] **დანაცარებო** – 1. დამცირებულო, დაპატარავებულო, 2. ნაცრად ქცეულო, დანაცრულო.

3. რა არის პოეტის ტანჯვის სათავე? ეს ტანჯვა რეალურია თუ მისტიკურ-წარმოსახვითი? სიყვარულის ტანჯვის ამგვარი განცდა ამ ლექსს აღმოსავლური კულტურის ძეგლებთან უფრო აახლოებს თუ დასავლურთან?
4. ამოწერეთ ყველა ფრაზა, რომელსაც გადატანითი და სიმბოლური, ან მეტაფორული გაგება ახლავს და მიუწერეთ მისი შინაარსი, მაგ.: გველი – ნაწნავი; ამარტის ველი – ლოყა, ან ღაწვები და ა. შ. თქვენ მიერ შესწავლილი ძველი ქართული ლიტერატურის რომელი ნაწარმოებები მოგაგონათ ამ მხატვრულმა სახეებმა? ივარაუდეთ, ამგვარი მხატვრული სახეები აღმოსავლური ლექსისთვის უფროა დამახასიათებელი თუ დასავლურისთვის? რატომ ფიქრობთ ასე?
5. მონიშნეთ ლექსში განსაკუთრებით კეთილხმოვანი ადგილები, იმსჯელეთ ლექსის მუსიკალობაზე, როგორია რითმები, რა ქმნის აქ რიტმსა და კეთილხმოვანებას?
6. მოძებნეთ ადგილები, რომლებიც ლექსში მეორდება. თქვენი აზრით, რატომ იმეორებს ავტორი ამ მონაკვეთებს?

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

1. „ტანო ტატანო“. ბესიკის ლექსს კითხულობს გურამ საღარაძე.
https://9nes.short.gy/f6EAIE

2. საშინაო სკოლის გაკვეთილები, ბესიკის „ტანო ტატანო“.
https://9nes.short.gy/8HYKQK

ბიოგრაფიული ქრონიკები



საიათნოვა (არუთიუნ საიათიანი)

ერეკლე მეფის კარის მომღერალი, აშუღი

• 1712 წლის 14 ივნისს დაიბადა თბილისში. დედა თბილისელი ჰყავდა, მამა კი ალეპოდან[1] ან ადანიდან[2] უნდა ყოფილიყო.

• უკრავდა რამდენიმე ინსტრუმენტზე – ქამანჩაზე, ჩონგურზე, თარზე. სიმღერებს თხზავდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

• გადმოცემით, აშუღობისა და სიმღერის გარდა, ერეკლემ მას დიპლომატის მოვალეობაც დააკისრა. მისი შუამავლობით გახდა შესაძლებელი საქართველოს, სომხეთსა და შირვანს შორის ალიანსის შეკვრა სპარსეთის იმპერიის წინააღმდეგ, თუმცა, მეფის ქალიშვილის სიყვარულის გამო, კარის სამსახური დაკარგა და დანარჩენი ცხოვრება გზაში ხეტიალსა და აშუღობაში გალია.

• 1768 წელს ბერად შედგა ახპატის მონასტერში (სომხეთი), მაგრამ დროდადრო თბილისს უბრუნდებოდა.

• საიათნოვა 1795 წელს, აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის დროს, დაბრუნებულა თბილისში, რათა თავისი საყვარელი ქალაქის ხვედრი გაეზიარებინა. თბილისის სურფგევორქის ეკლესიაში არის ამ დიდი მამულიშვილის სიმბოლური საფლავი-მემორიალი, რადგან, გადმოცემის თანახმად, ამ შემოსევის დროს ის მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა და საფლავი არ დარჩენილა.

---

[1] **ალეპო** – ქალაქი ჩრდილოეთ სირიაში.

[2] **ადანა** – ქალაქი თურქეთში, ადანის პროვინციის ადმინისტრაციული ცენტრი.

რა ზარბაბი[1]

რა ზარბაბი, რა ატლასი, რა ზარი ვარ, იცი განა?
იას და ვარდს ვენატრები, რა ქარი ვარ, იცი განა?
ნიადაგ საზი[2] ხელში მაქვს, ნოქარი[3] ვარ, იცი განა?
შენს დედ-მამას შეუტყვია, თითონ კი არ იცი განა?
მაშ არ შეგიტყვია განა? მაშ არ შეგიტყვია განა?
ახლა მოდი, მოგახსენო, ქვეყანაზედ რა ვიარე:
ლეილუმ[4] ტოლი დავკარგე, მეჯნუნივით[5] დავიარე,
ბულბულივით ვარდს ვეძებდი, ავდეგ, ჭალას ჩავიარე
ვარდის კვალი ვერ ვიპოვე, სულ უბრალოდ გავიარე,
მზესავით პირი გაჩვენე, დამწვარი ვარ, იცი განა?
ეს ჩემი გულის ნაღველი ვატყობინე ერანელთა,
მაშრიყელთა, მაღრიბელთა, ხელმწიფეთა, ერთა, ბერთა,
ამის მეტი რა ღონე მაქვს, თავს მოვიკლავ ტურფას გვერდთა!
ხვეწნაც ასეთი იქნება? ვამბობ: მე ვარ დედისერთა!
დამადნე და დამანავლე, შაქარი ვარ, იცი განა?
შემოდგომა შემოვიდა, მე რაღა უკან ვიქნები?..
მანდ შენი ვარდი ამოვა, ან მოვკვდები, ან ვიქნები,
შენი ნაღველი არ იყოს – ცოცხალი დიდხანს ვიქნები!..
გამიგონე, მოგახსენებ, ამაღამ შენთან ვიქნები!..
მალმალ[6] ამბობ: ადე, წადი! სტუმარი ვარ, იცი განა!?
საიათნოვა ამას ვჩივი, სამალი[7] ვერ მიშოვია!
მინდა გული ზედ ავაგო და ხმალი ვერ მიშოვია,
შენი უბის ბროწეულის ნამალი[8] ვერ მიშოვია,
თავი მტკივა, გული მტკივა, წამალი ვერ მიშოვია,
მომაქვს ზარის ხელმანდილი, ხუმარი ვარ, იცი განა?

---

[1] **ზარბაბი** – ძვირფასად ნაქარგი აბრეშუმი.

[2] **საზი** – იგივე **საზანდარი** – მუსიკალური ინსტრუმენტი.

[3] **ნოქარი** – გამყიდველი.

[4] **ლეილუმ** – ლეილი, იგულისხმება „ლეილმაჯნუნიანის“ გმირი ქალი.

[5] **მეჯნუნი** – იგულისხმება „ლეილმაჯნუნიანის“ გმირი ვაჟი.

[6] **მალმალ** – ხშირ-ხშირად.

[7] **სამალი** – დასამალი ადგილი.

[8] **ნამალი** – დამალული.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

კითხულობს ვასო გოძიაშვილი. https://9nes.short.gy/aY2mWI

ჩვენ და ტექსტი

1. რა არის ლექსის მთავარი სათქმელი, რას ეძღვნება ეს ლექსი?
2. როგორაა დახატული ლექსში მიჯნური ვაჟი? ლექსის ავტორს სიყვარული აბედნიერებს თუ ტანჯავს?
3. ამოკრიბეთ შედარებები, მეტაფორები და ეპითეტები, რას ადარებს გმირი საკუთარ თავს?
4. დააკვირდით ლექსის რიტმს. ლექსის რიტმული წყობა ერთნაირია, თუ გარკვეული მონაკვეთების შემდგომ მისი რიტმი იცვლება? თუ ასეა, დაასახელეთ ადგილები, სადაც, თქვენი აზრით, რიტმი იცვლება.
5. განმარტეთ, რას გულისხმობს ავტორი მსგავსი ჟღერადობის სიტყვებში – სამალი, წამალი, ნამალი. რა დატვირთვას იძენს ლექსში ამგვარი მსგავსი ჟღერადობის ლექსიკური ერთეულების გამეორება?
6. იმსჯელეთ, ლექსი აღმოსავლურ ტენდენციებს გამოხატავს თუ დასავლურს? რატომ ფიქრობთ ასე?

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

იმისათვის, რომ უკეთესი წარმოდგენა შეგექმნათ ქართულ პოეზიაში აღმოსავლურ ნაკადზე, ასევე აშუღების შემოქმედებაზე, გაეცანით დამატებით რესურსებს:

1. ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – ვასო გოძიაშვილი ასრულებს ე. გოძიაშვილის ნაწარმოებს ალბომიდან „საიათნოვა“.

„მეთვრამეტე საუკუნის მუხამბაზური ტალღა მეცხრამეტეში შემოგორდა, და ის იყო, რაღა, კინაღამ ჩვენი პოეტებიც ჩაითრია, მაგრამ საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ტალღა გზა-გზა დაიფშხვნა და რამოდენიმე შხეფი მოხვდა მხოლოდ აკაკის, რაფიელ ერისთავს და გრიგოლ ორბელიანს“. ეს ნაწყვეტი იოსებ გრიშაშვილის ნაშრომიდანაა. მოუსმინეთ, როგორ ჟღერდა აღმოსავლურ ყაიდაზე გაწყობილი მუხამბაზები და იმსჯელეთ, რა ინფორმაცია მიიღეთ დამატებითი რესურსებისგან.

2. გადაცემა „ჩვენი ეზო“.

საიათნოვა

https://9nes.short.gy/w9hfLf

3. აშუღი თინათინ (ნარგილე) მეჰთიევა[1]

https://9nes.short.gy/yZuIu3

[1] **თინათინ (ნარგილე) მეჰთიევა** ერთადერთი აშუღი ქალია საქართველოში, რომელიც უძველეს აღმოსავლურ საკრავზე – საზზე უკრავს, მღერის და საქართველოს სახელით ევროპისა და აზიის ქვეყნებში გამართულ აშუღურ თუ მუსიკალურ ფესტივალებში მონაწილეობს. **„საქართველო ჩემი სამშობლოა, სამშობლო კი ყველაფერია“,** – ამბობს ის.

ლიტერატურული ძიებანი

ლიტერატურული ექსპერიმენტი

1. ლიტერატურული ექსპერიმენტი – წასაკითხი და მოსასმენი ტექსტები

არსებობს ლექსები, რომელთა აღქმა მხოლოდ თვალითა და ერთი გადაკითხვით ძნელია. ასეთ ლექსებს შინაგანი რიტმი და მუსიკა აქვთ და მათი სრულფასოვნად აღქმა მხოლოდ მაშინ ხერხდება, თუ მკითხველი ამ შინაგან მუსიკას მიაგნებს.

გთავაზობთ მცირე ლიტერატურულ ექსპერიმენტს.

დაიყავით ორ ჯგუფად.

პირველი ჯგუფი კითხულობს ლექსს, ხოლო მეორე უსმენს იმავე ლექსს გურამ საღარაძის შესრულებით.

დასასრულ, შეაჯამეთ, ვის უფრო გაუადვილდა ლექსის აღქმა: იმას, ვინც უსმენდა თუ იმას, ვინც კითხულობდა. თქვენი აზრით, ამგვარი ტექსტები წასაკითხადაა შექმნილი თუ მოსასმენად? რატომ?

პასუხი წერილობით ჩამოაყალიბეთ.

2. დიდტანიანი აუდიოტექსტის გაცნობა ჯგუფებში – სტრატეგია ჯიგსოუ

ალბათ, გქონიათ შემთხვევა, როცა დიდტანიან ნაწარმოებს ან რამდენიმენაწილიან აუდიოტექსტს უნდა გაეცნოთ, დრო კი არ გყოფნით. ასეთ შემთხვევაში დახმარებას გაგიწევთ სტრატეგია ჯიგსოუ.

I ეტაპი. მოსწავლეები იყოფიან ხუთ ხუთწევრიან ჯგუფად (შესაძლებელია სამი სამწევრიანი ჯგუფი; ოთხი ოთხწევრიანი ჯგუფი და ა. შ.).

თითო ჯგუფი ეცნობა და ამუშავებს შესასწავლი მასალის ერთ ნაწილს, ამ შემთხვევაში – რუბრიკაში „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ მითითებული აუდიომასალის („საიათნოვა“) ერთ ნაწილს.

II ეტაპი. მოთამაშეები ამზადებენ კითხვარს თამაშის შემდგომი ეტაპისათვის.

III ეტაპი. ამ ეტაპზე ყველა პირველი სხდება ერთად, ყველა მეორე – ერთად და ა. შ. ამდენად, ჯგუფში თავმოყრილმა ყველა მოთამაშემ იცის ტექსტის რაღაც ნაწილი და ცდილობს, დანარჩენებს წარმოდგენა შეუქმნას აუდიო ტექსტის ამ ნაწილზე. მოთამაშეები ერთმანეთს ასწავლიან ტექსტს ისე, რომ ჯგუფში ყველამ იცოდეს ყველა ნაწილის შესახებ.

IV ეტაპი. მეოთხე ეტაპზე ჯგუფები ავსებენ კითხვარს, რომელიც მეორე ეტაპზე მომზადდა.

შენიშვნა: დარჩენილი მასალის გაცნობის მიზნით აქტივობა შეიძლება განმეორდეს. გახსოვდეთ, სტრატეგია ჯიგსოუ გამოდგება მასალის მხოლოდ ზოგადი ნაწილის გასაცნობად, ამის შემდეგ აუცილებლად დაგჭირდებათ საინტერესო მომენტებისა და ეპიზოდების ინდივიდუალურად გაცნობა და დამუშავება.

მოსასმენი ტექსტები:

1. „ძველი თბილისის ლიტერატურული სურათების“ წარმოსახვაში დაგეხმარებათ გადაცემა იოსებ გრიშაშვილი, „საიათნოვა“, რომელიც 14 ნაწილადაა წარმოდგენილი, თუმცა თქვენ შეგიძლიათ, შეარჩიოთ თქვენთვის სასურველი თემატიკა და მისი შინაარსის გასაცნობად გამოიყენოთ სტრატეგია ჯიგსოუ.

I ნაწილი 
https://9nes.short.gy/69Mxho

II ნაწილი 
https://9nes.short.gy/q0ws3a

III ნაწილი 
https://9nes.short.gy/teOqvl

IV ნაწილი 
https://9nes.short.gy/AIDP43

V ნაწილი 
https://9nes.short.gy/Ii66Dc

VI ნაწილი 
https://9nes.short.gy/u3VcgP

VII ნაწილი 
https://9nes.short.gy/6OPxct

VIII ნაწილი 
https://9nes.short.gy/WosKv0

IX ნაწილი 
https://9nes.short.gy/viIN9o

X ნაწილი 
https://9nes.short.gy/2bzYXV

XI ნაწილი 
https://9nes.short.gy/idAHdy

XII ნაწილი 
https://9nes.short.gy/gJMDcy

XIII ნაწილი 
https://9nes.short.gy/AJeGIW

XIV ნაწილი 
https://9nes.short.gy/A2zTQr

გაინაწილეთ აქ მითითებული დამატებითი მასალა. თითო ნაწილს შეგიძლიათ, გაეცნოთ ინდივიდუალურად, იმუშაოთ წყვილებში (თუ ამის საშუალებას იძლევა კლასში მოსწავლეთა რაოდენობა) ან პატარა ჯგუფებში.

გააცანით მთელ კლასს თქვენს ნაწილში წარმოდგენილი მასალა და იმსჯელეთ:

- რა მნიშვნელობა ჰქონდა სპარსულ და, საერთოდ, აღმოსავლურ მუსიკასა და ხელოვნებას ქართული სახიობისა და ლიტერატურის განვითარებაში?
- რა კავშირი იყო აღმოსავლურ მუსიკასა და პოეზიას შორის: როგორ ქმნიდნენ ლექსებს აღმოსავლური ტრადიციების მიმდევარი სახალხო პოეტები?
- რას ნიშნავს სიტყვა– „აშუღი“? რომელ კულტურაში წარმოიშვა იგი და რა კვალი დააჩნია აშუღურმა პოეზიამ ძველი თბილისის ლიტერატურულ ცხოვრებას?
- რა გაიგეთ აუდიოტექსტებიდან „თეჯნისისა“ და „მუხამბაზის“ შესახებ, რომელ ლიტერატურულ სკოლაში წარმოიშვა ლექსის ეს სახეობები?

შენიშვნა: გამოიყენეთ ეს მასალა, როგორც რესურსი პრეზენტაციის მომზადებისთვის.

საუბრები ლიტერატურაზე

- რას ნიშნავს „დივანი“ ლიტერატურაში?
- რას ნიშნავს „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“?

სხვათა შორის, ამგვარი სათაურის რამდენიმე კრებული არსებობს, შორს რომ არ წავიდეთ, ქართულ ლიტერატურულ სივრცეშიც არის ერთი მშვენიერი წიგნი „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“. იგი ვახუშტი კოტეტიშვილმა შექმნა და მასში გააერთიანა სხვადასხვა ეპოქის დასავლელ და აღმოსავლელ პოეტთა ნაწარმოებების საკუთარი თარგმანები.



მუღალის მწიგნობრები მუშაობენ, აგროვებენ დივანს

ვახუშტი კოტეტიშვილის განმარტებით: „არაბულ-სპარსულ პოეტიკაში ლექსების ყოველგვარ კრებულს, ჩვეულებრივ, დივანი ჰქვია... „ამგვარი კრებულების გამოცემა სწორედ რუსთაველის ქვეყანაშია მოსალოდნელი და ბუნებრივი, ვინაიდან საქართველოს კულტურა ოდითგანვე ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა პართენონის სუროზე[1] „შირაზის ვარდის“[2] დასამყნობად“.

სახელმძღვანელოს დანართში მცირე კოლაჟი შევარჩიეთ აღმოსავლური და დასავლური ლიტერატურიდან.

როგორც ზემოთ ვნახეთ, მეცხრამეტე საუკუნის თბილისს მემკვიდრეობით ერგო ძლიერი აღმოსავლური გავლენა. თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ ბატონობდა ჭრელა-ჭრელა აღმოსავლეთი, მაშინ, როცა დახვეწილ არისტოკრატულ სალონებში, ახლად გახსნილი ქარვასლის თეატრალურ დარბაზებში თავი შეეფარებინა დასავლურ მუსიკასა და პოეზიას. ამ სალონებში სტუმრობდნენ ევროპელი მუსიკოსები, მხატვრები, შემსრულებლები და მხატვრული სიტყვის ოსტატები. ერთი სიტყვით, თუ ქუჩაში აზია მოგჭრიდათ თვალს, არისტოკრატიულ სალონებში უკვე ევროპა იწონებდა თავს.

იმ დროის საქართველოში მშვიდობიანად თანაარსებობდა აღმოსავლეთი და დასავლეთი, ევროპა და აზია. თანაარსებობდა, ურთიერთმოქმედებდა და ამ დროს საოცარ, თვისობრივად სრულიად ახლებურ ნაზავს ქმნიდა.

გაეცანით სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 4, 4.1, გვ. 541) წარმოდგენილ „აღმოსავლურ-დასავლურ დივანს“ და შეეცადეთ, თავად აღმოაჩინოთ, რა არის დამახასიათებელი აღმოსავლურ ლიტერატურულ ტრადიციებზე შექმნილი ლექსებისათვის და რა – დასავლურისთვის?

იმსჯელეთ, რომელი ლექსი გესახებათ აღმოსავლური და რომელი – დასავლური ლიტერატურული ტენდენციების მატარებლად? დაასაბუთეთ საკუთარი პოზიცია.

---

[1] **პართენონი** – ძვ. წ. V საუკუნეში ათენის აკროპოლისზე აგებული ათენას ტაძარი. იგი ყველაზე კარგად ცნობილი, დღემდე მოღწეული ძველი ბერძნული ნაგებობაა და საყოველთაოდ ითვლება ბერძნული არქიტექტურის უნატიფეს ნიმუშად. პართენონის სურო, ალეგორიულად დასავლურ ხელოვნებას გულისხმობს.

[2] **შირაზის ვარდი** – აქ ალეგორიულად აღმოსავლურ ხელოვნებას ნიშნავს.

გთავაზობთ მინიდისკუსიებს შემდეგ თემებზე:

1. წარმავალობის თემა „აღმოსავლურ მოზაიკაში“

იმსჯელეთ, რა ადგილი უჭირავს აღმოსავლურ ლექსში „წარმავალობის“ მსოფლიო სევდას და რა გამოსავალს პოულობენ ავტორები ამ სიტუაციიდან, რაში ხედავენ ხსნას? დაასახელეთ კონკრეტული ლექსები.

2. სატრფო, ქალი, მიჯნური „აღმოსავლურ მოზაიკაში“

როგორ იხატება სატრფო აღმოსავლურ პოეზიაში. გაეცანით „აღმოსავლურ მოზაიკაში“ წარმოდგენილ ლექსებს, უპასუხეთ კითხვებს:

- რაზე ამახვილებენ ყურადღებას ავტორები: მიჯნურის გარეგნულ მშვენიერებაზე თუ შინაგან ბუნებაზე? რას ანიჭებენ ისინი უპირატესობას?
- როგორაა წარმოდგენილი მიჯნური აღმოსავლურ პოეზიაში? იგი სატრფოსთვის თავგანწირული, ტანჯული არსებაა თუ ლაღი და თავისუფალი პიროვნება, რომელსაც „სიყვარული ამაღლებს, აძლიერებს“? როგორ ესმით ამ ავტორებს „სიყვარულით ტანჯვა“ – ის შეყვარებულისათვის აუცილებელი მახასიათებელია, რომელსაც წამებისა და ტკივილის გარდა არაფერი მოაქვს, თუ – სულიერი სრულყოფის შესაძლებლობა?

3. თრობა, ექსტაზი, თავდავიწყება

იმსჯელეთ, რა ადგილი უჭირავს აღმოსავლურ პოეზიაში თრობის, ექსტაზის თემას და რატომ მიმართავენ ადამიანები მას; რისგან თავდახსნის საშუალებად მიუჩნევიათ აღმოსავლელ ავტორებს ექსტაზი?

4. ბუნება, გარემომცველი სამყარო

იმსჯელეთ, რა ადგილი უჭირავს ჩვენი მცირე კოლაჟის „აღმოსავლურ მოზაიკაში“ ბუნებას, გარემომცველ სამყაროს?

რამდენად ჩანს ამ ლექსებში ბუნების სურათები? არსებობს თუ არა რაიმე კავშირი ადამიანსა და ბუნებას შორის?

5. ადამიანის დანიშნულება

გაიაზრეთ, როგორ ხედავს ადამიანის დანიშნულებას „აღმოსავლურ მოზაიკაში“ წარმოდგენილ პოეტთა უმეტესობა? თუ ამქვეყნად ყველაფერი წარმავალია, რისთვის ცოცხლობს ადამიანი?

6. აღმოსავლური მოზაიკის მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების არსენალი

იმსჯელეთ მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებზე, განსაკუთრებით დააკვირდით მეტაფორებს. იმსჯელეთ, აქვს თუ არა აღმოსავლურ მეტაფორას მხოლოდ აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური სახე?

ცალკე მსჯელობის საგნად აქციეთ ლექსის მუსიკა, რითმისა და რიტმის საკითხები. ისაუბრეთ, რითაა განპირობებული აღმოსავლური პოეზიის კეთილხმოვანება და მუსიკალობა.

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ მცირე ინფორმაციულ-საცნობარო სტატია „აღმოსავლური პოეზიის ძირითადი მახასიათებლები“.

გაიხსენეთ, რომ ინფორმაციულ-საცნობარო სტატია შემეცნებითი ტექსტია. მასში მოკლედ და ნათლად უნდა იყოს განმარტებული მთავარი საკითხები, რომლებიც სათაურშია გამოტანილი.

ლიტერატურული ძიებანი

დასავლური ლიტერატურული მოზაიკის ძირითადი მახასიათებლები

გთავაზობთ, ჩაატაროთ დამოუკიდებელი კვლევა სახელმძღვანელოს დანართში – „აღმოსავლურ-დასავლურ დივანში“ მოცემული ლექსების მიხედვით.

საინტერესოა, რამდენად შეძლებთ, დაკვირვებისა და ლიტერატურული კვლევის მეშვეობით, დამოუკიდებლად ამოიცნოთ ამ პერიოდის მწერლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები და ახლად ჩამოყალიბებული ლიტერატურული მიმდინარეობის თავისებურებანი.

ამისათვის გაეცანით დანართში (დანართი 3. „სხვადასხვა“, 3.3. „დასავლურ ლიტერატურულ მოზაიკა“, გვ. 548), წარმოდგენილ ლექსებს და დააკვირდით მათ იმავე კრიტერიუმებით, იმავე თანამიმდევრობით, როგორც ეს „აღმოსავლური მოზაიკის“ შემთხვევაში იყო აღწერილი.

ლექსები ჯგუფებში გაინაწილეთ, ან დასაკვირვებლად შეარჩიეთ სხვადასხვა თემაზე შექმნილი რამდენიმე ავტორი და რამდენიმე ლექსი.

შეაჯამეთ თქვენი დასკვნები და დაკვირვების შედეგები ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით:

საკითხები	აღმოსავლური მოზაიკა	დასავლური მოზაიკა
წარმავალობის, ცვალებადობის თემა (როგორაა წარმოჩენილი ეს პრობლემა, და რაში ხედავს ავტორი გამოსავალს)	წარმავალობის პრობლემა ჩანს ომარ ხაიამის რობაიებში, ჰაფეზისა და ჯამის პოეზიაში... ავტორები გამოსავალს ხედავენ ექსტაზში, თრობასა და სატრფიალო ურთიერთობებში.	წარმავალობის განცდისგან თავის დასაღწევად ადამიანი ხან მარადიულ სამყაროს ეძიებს და დაკარგულ ედემში დაბრუნებას ცდილობს – („მთელი წარსული მაშინ შეჯერდა“, „ცვალებადობა“), ხან მიღმიერი ამაღლებული ზეციური ყოფისკენ მიისწრაფვის, („მთვარისადმი“, „მთვარეს“, „ის მოდის, სათნო“, „უძინართა მზევ“ და ა.შ.), ხან კი ბუნების წიაღს მიაშურებს, რადგან ბუნებისა და ადამიანის განწყობები ჰარმონიაშია, ერთმანეთს ემთხვევა („სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი“).
როგორაა გადმოცემული სიყვარულის თემა და როგორაა აღწერილი სატრფო, ქალი, მიჯნური? პოეზიაში რეალური, მიწიერი ადამიანი იხატება თუ ნახევრად მისტიკური, ამაღლებული, ღვთაებრივი სატრფო?		

რა როლი აქვს ამ პოეზიაში თრობას, ექსტაზს, თავდავიწყებას?		
რა როლი ენიჭება გარემომცველ ბუნებას? იგრძნობა თუ არა რაიმე კავშირი ბუნებას, გარემომცველ სამყაროსა და ადამიანს შორის?		
რაში ხედავს ავტორი ადამიანის დანიშნულებას?		
როგორია ლექსის კეთილხმოვანება, რიტმიკა, მუსიკალობა? რა როლი ენიჭება ლექსში მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს?		

ოსტატობის სკოლა

ფანტაზიის გაკვეთილები

შექმენით თქვენთვის სასურველი ფორმატის ტექსტი – მოთხრობა, სცენარი ან ნახევრად დოკუმენტური მოგონება თემაზე „დისკუსია ქარვასლაში“.[1]

ამისათვის,

წარმოიდგინეთ, რომ თბილისის ქარვასლაში ერთმანეთს ხვდებიან აღმოსავლელი და დასავლელი პოეტები, ვთქვათ, ჰაფეზი და ჰაინე, ან ომარ ხაიამი და მიცკევიჩი (თქვენ შეგიძლიათ, შეარჩიოთ სხვა წყვილი სახელმძღანელოში მოცემული ჩამონათვალიდან). „შეახვედრეთ“ ისინი, რომელთა „წარმოსახვითი კამათი“ უფრო საინტერესოდ მოგეჩვენებათ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ საგანგებოდ არ გვიმუშავია მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დასავლურ ლიტერატურაში გავრცელებულ უმთავრეს ლიტერატურულ მიმდინარეობაზე, მაინც თვალში საცემია განსხვავებანი „აღმოსავლურ“ და „დასავლურ“ მოზაიკას შორის. ამიტომ საინტერესო იქნება, როგორ წარმოაჩენთ ამ ხელოვანთა „დიალოგს“.

წარმოსახვით დიალოგში ქარვასლის ყავახანაში „შეხვედრილი“ პოეტები საუბრობენ ხელოვნების დანიშნულებაზე, ხელოვანის პოზიციაზე, შემოქმედებით პრინციპებზე, ცხოვრების წარმავალობასა და ადამიანის დანიშნულებაზე, ბუნებისა და გარემომცველი სამყაროს როლზე.

ყველა თავის თვალსაზრისს ავითარებს და მაგალითები მოჰყავს.

დასასრულ, თქვენ შეგიძლიათ, „შეხვიდეთ ტექსტში“, ჩაერიოთ ამ კამათში და თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ფორმით გადმოსცეთ საკუთარი პოზიცია.

შენიშვნა: ეს აქტივობა მარტივად შეგიძლიათ აქციოთ როლურ თამაშად. ამისათვის უნდა მოირგოთ თქვენთვის სასურველი ავტორის როლი და შეეცადოთ, კამათში წარმოაჩინოთ მისი პოზიცია.

[1] ეს იქნება დისკუსია ხელოვნების საკითხებზე.



თავი II
სწრაფვა ამაღლებულისკენ



ხელოვნებამ იმთავითვე შეაჩვია ამსოფლიური ყოფისგან თავმობეზრებული ადამიანი ცისკენ ცქერას და მარადიული სამყაროსკენ ლტოლვას, თუმცა ეს ლტოლვა არასოდეს გამოხატულა ისე მძაფრად, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში. ამ დროს წარმოიშვა ხელოვნებაში მიმდინარეობა, რომელმაც თითქმის მთელი დასავლური სამყარო და ხელოვნების ყველა დარგი მოიცვა – მხატვრობა, მუსიკა, ლიტერატურა...

ამ მიმდინარეობას რომანტიზმი ერქვა.

სწორედ რომანტიზმმა გაითავისა ყველაზე მძაფრად, რომ ადამიანის მიწიერი ყოფა ხანმოკლეა და წარმავალი, რომ ის უნდა მიესწრაფვოდეს მარადიულს, ამ ყოფაზე ამაღლებულს, მიღმიერს. ამიტომაც აქვს ადამიანს ორი სამშობლო – დროებითი, ამქვეყნიური და მარადიული. მისი ცხოვრების გზაც ამ მარადიული სამშობლოს ძიებაა – ესაა რომანტიზმის მთავარი განაცხადი.

რომანტიზმს თავისი ისტორიული, ფილოსოფიური და ესთეტიკური წანამძღვრები ჰქონდა, რაც, საბოლოო ჯამში, აუცილებლად მივიდოდა ამ კონკრეტული მიმდინარეობის აღმოცენებამდე. ერთი სიტყვით, მსოფლიო ხელოვნება თავისი ლოგიკური განვითარებით რომანტიზმისკენ მიდიოდა. ამას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. თუ რა სიმაღლეებს მიაღწევდა, რას შექმნიდა კონკრეტული შემოქმედი ამ მიმდინარეობაში, ეს, ცხადია, მის ნიჭიერებაზე იყო დამოკიდებული. ასეც ხდებოდა, შესაბამისად, ყველა სხვადასხვა სიმაღლეს აღწევდა, მაგრამ მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური საფუძველი ამ მიმდინარეობის ყველა მიმდევარს მაინც ერთიანი ჰქონდა.

მარადიული კითხვები კი კვლავ იგივე იყო:

- როგორია სამყარო: მარადიული თუ წარმავალი?
- რა დანიშნულება აქვს ადამიანს სამყაროში?
- როგორ უნდა იცხოვროს მან, რომ საკუთარი მისია აღასრულოს?
- რა როლი აკისრია ხელოვანს და როგორი არჩევანი შეიძლება გააკეთოს მან ჭეშმარიტების ძიების გზაზე?

§3 „დაკარგული ედემი“ და საქართველო მსოფლიო ლიტერატურულ რუკაზე

დაკარგული ედემი

წაკითხვამდე

როგორ ვიკითხოთ?

როგორც იცით, კითხვისას ჩვენ სხვადასხვა ხერხს, ანუ სტრატეგიას ვიყენებთ. ამჯერად გთავაზობთ კრიტიკული კითხვის სტრატეგიას.

ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეპოქაში ხშირად განსხვავებულად აღიქმება. ყოფილა შემთხვევა, რომ კონკრეტულ ისტორიულ ფაქტს ხალხი აღტაცებით შეხვედრია და მხოლოდ მოგვიანებით გამოვლენილა მისი დამღუპველი შედეგები, ანდა პირიქით, რაღაც მოვლენა ტრაგიკულად მიუღიათ და შეუფასებიათ, მაგრამ დროთა განმავლობაში მისი ზოგიერთი სასიკეთო შედეგიც დაუნახავთ.

ამგვარი ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენების სრულფასოვანი შეფასება მხოლოდ დროის გადასახედიდანაა შესაძლებელი; ამიტომ ქვემოთ შემოთავაზებული ტექსტების გაცნობისას დაგჭირდებათ კრიტიკული კითხვის სტრატეგიის გამოყენება, მრავალმხრივი შეფასება, რათა კარგად დაინახოთ, როგორ აირეკლა მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში იმ პერიოდის ისტორიული პროცესების დადებითი და ურყოფითი შედეგები.

საუბრები ლიტერატურაზე

„დაკარგული სამკვიდროს“ ძიებაში

მეცხრამეტე საუკუნის გარიჟრაჟზე ჩამოყალიბებული ახალი ლიტერატურული მიმდინარეობა ამქვეყნიური მოსაწყენი ყოფიდან თავის დაღწევას მარადიული სამშობლოს (ქართულ სინამდვილეში – „დაკარგული ედემის“) ძიებაში ხედავდა. ამ პერიოდში ქართველობას მძიმე განსაცდელი დაატყდა თავს. 1801 წელს საქართველომ დაკარგა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ეს დიდი და უძველესი კულტურის მქონე ქვეყანა რუსეთის გუბერნიად გამოცხადდა.





1783 წლის
გეორგიევსკის ტრაქტატი

ასე რომ, თუ საუკუნის ხედვას ქართული ყოფიდან შევაფასებთ, ჩვენ ამ დროს „მიწიერი სამკვიდროც“ მოსაპოვებელი გვქონდა და მარადიულიც. ამიტომაც, ბუნებრივია, რომ ქართულ ლიტერატურაში გაჩნდა „დაკარგული სამშობლოს“ („დაკარგული ედემის“) თემა.



ალექსანდრე I-ის მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტი ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთის გუბერნიად გამოცხადების შესახებ

არაკეთილგანწყობილი აღმოსავლური სახელმწიფოების გარემოცვაში მოქცეულ ქართველობას რუსეთის სახელმწიფომ დაკარგული დამოუკიდებლობის საპირწონედ ყოველგვარი საზრისისგან დაცლილი „მშვიდობა“ შესთავაზა. მოგვიანებით ასეთ მშვიდობას ილიას გმირი ერთი წინადადებით ასე შეაფასებს: „ცარიელ მშვიდაბა საფლავჩიც გვეყოფის“.

რუსული „შტიკებით“ დაცული ამგვარი მშვიდობა პირველად სწორედ რუსულ მწერლობაში გამოჩნდა.

- წარმოიდგინეთ, როგორ მიიღებდა ამგვარი „მშვიდობის“ იდეას ქართული მწერლობა?

მოწინავე ქართველმა არისტოკრატიამ ერთი კი გაიბრძოლა რუსული იმპერიის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ედგა სამეფო ოჯახი. სახელმწიფოებრიობამოშლილი და ჩრდილოეთის ყინვას შერჩენილი ბატონიშვილები ძველი სამკვიდროს აღდგენას ცდილობდნენ და თავის გარშემო იკრებდნენ მეფისა და სამშობლოს ერთგულ არისტოკრატიას. თუმცა ახალი რეალობა ირგვლივ ყველაფერს დაუნდობლად ცვლიდა. რუსეთის იმპერიისგან თავდახსნა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობის აღდგენა უფრო და უფრო შეუძლებელი ხდებოდა.

დამატებითი რესურსები

საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების შესახებ უფრო ვრცლად იხ. სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 2., დამატებითი საკითხავი, 2.1, „ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება“ გვ. 491).

სადისკუსიო კლუბი

წარმოსახვითი დებატები

მრგვალი მაგიდა გამოჩენილ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მონაწილეობით.

გთავაზობთ მრგვალი მაგიდის ფორმატით გამართულ წარმოსახვით დებატებს, რომლებშიც მონაწილეობენ ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. დებატების მთავარი თემაა საქართველო-რუსეთის ურთიერთობის საკითხი XIX საუკუნის დასაწყისში. სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან ლიტერატურათმცოდნეები და პუბლიცისტები – ვახტანგ კოტეტიშვილი და აკაკი ბაქრაძე, მარიამ, ქეთევან და თეკლა ბატონიშვილები და პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

აი, როგორ ახასიათებს ამ ეპოქას მკვლევარი ვახტანგ კოტეტიშვილი:



ვახტანგ კოტეტიშვილი

„მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, და განსაკუთრებით, პირველ ათეულ წლებში, საქართველო მძიმე სანახაობას წარმოადგენდა. არ იყო არც ერთი იდეა, რომლის გარშემოც შემოიკრიბებოდა მთლიანად ქართველი ერი. მართალია, ახალი ძალის ჩამოწოლა ყველამ იგრძნო, როგორც აუტანელი სიმძიმე, მაგრამ გამოსავლის ძიებაში ერთსულოვნება მიუღწეველი აღმოჩნდა.

ერთნი უფრო რეალურ პოლიტიკას ადგნენ და რუსეთის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სიტლანქის იქით ხედავდნენ მოსვენებულ საქართველოს; ისინი ლოიალობას აცხადებდნენ და არც თაკილობდნენ პიროვნული კარიერის შექმნას.

მეორენი დიამეტრულად საწინააღმდეგო ძალას წარმოადგენდნენ. მათთვის რუსეთის ბატონობა ქართველი ერის არსებობის მოსპობას ნიშნავდა და ერის გადასარჩენად ყველა ღონეს ხმარობდნენ. ეს ნაწილი მეამბოხეებისგან შედგებოდა, რომელთა მიზანი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. საზოგადოების ამ ნაწილს ნიჭიც დიდი ჰქონდა, ენერგიაც და თავისუფლების იდეებითაც ღრმად იყო განმსჭვალული. ეს ადამიანები აჯანყებათა ცეცხლში იყვნენ გამოვლილნი, და ამ იდეაზე არც აუღიათ ხელი, ვიდრე საბოლოოდ არ იქნენ დაქსაქსულნი.

ეს მოხდა 1832 წელს[1].

ეს თარიღი ჩვენს ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანია. ლამაზი მირაჟი გაქრა და ელვარე იდეა თითქოს რაღაც ტბორში ჩაიძირა. თითქოს დაიკარგა რაღაც „ნატვრისთვალი“, რომელიც იყო და აღარ იქნებოდა. ამ მძიმე შთაბეჭდილების ქვეშ გადატყდა შეთქმულებისა და მათი თანამოაზრეების იმედი. მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურაც ამ განწყობით ხასიათდება“.

ეს მძიმე მოვლენა პირველად პოეზიაში აისახა. „ დაკარგულმა ედემმა“ ახალი თემა დაბადა, ახალი მიმართულება „აღმოაჩენინა“ უიმედო და გულგატეხილ ქართველ მწერალს. ამ მიმართულებას ვახტანგ კოტეტიშვილმა „პატრიოტული რომანტიზმი“ უწოდა.



მარიამ ბატონიშვილი

წერილში „პატრიოტული რომანტიზმის დასაწყისი, პოეტი დები – ბატონიშვილები: მარიამ, თეკლე და ქეთევან“ – იგი წერს:

„...თითქოს სიმბოლურია ის გარემოება, რომ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურა ქალებმა დაიწყეს, – ერეკლე მეფის სამმა ასულმა: მარიამ, თეკლე და ქეთევან. ვაჟკაცებს არ ეცალათ, ქალები კი ნაზი ცრემლებით[2] დასტიროდნენ „ედემის ბაღს“ – საქართველოს.

ჰოი, დამწარდეს დროთა ტკბილობა,
უწყალო ეტლმან რა ქმნა ცილობა,
აღფხვრა წალკოტსა ვარდთა შლილობა.
დასთრგუნა ჩემი დღე კეთილობა...

[1] სტატიის ავტორი დაწვრილებით არ საუბრობს 1804 წლის მთიულეთისა და 1812 წლის კახეთის აჯანყებებზე, მათ მხოლოდ გაკვრით ახსენებს („აჯანყებათა ცეცხლში იყვნენ გამოვლილნი“), თუმცა 1832 წლამდე უთუოდ ამ ისტორიულ მოვლენებსაც გულისხმობს.

[2] „ნაზი ცრემლებით დასტიროდნენ“ – გამოთქმა ფიგურალური მნიშნელობისაა, რადგან ბატონიშვილები თეკლა ქეთევანი და მარიამი არა მარტო ნაზი ცრემლებით დასტიროდნენ, არამედ უშუალოდ ღებულობდნენ მონაწილეობას იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამის გამო ყველა მათგანი დააპატიმრეს და გადაასახლეს.

ასეთი მძიმე ტონით და მელანქოლიით დაიწყო მარიამ ბატონიშვილმა – მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის დასაბამი...

იგრგვინვა ცამან ჩვენზედა, რისხვითა საშინელითა,
დაჰფარნა ჩრდილოთ ღრუბელმან მნათობთ არენი ბნელითა...
სად ხარ სიკვდილო, რას ჰყოვნი, არ მიმცემ დღესა, მცირებსა
მიგლოვდით მეცა მოყვასნო, სოფლისა განაწირებსა.

ამ სტრიქონებიდან განწირულის ხმა ისმის...

ასეთივე ნაზი მელანქოლიით იგლოვს საქართველოს და თავის ბედს ქეთევან ბატონიშვილი:

ჰოი, ვითარ ვსთქვა განსაკრთობელი,
ჩემი სიცოცხლის დამაცხრობელი,
ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთების დამბნელებელი...

...მის ლექსებშიც განწირული ეპოქა იცრემლება და პოლიტიკური კატასტროფა სულს სტეხავს:

გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვა და სხვა აზრით გველებრ ჭრელობენ,

პოეტი აღწერს თავის პატიმრობას და ჩრდილოეთში გადასახლების მოლოდინს, რაც პირდაპირ სასოწარკვეთილებაში აგდებს და ისეთივე პროტესტით მიმართავს სოფელს:

– რად არ დაგვიწყდი, ჰოი სოფელო,
არ ხანიერო, ცუდ საყოფელო
მცირის ჟამისა...

„ვინც არ გენდობის, ვარ მადლობელი“.

როგორც ჩანს, ეს ლექსი წერილად არის მიმართული თავის დასთან – თეკლე ბატონიშვილთან, რომელიც ამ ორი დისაგან განირჩევა, როგორც უფრო ნებისყოფის და ამტანობის ადამიანი. იგი პატიმარ დას მიმართავს თავდაჭერით:

...„ნუ ჰსწუხ, დაშრტება ცეცხლთა დებანი“-ო.

მას ჯერ იმედი გადაწყვეტილი არა აქვს და „გუშაგთ სიმრავლის“ შიში არაფრად მიაჩნია.

აქ თითქოს ... სიმტკიცე და იმედიანობა გვესმის. თითქოს ბრძოლებში ნაწრთობი გმირი დინჯად ლაპარაკობს:

რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირე ხანს ლხინთა გამწარებანი.

„მცირე ხანსაო“, რადგან მას იმედი აქვს, რომ საქართველო ასე ადვილად არ დანებდება რუსის მეფეს. იმედი აქვს, რადგან საკუთარი გამოცდილებით იცის, თუ რას ნიშნავს თავისუფლებისათვის ბრძოლა, როგორ იციან მტრის დახვედრა მის ქვეყანაში, სადაც თვით თეკლე ბატონიშვილს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა ომებში მამასთან ერთად.

ქეთევან ბატონიშვილიც არ არის მოკლებული გმირულ სულს. იგიც საიდუმლო შეთქმულების მონაწილე იყო, რომელთანაც მიწერ-მოწერა ჰქონდათ შეთქმულ ბატონიშვილებს და ქართლ-კახელებს. როგორც ჩანს, პატარა კახის სული ქალებშიც ბობოქრობდა

და „სამოც-ჭრილობიანი“ მამის აჩრდილი კიდევ აღელვებდათ ახალ „ასპინძის“ საძიებლად...

... მარიამ – ქეთევან – თეკლე ბატონიშვილების პოეზია სხვა მხრივაც არის საგულისხმო. მათი ყოველი სტრიქონიდან თითქოს ბესიკის შორეული ხმა გესმით... მათი ლექსის მხატვრული მხარე, შედარებები, ზომაც ბესიკის ლექსს ენათესავება, და ტონი, განწყობილებაც თითქმის საერთო აქვთ. ეს მომენტი კი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ააშკარავებს ბესიკის პოეზიის გავლენის სფეროს და, ამას გარდა, ერთგვარი შუა პუნქტიც იქმნება ბესიკსა და ალექსანდრე ჭავჭავაძეს შორის“.



თეკლე ბატონიშვილი

ჩვენ და ტექსტი

1. მოძებნეთ ორი სიტყვა, რომლებითაც ავტორი პირველივე წინადადებაში ახასიათებს XIX საუკუნის საქართველოს მდგომარეობას;
2. რომელ ორ განსხვავებულ ბანაკს გამოყოფს ავტორი ამ პერიოდის საქართველოში? მოკლედ გადმოეცით მათი პოზიცია;
3. წერილში ვკითხულობთ: „ერთნი უფრო რეალურ პოლიტიკას ადგნენ და რუსეთის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სიტლანქის იქით ხედავდნენ მოსვენებულ საქართველოს“. თქვენი აზრით, ეს მოსვენებაა თუ დამორჩილება? იმსჯელეთ, რა განსხვავებაა ამგვარ „მოსვენებასა“ და რეალურ მშვიდობას შორის?
4. რატომ უწოდებს ავტორი მეორე შეხედულების მატარებელთ „მეამბოხეთა“ ბანაკს? რატომ დაუკავშირდა ეროვნული თავისუფლების იდეა ამბოხს, ავჯანყებას? თქვენი აზრით, ჩანს ხსნის გზა ამ წერილში? პასუხი დაასაბუთეთ.
5. რა მოტივები იჩენს თავს ბატონიშვილების – თეკლას, ქეთევანისა და მარიამის – შემოქმედებაში?
6. იმსჯელეთ, ამჟღავნებს თუ არა რაიმე სიახლოვეს ახალ რომანტიკულ ხედვასთან ბატონიშვილთა პოეზია;
7. როგორ გესმით ფრაზა:

„ჩრდილოთ ვიხილე მცირე ღრუბელი,
აზიის მთების დამბნელებელი... “

რა ალეგორიული აზრი გამოხატა ქეთევან ბატონიშვილმა ამ სტრიქონებით?

აი, იმ ეპოქის ალექსანდრე ჭავჭავაძისეული შეფასებაც.

ისმინეთ, მსმენნო

ისმინეთ, მსმენნო, ჭირთა მთმენნო, მომიპყართ ყურნი,
რა გვარნი ჭირნი, ცეცხლნი ხშირნი, მწველნი ალმურნი,
ვნახენით როსა, ამა დროსა ზედა-ზედ რთულნი!..
წყეულ არს ის დრო, როს სამკვიდრო დავკარგეთ კრულნი!
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი[1]...

[1] **გვაგო შურნი** – შური იძია ჩვენზე, დაგვსაჯა.

უწყით ყოველთა მახლობელთა მამულნი მათნი;
ურიცხვნი ტყენი, ბალახ ბევრნი, მრავლ ათასათნი,
მუნა მყოფელნი, ყოვლ-მშფოთველნი, სიტყვა ლაქათნი[1],
ცხოვრება ცუდნი, გულით მრუდნი, პირ-ბნელნი სათნი[2],
აქვსთ ყოვლთვის ხელად სჯულად ძველად საფრთხე, საცთურნი...
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

ქაჯთ ყოფა-ქცევა, ჭამა, სმევა აქვსთ არეულად,
დიდნი, მცირენი, გინა ერნი ხელ-ჰყოფენ მგლურად;
ბატონ-ყმობანი, განრჩევანი არა აქვსთ სრულად;
მოყვარეთ ტკბილთა, ხან-დაზმილთა გულთა ჰსწყვლენ მტრულად,
კაცთა მკილავნი, ლიზღნი, ავნი, ეშმაკთ სადგურნი, –
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი!..

ვინც ჰხვდა მათ მახეს, ჭირთა სახეს, არა აქვს შვება,
მათზედ კეთილი, ვითა შლილი დაიცარება[3]...
მუხთლად გვაწვიეს, დაგვახვივეს თავს ბნელნი ბურნი[4], –
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან აწ გვაგო შურნი.

ნახეთ მოყვასნო, ბრძენთა დასნო, ესე წესია!
შემდგომ საცთურნი მას პირველსა უძვირესია,
სხვათ დიდ-ბოროტსა მცირე მათი უმეტესია...
დაკარგეს ყოვლი ჭირნახული გულთ-უმხნესია,
ჰქმნეს სავანენი საუკუნოდ ვით უდაბურნი, –
გვძლივა სოფელმან, ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შურნი.

მოგვიანებით,1832 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ, იმპერატორისადმი წარდგენილ „საქართველოს მოკლე ისტორიულ ნარკვევში“ ალექსანდრე ჭავჭავაძე წერდა:

„ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდეს-ღაც ჰყვაოდა... მას, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, ჰქონდა დიდება, ჰყავდა თავისი გმირები, მგოსნები და მწერლები“.

ნარკვევში ავტორი საუბრობს ქართველი ერის გმირულ ბრძოლებზე. „უშიშროება არ იყო არც ქალაქად, არც სოფლად. მიწათმოქმედი მიწას შეიარაღებული ხნავდა, ტყვიის ქვეშ ჰკრიფავდა ჭირნახულს. მაგრამ მას ქედი არ მოუხრია... საქართველომ... ქართველობამ... შეინარჩუნა სარწმუნოება, მებრძოლი სული, სიყვარული სამშობლოსადმი... მთელი სოფლები გაჰქრნენ. მაგრამ მათი ნანგრევები დღესაც ჰკვებავს ქართველობის სიამაყის გრძნობას“.

---

[1] **ლაქათი** – პირმოთნე;

[2] სათი – გიშერი;

[3] **დაცარვა** – დაშლა, დარღვევა;

[4] **ბური** – ბურუსი.

მეცხრამეტე საუკუნე

(დასაწყისი)



აკაკი ბაქრაძე
ქართველი
ლიტერატურათმცოდნე,
კრიტიკოსი
(1928 – 1999)

ილია ჭავჭავაძემ მიხეილ ლერმონტოვის „მწირი“ თარგმნა. თარგმნისას მოულოდნელი რამ ჩაიდინა: პირველი თავის ფინალი შეცვალა. რუსული „მწირის“ პირველი თავი ასე მთავრდება:

«И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаяся врагов,
За гранью дружеских штыков»[1].

ქართულის უკანასკნელი სტრიქონები კი ასეთია:

„მას აქეთ, რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს,
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა –
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“.

ეს არ იყო „პოეტური თავხედობა“. ეს იყო ქართული სამეფო კარის მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკის უარყოფაც, რუსეთის იმედის გაცრუების აღიარებაც და XIX საუკუნეში შექმნილი ვითარების შეფასებაც.

ეს უარყოფა იმ ნიჰილიზმის უარყოფასაც ნიშნავდა, რომელიც ქართული ეროვნული ენერგიის მიმართ არსებობდა. თავად ის, რომ საუკუნეების მანძილზე ქართული სამეფო კარი თავშესაფარსა და მფარველობას ეძებდა, უკვე მოწმობდა ძვალსა და რბილში გამჯდარ ნიჰილიზმს. ეს ნიჰილიზმი შემთხვევით არ დაბოლოებულა გიორგი მეთორმეტისა (თუ მეცამეტის) სასოწარკვეთილი სიტყვებით. როცა საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების საკითხი იხილებოდა, დავით ჩერქეზიშვილს უკითხავს მეფისათვის – „ბატონო მეფევ და კარისკაცნო დარბაისელნო: რომ აღებთ კავკასიის კარსა, შეიძლებთა თვისსა დროსა დახშვასა მისსა?“ – გიორგის უპასუხებია – „დახშვა კარისა ამის იქნება დახშვა ქრისტიანობისა კარისა; ამისათვის ჯვარი ქრისტესი, რომელსაცა ვესავთ, იქნება თვით მცველად კარისა, რომელსაცა თვით ჯვარცმული მასზედ დახშავს და განაღებს დასაცველად მეფობისა და მეფეთა, ოდეს თვით ჯერ იჩენს საჭიროდ“ (პ.იოსელიანი – „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“).



გიორგი XII

ქართველი ხალხი კი არ დაკეტავს დარიალის კარს, როცა ეს აუცილებელი გახდება, არამედ – უზენაესი. ამას ღვთის ანაბარად დარჩენა ჰქვია, რაც არა მარტო პიროვნების უძლურებას გამოხატავს, არამედ მთელი ერისას. არადა, სულხან-საბა ორბელიანს სხვა ანდერძი ჰქონდა დატოვებული, ის, წყალწაღებულ კაცს რომ ჩამოსძახა ღმერთმა, – ხელი გაანძრიე და გიშველიო.

[1] „და ღვთის წყალობა გადმოვიდა საქართველოზე,
იმ დროიდან ის ყვაოდა საკუთარი ბაღნარების ჩრდილებში;
არ უფრთხოდა მტრებს,
მეგობრის მახვილს ამოფარებული...“



სოლომონ დოდაშვილი



იონა ხელაშვილი

როცა 1832 წელს ხელის განძრევა დააპირეს და სოლომონ დოდაშვილმა მგზნებარედ მოუწოდა ქართველებს – „...აწ ხედავთა დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა? ჰგრძნობთა შეიწროებასა ყოველისა კაცისასა? რაᲘსთვის არის ესე ესრეთ? ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალი ესოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა?! მაშა რაᲘსთვის ვცოცხალვართ?!“ – ნიჰილიზმის ქარმა ისევ დაბერა, რაც იონა ხელაშვილის გულისწყრომით გამოიხატა ნამოწაფარის მიმართ. ხელმწიფე-იმპერატორის ურჩობა როგორ გაბედაო, – ჩივის იონა. „ჰვსტირ კაცსა მას სოლომონ დოდაშვილს, რომელსა განუზრახავს ბოროტნი დიდნი“... ქართველობას კი აფრთხილებდა: „მცირე ერი ხარ და არ ძალგიძს თავისა თვისისა დაცვა თვინიერ მფარველისა“.



ილია ჭავჭავაძე



გიორგი მუხრან-ბატონი

როცა ილია ჭავჭავაძე ოცნებობდა – „ხალხი აზვირთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს, კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჰფიქრობს, – და ეგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!“ – გიორგი მუხრან-ბატონი[1] სტამბავდა წიგნს – „ეროვნულ ინდივიდუალობათა არსისა და დიდ სახალხო ერთეულთა საგანმანათლებლო მნიშვნელობის შესახებ“, სადაც ქადაგებდა, რომ მცირერიცხოვანი ერების ენებს საგანმანათლებლო მნიშვნელობა არა აქვთ, მათ მარადიული ჩამორჩენილობა ელით, თუ არ დაიწყებენ მშობლიურ ენას და არ ამეტყველდებიანო მრავალრიცხოვანი ხალხების ენებზე.

როცა ვაჟა-ფშაველა გვარწმუნებდა – „ეღირსებაო ლუხუმსა ლაშარის გორზე შადგომა!“, – ივანე ჯაბადარი აქვეყნებდა „წერილებს საქართველოზე“, რომლებშიც ქართულ კულტურას განიხილავდა, როგორც სპარსული კულტურის ჩრდილსა და ანარეკლს. არაფერი ორიგინალური და თავისთავადი ქართველ ხალხს არ შეუქმნიაო, – აკეთებდა დასკვნას ივ. ჯაბადარი.

---

[1] **გიორგი მუხრან-ბატონი** (1821 წ, სოფ. მუხრანი – 1877 წ, პარიზი) – ცარიზმის მოხელე, 1855 წლიდან მეფისნაცვლის საბჭოს წევრი; 1858–1868 წწ – მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს სასამართლო საქმეთა დეპარტამენტის დირექტორი, სენატორი (1864 წ).
მუხრან-ბატონის მტკიცების თანახმად, კაცობრიობის პროგრესი გულისხმობდა დიდი ხალხების გაბატონებასა და მცირე ერების მოსპობას. პატარა ხალხები განწირული იყვნენ, მათ არ შეეძლოთ სრულყოფილი სახელმწიფოს შექმნა, ამიტომ მსხვილ ეროვნულ ერთეულებში უნდა გათქვეფილიყვნენ. პატარა ხალხისთვის დიდ ხალხთან ყოველგვარი შეერთება-შერწყმა ნიშნავდა საკუთარი ენის დაკარგვას. მუხრან-ბატონს მცირე ხალხების მისწრაფება თავისუფლებისა და ინდივიდუალური არსებობის შენარჩუნებისაკენ უპერსპექტივოდ და თვით ამ ერისათვის მავნედაც კი მიაჩნდა.

მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერგია. ამიტომ სხვის იმედად ყოფნა ერჩიათ. ურწმუნოება კი გამოწვეული იყო ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრით. ეს მკაფიოდ განმარტა გენერალმა ივანე აფხაზმა გრიგოლ ორბელიანთან საუბარში.



ივანე ჯაბადარი

„აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისთვის. ჰსცხოვნებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ,... ყოველი ფიქრობს საკუთარი თავისასა სარგებლობისათვის, რომელისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არის მათვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. გარნა ნუ გგონია რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“.

დამატებითი რესურსები

1. აკაკი ბაქრაძის ეს წერილი სრულად მოცემულია სახელმძღვანელოს დანართში (დანართი საუბრები ლიტერატურაზე, 1.2, „მეცხრამეტე საუკუნე“ გვ. 480).

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაზე მუშაობის დროს მას არაერთხელ დაუბრუნდებით.

ჩვენ და ტექსტი

1. დამოუკიდებლობადაკარგულ ქართველ ერს რა იდეა შესთავაზა „საპირწონედ“ რუსეთის სახელმწიფომ? იმსჯელეთ, რამდენად თანაზომიერია ეს ორი ცნება თავისუფლება და მშვიდობა, რამდენად შესაძლებელია ერთის მეორით ჩანაცვლება ან კომპენსირება? იმსჯელეთ, რას ჰკარგავს და რას იძენს ქვეყანა თითოეულ შემთხვევაში?
2. რაზე მეტყველებს ლერმონტოვის „მწირის“ პირველი თავის ფინალის ილიასეული თარგმანი? კერძოდ, ილიას „თავისუფალი“ დამოკიდებულება პოემის მიმართ?
3. დაასახელეთ კონკრეტული ოპოზიციები (დაპირისპირებანი, საპირისპირო წყვილები), რომლებიც აკაკი ბაქრაძის წერილში ჩანს; იმსჯელეთ, ქართულ საზოგადოებაში რომელი ორი მიმართულება გამოიკვეთა თავიდანვე? საქართველოს ისტორიული განვითარების შესახებ რომელი ორი პოზიცია უპირისპირდებოდა ერთმანეთს?
4. როგორ იყენებს დაპირისპირების ხერხს აკაკი ბაქრაძე თავის პუბლიცისტურ წერილში? დაასახელეთ მაგალითები.

საუბრები ლიტერატურაზე

1.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საქართველოში განვითარებულ ტრაგიკულ მოვლენებს ერთი დადებითი მომენტი მაინც ახლდა. რუსეთთან შეერთებით საქართველომ თავი დააღწია იზოლაციას, მართალია, რუსეთის საფარქვეშ, მაგრამ იგი მაინც ეზიარა ევროპულ კულტურას. აქამდე ყველაფერს მოწყვეტილი ქართული ლიტერატურა მე-19 საუკუნის მსოფლიო ლიტერატურული რუკის ნაწილი გახდა. ამაზე საუბრობს რუბრიკის სტუმარი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ირმა რატიანი.

მე-19 საუკუნის ქართული ლიტერატურა – მსოფლიო ლიტერატურული რუკის ნაწილი


ირმა რატიანი

XIX საუკუნიდან საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი ერა იწყება: საქართველო რუსეთის იმპერიის უღელქვეშ აღმოჩნდება. ეს ფაქტი ლიტერატურულ პროცესზეც აისახება: ქართული მწერლობა, ერთი მხრივ, კარს გაუღებს დასავლურ (ევროპულ) ლიტერატურულ სკოლებსა და მიმდინარეობებს (რომანტიზმი, რეალიზმი), მეორე მხრივ კი, ჩაერთვება ხანგრძლივ ბრძოლაში რუსეთის იმპერიალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ.

საქართველოსათვის უცხო არ იყო „დაპყრობილის“ სტატუსი. სხვადასხვა დროს საქართველოს ტერიტორია ოკუპირებული ჰქონდათ ირანს, არაბეთს, თურქეთს, მონღოლეთს... ქართველების, როგორც უძველესი მართლმადიდებელი ერის, ბრძოლა დამპყრობლების წინააღმდეგ ყოველთვის სარწმუნოების შენარჩუნებას უკავშირდებოდა. მთავარ მიზანს სარწმუნოების დაცვა წარმოადგენდა. მაგრამ რუსეთის შემთხვევაში საქმე ცოტა სხვაგვარად იყო: რუსეთიც, ისევე როგორც საქართველო, მართლმადიდებელი ქვეყანა გახლდათ! ამ გარემოებამ გარკვეული დაბნეულობა შეიტანა ქართულ საზოგადოებაში: კარგად ვერ გაეგოთ, რუსეთი მტერი იყო თუ მოყვარე? რუსეთმა კი შესანიშნავად ისარგებლა შექმნილი ვითარებით. მის პოლიტიკურ მიზანს იმთავითვე საქართველოსა და მთლიანად კავკასიის გათიშვა-დაშლა წარმოადგენდა. რუსეთის იმპერია მარჯვედ აპირისპირებდა მასავით მართლმადიდებლურ საქართველოს კავკასიის მთიანეთის არაქრისტიან ხალხებთან. საქართველოს პოლიტიკური კურსი ბურუსით იყო მოცული.

2. ახალი ლიტერატურული ტენდენციები

დასავლეთ ევროპაში ლიტერატურული პროცესები განუწყვეტლივ ვითარდებოდა, ერთ მიმდინარეობასა თუ მიმართულებას მეორე ცვლიდა. აგიოგრაფიული ლიტერატურა საერო მწერლობამ ჩაანაცვლა, რასაც რენესანსის აყვავება მოჰყვა. სწორედ რენესანსული პერიოდიდან იწყება დასავლური ლიტერატურის განვითარება დანარჩენი მსოფლიო ლიტერატურული პროცესებისაგან განსხვავებული მიმართულებით.

კლასიციზმი

ეს იყო მწერლობის „მოწესრიგებისა“ და „სისტემატიზაციის“ არცთუ წარუმატებელი ცდა.

კლასიციზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, პირველად განვითარდა XVII საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში.

ფრანგული კლასიციზმის თეორეტიკოსი და სულისჩამდგმელი იყო ლიტერატორი და კრიტიკოსი **ნიკოლა ბუალო,** რომელმაც შექმნა პოეტური ფორმის ლიტერატურული ტრაქტატი **„პოეტური ხელოვნება“.** ამ ნაწარმოებში მან ჩამოაყალიბა პოეტური ხელოვნების კანონები, რომლებსაც იცავდნენ მისი სკოლის მიმდევარი მწერლები; მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი იყვნენ: **კორნელი, რასინი, მოლიერი და სხვ.**

ფრანგული კლასიციზმის წარმომადგენლებმა შეიმუშავეს ლიტერატურის ახალი თეორია, ახალი წესები, რომლებსაც მწერალი უნდა დამორჩილებოდა. ბუალოს მიერ შემუშავებული თეორიის უმთავრესი ღირსება ის იყო, რომ იგი მწერლებს სიმართლის თქმასა და სინამდვილის ასახვას უქადაგებდა.

კლასიციზმში ნაწარმოებების მოქმედი პირები თავიდანვე გარკვეულ, ჩამოყალიბებულ ხასიათებს განასახიერებდნენ, მაგალითად, სიძუნწეს, სიუხვეს, სათნოებას და სხვ. ისინი არ გადმოსცემდნენ ადამიანის ბუნებისა და ხასიათის ზრდასა და განვითარებას. მათი ნაწარმოებების მოქმედი პირები, უმთავრესად, რჩეული ადამიანები იყვნენ (მეფეები, სარდლები, დიდი მოხელეები), ხოლო ე.წ. „მდაბიო ხალხის“ გამოყვანა მხოლოდ კომედიაში იყო დასაშვები.

სიუჟეტის განვითარებაც მკაცრ კანონებს ექვემდებარებოდა.

სიმონ გაჩეჩილაძე „სიტყვიერებისა და ლიტერატურის თეორია“

მოგვიანებით კლასიციზმი რომანტიზმმა შეცვალა.

რომანტიზმი

სრულიად საპირისპირო პრინციპებს ეფუძნებოდა რომანტიზმი. აქ ადამიანი, მისი განცდები და მისწრაფებები იყო ხელოვნებაში ასახვის მთავარი თემა.

მეცნიერები მიიჩნევენ, რომ რომანტიზმის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ გაბატონებულმა გულგატეხილობამ ითამაშა.

ადამიანები ამ რევოლუციისგან ნათელ მომავალს, თანასწორობასა და თავისუფლებას მოელოდნენ. ასე უნერგავდნენ მათ განმანათლებლები[1], თუმცა რევოლუციის გამარჯვებას, საყოველთაო ბედნიერების ნაცვლად, სისხლი, ტერორი და იმედგაცრუება მოჰყვა. კაცობრიობის ნათელი მომავლის სახელით ბევრი უბედურება დატრიალდა. ადამიანები მიხვდნენ, რომ რევოლუციის მონაპოვარმა ზოგ შემთხვევაში კიდევ უფრო უსუსური გახადა ისინი. ხსნა არ ყოფილა სასოებით დახატულ რევოლუციაში.

[1] **განმანათლებლები** – 1715-1789 წლებში საფრანგეთში მოღვაწე მოაზროვნეები და პოლიტიკოსები, რომლებმაც იდეურად მოამზადეს საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუცია.



ეჟენ დელაკრუა
„თავისუფლება ბარიკადებზე“

მხოლოდ საფრანგეთის რევოლუცია რომანტიზმს ასე ფართოდ ვერ დაამკვიდრებდა. იმხანად მთელი მსოფლიო მოიცვა თავისუფლებისკენ სწრაფვის იდეამ. ბევრი პატარა ქვეყანა და მცირე ხალხი იბრძოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის. მათმა ბრძოლამ სოციალური თუ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის და თავისუფლებისაკენ საყოველთაო სწრაფვამ სწორედ რომანტიზმში ჰპოვა გამოხატულება.

ლიტერატურული ძიებანი

„რომანტიზმი“ – ტერმინის გაგებისათვის

რომანტიზმის გაგება იმთავითვე გახდა აზრთა სხვადასხვაობისა და განსჯის საგანი. მოკამათე მხარეებს უჭირდათ, ერთ პოზიციაზე შეთანხმებულიყვნენ.

ქვემოთ შემოგთავაზებთ რომანტიზმის რამდენიმე განმარტებას, ასევე ამონარიდებს ლიტერატურათმცოდნეობითი ლექსიკონებიდან. გაეცანით მათ და ჩამოაყალიბეთ რომანტიზმის თქვენეული განმარტება.

ტერმინი „რომანტიზმი“ მე-18 საუკუნეში „წარმოსახვითის“, „ფანტასტიკურის“ აღსანიშნავად გამოიყენებოდა და უკავშირდებოდა სიტყვა „რომანს“ .

სიტყვა „რომანის“ გაგებაც არ იყო ერთმნიშვნელოვანი. თავდაპირველად ამ სახელით რომანულ ენაზე დაწერილ თხზულებებს მოიხსენიებდნენ, მე-18 საუკუნიდან კი ტერმინის გაგების საზღვრები გაფართოვდა და იგი ერთ-ერთი ლიტერატურული ჟანრის სახელწოდებად იქცა. აქედან გამომდინარე, რომანტიზმი გულისხმობს არა რეალურ ამბებსა და მოვლენებს, არამედ იმას, რაც მხოლოდ ხელოვნების სამყაროში შეიძლება იყოს.

ტერმინ „რომანტიზმის“ წარმოშობა დაკავშირებულია სიტყვასთან „romance“. იგი აღნიშნავს ხალხურ ენებს, რომლებიც ძველ გერმანულ დიალექტებთან ლათინურის შერევისაგან წარმოიშვა. მაგრამ ეს მხოლოდ ტერმინის წარმომავლობაზე მიუთითებს. სხვადასხვა დროს მასში წარმტაცის, უცნაურისა და ზღაპრულის შინაარსსაც დებდნენ“.

რომანტიზმი ისეთი მხატვრული მეთოდია, რომელიც, სინამდვილის უშუალოდ ასახვის ნაცვლად, გვიხატავს ოცნებით გამოგონილს, არსებულის ნაცვლად – სასურველს, რადგან რეალურ ცხოვრებასა და ადამიანის იდეალებს შორის დაპირისპირება არსებობს. ადამიანი ვერ ეგუება მოსაწყენ ყოფას, უკმაყოფილოა რეალობით და მის ნაცვლად ხელოვნების მეშვეობით ქმნის ოცნებათა ირეალურ, რომანტიკულ სამყაროს.

აღსანიშნავია, რომ გამონაგონი მხოლოდ რომანტიზმს არ ახასიათებს. მხატვრულ გამონაგონს ზოგადად ხელოვნება ემყარება, თუმცა რომანტიზმში ეს უფრო გამოკვეთილია, რომატიზმისთვის, დამახასიათებელია პიროვნების სულიერი ცხოვრებისა და შემოქმედებითობის/შემოქმედებითი პოტენციალის განდიდება, რაციონალურთან მიმართებით წარმოსახვის უპირატესობის აღიარება.

საუბრები ლიტერატურაზე

რომანტიზმის თავისებურებანი

- **სწრაფვა იდეალური, მარადიული სამყაროსაკენ**

რომანტიზმის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი ორი სამყაროს – რეალურისა და იდეალურის – არსებობის დაშვებაა. ადამიანს არ მოსწონს მის გარშემო არსებული რეალობა, როგორც მარად ცვალებადი, სასრული, წარმავალი, მდაბალი და იდეალებისაგან დაცლილი. ამის ანტიპოდია იდეალური, სასურველი სამყარო – მარადიული, ამაღლებული, ღვთაებრივი. სწორედ ამ იდელური სამყაროსაკენ მიისწრაფვის რომანტიკოსი.

- **უკიდურესი ინდივიდუალიზმი და სუბიექტივიზმი**

რომანტიზმისათვის უმთავრესია ადამიანის ინდივიდუალური ხედვა, მისი შინაგანი სამყარო, სულიერი განცდები.

მანამდე კლასიციზმში უმთავრესი იყო მორალურ-ეთიკური ღირებულებები. უმნიშვნელო იყო, რას გრძნობდა, რას განიცდიდა ადამიანი. მას საზოგადოებაში მიღებული ეთიკური ნორმებითა და ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი კანონებით უნდა ემოქმედა.

რომანტიზმმა ადამიანის პირადი განცდები, მისი სუბიექტური შეხედულებანი, შინაგანი სამყარო ყველასა და ყველაფერზე მაღლა დააყენა. ადამიანი მოქმედებს ისე, როგორც სურს და არა ისე, როგორც ეს საყოველთაოდაა მიღებული.
ამიტომაც ითვლება, რომ რომანტიზმი უმაღლესი ადამიანური თავისუფლების გამოვლინებაა.

- **წარმავალობის მსოფლიო სევდა**

რომანტიკოსებისათვის დამახასიათებელია დროთა ცვალებადობისა და წარმავალობის ტრაგიკული განცდა. ამქვეყნად ყველა და ყველაფერი სასრულია. სწორედ ესაა ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო სევდის საფუძველი.

- **პროტესტანტი, მეამბოხე გმირი**

როგორც აღვნიშნეთ, რომანტიკოსი გმირი არ კმაყოფილდება იმქვეყნიური „სამოთხით“, საიქიო მარადიული ყოფით. ის წარმავალობის წინააღმდეგ ამხედრებული მეამბოხეა, რომელიც ბედისწერის დასაზაღვრულობის გადალახვას და მარადიულთან ზიარებას ცდილობს. რომანტიკოსი ერთგვარი უკვდავების მაძიებელი გმირია. იგი ამ ძიების დროს ცდილობს შეცვალოს გარემომცველი რეალობა.
მანამდე გავრცელებულ არც ერთ ლიტერატურულ მიმდინარეობას არ შეუქმნია იმდენი მეამბოხე, პროტესტანტი გმირი, რამდენიც რომანტიკულმა ხელოვნებამ მოგვცა.

- **წარსულის იდეალიზაცია**

რომანტიკოს ავტორებთან არსებული რეალობა მიუღებელი და მოსაწყენია, სწორედ აქედან იღებს სათავეს იდეალის წარსულში, ან მომავალში გადატანა. ამიტომაც რომანტიკოსთა დიდი ნაწილისათვის დამახასიათებელია ანტიკური წარსულით დაინტერესება, მობრუნება ეროვნული ფესვებისაკენ, ისტორიული წარსულის იდეალიზება.
ყველაფერი დიდებული წარსულში დარჩა. აწმყო წარსული დიდებულების უღიმღამო აჩრდილია, – ესაა ტიპური რომანტიკული ხედვა, რამაც თავისთავად გამოიწვია წარსულის იდეალიზება.
წარსულისადმი რომანტიკულ დამოკიდებულებას ქართულ სინამდვილეში ემატება ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო გამოწვეული მძაფრი ტრაგიზმი. სამშობლოს სიყვარულის ტრაგიკული განცდა ის თემაა, რაც ქართულ რომანტიკულ პოეზიას სხვათაგან განასხვავებს.

- **დამოკიდებულება ბუნებისადმი**

სამყარო, მაკროკოსმოსი, იდეალური და უსაზღვროა. ბუნება ამ მაკროკოსმოსის გამოვლინებაა, უსასრულობაში გაჭრილი ფანჯარაა. ადამიანი ამ დიდი და იდეალური სამყაროს ნაწილია. იგი სრულ ჰარმოანიაშია ბუნებასთან. ამიტომაცაა, რომ რომანტიკოს ავტორთა ნაწარმოებებში ხშირად ბუნებაში გაბატონებული განწყობილებები ადამიანთა სამყაროზეც ვრცელდება, ან პირიქით, ადამიანის განწყობა გარემოში განეფინება.

- **სიყვარულის იდეალიზება და მისტიფაკაცია**

რომანტიზმისათვის დამახასიათებელია სიყვარულის იდეალიზება და მისტიფიკაცია. ამ წარმავალ სამყაროში სიყვარული მარადიულისა და იდეალურის გამოვლინებაა, ამიტომაც სატრფო არაა ჩვეულებრივი ადამიანი. ის ხშირად იდეალური, ღვთაებრივი არსებაა ან იდუმალი ფანტომია, რომელიც ზოგჯერ ჩვეულებრივ ყოფით რეალობაში არც არსებობს.
სიყვარულის მისტიფიკაციის კლასიკური მაგალითია გარდაცვლილი, ან სადღაც გადაკარგული სატრფოს ილუზორული (წარმოსახვითი) ხატება, სიყვარულის ტრაგიკული განცდა.
რომატიზმისათვის უცხოა შეყვარებულთა შორის რეალური, ყოფითი ურთიერთობები, მათი ასახვა ჩვეულებრივ გარემოში, ყოველდღიურობაში. აქ გადამწყვეტია სულიერი კავშირი, სწრაფვა ამაღლებულისაკენ, მარადიულისაკენ. ამიტომაც რომანტიზმში იხატება არა ადამიანთა მიწიერი სიყვარული, არამედ ამაღლებულისაკენ, იდეალისაკენ „სწრაფვა“, „სულთა კავშირი“.

რომანტიზმი მხატვრობაში:

იდეალისაკენ სწრაფვა ვიზუალურად კარგად ჩანს რომანტიკოს მხატვართა ნამუშევრებში. რომანტიკული იდეალების თვალსაჩინოდ გამოხატვის მაგალითად ხშირად ასახელებენ გერმანელ რომანტიკოს მხატვარს კასპარ დავიდ ფრიდრიხს. იგი ცნობილია ალეგორიული პეიზაჟებით, მის ნახატებში არ არის ჰორიზონტები, რაც მაყურებლის მზერას თითქოს მიღმიერი სამყაროსკენ, უსაზღვროებისკენ მიმართავს.

კასპარ დავიდ ფრიდრიხის ნახატები ფართო პეიზაჟების ფონზე ადამიანების შემცირებული პერსპექტივით ხასიათდება. ფიგურები იმ მასშტაბამდეა შემცირებული, რომ ხელოვნების ისტორიკოს ქრისტოფერ ჯონ მიურეის თქმით, „მაყურებელთა მზერას მათი მეტაფიზიკური განზომილებისკენ“ მიაპყრობს.

კონსტანტინე ბრეგაძე წერილში „სივრცის აგება და დაშლა რომანტიკულ მხატვრობაში“ წერს:

„ფრიდრიხთან სივრცე ისეა კონსტრუირებული, რომ პროტაგონისტის[1], ან მაყურებლის მზერა იმთავითვე მიმართულია სივრცეში, ანუ უსასრულობაში გაჭრისაკენ; სივრცე თანთადათანობით იხსნება და მთლიანად მოიცავს როგორც პროტაგონისტის, ისე მაყურებლის ცნობიერებას... როგორც პროტაგონისტი, ისე მაყურებელი ჩართულია... უსასრულობისაკენ ლტოლვის, სივრცეში გაღწევის პროცესში, ანუ ღვთაებრიობისაკენ სწრაფვისა და მასთან შერწყმის პროცესში...

- **ბუნება რომანტიკოსთათვის** უმნიშვნელოვანესია. რეალურ სამყაროში არის ადგილები, რომლებშიც განსაკუთრებით ძალუმად იჭრება იდეალური, მიღმიერი სამყარო. ეს თითქოს ღია სივრცეა, გახსნილი კარია ამქვეყნიური სასრული ყოფიდან მარადიულ იდეალურ სამყაროში გადასასვლელად.

ამავე დროს, შეიძლება ითქვას, რომ რომანტიკოსები ბუნებას უყურებენ, როგორც სამყაროს ნაწილს. თავად სამყარო მაკროკოსმოსია, რომლის შემადგენელი ნაწილებია ბუნება და ადამიანი. ეს ყველაფერი ურთიერთკავშირშია. ბუნებასა და ადამიანს შორის ის კავშირი არსებობს, რაც მიკროკოსმოსსა და მაკროკოსმოსს შორის. ბუნების მოვლენები ზემოქმედებს ადამიანზე და პირიქით, ადამიანის განწყობა თითქოს მთელ სამყაროში განეფინება.

თუ ყურადღებით დააკვირდებით „ვერნისაჟში“ შემოთავაზებულ ნახატებს. უთუოდ შენიშნავთ, რომ ადამიანი და ბუნება ერთ მთლიანობად აღიქმება.

- რომანტიზმისათვის ასევე დამახასიათებელია **ისტორიის იდეალიზაცია.** ამიტომაც ისტორიულ ტილოებზე გვხვდება მონუმენტალიზმი, ჰეროიკულ-გმირული განწყობილებები.

[1] **პროტაგონისტი** – ძვ. ბერძნულ ტრაგედიაში: მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი; აქ: სურათზე გამოსახული პერსონაჟი.

გთავაზობთ რომანტიკოს მხატვართა ვერნისაჟს.

დაათვალიერეთ ეს ნახატები და იმსჯელეთ, რატომ შეიძლება მათ რომანტიკული ტილოები ვუწოდოთ, რომანტიზმისათვის დამახასიათებელი რომელი ნიშან-თვისებები შენიშნეთ მათში?

ვერნისაჟი – უსაზღვროებისაკენ მიმართული მზერა



1.



2.



3.



4.

1. კასპარ დავიდ ფრიდრიხი
ქალი ფანჯარასთან

2. იუჰან კრისტიან დალი
დედა-შვილი ზღვასთან

3. ჯონ კონსტებლი
წისქვილი ფლეტფორდში

4. ედვარდ იაკობ ფონ შტეინლი
ოთხი ცხენოსანი



5.



6.



7.



9.



8.

5. კონსტებლი
თივის საზიდარი სოგნეფორდში

6. იუჰან კრისტიან დალი
ზამთარი

7. კასპარ დავიდ ფრიდრიხი
საღამო

8. იუჰან კრისტიან დალი
ლარვიკი მთვარის შუქზე

9. კასპარ დავიდ ფრიდრიხი
მოგზაური ნისლის ზღვაზე

ლიტერატურული ძიებანი

თამაში „ამოვიცნობ ტილოს“... წუთშესვენება ვერნისაჟის დათვალიერების დროს.

განმარტების მიხედვით იპოვე ცნობილი მხატვრის ტილო. დაასახელე ავტორი და დაასაბუთე, რატომ თვლი, რომ ამ ტილოს ავტორი ესა თუ ის კონკრეტული პირია?

შენიშვნა: ერთ განმარტებასთან შესაძლოა, დააკავშიროთ ერთი ან რამდენიმე ტილო და პირიქით, რამდენიმე განმარტება შესაძლებელია ერთ ტილოს დაუკავშირდეს, რადგან იმ ერთ ტილოზე იყოს წარმოჩენილი ყველა დასახელებული მახასიათებელი.

ა) ნახატში იგრძნობა უსაზღვროების კულტი, აქ სადღაც შორეთში ჩაკარგული ჰორიზონტი (ფაქტობრივად, ეს ნამუშევრები უჰორიზონტო ნახატებია) მიღმიერისკენ სწრაფვის განცდას ქმნის და ეხმიანება ავტორის განწყობას, რომელსაც მოსაწყენი ყოველდღიურობისგან თავის დაღწევის გზად იდეალური სამყარო ესახება.

ბ) ნახატზე ჩანს უსასრულობისკენ მიმართული მზერა. ოთახის სასრულობაში თანაარსებობს გარე სივრცის უსასრულობა; მეორე მხრივ, ზეცისა და ოთახის განლაგებაში მოცემულია სიახლოვე და სიშორე, ვიწრო ინტერიერი და დიადი შორეთი მიგვანიშნებს, რომ „აქაურობასა“ და „ახლაში“ ჩაკეტილი პროტაგონისტი უსაზღვროებას ესწრაფვის. მისი ოცნებაა, დატოვოს „აქ“ და „ახლა“ და აღმოჩნდეს “იქ“ და „მაშინ“.

გ) ადამიანი მიკროკოსმოსია და იგი არის შემადგენელი ნაწილი მაკროკოსმოსის, დიდი სამყაროსი; სურათზე ადამიანისა და სამყაროს ჰარმონიული ერთიანობა იგრძნობა; ადამიანები ბუნებაში „განსასვენებელსა“ და სულიერ იდილიას ჰპოვებენ.

დ) გმირების მზერა ამ ნახატებზე უსასრულობაში რომ ინთქმება, ეს უკვე გასაგებია, მაგრამ საინტერესოა, როგორ „მიჰყვება“ ჩვენი მზერა პროტაგონისტის გამოხედვას. ამ ტილოზე/ ტილოებზე ავტორი ახერხებს, დამთვალიერებელიც „შეიტყუოს“ ნახატში და მისი მზერაც მიღმიერისკენ მიმართოს;

ე) გმირი თითქოს „იქ“, მიღმიერ სამყაროშია. ყოფიდან ამაღლებული შორს მოჩანს, ან საერთოდ არ მოჩანს მიწიერი სამყოფი. თითქოს პროტაგონისტი უკვე იქაა და მის ფეხქვეშ გაწოლილა ადამიანთა „სამყოფი“.

ვ) ყველა ამ ნახატში მზერა უსასრულობისკენაა მიმართული და ადამიანის ფიგურები იმდენად დაპატარავებულია, გარემომცველ სივრცესთან შედარებით, რომ უსასრულობის პერსპექტივას ქმნის.

ზ) ამ რომანტიკოსი მხატვრის შემოქმედება მისტიკურია, იგრძნობა სიმარტოვის განცდა, ხშირად ხატავს ნისლიან გარემოს, ჩაბნელებულ სივრცეს, ჩამავალი მზის პეიზაჟს.

თ) ეს რომანტიკოსი მხატვარი, ძირითადად მუშაობდა ისტორიულ თემებზე, და ცნობილი იყო, როგორც მონუმენტალური ფრესკების მხატვარი. მისთვის დამახასიათებელია წარსულის რომანტიკული გაიდეალება – მძლავრი, მონუმენტური ფიგურები;

კ) ეს მხატვარი მხოლოდ ინგლისის პეიზაჟებს ხატავდა. ცნობილია, რომ ის ძალიან დიდ დროს უთმობდა ცის გამოსახვას ტილოზე... მხატვარი არ გამოსახავდა ბუნებას სტატიკურად, გაყინულად... იგი ადამიანისა და ბუნების ერთობლიობასა და ჰარმონიულობას გადმოსცემდა.

თამაში შეგიძლიათ წარმართოთ ჯგუფურადაც.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

1. მოუსმინეთ ცნობილი პოლონელი რომანტიკოსი კომპოზიტორის, ფრედერიკ შოპენის, ნოქტიურნებს.

https://www.google.com/search?rlz=1C1GCEA_enGE860GE860&tbm=vid&sxsrf=APwXEddjFmH-a0QgyDGxrWLG_Ui_TlOrlUw:1685121912719&

იმსჯელეთ, რატომაა ეს კომპოზიტორი რომანტიკოსი?

2. თქვენი აზრით, რა საერთო აქვს ამ მუსიკალურ ნაწარმოებებს რომანტიკოსი ფერმწერებისა და ლიტერატორების შემოქმედებასთან?

დამატებითი რესურსები

სახელმძღვანელოს დანართში 5. სამახსოვრო, მოძებნეთ 5.3. აქტივობა „ვერნისაჟის“ პასუხების სქემა.

წაკითხვამდე

1. ივარაუდეთ, რომანტიზმის ზოგადი მახასიათებლებიდან რა იქნება საერთო ქართული რომანტიზმისათვის?

2. ქართული ისტორიულ-პოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით, ხომ არ შეგიძლიათ, დაასახელოთ ქართული რომანტიზმის რომელიმე თავისებურება, რომელიც მას, თქვენი ვარაუდით, სხვათაგან გამოარჩევს?

თქვენი ვარაუდები გადაამოწმეთ გერონტი ქიქოძის წერილში „რომანტიკოსების თაობა“, რომელიც ქართული რომანტიზმის თავისებურებებზეც საუბრობს.

ტექსტების სამყაროში

გერონტი ქიქოძე

რომანტიკოსების თაობა

ჩვენს რომანტიკოსებს რამდენიმე საერთო თვისება ახასიათებთ: პატრიოტული გრძნობის გულწრფელობა და სიღრმე, სიყვარულის განცდის იდეალისტური სინატიფე, რელიგიური მოკრძალება დიდი ისტორიული ნანგრევების და სასაფლაოების წინაშე, ბოლოს, ფეოდალური კულტურის შეგრძნობა არა როგორც შორეული წარსულისა, არამედ როგორც უშუალო, ყოველდღიური რეალობისა.

ეს უკანასკნელი გარემოება თავისებური ობიექტური პირობებით აიხსნება. დასავლეთ ევროპაში ფეოდალიზმი, როგორც ეკონომიური წესწყობილება, უკვე მეთხუთმეტე-მეთექვსმეტე საუკუნეში მოკვდა; საფრანგეთის რევოლუციამ ის პოლიტიკურად დაასამარა. საქართველოში ფეოდალიზმი ცოცხალი იყო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე. ბევრი რამ, რაც გერმანელი, ფრანგი ან ინგლისელი რომანტიკოსებისათვის შორეული წარსულის ხილვა იყო, ბინდ-ბუნდით მოცული ტაძრები, შევარდნებით მონადირე რაინდები, ასპარეზობა, ყანწებით და აზარფეშებით ღვინის მსმელი თანამესუფრეები, დაჩრდილულ ბაღებში მოსეირნე ქალ-ვაჟები, ეს ყოველივე ქართველი რომანტიკოსებისათვის ნაწილობრივ ცოცხალი სინამდვილის მოვლენებია.

თვით ქართველი რომანტიკოსები უფრო შუა საუკუნეების ოსტატებს ჰგვანან, ვიდრე თანამედროვე პროფესიულ მწერლებს. ისინი ცოტას წერენ, მათი ლექსები დიდხანს მხოლოდ ხელნაწერების შემწეობით ვრცელდება, ალექსანდრე ჭავჭავაძეს და ნიკოლოზ ბარათაშვილს თავიანთი ორიგინალური ნაწერები დაბეჭდილი არც კი უნახავთ. ბოლოს, ისინი უფრო ერთ ლიტერატურულ ოჯახს წარმოადგენდნენ, ვიდრე ლიტერატურულ სკოლას ან მიმართულებას თანამედროვე გაგებით: ისინი ურთიერთშორის ნათესაობით ან მეგობრობის გრძნობით არიან დაკავშირებულნი. ისინი ყველანი არისტოკრატები არიან, და არა მარტო წარმოშობით, არამედ აზროვნებით და ცხოვრების შეგრძნებით. გრიგოლ ორბელიანი ერეკლე მეფის ქალის ელენეს შვილისშვილია, ალექსანდრე ჭავჭავაძის დედა ორბელიანის გვარის ქალი იყო; გრიგოლ ორბელიანი მის ოჯახთან დაკავშირებულია ხანგრძლივი მეგობრობით, თავისი საუკეთესო სატრფიალო ლექსები მან მის ქალებს ნინოს და ეკატერინეს მიუძღვნა. მეგობრობისა და რომანტიკული ტრფიალის გრძნობები აკავშირებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახთან აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელიც გრიგოლ ორბელიანის საყვარელი დის ეფემიას შვილი იყო. ამას გარდა, რომანტიკოსები ერთმანეთს დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობიან, როგორც ადამიანებს და როგორც პოეტებს.

ამ პოეტთა თაობის აზროვნებაზე ორმა დიდმა ისტორიულმა თარიღმა მოახდინა გადამწყვეტი გავლენა: 1801 წელმა, როცა, რუსეთის იმპერატორის მანიფესტით, საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო, და 1832 წელმა, როცა ქართველი პატრიოტული თავადაზნაურობის და ინტელიგენციის შეთქმულება გამომჟღავნდა და დამარცხდა.

ჩვენი რომანტიკოსების დამოკიდებულება პირველი ამბისადმი თითქმის ერთნაირია: ძველი საქართველო მათს აზროვნებაში წარმოდგენილია, როგორც იდეალური სამეფო, რომელიც ნამდვილ ნეტართა კუნძულად იქცეოდა, თუ ის ველური და სისხლისმსმელი მტრებით არ ყოფილიყო გარსშემორტყმული. იქ ყოველი ბიწიერება მოსპობილია და ყოველი სათნოებაა გამეფებული; მეფეები კაცთმოყვარენი და ბრძენნი არიან, მხედარნი ყოვლად უებრონი და მამაცნი, ხოლო მანდილოსანნი ყვავილებივით სურნელოვანნი და ნაზნი. უკანასკნელნი ამ ქვეყნად მიმოდიან ტანის ოდნავი მიმორხევით, წელზე მათ ცისარტყელები არტყიათ; როცა ისინი ტბის ან მდინარის ჭავლში იცქირებიან, მთვარე თავს დაჩაგრულად გრძნობს და იღრუბლება. ასე აქვს წარმოდგენილი ძველი საქართველო როგორც „გოგჩის ტბის“ ავტორს, ისე „სადღეგრძელოს“, „სული ობოლისა“ და „ბედი ქართლისას“ ავტორებსაც.

მაგრამ მათი პატრიოტიზმი მარტო ისტორიული წარსულის იდეალიზაციაზე როდია დაყრდნობილი. სამშობლოს სიყვარულს ისინი ძალიან მძაფრად გრძნობენ, ძალიან კონკრეტულად. ამ გრძნობას ურყევი ბიოლოგიური საფუძველი აქვს. მათ თავიანთი სამშობლოს ჰავა სხვანაირად შეზავებულად მიაჩნიათ, თავიანთი სამშობლოს ზეცა განსაკუთრებით ლურჯად, თავიანთი სამშობლოს მდელოები განსაკუთრებით ამწვანებულად. მათს პატრიოტულ გრძნობას პირველყოფილი ინსტინქტების სიცხოველე აქვს შენარჩუნებული. „ოჰ, ეს ტაბახმელის ჰაერი! – წერს ერთ კერძო წერილში ოთხმოცი წლის ბებერი სატირი გრიგოლ ორბელიანი, – მისი სუფთა გამაგრილებელი, გამაცოცხლებელი ნაკადი ჩვენამდე პირდაპირ მოჰქრის ყაზბეგის მყინვარებიდან, და ჩვენც ხარბად ვეწაფებით მას“.

მაგრამ თუ ქართველი რომანტიკოსების პატრიოტული გრძნობა მტკიცე და ორგანულია, იგივე არ ითქმის მათ ნაციონალურ პროგრამასა და მათ პოლიტიკურ მოღვაწეობაზე: აქ მათ – ყველას მერყეობა და გაორება ეტყობა. სანამ საქმე ეხება სამშობლოს სიყვარულს, მისი ისტორიული წარსულის დაფასებას, მისი ბუნების მშვენიერების შეგრძნებას, რომანტიკოს პოეტთა შორის ერთსულოვნება სუფევს, მაგრამ როცა მათ თვალწინ საქართველოს მომავალი პოლიტიკური განვითარების საკითხი დგება, მათი გზები ითიშება, მათ შორის ინდივიდუალური განსხვავება იჩენს თავს.

ჩვენ და ტექსტი

1. რა არის ამ პუბლიცისტური წერილის მთავარი სათქმელი? მოკლედ ჩამოაყალიბეთ, რა არის ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურება?
2. რამ შეუწყო ხელი რომანტიზმის ჩამოყალიბებას დასავლეთში? ჩვენში?
3. რას მოელოდნენ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციისაგან და რა მიიღეს?
4. რომანტიზმის ერთ-ერთი უდიდესი დამსახურება ისტორიზმის პრინციპის დამკვიდრებაა. რომანტიზმმა შექმნა და დაამკვიდრა „ცოცხალი წარსულის“ იდეა. მოძებნეთ ამ აზრის დამადასტურებელი ეპიზოდი გერონტი ქიქოძის ესეში;
5. როგორ ახასიათებს ქართველ რომანტიკოსთა ურთიერთობებს გერონტი ქიქოძე?
6. ტექსტის მიხედვით, რომელმა თარიღებმა იქონია გავლენა ქართული რომანტიზმის ჩამოყალიბებაზე?
7. ისაუბრეთ ქართველ რომანტიკოსთა სამშობლოსადმი დამოკიდებულების შესახებ; რას უწოდებს ავტორი წარსულის იდეალიზაციას და რას – ცოცხალ სურათებს? დაიმოწმეთ ტექსტი;
8. რას ამბობს ავტორი ქართველ რომანტიკოსთა გაორებაზე და მათ ეროვნულ პროგრამაზე?

დამატებითი რესურსები

გაეცანით კახა კაციტაძისა და კახა ჯამბურიას სტატიას სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 1. საუბრები ლიტერატურაზე, 1.3, „ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი“, გვ. 489).

ლიტერატურული ძიებანი

რომანტიზმის ზოგადი მახასიათებლების მიხედვით ამოვიცნობ რომანტიკული განწყობის ლექსს

გადაიკითხეთ სახელმძღვანელოს დანართი 4-ში მოცემული 4.1 „აღმოსავლურ-დასავლური“ დივანი.

გამოყავით ლექსები, რომლებშიც, თქვენი ვარაუდით, რომანტიკული განწყობილებებია გადმოცემული. დაასაბუთეთ, რატომ თვლით ამ ლექსს რომანტიკულად.

გადაამოწმეთ, არის თუ არა მისი ავტორი რომანტიკოსი.

დამატებითი რესურსები

ლექსებს შეგიძლიათ გაეცნოთ სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 4. „სხვადასხვა“, 4.1. „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“, გვ. 527).

დამოუკიდებელი კვლევა – ლიტერატურული მიმართულებების მიხედვით ტექსტზე დაკვირვების რუკა

ლექსებზე მუშაობისას გირჩევთ, ისარგებლოთ სტრატეგიით – შეადარე ლექსის ეპიზოდი მიმდინარეობის მახასიათებელს, ამისათვის გთავაზობთ შედარების რუკების ორ განსხვავებულ ვარიანტს.

თუ გსურთ, გაარკვიოთ, კონკრეტულ ლექსში რომანტიზმის რომელი ნიშნები გამოიკვეთა, სარგებლობთ დაკვირვების რუკა N1-ით:

ტექსტის დასახელება	**რომანტიზმის რომელ მახასიათებელს ხედავთ?**
პერსი ბიში შელი „ცვალებადობა“	წარმავალობისა და დროთა ცვალებადობის მსოფლიო სევდა; მარტოობის განცდა; ირეალურისაკენ სწრაფვა;

თუ გსურთ, გაარკვიოთ, ესა თუ ის მახასიათებლები რომელ ლექსებში ჩანს და ისაუბროთ, რამდენად მკვეთრადაა გამოხატული ეს მახასიათებელი ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებაში, გირჩევთ დაკვირვების რუკის მეორე ვარიანტს:

რომანტიზმის მახასიათებლები	**ტექსტის დასახელება**
წარმავალობისა და დროთა ცვალებადობის განცდა	შელი, „ცვალებადობა“; მიცკევიჩი „ბაღჩისარაი“ და ა. შ.
ინდივიდუალიზმი, საკუთარ განცდათა და გრძნობათა პრიმატი	გოეთე „მთვარისადმი“, შელი „მთვარე“ და ა. შ.
მარტოსულობის განცდა	
რეალური და ირეალური სამყაროს დაშვება, სწრაფვა ირეალურისაკენ	
მაკროკოსმოსისა და მიკროკოსმოსის ერთიანობა	

ერთი შეხედვით, თითქოს დაკვირვების რუკის ორივე ვარიანტი იდენტურია, მხოლოდ სვეტების თანამიმდევრობაა შეცვლილი, მაგრამ რეალურად ეს ორი განსხვავებული ინსტრუმენტია, რომლებსაც სხვადასხვა პირობით უნდა მიმართოთ.

ოსტატობის სკოლა

1. პირადი შთაბეჭდილების გადმოცემა

„აღმოსავლურ-დასავლური დივანი“ მცირე კოლაჟი, რომელიც საგანგებოდ თქვენთვის მომზადდა. დაწერეთ თქვენი შთაბეჭდილება მის შესახებ; ყურადღება გაამახვილეთ ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა:

- ✓ ლექსებში გამოხატული წარმავლობის სევდა;
- ✓ ბუნება და ადამიანი;
- ✓ დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი;
- ✓ სწრაფვა მარადიული სამყაროსკენ;

ნაშრომში გამოკვეთეთ:

1. დაკვირვების მიზანი ----------;
2. რა პრინციპით შეარჩიეთ დასაკვირვებელი მასალა ----------;
3. მოკლედ გადმოეცით დაკვირვების პროცესი, რას აქცევდით ყურადღებას, შეიმუშავეთ თუ არა სათანადო კრიტერიუმები? რა მონაცემებს „ეძებდით“ ლექსებში?
4. როგორ „ამოკრიბეთ“ და დაახარისხეთ სასურველი მასალა?
5. რა დასკვნებამდე მიხვედით დაკვირვების შედეგად?
6. რა მოგიტანათ ამგვარმა კვლევამ, რის გაკეთებას გაგიადვილებთ იგი სამომავლოდ?

წაკითხვამდე

ეპოქა და ავტორი

სამი ნაბიჯი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად

ამ პარაგრაფში ტრადიციას დავარღვევთ და პოეტის სამყაროში მოგზაურობას არ დავიწყებთ ბიოგრაფიული ბლოკით. ამჯერად მწერლის ბიოგრაფიულ ლიტერატურულ პორტრეტს თქვენ თავად შექმნით, მას შემდეგ, რაც სახელმძღვანელოში შემოთავაზებულ სამ ეტაპს გაივლით.

რომელია ეს ეტაპები?

1. სტუმრად პოეტთან, მოგზაურობა წინანდლის მამულებში;
2. სხვა მწერლის თვალით დანახული პოეტი (ილია ალექსანდრე ჭავჭავაძის შესახებ);
3. პოეტის შემოქმედებიდან აღებული შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისათვის.

თითოეული ნაბიჯი ალექსანდრე ჭავჭავაძის პიროვნულ და შემოქმედებით სამყაროსთან დაგაახლოვებთ.

I ნაბიჯი

სტუმრად პოეტთან, მოგზაურობა წინანდლის მამულებში



ბევრი თქვენგანი, ალბათ, რეალურადაც ყოფილა წინანდალში, პოეტის სახლ-მუზეუმში. დღეს გთავაზობთ ვირტუალურ გასეირნებას, თუმცა მხოლოდ გასეირნებას არა... თქვენ გევალებათ, მოგზაურობის დროს დააკვირდეთ ირგვლივ ყველაფერს, რაც დაგეხმარებათ ამ სახლის პატრონის გაცნობაში, მისი ხასიათის თავისებურებების გაგებაში.

მოკლედ, თქვენი ამოცანაა, შეაგროვოთ შტრიხები მწერლის ლიტერატურული პორტრეტისათვის.

რას უნდა მიაქციოთ ყურადღება ვირტუალური მოგზაურობის დროს?

- სახლ-კარს მთლიანობაში, როგორაა იგი მოწყობილი, რა უფრო მეტად იგრძნობა – აღმოსავლური თუ დასავლური კულტურის გავლენა, მაგ., რაზე მეტყველებს სასახლის ბაღის დაგეგმარება (სავარაუდოდ, საიდან იწვევდნენ მებაღეებს, პატრონის რომელ მისწრაფებებზე მიანიშნებს ეს)?
- სახლის პატრონის რა საქმიანობა აისახა მის ინტერიერში (მაგ., რომელი სოციალური ფენის წარმომადგენელია იგი, მისი სამსახური, შემოსავლის წყარო, გატაცებები და ა. შ.);
- იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს სასახლის ღვინის დიდი სარდაფები, წინანდლის მამულებში ოდესღაც არსებული ვაზის ზვრები, საქართველოში ევროპიდან ჩამოტანილი პირველი როიალი, ეტლი, ბილიარდი...

- ინტერიერში მოწყობილი ფოტოგამოფენის, ასევე ოთახების განლაგებისა და წყობის მიხედვით იმსჯელეთ ოჯახზე: ვინ იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძის ოჯახის წევრები, ხომ არ ჩანს მათი ინტერესები და ცხოვრების წესი? მათი მისწრაფებები და გატაცებები?

ვირტუალური მოგზაურობის დროს ყურადღებით მოუსმინეთ ავტორის ტექსტს. ამოკრიბეთ სხვადასხვა დეტალი, ჩაინიშნეთ მასალა, რომელიც მწერლის ლიტერატურული პორტრეტის შექმნაში დაგეხმარებათ;

რესურსები ვირტუალური მოგზაურობისათვის:

1. ვიდეორგოლი „მუზეუმის დღევანდელობა“.
https://9nes.short.gy/SFYXVA

2. ლიტერატურული პანორამა „ალექსანდრე ჭავჭავაძე“
https://9nes.short.gy/PeoBCw

3. ვიდეომასალა
https://9nes.short.gy/rt7S5c

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის „დათვალიერებისას“ გაკეთებული შენიშვნებისა და ჩანაწერების საფუძველზე შექმენით „შტრიხები მწერლის პორტრეტისთვის“.

II ნაბიჯი

სხვა მწერალი პოეტის შესახებ

როგორ ვიკითხოთ?

ილია ჭავჭავაძე ალექსანდრე ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ ერთ ლექსში თითქოს პოეტის მთელ შემოქმედებას აჯამებს.

გაეცანით ამ ლექსს და გააგრძელეთ „შტრიხების“ შეგროვება ალექსანდრე ჭავჭავაძის პორტრეტისათვის. დაფიქრდით, ამ ლექსის მიხედვით, რა თემატიკა შეიძლება გამოიკვეთოს ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში? რა განსაზღვრავს მის შემოქმედებას და როგორია პოეტის დამოკიდებულება ლექსში დასახელებული თემებისა და პრობლემების მიმართ?

მისი ლექსი შვებით, ლხენით
ხან მეჯლისში მოჰფრინდება,
გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს,
გამღერებს და ამღერდება;
ხან ღონდება ნაზ ქალსავით
უიმედო სიყვარულით,
ხან იფეთქებს ჭაბუკსავით
და განდევნის სევდას გულით;
ხან ბუჩქებში მიმალული
ჰზის მარტო, ვით იადონი,
შეჰყეფს სატრფოს გულსაკვდავად,
ტრფობის ისრით განაწონი;
ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს
უდაბნოში, ვითა მწირი,
შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყანისა,
ქვეყნისათვის ანატირი;
ხან დაჰყურებს ნაღვლიანად,
დაფიქრებით გოგჩის ტბასა
და ემდურის მწვავის მოთქმით
დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...

1860 წ.

ეს ლექსი ერთგვარი გზამკვლევია ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში. თუ კარგად ჩავუკვირდებით, ლექსშივე აღმოვაჩენთ:

1. რა არის მისი შემოქმედების ძირითადი თემები და მოტივები;
2. როგორია თავად ავტორის (ამ შემთხვევაში, ილიას) დამოკიდებულება ლექსში ჩამოთვლილი თემებისა და პრობლემებისადმი, როგორი ემოციური ფონი და განწყობა შეესაბამება ლექსში აღწერილ განსხვავებულ სიტუაციებს/მოტივებს?

3. და ბოლოს, ჩვენ თავად როგორი დამოკიდებულება უნდა გვქონდეს ან როგორი მიდგომა უნდა შევარჩიოთ ამ განსხვავებულ სიტუაციებში, ანუ „როგორ ვიკითხოთ“?

შეარჩიეთ მოცემულ სიტუაციაში ყველაზე ეფექტური კითხვის სტრატეგია.

ქვემოთ მოცემული ცხრილის მესამე სვეტში კითხვის სტრატეგიები არეულადაა მოცემული. შეუსაბამეთ კითხვის სტრატეგიები პირველ ორ სვეტში მოცემულ ლექსის თემატიკასა და მწერლის განწყობას.

№	**ლექსებში ასახულია... (ძირითადი თემატიკა)**	**მწერლის განწყობა... (მისი დამოკიდებულება ამ თემისადმი)**	**როგორ ვიკითხოთ? (ჩვენ მიერ შერჩეული კითხვის სტრატეგია)**
1	საზეიმო, სალხინო „მისი ლექსი შვებით, ლხენით ხან მეჯლისში მოჰფრინდება, გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს, გამღერებს და ამღერდება;	**1.** სალაღობო, ხალისიანი	**ა)** დაკვირვება ლექსის მსოფლმხედველობრივ ქარგაზე, ლირიკული გმირის მოაზრება ჰეროიკულ გმირთა ანალოგიით (რომანტიკულ-საგმირო ინტონაცია);
2	სატრფიალო ლირიკა ხან ბუჩქებში მიმალული ჰზის მარტო, ვით იადონი, შეჰყეფს სატრფოს გულსაკვდავად, ტრფობის ისრით განაწონი;	**2.** პესიმისტური, სევდიანი	**ბ)** დაკვირვება ლექსის მუსიკაზე (მოტივებსა და კეთილხმოვანებაზე), სიტუაციის გააზრება აღმოსავლური (სალხინო-საალაღობო) ლიტერატურული ტრადიციების ფონზე, რასაც ბუნებრივად ერწყმის ქართული ტრადიციული (სალხინო, სუფრული) მოტივები და თემატიკა;
3	იმედიანი, მხნე, სარაინდო ხან იფეთქებს ჭაბუკსავით და განდევნის სევდას გულით;	**3.** ოპტიმისტური, ენერგიული იმედიანი	**გ)** დაკვირვება ლექსის რომანტიკულ საწყისებზე, მსოფლმხედველობრივ ქარგაზე, ლექსის ლირიკული გმირის მოაზრება მარტოსული მოხეტიალე რაინდებისა და მაძიებელი პერსონაჟების (მწირი, პილიგრიმი და ა. შ.) ანალოგიით;
4	ჭეშმარიტების მაძიებელი, მარტოსული ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს უდაბნოში, ვითა მწირი;	**4.** რომანტიკული, მიღმიერი სამყაროს მაძიებელი, მარტოსული, შინაგანი ჭვრეტის, თვით სრულყოფის პროცესში;	**დ)** დაკვირვება ლექსის სტრუქტურასა და მუსიკაზე. აზრობრივი კავშირი აღმოსავლურ სატრფიალო მოტივებთან. სასურველია, მასალაზე დაკვირვება აღმოსავლური სამიჯნურო პოეზიის ანალოგიით;
5	რომანტიკული პატრიოტიზმი შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყანისა, ქვეყნისთვის ანატირი;	**5.** უიმედობა, გულგატეხილობა... (ბატონიშვილების ხაზის გაგრძელება)	**ე)** ლექსის ფილოსოფიურ-კონცეპტუალურ შინაარსზე დაკვირვება, მისი გააზრება მსოფლიო-რომანტიკული სევდის ჭრილში;
6	წუთისოფლის წარმავალობა... დროთა ცვალებადობა... ხან დაჰყურებს ნაღვლიანად, დაფიქრებით გოგჩის ტბასა	**6.** ფილოსოფიური (წარმავალობის სევდა)	**ვ)** ლექსების გააზრება ქართული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი „პატრიოტული რომანტიზმის“ პოზიციიდან.

დამატებითი რესურსები

თქვენი ვარაუდები გადაამოწმეთ სახელმძღვანელოს დანართში (5). სამახსოვრო, პასუხები; 5.4. როგორ ვიკითხოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები? (პასუხების სქემა)

შენიშვნა: ილია ჭავჭავაძის ლექსის გაცნობის შემდეგ, გაკეთებული შენიშვნებისა და ჩანაწერების საფუძველზე, შექმენით „დამატებითი შტრიხები მწერლის პორტრეტისათვის“ და მეორე სქემად გააკარით სადემონსტრაციო დაფაზე;

III ნაბიჯი

პოეტის შემოქმედებიდან აღებული შტრიხები ლიტერატურული პორტრეტისთვის.

ახლა ყურადღებით გაეცანით ალექსანდრე ჭავჭავაძის ქვემოთ მოცემულ ლექსებს და იმსჯელეთ, რომელი „შტრიხები“ გამოჩნდა უშუალოდ პოეტის ნაწარმოებებში?

ტექსტების სამყაროში

ხვალემ იზრუნოს ხვალისა

ამ ორი ტექსტიდან ერთის ავტორი ალექსანდრე ჭავჭავაძეა, მეორე კი ჭავჭავაძის ლექსის გვიანდელი გამოძახილი, მისი პოეტური ალუზიაა, რაც სათაურშივეა მინიშნებული და მისი ავტორი გალაკტიონ ტაბიძეა.

დააკვირდით მწერლის ენასა და სტილს, მხატვრულ-გამომსახველობით სისტემას, ასევე, ავტორის მსოფლმხედველობრივ პოზიციას და იმსჯელეთ, რომელი ლექსი ეკუთვნის გალაკტიონს და რომელი – ალექსანდრე ჭავჭავაძეს? რატომ ფიქრობთ ასე?

I

ღიმილმან კარი ლალისა
განაღო გამჭვირვალისა,
დღეს ესე მკმარის სიმდიდრედ,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ალვის ნაყოფი მრჩობლედი,
შევამცენ ჩემი დამბნედი,
დღეს ესეოდენ გავბედი,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

ნიავთ მობერვით შეძრულმან
სუნი მაყნოსა სუმბულმან,
დღეს ამით განიშვა გულმან,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.

II

ხვალემ იზრუნოს ხვალისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!

არც ვწუხვარ, არც მერიდება
მიმავალ-მომავალისა;
წყალმა წაიღოს „დიდება“,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა!

გულმა მიიღოს გულისა,
ხვალემ იზრუნოს ხვალისა.
ღვინომ მიიღოს ღვინისა,
წყალმა წაიღოს წყალისა!

ჩვენ და ტექსტი

თქვენ, ალბათ, უკვე გამოიცანით ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი და ამ ლექსის შორეული პოეტური ალუზია, მისი გამოხმაურება, გალაკტიონ ტაბიძის „ხვალემ იზრუნოს ხვალისა...“

1. რა არის ამ ლექსების მთავარი სათქმელი? თემატური თვალსაზრისით, რა განსხვავება იმალება ამ მსგავსების მიღმა?

2. ამ ლექსების რიტმულ-ინტონაციური აგებულება და შინაარსი იდენტურია, თუ მაინც არსებობს რაღაც სხვაობა?
3. რეფრენი ორივე ლექსისთვის საერთოა, თუმცა ერთი ავტორი მკაცრად იცავს რეფრენის განთავსების ადგილს, მეორე კი შედარებით თავისუფალი დამოკიდებულებით გამოირჩევა. როგორ გგონიათ, რატომ?
4. იმსჯელეთ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში გამოხატული განწყობა ლირიკული გმირის გულგრილობის გამომხატველია თუ ამსოფლიური სიმძიმეებისაგან წამიერი გაქცევის ცდა? პასუხი დაასაბუთეთ.
5. თქვენ უკვე იცნობთ წინა საუკუნის ლიტერატურულ მემკვიდრეობას. როგორ გგონიათ, რაზე მეტყველებს საუკუნის დასაწყისში ასე ფართოდ გავრცელებული სატრფიალო, სალხინო თემატიკა?
6. მოძებნეთ, რომელ ლექსშია აღმოსავლური ელემენტები და მხატვრული დეტალები. თქვენი აზრით, რაზე მიანიშნებს ისინი?
7. იმსჯელეთ გარითმვის ხერხებზე, რომელი სტრიქონებია გარითმული და რომელი გაურითმავი? რა კანონზომიერება შენიშნეთ? როგორაა გამოყოფილი სტროფის ბოლო სტრიქონი ლექსიდან გარითმვის სისტემის მეშვეობით? თქვენი აზრით, მეოთხე სტრიქონის ხაზგასმას მხოლოდ ფორმობრივი მნიშვნელობა აქვს თუ აზრობრივი დატვირთვაც გააჩნია? პასუხი დაასაბუთეთ.

პარალელები

ლუდი ედუღა, ბიჭებო, ვილის

ლუდი ედუღა, ბიჭებო, ვილის,
ელან და რობინ ვეწვიეთ ამფსონს,
სამი ჩვენებრი წურბელა ლხინის,
სკოტლენდის ცის ქვეშ,
თქვით, რომელს გახსოვთ.

არც მე ვარ მთვრალი, არც შენ ხარ მთვრალი,
მაგრამ ჩვენ ოდნავ გვიბრწყინავს თვალი,
მამალი ყივის,
ცისკარი ღვივის,
დამისხი, ძმაო, დღეის და ხვალის!

თარგმანი მურმან ლებანიძისა



რობერტ ბერნსი
(1759–1796)
შოტლანდიელი პოეტი და ლირიკოსი

1. რა მსგავსება-განსხვავებანი შეინიშნება ალექსანდრე ჭავჭავაძის ზემოთ მოყვანილ ლექსებსა და რობერტ ბერნსის ამ ლექსს შორის?

2. გადახედეთ დანართში მოცემულ „აღმოსავლურ-დასავლურ დივანს“, იმსჯელეთ, რა ადგილი უჭირავს სალხინო თემატიკას აღმოსავლურ და დასავლურ მოზაიკებში?

წაკითხვამდე

ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსების დიდი უმრავლესობა სატრფიალო-სალაღობო თემატიკას ეძღვნება. საინტერესოა, რომ რომანტიკული განწყობის ლექსები მის შემოქმედებაში მოულოდნელ და სასიამოვნო უმცირესობას შეადგენს. გაეცანით ამ ლექსებს და იმსჯელეთ მათში დასმულ მარადიულ კითხვებზე.

ტექსტების სამყაროში

ვისაც გსურთ

ვისაც გსურთ ჩემთა ამბავთა ცნობა,
მისმინეთ ჭირში ფლობილს[1];
მისმინეთ, ვით მაქვს ჭმუნვა და თმობა
ურვისგან[2] გულშეპყრობილს.

მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული,
მისთვის გლახ განწირული;
მაქვს მწუხარება ზედა-ზედ რთული,
მარად მეახლვის[3] წყლული.
ვისაც გსურთ და სხვა.

გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
გვყვან ნების წარმტაცველად;
ხვალ სხვანი მოვლენ მათს
გამომცვლელად,
გველივე ჰშთება[4] გველად.
ვისაც გსურთ და სხვა.

ლმობითა ვხედავ ყოვლთ წარმავალთა[5]
მოხუცთა, ვაჟთა, ქალთა.
გრძნობა რაიმე აღმივსებს თვალთა
და მადენს ცრემლთა ცხართა.
ვისაც გსურთ და სხვა.

კაცთ უბედობა, თუმცა სატირე[6], –
გარნა რად განსაკვირე, –
ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა[7] მზირე[8].
ვისაც გსურთ და სხვა.

---

[1] **ფლობილს** – ჩაფლულს.

[2] **ურვა** – ჭმუნვა, დარდი.

[3] **მეახლვის** – 1. მიახლდება; 2. მახლავს.

[4] **ჰშთება** – რჩება.

[5] **ლმობითა ვხედავ ყოვლთ წარმავალთა** – სიბრალულით, თანაგრძნობით ვუჭვრეტ ყველა მოკვდავს, წარმავალს.

[6] **სატირე** – სატირალია, სავალალოა.

[7] **ცვალებისა** – ცვალებადობის.

[8] **ცვალებისა** – ცვალებადობის.

ჩვენ და ტექსტი

როგორ გგონიათ, აქვს თუ არა ამ ლექსს (და, საერთოდ, ამგვარ ლექსებს) შინაარსი, აქ ხომ ამბავი არც იწყება, არც ვითარდება და არც მთავრდება. მთელი ლექსი ერთი გულწრფელი ჩივილია, ადამიანი წუხს და იტანჯება, ერთი შეხედვით, ესაა ლექსის მთელი შინაარსი.

დავაკვირდეთ, რა ქმნის ამ ტიპის ლექსებში სიუჟეტს, როგორ ვითარდება ლექსის კომპოზიციური ხაზი:

1. ვის მიმართავს ავტორი ლექსის დასაწყისში და რა ამბის მოყოლას ჰპირდება მათ პირველ სტროფში? როგორი შთაბეჭდილება გრჩებათ დასაწყისში – ავტორი პირადი ტკივილის გასაზიარებლად იწვევს მსმენელს, თუ უფრო დიდი პრობლემა გამხდარა მისი ყურადღების საგანი?
2. მხოლოდ პირველი სტროფის გათვალისწინებით, როგორ გესმით რეფრენის შინაარსი? როგორ გგონიათ, შესაძლებელია თუ არა, რეფრენის დანიშნულებაზე მხოლოდ ერთი სტროფის მაგალითით ვისაუბროთ? რატომ?
3. რეფრენში ავტორი მხოლოდ მათ მიმართავს, ვისაც ლირიკული გმირის ამბავი აინტერესებს თუ სხვებსაც? ვინ იგულისხმება ფრაზაში „ვისაც გსურთ და სხვა...“
4. მეორე სტროფში გმირის სულიერი ტკივილების მიზეზი კონკრეტდება. ეს არ ყოფილა ადამიანის სუბიექტური პრობლემა, რადგან იგი „სხვას“ შეეხება.

   „მას ვჭვრეტ პატიმრად, ვის მონებს გული“...

   გაიხსენეთ დატყვევებულ, დაპატიმრებულ სატრფოთა სახეები მსოფლიო ლიტერატურიდან და, მხოლოდ პირველი ორი სტროფის გათვალისწინებით, იმსჯელეთ, ვის შეიძლება გულისხმობდეს ავტორი „დატყვევებულ სატრფოში“?
5. როგორ გესმით სიტყვები:

   „გუშაგნი ბევრნი თვითოსა მცველად
   გვყვან ნების წარმტაცველად...“
6. იმსჯელეთ ლექსის ალეგორიებზე, ვინ არიან პატიმრები და ვინ – გუშაგები? მოიფიქრეთ, მხატვრული ლიტერატურიდან რომელ პერსონაჟებს გახსენებთ ეს ოპოზიციური წყვილი? გამოთქვით ვარაუდი და დაასაბუთეთ იგი.
7. როგორ გესმით გამოთქმა – „გველივე ჰშთება გველად“? რას უნდა გამოხატავდეს გველის ალეგორია?
8. მოძებნეთ ლექსში სტრიქონები, რომლებიც წარმავალობის რომანტიკულ განცდას გამოხატავს; რა უცნაურ იმედს აჩენს ეს – თავისთავად, არასასიამოვნო – განცდა?
9. დააკვირდით, რა გზას გადის ლირიკული გმირი პირადი ტკივილის გამოხატვიდან ზოგადსაკაცობრიო სევდამდე.

   შეგიძლიათ ისარგებლოთ ცხრილით:

რა ტიპის პრობლემაა გადმოცემული ლექსში	დაიმოწმეთ ტექსტი
მე (პირადი პრობლემა) მე და ჩემი სატრფო ლირიკული გმირის როგორც კერძო კაცის სევდა ემყარება იმას, რომ...	

მე და ჩემი ხალხი ლირიკული გმირი გამოხატავს ეროვნულ პრობლემატიკას, რადგან...	
მე და კაცობრიობა ლირიკული გმირი გამოხატავს ზოგადსაკაცობრიო სევდას, რადგან...	

10. მოძებნეთ ლექსში რიტორიკული მიმართვები და დააკვირდით, როგორ ფართოვდება „მსმენელთა“ არეალი.

11. პოეტი წერს:

ამა სოფლისა დიდი და მცირე
არს ცვალებისა მზირე.

რომელ ცვალებადობაზე საუბრობს ავტორი.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

ვაჰ, დრონი, დრონი
რადიომუზეუმი, კითხულობს ირაკლი უჩანეიშვილი
https://9nes.short.gy/o1Epmj

ტექსტების სამყაროში

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად

ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად,
წარილტვნენ, განჰქრნენ სიზმრებრივ
ჩქარად;
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

მოვშორდი მოყვასს, ძალს ცხოვრებისას,
არ გიკვირსთ, მხედავთ კვლავცა
სულმდგარად?
მე იგივე ვარ მარად და მარად!

გლახ ბედისაგან ესრეთ დასჯილი,
იმედოვნებას ვუწოდებ ფარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.

იგიცა მელტვის, მიბრალეთ ამით,
უსასოდ ყოფნას სჯობს ყოფნა მკვდარად...
მე იგივე ვარ მარად და მარად.

მე ერთმან ერთგზის ერთს ვუძღვენ თავი,
მასვე ვმონებდე მტკიცედ და მყარად –
მე იგივე ვარ მარად და მარად.

თუ მასცა ჩემებრ უცავს სიმტკიცე,
ვიბრალებ რაყიფს[1], შვრების მომცდარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად.

ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა?
საცა გინდ ვიყო, მასთან ვარ მარად,
მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ვსდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!

[1] **რაყიფი** – მეტოქე, მოცილე სიყვარულში.

ჩვენ და ტექსტი

1. დააკვირდით, რა ემოციური განწყობა გადმოიცემა სათაურით? რასთანაა დაკავშირებული ეს განწყობა – იმედთან თუ უიმედობასთან? სათაურის ინტონაცია მინორულია თუ მაჟორული?
2. ახლა ლექსის შესავალი წაიკითხეთ. იმსჯელეთ, რომელი სტრიქონები აგრძელებს სათაურის ინტონაციას და სად ჩნდება პირველი კონტრასტი? რა და რა უპირისპირდება ერთმანეთს ლექსის პირველსავე სტროფში?
3. ვინაა ლექსის ლირიკული გმირი და რა მდგომარეობაშია იგი? ლექსის მიხედვით, ვინაა ლირიკული გმირის სატრფო და რა მდგომარეობაშია ის? თქვენი აზრით, დატყვევებულ სატრფოთა სახეები რეალობას ასახავს თუ მხატვრული ალეგორიაა? მანამდე სად შეგხვდათ დატყვევებული სატრფოს სახე?
4. ერთმანეთის გვერდით ამოწერეთ სათაური და რეფრენი, დააკვირდით, რა განწყობას იწვევს ისინი. იმსჯელეთ რა დაპირისპირება იჩენს აქ თავს;
5. ახლა მთელ ლექსს დააკვირდით და ისაუბრეთ, ლექსის უმეტესი ნაწილი სათაურის განწყობებს ეთანხმება თუ რეფრენისას? წარმავალობის მინორულ ემოციურ მუხტს აგრძელებს თუ მარადიულობის მხნე, მაჟორულ განწყობილებას გამოხატავს? საერთოდაც, ლექსის მიხედვით, სად უნდა ვეძიოთ რეფრენის მტკიცე და ურყევი პოზიციის სათავე?
6. შეეცადეთ, ლექსის მიხედვით აღადგინოთ ლირიკული გმირის ცხოვრების გზის ეპიზოდები, რა უძღოდა წინ პატიმრობასა და მძიმე დროს? როგორი იყო ის მტკბარად ნაგები დრო? შეიძლება ამ დეტალში ჩანდეს რაიმე, რაც მწერლის ბიოგრაფიული შტრიხებისათვის გამოგვადგება?
7. ახლა ლექსის ფორმას დააკვირდით, ცალ-ცალკე ამოკრიბეთ იმედიანი და პესიმისტური, მინორული და მაჟორული სტრიქონები, დააკვირდით, გააანალიზეთ და შეაჯამეთ – რა არის ლექსში წარმმართველი – იმედიანი თუ სასოწარკვეთილი განწყობა?

ლიტერატურული ძიებანი

მცირე ლიტერატურული კვლევა

ა. რეფრენი

1. მოძებნეთ სტრიქონები, რომლებიც მეორდება ლექსებში. როგორც უკვე იცით, ასეთ სტრიქონებს რეფრენი ჰქვია. რა აზრია გამოხატული მათში? ახლა ლექსის მთავარ სათქმელს დააკვირდით. არის თუ არა აზრობრივი კავშირი ლექსის მთავარ სათქმელსა და რეფრენს შორის?
2. დააკვირდით, რეფრენი ლექსის საერთო რიტმიკის ნაწილია, თუ მისგან რაღაცით მაინც განირჩევა – განცალკევებულია, გამოყოფილია?

ლექსში, ძირითადად, დაცულია სტრიქონთა სიგრძე, თუმცა გვხვდება შემთხვევები, როდესაც ერთი სტრიქონის სიგრძე სხვათაგან განსხვავებულია. ასეთ შემთხვევაში ეს სტრიქონი მთლიანი რიტმიდან ამოვარდნილია და თვალშისაცემი, ამ ხერხს ლიტერატურაში **ასტროფიას** უწოდებენ.

დააკვირდით, რეფრენის გამოკვეთის მიზნით, ამ ხერხს ხომ არ მიმართავს ავტორი? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები ტექსტიდან.

შეაჯამეთ:

- რა არის რეფრენი;
- რა საშუალებებით გამოიკვეთება იგი და რა ადგილი უჭირავს მას ლექსის აზრობრივ და ფორმობრივ მთლიანობაში?

ბ. მარადიული ალეგორიები – დატყვევებული სატრფო, რაინდი, გუშაგი, გველი

დატყვევებული სატრფო ლიტერატურაში

(მსოფლიო და ქართული მწერლობის მაგალითზე)

- გაიხსენეთ სხვადასხვა ზღაპრის გმირი ქალები, რომლებსაც ტყვეობიდან დახსნა სჭირდებათ. ვის აკისრია მათი განთავისუფლების მისია? როგორია გარემო, სადაც ეს ქალები არიან დატყვევებული? ვინ და რა პირობებში ათავისუფლებს მათ? როგორაა ზღაპარში მოაზრებული სქემა – დატყვევებული ქალი და მისი განმათავისუფლებელი რაინდი?
- რა სახე მიიღო შუა საუკუნეებში ზღაპრების ამ მოდელმა? ვის ტყვეობაში იმყოფება ქალი და ვინ ათავისუფლებს მას? ყოველთვის არის თუ არა ქალის განმათავისუფლებელი მისი სატრფო? როგორი განვითარება პოვა ზღაპრის მოდელმა შუა საუკუნეებში?

იმსჯელეთ ქვემოთ მოცემული ორი ილუსტრაციისა და იმ ლიტერატურული ძეგლების მაგალითზე, რომლებსაც წინა წლებიდან იცნობთ.

ამ ილუსტრაციებიდან ერთი შეეხება, ქრისტიანული გადმოცემით, წმინდა გიორგის პირველ სასწაულს – ლასიის მეფის ასულის გამოხსნას გველეშაპის ტყვეობიდან, ხოლო მეორე – ირაკლი თოიძის ცნობილი ტილოა – „ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“.



XV საკუნის იტალიელი მხატვარი, პაოლო უჩელო

წმიდა გიორგის პირველი სასწაული – ლასიის მეფის ასულის გამოხსნა გველეშაპის ტყვეობიდან



ირაკლი თოიძე

„ნახეს მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა“

უპასუხეთ ილუსტრაციებთან დაკავშირებულ კითხვებს:

შუა საუკუნეების მხატვრის ტილოზე გველეშაპია გამოსახული, ირაკლი თოიძის ნახატზე კი მხოლოდ სატრფოს გათავისუფლების სცენას ვხედავთ. გაიხსენეთ, სიმბოლურად ვის განასახიერებს აქ ნახსენები მზე, მთვარე და გველი?

- დავუბრუნდეთ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურულ ტრადიციას. საუკუნის დასაწყისშივე დატყვევებული სატრფოს ალეგორია ახალ შინაარსს იძენს. გაიხსენეთ ამონარიდები ბატონიშვილების პოეზიიდან, აქ სამშობლოს ნათელს ჩრდილოეთის ღრუბელი ემუქრება, კიდევ ერთხელ გადახედეთ თეკლა, ქეთევან და თამარ ბატონიშვილების სტრიქონებს და იმსჯელეთ – რა შინაარსი შეიძინა ჩრდილოეთის ღრუბელმა, პატიმარმა, გუშაგმა და გველმა?

გუშაგნი მრავლად ჩემთვის მცველობენ,
სხვა და სხვა აზრით გველებრ
ჭრელობენ...

ქეთევან ბატონიშვილი

რად გიკვირს პატიმარს მწუხარებანი,
მცირე ხანს ლხინთა გამწარებანი.

თეკლა ბატონიშვილი

ბატონიშვილები, როგორც იცით, მართლაც გადასახლებულნი და დაპატიმრებულები იყვნენ, მაგრამ ამ ლექსებში თვალსაჩინოა ამ მარადიული ალეგორიების ახალი შინაარსი. იგი აშკარად საფუძველს უყრის ალეგორიის იმგვარ გაგებას, რომელსაც მერე აკაკი ამგვარად გააგრძელებს:

მაშ, რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო-გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

ამ საკითხზე გაეცანით ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებას:

„ალექსანდრე ჭავჭავაძე თავის ლექსებში საქართველოს გარკვეულად არ ახსენებს. ეს, რასაკვირველია, ცენზურის პირობებით აიხსნებოდა, მაგრამ დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ ხშირად ალ. ჭავჭავაძის „სატრფოს“ სახით საქართველო დაინახოთ. ასეთი გაპიროვნება ხომ შემდეგში დაკანონდა კიდეც, და ყველაზე მეტად აკაკი წერეთლის პოეზიაში. და თუ აკაკის სატრფო საქართველოა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სატრფო რატომ უნდა იქნას ნაგულისხმევი ყოველთვის სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით? და ვინ უნდა თქვას, რომ ღრმა პატრიოტული სევდის გამომხატველი არ არის მისი შემდეგი სიტყვები:

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარილტვნენ, განჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად“.

ან, რა პყრობილობაზეა ლაპარაკი, როდესაც პოეტი მკითხველს მიმართავს:

„ჰსაჯეთ: პყრობილმან უწყისა ტრფობა?“

კიდევ ერთხელ გადაავლეთ თვალი ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსს „ვისაც გსურთ“ და შეაჯამეთ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში რა ახალი მნიშვნელობა შეიძინა დატყვევებული სატრფოს, პატიმრის, გუშაგისა და გველის ალეგორიებმა?

3. აღმოსავლურ-დასავლური მოტივები

შეადარეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები სახელმძღვანელოს დანართში განთავსებულ აღმოსავლურ-დასავლური დივანის „აღმოსავლურ მოზაიკაში“ მოცემულ ლექსებს და იმსჯელეთ, რომელ ლექსებში შეინიშნება ამ ტექსტთან თემატური მსგავსება? სად ჩანს მსგავსი მხატვრული სახეები და სიმბოლოები? შეაჯამეთ, რით „ენათესავება“ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები აღმოსავლური ლირიკის ნიმუშებს? შემდეგ, იმავე პრინციპით, თვალი გადაავლეთ „დასავლურ“ მოზაიკას. რა შეგიძლიათ თქვათ ამ კუთხით?

ლექსის კვლევისას ისარგებლეთ შემდეგი ჩარჩო-სქემით:

- ✓ მწერლის ენაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ უფრო არქაული ფორმები შეინიშნება ლექსში ----------; შესაბამისად, ეს ლექსი უნდა ეკუთვნოდეს--------;
- ✓ მხატვრულ-გამომსახველობით სისტემაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ლექსის ავტორი ერთ შემთხვევაში იყენებს აღმოსავლური პოეზიისათვის დამახასიათებელ სახეებს, მეორეგან კი უფრო რიტმიკაზეა გადატანილი ყურადღება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ----------;
- ✓ თავდავიწყება, თრობა, ექსტაზი ერთგან აღმოსავლურ გახელებულ მიჯნურს გვიხატავს, რომელსაც საღამოს სიო უგრილებს შუბლს, მეორეგან კი, ლაზათიანი ლხინის შემდეგ, მამაპაპური ქართული უდარდელობაც გაიჟღერებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ...;
- ✓ საინტერესოა, ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ჩანს თუ არა ის თემები და მოტივები, რომლებიც დასავლურ მოზაიკაშია გადმოცემული, ამ მხრივ, აღსანიშნავია ----------.

ტექსტების სამყაროში

გოგჩა[1]

გოგჩა, ტბა ვრცელი, ხმოვანებით ზღვისა მბაძავი,
ოდესმე ზვირთთა აღქაფებით ჰღელავს მრისხანედ;
ზოგჯერ, ვით ბროლი გულ-უბრყვილო, წმინდა, უძრავი,
თვის შორის ჰხატავს ცისა ლაჟვარდს და მთათა მწვანეთ.

მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი,
საგლოვო ნაშთნი შენობათა კვლავ ეროვანთა,
სად ჰყვავებულან დიდებულად ქალაქნი ვრცელნი
და სად დღეს ვჰხედავთ ოდენ ბუთა და ნატამალთა[2].

ჭმუნვათა თვისთა მნახველთაცა აზიარებენ
უდაბურება, მჩუმარება, არა-რაობა.
თვალსა და გულსა კაცისასა სევდით ავსებენ,
და უნებლიეთ წარმოდგება ოხვრით ეს გრძნობა:

[1] **გოგჩის ტბა** – სევანის ტბა სომხეთში.

[2] **ნატამალი** – ნანგრევი.

63

აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი.
აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო,
აჰა, ჩვენისა მომავლისაც ნამდვილი ხატი;
მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!

ესე კამარა ძლივ საცნობო ყოფილ ტაძარად,
სად კვლავ[1] მეფენი მოწიწებით იდრეკდნენ მუხლთა,
სად ღვთის დიდება მორწმუნეთა ესმოდათ მტკბარად,
და ცისა მიმართ გრგვინვიდიან ხმანი ფსალმუნთა[2], –

დღეს ეს ნაქცევი, სახიერად მაჩრდილობელი,
ჰხედავს თვის ქვეშე დამჩოქველად ოდენ პირუტყვთა,
ზოგჯერ ნადირთა, ზოგჯერ მხეცთა, და ხან წარმვლელი
მუნ შეაფარებს საქონელთა, შორით ზიდულთა!

ეს გროვა ქვათა სახეშლილის ოთხკუთხედისა
ადგილ არს, სადა სავაჭრონი მდიდრად წყობილან;
სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,
პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან.

მაშინ მათ შორის ხშირ ყოფილა ქურუთა[3] მქონე,
არა-თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი.
აწ მტვრად აღგვილან იგი ძალი და იგი ღონე;
მათთა განთქმულთა შეძლებათა წარშლიან კვალნი!

მიხედე ამა ვრცელსა ვაკეს, ქვა-ყრილსა ბნელად,
კვლავ ასპარეზსა, სად ჰქონიათ ტაიჭთა სრბოლა,
ჩოგნით ტაცება ჭაბუკ-მხედართ გამოსაცდელად,
შუბთა ტრიალი, ჯირითთ ტყორცნა[4] და ისართ სროლა.

ერთგზის ესეცა ქვანი შავნი, დღეს დახავსილნი,
ურთიერთთანა კავშირობით ამაღლებულან;
მკუთვნელნი მათნი, ბედნიერნი და კმაყოფილნი,
ოდესმე მათში განცხრომილან და განშვებულან.

აქაცა მჯდარა ძალი მაღალს ტახტსა ამაყად,
წყალობათა და რისხვის ფრქვევით მმართველი ერთა;
აქაც უღრღნიათ შურსა, მტრობას გულები ხარბად;
ტრფიალნი აქაც შემსჭვალვიან კვლავ ერთმანერთთა.

რავდენთ ბანოვანთ შვენებანი, ახლად მშლილობნი,
ჭავლის სიწმინდეს მიუზიდავს ნაპირს ამ ტბისას;
ვარდნი, ზამბახნი და მიხაკნი, და გიშრის მწყობრნი
რავდენგზის ტურფად გარდუღია სარკესა წყლისას.

რავდენგზის მთვარეს, თავ-მომწონეს მათთან შთახედვით,
უგრძვნია თვისი ჩაგრულ-ყოფა და მოღრუბლვილა!
მაგრამ რა?!. დროსა მსრველის ცელით, ყოვლთა წარწყმედით,
ციურთა მჯობი მშვენებლობაც სხვათებრ მოსთვლილა!

---

[1] **კვლავ** – ადრე.

[2] **ფსალმუნი** – ბიბლიის, ძველი აღთქმის ნაწილი, რელიგიური საგალობლების კრებული.

[3] **ქურური** – სიმდიდრე.

[4] **ჯირითთ ტყორცნა** – შუბის სროლა.

ჩვენ და ტექსტი

1. რა ურთიერთსაპირისპირო სახეებით იხატება გოგჩის ტბა ლექსის პირველ სტროფში?
2. რასთან არის შედარებული შენობათა ნანგრევები? რა განწყობას ქმნის ეს სახე?
3. როგორ გესმით ფრაზა: „მხოლოდ აწმყოზე რას დაბმულხარ, ხედვავ ბრმობილო!?“
4. თქვენი აზრით, რატომ იწყებს ავტორი ნანგრევებად ქცეული ქალაქის პანორამის ჩვენებას ტაძრით?
5. რა დეტალებით არის გამძაფრებული ტაძრის დანგრევით გამოწვეული მძიმე განცდა?
6. როგორი განწყობით და ტონით ლაპარაკობს ავტორი ვაჭრებზე? განმარტეთ გამოთქმა: „არა თუ ვერცხლით, ნდობითაცა ყოვლად მდიდარნი“.
7. ვაჭართა საქმიანობის გარდა, კიდევ რის წარმოჩენით დაგვანახებს ავტორი, რომ დანგრეული ქალაქი სისხლსავსე ცივილიზებული ცხოვრებით ცხოვრობდა?
8. ძალაუფლების მქონეთა რა თვისებაა ხაზგასმული ამ ძალაუფლების გაქრობის წარმოჩენისას?
9. რატომ არის, რომ პოეტი სიყვარულის გაქრობასთან ერთად, შურის, მტრობის გაქრობასაც არ აფასებს პოზიტიურად?
10. რის მეტაფორებია ყვავილთა სახეები? გამოთქვით ვარაუდები და ახსენით, რატომ ფიქრობთ ასე.
11. რის გაქრობას განიცდის პოეტი ყველაზე მტკივნეულად? რა არის მისთვის ყველაზე ფასეული?
12. როგორია ლექსის განმსჭვალავი განწყობილება? რა არის ლექსის ძირითადი აზრი?
13. მოძებნეთ ეპითეტები ლექსში, ახსენით, რატომ თვლით თითოეულ მათგანს ეპითეტად და არა უბრალო განსაზღვრებად? ისაუბრეთ, რა ფუნქცია აქვს ამ ლექსში ეპითეტებს?

პარალელები

ადამ მიცკევიჩი

ბაღჩისარაი

უქმია, მაგრამ დიდებული წინანდებურად,
ეგ სავანენი – მიჯნურთა და დიდების ბუდე;
ყმადნაფიცებს რომ იურვებდა – მაღალი ზღუდე
დაამხო დრომ და უსურვაზის ჩრდილმა შებურა.
აქ დავიწყებას გაუშლია ფრთები მეფურად,
ითვლის ჟამთაგან დაქცეული სიცოცხლის წუთებს,
და სუროს ფოთლით შემოსილი სვეტები მრუდე
და ნანგრევები მწუხარებით გარინდებულან.
მხოლოდ ნატიფი შადრევანი – ყველას მაგივრად
მარგალიტებად გაბნეული ცრემლებით ნანობს
და ეფინება ამ უდაბნოს ყრუ დაძახილად:
ჰოი, სადა ხართ, ტრფიალო და დიდების ძალო,
თქვენ გემეუფათ, დამშრალიყო ჟამთა სვლით წყარო,
ვაგლახ! ის კვლავ დის, ხოლო თქვენი კვალი აღგვილა.

თარგმნა თამაზ ჩხენკელმა



ადამ მიცკევიჩი (1798 – 1855) – პოლონელი პოეტი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე

ჩვენ და ტექსტი

1. იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი ტექსტში გარდასული ყოფის დიდებული სურათები და რით ემსგავსება ასახვის ეს პრინციპი ალექსანდრე ჭავჭავაძისეულ ხედვას;
2. როგორაა ლექსში წარმოჩენილი წარმავალობა, დროთა ცვალებადობა და როგორაა იგივე ასახული ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში?
3. ადამიანის არსებობის კვალიც კი აღარაფერს ატყვია, ამ ფონზე, რა არის მარადიული, შეუცვლელი?
4. რისი სიმბოლოა ნანგრევი, რას გამოხატავს იგი?
5. რისი სიმბოლოა უსურვაზი?

გამოძახილი

შოთა ჩანტლაძე

გამოძახილი

აქ ერთ დროს რეკავდნენ ზარები თამამი
და თითქოს დიდებას ამბობდნენ ღმერთების,
აქ ერთ დროს ილოცდნენ წმინდანი მამანი
და ბოლოს დატოვეს მონასტრის კედლები.

და ბოლოს დატოვეს მონასტრის არენი –
სიკვდილის ჟამმა თუ დარეკა,
ქარსა და ქვიშაზედ უმიზნოდ ნარენი,
ქარმა და ქვიშამვე წალეკა.

დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი
დაინგრა კარები აღსავლის,
დადუმდნენ ზარები და დუმილს უმატეს
და ხმა არ ისმოდა არსაით.

წავიდა წვიმა და მოვიდნენ არები,
წვიმები, ქარები მეასედ,
სციოდა მარიამს და დედის მკლავებში
სციოდა პატარა იესოს.



შოთა ჩანტლაძე
1928–1968
პოეტი

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ აღწერს ავტორი გარდასულ დროთა ავბედით კვალს ძველ ტაძარზე. რა ემოციურ განწყობას ქმნის ეს სურათი?
2. „დაინგრა მონასტრის ზეცა და გუმბათი,“ იმსჯელეთ, რა ემოციური დატვირთვა ენიჭება ამ ფრაზაში „ზეცის“ შემოტანას:

3. რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში:

„ქარსა და ქვიშაზედ უმიზნოდ ნარენი,
ქარმა და ქვიშამვე წალეკა.“

4. რა ემოციურ განწყობას ქმნის ლექსის ფინალი:

„სციოდა მარიამს და დედის მკლავებში
სციოდა პატარა იესოს.“

ჩანს თუ არა ამ სურათში თანამედროვე ადამიანი? რაზე მეტყველებს ფრესკაზე გამოსახულთა მარტოობა და სიცივე?

5. რით ეხმიანება შოთა ჩანტლაძის ლექსი „გოგჩას“?

ლიტერატურული ძიებანი

1. დამოუკიდებელი კვლევა – ნანგრევების ესთეტიკა

რომანტიკულ ხელოვნებას რომ წარსულისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება ახასიათებს, ეს ყველასათვის ცნობილია. ამ მხრივ, რომანტიკოსებმა მთელი ესთეტიკური ნაკადი შექმნეს ლიტერატურასა და მხატვრობაში.

მხატვრები თავიანთ შემოქმედებაში ასახავდნენ წარსულის დიდებულების იავარქმნილ ნაშთებს. ნანგრევების ფონზე დანახული დღევანდელობა რომანტიკოს მხატვართა ერთ-ერთი საყვარელი თემა იყო, ხოლო ნანგრევებზე შემოხვეული სურო (უსურვაზი) – წარსულისა და დღევანდელობის თანაარსებობის ტრაგიკული ხატი. ძველი დიდებულება ქრება და მის ადგილს უსურვაზი იკავებს...

ამგვარი შეხედულებანი „ნანგრევთა ესთეტიკის“ სახელითაა ცნობილი.

გაეცანით ქვემოთ მოცემულ საკვლევ მასალას და იმსჯელეთ, რას ნიშნავს „ნანგრევებისა და სუროს ესთეტიკა“; როგორაა ეს შეხედულება წარმოჩენილი ამ ნაწყვეტებში:



ვახუშტი კოტეტიშვილი
1935-2008
ლიტერატურათმცოდნე, კრიტიკოსი, ფოლკლორისტი, ირანისტი, მთარგმნელი

ვახუშტი კოტეტიშვილი თავის „აღმოსავლურ-დასავლურ დივანში“ წერდა: „ამგვარი კრებულების გამოცემა სწორედ რუსთაველის ქვეყანაშია მოსალოდნელი და ბუნებრივი, ვინაიდან საქართველოს კულტურა ოდითგანვე უაღრესად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა პართენონის სუროზე შირაზის ვარდის დასამყნობად“.

- დაფიქრდით, რას გულისხმობს ავტორი პართენონის სუროში? შირაზის ვარდში? რატომ გაჩნდა ამ წინადადებაში პართენონის გვერდით სურო?

რენესანსის ადამიანები ძველბერძნული ნანგრევების წყალობით ცდილობდნენ, წარმოედგინათ, თუ როგორი იყო იმჟამინდელ ქმნილებათა თავდაპირველი სახე, შემდეგ ამ სახის აღდგენა სცადეს, XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ნანგრევი, ულმობელი დროის მიერ დაჩნეული კვალით, ფრაგმენტულობით, მასზე ამოსული ველური მცენარეებით, ბზარებითა და ხავსით „დაფასდა“.



უმბერტო ეკო
(1932 – 2016)
იტალიელი ფილოსოფოსი და მწერალი



გერონტი ქიქოძე
1888 – 1960
მწერალი, ლიტერატურათმცოდნე

ძველი საქართველო მათს აზროვნებაში წარმოდგენილია, როგორც იდეალური სამეფო, რომელიც ნამდვილ ნეტართა კუნძულად იქცეოდა, თუ ის ველური და სისხლისმსმელი მტრებით არ ყოფილიყო გარსშემორტყმული. იქ ყოველი ბიწიერება მოსპობილია და ყოველი სათნოებაა გამეფებული; მეფეები კაცთმოყვარენი და ბრძენნი არიან, მხედარნი ყოვლად უებრონი და მამაცნი, ხოლო მანდილოსანნი ყვავილებივით სურნელოვანნი და ნაზნი.

2. კვლევა – პარალელები

ლიტერატურული პარალელების შედარებისას ხშირად იყენებენ ცხრილებს, დიაგრამებს და სხვ. ეს საშუალებას გვაძლევს, ერთმანეთის გვერდით განვალაგოთ კონკრეტული მასალა, რაც მათ შედარებით ანალიზს აადვილებს.

გთავაზობთ, ჩაატაროთ მცირე კვლევა ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩასა“ და სახელმძღვანელოში შემოთავაზებული მისი პარალელის, ასევე, რუბრიკაში „გამოძახილი“ მოცემული მასალის საფუძველზე (იმუშავეთ რვეულში).

ტექსტები / შესადარებელი საკითხები	„გოგჩა“ ალექსანდრე ჭავჭავაძე	„ბაღჩისარაი“ ადამ მიცკევიჩი	„აქ ერთ დროს“ შოთა ჩანტლაძე
ტექსტების მთავარი სათქმელი (თემა და იდეა)			
ავტორთა მსოფლმხედველობრივი თანხვედრა და განსხვავებანი (რომანტიზმის ის მახასიათებლები, რომლებიც შესადარებელ ტექსტებში ჩანს)			
ტექსტების კომპოზიცია (აგებულება)			
მსგავსი თემები და მოტივები (მაგ., წარმავალობისადმი დამოკიდებულება)			
მსგავსი თემები და მოტივები (მაგ., დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი)			
მსგავსი თემები და მოტივები (მაგ., ნანგრევთა ესთეტიკის რომანტიკული განცდა).			

პარალელური/ მსგავსი მხატვრული სახეები (მაგ., მარადიული ალეგორიები, ერთნაირი სიმბოლოები და ა. შ.)	
ეპოქათა სხვადასხვაობა და ერთი თემის განსხვავებული ასახვა ლიტერატურაში („გამოძახილის“ ალუზიები, შორეული კავშირები ტექსტთან)	

ოსტატობის სკოლა

ჩატარებული კვლევის შედეგები წარმოადგინეთ ანალიტიკური ესე „გარდასულ ნანგრევებს მიღმა დანახული სამყარო სამი ტექსტის მაგალითზე “ (ეპოქათა გადაძახილი) სახით.

ფანტაზიის გაკვეთილები

„ოსტატობის სკოლაში“ შემოთავაზებული ესეს ნაცვლად შეგიძლიათ, შეასრულოთ ალტერნატიული დავალება: ჩანახატი „გოგჩის ტბის ნაამბობი“.

რომანტიკული გაგებით, ბუნება ხომ მაკროკოსმოსია და სრულ ჰარმონიაშია ადამიანთან. წარმოიდგინეთ, პოეტი კი არ წერს გოგჩაზე, თავად გოგჩის ტბა გვიამბობს უცნაურ კაცზე, რომელსაც ერთგვარი ახირება ჰქონდა, მის ნაპირებზე დიდხანს დახეტიალობდა, უყვარდა განმარტოება (რომანტიკოსთა ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი), ბუნების სურათებით ტკბობა (რომანტიკოსთა კიდევ ერთი თავისებურება), ისტორიული ძეგლების ნანგრევების დათვალიერება (რომანტიკოსთა კიდევ ერთი თავისებურება), და ა. შ. ერთი სიტყვით, სანამ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურულ პორტრეტს შემოგვთავაზებდეთ, მანამდე გაიაზრეთ, როგორ დაინახავდნენ მას თავისი თანამედროვენი (რომელთა კრებითი სახე იქნება გოგჩა) და გადმოეცით. შეეცადეთ, დახატოთ რომანტიკოსი ავტორის სახე.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

დამოუკიდებელი მუშაობა სასწავლო პლატფორმებზე – კონკრეტულ მასალასთან დაკავშირებული ქვიზები.

გსურთ, შეამოწმოთ საკუთარი თავი, რამდენად კარგად გაიგეთ ნაწარმოები? ამაში დაგეხმარებათ ქვიზები, რომლებიც ინტერნეტრესურსებში უკვე მრავლად მოიპოვება. არსებობს ბევრი სასწავლო დანიშნულების ინტერნეტპლატფორმა, რომლებზეც საინტერესო და სახალისო დავალებებს აღმოაჩენთ.

გთავაზობთ, შეამოწმოთ, როგორ გაიგეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსი „გოგჩა“:

https://9nes.short.gy/dWYlfX

- დაამუშავეთ ტექსტი ზეპირმეტყველების გაკვეთილზე, გაიარეთ რეპეტიცია დეკლამაციაში, ჩაწერეთ ლექსის რამდენიმე ვერსია და შეარჩიეთ მათგან საუკეთესო ვარიანტი;
- მოძებნეთ ვიდეოკოლაჟისათვის საჭირო გაფორმება. გახსოვდეთ, ვიზუალური მასალა უნდა გვეხმარებოდეს ტექსტის აღქმაში, ის არ უნდა იყოს უფუნქციო;
- მოიძიეთ სათანადო მუსიკალური ფონი და დაადეთ ტექსტს. შეეცადეთ, მუსიკაც ლიტერატურული მასალის შესაბამისი იყოს.
- იზრუნეთ ნახატის, ხმისა და ავტორის ტექსტის ჰარმონიულ ურთიერთგადასვლებზე.

წაკითხვამდე

თქვენ უკვე შეისწავლეთ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედების ნაწილი, სავარაუდოდ, ლიტერატურული პორტრეტის შესაქმნელად გარკვეული მასალა დაგიგროვდებოდათ.

მწერლის შემოქმედების შესწავლისას ჩვენს წარმოდგენაში თავისთავად იქმნება მისი ინდივიდუალური სახე, მისი პორტრეტი. სხვა ადამიანი, ალბათ, სხვაგვარად ხედავს ამ კონკრეტულ პიროვნებას.

რა აისახება ლიტერატურულ პორტრეტში? – ობიექტური მოვლენებისა და ფაქტების ჩვენეული ინტერპრეტაცია. ლიტერატურულ პორტრეტში ავტორის (ამ შემთხვევაში, თქვენი) ინდივიდუალური დამოკიდებულებებიც უნდა აისახოს. ამდენად, თქვენ მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტები სრულიად განსხვავებული იქნება.

გაეცანით ორ ლიტერატურულ პორტრეტს, ისაუბრეთ:

- რა არის მათ შორის საერთო და როგორ აისახა ამ საერთო ნაწილში მწერლის ცხოვრება და შემოქმედება;
- რით განსხვავდება ეს პორტრეტები და როგორ აისახა ამ განსხვავებაში საგნებისა და მოვლენების ავტორისეული (ამ შემთხვევაში – ზაზა აბზიანიძისა და გერონტი ქიქოძის) ხედვა, მათი პირადი ინტერპრეტაცია.

ტექსტების სამყაროში

ბიოგრაფიის ნაცვლად

ქართველ რომანტიკოსთა ლიტერატურული პორტრეტები



ზაზა აბზიანიძე
ლიტერატურათმცოდნე

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე პეტერბურგში დაიბადა, ეკატერინე მეორის ნათლული იყო, განათლებაც კერძო პანსიონში რუსულ-ფრანგულ-გერმანული მიიღო, მაგრამ როგორც კი 1804 წელს ხმა დაირხა – მთიულეთში ფარნაოზ ბატონიშვილი აჯანყდაო, ჭაბუკური რომანტიზმით ატაცებული, სახლიდან გაიპარა და მეამბოხეებს შეუერთდა.



გარსევან ჭავჭავაძე

გარსევანი ვაჟიშვილს ტამბოვში გაჰყვა და ახლა იქიდან ევედრებოდა ხელმწიფე-იმპერატორს: „მაჩუქეთ შვილი, აპატიეთ დანაშაული, სიყმაწილით მოუვიდაო“. რამდენიმე თვის შემდეგ ალექსანდრე პირველმა შეიწყნარა თავისი ჭაბუკი სეხნია და პაჟთა კორპუსში განაწესა.

იწყება ალექსანდრე ჭავჭავაძის ზეაღმავალი სამხედრო კარიერა: ამ კარიერას ბრწყინვალე ფურცლებიც აქვს და არც თუ სასახელოც, სიტყვაზე – მონაწილეობა კახეთის გლეხთა აჯანყების ჩახშობაში 1812 წელს.

...

ოცდარვა წლის ალექსანდრე ჭავჭავაძე პარიზიდან დაბრუნდა ოქროს ხმლით, ზედ ამოტვიფრული წარწერით „გულადობისათვის“ და რამდენიმე საბრძოლო ორდენით.

1832 წლის შეთქმულებაზე იონა მეუნარგია წერდა: „ხუთმეტიოდე ყმაწვილმა



ალექსანდრე ჭავჭავაძე

კაცმა განიზრახა, მოეკლათ საქართველოს მთავარმართებელი და ყველა ცალკე ნაწილების მოთავე რუსები, ჩაეგდოთ ხელში არსენალი, ხაზინა, მეტეხი, და ბოლოს, საქართველო თავისუფალ სახელმწიფოდ გამოეცხადებინათ“.

საგამოძიებო კომისიას ალექსანდრე ჭავჭავაძე არწმუნებდა, რომ არც კი გაეგონა „იგი ჯოჯოხეთური განხრახვა“. სიყმაწილეში ფრანგულიდან თარგმნილი ტრაქტატი – „ახლოით განჩხრეკილი კაცი“ – თავისი განწყობით „არაკეთილსაიმედო“ კი იყო, მაგრამ სამხილად მაინც ვერ გამოდგებოდა. „მამულის გამოხსნის შეთქმაში“, – საკმარისი აღმოჩნდა, რათა პოეტი კვლავ ტამბოვში აღმოჩენილიყო. ამ დროისათვის იგი ორმოცდაექვსი წლისა გახლდათ, ჭაღარაშერეული, ცხოვრების სიტკბონაგემი...

რუსეთის ტახტზე ამჯერად ნიკოლოზ პირველი იჯდა, შერისხული პოეტი შეიწყნარა და პეტერბურგს იხმო. სწორედ იქ, პეტერბურგში, წარუდგენია ალექსანდრე ჭავჭავაძეს იმპერატორისათვის „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი“, რომელშიც იგი შეუფარავად ლაპარაკობდა სასოწარკვეთილებამდე მისულ თვისტომებზე და ოდესღაც აყვავებულ, აწ კი გაჩანაგებულ ქვეყანაზე: „ახლანდელი საქართველოს მნახველი ძნელად თუ დაიჯერებს, რომ ეს ქვეყანა ოდესღაც ჰყვაოდა. მისი წინანდელი მოსახლეობის მოწამედ მხოლოდ უტყვი ნანგრევები-ღა დარჩენილა...“. ადვილი შესამჩნევია, როგორ ეხმიანება ეს სიტყვები ალექსანდრე ჭავჭავაძის ლირიკის აღიარებული ნიმუშის, „გოგჩის“ განწყობილებას:

„აჰა, პალატთა დიდებულთა ნგრეული ნაშთი,

აჰა, ქალაქთა ჩინებულთა ხვედრი უცილო“...

„გოგჩა“ 1841 წლითაა დათარიღებული. ამ დროისათვის ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე გენერალ-ლეიტენანტია, ამიერკავკასიის მხარის მთავარმმართველობის საბჭოს წევრი და საქართველოში ერთი უწარჩინებულესი ოჯახის მამა.

ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალები

ჭავჭავაძეებს სამი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდათ: ამათგან ორს – ნინოს და ეკატერინეს – შესტრფოდნენ, ემეგობრებოდნენ, ლექსებს უძღვნიდნენ. მეგობრობა მეგობრობად, მაგრამ არჩევანი ჭავჭავაძიანთ ქალებმა სხვებზე შეაჩერეს.

ჭავჭავაძეთა ვაჟიშვილი დავითი მამამისს მხოლოდ დარდიმანდობით დაემსგავსა და მას უპირატესად მაშინ იხსენებენ, როდესაც წინანდლიდან ლეკების მიერ მისი ოჯახის გატაცებაზე ჰყვებიან. მაგრამ, ეს ამბავი რომ მოხდა, ალექსანდრე ჭავჭავაძე უკვე ცოცხალი აღარ იყო.

წინანდლის გახსენებაზე: ალექსანდრე ჭავჭავაძე ევროპეიზმს მხოლოდ ლიტერატურაში როდი ნერგავდა – თავისი სასახლეცა და ბაღიც წინანდალში მან სწორედ ევროპულ ყაიდაზე მოაწყო და ქართველ



სალომე ჭავჭავაძე



ალექსანდრე ჭავჭავაძის ვაჟი-დავითი

სტუმრებს ჩვენში პირველად ჩამოტანილი ფორტეპიანოთი და ბილიარდით აცვიფრებდა, ხოლო რუსებსა და ევროპიელებს – აღმოსავლური სტუმართმოყვარეობითა და მასშტაბით....

ალექსანდრე ჭავჭავაძე შეუდარებელი მასპინძელი იყო: გულუხვობითაც, სიტყვა-პასუხითაც, იერითაც.

ქუჩას, რომელზეც ალექსანდრე ჭავჭავაძე თბილისში ცხოვრობდა, მისი სახელი პოეტის სიცოცხლეშივე დაერქვა: ეს არც იყო გასაკვირი. პატივი მიაგეს ბრწყინვალე თავადს, მამაც მხედართმთავარსა და უმაღლესი რანგის მოხელეს. მაგრამ ალექსანდრე ჭავჭავაძის სიცოცხლეში მისი სახელი სწორედ სახელმწიფო და სამხედრო კარიერასთან იყო დაკავშირებული და არა იმ „მელექსეობასთან“.

1846 წელს პირველად დასტამბული მისი ლექსები – დავით ჩუბინაშვილს რომ შეეტანა თავის „ქრესტომატიაში“ და პეტერბურგიდან გამოეგზავნა, უკვე გარდაცვლილი ავტორის სასთუმალთან იდო.

ეგებ, სიმბოლურიც იყო, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძე სწორედ სამსახურებრივმა რიტუალმა იმსხვერპლა.

ჩვენს მეხსიერებას სკოლის მერხიდან შემორჩა აღწერა იმისა, თუ როგორ დაუფრთხა ცხენი მეფისნაცვალ ვორონცოვთან ვიზიტით მიმავალ ალექსანდრე ჭავჭავაძეს, როგორ წამოიწია იგი მეეტლის მისაშველებლად და თვალის დახამახამებაში როგორ დაანარცხა ქვაფენილს ეტლის ბორბალში მოყოლილმა გენერლის შინელმა ეს უმარცხებელი მხედარი.

თბილისი გლოვამ მოიცვა: ოჯახი ეთხოვებოდა თავის ბურჯსა და იმედს, ლიტერატორთა ახალთაობა – ქართული რომანტიზმის მესაძირკვლეს, თანამებრძოლნი – მამაც და საზრისიან მხედართმთავარს...

კახეთის პირველი მემამულე შუამთაში დაკრძალეს – საგვარეულო ძვალთშესალაგში, რომლის ხავსიანი სიღრმიდან ექოდ მოისმოდა ოდესღაც ნათქვამი: „გვძლივა სოფელმან ხელ-მყოფელმან, აწ გვაგო შური...“

ზაზა აბზიანიძე



ალექსანდრე ჭავჭავაძე

(ნაწყვეტები ლიტერატურული პორტრეტიდან)

(რომანტიკოსები და მათი „ნაციონალური პროგრამა“)

(ალექსანდრე ჭავჭავაძის ბავშვობა)

ყველაზე ნაკლებ რადიკალურად განწყობილი ეროვნულ საკითხებში ქართველ რომანტიკოსებს შორის ალექსანდრე ჭავჭავაძეა. ეს ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ის ყველაზე ხნიერია მათ შორის; მისი მამა, ერეკლე მეფის დიპლომატიური წარმომადგენელია რომანოვების სამეფო კარზე... თვით ალექსანდრე ჭავჭავაძე ეკატერინე მეორემ ამოიყვანა ემბაზიდან; ნათლიის მიერ ნაბოძები მაყვლისფერი ხავერდის ბალიში ჭავჭავაძის ოჯახში დიდხანს ინახებოდა თურმე, როგორც უძვირფასესი რელიქვია. ეპოქის საუკეთესო მემატიანეებს, დავით ბატონიშვილს და მის ძმებს, 1811 წლის თარიღს ქვეშ აღნიშნული აქვთ: „აპრილის ხუთს მოკვდა ჭავჭავაძე გარსევან, ეშყაბაში, წყალმანკით პეტერბურხს, გამცემი მეფისა და მამულისა თვისისა ორგული“.

ეროტიკულმა ლირიკამ ალექსანდრე ჭავჭავაძის შემოქმედებაში ძალიან თავისებური ხასიათი მიიღო.

როცა ალკეოსი ან ანაკრეონტი მშვენიერ ქალებს, ვაჟებსა ან ღვინოს უმღერიან, ისინი რეალურ საგნებს და რეალურ განცდებზე ლაპარაკობენ.

პირიქით, როცა ჰაფიზი და მისი მიმდევარი პოეტი ღვინოს და სატრფოს უმღერის, ის ლაპარაკობს წარმოდგენილ გრძნობებზე, იმიტომ რომ, მეთოთხმეტე და მეთხუთმეტე საუკუნის ირანელი ღვინოზე უფრო შარბათს სვამს და ჰარამხანაში დამწყვდეულ ქალს შორიდან ეალერსება. ჰაფიზის და მისი ეპიგონების შემოქმედებაში ღვინოს, სატრფოს, სიყვარულს ალეგორიული, პირობითი ან მისტიკური მნიშვნელობა აქვს. სატრფიალო და სანადიმო ლექსების წერა ერთგვარი მოდის, ერთგვარი მანერის საქმეა.

როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე ღვინოს უმღერის, ის ნამდვილ კახურ ღვინოს გულისხმობს. როცა ალექსანდრე ჭავჭავაძე სატრფოს უმღერის, ის ნამდვილ ქართველ ქალს გულისხმობს, რომელსაც ჰარამხანის შეხუთული ჰაერი არ უსუნთქავს.

ამას ზედ ერთვის ირანელი პოეტების მიერ შეუბრალებლად გაცვეთილი ალეგორიებისა და მეტაფორების ხმარება. ბულბული შეყვარებული ვაჟია, ვარდი მისი სატრფო.

თუ გვინდა, გავიგოთ ის დიდი აღტაცება, რომელსაც ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები მის თანამედროვეებს შორის იწვევდა, მისი ეპოქა უნდა წარმოვიდგინოთ. იქ, ცხელი ზაფხულის საღამოს, სამხრეთის ცის ქვეშ ან ვაზის ფოთლებით დაბურულ ფანჩატურში, სუფრაზე, რომელზედაც ყველა „სანათური დაქრობილია ან ოდნავ ბჟუტავს, გარდა ვნებით აგზნებული თვალებისა, მუსიკალური ინსტრუმენტის აკომპანიმენტით შესრულებული მისი სიმღერები უკვე არც მშრალად გვეჩვენება და არც მონოტონურად. ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ეს არის ნამდვილი პრინცი აშუღთა შორის, შუა საუკუნეების ტრუბადური ან მენესტრელი, სადღაც წინანდალში დარჩენილი, რომელსაც იქ ცოტათი, ასე ექვსიოდე საუკუნე, დაგვიანებია.....

გერონტი ქიქოძე



ჩვენ და ტექსტი

ლიტერატურული პორტრეტების გათვალისწინებით, შექმენით მწერლის მოკლე ბიოგრაფია (ამ ტექსტში თავი შეიკავეთ შეფასებებისა და საკუთარი ინტერპრეტაციებისაგან), ისაუბრეთ, ფაქტებისა და მოვლენების რა ორიგინალური გააზრება, როგორი ინტერპრეტაციები შემოგვთავაზეს ლიტერატურული პორტრეტის ავტორებმა? გამოიყენოთ სქემა:

ფაქტი, მოვლენა	ლიტერატურული პორტრეტის ავტორისეული ინტერპრეტაცია

1. როგორია ლიტერატურულ პორტრეტებში დახატული რეალობა? როგორ გადმოსცემენ ასეთი ავტორები ეპოქის თავისებურებებს, რაში ჰგავს და რით განსხვავდება მათ მიერ ლიტერატურულ პორტრეტებში გაცოცხლებული ეპოქა;
2. როგორია ლიტერატურულ პორტრეტებში დახატული გარსევან ჭავჭავაძე? რაში ემთხვევა პორტრეტებში შექმნილი სურათი თქვენს წარმოდგენაში არსებულ პოეტის მამისა და იმდროინდელი მოღვაწის სახეს?
3. როგორია ლიტერატურულ პორტრეტში დახატული ალექსანდრე ჭავჭავაძე? ემთხვევა თუ არა იგი თქვენ წარმოდგენაში არსებულ პოეტის პიროვნულ და შემოქმედებით პორტრეტს?
4. თქვენ აქამდე აგროვებდით შტრიხებს ალექსანდრე ჭავჭავაძის ლიტერატურული პორტრეტისათვის, მათგან რომელი „შენიშნეს“ და „გამოიყენეს“ ესეთა ავტორებმა? ემთხვევა თუ არა თქვენი შეხედულებანი ამ შტრიხების ინტერპრეტირებისას;
5. ერთმა მკვლევარმა, ქართულ რომანტიზმზე საუბრისას, განაცხადა – ქართულ რომანტიზმს ქმნიან გენერალი პოეტები და პოეტთა გენერალიო... ამ უკანასკნელში ნიკოლოზ ბარათაშვილს გულისხმობდა. იმსჯელეთ, რამდენად წინააღმდეგობრივადაა გადმოცემული ესეებში პოეტისა და გენერლის ცხოვრების გზა, რამდენად არის წარმოჩენილი მთელი თაობის ტრაგიკული გაორება; თქვენ ეთანხმებით ესეების ავტორთა შეფასებას?
6. გადმოეცით, რით გაამდიდრა „ლიტერატურულმა პორტრეტებმა“ თქვენი შეხედულებანი ამ პოეტზე?

ოსტატობის სკოლა

შექმენით პოეტის ლიტერატურული პორტრეტი – „ჩემი ალექსანდრე ჭავჭავაძე“. გახსოვდეთ, ლიტერატურული პორტრეტი არ არის ბიოგრაფია, ამიტომაც შეეცადეთ, თქვენს ნაშრომებში გადმოსცეთ პოეტის ცხოვრებისეული ფაქტებისა და მოვლენების თქვენეული ხედვა, მისი შემოქმედების თქვენეული ინტერპრეტაცია. ამისათვის მოიშველიეთ მისი შემოქმედებაც.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

1. ალტერნატიული დავალება – ალექსანდრე ჭავჭავაძის სატელევიზიო პორტრეტი

- **თამაზ ტყემალაძის** საავტორო გადაცემა „სათავეებთან“.
  https://9nes.short.gy/3tgrsb

§5 გაორებული თაობის ტრაგედია
პოეტი გენერალი გრიგოლ ორბელიანი

წაკითხვამდე

ფიქრები სათაურის შესახებ

თითქოს პარაგრაფის სათაური გამეორდა. დაახლოებით ეს პრობლემა გამოიკვეთა წინა პარაგრაფის სათაურშიც.

ეს იმიტომ, რომ თაობას ერთი ავტორი არ ქმნის. გაორება ერთი რომელიმე ავტორის პრობლემა არ ყოფილა. იგი მთელი თაობის ტრაგედია იყო.

გაეცანით გამონათქვამებს, რომლებიც გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფებს ეკუთვნით, ამოკრიბეთ ამ მასალიდან შტრიხები პოეტის ლიტერატურული პორტრეტისთვის და გამოთქვით ვარაუდი მისი პიროვნული თავისებურებების შესახებ.

- ერეკლე მეფის შვილთაშვილი, ძველი არისტოკრატიული ოჯახის წარმომადგენელი; ქალაქის დაბალ სოციალურ ფენებთან დაახლოებული პირი, მათი შემწე და მფარველი;
- იმპერიულ ასპარეზზე ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პირი, შამილთან მებრძოლი, წარმატებული ქართველი, იმპერიის გენერალი და, ფაქტობრივად, კავკასიის მთავარმართებელი;
- სიტყვის დიდოსტატი, ქართული ენის თავგამოდებული გულშემატკივარი და დამცველი;
- ბრწყინვალე განათლების მქონე, მუდამ სიახლეების მაძიებელი მწერალი, რომელმაც ცხოვრების გზაზე რამდენჯერმე შეიცვალა სტილი და მიმართულება, მას თანაბარი სიძლიერით გამოუდიოდა ქალაქური, აშუღურ კილოზე სასიმღერო მუხამბაზებიც, სალაღობო ლათაიებიც, პოლემიკური შინაარსის სხარტულები, პოლიტიკური პამფლეტებიცა და, ცხოვრების საზრისზე ჩაფიქრებული, ფილოსოფიური შინაარსის რომანტიკული ლექსებიც;
- უამრავი ნაცნობ-მეგობრის, დიდი სანათესაოს პატრონი მარტოკაცი, წარუმატებელი მიჯნური, უოჯახოდ დარჩენილი მარტოსული, რომანტიკოსი;
- ადამიანი, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა სამშობლო და სხვა ქვეყანას კი ემსახურებოდა; უბრალოდ, სხვა ქვეყანას კი არა, მისი სამშობლოს დამპყრობელს, მისი დიდი პაპის ტახტისა და ქვეყნის სახელმწიფოებრიობის მიმტაცებელს;
- სამაგიეროდ, ებრძოდა შამილს, რადგან სწამდა, რომ ამით თავის ქვეყანას აძლიერებდა... სჯეროდა, რომ ამით პასუხს აძლევდა ყაჩაღურ თავდასხმებზე, ქართველი ხალხის აწიოკებასა და გატაცებებზე... პასუხს აძლევდა მისი დიდი პაპის, ერეკლე მეორის, სიბერის გამამწარებლებს... თავისი ქვეყნის ძველ მტრებს... ამავე დროს, შამილის ღირსეული მეტოქე, მოწინააღმდეგის ვაჟკაცობის დამნახავი და დამფასებელი... ხალხი და ეთნოსები არაფერ შუაში იყო, დრო იყო ასეთი...
- უამრავი გაჭირვებულის პატრონსა და შემწეს ბრალს სდებენ, რომ ბარათაშვილს სათანადოდ ვერ უპატრონა; ამას საყვედურობდა კიტა აბაშიძეც...

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

ალტერნატიული დავალება

სურვილის შემთხვევაში, გაეცანით ქვემოთ მითითებულ დამატებით ელექტრონულ რესურსებს და მათზე დაყრდნობით შექმენით გრიგოლ ორბელიანის ბიოგრაფიული ესკიზი.

1. აკა მორჩილაძე, სერია „დაკარგული წიგნები“, იონა მეუნარგია – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, სერია I.

(აქ მოისმენთ გრიგოლ ორბელიანის სამხედრო სამსახურზე, შამილთან ბრძოლაზე, წინანდლის მამულებში შამილის ხალხის თავდასხმასა და ალექსანდრე ჭავჭავაძისა და გრიგოლ ორბელიანის ოჯახის წევრების გატაცებაზე, ტყვეთა გათავისუფლებაზე).

https://9nes.short.gy/sg6y0F

2. აკა მორჩილაძე, „დაკარგული წიგნები“, იონა მეუნარგია – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, სერია III.

https://9nes.short.gy/i3pB0K

3. აკა მორჩილაძე, „დაკარგული წიგნები“ იონა მეუნარგია – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, სერია IV.

https://9nes.short.gy/48uRHF

4. აკა მორჩილაძე, „დაკარგული წიგნები“, იონა მეუნარგია – „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, სერია VIII.

https://9nes.short.gy/O9i4l9

5. ლიტერატურული პანორამა – გადაცემაში მონაწილეობს ლიტერატურათმცოდნე, მწერალი, კრიტიკოსი გურამ ბენაშვილი. აქ დიალოგის ფორმატში იხატება პოეტის ლიტერატურული პორტრეტი.

https://9nes.short.gy/Fog8Gg

ტექსტების სამყაროში

გაეცანით გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურულ პორტრეტს. იმსჯელეთ, რაში თანხვდება თქვენი და მკვლევრების თვალთახედვა და რის შესახებ გაქვთ განსხვავებული შეხედულებანი.

ქართველ რომანტიკოსთა შორის ყველაზე კოლორიტული ფიგურა შეიძლება გრიგოლ ორბელიანი იყოს. ესაა ვაჟკაცურად თავდაჭერილი ტემპერამენტის ადამიანი, ერთნაირად ძლიერი როგორც სიყვარულში, ისე სიძულვილში. ის რომანტიკოსია თავის პატრიოტულ განცდებში, პოლიტიკურ იდეალებსა და პოეტურ შემოქმედებაში, მაგრამ მის პრაქტიკულ-ადმინისტრაციულ და სამხედრო მოღვაწეობაში სრულიად არაფერია რომანტიკული.

გრიგოლ ორბელიანი სწორედ მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნის საზღვარზე დაიბადა. მას ყველაზე მეტად ეტყობა ის გაორება, რომელიც მთელი მისი პოეტური თაობისათვის დამახასიათებელია. სხვა რომანტიკოსების მსგავსად, მანაც საუცხოო ძველი ქართული, ტრადიციული შინაური აღზრდა მიიღო დედის შემწეობით; ეს აღზრდა, უწინარეს ყოვლისა, ბავშვის სოციალური ინსტინქტების განვითარებასთან ერთად, ნებისყოფის და ხასიათის მტკიცედ

გამოჭედვას გულისხმობდა. უმთავრესად, ამ სწორი აღზრდით აიხსნება, რომ მან მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში შეინარჩუნა ზნეობრივი ვალდებულების მტკიცე შეგნება თავისი ოჯახისა, საზოგადოებისა, სამშობლოს წინაშე; მაგრამ მან განვლო რუსული საშუალო სკოლისა და საარტილერიო სასწავლებლის კურსიც, შეითვისა ევროპულ-რუსული კულტურა და ბოლომდე რომანოვთა რუსეთის იმპერიალიზმის ერთგული მებრძოლი დარჩა. დაღისტნის დაპყრობაში მან მეტი სამხედრო ნიჭი გამოიჩინა, ხოლო მის მართვაში მეტი ტაქტი, ვიდრე რუსი გენერლებისა და გუბერნატორების დიდმა უმრავლესობამ. ის ოცნებობდა, რომ, როცა იქნებოდა, გამოეთხოვებოდა სატვირთო ზანდუკებს, დაღისტნის კლდეებს, ჩაჩნეთის[1] ტყეებს და სპილოებზე ამხედრებული ჯარით, „ვისრამიანის“ გმირების მსგავსად, ინდოეთის დასაპყრობად წავიდოდა.

მთიელთა ომებში და დაღისტნის მმართველობაში გრიგოლ ორბელიანმა დაამტკიცა, რომ ის ღირსეული მოწინააღმდეგე იყო შამილისა[2]...

რუსეთში ყოფნამ, რომელიც თავდაპირველად ნებაყოფლობითი იყო, ანუ უკეთ ვთქვათ, სამსახურის ვალდებულებით გამოწვეული, ხოლო შემდეგ – იძულებითი, როგორც სასჯელი მისი პოლიტიკური გატაცებისათვის რუსის დეკაბრისტებისა[3] და 1832 წლის შეთქმულთა იდეებით, კიდევ უფრო გაამძაფრა გრიგოლ ორბელიანის პატრიოტული შეგნება. თავის ცნობილ ლექსში – „იარალის“ მან ისეთივე ვნებიანი და კონკრეტული ენით გამოთქვა უცხოეთში გადახვეწილი ქართველი პატრიოტის სევდა, როგორც მასზე ადრე – დავით გურამიშვილმა. სამშობლოს ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედია გერმანიაში გადასახლებულმა ფრანგმა მწერალმა შამისომ[4] შეადარა იმ ადამიანის განცდას, რომელმაც დაკარგა თითქოს რაღაც არამატერიალური, მაგრამ არსებითი, სახელდობრ, თავისი საკუთარი ჩრდილი. გრიგოლ ორბელიანისთვის ემიგრაცია ნიშნავს მადის გამაღვიძებელი, ყნოსვის დამატკბობელი ჯეირნის მწვადის, ღვინით სავსე აზარფეშის, მწვანილითა და მოთალით აჭრელებული სუფრის, მცხუნვარე მზისა და გამაგრილებელი ნიავის, ბოლოს, გმირულ ისტორიულ მოგონებებთან დაკავშირებული ადგილების დაკარგვას და, სამაგიეროდ, კვასისა, ყინვისა და უგარის[5] მიღებას.

ძნელია მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც ასეთი მატერიალისტური ენით გამოეხატოს სამშობლოს სიყვარული. მაგრამ გრიგოლ ორბელიანი, თავისი მსოფლმხედველობით, მატერიალისტი არ იყო. მას აქვს თბილი რელიგიური გრძნობა, რომელსაც მოკლებულია ეპიკურელი[6] ალექსანდრე ჭავჭავაძე და სკეპტიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილიც.

წოდებათა და სქესთა ურთიერთობის დარგში და გვაროვნული თუ ოჯახური მორალის საკითხში გრიგოლ ორბელიანის შეხედულებები ღრმად კონსერვატიულია. არც ერთ ქართველ რომანტიკოსს ისეთი გამახვილებული წოდებრივი გრძნობა არ ჰქონია, როგორიც გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა. მას აშფოთებს, რომ გაუთხოვარი ქართველი ქალები ყავახანებში შედიან ახალგაზრდა ვაჟებთან ერთად; მას ეშინია, ვაითუ, ჩემი საყვარელი ძმისწული ახალი ფრანგული ათეისტური ფილოსოფიისა

---

[1] **ჩაჩნეთი** – იგივეა, რაც ჩეჩნეთი.

[2] **შამილი (1797–1871)** – სათავეში ედგა კავკასიელ მთიელთა ბრძოლას რუსეთის წინააღმდეგ.

[3] **დეკაბრისტები** – ასე შეერქვა რუსი თავადაზნაურობის იმ ნაწილს, რომელიც 1825 წლის დეკემბერში შეეცადა, შეეცვალა რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წესწყობილება. მათი მცდელობა მარცხით დამთავრდა.

[4] **შამისო (1781–1838)** – წარმოშობით ფრანგი, გერმანელი მწერალი.

[5] **უგარი** – (რუს.) მხუთრი; ხუთვა.

[6] **ეპიკურეიზმი** – ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს (ძვ. წ. 341–270 წწ.) მოძღვრება. მოგვიანებით ეპიკურეს მოძღვრება დამახინჯდა და, ჩვეულებრივ, ეპიკურეიზმი ესმოდათ, როგორც ხორციელი ინსტინქტების დაკმაყოფილება და განცხრომით ცხოვრება.

და პარიზის გამრყვნელი და მომხიბლავი ცხოვრების გავლენას დაემორჩილოსო.

თავის ერთ წერილში, მეგობარი ქალისადმი მიმართულში, სამოცდათხუთმეტი წლის ორბელიანი გვიხატავს დროსტარების სცენას ძველ მხიარულ თბილისში: მთვარიან საღამოს ორთაჭალის ბაღებში, მტკვრის პირას, თავს იყრიან არისტოკრატი ყმაწვილი კაცები, რომელთაგანაც ყველაზე ახალგაზრდა სამოცი წლის მაინც იქნება: სუფრაზე სხდებიან ზურნით, ჭიანურითა და ლაზათიანი მომღერლებით. ამ დროს შუა მტკვარში ჩნდება ნავი მთელი დასტით, რომელსაც „კუნძუას ძმა, ყასაბი ადმირალობს“. იქაც სუფრა იშლება და თაფლის სანთლები ინთება. იმართება ალავერდიახშიოღლი ბაღში მოქეიფეებსა და ნავში მოქეიფეებს შორის. ცხელ-ცხელი მწვადების გამოსატანად ნავიდან ნაპირზე ტიტლიკანა მოცურავეები გამოდიან. ნაშუაღამევს ლხინი წყდება და გაჩირაღდნებული ნავი ნელ-ნელა მისცურავს მეტეხის ხიდისაკენ.

გრიგოლ ორბელიანის ზოგიერთი ოთხსტრიქონიანი და ორსტრიქონიანი ლექსი თითქოს ომარ ხაიამის[1] პესიმიზმითაა გამსჭვალული, ხოლო მთავარი აკორდი, რომელიც ამ აქტიური და მრავალმხრივი პოეტის ცხოვრებას ამთავრებს, ღრმად ტრაგიკულია:

დავბერდი, ბედს ვერ მოვესწარ,
დაემხო ჩემი სამშობლო,
გულს მიკლავს უიმედობა,
საფლავს ჩავდივარ სიმწარით.

გერონტი ქიქოძე

ბიოგრაფიული ქრონიკები

გრიგოლ ორბელიანი დაიბადა თბილისში **1804** წლის 14 ოქტომბერს.

პოეტის დედა ხორეშან ანდრონიკაშვილი ქართლ-კახეთის მეფის ერეკლე II-ის შვილიშვილი იყო.

მამა – დიმიტრი (ზურაბ) ორბელიანი (1766-1827) სამხედრო მოსამსახურე იყო, მოგვიანებით – თბილისის საბაჟოს ზედამხედველი, ბოლოს კი, უზენაეს სასამართლოში მუშაობდა სახალხო მსაჯულად.

მათ ოთხი შვილი ჰყავდათ. სამი ვაჟი – გრიგოლი, ზაქარია, ილია და ერთი ქალიშვილი – ეფემია (ნიკოლოზ ბარათაშვილის დედა).

მართალია, გრიგოლი თავიდან ანჩისხატის სამრევლო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი სწავლა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში გააგრძელა, მაგრამ იგი ყრმობიდანვე სამხედრო კარიერისთვის ემზადებოდა. კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლა არ დაუსრულებია. იგი ახლად გახსნილ საარტილერიო სასწავლებელში შევიდა.

1826-1829 წლებში ქართველი პოეტი დიდი სიმამაცითა და შემართებით იბრძვის რუსეთ-ირანისა და რუსეთ-ოსმალეთის ომებში.

ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის გრიგოლ ორბელიანი ბევრჯერ დააჯილდოვეს.

1831 წელს გრიგოლ ორბელიანი სამსახურის გამო საქართველოს ტოვებს და ნოვგოროდში გადადის. ამ დროს საქართველოში **1832** წლის შეთქმულება მარცხდება.

1833 წელს ნოვგოროდში მყოფ ქართველ პოეტს აპატიმრებენ 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით და სასწრაფოდ თბილისში აგზავნიან. ავლაბრის ციხეში გრიგოლ ორბელიანმა სამი თვე გაატარა. სასამართლომ ვერ შეძლო მისთვის ბრალის დამტკიცება და იგი გაათავისუფლეს.

---

[1] **ომარ ხაიამი (დაახლ. 1047–1123)** – სპარსელი პოეტი და მათემატიკოსი.

გრიგოლ ორბელიანს **1837** წლამდე აეკრძალა სამშობლოში ცხოვრება. ქართველი პოეტი ბალტიისპირეთში, ვილნიუსის გუბერნიაში, გაამწესეს.

1841 წელს გრიგოლ ორბელიანი, პოლკოვნიკ არღუთინსკისთან ერთად, სასტიკად უსწორდება გურიის გლეხთა აჯანყებას.

1842 წლიდან **1858** წლამდე გრიგოლ ორბელიანი დაღესტანში მოღვაწეობდა, როგორც სამხედრო პირი. მან თავისი წვლილი შეიტანა ჩეჩნეთ-დაღესტნის იმამის[1] – შამილის დამარცხებაში.

1871 წელს რუსეთის იმპერიამ სათანადოდ დააფასა გრიგოლ ორბელიანის ორმოცდაათწლიანი სამხედრო მოღვაწეობა, იგი იმპერიის ყველაზე საპატიო, წმ. ანდრია პირველწოდებულის ორდენით დააჯილდოვა, რომელიც პოეტს თავად იმპერატორმა ალექსანდრე II-მ გადასცა.

სიცოცხლის ბოლო წლებში პოეტი თბილისში ცხოვრობდა. წერდა, მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე.

1883 წლის 21 მარტს გრიგოლ ორბელიანი გარდაიცვალა. იგი თბილისში, ქაშუეთის ეკლესიაშია დაკრძალული.

წაკითხვამდე

1. გამოთქვით ვარაუდი, როგორი შეხედულება ექნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკითხებზე:

- რუსეთის იმპერიის მაღალჩინოსანს, იმპერიის ძლიერებისთვის მებრძოლ სამხედრო პირს?
- ერეკლე მეფის შვილთაშვილს, ბატონიშვილთა უახლოეს ნათესავს, ქართული არისტოკრატიის წარმომადგენელსა და ქართველ პოეტს?

გაეცანით ტექსტს და თქვენი ვარაუდები შეადარეთ პოეტის პოზიციას.

ჰე, ივერიავ!

ჰე, ივერიავ! ვიდრე იყო ქედმოდრეკილი,
ვიდრემდის სხვათა ყვედრებითა გფარვიდეს ძალი,
რად არა გახსოვს ძეთა შენთა ხრმალთა კრიალი,
ძლევათა მათგან, როს დიდებით იყავ მოსილი.
წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის არღა მდინარებს,
თავისუფლება განქრა ჩვენთვის, რაღა გვახარებს!
შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას,
მოყვრულად გვმტერობს, გვტაცებს ყოველს, გვიქმს ალერსობას...
ესე ნაყოფი აქვს მარადის ცუდსა მონებას.
ბედო! ნუ გძინავს, განიღვიძე, ისმენდ ვაებას!

ცხოვარს ვემსგავსეთ, რომელსაცა მწყემსი არ უვის,
ვითარცა მგლისა, ეგრეთ მშიერ კაცის ეშინის,
ვინცა განაგდებს საღმრთოს ვალსა და გზის პატივის,
დასასრულ მაინც საშინელად ესრეთ წარხდების.

[1] **იმამი** – წინ მდგომი. მუსლიმთა სულიერი წინამძღოლი. მუსლიმური სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც უპყრია საერო და სასულიერო ხელისუფლება.

ჩვენ და ტექსტი

1. რა დამოკიდებულებას გამოხატავს პოეტი საქართველოს სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შესახებ?
2. როგორ ახასიათებს იგი დამპყრობელ ქვეყანას?
3. შეადარეთ ერთმანეთს ლექსში დახატული წარსული ყოფა და პოეტის თანამედროვეობა; როგორ უპირისპირდება ლექსში ერთმანეთს წარსული და აწმყო? რა იყო მანამდე და როგორია პოეტის თანამედროვეობა?
4. თქვენი აზრით, რას უწოდებს ავტორი „ცუდ მონებას“ და რა არის მისი შედეგი?
5. რას ადარებს პოეტი სახელმწიფოებრიობადაკარგულ ქართველ ერს?
6. თქვენი აზრით, რას გულისხმობს პოეტი „საღმრთო ვალში“ და ვის აქვს პატივი საღვთო გზაზე სიარულისა;
7. რა არის ამ ლექსის მთავარი თემა და იდეა, რის თქმა სურს ამ ლექსში პოეტს?
8. იმსჯელეთ ლექსის აგებულებაზე, კომპოზიციაზე. ტექსტი რიტორიკული შეკითხვით იწყება, როგორ ვითარდება შემდგომ? რა კომპოზიციური საშუალებებით ახერხებს ავტორი საკუთარი აზრის მკითხველამდე მიტანას?
9. ჩანს თუ არა ლექსში რაიმე იმედი? რაზე მეტყველებს ეს?

წაკითხვამდე

ლექსს, რომელსაც ახლა გაეცნობით, ჰქვია „იარალის“. ლექსის ადრესატი, იარალი შანშიაშვილი, დავით ბატონიშვილის ცნობით, ყოფილა „შემაქცევარი, მომღერალი, მეჭიანურე და მეთარე მთელი ქართველობისა მოსკოვ-პეტერბურღში“. ის ფარნაოზ ბატონიშვილს გაჰყოლია მოსკოვში და მის კარზე ცხოვრობდა. სწორედ იქ გაიცნო გრიგოლ ორბელიანმა.

ლექსის მისდამი მიძღვნით გრიგოლ ორბელიანმა სახელიც გაუთქვა ამ პიროვნებას, მაგრამ ხიფათშიც ჩააგდო. 1832 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ იარალი შანშიაშვილი პეტერბურგის ჟანდარმერიაში დაჰკითხეს.

იარალის ღრმა სიბერემდე მიუღწევია, პეტერბურგში გარდაცვლილა და იქვე დაუკრძალავთ.

ლექსის წაკითხვამდე ივარაუდეთ:

- რა თემას შეეხება ლექსი, რომელიც ახალგაზრდა პოეტმა სამეფო კარის უკანასკნელ მეთარესა და აშუღს მიუძღვნა?
- რატომ გახდებოდა ეს ლექსი რეპრესიების მიზეზი?

იარალის[1]

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა,
ძველებურადა,
ვსვამდეთ,
ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით
ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით,
მადასა განგვიღვიძებდეს.

კახურის ღვინით აღვსილი
აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი[2], თევზი, მწვანილი
აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას.

ცა მშვენიერი,
ცა მშობლიური
მარად ბრწყინვალე ზე დაგვნათიდეს,
გაცხელებულთა
ღვინისგან შუბლთა
კოჯრის ნიავი განგვიგრილებდეს...
შენ მომითხრობდე,
მე ყრმა გისმენდე,
გამოუცდელი მოხუცებულსა,
თუ ვით ივერნი,
ლომგულნი გმირნი,
ჰბრძოდნენ, ჰსცხოვრებდნენ
დროსა წარსულსა.

გისმენდე, თუ ვით მდევარის ხმაზე
ჭაბუკნი მხნობით აღტაცებულნი,
მტერთ საძიებლად, დაცემად მათზე
შეგროვდებოდნენ წამს შეჭურვილნი.

ვაი, მას მტერსა, ვის ანუ კლდენი,
ანუ ტყეთ სიღრმე ვერ დაჰფარვიდნენ,
ვითა შურდულებრ, ტრედთ შავარდენნი
მიესეოდნენ და შემუსვრიდნენ.

დავნატრი მათ, ვინც თვისი სიცოცხლე
თვისსა მამულსა შეჰსწირა მსხვერპლად,
დავნატრი დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილად,
როს ერთგულება, სარწმუნოება,
ივერთ თვისებას შეადგინებდნენ,
ოდესცა ბრძოლა და მამაცობა
მათსა სახელსა განადიდებდნენ...

გისმენდე, თუ ვით დღესასწაულსა,
შექცევით, ლხინით მოწოდებულნი,
ჭაბუკ მხედარნი ყაბახსა[3] ვრცელსა
ტურფად დარახტულ და დაკაზმულნი,
ვით ალვა რგულნი, ცხენზედ უძრავად,
ესრედ მოჰქრიან, ვითა ნიავი;
ჰკრეს ნაღარასა – განიყვნენ ორად,
აჰა, საამო სჩანს სანახავი.

ცხენთა გრიალი,
შუბთა ტრიალი,
ჯირითთ[4] სრიალი,
ყურთ მაჯთ[5] ბრიალი,
ცხენით ქვე ხტომა,
კვალად შეხტომა,
უზანგთა ცემა
და ხმალთ კრიალი!..

---

[1] **იარალი შანშიაშვილი** – ისტორიული გმირი, 1832 წლის აჯანყების შეთქმულთა თავკაცი და წინააღმდეგობის სულისჩამდგმელი. იარალი უკანასკნელი ქართველი მეფეების კარის მგოსანი, თარზე დამკვრელი და მომღერალი ყოფილა. ლექსიდან ჩანს, რომ იარალი შანშიაშვილი თავისი მფარველი ფარნაოზ ბატონიშვილის პოლიტიკური იდეალების ერთგული იყო. ერეკლე II-ისა და გიორგი XII-ის მომსწრე იარალის ბევრი საინტერესო რამ უნდა მოეთხრო ახალგაზრდა პოეტისათვის. ითვლება, რომ ლექსი „იარალის“ პოეტური გამოძახილია მათი საუბრებისა.

[2] **მოთალი** – ყველის ერთგვარი სახეობა.

[3] სადაც ეხლა არის სასეირნო ბაღი ალექსანდროვსკისა, იყო დიდი საჯირითო მეიდანი, სახელად ყაბახი (ავტორის შენიშვნა).

[4] **ჯირითი** – აქ: ცხენოსანთა შეჯიბრში სასროლი ჯოხი.

[5] **ყურთმაჯი** – მამაკაცის სამოსის სახელო, რომელიც მთელ სიგრძეზე ღიაა და თავისუფლადაა ჩამოშვებული.

ზოგი არწივსა
ზეცას მფრინავსა
ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
ჯირითი ზოგის
ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე[1] თასს ნიშნად დგმულსა.

ამ ვაჟკაცობრივს შექცევას იგი[2] სიამით
მარად უმზერდა შორით,
ვისცა ეწერა დიდება სახეს, ვინცა არღა არს,
ვისთვისაც ვჰსტირით.
წარსულთა დროთა, დიდების დროთა,
ყოვლი კეთილი თანა წარიღეს,
აწ უცხოს ცის ქვეშ, ზოგსა ვჰჭვრეტთ
ოხრვით, და ცრემლით
ზოგის წმიდა სამარეს!..
რომელ მარჯვენით,
ერთისა დაკვრით
უსულოდ ვეშაპს მიწად დაჰსცემდეს?

ვინ აღჩნდეს გმირი,
რომ მის ძლიერი
ბედს დაძინებულს ხმა აღადგენდეს?

მაგრამ ამაო, ჩემო იარალი,
არს ჩემი ნატვრა და ჩემი როტვა!
სად აზარფეშა, სად არს მწვანილი?
ღვინის წილ – კვასი, მზისა წილ – ყინვა!
გარდმოხვეწილმან ჩრდილოს წყვდიადსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური?
შენ ხარ პეტერბურღს, მე ნოვღოროდსა,
გარეთ მკლავს ყინვა და შინ „უგარი“.
გულს ეწუხების, რა აგონდების
დღენი წარსულნი ნეტარებისა,
მაგრამ მოთქმითა ნუგეშ-ეცემის და
ჭმუნვა მითცა შემცირდებისა.



ნიკო ფიროსმანი
ხუთი თავადის ქეიფი

ჩვენ და ტექსტი

1. თქვენი ვარაუდით, რატომ მიუძღვნა ეს ლექსი პოეტმა იარალის?
2. ლექსის დასაწყისში აღწერილი ლხინი რეალურია თუ ილუზორული? რა არის მასში ყველაზე მთავარი?
3. როგორ ახერხებს პოეტი ლხინის სურათის აღწერისას ქართული ეროვნული ინტონაციის შემოტანას? რას აღწერს პოეტი და რას „ამოიკითხავენ“ ტექსტიდან მკითხველნი?
4. სად, რომელ ეპიზოდში იხატება ქართველთა ძალგულოვნების ექსპრესიული სურათი? როგორ იცვლება ამ ეპიზოდში ლექსის რიტმი და ინტონაცია?
5. როგორაა ლექსში გაცოცხლებული სასურველი წარმოსახვითი სამყარო და რა უპირისპირდება მას: მოძებნეთ ამ დაპირისპირების ამსახველი ოპოზიციური წყვილები (მაგ., ღვინო-კვასი, მზე-ყინვა);

---

[1] **ყაბახი** – ძველებური ქართული საცხენოსნო სპორტის სახეობა, რომლის დროსაც მოჯირითე მხედარს მაღალ ანძაზე შემოდებული თასი (ყაბახი) მშვილდ-ისრით უნდა ჩამოეგდო. ტარდებოდა სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ მოედანზე. ყაბახის თავს და ბოლოს იდგნენ ორნი ქვანი, რომელთა ზედაც დაჰსმიდნენ თასსა და ესროდნენ ჯირითს და ვინც მოარტყამდა, თასი იმისი იყო ჯილდოდ გამარჯვებისა. უკანასკნელ ჯირითში კონა ერისთავმა გაიმარჯვა (ავტორის შენიშვნა); ყაბახი ერთ დროს ქართული არისტოკრატიის უსაყვარლეს თავის გამოსაჩენ, სავაჟკაცო გასართობად ითვლებოდა. მოგვიანებით, განსაკუთრებით, პოეზიაში, ის რაინდული სულის, რომანტიკული წარსულის, ერთგვარად – წარმავლობის სევდის გამომხატველ სახე-სიმბოლოდ იქცა.

[2] მეფე ირაკლი (ავტორის შენიშვნა).

6. პოეტი ლექსებში წარსულსა და თავის თანადროულობას თითქოს ერთმანეთს ადარებს, იმსჯელეთ, წარსულის დიდების ფონზე როგორაა აღწერილი ქართველთა თანამედროვეობა?
7. რა არის ამ ლექსში ისეთი, რაც რეპრესიების მიზეზი გახდა? რატომ უფრთხოდა ამგვარ პოეზიას იმპერიული ცენზურა? თქვენი აზრით, ეს გადაჭარბება იყო, თუ მართლაც „საშიშ“ ლექსთან გვქონდა საქმე?
8. გადმოეცით ლექსის მთავარი თემა და იდეა, იმსჯელეთ ლექსის აგებულებაზე, კომპოზიციაზე. რა ამბავი ვითარდება ლექსში, რა შეგიძლიათ თქვათ მის სიუჟეტზე?
9. გამოყავით სტროფები, რომლებშიც გადმოცემულია ლექსის ექსპოზიციური ნაწილი; სად ვითარდება მოვლენები, რომელი სტროფები წარმოადგენს ლექსის კულმინაციურ ნაწილს, აქვს თუ არა ამ ნაწარმოებს ლოგიკური დასასრული, ე. წ. პოეტური ბოლოამბავი?
10. რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით გადმოიცემა ქართველთა ძველი დიდებულება და რომელი შეესაბამება ახალ დროებას? იხელმძღვანელეთ ცხრილით:

ქართველთა წარსული დიდების ამსახველი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები	ქართველთა დუხჭირი ყოფის ამსახველი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებები

11. როგორ ენაცვლება ლექსში ერთმანეთს რეალობა და წარმოსახული, სასურველი სამყარო? რა არის ამ დაპირისპირებაში რომანტიკული?
12. არის თუ არა ეს ლექსი რომანტიკული? რატომ ფიქრობთ ასე?

ლიტერატურული ძიებანი

ლექსის ალეგორიულობა და ცენზურის მახვილი თვალი და ყური

საინტერესოა, მართლა რა არის ამ ლექსში ისეთი, რამაც არა მარტო ლექსის ავტორისა და იარალი შანშიაშვილის, არამედ სხვა მრავალი ადამიანის რეპრესიები გამოიწვია? გრიგოლ ორბელიანი იგონებს, რომ მეგობრებთან ყოფნის დროს მოულოდნელად ჟანდარმერია[1] დაადგა თავს:

„– მე ბრძანება მივიღე მთავრობისა, სახლი გაგიჩხრიკოთ და შევიტყო, რა წიგნები გაქვთ...

– რილეევის „ნალივაიკოს აღსარება“ თქვენ სთარგმნეთ ქართულად?

– დიახ, მე.

– „იარალი“ თქვენ დაწერეთ?

– მე.

– რა გინდოდათ, გამოგეხატათ ამ ლექსით?

– ის, რაც არის გამოხატული შიგ: ქართული შექცევა და ლხინი... “

ამას გრიგოლ ორბელიანის დაპატიმრება და თბილისში გადმოგზავნა მოჰყვა.

[1] **ჟანდარმერია** – პოლიტიკური პოლიცია მეფის რუსეთში.

თბილისში ის ყაზარმაში იყო დატუსაღებული. სწორედ ამ დროს გარდაეცვალა დედა. „საშიში დამნაშავე“ დედის დაკრძალვაზეც არ გაუშვეს. ის ყაზარმის სარკმლის „ჭუჭრუტანიდან“ უყურებდა პროცესიას, რომელმაც ყაზარმასთან ჩაიარა.

- როგორ გგონიათ, ასე უმტკივნეულო და უწყინარი იყო ლექსი, რომელსაც ამდენი ამბავი მოჰყვა, თუ იგი ალეგორიულად მართლაც გამოხატავდა შეთქმულთა იდეებს?
- რის შიში ჰქონდა რუსულ მმართველობას, როგორ ფიქრობთ, უსაფუძვლო იყო ეს შიში?
- გრიგოლ ორბელიანი მოგვიანებითაც, როცა უკვე ხელისუფლებასთან დაახლოებული პირია, ხშირად იყენებს ფსევდონიმებს (მაგ., „ქსნის ხეველი“). როგორ გგონიათ, რატომ?
- იმსჯელეთ, როგორ აისახა ახალგაზრდობაში შეთქმულებაში მონაწილეობის გამო მის მიმართ გატარებული რეპრესიები პოეტის ცხოვრებაზე?

პარალელები

თარგმანი თუ...

(ფიქრები კონდრატე რილეევის „ნალივაიკოს აღსარების“ შესახებ)

ცენზურამ და ჟანდარმერიამ ერთი კარგი რამ გააკეთეს – პოეტებს ალეგორიული საუბარი ზედმიწევნით კარგად ასწავლეს. სხვას არ შევეხებით, იმას კი ვიტყვით, რომ გრიგოლ ორბელიანი ამ ენას კარგად ფლობდა.

რილეევს, ცარიზმის მოწინააღმდეგე პოეტს, სურდა, პოემა დაეწერა ამ სათაურით, თუმცა, შემოგვრჩა მხოლოდ საერთო გეგმა პოემისა და ცალკეული ადგილები.

გრიგოლ ორბელიანმა ეს ნაწარმოები „თარგმნა“, თუმცა ძალიან უცნაურად:

- შეცვალა, გააქართულა მისი შინაარსი;
- ტექსტში შემოიტანა ქართული არისტოკრატიის საყვარელი თემები და მოტივები „მტერზე შურისძიებისა“ და „მტრის ძლევისა“;
- შეცვალა მთავარი პერსონაჟი და ის საკუთარი ლირიკული გმირით ჩაანაცვლა. „აღსარების“ ლირიკული პერსონაჟი თვითონ ავტორია, ნაცვლად რილეევის პოემის გმირის, უკრაინელი პატრიოტის, ნალივაიკოსი.
- მოქმედების ადგილად, ვარშავის ნაცვლად, დასახელებულია მცხეთა. მტრებად გამოყვანილი არიან „ლეკი, ოსმალო და სპარსი“.

როცა 1832 წლის შეთქმულებასთან კავშირის გამო გრ. ორბელიანი გაჩხრიკეს, „აკრძალულ“ და „საშიშ“ სამხილად სწორედ ეს „თარგმანი“ მიიჩნიეს.

„აღსარების“ ერთ-ერთი პირი ჟანდარმერიას უპოვია შეთქმულთა ყველაზე აქტიური წევრის, სოლომონ დოდაშვილის, ბინაზე. სწორედ იგი იყო შეთქმულთა იდეოლოგიური ლიდერი.

„აღსარების“ პატრიოტულ მოწოდებას კიდევ უფრო ამძაფრებს გრიგოლ ორბელიანის ომახიანი ინტონაცია:

ჟამი არის, მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ლესულსა.

...

თავისუფლება უმსხვერპლოდ, უსისხლოდ [ვის] მოუსყიდიეს?

წარვსწყმდები მამულისათვის, ვიცი ვგრძნობ და აღვიარებ.

- ზემოთ მოყვანილი მსჯელობის მაგალითზე დაფიქრდით, რამდენად შეიძლება, გრიგოლ ორბელიანის ტექსტი თარგმანად ჩაითვალოს?

გამოძახილი

საქართველოს ისტორიის ამ ეპიზოდს მოგვიანებით გალაკტიონი ასე გამოეხმაურა:

„ჩემო იარალი!“ – ასე ქადაგებდა
ყაბახის გმირი, მზგავსება ლომის,
ორბელიანი, რომელიც აქებდა
ღვინოს და სალომეს.

ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი
მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს,
და ნარიყალა ცრემლებით სველი,
მატარებლების კივილს გაჰყურებს;

მე ვდგევარ მთაზე, მე ვდგევარ მარტო,
დამთვრალი ახალ სანახავითა,
რითი გაგართო, როგორ გაგართო?
ჩემო იარალი, ის დრო წავიდა!

გალაკტიონ ტაბიძე

ჩვენ და ტექსტი

1. გრიგოლ ორბელიანის „იარალის“ მიმართ როგორი დამოკიდებულება გამოხატა გალაკტიონ ტაბიძემ ლექსში „ჩემო იარალი“?
2. ეს დრო არ არის საქართველოს ისტორიის ყველაზე ბედნიერი პერიოდი, და მაინც, როგორ გგონიათ, რა განცდას გამოხატავს გალაკტიონი სიტყვებით – „ის დრო წავიდა“, მოსწონს მას „ყაბახის გმირის“ ხანა და ენატრება ის დრო, თუ პირიქით, უხარია ამ პერიოდის დასრულება? ყურადღება მიაქციეთ „იმ დროის“ წასვლასთან დაკავშირებულ სტრიქონებსაც:

   ის დრო წავიდა! ტფილისი ძველი
   მიინგრ-მოინგრა, სცივათ კახურებს,
   და ნარიყალა ცრემლებით სველი,
   მატარებლების კივილს გაჰყურებს.

   რა მოსდევს „იმ დროის“ წასვლას? მოსწონს თუ არა ლირიკულ გმირს ეს ყველაფერი?
3. რა დატვირთვა აქვს ლექსში ცრემლებით სველ ნარიყალასა და მატარებლების კივილს?
4. რას უკავშირდება პირველწყარო და გამოძახილი ერთმანეთთან? რა დამოკიდებულება აქვს ახალი დროის პოეტს წინამორბედთან?

ლიტერატურული ძიებანი

დამოუკიდებლი კვლევა – ცვალებადი ინტონაცია და რიტმი

დააკვირდით გრიგოლ ორბელიანის ლექსს, „იარალის“. მასში რიტმიკა და ინტონაცია მრავალფეროვანი, ცვალებადი და დინამიკურია.

იგი ხან მდორედ მიედინება – ამბავს ჰყვება, ხან კითხვებს სვამს და უპასუხებს – ფილოსოფიურად განსჯის, მსჯელობს; ხან რიტმი ჩქარდება – თითქოს აკუსტიკურადაც აცოცხლებს ახალგაზრდა რაინდთა ასპარეზობის ექსპრესიულ სურათებს, მაგ.:

ცხენთა გრიალი, უზანგთა ცემა
შუბთა ტრიალი, და ხმალთ კრიალი!..
ჯირითთ სრიალი, ზოგი არწივსა ზეცას მფრინავსა
ყურთ მაჯთ ბრიალი, ისრითა მკვეთრით განუპობს გულსა.
ცხენით ქვე ხტომა, ჯირითი ზოგის
კვალად შეხტომა, ზუზუნით მოჰქრის
და მოხვდა ქვაზე თასს ნიშნად დგმულსა“.



...უეცრად დაჰკრავს ნაღარა და ლექსის რიტმი პირდაპირ ცეკვას იწყებს... საოცარი აქ ის არის, რომ რიტმული ენერგია ისეთი სიტყვებით და სიტყვათა რიგით წარმოიქმნება, რომ აღწერილი სურათი თვალსაჩინო და ხმაურიანი ხდება.

გრიგოლ რობაქიძე

დაყავით ეს ლექსი რიტმულად განსხვავებულ მონაკვეთებად (ეს რთული არაა, რადგან ეს მონაკვეთები თვალსაჩინოდაა გამოყოფილი ერთმანეთისგან). იმსჯელეთ, რა არის თითოეული მონაკვეთის მთავარი სათქმელი და როგორ, რა ფორმით გადმოიცემა იგი, ანუ შინაარსი როგორ ფორმას მოითხოვს?

ზეპირმეტყველების გაკვეთილები

დაყავით „იარალის“ტექსტი მონაკვეთებად და დაამუშავეთ ისინი ცალ-ცალკე. დაფიქრდით, რომელ ნაწყვეტს როგორი ინტონაცია მოუხდება?

მოაწყვეთ კლასში დეკლამაციის (მხატვრული კითხვის) გაკვეთილი.

შეჯამებისას ისაუბრეთ, რას ეფუძნებოდა თქვენი არჩევანი და რატომ შეარჩიეთ კონკრეტულად ესა თუ ის ინტონაცია.

სადისკუსიო კლუბი

დისკუსია – პატრიოტული ალეგორია თუ სალხინო-სალაღობო პოეზია?

ამ ლექსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან: **კიტა აბაშიძე, გრიგოლ რობაქიძე, გერონტი ქიქოძე, ვახტანგ კოტეტიშვილი და გურამ ასათიანი.**

უპასუხეთ სადისკუსიო კითხვას კლუბის სტუმართა მოსაზრებების გათვალისწინებით.



კიტა აბაშიძე: გრიგოლ ორბელიანის „იარალის“ გარკვეული პატრიოტული აზრის გამომთქმელი იქნებოდა, რომ მეტისმეტი ადგილი არა ჰქონდეს დათმობილი „მოთალს, თევზს, მწვანილს“, რომ „ცხენთა თქრიალი“ და „შუბთა ტრიალი“ მეტისმეტად არ იტაცებდეს პოეტს...

გრიგოლ რობაქიძე: გრიგოლ ორბელიანისთვის დამახასიათებელია გულწრფელი უბრალოება... ხშირად ეს უბრალოება პროვინციული კოლორიტით იღებება: „ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დასტრიალებდეს“; „კახური ღვინით აღვსილი აზარფეშაცა ხელთ გვეპყრას, მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიჭრელებდეს წინ სუფრას“. მაგრამ, როგორც ბევრს ჰგონია, ეს არ არის ვულგარულობა, პირიქით...

გერონტი ქიქოძე: სამშობლოს ნიადაგს მოწყვეტილი ადამიანის ტრაგედია გერმანიაში გადასახლებულმა ფრანგმა მწერალმა შამისომ შეადარა იმ ადამიანის განცდას, რომელმაც დაკარგა თითქოს რაღაც არამატერიალური, მაგრამ არსებითი, სახელდობრ, თავისი საკუთარი ჩრდილი. გრიგოლ ორბელიანისთვის ემიგრაცია ნიშნავს მადის გამაღვიძებელი, ყნოსვის დამატკბობელი ჯეირნის მწვადის, ღვინით სავსე აზარფეშის, მწვანილით და მოთალით აჭრელებული სუფრის, მცხუნვარე მზის და გამაგრილებელი ნიავის, ბოლოს, გმირულ ისტორიულ მოგონებებთან დაკავშირებული ადგილების დაკარგვას და, სამაგიეროდ კვასისა, ყინვისა და უგარის მიღებას. ძნელია მეორე პოეტის დასახელება, რომელსაც ასეთი მატერიალისტური ენით გამოეხატოს სამშობლოს სიყვარული.

ვახტანგ კოტეტიშვილი: ლექსში „იარალის“ პატრიოტული გრძნობა გამოთქმულია ასეთი ნატურმორტისებური სურათით:

ჩემო იარალი, ნეტავი ოდეს
ლხინით აღვსილნი ვჰსხდეთ ველსა მწვანეს,
ჩვენებურადა, ძველებურადა, ვსვამდეთ, ვიძახდეთ:
იარი-არალი!

ჯეირნის მწვადი შიშინით ცეცხლზედა დასტრიალებდეს,
ყნოსვა დამტკბარი მის სუნით, მადასა განგვიღვიძებდეს.
კახურის ღვინით აღვსილი აზარფეშაცა ხელს გვეპყრას,
მოთალი, თევზი, მწვანილი აგვიჭრელებდნენ წინ სუფრას.

ეს მართლაც რომ ფიროსმანიშვილის „ქეიფია“, ისეთივე უპრეტენზიო და სადა, მაგრამ შთაბეჭდილების მომხდენი და დამაფიქრებელი. პოეტისათვის ეს სურათი არის არა გასტრონომიული სინამდვილე, არამედ ეროვნული ინდივიდუალობის გამომხატველი ნიშანი. ეს გაშლილი სუფრა იგივეა პოეტისათვის, რაც ყაბახი. ეს უკანასკნელიც წარსულის ნიშანია, მისი ერთგვარი სიმბოლო... დიახ, ყაბახიც, ისევე როგორც ლხინის სუფრა, საქართველოს პოეტური ნიშანია...

გურამ ასათიანი: არც ერთ რომანტიკოს პოეტს და, საერთოდ, არც ერთ ქართველ პოეტს ვაჟა-ფშაველამდე არ ჰქონია განვითარებული ისე მძაფრად ნივთიერი სამყაროს – საგანთა ფაქტურის, ფერადოვნების, სურნელისა თუ პლასტიკის განცდა, როგორც ეს გრ. ორბელიანის ლირიკაში იგრძნობა. ასეთი ხედვა გრ. ორბელიანს თან სდევს მაშინაც კი, როდესაც იგი უშუალოდ არსებული სინამდვილის ფარგლებს სცილდება და წმინდა პოეტური წარმოსახვის (ოცნებებისა თუ ფანტაზიის) სფეროში გადადის.

წაკითხვამდე

1. ვინ იგულისხმება იდუმალ სატრფოში?

ცნობილია, რომ ლექსი „საღამო გამოსალმებისა“ პოეტმა თავის იდუმალ სიყვარულს, ნინო ჭავჭავაძეს, მიუძღვნა. ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული რუსი მწერლის, ალექსანდრე გრიბოედოვის (რომელიც თეირანში დაიღუპა) მეუღლე იყო. ნინო 17 წლის დაქვრივდა და აღარც გათხოვილა. იგი ალექსანდრე გრიბოედოვის გვერდითაა დაკრძალული მთაწმინდაზე.

2. რომანტიკული ლექსი განშორებაზე

ლიტერატურათმცოდნე გურამ ბენაშვილი თვლის, რომ ლექსი „საღამო გამოსალმებისა“ საეტაპო მნიშვნელობისაა, რადგან ეს არის „აბსოლუტური გადასვლა რომანტიზმში“. ლექსი 1841 წელსაა დაწერილი.

წაიკითხეთ ლექსი და იმსჯელეთ, რამდენად რომანტიკულია იგი.

ჯერჯერობით კი, ამ კითხვას მხოლოდ სათაურის მიხედვით შეგიძლიათ უპასუხოთ, რა არის სათაურში რომანტიკული?

ტექსტების სამყაროში

საღამო გამოსალმებისა[1]

მზე ჩაესვენა: მის შუქი გამოსალმის ჟამს კავკასსა,
თავსა ეხვევა ალერსით, ვით ქალი მამას მოხუცსა!
ბუმბერაზ მთანი მდუმარედ ცათამდის აყუდებულნი,
ჰსხედან, ვით დევნი, სპეტაკის ყინულ გვირგვინით შემკულნი!
მათ კლდოვან გვერდთა შავადა ღრუბელნი ზედ დაჰსწოლიან,
და მრისხანებით ქვეყანას წარღვნითა ემუქრებიან.
გაზაფხულისა ველითა ტყე შემოსილი სიმწვანით,
მთებისა კალთებს შეამკობს სატკბო სუნნელთა მოფენით.
წყალნი, მთით დაქანებულნი, ალმასებრ უფსკრულს ჰსცვივიან
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!
შეწუხებული ვუმზერ გზას და მასზე ეტლსა მიმსრბოლსა,
მიმტაცსა ყოვლის კეთილის, რაცა გვაქვს ამა სოფელსა,
რაცა გვიშვენებს სიცოცხლეს ზეციურისა სხივითა,
და აღგვამაღლებს ამ სოფლით სულისა აღმაფრენითა!
მიდიხარ, სატრფოვ? მშვიდობით! მარად დღე ჩემი კურთხევა
ცად მიმართ შენთვის მექნება, ვიდრემდის სული მელევა.
არღა აამონ აწ თვალთა გული შენისა ხილვითა,
წარვიდეს ჩემი სიცოცხლე უშენოდ შრომით, ზრუნვითა.

[1] „საღამო გამოსალმებისა“ აგვიწერს გრ. ორბელიანის გამოთხოვებას საყვარელ ადამიანთან. როგორც ამბობენ, პოეტი უნდა გულისხმობდეს ალექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილს, ნინოს.

ეტლი ჰრბის, სატრფო მშორდების... თანა ჰსდევს ჩემი მას სული,
ვმზერ... შორს ძლივსღა ჰსჩანს... აღარ ჰსჩანს... რაღასა ვუმზერ შმაგ-ქმნილი?
სიშორის ნისლმა მიჰფარა თვალთაგან ეტლი მიმსრბოლი,
და გულით ოხრვა სიმწარის აღმოუტევე უნებლი...
მშვიდობით! ვინცა დამატკბე სიცოცხლის ნეტარებითა,
აწ ვისთვის გული მიკვნესის, სული ჰსწუხს განშორებითა,
ვის ხილვა არღა შემმოსავს სიხარულისა ნათლითა,
არ განმასვენებს მწუხარეს ალერსის ხმითა ტკბილითა!
მარამ ამ სოფელს შენს გარდა, ვინა მყავს მანუგეშებლად,
რომ შენც განმშორდი, დამტოვე, მწუხარებისა მე მსხვერპლად?
წახველ, წარმტაცე ყოველი საამებელი სულისა,
და ვინ განმილოს აწ კარი ბედისა დაკარგულისა?
ან მე უგუნურს რად მრწამდა ბედისა დაუსრულება?
აწ დავჰშთი მარტოდ... მშვიდობით! შენს გულს ნუ ჰშორდეს მშვიდობა!
არს მწუხარება სულისა, არ აქვს ნუგეში რომელსა,
ჰსჯობს ენა ჰსდუმდეს, ხმა შესწყდეს, მოთქმით რა ერგოს გულ-წყლულსა?
შეღამდა... მარტო ვზი ჭმუნვით; ჩემი ჩივილი ვის ესმის?
დაყრუვდა არე... მხოლოდა ხმა ისმის ზოგჯერ გუშაგის.
მხოლოდ ჰსჩანს, მთანი მდუმარედ აყუდებულან ცათამდის,
და ყაზიბეგსა საამოდ ზედა ვარსკვლავი დაჰნათის!
წყალნი, მთით დაქანებულნი, უფსკრულსა იკარგებიან,
თერგი ჰრბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან!

ჩვენ და ტექსტი

1. რა განწყობას ბადებს სათაური, როგორ იწყებს მკითხველი კითხვას?
2. ისაუბრეთ პეიზაჟზე. როგორი სურათი წარმოგიდგებათ? შეარჩიეთ ცნობილი მხატვრების ნახატები, რომლებიც, თქვენი აზრით, რაღაც კუთხით გადმოსცემს ლექსში დახატულ სურათს და იმსჯელეთ, რატომ დაუკავშირეთ ეს ტილო მოცემულ ლექსს, რის გაგებას გაგიადვილებთ თქვენ მიერ შერჩეული ვიზუალური მასალა?
3. სამყაროში საყოველთაო გამომშვიდობების სურათია, მზე ეთხოვება ქვეყნიერებას, რა განწყობა გაბატონებულა პეიზაჟში და რით ეხმიანება ბუნება ლირიკული გმირის შინაგან განცდებს;
4. რა აძლიერებს „განშორების“ სურათის ტრაგიკულ განცდას, რას ვხედავთ და რა ხმები გვესმის პეიზაჟის აღწერის ეპიზოდში?
5. პეიზაჟის აღწერის შემდეგ მზერა ადამიანზე გადმოდის.. რა განცდა დაუფლებია ლირიკულ გმირს? ჩვენ რას ვხედავთ ამ დროს?
6. შეგვიძლია, რაიმე კონკრეტული ვთქვათ ლირიკული გმირისა და მისი სატრფოს შესახებ?
7. რა შინაგანი კავშირი არსებობს „დაყრუებულ“, დადუმებულ ბუნებასა და ადამიანთა შორის?
8. რისი სიმბოლოა სადღაც შორეთში გამქრალი ეტლი?
9. რა პეიზაჟი იხატებოდა ლექსის დასაწყისში, და ბოლოს, რა ხმები ისმოდა ლექსის დასაწყისსა და ფინალში?

ლიტერატურული ძიებანი

რომანტიკული მხატვრობის ერთი თავისებურება (უჰორიზონტო ნახატები)

რომანტიკოსი მხატვრები ხშირად გმირებს ზურგით გამოსახავდნენ. ისინი თითქოს შორეთს გაჰყურებენ.







მხატვარი კასპარ დევიდ ფრიდრიხი

ასეთი სურათების დათვალიერებისას იკვრება წრე: დამთვალიერებელი – სურათის პროტაგონისტი და უსასრულობა.

თქვენ როგორ ხედავთ ლექსში ლირიკული გმირის, მიმსრბოლი ეტლისა და გარესამყაროს განლაგების სურათს?

იმსჯელეთ ლექსზე დაყრდნობით.

გამოძახილი

გთავაზობთ განშორების თემისადმი მიძღვნილ ორ ლექსს, რომლებიც ორბელიანის ტექსტთან თემატურ სიახლოვეს ამჟღავნებს, მაგრამ თვალში საცემია მიმდინარეობათა სხვაობა. იმსჯელეთ, რა განასხვავებს რომანტიკულ ლექსებს მათგან?

უკანასკნელი მატარებელი

ცხოვრების ეტლის სადარებელი
საცაა გავა მატარებელი.
მიემგზავრება იმედი ჩემი
ბედის ვარსკვლავის სადარებელი.
ვიცი, ამ წასვლას რაც ეწოდება, –
რა საჭიროა ახლა გოდება.
მატარებლისგან როს მიმიღია
ან თანაგრძნობა, ან შეცოდება?
მატარებელი თვლემს, როგორც ლავა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა,
ვინც სხვებს აცილებს, დროა ჩასვლისა,
მატარებელი ხუთ წუთში გავა.
აჰა, დაიძრა რკინის ბორბლები,
მივდევ ვაგონებს, მახრჩობს გრძნობები.
გემშვიდობები სამარადისოდ,
სამარადისოდ გემშვიდობები!
ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, –
ყოველჟამს ვკარგო თითო იმედი,
გამოსალმების ხელოვნებისთვის,
ნუთუ არვინ არს, პოეტის მეტი?

გალაკტიონი

მგზავრის სიმღერა

მომგონებიხარ, მომდომებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.
შენ დარჩენილხარ მთების გადაღმა,
მიკვირს, რომ გული კიდევ მთელია.
გზამ დაგვაშორა, ტურფავ, ამაღამ
და ეს მანძილიც ჩვენი მტერია.
ვარსკვლავი თითქოს ცრემლის შხეფია,
ამგვარ ვარსკვლავით რვეულს ვჟონავდი.
გულზე ხელები დამიკრეფია
და მიფიქრია ალიონამდი...
მომდომებიხარ, მომგონებია
ლერწმად რხეული შენი სხეული.
ეს ვაგონებიც მონგოლებია
და სად მივყავარ შენი რჩეული.

სად მიმაქროლებს გზა ანთებული,
მთები განვვლე და განვვლე ჭალები.
საით გავრბივარ შეშფოთებული,
მთით მომაშველე შენი თვალები.
სადგურში მივალთ დანიშნულ დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.
აგერ, მივყვები უცხო ვაგონებს.
შენზე მღერალი. ღამის მთევარი.
ახლა მთის იქით ირემს მაგონებ
და მე სად მივქრი შენი მდევარი.
ალბათ ვიქნები სადგურში დროზე,
ჩაქრნენ ღამეში ჩრდილნი მთებისა.
შენზე ვიფიქრო თუ სამშობლოზე?
გამხადე ღირსი ყურადღებისა.

სიმონ ჩიქოვანი

ჩვენ და ტექსტი

1. დააკვირდით, რა არის მიჯნურთა განშორების მიზეზი ამ ლექსებში?
2. როგორ გამოიხატება ამ ლექსებში კავშირი ბუნებასა და ადამიანს შორის?
3. მიუხედავად განსხვავებისა, სატრფიალო ლექსებში აქა-იქ მაინც გამოკრთება ხოლმე რომანტიკული შტრიხები. იმსჯელეთ, რით ჰგავს ეს ლექსები რომანტიკულ პოეზიას?

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

საშინაო სკოლის გაკვეთილები – მაია ჯალიაშვილი

მოისმინეთ ლექსის „საღამო გამოსალმებისა“ ანალიზი და იმსჯელეთ, რა შეიტყვეთ ამ ვიდეოგაკვეთილიდან ახალი?

https://9nes.short.gy/mH9xS8

წაკითხვამდე

გრიგოლ ორბელიანის სატრფიალო პოეზია მრავალმხრივია – იგი ხან რომანტიკული სულისკვეთებითაა აღსავსე, ხან ქალაქური მოტივები იფეთქებს და, რომანტიკულ-ილუზორული ქალის გვერდით, ჩვეულებრივი მიწიერი ქალი იხატება.

დააკვირდით ამ ლექსს და იმსჯელეთ, რით ემსგავსება იგი ქალაქურ-აშუღურ პოეზიას?

საქართველოს რადიომუზეუმი, გროგოლ ორბელიანი, მუხამბაზი, კითხულობს ვერიკო ანჯაფარიძე (მედუდუკეთა ანსამბლის თანხლებით)

https://9nes.short.gy/qT0ckV

ტექსტების სამყაროში

მუხამბაზი

მუხამბაზო, რა ტკბილი რამ ხმა ხარო
(ჩამჩი-მელქო[1])

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ყმასავითა მე ერთგული შენი ვარ,
გინდა მკლავდე, არას გეტყვი – შენი ვარ.
სადაც წახვალ, მე მაშინვე იქა ვარ,
გინდ ვერ მნახო, იცოდე რომ იქა ვარ!
რას გაწუხებ? მე ჩემთვისა იქა ვარ,
ჩემთვის ჩუმად ვამბობ: რა ლამაზი ხარ“!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ!
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

რტო ალვისა, შენი წელი მგონია,
მაგ წელზედა ცისარტყელა მგონია,
ეგ თვალები – ცაში ელვა მგონია,
ვარდის სუნთქვა, – შენი სუნთქვა მგონია.
როს მეღირსოს, ვსთქვა: „გეთაყვა, ჩემი ხარ?“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის!
ფიქრები მაქვს, წინ შენი სახე მოდის!
მინდა რამ ვსთქვა – შენი სახელი მოდის!
ჩემს გულში რა ამბებია, რა მოდის?
ერთხელ მაინც მკითხე: „აგრე რათა ხარ?“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ჩემს დარდებსა ვინ ინაღვლებს, ვინ არის?
ვის რათ უნდა, ლოპიანა ვინ არის?
მკვდარია თუ ცოცხალია, ვინ არის?
ქვეყანაში აბა რაა, ვინ არის?
შენ არ მეტყვი, ვიცი სულით ნაზი ხარ!

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ორთაჭალის ბაღში მნახე, ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე, ვინა ვარ!
ჯამით ტოლუმბაში მნახე, ვინა ვარ! –
მაშინ შეგიყვარდე, სთქვა: „ძვირფასი ხარ!“

გინდ მეძინოს, მაინც სულში მიზიხარ,
თვალთ ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ!

ჩვენ და ტექსტი

1. გადმოეცით ლექსის მთავარი სათქმელი,
2. დააკვირდით გარითმვის სისტემას, რა ეწოდება ამგვარ ზუსტ რითმებს და როდის, რომელ ეპოქაში იყო ამგვარი რითმები გავრცელებული?
3. რა აახლოებს ლექსს ქალაქურ ფოლკლორთან?
4. ქალაქური ცხოვრების ამსახველი რომელი სურათები გაიელვებს ლექსში? რის ფონზე ცდილობს ლირიკული გმირი სატრფოსთვის თავის მოწონებას?
5. რა ხდება „მუხამბაზში“ სიყვარულის მიზეზი? რის გამო უყვარდება მამაკაცს ქალი და, პირიქით, როდის გაუჩნდება ქალს საპასუხო გრძნობა? ეს ყველაფერი მისაღებია თუ არა რომანტიზმისთვის?
6. მოძებნეთ სტროფები, რომლებშიც სატრფოს სილამაზე იხატება; რით განსხვავდება „მუხამბაზში“ დახატული მიჯნურის სახე, ვთქვათ, ლექსში „საღამო გამოსალმებისა “ ასახული სატრფოსაგან?

[1] **ჩამჩი მელქო** – თბილისელი მოლექსის ფსევდონიმი.

წაკითხვამდე

1. როგორი დამოკიდებულება აქვთ რომანტიკოსებს წარსულისადმი?
2. ივარაუდეთ, რა განცდები იქნება გადმოცემული ლექსში, რომელშიც ლირიკული გმირი თამარის ფრესკის წინ დაჩოქილი ლოცულობს.

ტექსტების სამყაროში

თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში

შენს წმინდა სახეს,
შვენებით სავსეს,
სახიერებით განსხივებულსა,
ვუმზერ კრძალვითა,
თაყვანცემითა,
ცრემლ-მორეული გემთხვევი ფერხთა!
მიხარის – გიმზერ,
ვჰსწუხვარ – და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას!..
ყვავილოვანი
წალკოტი შენი, შენის დიდების
სხივ-მოკლებული,
აღარა ჰშვენის,
აღარ გვიბრწყინვის
შავ დროთა ძალით ფერ წახდენილი!..
და, ვით განვლილსა
სიზმარსა ტკბილსა,
მზეს დიდებულად ჩასვენებულსა,
ვიგონებთ შენს დროს,
გული გვიმაგროს,
სრულად არ წავჰსწყდეთ ცის შემრისხავნი!
ხნით დამაშვრალი,
დაღონებული,
შენადვე, მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედკრულს
შენს სატრფოს – მამულს,
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად.
შენი ივერი
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის,
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლო მიწის სიყვარულითა! –
და გაგვიცოცხლდეს,
რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.
რომ განვიღვიძნეთ,
სულით განვახლდეთ,
და განქრეს ბნელი უმეცრებისა!..
...მარამ ცად თვალნი
გაქვს მიქცეულნი,
და მე ვეღარ მცნობ გულ-შემუსვრილსა,
დამცირებულსა,
ხმა-მიღებულსა,
ბედ-დაკარგულის ივერიის ძეს!
ეჭვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს, გაუხარებელს!..
ვაჰ, თუ რაც წახდეს
ვეღარა აღჰსდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა
ის წარიტაცა
შავმან ყორანმა ვით უმწე მსხვერპლი!
ჰე, ცრუ სოფელო,
დაუნდობელო,
შენში კეთილი სად არს ფერ-უცვლელ?
დიდება ჩვენი,
ცად სხივ-მიმფენი,
ნუთუ ესღა გვაქვს, ვჰხედავთ რასაცა?
დაყრუებულსა,
გზა შეუვალსა,
უდაბურს ტყეში ტაძარს დარღვეულს,
სად სახე მეფის,
დიდის თამარის,
სჩანს ძველს კედელზე გამოხატულად!..

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ არის დახასიათებული ლექსში თანამედროვე ქართველის სულიერი მდგომარეობა?
2. რა განასახიერებს საქართველოს დაკნინებულ აწმყოს? რა ეჭვია ლექსში გამოხატული?
3. რა თვისებებით შემკულად წარმოდგება ლექსში თამარის პიროვნება?
4. როგორია პოეტის ემოციური დამოკიდებულება თამარისადმი? რატომ მიმართავს პოეტი მაინცდამაინც თამარს, რას განსახიერებს იგი?
5. პოეტის ფიქრით, რატომ იხსენებენ ქართველები თამარის დროს?
6. რაზე მიგვანიშნებს ის, რომ თამარი ვერ „სცნობს“ თანამედროვე ქართველს?
7. როგორ გესმით საქართველოზე, ქართველებზე ნათქვამი: „და დადგეს ერად სხვა ერთა შორის“? როგორ წარმოუდგენია პოეტს მომავლის საქართველო, რამ უნდა მიანიჭოს მას ღირსება?
8. თქვენი აზრით, რას განასახიერებს სიმბოლურად ლექსში რუსთაველი? რას ანიჭებს პოეტი გადამწყვეტ როლს საქართველოს აღორძინებაში? რის დაძლევას და რის დამკვიდრებას ნიშნავს საქართველოს აღორძინება?
9. ამოწერეთ თამარ მეფესთან დაკავშირებული ეპითეტები. თამარს რუსთაველიც ხშირად მოიხსენიებდა ეპითეტებით, რით ჰგავს და რით განსხვავდება ამ ორი ავტორის მიერ თამარის სახესთან გამოყენებული ეპითეტები? როგორ ხედავს თითოეული მათგანი მეფე-ქალს?

პარალელები

ჯაკომო ლეოპარდი

იტალიისადმი

სამშობლოვ ჩემო, შენს დაქცეულ კედლებს დავტირი,
სვეტებს და თაღებს, ცივ ქანდაკებებს,
ცისკენ ასვეტილ კოშკებს ცარიელს.
დიდება მათი ქარს გაჰყოლია,
და ყრუდ ქვითინებს გული ჩემი, გული მარტვილი...
დედოფალო, მზეთუნახავო, ველარ გიშველის
ველარც ჩურჩული, ველარც გალობა.
რარიგ დაგამცრო ბედისწერამ. სდუმან ბაგენი,
ილაპარაკე, რომ მწუხარე თავი დავხარო.
ორივე ხელით დაბორკილი, თმაჩამოშლილი
ზიხარ მიწაზე: ულეჩაქო, უტყვი, ნაგვემი,
სახე მუხლებში ჩაგიმალავს, წყნარად ცახცახებ.
შენ დაიბადე გამარჯვებისთვის და შენი გზები ბედმა არია...
იტირე, ჩემო დედოფალო, ო, იტალია.
თუნდაც ორ წყალუხვ ნაკადულად ამოწყაროვდეს



ჯაკომო ლეოპარდი (1798 -1837)
იტალიელი პოეტი, ფილოსოფოსი და ფილოლოგი

შენი თვალები, ვერ ჩარეცხავს საღამოისხანს
მწუხარებას, ტანჯვას და სირცხვილს.
დედოფალი ხომ მონად გაქციეს და მტარვალებმა დაგადეს ხუნდი...
სად გაქრა ძველთა ძლიერება და გულოვნება,
ამაყი სული და ხმა მყივარი,
ვინ დააბლაგვა ქარქაშებში მჭრელი მახვილი?
ამოგიკორტნეს ღვიძლი ყორნებმა,
ჩამოგახიეს ცბიერებით ოქროს სამოსი და სამკაული,
თვალჩაუწვდენი უსფკრულისაკენ დაქანდი ჩუმი და თავდახრილი.

მთარგმანელი თამაზ ბაძაღუა

ჩვენ და ტექსტი

შეადარეთ ერთმანეთს ჯაკომო ლეოპარდისა და გრიგოლ ორბელიანის ლექსები.

1. როგორაა მათში გამოხატული რომანტიკოსის დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი?
2. როგორია პოეტის დამოკიდებულება ოდესღაც ძლიერი და ახლა დაცემული საკუთარი ქვეყნის მიმართ?
3. რატომაა წარსული, თუნდაც დაკნინებული და ფერდაკარგული, მნიშვნელოვანი რომანტიკოსი პოეტისათვის?
4. რომელი რიტორიკული მიმართვები და რიტორიკული შეკითხვები გადმოსცემს გმირის დამოკიდებულებას მშობლიური ქვეყნისადმი?

გამოძახილი

წამყე ბეთანიისაკენ!

წამყე ბეთანიისაკენ! იქ სადღაცა,
ახლომახლო
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო.

გზაზე, სადაც ცაცხვებია და მუხნარი
უმეტესი,
არსად ქვეყნად არ მინახავს
ადგილები უკეთესი!

ადგილები ასე მშვენი ვარდისაგან,
იისაგან...
სანადირო ადგილები...
წამყე ბეთანიისაკენ!

მოდი, სადმე უდაბური ვპოვოთ
კუთხე ქედმომაღლო,
გადმოვხედოთ მაღლით თბილისს –
მე აქ უნდა დავესახლო!

წამყე ბეთანიისაკენ! იქ სადღაცა,
ახლომახლო
იყო ორბელიანების
და ირაკლის სამოსახლო.

გალაკტიონი

ჩვენ და ტექსტი

1. ეს ლექსი გრიგოლ ორბელიანის ლექსის, „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ – შორეული პოეტური გამოძახილია. იმსჯელეთ, რა განასხვავებს ამ ლექსის ლირიკულ გმირს რომანტიკოსი გმირისაგან?
2. რა ბადებს ამ ლექსში ხალისიან, იმედიან განწყობას?
3. როგორია ისტორიული წარსულისადმი ლექსის ლირიკული გმირის დამოკიდებულება?
4. როგორ ერწყმის ერთმანეთს ისტორია და თანადროულობა?

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსია

1. ნიჰილისტური და ოპტიმისტური პოზიციების დაპირისპირება – შეუძლია თუ არა საქართველოს დამოუკიდებლად არსებობა?

მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურის შესწავლა დავიწყეთ აკაკი ბაქრაძის ცნობილი წერილით „მეცხრამეტე საუკუნე“, რომელშიც ავტორი წერს: „მთელი მე-19 საუკუნის მანძილზე ქართულ აზროვნებაში ორი ნაკადი ებრძოდა ერთმანეთს – იმედი და ნიჰილიზმი. ყველაზე უფრო მტკივნეული ის იყო, რომ ნიჰილისტები არ ყოფილან ქართველი ხალხის მტრები. მათ უყვარდათ საქართველო, მაგრამ არ სწამდათ მისი ეროვნული ენერგია. ამიტომ სხვის იმედად ყოფნა ერჩიათ. ურწმუნოება კი გამოწვეული იყო ხანგრძლივი ეროვნული ჩაგვრით. ეს მკაფიოდ განმარტა გენერალმა ივანე აფხაზმა გრიგოლ ორბელიანთან საუბარში: „აწინდელი ჩვენი საზოგადოება არის მკვდარი მამულისათვის. ჰსცხოვნებენ უსაგნოდ, დაეხეტებიან უგზოდ... ყოველი ფიქრობს საკუთარი თავისასა სარგებლობისათვის, რომელისა მისაღებად არა მიხედვენ არცა სირცხვილსა, არცა უპატიურსა გზასა, ანგარება არის მათვის თაყვანსაცემი კერპი, რომლითაც გვეკარგება პატიოსნება. გარნა ნუ გგონია რომელ ესე იყოს ბუნებითი თვისება ქართველთა. არა! ესე არს მხოლოდ ნაყოფი ოცდაათის წლის მორჩილებისა“.

ა. **(ნიჰილისტური პოზიცია)** იმ დროს გავრცელებული ნიჰილისტური მსოფლმხედველობით, ჩვენ ქვეყანას უკვე აღარ ჰქონდა რესურსი დამოუკიდებლობისა. ამიტომაცო, ფიქრობდა გენერალი ივანე აფხაზი, რუსეთი თუ აქედან წავა, ეს ჩვენი ქვეყნისათვის უარესი იქნებაო.

ბ. **არსებობდა ამის საპირისპირო აზრიც** – მორჩილებას თავი შეიძლება დააღწიო მხოლოდ თავისუფლების მოპოვებით.

- იმსჯელეთ, თქვენ რომელ პოზიციას იზიარებთ?
- აქვს თუ არა რაიმე კავშირი ამ დილემას თანამედროვეობასთან?

დამატებითი რესურსები



გაეცანით კრიტიკოსისა და მწერლის, **აკაკი ბაქრაძის,** ერთ სატელევიზიო ინტერვიუს და იმსჯელეთ, როგორ გაგრძელდა ეს პრობლემა ჩვენს დროში.

ძლიერი მტერი და საქართველო

https://9nes.short.gy/NO6d3d

2. „მტრებზე შურისძიების“ თემა ქართულ ლიტერატურაში“ და დამოკიდებულება ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან

სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან **დავით გურამიშვილი, ილია ორბელიანი, გერონტი ქიქოძე, მუხრან მაჭავარიანი, აკა მორჩილაძე.**

გავიხსენოთ, ვისი წამოწყებული იყო რუსული სახელმწიფოს საფარქვეშ ქართველი ხალხის ისტორიულ მტრებზე „შურისძიების“ თემა? ასეთი დაფარული და იდეოლოგიური ბრძოლის დამადასტურებელი საბუთები, შესაძლოა, ისტორიაში არც ჩანდეს, თუმცა რუსეთის იმპერიის ეს კავკასიური იდეოლოგიური „წამოწყება“ დაცულია ქართულ ლიტერატურაში (გავიხსენოთ, რომ ლიტერატურა, ხშირად ისტორიული წყაროცაა).



ხელმწიფემ[1] ვახტანგს მისწერა: მოდი, მიგიჩნევ მამადო,
იესოს ქრისტეს მიენდევ, ნუ მოგატყუებს მამადო;
გიჯობს, მე ზურგი მომყუდო, გულზედა გული მამადო,
მერმე შენს მტერზე მიმიძღვე, ვით თივას ცეცხლებ მამადო.

ქართულმა, და არა მარტო ქართულმა, არისტოკრატიამ იდეა აიტაცა და „მამულისათვის თავგანწირული ბრძოლა“ გააგრძელა ისტორიულ „მტერთა“ წინააღმდეგ, რითაც, საბოლოო ჯამში, მხოლოდ რუსულმა იმპერიამ იხეირა.

მცირე ექსკურსი:

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როცა ერთიმეორის მიყოლებით გაუქმდა ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები, როცა ჩვენმა ქვეყანამ სახელმწიფოებრიობა დაკარგა და კავკასიაში რუსეთი მკვიდრდებოდა, ჩრდილოკავკასიელები ბრძოლას განაგრძობდნენ.

მართალია, მათი „დაცემა“ კიდევ უფრო გაუხსნიდა გზას კავკასიაში რუსულ სახელმწიფოს, მაგრამ ამაზე თითქმის არავინ ფიქრობდა. იმ ისტორიულ პერიოდში ჩრდილოკავკასიელთა მხრიდან ხშირი იყო ქართული სოფლების აწიოკება, საქონლისა და ქონების გატაცება, ქალებისა და ბავშვების ტყვედ წაყვანა (გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით). ბრძოლებში ფიზიკურად ჩაბმულ არისტოკრატიას აღარ რჩებოდა საკითხის ღრმად გააზრებისა და ყოველმხრივი განსჯის დრო, იგი იმით იყო დაკავებული, როგორ დაეცვა ქართული სოფლები, როგორ გამოეხსნა დატყვევებული ნათესავები, სად ეშოვა გამოსასყიდი თანხა. ამ პირობებში ნოყიერი ნიადაგი პოვა რუსული იმპერიის მიერ კავკასიაში გატარებულმა ხალხთა ურეთიერთდაპირისპირებისა და „მტერზე შურისძიების“ პოლიტიკამ. რუსული სახელმწიფო თავის იმპერიულ ზრახვებს კავკასიაში თვით ამ ხალხების ხელით ახორციელებდა.

შამილის ტყვეობასა და ჩრდილოკავკასიელთა მტრულ-მეგობრულ ურთიერთობაზე ყვება გრიგოლ ორბელიანის ძმა, ილიკო, თავის წიგნში „რვა თვე შამილის ტყვეობაში“. გაეცანით მას და იმსჯელეთ სადისკუსიო პრობლემის მტერ-მოყვრულ ასპექტებზე:

[1] **ხელმწიფემ** – აქ იგულისხმება რუსეთის იმპერატორი პეტრე I



ხარო, რომელიც ბნელ დილეგად გადაგვეშალა, სიღრმით ერთი საჟენი იქნებოდა და ნახევარი საჟენი სიგანით. ასე რომ, დასაძინებლად რომ ვწვებოდით, იძულებული ვიყავით, ერთმანეთზე ფეხები დაგვეწყო...

***

ჩვენთვის არც დილა იყო და არც საღამო, მხოლოდ, მოლას ხმაზე ვიგებდით, რომ გათენდა და ახალი დღე იწყებოდა. ამაოდ ვევედრებოდით შამილს, რომ რომელიმე ფარდულში გადავეყვანეთ, ან სახლში, მაგრამ არაფერმა გვიშველა.

***



შამილი და მიურიდები იდრისზე ნაკლებად როდი მომექცნენ: ჩემი ბარგი-ბარხანა, ტანისამოსი, ოქროს საათი, ორლულიანი თოფი, ორი დამბაჩა, მოვერცხლილი ხმალი, ხალიჩები, სპარსული შალი, სამასორმოცი მანეთი და ოთხი ცხენი დავლად დაიტოვეს. ასეთი ბედი ეწიათ სხვებსაც.

***

გამომეტყველი და წარმოსადეგი იყო მათი (ლეკთა) წინამძღოლი, თვითონ შამილი. მეტად მშვენიერი, თეთრი სახე, ოდნავ ნაყვავილარი, ცისფრად მოელვარე, ჭროღა თვალები, საიდანაც გამოკრთოდა შორსმჭვრეტელობა, ჭკუა-გონება და იმისი სულიერი სიძლიერე. ტუჩებზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა, ოდნავ გაპობილი ბაგედან ორი მწკრივი თეთრი კბილი მოუკრთოდა, რაც მოწმობდა მის ცბიერებასაც და გულკეთილობასაც. ინით შეღებილი წითური წვერიც ძალიან ამშვენებდა მის სახეს.

ტანად საშუალო იყო, ჩამკვრივებული, ლამაზად ჩასხმული, იყურებოდა მეტად ბრგედ, ვაჟკაცურად. ამ წარმოსადეგ ადამიანს ისე ეჭირა თავი, თითქოს 35 წლის ვაჟკაციაო, მაშინ, როცა ბევრად ხნიერი უნდა ყოფილიყო.

როდესაც პირველად თვალი შევავლე შამილს, მეტად მომეწონა თვითონაც, მისი... ჩაცმულობაც და შეიარაღებაც, რაც კიდევ უფრო აძლიერებდა მის ვაჟკაცურ სილამაზეს და სიკისკასეს.

***

...შამილი მდიდრულად ჩაცმული აღარ იყო, როგორც წინა დღეს. ირგვლივ მცველები ეხვია, გამზადებული იარაღი ხელთ ეჭირა, მრისხანედ მოგვმართა:

– თუ რუსები ჩემს შვილს დამიბრუნებენ, თბილისში გაგიშვებთ, არადა, აქვე აგჩეხავთ ყველას და ჯოჯოხეთში გიკრავთ თავს.

– შამილ, – მივუგე მე, – აქ ორჯერ და სამჯერ მეტი ტყვეებიც რომ გყოლოდით, ჩვენი მთავრობის წარმომადგენლები მაინც არ დასთანხმდებოდნენ შენს წინადადებას. ხელმწიფე ჩვენი დიდად აფასებს ჩვენს სიცოცხლეს, თუმცა მას ერთ საათში შეუძლიან თითოეული ჩვენგანი სხვა ასეულებით შეავსოს, მაგრამ სახელმწიფოს კეთილდღეობა ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ჩვენი სიცოცხლე, ამიტომ აზრადაც ნუ მოგივა, რომ ჩვენზე შენი შვილი გადასცვალო. უმჯობესია, ის მოგვთხოვო, რისი გაკეთებაც ჩვენ შეგვეძლება, ან უფროსებს. გენერალმა ფეზემ ონსოქოლოში შენი ორასამდე კაცი ტყვედ წაასხა და, აი, იქიდან შეიძლება რამდენიმე მათგანი გადასცვალოს ჩვენზე. ახლა, რაც გენებოს, ის გვიყავი, გინდა, აგვჩეხე, გინდა, ცოცხლები გაგვიშვი, მაგრამ იმის იმედი ნუ გექნება, რომ შენი შვილი დაგიბრუნონ.

მან გაიღიმა და თქვა:

– კეთილი, არ დაგხოცავთ, წადით დორღოში, იქ მოვილაპარაკოთ.

***

– შამილ, მივმართე ერთხელ იმამს, – რა სარგებლობა გაქვთ თქვენ, მთიელებს, ჩვენ წინააღმდეგ ომისგან. ადრე თუ გვიან, რუსის ჯარი დაგიმორჩილებთ. ეს ბრძოლები კი გაგაღარიბებთ და სიდუხჭირეში გამყოფებთ.

...

– მე მინდა, დაგაუძლუროთ თქვენ, – მიპასუხა შამილმა, – რომ არ გაგვექცეთ და ამით არ წამერთვას შვილის ნახვის შესაძლებლობა. მინდა გაწვალო თუნდაც იმის გამო, რომ ერეკლე მეორის შვილიშვილი ხარ. თუკი შენზე არ გადამიცვლიან შვილს ან დისწულს, დიდძალ ოქროსა და ვერცხლს ხომ მომცემენ?

მე ვარწმუნებდი, რომ არავითარი სიმდიდრე არ გამაჩნდა.

***

კარატაში ვნახე მრავალი საცოდავი ქართველი ბავშვი, რომლებიც ლეკებს კახეთიდან გამოეტაცნათ. როდესაც თანამემამულე დამინახეს, შემომეხვივნენ, სამშობლო გაიხსენეს და მწარედ ატირდნენ.

***

ბოლოს, როგორც იყო, დადგა ეს კურთხეული განთავისუფლების საათიც. ერთ საღამოს ჯემალ-ედინი გაბრწყინებული სახით მოვიდა ჩვენთან და აღტაცებით მეუბნება:

– ხვალ შენს სამშობლოში იქნები!

მეორე დღეს მინახულა, თავისთან წამიყვანა და ჩაით გამიმასპინძლდა. შემდეგ ერთად წავედით შამილთან, რომელმაც გზა დამილოცა და მითხრა:

– ახლა ჩვენ მეგობრები ვართ, ნათესავები... როდესაც გინდოდეს, მოდი ყონაღად. შენ აქ ჩემთან არავითარი საფრთხე არ გელის და ისე მიგიღებ, როგორც საკუთარ შვილს...

1843 წელი

საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის წიგნის მოყვარულთა საზოგადოება

თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო ელიზბარ უბილავამ

თბილისი, 1991წ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ქართულ არისტოკრატიაში ძალზე პოპულარული იყო ქართული სახელმწიფოს „ისტორიული მტრების“ წინააღმდეგ „შურისძიების“ თემა. რუსეთი ამას მშვენივრად იყენებდა კავკასიაში დაპყრობითი ომების წარმოების დროს. ქართულ არისტოკრატიას ისტორიულ მტრებთან რუსეთის სახელმწიფოს ბრძოლაში დაღვრილი სისხლი მამულისათვის გაღებულ ღვაწლად მიაჩნდა, „ქართული გულანთებული პატრიოტიზმი“ რუსულ საქმეს ხმარდებოდა.

მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი...
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ...

მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს,
სისხლ-შემოსილი მამული თვისი
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა –
ენა, საყდარი, სარწმუნოება!

ასე მიმართავდა გრიგოლ ორბელიანი მომავალ თაობას.

მოვუსმინოთ სადისკუსიო კლუბის სტუმრებს:

„გრიგოლ ორბელიანი თავისუფალია ყოველგვარი სენტიმენტალობისგან მეამბოხე მტრის მიმართ... 1848 წლის ივლისში რუსის ჯარმა, გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით, სოფელი გერგებილი აიღო... ილია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ის წერს: „სოფელი ისე დავანგრიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე, ბაღებიც გავკაფეთ...“

... ეს სიმკაცრე მას არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ზნეობრივადაც მიაჩნდა, იმიტომ რომ ლეკებს წარსულში ქართველი ერის წინაშე, მისი აზრით, დიდი დანაშაული მიუძღოდათ: „ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია“, წერს იგი“.

გერონტი ქიქოძე

დამატებითი რესურსები

გრიგოლ ორბელიანსაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა ჩრდილოკავკასიელებთან, შამილთან.

მისი შინაგანი გაორების გარეგნული გამოხატულება იყო თუნდაც ის, რომ მას კაბინეტში ეკიდა ბარიატინსკის, ვორონცოვისა და შამილის სურათები.

„კაი დარბაისელი კაცი ყოფილა“, – წერს შამილზე თავის ახლობელს გრიგოლ ორბელიანი...

ამის შესახებ იხ. აკა მორჩილაძე „დაკარგული წიგნები“, იონა მეუნარგია „ცხოვრება და ღვაწლი გრიგოლ ორბელიანისა“, სერია VII.

https://9nes.short.gy/MON0kR

დისკუსიას ასრულებს მუხრან მაჭავარიანი ლექსით, რომელშიც შეულამაზებლად, პირდაპირაა ასახული ქართველთა და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ისტორიის ტრაგიკული მომენტები, რითაც საბოლოოდ ორივე ხალხი დაზარალდა.

მუხრან მაჭავარიანი – „ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა“



ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, –
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოლმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“,
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

აი, ის კაცი მართლა ჯიგრიანი;
ფართო მკერდი ჰქონდა და მკლავები ღონიერი.
დარიალის ხეობაში თერგივით იღრიალა:
ორბელიანი იყო და... სიმძლავრე ორი ერის: –

სიმძლავრე პეტერბურღის – ვითარცა ღენერალი,
ვითარცა პოეტი – სიმძლავრე ქართველთა.
იმ სისხლით „სადღეგრძელოს“ სწერდა აუღელვებარი,
იმ სისხლით – დაღესტანში ლეკებს რომ ადენდა.

ცივი ქუჩები პეტერბურღის შემოიარა რა, –
ყაბახს უხსენებდა და უქებდა დისწული კოჭლი.
ბოღმა და ღიმილი გადმობღერტა „ჩემო იარალად“,
პეტერბურღში ინატრა ნიავი კოჯრის.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

გრიგოლ ორბელიანი და თანამედროვეობა

1. ინტერვიუ მწერალთან...

ორბელიანი თანამედროვეობის პრობლემებზე

გამოკვეთეთ თანამედროვეობისათვის მნიშვნელოვანი რაიმე პრობლემა, რომლის შესახებაც გაინტერესებთ მწერლის აზრი და მოამზადეთ ინტერვიუ მასთან.

იხ. ნიმუში... ინტერვიუ 3D ფორმატში მოამზადეს ნიუტონის სკოლის მოსწავლეებმა.

https://9nes.short.gy/WZ8KBs

ოსტატობის სკოლა

1. შექმენით გრიგოლ ორბელიანის ლიტერატურული პორტრეტი;
2. შეარჩიეთ ერთ-ერთი პრობლემა და დაწერეთ ანალიტიკური ესე, რომელშიც გამოიყენებთ გრიგოლ ორბელიანის ლექსებსა და სახელმძღვანელოში მოყვანილ ლიტერატურულ პარალელებს.
   - დამოკიდებულება ისტორიული წარსულისადმი;
   - მშობლიური ქვეყანა რომანტიკოსი პოეტის ლექსებში;
   - სიყვარული რომანტიკოსი პოეტის ლექსებში.
3. დაწერეთ ესე – „გაორებული თაობის ტრაგედია“

დაწერეთ სამნაწილიანი ანალიტიკური ესე, რომელშიც სასურველია, გააანალიზოთ;

- რამ გამოიწვია მთელი თაობის მსოფლმხედველობრივი გაორება, რატომ თვლიდა ზოგიერთი მოღვაწე რუსეთის სახელმწიფოსათვის გაწეულ სამხედროო სამსახურს ქართულ ეროვნულ საქმედ და რა წინააღმდეგობას ქმნიდა ეს?
- მიმოიხილავთ იმ პერიოდში გარცელებულ თვალსაზრისებს და გამოკვეთთ საკუთარ პოზიციას;
- დააკავშირებთ იმდროინდელ პრობლემატიკას თანამერდოვეობასთან.

ესეში შგიძლიათ გამოიყენოთ ამონარიდები ლირერატურათმცოდნეთა ნაშრომებიდან.

წაკითხვამდე

ჩვენი ვარაუდები

ნიკოლოზ ბარათაშვილის რამდენიმე ნაწარმოებს თქვენ უკვე იცნობთ. იმსჯელეთ ამ პარაგრაფის სათაურზე. რას ნიშნავს უსაზღვროება და რას უნდა გულისხმობდეს ის პოეზიასთან კავშირში? ამ პოეტის თქვენთვის ცნობილი ნაწარმოებების მიხედვით, რა შეიძლება ითქვას ამ კუთხით?

როგორ ვიკითხოთ

რამდენიმე რჩევა, თუ როგორ ვიკითხოთ ბარათაშვილის შემოქმედება.

არსებობს ნაწარმოებები, რომელთა შესწავლისას საგანგებოდ ვჩერდებით ხოლმე რაიმე კონკრეტულ ისტორიულ მოვლენაზე, რადგან ამ კონკრეტული მასალის გარეშე შეუძლებელია ტექსტის გააზრება. ასეთი ნაწარმოებები ბარათაშვილსაც აქვს, მაგ., თქვენ მიერ უკვე შესწავლილი „ბედი ქართლისა“ სწორედ კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებს აცოცხლებს და, ბუნებრივია, ისტორიული პერიპეტიების ცოდნის გარეშე ტექსტის აღქმა გაჭირდება, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი ნაწარმოებები არ ეტევა კონკრეტული დროისა და ეპოქის ვიწრო ჩარჩოებში.

ბარათაშვილის შემოქმედება მარადიულ კითხვებზე ჩაფიქრებული, მაძიებელი გმირის ცხოვრების გზაა, ეს გზა კი დროსა და სივრცეში ჩატეული ვერ იქნება, რადგან ეს გმირი ყველგან და ყველა დროში არსებობს, ეძიებს, ებრძვის ბედისწერას და მარადიულობისკენ მიისწრაფვის. წარმოდგენაში რომ შევეცადოთ, დავალაგოთ, რა გზა გაიარა ამ მაძიებელმა გმირმა მსოფლიო ლიტერატურაში, ასეთი არასრული ჩამონათვალი გამოგვივა:

- უკვდავების (უკვდავების წყაროს, ოქროსთმიანი მზეთუნახავის, მზის ქვეყნის) მაძიებელი ზღაპრის გმირი;
- ჭეშმარიტების მაძიებელი გმირი, რომელმაც ამ ჭეშმარიტებისათვის ყველაფერი მიატოვა – მშობლიური სახლი, მშობლები, და-ძმა, ტოლ-მეგობრები, ახლობლები... (უდაბნოში მოხეტიალე პილიგრიმი; განმარტოებული, ცხოვრების საზრისზე ჩაფიქრებული მწირი);
- ამავე დროს, აქტიური მებრძოლი, მოჯანყე გმირი, რომელიც არამიწიერ სიძნელეებსაც არ უშინდება...

ასეთი ტექსტები სწორედ ისე უნდა ვიკითხოთ, როგორც იწერება – რეალობისა და მისტიკის, ამქვეყნიური ყოფისა და მარადიულობის მიჯნაზე.

შეიძლება ესა თუ ის ნაწარმოები კონკრეტულ მოვლენას ან ფაქტს ეძღვნებოდეს, ამა თუ იმ მოვლენაზე დაიწეროს, მაგრამ იმდენად დაშორებული აღმოჩნდეს ყოველდღიურ ყოფით გარემოს და იმდენად ღრმად გადავიდეს მარადიული ძიების სფეროში, რომ მისი მიწიერი საწყისი აღარც კი ჩანდეს, მაგ., თქვენ შეისწავლით „მერანს“, ლექსს, რომლის საწყისი იმპულსი მწერლის დედის ძმის გატაცება და დატყვევება გახდა, თუმცა ლექსში კონკრეტულად ამაზე არც არის საუბარი, ანდა შეისწავლით ლექსს „ცისა ფერს“, რომელშიც მხოლოდ სატრფოს (და ისიც კონკრეტული ცისფერთვალება ქალის) აღმოჩენა ძალიან გაჭირდება.



პლატონი, გამოქვაბული

ბარათაშვილის შემოქმედების გასაღებად კარგი იქნება, თუ ძველი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის, გამოქვებულის მითს გავიხსენებთ. აქ ადამიანები სხედან გამოქვაბულში, შესასვლელიდან ზურგით და გამოქვაბულის ერთ კედელს უყურებენ. შესასვლელიდან სინათლე შემოდის და კედელზე, რომელსაც აქ მსხდომი ადამიანები უყურებენ, გარესამყაროს ჩრდილები ირეკლება. შიგნით მსხდომთ ეს ჩრდილები რეალობა ჰგონიათ.

გამოქვაბულის ერთ-ერთი ბინადარი შემთხვევით გაიხედავს სინათლისაკენ. იგი არ ეგუება გამოქვაბულის მკვიდრის უსაფრთხო, მაგრამ უმიზნო ყოფას, უჯანყდება გამოქვაბულის ადამიანის ერთხელ უკვე დაკანონებულ რუტინულ ხვედრს, ტოვებს ამ ადგილს და გადის რეალურ სამყაროში. თავდაპირველად, ნათლისგან თვალმოჭრილს, მხედველობა უჭირს, თუმცა მალე წარმტაც სამყაროს აღმოაჩენს. იწყება ძიების გზა...

მას შემდეგ, რაც გამოქვაბულიდან გასული ადამიანი შეიმეცნებს ამ ახალ სამყაროს, იგი ბრუნდება გამოქვაბულში, რათა თავისი აღმოჩენა სხვებსაც გაუზიაროს, მაგრამ ადამიანები მას არ ღებულობენ და კლავენ...

პლატონის ეს უძველესი ალეგორია ერთგვარი მეგზურია ბარათაშვილის შემოქმედებაში, რადგან პოეტის ლირიკული გმირის ცხოვრების გზაც სწორედ ჭეშმარიტებისა და მარადიულობის მაძიებელი გმირის გზაა.

ზეპირმეტყველების გაკვეთილები

ესკიზები პოეტის პორტრეტისათვის

წინა წლებში შესწავლილი ან თქვენთვის ნაცნობი ნაწარმოებებიდან და ბიოგრაფიული დეტალებიდან გამომდინარე, ისაუბრეთ, როგორ პიროვნებად გესახებათ ბარათაშვილი?

შეეცადეთ, გამოსვლაში წარმოაჩინოთ მისი პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურებანი.

ბიოგრაფია წერილებში

წაიკითხეთ მწერლის რამდენიმე წერილი და შეეცადეთ, ამ წერილების მიხედვით აღადგინოთ მწერლის ცხოვრების გზა.

წერილი გრიგოლ ორბელიანისადმი

„საყვარელო ძიავ! გთხოვთ, მომიტევოთ ესდენ ხანს ჩემგან მოუწერლობა; ეს გარემოების ბრალია....

აგერ წელიწად-ნახევარია, რაც მე გიმნაზიაში კურსი დავასრულე და ვიმყოფები სუდაირასპრავაში[1]. წარდგენილი ვარ ჩინზედ და ჩქარაც მოველი. მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ არც პანსიონში ყოფნის დროს...და არც მერმე, ვიდრე სამსახურში შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქამომდენ და ახლაც ხანდისხან კიდევ შთამომეპარება ხვალმე გულში. მაშ, რაღამ დამიშალა, თუ კი ჩემი სურვილი იყო? აი, რამ დამიშალა: ჩემთა მშობელთა მიზეზად ეს მომიდეს, რომ, კოჭლი ხარო, და, თუ არ ინვალიდის კომანდაში, სხვაგან არ მოგიღებენო, მაშინ როდესაც ფერხი უკეთ მქონდა და კარგადაც მაქვს. ასე რომ, ჩემებურად კიდეც ვჰხტი და კიდეც ვტანცაობ. მაგრამ რადგანაც შევიტყვე უარი მათი და მით უსიამოვნობა, ვსთხოვე უნივერსიტეტში მაინც გაგზავნა, რომ, თუ შტატსკი[2] ვიყო, ვიყო... არც ეს შემისრულეს. უბედურების გამო მამაც ამ დროს ავად შეიქმნა და ავადმყოფი ჩემს თხოვნაზე ასე მეტყოდა: „შვილო, ხომ ჰხედავ შენის სახლის გარემოებასო, შენს სახლს არ უპატრონებო!“ ამის შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდე შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით.

დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალ მე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება...

...ამ წარსულს ზაფხულში, ერთ მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმა მშვენებამ, სატრფოთ მარაქამ, მათმან უნინდელებრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ფიქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, მერწმუნენით, თქვენ მომაგონდით... და მაშინვე განვიზრახე, რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გავუგზავნი ძია გრიგორის-მეთქი, და კიდეც აღვასრულე:...

შენი არს ყაბახი. ძიავ, შენ გიყვარს იგი და ამისთვის მასზედ წარმოებული შემთხვევაც შენ მოგეძღვნის, აი:



კრისტოფორო დე კასტელი „ყაბახი ქუთაისში“

[1] **სუდაირასპრავა** – რუსული სიტყვათშთანხება, ბარათაშვილის სამსახურის იმხანად მიღებული დასახელება.
2 **შტატსკი** – რუს. სამოქალაქო პირი.

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან;
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დაგიხშო ეტლმან[1]!

მაგრამ გაჩნს კიდევც გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგიც და ავი,
თუმც უცხო და შორს თემად იარე,
მრავალი კარგი ჰნახე ამბავი. –

მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს?
აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზებდენ შენს ყაბახს ამოს,
შენის სიყრმისა თან-ზრდილნი სწორნი.
მიყვარს ყაბახო, მყუდროება ღამისა შენის...

გრიგოლ ორბელიანისადმი

ძმაო გრიგოლ, ტფილისის ამბავი მაგთენი არაფერია...

სხვა, ტფილისი ისევ ის ქალაქია, უსარგებლო გონების და გულისათვის. ერთი ნუგეში ეს არის, რომ მშვენიერი დარებია.

ლიტერატურა ჩვენი ღვთით დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურითგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამეულს ენას, რაოდენიცა ძალ-უძთ. ესე საზოგადო სული ბუნებითის ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არა სძინავთ გონებით!

ამ მცირეს ხანში ერთი ლექსი დავწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი ჰაზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა.

[მოყვანილია მთლიანად ლექსი „ვპოვე ტაძარი“]

ჩვენიანებმა ყველამ მოგიკითხეს. მშვიდობით. ძალიან მინდა შენი ნახვა.

შენი ნ. ბარათაშვილი

მაიკო ორბელიანისადმი

საყვარელო დაო მაიკო[2]

...

გოლოვინის[3] ცოლი წავიდა და დარჩნენ ჩვენი ქალები მოწყენილნი. ხანდისხან ოხვრით მოიგონებენ იმის სახლში გატარებულს დროებს, თუმცა ოხვრის მიზეზი ყველასი ერთი არ არის. მხოლოდ გუშინსწინ იყო ვეჩერი[4] შინაური, მაგრამ ძალიან მხიარული.

---

[1] **ეტლი** – იგულისხმება ბედისწერა; ბედის ეტლი

[2] **მაიკო** – იგულისხმება მაიკო ორბელიანი, ქაიხოსრო ორბელიანის ასული, და მიხეილ ორბელიანისა, ლევან მელიქიშვილის დანიშნული, ბარათაშვილის უახლოესი მეგობარი და ნათესავი. პოეტი მას ყოველთვის უმხელდა თავის გულისნადებს. როგორც ირკვევა, სწორედ მაიკოსთვის გაუნდია, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულზე, ეკატერინეზე, იყო უიმედოდ შეყვარებული.

[3] **გოლოვინი ევგენი ალექსანდრეს ძე** – გენერალი, კავკასიის მთავარმართებელი 1838-1842 წლებში.

[4] **ვეჩერი** – (რუს.) საღამო.

ტასოს[1] დღეობა იყო და ელენეს[2] სახლში გარდაიხადეს. მე, სწორე გითხრა, მეტად გავმხიარულდი, სრულიად უმიზეზოდ, უანგარიშოდ, ისე, მეც არ მოველოდი. ბევრჯერ მოგიგონე, დიდად მინდოდა, რომ იმ დროს აქ ყოფილიყავ. მაგრამ სულ ამაოა ჩემთვის.

ეს ღამეც წავიდა, ვითარცა სიზმარი. კიდევ მამნახა ჩემმა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმისი სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყანაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იცი, დიდიხანია ობოლი ვარ. არ დაიჯერებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენი და მაინც კიდევ ვერვის მიჰკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში! ვინც მაღალის გრძნობის მექონი მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არ ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭად, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლნი მეგონებოდენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვენიერის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანნი ცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვენოს სულმა, სად მიიდრიკოს თავი? ვიცი, გაიცინებ, ასე გეგონება, დამწვარი ვლაპარაკობ. ჭეშმარიტად, მაიკო, ასე გულცივად ჯერ განსჯა არა მქონია. ასეთი თავისუფალი ფიქრი მაქვს და ასეთი მტკიცე გული, რომ სამოცი წლის მოხუციც ვერ იქნება ჩემისთანა უსყიდელი მსაჯული. მოიგონე ცოტასხანს დრონი წარსულნი და მაშინ შემიბრალებ. ყმაწვილობითვე შეჩვეული რაზედმე სული ძნელადღა გარდაიცვლის ჩვეულებას და, ვიდრემდის სრულიად გარდაეჩვევა, მწარეა ტანჯვა და ბრძოლა მისი.

„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“

შენი ავადმყოფობა შევიტყვე, რა დაგემართა? თუ ფიქრობ, ასეთს რას იფიქრებ, რომ ბოლო არა ჰქონდეს, ასეთს რას მიიღებ, რო არ დაკარგო? მიჩვენე კაცი, რომ მადლიერი იყოს ამ წუთის სოფლისა. დაიმარხე მშვენიერება სულისა, უმანკოება გულისა! აი, ჭეშმარიტი ბედნიერება, უმაღლესი სიამე, რომელსაც კი კაცი წაიღებს ამ სოფლისაგან. სხვათა ბედნიერებათა სოფლისათა უყურე გულგრილად, ამაყად და გრწამდეს, რომ იგინი შეურჩენელნი არიან! თუმცა აქიმბაში არა ვარ, მაგრამ ეს წამალი სიზმარშიც მაქვს ნასწავლი და, თუ დამიჯერებ, იმედი მაქვს, რომ გარგოს. გემდურები, რომ წიგნს არა მწერ; ხომ იცი, მეამება, თუ მეტადრე ბევრ ამბებსაც მამწერ...

შენი მარად ერთგული ძმა ნიკოლოზ ბარათაშვილი

საყვარელო ძმაო გრიგოლ!

ილია მართლა ტყვედ არის შამილთან!

ეს ამბავი ადრევე მინდოდა მომეწერა შენთვის, მაგრამ ჯერ კიდევ ყველას იმედი გვქონდა, რომ ეს ხმა ტყუილი იქნებოდა....

ლუკამ, რომელმანც ეს ამბავი მოიტანა და რომელიც დამსწრე ყოფილა ილიას დაჭერაში, აი, რა ილაპარაკა: ილიკო რომ დაუჭერიათ, სინაქსაროვი[3] და ყაზიყუმიხის ხანი

---

[1] **ტასო** – მანანა ორბელიანის ასული – ანასტასია ორბელიანი, მისთხოვდა ქ. ქუთაისის გუბერნატორს, ალექსანდრე ივანეს ძე გაგარინს.

[2] **ელენე** – ელენე ორბელიანი-ერისთავისა, პოლკოვნიკ ზ. ერისთავის მეუღლე.

[3] **სინაქსაროვი** – რუსი თავადი.

დაჭერილები ყოფილან. მეორე დღეს შემოსულა ანდალალში[1] თვითონ შამილ. ტყვეები წარუდგენიათ. შამილ ახმეტ ხანზედ ძალიან გაბრაზებული თურმეა და... უწყალოდ... მოჰქცევია ავარელებს. აი, ილიკოს რა უთქვამს შამილისთვის: „შამილ! როგორ ეკადრება შენს სახელს მაგისთანა უწყალოება! თუ გინდა, მაგით შეაშინო ვინმე, ვინ უნდა შეაშინო? ყველანი სიკვდილის შვილები ვართ. ჭეშმარიტად, ახლა მეც სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნას!“ ვითომც შამილს სდომნებია ილიას გამოშვება, მაგრამ, ესე ყოჩაღად რომ უნახავს და ამის გვარისშვილობაც შეუტყვია, უფიქრია, რომ ეს კარგი ოფიცერი უნდა იყოსო და იქნება რუსებმა ჩემს შვილში გამიცვალონო. მაშინ შამილს უთქვამს ტყვეებისათვის – ილიას და სინაქსაროვისათვის, რომ თქვენ ნურა გეფიქრებათო, მაგრამ თქვენს მამულს ვერა ნახავთ, ვიდრე ხელმწიფე ჩემს შვილს არ მომცემსო. ახლა ილიკო დარღოშია, სადაც შამილის ცოლ-შვილია და სიმაგრე, და კარგადაც თურმე ინახავს. ასე გასინჯე, გოლოვინის ცოლმაც კი თქვა, რომ: მე ყოველთვის იმედი მქონდა, რომ ქართველი მაგისთანა პასუხს მისცემდაო, ვითომც ილიას რომ უთქვამს, სიკვდილი მირჩევნია შენს ხელში ყოფნასო.

მახლას, ილიკო ყოჩაღად ყოფილა... ზოგჯერ ამისთანა შემთხვევაც კარგია კაცის სიცოცხლეში. ეს არის, რომ იქნება ჩვენ დაგვიგვიანდეს ილიას ნახვა, თვარემ იმას ამ ტყვეობით არა უშავს რა.....

პოეტს ილიას დაბრუნების იმედი აქვს, მაგრამ თან შიშობს, ვაითუ, ტყვეობა გაუგრძელდეს და დაიღუპოს, ან თვით შამილმა საერთოდ არ მოისურვოს მისი გათავისუფლებაო. როგორც ჩანს, ამას სწერდა კიდეც გრიგოლ ორბელიანს, თუმცა მერე თავისივე ნაწერი საგულდაგულოდ გადაუშლია და წერილს „მერანს“ ურთავს.

არ ვიცი, ეს ლექსები როგორ მოგეწონება. აქ კი ბევრი ცრემლი, ტყუილი და მართალი დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია, იმიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და არა მე. ილიას დაჭერა რომ შევიტყე, სწორე გითხრა, ძალიან შევწუხდი, ასე რომ, სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა**. ბოლოს მესამეს დღეს ეს ლექსები დავწერე და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო...

ძმაო გრიგოლ, ყოველივე სოფელში ღვთის ნებაა და მწუხარებით, თვითონ იცი, ვერას ვუშველით ილიკოს. ჩვენი საფიქრებელი ეს არის, რომ ვიღონოთ რამ იმის გამოხსნისათვის.

„საყვარელო ძმაო გრიგოლ, არა, უკაცრავად, მთავარო ავარისაო, ემირ-ავარო, ატტილას ტახტზედ მჯდომარეო!

ჭეშმარიტად, არ ვიცი, მე ვარ დამნაშავე შენთან მოუწერლობისა თუ არა? ვისთანაც შენგან მოწერილი წიგნი წავიკითხე, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა; ჩემთან რომ ფარატინი გამოგეგზავნა, ისიც დაპირების მეტი არა იყო რა. მე... მინდა შენთან ლაპარაკი და ხომ იცი, საწყინოა ამისთანა ლაპარაკის გაცრუება. საკვირველია, რომ ქართველ კაცს, რაოდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქმნეს, არა აქვს ეს შორსმხედველობა, რომ, როდესაც დაატყოს თავის თავს ვბერდებიო, ჰპოვოს თავის მემკვიდრედ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და, როდესაც თვითონ დაეცეს (საბოლოო არა არის რა ამ საწუთროში), მაშინ მაინც კიდევ ჰქონდეს შემძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მემკვიდრის შუამავლობით! ახლა მე იმას ვამ-

[1] **ანდალალი** – ადგილი დაღესტანში, სადაც ტყვეები ჰყავდათ.

ბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისთვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილას. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა! ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის; ეცადე, რომა რენენკამფთან დამანიშვნინო. ხომ ამ პირობით წახველ, რომ ეს მოგეხდინა ჩემთვის? ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება.. მე ეხლავ მიტყობს გული, რომ ჩემს ამ მხურვალე განსჯას გამიტრიზავებ; ემირობა მასხრად აიგდე და მომავლის დიდების ფიქრს რას უზავ? სხვებრ შენ იცი...“

ჩვენ და ტექსტი

1. ერთ-ერთ წერილში ნიკოლოზ ბარათაშვილი წერს, თუ რა გეგმები ჰქონდა მას გიმნაზიის დასრულების შემდეგ. როგორ გგონიათ, იგი უბრალოდ უზიარებს ბიძას საკუთარ ფიქრებს თუ დახმარებას სთხოვს? რატომ ფიქრობთ ასე?
2. „დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დავუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დავაპირებ ხვალმე მასთან შებმას: ან ჩემი ბედი, ან ჩემი სურვილის აღსრულება...“ როგორ ჩანს ამ სიტყვებში ახალგაზრდა ბარათაშვილის სურვილებისა და რეალობის შეუთავსებლობა?
3. რა განცდებს აღძრავს ყაბახი ახალგაზრდა კაცის წარმოდგენებში? როგორ გგონიათ, ეს მომავალი სამხედროს ფიქრებია თუ პოეტისა?
4. მოძებნეთ ყაბახისადმი მიძღვნილ ლექსში სტრიქონები, რომლებშიც პოეტი შეახსენებს ასაკით თავისზე უფროს და ცხოვრებისეული კარიერის ზენიტში მყოფ ბიძას, რომ, რაღაც თვალსაზრისით, თავად გრიგოლიც წარუმატებელი და ხელმოცარულია. ახსენით ამის მიზეზი;
5. როგორ ახასიათებს ავტორი თბილისს? ახალი თაობის ლიტერატურულ და კარიერულ ინტერესებს? შეადარეთ, აქვს თუ არა თქვენს თაობას ამგვარი პრობლემები და ინტერესები?
6. ბარათაშვილის რომელი სულიერი განცდები ჩანს მაიკო ორბელიანისთვის მიწერილ წერილში? როგორ გგონიათ, რა არის პოეტის ამგვარი განწყობილების მიზეზი?
7. რომელ სტრიქონებში ჩანს გულგატეხილობა, იმედგაცრუება? თქვენი აზრით, ეს ერთ კონკრეტულ ადამიანში დაეჭვების შედეგია, თუ საზოგადოების მიმართ ამგვარ გაუცხოებას, ამგვარ მარტოსულობას სხვა უფრო დიდი მიზეზიც აქვს?
8. რა განცდები გამოიწვია პოეტში შამილის მიერ მისი დედის ძმის, ილიას, დატყვევებამ? მოძებნეთ სტრიქონები, რომლებშიც ჩანს, თუ როგორ ებრძვის ერთმანეთს პოეტის არსებაში ადამიანური შიში, წუხილი ახლობლის ბედზე და სიამაყე. რა იძლევა სიამაყის საფუძველს?
9. ილია ორბელიანის ტყვეობასთან დაკავშირებულ წერილს ორი შინაარსი აქვს. რეალური ამბავი, თავისი სიუჟეტით – „შამილის ხალხმა ქართველთა ერთი ჯგუფი ტყვედ აიყვანა, მათ შორის იყო ნიკოლოზ ბარათაშვილის ბიძა ილია და ა. შ.“ და მეორე – დაფიქრება მარადიულ კითხვებზე, მაძიებელი გმირის შინაგანი ჩაღრმავება, მისი სულიერი მოძრაობა. იმსჯელეთ, როგორაა გადმოცემული ეს „ორი შინაარსი“ წერილში?
10. რომელია გრიგოლ ორბელიანისთვის მიწერილი ყველაზე „სუსხიანი“ წერილი? რას საყვედურობს პოეტი მას?

11. რას ამბობს ბარათაშვილი საკუთარ ხვედრსა და ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დამკვიდრებაზე, როგორ ცდილობს იგი, თავი დააღწიოს მისთვის შეუფერებელ ხვედრს? როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ მოახერხა თუ არა მან ეს?

12. იმსჯელეთ, პოეტის როგორი პორტრეტი იქმნება ამ პირად წერილებში? მისი ხასიათის რომელი თვისებები ჩანს ამ ნაწყვეტებში?

13. ემთხვევა თუ არა პირად წერილებში გადმოცემული პოეტის სახე იმ შთაბეჭდილებებსა და მოლოდინებს, რომლებიც წინა წლებში მისი შემოქმედების გაცნობისას ჩამოგიყალიბდათ?

წაკითხვამდე

გაეცანით გერონტი ქიქოძის ესეს ნიკოლოზ ბარათაშვილზე, იმსჯელეთ, რაში თანხვდება თქვენი და ესეს ავტორის ხედვა და რაში გაქვთ განსხვავებული პოზიციები?

ტექსტების სამყაროში



ნიკოლოზ ბარათაშვილი
1817–1845

ავტორის შესახებ

თუ გრიგოლ ორბელიანი დიდ ბავშვად დარჩა სიკვდილამდე, მისი დისწული, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ნაოჭებიანი შუბლით დაიბადა. ეს არა იმდენად ნაადრევი სიბერით, რამდენადაც ფილოსოფიური დაფიქრებით გამოწვეული ნაოჭებია. ის მოაზროვნე პოეტია, იმ ხაზის გამგრძელებელი, რომელიც ქართულ მწერლობაში შოთა რუსთაველმა დაიწყო და დავით გურამიშვილმა განავითარა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ყველაზე დეკლასიურია[1] ქართველ რომანტიკოსებს შორის. ის მეტად ახლოს დგას ერეკლე მეორის ეპოქასთან, დედის ხაზით დანათესავებულიც არის მეფის ოჯახთან, ამიტომ განსაკუთრებით მწვავედ განიცდის თავის ოჯახის გაღარიბებას, რაც ნაწილობრივ მამამისის ხელგაშლილი ცხოვრებით იყო გამოწვეული. პირველდაწყებითი განათლება მან კალოუბნის სამრევლო სკოლაში მიიღო. აქ ის ღია ცის ქვეშ სწავლობდა, როგორც ძველ საბერძნეთში ლიცეუმების და გიმნაზიების მოწაფეები სწავლობდნენ, ხოლო სწავლის გადასახადს ნატურით იხდიდა შუა საუკუნეების სკოლარივით. 1832 წელს ის ჯერ კიდევ თექვსმეტი წლის ჭაბუკი რომ არ ყოფილიყო, ალბათ მონაწილეობას მიიღებდა რუსეთის საწინააღმდეგო შეთქმულებაში. მან ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოამჟღავნა ოპოზიციური სული. მისი მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი[2]

[1] **დეკლასიური** – თავისი კლასის, წრისგან განსხვავებული, დაბალ საფეხურზე გადასული.

[2] **სოლომონ დოდაშვილი** (1805–1836) – ფილოსოფოსი, პედაგოგი, პროზაიკოსი. 1832 წლის შეთქმულებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაპატიმრეს და გადაასახლეს ქალაქ ვიატკაში. გარდაიცვალა იქვე.

ამ შეთქმულების ერთ-ერთი იდეური ხელმძღვანელთაგანი იყო. ამას გარდა, შეთქმულებაში მისი ოჯახის ნათესავები და მეგობრები მონაწილეობდნენ.

სხვათა შორის, გიმნაზიაში ყოფნის დროს ის თანამშრომლობდა რუსულ ხელნაწერ ჟურნალ „გიმნაზიის ყვავილთან“, იქ მას მოუთავსებია „ვისრამიანის“ თარგმანის ნაწყვეტები და წერილი „პაპის ხელისუფლების აღორძინებასა და დამხობაზე“. პირადმა უსიამოვნებამ, ოდნავმა დაკოჭლებამ უბედური შემთხვევის გამო, მამის დაავადმყოფებამ, ნაადრევმა შებმამ სამსახურის უღელში, „მოხელეთა წრემ, ნაკლებ შესაფერმა ზნეობის გასავითარებლად“, ბოლოს სამშობლოს დაშორებამ და ნაადრევი სიკვდილის წინათგრძნობამ უხვი საკვები მისცეს მის თანდაყოლილ მელანქოლიას.

როგორც ეტყობა, ის გადაჭარბებით მგრძნობიარე ადამიანი იყო, მოკლებული ჯანსაღ სულიერ წონასწორობას. მისი ბიოგრაფები და თანამედროვეები მას მხიარულ ახალგაზრდად გვიხატავენ, დამცინავად, გონებამახვილად, კარგ მოცეკვავედ, თარისა და ჭიანურის დამკვრელად, ქალების მოტრფიალედ, მეგობართა წრის სულად და გულად. თავის ლექსებსა და კერძო მიწერ-მოწერაში კი ის გვევლინება შავწამოსასხამიან და შავტაიჭოსან დემონურ არსებად, პესიმისტად[1], სკეპტიკოსად[2]. თავისი მსოფლშეგრძნებით ის ახლოს დგას დასავლეთ ევროპელ რომანტიკოსებთან – ბაირონთან[3], ნოვალისთან[4], მიცკევიჩთან[5]. ამ უკანასკნელს ის, ალბათ, თავისი მეგობრების, პოლონელი ემიგრანტების შემწეობით იცნობდა. მასში სუსტია კავშირი ირანული ლიტერატურის ტრადიციებთან.

ის უფრო ნაკლებ აქტიური ადამიანია, ვიდრე ბიძამისი, გრიგოლ ორბელიანი. „ჩვენი დანიშნულების მიზნის მიუწვდომლობა, – სწერს ის თავის მეორე ბიძას ზაქარია ორბელიანს, – ადამიანთა სურვილთა უსაზღვროება და მთელი ცისქვეშეთის ამაოება ჩემს სულს საშინელი სიცარიელით ავსებს. მომეცი პატარა დამოუკიდებელი შემოსავალი და ახლავე ყველაფერს თავს დავანებებ, ქვეყანასაც, გაუმაძღარ ადამიანებსაც და მშვიდობიანად, წყნარად, პატრიარქალურად, უბრალოდ ვიცხოვრებ ბუნების წიაღში, რომელიც ესოდენ მშვენიერი და დიდებულია ჩვენს სამშობლოში“.

სხვა რომანტიკოსებთან შედარებით, ნიკოლოზ ბარათაშვილი უფრო პათეტურია, მაგრამ უფრო ღრმაც. მას ახასიათებს ნათელი აზროვნება, შინაარსის და ფორმის ჰარმონიული მთლიანობა. ძირითადი იდეა, რომელიც ლაიტმოტივად[6] გაისმის მის პოეზიაში, არის პესიმისტური იდეა ცხოვრების ამაოებისა, ადამიანის მისწრაფებათა უნაყოფობისა, რჩეული სულის ობლობისა, სამყაროს მოსალოდნელი დაშლისა. ეს, არსებითად, მეტისმეტად განყენებული იდეაა, მაგრამ პოეტმა შეძლო მისი დაკავშირება პირად ღრმა განცდებთან და ლირიკული პეიზაჟის გარემოცვასთან; ამიტომ მისი პოეტური მონოლოგი არ ახდენს მშრალი ფილოსოფიური მსჯელობის შთაბეჭდილებას: პირიქით, ის ძალიან გულწრფელი, მღელვარე და ვნებიანი სულის აღსარებას ჰგავს.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტიკური აზროვნებისთვის დიდად დამახასიათებელია მისი ლექსი მიძღვნილი კავკასიის ომებისადმი. აქაც ლეკებისა და ჩეჩნებისადმი იგივე შეუბრალებელი შურისძიების გრძნობაა გამომჟღავნებული, რომელიც გრიგოლ ორბელიანმა გამოამჟღავნა თავის წერილებში, აქაც რუსეთის იმპერატორი ერეკლე მეფის პოლიტიკის გამგრძელებლადაა წარმოდგენილი.

როგორც ბარათაშვილმა იწინასწარმეტყველა, ის სრულიად ახალგაზრდა მოკვდა

---

[1] **პესიმისტი** – ადამიანი, რომელიც შეპყრობილია სევდით, გულგატეხილობით, უიმედობით.

[2] **სკეპტიკოსი** – ადამიანი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, უნდობლად ეკიდება.

[3] **ჯორჯ ბაირონი** (1788–1824) – ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი.

[4] **ნოვალისი** (1772–1801) – გერმანელი რომანტიკოსი პოეტი-ფილოსოფოსი.

[5] **ადამ მიცკევიჩი** (1798–1855) – პოლონელი რომანტიკოსი პოეტი.

[6] **ლაიტმოტივი** – ძირითადი აზრი, რომელიც არაერთხელ მეორდება.

სამშობლოს გარეთ. თითქმის ნახევარი საუკუნე მისმა გვამმა უცხო ცისქვეშ გაატარა. მისმა თბილისში გადმოსვენებამ 1893 წელს საბაბი მისცა გრანდიოზულ ნაციონალურ დემონსტრაციას, რომლის მსგავსი მანამდე გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებამ გამოიწვია, ხოლო შემდეგ – ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლისამ. როცა მისი ნეშტი ვაგონიდან გამოასვენეს, ხალხმა უხმოდ მუხლი მოიდრიკა რაღაც რელიგიური მოკრძალების ნიშნად. ქართველმა ერმა ის უხილავ პანთეონში მოათავსა, სანამ ქართველი მწერლების პანთეონი შეიქმნებოდა მთაწმინდაზე; ეს პანთეონი ნიკოლოზ ბარათაშვილმა მთელი საუკუნის წინ აკურთხა თავისი მჭმუნვარე ფიქრებით და თავისი ანთებული სულის ლოცვით.

გერონტი ქიქოძე

ბიოგრაფიული ქრონიკა

1817 წლის 4 დეკემბერს თბილისში დაიბადა **ნიკოლოზ ბარათაშვილი.**

პოეტის დედა, **ეფემია ორბელიანი,** ერეკლე მეფის შვილთაშვილი იყო (ერეკლეს შვილიშვილის, ელენეს შვილი), იგი ცნობილი ქართველი პოეტის, გრიგოლ ორბელიანის და იყო.

პოეტის მამა, **მელიტონ ბარათაშვილი,** ასევე მაღალი არისტოკრატიული ოჯახის შვილი, მაგრამ მეტად ფიცხი და მძიმე ხასიათის კაცი იყო.

ბარათაშვილი ჯერ კალოუბნის სამრევლო სკოლაში მიაბარეს, **1827 წლიდან** კი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში აგრძელებს სწავლას. აქ მისი მასწავლებელი იყო ცნობილი ფილოსოფოსი და საზოგადო მოღვაწე სოლომონ დოდაშვილი.

უსახსრობამ, ოჯახის გაჭირვებამ, პირად ცხოვრებაში წარუმატებლობამ (უპასუხო სიყვარულმა) მძიმე კვალი დააჩნია პოეტის ცხოვრებას.

1835 წელს მან დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და უბრალო ჩინოვნიკად დაიწყო მუშაობა სასამართლოს კანცელარიაში.

იგი გამუდმებით ეძებს სამუშაოს და დახმარებას სთხოვს იმხანად ელიტურ მმართველობით წრეებში დიდი გავლენის მქონე გრიგოლ ორბელიანს, თუმცა ბიძის დამოკიდებულება უნიჭიერესი დისწულისადმი დღემდე კამათს და აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.

1844 წელს პოეტი მუშაობას იწყებს ნახიჩევანის მაზრის მმართველის თანაშემწედ. ნახევარი წლის შემდეგ იგი განჯაში გადაჰყავთ იმავე თანამდებობაზე.

1845 წლის 9 ოქტომბერს განჯაში მალარიით დაავადებული, ნათესავებისა და მეგობრებისაგან მოწყვეტილი ოცდაშვიდი წლის პოეტი ერთ უბადრუკ ოთახში სრულიად მარტო გარდაიცვალა. გარდაცვალების შემდეგ პოეტის ლექსები ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა და იკარგებოდა.

1860-იან წლებში კი ილია ჭავჭავაძემ ხელახლა აღმოაჩინა დიდი პოეტი და **1876 წელს** პოეტის ლექსების კრებულიც გამოსცა.

1893 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, მისი ნეშტი თბილისში გადმოასვენეს. პოეტის სამშობლოში „დაბრუნება“ მანიფესტაციად იქცა. პოეტის ცხედარი ხალხმა დიდუბის სასაფლაომდე ხელით მიასვენა.

მოგვიანებით ის თავის საყვარელ მთაწმინდაზე გადაასვენეს და, პოეტის სხვა მრავალ წინასწარმეტყველებასთან ერთად, თითქოს ესეც ასრულდა.

დამატებითი რესურსები

შენიშვნა:

ლიტერატურული პორტრეტის დამატებით ნიმუშად შეგიძლიათ ნახოთ დანართი 2. „დამატებითი საკითხავი“, „2.2. აკა მორჩილაძე, „ტატოს ცხოვრება“ (ნაწყვეტი წიგნიდან „ქართული რვეულები“, გვ. 492), რომელიც დიდ დახმარებას გაგიწევთ ლიტერატურული პორტრეტის მხატვრულად დამუშავებაში.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

ვირტუალური ექსკლუზიური ინტერვიუ პოეტთან და მის ახლობლებთან

ჯგუფური სამუშაო

- დაიყავით 4-5-წევრიან ჯგუფებად.
- ტელეფონის აპლიკაცია „CHATER FIX“-ის გამოყენებით ინტერნეტიდან აღებულ სურათებს (პოეტის, მისი ახლობლების ფოტოებს) მიანიჭეთ სპეციალური „საუბრის ეფექტის“ ფუნქცია;
- მოამზადეთ ტექსტი და დაადეთ გამოსახულებას. უფრო მოსახერხებელია, ინტერვიუ მოამზადოთ ნაწილ-ნაწილ.
- ასევე, ეპიზოდებად მოამზადეთ და ჩაიწერეთ მწერლის „პასუხები“ CHATER FIX“-ის აპლიკაციით მომზადებული „ალაპარაკებული ფოტოს ეფექტით“.
- პროგრამა „Movie Maker“-ის გამოყენებით გააერთიანეთ მომზადებული მასალა – შექმენით ექსკლუზიური ინტერვიუ თქვენთვის საინტერესო თემებზე.

იხ. რესპონდენტის „პასუხები“ (ტექნიკური ნიმუშები):

1. ნიკოლოზ ბარათაშვილი: https://9nes.short.gy/MEIxag

2. ნაწყვეტი გრიგოლ ორბელიანის ინტერვიუდან: https://9nes.short.gy/9wAG3g

როგორ ვიკითხოთ

ტექსტის გამეორება ახალ კონტექსტში

სასკოლო პროგრამაში სწავლების სხვადასხვა საფეხურზე ზოგ ტექსტს რამდენჯერმე შეხვდებით, მაგ., „ვეფხისტყაოსანს“, ზოგიერთ ლექსსა და მოთხრობას. „სული ობოლი“, თქვენთვის, ალბათ, ნაცნობი ლექსია, თუმცა ტექსტთან მეორედ მიბრუნებისას შინაარსის გაცნობა უკვე აღარ აქვთ მიზნად, ამ დროს კითხვის სულ სხვა სტრატეგიას იყენებენ, კერძოდ, რაღაც კონკრეტულ თემაში ჩაღრმავებას, დეტალებსა და ცალკეულ მოტივებზე დაკვირვებას.

ტექსტების სამყაროში

სული ობოლი

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
ნუ ვინ სჩივის თავის უთვისტომობას!
საბრალოა მხოლოდ სულით ობოლი,
ძნელღა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!

მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის;
ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის,
ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა,
ეფიქრება ხელმეორედ მას ნდობა!

ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ჩვენ და ტექსტი

1. თქვენ თუ გქონიათ მარტოობის, სევდის, უიმედობის განცდა?
2. როგორ გგონიათ, ნამდვილი ობლობა, ახლობლის დაკარგვა რა გრძნობებს ბადებს ადამიანში?
3. რით განსხვავდება „ობოლი“ და „სული ობოლი“ ერთმანეთისაგან?
4. თქვენი აზრით, რას უნდა გრძნობდეს ადამიანი, რომელსაც რეალური ობლობა, სულით ობლობასთან შედარებით, არაფრად მიაჩნია? მოძებნეთ ლექსში ამ განცდის გამომხატველი სტრიქონები.
5. როგორია „სული ობოლი“, რატომ ელტვიან, ანუ გაურბიან მას „სიამენი სოფლისა“?
6. იმსჯელეთ, რა კავშირია ბარათაშვილის პირად წერილსა და ლექსის ლირიკული გმირის განწყობილებას შორის? შეიძლება ვთქვათ, რომ ლექსის ლირიკული გმირი ბარათაშვილის მეორე – პოეტური მე, მისი „ალტერ ეგოა“?

გამოძახილი

მე ყველაფერი მომწყინდა ეხლა...

მე ყველაფერი მომწყინდა ეხლა,
მზის მხურვალება, მთვარის სინათლე,
ნიავის ქროლა, ქარების შეხლა,
ყველა ტყუილი, ყველა სიმართლე.

ეხლა დავდივარ ნაბიჯით ნელით,
ეხლა სევდიანს მხვდებიან ხშირად,
თუმცა არა მაქვს თვალები სველი,
მაინც არ ვგავარ თვალებით მტირალს.

მე ყველაფერი მომწყინდა უკვე
და ერთადერთი სურვილი დამრჩა...
ნურავის უკვირს, ნურავის უკვირს,
თუ ვერ გაიგო, ასე რა მტანჯავს.

რადგან ეს სული, ასე ობოლი,
არ იყო მათი სულების მსგავსი...
არსად ძმობილი, არსად დობილი,
მე მარტოხელა ვიყავი კაცი.

მე ყველაფერი მომწყინდა ეხლა,
მზის მხურვალება, მთვარის სინათლე,
ნიავის ქროლა, ქარების შეხლა,
ყველა ტყუილი, ყველა სიმართლე.

შოთა ჩანტლაძე

ჩვენ და ტექსტი

1. „მე ყველაფერი მომწყინდა ეხლა“, ამბობს ლირიკული გმირი. თქვენი აზრით, რა იგულისხმება „ამ ყველაფერში“?
2. „რადგან ეს სული, ასე ობოლი, არ იყო მათი სულების მსგავსი...“. როგორ ფიქრობთ, ვისზეა საუბარი, ვისი სული არ ჰგავს ლირიკული გმირის სულს?
3. თქვენი აზრით, რა მსგავსება და განსხვავებაა შოთა ჩანტლაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ამ ლექსებს შორის?

1. მინიდისკუსია – პოეტის სულით ობლობის თემა

უკვე შესწავლილი მასალის საფუძველზე, იმსჯელეთ, რატომ განიცდის ხოლმე ხელოვანი სულიერ მარტოობას?

ხმა იდუმალი

ვისი ხმა არის ეს საკვირველი?
რად აქვს გულს ესე ჩუმი ნაღველი?
რა ვსცან პირველად წუთისოფელი,
დავშთე[1] ადგილი, სადაცა წრფელი
რბიოდა ნათლად დრო ყმაწვილობის
სწორთა, თანზრდილთა, მეგობართ შორის, –
მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთა
ჩემთა ზრახვათა და საწადელთა!
ცხადად თუ სიზმრად, მე იგი მარად
სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად:

„ეძიე, ყმაო, შენ მხვედრი შენი,
ვინძლო, იპოვო შენი საშვენი!“

მაგრამ მე მხვედრსა ჩემსა ვერ ვჰპოვებ,
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ!
ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა
შეუწყალისა სინდისისა?
მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა,
მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა.
ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი,
ან თუ ეშმაკი, მაცთური ჩემი,
ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ,
სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ?
როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..

ჩვენ და ტექსტი

1. იმსჯელეთ ლექსის სათაურზე, რისთვის გვამზადებს ის? რას ნიშნავს სათაურშივე გამოტანილი მსაზღვრელი – „იდუმალი“?
2. პოეტი გვიყვება, თუ პირდაპირ იდუმალი ხმა შემოიჭრება მკითხველის ცნობიერებაში?
3. როდის გააცნობიერა პოეტმა საკუთარ თავში იდუმალი ხმის არსებობა?
4. პოეტი დასაწყისში ვერ ხვდება, როგორ დაიბადა მის არსებაში ეს ხმა. გადმოეცით, როგორია იდუმალი ხმის გაცნობიერების პროცესი, რას ფიქრობს მასზე პოეტი?
5. იდუმალ ხმას პოეტი იმთავითვე ორ საწყისს – ეშმაკსა და ანგელოზს – უკავშირებს. გაიხსენეთ, ასევე ორ საწყისთანაა დაკავშირებული უცხო მოყმის როსტევანისეული ახსნა: „ჰგვანდა ქვესკნელს ჩაძრომილსა, ანუ ზეცად ანაფრენსა“. იმსჯელეთ, რატომ უკავშირდება უცხო მოვლენის გამოჩენა ამ ორ საწყისს?
6. როგორ გესმით პოეტის სიტყვები:

„როს ვსცნა მე შენი საიდუმლობა,
როს მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?..“

როგორი ხვედრისთვის ემზადება იგი?

- რას მოწმობს, რაზე მეტყველებს ის, რომ იდუმალი ხმა პოეტს სიზმარშიც კი ჩაესმის. რატომ ფიქრობს პოეტი, რომ ეს ხმა სინდისის ხმა არ უნდა იყოს?
- თქვენ როგორ ფიქრობთ, მართლაც ხომ არა აქვს იდუმალ ხმას სინდისთან კავშირი; შეიძლება თუ არა, სინდისი იმის გამოც აწუხებდეს ადამიანს, რომ იგი თავის მოწოდებას ვერ პოვებს და ასრულებს?

[1] **დავშთე** – აქ: დავტოვე.

დისკუსია – შემოქმედის ხვედრი

ფიქრები თემაზე, ვინ არის ხელოვანი? მაინც რომელი სამყაროს მკვიდრია იგი?

- პირად წერილებში პოეტი ერთგან გრიგოლ ორბელიანს საყვედურნარევი კილოთი ეუბნება:

> ...მე იმას ვამბობ, რომ შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისთვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არა მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს და დავდგე გაშლილ ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!

უპასუხოდ დარჩენილ ამ თხოვნაზე **კიტა აბაშიძე** ამბობს:

„ვინ მიხვდეს და მისწვდეს ცხოვრების საიდუმლოს? იქნება იმ შემთხვევამ, რომელმაც დაბადა იგი, ასეთი პირობებიც სპეციალურად მიუსაჯა?.. იქნებ, მისი პოეზიისათვის სწორედ ამ კაეშნითა და სევდით გამოწვეული გარემოებანი იყო საჭირო, რომელშიც ის მუდმივად იმყოფებოდა? ფუფუნება და განცხრომა გრძნობას სიმძაფრეს აკლებს. ტანჯვა და უსიამოვნება მეტი ძალით აგრძნობინებს პოეტს ცხოვრების მძიმე საიდუმლოს... ამიტომ შესაძლებელია, ისტორიაც ისე გულქვად მოექცეს ზეცით კურთხეულ პოეტს, როგორც მისი თანამედროვეები მოექცნენ; შეიძლება ისტორიამაც მადლობით მოიხსენიოს ის შემთხვევა, რომელმაც ასეთ სასოების წარმკვეთ და უნუგეშო პირობებში ჩააყენა უკვდავი პოეტი ქართველი ერისა“.

გურამ ასათიანს მიაჩნია, რომ ახალგაზრდა პოეტის „სულის სწრაფვა“ საბოლოოდ არ არის „ჩამოყალიბებული“, „დაღვინებული“. თუ პირად წერილში ის სამხედრო კარიერაზე ოცნებობს, ლექსში ეს ასპარეზი უსაზღვროდ გაფართოებულია:

„ამ წერილში ავტორის მსჯელობას საკუთარ ხვედრზე და მოწოდებაზე კონკრეტული აზრი უდევს საფუძვლად. აქ იგულისხმება ის იმედები, რომლებსაც ჭაბუკი პოეტი სამხედრო კარიერაზე ამყარებდა.

ლექსში პოეტის ლტოლვა დიდი სამოქმედო ასპარეზისკენ ახალი ასპექტით იხსნება. აქ სინამდვილეში გამჟღავნებულია პოეტის შემოქმედებითი მოწოდება. ეს არის იმ უსაზღვრო ენერგიის გამოხატულება, რომელიც მის სულში იყო დაგროვილი და თავის გამოსავალს ეძებდა“.

- თქვენ როგორ ფიქრობთ?

პარალელები

ნაწყვეტი **თომას მანის მოთხრობიდან „ტონიო კრიოგერი“.**

„რა არის ხელოვნება? „ღვთით მომადლებული ნიჭიაო“, – ამბობენ... ორი სამყაროს მიჯნაზე ვდგავარ, არც ერთგან არა ვგრძნობ თავს შინაურად და ამის შედეგად შავი დღე მადგება... თუკი რაიმეს ძალუძს, პოეტი შექმნას, ეს სწორედ სიყვარულია ადამიანურისადმი, ცოცხალისადმი, ჩვეულებრივისადმი... კარგი ნაწარმოები მხოლოდ დუხჭირი ცხოვრების უღელქვეშ იქმნება“.

ენა და ტექსტი

ტექსტზე პრაქტიკული მუშაობა

ავტორის ენა

ლექსში შეგხვდათ ისეთი სიტყვები, რომლებიც ამ ფორმით თანამედროვე ქართულში აღარ გამოიყენება. ეს სიტყვები ქვემოთ არის მოცემული. შეგიძლიათ თუ არა, კონკრეტული ფრაზის (კონტექსტის) გათვალისწინებით, ამოიცნოთ ამ სიტყვათა მნიშვნელობები?

შეუდარეთ ერთმანეთს თქვენი განმარტებები.

ვჰსცან	ვინძლო	მარქვი
დავშთე	საშვენი	განუმზადებ
რბიოდა	მხვედრი	ვსცნა
ზრახვათა	კაეშანი	ამ სოფლად
მიწვრთნის	შეუწყალი	
ყრმა	საშფოთველი	

სიტყვათა განმარტებისას სასურველია, გამოიყენოთ ძველი ქართული ენის ლექსიკონები.

იცით, რა ეწოდება იმ მოძველებულ სიტყვებს, რომლებიც შეიძლება შეგვხვდეს თანამედროვე ენით დაწერილ ნაწარმოებებში?

არქაიზმი არის მოძველებული ფორმები, სიტყვები ან გამოთქმები, რომლებიც აქტიურად უკვე აღარ გამოიყენება ენის განვითარების გარკვეულ ეტაპზე, მაგრამ ავტორები შეგნებულად მიმართავენ მათ, რათა მკითხველს ამაღლებული განწყობა შეუქმნან, ან ისტორიული რეალობა შეაგრძნობინონ, სიძველის განცდა აღუძრან.

პრაქტიკული წერითი დავალება

მოიშველიეთ მოძიებული განმარტებები და გადმოეცით ლექსის შინაარსი თქვენი სიტყვებით.

ტექსტების სამყაროში

სულო ბოროტო

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება[1]?

ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?
თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,

[1] **ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება** – იგულისხმება მდგომარეობა, როდესაც ადამიანი ცხოვრებას გულუბრყვილოდ, ანალიზის გარეშე აღიქვამს.

ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი
და თვით ჯოჯოხეთს სამოთხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველნი ესე აღთქმანი?
რად მომიხიბლე, აღმირიე წრფელნი ზრახვანი?
სად ხარ, აღმშფოთო, მიპასუხე, ნუ იმალები,
რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა
ბრმად მივანდობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემთ გულისთქმათა!
მას აქეთ არის, დავუკარგე მშვიდობა სულსა,
და ვერც ღელვანი ვნებათანი მიკვლენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, ჰოი, მაცთურო, სულო ბოროტო!
რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო.
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მაშვრალი?
ვაი მას, ვისაც მოხვდეს ხელი შენი მსახვრალი!

ჩვენ და ტექსტი

1. წინა ლექსში პოეტი „იდუმალ ხმას“ ორ საწყისს – ანგელოზსა და ეშმაკს – შორის ეძებდა. „სულო ბოროტო“ პოეტის ბოლო პერიოდის შემოქმედებიდანაა. ამჯერად, როგორ აღიქვამს იგი ამ ხმას? როგორ ფიქრობთ, ლირიკული გმირი კვლავ დაკარგულია ორ საწყისს შორის?
2. ისევ რუსთაველი გავიხსენოთ: როსტევანი უცხო მოყმეს ბოროტი ძალის „მოგზავნილად“ მიიჩნევს, რაშიც თინათინი არ ეთანხმება. აქ განსხვავებულია მოხუცებულობისა და ახალგაზრდობის სიბრძნე. თუ ამ საზომით მივუდგებით, ბარათაშვილის მსოფლხედვა „მოხუცთა სიბრძნედ“ უნდა მივიჩნიოთ, თუ „ახალგაზრდულად“? რას უწოდებს თავად პოეტი „ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებას “ და რამ გააცამტვერა იგი?
3. თქვენი აზრით, როგორია ადამიანის ახალგაზრდული ოცნებები და რამდენად სწორად აღიქვამენ ახალგაზრდობაში რეალობას? რას იწვევს რეალობასთან პირისპირ შეხვედრა იმ შემთხვევაში, როცა:
   - იმედიანად ხარ განწყობილი;
   - უიმედოდ, პესიმისტურად ხარ განწყობილი?

რომელ პოზიციას რა საფრთხე ახლავს და რომელი მათგანი გამომჟღავნდა ამ ლექსში?

პარალელები

1. პლატონი, გამოქვაბულის ადამიანი, შინაგანი ხმა და მზისკენ მიმავალი გზა.

კვლავ პლატონის გამოქვაბულის ადამიანს დავუბრუნდეთ. ბუნებრივია, „გამოქვაბულიდან“ იგი სწორედ ამ რაღაც იდუმალმა „შინაგანმა ხმამ “ გამოიყვანა და საბოლოოდ დაღუპა კიდეც...

როგორ გგონიათ, საბოლოო ჯამში, საჭირო იყო ეს ნაბიჯი? რას დაკარგავდა კაცობრიობა, გამოქვაბულის ადამიანი „რაღაცას“ გარეთ რომ არ „გამოეტყუებინა“?

2. „იდუმალი ხმა“ გურამიშვილთან.

„იდუმალი ხმა“ ლიტერატურაში ძველი თემაა, ეს ხმა ჩაესმის აბრაამს, რომელსაც იგი მშობლიური სადგომიდან გაჰყავს და „აღთქმული ქვეყნისკენ“ მიუძღვის. გურამიშვილის ლირიკულ გმირსაც იგივე ხმა ჩაესმის. მასაც ძალიან სარისკო წინადადებას სთავაზობს იდუმალი ხმა. ლირიკული გმირი ჭოჭმანობს, ეშინია, არ იცის, დაემორჩილოს თუ არა ამ „იდუმალ მრჩეველს“. ისიც ჩაკეტილი დასაზღვრული სივრციდან („საპყრობილიდან“) გაქცევას ურჩევს გმირს (გაიხსენეთ ეს ეპიზოდი).

შეეცადეთ, ახსნათ, რა მსგავსება და განსხვავებაა ამ ეპიზოდსა და ბარათაშვილის ლექსს შორის. დაფიქრდით, ესოდენ სანუკვარი ხმა, რომელიც მუდამ თან სდევდა სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისთვის მებრძოლ გმირს, რატომ გადაიქცა „ბოროტ სულად“?

3. კეთილი და ბოროტი საწყისი გოეთეს „ფაუსტში“

„გოეთეს“ ფაუსტში ორი ძალა, ორი საწყისი უპირისპირდება ერთმანეთს – ღვთიური და ლუციფერული (სატანური). როგორ განვითარდება მოვლენები, რა ზეგავლენას იქონიებს ეს დაპირისპირება ადამიანის შინაგან სამყაროზე, მის ბედზე, ამას ნაწარმოების გაცნობის შემდეგ გაიგებთ.

გირჩევთ, გაეცნოთ ამ ტექსტს. იგი დიდ დახმარებას გაგიწევთ არა მარტო ამ კონკრეტული ლექსის გააზრებაში, არამედ, საერთოდ, ამ ორი საწყისის მარადიული ჭიდილის უკეთ გაგებაში.



ჰარი კლერკი
გოეთე. „ფაუსტის“ ილუსტრაცია



4. ადამიანის არსებაში „ჩაჭედილი“ „ბოროტი სული“ – ედგარ ალან პო, „უილიამ უილსონი“

ედგარ ალან პოს მოთხრობის, „უილიამ უილსონის“, მთავარ გმირს დიდი ხანია აწამებს ადევნებული ძველი მეტოქე, რომელსაც ის წონასწორობის დაკარგვამდე მიჰყავს.

გთავაზობთ ნაწყვეტს, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ ამარცხებს ის საბედისწერო მეტოქეს.

„...ვიღაცამ მხარზე რბილად დამკრა ხელი და ოდინდელი, ჩუმი, დავიწყებული ჩურჩული ჩამესმა. მრისხანებისაგან თვალებდაბნელებული მივვარდი ჩემს სულთამხდელს და გამეხებულმა სახელოზე ხელი ვტაცე. ზუსტად ჩემსავით იყო მორთულ-მოკაზმული, როგორც სჩვეოდა. ლურჯი ხავერდის ესპანური მოსასხამი მოესხა, წელზე მეწამული

ფერის სარტყელი შემოერტყა დაშნითურთ. შავი აბრეშუმის ნიღაბი მთლიანად უფარავდა სახეს.

– გათახსირებულო! – შევძახე ბრაზით ხმაჩახრინწულმა, თითქოს ვგრძნობდი, ყოველი წარმოთქმული ბგერა სულ უფრო მიმატებდა მრისხანებას, – გათახსირებულო! თვითმარქვია! წყეულო! აწ ვეღარ, ვეღარ მომიწამლავ წუთისოფელს! მომყე, ან არადა აქვე აგიგებ ანდერძს! – და სწრაფად წავათრიე გვერდით ოთახისკენ. ისიც წინააღმდეგობის გაუწევლად გამომყვა.

შესვლისთანავე გაცეცხლებულმა ხელი ვკარი და კედელს მივახეთქე. მერე წყევლა-კრულვით კარი გადავკეტე და ვუბრძანე, თავი დაიცავი-მეთქი. წამით შეყოყმანდა, შემდეგ ამოიხვნეშა, მდუმარედ ამოიღო დაშნა და თავდასაცავად მოემზადა.

ბრძოლა ხანმოკლე გამოდგა. ყველანაირი სახისა და ჯურის ჩემმა მრისხანებამ ათი კაცის ძალა მომგვარა მარჯვენაში. ორიოდე წამი და კუთხეში მივამწყვდიე გაშმაგებული-მა. კარგად ვხედავდი, ჩემს ხელთ იყო და მხეცური კბილთა ღრჭენით დაშნა რამდენჯერმე ვატაკე მკერდში.

ამ დროს კარს ვიღაცა წაეპოტინა. შევშფოთდი, ვაითუ, ვინმე შემოვიდეს-მეთქი, ურდული გავამაგრე და მყისვე მომაკვდავ მეტოქესთან გამოვბრუნდი. მაგრამ მეყოფა კი ძალა იმ გაოცებისა და შიშის ზარის გადმოსაცემად, რაც განვიცადე? თვალი რომ მოვაცილე, ეს ერთი წამი საკმარისი აღმოჩნდა ოთახის მეორე ბოლოში მომხდარი საკვირველი ცვლილებისათვის. დიდი სარკე – ამ მღელვარებაში პირველად ასე მეგონა, მომეჩვენა-მეთქი – იქ დავინახე, სადაც წელან არაფერი შემინიშნავს და როცა შეძრწუნებულმა ფეხი გადავადგი, საკუთარი თავი დავლანდე, ფერმილეული და სისხლით მოთხვრილი, ბარბაცით ჩემკენ დაძრული.

მომეჩვენა-მეთქი, ვამბობ, მაგრამ ასე არ ყოფილა. მეტოქე – უილსონი იდგა ჩემ წინ, სულთმობრძავი, სახემორღვეული; ნიღაბი და მოსასხამი იქვე ეგდო იატაკზე. მისი სამოსელის ყოველი ნაკერი, მისი განუმეორებელი სახის ყოველი ნაკვთი სრულიად დამთხვეოდა ჩემსას!

– გათავდა, მორჩა, შენ გაიმარჯვე, მაგრამ აწ მკვდარი ხარ. მკვდარი ამ სოფლისთვის, სასოებისთვის, მაღლა ცისთვის! ჩემში იყო შენი არსებობა და ჩემშია შენი სიკვდილიც, საკუთარი სახე გამცნობს, ვით მოიკვეთე სამარადისოდ!

გირჩევთ, წაიკითხოთ ეს მოთხრობა მითითებულ ლინკზე და მოაწყოთ საკლასო დისკუსია ლიტერატურული პარალელების განსახილველად.

https://9nes.short.gy/o4WHmz

ალტერნატიული დავალება

ლიტერატურათმცოდნე მაკა სახურია გთავაზობთ, ედგარ ალან პოს „უილიამ უილსონის“ წაკითხვის შემდეგ შეადაროთ ეს ტექსტი ბარათაშვილის ლექსს „ხმა იდუმალი“ და შეავსოთ T-დიაგრამა – ორი განსხვავებული ცხრილი, რომელთაგან ერთი მსგავსებებს გამოკვეთს, მეორე კი – განსხვავებებს.

ცხრილი 1

„ხმა იდუმალი“	ედგარ პოს „უილიამ უილსონი“
1. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ეძებს საკუთარ ბედისწერას და აცხადებს, რომ სინდისი სუფთა აქვს: „ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისისა? მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა“...	
2. ლირიკული გმირი გაორებულია, თუმცა საკუთარი ძალების რწმენა მასში ერთგვარად მაინც იგრძნობა და იდუმალი ხმა, სავარაუდოდ, არა მისი „ალტერ ეგო“, არამედ დაუნდობელი წუთისოფელი, ბედისწერაა;	
3. ლექსის ბოლო ტაეპებით ირკვევა, რომ მთავარი ლირიკული გმირი მაინც ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია... ანუ სადღაც იმედი მაინც იკითხება... ჯერ ყველაფერი არ დამთავრებულა...	

ცხრილი 2

„ხმა იდუმალი“	ედგარ პოს „უილიამ უილსონი“
1. ახალგაზრდა რომანტიკოსი მწერალი ბარათაშვილი თავის ლირიკულ გმირში აცოცხლებს საკუთარ „ალტერ ეგოს“, მისი მეშვეობით გადმოსცემს საკუთარ სულიერ ძიებას;	
2. ლექსში ნაჩვენებია „მსოფლიო სევდის“ უკიდეგანო ოკეანე, რომელიც გმირის ძრწოლასა და დემორალიზაციას იწვევს...	
3. ბარათაშვილის ლირიკული გმირისთვის ამ ლექსში დამახასიათებელია სულიერი გაორება, საკუთარი თავის მისტიკურ, ილუზორულ, ირეალურ სამყაროში წარმოჩენა...	

შეავსეთ ეს დიაგრამები და ისაუბრეთ, რომელი მათგანი გამოხატავს მსგავსებას და რომელი განსხვავებას?

დამატებითი რესურსები

თქვენი პასუხები შეადარეთ სახელმძღვანელოს დანართი 4-ში (პასუხები და სამახსოვრო) მოცემულ პასუხს – 4.5. ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ და ედგარ ალან პოს „უილიამ უილსონი“, გვ. 543.

გამოძახილი

ამ რუბრიკაში ასეთივე უცნაური და აუხსნელი, მაგრამ ძალიან ლამაზი ლექსები გვინდა შემოგთავაზოთ. გასარკვევია:

- ვინაა ცოდვილი;
- ვინ ვის რა უნდა შეუნდოს, რატომაა ეს „ცოდვილი სული“ ადამიანის (ამ შემთხვევაში – პოეტის ლირიკული გმირის) „ალტერ ეგოში“ ჩაჭედილი?

- რატომაა ერთ შემოქმედში „მიწა“ და მეორეში – „ზეცა“, ერთში „დემონი“ და მეორეში – „ანგელოზი“?
- ვისი უმანკო ნათელი აწვალებს ლირიკულ გმირს და რომელ სასწაულს ელის ის?

აქ ყოველი სტრიქონი ცალკე კითხვაა, თუმცა ლიტერატურაში სწორად დასმული კითხვები უკვე ნახევრად პასუხებია...

შეეცადეთ, უპასუხოთ ამ კითხვებს, არა მარტო გალაკტიონთან და ტერენტი გრანელთან, არამედ იმავე აზრს დააკვირდით ბარათაშვილთანაც. ხშირად ერთი ლექსი მეორის აღქმაში დაგეხმარებათ.

* * *

შეუნდე, შეუნდე, შეუნდე
ბნელ-ცოდვილს

ლიუციფერს, ჩემს სულში
ავობით მძვინვარეს,

ლიუციფერს, მრისხანე ვეფხვივით
დაკოდილს

და ეხლა მძინარეს.

შეუნდე, შეუნდე, ჯოჯოხეთს –
ჩემს თვალებს,

შეუნდე ჩემს ხელებს, ბოროტად
დაღალულს.

მე შენი უმანკო ნათელი მაწვალებს,

მე ველი სასწაულს..

გალაკტიონი

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ყოველდღე ვიღებ ძვირფას ბარათებს,
ბაღში მივდივარ, ეს დღე ცივია.
გალაკტიონში მიწა ანათებს
და ჩემში უფრო ზეცის სხივია.

შორს ქარი კივის, ახლო მტერია,
ახლა ღამდება, შვიდია სრული.
გალაკტიონში ლურჯი ფერია
და ჩემს ლექსიდან მოჩანს უფსკრული

ავად ვიყავი, წუხელ ვკვდებოდი,
ახლა მიგონებს ალბათ ზოზია.
გალაკტიონში არის დემონი
და ჩემში უფრო ანგელოზია.

ტერენტი გრანელი

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსია – რას თვლის ბარათაშვილი ბოროტ საწყისად?

პოეტს თავად ვერ გაურკვევია, ჯერ საიდან მოდის ხმა იდუმალი, შემდეგ კი – რა არის ეს ბოროტი საწყისი? ზოგი მკვლევარი ამას ადამიანის არსებაში ჩაბუდებულ მის ალტერ ეგოდ მიიჩნევს, მის მეორე „მედ“, ზოგი – სულის ბნელ ნაწილს, ზოგი კი გონებას უკავშირებს.

სადისკუსიო კლუბის სტუმარია **გურამ ასათიანი.**

> „თითქოს პარადოქსული ფაქტია, რომ ისეთი ინტელექტუალური ბუნების პოეტს, როგორიც ბარათაშვილი იყო, ამ ლექსში გონება, ფხიზელი აზროვნების ნიჭი ბოროტ საწყისად აქვს წარმოდგენილი. იგი წარიტაცებს „სულის მშვიდობას“, წამლავს და ამღვრევს პოეტის „წრფელ ზრახვათ“ და არაფერს სამაგიეროს არ აძლევს ადამიანის სულს. ამ გარემოებას აქვს თავისი ღრმა ისტორიული აზრი და გამართლება – იმ სინამდვილეში, რომელშიც ნიკოლოზ ბარათაშვილს წილად ხვდა არსებობა, ფხიზელ გონებას შეეძლო, მხოლოდ საბოლოოდ მოესპო და გაენადგურებინა ყველა რომანტიკული ილუზია“.

იმსჯელეთ:

- ლექსში გონება, ფხიზელი აზროვნების ნიჭი მართლაც ბოროტ საწყისად აქვს პოეტს წარმოდგენილი?

ოსტატობის სკოლა

ლიტერატურული პარალელების განხილვის შემდეგ გთავაზობთ, დაწეროთ ანალიტიკური ესე:

„ნიკოლოზ ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ და ედგარ ალან პოს „უილიამ უილსონი“ – მგლოვიარე სულების გადაძახილი ოკეანის გაღმა-გამოღმა...“

წაკითხვამდე

1. ლექსს, რომელსაც შეისწავლით „შემოღამება მთაწმინდაზე“ ჰქვია. რა ასოციაციებს იწვევს თქვენში სათაური?
2. გაიხსენეთ ბუნებასთან რომანტიკოსთა დამოკიდებულება ადრე შესწავლილი ლექსის, „ფიქრნი მტკვრის პირას“ მიხედვით. გამოთქვით ვარაუდი, მშობლიური ბუნებისადმი როგორ დამოკიდებულებას მოველით ლექსში?

ტექსტების სამყაროში

შემოღამება მთაწმიდაზედ

ჰოი, მთაწმიდავ, მთაო წმიდავ, ადგილნი შენნი
დამაფიქრველნი, ვერანანი და უდაბურნი,
ვითარ ჰშვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი,
ოდეს საღამოს დაჰშთენ ამოს ციაგნი ნელნი!

ვითარი მაშინ იდუმილობა დაისადგურებს შენს არემარეს!
რა სანახავი წარუტყვევს თვალთა მაშინ შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!
ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰფენენ, ვითა ტაბლას წმიდასა,
და ვით გუნდრუკსა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ სუნნელებასა!
მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კლდევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვიდოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოვეტრფოდი,
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!

ოჰ, ვით ყოველი ბუნებაც მაშინ იყო ლამაზი, მინაზებული!
ჰე, ცაო, ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!
აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილვენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან!

მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!

დაფიქრებული ვიდეგ სერზედა და ცათა მიმართ მზირალს ტრფობითა
შემომერტყმოდა მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალთ მდუმარებითა;
ხანდისხან ნელად მქროლნი ნიავნი ღელეთა შორის აღმოკვნესოდენ
და ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანხმებოდენ!

მთაო ცხოველო, ხან მცინარო, ხან ცრემლიანო,
ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება
არა იპოვოს და არ დახსნას გულსა ვაება;
გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!

სდუმდა ყოველი მუნ არემარე, ბინდი გადეკრა ცისა კამარას.
მოსდევს მთოვარეს, ვითა მიჯნური, ვარსკვლავი მარტო მისა ამარას!
გინახავთ სული, ჯერეთ უმანკო, მხურვალე ლოცვით მიქანცებული?
მას ჰგავდა მთვარე, ნაზად მოარე, დისკო-გადახრით შუქმიბინდული!

ამგვარი იყო მთაწმიდაზედ შემოღამება!
ჰოი, ადგილნო, მახსოვს, მახსოვს, რასაც ვჰფიქრობდი
მე თქვენთა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი;
მხოლოდ გული ჰგრძნობს, თუ ვითარი სძღვენით მას შვება!

ჰოი, საღამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!
როს მჭმუნვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარვებლად!
მწუხრი გულისა – სევდა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!

ჩვენ და ტექსტი

1. რომელი სიტყვით არის გამოხატული მთაწმინდის უკაცრიელობა?
2. რომელი სიტყვები ხდის აშკარას სიტყვა „მთაწმინდის“ ძირეულ, არსებით მნიშვნელობას; რას სძენს ეს მთაწმინდის სახეს?
3. იპოვეთ ლექსის პირველ სტროფში ალიტერაციები და იმსჯელეთ მათ ფუნქციაზე. რა შედარებებია გამოყენებული ყვავილოვანი ველის ხატვისას; ადამიანის ცხოვრების რომელი სფეროდან არის მოხმობილი ეს შედარებები და რატომ, რა მიზნით. პოეტის თქმით, რა „ანათესავებს“ მას საღამოსთან?
4. ცის მიმართ როგორ ემოციურ დამოკიდებულებას გამოხატავს პოეტი. რა აღუძრავს მას სევდას ცის ჭვრეტისას?
5. როგორ არის შეფასებული ლექსში „საწუთროება“?
6. რა უპირისპირდება „საწუთროებას“, საით არის მიმართული პოეტის სწრაფვა და რატომ?
7. რა არის ამ სწრაფვის განუხორციელებლობის მიზეზი?
8. კონკრეტულად, რით „ეთანხმება“ ნიავის ქროლის ხმა პოეტის განწყობილებას?
9. მიუთითეთ სიტყვები, რომლებიც მთას ადამიანის მსგავს არსებად წარმოგვიდგენს. რა აქვს საერთო ერთმანეთთან ეპითეტებს „გულდახურული“ და „ღრუბლიანი“.
10. ვისთანაა მიმსგავსებული მთვარე და ვარსკვლავი; რა ანალოგიის მეშვეობით არის წარმოჩენილი მთვარე და რაზე მიგვანიშნებს ეს – ვის განსახიერებას ხედავს, თქვენი აზრით, პოეტი ცაზე?
11. რა იმედი გაკრთება ლექსის ბოლოს?
12. იმსჯელეთ, რატომ აღმოჩნდა მთაწმინდის საღამო პოეტისთვის დასამახსოვრებელი და შვების მომგვრელი, სანუგეშო?
13. რა მეტაფორით არის გამოხატული „სევდა გულისა“ და რით არის უჩვეულო ეს მეტაფორა?
14. რა არის პოეტის ყველაზე დიდი ოცნება; როგორ გესმით ამ ოცნების არსი. როგორ გგონიათ, ეწინააღმდეგება თუ არა ლექსის დასასრული ყოველივე იმას, რაზეც მანამდეა საუბარი?

1. მინიდისკუსია – ბუნებისადმი რომანტიკული დამოკიდებულება, თუ ადამიანთა სამყაროდან გაქცევის სურვილი?

კიტა აბაშიძე წერს: „მეტყველთაგან უარყოფილი პოეტისათვის უტყვი და უსულო ბუნება გახდა ერთადერთი მეგობარი. მათ შორის მყარდება ერთადერთი მტკიცე, შეურყეველი და ერთგულებით აღსავსე კავშირი, რომელიც ეღირსა პოეტს თავის მწარე სიცოცხლეში. ეს ექსტაზი პოეტისა ბუნების წინაშე ერთადერთი საგანი იყო, რომელსაც არც ბედი შეეცილა და არც ის საზოგადოება, რომელსაც ეღირსა სახარბიელო ბედნიერება ასეთი კაცის თანამედროვეობისა. მეტად პრაქტიკული და წვრილმანი გრძნობებისა და აზრების იყო ეს საზოგადოება, ცხვირით მიწაში ძალზე ჩაფლული, რომ ცის წარმტაცი მშვენება ეგრძნო“...

- ბარათაშვილს მისი თანამედროვენი არც ასე ჩაკეტილ და პირქუშ ადამიანად ახასიათებდნენ. პირიქით, ამბობდნენ, რომ ის საკმაოდ სხარტი, კარგი იუმორისა და მოსწრებული ენის პატრონი ყოფილა, რაც მისი ნაწერებიდანაც ჩანს. იგი ხშირად იყო ხოლმე გასართობად და მოსალხენად შეკრებილი საზოგადოების სული და გული. არადა, ბარათაშვილის დროინდელი საზოგადოების კიტა აბაშიძისეული შეფასება რადიკალურია. როგორ გგონიათ, მართლაც მხოლოდ საზოგადოება იყო დამნაშავე იმაში, რომ „მეტყველთაგან უარყოფილი პოეტისათვის უტყვი და უსულო ბუნება გახდა ერთადერთი მეგობარი“, თუ აქ რომანტიზმისათვის დამახასიათებელმა „მსოფლიო სევდამაც“ შეასრულა თავისი როლი?

ლიტერატურული ძიებანი

თამაში „მოძებნე გამოთქმული მოსაზრების დამადასტურებელი არგუმენტი“

გთავაზობთ ლიტერატურულ თამაშს, რომელიც, ამავე დროს, ერთგვარი ლიტერატურული კვლევაცაა. დააკვირდით ქვემოთ მოცემულ ცხრილს. მის მარცხენა სვეტში წაიკითხავთ აზრს, რომლის დამადასტურებელი არგუმენტები ტექსტიდან უნდა ამოკრიბოთ და მარჯვენა სვეტში ჩაწეროთ (შეგახსენებთ, რომ უნდა იმუშაოთ სამუშაო რვეულში).

მოსაზრებები	არგუმენტები და მაგალითები
ლექსში ორი საზომი მონაცვლეობს, რაც ტალღების მიმოქცევის ეფექტს ქმნის (დათვალეთ მარცვალთა რაოდენობა სტრიქონში და დაასახელეთ ეს საზომები).	
ერთ-ერთი საზომით დაწერილი სტროფები უფრო თხრობითი ტექსტია (ეპიკური თხრობა), თითქოს ამბავს გვიამბობს, მეორე კი – ამაღლებული განწყობის დამტევი, პათეტიკურია (დაასახელეთ, რომელი როგორია).	
ლექსში მხოლოდ მუსიკა არ „მიმოიქცევა“ ტალღისებურად. აქ გახსნილია საზღვრები ადამიანურ და ზენა სინამდვილეს შორის, მათ შორის თავისუფლად „მოძრაობენ“ ადამიანის ფიქრები და სურვილები;	

ლირიკული გმირი ერთიანად უყურებს და ერთნაირად აღიქვამს რეალურ საგნებსა და სულიერ მოვლენებს. ხშირად, პირველი სტრიქონი თუ რეალურ ყოფას მიემართება, მომდევნო სტრიქონში სურათს უკვე ზესთასამყარო აგრძელებს;	
პოეტი ცხადად ხედავს და განიცდის არა მარტო რეალურ საგნებსა და ფაქტებს, არამედ ირეალურ, სულიერ მოვლენებსაც.	

სახალისო ექსპერიმენტი

გაიხსენეთ ქართველ რომანტიკოსთა სხვა ლექსები, რომლებშიც ბუნებაში განმარტოებული ადამიანია აღწერილი (ალექსანდრე ჭავჭავაძის „გოგჩა“, გრიგოლ ორბელიანის „საღამო გამოსალმებისა“). ეს ლექსები რაღაცით ჰგავს ერთმანეთს, მათში საერთო მოტივები გვხვდება, მაგ., ბუნებაში განმარტოებული ადამიანი; ბუნებასა და ადამიანს ერთმანეთის ესმით, ისინი აქ ერთი მთლიანობაა, ერთის განცდები მეორეს გადაედება და პირიქით; უსასოო ადამიანი შვებას მხოლოდ ბუნებაში პოვებს. მსგავსია მხატვრული სახეებიც, პოეტური ხატები და ა. შ.

- დაფიქრდით, ხომ არ შეიძლებოდა, ამ ლექსებიდან ერთს მეორეზე მოეხდინა გავლენა?
- შეადარეთ ლექსების ტექსტები ვენის დიაგრამის მეშვეობით. რა დასკვნამდე მიხვედით?
- თუ ფიქრობთ, რომ ერთს შეეძლო მეორეზე გავლენა მოეხდინა, ივარაუდეთ, რომელი იქნებოდა საწყისი ტექსტი და რომელი – სხვა ავტორის შემოქმედების გავლენით შექმნილი?

დაალაგეთ ლექსები იმის მიხედვით, თუ რომელი დაიწერა, თქვენი შეხედულებით, უფრო ადრე და რომელი – გვიან.

გადაამოწმეთ პასუხებში ამ ნაწარმოებების დაწერის თარიღები. რას იტყვით, ამ თარიღებმა დაადასტურა თუ უარყო თქვენი ვარაუდი?

დამატებითი რესურსები

გადაამოწმეთ თქვენი ვარაუდი სახელმძღვანელოს დანართ 4-ში. პასუხები: 4.6 (ლექსების შექმნის თარიღები), გვ. 544.

პარალელები

რუბრიკა „პარალელების“ სტუმრები არიან XVIII-XIX საუკუნის გამოჩენილი გერმანელი პოეტი, ფილოლოგი და ლიტერატურის ისტორიკოსი **ლუდვიგ ულანდი** და ირლანდიელი მღვდელი და მწერალი **ჩარლზ რობერტ მეტიურინი.**



იოჰან ლუდვიგ ულანდი
(1787-1862)

„ადამიანის აზრს სურს, მისწვდეს ვარსკვლავიან ცას, მისი სულის ძალები ნაღვლიანი ნატვრით იზიდებიან უსასრულო შორეთისკენ. მაგრამ ადამიანის გონი ხვდება, რომ მთელი სისავსით ვერასდროს მოიხელთებს უსასრულობას და, გაურკვევლობით დაღლილი, თავის სწრაფვას მიწიერ სურათებს უკავშირებს. ეს სურათები მიანიშნებენ იმ დიდ საიდუმლოზე, რომლისკენაც ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად მუდამ მიილტვის ჩვენი სული. უსასრულობის ეს წინათგრძნობა, აღძრული რეალურად ხილულის თუ წარმოსახულის მიერ, არის კიდეც რომანტიზმი“.

იოჰან ლუდვიგ ულანდი



ჩარლზ რობერტ მეტიურინი
(1782-1824)

„რა მატყუარა და ღარიბი გვეჩვენება ადამიანის ენა მას შემდეგ, რაც სიყვარულმა და ნაღველმა ბუნების ენა გვასწავლა. ამ ენას უნარი აქვს, შეეხმიანოს და გამოხატულება მისცეს ადამიანის მღელვარებას, რომლის გამოხატვაც თვით ადამიანს არ შეუძლია. როგორ განსხვავდებიან უაზრო სიტყვები უსიტყვო აზრისგან, რომელსაც მათ, ვისაც სმენა აქვს, უზიარებენ ბუნების დიდებული მოვლენები, კლდეები და ოკეანე, მთვარის შუქი და ბინდი! რა მჭევრმეტყველი სიმართლით არის სავსე ბუნების დუმილიც კი!“.

ჩარლზ რობერტ მეტიურინი

შეადარეთ რუბრიკა „პარალელებში“ მოყვანილი ამონარიდები ბარათაშვილის ლექსს. რა მსგავსება შენიშნეთ? იმსჯელეთ, რომანტიზმის რომელი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები განაპირობებს ამ მსგავსებას?

ტექსტების სამყაროში

ვპოვე ტაძარი...

ვპოვე ტაძარი შესაფარი, უდაბნოდ მდგარი;
მუნ ენთო მარად უქრობელი წმიდა ლამპარი.
ანგელოსთაგან იკროდა მუნ დავითის ქნარი,
და განისმოდა ციურთ დასთა გალობის ზარი!

მწირი სოფლისა, დამაშვრალი მისითა ღელვით,
მუნ ვეძიებდი განსვენებას წრფელითა ზრახვით;
გულსა, მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით,
ლამპარი წმიდა განმიტფობდა ციურის სხივით!

მუნ გუნდრუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს,
რომლის საკურთხად დავსდებდი მე ჩემს გულსა და სულს;
ამა სიამით, ნეტარებით ესრეთ აღვსებულს,
მეგონა, ვხედავ სასუფეველს, აქ დაშენებულს!

მაგრამ საწუთო განა ვისმეს დიდხანს ახარებს?
განქრა ტაძარი – და უდაბნო ჩემდა მდუმარებს;

მას აქეთ ჩემს გულს ნეტარება არ ასადარებს,
მის ნაცვლად სევდა და წყვდიადი დაისადგურებს!

მოისპო მსწრაფლად მისი ნაშთი და მისი კვალი!
განა თუ დრომან დაჰკრა თვისი მას ავი თვალი, –
არა! მოსძაგდა მას სოფელი ცრუ და მუხთალი!
დამშთა მე მხოლოდ მის ლამპრისგან ცეცხლი დამქრალი!

ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!
ვერსად აღვანთე დაშთომილი მისი ლამპარი!
ესრეთ დამიხშო უკუღმართმა ნუგეშის კარი,
და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!

ჩვენ და ტექსტი

1. ტაძარი უდაბნოში, ხოლო ტაძარში უქრობელი წმინდა ლამპარი – იმსჯელეთ, ეს რეალური სურათია თუ მხატვრული მეტაფორა?

2. რატომ დგას ეს ტაძარი უდაბნოში?

3. ძველ ქართულ ლიტერატურაში უდაბნოში ტაძრის მაშენებელნი იყვნენ „უდაბნოთა ქალაქ-მყოფელნი“, ქაოსში წესრიგის შემტანნი. სავარაუდოდ, რა ახალი შინაარსი შეიძინა ამ სახე-სიმბოლომ?

4. თქვენი აზრით, რისი სიმბოლო უნდა იყოს „ჩამქრალი ლამპარი“?

5. პოეტი იმედოვნებდა, რომ სიყვარული მას ტაძარს აუგებდა, თქვენ როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია, ადამიანმა სიყვარულში პოვოს სულიერი სიმშვიდე? შეუძლია სიყვარულს ტაძრის აგება? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები ლიტერატურიდან, როცა, თქვენი აზრით, სიყვარულმა აუგო ტაძარი გმირს.

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსია

დამსხვრეული ოცნებების საუფლო ბარათაშვილის ტრაგიკული ხვედრია თუ მისი პოეზიის „რომანტიკული სამშვენისი“?

სიყვარულის განცდა რომანტიკოსებთან განსაკუთრებით ტრაგიკულია. ამ სამყაროში ბატონობს უპასუხო სიყვარული, განშორების ტრაგიკული განცდა. ეს იმდენად თვალში საცემია, რომ ხშირად გარჩევაც ჭირს, რომელია რეალური განსაცდელი და რომელი – რომანტიკოსის მიერ დახატული ტრაგიკული სურათი.

იმსჯელეთ ამ საკითხზე ბარათაშვილის ლექსის „ვპოვე ტაძარი“ მაგალითზე.

დისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრების მოსაზრებების გათვალისწინებით.

კლუბის სტუმრები არიან კრიტიკოსები **გურამ ასათიანი და კიტა აბაშიძე.**

> „ბარათაშვილის ლირიკაში სიყვარული ტრაგიკული გრძნობაა.
> უბედური სიყვარულის ჭრილობა ღრმა და მოუშუშებელია, მაგრამ სწორედ ეს მწვავე, მტკივნეული განცდა კი არ თრგუნავს, არამედ თითქოს ახალ სიმაღლეზე აღიტაცებს მთელ მის არსებას“.
>
> **გურამ ასათიანი**

„ძნელად თუ ვინმეს უგრძვნია ასე ძლიერ, ასე საოცრად, ესოდენ მაღალი გრძნობა, უბრალო მოკვდავთათვის ძნელად გასაგები და ძნელად მისახვედრი... და ეს მოიმოქმედა კაცმა, რომელსაც არასოდეს ღირსებია სატრფოსგან ტკბილი სიტყვა... ან კი, ვინ მიაქცევდა ყურადღებას ვიღაც პატარა ჩინოვნიკს, მაშინ როდესაც იმ დროის ბრწყინვალე ახალგაზრდობას, კანცელარიის საანგარიშოსა და კალმის ნაცვლად, ხმალი ეკავათ, მოხელეთა მიწერ-მოწერის ქაღალდის მტვრის ყლაპვის მაგიერ, ბრძოლის ველზე გამოდიოდნენ... როცა თვეში 5 მანეთი კი არა, ზოგიერთი საათში ოც-ოცი ათასობით აგებდა ბანქოში; მაშინ, როდესაც სტოლონაჩალნიკის ძველი მუნდირის ნაცვლად, გვარდიის წითელი პრიალა მუნდირი ამშვენებდა მეომართა მხნე მკერდს და მათ ძლიერ მხრებს ბრჭყვიალა ჯინჯილები ამკობდა... ასეთ დროს, ვიღაც წვრილ ჩინოვნიკ ბარათაშვილს ვინ მიაქცევდა ყურადღებას? და საოცარი ის არის, რომ ეს ყველასგან გათელილი, ყველასგან მიტოვებული კაცი, თავისი სუსტი მაჯებით შეურყეველ და მტკიცე საძირკველს უგებდა ქართველი ერის პოეზიის უკვდავებას და თავისი უკვდავებისა და დიდების სამარადისო ძეგლს სჭედდა“.

კიტა აბაშიძე

წაკითხვამდე

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

ლექსის გამომეტყველებით კითხვას დიდი მნიშვნელობა აქვს მისი შინაარსის აღსაქმელად. **ხმოვანი აქცენტები, ინტონაცია, ხმის ტემბრი** საშუალებას აძლევს მსმენელს, უკეთ აღიქვას ლექსის მთავარი სათქმელი, მისი მუსიკა, აკუსტიკური ეფექტები. გაცილებით იზრდება ლექსის აღქმის შესაძლებლობანი, თუ ამას ვიზუალური მასალაც ერთვის. მაგალითად, ასეთი რამ ადვილად მოსახერხებელია ვიდეოკლიპებში – აქ ერთმანეთს ერწყმის ტექსტის აზრობრივი, მუსიკალურ-აკუსტიკური და ვიზუალური აღქმა.

1. მოისმინეთ ლექსის რამდენიმე ვარიანტი

ა) გურამ საღარაძე კითხულობს მერანს

https://9nes.short.gy/HUmVli

ბ) მერანს კითხულობს მურმან ჯინორია

https://9nes.short.gy/OWWZLN

იმსჯელეთ, რომელ ვარიანტში რა მოგეწონათ:

- რამ გაგიადვილათ ტექსტის მთავარი სათქმელის გაგება?
- როგორ ემოციურ განწყობას ქმნის თითოეული მათგანი, რაშია განსხვავება?
- სხვადასხვა ადამიანი, ალბათ, სხვადასხვა ვერსიას მიანიჭებდა უპირატესობას, როგორ გგონიათ, რატომ?
- არა მარტო სხვადასხვა პიროვნება, ზოგჯერ ერთი და იგივე ადამიანი სიტუაციის ან ემოციური მდგომარეობის შესაბამისად, სხვადასხვა შესრულებას მიანიჭებს უპირატესობას; იმსჯელეთ, თქვენი აზრით, როგორ განწყობას მიესადაგება თითოეული შემოთავაზებული ვერსია?

2. მუშაობა ლექსის კომპიუტერულ ვერსიაზე

სპეციალური აპლიკაციებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენებით მოამზადეთ „მერანის“ თქვენეული ელექტრონული ვერსია.

ამისათვის

- დაამუშავეთ ლექსი დეკლამაციისათვის, განსაზღვრეთ, როგორ წაიკითხავთ; ლექსის ყოველ მონაკვეთს, ცალკეულ ფრაზებს შეურჩიეთ სათანადო ტემბრი და ინტონაცია, გამოკვეთეთ მახვილები, სააქცენტო რიტმული მონაკვეთები. გაიარეთ რამდენიმე რეპეტიცია, გააკეთეთ რამდენიმე ჩანაწერი; მეწყვილესთან ერთად შეარჩიეთ მათ შორის საუკეთესო.
- შეურჩიეთ თქვენს ნამუშევარს მუსიკალური და ვიზუალური ეფექტები, ვთქვათ, შესაბამისი მუსიკა, ქარის ხმა, წყლის ხმაური, ზღვის ტალღების ხმა და ა. შ. ასევე, დიდი მხატვრების ნახატები, რომლებიც, თქვენი აზრით, ლექსის იდეის გახსნაში, მის გაგებაში დაეხმარება მსმენელს.
- ნიმუშისათვის შეგიძლიათ, ნახოთ ქვემოთ მოცემული მოკლე ვიდეო. მოსმენის დროს შეავსეთ მსმენელის დაკვირვების ფორმა:

https://9nes.short.gy/yaQLtE

დაკვირვების საგანი	+/-	მოკლე კომენტარი
გამოხატავს თუ არა წაკითხვის ინტონაცია ლექსის დედააზრს, მთავარ სათქმელს;		
გადმოცემულია ლექსის მუსიკა, კარგად აღსაქმელია ლექსის ბგერწერული სურათი		
რომელი ბგერები ან ბგერათკომპლექსები გამოიკვეთა, ემთხვევა თუ არა მსახიობის მიერ გამოკვეთილი ბგერათკომპლექსები ლექსის იმ მონაკვეთებს, რომლებშიც ალიტერაცია გვხვდება; ***შენიშვნა:*** ეს გრაფა უნდა შეავსოთ იმდენჯერ, რამდენ რიტმულ მონაკვეთადაც დაყოფთ ტექსტს.		
ხმის ტემბრი გამოხატავს და გამოკვეთს თუ არა მთავარ სათქმელს;		
როგორ გამოხატავს მთავარ სათქმელს ვიდეომასალის მუსიკალური გაფორმება (დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ამ მუსიკაში ეს აზრი ამოიცნო);		
როგორ გეხმარებათ ლექსის დედააზრის გაგებაში ვიდეომასალის ვიზუალური გაფორმება (დაასაბუთეთ, რატომ შეიძლება ამ ნახატზე ეს აზრი „დაინახო“);		

მერანი

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

გაჰკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი,
გასწი, გაკურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი!
ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა,
ნუ შემიბრალებ დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!

რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა, მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა,
ნუღა ვიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატრფოს, ტკბილმოუბარსა;
საც დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო,
მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა, ვამცნო გულისა მე საიდუმლო!

კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი, მივსცე ზღვის ღელვას,
და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
ნუ დამიტიროს სატრფომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხარის;
შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტიალის მინდვრის,
და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით, მიწას მომაყრის!

სატრფოს ცრემლის წილ, მკვდარსა ოხერსა დამეცემიან ციურნი ცვარნი,
ჩემთა ნათესავთ გლოვისა ნაცვლად, მივალალებენ სვავნი მყივარნი!
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი,
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

დაე, მოვკვდე მე უპატრონოდ მისგან ოხერი!
ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ცუდად ხომ მაინც არა ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!
გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ჩვენ და ტექსტი

1. ლექსის რიტმი იმთავითვე სწრაფი და დინამიკურია, როგორ გგონიათ, რატომ? დააკვირდით სათქმელის შინაარსს. რა უნდა გამოხატოს პირველმა ორმა სტრიქონმა? რა მიმართებაა ლექსის შინაარსსა და ფორმას შორის?
2. რაზე მიგვანიშნებს მერანის სრბოლის ამგვარი დახასიათებები: „უგზო-უკვლო“, „გიჟური“?
3. დავაკვირდეთ ლექსს მთლიანობაში – რაზეა იგი; რა არის ლექსის მთავარი სათქმელი, რას ნიშნავს ლირიკული გმირის „უგზო-უკვლოდ“ სრბოლა?
4. თავდაპირველი ვარაუდით, რის სიმბოლოს წარმოადგენს მერანი და მისი სრბოლა?
5. თქვენი აზრით, რას განასახიერებს შავი ყორანი და რა მიმართება აქვს ამ სიმბოლურ სახეს მერანის „სახესთან“.
6. როგორ გესმით „ბედის სამძღვრის“ გადალახვა; როგორ გაიაზრებთ „ბედის“, „ბედისწერის“ ცნების შინაარსს, კონკრეტულად, რა შეიძლება ვიგულისხმოთ ამ ცნებაში?
7. მერანის სრბოლის დასახასიათებლად გამოყენებული რომელი სიტყვები მიუთითებს ამ სრბოლის ძლიერ მიმზიდველობაზე ლირიკული გმირისათვის?
8. როგორ წარმოაჩენს თავის სულიერ მდგომარეობას, განწყობას ლირიკული გმირი; თქვენი აზრით, რატომ არის დამაჯერებელი მისი განწყობის დეკლარაციული – ხმამაღალი განცხადების სახით წარმოდგენილი გამოხატულებანიც.
9. თქვენი აზრით, რა ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობები გამოსჭვივის ლირიკული გმირის მიერ სამშობლოსა და უახლოესი ადამიანების დათმობაში?
10. როგორ გგონიათ, რა მისწრაფება აკავშირებს ლირიკულ გმირს თავის ახალ „სამშობლოსთან“ და თანამოზიარეებთან; რით არიან ისინი მისთვის ძვირფასი?
11. რაზე მიგვანიშნებს გამოთქმა „ტრფობის ნაშთი“; თქვენი აზრით, რა ემოციებს იწვევს ლირიკულ გმირში „ტრფობის ნაშთთან“ გამოთხოვება და რატომ?
12. როგორ ფიქრობთ, რომელი სახეები გამოხატავს ყველაზე მძაფრად ლირიკული გმირის სიკვდილის განსაკუთრებულ სიმწარესა და საშინელებას?
13. პოეტმა იცის, რომ მერანის ჭენება დასამარცხებლადაა განწირული, მაშ, რა აზრი აქვს მის ბრძოლას, რა დარჩება ამ „თავგანწირული სულისკვეთებისგან“? რა აძლევს მას ძალას, იტვირთოს ტრაგიკული ხვედრი; როგორ სძლევს იგი სიკვდილს?
14. რას ნიშნავს ლექსში „მოძმე“, რა აახლოებს მასთან ლირიკულ გმირს?
15. თქვენი აზრით, როგორი იქნება „მოძმის“ ხვედრი?
16. მოიძიეთ ბარათაშვილის პირად წერილებში ცნობა „მერანის“ შექმნის ისტორიის შესახებ და იმსჯელეთ, როგორ გარდაისახა ლექსში რეალური ფაქტი.
17. იმსჯელეთ, რომელია ლექსის ყველაზე რიტმული და მუსიკალური ეპიზოდები, რომელი – დამაფიქრებელი, განსჯითი, რომელი – დეკლარაციული, თავგანწირული და რომელი – ლირიკული, როგორ იქმნება „მერანის“ ხმიერება, აკუსტიკური ფონი.
18. იმსჯელეთ „მერანის“ ტრაგიზმზე, მის თავისებურებაზე. რა ქმნის ამ ტრაგიზმს: რატომ არის შეუძლებელი, ადამიანმა თავი დააღწიოს ამ ტრაგიკულ გარდუვალობას?
20. დაფიქრდით, რომელი ცნობილი ლიტერატურული გმირის განცდებს ეხმიანება „მერანის“ ლირიკული გმირის ჰეროიკულ-ლირიკული გადაწყვეტილება: „ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში...“ რა აქვთ ამ გმირებს საერთო და რით განსხვავდებიან?
21. რა შეგიძლიათ თქვათ მერნისა და ყორნის სახე-სიმბოლოების შესახებ?
22. რა ემოციურ ფონს ქმნის ლექსში გამოყენებული რიტორიკული მიმართვები. დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები. რომელმა მხატვრულმა სახემ მოახდინა თქვენზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება და რატომ?

ლიტერატურული ძიებანი

დამოუკიდებელი კვლევა – მხატვრული სახის შინაარსის ამოსახსნელად.

1. გზა და ძიების გზაზე დამდგარი გმირი...

გზა მშობლიური სახლის დატოვებით იწყება.

გზაზე გამოსული გმირი უკვე აკეთებს არჩევანს, ის მშობლიურ გარემოს, ბავშვობის კერას ტოვებს და საითაც მიემართება...

მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდს, რომლებშიც გმირები უცნობ და მძიმე გზაზე დგანან, ხშირად, არც იციან, გზა როგორია, მათ იციან, საით (ნათლისკენ და მაღლა) და რატომ მიდიან. სხვადასხვა ტექსტში ამ ორ კითხვას (საით და რატომ) სხვადასხვა პასუხი შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ძიების გზაზე შემდგარი გმირი მუდამ ერთი მიზნისკენ მიემართება. შევეცადოთ, ვიპოვოთ ეს მიზანი...

გაეცანით ამ ნაწყვეტებს, ისაუბრეთ, და იმსჯელეთ,

- რას ნიშნავს გზა, ვის და რატომ გამოჰყავს გმირი გზაზე? საით მიემართება ეს გზა? რას ნიშნავს უგზო-უკვლოდ სიარული და როდის დადის გმირი უგზო-უკვლოდ? რატომ ირჩევენ ეს გმირები უცნობ და რთულ გზას, და ბოლოს, რა მოაქვს ყველაფერ ამას გმირისთვის?
- რა მხატვრული დანიშნულება აქვს გზისა და მაძიებელი გმირის სიმბოლოებს ტექსტში?

ლიტერატურული მოზაიკა
გზა და ძიების გზაზე დამდგარი გმირი

„საყდრისა გზასა ვეძებდი,
ვსძებნე, ვერ ვპოე შარაო,
ერთმა უკბილო ბებერმა
ქოქოლა დამაყარაო,
ბრიყვო, მაღლა რო ახვიდე,
ბრუნდე გზაწვრილიც კმარაო“.

„...ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ტრიალ მინდორს მიადგა. მინდორში ერთი დიდი ქვა ეგდო, ცალი მხარე ჩამოთლილი ჰქონდა და ზედ ეწერა – „მარჯვნივ წახვალ, შინ მშვიდობით და მალე დაბრუნდებიო, მარცხნივ წახვალ, განსაცდელს გადაივლი, მაგრამ შინ გვიან დაბრუნდებიო, პირდაპირ წახვალ და – შინ ვეღარ დაბრუნდებიო...

ავთანდილი მშობლიურ არაბეთს ტოვებს და უცხო მოყმის საძებრად მიემართება

ავთანდილ იგი მინდორი ოთხ-ახმით გარდაიარა,
დააგდო ზღვარი არაბთა, სხვათ ზღვართა არე იარა,
მაგრა მის მზისა გაყრამან სიცოცხლე გაუზიარა;

რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი

„სიხარულით წარემართნეს გზასა მას, რომელი არა უწყოდეს, არამედ არა უმეცარ იყვნეს, რამეთუ უფალი მხოლოY უძღოდა მათ, ხედვიდა რაY გულსა მათსა წმიდასა...“

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება

უსიერ ტყეში, ამ ცხოვრების ნახევარგზაზე
ანაზდეულად გამოვფხიზლდი გზადაკარგული,
ენა ვერ იტყვის, თუ რამდენად იყო ტყე იგი.

უკაცრიელი, უდაბური და გაუვალი,
თვით მოგონებაც წამიერი ერთხელ ხილულის
საშინელია ამჟამადაც და შემზარავი.

...
ვეღარ გიამბობთ, ვით დავკარგე მე გზა მართალი,
თურმე ჩემს თვალებს მორეოდა ეგზომად რული.
ჯერაც ჭალაკი საშინელი არ გამეარა.

ბექობი რამე მეყვსეულად შემომეჩეხა,
ზე ავიხედე, დავინახე: ცთომილის სხივებს
ზეთავი მთისა შეემოსათ უცხო არილით.

ნაწყვეტი დანტეს „ღვთაებრივი კომედიიდან“

მთარგმნელი კონსტანტინე გამსახურდია და კონსტანტინე ჭიჭინაძე

2. მერანი – მითოლოგიური ფრთოსანი ცხენი და რაინდი

ბარათაშვილის მერანი ფრთოსანი ცხენია.



პეგასზე ამხედრებული ბელეროფონი კლავს ქიმერას

ბერძნული წითელფიგურული ეპინეტრონი, ძვ. წ. 425-420 წწ.

ლიტერატურის ისტორიამ იცის მითოლოგიური ფრთოსანი ცხენი – **პეგასი** (ძველბერძნული მითოლოგიიდან). ერთი ვერსიით, ეს ცხენი მედუზა გორგონას სისხლისგან წარმოიშვა, მეორე ვერსიით კი, იგი პოსეიდონისა და მედუზა გორგონას შვილია.

პეგასი ხშირად გვხვდება სხვადასხვა ლეგენდაში. ერთ მათგანზე ქვემოთ შევჩერდებით. სადაც კი ეს მითოსური ქმნილება ფეხს დაადგამდა, ყველგან წყარო ამოდიოდა, რომლებიც პოეტთა შთაგონების წყაროდ იქცეოდა.

პეგასი პოეზიისა და დაუცხრომელი წინსვლის, წინააღმდეგობების გადალახვის სიმბოლოა, ალბათ, ამიტომაც ამ სახელს ხშირად არქმევენ საავიაციო კომპანიებსა და პოეტთა გაერთიანებებს.

რაინდი

ბელეროფონი ან ბელეროფონტესი ბერძნული მითოლოგიის გმირი, კორინთოს მეფის ძე.

კორინთოს უფლისწულს მშობლიური მხარის დატოვება მოუხდა, იგი მეზობელი სახელწიფოს მეფემ შეიფარა, მაგრამ შემდეგ, დედოფლისგან შეგულიანებით, ბევრ სახიფათო დავალებაზე გაისტუმრა.

ერთ-ერთი იყო საშინელი ურჩხულის – ქიმერას – დამარცხება.

ბელეროფონმა შეიტყო, რომ ქიმერას დასამარცხებლად მას ფრთოსანი რაში, პეგასი უნდა მოეთვინიერებინა, რაც შეასრულა კიდეც.

პეგასის დახმარებით, ბელეროფონმა რამდენიმე საგმირო საქმე აღასრულა. დიდებითა და პატივით თავბრუდახვეული ბოლოს იმდენად გაამაყდა, რომ მოკვდაობის საზღვრის გადალახვა და გაღმერთება მოინდომა. თავის პეგასზე ამხედრდა და ღმერთთა სამყოფლისაკენ გაფრინდა. ზევსმა მას ეს თავხედობა არ აპატია. მისი ნებით, მფრინავი ცხენი ბორამ დანესტრა. პეგასი დაფრთხა და მხედარი ძირს გადმოაგდო. ბელეროფონი, მართალია, გადარჩა, მაგრამ დაბრმავდა, დაკოჭლდა და გონებაც შეერყა. გაუბედურებული და მარტოსული სიკვდილამდე ტყე-ღრეში დაეხეტებოდა.

დაფიქრდით

- დააკვირდით ფრთოსან ცხენს – რა განსხვავებული თვისებები გამოარჩევს მას: რისი სიმბოლო შეიძლება იყოს ფრთოსანი ცხენი?
- დააკვირდით მხედარს, საითკენ მიისწრაფვის იგი, რისი გადალახვა სურს და ახერხებს თუ არა ამას? რა განსხვავებული თვისებები გამოარჩევს მას: რისი სიმბოლო შეიძლება იყოს მხედარი (ბელეროფონის მაგალითზე)?



ნოე უშვებს მტრედს
მოზაიკა, წმინდა მარკოზის ტაძარი, ვენეცია

ყორანი

ბიბლიური წარღვნის დროს ნოემ ყველა სულდგმული კიდობანში აიყვანა. დიდი ხნის ცურვის შემდეგ, მან გადაწყვიტა გაეგო, რა ხდებოდა გარეთ და კიდობნიდან ყორანი გაუშვა. ირგვლივ ყველაფერი წყლით იყო დაფარული, ყორანმა ხმელეთი ვერსად ნახა და აღარ დაბრუნებულა.

დაფიქრდით:

ამ ბიბლიური ეპიზოდის მიხედვით, რისი იმედით გაუშვა ნოემ ყორანი გარეთ? რას მოელოდა იგი? გამართლდა თუ არა ნოეს მოლოდინი? რის სიმბოლოდ შეიძლება მივიჩნიოთ ყორანი?

პარალელები

პარალელების დამოუკიდებელი კვლევა

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რამდენად უწყობს ნაწარმოების გააზრებას ხელს ლიტერატურულ პარალელებზე დაკვირვება.

ამჯერად „პარალელებისა“ და „გამოძახილის“ რუბრიკები საკმაოდ დატვირთულია ქართული თუ უცხოური შედევრებით.

გაეცანით პარალელებს. თავდაპირველად დამოუკიდებლად შეადარეთ ისინი ბარათაშვილის „მერანს“. ამისათვის მოამზადეთ ტექსტებზე დაკვირვების ორი სქემა. ერთ სქემაში წინ წამოწეული იქნება მსგავსებანი, მეორეში კი – განსხვავებები.

ამის შემდეგ მუშაობას გააგრძელებთ ჯგუფებში. დაიყავით 3-4 კაციან ჯგუფებად. ჯგუფში გაერთიანდით იმის მიხედვით, ვის რომელ ნაწარმოებზე გსურთ მუშაობა. ჯგუფებში საბოლოოდ ჩამოაყალიბეთ ნაწარმოებთა მსგავსება-განსხვავებების სქემები.

მოაწყვეთ პარალელების კვლევის შედეგების საკლასო პრეზენტაცია.

1. *ჰაინრიხ ჰაინე*

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი,
განსასვენებელს სად ჰპოვებს ბინას,
სამხრეთში, სადაც სითბო დგას მძლავრი,
თუ ჩრდილოეთში, რაინის პირას?

ვინ იცის, იქნებ სადმე უდაბნოს
უცხო მოზარემ დამმარხოს ვიშით,
არ მოვისვენო ადგილს უდაბურს
გადაფარულმა ზღვის ლურჯი ქვიშით.

რა უშავს! იქნებ ზეცის ნათელი
შემომეხვევა გაშლილ მკლავებით,
ჩემს თავზე, როგორც ცხედრის სანთლები
იციმციმებენ ცის ვარსკვლავები.

მთარგმნელი ვახტანგ ბეწუკელი

2. *ადამ მიცკევიჩი*

ფ ა რ ი ს ი[1]

ყასიდა[2],

ვით ნავი, ზღვაში ნაპირიდან შესული ლაღად,
ნიჩბების ფრთებით ზღვას ეხვევა, როგორც მეგობარს,
მკერდით მიაპობს მოლივლივე მხიარულ ტალღას
და ჯიქურ უტევს, თუ ზვირთები გადაეღობა,
ისე არაბი შავი რაშით ისკუპებს კლდიდან
და უდაბნოში ქვიშის ზღვაში გადაეშვება.
ქვიშა იშხივლებს, როგორც წყალში მხურვალე რკინა,
ცხენსა და მხედარს ცხელ შხეფებად გადაეშლება.
თვალებს უბრმავებს, სულს უხუთავს, ცხენი კი კუშტად
დელფინის მკერდით მიიწევს წინ და ფლოქვებს ურტყამს.

---

[1] **ფარისი** – ფარისი, ავტორის განმარტებით, არაბი მხედარ-რაინდია.

[2] **ყასიდა** – ადამ მიცკევიჩმა თავის ნაწარმოებს უწოდა „ყასიდა“, რაც არაბულ პოეზიაში ლექსის ერთ-ერთი სახეობაა.

სულ უფრო მტკიცედ, სულ ურო სწრაფად
წინ მიილტვის და გზასაც არ ეძებს.
აჰა, ის უკვე, ვით შავი აფრა,
მიცურავს ქვიშის ტალღათა თხემზე.
ვეღარ გაარჩევ, რაშია თუ ღრუბელი შავი,
თეთრი ნიშანი შუბლზე როგორც ვარსკვლავი ელავს.
ბოროტი ქარი ფაფარს უშლის და მისდევს ავად,
თეთრფეხა ცხენი კი უდაბურ სივრცესა სერავს.
გასწი, გაქუსლე, თეთრფეხა ცხენო!
გზიდან მოგვშორდით, მთებო და ტყენო!
გზად მწვანე პალმა მპირდება ჩეროს,
ნაყოფსაც მიწვდის და რტოებს მიქნევს.
მე კი მივქრივარ. რა შეაჩერებს
ამ გიჟურ რბოლას, სურვილს და ფიქრებს.
პალმას არ მოსწონს, რომ მასაც ვტოვებ,
და აღარ მიქნევს გამოწვდილ რტოებს.
ის ქედმაღლობად ჩამითვლის უარს
და მემდურება უმადურ სტუმარს.
უდაბნოს მცველად აზიდული კლდოვანი მთები
ექოს ძახილით მიბრუნებენ ცხენის ფეხის ხმას,
სიგიჟედ თვლიან ბედუინის თავგამეტებას
და ქვიშის ზღვაში მპირდებიან სიკვდილის რისხვას:
„სად მიდის გიჟი, უგონო, ურჩი.
მას უდაბნოში მზე დასწვავს ცხარე.
იქ არც პალმაა, არც ხე ან ბუჩქი
და არც კარავი თავშესაფარი.
მას იქ არავინ არ შეიბრალებს
და ვერ ასცდება სიკვდილის ბრჭყალებს“.
სალი კლდეები პირქუშად დგანან
და ვარსკვლავები ცაში ძლივს ჩანან.
მე მესმის კლდეთა მუქარა, რისხვა,
მაგრამ მე უკვე შორსა ვარ მათგან.
ფერმკრთალდებიან, მოჩანან ძლივსღა
და აი, უკვე ბურუსმა შთანთქა.
კლდეთა მუქარა დაიჯერა უდაბნოს ძერამ,
რომ ბედისაგან განწირული აქ უნდა მოვკვდე.
შავი გვირგვინის წრეებს ხაზავს, დამჩხავის, მზვერავს,
სიკვდილს მიქადის და ყარყაშით კვალდაკვალ მომდევს.
„ნადავლსა ვხედავ, სუნი მცემს ლეშის
ბრიყვი მხედრისა და მისი რაშის.
უგუნურები! ვერც კი ხვდებიან, –
ვინც აქ მოსულა, აქვე რჩებიან.
არც ბალახია აქ, არც ცის ნამი,
აქ ყველაფერი იწვის და კვდება.
მზე, ქარი, ქვიშა და გველის შხამი

მხოლოდ სიკვდილის ასრულებს ნებას.
ღამეს ათევენ აქ მხოლოდ მკვდრები
და ცას სერავენ ძერათა ფრთები“.
თავხედმა ძერამ ჩამიქროლა ბოროტი მზერით.
მე გავუძელი, მშვილდ-ისარი მოვზიდე მარდად
იგი შეშინდა, ხმა ჩაუწყდა, დაკარგა ფერი
და ცის სიღრმეში კოღოსავით გაუჩინარდა.
გასწი გაქუსლე, თეთრფეხა ცხენო!
გზიდან მომცილდით, ძერებო, კლდენო!
დასავლეთიდან წამოვიდა პირქუში ტალღა
და ცის ლაჟვარდი დაიფარა შავბნელი ღრუბლით.
ჩანს, ღრუბელს სურდა, ენავარდა ზეცაში ლაღად,
ვით მე მიწაზე დავნავარდობ სულ თავისუფლად.
წამომეწია, ჩააბნელა სავალი გზები
და აღსასრული მიქადაგა ბოროტი გზნებით:
„გიჟია, ცხადად, სად და რისთვის მიეშურება.
წინ ხომ სასტიკი უდაბნოა და სიცხე მწველი.
იქ არც ბალახი და არც წყალი არსად არ ელის,
რადგან მიწის პირს წვეთი წვიმა არ ეპკურება.
და თუ როგორმე ცას მოსწყდება თუნდ ერთი ცვარი,
მას ხარბად შთანთქავს მშიერი ქარი“.
ამაოდ ბრაზობს. ჩემი რაში მიაპობს სივრცეს,
შავმა ღრუბელმა კი სვლას უკლო, ჩანს, დაიღალა.
მერე გაჩერდა, დაუძლურდა და გაიცრიცა,
კლდეზე უღონოდ ჩამოწვა და ჩამოიშალა.
მე მას შევხედე ქედმაღლურად, ნიშნის მოგებით.
ქანცგაწყვეტილი წითლდებოდა და შავდებოდა.
ესმოდა ჩემი სიხარული, ფიქრი, გრძნობები,
შური ახრჩობდა და ვხედავდი, როგორ დნებოდა.
შენ კი იფრინე, თეთრფეხავ ჩქარო!
გზა დამიცალეთ, ღრუბლებო, ქარო!
და როს ღრუბელი გაუჩინარდა,
მიმოვიხედე, შევხედე ზეცას,
მდევარს ვეძებდი, არავინ ჩანდა,
უდაბნოს მხოლოდ დუმილი ეწვა.
და უცებ, ღმერთო, ეს რა არის, ვერ გამიგია,
აქ მოსულთაგან მე პირველი თურმე არა ვარ.
ქვიშის ბორცვებთან გაჭიმული თეთრი რიგია,
ხოლო მის ირგვლივ დუმილია გულშემზარავი.
თითქოს მხედრები მოლოდინში გარინდებულან,
ან გზა აებნათ და უმწეოდ ჩაფიქრებულან.
ეს ჩონჩხებია, დაღუპული ქარავნის ძვლებზე.
მათ ყბებში გველი დაძვრება და საკბილოს ეძებს.
ქვიშის ჩხრიალი უერთდება გველების სისინს
და ამ ხმაურში კვლავ სიკვდილის მუქარა ისმის:

„ჩანს, რომ ბედუინს მართლა უნდა ამ გზით იაროს
და უგუნურმა მათი ბედი გაიზიაროს“.
მე არ მაშინებს საზარელი ჩონჩხების ცქერა
და ჩემი ცხენი კვლავ უდაბნოს სივრცესა სერავს.
უცებ მომესმა საშინელი რაღაც გრიალი, –
ეს ხომ უდაბნოს მბრძანებელი ქარიშხალია.
ანგრევს ყველაფერს, გრგვინავს, ღელავს, ბორგავს, ტრიალებს.
ის სიძლიერეს თავისას გრძნობს და უხარია.
უცებ შეჩერდა და იყვირა სასტიკი წყრომით:
როგორ გაბედე, თავხედურად დამიდექ წინა!
ვინა ხარ – ძმა თუ რაღაც ჭია, მიწაში მძრომი?
დაინახა, რომ მისმა რისხვამ ვერ შემაშინა.
ვით პირამიდა, ცად აიჭრა უზარმაზარი,
ფრთები გაშალა, არაბეთი შეაზანზარა,
ტალღა მომხვია, ცხელი სუნთქვით სულს მიხუთავდა,
დაბლა მაგდებდა, მაწვებოდა, მიწაში მფლავდა,
ცოფებსა ჰყრიდა, რომ ხედავდა, არ ვარ ძლეული,
და ქვიშის ლაშქარს კვლავ მისდევდა გადარეული.
არც მე ვაკლებდი, ვერ გამტეხა მუქარამ, რისხვამ.
გულით მინდოდა მტარვალისთვის სანაცვლოს მიზღვა.
მეც გაშმაგებით ვგლეჯდი, ვფლეთდი მის ქვიშის სხეულს
და ვიგრძენი, რომ გავიმარჯვე, ვაჯობე წყეულს.
იგი მოდუნდა, ველარ შეძლო აჭრა ჰაერში,
ღონე გაუქრა, შეეშინდა თითქოს სიმაღლის.
ქვიშის ნიაღვრად ყრუ ჩხრიალით დაბლა დაეშვა
და გაირინდა, ვით ნანგრევი ციხე-სიმაგრის.
სული მოვითქვი, ცას ავხედე სიბნელით მოსილს,
სალამს მიძღვნიდა, მიღიმოდა ვარსკვლავთა დასი.
მათ უხაროდათ, რომ სიკვდილის ამ საუფლოში
მე ერთი მაინც დავდიოდი ცოცხალი არსი.
ლაღად ვსუნთქავდი, მზად ვიყავი, გაშლილი მკერდით
მთელი ჰაერი ჩამეყლაპა, ვით ერთი წვეთი.
თვალსაწიერი გაფართოვდა, გაქრა ბნელეთი
და ჩემმა მზერამ მთლად მოიცვა ცა და ხმელეთი.
ამ გამარჯვებამ მე უშრეტი შემმატა ძალა,
გულს სიყვარული არნახული მოედო ალად.
ეს სიყვარული მთელ სამყაროს ალბათ ეყოფა,
მთელ დედამიწას ხელს გავუწვდი, როგორც მეგობარს,
მოვეფერები, ჩემს სიხარულს გავუზიარებ
და მოვიშუშებ დიდი ბრძოლით მძიმე იარებს.
ჩემი ფიქრები უკვე ცისკენ მიექანება.
ეს სიცოცხლეა, სიხარული, ტკბილი ზმანება.
როგორც ფუტკარი, მტერს დაკბენს და თვითონაც კვდება,
ეს ჩემი სულიც ცაში ფიქრთან ერთადა დნება.

მთარგმნელი გიორგი წიბახაშვილი

3. *ედგარ ალან პო*

ყორანი

ერთხელ ღამით ფიქრთა შუა დაღლილობამ შემიტყუა
და ვთქვი – ალბათ, სევდა თუა, ამ ძველ წიგნებს ვფურცლავ ოდეს...
ძილს ვებრძოდი მთელი ღამე, კაკუნი რომ მომესმა მე,
თითქოს ვიღაც ანდა, რამე კართან შინ მე მომდგომოდეს,
„სტუმარია?! – ვეჭვობ, რომ სხვა კართან ვინმე მომდგომოდეს
და სათქმელი რამე ჰქონდეს“.

2

თითქოს მახსოვს, ვგრძნობდი რასაც – დეკემბერსაც და მის ქარსაც,
თითქოს სურდა ბუხრის ალსაც – იატაკზე ჩრდილად ხტოდეს...
გულს კი სურდა ძლიერ დილა და თვით წიგნმაც გააწბილა,
რომ იქ შვება ვერ იხილა, რომ ის მარად ხსოვნით კრთოდეს
და შორეულ ქალწულ ლენორს, ვით ანგელოზს, შეჰხაროდეს,
თუმც იმედი არც რამ ჰქონდეს.

3

მარჯნისფერი აბრეშუმის ფარდის – მისი შარიშურის -
ხმაც მზარავდა და ღარავდა გულს შიშით, რაც დღემდე მომდევს,
ჯერ უცნობი რაღაც ელდით მეც და გულიც მთლად გავხელდით:
„სტუმარია – კვლავ ვთქვი – ვეჭვობ, შემოშვებას სხვა რომ მთხოვდეს,
სტუმარია ვიღაც... ვეჭვობ, ამის ნებას სხვა რომ მთხოვდეს,
ან განზრახვა სხვა რამ ჰქონდეს.

4

მოვიკრიბე მალე ძალი, კარს შევავლე უმალ თვალი,
ვკითხე: „კაცი ხარ თუ ქალი?! – მაპატიე მე, არმცოდნეს,
არ ველოდი კაკუნს ღამე, მთვლემარს მესმა ოდეს ხმა მე,
ვერც გავიგე სიტყვა რამე კარზე ვინმე მომძახოდეს“...
გავხსენ კარი და ვიფიქრე, იქ წყვდიადი დამხვდა ოდეს,
ვეჭვ, სამზერი სხვა რამ მქონდეს.

5

მივაშტერდი წყვდიადს ასე, შიშითა და გზნებით სავსე,
მე იმ ნატრულს დავემსგავსე, ვისაც სურს, რომ შუქი კრთოდეს,
თუმც არ ჰკვეთდა სხივი წყვდიადს და არც ბგერა – დუმილს, ფრიადს,
მხოლოდ სურვილს ვგრძნობდი დიადს, ექოსავით რომ მოჰქონდეს
სივრცეს სიტყვა – „ლენორ... ლენორ...“ და ჩემს ირგვლივ მიმოჰქონდეს...
სხვა სურვილი არც რამ მქონდეს.

6

მოვბრუნდი და ვიგრძენ სრული მგზნებარებით თრთოდა სული
და ვშიშობდი, აწ სარკმელზე ის კაკუნი განმეორდეს,
მართლაც მესმა მძლავრად ისევ და ვთქვი – „ეჭვებს რატომ ვისევ?!
გამოვაღებ სარკმელს ისე, სული ძლიერ რომ არ თრთოდეს,
ვნახავ, იქნებ ქარს სწადია – რაღაც უცნაურად ქროდეს
და ხმაც უცნაური ჰქონდეს“.

7

გავაღე და ზევით-ქვევით მოფართხალე ფრთების ქნევით
იქ ყორანი დამხვდა წინ და შემოფრინდა შიგნით ოდეს,
მედიდურად მე გამშორდა და ვით ლედიმ ანდა ლორდმა,
ჩამიარა შორი-შორ და კართან ახტა, თითქოს მოსდევს
ძველი ჯავრი პალადასი, რომ მის ბიუსტს დასჯდომოდეს, –
თითქოს ჯავრი ახლაც ჰქონდეს.

8

შევხედე და, სევდის ნაცვლად, გავხალისდი – ისე მკაცრად
იჯდა თითქოს მთვლიდა არც რად... ჰგავდა ბრძენს და ყოვლისმცოდნეს.
ვუთხარ: „ვატყობ, არ ხარ მხდალი, თუმც მზერა გაქვს ერთობ მწყრალი,
მედიდურად გიჭრის თვალი... სჭვრეტ ღამეულ ბრალს და ცოდვებს..
მაშ, სახელიც მითხარ... იქნებ, ჯოჯოხეთურს მეტყვი ბოდვებს...“
და თქვა სიტყვა – „არასოდეს!“

9

ყორნის სიტყვას ყური როცა მოვკარ, ფრიად გამაოცა,
საშველი კი არც მან მომცა, სული სევდით რომ არ ძრწოდეს...
ან უნახავს ნეტავ ვინმეს, შესწრებია მხეცს ან ფრინველს,
რომ ოთახში შეძლებს იმდენს, შეელწიოს შიგნით ოდეს,
უმალ კართან შემოდებულ ბიუსტს თავზე დასჯდომოდეს
და თან ეთქვას „არასოდეს“?!

10

ეს თქვა მხოლოდ შემზარავად და ბიუსტზე კვლავ უძრავად
იჯდა... თითქოს ერთ სიტყვაში მთელ ძალას და სულს აქსოვდეს...
ფრთის შექნევაც კი არ სცადა, არაფერი მითხრა სხვა და
მე ვთქვი – „წავა ესეც ხვალ და მოისურვებს, რომ გამშორდეს,
როგორც ყველა მეგობარი და იმედიც აღარ მქონდეს...“
მან დამჩხავლა – „არასოდეს“.

11

დავუბრუნდი შიშით დუმილს, ჩხავილი რომ შეწყდა სტუმრის,
„მგონი, ერთი სიტყვა იცის – ვთქვი – ვეჭვობ, რომ სხვას ამბობდეს...
ალბათ, ვინმე ბედკრულს ჰყავდა მიჩვეული, ის კი თხზავდა
სევდით ლექსებს კვლავ-და-კვლავ და სურდა, ასე დასძახოდეს
მას ყორნის ხმაც... უიმედო სევდით სავსე დასძახოდეს:
„არა, არა.... არასოდეს...“

12

ჩემს სევდიან სულს თუმც მალე კვლავ ღიმილით მივეძალე,
სავარძელი დავდგი ახლოს ყორანთან და კართან ოდეს,
რბილ ხავერდზე მჯდომმა თავი მივეც ფიქრებს, ის კი – შავი,
მწუხარე და შემზარავი ხმით ცდილობდა, კვლავ ჩხაოდეს,
ვით ბნელეთის მოციქული ერთი სიტყვით დამჩხაოდეს
და ამბობდეს – „არასოდეს“.

13

ასე ვიჯექ სავსე ეჭვით, ღრმა დუმილში ხანგრძლივ შეჭრით,
ფრინველი კი თვალთა ცეცხლით თითქოს გულში შემომჭროდეს,
მე იდუმალ ფიქრთა შორის ხავერდებზე წამოწოლილს,
შუქს მაფენდა ლამპიონის სხივი ისე, თითქოს კრთოდეს
იისფერად სატრფოს ხსოვნა... მსურდა, კარს ის მოსდგომოდეს,
თუმც არ მოვა არასოდეს.

14

მერე ვიგრძენ რაღაც შვება, მოფარფატე ნება-ნება,
თითქოს ჩემთან სურნელება სერაფიმთა იფრქვეოდეს,
„ო, საბრალოვ! – თავს შევძახე – აწ ღვთიური შვება ნახე,
მოჩანს ანგელოზთა სახე, რომ შენს ხსოვნას შვება ჰქონდეს...
რომ ლენორი დაივიწყო... რომ ლენორი არ გახსოვდეს...
და მომესმა – „არასოდეს!“

15

ვკითხე – „გიმზერ ნათელმხილველს თუ ეშმაკთან ჩვეულ ფრინველს,
რომელ მაცდურ ქარს ეწადა, შენთან ერთად აქეთ ქროდეს?!
რად მეწვიე უდაბურ და ბნელ მხარეში... ან რა გსურდა?!
უშიშრობა შენი მშურს და გთხოვ – მართალი მითხარ!... გთხოვ დღეს!
გალაადის ნაპირს ჩემთვის თუ აქვს შვება? – მითხარ!.. გთხოვ დღეს!“
და მომესმა – „არასოდეს!“

16

ვკითხე – „გიმზერ ნათელმხილველს თუ ეშმაკთან ჩვეულ ფრინველს?!
ღმერთს გაფიცებ, ვისგან მადლიც გვსურს, ორივეს მოგვფენოდეს,
მითხარ, ჩემს სულს ეღირსება, თუნდ ედემში ჰქონდეს შვება,
თუ ექნება იმის ნება, წმინდა ქალწულს შეჰხაროდეს,
ლენორს ხელის შესახებად უხმობდეს და შესძახოდეს?!“
და მომესმა – „არასოდეს!“

17

„მაშ, ამ სიტყვით გამეცალე, გადი გარეთ, ქარში მალე,
ფრინველი ხარ თუ ეშმაკი?! – სჯობს, გზა ჯოჯოხეთში გქონდეს!...
სჯობს, კარისკენ გაემართო, სულს ცრუ გზნება არ დამართო,
მე დამტოვე ისევ მარტო... მოშორდები ბიუსტს ოდეს,
სჯობს ჩემს გულსაც შენი კლანჭი აღარასდროს დასტყობოდეს!...“
და მომესმა – „არასოდეს!“

18

მივაშტერდი ყორანს მყის და – ის უძრავად ზის და ზის და –
თითქოს ბიუსტს პალადისას საუკუნოდ დასჯდომოდეს,
მზერაც თითქოს გაუქვავდა, მეოცნებე დემონს ჰგავდა,
და მის ჩრდილქვეშ ვიგრძენ კვლავ და მივხვდი, სული უნდა ძრწოდეს,
ყორნის ჩრდილში ჩაფერფლილ სული, მარად უნდა ძრწოდეს,
და არ აღდგეს არასოდეს!

მთარგმნელი: ალექსანდრე ელერდაშვილი

ამ ლექსის ვაჟა-ფშაველასეული თარგმანი შეგიძლიათ ნახოთ აქ:

https://9nes.short.gy/3gFw5S



4. ჯორჯ გორდონ ბაირონი

„ჩაილდ-ჰაროლდი“

(ნაწყვეტი პოემიდან
„ჩაილდ ჰაროლდის მოგზაურობა“)

I

მშვიდობა შენდა, მშობელო მხარევ!
ლურჯ წყლების მიღმა ინთქმება სადღაც,
ქარი და ტალღა ქვითინებს მწარედ
და თოლიები წივიან მაღლა.
კვალდაკვალ მივდევთ ჩამავალ მზეს და
მივეგებებით სიღრმეს ზღვებისას,
მშვიდობა მზეს და მშვიდობა შენდა,
მშობელო მხარევ, ღამე ნებისა...

II

მალე გაჩნდება ნათელი მზისი,
აელვარდება დიადი დილა,
სხვის ზღვებს და ველებს ვნახავ ხალისით,
საკუთარისას გავურბი ხილვას.
ჩავაქრე კერა და ბედს მივენდე,
დავუთმე სახლი თქეშს და ცივ ქართა,
ბალახ-ბულახი ეხვევა კედლებს
და ჩემი ძაღლი ყმუის ჭიშკართან....

III

მომიახლოვდი, ჩემო ფარეშო,
მითხარი, რატომ ოხრავ და ტირი,
იქნებ გაშინებს ზვირთა თარეში
ან დაბჩენილი გრიგალის პირი.
შეიშრე ცრემლი, გაექეც დარდებს
თუნდ მიეხეთქოს ტალღებზე ტალღა,
თვით შავარდენიც ვერ ინავარდებს
ამ ჩვენს უმტკიცეს ხომალდზეც ლაღად...

IV

დე, იბობოქროს ზღვამაც და ქარმაც,
როდი მაშინებს ტალღა და ქარი,
სულ სხვა რამეა, სერ ჩაილდ, რამაც
ეს ჩემი სული დაღარა ბზარით.
დავტოვე მამა, დავტოვე დედა,
და მისი ცრემლი, ალბათ, ზღვას ერთვის
და სხვა ვინა მყავს ამქვეყნად მწედა,
გარდა შენ ერთის და მაღალ ღმერთის...

V

მამამ მხურვალედ გზა დამილოცა,
თუმც განშორების დარდებს არ ისევს,
დედა კი ცრემლებს არ წარიხოცავს,
ვიდრე შინ მოსულს მნახავდეს ისევ.
– ო, გეყო, გეყო ცრემლები კრული,
თუმც წრფელი ცრემლით გევსება თვალი,
მეც რომ მქონოდა შენებრი გული,
არ უნდა იყოს ეს თვალი მშრალი.

VI

ფარეშო ჩემო, რად მიგდის ფერი,
რად აგიტანა შიშმა და ძრწოლამ,
იქნებ გაშინებს ვერაგი მტერი
ან მოვარდნილი ქარიშხლის ქროლა?
– არ ვარ, სერ ჩაილდ, ასეთი სუსტი,
სულ არ მადარდებს სიკვდილი ავი,
მაგრამ მეუღლე ჩემს მოსვლას უცდის
დღედაღამ ფიქრით უსკდება თავი.

VII

ჩემი ოჯახი თქვენს ახლო სახლობს,
ტბის შორიახლო და, როცა ბავშვი
ისურვებს, მამა რომ დამიძახოს,
პასუხად ცოლმა რა უთხრას მაშინ?
– ფარეშო ჩემო, ო კმარა, კმარა,
მე შენს გულის დარდს ვეპყრობი ფრთხილად,
მაგრამ უზრუნველ გრძნობის ამარა
უცხო მხარეში სიცილით მივალ.

VIII

ვინღა მიენდოს ყალბ ცრემლს და ოხვრას
მეუღლის, ან, და, სხვა ვინმე ქალის,
სხვას შეიტკბობს და მიგაგდებს ოხრად,
რომ ცრემლმა აღარ ატკინოს თვალი.

არავითარი საფრთხე არ მაკრთობს
და არც მივტირი სიამის წამებს,
დარდით ის მავსებს, ისეთს არას ვთმობ,
ობოლ ცრემლადაც მიღირდეს რამე.

IX

და ახლა ქვეყნად მარტო ვარ მარტო,
მივცურავ ზღვა-ზღვა და შორით მივალ,
როცა სხვათათვის ვიკვნესო რატომ
ჩემთვის გული რომ არავის სტკივა?
ვინ იცის, ძაღლმა იჯავროს ვითომ,
ვიდრე მიუგდებს ლუკმას სხვა ვინმე
და უცხოსავით დამგლიჯოს თვითონ,
დიდი ხნის მერე რომ ჩავლ შინ მე...

X

ჭირს და ლხინს შენთან რომ ვიზიარებ
ხომალდო ჩემო, წინ გასწი ჩქარა,
რა ქვეყნდაც გსურს, იქ ჩამიყვანე
ოღონდ, ჩემსაში – არა და არა....
სალამი ტალღას ცისფერთვალებას
და, როს დაგტოვებთ ზვირთნო ზღვებისა,
თქვენ, უდაბნონო, მოგესალმებით,
სამშობლოვ ჩემო, ღამე ნებისა...

გამოძახილი

ბარათაშვილის „მერანის“ გამოძახილთა ჩამონათვალი იმდენად მრავალფეროვანი და მდიდარია, რომ, ალბათ, ერთი პატარა კრებული შედგებოდა.

ამჯერად გთავაზობთ **გალაკტიონის** ორ ლექსს **„განახლდა გული“ და „შავი ყორანი“.**

მსგავსებებისა და განსხვავებების მოძებნა, ალბათ, უკვე არ გაგიჭირდებათ.

განახლდა გული

განახლდა გული... დღეს ის აღარ ვარ,
რაც უწინ ვიყავ... ფერი ვიცვალე...
გზა დამიცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!
წინ ვივლი, სანამ დავმიწებოდე,
ბედს კი მაინც არ შევურიგდები!
წინ ნუ მიდგები, შავი ბურუსო,
წყეულო ღამევ, წინ ნუ მიდგები!
ნუთუ არ მეყო, რაც დასაბამით
გაუნელებელ ცეცხლში ვეწვალე?

ჩამომეცალე, შავო ბურუსო,
წყეულო ღამევ, ჩამომეცალე!
ვივიწყებ წარსულს... ჩემს სიყმაწვილეს
გამოთხოვების ცრემლებს ვაპკურებ...
გავანადგურებ ხელისშემშლელ ნისლს,
წყეულ ღამესაც გავანადგურებ...
წამების ცეცხლში განახლდა გული,
ფერი ვიცვალე, ფერი ვიცვალე,
გზა დამიცალე, შავი ბურუსო!
წყეულო ღამევ, გზა დამიცალე!

შავი ყორანი

გზა გავიარე... მსურს მოვიხედო,
და დავინახო მთისა ქედები;
შავი ყორანი გზაზე მომჩხავის:
„ნუ იხედები... ნუ იხედები!“

მაგრამ სადა ვარ? გზა აღარა სჩანს,
ამ სიბნელეშიც გაჭირდა გავლა;
შავმა ყორანმა ფრთა ფრთას შემოჰკრა,
შავმა ყორანმა თავზე დამჩხავლა...

გზაზე მივდივარ... მსურს გავარკვიო
გასავლელი გზის სივრცე უცვლელი;
შავი ყორანი ისევ მომჩხავის:
„შორს ნუ გასცქერი... შორს ნურვის ელი!“

გადაიფრინა და მომაგონა
დრო უბედობის გვერდით მხლებელი,
ჟამი – ველაფრის მქნელ-გარდამქნელი,
სივრცე – ყველაფრის მიმტევებელი.

იმსჯელეთ, რატომაა ლექსის მთავარი სათქმელი მარადიული და აქტუალური ყველა დროში?

1. მინიდისკუსია – ბრძოლა სხვისთვის...

„ბედის სამძღვრის გადალახვა“, რაც ლირიკულ გმირს მიზნად დაუსახავს, იმთავითვე მცდარი მიზანი ხომ არ არის? რატომ ირჩევს ადამიანი ძნელსა და რთულ გზას, თუ წინასწარ იცის, რომ დამარცხდება, რა აზრი აქვს წაგებული ბრძოლის დაწყებას? მართალია თუ არა ფრაზა – „ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი“ – და რატომ?

2. მინიდისკუსია – „მერანი“ და მისი ლიტერატურული პარალელები

ამ დისკუსიას თქვენ ადვილად მოამზადებთ, რადგან რუბრიკაში „ლიტერატურული ძიებანი“ სათანადო კვლევები უკვე ჩატარებული გაქვთ.

ყურადღება მიაქციეთ და გამოკვეთეთ პარალელებს შორის როგორც მსგავსებები, ისე განსხვავებანი.

გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსანი“. ავთანდილი თავის ანდერძში წერს:

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხობელმან,
ღარიბი მოვკვდე ღარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე მლმობელმან!“

იმსჯელეთ, რით ეხმიანება ავთანდილის სულისკვეთებას „მერანის“ ლირიკული გმირი?

როგორ გგონიათ, „მერანს“ უცხოურ პარალელებთან მეტი საერთო აქვს, თუ მშობლიურ „ვეფხისტყაოსანთან“? მოიყვანეთ სათანადო არგუმენტები ტექსტებიდან.

3. მინიდისკუსია – გავლენა თუ მსგავსი თემატიკის სხვადასხვაგვარი დამუშავება?

მინიდისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრების მოსაზრებათა გათვალისწინებით. სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან **კიტა აბაშიძე და ვახტანგ კოტეტიშვილი.** გთავაზებთ მათ პოლემიკას „ფარისისა“ და „მერანის“ შესახებ.

„ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის „ფარისის“ მიმსგავსებით. რასაკვირველია, ამით სრულიადაც არ მცირდება ღირსება ამ ლექსისა. შორს წაგვიყვანდა, თორემ ჩვენ შეგვეძლო, აგვეხსნა, რას ნიშნავს ლიტერატურაში მიმბაძველობა, რა დიდი მნიშვნელობა აქვს მას და ისიც გვეჩვენებინა, რომ ყოველ დიდებულ ნაწარმოებს ემჩნევა კვალი მიმბაძველობისა, მაგრამ ამის გამო დიდებულება მაინც არ დაუკარგავს. ჩვენს მგოსანს ნასესხები აქვს არაკი ლექსისა, ნასესხები აქვს მრავალი სიტყვები თვით ლექსისა, ეგრეთ წოდებული პოეტური ეპითეტები, მაგრამ, როგორც ბრძანებს ი. მეუნარგია, თვით მიცკევიჩს ეს სიტყვები ნასესხები ჰქონია თურმე არაბული ლექსიდან. წარმოიდგინეთ, თვით ის შემთხვევა, რომლის გამო დაწერა მიცკევიჩმა თავისი „ფარისი“, წააგავს იმ შემთხვევას, რომელმაც ბარათაშვილს თავისი უკვდავი ლექსი დააწერინა, და მაინც კიდევ, ბარათაშვილის ლექსი დიდებულია...

...მიცკევიჩი თავისი მხედრის გმირობას გვიხატავს, რომელიც ვერას შეუშინებია. ბარათაშვილი კი თავისი მხედრის სასოწარკვეთილებას, რომელიც იმ მდგომარეობაშია, რომ არაფერი არად მიაჩნია და სიცოცხლეს სიკვდილს არჩევს, მაგრამ სიკვდილს აზრიანს, შთამომავლობისათვის თავგანწირულს. ბარათაშვილმა ისარგებლა შემთხვევით, ისარგებლა მიცკევიჩის ლექსით, მაგრამ უფრო ღრმა ნიადაგზედ დააყენა საგანი, საგნის არსებით მხარეს შეეხო, საგნის მთავარ აზრს ჩასჭიდა ხელი; მარტივი შემთხვევა, საზოგადოდ, ტიპიურად გარდაჰქმნა, ილ. ორბელიანის ლეკთაგან დაჭე-

რის გამო, დაგვისურათა კაცი, რომელსაც შეუგნია საზიზღრობა ცხოვრებისა, კაცი, რომელსაც ვერ უპოვია ტოლი და მეგობარი სულისა, კაცი, რომელიც საზოგადოების გულქვაობასა და გულგრილობას სასოწარკვეთილებამდის მიუყვანია, კაცი, რომელიც მიურბის ყოველსავე ამას, ადამიანზედ უფრო გულკეთილსა და გულმოწყალე ბუნებას მიმართავს; მიურბის ყოველსავე ამას და მომავალ თაობას დაანახვებს, თქვენი საქმეა... შავის ბედის შებრძოლებაო...“

კიტა აბაშიძე

„ამბობენ, რომ მიცკევიჩის „ფარისის“ გავლენის ქვეშ არის „მერანი“ დაწერილიო. მაგალითად, კიტა აბაშიძე სრულიად გარკვევით და კატეგორიულად წერს: „ჩვენ კარგად ვიცით, რომ ეს ლექსი დაწერილია მიცკევიჩის „ფარისის“ მიმსგავსებითო“.

ჩემის აზრით, ეს დებულება შემცდარია. სულ სხვა ჟანრით, სხვა იდეოლოგიით და სხვა განცდებით არის დაწერილი პოლონელი პოეტის ლექსი და სულ სხვა არის ბარათაშვილის „მერანში“ ნაჩვენები: ქვეყნის განცდა, მსოფლმხედველობა და სხვ.

განა ამ ლექსის („ფარისის“) და „მერანის“ ფაბულა ემსგავსებიან ერთმანეთს? აქ აღწერაა, „მერანში“ კი წადილია, „ფარისი“ უფრო ეპიკაა, „მერანი“ კი – ლირიკა. არც იდეური მსგავსებაა, არც პოეტური სახეების ნათესაობა, არც ეპითეტები და სხვ. ერთი სიტყვით, ბარათაშვილის „მერანში“ ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ კვალის მოძებნა, ჩვენი აზრით, ყოვლად გაუმართლებელი პედანტობაა. იონა მეუნარგიას მიერ უსაფუძვლოდ წამოყენებული მოსაზრება, რომელიც შემდეგ ჩვენს ლიტერატურაში განმტკიცდა კიდეც და დოგმატურად კიტა აბაშიძემაც დაადასტურა, საბოლოოდ უნდა მოიხსნას.

ვახტანგ კოტეტიშვილი

4. მინიდისკუსია – რა არის ამ ლექსის („მერანი“) დედააზრი? რომელი თემები და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები იჩენს თავს ამ ნაწარმოებში? როგორ პასუხობს ავტორი (ლირიკული გმირი) მარადიულ კითხვებს?

დისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრის, პოეტისა და ფილოსოფოსის, **ზურაბ კაკაბაძის** მოსაზრების გათვალისწინებით.

„ადამიანი ყოველთვის გარშემორტყმულია შემზღუდავი, შემბოჭავი ძალებით. ეს დამმონებელი ძალები, თავისუფლების ბარიერები სხვადასხვა დროს, კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვაგვარია. ძალიან ხშირად ადამიანი ნებდება მათ. ასეთ შემთხვევაში იგი შორდება თავის არსს, თავის მოწოდებას. და მაშინ უსასრულობა – ადამიანის სიღრმისეული ლტოლვის საგანი, მისი შორეული „სამშობლო“ – მასში მონატრების გრძნობას ბადებს. იგი ვლინდება შინაგან უკმაყოფილებაში, ნაღვლიანობაში, მოწყენილობის და მარტოობის, სიცარიელის განცდებში, უკვალოდ გაქრობის შიშში. ადამიანი იწყებს გამოსავლის ძიებას და უსასრულობა, რომელიც საკუთარი ცნობიერების სიღრმიდან უხმობს, თავის თავს სთავაზობს მას.

...თავისუფლება, გამოყენებული სამყაროში თავისუფლების დასანერგად, გასაფართოებლად და გასაძლიერებლად, ანუ თავისუფლება, გამოყენებული არა მარტო საკუთარი, არამედ სხვების თავისუფლების გასაფართოებლად და გასაძლიერებლად – საბოლოოდ, ეს არის, როგორც ჩანს, ადამიანის ეთიკური ვალი, მისი ყოფიერების აზრი და ღირებულება“.

ზურაბ კაკაბაძე

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალება 1.

ანალიტიკური ესე

კიდევ ერთხელ ყურადღებით გადაიკითხეთ სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში შესწავლილი ლიტერატურული ნაწარმოებები და დაწერეთ ანალიტიკური ესე „ლიტერატურული პარალელები“.

ამისათვის შექმენით ლიტერატურულ პარალელებზე დაკვირვების კრიტერიუმები და ჩაატარეთ დამოუკიდებელი კვლევა; შედეგების გათვალისწინებით მოამზადეთ ანალიტიკური ესეს გეგმა და მასზე დაყრდნობით დაწერეთ ანალიტიკური ესე.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში:

- ისაუბრეთ, რა აქვთ საერთო შესწავლილ ნაწარმოებებს (მაგ., პრობლემატიკის, შეხედულებების, ფასეულობების თვალსაზრისით), თქვენი მოსაზრების დასასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი ადგილები ნაწარმოებებიდან;
- წარმოაჩინეთ, რა როლს ასრულებს თხზულებების შექმნის თანადროული ეპოქის შეხედულებანი, რომლებიც ამ პარალელებს უდევს საფუძვლად;
- გამოიყენეთ მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრთა გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები (მაგ., როგორც... ასევე; ერთ შემთხვევაში... მეორეგან კი);

შეარჩიეთ სათანადო სტილი, გამოკვეთეთ ესეს სტრუქტურული ნაწილები – შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

კომპლექსური დავალება 2.

პრეზენტაცია – მწერლის ლიტერატურული პორტრეტი

შეარჩიეთ თქვენ მიერ შესწავლილი რომანტიკოსი ავტორებიდან ერთ-ერთი და მისი ცხოვრების გზისა და შემოქმედებითი თავისებურებების გათვალისწინებით შექმენით მწერლის ლიტერატურული პორტრეტი. მასალა წარმოადგინეთ პროგრამა „Power Point“-ის გამოყენებით მომზადებული 4-6 წუთიანი ზეპირი პრეზენტაციის სახით.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში/ნამუშევრის წარდგენისას წარმოაჩინეთ:

- რა თავისებურებებით გამოირჩევა ავტორის თანადროული ეპოქა, როგორია ავტორის ცხოვრებისეული გამოცდილება;
- როგორია ავტორის კონკრეტული ნაწარმოებების ურთიერთმიმართება შესაბამისი ეპოქის ლიტერატურულ პროცესებთან (ამ შემთხვევაში, რომანტიზმთან); რა ინდივიდუალური თავისებურებები ახასიათებს მწერალს ამ საერთო ტენდენციების ფონზე;
- რიტორიკული შეკითხვები და რიტორიკული მიმართვები, რომლებსაც გამოიყენებთ აუდიტორიის ყურადღების მობილიზებისათვის;
- მიზნის შესაბამისად შერჩეული ვიზუალური მასალა (ფოტოები, ნახატები); შეეცადეთ, ასევე გაამდიდროთ პრეზენტაცია ვიდეო– და აუდიომასალით (მაგ., ფონური მუსიკით, ვიზუალური რიგით);
- რა სახის ინფორმაციის გადმოსაცემად გამოიყენეთ ზეპირი ტექსტი, რა სახის ინფორმაცია ასახეთ ვიზუალურად, რა სახის – აკუსტიკურად; რატომ თვლით, რომ სათქმელის ამგვარი გადანაწილება ეფექტურია.

დამატებითი რესურსები

შენიშვნა:

ლიტერატურული პორტრეტის დამატებით ნიმუშად შეგიძლიათ ნახოთ დანართი 2. „დამატებითი საკითხავი“, „2.2. აკა მორჩილაძე, „ტატოს ცხოვრება“ (ნაწყვეტი წიგნიდან „ქართულის რვეულები“, გვ. 492), რომელიც დიდ დახმარებას გაგიწევთ ლიტერატურული პორტრეტის მხატვრულად დამუშავებაში.



თავი III
ცხოვრება სცენაზე

XIX საუკუნის 50-იან წლებში ქართულ ლიტერატურაში ახალმა სიომ დაბერა, თუმცა გარეგნულად ყველაფერი ძველებურად მიდიოდა.

რომანტიკული ლიტერატურა, ჩვეულებისამებრ, არსებულის ნაცვლად სასურველს ასახავდა, სასურველი კი ნამდვილად ვერ იყო იმხანად ქართული საზოგადოების ცხოვრება. რომც ყოფილიყო, რომანტიზმი ცხოვრებისეული, ყოფითი ამბებით მაინც არ დაინტერესდებოდა. „შეულამაზებელ“ სინამდვილეს ვერ შეურიგდებოდა, ამიტომაც ისე მოხდა, რომ რეალური ცხოვრების ადგილი ლიტერატურაში თითქოს დაცარიელდა.

ამ დროისათვის ოთხიოდე წლის გარდაცვლილი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძე. ლიტერატურაში ჯერ კიდევ რომანტიკული პოეზიის მძლე ბურჯად იდგა გრიგოლ ორბელიანი... ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებას ტონს ჯერ ისევ რომანტიზმი აძლევდა.

ლიტერატურიდან „განდევნილმა“ რეალურმა ყოფამ, ჩვენი საზოგადოების ჭირმა და ლხინმა კი თავი სცენაზე ამოყო...

სცენა იქცა ჩვენი საზოგადოების სარკედ და პირუთვნელ მსაჯულად... ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს და ამასთანაც, იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს ადგმევინებს, ფრთას აშლევინებს. უკეთესი შესაქცევარი, უკეთესი დროსგასართობი, სულისა და გულის ამამაღლებელი სხვა ისეთი არა ვიცით რა, სცენის მეტი. თუ ეს ძვირფასი თვისება, როგორც ხალხის წვრთნა და ზრდა, სცენას ჩამოვაცილეთ, იგი მიკიტანხანად გადაიქცევა და მაშინ სჯობს წაწყმდეს, ვიდრე სუფევდეს“.

ქართული თეატრი იმთავითვე „მართლის თქმით“ იწყებდა...

§7 კომედია, ანუ როგორები არ უნდა ვიყოთ... გაყრა

შესავალი საუბარი – ქართული თეატრის სათავეებთან

თეატრმცოდნენი თეატრის სათავეებზე საუბარს ძალიან შორიდან იწყებენ – ანტიკური პერიოდიდან, ვრცლად მიმოიხილავენ ძველ ქართულ საწესჩვეულებო-სარიტუალო თამაშებსა და სახალხო დღესასწაულებს – „ბერიკაობას“, „ყეენობას“. თვლიან, რომ ქართული თეატრის სათავეები სწორედ იმ შორეულ წარსულშია საძებნი. ეს ასეცაა, მაგრამ ჩვენ ამჯერად პროფესიულ ქართულ თეატრზე, ქართულ დასზე ვისაუბრებთ.

მეცხრამეტე საუკუნეს, ამ მხრივ, მძიმე მემკვიდრეობა დახვდა.

ერეკლე მეფის კარზე ჩამოყალიბდა ქართული თეატრალური დასი, რომელსაც „მაჩაბელას“ ეძახდნენ, რადგან მას მსახიობი მაჩაბელი ხელმძღვანელობდა. ეს დასი კრწანისის ომში მონაწილეობდა. თეიმურაზ ბატონიშვილი წერს: „ის (გულისხმობს დასის ხელმძღვანელ მაჩაბელს) მიუძღვა გუნდსა მას თბილისელთა მტერთა მიმართ და ეპყრა ხელთა ბარბითა... და უკრავდა... შადიანსა... მაჩაბლისა გუნდი შეეწირა მსხვერპლად მამულსა თვისას“. ეს ის მაჩაბელია, რომელსაც მოგვიანებით ლადო ასათიანი მოიხსენიებს თავის უკვდავ „სალაღობოში“:

დაუკარით! და იმღერეთ შადიანი,
ფიცხელ ომში რომ მღეროდა მაჩაბელი.
დაუკარით ძველებური დარდიანი,
დაუკარით არწივების ასაფრენი!

ბრძოლაში დაღუპული ქართული დასი იწყებს ქართული პროფესიული თეატრის ისტორიას. იწყებს ტრაგიკულად, მძიმედ, მაგრამ გამოკვეთილად. აქ უკვე ჩანს, როგორ განვითარდებოდა მოვლენები; რა ფუნქცია დაეკისრებოდა ქართულ თეატრს ერის ცხოვრებაში, ისიც ნათელია, რომ ეს ფუნქცია ქართული ეროვნული მოძრაობისა თუ ბრძოლის (ეს ორი ხშირად ერთი და იგივეა ხოლმე) განუყოფელი ნაწილი იქნებოდა.

ქართული პროფესიული თეატრის დაარსების იდეა XIX საუკუნის 40-50-იანი წლებიდან გაჩნდა.

თეატრის იდეას სათავეში გიორგი ერისთავი ედგა, კაცი, რომელსაც სხვაგვარად ასე მოიხსენიებდნენ – „კაცი თეატრიდან“...

გიორგი ერისთავის ღვაწლის შეფასებისას ილიამ გაიხსენა შექსპირის გმირის ცნობილი ფრაზა მის მიერვე თარგმნილი „მეფე ლირიდან“ – „არარაისგან არ იქმნების არარაიცა!“ და მისი პერიფრაზით შეეხმიანა გიორგი ერისთავის თეატრალურ მოღვაწეობას: „არარაისგან არ იქნების არარაიცაო“, ჩვენმა თეატრმა ცხადად დაგვანახა, რომ, შესაძლოა, არარაისგან იქმნას რამ. ამ ორმოცდაათი წლის წინათ არარა იყო და ეხლა ვხედავთ, რომ არარაისგან იქმნა ჩვენი თეატრი, – ეს ჯერ კიდევ ბევრი რამ არ არის. საქმე ის არის, რომ იქმნა, გაიზარდა, გაძლიერდა... გიორგი ერისთავმა დაიწყო **ქართული საზოგადოების ზნეობრივად აღზრდა და გაწვრთნა“...**

1850 წლის 2 (14) იანვარს თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში (დღევანდელი I კლასიკური გიმნაზიის შენობაში) წარმოადგინეს გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. სწორედ ეს დღე ითვლება ქართული თეატრის დაბადების დღედ.

სწრაფი ტემპით შენდებოდა ე.წ.სახაზინო თეატრის შენობაც, რომელმაც ბინა თამამშევის ქარვასლაში დაიდო. უკვე 1851 წლის 1 იანვარს აქ დასმა წარმოადგინა გიორგი ერისთავის კომედია „გაყრა“. დაიწყო მუდმივმოქმედი თეატრის ახალი ისტორია.

თეატრს საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო რეპერტუარი ჰქონდა. იდგმებოდა თავად გიორგი ერისთავის პიესები: „დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“, „თილისმის ხანი“, „უჩინმაჩინის ქუდი...

ქართული თეატრი სცენაზე ცხოვრებას, ქართულ სინამდვილეს აცოცხლებდა, თუმცა „XIX საუკუნის ქართული სინამდვილე ჩამოჰგავდა თეატრს, ტრაგიკული, კომიკური და დრამატული გვერდიგვერდ თანაარსებობდნენ ამ ურთულესი მოვლენების ასპარეზად ქცეულ სივრცეში და თეატრიც, როგორც ცხოვრება, აირეკლავდა და გამოხატავდა ამ ცხოვრება-თეატრის ყველა საფიქრალსა და სატკივარს“ (მაკა სახურია).

თარგმანები... ლიტერატურისა და თეატრის დასავლური კურსი...

მეცხრამეტე საუკუნის თეატრალურ და ლიტერატურულ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო დრამატული ნაწარმოებების თარგმანები, რაც, თავის მხრივ, ასევე ქართული ლიტერატურისა და დრამატურგიის ევროპულ კურსს წარმოაჩენდა.

ნაწყვეტი, რომელსაც ახლა გთავაზობთ, უშუალოდ 50-იანი წლების სურათი არ არის. ეს ცოტა მოგვიანებით მოხდება, მაგრამ კარგად წარმოაჩენს ქართული თეატრის, დრამატურგიისა და, საერთოდ, ქართული კულტურის სწრაფვას დასავლური კულტურისაკენ.



ივანე მაჩაბელი



ილია ჭავჭავაძე

„პატარა სტუდენტური ოთახი პაპიროსის კვამლს გაუვსია. ყელმოტეხილ ბოთლში გამაგრებული სანთელი მკრთალად ანათებს ოთახს; სამარისებურ მყუდროებას საათის სუსტი ტაკატუკი არღვევს. გარეთ ცრის შემოდგომის ცივი, გულისგამაწვრილებელი წვიმა. ვიწრო ფანჯარაზე ფარდა ჩამოუფარებიათ. ოთახი ღარიბულად არის მორთული, ამ მხრივ, ნამდვილი სტუდენტურია, იმ განსხვავებით, რომ ყველაფერში წესრიგი და სისუფთავე იგრძნობა.

მაგიდას მისჯდომია პეტერბურგს ბანკის საქმეებზე ჩამოსული ილია ჭავჭავაძე და რაღაცას გატაცებით კითხულობს. დროდადრო თავს ასწევს და მეგობარს შეხედავს, რომელიც მის პირდაპირ ზის. ეს არის ახალგაზრდა ნაფიცი ვექილი ვასილ მაჩაბელი. იგი ამაყი ღიმილით უპასუხებს ილიას მზერას. ვანო (ივანე მაჩაბელი, მთარგმნელი, ვასილის ძმა) ფანჯარასთან დგას, ხელით წიგნის თაროს დაყრდნობია და ილიას შეჰყურებს. გული უფანცქალებს, მაგრამ ცდილობს, გარეგნულად არ დაიმჩნიოს მღელვარება. სანთლის მკრთალ შუქზე კიდევ უფრო ფერმკრთალი ჩანს. ხშირ-ხშირად აიქნევს ხოლმე თავს და შუბლზე გადმოყრილ თმას გაისწორებს.

დღეს შეხვდა იგი პირველად ილია ჭავჭავაძეს. დღესვე მისი პირველი სერიოზული გამოცდაა: დიდი მწერალი ეცნობა ვანო მაჩაბლის თარგმანს, შექსპირის „მეფე ლირის“ ნაწყვეტებს. ვანომ იცის, როგორი მკაცრი კრიტიკოსიცაა ილია ჭავჭავაძე. აგონდება მისი წერილი „შეშლილის“ მთარგმნელ თავად რევაზ ერისთავზე. ახალგაზრდა მწერალს გული ელევა, მანამ ილიას აზრს მოისმენდეს. მაგრამ ილია სულაც არ ჩქარობს. მან დაამთავრა კითხვა, ისევ შეხედა ვასილ მაჩაბელს, წამოდგა, გაიარ-გამოიარა. სახეზე ვერაფერს შეატყობ კაცი. კვლავ მაგიდასთან მივიდა, სკამზე ჩამოჯდა და ახლა უკვე სახეგაბადრულმა წარმოთქვა: „დიდებულია“.

ვახტანგ ჭელიძე

დამატებითი რესურსები

თბილისში მალევე ამოქმედდა იტალიური ოპერაც, რომელმაც თავისუფლების ძლიერი მუხტი შემოიტანა ქართულ სცენაზე. იმის გამო, რომ ერთხელ ქართველმა სტუდენტებმა სცენაზე ქართული დროშა ააფრიალეს, ოპერა საერთოდ დახურეს. მხოლოდ წლების შემდეგ მოახერხა ქართულმა საზოგადოებამ ოპერის გახსნა.

ერთი შეხედვით მოულოდნელი იყო აღმოსავლურ მუსიკას ყურშეჩვეული მსმენელისაგან კლასიკური მუსიკისა და ოპერის ასე სისხლხორცეულად მიღება. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამაზე გვიამბობს აკა მორჩილაძე თავის წიგნში „ქართულის რვეულები“. ამონარიდები წიგნიდან შეგიძლიათ იხილოთ სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 2. დამატებითი საკითხავი, 2.3. „ოპერა“, გვ. 497).

წაკითხვამდე

როგორ ვიკითხოთ

ერთი შეხედვით, ცოტა უცნაურად ჩანს – ქვეყანაში, რომელსაც უამრავი მწვავე პრობლემა აქვს, რატომ უნდა ყოფილიყო თეატრის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება კომედია?



დაფიქრდით, რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს მას?

გვესაუბრება ლიტერატურათმცოდნე **ინგა მილორავა.**

„გიორგი ერისთავის დრამატურგიისათვის უმთავრესი იმთავითვე კომედია გახდა. მანკიერებათა მხილება, რომელსაც დრამატურგისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ჰქონდა, კომედიის ფარგლებში უფრო ქმედითი და შთამბეჭდავი აღმოჩნდა...

თეატრის მთავარი ჟანრი მაინც კომედია იყო. კომედია საშუალებას აძლევდა თეატრს, ფხიზლად მდგარიყო ერის სულიერი განვითარების სადარაჯოზე, ემხილებინა ის ნაკლოვანებები, რომლებიც უკვე ფეხმოკიდებულნი იყვნენ, ან თანდათან იკიდებდნენ ქართულ საზოგადოებაში ფეხს და აშკარად მისი განვითარების შემაფერხებელ, არასახარბიელო როლს ასრულებდნენ. გიორგი ერისთავის რეალისტური თეატრის პრინციპი სინამდვილის ზუსტად, შეულამაზებლად ასახვას ითვალისწინებდა და ისახავდა მიზნად. მას სურდა, რომ მაყურებელი თეატრიდან განწმენდილი, დაფიქრებული, ახალი გზის ძიების სულისკვეთებით გამსჭვალული გამოსულიყო, თეატრიდან გამოსულს, ესთეტიკური სიამოვნების განცდასთან ერთად, ბევრი საფიქრალი მოჰყვებოდა თან“.

კომედიის და, საერთოდ, დრამატული ნაწარმოების კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვეულებრივი თხრობის ადგილს აქ ავტორის რემარკები და მსახიობების რეპლიკები იკავებს. ამიტომაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება წარმოსახვას. მკითხველი აქ „მაყურებლის“ უნარებითაც უნდა „აღიჭურვოს“. ამაში დაგეხმარებათ რუბრიკაში „რამდენიმე წუთი კომპიუტერთან“ მითითებული დამატებითი რესურსები.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

გაეცანით დამატებით რესურსს ქართული თეატრისა და გიორგი ერისთავის შესახებ და წარმოადგინეთ 5-წუთიანი პრეზენტაცია ან ვიდეორგოლი „ქართული თეატრალური ცხოვრების სათავეებთან“.

გიორგი კალანდიას ვიდეობლოგი.

გიორგი ერისთავი (ქართული თეატრის ისტორიიდან)

https://9nes.short.gy/6UaI6P

ჩვენი ვარაუდები

1. თეატრის სცენაზე ცხოვრება ავიდაო, ვთქვით. ივარაუდეთ, რა დაიდგმებოდა „სცენაზე“, რომელი თემები და საკითხები მოხვდებოდა პირველ ქართულ კომედიებში? როგორ საზოგადოებას ვიხილავდით სცენაზე?

გაყრა

მოქმედნი პირნი:

თავადი ანდუყაფარ დიდებულიძე, ქვრივი.
პავლე – ძმა მისი.
ივანე – ძმა ანდუყაფარისა, რუსეთში გაზრდილი და ვარშავიდგან ახლად მოსული.
მაკრინე – ცოლი პავლესი.
ნინო – ქალი პავლესი.
მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი – ვაჭარი, მეგობარი ანდუყაფარისა.
თათელა – ამისი ცოლი.
შუშანა – ქალი მიკირტუმასი.
რამაზ – სეკრეტარი სუდისა.
ბარძიმ – ნათესავი დიდებულიძეთა.
ბარამ – მოურავი ანდუყაფარისა.
კამისიონერი – ძმა თათელასი.
გაბრიელ – მსახური ივანესი.
ყარდაშვერდი – გოგო ნინოსი.
მედიატორები, სტუმრები და მსახურები.
მოქმედება – სოფელში.

მოქმედება I

ოთახი გაულესავი. ფანჯარა, რომელიმე ქაღალდ გაკრული. ცალ გვერდზედ დგას დიდი ტახტი.

გამოსვლა პირველი

ანდუყაფარ ზის ტახტზე. მუთაქა უძევს კალთაში, ორის ხელით არის დაბჯენილი მუთაქაზედ. ფიქრობს ...

ანდუყაფარ

აი ოჯახის დაღუპვა, გვარის დამცირება! გაზარდეთ ყმაწვილები რუსეთში, კარგს რასმე ჰსწავლობენ... აღარც ძმის სიყვარული, აღარც ნათესავისა, არც დედ-მამისა!
ნეტავი დამეშავებინოს რამე მაინცა... ოჯახი წავახდინე, ვალი ავიღე? აი ჩემი ოფლის სამაგიერო: სახლები არ ვარგაო. გამეყარე, ცალკე უნდა ვიცხოვროვო! ოჰ! რა ცუდი დრო არის

ოჯახებისათვის! ტყუილიღა არის, უნდა გავეყარო!.. გავეყარო? რაღა ვიქნები! აი, თუ მტერი ნიშანს მომიგებს. (ოხრავს და იწმენდს ოფლსა)

„ჰეი ოჯახო, კარგო ოჯახო,
შემდგომ გაყრისა ვის დავენახო!
ახ, ველარ დავცემ კარავსა მკაში,
უნდა ვიმალო მე მამითადში!
სად ვნახამ სამასს ნამგლის ტრიალსა,
ჰოპნი[ს] გუგუნსა, ყანის შრიალსა!
...

აი ესენი სულ უნდა მომეშალონ; სახლიც იმას უნდა დარჩეს.

ეს ჩემი ზვარიც უნდა გამიყონ?
მაშ სასაფლავოს ეხლავ წამიღონ.
თერგ-დალეული[1] ჩემი ძამია,
ილაჯს მიწყვეტამს, შემომდგომია,
აღარ ისვენებს, არ იშლის გაყრას,
სახლს ის წაიღებს, მიპირებს აყრას.
(სიცილით)
ზვარში აპირებს ვაზების დაჭრას,
ვაზების წილად თუთების ჩაყრას!“

გამოსვლა მეორე

ანდუყაფარ და ბარამ

ბარამ შემოვა ქუდით, დადგება და ხანჯალ ზედ დაიწყობს ორსავ ხელებსა ...

ანდუყაფარ – *(ფიქრობს)* რას იტყვი, ბარამ!

ბარამ – თქვენს დღეგრძელობას, თქვენს კარგად ყოფნას, თქვენს სიცოცხლესა!

ანდუყაფარ – მაშ, შენ არ იცი, ბარამ?

ბარამ – რა მოგახსენო, შენი ჭირიმე, მე არაფერი...

ანდუყაფარ – მაშ, მე შენ გეტყვი. (ოხვრით) ივანე გაყრას მიპირობს!

ბარამ *(შეშინებულის სახით)* – ნუ მიბრძანებ, შენი ჭირიმე, ნუ მიბრძანებ, განსვენებულის მამის თქვენის საფლავის მზესა!..

ანდუყაფარ – რა ვქნა, ძმაო, არა შვრება. რა გაეწყობა, ვერა მომიხერხებია რა, რუსული კარგად იცის, რუსის დიდ კაცებთან დადის, მერე ჩემი რძალიც იმისკენ არის.

ბარამ – ვაი, შენს ბარამს, როგორ ვერა მოგიხერხებიათ-რა!..
(დაფიქრდება და იმღერის)
მოდი ასე ვქნათ, ყმა მივაბაროთ;
ჩვენ ვხნათ და ვთესოთ, ვენახი ვბაროთ.

ანდუყაფარ – რა სულელი ხარ... ხალხს გადამირევს. ზვარს დამიკაფავს, სახლსაც დამინგრევს!

ბარამ – მოდი, უშოვნოთ ზასედატლობა.

ანდუყაფარ – როდი კადრულობს, უნდა მარშლობა!

ბარამ *(ცოტა ფიქრს უკან)* – მაშ, იცით, შენი ჭირიმე, რა მოგახსენოთ! შევაწეროთ კაცებში ფული, ერთ ოთხასიოდ თუმანს ავკრებთ ხელათ. ოთხასის თუმნით (მხიარულობით) აბა, რას ბრძანებ, შენი ჭირიმე, თავის დღეში გაგვყრიან?! ხა, ხა, ხა! (იმღერის)

---

1 **თერგ-დალეული** – ეს ტერმინი პირველმა გიორგი ერისთავმა გამოიყენა ამ პიესაში.

„ასის თუმნითა აბა, რას ბრძანებ,
სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ.
ჩვენ სუდიასა – აიმ კუკნასა,
სულ ვათამაშებ ლეკურ ბუქნასა,
და სეკრეტარსა მე ოც თუმნათა
გნებავთ გაგიხდით მაიმუნათა!“

ანდუყაფარ – *(წამოჯდება მხიარულის სახით, ქუდს შეიკეცავს მაღლა)* ვთქვათ, ორი წელიწადი არ გაგვყარეს, მერე ხომ უნდა გაგვყარონ. (ამ დროს ისმის ხმა ივანესი: „ლა, ლა, ლა, ლაა, ლა, ლაი-და და ლა, ლა!“)

გამოსვლა მესამე

იგინივე და ივანე

ივანეს წკეპლა ხელში უჭირავს; შემოვა, გააკეთებს ანტრაშას, პირუეტს[1], ცალფეხით შემოტრიალდება, მერე მივა ანდუყაფართან, ისინი განცვიფრებით უყურებენ ...

ივანე

ბონჟურ, ყაფარ, კაპარ! კაკ იმია, ტაკ ი ონ დიკარ!

ანდუყაფარ

მოდი, ძმაო, დაჯექ, გვითხარი რამე, გვასწავლე რუსული იკომონია.

ივანე

ტო იესტ აგრონომია? რასტალკუიკა იემუ, რა კაცია! (იმღერის)
„როგორ გასწავლო ირრიგაცია,
ვით გავაკეთო კარგი გუანო.
ჯერ გამეყარე, ადამიანო
მაშინ გიჩვენო და დაგასწავლო
ეს დიდი ზვარი როგორ დაჰკვალო!“

ანდუყაფარ *(ოხვრით)* ბევრი ღვინო კი მოგივა, თუ რუსული გზები გააკეთე სასეირნოთა!..

ივანე – ღვინო! ქართული ღვინო! ეტო გლუპოსტ! რა ღვინოა, ჰსწორეთ კლუკვენი კვასია! კლუკვას რა ჰქვიან? ძა... ძახველი. ან რა შემოგდით? დასალევათაც არ გეყოფათ!

ანდუყაფარ – ჩვენ ხომ ვსვამთ, არ ვყიდულობთ, თავადის შვილს პური და ღვინო თუ აქვს – მდიდარია...

ივანე – ფული რომ დაგჭირდებათ უნდა ეხვეწნეთ კაკოვო ნიბუდ მიკირტუმ გასპარიჩს! *(ამ დროს ისმის მეორის ოთახიდგან პავლეს ხმა)*

პავლე – ბიჭო, ბიჭო, შენ ეი, ბერუავ! სწრაფიას აჭამე, ყორანასთან ჩხუბი არ მოუვიდეს; ჰაა, შე რჯულ-ძაღლო! ნძა, არ შეჭამო ე კურდღელი.

ივანე – აა, პავლე მოსულა ნადირობიდან, წავიდე, ვნახო, რა დაუჭერია. ხლოპეც დობრ და გლუპ *(გავა)*.

ბარამ *(სიცილით)* – შენი რისხვა მქონდეს, თუ მაგას მთელი ჭკუა ჰქონდეს.

ანდუყაფარ – არ ვიცი, რა ემართებათ ამ რუსეთში, იწამლებიან თუ რა არის. ბიჭო, საკურველია, მოზდოკს მეც ვიყავ, მაგრამ კი არ გავგიჟებულვარ.

ბარამ - უთუოდ რუსეთის ყინვით ტვინი ეყინებათ. (იცინის)

ანდუყაფარ *(ადგება და მიდის)* – კარგია, მამა გიცხონდა, არ გაგვიგონოს!..

---

[1] **ანტრაშა და პირუეტი** – ბალეტის ილეთები, რომელთა ელემენტებსაც თავაზიან მისალმებაში იყენებდნენ უმაღლეს არისტოკრატიულ წრეებში;

გამოსვლა მეოთხე

ბარამ *(მარტო, ფიქრობს)*

ბარამ

ახლა გინდა, ბარამ მოურავო, გონება; გაიყრებიან ბატონები. საუფროსოთ იქნება არ ამიყვანოს დიდმა ბატონმა?.. პავლეს რომ ვერგო, დედაკაცთან ძნელია, იმას გროშს ვერავინ მოჰპარავს, მაშინ გოგოები უნდა გავიმეგობრო! *(იმღერის)*

„თუ ბრძანებლობს სახლში ქალი,
სულელი ჰყავს ვისაც ქმარი,
ვეზირს უნდა ჰქონდეს თვალი,
საით არის ღია კარი;
ვინც მოახლე მას უყვარდეს
და სიტყვას დაუჯერებდეს,
გინდა იყოს მახინჯ მკვდარი
გახდი იმის მეგობარი!..“

რუსეთის გიჟს რომ ვერგო! ოჰ! ღმერთმა დამიფაროს, როზგითა მცემს სიბერის დროსა... მაგრამ გაბრიელა ამბობს, კარგი გულისა არისო! მერე თუ თავის პლანები მოჰყვა, რასაც დასთესს სულ ჭინჭრათ გადაექცევა... მას უკან ან ზასედატლათ წავა, ან პომოშნიკათა...[1] *(ისმის ხმა კარებიდგან და ხველა; ბარამ კულისებში დაიმალება)*

გამოსვლა მეხუთე

მიკირტუმ გასპარიჩი

მიკირტუმ შემოვა, ხელში უჭირავს დავთარი. იყურება აქეთ-იქით.

მიკირტუმ გასპარიჩი

ვა, სად აყრილან, ბევრი დაიმალოთ, მაინც, ემე, უნდა პერემენაით ქნათ ვექსილმა. *(იმღერის ღიმილით)*

„ამ დიდ ბატონს მართებს ფული,
მე ხელში მყავს მისი სული,
ორი წელი მომატყუა,
რა კაცია გიჟ ვრაცუა[2]!
მეორე ძმა ჰყავს ტუტუცი,
ასი იმასაც მივეცი!
კურდღელს იჭერს, ყვირის: უა, უა!
აი კიდევ გიჟ ვრაცუა.
ერთი ძმაც ყამს რუსეთუმე
ტანცი, მანცი, ლავ ხალუმე[3],
ამე თავში არ აქვს ჭკუა,
ისიც ისევ გიჟ ვრაცუა!“

(დაფიქრებული დადის)

ეს რა კარგი ფიქრი ვქენ; ამათ გაყრას შვრებიან, ეგება ეს ფრანტს ჩემი შუშანი მივცე. ბალქამ[4] ეს არის: (შუბლზედ



სცენა სპექტაკლიდან „გაყრა“, (1902 წ)
მიკირტუმ გასპარიჩი – ვასო აბაშიძე

[1] **პომოშნიკი** – იმდროინდელი სასამართლოს მოხელე

[2] **გიჟ ვრაცუა** (სომხ.) – გიჟი ქართველი

[3] **ლავ-ხალუმე** – ცეკვავს, უყვარს ცეკვა.

[4] **ბალქამ** (სომხ.) – მაგრამ

და ჯიბეზედ დაიკრამს ხელს) ესტი ჩკა! ენდი ჩკა!. მაგრამ ჩემი შუშანი კნეინა დაუძახონ: კნეინო, კნეინო! ბაზარშიაც დიდი რამე იქნება, დიდებულიძიანთ ხნამე! ბუღდან ბუღდანიჩინ აჭკით-კუჰანიმ[1]!..

(ამ დროს შემოვა ბარამ)

ბარამმა იცის, რა პრობლემებიც აქვს ძმებთან მიკირტუმს და თამასუქების განაღდებაში გარკვეული თანხის ფასად დახმარებას ჰპირდება.

მეექვსე გამოსვლაში – რუსი ბატონის მსახური გაბრიელი, პავლეს მსახურ გოგოს ყარდაშვერდის სიყვარულს უხსნის.

გამოსვლა მეშვიდე

გაბრიელი თავის ბატონს გამოუტყდება, რომ ყარდაშვერდი უყვარს. დაინტერესებული ივანე ქალის პასუხს კითხულობს და როცა მოისმენს, რომ პასუხად ქალის ლანძღვა მიიღო, თავი დაანებეო, ურჩევს.

„– რას ამბობთ, ბარინ, ქართული სიყვარული სულ გინება გახლავთ“, – უპასუხებს გაბრიელი.

ამ დიალოგში ივანე იმასაც ამბობს, რომ „საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რომანიც არ დაწერილა“ და ქართველებზე საკუთარ „მაღალ“ შეხედულებებსაც გადმოაფრქვევს.

ივანე – „ჩვენთა ქალთა უგრძნობართა,
სიყვარულის უმეცართა,
ტრფობისათვის არ აქვს სული,
სხვა რისთვისმე უცემსთ გული!
საყვარელსა, ვით ბაშმაკი,
მოსწყინდებათ იმათ რაკი,
რა გულით ამოიღებენ,
ვით ძველსა, გადააგდებენ.
ჩვენნი ყრმანიც გულ გრილები,
თითქო იყვნენ ანგლიჩნები,
გამხდრები, ძალათ ყვითლები,
პირ-ბრინჯ-ფქვილ შეგლესილები.
ცოლს არ ირთვენ, ჭლექდებიან,
უდროოთ სნეულდებიან,
ლანცკნეტის თამაშობითა
ვგონებ, სულ გაკოტრდებიან!
ჩვენი ვაჭრების შვილები
შეიქნენ ჩინოვნიკები,
მამის მოგებულ ფულებსა
ჰფანტავენ, ვითა ჩალა-ბზესა.
ვაჭრობას არ კადრულობენ
ბალში ფრანცუზ-კადრილობენ,

ბლოტის ფერჩატკით ფრანტობენ,
თავის ოჯახს კი ამხობენ“.

---

[1] **აჩკით კუჰანიმ** (სომხ.) – თვალს დავუყენებ;

გამოსვლა მერვე

მერვე გამოსვლაში მიკირტუმ ტრდატოვი თავისი გეგმის განხორციელებას იწყებს. ის ტკბილად ესაუბრება ივანეს, მაგრამ ეშმაკურად შეაპარებს და, რაც მთავარია, აჯერებს, რომ მისი იდეების განსახორციელებად ფული სჭირდება.

მიკირტუმის მახვილ თვალს არც ის გამოჰპარვია, რომ ძმებს ერთმანეთში კარგი დამოკიდებულება არ აქვთ და ამას საკუთარი მიზნებისთვის იყენებს. ივანეს ჩააწვეთებს, ანდუყაფარი ყალბი ადამიანია და არ ენდოო. თავს მასზე მზრუნველ, მისი ბედით შეწუხებულ ადამიანად აჩვენებს.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორაა აღწერილი დიდებულიძეთა სახლ-კარი რემარკებში. რომანტიზმში თუ შეგხვედრიათ ამგვარი „კონკრეტიკა“?
2. წარსულთან როგორი დამოკიდებულება იგრძნობა ანდუყაფარის რეპლიკებში?
3. რატომ ადანაშაულებს ანდუყაფარი თავისი ოჯახის დაქცევაში „რუსულ განათლებას“?
4. შემოსვლისთანავე რა შთაბეჭდილებას ტოვებს ივანე? რაზე მეტყველებს მისი „თეატრალური“ მისალმების მანერა?
5. ივანეს პირველმა რეპლიკებმა ეს შთაბეჭდილება შეასუსტა თუ გააძლიერა? რამდენად შეიძლება პლასტიკაში, მიმიკებსა და ჟესტიკულაციაში გმირის ხასიათი „ამოვიკითხოთ“?
6. რა ჭკვიანური აზრი გამოსჭვივის ივანეს რეპლიკებში (იმსჯელეთ მესამე გამოსვლის მიხედვით); ნატურალური მეურნეობის რომელ ნაკლზე ამახვილებს ის ყურადღებას, რა სჭირდება ადამიანს საკვები პროდუქტის გარდა? უფიქრიათ თუ არა ამაზე „ქართველ დიდებულიძეებს“?
7. როგორ გგონიათ, როცა ავტორი თავის პერსონაჟებს გვარს „ურჩევდა“, კონკრეტულად ეს ოჯახი ჰყავდა მხედველობაში? რატომ ფიქრობთ ასე?
8. მესამე გამოსვლაში დიდებულიძეთა მესამე ძმაც გამოჩნდა, როგორ ახასიათებს ამ პიროვნებას მისი პირველი გამოჩენა (შემოსვლა და რეპლიკები)?
9. მოურავის რა ფიქრები და ზრახვები ჩანს მეოთხე გამოსვლაში?
10. როგორ ახასიათებს მიკირტუმ გასპარიჩი ძმებს? დაემთხვა თუ არა მისი და თქვენეული შეფასებები? თავისი გამოჩენისთანავე რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე მიკირტუმ გასპარიჩმა? საზოგადოების რომელ ახალ ფენას ეკუთვნის იგი?
11. ივარაუდეთ, მიკირტუმ გასპარიჩი ერთი კონკრეტული ვაჭრის სახეა, თუ საერთოდ, იმდროინდელი ვაჭრების ფასეულობებსა და ცხოვრებისეულ შეხედულებებს ატარებს?
12. როგორ ახასიათებს მეშვიდე გამოსვლაში ქართველებს ივანე დიდებულიძე; თქვენი აზრით, რა არის ამ დახასიათებაში მართალი?
13. რატომ „ზრუნავს“ მიკირტუმ გასპარიჩი ივანე დიდებულიძეზე? რა მიზნები ამოძრავებს მას? რა ახალი თვისებები გამოავლინა ამ გმირმა?

მოქმედება II

მოქმედებაში ვხედავთ, როგორ ცდილობენ ძმები, ერთმანეთი მოატყუონ და მეტი ქონება დაიტოვონ. ამაში ყველას „აჭარბებს“ პავლეს მეუღლე მაკრინე, რომელიც მედიატორად ირჩევს კანონების კარგ მცოდნე რამაზს, რომელსაც მოტყუებით ქალიშვილის მითხოვებას ჰპირდება, თუმცა ამ დაპირების გამო აღშფოთებულ მეუღლეს, პავლეს, ამშვიდებს.

მაკრინე *(ჩუმათ ეუბნება)* – მედიატორათ ვირჩევ, ვატყუებ, აგება ჩემკენ იყოს, თორემ ყარდაშვერდი გოგოს არ მივცემ.

პავლე *(სიხარულით)* – აი, დედაკაცი! აი, ჭკვიანი! შენ-კი გეთაყვანე მაგ თვალებში!.. ჯან, დედაკაცო, აკი ვთქვი, ევაზედ ჭკვიანი არის ჩემი მაკრინე-მეთქი, ვაი არა აქვს შენს პავლესა... ბა! ბა! ბა! როგორ იფიქრე?!

მაკრინე – რა დიდი ფიქრი უნდა... *(გავა)*

პავლე – ჩემი ცოლი თამარ მეფის დროს რომ ყოფილიყო, ვეზირობას მისცემდნენ; არ გაგონილა, რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახდის. არ გაგონილა, ეგ რო კაცი ყოფილიყო, დიდებულიძეებს სულ აჰყრიდა... წავიდე, მიმინო სახადელზედ მოვიყვანო.

ფარდა

მოქმედება მესამე

ანდუყაფარის ოთახი, ტახტის წან დგას სტოლი[1]

გამოსვლა პირველი

რამაზ ზის ტახტზე: ორნი სხვანი მედიატორენი, ანდუყაფარ და პავლე ჩამომჯდარნი არიან გვერდით. ივანე ზის სკამზედ. ანდუყაფარ, პავლე, რამაზ ორი მედიატორი და შემდეგ იმერელი

რამაზ *(კითხულობს განაჩენსა)* ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერელთა, სინიდისით მედიატორეთ დამტკიცებულის სუდსა შინა № 875-ითა... *(ამ დროს იმერელი შემოვა ტირილით)*

იმერელი – დევიმსე, დევიმსე, ვაი, ვაი, ვაი!

ყველანი (*ერთობით)* – რა არის? რა ამბავია?

იმერელი – ქორი გამიფრინდა, ბატონო!

პავლე – როგორ თუ ქორი!? გამიშვით *(იჭერენ სეკრეტარი და ანდუყაფარი).* გიჟი ხარ... მაჭუტაძის გამოგზავნილია, რა დროს გაყრა არის! *(პავლე გავა, პატარა ხანს უკან შემოვა, ქორს შემოიყვანს, დაჯდება და უალერსებს. ერთი მედიატორე ჩუმათ ეუბნება, რომ ქორი გაიყვანოს; ადგება და იმერელს მისცემს, მერე შემოვა და თავის ალაგას დაჯდება).*

რამაზ *(დაიწყებს კითხვას)* – ჩვენდა მოცემულისა თავადთა: ანდუყაფარ, პავლე და ივანე დიდებულიძეთაგან განვჩხრიკეთ ყოველნი მათნი დავანი გარეშენი, აგრეთვე ვალნი მათნი, სადაცა აღმოჩნდა, რომელ ვალი არის აღებული თავადი ანდუყაფარ დიდებულიძისაგან ორმოცდახუთი თუმანი 1825 წელსა მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვისაგან, ჟამსა თავადის ივანე დიდებულიძის პეტერბურგში გაგზავნისათვის, რომელიც ეს ვალი შემდგარა თამასუქის გამოცვლით ოთხას ოცი თუმანი 1842 წლამდე. აგრეთვე დიდებულიძეს აუღია სამოცი თუმანი ჟამსა თავადის ივანეს ვარშავაში წასვლისა, ესე იგი, 1849 წელსა და შემდგარა 120 თუმანი. ზემოხსენებული ვალნი დაშთნენ ჩვენის კეთილის სინიდისით, თავადს ივანე დიდებულიძეს.

ივანე (წამოხტება) – ეტა ტვოი კავერზი, მარტიშკა[2]!

---

[1] **სტოლი** (რუს.) – მაგიდა

[2] **ეტა ტვოი კავერზი, მარტიშკა** (რუს.) – ეს შენი ოინებია, მაიმუნო

რამაზ (მოუბრუნდება სხვა მედიატორებსა) – ბატონებო, იყავით მოწმეთ, (ივანეს) თქვენო ბრწყინვალებავ, მაგ აბიდისათვის[1] სტატიით 125 უგლოვნაღო ულოჟენია ო ნაკაზან°ახ, ვი ბუდეტე ლიშენი: ჩინა, ზვანია ი სოსლანი ვ სილკუ.

ივანე – მე შენ დუელში გამოგითხოვ!

რამაზ – დუიელნი აღკრძალულ არიან სტატიით 532-თა.

ივანე – სეტიმ სოზდანიემ ნიჩევო ნე ზდელაეშ. *(მედიატორებს)* უფალნო, თქვენ ძალიან სინიდისიანი ბრძანებულხართ, დაგიკარგავთ მცირედი ნაპერწკალი კეთილშობილებისა. რა სამართალი არის, ამ რაზბონიკს – *(უჩვენებს ანდუყაფარს)* და ეტო ჩისტი რაზბოი – 900 კომლი კაცი ოც წელიწადს ეჭირა, მე ამ ოცს წელიწადში ასი თუმანი მხოლოდ მისარგებლია ჩემის მამულიდგან. ღმერთი არა გწამსთ? ფუ, კაკაია ნესპრავედლი[3]ოსტ! არა, მე წავალ ღუბერნატორთან, მთავარმართებელთან, ხელმწიფესთან, თქვენს მაშენიკობას[2] გამოვაცხადებ. *(გამოვარდება კარში).*

პავლე – ეი! გამიგონე. ღმერთს გეფიცები, ერთ აბიდას გვაჭმევს მთავარმართებელთან... *(ჩუმათ)* ეს ჩემი მაკრინეს მოხერხებაა, ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! ეი, ჯან დედაკაცო. *(ამ დროს მოაქვთ ბიჭებს: თოფები, ხმლები, ბუთილკები, ყანწები, საფენი, მუთაქები და ვერცხლეულები. რამაზ ჰყოფს).*

ანდუყაფარ *(რამაზს)* – ეგ მინები სულ ჩემი ნაშოვნი არის.

მაკრინე *(პავლეს კულისიდგან ეუბნება)* – ყველაში წილი გაქვს, არ დაანებო.

პავლე *(გაცხარებული)* – მე კი არა მიშოვნია რა, თუ? ვეჟო! ჩემი ნანადირევით გამოდიხართ, ვაი არა აქვს შენს პავლესა. მაიტა, ნახევარი ჩემია... *(შუბლზე მოისვამს ხელსა)* ესე ვიწურამ ოფლსა და ისე გამომყავს ჩემი ცოლ-შვილი.

ანდუყაფარ *(მივარდება მინებს და დაამტვრევს)* – აი, ეხლა გაიყავ. ეს ოხერი ახალციხეს ვიშოვნე. ეს ჩემმა ცოლის ძმამ მომცა... ესენი ქალაქს ვიყიდე...

პავლე – რო იყიდე, შენი პენციიდგან[3] მიე თუ? კახიშვილი რომ აიკელ, იმითი არ წახველ ქალაქსა, შე გუმაძღარო? ვაი არა აქვს შენს პავლესა, ჰო! *(მივარდება რამაზს)* ეგ მუთაქა ჩემია, სად მიგაქვს? გამიგონე შენ, ეი, მამა არ წამიწყდება, არ მოგცემ. ბიჭო! ეგ ჩემი ახალუხის დანარჩენი არის! *(აიღებს მუთაქას, ანდუყაფარ მივარდება, ართმევს; პავლე წაართმევს, გადილაჯებს მუთაქაზედ და ხანჯალს ამოიღებს)* აბა მობრძანდი და წაიღე!

ანდუყაფარ – *(გაჯავრებული შევარდება, გამოიტანს ხმალს, ქალები კივიან, ანდუყაფარ ყვირის)* – დავჩეხამ მაგ სულელსა.

ბარამ – *(და ბიჭები იჭერენ ანდუყაფარს)* მამაშენი ნუ წაგიწყდება, ღმერთი გადღეგრძელებთ, აბა რა საკადრისია.

მაკრინე – *(კულისიდან პავლეს ეუბნება)* – არ დაანებო, თორემ ლეჩაქს დაგხურამ, კაცი არა ხარ!?

პავლე *(გაბრაზებული)* – მომიტანეთ ერთი დიდი თოფი! აი, ქალაჩუნა დედაკაცო, ნახე, ჩახმახი შევაწკაპუნე. მამა არ წამიწყდება, გამიგონე! გამიშვით, რა თოფი მინდა? ცალი ხელით დავახრჩობ მელიასავით, ვაი არა აქვს შენს პავლესსა, ჰო! *(შემოვარდება ივანე)*

ივანე *(ბარამს)* – რა ამბავია, ჩტო ზა რაზბოი?

ბარამ – აი, შენი ჭირიმე, ემ მუთაქაზედ ჩხუბობენ.

ივანე *(იცინის)* – ფუ, კაკაია ნიზოსტ![4] *(მივა პავლესთან. წაართმევს ხანჯალს. მერე მუთაქას გასჭრის შუაზედ, ერთს გადაუგდებს ანდუყაფარს)* ნა ტებე, ბალშოი რაზბოინიკ! (მეო-

---

[1] **აბიდისათვის** (რუს.) – წყენინებისათვის

[2] **მაშენიკობას** (რუს.) – თაღლითობას

[3] **პენციიდგან** (რუს.) – პენსიიდან

[4] **კაკაია ნიზოსტ** (რუს.) – რა სიმდაბლეა

რეს გადაუგდებს პავლეს) ნა ტებე, დურალეი![1] *(ბიჭებს უყრის)* გაიტანეთ, გადაყარეთ ეს ჩიხა-მახოები, თქვენთვის მიჩუქებია; ჩემს სახლს ნუ აჩირქიანებთ, სახლი ჩემია. *(ბიჭები ჰკრეფენ საჩქაროდ).* ივანე რამაზს – ა ტი ვონ, ისჩადიე ადა![2] *(გავა).*

რამაზ – მოიცა, თვალი მაშინ დაგიდგება, როცა შენს ძმისწულს შევირთავ! *(ყველანი გავლენ).*

მესამე მოქმედებაში ჩანს, თუ როგორ მოატყუეს და გააცუცურაკეს ივანე ძმებმა. ივანე იძულებულია, ან მიკირტუმ გასპარიჩის ვალი გადაიხადოს, ან მისი ქალიშვილი შუშანა შეირთოს.

ფარდა

მოქმედება მეოთხე

ოთახი მიკირტუმას სახლში

გამოსვლა პირველი

თათელა და მისი ქალი სხედან და ბრინჯს არჩევენ. მიკირტუმ, თათელა, შემდეგ ბარამ, ანდუყაფარ. პავლე, ბარძიმ და გოგო.

მიკირტუმ *(შემოვა)* – თათელი!.. თათელი!..

თათელა -ჰა-მე!..

მიკირტუმ – ვახშმათ რა გიქნია?

თათელა – ვა, ახარ, ეგ რა საკითხავია? თათარ-იახნი, ნიმრო, თალიში ხახვი.

მიკირტუმ – კარგი, კარგი.

თათელა – აღაჯან, შენ ძალიან გახარებული ხარ!

მიკირტუმ -კარგი რამეს გახარებ: შუშანი გაგითხოვე.

თათელა – უჩემოთ იმან ვის მიე? ქალს კაი ფიქრი უნდა, ახარ, სოვდა[3] ხომ არ არის?.. ვიცი, ვის მისცემდი.

მიკირტუმ – აბა, გამოიცან.

თათელა – თუ გამოვიცნობ? ტოტლოვიან ღაღო?

მიკირტუმ – არა, მაღლა.

თათელა – ციციკოვიანთ ნიკო?

მიკირტუმ – არა, კიდევ მაღლა.

თათელა *(ღიმილით)* – ციმბურცკი, შენმა მზემ.

მიკირტუმ – არა, ქართველი კნიაზი, დიდი კაცი.

თათელა – ვუი, ქუ აჩკინ, კუტრი[4] ქართველი?

მიკირტუმ – ვა! ჩემისთანა მოურავები, თათელას მზემ, თავზე ადგას.

თათელა – ეგეც მჭამლები, აღამ ჭკვა წააგო!..

მიკირტუმ – ვა! რა კაცია! აი, დედაკაცის ჭკუა: დღეს-ხვალ მეც კნიაზი გავხდები, მაშ, მუჟიკი მივცე ჩემი ქალი?

თათელა *(სიხარულით)* – აღაჯან, მართლა?!! შენმა მზემ, ბუღდანოვიანთ ხამფერას შურობით ორივ თვალები დავარდება, მე რომ კნეინა ვიქნები.

მიკირტუმ – აჰა, მაშ, მე გიჟი საქმე ვიქს!?

თათელა *(დაუძახებს გოგოს)* – ვარდო, გოგო, შე გულმკვდარო! (გოგო შემოვა) დროზე ყადი-

---

[1] **დურალეი –** რუს. შტერი, სულელი

[2] **ისჩადიე ადა -** რუს. ეშმაკის ნაშიერი

[3] **სოვდა –** სოვდაგარი, ვაჭარი;

[4] **აჩკინ კუტრი** – სომხ. თვალი დაგიდგეს

ფა აიღე, შვილო, ჩანგალი ჩაიგდე; ჩემი ძმას ცოლი, უთხარი, მობრძანდი, უთხარი, ვიცი გიამება, უთხარი, ჩემი შუშანა გავათხოვე, უთხარი, შენც მობრძანდი, უთხარი, ვისაც თავი უნდა, მოიტანოს, უთხარი, თავისი რძალი კეკლუასაც დაუძახოს. უთხარი, იმანაც ვისიც თავი უნდა მოიტანოს, უთხარი. შნოიან, შვილო, იმან რამეს გაჩუქებენ.

გოგო *(მიუბრუნდება)* – ქალბატონო! როგორა? სად წავიდე?

თათელა – დედაანთას, სულელო, უთხარი შნოიან, ლაზათიან... (ქმარს) აღაჯან, ახარ, ასე ხომ არ იქნება, შენი სახლიც ერთი რამეა; დღეს არ, ხვალ კნიაზ ტრდატ გახდები.

თათელა *(უძახის ბიჭებს)* – ივანიკა! ყარამანა! კვირიკე! (ბიჭები შემოიტანენ საფენსა და დაუწყებენ შლასა. შემოდიან სტუმრები და ულოცავენ თათელასა; ამ დროს შემოყავთ ქალებს პატარძალი და დასმენ ტახტზედ)

მიკირტუმ *(შემოვა მორთული)* – აბა, ესე უნდა, როგორც მე ერთი საქმე დამრჩა, კნიაზმა გავხდე. ბუღდან ბუღდანიჩინ აჭკი კუ ჰანიმ. (ამ დროს გავარდება დამბაჩა, ისმის ხმა: მახარობელი, მახარობელი!)

ბარამ *(შემოვა და მიკირტუმას)* – სიძე მოგდისთ *(მიკირტუმ სამახარობლო ფულებს ჩაუდებს პირში, აზარფეშით ღვინოს მიართმევს და მხარს უხვევს შალით; ისმის ხმა მაყრულისა. შემოვლენ მეფე და მაყრები)*

თათელა *(რომ დაინახამს, სცენისაკენ იტყვის)* – თქვენი ჭირიმეთ, ძროხას შესჭამენ.

მიკირტუმ (მიეგებება მეფეს და აკოცებს. რეკომენდაციას მისცემს ცოლსა)

– კნიაზ, სიძეჯან, ეს გახლავთ თქვენი სიდედრი. *(მეფე მიესალმება სიდედრსა, ხელსა სთხოვს, თათელა ხელს არ აძლევს)*

თათელა – არა ვღირსვარ, შვილო, ღმერთმა აღას შნო მოგცეს, ყაირათი და ჭკუა, აღასავით მომგები გქნას, შვილო, თუ ღირსი ვარ.

მიკირტუმ *(მიიყვანს ანდუყაფართან თათელას)* – ეს გახლავთ თქვენი მძახალი.

ანდუყაფარ *(თავს დაუკრავს).*

თათელა – კნიაზჯან, შენი მაღლობისთვინ, შენი დიდკაცობისთვინ მამიცია შენმა მზემ, ჩემი ჭარუმადათი[1] შუშანი, შენ შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ.

ანდუყაფარ – ჩემო მძახალო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ როგორც ჩვენ სახლს ეკადრება, ისე შევინახამთ თქვენს ქალსა. *(მიკირტუმა მიიყვანს ანდუყაფართან კამისიონერსა. ანდუყაფარს და პავლეს გააცნობს)*

მიკირტუმ – კნიაზჯან, ძახალო, ეს ჩემი სიმამრის ვაჟია, კაი ვინმეა, ჩინოვნიკია. (ანდუყაფარ თავს დაუკრავს)

პავლე (მივა დაეღრიჯება) – მამა ნუ წაგიწყდება, თუ ჩემი მოყვრობა გინდა, აგება თქვენ უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნო...

კამისიონერი – ვა! რა დროსია, კნიაზო! ძაღლები განა იქნება? რა დროსია? ახარ, ჯერ ქორწილია.

პავლე – შენ რომ კურდღლის ხორცი არ გეჭმება, იმისთვის გეჯავრება ძაღლები, განა?

კამისიონერი (სცენისაკენ) – ვა, რა ფინთი ვინმეა (მიკირტუმა მიიყვანს მეფეს და დასვამს შუშანასთან. ამ დროს წამოდგება ბარძიმ, ყველანი წამოდგებიან)

ბარძიმ – უფალო მიკირტუმ გასპარიჩ, მისი ბრწყინვალება უფალი კაპიტანი თავადი ივანე ამირინდოს-ძე დიდებულიძე გთხოვთ თქვენს საყვარელს ასულს. თანხმა ხართ? თანხმა ხართ? თანხმა ხართ?..

მიკირტუმ – კნიაზ ბარძიმ, მოახსენე, უთხარ, მისი ბრწყინვალება, უთხარ, დიდათ მადლობელი ვარ, უთხარ, რომ ჩემი სახლი მაღლიანობა, უთხარ კეთდება, უთხარ ხარისხოვნება, უთხარ ხარისხოვნება შვილობით. უთხარ...

თათელა – მეტი შნო მოგცეს, აღაჯან.

---

1 **ჭარუმადათი** – სომხ. მარჩენალი

ბარძიმ *(მიკირტუმ გასპარიჩს)* – მოდი, დალოცე.

მიკირტუმ – სიძეჯან, გაძლევ ჩემი ქალი ლამაზმა, ჭკვიანი, ტანადი. შენ იცი შენი დიდკაცობა, როგორც აზიზი შეინახამ... ამინი იყოს თქვენ თავზე.

ბარძიმ – რადგანც ღმერთმა მხიარულება მოაყენა სახლსა შენსა, გმართებს შენც მხიარულება.

მიკირტუმ *(საზანდრებს)* – ლეკური... მე და თათელა ვითამაშოთ. *(დაიწყებენ თამაშობას, აგრეთვე სხვანი თამაშობენ ლეკურს. მერე მიკირტუმ იტყვის კუპლეტსა)*



„გაყრა“, ხელნაწერი მინიატურა. მხატვარი გეორგ კორადინი, 1850 წ.

ჩესნი პუბლიკი[1] პრაშჩაი,
კუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი[2].
ბუდეთ უგოშჩატ კნეინა[3]...
ახლა კი წაბრძანდით შინა.

მიკირტუმ *(ავტორის მაგივრად)*

„ბატონებო, შემინდევით, თუ ჰპოვეთ რამ ნაკლულება,
ამად ვმხნეობ, აქ ბრძანებულთ ყველასა გაქვსთ განათლება,
და ამისთვის მაპატივებთ სუსტსა ამას პირველ შრომას,
არ შეისმენთ რომელთამე უსწავლელთა წყენა, წყრომას.
მე დავწერე იმაზედა, ვინც ზნეობით არის მრუდი...
ჩვენც ვეცადნეთ და გავნდევნოთ, რაცა არის ჩვენში ცუდი“.

ფარდა

---

1 **ჩესნი პუბლიკი** რუს. – პატიოსანო საზოგადოებავ;

2 **კუტრუ პროშუ ვას ნა ჩაი** რუს.– დილით ჩაიზე გეპატიჟებით;

3 **ბუდეთ უგოშჩატ კნეინა** – რუს. ქალბატონი გაგიმასპინძლდებათ.

ჩვენ და ტექსტი

1. მესამე მოქმედების პირველ გამოსვლაში, განაჩენის კითხვის დროს, უცნაური ენა გამოჩნდება. დაახასიათეთ რამაზის ქართული. ვის ესმის იგი დამსწრეთაგან? რა შეგიძლიათ თქვათ ამ სტილის შესახებ?
2. როგორი დამოკიდებულება აქვს გაყრის პროცესთან პავლეს, რაზე მეტყველებს ქორის გაფრენის გამო მისი გადაჭარბებული ნერვიულობა? ამის საპირისპიროდ, როგორ ჩანს მისი რეაქცია სასამართლო პროცესის მიმართ?
3. რა გადაწყვეტილება გამოიტანა სასამართლომ და რატომ არის უძლური რუსეთში განათლებამიღებული ივანე მედიატორი რამაზის წინაშე?
4. როგორ რეაქციას ავლენს ივანე სასამართლოს გადაწყვეტილებისადმი?
5. პავლეს თითქოს არ ეხება სასამართლოზე მიმდინარე პროცესები, რას ფიქრობს იგი ცოლის მოხერხებულობაზე?
6. როგორ იქცევიან გაყრის დროს ძმები? პერსონაჟების ხასიათის რომელ თვისებებზე მეტყველებს მათი ქცევა?
7. ივანე თავდაპირველად მაღალ იდეალებზე საუბრობდა. რა გადაწყვეტილება მიაღებინა მას მატერიალურმა პრობლემებმა?
8. თათელას დასახელებულ სასიძოებზე მიკირტუმ გასპარიჩი ამბობს – „მაღლა“, „მაღლა“. იმსჯელეთ, რა ნიშნით ახარისხებს ასე სასიძოებს იგი?
9. სასიძოების დასახელებისას მიმიკებსა და ინტონაციაში ჩანს დედის დამოკიდებულება მომავალი სასიძოს მიმართ. ეს ეპიზოდი თითქოს მსახიობს კარნახობს ემოციის გამომხატველ მიმიკებს. ისაუბრეთ ამ საკითხზე, რომელი სასიძოს მიმართ როგორაა განწყობილი თათელა და საიდან ჩანს ეს?
10. რატომ ეპარება ეჭვი ქმრის გადაწყვეტილებაში თათელას? რა არ მოსწონს მას?
11. რას ეფუძნება დედის სიხარული მომავალ სიძეთან დაკავშირებით? რაზე მეტყველებს ეს? რა არის გამეფებული ამ საზოგადოებაში?
12. რითი არიან დაკავებული ქორწილის სცენაში ანდუყაფარი და პავლე, რას გამოელიან ისინი კომისიონერისაგან?
13. დააკვირდით გმირთა მეტყველებას – რამდენი ვარიაცია შენიშნეთ? მოკლედ დაახასიათეთ თითოეული მათგანი;
14. იმსჯელეთ, როგორ გამოიკვეთა დასკვნით ლათაიაში თეატრის უმთავრესი დანიშნულება. რისთვის იდგმება სპექტაკლები, რატომ თამაშობენ მსახიობები?

ენა და ტექსტი

გიორგი ერისთავის კომედიების ენა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა. მან შემოიტანა დრამატურგიაში სალაპარაკო ენიდან სიტყვები, ფრაზები, არ შეუშინდა ბარბარიზმებს. მისი პერსონაჟები ალაპარაკდნენ ისე, როგორც ლაპარაკობდნენ ადამიანები სასახლეებში, სავაჭროებში, დუქნების დახლებთან, სასამართლოებში, ჩინოვნიკების კაბინეტებში, ქუჩებში, ალაპარაკდნენ ისე, როგორც საუბრობდა ის ხალხი, რომელიც სულგანაბული იჯდა დარბაზში და საკუთარ თავსა და ნაცნობებს ხედავდა სცენაზე, წუხდა და უხაროდა, ეშინოდა და ღელავდა, ბრაზობდა და ბოროტდებოდა... მაგრამ ეს იყო სიცოცხლე სცენაზე, რომელმაც თავისი მისია შეასრულა.

ინგა მილორავა

პერსონაჟთა მეტყველებას, ალბათ, აქამდეც არაერთხელ დაკვირვებიხართ, მაგრამ გმირთა ენობრივი სამყაროს კალეიდოსკოპი, სავარუდოდ, ჯერ არ შეგიქმნიათ.

კომედია „გაყრა“ მშვენიერ მასალას იძლევა ასეთი კალეიდოსკოპის შესაქმნელად. ამისათვის ჯერ პერსონაჟთა მეტყველებას უნდა დავაკვირდეთ და შევავსოთ პერსონაჟის მეტყველების რუკა.

პერსონაჟი	მნიშვნელოვანი რეპლიკები და ამონარიდები (სახასიათო ადგილები, რომლებშიც პერსონაჟის მეტყველების თავისებურებანი ჩანს)	მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი (დაკვირვების შედეგად გამოტანილი ძირითადი დასკვნები)

ზეპირმეტყველების გაკვეთილები

კონკურსი კონკრეტული ეპიზოდის ინსცენირებაში

მოამზადეთ თქვენთვის სასურველი ნებისმიერი ეპიზოდის ინსცენირება. ამისათვის:

- დაიყავით ჯგუფებად, შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ეპიზოდი, დაამუშავეთ ინსცენირებისათვის.
- გაიარეთ რეპეტიცია, გაითვალისწინეთ ერთმანეთის შენიშვნები;
- იფიქრეთ ეპიზოდის მუსიკალურ და ვიზუალურ გაფორმებაზე.
- შეიმუშავეთ კონკურსის პირობები. წინასწარ ჩამოაყალიბეთ წარმოდგენილი ნამუშევრების შეფასების კრიტერიუმები;
- მოაწყვეთ ეპიზოდების კონკურსი – ინსცენირება.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

კომედია „გაყრა“ ძალიან სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. საუკუნე-ნახევარზე მეტია, იგი დიდი წარმატებით იდგმება ქართული თეატრების სცენაზე.

ნახეთ ქვემოთ შემოთავაზებული ვიდეომასალა და შეეცადეთ, უპასუხოთ კითხვას, რაშია ამ სპექტაკლის ასეთი პოპულარობის საიდუმლო?

1. ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის სპექტაკლი „გაყრა“ (მიუზიკლი);

ნახეთ რუბრიკაში შემოთავაზებული მასალა და იმსჯელეთ, რა განსხვავებული სპეციფიკით ხასიათდება დრამატულ და მუსკომედიის თეატრებში დადგმული სპექტაკლები და რომელს რა დამატებითი გამომსახველობითი შესაძლებლობები გააჩნია.

სტუმრად თეატრში

თანამედროვე თეტრის ამოუწურავ შესაძლებლობებზე გვესაუბრება რეჟისორი დავით დოიაშვილი 8-წუთიან ვიდეორგოლში – „ჩვენ მოვიგონეთ, რომ რეჟისორები გვქვია“.

3. ძველი სპექტაკლების რეტროსპექტივა

ქართული თეატრის ოქროს ფონდში ინახება სპექტაკლი „ძველი ვოდევილები“, რომლის ავტორები იყვნენ ავქსენტი ცაგარელი, აკაკი წერეთელი და ქაქუცა ბახუტაშვილი.

https://tdy.lol/dHBvg

https://tdy.lol/JXxuZ

ნახეთ ეს სპექტაკლი და იმსჯელეთ

- რით ენათესავება იგი გიორგი ერისთავის „გაყრას“, როგორ იგრძნობა მასში იმ ეპოქის თეატრალური და ლიტერატურული ტენდენციები?
- არსებობენ მსახიობები, რომელთა თამაში ყველა დროში ახდენს ემოციურ ზემოქმედებას მაყურებელზე? თქვენი ვის გამოარჩევდით ამ კუთხით?
- რა მოგეწონათ ამ სპექტაკლში, რითია იგი თანამედროვე მაყურებლისთვის საინტერესო?

ფანტაზიის გაკვეთილები

1. სცენა ავტობუსში

ალბათ, ამჩნევთ, რომ დღევანდელი საზოგადოების მეტყველებაც მრავალფეროვანია. გთავაზობთ სახალისო ექსპერიმენტს. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე ტრანსპორტით სხვა ადამიანებთან ერთად მგზავრობთ. გზაში მგზავრები თანამედროვე საზოგადოებისათვის მტკივნეულ პრობლემებზე საუბრობენ.

შექმენით მოკლე სცენარი, რომელშიც გადმოსცემთ მოგზაურობის პერიპეტიებს, თქვენს ნაშრომში შემოიყვანეთ სხვადასხვა კუთხის, სოციალური ფენისა და განათლების ადამიანები, რომლებსაც ექნებათ ერთმანეთისგან განსხვავებული და პერსონაჟის ინდივიდუალობისათვის დამახასიათებელი მეტყველება, ხასიათები, სურვილები და მისწრაფებები. შეეცადეთ, შექმნათ სასცენო ხასიათები.

2. „გაყრა“ ორი საუკუნის შემდეგ.

შეარჩიეთ კომედიიდან ერთ-ერთი სცენა, წარმოიდგინეთ, როგორ სახეს მიიღებდა იგი ჩვენს დროში და გადმოეცით – „გაყრა ორი საუკუნის შემდეგ“.

კომპლექსური დავალება

პირადი შთაბეჭდილება სპექტაკლზე

შეარჩიეთ ამ პარაგრაფში წარმოდგენილი ნებისმიერი სპექტაკლი, ნახეთ მისი კომპიუტერული ვერსია (ანდა შეარჩიეთ სპექტაკლი, რომელიც ამ პარაგრაფში არ არის დასახელებული) და წერილობით გადმოეცით თქვენი შთაბეჭდილება ნანახის შესახებ.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში:

- რა ძირითადი პრობლემაა გამოკვეთილი სპექტაკლში, როგორია პრობლემის გადაჭრის ავტორისეული კონცეფცია;

- აღნიშნეთ, რა მიმართებაა გამოკვეთილ პრობლემასა და სპექტაკლში წარმოჩენილი მოვლენების თანადროულ ეპოქას შორის;
- გადმოეცით, როგორია თქვენი თვალსაზრისი რეჟისორის ხედვის, მსახიობთა თამაშის, თეატრალური ეფექტების შესახებ; რა მოგეწონათ ყველაზე მეტად, რა – ნაკლებად;
- ისაუბრეთ, რატომ დაგაინტერესათ ამ სპექტაკლმა, რითია ის საინტერესო თქვენთვის, თანამედროვე მაყურებლისთვის;
- გამოიყენეთ ემოციების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები თქვენი შეფასებებისა და შთაბეჭდილებების გადმოსაცემად, მკითხველზე ზეგავლენის მოსახდენად;
- გამოკვეთეთ სამი სტრუქტურული ნაწილი: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

დამატებითი რესურსები

დრამატულ ნაწარმოებზე შთაბეჭდილების ტექსტის შესაქმნელად შეგიძლიათ ნიმუშად გამოიყენოთ სახელმძღვანელოს დანართში მოცემული მაკა სახურიას სტატია (დანართი 2. 2.4.„კომედია „გაყრასა“ და ქართულ თეატრზე“, გვ. 498).

ასევე

- ქეთი კენჭოშვილის რეცენზია სპექტაკლზე „მოხუცი ჯამბაზები“

https://9nes.short.gy/nstTzX



საქართველოს

მოამბე

სალიტერატურო ჟურნალი

გამოდის

თავი IV
გზა ცნობისა



§8 საქმით მეტყველი სული

ილიას საპროგრამო ნაწარმოები

(ნაწილი პირველი)

წაკითხვამდე

ლიტერატურული კომპოზიცია – ჩვენ ვიცნობთ ილიას

ილიას, რა თქმა უნდა, იცნობთ. მის ნაწარმოებებს ყოველ კლასში სწავლობდით, ამიტომ გთავაზობთ, თემის დაწყების წინ და დასრულების შემდეგ მოამზადოთ ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ჩვენი ილია ჭავჭავაძე“, დასაწყისში – იმ ცოდნითა და გამოცდილებით, რომელიც ამ დროისთვის გაქვთ, ბოლოს კი – უკვე ახალი ცოდნით.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

ლიტერატურული კომპოზიციის მომზადებამდე გთავაზობთ ვირტუალურ მოგზაურობას

1. ონლაინ ექსკურსია ილიას ყვარლის სახლ-მუზეუმში

https://9nes.short.gy/4uOR9N

2. სტუმრად საგურამოს სახლ-მუზეუმში

https://9nes.short.gy/iz3Kzy

3. ილიას სახლი თბილისში

https://9nes.short.gy/F7jJ5K

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართველი ახალგაზრდობის ერთი დიდი ნაწილი სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ მიემგზავრებოდა, რათა მეცნიერება და ცხოვრების სიბრძნე სირიის მონასტრებსა და ბიზანტიის სკოლებში, ან კიდევ არაბ მედიკოსებსა, მათემატიკოსებსა და ასტრონომებთან ესწავლა... ერეკლე მეორის დროს ქართველი არისტოკრატიული ოჯახების შვილები პეტერბურგისკენ იკვლევენ გზას, რათა იქ გაეცნონ არა მარტო სამხედრო საქმეს, არამედ მხატვრულ ლიტერატურას, ფილოსოფიას და მეცნიერებასაც. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ამ ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები პირველ ქართულ თეატრს აარსებენ მეფის კარზე და ცდილობენ ახალი ტალღა შეიტანონ ჩვენს ლიტერატურაში; მაგრამ ამ ლიტერატურის საფუძვლიანად განახლებას და გარდაქმნას მაინც ვერ ახერხებენ...

ქართული ლიტერატურის ნამდვილი რეფორმატორები ბევრად უფრო გვიან მოვიდნენ. ესენი იყვნენ წელმაგარი მორკინალნი, ქარიშხლის და იერიშის ადამიანები, ქართველი „განმანათლებელნი“, თერგდალეულნი, როგორც მათ მათმა ლიტერატურულმა მოწინააღმდეგეებმა უწოდეს. ისინი წინაპრებივით სამხრეთისაკენ კი არ მიდიოდნენ, ღვთისმეტყველების, რომაული სამართლის ან ბერძნული ფილოსოფიის შესასწავლად ან ფახრედინ გურგანელის[1] და ნიზამი განჯელის[2] პოეტური მეტყველების გასაცნობად, არამედ ჩრდილოეთისკენ, რუსეთის ყამირ ნიადაგზე ახლად გადმონერგილი ევროპული მეცნიერების და სიტყვაკაზმული მწერლობის ასათვისებლად. ამ თერგდალეულთა რაზმში ილია ჭავჭავაძეს მეთაურის ადგილი უჭირავს.

[1] **ფახრედინ გურგანელი (XI ს.)** – სპარსელი პოეტი, „ვისრამიანის“ ავტორი. თარგმნილია ქართულად.

[2] **ნიზამი განჯელი (1141–1203)** – აზერბაიჯანელი პოეტი.

ილია ჭავჭავაძე ნაკლებ შეძლებული ოჯახიდან წარმოდგებოდა; მისი გვარი მხოლოდ XVII საუკუნეში ჩნდება ისტორიულ ასპარეზზე, მაგრამ თავის მოგვარეთა შორის ილიას შეეძლო ისეთი გამოჩენილი მოღვაწეები დაესახელებინა, როგორიც იყო ერეკლე მეორის დიპლომატიური წარმომადგენელი, „სრულუფლებიანი მინისტრი“ პეტერბურგის სამეფო კარზე გარსევან ჭავჭავაძე, ან კიდევ მისი შვილი, საადისა[1] და ვოლტერის[2] თაყვანისმცემელი ალექსანდრე ჭავჭავაძე, რომელმაც პოლიტიკურად საკმაოდ ოღროჩოღრო გზა განვლო...

ილია ჭავჭავაძე უფრო პირდაპირი გზით მიდიოდა, ვიდრე მისი მოგვარეები და არასოდეს ამ გზას ის არ მიუყვანია არც მეფის, არც მეფისნაცვლის კარზე. მამამისი არისტოკრატიულ დრაგუნთა პოლკში მსახურობდა ოფიცრად; დედამისი გაქართველებული სომხის ქალი იყო, კარგად გაცნობილი საღმრთო წერილს და ქართულ საერო მწერლობას. თავის პატარა ავტობიოგრაფიულ ნარკვევში ილია გვიამბობს, ჩემი პირველი მასწავლებლები დედაჩემი და სოფლის არქიდიაკონი იყვნენო...

ქართველ მწერლებს შორის თავდაპირველად ბედს ისე თითქოს არავინ გაუნებივრებია, როგორც ილია ჭავჭავაძე გაანებივრა, და მისი ცხოვრების გზა ტრაგიკულად რომ არ შეწყვეტილიყო, ის საერთოდ მზიანად ჩაითვლებოდა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ილია მოხვდა იმ დროს, როცა რუსეთის საუკეთესო ახალგაზრდობის აზროვნებას ბელინსკი[3], ჩერნიშევსკი[4] და დობროლიუბოვი[5] ფლობდნენ, რომელთაც რევოლუციური მისწრაფებები ბედნიერად შეუკავშირეს ფართო ჰუმანიზმსა და ზნეობრივ იდეალიზმს. ეს იყო დრო, როცა პუშკინის და გოგოლის[6] სკოლის მწერლობამ თავის ზენიტს მიაღწია...

შემდეგ ილიამ უხიფათოდ განვლო ვიწრო ბილიკი ფუფუნებასა და ქონებრივ გაჭირვებას შორის, რომელნიც ერთნაირად საბედისწერონი არიან სუსტი ნებისყოფისათვის. მან სიკვდილამდე შეინარჩუნა როგორც ხასიათის მთლიანობა, ისე აზრის სიმახვილე, რომელნიც დღეს შეიძლება არა ნაკლებ დასაფასებელია, ვიდრე მისი მხატვრული სახეები.

დრომ ღირებულებათა მკაცრი გადაფასება მოახდინა კულტურის ყველა დარგში... ერთი წუთით დავფიქრდეთ, რარიგ შეიცვალა ჩვენი მხატვრული გემოვნება და ჩვენი ზნეობრივი შემეცნება! გუშინდელი კერპები დღეს ჩვენში აღარ იწვევენ არც მოკრძალებას, არც ოცნებას, არც ღიმილს. ბევრი მათგანი სიძველეთა მუზეუმშიც აღარ გამოდგება ექსპონატად. მეორე მხრივ, თუმცა ბრინჯაოს ქანდაკებანი თითქოს არ უნდა ექვემდებარებოდნენ ორგანულ არსებათა ზრდის კანონებს, მაგრამ ეს უცნაური ბრინჯაოს ქანდაკება, რომელსაც ილია ჭავჭავაძე ჰქვია, აშკარად იზრდება ჩვენს თვალწინ. თვალწინ მიდგას ერთი მისი ფოტოგრაფიული სურათი, საზოგადოდ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც ოდესმე მინახავს. ილია თბილისის რომელიღაც ქუჩაზე დგას და ვიღაცას უხმობს მარცხენა ხელის საჩვენებელი თითის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით. მეეტლეს, მეხილეს თუ გზად მიმავალ მეგობარს? მე მეჩვენება, თითქოს ის მომავალ თაობებს უხმობს და ჩვენც მას ვუახლოვდებით. ამიტომ მისი უმოძრაო ფიგურა თითქოს თანდათან იზრდება ჩვენი დედაქალაქის შენობების ფონზე. და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენს გარდასულ წინაპართა შორის, ჩვენთან ბევრი არ დგას ისე ახლოს, როგორც ეს ჯმუხი ადამიანი.

მას არ სჭირდება აპოთეოზი[7] უგუნურ რომაელ იმპერატორებივით. ეს მისი სახელის შეურაცხყოფაც იქნებოდა და შეუფერებელიც მომავალი თაობებისათვის, რომლებიც ვაჟკაცურად გულწრფელი და მიუკერძოებელი უნდა იყვნენ თავისთავისა

---

[1] **საადი (XIII ს.)** – სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის კლასიკოსი.

[2] **ვოლტერი (1694–1778)** – ფრანგი მწერალი და მოაზროვნე.

[3] **ბესარიონ ბელინსკი (1811–1848)** – რუსი ლიტერატურის კრიტიკოსი, დიდი ზეგავლენა მოახდინა თავისი დროის რუსულ ლიტერატურულ აზროვნებაზე.

[4] **ნიკოლაი ჩერნიშევსკი (1828–1889)** – რუსი მწერალი და მოაზროვნე.

[5] **ნიკოლაი დობროლიუბოვი (1836–1861)** – რუსი ლიტერატურის კრიტიკოსი.

[6] **ნიკოლაი გოგოლი (1809–1852)** – რუსი მწერალი.

[7] **აპოთეოზი** – გაღმერთება.

და თავის წინამორბედების დაფასებაში. ვაღიაროთ, რომ არაფერი ადამიანური უცხო არ იყო მისთვის. ცნობილია, რომ ის ადვილად ვერ ითმენდა შეპასუხებას. თუმცა თავის თანამედროვეებშიც და წინაპრებშიც ყველაზე მეტად ხასიათის სიმტკიცესა და ქედის მოუდრეკელობას აფასებდა, თავის გარშემო მაინც ისეთ თანამშრომლებს იკრებდა, რომელნიც სიტყვის შეუბრუნებლად ემორჩილებოდნენ მის ნებისყოფას.

მაგრამ ეს ადამიანი, რომელმაც თავისი იდეებით და მხატვრული სახეებით ხელი შეუწყო ქართული დემოკრატიის გათვითცნობიერებას, სწორად დაფასებული არ იქნა მისი თანამედროვეების დიდი ნაწილის მიერ: ის სწორად ვერ დააფასა არა მარტო მესამე დასელების[1] უმრავლესობამ, რომლის ბელადი[2] აღმაშფოთებელი სიტყვებით შეხვდა მისი მკვლელობის ცნობას: – როცა ტყეს ჭრიან, ნაფოტები ცვივაო.

როგორც მოწინააღმდეგეთა ეს გააფთრება, ისე მომხრეთა ეს სიმხდალე ტრაგიკულ განათებას აძლევს ილია ჭავჭავაძის ცხოვრების უკანასკნელ დღეებს. მაგრამ მისთვის კიდევ უფრო დიდი ტრაგედია იმაში მდგომარეობდა, რომ მთელი მისი შემოქმედების და მოღვაწეობის უდიდესი საკითხი მის სიცოცხლეში გადაუჭრელ საკითხად დარჩა:

„როს იგი ტომნი, ცად მიღწეულ მძლავრ კავკასისა, ერთისა აზრით, ერთის ფიქრით განდიდდებიან, თავისუფლების მშვენიერის სხივთ მხურვალება როდის დაადნობს დაჟანგებულს დიდ ხნის ბორკილსა. და ქართველობა სიქადულად როდის ექნება ქვეყნის წინაშე ყოველ ქართვლის ერთგულსა შვილსა?“

გერონტი ქიქოძე

წაკითხვამდე

„მგზავრის წერილები“ ილიას საპროგრამო ნაწარმოები

- რა მოლოდინს ქმნის ნაწარმოების სათაური ტექსტის ჟანრისა და შინაარსის შესახებ? მანამდე თუ შეგხვედრიათ წერილების ან დღიურების ფორმით შედგენილი მხატვრული ნაწარმოები? იმსჯელეთ, რა განაპირობებს ამგვარ ტექსტებში ნაწარმოების მთლიანობასა და მის განვითარებას?

სიტუაციური ამოცანა:

წარმოიდგინეთ ასეთი სიტუაცია: საქართველოდან რუსეთში სასწავლებლად წასული ახალგაზრდა კაცი სამშობლოში ბრუნდება. ის ოთხი წლის განმავლობაში მოწყვეტილი იყო მშობლიურ გარემოს. მოგზაურობის აღწერა სწორედ იმ დროიდან იწყება, როცა გმირი თავისი ქვეყნის საზღვრებს უახლოვდება.

ივარაუდეთ:

- რა განცდები დაეუფლება გმირს მშობელ ქვეყანასთან მოახლოებისას?
- რა იქნება მისი მთავარი საფიქრალი?
- ამ სიტუაციაში რომელი პირი უნდა აირჩიოს მთხრობელმა, რომ საკუთარი განცდები უკეთ გადმოგვცეს? თქვენ როგორ მოიქცეოდით მწერლის ადგილას?

---

[1] **მესამე დასი** – პირველი მარქსისტული ორგანიზაცია საქართველოში, რომელიც 1892 წელს შეიქმნა. პირველ დასად მოიაზრებოდა ილია ჭავჭავაძე და მისი გუნდი, მეორე დასად – ნიკო ნიკოლაძისა (1843–1928) და გიორგი წერეთლის (1842–1900) ჯგუფი. მესამედასელები აქტიურად ებრძოდნენ ილია ჭავჭავაძეს და, როგორც ამბობენ, საბოლოოდ მოკლეს კიდეც იგი.

[2] იგულისხმება **ნოე ჟორდანია.**

მგზავრის წერილები

ვლადიკავკასიდამ ტფილისამდე

I

დილის ექვსი საათი შესრულდა თუ არა, იმ სასტუმროს წინ, რომელშიაც მე წინაღამეს ჩამოვხტი, რუსის პირ-დაუბანელმა და თავ-დაუვარცხნელმა „იამშჩიკმა“[1] ფოშტის პოვოსკა[2] მოაყენა. ეს იყო ვლადიკავკასში. საკვირველია! რუსის მხატვრების სურათებზედ რა ლამაზად არის ხოლმე გამოყვანილი ამ სქელ-კისერა „იამშჩიკის“ ბრიყვი სახე, იმისი ოყრაყული სანახაობა, იმისი მიდუნ-მოდუნებული ზლაზვნა, უადამიანო და პირუტყვული მიხვრა-მოხვრა. რამოდენადაც სურათია კარგი, ორ იმოდენად საძაგელია ნამდვილი. მაგრამ ამბობენ: И дым отечества нам сладок и приятен[3]. კვამლის სიტკბოებაზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი ამას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა, – პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლჭვრეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურობასაც ვერა ვხედავთ.

როცა ავიბარგე, ესე იგი ჩემი ერთად-ერთი ბოხჩის ოდენა ტყავის ხურჯინი ჩავაგდე პოვოსკაში, მივუბრუნდი ჩემს ახლად გაცნობილს ფრანსიელს[4] გამოსასალმებლად.

– ეგ ეტლი ვისი მოგონილია? – მკითხა მან და მიმიშვირა ხელი ფოშტის პოვოსკაზედ, რომელზედაც ჯერ არ გამოფხიზლებული „იამშჩიკი“ უგემურად სთვლემდა.

– რუსისა, – ვუპასუხე მე.

– მგონი, არა ხალხი მაგაში არ შეეცილოს. მებრალებით, რომ თქვენ იძულებული ხართ მაგას გაალაყებინოთ ტვინი და გაადღვებინოთ გულ-მუცელი.

[1] **იამშჩიკი** – (ფოსტის) მეეტლე.

[2] **ფოშტის პოვოსკა** – ფოსტის ოთხთვალა.

[3] მამულის კვამლიც კი ტკბილი და სასიამოვნოა.

[4] **ფრანსიელი** – ფრანგი.

არა უშავს-რა. მთელი რუსეთი მაგით დადის, და მე რა ღმერთი გამიწყრება, რომ დამიშავდეს რამე.

– მაგით დადის?! იმიტომაც შორს არის წასული!.. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. მე კი, სწორედ გითხრათ, თავს ვერ გამოვიმეტებდი, რომ მაგაში ჩავმჯდარიყავ. მშვიდობით! თუ შევხვდეთ ერთმანეთს კიდევ როდისმე, გთხოვთ მიცნობდეთ.

ამ სიტყვებზედ მომაწოდა ხელი გამოსასალმებლად და ისე მჭიდროდ მომიჭირა ხელი ხელს, როგორც მარტო ევროპიელმა იცის ხოლმე.

პოვოსკაში ჩავჯექ.

პოვოსკა ჩემს ჩაჯდომაზედ შეტოკდა. „იამშჩიკმა“ თვალები აახილა და მე ბღვერა დამიწყო. მერე აკრიბა სადავეები, „მწუო, მწუო,“ დაუწრუწუნა უჭმელობისაგან გადალეულს და ყურებჩამოყრილს ცხენებს და მოუღერა შოლტი. ცხენები მიდგნენ-მოდგნენ, მაგრამ ალაგიდამ არ დაიძრნენ. Ну, чо-о-рт, трогай што-ли![5] – დაიყვირა „იამშჩიკმა“, აიქნივა სადავენი და ფეხებითაც ტყაპუნი დაიწყო. შენც არ მომიკვდე, ცხენებმა ყურიც არ გაიბერტყეს. ამ ყოფას ის ჩემი ნაცნობი ფრანსიელი ფანჯრიდამ უყურებდა და სიცილითა სკდებოდა. რა უხაროდა იმ სულელს?

მაგით დადის!.. ხა, ხა, ხა! – ხითხითებდა იგი, – ვიღა დაეწევა! თუმცა მე სასიხარულო არა მჭირდა-რა, მაგრამ მეც გამეცინა. „იამშჩიკმა“ თავისი ძროხის თვალები ჩემკენ მწყრალად მოიბრუნა და ისე მრისხანედ შემომიბღვირა, თითქო მემუქრებოდა: შენც ეგრეო. მერე ისევ ცხენებს მიუბრუნდა და ყოველს მათგანს თითო შოლტი გადაუჭირა. ცხენებმა ამის პასუხად ტყუპ-ტყუპი ტლინკი აყარეს, როგორც იყო ადგილიდამ დასძრეს ჩვენი პოვოსკა და ძუნძულით გასწიეს. დანჟღრეულმა ზარმა დაიწყო თავისი უგემური ჟღარა-ჟღური, პოვოსკამ ქვებზედ ხტომა და მე ლაყლაყი ხან აქეთ და ხან იქითა.

[5] დაიძარით, თქვე ეშმაკის კერძებო!

II

ამ ყოფით განვშორდი ვლადიკავკასს და პირი ჩემის ქვეყნისაკენ ვქენი. თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილებია. მეშინოდა, რომ თერგ-დალეულობა არ დამწამონ-მეთქი. თერგ-დალეულები ჩვენს ქართველს კაცს როგორღაც არ ეჭაშნიკება და არ მოსწონს. ამაზედ ფრიად საფუძვლიანი საბუთი აქვთ: პირველი, იმიტომ არ მოსწონთ, რომ თერგდალეულები მართლა-და თერგ-დალეულები არიან, მეორე იმიტომ... იმიტომ, რომ მეორედაც თერგ-დალეულები არინ, მესამე იმიტომ... იმიტომ... იმიტომ, რომ მესამედაც თერგ-დალეულები არინ. მოდი და ამისთანა ჭკვიანური საბუთი სხვა საბუთით დაურღვიე ჩვენს დარღვეულს ქართველობას.

ეგ დასაღუპავი თერგი! რა ორპირი ყოფილა! დახე, როგორ მიმკვდარა. რაკი ზურგი ჩვენკენ უქნია და პირი რუსეთისაკენ, რაკი გაუმინდვრებია და გაუვაკნია, როგორღაც ის დევ-გმირული ხმა ჩასწყვეტია. ჩვენი დამთხვეული თერგი ვლადიკავკასთან ის თერგი აღარ არის, რომელზედაც ჩვენს პოეტს უთქვამს:

„თერგი რბის, თერგი ღრიალებს,
კლდენი ბანს ეუბნებიან...“

იქ ისე დამდოვრებულა, ისე დადუმებულა, თითქო ან როზგქვეშ არის გატარებულიო, ან დიდი ჩინი მიუღიაო. მაგრამ იქნება თერგი იქ ეგრე იმიტომ მიჩუმებულა, რომ მობანე კლდენი გვერდით არ ახლავს, ის კლდენი, რომლის:

„კლდოვანთა გულთა ღრუბელნი
შავადა ზედ დასწოლიან
და მრისხანებით ქვეყანას
წარღვნითა ემუქრებიან“.

მაგრამ მაინც-და-მაინც, ვაი შენ, ჩემო თერგო! შენ, ჩემო ძმობილო, ზოგიერთ კაცსავით, საცა მისულხარ, იქაური ქუდიც დაგიხურავს. ცოდვა არ არის, შენი ჭექა-ქუხილი, შენი ზარიანი ხმაურობა, შენი შფოთვა და ფოთვა, შენი გაუთავებელი ბრძოლა ქვაკლდე-ღრესთან, თითქო შენი განიერი წადილი შენს ვიწრო საწოლში ვერ მოთავსებულაო. ბევრი რამ საგულისყუროა შენში, ჩვენო დაუმონავო თერგო, შენს ძლევამოსილს და შეუპოვარს დენაშია. აქ კი მიმრჩვალხარ დამარცხებულ და ნათრევ ლომსავითა. ცოდვა ხარ და ცოდვას შვრები!..

„ჰე, სოფელო, რაშიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?“

შუა-დღე იყო, რომ ლარსის სტანციაში[1] მოვედი. ლარსამდი ჩემმა გულმა ვერაფერი განსაკუთრებითი სიამოვნება ვერა მიიღორა, გარდა იმისა, რომ რამოდენადაც ჩემს სამშობლოს ქვეყანას ვუახლოვდებოდი, იმოდენად გარემო ბუნებას ჩემის ქვეყნის ფერი ემატებოდა და თერგს შფოთვა და ღელვა.

შევედი სტანციის ცარიელს ოთახში, ჩაის დალევა მინდოდა და ამის გამო სამოვარის დადგმა შევუკვეთე ერთს ფეხმოტეხილს სალდათსა, რომელიც ბოლოს სტანციის გუშაგად გამოდგა. მინამ სამოვარს შემოიტანდნენ, მივწექ გაფიცრულ ტახტზედ და თავი ფიქრებს მივეცი.

ოთხი წელიწადი იყო, რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია! პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელესა და სინათლის შუა ბედისაგან გადებული. მაგრამ ყველასთვის კი არა, მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ჭკუა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, – ფეხი აადგმევინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ჭაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომლიდანაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძაღლ-ყურძენაცა... ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებული ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარა.

---

[1] **სტანცია** – სადგური.

ჩვენ და ტექსტი

1. ტექსტს რაიმე შესავალი აქვს, თუ თხრობა პირდაპირ ამბით იწყება? რამდენად ტრადიციულად გეჩვენებათ ამგვარი დასაწყისი?
2. აღწერეთ რუსის „იამშჩიკი“. როგორ გგონიათ, რატომ გვიხატავს ავტორი ასე დაწვრილებით ამ არცთუ სასიამოვნო პერსონაჟს?
3. როგორ გვიხატავს ილია „ფრანსიელს“? მის შესახებ არაფერი ვიცით, გარდა იმისა, რომ იგი ევროპიდანაა და რუსულ ეტლს დასცინის. როგორ გგონიათ, რატომ გახდა საჭირო ამ „შემთხვევითი“ პერსონაჟის შემოყვანა?
4. რას ამბობს მთხრობელი „თერგდალეულობის“ შესახებ? როგორ ფიქრობთ, რითია განპირობებული მისი დამცინავი, ირონიული ტონი?
5. ტექსტის პირველი მონაკვეთის დასრულების შემდეგ იმსჯელეთ, მთხრობელი, უბრალოდ, პირველ პირში ჰყვება ამბავს, თუ იგი ავტორის ალტერ ეგოს განასახიერებს?
6. რომელი პოეტის რომელ ლექსს იმოწმებს თერგის შემოგარენში ავტორი?
7. რა არის თერგის სახეში მნიშვნელოვანი და ქართველი კაცისათვის საგულისხმო?
8. რას ადარებს ავტორი შეუპოვარი და დაუდგრომელი თერგის მორჯულებასა და დამორჩილებას? თქვენი აზრით, საიდან მოდის ეს შედარება?
9. როგორ ახასიათებს ავტორი რუსეთში გატარებულ ოთხ წელიწადს? რა ფუნქცია აქვს ამ ეპიზოდში გამეორებას?
10. რომელ ანდაზას იწუნებს ავტორი და რატომ?
11. იმსჯელეთ, გამართლდა თუ არა თქვენი მოლოდინები, როცა ტექსტის წაკითხვამდე საუბრობდით ჟანრისა და მწერლის მოსალოდნელი მანერის შესახებ?

ლიტერატურული ძიებანი

ა) პერსონაჟის აღწერა თუ ფარული პოლემიკა წინამორბედ ლიტერატურულ მიმდინარეობასთან?

1. როგორაა აღწერილი რუსის „იამშჩიკი“, როგორ გგონიათ, რატომ შეჩერდა ავტორის ყურადღება მასზე ასე დაწვრილებით? როგორია იგი სინამდვილეში და როგორია ნახატებზე გამოსახული, სინამდვილეს დაშორებული მისი სასურველი ხატი? ხელოვნების რომელ მიმდინარეობაში ჩანს არსებულის დაპირისპირება სასურველთან? ხელოვნებაში გავრცელებულ რომელ მსოფლმხედველობას ეპაექრება აქ ნაწარმოების ავტორი?
2. რას ამბობს ილია შელამაზებულ რეალობაზე? „მამულის კვამლზე“? რა იმალება მის პათეტიკურ ტონსა და ინტონაციაში?

ბ) გამეორება, გრადაცია

თქვენ უკვე იცით, რომ გამეორება ლიტერატურაში ზოგჯერ ემოციური ფონს აძლიერებს.

გადაიკითხეთ ნაწყვეტი **„ოთხი წელიწადი“** და იმსჯელეთ, რა ფუნქცია აქვს ამ ნაწყვეტში გამეორებას?

პარალელები

პარალელები და ფარული პოლემიკა გოგოლთან

გოგოლის „მკვდარი სულები“

(ნაწყვეტი, დასასრული)

„მკვდარი სულების“ ფინალში სამცხენა ეტლში მსხდომ პერსონაჟებს ძილი მორევიათ, ეტლის თავაწყვეტილ ქროლას ავტორი რუსეთის ძლევამოსილ წინსვლას ადარებს.

მართლაც დიდი ხანია, რაც სელიფანს რული მორეოდა, ჟამიდან ჟამზე თუ გაახელდა თვალებს და გვერდზე სადავეებს გადაუტყაპუნებდა ასევე მთვლემარე ცხენებს...

– „აბა, ჰე, აბა, ჰე! გაფრინდითო“, – და როდესაც ეტლი აღმართ-დაღმართ გზაზე ხან მაღლა მიფრინავდა, ხან დაბლა ეშვებოდა... ჩიჩიკოვს სახეზე ღიმილი უკრთოდა, ვინაიდან უყვარდა სწრაფად ქროლა, ან კი რომელ რუსს არ უყვარს სწრაფად ქროლა?

– ეეჰ, ტროიკა! ჩიტივით მფრინავო ტროიკა, ნეტა ვინ გამოგიგონა? უთუოდ მამაც ხალხში უნდა იყოს გამოგონილი იმ მიწა-წყალზე, რომელსაც არ უყვარს ხუმრობა და ნახევარი დედამიწის ზურგზე გაშლილ-გადაჭიმულა...

მეეტლეც გერმანულ ბოტფორტებში როდია გამოწყობილი: თავისი ვეებერთელა წვერითა და ხელჯაგებით, ეშმაკმა უწყის, რაზე ზის, მაგრამ საკმარისია წამოიწიოს, შოლტი გაატყლაშუნოს და სიმღერა წამოიწყოს, რომ ცხენებმა ქარივით გაჰქროლონ, თვლების მანები ერთ მთლიან წრედ იქცეს. მიწა შეინძრეს და გულგახეთქილმა ქვეითმა მგზავრმა შეჰკივლოს, ის კი მიჰქრის და მიჰქრის! და აგერ უკვე შორს მოჩანს, როგორ ბურღავს ჰაერს და მტვრის კორიანტელს აყენებს.

– განა შენც ასე სწრაფ, მიუწვდომარ ტროიკასავით არ მიქრიხარ, რუსეთო? შენს ფერხთაქვეშ კვამლივით იბოლება გზა, დგანდგარებს ხიდები, ყოველივე უკან გრჩება, ყოველივეს უკან იტოვებ. შეჩერდა განგების სასწაულით გაოცებული მჭვრეტელი: ეს ელვა ხომ არ არის ციდან ჩამოსრიალებული? რას ნიშნავს ეს თავზარდამცემი სრბოლა? ან რა უცნობელი ძალა ჩაბუდებულა ქვეყნიერებაზე ჯერ არნახულ ამ ცხენებში?

– ჰოი, ცხენებო, ცხენებო! ქარიშხალი ხომ არ ბობოქრობს თქვენს ფაფარში? მახვილი ყური ხომ არ გამოგბმიათ ყოველ ძარღვში? მოჰკრეს თუ არა ყური მაღლიდან ნაცნობ სიმღერას, ერთბაშად მწყობრად დაძაბეს რკინის გულმკერდი და მიწაზე ფლოქვდაუკარებლივ, ლარივით გაჭიმულნი მიქრიან ჰაერში, მიქრიან ღვთით შთაგონებულნი!. საით მიქრიხარ, რუსეთო? მიპასუხე. პასუხს არ იძლევა. გულისმომტაცად გაისმის ზანზალაკის წკრიალი; გრიალებს ქარადქცეული დაფლეთილი ჰაერი; მიქრის და უკან რჩება ყოველივე, რაც კი დედამიწის ზურგზეა, და გზას უთმობენ, განზე დგებიან ცერად მაცქერალი სხვა ხალხნი და სახელმწიფონი.

რუსულიდან თარგმნა დავით კასრაძემ.

- იმსჯელეთ, რას გამოხატავს სამცხენიანი ეტლის ქროლა გოგოლის „მკვდარი სულების“ ფინალში? ამის გათვალისწინებით, როგორ აღწერა ეს ძლევამოსილი ქროლა ილიამ? როგორ ცვლის ილიასეული მწარე სატირა ამ „ძლევამოსილ სურათს“?
- გაიხსენეთ, რას ამბობს „ფრანსიელი“ რუსულ ეტლზე, როგორ გგონიათ, ფრანსიელი ერთი კონკრეტული პერსონაჟია თუ ევროპის დამოკიდებულებას გამოხატავს „რუსეთის ძლევამოსილი წინსვლის“ შესახებ?
- ამის გათვალისწინებით რუსის „იამშჩიკი“ და „ფრანსიელი“ კონკრეტული სახეებია თუ ტიპურ გარემოში ტიპურ ხასიათებს წარმოაჩენენ?

III

რაკი ვლადიკავკასიდამ გამოვედი და ჩემის ქვეყნის სიომ დამკრა, გულმა სულ სხვარიგად დამიწყო ფეთქა. პოვოსკაში ქვებზედ ხათქა-ხუთქი უკეთესთა ფიქრთა დამიბნევდა ხოლმე. ახლა კი, როცა სტანციის ოთახის ტახტზედ მამა-პაპურად გავიშოტე, ღვთის წყალობა შენა გქონდეს, რომ მე ფიქრს მივეცი სრული ჩემი გულისყური და ყურადღება. ჯგუფად მომიგროვდა ყველაფერი, რაც კი დამეტოვა ჩემს მშვენიერ პატარძალსავით მორთულ ქვეყანაში, რაც კი მენახა, მეცადნა და მეცნო უცხოეთშია. მრავალნაირი ფიქრები ერთად, რეულად, გონების თვალ-წინ წარმომიდგნენ, მაგრამ ელვის უმალეს ერთი ფიქრი მეორეზედ მეცვლებოდა, ასე რომ ჩემი გონების თვალი ერთდა-იგივე საგანზედ ერთს წუთსაც ვერ გავაჩერე – ერთი სიტყვით, ჩემს ტვინში სრული რევოლუცია მოხდა: ძირს მილაგებულნი ფიქრები მაღლა მოექცნენ, მაღლა დალაგებულნი ძირსა და მერე აირივნენ ერთმანეთში. სიტყვამ „რევოლუცია“ არ შეგაშინოს, მკითხველო! რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაწმნდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედ.

ამ ყოფაში ვიყავ. ბოლოს ჩემთა ფიქრთა, ყოველმა თითოეულად, თავისი შესაფერი ადგილი დაიჭირა ჩემს გონებაში. მათ შორის ერთი უფრო ბრწყინვალედ გამომეხატა. იმ ერთს მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე, ასე რომ ბოლოს ერთ განუწყვეტელ გრეხილად შემექმნენ. როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე, ვიფიქრე. რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე? ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნაიადგზედ გადარგულსა და აღზრდილსა? იქნება ზურგიც არ შემომაქციოს, იქნება მიმითვისოს კიდეცა, რადგანაც ჩემში მაინც-და-მაინც ჩემის ქვეყნის დვრიტაა დადებული. მაგრამ მაშინ რა ვქმნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მამიყოლოს და მიამბოს თავის გულისტკივილი, თავისი გლოვის დაფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმიღოს კიდეც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოვურჩინო, დავრდომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოვფინო, მტირალს ცრემლი მოვწმინდო, მუშაკს შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო: რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემი ქვეყნის გაციებული გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა მიმიღებს და მიმითვისებს კიდეც, იმიტომ რომ იმისი სისხლი და ხორცი ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ რომ მამულის სიტყვას მამულისშვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა, გულითაცა, რომლისათვისაც დუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმეშია, შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, მაშინ რასა იქმ? – ვკითხე მე ჩემს თავს და გავჩერდი კიდეც. ვიგრძენ, რომ ამ კითხვამ შესწყვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი.

– მართლა-და რა უნდა ვქნა? – ვკითხე ჩემს თავს ხმა-მაღლივ.

– ჩაი უნდა მიირთოვო, – მიპასუხა სტანციის გუშაგმა, რომელმაც ამ დროს შემოიტანა სამოვარი და ჩემს სტოლზედ დადგა.

– ჩაიო!..

– სამოვარი იმისთვის არ მიბრძანეთ? – მიპასუხა სულელმა გუშაგმა და გავიდა გარეთ. არ გასულა ამის შემდეგ რამდენიმე წუთი, რომ კარი ისევ გაიღო და ერთმა რუსის აფიცერმა შემოჰყო თავი. იმისი სახის მეტყველება ამჟღავნებდა, რომ ღვინოსა და არაყს ძალიან დაახლოვებით იცნობდა.

თვალად ერთი ოცდა-ათის წლისას ჰგვანდა. ზედ ეტყობოდა, რომ მგზავრი არ იყო.

– ნება მომეცით, – მითხრა მან რუსულად, – გაგაცნოთ ჩემი თავი: მე გახლავართ პოდპორუჩიკი[1] N. აქ ლარსში ვდგევარ, როტა[2] მაბარია.

– ძალიან მოხარული ვარ, – ვუპასუხე მე, წამოვუდეგ ფეხზედ და ჩამოვართვი გამოწვდილი ხელი.

– საიდამ მობრძანდებით?

– პეტერბურგიდამ.

– ფრიად სასიამოვნოა. ამ უდაბურსა და ვერანა ადგილას ერთი ეგ სიამოვნებაღა მაქვს, რომ შევხვდები ხოლმე მგზავრს განათლებულის ქვეყნიდამ. კაცი, რომელიც გონებითა სცხოვრობს, მოვალეა ღვთისა და ქვეყნის წინაშე შეხვდეს განათლებულს კაცს საბაასოდ გონების გასაფხიზლებლად. დიდად მოხარული ვარ. ბაასი ჭკვის საზრდოა.

მითხრა ესა და კიდევ გამომიწოდა ხელი, მეც ხელმეორედ ხელი ჩამოვართვი.

– თქვენ ვინა ბრძანდებით? – მკითხა მან.

– მე გახლავართ ერთი სომხის სოვდაგრის[3] დახლიდარი.

– დახლიდარიო!.. – თქვა და ტუჩები აიპრუწა.

– დიაღ, ბატონო!

ჩემმა ახალმა ნაცნობმა რომ ეს გაიგონა, მყისვე დიდკაცური სანახაობა მიიღო: მხრები მოიმარჯვა, ის პირველად მორიდებული ლაპარაკი სხვა ჰანგზედ შესცვალა.

– საიდამ მოდიხა-ა-ართ?!. – მკითხა გაკვირვებით და დაცინებითაცა.

– პეტერბურგიდამ.

– ჰმ, – ჩაიცინა აფიცერმა, – პეტერბურგიდამ. კარგია, გღირსებიათ პეტერბურგის ნახვა. პეტერბურგი!.. ძალიან კარგი ქალაქია, – თქვა ესა და არხეინად ჩამოჯდა სკამზედ: – პეტერბურგი!.. ო, ო, დიდი ქალაქია. პეტერბურგი!.. ვრცელი ქალაქია!.. არა ჰგავს თქვენ წიტიან ქალაქსა. აბა რა ქალაქია თქვენი ქალაქი? ერთი თავიდამ რომ გადააფურთხო, ფურთხი ქალაქის ბოლოს დაეცემა. პეტერბურგი კი... ხომ გინახავთ პეტერბურგი? რუსეთის გულია. მართალია, აქამდისინ მთელი რუსეთი ჰფიქრობდა, რომ მისი გული მოსკოვია, მაგრამ მთელს რუსეთს მე განვუფანტე ეგ ცრუ და უგუნური აზრი: მე მწერალი გახლავართ. გთხოვთ, რომ მიცნობდეთ. ეგრე კი ნუ მიყურებთ. მე დავამტკიცე, რომ პეტერბურგია მთელის რუსეთის გული. იზლერის ბაღი ხომ გინახავთ?

დავუგდე კი ყური ამ აფიცერს და გულში კი ვფიქრობდი, ხომ არ გაგიჟებულა-მეთქი, მაგრამ გარდა ამ გადარეულის ლაპარაკისა არა შევატყე-რა.

– არა იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? – მკითხა კიდევ იმან.

– პეტერბურგის გულობა რით დაამტკიცეთ? – ვკითხე მე და არ მივეცი პასუხი მის უკანასკნელს კითხვაზედ.

– არა, ჯერ მე მითხარით: იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თქვენ, აქაურები, ესე იგი ქართველები თუ სომხები, სამეცნიერო ლაპარაკს ჩვეულნი არა ხართ, ამიტომაც ერთის საგნიდამ მეორეზედ გადახტებით ხოლმე. თქვენ ზედმიყოლებითი, რიგიანი სჯა არ იცით. ეგ, რასაკვირველია, გაუნათლებლობისაგან მოგდით. მგონი, თქვენ არც კი იცით, – რა არის ცივილიზაცია, ასოციაცია, არღუმენტაცია, ინტელიგენცია, კასაცია[4] და ფილოლოღია. მაგრამ ეგ არაფერი, წარმავალია. თქვენც გაიწურთნებით. მადლობა ღმერთს, აფიცრობა და ჩინოვნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდამ თქვენს გასანათლებლად. არა, ჯერ მითხარით, იზლერის ბაღი გინახავთ, თუ არა? თუ ეგ არ გინახავთ, პეტერბურგიც არ გინახავთ.

– მინახავს.

– გინახავთ? მაშ თქვენ განათლებულებში ფეხი ჩაგიდგამთ, ფრიად მოხარული ვარ, ფრიად მოხარული ვარ. იზლერის ბაღი? როგორი ბაღია, ჰა? ფერიებით სავსე სამოთხე ის არის, აი! ფერიები, ხომ იცით, რა არის? ეგ სამეცნიერო სიტყვაა, იქნება

---

[1] **პოდპორუჩიკი** – ოფიცრის დაბალი სამხედრო ჩინი რუსეთის არმიაში.

[2] **როტა** – ასეული.

[3] **სოვდაგარი** – ვაჭარი.

[4] **კასაცია** – სასამართლოს განაჩენის გასაჩივრება და გადასინჯვა ზემდგომ სასამართლო ინსტანციაში.

არ იცოდეთ. ეგ მდაბიურად რომ ვთარგმნოთ, იმასა ჰნიშნავს, რომ ის ბაღი სავსეა ჟუჟუნა-თვალებიან ქალებითა. გინდა ერთს ჩაავლე ხელი, გინდა მეორეს. აი, განათლებას რა შეუძლიან. თქვენი ქალები კი კაცს დაინახავენ თუ არა, იმალებიან. არა, პეტერბურგი... დიდი ქალაქია, ფრიად განათლებული, და იზლერის ბაღი განათლების გვირგვინია, ასეთი ბაღია, რომ „მწუ“.

ამ სიტყვებზედ მეცნიერმა აფიცერმა თითებზედ იკოცა.

– მე იმედი მაქვს, რომ ეს სამოვარი ამ სტოლზედ თქვენთვის სდგას.

– თქვენმა იმედმა არ მოგატყუათ თქვენ.

– მე იმედი მაქვს, რომ თქვენ, როგორც განათლებულის ქვეყნიდამ მოსული კაცი, მეც მითავაზებთ ჩაისა.

– არც მაგ იმედს გაგიმტყუნებთ.

– რომიც, რასაკვირველია, გვექნება.

– მაგაზედ კი უკაცრავად.

– ეგ ვერაფერი ნიშანია. თქვენ სომეხი ხართ, თუ ქართველი?

– ქართველი.

– ძალიან მიამა, რომ ქართველი ხართ. თუმცა ჩვენი ლერმონტოვი[1] კი ამბობს, რომ **бежали робкие грузины**[2], მაგრამ მაინც ქართველები სჯობიან იმ პოიებსა. პაპიროსები კი, რასაკვირველია, გექნებათ.

– გახლავთ.

– იმედი მაქვს, რომ მითავაზებთ.

– დიდი სიამოვნებით. ინებეთ.

– აბა, მაშ თქვენ ჩაი დაასხით და მერე მოვყვეთ სამეცნიერო ლაპარაკსა. თუმცა თქვენთვის ძნელი იქნება სამეცნიერო ლაპარაკის გაგება, მაგრამ მე შიგა-და-შიგ სამეცნიერო სიტყვებს მდაბიურად გითარგმნით და ამ რიგად სამეცნიერო ლაპარაკის გაგებას გაგიადვილებთ.

მე ჩაი დავასხი და ერთი ჭიქა იმას დავუდგი. ჩაი რომ მოსვა, გამოაბოლა პაპიროსი და მოჰყვა ლაპარაკსა.

– თქვენი ქვეყანა, მეცნიერის ენით რომ ვთქვა, განათლებული არ არის, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, გაუნათლებელია. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

– აკი მოგახსენეთ, გაგიადვილებთ-მეთქი სამეცნიერო სიტყვის გაგებასა. ახლა დავიწყოთ იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ესე იგი, გაუნათლებელია. ეს ჩაი მოსკოვისა უნდა იყოს?

– არა, სტავროპოლში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა დავიწყოთ, როგორც წეღანა ვთქვით, იქიდამ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის. ეგ იმასა ნიშნავს, რომ თქვენი ქვეყანა ბნელია. ხომ გესმით?

– დიაღ, კარგად.

– ახლა რაკი იქიდამ დავიწყეთ, რომ თქვენი ქვეყანა განათლებული არ არის, ისიც უნდა ვთქვათ, რომ განათლება რა არის. მე ამას მაგალითებით აგიხსნით: წარმოიდგინეთ ბნელი ოთახი. წარმოიდგინეთ, თუ არა?

– წარმოვიდგინე.

– არა, იქნება სადმე ერთი ფანჯარა ღია დაგრჩათ, ისიც დაკეტეთ.

– დავკეტე, – ვუპასუხე კი და სიცილი მომივიდა.

– ძალიან კარგი. რაკი ის ფანჯარაც დაკეტეთ, ფარდაც ჩამოაფარეთ.

– ჩამოვაფარე.

– რაკი ფარდაც ჩამოაფარეთ, ოთახიც დაბნელდა, ვეღარაფერს დაინახავთ. უეცრად შემოიტანეს სანთელი, განათდა ოთახი. განათლებაც ეგ არის. სწორედ მოგახსენოთ, არც ეს პაპიროსია ურიგო. პეტერბურგიდამ იქნება?

– არა, ვლადიკავკასში ვიყიდე.

– სულ ერთია. ახლა ხომ გესმით განათლების მნიშვნელობა?

– ძალიან კარგად.

– ახლა, რადგანაც აგიხსენით განათლების მნიშვნელობა, თქვენ უნდა ერთი რამა გკითხოთ: თქვენში ცივილიზაცია როგორ მიდის?

– მაგისას ვერას მოგახსენებთ: დიდი ხანია ჩემს ქვეყანაში არა ვყოფილვარ.

---

[1] **მიხაილ ლერმონტოვი (1814–1841)** – რუსი რომანტიკოსი პოეტი.

[2] გარბოდნენ მშიშარა ქართველები.

– ეგ არაფერი, მე ეხლავ შევიტყობ, როგორ მიდის: რამდენი გენერლები გეყოლებათ თქვენ, ქართველებს?

– იქნებ ერთი ოციოდე მოგროვდეს.

– რაო, ოციოდეო!.. ო, ო, ეგ დიდი საქმეა, – წარმოსთქვა დიდის ყოფით ჩვენმა მეცნიერმა აფიცერმა, – ოციოდეო!.. ამ ერთ მუჭა ხალხში და ოცი გენერალი!.. ეგ, ბატონო, დიდი ცივილიზაცია გქონიათ. ვერ უყურებთ, ოციოდე გენერალი! არა მჯერა. იქნება თქვენ, მეცნიერების ენით რომ ვთქვა, დეისტვიტელნი სტაცკის სოვეტნიკებსაც[1] მართალ გენერლებშია სთვლით, ესე იგი, მდაბიურის ენით რომ ვთქვა, იქნებ შტაცკის გენერლებსა, ანუ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უეპოლეტო გენერლებსა, ანუ ამაზედ უფრო მდაბიურად რომ ვთქვა, უულვაშო გენერლებსაც მართალს გენერლებში სთვლით? უთუოდ ეგრე იქნება.

– არა, თქვენმა მზემ, – დავუფიცე მეც, – არა, თქვენმა მზემ, სულ მართალს გენერლებს მოგახსენებთ.

– ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?

– იქნება სამოც-და-ათი.

– შვიდ წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქნება. დიდი საქმეა. მე ეგ არ ვიცოდი. ან საიდამ უნდა შემეტყო? სულ არ იქნება სამი წელიწადი, რაც ამ ქვეყანაში ვარ. სწორედ მოგახსენოთ, არც მოცლა მქონდა, რომ თქვენის ქვეყნისათვის მეცნიერი თვალი დამეკვირვებინა. მე ერთს დიდს საოსტატო საგანს გამოვეკიდე, მრავალი ვიძიე, ისტორიები წავიკითხე და ჩემი დრო სულ ამ სამეცნიერო საქმეზედ გადავაგე. მაგრამ ცუდად არ წახდა ჩემი ღვაწლი, შთამომავლობა მოიგონებს ჩემს სახელსაცა.

– რა იმოქმედეთ?

– რა ვიმოქმედე! ადვილი სათქმელია. აი, ბატონო, რუსეთში მებატონეებს ყმები ჩამოართვეს. მებატონეს ბიჭი აღარ შერჩა. მოჯამაგირეს ანაბარას დარჩა. შეწუხდა ქვეყანა, მოჯამაგირეებმა დაუწყეს ყველაფერს სახლში პარვა. მე, როგორც გულმტკივნეული შვილი, ჩავუფიქრდი ამ ჩემის ქვეყნის მწუხარებას, – ვთქვი: ქვეყანას შველა უნდა მეთქი. მადლობა ღმერთს, ვუშველე კიდეც. ასეთი რამ მოვიგონე, რომ მოჯამაგირეს სახლში პარვა აღარ შეუძლიან. ერთმა უბრალო შემთხვევამ კი მაპოვნინა წამალი. ჩემი დენშჩიკი[2] ფრიად დიდი ქურდი იყო, საშაქრეში შაქარს აღარ უშვებდა. ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ვუშველო ამ საქმეს-მეთქი. დავიწყე ყუთის დაკეტა, მაგრამ ხან დაკეტა დამავიწყდებოდა ხოლმე, ხან გასაღები სტოლზედ დამრჩებოდა ხოლმე, და როცა სახლიდამ გავიდოდი, დენშჩიკი შაქარს მომპარავდა. ბოლოს ავიღე, ორი ბუზი დავიჭირე და ჩავსვი საშაქრეში, თავი დავხურე და არ დავკეტე კი. ახლა მკითხავ – რისთვისაო? იმისთვისა, რომ თუ დენშჩიკი კიდევ შაქრის მოპარვას დააპირებდა, ხომ ყუთი უნდა გაეღო. რაკი ყუთს თავს ახდიდა, ბუზები მაშინვე ამოფრინდებოდნენ. მერე, როცა შინ მოვიდოდი, ავხდიდი ყუთს და შიგ რაკი ბუზებს აღარ ვნახავდი, აშკარა იქნებოდა, რომ ყუთის თავი აუხდია ვისმე. ვინ ახდიდა, თუ არ ჩემი დენშჩიკი. რაკი ეს გამოვიგონე, მე დენშჩიკი შაქარს ველარ მპარავს. ეხლა, ყოველ დილას ჩაის გავათავებ თუ არა, ოთახში ბუზებს ვიჭერ, დავიჭერ ბუზებს, ჩავსვამ შაქრის ყუთში და მთელი დღე არხეინადა ვარ: ვიცი, რომ არავინ მომპარავს. როგორ მოგწონს ჩემი აზრი? იაფი და ქურდობის უებარი წამალია. ეგ წამალი ყველაფერში იხმარება, რასაც კი ჩვენს ოჯახში ყუთში ვინახავთ ხოლმე. ეს აზრი ჯერ არავისთვის არ გამიმჟღავნებია, მაგრამ თქვენი ქვეყანა ისე მიყვარს, რომ

[1] **დეისტვიტელნი სტაცკი სოვეტნიკი** – უმაღლესი რანგის ჩინოვნიკი რუსეთის იმპერიაში.

[2] **დენშჩიკი** – რუსეთის იმპერიაში ოფიცრის მსახური ჯარისკაცი.

თქვენ ეგ გაცნობეთ და გთხოვთ – თქვენს გაუნათლებელს მებატონეებს აცნობოთ. ერთი ეს არის, რომ არყის ქურდობას ჯერ ვერა ვუშველე-რა. არაყის ბოთლშიაც კი ვცადე ბუზების ჩასმა, მაგრამ ეგ წყეულები შიგ ირჩობიან – **губа не дура**[1]. მაგრამ მაგის წამალსაც მალე მოვიგონებ. არა, როგორ მოგწონთ ჩემი ოსტატობა? ფრანსიელებმაც იციან ხოლმე მაგისთანა ეშმაკობის მოგონება, მაგრამ იმათის მაშინების ყიდვა ძვირია. ეს ჩემი ოსტატობა კი გროშიც არ დაჯდება. აბა რა არის ორი ბუზის დაჭერა და ყუთში ჩასმა? დიდი არაფერი. აბა ეხლა ჰნახეთ, რა შედეგი ექნება ამ ჩემ მოგონილ საქმეს: ეს ჩემი ოსტატობა რომ გავრცელდება, მაშინ შეიძლება რომ ბუზების სყიდვა დაიწყონ. აი, ქვეყანაში ახალი აღებ-მიცემობაც გაჩნდება:

ჩაივლით ერთს მშვენიერს დილას თქვენს ქალაქში და დაინახავთ ბუზების მაღაზიასა. ცუდია თუ? რამდენი მშიერი კაცი ლუკმას იშოვნის ბუზების მეოხებითა. ეხლა კი ბუზები რანი არინ? არაფერი. რის გამოსადეგნი არიან? არაფრისა. აი, მეცნიერის და ჭკვიანის კაცის ნამოქმედებსა და ნაღვაწლს რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნისათვის. მე აქ არ მოვდიოდი, თუმცა კი ბევრს მეხვეწებოდნენ. ჩემს გულში ვამბობდი: ღმერთს თუ ნიჭი მოუცია რამე ჩემთვის, ისევ ჩემებს გამოვადგე-მეთქი, მაგრამ ამ ახლად დაჭერილ ქვეყნებს უფრო განათლება უნდა-მეთქი; აქ განათლებული კაცები საჭირონი არიან. აბა ცოტა ხანი მოიცადეთ, რა მოხდება. მე ხომ, ზევით რომ ვთქვი, ის მოვიგონე, ეხლა სხვა ჩემისთანა სხვას მოიგონებს, იქნება იმისთანა კაციც გამოვიდეს, რომ თქვენს ქალაქშიაც იზლერის ბაღი გამართოს: მეცნიერის კაცისათვის ყველაფერი შესაძლოა. ამ ყოფითა მთელის პეტერბურგის განათლება აქ გადმოვა. მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან, ესე იგი, სამოთხე რომ მდაბიურად ვთქვათ... მაგრამ რა ვთქვათ, მდაბიურადაც სამოთხე სამოთხეა. ხომ გესმით?

– ძალიან კარგად.

ჩვენ და ტექსტი

1. ლარსის „სტანციის“ ოთახში განმარტოებული მგზავრი საკუთარ თავს ესაუბრება. გადმოეცით ეს დიალოგი. რომელ ეპიზოდებში ჩანს დაეჭვება და რით ახერხებს ავტორი დიალოგში გაჩენილი წინააღმდეგობის გადალახვას?
2. რა სათქმელი აწვალებს ლარსში სტანციის ოთახში განმარტოებულ გმირს და მისი აზრით, რამდენად შესაძლებელია ამ აზრის გამოხატვა, თქმა? რატომ?
3. როგორი შთაბეჭდილება დატოვა გამოჩენისთანავე რუსმა „აფიცერმა?“ როგორ ახასიათებს მას თავისი გარეგნობა, ჩაცმულობა, მეტყველება?

[1] **губа не дура** – იცის, რა არის კარგი (ირონიული გამოთქმა).

4. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა რუს „აფიცერს“ მგზავრის მიმართ და რა თქვა, როდესაც შეიტყო, რომ იგი პეტერბურგიდან მოდიოდა? რაზე მიანიშნებს „აფიცრის“ დამოკიდებულების ცვლილება?
5. ერთ ეპიზოდში რუსი ოფიცერი რამდენჯერმე იცვლის დამოკიდებულებას მგზავრისადმი, იცვლება მისი ჟესტიკულაციაც, მეტყველებაც. გადმოეცით ეს განსხვავებული სურათები. იმსჯელეთ თითოეული ცვლილების მოტივზე. როგორ ახასიათებს ეს თავად აფიცერს?
6. როგორ უხსნის ოფიცერი მგზავრს, „რა არის განათლება“, როგორ ახასიათებს ამგვარი მსჯელობა თავად მას?
7. რუსი ოფიცერი იზლერის ბაღს ასე ახასიათებს. „მაშინ ჰნახავთ, რომ ერთს მშვენიერს დღეს სეირნობა გაიმართება იზლერის ბაღში, იმ ბაღში თქვენი ქალები თამამად სიარულს დაიწყებენ, გინდა ერთს უთხარ „შენი ჩირიმე“, გინდა მეორეს, ხმასაც არ გაგცემენ. აბა ხალხი მაშინ დაინახავს თავისს სამოთხეს, როგორც მეცნიერნი იტყვიან...“ რა მიაჩნია აფიცერს სამოთხედ? სინამდვილეში რისი სიმბოლო ყოფილა იზლერის ბაღი ?
8. რუსი ოფიცრისთვის ცივილიზაციის მაჩვენებელი გენერლების რაოდენობაა: „ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას“ – ამბობს აღტაცებული „აფიცერი“. როგორ გგონიათ, სამხედრო სამსახურის ამგვარი აღზევება მარტო რუსული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი, თუ ქართულ საზოგადოებაშიც საკმაოდ ფასობდა ჩინი და მუნდირი? ვისთან შეიძლება აგრძელებდეს პოლემიკას ილია ამ ირონიული თხრობის სტილით?
9. „აფიცერს“ ყველაფერი საუკეთესო რუსული ჰგონია, ისე, რომ აზრადაც არ მოსდის – ჩაი რუსული ვერ იქნება და ვერც თამბაქო... ამდენი გეოგრაფია „აფიცერმა“ არ იცის, სამაგიეროდ რაშია დარწმუნებული ის? როგორ ახასიათებს ეს „აფიცერს“?
10. როგორ გგონიათ, რუსის „აფიცერი“ მართლაც შემთხვევით შეხვედრილი ერთი კერძო კაცია, თუ მისი სახით ავტორმა კვლავაც ტიპური ხასიათი დაგვიხატა ტიპურ გარემოში? რატომ ფიქრობთ ასე?

ლიტერატურული ძიებანი

ტიპური სახეები

ჩვენ ვიცით, რომ რეალიზმისთვის დამახასიათებელია ტიპურ გარემოში ტიპური ხასიათების ჩვენება. ამის გათვალისწინებით, რას გამოხატავენ – „ფრანსიელი“ (რომელიც რუსულ დანჯღრეულ ეტლს დასცინის), რუსის ეტლში მჯდომი მგზავრი (რომელიც იძულებულია, ამ ეტლით იმგზავროს), პირდაუბანელი და სქელკისერა „იამშჩიკი“ და რუსისვე „აფიცერი“.

ოსტატობის სკოლა

გადააკეთე მოთხრობის ეპიზოდი სცენარად

რუბრიკაში „ლიტერატურული ძიებანი“ შემოთავაზებული სახეებიდან („იამშჩიკი“, „ფრანსიელი“, „აფიცერი“, მგზავრი) შეარჩიეთ ერთ-ერთი და შექმენით ტექსტში მათი შემოსვლის სცენა, დაამატეთ და ოდნავ განავრცეთ დიალოგები ისე, რომ გამოიკვეთოს ამ პერსონაჟის ტიპურობა, მის ქმედებებსა და რეპლიკებში ჩანდეს ის იდეები, რომლებსაც ის განასახიერებს.

IV

იმ საღამოს სტეფანწმინდას ამოვედი. მშვენიერი საღამო იყო, ასე რომ იმ ღამეს იქ დავრჩი, რათა თვალი გამეძღო მშვენიერის სანახების ხილვითა. ოხ, საქართველოვ!

„სხვა საქართველო სად არის,
რომელი კუთხე ქვეყნისა?“

ოთახიდამ გარეთ გამოვედი და შევხედე სტეფანწმინდის პირდაპირ აყუდებულს მყინვარსა, რომელსაც ყაზიბეგის მთას ეძახიან. დიდებული რამ არის ეგ მყინვარი. აბა მაგას შეუძლიან სთქვას: ცა ქუდადა მაქვს და დედამიწა ქალამნადაო. ცისა ლაჟვარდზედ მოჩანდა იგი თეთრად და აუმღვრევლად. ერთის მუჭის ოდენი ღრუბელიც არა ჰფარავდა მის მაღალს შუბლსა, მის ყინვით შეერცხლილს თავსა. ერთადერთი ვარსკვლავი, მეტად ბრწყინვალე, ზედ დაჰნათიდა, ერთს ალაგს გაჩერებული, თითქო მყინვარის დიდებულს სახეს განუცვიფრებიაო. მყინვარი!.. დიდებულია, მყუდრო და მშვიდობიანი, მაგრამ ცივია და თეთრი. დანახვა მისი მაკვირვებს და არ მაღელვებს, მაციებს და არ მათბობს, – ერთის სიტყვით მყინვარია. მყინვარი მთელის თავის დიდებულებით საკვირველია და არა შესაყვარებელი. აბა რად მინდა მისი დიდება? ქვეყნის ყაყანი, ქვეყნის ქარიშხალი, ქროლვა, ქვეყნის ავ-კარგი მის მაღალს შუბლზედ ერთ ძარღვსაც არ აატოკებს. ძირი თუმცა დედამიწაზედ უდგა, თავი კი ცას მიუბჯენია, განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მაგისთანა სიმაღლე, არც მაგისთანა განზედ გადგომა, არც მაგისთანა მიუკარებლობა. დალოცა ღმერთმა ისევ თავზედ ხელაღებული, გიჟი, გადარეული, შეუპოვარი და დაუმონავი მღვრიე თერგი. შავის კლდის გულიდამ გადმომსკდარი მოდის და მობღავის და აბღავლებს თავის გარეშემოსა. მიყვარს თერგის ზარიანი ხუილი, გამალებული ბრძოლა, დრტვინვა და ვაი-ვაგლახი. თერგი სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა, ამაღელვებელი და ღირსსაცნობი სახეც არის: იმის მღვრიე წყალში ჩანს მთელის ქვეყნის უბედურობის ნაცარ-ტუტა. მყინვარი კი უკვდავებისა და განცხრომის დიდებული სახეა: ცივია – როგორც უკვდავება და ჩუმია – როგორც განცხრომა. არა, მყინვარი არ მიყვარს, მით უფრო, რომ მიუკარებლად მაღალია. ქვეყნის ბედნიერების ქვაკუთხედი კი ყოველთვის ძირიდამ დადებულა, ყოველი შენობა ძირიდამ ამაღლებულა, მაღლიდამ კი შენობა არსად არ დაწყებულა. ამიტომაც მე, როგორც ქვეყნის შვილს, თერგის სახე უფრო მომწონს და უფრო მიყვარს. არა, მყინვარი არ მიყვარს: მისი სიცივე

ჰსუსხავს და სითეთრე აბერებს! მაღალიაო! რად მინდა მისი სიმაღლე, თუ მე იმას ვერ

ავწვდები და ის მე ვერ ჩამომწვდება. არა, არ მიყვარს მყინვარი. მყინვარი დიდ გეტეს[1] მაგონებს და თერგი კი მრისხანე და შეუპოვარს ბაირონსა[2]. ნეტავი შენ, თერგო! იმით ხარ კარგი, რომ მოუსვენარი ხარ. აბა პატარა ხანს დადეგ, თუ მყრალ გუბედ არ გარდაიქცე და ეგ შენი საშიშარი ხმაურობა ბაყაყების ყიყინზედ არ შეგეცვალოს. მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი...

---

[1] **გეტე** – იგულისხმება იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749–1832), გერმანელი მწერალი და მოაზროვნე.

[2] **ჯორჯ გორდონ ბაირონი** (1788–1824) – ინგლისელი რომანტიკოსი პოეტი.

V

ჩამოღამდა. თერგისა და მყინვარის ყურებაში და ზოგიერთ ფიქრების გართვაში დრო ისე გამეპარა, რომ თითქმის ვერ შევიტყე – მზე როგორ გამოესალმა მისგან გამთბარ ქვეყნიერებასა და როგორ მიეფარა მთებსა. დაღამდა, თვალწინ აღარა სჩანს-რა, მისწყდა ხმაურობა ქვეყნისა, ქვეყანა დადუმდა.

დაღამდა, მაგრამ არ ვიცი, რას ვიქმოდი, რომ იმედი არა მქონდეს კვლავ გათენებისა. სიცოცხლე სიცოცხლედ-ღა ეღირებოდა?.. მიყვარს, ბუნებავ, შენი დაწყობილობა, რომლის მეოხებითაც ყოველი ღამე თენდება ხოლმე.

დაღამდა, მაგრამ მე მაინც სტანციის გარეთა ვარ და დაჟინებით ყურაცქვეტილი გონებას ვადევნებ თერგის თავზედ-ხელაღებულის დენის ხუილსა. ყველა დადუმდა და შენ არ სდუმობ, თერგო! მერწმუნეთ, მე მესმის ამ ხმაგაკმენდილს ქვეყანაში თერგის დაუჩუმარი ჩივილი. არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა.

დაღამდა. მისწყდა ადამიანის ფეხის ხმა, მისწყდა ადამიანის მორჭმული ხმაურობა, აღარ ისმის მისის დაღლილის ზრუნვისა და წადილის გუგუნი, ქვეყნის ტკივილმა დაიძინა, ადამიანი აღარა სჩანს ჩემს გარშემო. ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!.. არა, წარიღეთ ეს ბნელი და მშვიდობიანი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი-ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევ, მეჯავრები შენ მე! შენ რომ არ დაარსებულიყავ ქვეყნისათვისა, მე მგონია, რომ ნახევარი უბედურობაც ადამიანისა ქვეყანაზედ არ იქნებოდა. შენთა მოვლენათა დასცეს პირველად თავზარი ადამიანის გონებასა და დააფრთხეს იგი. მას აქეთ შეშინებულსა გზა თვისი ვერ უპოვნია, – და აჰა, იბრძვის ადამიანი და დღევანდლამდე ათასში ერთსა თავისი ერთხელ დამფრთხალი გონება ფრთხოლას ვერ გადუჩვევია. აი მიზეზი ქვეყნის უბედურობისა. ჰოი, ბნელო ღამევ! მეჯავრები შენ მე. შენის კალთის ქვეშა, ვინ იცის, რამდენი გაბოროტებული მტერი ადამიანისა ეხლა თავს იმალავს? ვინ იცის, ამ ბნელ ფარდის ქვეშ, რომელიც ეხლა ჩემს თვალს ჩამოაფარე, რამდენი მჭედელი და მტარვალი ქვეყნისა სჭედავს ბორკილთა ადამიანის ბედის შესაჭედად? შენ ხარ ხელის შემწყობი იმ ხელობისა, რომელსაც თვალთმაქცობას ეძახიან და რომელიც ადამიანის დამფრთხალს გონებასა უბედურობას ბედნიერებად აჩვენებს ხოლმე; შენ ხარ ჟამი და დრო კუდიანების სერობისა, საცა ისმის სადღეგრძელო სიბნელისა და უმეცრებისა. ჰოი, ბოროტო, წარვედ ჩემგან, დღეო ნათელო, მოვედ შენ!..

ჩვენ და ტექსტი

1. რომელი პოეტის ლექსია ციტირებული მეოთხე თავის შესავალ ნაწილში? როგორი დამოკიდებულება იგრძნობა აქ ამ ლექსის ავტორთან?
2. ამ ეპიზოდში ერთიმეორის მიყოლებით გაჩნდება ორი საპირისპირო სახე-სიმბოლო. როგორ აღწერს ავტორი თერგსა და დღეს და რისი სიმბოლოა თითოეული მათგანი; ამის საპირისპიროდ, როგორ აღწერს იგი მყინვარსა და ღამეს? რისი სიმბოლოებია ისინი?
3. რა არის ილიასათვის მოძრაობა, რატომ უწოდებს იგი მას „ქვეყნის ძალისა და იმედის მომცემს“?

4. გამოყავით რიტორიკული მიმართვები და რიტორიკული შეკითხვები. იმსჯელეთ, რა დანიშნულება აქვთ ამ მხატვრულ სახეებს ტექსტებში?
5. გაიხსენეთ, როგორი დამოკიდებულება აქვთ ღამისადმი რომანტიკოსებს. ამ შემთხვევაში რა სახის ფარული პოლემიკა შეიძლება გვხვდებოდეს ტექსტში და, საერთოდ, იმსჯელეთ, რამდენად დამახასიათებელია ავტორისათვის შეფარული, მხატვრული სახეებით გამოხატული პოლემიკა საპირისპირო პოზიციის ოპონენტებთან?
6. იმსჯელეთ, თერგისა და მყინვარის, დღისა და ღამის აღწერისას ილია ჭავჭავაძე მკაცრად რეალისტურ მიდგომებს ამჟღავნებს თუ მაინც ვხვდებით „რომანტიკულ გადახვევებს“? განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ფრაზას:
„არიან ადამიანის ცხოვრებაში იმისთანა წუთნი მარტოობისა, როცა ბუნებას შენ თითქო შენსას აგებინებ და იგი თავისას შენ გაგებინებს. ამიტომაც შეგიძლიან სთქვა, რომ მარტოობაშიც არსად მარტო არა ხარ, ჰოი, ორფეხო ცხოველო, რომელსაც ადამიანს გეძახიან. ამ ღამეს ვგრძნობ, რომ ჩემის ფიქრებისა და თერგის ჩივილის შუა არის რაღაც იდუმალი კავშირი, არის რაღაც თანხმობა. გული მიტოკს და მკლავი მითრთის. რისთვის? დროს დავაცალოთ ამის პასუხის მიცემა“.
7. ივარაუდეთ, შესაძლებელია თუ არა, რომ ერთი მიმდინარეობის მწერალმა მეორე მიმდინარეობიდან რაიმე შეხედულება გაიზიაროს? პასუხი დაასაბუთეთ.

ლიტერატურული ძიებანი

სიმბოლოთა ლექსიკონი

გთავაზობთ, შექმნათ სიმბოლოთა ლექსიკონი.

ამოწერეთ თითოეული სიმბოლო, შესაბამისი ციტატა ტექსტიდან და მიუწერეთ სათანადო მნიშვნელობა. შეგიძლიათ, ისარგებლოთ ცხრილით.

სიმბოლო	ციტატა ტექსტიდან	მნიშვნელობა

VI

სტანციაში შევიტყე, რომ მთებში დიდი დაბრკოლებაა ფოშტით მიმავალისათვის, რადგანაც სტანციებში ცხენები ხშირად თურმე აკლდებათ. მირჩიეს ფასანაურამდე ცხენი მექირავნა და ცხენ-და-ცხენ გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჭკვაში დამიჯდა. იმ ფიქრით მივეცი თავი ძილს, რომ ხვალე საჯდომს ცხენს ვიქირავებ და ისე გავივლი მთებსა. გათენდა. რა მშვენიერი რამა ხარ, დილის რიჟრაჟო! რა მშვენიერი რამა ხარ, დილის ცვრით პირდაბანილო ქვეყანავ! მე მგონია, რომ ამ დილას ყოველი ტკივილი ქვეყნისა უნდა დაყუჩებულიყოს, მაგრამ თერგი მაინც ჰბღავის და იბრძვის. სჩანს, ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია.

გათენდა და გაიხმაურა ქვეყანამ ადამიანის ხმითა. დღემ დაიწყო თავისი დაუდეგარი ფაცა-ფუცი. კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურობით გულ-აღტყინებულსა. ჩემო ლამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე,

ვეთაყვანები. გავედი სტანციის გარეთ და ერთ მოხევეს შევხვდი. ვიქირავე მისგან ცხენი იმ პირობით, რომ თვითონაც ცხენით გამომყოლოდა. ბოლოს არამც თუ ვინანე, დიდად კმაყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე მოეწყო. ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა. იგი იყო ჭაღარამორეული, ხანში შესული კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარეშემო ბედს შემოეხაზა და რომელიცა იმის უფერულის ცხოვრების მისაქცევ-მოსაქცევად დაენიშნა.

შევსხედით ცხენებზედ და წამოვედით სტეფანწმინდიდამ. უკანასკნელად შევხედე მყინვარს. იგი როგორღაც დიდკაცურად იბღვირებოდა თავის სიმაღლიდამ. ამან ამირია იმ დილით დამშვიდებული გონება. გულმა კვლავ ტოკვა დამიწყო და მკლავმა თრთოლა. სრულის მძულვარებით მოვაშორე თვალი მყინვარის დიდებულებასა და უფრო დიდის პატივით გამოვეთხოვე მის ფეხთა ქვეშე გაგიჟებით მავალს თერგსა.

ჩემი მოხევე სანახავად ღირსი იყო. იგი, თითონ ზორბად მოსული, იჯდა ერთს პატარა მთის ცხენზედ, რომელიც თითქმის მთელს გზას მგლურის ძუნძულით სასაცილოდ მოძუნძულებდა. ჩემს მოხევეს ჩამოეფხატა ბანჯგვლიანი ქუდი თვალებზედ და ისე გარინდებული იდვა განიერ უნაგირზედ გადაბოტებული, ისე არხეინად და გულაუმღვრევლად აყოლებდა თავის ახოვანს ტანს ცხენის ძუნძულს, ისეთის დამშვიდებით და განცხრომით აბოლებდა თავის ჩიბუხსა, რომ გეგონებოდათ – ამისთანა ქეიფში სხვა კაცი ძნელად თუ იქნება დედამიწის ზურგზედაო.

– რა გქვიან ძმობილო? – ვკითხე მე.

– ...ლელთ ღუნიას მიხმობენ, – მომიგო მან.

– სადაური ხარ?

– სადაველ? გაიბოტნიდამ, აქაივ მთაჩია, თერგ-კიდურზედ.

– ქართველი ხარ, თუ ოსი?

– ოვსი რაიდ ვიქნები?! ქართველ ვარნ, მახევე.

– კაი ადგილია ეს თქვენი ადგილი.

– არაა გონჯაი[1]: ჩვენს ბეჩაობას შეჰფერობს.

– ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწორედ ბედნიერებაა.

– ჰმ! – ჩაიცინა მოხევემ.

– რას იცინი?

– საცინალს ვიცინი. ცარიალ სტვამაქი[2] მაგნით ვერ გაძღების.

– აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს?!

– რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონჯაი, პატარ გვაქვნ: თვითვაულს კაცს ორ-ორ შაბადის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარნ.

– ეს დიდი გზა დიდ ხელს მოგცემთ.

– რაი ბედენაა გზაი? იგ მისთვის ვარგობს, ვისეც თვის ნაშვრელ-ნამუშევერ გასატან-გასასყიდ აქვნ.

– მაშ ქირაზედ არ დადიხართ?

– რაიდ არ დავდივართ? დავდივართ.

– მაშ ქირით ფულს იშოვნით.

– ვშაულაბთ. ჯიბეჩი არ რჩების: მთის კაცი მახევე სვამეხის[3] კერძია. ჭამადი-სმადი არაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანჩი მიდის.

– მაშ ისევ ბარი ჯობნებია: იქ ხალხი უფრო მაძღარია.

– ვინ უწყის? იქაითაც საჭირ-ბოროტოია დარჩენა. ადგილ ხაშმობს[4]. იქაველ კაცს ფერი არა აქვნ, ჯანი არა აქვნ. აქაველ ჯანმრთელნი არნ. ცარგვლის[5] გამჩენმა განაგო: იქაით მაძღრობა, აქაით სიმრთელე.

– რომელი ქვეყანა სჯობია, მაძღარი თუ მრთელი?

– ორივენ ერთადა. უერთ-ურთოდ ქვეყანაი გონჯაა.

– ორში რომ ერთი ამოგარჩევინონ?

– ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორღიან კლდეთ ვიჯობდი, ჯანმრთელია. ადამის ძეი ბალახითაც, გაჭირდის, გაძღების, სატკივარს რაი ეყვის?

ამ დროს ჩემს მოხევეს უეცრად თო-

---

[1] **გონჯაი** – ცუდი (ავტორის შენიშვნა).

[2] **სტვამაქი** – მუცელი.

[3] **სვამეხი** – სომეხი.

[4] **ადგილ ხაშმობს** – ჯანმრთელობისთვის მავნე ჰავაა.

[5] **ცარგვალი** – აქ: სამყარო, ქვეყნიერება.

კის უზანგი[1] ჩაუწყდა, თავი ვერ დაიმაგრა და ცხენს გვერდზედ მოექცა. მერე ისევ გასწორდა, ჩამოხტა ცხენიდამ და დაიწყო უზანგის გამართვა.

– საჭირბოროტოია შეკაზმულ ცხენ, – წამოიძახა ღიმით მოხევემ, – დაილოც შიშვალ ცხენ: ფეხ გადაწვდიდი და გადაჯდიდი.

მე აღარ მოვუცადე მოხევეს და წინ წავედი.

VII

– ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, – ვუთხარი მოხევეს, როცა მე დამეწია, – აი სტეფანწმინდის პირდაპირ რა მონასტერია?

– თერგ-გაღმით?

– დიაღ.

– გიწყალობნოსთ ცოცხალთა, შეგინდნოსთ მკვდართა, წმინდა სამების სახტარი არნ, უწინდალთ განძთა საფარი, ერთა საბჭო.

– როგორ თუ განძთა საფარი, ერთა საბჭო?

– ქართველთა მეფეთა განძი აქაიდ უფარვან მტრიანობას, მცხეთაიდ საუნჯეი საფარად აქ ზიდულა მრავალჯერ.

– საბჭო რაღა არის?

– საბჭოი? იქაიდ არნ სენაკ, სად სამართალი ბჭეთაგან იბჭოდის. რაიც მძიმა საქმე ხევჩი ავარდის, მუნ იბჭობიდნეს.

– ვერ მეტყვი, როგორ იყო ეგ ბჭობა და რაზედ უფრო მოხდებოდა ხოლმე?

– რაიდ ვერ გეტყვი? რაიც ვუწყი შეგასმენ. როდეს ასტყდის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე, დიდ-არჩევანი, ერობას იქაიდ გამართვინ, აირჩივინ ბჭედა ბრძენ-ბერ-კაცნი, პეიტრობით[2] სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სენაკჩი საბჭობად. რაიც მერედ სამების სახელით, ხთისგან[3] მათხავნილ მადლით იგნ ბჭენი ჰსთქმიან, გადაჰსჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გადავლიან.

– შენ მოსწრებიხარ მაგისთანა ბჭობას?

– რაიდ შევესწროდი? ადრინდალ თქმულობას გიზრახავნ.

– ეხლა რატომ აღარ არის ეგა?

– აწინა?

ჩაფიქრდა ჩემი მოხევე და პასუხი კი არ მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თვითონ მკითხა მე:

– შენ რაი მილეთის[4] ხარნ?

– ქართველი ვარ, განა ვერ შემატყე?

– რად შეგეტყვის? ტალავარ[5] არა გაქვნ ქართველთა: რუსად მორთულხარნ.

– განა კაცს ქართველობა მარტო ტანისამოსზედ შეეტყობა?

– თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

– ენა და საუბარი?

– ქართველთ ენად ბევრი საუბრობს: სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც.

– ტანისამოსს ქართვლისას კი ცოტანი იცმენ?

– ქართველის ტალავრის იერი[6] სრულად სხვაია. რუსულჩი ქართველ კაც მეუცხოების.

– ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

– მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაიხედნის? გული შიგნიდ არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

– თუმცა მე რუსული მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

– იქნების.

არ ვიცი, ჩემმა მოხევემ დამიჯერა, თუ არა, ეს კია, რომ ამის შემდეგ ამისთანა ბაასი გავაბით.

– წელანდელ სიტყვაზედ რომ პასუხი არ მომეცი, – დავიწყე კვლავ მე: – მე გკითხე, ეხლა რატომ აღარ ბჭობენ-მეთქი სამების სენაკში.

– აწინა?.. ერობა სადა არნ? რუსობაჩი ვარნ[7]. აწინა ყველაი გაცუდდის. ყველაი გაუქმდის. სამების ძირჩი სოფელ გერგეთ არნ. იქაველ კაცთ მეფეთა შეუთქვეს სახ-

---

[1] **უზანგი** – ცხენის აღკაზმულობის (უნაგირის) ნაწილი – მხედრის ფეხის შესადგმელი.

[2] **პეიტრობით** – მეტის გონებით სახელგანთქმული (ავტორის შენიშვნა).

[3] **ხთისგან** – ღვთისგან.

[4] **მილეთი** – ქვეყანა, მხარე, კუთხე.

[5] **ტალავარი** – ტანისამოსი (ავტორის შენიშვნა).

[6] **იერი** – შეხედულობა (ავტორის შენიშვნა).

[7] **რუსობაჩი ვარნ** – რუსობაში ვართ.

ტრის დარაჯობაი. მის სამაგიერ მეფეთა თარხნობა მიანიჭის[1] სრულ სოფელს, გუჯარიც[2] მაჰსცის საშვილი-შვილად. ყვაველ ღამ აწინაც გერგეთიდ სამ-სამ კაც დარაჯად იგზავნების. გერგეთელნ აწინაც სახტრის დარაჯობას თავ-დებულობენ, მაგრამად რუსობაჩი თარხნობა გაუცუდდის, მეფეთ გუჯარს რუსობამ ყური არ ათხოვის. გერგეთი აწინა სხვავითა[3] ბეგრობს. გაუქმდის ადრინდალ დაწყობაი, ხთის მათხავნილ მადლითი ბჭობაიც სამებაჩი გადავარდის.

– მაშ უწინდელი დაწყობა და დრო უკეთესი იყო?

– რაიდ არა?

– რით იყო უკეთესი?

– ადრიდა ავად თუ კარგად ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს, მით იყვის უკედ. ადრიდა ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟაი ვაჟაბდის, ქალაი ქალაბდის. ადრიდა?! ერთ-ურთს დავეყუდნით, ერთურთს ვიხვეწებდნით. ადრიდა?! ქვრივ-ობოლთ ვიფარევდით, შინ მიწრიელს[4], გარედ მავნეს დავულაგმნდით, ხთისა და ბატონის იასაულს მის ყუდროს არ მივკერძდნით, ერთ-ურთს ლაღ მტერთან ჩავეფარვიდნით, დაცემულ ვიურვებდნით. ატირდომილს ვიხოიშნიდნით[5] და ესრედ იყვის ბრალება კაცისა, ერთურთობა. აწინა ერობა დაიშალის, მეძავ-მრუშობაი ჩამოვარდნის, ხარბობაი, ანგარი გვერივნის, ერთსულობაი დავარდნის, მტრობა-ბძარვაი გახშირდნის. აწინა ქვრივ-ობოლ ვინ განიკითხის, ატირდომილ ვინ გააცინის, დაცემულ ვინ აღადგინის? აწინა არა არნ კაცნი და თუ არნ – პირად და გულად ჯუღურ[6] არნ. ერი დავარდნილ, გალახულ არნ, ვრდომილ-კრთომილ. წარხდა ქართველთა სახელი, ქართველთა წესთ-წყობაი. ადრიდა ჩვენობა იყვის. წარხდა, მოისრნა ქვეყანაი, რაია აწინა ჩვენი დარჩენა? ჭამად-სმად სასყიდვალ, ტყეი სასყიდვალ, გზაი სასყიდვალ, ლოცვა-კურთხევაი სასყიდვალ, სამართალ სასყიდვალ, რაიდ დარჩების ბეჩავი მახევე?..

– ეხლა რომ მშვიდობიანობა არის?

– რაის ვაქნევ ცარიალ მშვიდაბას ცარიალ სტვამაქით. რაი არნ მშვიდაბა? უხმარ სატევარს ჟანგი დაედვის, უსრბოლო წყალჩი ბაყაყნი, ჭია-ჭუაი, ქვემძრომი გამრავლდის. უდეგარ, უსვენარ თერგჩი კი კალმახი იცის! რაი არნ მშვიდაბა ცოცხალ კაცთათვის? რაი არნ მტერობა, თუ ერი ერობს? ცარიალ მშვიდაბა მიწაჩიც გვეყოფის.

– მტერი რომ დაგეცემოდათ, აგიკლებდათ და ცოლ-შვილს გიწიოკებდათ ხოლმე?

– აწინა მავალე სვამეხი უფროს გვაწიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს. ადრიდა მტერს მაინც ფარ-ხრმალით შევეთამაშით, ვიგერიებდით, სვამეხს რაი ეყვის, ვერ მოსაგერიებელ, ვერ შესათამაშებელ? ადრიდა მტერთან ბრძოლაჩი, სწორების ჯობინობაჩი, სახელ ვშოობდით, სვამეხთან ვაჟაი[7] რაი სახელ ჩამორჩების? ადრიდა, მართალ ხარნ, მტერ იყვის, ერთგულთა ვაჟათა ჩუქებაც დიდიყვის: ადგილ-მამულ ებოძვის, თარხნობაი მიეწყვებოდის. აგერნა თერგ-კიდურზედ ხელთ-უქმნი ციხეი ჩნდების. იგ ციხეი არშისა ციხედა ცნობილ არნ.

– როგორ ხელთ-უქმნი?

– ხთით არნ ციხედა, არ შეუვალ, არ შეულეწ.

– მერე რა უნდა გეთქვა?

– იქაიდ ადრიდა კახთ-ლაშქარ მისევოდის. ელაშქრნათ, იგ ციხე ხელთ ეპყროთ. ხევსა შეძრწუნებულს ბატონთან შველაი ეზრახნა. მან შველა ვერ მასცის. შაწუხდის უშველი ერი. კახთა ვაჟანი ხევისანი მრავალნი მახოცნეს, მავიდნენ ციხეჩი, ალამნი დასცის. ერთი ყაფილა პეიტარ-ბერ-კაცი, მახევე. ქალაი ჰყოლია უთხოვარ, მზედუნახველ, მან, მახევემ, გაისაურნა[8] კახთ-

---

[1] **თარხნობა მიანიჭის** – გაათავისუფლეს.

[2] **გუჯარი** – წერილობითი საბუთი, მეფის ან მემამულის მიერ გაცემული სიგელი.

[3] **სხვავითა** – სხვასავით.

[4] **მიწრიელ** – ეშმაკი (ავტორის შენიშვნა).

[5] **ატირდომილს ვიხოიშნიდნით** – ატირებულს ვიბრალებდით.

[6] **ჯუღურ** – უშნო, შეუხედავი.

[7] **ვაჟაი** – კაცი.

[8] **გაისაურნა** – გაისაზრა, მოიფიქრა (ავტორის შენიშვნა).

ლაშქრის დათრობად. მაზიდნა ღვინოი, შაგზავნა ციხეჩი. თვისა ქალსა მზედუნახველს მაღვინობა შეუთქვნა, უანდერძნა. კახთა, ღვინოის მწყურვალთა, ლამაზ-ქალაის მზირალთა, თავი იღორნეს, სრულ ითვრნენ ღვინოით. ქალაიმ განახვნის ციხის კარნი, მახევეთ ამცნის მოღორნა კახთ-ლაშქრის. მოვეს მოხევენი, შავეს უგებრად ციხეჩი. დაჰსცის კიჟინა, კახნი სრულ მთვრალნი მახოცნის. ხელთ იგდის მახევეთ კვლავადა ციხე. არაგვთ ერისთავს იგ ამცნეს. მან მაჰსცა წყალობად იმ ქალაის მამას იგ ციხე, გუჯარიც მაჰსცა....

– ეგ რა ვაჟკაცობა ყოფილა?

– რაიდ არა? ჭკუიანი ვაჟ-კაცობაი ეგე არნ: სად ღონეი ვერ ღონობს, იქაიდ ხერხს ემუდვნის[1].

– მაგ კახელების ამოხოცვის ამბით რა უნდა გეთქვას?

– აწინა ყოველნი ქართველნ ძმანები ვარნ. არ მტრობით ვისაუბრე კახთათვის. იგ უნდა შემესმინა, რომ ადრიდა სამსახურს თავ-ვიდევდით, საჩუქარიც, ბოძებაც დიდიყვის; სახელით, ვაჟკაცობით სარჩოსაბადებელთ მაშოვერ ვიყვენით, კაცი უბრალად არ წარხდის.

VIII

მართალია თუ არა ჩემი მოხევე, მე მაგის გასინჯვაში არ შევალ, ან რა ჩემი საქმეა ეგა? მე გაკვრით, როგორც მგზავრი, ვიხსენიებ მას, რაც მისგან გამიგონია. ჩემი ცდა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე ჩემი განზრახვაც შემისრულებია.

ჩემმა მოხევემ მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულისტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი, ჩემო მოხევე, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლეტი. „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო“ – სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რაღაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდამ გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დაიმარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი!..

ჩვენ და ტექსტი

1. რატომ მიიჩნევს მგზავრი, რომ „ქვეყნის ტკივილი დაუყუჩავია“, ამ აზრს რაიმე ლოგიკური დასაბუთება ახლავს, თუ ეს, უბრალოდ, პერსონაჟის წინათგრძნობაა? ვინ ადასტურებს მგზავრის ამ შეგრძნებას?
2. საქართველოს მიწა-წყალზე შეხვედრილი პირველივე ქართველი თავისუფლების წყურვილით აღბეჭდილი ტრაგიკული პერსონაჟია. დაახასიათეთ მოხევე ლელთ ღუნია და იმსჯელეთ, საიდან მოდის ამ პერსონაჟის ტრაგიზმი;
3. როგორ საუბრობს ლელთ ღუნია წარსულზე? გაიხსენეთ რომანტიკოსთა დამოკიდებულება წარსულთან. იმსჯელეთ, რაში ჰგავს ამ გმირის პოზიცია რომანტიკოსთა ხედვას და რით განსხვავდება მისგან? ლელთ ღუნია სწორხაზოვნად რეალისტური სახეა თუ მაინც დაჰკრავს რომანტიკული ელფერი?

[1] **ხერხს ემუდვნის** – ხერხს მიმართავს.

4. იმსჯელეთ, რამდენად ეხმიანება ლელთ ღუნიას შეხედულებები თავისუფლებაზე რუსული იმპერიის ხელშეწყობით გავრცელებულ „მშვიდობის“ იდეას. რას უწოდებს ლელთ ღუნია „ცარიალ მშვიდაბას“ და რატომ მიიჩნევს, რომ უწინდელი დრო სჯობდა?
5. რას თვლის ლელთ ღუნია ქართველი ერის მთავარ ფუნქციად, მისი სიტყვებით, რა დაკარგა და რა შეიძინა ქართველმა ერმა?
6. თქვენი აზრით, რა არის მოხევის მთავარი სათქმელი?
7. იმსჯელეთ, რა არის ამ ნაწარმოების მთავარი თემა და იდეა? რას უკავშირდება ტექსტის ეს კომპოზიციური მახასიათებლები მოხევე ლელთ ღუნიას სათქმელთან?
8. რაში ემთხვევა ლელთ ღუნიასა და მწერლის პოზიცია;
9. რა არის ნაწარმოების მთავარი კითხვა? ეს კითხვა რიტორიკულია, თუ ავტორი მაინც მოელის პასუხს?
10. რა ადგილი უჭირავს ტექსტში მწერლისეულ რემარკებს? როგორ გადმოგვცემს ავტორი საკუთარ პოზიციას?

პარალელები

ლიტერატურათმცოდნეები ლიტერატურულ პარალელებზე საუბრისას აღნიშნავენ, რომ რუსულ ლიტერატურაში გვხვდება ილია ჭავჭავაძის მიერ დახატული რუსი ოფიცრის მონათესავე სახეები.

1. მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინის (1826-1889)„ერთი ქალაქის ისტორიაში“ ქალაქი გლუპოვო (საბრიყვეთი) რუსული ბიუროკრატიული სახელმწიფოს განსახიერებაა, სადაც ხალხის ბედი უგუნური და თავნება, ახირებული ჩინოვნიკების ხელშია. ეს ჩინოვნიკები ცივილიზაციის დამკვიდრებას ცდილობენ, მაგალითად, მდოგვის დანერგვით, კულტივირებით. მაგრამ ხალხი მდოგვს – ცივილიზაციის დიდ მონაპოვარს – არ აფასებს, მის ჭამაზე უარს ამბობს და ამ ხალხის ცივილიზაციასთან საზიარებლად მკაცრი ეგზეკუციის – სადამსჯელო დარბევის ჩატარება ხდება აუცილებელი.

2. ნიკოლაი ლესკოვის (1831-1895) მოთხრობაში „ცაცია“ რუსი ოსტატები ტექნიკური გამომგონებლობით განთქმულ ინგლისელებს ეჯიბრებიან და შეძლებენ კიდეც მათ ჯობნას – რწყილისთვის ნალის დაჭედებას მოახერხებენ. შემოქმედებითი ფანტაზიის და მარჯვე ოსტატობის ამ გასაოცარ პროდუქტს – დაჭედილ რწყილს – ერთი ნაკლი აქვს: გაურკვეველია, რისთვის არის იგი საჭირო, რაში შეიძლება მისი პრაქტიკული გამოყენება.

- იმსჯელეთ, რა ამსგავსებს ერთმანეთთან სალტიკოვ-შჩედრინისეულ ჩინოვნიკთა და ილიასეული რუსი ოფიცრის წარმოდგენებს ცივილიზაციაზე. შეადარეთ ლესკოვის მოთხრობაში აღწერილი გამოგონება რუსი ოფიცრის გამომგონებლურ ცდებს.

1. მინიდისკუსია – „მგზავრის წერილები“ ილიას საპროგრამო ნაწარმოები

„მგზავრის წერილებს“ილიას საპროგრამო ნაწარმოებს უწოდებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მასში უნდა ჩანდეს მწერლის შემოქმედებითი მრწამსი, მისი ყველაზე ფუნდამენტური შეხედულებანი. ლიტერატურათმცოდნეები მიიჩნევენ, რომ ამ ნაწარმოებში გამოვლინდა ილიას როგორც ესთეტიკური, ისე საზოგადოებრივი პოზიცია, მისი უმთავრესი შეხედულებანი.

იმსჯელეთ:

ა) რა იყო ილიას შემოქმედების ძირითადი მახასიათებელი, მისი მწერლური მრწამსის განმსაზღვრელი;

ბ) რა ეროვნული პროგრამა გამოჩნდა „მგზავრის წერილებში“;

დისკუსიის დროს შეავსეთ სქემა:

ილიას შემოქმედებითი მრწამსი, უმთავრესი ესთეტიკური თავისებურებანი	ილიას ეროვნული მრწამსი, „მოძრაობისა“ და „გამოღვიძების“ მისეული კონცეფცია

2. მინიდისკუსია – მგზავრის წერილების ჟანრის შესახებ

მოგზაურობის ფორმატის გამოყენება სიუჟეტის გაშლისათვის ლიტერატურაში ძველი და ნაცადი ხერხია („ოდისევსის მოგზაურობა“), თუმცა ეს ჟანრი განსაკუთრებით პოპულარული გახდა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე.განსაკუთრებით გავრცელებულია მხატვრულ-დოკუმენტურ პროზაში. იწერებოდა:

- ✓ მოგზაურების დღიურები;
- ✓ მოგზაურის წერილები;
- ✓ მოგზაურის ჩანაწერები;
- ✓ მოგზაურის სიმღერები;
- ✓ მოგზაურების ნაამბობები და ა. შ.

იმსჯელეთ, რამ განაპირობა ამ ჟანრის ასეთი პოპულარობა, რა სათქმელს გამოხატავდნენ ამ ფორმით და რატომ იყო ეს ჟანრი ყველაზე მოხერხებული აღნიშნული სათქმელის გადმოსაცემად?

3. მინიდისკუსია – ისევ სიმბოლოები

დღე და ღამე

- ბუნების რა კანონზომიერებაზე ლაპარაკობს ავტორი აღტაცებით? როგორი ცხოვრების განმასახიერებელია დღე, რომელიც იზიდავს ავტორს? რა აქვთ საერთო დღეს და თერგს? რატომ უჩნდება ავტორს ღამით სამყაროს სიცარიელის განცდა?
- ილიას აზრით, როგორ დათრგუნა ღამემ ადამიანის გონება? რატომ იქცა ღამე გონების სიბნელის, უმეცრების სიმბოლოდ?
- ვისთვის არის ხელსაყრელი გონების სიბნელე, ადამიანთა უმეცრება, რომელსაც ღამე განასახიერებს და რატომ? როგორ დაუკავშირებდით ამას საქართველოს მდგომარეობას?
- რა საერთო აქვს ღამეს „მამულის კვამლთან“?
- რის სიმბოლოდ წარმოდგება დღე ღამესთან შეპირისპირებით?

ოსტატობის სკოლა

ქვემოთ შემოთავაზებული ორი დავალებიდან შეასრულეთ ერთ-ერთი.

1. პერსონაჟის დახასიათება

ამ ნაწარმოებს სულ რამდენიმე პერსონაჟი ჰყავს, თუმცა ისინი მარტო პერსონაჟები არ არიან. როგორც ცნობილია, ეს პერსონაჟები ერთგვარი სახე-იდეებია და ყოველი მათგანი რაღაც იდეას გამოხატავს. შეარჩიეთ ერთ-ერთი მათგანი და დაწერეთ მისი დახასიათება.

2. არგუმენტირებული ესე – „ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“

დაწერეთ არგუმენტირებული ესე **„ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“,** რომელშიც დაასაბუთებთ ერის თავისუფლებისა და ერთიანობის აუცილებლობას ლელთ ღუნიას საუბრის მაგალითზე.

ილია აცნობიერებს, რომ ერს ქმნის და სიცოცხლეს უნარჩუნებს არა მარტო საერთო **წარსულის ხსოვნა,** არამედ კიდევ უფრო მეტად **ფიქრი საერთო მომავალზე.** XIX საუკუნის ფრანგი მწერლის, ერნესტ რენანის, აზრით, ადამიანებს ერად კრავს მომავალში არსებობის ერთად გაგრძელების ნება-სურვილი, თანხმობა საერთო მომავალზე, სამომავლო მოქმედების ერთიანი პროგრამა.

- ესეში იმსჯელეთ, როგორ არის გამოხატული „მგზავრის წერილებში“ ფიქრი ერის გამთლიანებაზე მომავალში განსახორციელებელი ერთი იდეით. იმსჯელეთ, ამთლიანებს თუ არა თანამედროვე ქართულ საზოგადოებას თანხმობა საერთო მომავალზე.

ჩვენ და ტექსტი

1. თქვენ ნახეთ, რომ ილია ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს ფაქტებს, მოვლენებს. თქვენი აზრით, რა ფუნქცია ენიჭება ამას ნაწარმოებში?
2. რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე დაპირისპირების ხერხით მოვლენების წარმოდგენა?
3. თქვენ თუ გამოგიყენებიათ ასეთი ხერხი მსჯელობისას: ერთი მოვლენის უკეთ გამოსაკვეთად მისი დაპირისპირება სხვა მოვლენასთან?

კონტრასტი და მისი ფუნქცია

კონტრასტი ფრანგული ენიდან მომდინარე სიტყვაა და აღნიშნავს მკვეთრად გამოხატულ სხვაობას, დაპირისპირებულობას.

კონტრასტის ხერხს ხშირად მიმართავენ მხატვრულ თუ არამხატვრულ ნაწარმოებებში, რათა მკითხველმა უფრო მკვეთრად აღიქვას მოვლენები, ფაქტები, ხასიათები. კონტრასტულად შეიძლება დაპირისპირებული იყოს სიტყვები და ფრაზები, ფაქტები და მოვლენები, პერსონაჟები. კონტრასტის ეს სახეობები გამოყენებულია ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილებში“.

4. დაფიქრებულხართ იმაზე, როგორ აისახება ავტორის პიროვნება მხატვრულ ნაწარმოებში? იმსჯელეთ ამ საკითხზე.
5. თუ მხატვრული ნაწარმოები რაიმე სიუჟეტს, ამბავს მოგვითხრობს, თქვენი აზრით, სად ჩანს მასში ავტორის პოზიცია, ხედვა, მისი პიროვნება?

საუბრები ლიტერატურაზე

თაობათა დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ლიტერატურაში

XIX საუკუნის 60–70-იან წლებში ილია ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეებმა მკაფიოდ გამოხატეს მოწინავე ევროპული იდეალებზე სწორების, ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული კულტურის განახლების სურვილი. ახალი თაობის ეს მისწრაფება უფროსი თაობის წარმომადგენელთა მხრიდან მძაფრ წინააღმდეგობას წააწყდა.

ამ დაპირისპირებას „მამათა და შვილთა ბრძოლა“ უწოდეს. „თერგდალეულებს მიაჩნდათ, რომ აუცილებელი იყო ქართული ლიტერატურული ენის განახლება, მოდერნიზება (თანამედროვეობასთან მისადაგება). ეს მოითხოვდა ენის გათავისუფლებას მოძველებული, დრომოჭმული ფორმებისგან, ყალბი მაღალფარდოვნებისგან, რომელიც თავისი ბუნდოვანებით მკაფიო და კრიტიკული აზროვნების განვითარებას ხელს უშლიდა (ეს პოზიცია მწვავედ გამოიხატა ილიას წერილში – „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“). მართლაც, თერგდალეულებმა, უპირველესად ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერთელმა, ხალხის ცოცხალ მეტყველებაზე დააფუძნეს ლიტერატურული ენა, რაც კანონზომიერად იყო დაკავშირებული ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის დამკვიდრებასთან.

თაობათა კონფლიქტში მათი ურთიერთშეუთავსებელი ფასეულობათა სისტემები გამოვლინდა. ახალი თაობა „მამებს“ ბრალად სდებდა კონფორმიზმს – შემგუებლობას: რუსეთის კოლონიური ხელისუფლების სამსახურში ყოფნას; „მამებს“ ბრალად დაედოთ აგრეთვე ქრისტიანული რელიგიისადმი ყალბი, ფარისევლური დამოკიდებულება: რუსეთის ანტიდემოკრატიული რეჟიმი, რომელთანაც „მამები“ თანამშრომლობდნენ, რელიგიას თავისი ბატონობის განსამტკიცებლად და კოლონიზატორული პოლიტიკის გასატარებლად იყენებდა; თავის მხრივ უფროსი თაობა უნდობლად ეკიდებოდა ახალი თაობის ლიბერალურ განწყობას – ადამიანის ყოველმხრივი თავისუფლების პრინციპის განხორციელებისკენ სწრაფვას და ამ სწრაფვის გულწრფელობაშიც ეჭვი შეჰქონდა; ახალი თაობის მიერ პროგრესის მამოძრავებელ ძალად გონების, მეცნიერების აღიარებაში „მამები“ უღმერთობას, ათეიზმს ხედავდნენ...

გრიგოლ ორბელიანის და ილია ჭავჭავაძის პოეტური პოლემიკა „მამათა და შვილთა ბრძოლის“ ყველაზე დასამახსოვრებელი გამოხატულებაა.

ლიტერატურული ძიებანი

ქვემოთ მოცემულია მოვლენათა განვითარების მცირე ქრონიკა, რომლის მიხედვითაც უნდა აღადგინოთ XIX საუკუნის 60–70-იან წლების მნიშვნელოვანი ისტორიულ-ლიტერატურული მოვლენა – „მამათა და შვილთა თაობების დაპირისპირების დეტალები“.

მოვლენათა ქრონიკა

1861 წელს ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა წერილი; „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა“, რომელშიც იგი დაუპირისპირდა წინა თაობის პოზიციას, როგორც ესთეტიკურ ასევე ეროვნულ საკითხებზე.

ილია ჭავჭავაძე

ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმნაზედა

...გვიკვირს, კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია!
...რომ არა გვყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჭავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი კიდევ ჰო, რომ გვყვანან რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას? დაუდევნელები ვართ ქართველები და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს, თუ ჩვენ საუბედუროდ არ გავსწორდებით როდისმე...

...ჩვენ ყველანი ქართულ ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთი ერთის ცოდვებისა არ იქნება მომატებული. მაშ როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწიოს და დაგვანახოს... აბა ის იქნება ნამდვილი და საქებარი მამულის მოყვარე ...

... სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა პაპათგან: მამაული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ უპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენკი მშობელ მამასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას; ენა სამღთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.
... ჩვენ ჩვენის ენის დამცირებამ დაგვაწერინა ეს სტატია თორემ ჩვენ ვინა და კალამი ვინა?

1860 წელი

თაობათა დაპირისპირების ახალი ტალღა. 1871 წელი.

1871 წელს საქართველოში ჩამოვიდა იმპერატორი ალექსანდრე II. ამასთან დაკავშირებით ქართველმა თავად-აზნაურობამ სპეციალურად მოიწვია ყრილობა, რომელზეც ახალი თაობის („თერგდალეულთა“) ზეგავლენით მიიღეს გადაწყვეტილება-იმპერატორისათვის საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა ეთხოვათ, თუმცა ბოლო მომენტში მეფისნაცვლისა და თავადაზნაურთა ერთი ნაწილის ზეგავლენით იმპერატორისადმი თხოვნის პროექტი შეიცვალა და უნივერსიტეტის ნაცვლად ალექსანდრე II-ს თბილისში კადეტთა კორპუსის გახსნა სთხოვეს, რასაც ილია ჭავჭავაძემ სატირული „გამოცანებით“ უპასუხა. ტექსტი ხელნაწერის სახით გავრცელდა და „მამათა“ თაობაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია.

„გამოცანებში“ იგულისხმებოდნენ ქართველი თავადაზნაურების წარჩინებული წარმომადგენლები. მათ შორის განსაკუთრებული სიმპათია იგრძნობოდა გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილ „გამოცანაში“. თუმცა ილიას სატირულ დამოკიდებულებას ვერც მამათა თაობის ეს გამორჩეული წარმომადგენელი გადაურჩა. მისი გამოცანაც ჩვეული ფრაზით მთავრდებოდა:

მოხუცია იგი ჯმუხი,
პირად ბადრი, ტანდაბალი,
საქმით წმინდა, გულმხურვალე,
სიტყვატკბილი, ჭკვამაღალი.
ძველთაგანა ეგღა დარჩა
გრძნობით სავსე, გონიერი,
მაგრამ გაუბედავია,
თუმცა უყვარს თვისი ერი.
ის ძველის და ახლის შუა
შემაერთავი ხიდია,
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა
ზოგჯერ ფეხებზედ ჰკიდია.

წაკითხვამდე

გამოთქვით ვარაუდი, რას უსაყვედურებდა მამათა თაობის სახელით გრიგოლ ორბელიანი „შვილებს“.

„პასუხი შვილთა“

ჰე, განუსჯელნო,
უმადლო შვილნო,
საუბედუროდ ცუდ დროს შობილნო,
სადღაც მიმალვით,
რას ჰროტავთ, ჰკნავით,
გაბოროტებით რათა ჰსწყევთ მამათ?
უკადრისობით
და უმეცრებით
ვერ დააბნელებთ მათ სახსენებელს,
მხოლოდ თქვენ სიტყვებთ
თქვენვე ინანებთ,
თქვენსვე გულს უკბენს უსამართლობა!
დრო მამებისა,
მამაცობისა,
წარვიდა მათთა სახელთა ქებით,
მამანი თქვენნი,
თავის დროს ძენი,
თავის დროს იყვნენ სახელოვანნი!
ოსმალ-სპარსები,
დაღისტნის მთები,
ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეთ!
მათ დაიფარეს,
სისხლით დაიცვეს
სისხლ-შემოსილი მამული თვისი,
და სასო ღვთისა,
მცველი ერისა,
ენა, საყდარი, სარწმუნოება!..
დრო შეიცვალა,
გამეფდა სწავლა,
გაგეღოთ შვილებს სახლი სიბრძნისა!
სწავლის მამები,
პროფესორები,
თქვენთვის მოცლილნი, თქვენთვის მქადაგნი,
თქვენ გასწავებდენ
და მზად გაძლევდენ
რაც შეეძინათ საუკუნოებს!..
ჩვენც ვჰნუგეშობდით,
გულით ვჰხარობდით,
შვილი მამასა ემჯობინება!
და მოგელოდით
დიდის იმედით
სიხარულისა ღელვით აღვსილნი!
ვითმინოთ, მოვლენ,
და გაგვინათენ
ჰსწავლისა ლამპრით დავრდომილს მხარეს!
ჩვენც მივეგებოთ
მხიარულებით,
ღირსთა შვილებთა კურთხევის სიტყვით!..

*

მოვიდენ... და რა?
სულ ჩაგვამწარა...
ვაი ჩვენს იმედს... ვაი თქვენს მოსვლას!..
პირველად იწყეს,
შკოლა გამართეს...
ვსთქვით ახლა მხარე გაგვინათლდება!..
ყმანი საწყალნი,
უბიწო გულნი,
ჰსწავლად მისულნი, წაჰხდნენ ზნეობით!..
უსასოება,
ურწმუნოება,
უმანკოთ გულში ღრმად ჩაუნერგეს;
„– ლოცვა რათ გვინდა?
ღმერთი რათ გვინდა?
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!“
და დაიწყევლა
თქვენი აქ მოსვლა,
და თქვენი სიბრძნის ნაყოფი შხამი!
ღმერთი არ არის?..
შენთვის ნუ არის!
შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?

*

სხვათა ხელი ჰყვეს
კეთილსა საქმეს:
სტამბით მოჰფინონ სწავლა მამულსა!..
აღჩნდნენ მწერლები,
ჟურნალისტები,
ვაი საბრალოს... ვაი ჩვენს ენას!..
მათ უსწავლელთა,
ცრუ რუსთაველთა,

სრულ წაგვიბილწეს ენა მდიდარი,
ენა მაღალი,
მის ძალი, მადლი,
უწყალოდ წახდა უწმინდურთ ხელში!..
ერის ცხოვრება,
მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით;
რა ენა წახდეს,
ერიც დაეცეს...
წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!..

*

ახლა რას ელით?
მამათ რად ჰსწყევლით?
ვიგემეთ თქვენის ღვაწლის ნაყოფი!
ძველთ უძველესი
არს ესე წესი,
რაც ვერ ჰქმნეს მამათ, ისი ჰქმნან შვილთა!
შვილნო, გამოჩნდით,
ჰსწავლითა, საქმით!
მამის გალანძღვა შვილს ვერ ადიდებს!
ცუდმეტყველებით
ვერ ამაღლდებით,
დიდებას ეძებთ? კეთილი ჰქმენით!
თქვენი დიდება
ჩვენც გვეამება:
მის სხივის შუქი ჩვენც მოგვინათებს!..
აჰა დიდების
და სახელ-ქების
ასპარეზია თქვენთვის დაცლილი!..
რაღასა ელით?
რატომ გვირგვინით
არ შეიმოსვის ვინცა გყავთ ღირსი?..
რომ ბრძოლის ცეცხლი
ასტყდეს ფიცხელი,
ხმლისა ტრიალით, ძლევის ყიჟინით,
იმ თქვენმა გმირმა,
სულით ძლიერმა,
ხელს ბაირაღით ძირს დასცეს ყარსი!
რომ მისმა ხმამა,
ქუხილის მსგავსმა,
შეჰსძრას ქვეყანა მის აღსადგენად?..
ვაი საბრალოს,
ჩვენს საქართველოს,
თქვენ დაებადეთ მის სადიდებლად!..

*

ან სად არიან?
აღარ ისმიან
თავისუფლების მაღალფრაზები:
„მოყვასს – შეწევნა,
ბოროტსა – დევნა,
საზოგადობის სულით აღდგენა!..
ერთობა, ძმობა,
ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!..“
სიტყვა – სიტყვაა,
საქმე კი – სხვაა...
ოქროს ჯაჭვი სჯობს თავისუფლებას!..

*

გონების ბრწყინვას,
ჰაზრების ელვას,
წმინდისა გულით კეთილის თესვას,
ნეტავი მიხვდეთ,
ნეტავი მისწვდეთ,
მაღალსა ცაში შავარდნის ფრენას!..
და გულით ოჰხრავს
ის, ვინცა ჰხედავს
თქვენსა სიცოცხლეს ფუჭად მიმავალს...
თქვენსა უქმობას,
არარაობას,
და უმეცრების ამაყობასა!..

*

ჰე, სასურველო
გმირთა მამულო,
ნუთუ შენ მართლად ესრედ დამცირდი,
რომ შენსა ბედსა,
შენსა იმედსა,
დაეხელმწიფნენ ცრუპოეტები?
ცრულიბერალნი,
პატრიოტები,
მესხი[1], მეველე[2], მელიქაღები[3].

გრიგოლ ორბელიანი

---

[1] იგულისხმება **სერგეი მესხი** (1845–1883), ჟურნალისტი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე; 1869–83 წლებში გაზეთ „დროების“ რედაქტორი.

[2] **მეველე** – დავით მიქელაძის (1843–1918), ლიტერატორის, პუბლიცისტის, საზოგადო მოღვაწის ფსევდონიმი.

[3] **მელიქ-აღა** – XIX საუკუნის მოღვაწის იოსებ მელიქიშვილის ფსევდონიმი.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ მიმართავს დასაწყისში გრიგოლ ორბელიანი „შვილების“ თაობას?“ თქვენი აზრით, რითაა განპირობებული ამგვარი ინტონაცია?
2. როგორ ახასიათებს გრიგოლ ორბელიანი მამების თაობას, რა მიაჩნია მას უფროსი თაობის მთავარ დამსახურებად?
3. „ოსმალ-სპარსები, დაღისტნის მთები, ქებით გეტყვიან დიდთა მათ საქმეს“, – წერს მამათა თაობაზე გრიგოლ ორბელიანი. რას ხედავდა შვილების თაობა „მამათა“ საამაყო მხედრული წარსულის მიღმა?
4. ამოკრიბეთ ლექსიდან ადგილები, რომლებშიც „მამათა“ თაობის იდეალებია გადმოცემული; ავტორის აზრით, მნიშვნელოვანია თუ არა ეს ფასეულობები „შვილებისათვის“?
5. ამოკრიბეთ ტექსტიდან ადგილები, რომლებშიც „შვილების“ თაობის იდეალებია გადმოცემული. რატომ მიაჩნია ავტორს ისინი ცრუ ღირებულებებად?
6. როგორ ფიქრობთ, სწორად აფასებდა გრიგოლ ორბელიანი შვილების თაობას? რატომ ფიქრობთ ასე? თქვენ როგორ გგონიათ, იმ სიტუაციაში რომელი თაობის შეხედულებები იყო უფრო სწორი და ქვეყნისთვის სასარგებლო?

წაკითხვამდე

ივარაუდეთ, რას უპასუხებდა „შვილების“ თაობა „მამებს“.

„პასუხის პასუხი“

I

ჩვენ უჩინონი,
ჩვენ უჩინონი
თქვენ, ჩინიანთა, ბუზად გგონივართ...
იქიდამ ვკნავით,
სად თქვენის მადლით
ხაფანგებ ქვეშე დამწყვდეული ვართ.
ჩვენ ვვლეთ რუსეთი,
მაგრამ არც ერთი
ხელობა თქვენი არ გვისწავლია;
ჩვენი ქვეყანა,
მკვდარი თქვენგანა,
თქვენებრ ჩინებზედ არ გაგვიცვლია.
ლიბერალობა,
პატრიოტობა
სალანძღავ სიტყვად არ გაგვიხდია;
თქვენგან ჩაგრული,
დაბრმავებული,
ერი ჯვრებზედ არ გაგვიყიდია.
ქვეყნისა ბედი
და ხსნის იმედი
თქვენებრ ხელში მჩვრად არ გაგვხდომია;
კაცის მხნეობა,
კაცის ზნეობა
თქვენებრ ჩინებით არ გვიზომია.
სარწმუნოება
და სათნოება
ფარისევლობად არ შეგვიქმნია,
თქვენი სლოკინი,
ხელთა ფოტინი
ღვთისადმი ლოცვად არ მიგვაჩნია.
როს მოვედით ჩვენ,
მსწრაფლ გიცანით თქვენ,
შორს დავიჭირეთ თქვენი ანბანი:
რად ჰკვირობთ მასა,
რომ თქვენს ანბანსა
ვერ შეაჩვივეთ ვერვინ ჩვენგანი.

II

მითამ რად გიკვირთ,
რომ მაღლა ვყვირით
მილიონებზედ და სხვაზედ არა!
თქვე ყოვლად ბრმანო!
თვით ოკეანო

ერთად თავმოყრილ წვეთით შემდგარა.
მაშ რაღადა გვგმობთ,
ოდეს ჩვენ ვცდილობთ
ერთმანეთობით მილიონრობას?
თქვე ნაცარმქექნო
და გულნამცეცნო,
აქაც ძირს უთხრით ღარიბთ ერთობას.
ვართ უღონონი,
უგზო-უკვლონი
მით, რომ თქვენ ჰყრიხართ უქმად
ჩვენშია,
ჩვენ მოკუნტულნი,
თქვენ გაბღინძულნი,
ვერა ვთავსდებით ერთმანეთშია.

III

იმით თამამობთ,
რომ ბეზღით გვწამობთ
ურჯულოებას, ღვთის უარყოფას?
ღმერთი არმობის,
ღმერთი ყალბობის
არ ურწმენია ჩვენსა თაობას;
ღმერთი მზაკვრობის
და თვალთმაქცობის,
ღმერთი უქმობის უარუყვია,
ღმერთი ხარბობის
და მძარცველობის
თქვენთა მზგავსთათვის მას დაუთმია.

ხოლო გვწამს ღმერთი –
უქმთა წარმწყმედი,
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა
მხსნელი,
ღმერთი ტანჯულთა,
ღმერთი ჩაგრულთა,
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი;
ყოველთა ძმობის,
თანასწორობის
მოძღვრობისათვის ქვეყნად
ჯვარცმული,
ძლიერთ დამბმელი,
უძლურთ ამხსნელი,
თქვენგვარ კაცთაგან
გმობილ-დევნული;
ორგულობისა,
ორპირობისა
ძირსა დამცემი და დამთრგუნველი,
ფარისეველთა,
სადუკეველთა
გამაკიცხველი და გამდევნელი.
მან კუბოს მორთულს,
შიგ სიმყრალით სრულს,
თქვენებრი კაცი არ დაადარა?!
ზაკვით სავსენო,
ავმორწმუნენო,
ის თქვენ სიტყვით გწამთ და საქმით არა.

IV

„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის“ –
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა,
მაგრამა გმობა,
ენისა მტრობა
ბრალად ვის დავდვათ-ჩვენა თუ
თქვენა?
ეხლა რომ ბღავით,
თქვენ არ იყავით
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,
როცა თქვენ ჰგმობდით
ენას და ხალხსაც გარედ თუ შინა.
ის არ ხართ თქვენა,
რომ ღვიძლი ენა
ბრძანებით დაჰსთმეთ
აღმოსაკვეთად?!
შიშით არც კარში
და აღარც სახლში
მას აღარ ხმარობთ თქვენდა
სარცხვენად.
„ენა მაღალი,
მის სიღრმე, ძალი“,
ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა;
პირველ თქვენგანმა,
იმა ბედშავმა,
მას მკვდრის სუდარი გადააფარა.

V

ენა მდიდარი,
თქვენს ხელში მკვდარი,
ჩვენ მიგვიღია გასაცოცხლებლად,
და ამასაც თქვენ
ცოდვად გვითვლით ჩვენ,
რაღა პირითა დახვალთ ამ ქვეყნად!
თქვენგან გმობილი,

თქვენგნით ლტოლვილი
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევიფარეთ;
კარგად თუ ავად,
ჩვენ მას ვინახავთ
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.
გვიან თუ მალე,
დღესა თუ ხვალე,
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,
მაგრამ კი თქვენი
მრუდე საქმენი
ისევ ისევე მრუდედ დარჩება.

VI

„უგზოდ მვლელნოო,
უსწავლელნოო“,
ასეთმა ფურმა უნდა დაგვწიხლოს,
რომ ჩვენზედ ბევრსა
თვით იწველდესა,
– ვაი თქვენს ხელში ჩვენს
საქართველოს!
ვინა ყრიხართო,
ვირები ხართო, –
მაგ თქვენს ზრდილობას ვით ეკადრება?
მაგრამ შოთამ ჰსთქვა, –
რაც კოკაში ჰსდგა,
იგივე თურმე წარმოსდინდება.

ილია ჭავჭავაძე

ჩვენ და ტექსტი

1. მამები შვილებს „თერგდალეულობასა“ და არასაკმარის პატრიოტიზმში სდებდნენ ბრალს. როგორ ესმით შვილებს სამშობლო ქვეყნის ერთგულება? რას უწოდებენ ისინი „ჩინებზედ“ გაცვლილ სამშობლოსა და „ჯვრებზე გაყიდულ“ ერს?
2. როგორ ესმით შვილებს ლიბერალიზმი და პატრიოტიზმი? მათი აზრით, რატომ აქცია მამათა თაობამ ეს სიტყვები სალანძღავად?
3. როგორ დამოკიდებულებას იჩენს „შვილების“ თაობა სარწმუნოებისადმი? რა მიაჩნიათ მათ ფარისევლობად და თვალთმაქცობად?
4. არსებობს საკითხი, რაზეც ორივე თაობა თანხმდება:
„მტერობა ენის
არს მტრობა ქვეყნის“ –
მაგ აზრისა ვართ თანახმა ჩვენა“...
თუმცა სწორედ ენის მტრობაში ადანაშაულებს ორივე მხარე ერთმანეთს. იმსჯელეთ, როგორ ასაბუთებენ ისინი საკუთარ პოზიციას? თქვენ ვის მხარეს გგონიათ სიმართლე და რატომ?
5. მოძებნეთ ლექსში ეპითეტები, შედარებები, მეტაფორები და ირონია. ისაუბრეთ, როგორ გამოკვეთს ტროპის სახეები მთავარ სათქმელს;
6. ამ პოლემიკაში ისეთი პრობლემა თუ ჩანს, რომელიც დღესაც აქტუალურია. იმსჯელეთ, როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ლიტერატურიდან მიღებული გამოცდილება რეალურ ცხოვრებაში?

მინიდისკუსია – „თაობათა დაპირისპირების მარადიული საიდუმლო“

„მამათა და შვილთა“ დაპირისპირებისას, ერთი შეხედვით, ძალთა გადანაწილება არათანაბარია. მამათა ბანაკში არიან საზოგადოებისათვის ცნობილი პირები, გამოკვეთილი ბიოგრაფიის მქონე საზოგადო მოღვაწეები, შვილების ბანაკში კი იმხანად საზოგადოებისათვის უცნობი ახალგაზრდები, ცხოვრების გზის დასაწყისში მყოფი მაძიებელი ახალი თაობა:

დაფიქრდით,

- რა იწვევს თაობათა დაპირისპირებას, რა ზოგადი კანონზომიერება ჩანს ისტორიული ფაქტებისა და კონკრეტული მიზეზების მიღმა;
- რატომ უპირისპირდება ცხოვრების გზის დასაწყისში მყოფი ჯერ კიდევ სუსტი ახალი თაობა ძლიერ და გავლენიან „მამათა“ თაობას?
- რაში მდგომარეობს თაობათა დაპირისპირების „მარადიული საიდუმლო“ ? რომელი ბანაკი იმარჯვებს ხოლმე ამგვარ დაპირისპირებაში და რატომ?

ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით[1],
ლამაზ ფალნით[2]
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი,
ქვემძრომელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი[3],
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული[4],
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცუღლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი,
უზღუდონი[5],
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მგმობი,
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

ჩვენ და ტექსტი

ბედნიერი ერი

კითხვები მსჯელობისთვის თემაზე

მონობას შეჩვეული ხალხი

1. რა აერთიანებს ამ მხატვრულ დეტალებს: „ლამაზ ფალნით“, „ნახედნი“, „ღონიერი“, „პირს ლაგამი ზომიერი“? რა მეტაფორულ სახეს ქმნიან ეს დეტალები?
2. რატომ არის უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ეს თავისთავად დადებითი ეპითეტები: „უწყინარი“, „მადლიერი“, „უშფოთველი“, „წესიერი“, „რიგიანი“, „ჭკვადამჯდარი“?

[1] **ყალანი** – ბეგარა, გადასახადი.

[2] **ფალანი** – პალანი, ვირის ან აქლემის კურტანი; აქედან: საპალნე.

[3] **უნჯი** – განძი, საუნჯე; აქ: ირონიულად: ყველა განძიაო.

[4] **თვალაბმული** – თვალახვეული.

[5] **უზღუდონი** – თავაშვებულნი, თავაწყვეტილნი.

3. რომელი უარყოფითი ეპითეტებია თავისი მნიშვნელობით ახლოს ამ დადებით ეპითეტებთან?
4. ვისთან დამოკიდებულებაში ამჟღავნებენ ქართველები თითქოსდა დადებით თვისებებს?
5. როგორი ხალხის პორტრეტი იხატება ზემოთ ჩამოთვლილი ეპითეტებით?
6. რომელი უარყოფითი ეპითეტები ხდის საეჭვოს, მოჩვენებითს დადებითი ეპითეტებით გამოხატულ თვისებებს – გულისხმიერებას, გულჩვილობას, ღმობიერებას?
7. რას აღნიშნავს ეპითეტი „მუნჯი“? „თვალაბმული“ და „ყრუ“?
8. რას გამოხატავს ეპითეტი „მტვერწაყრილი“?
9. როგორ გესმით „უზღუდონი“?
10. როგორ ახსნით, რომ ერი ერთდროულად არის „ქედდრეკილი“, „წესიერიც“ და „უდიერი“, „უზღუდოც“? ვისთან დამოკიდებულებაში ავლენენ ქართველები „უდიერობას“ და „უზღუდობას“?
11. როგორ გესმით გამოთქმა: „გარეთ მხდალი, შინ – ძლიერი“? ქართველების რომელი დახასიათება ეხმიანება ამ გამოთქმას?
12. რომელი ეპითეტებით გამოხატული თვისებები განაპირობებს იმას უშუალოდ, რომ ქართველები „არ რის მქონე“ ერია?
13. იმსჯელეთ, ლექსის სათაურზე; თქვენი აზრით, რატომ ჰქვია ამ ლექსს „ბედნიერი ერი“, რის თქმა უნდოდა ილიას ამით?

ილიას მიერ გამოკვეთილი მანკიერი თვისებები დაყავით რამდენიმე შინაარსობრივ ჯგუფად და თითოეულს მოუძებნეთ შესაფერისი სახელი.

ზეპირმეტყველების გაკვეთილები

(საკითხები ზეპირი მსჯელობისთვის)

დააკავშირეთ ერთმანეთთან „ბედნიერი ერი“ და ლელთ ღუნიას მსჯელობა „მგზავრის წერილებში“.

როგორ ეხმიანება „ბედნიერი ერი“ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“?

პარალელები

კრიტიკულმა რეალიზმმა საზოგადოების მანკიერ თვისებებზე გაამახვილა ყურადღება. ამის შემდეგ მსგავსი მოტივები არაერთ ნაწარმოებში გამოჩნდა. გთავაზობთ **მურმან ლებანიძის** იუმორესკას, რომელშიც უკვე ილიას შემდგომი საზოგადოებაა დახატული.

იმ პერიოდში ქართველთა გმირულ წარსულზე ლაპარაკი და გაერთიანებისკენ მოწოდება თავშეყრის ადგილებში ცოტა საშიში იყო, რადგან ამას „სათანადო ორგანოები“ ყურადღებას აქცევდნენ და შეიძლებოდა ადამიანს უსიამოვნება შეხვედროდა.

დააკვირდით, როგორი რიხით იწყებს ლექსის გმირი და შეადარეთ, როგორ ამთავრებს.

ქართველები
(იუმორესკა)

ხმამ, მსუყემ და ჯანიერმა,
მატარებელი შეჰყარა:
– „ქართველები?!
რაც ხალხი ვართ,
იცის, ძამა, ქვეყანამ!

ორი კაცი სუფრას შეიქმს,
სამი კაცი –
ქეიფს!

ოთხი კაცი – არიფიონს,
ხუთი –
პარტიას!
ექვსი კაცი მანიფესტს ვწერთ,
შვიდი –
ქარტიას!

ჩვენ – რომ ასი კაცი ვიყოთ,
ჩვენ რომ –
ერთი პირი გვქონდეს,
არ გვცალოდეს საქილიკოდ,
თან –
ბილიკიც ბილიკობდეს,

მაშინ, მაშინ...“
– „რაი მაშინ?!“
– „რა და... ეუჰ, გიჟია!
მომაშორეთ აი ბავშვი,
ჩვენია თუ ალიფაშის,
თუ კაცი ხარ, ვისია?!
ჩემს თავს ველაპარაკები,
ჩემთვის ვყვები, ბიძია!“

ჩვენ და ტექსტი

იმსჯელეთ, როგორ „იხასიათებს თავს“ ამ ლექსის გმირი? რა არღვევს მის ბაქიბუქს? რამდენად გამბედავი აღმოჩნდება ქართველების ყოვლისშემძლეობაზე რიხით მოსაუბრე პირი? რისი ეშინია მას?

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

გთავაზობთ ამ ლექსის სხვადასხვა ვერსიას, კერძოდ, აუდიოვერსიასა და ანიმაციას. გაეცანით მათ.

1. ბედნიერი ერი, აუდიოვერსია

https://9nes.short.gy/ePFfVA

https://9nes.short.gy/8vtWrU

იმსჯელეთ,

- თქვენ რომელი უფრო მოგეწონათ და რატომ?
- რა მსგავსი მანკიერი თვისებებით ხასიათდება ილიას დროინდელი და თანამედროვე ქართული საზოგადოება და სად ჩანს ეს – აუდიოვერსიაში თუ ანიმაციაში?

მოამზადეთ ლექსის თქვენეული ვიდეოვერსია და მოაწყვეთ კლასში მისი პრეზენტაცია.

წაკითხვამდე

1. ამ ნაწარმოებს ყველანი მანამდე ვიცნობდით, სანამ მის შესწავლას დავიწყებდით, ზოგს ადრევე გვქონდა წაკითხული, ზოგს ფილმი გვქონდა ნანახი, ზოგს სპექტაკლი... ისაუბრეთ, რა იცით მის შესახებ?
2. დავფიქრდეთ სათაურზე.

რატომ უნდა შეერჩია ავტორს ეს სათაური? განა ყოველი კაცი ადამიანს არ ნიშნავს? ძველ ლიტერატურაში ხომ კაცსა და ადამიანს შორის ტოლობის ნიშანი იყო.

გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან“ ეპიზოდი, როცა შეშინებული ასმათი ავთანდილს შეუპყრია და მის დამშვიდებას ცდილობს, რადგან ასმათმა არ იცის, ეს უცხო არსება სულიერია თუ ეშმაკეული. ავთანდილი მას დამშვიდებას სთხოვს და ეხვეწება:

„ეტყოდა, სულე, რამც გიყავ, კაცი ვარ, ადამიანი“...

„ვეფხისტყაოსნის“ ტრადიციით, კაცობა ადამიანობასაც ნიშნავდა... დროთა ცვალებადობასთან ერთად სიტყვის გაგებაც შეიცვალა...კაცობა და ადამიანობა ერთმანეთს დაშორდა და ილიასავე სიტყვით რომ ვთქვათ, **ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ“.**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, იფიქრეთ

- რა კითხვას სვამს ილია სათაურში?
- რატომ გაიყო კაცობისა და ადამიანობის გაგება, რატომაა საჭირო დამატებით სიტყვა კაცური? ამის გათვალისწინებით, რას გვეუბნება სათაური?
- სავარაუდოდ, როგორ კაცსა თუ ადამიანს შევხვდებით ტექსტში?

ლიტერატურული ძიებანი

როგორ იწყებოდა „კაცია-ადამიანი“? (ვარიანტებში გაცხადებული სათქმელი)

„კაცია-ადამიანის?“ ერთ-ერთი ვარიანტი ასე იწყებოდა:

„სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე გუდა-ნაბადი და შევუდეგი მგზავრობასა.

ამბობენ, მგზავრობა გონებას უხსნისო. ერთს კარგად მოზდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ-წავაწყდი. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოშხივარი ამოდიოდა: კაცს სული შეუგუბდებოდა...

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილნი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა „ჰსჯობს, იქმნების რაცა ძვირად“...

– ამ წუმპეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადამიანებსა, ვიღაცამ წამჩურჩულა და ზედ დაატანა: ახლო არ მიხვიდეო, თუ შენი თავის სიფაქიზე გინდა, თორემ ის ორფეხა ცხოველები ზედ შემოგასხმენ ტალახსა.

არამც თუ ახლო არ მივედი, შიგ იმ გუბეში შესვლაც კი მოვიწადინე. მე იქ საქმე მქონდა. მინდოდა შემეტყო: ეს გუბე, თუ ცხოვრება, რა თვისებისაა? მინდოდა მეცნო, როგორ და რა ფრად ალპობს იგი ცხოველსა, მცენარესა, – ერთის სიტყვით – ყველაფერს...

ამ განძრახვით შიგ შევტოპე. პირველშივე საფლობი ლექი დამხვდა...

შორს ველარ გავბედე გუბეში შესვლა. რაც აქამდინ ვნახე, ხომ გითხარ, მკითხველო! ისიც ხომ გითხარ, რომ ქართველები ამ გუბეს სამასხაროდ „ცხოვრებას“ეძახიან.

რამდენი დამიწყებს ლანძღვას!... რამდენი იმ წუმპიდამ შემომასხამს აყროლებულს წყალსა!... მე ეგ წინადვე ვიცი, რასაკვირველია, ვისაც თავის-თავი იმ წუმპეში ეგულება, ის გამიგულიანდება, ვისაც არა – ის ხომ ჩემკენ იქნება. ვაი, რომ ეს უკანასკნელნი ძალიან ცოტანი არიან...

ხელცარიელი კი არ მინდოდა რომ გამოვბრუნებულვიყავი. ვჰსთქვი: ერთი ორიოდე ქვეშემძრომი მაინც დავიჭირო, თუნდა წურბელა იყოს, რომ წუმპეში სიარულმა ტყუილად არ ჩამიაროს. ამ განძრახვით დავიწყე ნადირობა და ერთს ასეთს ტახს წავავლე ხელი, რომ უკეთესი აღარ უნდოდა. წავავლე მაშინვე ყურზედ ხელი და „ვაი-ვაის“ ძახილით და „მეტკინას“ ძახილით გამოვათრივე ნაპირზედ.

– ვინა ხარ? – ვკითხე მე – რა სულიერი ხარ?

– კაცი ვარ, ადამიანი, – მომიგო იმან.

– რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

– თავი არ მამიკვდება! კაცი ვარ, ადამის ტომისა, ყმისა და მამულის პატრონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

– თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან და ჭიაყელებთან რა გინდა?

– ბიჭოს!... მაშ სად უნდა ვიყო?

– კაცებთან, თუ კაცი ხარ.

– კაცები არ არიან, რომ იქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზედ მეტიც. ბრმა ყოფილხარ.

– ეგ ჯერ ვინ იცის, მე ვარ ბრმა, თუ შენა. შენ ერთი ეს მითხარ, მაგ გუბეში არიან ისინიცა?

– გუბეში რას ჰქვიან, გიჟი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა.

– ზედაც გეტყობა.

– როგორც სხვას ეტყობა ზედა, ისეც მე.

– მართლა?

– თავი არ მამიკვდება.

– მაშ კი ნიმუში ხარ შენ, ჩემო ლუარსაბ, თუ ეგრეა.

– კარგი ნუ მასხარაობ, მამა ნუ წაგიწყდება! თავი დამანებე, სინათლეზედ ნუ გამომიყვანე.

– კიდეც იმიტომ მინდა ქვეყანას დაგანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომელსაც შენ სამასხაროდ ცხოვრება დაგირქმევია: იქნება შეგრცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო.

– რაღა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა.

– აბა, უფრო მაგისათვის წაგავლე, რომ შენ ათასსა ჰგევხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია. აქედ მობძანდი, აქედ, შენ ძვირფასი მარგალიტი ხარ. წავავლე ყურზედ ხელი და გამოვსწიე. ლუარსაბი უგემურად დაიღმიჭა ამ ჩემი ნაზის ალერსისაგან და დამიყვირა:

– რომ მიგყევარ, სად მიგყევარ?

– მოთხრობაში, ჩემო კარგო!

– მოთხრობა რა არი?

– პატარა ტილოა, ზედ ადამიანებსა ხატავენ.

– არ მინდა, არ მინდა! – დაიღრიალა საშინელის ხმით ლუარსაბმა: – ძმანო და ნათესავნო, მიშველეთ!

ლუარსაბის ღრიალზედ გამოცვივდა გუბიდამ ადამიანების ხროვა და ერთის ხმით დამიჭყივლეს:

– შენ ეი! რა გინდა მაგისაგან? გაუშვი ეგ ჩვენი ძმაკაცი, არავინ არ შეასწროს თვალი, თორემ არ ვიცით რასა გიქთ.

– თქვენ რა, რომ ეს დაინახოს ვინმემ, აბა თქვენ რა?...

– როგორ თუ ჩვენ რა? ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ყველამ იცის, რომ დაბადების დღითვე ეგ ჩვენთან იყო დაბმული, ვინც მაგასა ნახავს – მითამ ჩვენც უნახივართ. ყველა იტყვის, ვისთან ეს ყოფილა – ყველა ამისთანა იქნებაო. ეს ჩვენ არ გვინდა, გესმის თუ არა?

– კარგად შემატყობინეთ, არ მესმის.

– აი ღმერთმა ნუ გაგაგონოს! როგორ არ გესმის? ჩვენი ლაფი მაგას აცხია და მაგისი ჩვენა, გაიგე? რომ მიგყავს, სად მიგყავს? მაგის შერცხვენა ჩვენი შერცხვენაა. ამოდენა ხანია ვიმალებით ამ ოხერს ადგილას და ჩვენის სახელისათვის გუბიდამ თავი ვერ ამოგვიყვია, უცხომ არ დაგვძრახოსო, დღეს კი შენ მოსულხარ, ქვეყანას უნდა გაჩვენოთო. სადაურია?

– მეც ეგ მიხარიან, რომ თქვენ ესა გგავთ და მას თქვენა. იმისთვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიმუშია.

– ფიე! თავი დაანებე, ქრისტიანულად გეუბნებით, თორემ კიჟინას დაგცემთ.

– რაც გინდა ჰქენით: ძაღლიცა ჰყეფს, მაგრამ ქარავანი კი მიდის ხოლმე.

– ლაფს გესვრით.

– რამდენიც გინდათ.

დამიშინეს საშინელი ლაფის სეტყვა და თან დამყვიროდნენ: გიჟია, გიჟია! მაგრამ არც ერთხელ მე არ მამხვედრია, სულ საწყალს ლუარსაბსა ხვდებოდა...

ვინც ლუარსაბის სახეში თავის თავს იცნობს, იმან ოღონდ კი გამოაჩინოს, რომ მე მგავსო, და დაე თუნდ საფლავის კარამდინ ასორსლოს გუნდებად ლაფი და „გიჟი“ ეძახოს ამ მოთხრობის დამწერსა.

ჩვენ და ტექსტი

- როგორ არის დახატული ცხოვრება შესავლის ამ ვარიანტში? როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია რეალისტი ავტორის ამდაგვარი დამოკიდებულება ცხოვრებასთან?
- ცხოვრება არც რომანტიკოსებს მოსწონთ, ამიტომაც გაურბიან მას და თავს მეორე სინამდვილეს აფარებენ. დაფიქრდით, თუ ცხოვრებასთან ორივე მიმდინარეობის დამოკიდებულება უარყოფითია, მაშ, რა განასხვავებს ერთმანეთისგან მათ პოზიციებს?
- რატომ, რა პრინციპით შეირჩა ცხოვრებიდან სამზეოზე გამოსაყვანი პირი? რატომ ნიშნავდა ამ ერთი პირის გამოჩინება მთელი ჭაობის ბინადართა გამომზეურებას?
- რომანტიზმში ადამიანი ერთადერთია, ინდივიდუალური, მარტოსული... „მერანის“ ლირიკულ გმირზე ვერ იტყვი, რომ მის გარშემო მყოფნი მას ჰგვანან... პირიქით, იგი ერთადერთია... ადამიანის რა ახალი გაგება მოიტანა რეალიზმმა?
- წინასიტყვაობის ამ ვარიანტის გათვალისწინებით გამოთქვით ვარაუდი, როგორი იქნება მოთხრობის მთავარი გმირი? დანარჩენები? როგორი იქნება „ჭაობიდან“ შექმნილი სურათი?

კაცია-ადამიანი?!

„მოყვარეს პირში უძრახე,
მტერს პირს უკანაო“.
გონიერი ანდაზა

რიტორიკაში[1] სწერია: ყველაფერი შესავალით უნდა დაიწყოს კაცმაო. ჭეშმარიტია.

ჩვენც ისე დავიწყოთ.

ვინც ლუარსაბის სახეში თავისთავს იცნობს, ვინც ლუარსაბზედ დაწერილს თავის-თავზედ მიიღებს, ის, რასაკვირველია, ლაფის სროლას დამიწყებს და „გიჟიას“ დაუძახებს ამ მოთხრობის უხეირო დამწერსა. ეს კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედა ვწერთ.

სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა:

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი, სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ. ისიც ვიცი, რაცა გქვიან: შენ ხალხის გენიას გეძახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ. შენ და მხოლოდ შენ უკეთებ გულს იმას, ვისაც „სხვისთვის“ გული სტკივა. მაშინაც კი უკეთებ, როცა თვით ის „სხვანივე“ თავიანთ გულშემატკივარს ცოდვად უთვლიან გულის-ტკივილსა. რა ვუყოთ? ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს

– ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს.

კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი. წარმოიდგინეთ შუა კახეთის პატარა სოფელში ერთი ტრიალი, დაცემული ადგილი და იმ ადგილის შუაგულსა – ორსართულიანი სახლი ქვითკირისა. აი, ის სართულები რა ფერისა იყო: ქვეშ იყო მარანი, წალმით დახურული, და იმ მარნის უკანა კედელზედ ამოყვანილი გახლდათ ერთი პატარა ოთახი მოაჯირითურთ. მოაჯირს ეკრა ზედ მერცხლის ბუდესავით ერთი მცირედი ფიცრული, რომელიც საქვეშაგებოსა ჰთამაშობდა. კარგა მანძილზედ კიდევ ფიცრულის სათორნეც იდგა, იმას აქედამ ხულა, რომელსაც ზედ ჰქონდა მოდგმული ცალთვალა სასიმინდე, ერთი უბადრუკი რამ და მგლოვიარე. ბაღჩაც იყო, ღობით გავლილი. ღობესთან, ერთის ფურცლის ხის სიახლოვეს, მოჩანდა ძველი ჩალური, დროთა ბრუნვისაგან ისე გვერდზედ წამოღებული და წამოხრილი, თითქო გრილოში წამოწოლას აპირებსო, მაგრამ ბებერსავით ნეკრესის ქარის ტკივილებს უეცრად ისე წამოხრილი და დაღრეჯილი შეუკავებიათო. ეზო ამ ციხე-დარბაზისა, სიგრძეზედ თუ სიგანეზედ, კარგა ფართოდ იყო გაზიდული. იმას ერტყა გარშემო ძველი ტყრუშული[2] ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ეხლანდელს პატრონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ გაეკეთებინა. ეტყობა, რომ ქართველია!..

ღობე ერთგან თავდებოდა უშველებელის ჭიის-კარებითა, რომლის ერთი ნახევარი, – თუნდ ორი წელიწადია, – ისე საცოდავად დაღრეჯით გადმოჰკიდებოდა ერთს ყუნწსა, ასე გგონია – ბოძს დაუჭერია საცემლადაო და ის კი იწევსო, რომ როგორმე ხელიდამ დაუსხლტესო. ჭიისკარიდამ იწყება კალო[3], დიაღ მოზრდილი. მისი ბუჩო[4] ერთ მხრივ მთელ კალოს სამხრეთის ნაპირზედ გორასავით გაწოლილი იყო, ასე რომ იმი-

[1] **რიტორიკა** – მეცნიერება ორატორული ხელოვნების შესახებ.

[2] **ტყრუშული** – მსხვილი წნელის ორმხრივ წნული ღობე.

[3] **კალო** – მოსუფთავებული და დატკეპნილი მომრგვალო ადგილი, სადაც პურეულის ძნას ლეწავდნენ.

[4] **ბუჩო** – ჩალის, ბზისა და მისთ. გროვა.

სი ბოლო ზედ საბძელთან[1] დააწყდებოდა. საბძელი იყო სასაცილო, ისე სულელურად ჩაფიქრებული და გვერდაწეული მარტო ფრთამოტეხილი ბატი თუ მინახავს.

ჩემს პატარა ბიჭობაში ბევრი კარგი ნახულა ამ ბუჩოზედა: აქ ხშირად უქეიფნიათ გრძნობის აღმტაცის ხრუტუნით ნებიერს ღორებსა; თავის ფაფუკის დინგით ბევრჯერ უთხრიათ ეს სურნელი ბუჩო, ისე გულმოდგინებით, ისეთის სინაზით, ასე გგონია – მართლა და ღორები იყვნენ. მერე იმათი ოხუნჯობა! იმათი ალერსი! ოჰ, ეს კი აუწერელია. რაღაც კმაყოფილებით გატაცებულთა, იმ ღორებს ერთმანეთისათვის ბევრჯერ წაუთავაზებიათ დინგი. რა ყვირილი და ჭყივილი ასტყდებოდა ხოლმე! ეგრე ჩვენი გლეხკაცი საალერსოდ წაუთავაზებს ხოლმე ქისტსა[2] ახალ მოყვანილ პატარძალსა. ვიღაცამა სთქვა: „ქართული სიყვარული ლანძღვააო“, მეც ვიტყვი: ქისტი კიდევ საოხუნჯო ალერსია. ადმინისტრაციაში[3] მაგას კიდევ სხვა მნიშვნელობა აქვს: იქ ქისტი შემამცნებელი საბუთია. ეგ ჩვენი საქმე არ არის.

შიგ თითონ ეზო ისე უწმინდური იყო, როგორც ძველი ჩინოვნიკის გული. დიდი საქმე იყო, პატრონამდინ ისე მიგეღწიათ, რომ ან არ გასვრილიყავით, ან კიდევ ერთი ამბრის[4] სურნელება თან არ აგეყოლიათ. ეს გარეგანი, – ეხლა, ბატონებო, შიგ სახლში ვეწვიოთ თავადს თათქარიძესა.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ, თუ ვეწვევით, ფრთხილად უნდა ვიყვნეთ. იატაკი აგურისა არის. ეგ არაფერი. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნულან; იმათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩავარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი. თუმცა, მართალია, სახლის პატრონი ბევრს ბოდიშს მოიხდის, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რომ ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს მოგრეხილს კისერსა, – და არც მოტეხილ ფეხისათვის არის უებარი წამალი. ამ ხიფათს შეიძლება კაცი გადურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოებზედ მინის მაგიერად მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს. აი, ამაზედ არის ნათქვამი: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. მოგონებაში ქართველ კაცს პირველი ევროპიელი მეჭორეც არა სჯობია.

ბევრჯერ მინახავს სხვაგანაც მაგისთანა ფანჯრის სასაცილო სამკაული. ბევრჯერ მინახავს ის გაქონილი ფანჯრის ქაღალდი ნემსით დაჩხვლეტილიცა: ხან გულია გამოყვანილი, ხან ჯვარია, ხან კიდევ დაწერილია რამე, თუნდ ამისთანა რამ: „დათვი ხეზედ როგორ გავა, იავ-ნანინაო!..“ ეს კი ქალის საქმე უნდა იყოს. თუნდ მართლადაც ესე იყოს, რა დასაძრახისია? მოსწყენია დავითნის კითხვა, გულზედ რაღაცა სევდა მოსწოლია, – და გონების გასართავად და უგემურ დღის დასალევად მიმჯდარა ფანჯარასთან, ამოუძვრია გულის ქინძისთავი და მიუყვია ხელი ამ მართლა-და გონებაგასართველ საქმისათვის. უსაქმო ყოფილა და საქმე გაუჩენია ამ ანდაზის ძალით: „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“.

იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირდაპირ. ასეთი ფაქიზი ქეჩა და ხალიჩა ეშალა ზედა, რომ, როცა კნეინა ადგებოდა, ყოველ მის ბრწყინვალების ბრწყინვალე ფეხის ბრწყინვალე გადადგმაზედ ისე ლამაზად აბოლდებოდა ხოლმე, რომ კაცი ყურებით ვერ გაძღებოდა. ამ ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოჩანდა, კბილებჩაცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ:

---

[1] **საბძელი** – წნული ან ფიცრული ნაგებობა, სადაც ინახავდნენ საქონლის საკვებს.

[2] **ქისტი** – მუშტი, მჯიღი.

[3] **ადმინისტრაცია** – აღმასრულებელი ხელისუფლების, მმართველობის ორგანოები.

[4] **ამბრი** – სურნელოვანი ნივთიერება.

ტალახიანი ყარაბაღული[1] თეთრი წაღები[2], პირმოტეხილი სპილენძის თუნგი[3], ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი[4], ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი.

II

არ გეგონოთ, მკითხველნო, რომ ეს სახლი ეკუთვნოდეს ერთს ვისმეს ღარიბსა და მის-გამო იყოს ეგრე გულშეუტკივრად თავმინებებული, – არა, ამის პატრონს ჰყავს ოცი კარგად გაკეთებული კომლი[5] კაცი, ასე რომ ათ ურმამდინ საბეგრო ებმებოდა, ცხვარი ბლომად და ასიოდეც ცხენი, რომელიც ყმაზედ ნაკლები არ არის განათლებულ მებატონისათვის. ეს სულიერი ქონება. ეხლა უსულო ჩამოვთვალოთ: ორი მოზრდილი ვენახი და ას-ორმოც-და-ათი დღის სახნავ-სათესი. ეს ქონება, ყმებიდგან დაწყებული ცხენამდინა და მიწამდინა, იმის ხელში, – ვინც გამოყენება იცის, – კაი ლუკმა არის. მაშ რაღად სდგას ეგრე ცუდად? მკითხავს გაკვირვებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართველია, – მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით.

დიაღ, ამ მშვენიერ სახლში ქართველი კაცი იდგა. აქ სცხოვრებდა ტკბილად და აუმღვრევლად ორმოცის წლის კაცი თავადი ლუარსაბ თათქარიძე, თავის განუშორებელ მეუღლითურთ, რომელსაც ერქვა კნეინა დარეჯანი.

თავადი ლუარსაბ თათქარიძე გახლდათ კარგად ჩასუქებული ძველი ქართველი, მრგვალი – უკაცრავოდ არ ვიყო ამ სიტყვაზედ – როგორც კარგი ნასუქი კურატი[6]. დარბაისელის კაცის შეხედულება ჰქონდა მის ბრწყინვალებასა: თავი ისეთი მსხვილი, რომ თითქო იმის სიმძიმეს მორგვივით სქელი კისერი მხრებში ჩაუძვრენიაო; წითელი, თურაშაულ ვაშლსავით ხაშხაში[7] ლოყები; სამკეცად ჩამოსული ტრფიალების აღმგზნები ფაფუკი ღაბაბი; დიდრონი თვალები, ყოველთვის დასისხლებულნი, თითქო ყელში თოკი წაუჭერიათო! გაბერილი, მეტად გონიერად გადმოგდებული, დიაღ პატივსაცემი და პატივცემული ღიპი, კოტიტა და ქონით გატენილი ბალნიანი ხელები, დამორილი სხვილი ფეხები – ესე ყოველი ერთად და თვითოეული ცალკე გახლდათ თავად ლუარსაბის „ცით მონაბერის სულის“ ღირსეული სამკაული. ის „მონაბერი სული“ არსად არა სჩანდა, თითქო ჩამკვდარაო, ისე გაშლილიყო მის ბრწყინვალების ქონშია. ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; ის „მონაბერი სული“ ქარად ხომ არ მიიღო ჩვენმა თავადმა?

სწავლა, ღვთის მადლით, არაფრისა არა ჰქონდა. რომ ჰქონოდა, ეგრე მსუქანიც აღარ იქნებოდა. ხშირია ხოლმე, რომ, როცა სული ჭლექდება – ხორცის დღეობა მაშინ არის, როცა სული ჰყვავის – ხორცი დნება. ამიტომაც ჭლექები[8] ჭკვიანები არიანო, ამბობენ ხოლმე. ჩვენი ლუარსაბი, მგონი, თითონაც ბევრს არ იცემდა თავში, – რატომ სწავლა არა მაქვსო, – სწორედ ამის გამო.

– ეგ ეხლანდელი ჭირიაო, – იტყოდა ხოლმე გულმტკივნეულად, თითქო ქვეყანა ამ ჭირისაგან ებრალებაო.

მართალიც ბრძანდებოდა მისი ბრწყინვალება: მისის აზრით კაცი ძირგავარდნილი ქვევრი იყო, რომელსაც დღე-ყოველ უნდა ჩააყარო ხორაგი და ჩაასხა სასმელი, მაგრამ კიდევ მაინც ვერ აავსო. მისი ბრწყინვალება თავის თავზედ ჰხედავდა თავის ბრწყინვალე გონიერებით, რომ ამ მნიშვნელობას კაცი უსწავლელადაც კარგად ასრულებს, ნამეტნავად ჯოგის და ყმის პატრონი, ყმისა – რომელსაც ჯოგში დიდი განსხვავება არა აქვს.

---

[1] **ყარაბაღული** – ყარაბაღიდან (მთიანი ყარაბაღი, მდებ. აზერბაიჯანში) მომდინარე.

[2] **წაღები** – ქუსლიანი, მაღალყელიანი ჩექმები.

[3] **თუნგი** – სპილენძის ვიწროყელიანი ჭურჭელი.

[4] **მყრალა-ბალახი** – სურო.

[5] **კარგად გაკეთებული კომლი** – შეძლებული კომლი, ოჯახი.

[6] **კურატი** – გაუხედნელი, დაუკოდავი ხარი.

[7] **ხაშხაში** – ღაჟღაჟა.

[8] **ჭლექები** – აქ: ჭლექიანები; ჭლექით, ტუბერკულიოზით დაავადებულები.

– დრო გამოიცვალა, – იტყოდა ხოლმე აღმოოხვრით ლუარსაბი, – დრო გამოიცვალა. რაც ეს რაღაც ეშმაკური სკოლები შემოიღეს, ბატონო, ქართველ კაცის ხეირი მაშინ წავიდა. ფერი კი აღარ შერჩათ ჩვენს შვილებსა და!.. ჭამით ისინი ვერა სჭამენ, სმით ისინი ვეღარა სმენ, რა კაცები არიან?! წიგნი იციან? მე თუ წიგნი არ ვიცი, კაცი აღარ ვარ, ქუდი არა მხურავს, განა! ხორცი მე არ მაკლია და ფერი. წიგნი რა ვაჟკაცის ხელობაა, – ეგ ხომ ქალის საქმეა. ვენაცვალე უწინდელ დროს! ყველაფერი მაშინ თავის დონეზედ იყო მოყვანილი, ყველა თავის ქერქში იყო. ვენაცვალე!.. კაი ცხენი, კაი თოფი, მარჯვე მკლავი და კაცი იყავ პატიოსანი.

ეჰ, ჩემო ლუარსაბ! ვიცი, გულწრფელი კი ხარ, როგორც ყველა ძველი ქართველი, მაგრამ ძველს დროს ტყუილად შეჰნატრი. რომ არც კი იცი, რა იყო სანატრელი ძველს დროში? ცხენი განა ეხლა კი არ არის? თოფი განა ეხლა კი ნიშანში ვერ მივა? მარჯვე მკლავი ცოტაა? ეხლაც არის ეს ყველაფერი, მაგრამ ის გული აღარ არის, ის გულის სიმხურვალე. ის თავგამოდება მამულისათვის, რომელიც კაი ცხენს და კაი თოფს კაი საქმეში ახმარებდა. უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც. ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს. კარგი იყო ძველი დრო, მაგრამ არც ეს ბესარიონ გაბაშვილის სიტყვებია ურიგო: „ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“. – ესა ვთქვათ და ენა მოვიკვნიტოთ, თორემ.

თუმცა ლუარსაბი ეგრე სწუხდა ეხლანდელ დროების ჭირისა გამო, მაგრამ სახე მუდამ ერთ განსაკუთრებულ სულელობით უცინოდა ხოლმე. „ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“, ნათქვამია. ეს ანდაზა არსად ისე გამართლებული არ მინახავს, როგორც თავად ლუარსაბის სახლში. ამისი ძვირფასი მეუღლე კნეინა დარეჯანი სწორედ თავის ქმრის მეორე გვერდი გახლდათ და იყვნენ „ერთ სულ და ერთ ხორც“, როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი. მერე რარიგად: იგივე სიმრგვლე, იგივე სიმსუქნე, იგივე მოცინარე პირი და თითქმის იგივე სისულელე. ეს ორი ტურფა გვრიტი, ერთსულოვანი და ერთ-ხორციანი, საკვირველად ტკბილად სცხოვრობდნენ, ქვეყნის უგემურ ყაყანს მოშორებულნი. მამალი იყივლებდა თუ არა, ბედნიერ ცოლქმარს თვალები დაჭყეტილები

ჰქონდათ, დარეჯანი მაშინვე წამოფრინდებოდა, ლუარსაბმა კი, ნებიერმა ლუარსაბმა, ხანდისხან განაზება იცოდა. ქვეშაგებიდგანვე ის გულგადაღეღილი ტახტზედ გადაგორდებოდა ერთის ქშენით, ვაი-ვაგლახით და კიდევ რაღაცეებით... მომხდარა ისე, რომ სადილობამდინაც ამ ნებივრობაში უგემური დრო გაუტარებია.

ქართველები იტყვიან: ვისაც ბალანი ბლომად აქვს ტანზედ მოდებულიო, ის ბედნიერიაო. მართალიც არის, პირუტყვები სულ იმისაგან არიან ბედნიერნი! თუ ეს ტყუილია, ბევრი ჩვენგანი პირუტყვობას რადა ჰცდილობს? იმისთვის, რომ პირუტყვები ბედნიერნი არიან, ბედნიერები კიდევ იმისთვისა, რომ ტანზედ ბალანი აქვთ.

ლუარსაბის ტანისა კი რა მოგახსენოთ და გული კი, რო გენახათ, ღორის ჯაგარსავით მოდებული ჰქონდა, ასე რომ მრავალ საეჭვო სულიერებს შეეძლოთ შიშიანობის დროს აქ თავი შეეფარათ, მაგრამ... მაგრამ რა? განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო? იმდენი დღეგრძელობა ამის დამწერს ჰქონდეს, რამდენი იმის ტოლი თავადიშვილი იმის ყოფა-ცხოვრებას შეჰნატროდა. მარტო იმის ტანის ბალანი სამყოფი იყო, რომ უბედურ კაცში შური აეთო, რომ სხვა არა იყოს-რა. თორემ რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს.

მკითხველო, ხომ არ მოგეწყინა? რასაკვირველია, მოგეწყინა: აქ არ არის არც სიყვარულის ეშმაკობა, არც კაცისკვლა, არც უიმედო ქალის ოხვრა, არც წყალში გადავარდნა, ერთის სიტყვით – რაც აშვენებს

გასართველად დაწერილს მოთხრობასა – ის აქ არაფერი არ არის. მაშ მოგეწყინება, ამას რაღა თქმა უნდა. მაგრამ ეს უნდა იცოდე შენ, მკითხველო, რომ მე ამისა ქვემორე ხელის მომწერელი მკითხველის გასართველად არ ვწერ ამ უხეირო მოთხრობასა. მე მინდა ამ მოთხრობამ ჩააფიქროს მკითხველი და, თუ მოიწყენს, ამის გამო მოიწყინოს; იმიტომ რომ ფიქრი და მოწყენა გაუყრელნი და-ძმანი არიან. მე მინდა, რომ მკითხველმა იმიტომ კი არ მოიწყინოს, რომ გასართველი არ არი, არამედ იმიტომ, რომ ჩამაფიქრებელია. თუ ამოდენა იხერხა და შესძლო ამ უხეირო წერილმა, მე ამის მეტი არა მინდა-რა და არც მდომებია, ჩემო მოწყენილო მკითხველო! თუ ვერ იხერხა, რა ვუყო? ამით ვინუგეშებ, რომ „ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია“. ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად გამოჰყავს და გამოუყვანია. მეც იმათში...

როცა ლუარსაბი იმ ზემოთ აღწერილ განცხრომაში ბრძანდებოდა, სიკვდილი იყო, რომ ვისმეს მოეშალა ამისი ქეიფი და ნებიერობა, ესე იგი ტახტზედ დარბაისლურად და პატიოსნად გადაგორ-გადმოგორება. სტუმარი ეჯავრებაო, ამაზე ამბობდა უგუნური ხალხი, მაგრამ განა სიძუნწით მოსდიოდა ეს ამბავი? აბა თქვენგან არ მიკვირს! სიძუნწე და ქართველი ორივე ერთად მოთავსდება? ყინული და ცეცხლი ერთი-ერთმანეთს არ დალევენ? თუ ეჯავრებოდა სტუმარი, იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი, ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა: ტანთ ჩაცმა იყო ამის სიკვდილი. მთელს ზაფხულს ისე გაატარებდა, რომ პერანგის და მის ამხანაგის მეტს არას მიიკარებდა ტანზედ, თუ თავის ნებაზედ მიაგდებდით, თუ არა, მეტი რა ჩარა იყო[1] ზამთარში კიდევ პერანგზედ ქურქს წამოისხამდა, თუ ვინმე დიდი კაცი არ ეწვეოდა, ვსთქვათ თუნდა დიანბეგი[2]. მაშინ, რა დროს ამბავსაც მე ვწერ, დიანბეგი დიდი ბობოლა იყო; ეხლაა, რომ, რაც ეს ოხერი სწავლა შემოვიდა, დიანბეგს დიდკაცად არ აგდებენ, თორემ უწინ – უჰ! უჰ! რა დიდი ვინმე ბრძანდებოდა. ასეთი დიდი, რომ კინაღამ აზნაურის სტუმრობაზედ ნათქვამი ანდაზა დიანბეგზედ არ გადაკეთდა: კინაღამ „დიანბეგის სტუმრობა, ნუ გგონია ხუმრობად“ არ შეიცვალა. რომ დიანბეგის სტუმრობა ხუმრობა არ არის – ეს ყოველ გლეხკაცმა ძალიან კარგად იცის დღესაც და ადრევ კი თავადიშვილმაც იცოდა.

დარეჯანი კი არ იყო ეგრე ზანტი, როგორც ლუარსაბი, – ამაში კი ღვთის წინაშე, ისინი ერთმანეთს არა ჰგვანდნენ; გამოვიდა, რომ ფერი ერთი ჰქონდათ და ზნე კი არა.

რაკი, ბატონო, კნეინა თვალს გააჭყეტდა, შავარდენივით გადმოფრინდებოდა ტახტიდამ, გადიკრავდა შუბლსაფენსა, ზედ წაიკრავდა ჩითმერდინსა[3], გადიცვამდა ჩითის კაბასა – ხანდისხან სიჩქარისაგან უკუღმაცა – შიშველა ფეხს შეიმოსავდა ჩუსტითა და – ჰერი ბიჭო – დაეშვებოდა ჩალურისაკენ, სადაც მოსამსახურენი სუფევდნენ, ესე იგი ვაინაჩრობით[4] და გულში ჩაკეტილ გაბოროტებით სულს იბრუნებდნენ. საკვირველიც იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კნეინის ტყუილ-უბრალოდ ფაცა-ფუცი. ეს ამოდენა დედაკაცი, ჩაგოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდინ ფეხზედ იდგა და გორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაჰკრავდა საკერავზედ მთვლემარე წირპლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყაპუნებდა ძონძებში გახვეულ პატარა მურიან ბიჭსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწმენდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა; აქ იმას გაუწყრებოდა – რაზედ? თითონ კნეინამაც არ იცოდა – რაზედ; აქ ამას გამოგილანძღავდა – რისთვის? – არც ეს იცოდა კნეინამა; დასწყევლიდა, დაჰქოლავდა, დასტუქსავდა – ერთის სიტყვით მთელის ღამის ნაგუბარსა წამოანთხევდა ქვეშევრდომებზედ, – და მერე დაღლილი და

[1] **მეტი რა ჩარა იყო** – სხვა გამოსავალი არ იყო.

[2] **დიანბეგი** – მოსამართლე, მსაჯული.

[3] **ჩითმერდინი** – ქრელი აბრეშუმის თავსაფარი.

[4] **ვაინაჩრობით** – დიდი გაჭირვებით, ვაი-ვაგლახით.

დაქანცული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დაჰხვდებოდა, ვერ მაითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა, „მეხი კი დაგეცა“-საც ზედ დაატანდა, თუ ქეიფზედ იყო, – და ეგრე ქანცგაწყვეტილი შეგორდებოდა ოთახში, საცა ხანდისხან ხოლმე რუმბსავით გაბერილი თავადი გორავდა და, თუ ზაფხული იყო, ჭერში ბუზებსა სთვლიდა. ერთხელ ფრიად ღირსსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს. ეს იყო შუა ზაფხულის პაპანაქებაში, სადილ-წინ, როცა დარეჯანმა გაათავა ერთი ზემოხსენებულ-გვარი მოგზაურობა და თავში ტყაპუნი და ოფლში გაწუწული შემოვიდა ოთახში. ლუარსაბმა შეხედა, და დაინახა თუ არა, რომ ოფლი წურწურით ჩამოსდის წითელ ლოყებზედ, თავის გულში სთქვა სრულიად კმაყოფილმა: – კაი ოჯახის ბურჯია, კაი მადლიანი დედაკაცია. გმადლობ, ჩემო გამჩენო, რომ ამისთანა შემახვედრე.

ესა სთქვა და კმაყოფილი თავისი უბრყვილო ბედისა გადატრიალდა ერთის გვერდიდამ მეორეზედ ღვთისა და კაცის მადლიერი თავადი. ეს გადატრიალება იმის ნიშანი იყო, რომ ლუარსაბს იამა რამე.

– სად იყავ, შენი ჭირიმე, – ჰკითხა მერე კნეინასა, – რომ ეგრე დაიღალე?

– როგორ თუ სადა, შენი ჭირიმე? ოჯახობაა, სახლია, კარია, თვალყურის ჭერა უნდა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, – მიუგო კნეინამ.

– ეგრე, ჩემო დარეჯან, ეგრე გეთაყვანე! დედაკაცობაც ეგ არის და.

– მაშ? – მიუგო ქებით თავ-გაზვიადებულმა ცოლმა, – ესე უნდა თვალგაფაციცებული დასტრიალებდე მოსამსახურესა, თორემ ჭამის მეტს არას გააკეთებს. ბიჭებს მოვლა უნდა.

– მაშ, მაშ!

– ბევრმა არ იცის, როგორ მოეპყრას.

– მაშ, არ იცის, თორემ, რომ იცოდეს, კარგია, მაშ!

– ხანდისხან ტყუილ-უბრალოდაც უნდა დასტუქსო. რომ გამოლანძღო კიდეც, ცუდი არ იქნება. აი, მე გავლანძღავ კიდეც, გავუჯავრდები, დავტუქსავ, დავწყევლი, – სულ რისთვის? იმისთვის, რომ შიში და კრძალვა ჰქონდეს, თორემ შენი მტერი!..

– ოღონდაც, შენი მტერი!.. ოღონდაც!..

– ეს გლეხები არიან: გაქირ[1] ვირსავით თუ ერთხელ შედგა, მერე, თუნდა შვინდის სახრით მისდგე, ფეხს ვერ გადაადგმევინებ, თუ ადრევე დატუქსული არა გყავს.

– ოღონდაც, დატუქსული უნდა გყვანდეს, – მიუგო ხელახლად თავის ცოლის სიბრძნისაგან გაოცებულმა ლუარსაბმა, – ოღონდაც, გაქირ ვირსავით შედგება.

– არა, გეთაყვა, ეს, რაცა ვთქვი, ტყუილია?

– ტყუილი რად იქნება? მართალია. შენოდენა დედაკაცს სიზმარიც დაეჯერება, – წამოროხა უთავბოლოდ ლუარსაბმა. თითონაც არ იცოდა „სიზმარი“ რისთვის ჩააკერა ლაპარაკში.

ორივე დაჩუმდნენ. ლუარსაბმა ჭერს მიაბჯინა თვალები; იქ ჯგუფად ისხდნენ ბუზები. დარეჯანმა მატყლის წინდის ქსოვა დაიწყო.

პატარა ხანს უკან ლუარსაბმა წამოიძახა:

– დარეჯან, აბა, თუ ჭკვიანი დედაკაცი ხარ, გამოიცან, ა იმ ფიცარზედ რამდენი ბუზი ზის?

– აბა სადა?

– აი, ჭერის ფიცარზედ.

თურმე, ნუ იტყვით, ამ სასაცილო ლუარსაბსა, დაჩუმებულნი რომ იყვნენ, იმ დროს ის ბუზები უთვლია! დარეჯანმა რა იცოდა.

– რამდენია? – სთქვა დარეჯანმა, – მაიცა, ჯერ დავთვალო.

– ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ. აბა ისე გამოიცან, კაცობა ის იქნება.

– ისე გამოვიცნო? მაშ კარგი, ოცდაათი იქნება.

– ოლოლო[2] შენ, ვერ გამოიცან.

– მაშ რამდენია?

– რამდენია? გითხრა? არა, არ გეტყვი.

– სთქვი, თუ იცი, რაღა.

– თუ კაცი ვარ, ორმოცი უნდა იყოს. ოლოლო შენ, მე გამოვიცან.

– დიაღ, გამოიცან... დაგითვლია, რო-

---

[1] **გაქირი** – ჯიუტი.

[2] **ოლოლო** – შორისდებული, გამოხატავს ნიშნის მოგებას.

გორც იმ დღესა ჰქენი, ეგრე ხომ მეც გამოვიცნობ.

– შენც არ მამიკვდე, ის კარგი მამა არ წამიწყდეს, რომ არ დამითვლია.

– მაშ საიდამ იცი, რომ ორმოცია.

– საიდამ? იქიდამ, რომ გონება მაქვს.

– განა მე კი არა მაქვს გონება?

– შენც გაქვს, მაგრამ კაცის გონებასთან დედაკაცის გონება როგორ მოვა? მე ვარაუდით მივხვდი, რომ ორმოცია.

– რომ არ იყოს ორმოცი?

– ჯარიმა გადამახდევინე.

– მაშ დავთვალოთ.

დაიწყეს ცოლმა და ქმარმა ბუზების თვლა. გამოვიდა, რომ ორმოცდაათზედაც მეტი იყო.

– გამოიცნო?! – სთქვა ნიშნის მოგებით დარეჯანმა, – დიაღ, გამოიცნო, გონება აქვს ამ ჩემ ბატონს და იმიტომ გამოიცნო.

ლუარსაბს შერცხვა, ცოტად აირია.

– გაფრენილან, თორემ ორმოცი იყო, – სთქვა სულელმა თავის გასამართლებლად,

– სწორედ გაფრენილან.

– უფრო კარგი, თუ გაფრენილან, უფრო ცოტა არ უნდა დარჩენილიყო? მანდ ორმოცდაათზედაც მეტი არის ეხლა.

ლუარსაბი გაიწურა, ეს რა წამოვროხეო, სთქვა გულშია. რომ ჩააფუჩეჩოს თავისი მახეში გაბმა, კბილების კრაჭუნით, რომელსაც კნეინა ღიმილს ეძახდა, სთქვა:

– დალახვრა ღმერთმა – ეგ ვეღარ მოვიფიქრე, ბიჭოს!.. თითქო ოთხჯერ დავთვალე.

– აკი არ დამითვლიაო.

– შენგან არ მიკვირს! რომ არ დამეთვალა, სოლომონ ბრძენი ხომ არ ვიყავ, რომ ისე გამომეცნო. როგორ არ დავთვალე, აი დალახვრა ღმერთმა, – შემცდარვარ, თორემ გაჯობებდი, აი, ჩემო სულიკო! მე და ჩემმა ღმერთმა, გაჯობებდი.

სთქვა და გაცრუებული ლუარსაბი შაქარსავით გაუტკბილდა თავის ამ ჟამად გამარჯვებულს მეუღლესა.

– აკი არ დამითვლიაო, შე ეშმაკო, შენა! – მიატანა ღიმილითვე კნეინამა.

– ხომ გაგიტყდი, შენი კუჭისა, სხვა რა გინდა?

– შენი სიცოცხლე და ბედნიერება, ჩემო ტურფავ! რა უნდა მინდოდეს სხვა.

– დარეჯან!.. – უთხრა გულნატკენად და მორცხობით ლუარსაბმა, – დარეჯან!.. თუ გიყვარდე, ტურფას ნუ მეძახი.

– რატომ, შენი ჭირიმე? რატომ?

– ჩემოდენა კაცს არ უხდება, შენ გეთაყვანე: ტურფას პატარა გოშიას ეძახიან, ეგ ძაღლის სახელია, აბა რა კაცის საკადრისია ეგ სახელი?

– მაშ შენ ჩემი გოშია არა ხარ? არა ხარ განა? მე შენგან ეგ პირველად მესმის, – მიუგო გულამომჯდარად დარეჯანმა, რადგანაც ეგონა, გოშიაობაზედ რომ ხელი აიღოვო, სჩანს გულიც აუყრია ჩემზედაო.

ლუარსაბი მიხვდა, რომ გულიც ატკინა და ტყუილ-უბრალოდაც ატკინა, – და რომ ის გულაყრილობის ფიქრი გაუფანტოს, უთხრა კბილების კრაჭუნით:

– ჰო, გეთაყვა, ჰო, შენი გოშია ვარ, მაშ რა ვარ?

– პირწყლიანი დედაკაცი არა ყოფილა ეს დალოცვილისშვილი, – სთქვა თავის გულში ლუარსაბმა, – მოლექსესავით რა ლამაზად მოაწყო ჩემი გოშიობა... რა ენის პატრონია!.. როგორ იხერხა?!

თითონაც უნდოდა ერთი ამისთანა ალერსი მოეწყო რამ, მაგრამ, როცა ეს გაჭირვება დაადგებოდა, თვალებში სულ ზურგიელი, თართის დოში[1], არტალა[2] ნივრით და სხვა ამისთანა გაეჩხირებოდა ხოლმე. აბა ამ საგნებით რა ალერსს გამოხატავს კაცი? მაგრამ ლუარსაბმა მაინც კიდევ მოახერხა წყლიანი სიტყვა:

– შენ იცი, ჩემი რა ხარ? სულის წიწმატი, გულის ტარხუნა, გონების, აბა რა ვთქვა? – თუნდა მარილი იყოს. კარგად არ ვთქვი, ის კარგი და სახელოვანი მამა ნუ წაგიწყდება? კარგი მოწყობა არ იყო?

წამოროშა ესა და მხიარულობის ნიშნად დააკრაჭუნა კბილები თავის პირწყლიანობით აღტაცებულმა ლუარსაბმა. არც დარე-

---

[1] **თართის დოში** – თართის ლორად გამოყვანილი გვერდი.

[2] **არტალა** – ძროხის ბარკლის ქვედა ნაწილი; ამ ნაწილისაგან დამზადებული წვნიანი შეჭამანდი.

ჯანი დარჩა უსიამოვნოდ. ხშირად გაუტარებიათ ამრიგად დრო ჩვენს ცოლ-ქმარსა. ნეტავი იმათ, მკითხველო!..

III

ლუარსაბმაც კი იცოდა ბიჭების „დაწიოკება“, როგორც თითონ იტყოდა ხოლმე. მართალია, ცოტა ზანტი იყო, მაგრამ იმოდენა მამულ-დედულს მოვლა არ უნდოდა? ეს მამულის მზრუნველობა ძალას დაატანდა ხოლმე და წამოახტუნებდა ტახტიდამა. მაშინ უნდა გენახათ, რა ლამაზი იყო ჩვენი ლუარსაბი: ფეხშიშველა, ლურჯი კალმუხის[1] ქუდით თავზედ, წითელ პერანგის და მის განუშორებელ ამხანაგის ანაბარას, გულგადაღეღილი, ფაშვიანი, ჩიბუხით ხელში მიგორდებოდა მოავჯირის გადასაყუდებელთან და გადასძახებდა ძილისაგან გაბოხებულ ხმითა თავის მოურავს დათოსა:

– დათო! ხორცი ხომ ჩამოიტანე ბაზრიდამ? (იმ სოფელში ბაზარიც გახლდათ).

– დიაღ, შენი ჭირიმე.

– რა ნაჭერია?

– ჩალაღაჯი[2].

– სამწვადედ?

– სუკი[3] ვიშოვე, შენი ჭირიმე.

– ძვირფასი კაცია, – გაიფიქრებდა ხოლმე მადლიერი მებატონე, მერე დათოს ეტყოდა: – ბარაქალა, ჩემო დათო! თუ კაცმა დაივიწყა, ღმერთი არ დაივიწყებს ბატონის ერთგულობასა. ბარაქალა! შენ ჩემი მარჯვენა მკლავი ხარ, მაგარი მკლავი.

დათო თავს მოიფხანდა ხოლმე და უხეიროდ გაიღიმებდა ამგვარ ქებაზედა.

– მეზვრემ[4] მწვანილი მოიტანა? – ჰკითხავდა კიდევ ბატონი.

– მოიტანა.

– ტარხუნა ხომ არის?

– გახლავს.

– კიტრი?

– კიტრიც გახლავს.

ლუარსაბს იამა. ტახტი რომ ყოფილიყო, ერთი ორჯერ მაინც გადატრიალ-გადმოტრიალდებოდა.

– მაშ სახლი სავსე ყოფილა, – სთქვა ბატონმა სიამოვნებით.

– როდისა გხლებიათ ნაკლული, შენი ჭირიმე, რომ ეხლა იყოს?..

– ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის პატივი და სახელი ერთგულმა ყმამ ქვეყანას უნდა მოსდოს. ბარაქალა! თუნდ ნაკლული იყოს, უნდა სთქვა, რომ სავსეაო. შენ გამოცდილი კაცი ხარ, – ეს ყველაფერი იცი.

– ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და როგორ არ მეცოდინება, შენი ჭირიმე!

– ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, – სთქვა პატარა ხანს უკან მზრუნველმა მებატონემ, – ურმები გაისტუმრე?

– გავისტუმრე, შენი ჭირიმე! ეხლა თუნდ ორღობეებს იქნებიან გაცილებულნი.

– სად გაისტუმრე?

– ყანაში, შენი ჭირიმე!

– რამდენია?

– ოთხი საბატონო და ათი ბეგრისა.

– რატომ ბეგრისა ხუთმეტი არ არის?

– ხუთმეტი ჩვენ კაცებში თავის გაჩენაში არ შებმულან, შენი ჭირიმე, და დღეს საიდამ იქნებოდა!

– ხუთმეტი უნდა ყოფილიყო, ვეჟო! რატომ არ არის? მე არ ვიცი, ხუთმეტი უნდა ყოფილიყო. როგორ იქნება? ბატონს სამსახური უნდა, მაშ მე ბატონი აღარ ვყოფილვარ!.. გაგონილა!.. ფიე! ხუთმეტი უნდა ყოფილყო. მე ვუჩვენებ იმათ, რომ მე ბატონი ვარ და ისინი ყმები არიან.

მართლა-და ლუარსაბსა თავის დღეში ათის ურმის მეტი არ შეჰბმია და რაზედ გაწყრა ეგრე უწყალოდ? დათოსაც არ ესმოდა – ეს წყრომა რის ნიშანი იყო. გაუკვირდა და ბატონს ყურება დაუწყო, ხომ არ გაგიჟდაო. დიაღ, ლუარსაბი კი იქნება, რომ გაგიჟდეს!.. და თუ ტყუილ-უბრალოდ გაწყრა, მაგისი საბუთები სულ გოგრაში ჰქონდა. როგორც ამისი ძვირფასი კნეინა, ისე თითონაც ძალიანა ჰჩემობდა მოსამსახურეების და ყმის მოხმარებასა.

---

[1] **კალმუხის** – ცხვრის ტყავი.

[2] **ჩალაღაჯი** – საქონლის ბეჭთაშუა ნაწილი ქედს ქვემოთ.

[3] **სუკი** – საქონლის ზურგიდან ხერხემლამდე ორივე მხარეს გრძლად ამოჭრილი რბილი ხორცი.

[4] **მეზვრე** – ზვრის (ვენახის) მომვლელი და მცველი.

– გლეხკაცს ეგრე უნდა მოეპყრას ბატონიო, – იტყოდა ხოლმე ბრძენი თავადი, – ეგრე უნდაო, რომ ყოველ ცისმარა დღეს ეშინოდეს, თორემ, ღორის მკბენარსავით, რომ გლეხკაცი ფეხზედ დაისო, თავზედ აგაცოცდებაო. მაშ! შიში შეიქმს სიყვარულსაო.

ოღონდაც, ჩემო ლუარსაბ, ოღონდაც!

ის კი არ იცოდა ამ ბედნიერმა ადამიანმა, რომ უმიზეზო და ამგვარ ტყუილ-უბრალო აპილპილებაზედ გლეხებს სულ სხვა მსჯელობა და დასკვნა აქვთ ხოლმე. ეჰ, შენ რაც უნდა სთქვა, მკითხველო, და ამ ცოლ-ქმარს კი ეგონა, რომ თუ მუცელი მაძღარი აქვთ, ამ-გვარ ყმების მოხმარების ცოდნისაგან აქვთ.

ამისთანა სულელობას ჩვენი გულწრფელი თავადი ეძახდა ბიჭების „დაწიოკებასა“. დარწმუნებული იყო, რომ ეს „დაწიოკება“ ისე აუცილებლად საჭიროა ოჯახისათვის, როგორც სმა-ჭამა კაცისათვისა. ამიტომაც, რომ შემოვიდოდა ოთახში, თავის-თავის კმაყოფილებით ეტყოდა ხოლმე ცოლსა:

– ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტყუილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს! დალახვროს ღმერთმა გლეხკაცი! ვეჟო, მინამ თავს არ დაადგები და კარგად არ დასჭყივლებ, ხელს კი არ გასძრავს და. გაგონილა! მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვილპებოდა.

– ეგრე, შენი ჭირიმე, – გაუკეთებდა გულს და თავს უფრო მოაწონებდა დარეჯანი, – ეგრე უნდა. მას აქეთ, რაკი ევამ ადამი შეაცდინა, მას აქეთ ნაბძანებია ღვთისაგან, რომ ჩვენის ოფლით პური უნდა ვჭამოთ.

– ეგ თავადებზედ ხომ არ არის ნათქვამი, გლეხებზედ არის ნათქვამი, გლეხებზედ, – მიუგო ლუარსაბმა.

– მაშინ თავადები სად იქნებოდნენ?

– როგორ არა, იყვნენ: ჩვენი გვარი მაშინდელია.

– რას ამბობ? ისე ჰლაპარაკობ, ასე გგონია, არა იცოდე-რაო. მაშინ ადამის და ევას მეტი არავინა ყოფილა და ადამი თავის თავზედ თავადი ხომ არ იქნებოდა?

– მართლა, ეგ კი ვეღარ მოვიფიქრე. არა, გეთაყვანე, ის რა ხე იყო, იმათ რომ ხილი მოიპარეს?

– ხე ბოროტისა და კეთილისა.

– ეხლა აღარ არის იმისთანა ხე?

– როგორ არა: ამბობენ, რუსთ ხელმწიფის ბაღში ერთი ოქროს ოთახიაო, იმაში არის, სულ იაგუნდის ფოთლები ასხიაო.

– ზურმუხტისა იქნება, – გაუსწორა ლუარსაბმა.

– ჰო, მართლა, ზურმუხტისაა, ზურმუხტიც ხომ ფოთოლსავით მწვანეა: დიაღ, ზურმუხტისაა, სულ ალმასები და იაგუნდები ასხია ხილის მაგიერად.

– ნეტავი მაჭამა, აბა გემო იმაში იქნება.

– ძალიან კი მიგიშვებენ: ქვიშაზედ უმრავლესი ჯარი ახვევია თურმე.

– მაშ ხონთქარს როგორ მოუპარვინებია?

– აი როგორ: ერთი ფერია ყოფილა, ფერია არწივად გადაქცეულა, შეპარულა, მოუგლეჯია ერთი დიდი ალმასი, ჩაუყლაპავს და ისე გამოპარულა.

– წაუღია, წაუღია! რა ეშმაკი ყოფილა!

– მაშ, წაუღია. მერე დედოფალი შებძანებულა, უნახავს, რომ ერთი დიდი ალმასი აკლია, მაშინვე რუსთ ხელმწიფისთვის შეუტყობინებია. რუსთ ხელმწიფე მაშინვე მიმხვდარა, რომ ეს ხონთქრის საქმეა და ომი დაუწყია. ის ომი ხომ დღესაც არ გადაწყვეტილა.

– მაშ შერჩა, შერჩა?

– ვინ იცის? ჯერ ომი არ გათავებულა.

– ნეტავი მე მამეპარა.

– ხომ დაგარჩობდნენ.

– რომ არ შევატყობინებდი: ჩავყლაპავდი და მუცელს ხომ ვერ გამიჭრიდნენ.

– გაგიჭრიდნენ კი არა, მეტსაც გიზამდნენ.

– რა ეცოდინებოდათ, რომ მე მაქვს?

– შენი ჭირიმე, მკითხავს ვერ იშოვიდნენ, რომ ეკითხნათ.

– მართლა, ეგ აღარ მომაგონდა. დაიცა, რა გითხრა: ადამმა რომ შეჭამა, ის რაღა იქნა?

– კუნძულელ ხელმწიფეს ზღვაში ეპოვნა თურმე და იმასა აქვს.

– აბა, დახე ღვთის სამართალსა! მე მეპოვნა, უფრო მადლი არ იქნებოდა?

– მერე ვინ შეგარჩენდა? ორასი წელიწადია თურმე მაშრიყ-მაღრიბის[1] ხელმწიფე სულ იმისათვის ებრძვის კუნძულელსა.

– აქამდინ ვერ წაართო?

– ვერა.

– პაი, პაი, პაი! ღონიერი არა ყოფილა ისიცა!..

– მე კი არ ვიცი, რომ ღონიერი ყოფილა!.. ხელმწიფე და უღონო გაგონილა!

– ერეკლე მეფე რომ ყოფილიყო ეხლა, ის კი უთუოდ წაართმევდა, დიდ ვაჟკაცს ამბობენ.

– ის, რასაკვირველია, წაართმევდა, მაგრამ სად არის?

– ცოდო არ არის, ის ეხლა მიწაში ლპებოდეს და შენი მაზლი დავით კი ცოცხალი იყოს!

– აბა, უყურე წუთის-სოფლის მუხანათობას! ეგ რა კიდევ, თამარ დედოფალი შავ მიწაში უნდა იყოს და შენი რძალი ელისაბედი კი მზეს უყურებდეს!

– აბა, წუთის-სოფლის ანგარიში ეგ არის და, – დაატანდა ლუარსაბი და ამოიოხრებდა, მერე ისე, რომ სანთელი წინ სდგომიყო, გააქრობდა.

დილით ლუარსაბი და მისი მეუღლე კნეინა დარეჯანი, რაკი მოიცლიდნენ იმ საუცხოვო ოჯახის მოვალეობისაგან – რომლის ნიმუშიც ზევით მოვიხსენიე, მიუჯდებოდნენ ჩაის და ერთი ლაზათიანად გაიბერებოდნენ თბილის წყლით, როგორც ამბობს ჩვენი გლეხკაცი.

პატარა ხანს უკან, ორიოდ გონიერ ბაასის შემდეგ, თუნდ იმის მსგავსისა – როგორც ზემოხსენებულია, სადილობაც მოვიდოდა, ერთი მაშინ მიძღებოდნენ „ძველებურადა, ჩვენებურადა“, – და ლუარსაბი რაღაც დაღლილის სიამოვნებით წამოიძახებდა ხოლმე გულწრფელად: „გმადლობ შენ, უფალო, რათა განმაძღე მე“. ამას იტყოდა თუ არა და, გამოისახავდა პირჯვარსა, მსწრაფლ სუფრიდამ იქავ ტახტზედ გადაგორდებოდა და, სრულიად კმაყოფილი თავისის ცხოვრებისა, დაიკრავდა მუცელზედ ხელსა და იტყოდა რაღაც ტრაბახობითა: „მე თუ უსწავლელი ვარ, მე ვიცი... რა ჰქვიან... მე ვიცი, შიმშილით კუჭი მიდნება, დიაღ, მიდნება! ზედაც ემცნევა ჩემ სტომაქსა“. გამოსაცდელად ერთს კიდევ დაიკრავდა მუცელზედ ხელსა, თითქო სინჯავსო, კარგად არის გატენილი თუ არა, და რა ჰნახავდა, რომ კარგად არის, როგორც ცხენი დააკრაჭუნებდა კბილებს მეტის სიამოვნებისაგან: „დიაღ, – კიდევ იტყოდა, – ლუარსაბი უსწავლელი გახლავთ, იმიტომაც მშიერია“. სადილს შემდეგ ძილი, მერე ისევ გაღვიძება, მერე ისევ ჩაი, მერე ვახშამი, და ბოლოს ისევ ის სატრფიალო ძილი, – და ესრეთ ტკბილად და აუმღვრევლად მიდიოდა ამ ორთა უმანკო სულთა უბოროტო ცხოვრება ამ წუთის-სოფელში, რომელმაც ისე არაფერი არ იცოდა ამათის ვინაობისა, როგორც ამათ არა იცოდნენ-რა, ჭამა-სმის გარდა, ღვთისაგან განაჩენი ამ მუხანათის წუთისსოფლისა.

[1] **მაშრიყ-მაღრიბი** – დასავლეთ-აღმოსავლეთი.

ჩვენ და ტექსტი

1. გამართლდა თუ არა თქვენ მიერ სათაურზე დაკვირვებისას გამოთქმული ვარაუდები? რატომ შეარჩია ავტორმა ამგვარი სათაური?
2. როგორ ფიქრობთ, ჭაობიდან ამოყვანილი პირი სხვებს რომ არ ჰგვანებოდა და სხვები – მას, მაინც დაინტერესდებოდა ავტორი მისით?
3. ისაუბრეთ ეპიგრაფზე, თქვენი აზრით, რატომ შეარჩია ავტორმა ეს ანდაზა; ვინ მიაჩნია მას ამ სიტყვების ავტორად და რატომ მიმართავს უშუალოდ მას;
4. გულისტკივილის როგორ ორგვარ გამოვლენაზე საუბრობს ავტორი და რა არჩევანს აკეთებს იგი;
5. როგორ გესმით გამოთქმა – „ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო ჭირზედ ვწერთ“? შეგიძლიათ, პირდაპირ უპასუხოთ, რა არის ეს საზოგადო ჭირი, თუ იგი ნაწარმოებში თანდათან გამოჩნდება და დაკვირვება სჭირდება? ჯერჯერობით საზოგადო ჭირის რომელ ნიშნებზე შეგიძლიათ საუბარი? როგორ გგონიათ, რომანტიკოსი ავტორი პიროვნების ინდივიდუალური მახასიათებლებით დაინტერესდებოდა თუ საზოგადო ჭირით? რეალიზმის რომელი ნიშან-თვისება ჩანს ამ ეპიზოდში?
6. აღწერეთ ლუარსაბის სახლ-კარი; შეძელით თუ არა, დაწვრილებით გადმოგეცათ ყველა დეტალი? როგორ გგონიათ, რა დანიშნულება აქვს ამ დეტალებს?

   „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი“, – წერს ავტორი. რა არის ამ აღწერაში „კარგი“, „დადებითი“? მოძებნეთ სხვა მაგალითები, რომლებშიც სიტყვები საპირისპირო მნიშვნელობით იხმარება.
7. ქრისტიანული სწავლებით, ღმერთმა ადამიანი შექმნა „ჭურჭრად სამეუფოდ“, რომელშიც ცით მონაბერმა სულმა უნდა დაივანოს. თუ ადამიანი არ გაუფრთხილდება საკუთარ თავში ღვთის ხატს, იგი გადაიქცევა „ჭურჭრად დახსნილებისა, მცონარობისა და ბილწებისა“. ღმერთმა ლუარსაბსაც მისცა „ცით მონაბერი სული“, დააკვირდით, სად გაქრა იგი?
8. წარსულთან როგორი დამოკიდებულება ჩანს ამ ფრაზაში: „უწინ კაცი აშვენებდა ცხენსაც და თოფსაც. ეხლა კი ცხენი და თოფი კაცს აშვენებს“. როგორი კაცები იყვნენ ძველად და ახლა?
9. აკაკი ბაქრაძე ტყუილუბრალო ფაციფუცსაც სიზარმაცის ნაირსახეობად მიიჩნევს და ცრუსაქმიანობას, ცრუაქტიურობას უწოდებს. თქვენ რამდენად ეთანხმებით მკვლევარს სიზარმაცის ამგვარ გაგებაში? მოძებნეთ ცრუსაქმიანობის კონკრეტული მაგალითები, ვის ახასიათებდა იგი?
10. დააკვირდით, რაზე კამათობს ცოლ-ქმარი. გადმოეცით მათი ყოველდღიური საფიქრალი. აქვს მათ საუბრებს რაიმე კავშირი ქვეყნის ან საზოგადოების ცხოვრებასთან?
11. როგორ გესმით გამოთქმა: „თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს“?
12. რა აქვს მხედველობაში ავტორს, როცა თავის მოთხრობასთან დაკავშირებით „მოწყენაზე“ ლაპარაკობს?
13. რა არის კომიკური ავტორის მსჯელობაში სტუმართან ლუარსაბის დამოკიდებულებაში?
14. როგორ შეაფასებთ დარეჯანის მსჯელობას თავის ქცევის წესზე? როგორ მეტყველებს თათქარიძეების ინტერესებსა და გონებრივ შესაძლებლობებზე ბუზების თვლის ამბავი? რა არის ამ ამბავში, თქვენი აზრით, ყველაზე სასაცილო?

15. რაში გამოიხატება ლუარსაბის მიერ „ყმების დაწიოკება“?

16. როგორ ხსნის ამ ქმედების აზრს თვით ლუარსაბი? თქვენ როგორ შეაფასებთ ლუარსაბის შეხედულებას?

17. როგორ გგონიათ, რას ფიქრობენ ლუარსაბის ქცევაზე მისი ყმები? როგორ წარმოჩნდება ლუარსაბთან საუბარში დათო?

18. როგორ ცდილობს ლუარსაბი თავისი გვარის განდიდებას? თქვენ რა აზრის ხართ ამგვარ ცდაზე?

19. როგორ ახასიათებს ლუარსაბისა და დარეჯანის აზროვნების თავისებურებას და გონებრივ თვალსაწიერს მათი საუბარი სამოთხის ხისა და ზურმუხტის ხის ნაყოფთა შესახებ?

20. რა არის ლუარსაბის კმაყოფილების მთავარი საფუძველი?

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსიები

1. გონების ძილი

პირველი შეხვედრა ლუარსაბსა და დარეჯანთან

1. რას ხსნის ავტორი ასე – „იმიტომ, რომ ქართველია“? კონკრეტულად როგორ უნდა გავიგოთ ეს ახსნა?
2. ლუარსაბის პორტრეტის რომელ შტრიხებს მიიჩნევთ განსაკუთრებით შთამბეჭდავად?
3. ავტორის მინიშნებით, რატომ არ ჩანს ლუარსაბის გარეგნობაში „ცით მონაბერი სული“?
4. როგორია ავტორის თვალსაზრისი სულისა და ხორცის ურთიერთმიმართების შესახებ? როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ თვალსაზრისისადმი?

- როგორია ლუარსაბის შეხედულება ადამიანის რაობაზე? რა კავშირი აქვს ამ შეხედულებას ლუარსაბის ცხოვრებასთან?
- რას ფიქრობს ლუარსაბი სწავლა-განათლებაზე? რას უპირისპირებს იგი ცოდნას? რა არის აქ ის მთავარი რამ, რასაც, ავტორის აზრით, ლუარსაბი ვერ ხვდება?
- რამდენად შეეფერებათ ლუარსაბსა და დარეჯანს ბიბლიური გამოთქმა „ერთ სულ და ერთ ხორც“?

2. მხილება თუ ძრახვა? – რეალიზმის ზოგიერთი პრინციპის შესახებ ილია ერთგან წერს, რომ მოყვარე სიმართლეს პირში მიახლის ახლობელს.

> „ზოგი გულის-ტკივილს იმითი იჩენს, რომ მოყვარეს ცუდსაც უქებს, და ზოგი კი იმითი, რომ ცუდს უწუნებს. ამ ორგვარ ხალხში რომელს უფრო მეტი და ჭეშმარიტი გულის-ტკივილი და სიყვარული აქვს – ეს თითონ მკითხველმა გამოიცნოს“.

წინა წლებში შესწავლილი ილიას ნაწარმოებებიდან რომელში შეხვდით იმავე აზრს? როგორ უყურებდა ამ საკითხს ტრადიციულად ძველი ქართული მწერლობა?

არსებობს რაიმე ტიპის კავშირი გურამიშვილის მართლის თქმის პრინციპსა და ილიასეულ პოზიციებს შირის? გურამიშვილი განასხვავებდა მხილებასა და ძრახვას. იმსჯელეთ, რომელ მათგანს უახლოვდება ილიასეული პირში თქმის პრინციპი?

3. ლუარსაბის სახლ-კარი.

(სახლ-კარის გარემოსა და ინტერიერის მიხედვით გმირის ხასიათის კვლევა)

ჯერ ლუარსაბი არ გამოჩენილა, თუმცა მახვილ თვალს უკვე შუძლია ამოიცნოს, ვინ იქნება ამგვარი სახლ-კარის ბინადარი. დააკვირდით, სახლის პატრონის ხასიათის რომელ თვისებებზე მიანიშნებს თითოეული დეტალი? შეგიძლიათ, ისარგებლოთ პერსონაჟის ხასიათზე დაკვირვების ცხრილით:

ეპიზოდი, დეტალი (ტექსტიდან)	გმირის ხასიათის რომელ თვისებაზე მეტყველებს ეს?

IV

ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა. როცა სადილს უკან ლაზათიანად გამოიძინებდნენ ცოლ-ქმარნი, როცა საღამოზედ ნიავი ფრთას გაშლიდა და ბაღჩის ღობის გრძლად გამოწოლილი ჩრდილი ეზოს მოადგებოდა, მაშინ კნეინა დარეჯანი ერთ ბალანგაცვივნულ ხალიჩას ჩრდილში გააშლევინებდა და დაბრძანდებოდა ხოლმე თავმომწონე პატარძალივით თავდახურული, წარბებ-აჭიმული და გამოპრანჭული. ლუარსაბიც, თავის განუშორებელ ჩიბუხით ხელში, ჩამოვიდოდა – და ქოშებით შიშველ ფეხებზედ, ხშირად წითელ პერანგის ანაბარას და უფრო ხშირად ლურჯ კალმუხის დარბაისლურად ჩატეხილ ქუდით, ბოლთასა სცემდა გრილოშია.

საღამო ხანი – როგორც მოგეხსენებათ – ჩვენს სოფლებში და ნამეტნავად კახეთში სადარბაზო ხანია[1]. რაც ეს რაღაც წყეული განათლება შემოვიდა ჩვენს ქვეყანაში, რასაკვირველია, – მეტად თუ ნაკლებ ეს საქებური ჩვენი ძველი ჩვეულებაც დაჩაგრა, ასე რომ ზოგიერთნი განათლებით გაჩარხულნი ეხლა ვიზიტობენ, თორემ უწინ კი საღამო ხანი დიდს პატივში იყო. ამიტომაც საღამოობით დარეჯანი ეგრე გამოიპრანჭებოდა ხოლმე და ასე იფიქრეთ – უკაცრავოდ კი არ ვიყო – საკურტუმესაც კი გაიკეთებდა. მაშინ, როდინდელ ამბავსაც მე ვწერ, ჯერ კრინოლინი[2] არ იყო, – და თუნდ ყოფილიყო კიდენაც, იმ სოფლამდინ ვინ მიაღწევინებდა მაგ იუბკების[3] მეუფესა. ყველამ კარგად იცის, რომ განათლება ფეხმძიმედ დადის, ნამეტნავად ჩვენში ასკინკილობს, და აბა იმ სოფელში ეგრე ჩქარა როგორ მიიტანდა სახელოვანს „ხაბარდასა“. სწორედ გითხრათ, ზოგიერთ სოფლის ორღობეებშიაც ვერ გაეტეოდა ეგ განათლებული კრინოლინი, თუნდ რომ მისულიყო კიდენაც.

– ქალბატონი ადღეგრძელა ღმერთმა, – უთხრა ერთხელ ერთმა ლამაზად მოყვანილმა გლეხის პატარძალმა, გრძელ კავების ქნევით და ცოტა ტუჩების პრანჭვითა.

– აი, ღმერთმა გაცოცხლოს, ჩემო ბაბალე!.. რასა იქ, ხომ კარგადა ხარ? – მოიკითხა თავის რიგზედ დარეჯანმა, მაგრამ ისე კი, რომ პატივი კნეინობისა სრულიად არ დაუმცირებია.

– რაღა რასა ვიქ, შენი კვნესამე! ჩვენებიანთ ვენახში ჩვენი კამეჩი შეპარულა,

[1] **სადარბაზო ხანი** – სტუმრობის დრო.

[2] **კრინოლინი** – განიერი კაბა (ქვედატანი), რომელსაც შიგ დატანებული ჰქონდა ფოლადის მავთულები; მოდაში იყო მე-19 ს. 60-70-იან წლებში (ქართულად „ხაბარდას“ ეძახდნენ).

[3] **იუბკა** – ქვედატანი, ქვედაწელი.

და მეველეებს დაუჭერიათ, ეხლა ორი დღეა ბაკში ჰყავთ დაჭერილი. ეხლა, შენი სახელის ჭირიმე, ამას გემუდარები, გვაპატივებინოთ, აგრემც ჩვენი ნათელ-მირონობა დღეგრძელობას მოგიმატებს, შენი კვნესამე!

– რა? მითამ გამოვაშვებინოთ?

– ჰო, შენმა მზემ, ეხლა ჩვენი ვედრება ეგ არის, ქალბატონო.

– როგორ იქნება, ჩემო ბაბალე? ეხლა, მართალია, შენ ჩემი ნათელ-მირონი ხარ, მაგრამ სოფელი აყაყანდება, ყველა მაგას მოჰყვება.

აგრემც ღმერთი ბატონის თავს გიდღეგრძელებს, და მაშინ, როგორც გნებავთ, დამსაქმეთ. აი ეხლაც, შენი კვნესამე, ერთი გაბმა აბრეშუმი მოგართვი, ღმერთი და თქვენი წყალობა თუ კიდევ შეგვაძლებინებს – კიდევაც თქვენი ყურმოჭრილი ყმანი ვართ.

– ბაბალემ ჯიბიდამ ამოიღო ერთი გაბმა აბრეშუმი და მიართო კნეინასა. კნეინამ გამოართო და ამოიდო ქვეშ, ზედაც დაატანა:

ეგ რომ არა ყოფილიყო, განა ისე კი, რაც შემიძლიან, არ გაგირიგებდი!

– ლუარსაბ! ლუარსაბ! – დაუძახა ქმარსა, რომელიც შორი-ახლო ბოლთასა სცემდა და ერთი-ორჯერ მსუნაგსავით მაცდურის თვალით გადმოჰხედა კიდეც მოხდენილ პატარძალსა.

– ლუარსაბი მოვიდა.

– ქა! ბაბალეს კამეჩი მეველეებს დაუმწყვდევიათ და გემუდარება – გამოაშვებინო. ლუარსაბმა შეხედა პატარძალსა, რომელმაც ჩვეულებისამებრ თავი იქით მიიბრუნა. ლუარსაბმა დააკრაჭუნა კიდეც თავისებურად კბილები სიამოვნების ნიშნად, მითამდა სამაცდუროდ გაიღიმა.

– კამეჩიო!..

– ჰო, კამეჩი, – დაატანა დარეჯანმა, – აი ერთი გაბმა აბრეშუმიც მოგართვა.

– მაშ კარგი! დათო ბიჭო! დათო! – დაიყვირა ლუარსაბმა, – ჩადი და უზბაშს[1] უთხარი,

ჩემი ნათლიდედის კამეჩი ეხლავ გამოუშვას, თორემ იქაურობას სულ მტვერს ავადენ. სთქვა, ერთი კიდევ მაცდურად დააკრაჭუნა კბილები, და გამარჯვებულსავით ამაყად წავიდა ისევ ბოლთის საცემლად.

– აი, აგრემც ღმერთი მაგაზედ უფრო მეტს დიდებას და პატივს მოგცემს, აგრემც გაგაპატიოსნოს ღმერთმა, და ერთი კაი ვაჟიშვილი მოგცეს და მე ძუძუ მაწოებინოს, შენი კვნესამე, შენი, ბატონო და ქალბატონო!

– ჰხედავ, – უთხრა დარეჯანმა, როცა ლუარსაბი წავიდა, – ჰხედავ, რა რისხვა შეუთვალა, იქაურობას სულ ააწიოკებს.

– დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

– ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სოფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მაზლი: იმას კაცად არავინ აგდებს.

– აბა, შენი კვნესამე, იმათ ფეხი სად მოუწვდებათ თქვენამდინ, ელისაბედიც მითამ თავადის-შვილის ცოლია და თქვენცა?

– ახლა იმასა ჰკითხე ზოგი, იმისთანა დიდი-კაცი აქ არავინ არის.

– უი, უწინამც დღე გაუქრება! გუშინ მეზობლიანთას გახლდი, იმათი გოგოც იქ მოვიდა. რაც იმან იმათზედ ილაპარაკა, ადამიანისაგან არ გაგონილა.

– რა, გეთაყვანე, რა! – ჰკითხა აჩქარებით და მოუთმენლად დარეჯანმა.

– რაღა რა? ისა, რომ საწყალ გოგოს თავისის თითებით მოგროვილის ფულით ერთი ჩითმერდინი უყიდნია, იმას უნახავს და წაურთმევია. ეხლა თურმე თავზედ იკრავს. გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა, ისე გულანატირად ჰლაპარაკობდა ბედშავი. მე ხომ თქვენის ფეხის ნატერფალიც არა ვარ, მაგრამ მაგას მეც ვითაკილებდი, მამა მიცხონდა!

უი! უი! დახე იმას, იმ წყეულს! ამას იქით როგორღა ამბობს, რომ თავადისშვილის ცოლი ვარო. წართმევა არაფერი, ეგ, რასაკვირველია, ქალბატონის ნებაა: გოგოც ჩემია და ჩითმერდინიც; მაგრამ გოგოს ჩითმერდინის თავზედ შემოკვრა კი სწორედ თავლაფის დასხმაა. კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირო. აი, მეხი კი დაეცა. ისიც, ამას იქით, ჩვენში ერევა, თავადის-შვილის ცოლი ვარო! სხვა არა უთქვამს-რა გოგოსა?

– სხვა არა მოუხსენებია-რა.

– ნუ დამიმალავ, ჩემო ბაბალე! ხომ იცი მე შენი მწყალობელი ვარ, თუ უთქვამს კი-

[1] **უზბაში** – მამასახლისი, მამულის მომვლელი.

დევ რამე – მითხარი.

– არაფერი არ უთქვამს, მამი-ჩემის ცხონებამ, თორემ, რომ ეთქვა, რად დაგიმალავთ.

– რა ვიცი? იქნება გეშინოდეს-მეთქი.

– თქვენისთანა მწყალობელი რომ კაცს სადმე ეგულებოდეს, იქ ვიღასი უნდა ეშინოდეს.

– მეც ეგ უნდა მეთქვა, ჩემო ბაბალე!

– მართალია, გლეხები გახლავართ, მაგრამ ჩვენც გვესმის ეგენი. ვისი უნდა მეშინოდეს, თქვენ აქა მყევხართ!

– მაშ სხვა არა უთქვამს-რა?

– არა უთქვამსრა, აგრემც ჩემზედ მიწა ნუ გენახოთ.

– იტყოდა.

– ის ერთი დედის-ერთა შვილი არ დამიმიწდეს, არა უთქვამს-რა.

– მართლა, შენი შვილი რასა იქს? – ჰკითხა მერე დარეჯანმა, რომ ვერას გახდა-რა.

– რაღა როგორ არის, შენი კვნესამე, ქალბატონო! ავად შენი მტერი გვყვანდეს, ავად მე ისა მყავს. რა არ ვუყავი: ბალახებში არ ვაბანე, არ შევალოცვინე, შანები[1] არ შევაბი, მაგრამ ვერაფერმა ვერ უშველა, აგრემც არა ეშველოს-რა შენს მტერსა! თქვენთანაც კი მომასწავლეს, ვითამც თქვენ უეზარი ლოცვა იცოდეთ, – მიშველეთ რამე, აგრემც მაგიერს ღმერთი გადაგიხდით.

– მე მარტო შაკიკის[2] ლოცვა ვიცი და დასუნთქვილისა. განა შენი შვილის სენი – შაკიკია?

– ჰო, თქვენმა მზემ, შაკიკი გახლავთ. ლამის თავი გაუხეთქოს.

გოგო, ლამაზისეულო! – დაიყვირა კნეინამ, – წადი, საწერკალამი და ქაღალდი, ქეჩის ქვეშ რომ ნაბარათევია, ჩამომიტანე. მე დაგიწერ ლოცვას, ჩემო ბაბალევ, დაწერილი ქაღალდი იმ მხარეს დააკარ, რომელიცა სტკივა, ეგრე იყოს ორი-სამი დღე, თუ შაკიკია – გააქარწყლებს მაშინვე.

– ვერ უყურებთ, მკითხველო! კნეინა დარეჯანი მე უსწავლელი მეგონა და დახეთ, რაები სცოდნია? ეხლა მომაგონდა, რომ იმისი განაყოფი რძალი ელისაბედი, რომელიც ორგანაც მოვიხსენიეთ, თურმე ჩუმად ქვეყანაში ჰლაპარაკობდა, რომ ვითომც დარეჯანმა ჯადოობაც იცისო, ვითომც სოლომონ ბრძნის წიგნიც წაეკითხოს და ამიტომაც ღმერთი უწყრება და შვილს არ აძლევსო. ამისთანა ცილისწამებას როგორ დავიჯერებ? მაგრამ ელისაბედი კი ფიცით იჭაჭებოდა, რომ ეგ ეგრეაო. მაინც არ დავიჯერებ; რძალი როგორც მოგეხსენებათ ჩვენის კურთხეულის ცხოვრების ამბავი – რძლის მტერია. განა ამისთანა ჭორები მოუგონია ელისაბედს დარეჯანზედა?

ამ დროს ძაღლმა, რომელიც შორი-ახლო იწვა და წაეყო ცხვირი მიწაშია, დაიყეფა, მაგრამ, რაკი თვალი გაახილა და დაინახა ორი მომავალი დედაკაცი, ისევ ხმა გაიკმინდა და ღრენით გაჯავრებულსავით ისევ ცხვირი ფეხებით ამოთხრილ მიწაში ჩაჰყო. დარეჯანმაც მოიხედა ამ ხმაურობაზედ და დაინახა კნეინა ელისაბედი და იმის ჩითმერდინით დარბეული, გულდაჩაგრული გოგო.

– დარეჯანი ფეხზედ წამოდგა.

– მობძანდით, ჩემო რძალო! – მიაგება სიტყვა ელისაბედსა, – ძლივს არ მოგვიგონეთ!

– შენმა სიცოცხლემ, მოცლა არა მაქვს. ეს ისაო, ეს ესაო, სახლია, კარია, ხომ მოგეხსენებათ.

– აქეთ მობძანდით, აქეთ უფრო ნიავია, – მოიპატიჟა დარეჯანმა.

– სულ ერთია, – სთქვა ელისაბედმა და წაიძრო ფეხიდამ კროული ჩუსტები, გადმოვიდა ხალიჩაზედ და ჩაჯდა დარეჯანის გვერდით.

– სხვა, როგორა ბძანდებით, ჩემო რძალო? ჩემი მაზლი დავითი ხომ კარგად სუფევს, – დაიწყო ისევ დარეჯანმა.

– კარგად გახლავთ, – მიუგო ელისაბედმა.

– შინა ბძანდება?

აბა ამისთანა დროს კაცი შინ დადგება, მამულის და მოსავლის პატრონი? ყანაშია, ეს ორი დღეც იქნება, – სთქვა რაღაც ნიშნის მოგებით ელისაბედმა და უნებლიეთ შეჰხედა ლუარსაბსა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რომელსაც ფეხებზედ ეკიდა მოსავალიც და მამულიცა.

[1] **შანები** – ნივთები, რომელთაც შეულოცავდნენ და მაჯაზე აბამდნენ, ვითომც ავი თვალისაგან დასაცავად.

[2] **შაკიკი** – თავის ერთი მხარის დროგამოშვებითი ტკივილი, გამოწვეული ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლით.

– დარეჯანს ეწყინა. ამას ეგონა, რომ ელისაბედმა სახრე ლუარსაბისაკენ გადმოიქნივა.

– რასაკვირველია, ვისაც კაცი არა ჰყავს და არ აბადია, – რომ ჩააბაროს სახლის პატრონობა, და ვინც ასე გაზრდილა პატარაობითვე – რომ არც მზე დასიცხავს და არც ავნებს, ის შინ არ დადგება, ჩემი ლუარსაბი მაგას ვერა იქს.

– განა მაგაზედ მოგახსენე! – დაასწრო ელისაბედმა.

– მეც განა მაგაზედ მოგახსენე! – დაატანა დარეჯანმა, – მე მარტო ეს უნდა მეთქო, რომ ჩემს ლუარსაბს ჯერ ისე არა გასჭირებია-რა, რომ გლეხობა ჩაიდინოს.

– გლეხობა ჩაიდინოსო!.. რას ბძანებთ, ჩემო რძალო? არა, თქვენმა მზემ! ვინც მოსავლის დროს შინ არა დგება, განა იმისაგან, რომ გაჭირებულია, ან გლეხობა ჩაიდინოს და მესვეურსავით[1] მკაში ბეგრის ხალხთან ოფლი იწუროს? თქვენც არ მამიკვდეთ. აი, თუნდ თქვენი მაზლი, – განა გლეხია, ან გლეხობას იდენს, რომ ყანაშია? სულაც არა, თქვენმა მზემ! მუშები იქა მკიან და იმას კი, როგორც შეჰფერის თავადიშვილის პატიოსნებასა, ხელზედ ლამაზი ნაგეში მიმინო უზის და ნადირობს. გუშინ საღამოზედაც, ჯერისთვის რომ ბიჭი ამოვიდა, ერთი აბგა მწყერი გამოეგზავნა. რა სათაკილოა, თქვენი ჭირიმე, მეფეები ნადირობენ და იმისთვის რა სათაკილოა!..

– არა, თქვენმა მზემ, ჩემო რძალო, მე ჩემს მაზლზედ არ მომიხსენებია. ისიც ლუარსაბის ძმა არ არის, ერთის სისხლისა და ხორცისა? განა არ ვიცი, რომ სხვებსავით ხელებს არ დაიბებრებს ნამგლის ჭერითა და არც ამ პაპანაქებაში დაისიცხება? განა არ ვიცი, ნამდვილის სისხლის თავადიშვილი ამას ვერ აიტანს, – და, სწორედაც მოგახსენო, არც საკადრისია: თავადს – თავადობა უნდა ეტყობოდეს და გლეხს – გლეხობა.

– მართალი ბძანებაა, თქვენმა მზემ!

– არა და, რომ არ იქნება: მთა და ბარი ვის გაუსწორებია?

არავის, თქვენმა მზემ, ღვთის ბძანებას ვინ წაუვა?

ამ დროს ფეხის ხმაურობაც მოესმა დარეჯანსა, მოიხედა და დაინახა თავისი გოგო, ლამაზისეული, რომელსაც ხელში ეჭირა რაღაც ნაბარათევი და თავმოტეხილი წამლის მინა, რომელიც საწერელობას[2] ჰთამაშობდა.

– რა დაგემართა აქამდინ? ის კიდეც წავიდა, – უბძანა დარეჯანმა.

– ჯერ კიდევ აქ გახლავთ, ქალურშია[3] თაფლუასთან, – მიუგო გოგომა.

მაშ კარგი, – სთქვა დარეჯანმა, დაიდო მუხლებზედ ქაღალდი და დაიწყო შაკიკის ლოცვის წერა. ამ დროს ლუარსაბიც მოვიდა ახალუხ და შალვარ-ჩაცმული, მოიკითხა ზდილობიანად თავისი რძალი და გაგორდა იქავ ხალიჩის ახლო მწვანე ბალახზედ და, დაასვენა რა ჩიბუხის ტარი თავის ღირსეულს მუცელზედა, – დაუწყო პირაღმა ყურება გუმბათიან ცასა.

მშვენიერს სურათს წარმოადგენდა ეს კრება. აღვწერ, თუ კი შევიძელ. ჯერ გოგოდამ დავიწყოთ.

სასაცილო რამ იყო ეს ლამაზისეული: ერთი რაღაც უშნოდ ჩასუქებული, ჯმუხი, ჭუჭყიანი, ტანზედ ეცვა ხამის[4] ჩითის კაბა, ჭუჭყისაგან ვერ გაირჩეოდა – რა ფერისა იყო; კალთები აქა-იქ გამომწვარი ჰქონდა ზამთარში ცეცხლთან ახლო გდებისაგან, ბოლოები სულ მომპალი და შემოფხრეწილი ჰქონდა; დახეულებიდამ გამოჩანდა ერთი რაღაც დამპალის საბნის ნაგლეჯი, კაბის ქვეშა გარშემო ჩამოკიდებული, მითომ და იუბკაა. აი, მეხი კი დაგეცა! ამასაც კი სდომებია იუბკა! თავზედ ეკრა შიგა-დაშიგ ამოფლეთილი ჩითმერდინი, ქალბატონის გამონაცვალი. იმ ამოფლეთილებში მუთაქის მატყლსავით დასორსვლილი შავი – უკაცრავოდ არ ვიყო – წილიანი და დაუვარცხნელი თმა მუჭა-მუჭად ამოშვეროდა. ქუსლებ-დახეთქილი, მუგუზალსავით შავი ფეხები, წენგოსაგან შეღებილი ხელები,

[1] **მესვეური** – მკაში, თოხნასა და მისთანებში მუშა, რომელსაც დანარჩენები მისდევენ.

[2] **საწერელი** – სამელნე.

[3] **ქალური** – საქალებო, სადაც მოახლეები იყრიან თავს.

[4] **ხამი** – ბამბის ქსოვილი, შინ დართული მსხვილი ძაფისაგან.

ცხვირ-პირი ქვაბების მურით მოთხუპნული – აი, ამგვარი იყო ის ცხოველი, რომელსაც დარეჯანი „ლამაზისეულს“ ეძახდა და რომელიც გულხელ-დაკრებილი დაჰყურებდა ბალან-გაცვივნულ ხალიჩასა. ხალიჩაზედ ორი პატიოსანი და დარბაისელი კნეინა იჯდა, როგორც მოგახსენეთ წინათვე, – ორი კნეინა, მაგრამ კი სხვა-და-სხვანაირი: ერთი მსუქანი, წითური, მეორე გამხდარი და უფერო. მსუქანი თავჩაღუნული სწერს, გამხდარი კი თვალ-გაფაციცებით თვალს ადევნებს მწერალის ხელსა, იქნება როგორმე შევატყო, რასა სწერსო: ხანდისხან გოგოსაც თვალს უშვრება და თავს უქნევს იმის ნიშნად, რომ „წეღან რომ სთქვა – „წავიდაო“, ვიზედა სთქვაო“. გოგოც იქიდამ ანიშნებს და ელისაბედი ვერ მიმხვდარა. მაშინ გოგო პირზედ ხელს იფარებს, თავს იქით იბრუნებს, მითამ ეცინება კიდეც – რომ ელისაბედი ჰცდილობს და ვერ მიმხვდარა კი, და ჰმორცხობს კიდეც – რომ ბატონის რძალთან სიცილსა ჰბედავს. აქეთ ბალახებზედ ხალისიანად ჰქშენს ჩვენი ლუარსაბი, პირაღმა წევს, აბოლებს ჩიბუხს და, მინამ თვალში ცრემლი არ მოუვა, თვალს გულმოდგინებით ჩიბუხის ბოლს ადევნებს, – ვნახო, ღრუბლებამდინ ავა, თუ არაო. იქით, ხალიჩის დასწვრივ, ღობის გადმოღმა, ჩვენი ნაცნობი ქოფაკი ძაღლი წევს, ისევ-ისე მიწაში ცხვირწაყოფილი და ქანცმიწყვეტილსავით თვალებ-დახუჭვილი; ყოველს ხმაურობაზედ მძიმედ ახილებს თვალსა და გულზედ-მოსულსავით ჰღრინავს, თითქო ჯავრობსო – რომ ძილს უფრთხობენ. პატარა შორი-ახლო ძველი, ჭუჭყიანი სამოვარი სდგას, გვერდით დაჩოქილია გოგოზედ უარესად ჭუჭყიანი, დაგლეჯილი პატარა ბიჭი და, რაც ძალი და ღონე აქვს, უბერავს სამოვარსა. ხანდისხან ისეთის სახით გადააპარებს თვალსა იქითკენ, საცა ძაღლი განცხრომითა წევს და მოსვენებაშია, რომ თითქო შეჰნატრისო მის ყოფა-ცხოვრებასა და გულში ამბობსო: ნეტავი შენ, რომ ძაღლი ხარ! ნეტავი მეც ძაღლი ვყოფილიყავი!

ეს საძაგელი სურათი საძაგელის მიწისა, სასაცილოდ ახამებდა ამ დიდებულ სამხრეთის ცასა, მის ერთნაირად ღრმასა და ციაგსა[1] კამარასა, რომელზედაც სარტყელსავით მიიგრიხებოდა ერთ გაუწყვეტელ ზოლად მთების ლაჟვარდი გრეხილი.

დრო გავიდა. დარეჯანმა გაათავა ლოცვის წერა და ბარათი მისცა გოგოს, ამ სიტყვის ზედდატანებით: როგორც გითხარი, ისე მოიქეცი-თქო.

– მერე მოუბრუნდა ელისაბედს და შესაქცევრად ჩამოუგდო ლაპარაკი. ლუარსაბი ისევ ოცნებაში იყო და აბოლებდა ჩიბუხსა.

– პურის მოსავალი როგორი გაქვთ წელს? – ჰკითხა დარეჯანმა.

– თქვენმა მზემ, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მაზლს ოცდაათის ურმის იმედი აქვს, – დაიტრაბახა ელისაბედმა.

– ეგ, ბატონო, კაი მოსავალია. ოცდაათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვივა მაგდენი, მაგრამ ჩვენ ერთი ორად მეტი ნახნავი გვქონდა თქვენზედა, – იტყუვა თავის რიგზედ დარეჯანმაც.

– რას ბძანებთ, ჩემო რძალო, ჩვენზედ მეტი თქვენ რად გექნებოდათ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა წელსა.

– რად გექნებოდათო? ჩვენ მკათათვის ნახევარში გუთანი გატანილი გვქონდა, თქვენ კი ენკენისთვეშიაც არ გაგეტანათ.

– არა, თქვენმა მზემ, ჩვენ თქვენზედ ადრე გავიტანეთ. ჩვენ დიდი ნახნავები გვქონდა.

– აი, ბატონო, თუნდ ლუარსაბსა ვკითხოთ. ეგ კაცია, მაგას უფრო ეცოდინება. ლუარსაბ! – დაუძახა ქმარს კნეინამა.

– რაო? – ჰკითხა ლუარსაბმა და მოიღრიჯა ცოლისაკენ კისერი.

– შენი რძალი ამბობს, რომ ჩვენ ამათზედ ნაკლები ნახნავები გვქონდაო წელსა.

ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალო! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნავები მქონდა, – მიუგო ლუარსაბმა. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა.

– რას ბძანებთ!.. ჩემოდენა მოსავალი კახეთში ორს არ მოუვა, ქართლშიაც ბევრს არ მოუვა. აი, ჰნახავ, რამოდენა ფრთამოქცეულს[2] წამოვაყენებ კალოზედა. ასეთს წამოვაყენებ რომ... რომ... აბა რა გითხრათ? თუნდ თორმეტ ამ სახლის

[1] **ციაგი** – სხივი, შუქი, ბრწყინვალე.

[2] **ფრთამოქცეული** – გრძლად დაზვინული, გადაბმული ძნა.

ოდენასა, ვაი არა აქვს ლუარსაბსა! ფიე! ნახნავი იყო, რომ ჩემი იყო. შარშან ვენახისა არ იყოს, ჩემოდენა ღვინო კახეთში ორს არ მოუვა. ქართლში ხომ ნახევრის ნახევარიც არ მოუვათ. მაშ! თუ ეს მართალი არ იყოს, საიდამ ვცხოვრობ ეგრე მეფურად? საიდამ? ლევანსავით ურმებს ხომ ქირაზედ არა ვგზავნი, თავადიშვილის სისხლს ხომ არ შევირცხვენ! სომეხი ხომ არა ვარ, რომ ქირაობით ვიცხოვრო.[1] თავადიშვილი ვარ, კაი ოჯახის და გვარის შვილი.

– კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა, მაგრამ ელისაბედმა აღარ დააცალა:

– მართლა, ჩემო მაზლო, ლევანი ქირაზედ ურმებს ატარებს?

– მართლა, მაშ! ის შერცხვენილი, გვარის დამამცირებელი ისა!

– ნიკოლოზიც ატარებს თურმე, – დაუმატა დარეჯანმა.

– მაშ?! – უპასუხა ლუარსაბმა.

– უი, ლაფი დაესხათ თავზედ. კარგი გვარის მასახელებელი ისინი ყოფილან, – სთქვა ელისაბედმა.

– ნეტავი თავადიშვილი მაინც არ იყოს! – დაუმატა გულმტკივნეულად დარეჯანმა.

– ეგ არის და, რომ თავადიშვილია! – სთქვა წყრომით ლუარსაბმა. – თავადიშვილი რომ არ იყოს, ჯანი გავარდეს. ან გლეხი იყოს, ან სომეხი, კიდევ ჰო, – ეგა მკლავს, რომ თავადიშვილია. ძალიან არ წახდა ხალხი, თქვენი ჭირიმეთ! ამასაც შევესწარი, რომ თავადიშვილი ქირაზედ ურმებს ატარებს!

– მერე რა დედ-მამის შვილი – წამოიძახა დარეჯანმა.

– ეგა სთქვი და, – მიუგო ლუარსაბმა.

კაცმა ეგრე როგორ უნდა დაკარგოს პატივი, – სთქვა თავის რიგზედ ელისაბედმა.

– ამას იქით გლეხი და თავადი რით უნდა გაირჩიოს. გლეხიცა გზავნის ურმებს ქირაზედ და თავადიშვილიცა, ისიც ქირითა სცხოვრობს და ესეცა. რით უნდა გაირჩიოს? – იკითხა ლუარსაბმა.

– არაფრით, თქვენმა მზემ, – დაარწმუნა რძალმა.

– ოღონდაც, რომ არაფრით, – კვერი დაჰკრა ცოლმაც.

– მშიერი რომ ვკვდებოდე, მშიერი, და ასი ურემი მებმებოდეს, მე მაგას არ ვიკადრებდი, თავი არ მომიკვდება. შენა, ჩემო რძალო?

– უი, უწინამც დღე გამქრობია. ვიკადრებდი კი არა, მე ჩემის ხელით თავს მოვიკლავდი. ოხრად დამრჩეს ქირით შემოტანილი ქონება. რა თავადიშვილის საქმეა.

– შენა, დარეჯან? – ჰკითხა ეხლა თავის ცოლს ცნობისმოყვარე თავადმა.

– არც მე, – სთქვა დარეჯანმა.

– მაშ არც მე, – სთქვა ლუარსაბმა იმ სახით, თითქო ამ სამის აზრით სამის ქვეყნის ბედი გადაწყდაო. – არა, დრო ძალიან გამოიცვალა, ჩემო რძალო! – გააგრძელა სიტყვა ლუარსაბმა, – ხალხი წახდა, სისხლი მოითხარა. აბა ჩვენ დროს ვინ მოიფიქრებდა, რომ თავადიშვილს თავი შეერცხვინა და ურემი ქირაზედ ეტარებინა. ქვით არ ჩავაქვავებდით? თავზედ ლაფს არ დავასხამდით? მაგრამ ეხლა? – დასწყევლოთ ღმერთმა – სირაჯობენ[2] კიდეცა!.. გაგონილა? თავადიშვილების სირაჯობა! ოჰ, ღმერთო, რატომ წარღვნა არ მოვა? სომხები გახდნენ, სწორედ სომხები: ეხლა ისღა აკლიათ, ადლი[3] ამოიჩარონ იღლიაში, სოფელ-სოფელ იარონ და „სავაჭრო, სავაჭრო“ იძახონ.

– მაგასაც იქმონენ, თქვენმა მზემ, – სთქვა ელისაბედმა, – მე კი ღმერთმა ნუ შემასწროს იმ დროსა და!

– იქმონენ, თავი არ მამიკვდება, იქმონენ, – წარმოსთქვა მწუხარებით ლუარსაბმა, ბატონო! სისხლი რომ აღარ არის? წახდა სისხლი, მოითხარა.

– მართლა რომ წახდა, – დაატანა დარეჯანმა.

– ი, მაგალითად, გუშინ ზაქარიას ცოლს რა უქნია? – წამოიძახა ენაჭარტალა ელისაბედმა, – იცით რა უქნია? – ბიჭს გაუ-

---

[1] ამ ეპიზოდში ლუარსაბი უარყოფით კონტექსტში ახსენებს სომხებს. მისი სიტყვები სტერეოტიპულია და დამაკნინებელი, რაც თანამედროვე საზოგადოებისთვის მიუღებელია.

[2] **სირაჯობა** – ღვინით ვაჭრობა.

[3] **ადლი** – სიგრძის საზომი ერთეული, დაახლოებით ერთი მეტრი; აქ: ხელსაწყო.

ჯავრებია... ზაქარიას ცოლი ხომ ანჩხლია?

– მერე რა-რიგი! საშინელი! – დაჰკრა კვერი დარეჯანმა.

– ბიჭს გაუჯავრებია, – დაიწყო ისევ ელისაბედმა, – გამოსდგომია, წაუძვრია ფეხიდამ ჩუსტი ყოფილა თუ ქოში – ქოში იქნებოდა – ამდენი უცემია, რომ დაუოსებია თურმე.

– არა, თუ ღმერთი გწამს? – ჰკითხა გაკვირვებულმა ლუარსაბმა.

– თქვენმა სიცოცხლემ!

– ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ! იქნება პატარა ბიჭსა სცემა?

– კიდეც ეგ არის, რომ არა. პატარა ბიჭს რომ სცემოს, ეგ არაფერი: აი, მეცა ვსცემ ხოლმე, – სთქვა ელისაბედმა.

– მეცა, თქვენმა მზემ, – უპასუხა დარეჯანმა, – პატარა ბიჭი და გოგო სულ ერთია. როგორც ქალბატონმა რომ გოგოსა სცემოს, არ დაიძრახება, ისე პატარა ბიჭს რომ სცემოს, არაფერია.

– რასაკვირველია, – ჩამოართო სიტყვა ელისაბედმა, – პატარა ბიჭის ცემაზედ ვინ დაიძრახება. ის კი ვაჟკაცი კაცი გხლებიათ, აბა ქალი რომ ვაჟკაცს შეებას, – ვერაფერია, თქვენმა მზემ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩემო, – სთქვა პირჯვრის-წერით ლუარსაბმა, – ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ: დედაკაცმა ისე თავზედ ხელი უნდა აიღოს, რომ ვაჟკაცსა სცემოს? ცემა არაფერია, მაგაში ბატონს ვინ დასძრახავს, – იმისი ბატონი არა ვარ, რომ მინდა ვცემ, მინდა არა, – მაგრამ კაცმა კაცს უნდა სცემოს, დედაკაცისაგან რომ არა თქმულა! რომ არ გაგონილა! აი, გოგო ჰყავს, გოგოს რამდენიც უნდა სცემოს, ეგ საკადრისია, კაცს კი... ღმერთო დამიხსენ ქვეყნის ცოდვისაგან.

ეგ რა კიდევ... – უნდა დაეწყო კიდევ ელისაბედს ჭორიკანაობა, მაგრამ ამ დროს

– ჩაიც მოართვეს.

– სიტყვა კი არ დაივიწყოთ, ჩემო რძალო, – უთხრა დარეჯანმა, – ჩაი მიირთვით.

მიირთვით, სულ ერთია, – უპასუხა ელისაბედმა და წამოავლო ჭიქას ხელი.

ჩაი ჩამორიგდა.

– ელისაბედმა მოსვა ცოტა თუ არა, ისევ დაიწყო გაწყვეტილი სიტყვა:

– იმას მოგახსენებდით: იმ წუწკს ნიკოლოზს, იცით, რა უქნია? თავის მოახლისათვის არშიყობა დაუწყია. ერთხელ ბინდი ყოფილა, – აქ რაღაც წასჩურჩულა დარეჯანს ყურში, – ბიჭებს დაუნახავთ, ქალბატონისთვის შეუტყობინებიათ, ის საწყალი ქალიც მისულა და გულს შემოჰყრია. აი, ბატონო!..

– მართლა?

– თქვენზედ მიწა არ მენახოს! – მოაჭორა ელისაბედმა და, მითამ ნიკოლოზის ცოლზედ გულიც შესტკივა, დაუმატა: – მე ის საწყალი ქალი მეცოდება, თორემ ნიკოლოზს თუნდა თავშიაც ქვა უხლია.

– საშინელ დროებას არ შევესწარით, თქვენი ჭირიმეთ! – მართალის გულით სთქვა ლუარსაბმა, – სწორედ მეორედ მოსვლა მოახლოვდა: ვაჟო, ქალს – ქალობა აღარ ეტყობა, კაცს – კაცობა. ტყუილად კი არ მოგვეჩვენებიან ეს კუდიანი ვარსკვლავები, ერთი ღვთის რისხვა რამ უნდა მოვიდეს. რომ არ გაგონილა ყურით და ენით არა თქმულა ქალისაგან ვაჟკაცის გალახვა და ქმრისაგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები! სირცხვილი აღარ არის ეხლანდელ დროში. პირში წყალი გაგვშრობია.

– რა, ისე ჩუმად მოეხდინა მაინც იმ სულის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა, – სთქვა დარეჯანმა.

ჩუმად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყოდა? – გააწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა. – განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორციელები არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ დაფარული იყო, ისე დაიჭერდნენ საქმეს – რომ ხორციელ ადამიანს არ გააგებინებდნენ, – ბევრი მაგისთანაები მომხდარა უწინაც, მაგრამ აბა ერთი შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩუმად და გონიერად იცოდნენ უწინ ყველაფერი, ამიტომ რომ პირში წყალი ჰქონდათ. ეხლა, ბატონო, არაფრისა აღარ ჰრცხვენიანთ. ნამუსი აღარ არის, არა, წახდა ქვეყანა.

– სწორედ მეორედ-მოსვლის ნიშნებია, – დაუმატა დარეჯანმა.

სწორედ. აი, ერთი კიდევ რა შევიტყე. გოგო და ბიჭი დაითხოვეთ, მოგახსენებთ, – სთქვა ელისაბედმა.

გოგო და ბიჭი დაითხოვეს. ელისაბედმა შემოავლო თვალი გარეშემოსა და ჰნახა

რომ არავინ არ არის, მიჯდა ახლო. ლუარსაბმა ყურები დააცქვიტა და ახლო მოიწივა. დარეჯანმაც ყურთან ლეჩაქი გადაკეცა, რომ კარგად გაიგოს.

– ელისაბედმა დაბალ ხმით დაიწყო:

– ამ წინაზედ რომ კუდიანი ვარსკვლავი ამოვიდა, ხომ გახსოვთ?

– დიაღ, – მიუგეს ერთხმით ცოლ-ქმარმა.

– იმ დღეს თურმე გველეშაპი გამოსდგომოდა მზესა, – ისიც ხომ გაიგეთ?

– დიაღ, დიაღ, გავიგეთ! – წამოიძახეს ერთად შეშინებულმა ცოლმა და ქმარმა.

იმ კუდიან ვარსკვლავზედ და გველეშაპზედ სომხების ტერტერებს[1] თავიანთი კარაბადინი[2] გაუშლიათ და უთქვამთ, რომ – აქ უფრო ხმა დაიდაბლა – თავადიშვილებს ყმები ჩამოერთმევათო.

– ვაი შენს ლუარსაბსა! – წამოიძახა ფერწასულმა ლუარსაბმა.

– ეგ რა სთქვი, რა? აკი მოგახსენეთ, ბატონებო, რომ წარღვნა უნდა მოვიდეს-მეთქი. აი, ღვთის წყრომა! სულ ჩვენისავე ცოდვებისაგან მოგვევლინა. მამაჩემი ზაალ ნუ წამიწყდება, რომ წავალ, ზაქარიას ცოლსაც, ლევანსაც, ნიკოლოზსაც წიხლქვეშ გავიგდებ, რომ ეს ამბავი სულ იმათი უნარია. კიდევ ატარონ ქირაზედ ურმები!

– რაზედ გაცხარდი, შენ გეთაყვანე! – მიატანა ლუარსაბსა ცოლმა, – სომხების კარაბადინს როგორ უჯერებ! შარშანწინ კი არა სთქვეს, რომ დედამიწა ხარის რქაზედა სდგას. იმ ხარს ერთი რქა მოსტეხია და ქვეყანა უნდა გადაბრუნდესო, მაგრამ ტყუილი კი გამოდგა. გარეჯელ მკითხავს ეთქო, რომ არც რქა მოსტეხია და არც არაფერიო.

– მართლა, ეგ კი აღარ მომაგონდა – სთქვა ეხლა კი დამშვიდებულმა ლუარსაბმა, – ჭორი იქნება. აბა, გეთაყვა, მეფის ერეკლეს ნაბოძებს სომხის კარაბადინის სიტყვით ვინ წამართმევს? თუნდ ეგ არ იყოს, რიღას თავადიშვილი ვიქნებით, თუ ყმაც არ გვეყოლება: კარაბადინი კი არა, სოლომონ ბრძნის წიგნიც რომ იყოს, არ დავიჯერებ. ან რა დასაჯერია?

– რასაკვირველია, დასაჯერი არ არის, მაგრამ გლეხობაში ეგ ხმა გავარდნილა, – ეგ ცუდია, თქვენმა მზემ, – სთქვა ელისაბედმა.

– ხმა გავარდნილა, მე ვიცი, თათქარიძობას წამართმევენ! შარშან კი არ იძახდნენ, რომ საიქიოს ბატონები ყმებად შეიცვლებიანო, ყმები ბატონებადაო, – ვენაცვალე ღვთის მადლს, იქაც ისე არიანო ბატონი ბატონადა, ყმა ყმადაო, როგორც აქა. ინგლისის ხელმწიფეს ბარათი ჩამოუგდიაო ფრანგის ხელმწიფისათვის, რომ „ნუ გეშინიანო, მეცა და ჩემ დიდკაცებსაცაო აქ უფრო დიდი პატივი გვაქვსო, მინამ მანდაო. ნუ დაიჯერებო, რასაც მანდ ყბედობენო“.

– რასაკვირველია, ეგ აგრე იქნება: ბატონყმობა ღმერთს დაუწესებია და თითონვე ღმერთი რად მოშლის? ვენაცვალე ღვთის დიდებასა! – სთქვა დარეჯანმაცა.

– უფლისა უფალსა და კეისრისა კეისარსაო, სახარებაში სწერია: კეისრები ჩვენა ვართ, – დაუმატა ელისაბედმა.

– მართალი ბძანებაა, ჩემო რძალო! სახარების სიტყვას ვინ წაუვა? – მიატანა დარეჯანმა.

– არავინ, თქვენმა სიცოცხლემ! – დაამტკიცა ელისაბედმა და წამოდგა შინ წასასვლელად, – მშვიდობით ბძანდებოდეთ!

– მშვიდობით, ჩემო რძალო! ბიჭებში კი ხმა გააგდეთ, რომ ტყუილია-თქო, – ურჩია ლუარსაბმა.

– თქვენც რომ ეგრე ჰქმნათ, ცუდი არ იქნება: გლეხები არიან, მალე დაიჯერებენ ტყუილსაც და მართალსაც. მშვიდობით, – გამოესალმა და წავიდა ელისაბედი. თან აედევნა დაჩაგრული გოგო.

– ღმერთო, რა მეჭორეა!.. რა ენაჭარტალაა!.. – უთხრა ქმარს ელისაბედზე დარეჯანმა.

– ის რა მოიგონა, თქვენი ჭირიმეთ, ყმები უნდა ჩამოგვერთოსო! – დაჰკრა კვერი ლუარსაბმა.

– შენ ხომ მაშინვე დაიჯერე!

– კარაბადინმა სთქვაო, მოდი და ნუ დაიჯერებ. ის კი, ღვთის წინაშე, არ მომაგონდა, რომ გარეჯელ მკითხავს ბევრჯერ გაუცრუებია სომხური კარაბადინი.

– გონება სადა გქონდა?

---

[1] **ტერტერა** – სომხეთის წმიდა სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელი.

[2] **კარაბადინი** – წიგნი, შეიცავს სხვადასხვა სნეულებათა აღწერას, ცნობებს მათი მკურნალობისა და სამკურ- ნალო საშუალებების შესახებ.

ეჰ, შე დალოცვილო! აქა მქონდა, მაგრამ ვერ მომაგონდა. სულ რომ მაგონდებოდეს, რაც გამიგია, მეტი რაღა მინდა: სოლომონ ბრძენი ვიქნებოდი. თუნდ ეგ არ იყოს, ქვეყანაზედ რა ვიცი რამდენი ეშმაკის მანქანებაა, ეგეც იქნება ერთი იმათგანი იყოს. ვეჟო, ცოდვილ ქვეყანაზედ რა არ მომხდარა ჩვენის ცოდვებისაგან? ეგეც შეიძლება, რომ მოჰხდეს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივდებაო, ნათქვამია; ხმა გავაგდოთ, რომ ტყუილია.

– რასაკვირველია, ცუდი არ იქნება, ჩვენ მაგითი რა დაგვაკლდება?

– არაფერი, შენმა მზემ, – ეხლავ დავუძახებ დათოსა და ვეტყვი. – დათო, დათო! – დაუყვირა ბატონმა.

– ბატონო! – სადღაც შორიდამ მოისმა დათოს ხმა: – ეხლავ გიახლებით. ცოტას ხანს შემდეგ დათოც მოვიდა და ჰკითხა ბატონსა:

– რას გვიბძანებთ?

– იმას, რომა, ყმები ჩამოგვერთმევაო რომ ამბობენ, ტყუილია. გესმის, თუ არა? ყველას უთხარი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია, რომ დავარჩობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართალიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. გაიგე?

– გავიგე, შენი ჭირიმე! – უპასუხა დათომა, – განა მაგას ვინა ჰფიქრობს? აი, რაღაც გოგო-ბიჭები მიჰქარავენ, შენი ჭირიმე, იმათ ვინ დაუჯერებს. წვრილფეხობის სიტყვა რა დასაჯერია? იყბედებენ და დაჩუმდებიან.

– ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო! ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა გყვანდეთ.

– შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით, შენი ჭირიმე!

– რაც უნდა იყოს, მამასავით გპატრონობთ.

– დიაღ, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბძანდებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდისხან გაგვიწყრებით, აგვიკლებთ, წაგვართმევთ, – ეგ რა? სულ ჩვენის სიკეთისათვის არის ხოლმე, განა მამა შვილს არ გაუწყრება?

– ოღონდაც, რომ გაუწყრება, მაგრამ შვილი ისევ შვილია, მამა ისევ მამაა ხოლმე.

– მართალი ბძანებაა. სხვას არა აქვს მაგის გაგება, ამბობს, რომ რაც ჩემია – ჩემი უნდა იყოს, ბატონი რად უნდა გვართმევდესო. ის კი არ იციან, რომ თუ ბატონი ართმევს რასმეს, სულ იმათისავე სიკეთისათვის ართმევს. ხომ მოგეხსენებათ, გლეხკაცი რეგვენია.

– ოღონდაც რეგვენია, – ჩაერივა დარეჯანი, – მაშ ბატონი რისა არის, თუ არ დასტუქსავს, არ წაართმევს? თუნდ ეგ არ იყოს: უცხო ხომ არ ართმევს, ისევ თავისივე ბატონია.

– მართალი ბძანებაა. მამაა, უცხო რად იქნება? – დაუმატა ეშმაკობით დათომა.

– დიდი და პატარაობა სად არ არის? – სთქვა ლუარსაბმა, – აი, თუნდ თითებზედ დაიხედე: ერთი დიდია, მეორე პატარა. რისთვის? ამისთვის, რომ ღმერთს აგრე გაუჩენია, დიდი და პატარაობა ყველგან უნდა იყოს. აბა, დაიხედე!

– განა არ დამიხედნია, შენი ჭირიმე! დიდიც არის, პატარაც, მაგრამ, დაილოცა ღვთის სამართალი, ისე გაუჩენია, რომ ერთმანეთს არ უშლიან, – სთქვა ცბიერმა დათომ.

– მაშ! ყველგან არის დიდი და პატარაცა, ეხლა როგორ იქნება, რომ ჩვენში არ იყოს. ან რა დასაჯერია? – გააგრძელა ლუარსაბმა და ვერ გაიგო კი დათოს აზრი.

– ვისაც თავში ტვინი აქვს, აკი არ იჯერებს, შენი ჭირიმე, ვინც უტვინოა – ისინი მოგახსენებენ, რომ მართალიაო.

– როგორი მართალია? – დაატანა დარეჯანმა, – ხელმწიფისათვის ან ჩვენ რა დაგვიშავებია, რომ ყმები ჩამოგვერთოს, ან თქვენ რა შეგიმატებიათ, რომ გაგააზატონ. ეს როგორ ვერ მოიფიქრეთ?

– მითამ მოგახსენებენ, შენი ჭირიმე, ჭკვიან კაცებს დაუწერიათო, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო. ტყუილი უნდა იყოს.

– ტყუილია, მაშ რა არის? – დაიყვირა ლუარსაბმა, – აბა, რომელი ჭკვიანი კაცი იტყოდა მაგას, თუ არ იუდას კერძო?

– აი, მეხი კი დავაყარე იმისთანა ჭკვიანსა! – მიაყარა ქოქოლა დარეჯანმა.

– თუ ეგ მართალია, გარეჯელ მკითხავს იცი რა უთქვამს? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– არა, შენი ჭირიმე! რა მოგახსენათ?

– ისა, რომ ტყუილიაო.

– აბა, იმისთანა გულთმისანს მოდი და ნუ დაუჯერებ, – დაუმატა დარეჯანმა.

– მე ეგ ადრევე ვიცოდი, შენი ჭირიმე, რომ

ტყუილია, აბა უბატონოდ რა ხეირი დაგვეყრება? უპატრონო საყდარსაო ეშმაკები დაეპატრონებიანო, გლეხები იტყვიან ხოლმე. ჩვენც ეგრე მოგვივა. ეხლა ამითი გვატყუებენ თავადებსაც და გლეხსაც, რომ ქვეყნისათვის კარგი იქნებაო, თორემ რა დასაჯერია?

– თუ მე არ ვიქნები, ქვეყანა თუნდ ძირიანად ამოვარდნილა, თუნდ ბოდბელისა არ იყოს – „ქვა ქვაზედაც ნუ იქნება“, – სთქვა ლუარსაბმა, – ქვეყნისათვის კარგი იქნებაო! თუ მე და შენ არ ვიქნებით, ქვეყანა რად გვინდა? ჯანიც გავარდნია. არა, დათო?

– დიაღ, შენი ჭირიმე! სულ ტყუილია. მე ბევრისათვის მითქომს, რომ ტყუილია, და როდი მიჯერებენ.

– შენ უთხარი, რომ თითონ ბატონმა თავის პირით მიბძანა-თქო, მაშინაც არ დაიჯერებენ? – უბძანა ლუარსაბმა.

– მაშინ კი რაღა ეთქმით, შენი ჭირიმე!

– ეგრე, ჩემო დათო! ყველას უთხარი.

– ბატონი ხარ, მაშ გიახლოთ?

წადი.

– დათო წავიდა. ვინ იცის გულში როგორ ეცინებოდა ამ პირმოთნე ყმასა.

– არა, გული დააჯერა, რომ ტყუილია, – უთხრა დარეჯანმა, როცა დათო წავიდა.

– ჭკვიანი კაცია, დააჯერებდა, – უპასუხა ლუარსაბმა.

V

– ყველა-ყველა და ამაღამ ვახშმად რა გვაქვს? – ერთს საღამოს ლუარსაბმა თავის მეუღლეს ჰკითხა, როცა ქათმების შესხდომის დრომ მოაღწია.

– დარეჯან! არ გეყურება, დედაკაცო? ამაღამ რა უნდა ვჭამოთ?

– რატომ რა უნდა ვჭამოთ, გენაცვალოს დარეჯანი! ღვთის წყალობა ბევრი გვაქვს, ანუგეშა დარეჯანმა.

– მაინც?

სადილიდამ დარჩომილი კაი ცივად ძროხა გვაქვს, კარგი ღორის სუკებია, კარგი... კიდევ უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ღორის სუკების ხსენებაზედ აღტაცებულმა ლუარსაბმა სიტყვა გააწყვეტინა:

– უჰ, უჰ, უჰ! ეგ ღორის სუკები, შენმა მზემ, რადაც უნდა ჰღირს. სხვა? მე ამაღამ როგორღაც მადაზედა ვარ.

– ზურგიელიცა გვაქვს, ღვინოები რომ იყიდა, იმისი ფეშქაშია. ასეთია, რომ ქონი გასდის.

– უჰ ეგეც კარგია. სხვა?

– ყველი, პური და კაი გული.

არც ეგ არის ურიგო, შენმა მზემ: ჩვენისთანა ვახშამი ხელმწიფესაც არ ექნება. გაიკეთა ჩიბუხი მადაწახალისებულმა მებატონემ და, მინამ სანატრელს ვახშამს მოიტანდნენ, მოუთმენლად წინა და უკან პატარა ოთახში ბოლთასა სცემდა. ხანდისხან რაღაც ფიქრში გართული უეცრად წამოიძახებდა: „ღორის სუკები? შენმა მზემ, რომ კარგია!“

– ვახშამსაც, როგორც ყველაფერსა ამ წუთის-სოფელში, ბოლო მოეღებოდა. გამაძღარი და ტახტზედ გადაგორებული ლუარსაბი ეხლა ხვალისთვის დაიწყებდა ზრუნვასა. მაშ! ოჯახის კაცი იყო.

– ესეც ვახშამი, ღვთის მადლით, გადავაგორეთ, ეხლა ხვალინდელ დღისათვისაც ვიფიქროთ. ხვალაც ჭამა გვინდა, დალოცვილს ღმერთს ეგრე გაუჩენია კაცი. ხვალ რაღა ვჭამოთ?

– ხვალ?.. – ჩაფიქრდა დარეჯანი, ვითომც და ძნელი გამოსარკვევი საქმე მიანდვეს:

– ხვალ? დაიცა ერთი მოვიგონო... ხვალ? არტალაზედ როგორა ხარ?

უჰ, უჰ! შენმა მზემ, კარგი რამ მოიგონე. არტალაზედ? ვაცივითა ვარ, ვაცივით, – უპასუხა მსუნაგსავით სულწასულმა თავადმა, – ბარაქალა, დარეჯან! ერთი კარგი მსუქანი არტალა, ჩვენი თედოს მოხარშული, ნივრით, – ერთ სახელმწიფოდა ჰღირს, მე და ჩემმა ღმერთმა. ეგ ძალიან კარგი. სხვა? მარტო ეგ რას გვეყოფა?

– ერთი კარგი ჩიხირთმა? – ჰკითხა მაცდურის ღიმილით კნეინამა.

– ჩიხირთმა?.. ჰა, ჩიხირთმა?.. არა, გეთაყვა, ბოზბაში[1] სჯობია, – მიუგო მცირე დაფიქრების შემდეგ ლუარსაბმა.

– ეხლა მაგას დაიჟინებ. რითა სჯობია?

– ვა!.. ტყემლის მჟავით გაკეთებული ბოზბაში?.. – ისეთის ხმით წამოიძახა ლუარსაბმა, თითქო უკვირსო: ეს ამისთა-

[1] **ბოზბაში** – ცხვრის ხორცის წვნიანი კერძი.

ნა უბრალო ჭეშმარიტება როგორ არ ესმის ამისთანა ჭკვიან დედაკაცსაო.

– შენც არ მომიკვდე, ლუარსაბ, კარგად გაკეთებულ ჩიხირთმას ბოზბაში არა სჯობდეს.

– ვა!.. – უფრო გაკვირვებით შეჰყვირა ლუარსაბმა, – ტყემლით გაკეთებულს ბოზბაშს ჩიხირთმა უნდა ამჯობინო?.. შენს ჭკვაზედ არა ხარ, დედაკაცო! ჯერ ისე ბოზბაში რა არის, რომ ტყემლით რა იყოს!.. რას ამბობ, რასა? ერთი მსუქან ბოზბაშში ამოვლებული პურის ლუკმა მთელ ქვაბ ჩიხირთმას მირჩევნია. ამის შემდეგ შენ უნდა დამაჯერო, რომ ჩიხირთმა სჯობია? მაშ კაცი აღარ ვყოფილვარ, ქუდი არა მხურებია.

– შენ ერთი ახირებული კაცი ხარ: რასაც იტყვი, ხომ კაცი ვეღარ გადაგათქმევინებს? – არ იყო რომ ცოტა წყენით არ უთხრა დარეჯანმა დაჟინებულს ლუარსაბსა.

– მაშ? კაციც მაგისთანა უნდა. ის ხომ კარგია, დღეს ერთი სთქვას, ხვალ სხვა? – სთქვა ლუარსაბმა, შემოიყარა დოინჯი და გამარჯვებულსავით ამაყი შეხედულობა მიიღო.

– დარეჯანმა იგრძნო, რომ ლუარსაბმა საბუთიანად დაიჭირა და შერცხვენილმა ბანზედ სიტყვა გადააგდო:

– მაშ შენ ბოზბაშს ამჯობინებ?

– ვამჯობინებ.

– მაშ შენ პირში გემო არა გქონია, – ეხლა კი გულზედ მოსულსავით სთქვა დარეჯანმა.

ლუარსაბი აიტკიცა, მაგრამ თავი შეიკავა და არ იყო რომ მაინც ცოტა წყენით არ უპასუხა: – შენ არა გქონია, რომ ჩიხირთმას ამჯობინებ, თორემ მე ხომ ბოზბაში მირჩევნია.

– აბა რას მიედ-მოედები? – ეხლა კი გაანჩხლდა დარეჯანი, – ბოზბაში როგორა სჯობია ჩიხირთმასა, რომ როცა ჩიხირთმა მაგონდება – პირში წყალი მომდის, თუ მშიერიც ვარ – მაშინ უფრო, ბოზბაშზედ კი არა. მაშ ჩიხირთმა სჯობნებია. ეხლაც დაიჟინებ?

ისეთ გულდაჯერებით და ზაფრიანად[1] წარმოსთქვა ეს კნეინამა, რომ, ასე გგონია, უნდა ეთქვაო: „შე სულელო, ამისთანა საბუთი მაქვს და შენ კი მაინც შენსას ამბობო?“

– მაგრამ არც ამის მოპირდაპირე იყო სუსტის ჭკუისა, რომ ის საბუთი უფრო ძლიერის საბუთით არ დაერღვია. მართალია, პირველშივე ძალიან ჩაფიქრდა, მაშინვე ვერ მოახერხა, – რა ეთქვა, მერე კი – ღვთის წყალობა გქონდეთ – ყოჩაღად ლუარსაბმა იმას მიუგო.

– მაგ სიტყვებზედ სდგეხარ? – ჰკითხა ჯერ ლუარსაბმა და ფეხზედ წამოდგა.

– ვდგევარ.

– მაშ კარგი: შენ ხომ ჩიხირთმა მშიერს მოგგვრის პირში ნერწყვსა, მე კი ბოზბაში – მაძღარსაცა. აი, თუნდა ეხლა: მე ხომ ამაღამ შენზედ მეტი მიჭამია, მაგრამ რომ მაგონდება პირამდინ პურ-ჩაყრილი, ჩაჟუჟუნებული ბოზბაშით სავსე მათლაბა, თუ ზემოდამაც ერთი კარგი კანჭი აძევს!.. რას ამბობ, დედაკაცო? მე მოგიკვდე, თუ შენ გესმოდეს რამე: ბოზბაში – წვნიანების მეფეა, როგორც თართი – თევზებისა. შენ რა იცი, დედაკაცი ხარ.

– აბა შენ კაცმა როგორ უნდა დაგიჯეროს, რომ ეგეც არ იცი: ორაგული თქმულა თევზების მეფედ და არა თართი... აბა, სულ ეგრე სტყუი ხოლმე, – უკიჟინა ნიშნის მოგებით გახარებულმა კნეინამ, რომ ტყუილში დაიჭირა.

– შერცხვა ცოტა ლუარსაბსა, მაგრამ არ შეიმცნივა და გაიზრახა, რომ პატივისათვის რაც უნდა დაემართოს – უნდა დაამტკიცოს, რომ თართი არის მეფე.

– ეხლა მაგას დაიჟინებ. თართია-მეთქი.

– ორაგულია.

– ეჰ, თართია, თავი არ მამიკვდება, არც ეხლა დაიჯერებ?

– ორაგულია, ორაგული! – დასძახა კნეინამა.

– აბა საიდამ იცი, რომ ორაგულია?

– შენ საიდამღა იცი, რომ თართია?!

ამ კითხვამ გააბა ლუარსაბი მახეში. მერე რარიგად! ხსნა არ იყო! ძალიან კი უნდოდა მოეგონა რამ, უნდოდა ეთქვა კიდეც, რომ „კარაბადინში“ სწერიაო, მაგრამ მოაგონდა, რომ დარეჯანი უფრო ნაკითხია და ვეღარ გაბედა.

დარეჯანი ჭკვიანი დედაკაცი იყო – როგორც იცის თითონ მკითხველმა. ჰნახა რომ

[1] **ზაფრიანად** – მწარედ, გესლიანად.

ლუარსაბმა პასუხი ვერ მოუხერხა, უფრო-დაუფრო დააყარა თავმოწონებით:

– მითხარ, საიდამ იცი? მაშა! რაც არ იცი, ნუ იტყვი. აბა ეხლა სთქვი: ჩიხირთმა არა სჯობია?

დარეჯანმა იფიქრა, რომ ეგრე დაჭერილი ლუარსაბი თუ გატყდება, ეხლა უნდა გატყდეს. ამისთანა გაჭირებაში თუ დაიყოლიებს ჩიხირთმის უკეთესობაზედ, თორემ სხვა დროს ვეღარა. ამიტომაც ეგრე უეცრად გადავიდა ისევ ჩიხირთმაზედ.

ლუარსაბი დაგვიღონდა, მკითხველო! ისე თავჩაღუნული იდგა, როგორც პატარა ბავშვი, როცა შაქრის ქურდობაში დაიჭერენ. არ იცოდა რა ექნა. ჰგრძნობდა, რომ ცოლმა დაიჭირა, აჯობა, მაგრამ ამის კისრად აღება ეთაკილებოდა. სხვა დროს იქნება დაეთმო, მაგრამ ეხლა, რაკი საქმე სახუმარი აღარ იყო, რაკი ჯიბრზედ შედგა, ეხლა დათმობა სათაკილო ეგონა. მართალია, იყო წუთი, როცა ისე დამარცხებული ჰნახა თავისი თავი, რომ თითქმის დააპირა კიდეც ჩიხირთმის უკეთესობის აღიარება, მაგრამ ამ დროს თვალ-წინ წამოუდგა მაორთქლავი მათლაბა ლავაშჩაყრილის ბოზბაშისა, მოაგონდა ზემოდამაც გადახირული ბატკნის კანჭი, ამან გაიტაცა ისევ ლუარსაბი: ამის სულს ღონე მოემატა, გული გაუმაგრდა, დაავიწყა სირცხვილიც, დამარცხებაც, გამარჯვებაც და ათქმევინა ეს ღონიერი სიტყვები:

– მე არ ვიცი, თუნდ რომ მართლა ორაგული იყოს თქმული თევზების მეფედ, მაინც კიდევ ბოზბაში სჯობია ჩიხირთმასა.

– ჩიხირთმა, ადამიანო!

– ბოზბაში, დედაკაცო!

– ეჰ, წელანდელი არ იყოს, მტყუანი ხარ და არა სტყდები, – უთხრა ყვედრებით დარეჯანმა.

– შენა ხარ მტყუანი.

– დახე! შენ არა თქვი – თართიაო?

– მე ეგ არ მითქვამს – ეგ შენა თქვი, – იცრუა ლუარსაბმა და თავის სიტყვა თავის ცოლს გადააბრალა, – მე ორაგული ვთქვი.

– დახე, დახე, თქვენი ჭირიმეთ!.. ეს რა მოიგონა! – წამოიძახა ეხლა კი სწორედ გულზედ-მოსულმა დარეჯანმა.

– ამდენი იყვირე, რამდენიც გინდოდეს! – დაბალ ხმით უთხრა ლუარსაბმა და წავიდა, რომ გარეთ გავიდეს. კარებში რომ მივიდა, ერთი კიდევა სთქვა:

– მე ორაგული ვთქვი. – თქმა ამისა და იმისი გარეთ გასვლა ერთი იყო.

– მტყუანს?.. – მისძახა გაკაპასებულმა, ამ უსირცხვილობისაგან მოთმინებიდამ გამოსულმა ცოლმა, – გაუწყრეს წმინდა გიორგის მადლი და ნეკრესის ღვთისმშობლისა! ლუარსაბმა ყური არ ათხოვა, თუ ვერ გაიგონა – არ ვიცი, ეს კი ვიცი, რომ ამ წყევლამ დარეჯანს მშვიდობიანად ჩაუარა.

ხშირად შუაღამემდინ ცოლ-ქმარნი გაცხარებულნი და გაჭარხლებულნი ამისთანა ღრმა აზრებს ამტკიცებდნენ: „დღეს რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ დილით. „ხვალ რა ვჭამოთ“, – იტყოდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი სულის საზრდო, ეს იყო იმათი გონების ვარჯიში, ეს იყო იმათი აზრის აღებ-მიცემა.

– რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია.

– ვაჟო! მე ვარისხებ ღმერთსაო? – გეტყოდათ გაოცებით ლუარსაბი: – წირვა-ლოცვას მე არ ვაკლდები, კაცი მე არ მამიკლავს და კაცისათვის მე არ მამიპარავს, – რაზედ ვარისხებ ღმერთსა?

– მართალი ხარ, ჩემო ლუარსაბ, შენ კაცი არ მოგიკლავს, კაცისთვის არ მოგიპარავს, ერთის სიტყვით – რაც არ უნდა გექნა, არ გიქნია – ესეც კარგია: უარარაობას ეგა სჯობია. მაგრამ ეხლა ეს უნდა გკითხო: რაც უნდა გექნა, ის კი გიქნია?

დიაღ, – მეტყვი შენ, – მისვამს და მიჭამია, არც ერთი დღე მშიერი არა ვყოფილვარ. მითამ პასუხი ეგ არის? წირვა-ლოცვას არ ვაკლდებიო, რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენია ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისათვის არა სცხოვრობ: შენ სცხოვრობ – რომ სვა და სჭამო, და არა იმისთვის სჭამ და სვამ – რომ იცხოვრო, ესე იგი ეცადო – რომ ვითა მამა ზეცის იყო შენც სრული.

ჩვენ და ტექსტი

1. „ამ ყოფაში და ჭკუის გონიერ ვარჯიშობაში გადიოდა დილა“, – წერს ავტორი. ეს რა თქმა უნდა, ირონიაა, მოძებნეთ ირონიიის სხვა მაგალითები. რა იყო ცოლ-ქმრის ყოფის მთავარი მახასიათებელი?
2. როგორ გამოხატულებას პოვებს ბაბალესთან დაკავშირებულ ამბავში ლუარსაბისა და დარეჯანის ტკბობა საკუთარი თავით, საკუთარი ძალაუფლებით?
3. რა ხერხებით შეძლებს ბაბალე თათქარიძეების გულის მოგებას? რის გამო კიცხავს დარეჯანი ელისაბედს ბაბალესთან საუბარში? რა არის ამ გაკიცხვაში სასაცილო?
4. როგორ წარმოჩნდება ლამაზისეული? თქვენი აზრით, რას გვეუბნება ამ პერსონაჟის პორტრეტი მისი ბატონების შესახებ?
5. რასთან დაკავშირებით ამბობს ავტორი, რომ დარეჯანის ადრინდელი შეფასება „უსწავლელი“ არასწორი აღმოჩნდა? როგორ ფიქრობთ, მართლაც გაბათილდა ეს შეფასება?
6. როგორ ცდილობდნენ ელისაბედი და დარეჯანი თავიანთი ქმრების უპირატესობის დამტკიცებას? როგორ ავლენს მათ ხასიათს ეს მცდელობა?
7. როგორ მჟღავნდება აქ მოსაუბრეთა ფეოდალური ცნობიერება? რას მიიჩნევენ ისინი სათაკილოდ? თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?
8. როგორ ვლინდება ლუარსაბის მკვეხარობა? თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება ლუარსაბის ეს თვისება მის სხვა თვისებებს?
9. რას თვლის ლუარსაბი, ასევე მისი თანამოსაუბრეები, თავადისთვის შეუფერებლად, თქვენ როგორ შეაფასებთ ლუარსაბის შეხედულებას?
10. რისთვის გმობენ მოსაუბრეები თავად ზაქარიას ცოლს? რით არის ეს გმობა წინააღმდეგობრივი და კომიკური?
11. რატომ კიცხავენ თავად ნიკოლოზს? ლუარსაბის აზრით, როგორ კეთდებოდა ძველ, კეთილ დროში საძრახისი საქმეები?
12. როგორ ფიქრობთ, მართლაც გამოდგება ლუარსაბის არგუმენტი ძველი დროის უპირატესობის დასამტკიცებლად? პასუხი დაასაბუთეთ.
13. რას თვლიან თათქარიძეები ყმების მომავალი გათავისუფლების მომასწავებლად? რას მიიჩნევს ლუარსაბი ამ მოვლენის მიზეზად? როგორ წარმოაჩენს ეს შეხედულებები თათქარიძეების აზროვნებას?
14. რა არგუმენტებით ასაბუთებენ თათქარიძეები ბატონყმობის არსებობის აუცილებლობას? თქვენი აზრით, რატომ არის ეს არგუმენტი სამართლიანი, სერიოზული?
15. განიხილეთ ლუარსაბისა და დათოს საუბარი – როგორ იხატება ამ საუბარში ბატონყმობა? რა თვისებებს ავლენენ მოსაუბრეები?
16. რა საბუთები მოჰყავთ ლუარსაბსა და დარეჯანს კულინარიულ თემებზე კამათისას თავიანთი პოზიციების სისწორის დასამტკიცებლად? რამდენად შეიძლება გამოდგეს ეს საბუთები სერიოზულ კამათში? პასუხი დაასაბუთეთ. საერთოდ შესაძლებელია თუ არა სერიოზული, არგუმენტირებული კამათი თემაზე – რომელი კერძია კერძების მეფე, ან რომელი თევზია თევზების მეფე? პასუხი დაასაბუთეთ. როგორ ვლინდება ამ კამათში მოკამათეთა ინტერესები, აზროვნების სტილი, ხასიათი? თქვენი აზრით, რა არის კამათისას მათი მამოძრავებელი მთავარი მოტივი?

17. ავტორის შეხედულებით, რით არისხებს ლუარსაბი ღმერთს? როგორ გესმით ქრისტეს ის მცნება, რომელსაც ლუარსაბის ცხოვრება ეწინააღმდეგება?

18. ავტორის ფიქრით, როგორ არის შენაცვლებული ლუარსაბის არსებობაში მიზანი და საშუალება?

19. მოძებნეთ ეპიზოდი, როცა ავტორი პირდაპირ ერთვება თხრობაში და ლუარსაბს „ესაუბრება“. მისი აზრით, რა არის ლუარსაბის მთავარი დანაშაული? მოძებნეთ სხვა ეპიზოდები, როცა ავტორი თხრობაში ერევა. რა თემებს ეხება ხოლმე უმეტესად ავტორის მეტატექსტი?

20. მოქმედებს თუ არა თქვენს შეხედულებებსა და ხედვებზე ავტორისეული რემარკები და განმარტებანი? რა გავლენა აქვს ავტორის მეტატექსტს მკითხველზე?

VI

ოცი წელიწადია თურმე, რაც ლუარსაბი და დარეჯანი ერთს უღელში შებმულან და ერთს ბედის კალთას ქვეშ ამოფარებულან. საოცარი ამბავია ამათი ჯვარისწერა. ჯერ ლუარსაბი თავის ძმასთან – დავითთან – გაუყრელი იყო, როცა ოცი წლისა შესრულდა და მოინდომა ცოლის შერთვა. ძალიან მოინდომა, მაგრამ არ იცოდა ვისი ქალი შეერთო; მდიდარიც უნდოდა, კაი გვარისშვილიც და მზეთუნახავიცა. ამაების მექონი ქალი ჩვენში ძვირია. ლუარსაბს ჯერ კი თვალი ეჭირა – იქნება შემხვდესო, და, რომ ვერსად ვერა ჰპოვა, გაიზრახა გულში – შეიკეროს პტყელის ბუზმენტებით ჩოხა, ბუზმენტებითვე მორთული განიერი მაუდის შალვარი, ერთი ოციოდ თუმანს თავი მოუყაროს და ჩავიდეს ქალაქში იმ ფიქრით, რომ ერთი-ორიოდჯერ ქუჩა-ქუჩა გავაჭენებ დროშკასაო, იქნება ერთი მდიდარი, კაი გვარის და ოჯახის შვილი ქალი ბადეს მოხვდესო, თუ არა და სომხის ქალები ხომ იქ არიან, ათასს თუმანს წამოვიღებო. ბოლოს შეიტყო, რომ შორს წასვლა საჭირო არ არის; თავად გძელაძეს, დიაღ პატიოსანის გვარის და კაი ოჯახის შვილს, ერთი მზეთუნახავი ქალი უზის გასათხოვარი და ზედ ზურგზედ ორასი თუმანი თეთრი ნაღდად აკერია. აუფორთხალდა ლუარსაბს გული, გაუჯდა გვერდებში და დღე-მუდამ საამურად უღიტინებდა, მაგრამ არ იცოდა – როგორ მოეხდინა საქმე. უშველა ღმერთმა და ერთს დღეს მაჭანკალიც გაუტყვრა.

მაჭანკალი, გძელაძისაგან მოგზავნილი, გახლდათ ერთი მოხუცებული, დარბაისელი, ღარიბი და ქვრივი დედაკაცი, რომელიც მას აქეთ, რაც ქმარი მოჰკდომოდა, ამ პატიოსანის ხელობით თავს ირჩენდა. ამას „სუტკნეინას“ ეძახოდნენ, იმიტომ რომ ამისი უბედური ქმარი მთელ სიცოცხლეში კნიაზობას ეძებდა და ვერ დაიმტკიცა. ჩვენც ეგრე დავუძახოთ.

დიდი ენამეტყველობის სახელი ჰქონდა გავარდნილი თავადიშვილებში ამ სუტკნეინასა. ამისთანა გამოცდილი შუამავალი თურმე ორიც არ დადიოდა დედამიწის ზურგზედა. ამიტომაც ბლომად იღებდა ფეხისქირასა, მაგრამ ეს იყო კარგი, რომ რაკი იკისრებდა საქმეს, ბოლოსაც მოუღებდა. აი, გძელაძესაც ეს ამოერჩივა, ხუთი თუმანი ბე მიეცა და თხუთმეტსაც დაჰპირებოდა, როცა საქმეს გაარიგებს. თუმცა გძელაძემ გამოგზავნა ლუარსაბთან, მაგრამ გამოცდილმა სუტკნეინამ ისე აჩვენა თავი, რომ მითამ ჩემ თავად მოვედიო, რომ ლუარსაბსაც დაავალოს და დასცინცლოს რამე. ეს მოჰხდა ერთის აზნაურიშვილის სახლში, რომელმაც ჯვარი დაიწერა და ქორწილში სხვათა შორის ლუარსაბიც დაჰპატიჟა. ის სუტკნეინა ამ აზნაურიშვილის მამიდა იყო. ქორწილის მეორე დღეს, სადილის შემდეგ, ჩვენი ლუარსაბი შექეიფიანებული წავიდა და ფანჩატურში დაწვა. მზე დაწურვაზედ იყო, როცა ვიღაცამ ხელი ჰკრა და გააღვიძა. ლუარსაბმა გააჭყიტა თვალები და დაინახა ერთი პატიოსანი ხნიერი დედაკაცი. წამოხტა მაშინვე ფეხზედ.

– დაბძანდით, შენი ჭირიმე, მოისვე-

ნეთ, – უთხრა სუტკნეინამა, – უკაცრავოდა ვარ, მოსვენება დაგიფრთხეთ, მაგრამ დედითქვენის მეგობრობა და ხათრიჯამი რომ მაგონდება, ის პატივი და სიყვარული, თქვენზედაც გული შემტკივა... აი ამოდენა (დაბლა ხელით აჩვენა) ხელში მჭერიხართ, მითამაშებიხართ. დედა-თქვენი და მე დიდი მეგობრები ვიყავით, უერთიერთმანეთოდ ვერ გაგვეძლო, დიდი სიყვარული გვქონდა ერთმანეთისა: დები რად იქნებიან ისე, როგორც ჩვენ ვიყავით. დედათქვენი ხომ არ გახსოვთ?

– არა, მე მაშინ ორის წლისა ძლივა ვყოფილვარ, – მიუგო ლუარსაბმა, რომელმაც არ იცოდა ჯერ, რა ამბავია და ან რა უნდა ამ კნეინასა.

– რასაკვირველია, არ გეხსომებათ. ის უბედური ღმერთს რომ თავის უმანკო სულს აბარებდა, – იმის დამკარგავი მე ცოცხალი რაღადა ვარ, ეჰ, მადლობა ღმერთს, იმის ნებას ვინ წაუვა, – რომ უმანკო სულს აბარებდა, მე მაშინ ფეხთით ვეჯექი. ყველანი დაითხოვა ჩემ-გარდა. მამა თქვენი, მგონია, მაშინ მიცვალებული იყო.

– არა, ჯერ მასუკან თუნდ ექვსი წელიწადი იცოცხლა, – მიუგო ისევ ლუარსაბმა.

– მართლა, მართლა, რამ დამავიწყა? – სთქვა სუტ-კნეინამა, მითამდა მართლა დაავიწყდა, – აი, სიბერე რა არის, ხსოვნამ მიღალატა, დიაღ, ცოცხალი ბძანდებოდა. დახე ჩემს გონებას! თავის პირით არ მიბძანა: „დაო, ხორეშან! ვიცი, რა სიყვარული გაქვთ შენ და ჩემ ცოლსა, წადი, ფეხთით დაუჯექ, იამება, შენ რომ გნახავს ისე ჩემი ნახვაც არ იამება“. მამა-თქვენი დარბაისელი კაცი იყო, დიდი პატიოსანი, სახელოვანი და ყველასაგან პატივცემული. დიდი შიში-კრძალვა ჰქონდათ იმისი, განა მარტო საქრისტიანოში, სალეკოშიაც; დაღისტნამდინ იმისი სახელი გავარდნილი იყო, რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონდა. აბა თქვენ რა გეხსომებათ, პატარა იყავით. ჰო, რას მოგახსენებდით?.. – ჰკითხა ლუარსაბსა.

– რომ მამი-ჩემის სახელი დაღისტნამდინ გავარდნილი იყო, რომ რუსებისაგანაც დიდი პატივი ჰქონია, – უპასუხა ლუარსაბმა.

– არა, ეგ ხომ ვიცი. რაზედ დავიწყე, ის დამავიწყდა, ველარ მომიგონებია. აი, ბატონო, სიბერე ეს გახლავთ: წუთის წინად რას ვლაპარაკობდი, არ მახსოვს, მამა-თქვენის სიკვდილი – ოცის წლის ამბავი – რომ არ მახსოვდეს, რა საკვირველია.

თორმეტის წლის ამბავი გახლავთ, – გაუსწორა ლუარსაბმა.

– თუნდ თორმეტისა, მაინც საკვირველი არ არის. რაზედ დავიწყე ლაპარაკი?.. – ჩაფიქრდა სუტ-კნეინა, მითამდა არ იცოდა, რაზედ დაიწყო. იცოდა, ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ჰფიქრობდა, ისე როგორ მოახერხოს, რომ ლუარსაბმა ტყუილში ველარ დაიჭიროს, როგორც მამის სიკვდილში დაიჭირა. ლუარსაბი გაშტერებული იდგა და სულ არ ესმოდა, რა განზრახვით მოსულა ამასთან კნეინა და რა განზრახვით ჰლაპარაკობს.

– ჰო, მართლა! – წამოიძახა სუტ-კნეინამა, ფიქრის შემდეგ, – იმას მოგახსენებდით: ცხონებული დედა-თქვენი რომ უმანკო სულს უფალს აბარებდა, ყველანი დაითხოვა, ჩემ-გარდა, და, როცა მარტოკანი დავრჩით, მიბძანა თავის სირინოზის ხმითა: „მე, ჩემო გულითადო მეგობარო ხორეშან, დიდის ხნის სიცოცხლე აღარა მაქვს. ვიცი, რომ ჩემი სიყვარული დიდი გაქვს. აი, ეს შენ და ეს ჩემი ობლები, შენ იყავ ამათი დედა“. ეს რომ ბრძანა, – ვუი უბედურების მნახველს! – გული ამოუჯდა. მეც ღაპა-ღუპით წამომივიდა ცრემლები, ბევრი ვიტირეთ. მერე ხომ განუტევა კიდეც ის ანგელოზის სული. მე, როგორც თავზარდაცემული, ისე გიჟსავით დავრბოდი, თურმე ეგონათ – ვერ ავიტან მწუხარებას და ჭკვიდამ შევცდები. დიდი სიყვარული გვქონდა, ესე ვიყავით, თითქო ერთი ხორცი გვაქვსო და ერთი სული. დედა-თქვენიც ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, – დაუმკვიდროს ღმერთმა სასუფეველი, – ასეთი დედაკაცი ბძანდებოდა, რომ ყველას ხატსავით უნდა ელოცნა. ასეთი რამ იყო! სადღა არიან ეხლა იმისთანები! ჩვენც ვიტყვით, დედაკაცები ვართო... მესამეს დღეს ქრისტიანულის წესით მივაბარეთ მიწასა იმისი ნათელი გვამი. დიდი სამღვდელო იყო მოპატიჟებული. მოგახსენებენ, მამათქვენს გვამის

გასაპატიოსნებლად არქიელიც უნდა მოეწვია, მაგრამ დროშკის ცხენები ვერ ეშოვნათ, რომ გაეგზავნათ. თქვენ ერთი ბეწო ობლები დარჩით, თქვენ და დავით პატარები იყავით, თქვენ მაშინვე შემიყვარდით, თქვენკენ მაშინვე გული უფრო მამიწევდა. არ ვიცი რად, – დათიკოც ხომ იმისი ნაშობი იყო, მაგრამ თქვენ ჩემთვის სხვა იყავით. მე თქვენ ხომ არ გეხსომებით?

– არა, არ მახსოვხართ.

აბა, რასაკვირველია, არ გეხსომები, შენ სამის წლისა იქნებოდი, როცა მე ქმარი მომიკვდა, – ვაი იმის დამკარგავს! – მას აქეთ შინიდამა ფეხი არ გამომიდგამს, – ვარ ესე უნუგეშო, უპატრონო, ქვრივ-ოხერი. სიხარული ჩემთვის სიხარული აღარ არის, ქვეყანა ჩემთვის სულ შავებშია ჩაცმული. მაპატივეთ კადნიერება, იქნება თავი მოგაწყინეთ. რა ვქნა? ბედისაგან დამწვარ-დადაგული ვარ, დარდები მეშლება ხოლმე. რაღა გავაგრძელო, მოკლე სიტყვა სჯობია. თქვენ სამის წლისა იქნებოდით, რომ ქმარი დავკარგე. მოგშორდით და მას აქეთ აღარ მინახვიხართ, მაგრამ გულით ისევ თქვენთან ვიყავი; ვისაც კი თქვენებურს შევხვდებოდი, თქვენს ამბავს ვკითხავდი, ერთ ღამეს – აი, ეს სამი თვეც არ იქნება – დამეძინა. ვნახოთ, ღრმა ძილში რომ ვარ – ერთი მშვენიერი ანგელოზი, შუქმოფენილი, განწმენდილი და გასპეტაკებული თვალწინ გამომეცხადა. სიზმარს მოგახსენებთ, მაგრამ ასეთი სიზმარი იყო, რომ აქამდინ ცხადი მგონია. – „ხორეშან! – მიბძანა სულმა ცხოველმა, – მე შენის გულითადის მეგობრის სული ვარ, განწმენდილი და გასპეტაკებული“. მაშინვე მუხლებზედ მოვეხვიე დედითქვენის სულსა, დედა-თქვენი ბძანდებოდა. – „მუხლებზედ ნუ მეხვევი, – მიბძანა ხელახლად, – მე შენგან გული მტკივა: რად დაანებე თავი ჩემს დავითს და ლუარსაბსა? დავითი კიდევ არაფერი, იმან ცოლი იშოვა და დაბინავდა, ლუარსაბს რატომ არ ჰპატრონობ?“ სამი ღამე ერთი-ერთმანეთზედ მომევლინებოდა და სულ იმას მეტყოდა ხოლმე. ეგრე გახლდათ, თქვენი დაუტირებელი არ მოვკვდე! თუნდ ეგ არ ყოფილიყო, მე – როგორც მოგახსენეთ – უფლისა წინაშე აღთქმა მივეც, რომ დედობა გაგიწივო, და, აი, დღეს მოვიდა ის დღე. თქვენ ყმაწვილი კაცი ბძანდებით. მე, რა წამსაც დაგინახეთ, მაშინვე მივხვდი, რასაც გაუგიჟებია ის საწყალი ქალი. ღმერთმა შეარცხვინოს შენს მხარ-ბეჭთან ყარამანის მხარ-ბეჭი და სიტურფე ტარიელისა, გონიერება გარდანქეშანისა. თვალი მოგკარით თუ არა, მაშინვე მივხვდი, რასაც აუნთია ცეცხლი იმ უბედურის ქალის გულშია. უბედურს ვამბობ იმიტომ, რომ იქნება თქვენ იმაზედ არც კი ჰფიქრობთ, ის კი იქა ჰდნება.

– ლუარსაბს იამა, ისე უნებლიეთ ქუდი უფრო ჩაიტეხა, კისერი მოიღერა, წვრილ, ახალ აშლილ ულვაშებს ხელი გადუსო, წელში გასწორდა და მხარბეჭი მოიმარჯვა. ისე იამა, რომ პირველ ხანში ვერ მოახერხა სიტყვის თქმაცა. ჯერ არ იცოდა, რასაკვირველია, ის ქალი ვინ იყო, მაგრამ მაინც იამა.

– არც ქალია ურიგო, – დაიწყო ისევ სუტ-კნეინამა, – როგორი ყარამანიც შენ ხარ, იმისთანა სალბიხურამან ის არის. სწორედ ტარიელ და ნესტანდარეჯანი იქნებით, ორივე ერთად რომ შეგყაროთ. არც გვარი და შთამომავლობა აქვს ცუდი. მუხრანბატონთან ერთ ფურცელზედ არის იმათი გვარიც ჩაწერილი. კაი ქალი, კაი გვარიშვილი, კაი ოჯახი, სახელგანთქმული ნათესაობა – ბიძა ერთი მაიორი ჰყავს, მეორე დიანბეგია თათრებში, ფულიც აქვს ნაღდად, მეტი რა გინდა? მერე დედიშენის სურვილიც არის. ის ანგელოზი წუხელიც მომევლინა და მითხრა: „ეგ უთუოდ მოახდინეო!“

– ფული რა ერთი აქვს? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– ორასი თუმანი ექნება?

– ნაღდად?

– სულ ბაჯაღლო ოქრო; შინა აქვს, პარკში შეკრული.

– გძელაძიანთ ქალი ხომ არ არის?

– თქვენ ვინ გითხრათ?

– მე ვიცი.

– მაინც?

– ვიცი, ის არის. განა მე კი გულში არა მქონდა იმ ქალის სახე, – მორცხობით ჩაიღიმილა ამ სიტყვაზედ ლუარსაბმა.

– საიდამ? გინახავს თუ?

– თვალითაც არ მინახავს, მაგრამ ისე ვიცი.

– მაშ ნებას დამრთავთ თქვენ მაგიერ ვილაპარაკო? რარიგად გაუხარდება ქალსა!

– თორემ მამას კი არა, – სთქვა სუტკნეინის ქებით გაზვიადებულმა ლუარსაბმა.

– არ გაუხარდება, თქვენმა მზემ! – გაუძნელა ძალად საქმე სუტ-კნეინამ.

– მაშ იმისგან არა ხართ მოგზავნილი?

– რას ბძანებთ? იმისაგან რომ ვიყო, საქმე გათავდებოდა, რაკი თქვენი ნებაც არის. ის არის, რომ თითონ მამა დიდს უარზედ სდგას.

– უარზე სდგასო!.. – წამოიძახა გულნატკენმა ლუარსაბმა, – რაში მიწუნებს მითამ? გვარი იმაზედ ცუდი არა მაქვს და ოჯახი მითამ რაო?

ეხლა, ხომ მოგეხსენებათ, რიხიანი კაცია.

– მაშ არა იქს, რაღა?

– როგორ არა იქს, მაგრამ დიდი ცდა და ხერხიანობა კი უნდა.

– მაშ შეიძლება დავიყოლიოთ?

– ვინ იცის? ეგ ხერხზედ ჰკიდია, მაგრამ მაინც კიდევ ღმერთმა იცის, ჯიუტი კაცია.

– ხერხი კიდევ თქვენი საქმეა.

– მართალია, მაგრამ მარტო ჩემი ხერხი რასა იქს?

– სხვა რა უნდა? რაც შემეძლება, ჩემ კისერზედ იყოს. მადლის გადახდა ჩვენც ვიცით.

– უი, შენ გეთაყვანე, შენა! მაგას ვინ მოგახსენებს? გულუხვობაში თქვენი გვარი დიდი ხანია განთქმულია, განა არ ვიცი, თუნდ ეგ არ იყოს, დედიშენის შვილს მე უნდა გამოგართო რამე, მაშინ შემერგება ლუკმა? არა, გეთაყვა, მე მაგას არ ვიქ, – ეგ შენ იცი. მაგრამ... მაგარი ეს არის, რომ „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“, ერთი ოციოდ თუმანი მოგინდება, რომ იმისი მახლობლები შემოვისყიდოთ. ერთი კაცია იქ, იმისი სიტყვა გძელაძიანთ მოსესათვის ბეჭედია, ფირმანია სწორედ. იმას უნდა ხახა დავულბოთ.

– ეხლა სად ვიშოვო მე ოცი თუმანი? – უთხრა ცხვირპირჩამოშვებულმა და დაღონებულმა ლუარსაბმა.

– მაგაზედ ნუ შესწუხდები: შენ თამასუქი მამეც და ფულს მე გიშოვი.

– ბატონი ხარ. აი, თუნდ ეხლავ, – წაატანა სიტყვა გახარებულმა ლუარსაბმა.

– სუტკნეინამ რომ ჰნახა ესე ადვილად ლუარსაბის დაყოლება, იფიქრა: სულელი ყოფილა, რატომ ბლომად არ ვუთხარიო და, რომ გაასწოროს შეცდომა, ეს მოიგონა:

– ეს კი უნდა იცოდე, ჩემო შვილო, რომ დიდს სარგებელს გამოგართმევენ.

– დიდსა? მაინც რამდენს?

– თუმანზედ შვიდ შაურს.

– რა ვუყოთ, მივცემ. „როგორც გიჭირდეს, ისე გიღირდესო“, – ნათქვამია...

– მაშ ყური დამიგდე: შენ ჯერ უარზედ დადეგ, ვინც რა უნდა გითხრას, ფეხი მაგრა დააჭირე, იქნება იმ ქოფაკს, როცა დაყაბულდება, ჭახრაკი მოვუჭიროთ, მეტი დავსტყუოთ, გესმის? მე სულ შენთვის ვამბობ, თორემ მე რა მერგება. ხომ გესმის?

– მესმის, როგორ არ მესმის! ფეხი უნდა დავაჭირო.

– მაშ ეხლა მე ვიცი, ხვალ დილაზედ თამასუქს მოვამზადებინებ, შენც ხელი მოაწერე და მერე მე ვიცი.

– თამასუქი წინ მოგცე?

– მაშ, ქა!.. ფულს ისე ვინ განდობს? მე რომ მქონდეს, არ დაგიჭერ, ხომ იცი. დედიშენის შვილს როგორ დავუჭერ, მაგრამ მე, ქვრივ-ოხერს, ვინ მომაბადა, სომეხს უნდა გამოვართო. აბა სომეხი, ხომ იცი, რა ურიაა.[1]

– ვიცი, ვიცი.

მერე, როცა გავარიგებ, მეც ერთი ქვრივ-ოხერი ვარ... ერთი-ორჯერ პურს მაინც მაჭმევ, – შეაბრალა თავი სუტკნეინამა, – შენი გვარი დარდიმანდობაში და პურმარილობაში განთქმულია.

– ლუარსაბს იამებოდა ხოლმე, როცა ეგრე იხსენიებდნენ იმის გვარს, ოღონდ ეს გეთქვა და ჩოხას გაიხდიდა და შენ ჩაგაცმევდა.

– ერთი ეს მითხარ, ქალი როგორია?

[1] ლუარსაბი კვლავ სტერეოტიპულ დამოკიდებულებას ავლენს და შეურაცხმყოფელ და არაეთიკურ ტერმინებს იყენებს.

ყველა-ყველა და ეს კი დაგვავიწყდა, – მოიგონა ბოლოს ლუარსაბმა.

– წიგნში და ხელსაქმეში კარგად გაწურთვნილია, მეტი რა გინდა, – უპასუხა იმანაც.

– წიგნი რად მინდა? რა, ბრძნად ხომ არ დავსომ!.. შენ ერთი ეს მითხარ, მადლიანი სახე აქვს? ფერზედ როგორ არის?

– მაგას ნუღარ მკითხავ, კალმით ნახატია.

– მაშ რაღა, ფეხი დავაჭირო? – ჰკითხა ლუარსაბმა, რომელსაც სუტკნეინის უკანასკნელ სიტყვებზედ სიხარულმა და წადილმა ტანში მეტად საამურად გაურბინა.

– დიაღ, ფეხი დააჭირე. ამას შენთვის ვამბობ, რადგანაც ჩემს დაზედ უკეთესის შვილი ხარ, თორემ – თითონ შენ იცი – მე გამორჩენა არა მაქვს-რა. ჩემის სულის საცხონებლად მინდა მოვახდინო ეს საქმე, თორემ მოსე გძელაძე მე არას მამცემს. ნეტავი დავიყოლიო და დედი-შენის შვილის ბედნიერება მოვახდინო და გამორჩენას ვინ იკითხავს!

– ჩემ კისერზედ იყოს ეგა. ლამაზია? – ჰკითხა ღიმილით კიდევ ლუარსაბმა.

– გითხარ – კალმით ნახატია-მეთქი.

– ორასი თუმანიცა აქვს?

– იქნება მეტიც. – ეგ მე და შენზედ ჰკიდია.

– იქნება მეტიცო!.. ჰა, თქვენ რას იტყვით, ცუდი არ იქნება, – ისე სთქვა ლუარსაბმა, თითქო რჩევას ეხლა აპირებსო.

– შენ როგორღაც გულში ჯერ არ გადაგიწყვეტნია, როგორც ვხედავ, – დაატანა ცბიერმა სუტკნეინამ, რომ გამოათქმევინოს, გულში კარგად გაუჯდა თუ არა; თუ გაუჯდა, კიდევ დასტყუოს რამე.

– ეჰ, რას ბძანებ?

– როგორ რას ვბძანებ? თუ გულში არა გაქვს, ნუ შემარცხვენ, ეხლავ თავი დამანებებინე.

– თავი როგორ დაგანებებინო, რომ იმ ქალის სიყვარული გულში ნაღვერდალსავით ჩამიგდე. აბა, როგორ დავანებო თავი? მითამ რაში დავიწუნებ?

– მაშ გავათავეთ?

– გავათავეთ.

– უი, შენ გენაცვალოს ჩემი თავი! ძლივს დედიშენის მოვალეობას და უფლისა წინაშე აღთქმას არ შევასრულებ, თუ მოსე გძელაძე ძალიან არ გაგვიჯიუტდა!

– ის კაცი რომ სთქვი, მოისყიდე, მეც აქ ფეხს დავაჭერ.

– ნეტავი იმის მეტი ქრთამი არ დაგვეხარჯოს! იქნება სხვასაც მოუნდეს.

– შუაზედ გაუყავ ოცი თუმანი.

– უი ჩემ თვალებს! ქა, როგორ იქნება? უბრალო კაცის შვილები ხომ არ არიან, ათათ თუმანში ხელი გაისვაროონ, თავადიშვილები არიან, სახელგანთქმულები, იმათი მოსყიდვა ადვილი არ არის. აი, როგორ გეტყობა, რომ ჯერ ყმაწვილი ხარ.

– ოცის წლისა ჯერ სრული არა ვარ, – იტყუა ლუარსაბმა, სრული იყო.

– ისიც ჩვიდმეტის წლისა იქნება. სწორედ გვრიტები იქნებით. უი, ნეტავი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა, რომ თქვენ ერთად მხარი-მხარ მსხდომნი გნახოთ და! ბევრი არ შემოგნატრებენ!

– მაშ ერთი აუჩქარე, თუ მართლა ეგრეა, თუ ღმერთი გწამს, – შეეხვეწა მოუთმენელი ლუარსაბი.

– ნეტავი ჩემს აჩქარებაზედ იყოს დამოკიდებული და მალე მტერი მოგიკვდეს, მალე მე მაგას ბოლო მოვუღო, მაგრამ ის წყეული მამაა საქმე. ღმერთი მოწყალეა, ნუ გეშინიან.

ეგრე გათავდა პირველი მოციქულობა სახელოვანის მოციქულისა. ლუარსაბს ამ დღის აქეთ, ცხადივ თუ სიზმრად, სულ ის კალმით ნახატი ქალი აგონდებოდა და ორასთუმნიანი პარკი. საღერღელი მეტად აეშალა, სურვილმა მეტად აადუღა, ასე რომ, როცა მოიგონებდა, ერთს ლაზათიანად გაიზმორებდა და ამას იტყოდა მსუნაგსავით ტუჩის ლოკვითა: „კალმით ნახატი ქალი, ორასი თუმანი ბაჯაღლო ოქრო და იქნება მეტიცო... ჰა! რას იტყვი ლუარსაბ, ურიგო არ იქნება, განა? ამაზედ არის ნათქვამი: „ბედი მომეცი და სანახევზედ გადამაგდეო!“

ქორწილის ღამეს დიდი ამბები მოხდა. მოვიდა სიძე დიდის მაყრიონით, ძმაც თანა ჰყვანდა, სწორედ სამშაბათს დღეს. იმ დღეს საცოლო არ აჩვენეს, რასაკვირველია. მოსესაც შეეყარა დიდი ხალხი. უგან-

ზრახვოდ არ იყო ეს ხალხის შეყრა მოსეს მხრით. ეხლა კი მართალი ქალი გაისტუმრეს საყდარში. როცა ყველაფერი მოამზადეს, მერე მიიპატიჟეს საქმროცა. როცა შევიდა ლუარსაბი საყდარში და თვალი მოჰკრა თავის საცოლოსა, ელდა ეცა. მოუბრუნდა თავის ძმას დავითს, თავაზასაც და ზრდილობასაც თავი დაანება და უთხრა:

– დავით, აკი მზეთუნახავიაო?

ხალხს სიცილი წასკდა, საწყალი პატარძალი სირცხვილით აინთო და ტირილი დაიწყო. დავითი წინ წადგა; რომ დაინახა ერთი უმსგავსო პატარძალი, მღვდელს მიუბრუნდა:

– მამაო! ჯერ სხვა იწერს ჯვარს, თუ ეს რა ამბავია?

– კნიაზი ლუარსაბ თათქარიძე და დარეჯან მოსე გძელაძის ასული იწერს ჯვარს, – მიუგო მდვდელმა.

– პატარძალი სად არის?

– აი, ესა ბძანდება.

ლუარსაბ! – დაუძახა ძმას დავითმა, – მოგვატყუვეს, ეგ ის არ არის, ჯვარი არ დაიწერო.

მთელი ხალხი გაოცდა. ლუარსაბი დაღონებული და უფრო გაფითრებული გამოვიდა საყდრიდგან, მთელი მაყრიონი გამოჰყვა. ცხენები მოიკითხეს, უნდა წამოსულიყვნენ. ცხენები დაემალათ. შეატყობინეს მოსეს, რომ საქმრო ჯვარს არ იწერსო. მოვიდა მოსე და თან მოიყვანა მრავალი ხალხი.

კნიაზო დავით! ეს რა ამბავია? – უთხრა გაჯავრებულსავით მოსემ, – ქალი საყდარშია და საქმრო ეხლა დადგა უარზედ? აქამდინ სად იყავით, თუ არ გინდოდათ ჩემი ქალი? ვინ გეხვეწებოდათ? თქვენისთანა ოჯახისშვილები მეხვეწებოდნენ, რომ არ მივეცი!

– აი, ბატონო, ქალი მანდ არის და, ვისაც გნებავდეთ, იმას მიეცით. ჩემი ძმა კი მაგის შემრთველი არ არის, – მიუგო თავგამოდებით დავითმა.

– ეხლა განა? როცა მთელმა ქვეყანამ შეიტყო, რომ ჩემს ქალს ირთავს შენი ძმა, როცა შენმა ძმამ საყდარშიაც შეიყვანა ჩემი ქალი? არა, თავზედ ლაფს არავის არ დავასხმევინებ! ან უნდა ჯვარი დაიწეროს, ან არა და აქედამ ცოცხლები ვეღარ წახვალთ! გაგონილა? სიძე სახლში ჩამიდგეს, ქალი საყდარში შეიყვანოს და ჯვარი აღარ დაიწეროს!..

– ის კი გაგონილა, რომ პატარძალი შეცვალონ! ეს შენი ქალი არ არის.

– ხალხო და ჯამაათო! დახე, რომ ვეღარა მოუგონიათ რა, იმას ამბობენ, შენი ქალი არ არისო, – დაუძახა ხალხს მოსემ.

– მაშ ვისია, თუ მაგისი არ არის! – გაიხმაურა მოსეს ხალხმა, ჩვენ ფიცს მოგცემთ.

– არა, ბატონებო, ჩემი ძმა ჯვარს არ იწერს. თუ ძალაზედ დადგებით, არც ჩვენა ვართ ლაჩრები, – წამოსთქვა დავითმა და ხანჯალი მოიმართა.

ქალები, ვინც კი იყვნენ საყდარში, სულ აქეთ-იქით მიიფანტნენ, ჰნახეს რომ ამათი ალაგი არ არის. პატარძალი კი და ორი ვიღაც ბებერი მოსემ საყდრიდამ არ გამოაყვანინა, იმედი ჰქონდა, რომ როგორმე მოახდენდა ჯვარისწერას.

– მაშ მოსე თავადიშვილი აღარ ყოფილა, – წამოიძახა მოსემ, – თუ თქვენ ჩემი ოჯახი შეგარცხვენინოთ; ჩემის ცოცხალის თავით არ ვაკადრებ ჩემს გვარს, რომ თათქარიძეებმა საყდარში ქალი გამიუპატიურონ, ჯვარი უნდა დაიწეროს.

– არ დაიწერს.

– უკანასკნელი სიტყვაა?

– უკანასკნელია.

– დავით! – უეცრად გადაასხვაფერა სიტყვა მოსემ და ხმაც მოურბილა, აქეთ მობძანდი.

დავითი გაჰყვა. იქით ორნივ გაშორებით გადგნენ. მოსემ ამოიღო ხუთი თუმანი და უთხრა ხმადაბლა დავითს:

– ეს ხუთი თუმანი, დაჩუმდი, შენ რა გინდა? შენ ხომ არ ირთავ? დავითი დარბილდა.

– ხუთ თუმანზე ძმა როგორ გავყიდო? – უპასუხა.

– შვიდი იყოს.

– ან შვიდად.

– რვა იყოს

– ვერც რვა თუმნად.

– მაშ რამდენი გინდა?

– ათი მაინც იყოს.

– ცხრაზედ რას იტყვი?

– არა, ათი.

– ეჰ, ჯანი გავარდეს: ათი იყოს.

– ამოიღო ათი თუმანი და მისცა. დავითმა ჯიბეში ჩაიდო.

– მე კი დავჩუმდები და ჩემი ძმისა შენ იცი, – უთხრა ღიმილით დავითმა.

– ოღონდ შენ დაჩუმდი და ერთი ორიოდე კაცი თქვენი მაყრიონიდამაც დაიყოლიე და ლუარსაბს მე მოვუხერხებ.

– ბატონი ხარ. მაგის პირობას გაძლევ.

– მაშ ხელი დაჰკარ. –

დაჰკრეს ხელი ხელს და საწყალ ლუარსაბს ძალად გადასწერეს ჯვარი იმ ღამესა. მოსემ არც დაპირებული ორასი თუმანი მისცა, იმის მაგიერ ის თამასუქი დაუბრუნა, სუტკნეინას რომ წაართო. ლუარსაბს არ მიჰყვანდა ცოლი, მინამ არ გამისწორდებაო, ბოლოს ესეც რომ ვერა გახდა-რა – გარემოებას დაემორჩილა და წამოიყვანა შინ თავისი დარეჯანი.

ელისაბედი სიხარულით აღარ იყო, რომ ლუარსაბმა მზეთუნახავის მაგიერ გონჯი ცოლი მოიყვანა. „ჰი, ვენაცვალე ღმერთსა! – ეტყოდა ხოლმე ქმარს ელისაბედი, – ჰი, ვენაცვალე! – ჯერ ჩემზედ უკეთესი უნდა შეერთო და მერე ჩემთვის ნიშნი მოეგო! ჰი, ვენაცვალე ღმერთსა!“ ბოლოს ხომ – როგორც მოგეხსენებათ – ცოლების მოწყალებით ძმებს ჩხუბი მოუვიდათ და გაიყარნენ.

IX

...თუმცა ლუარსაბის ჯვრისწერა ძალადობით მოხდა, თუმცა მზითევშიაც მოატყუეს და მზეთუნახავის მაგიერ მახინჯი დარეჯანი შერთეს, მაგრამ – შუბლზედ ეგ მეწერაო – იფიქრა და დაემორჩილა ბედისწერასა. ბოლოს ხომ, – შენც იცი, მკითხველო, – რომ ამათ ერთმანეთი შეუყვარდათ. ამათ კი ისე ეგონათ რომ უყვართ ერთმანეთი და სხვისა კი არ ვიცი. „ფერი ფერსაო, მადლი ღმერთსაო“. – ნათქვამია, ფერი ფერს შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება ჩვენში ცოტასა აქვს მიღებული სიყვარულად? კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა, – და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ – ვიღაცამა სთქვა – ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ დაელევაო“, – ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყვნენ: ამათ თავიანთ ცხოვრებაზედ „მჯობი“ ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმაყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და ვახში, დავა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა, მხოლოდ ერთი ჯავრი ედოთ გულშია: შვილი არა ჰყვანდათ. აი, ლუარსაბი ორმოცის წლისა და დარეჯანი ორმოცდაერთისა შესრულდა, რომ ღმერთმა მემკვიდრე არ უბოძათ. ბევრჯერ გადაფურცლა კნეინამ კარაბადინი, ბევრი რაღაც ბალახბულახი მიირთო და ლუარსაბსაც დაალევინა. მაგრამ ვერა ეშველათ-რა. „ტყუილად თავს რად იხეთქენ, – ამბობდა ხოლმე ამათზედ ღვარძლიანი ელისაბედი, – ტყუილად რად იხეთქენ? სოლომონ ბრძნის წიგნს რომ ჩააბულბულებდა ხოლმე და კუდიანობდა – ეგ იმან ჩასცხო თავშია. ღმერთმა მაგათზედ გული აიყარა, ეხლა აღარა ეშველებათ-რა“.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი იმედს არა ჰკარგავდნენ. შეიტყეს, რომ ქალაქში ერთი მკითხავია, ის შეიტყობს უშვილობის მიზეზსაო. თუმცა შვილოსნობის დრო გადასვლოდათ, მაგრამ მაინც კიდევ ქალაქისაკენ კაცი აფრინეს, თან გაატანეს ერთი

კარგი ბაღდადი[1], რომელზედაც – როგორც მოგეხსენებათ – უკითხავს მკითხავი იმას, ვინც თითონ ვერ მივა, და რომელიც, რასაკვირველია, მკითხავს დარჩება ხოლმე. სამს დღეს უკან ბიჭმა პასუხი მოუტანათ, რომა „თქვენზედ ხატია გამწყრალიო. მერე რომელი ხატი? თელეთისაო, ასე სთქვა მკითხავმაო“. ეს რომ გაიგეს ცოლ-ქმართ, ერთ დროს და ერთხმად პირჯვრისწერით წამოიძახეს:

– საიდამ სად მოგვიკითხა! დიდება სახელსა უფლისასა, – სთქვეს და ისევ პირჯვარი გადიწერეს.

– დალახვრა ღმერთმა! საიდამ სად მოგვიკითხა! – ისევ გაიმეორა ლუარსაბმა.

– ხატზედ „დალახვრას“ როგორ ამბობ?

– ღმერთო, ნუ მიწყენ, ღმერთო, ნუ მიწყენ! – რამდენჯერმე პირჯვარი გადიწერა სხაპასხუპით, – აი, დალახვრა ღმერთმა, დაჩვეული რომ ვარ, ისე თავისთავად ითქმის ხოლმე, ღმერთო, ნუ მიწყენ!

– ახლა რას იტყვი, ლუარსაბ, წავიდეთ?

– შორს რომ არის?

– რა ვუყოთ? ალბად ნება ღვთისა ეგ არის.

– მოდი, აქვე ნეკრესის ღვთისმშობელი ვილოცოთ.

– თელეთის ხატს ეწყინება: მე დავიბარეო, აქ კი არ მოვიდნენო და იქ კი წავიდნენო, იტყვის.

– მართალია, ეწყინება. გული მოუვა. აი, მე ხომ კაცი ვარ, მეც გული მამივიდოდა და ის ხომ ხატი ბძანდება – ვენაცვალე იმის მადლს! – უფრო გული არ უნდა მოუვიდეს?

– ეგ არის და.

– მაშ რა ვქნათ?

– უნდა წავიდეთ.

– შორს კი არის, თუ შენც იტყვი.

– ეხლა, თუ მივდივართ, ნუღარ ამადლებ – გვიწყენს.

მართლა, მართლა! ნუ მიწყენ, აგრემც დიდება შენსა სახელსა, ხატო თელეთისაო! გიახლები, გიახლები და თაყვანსა ვცემ სახელსა შენსა.

დაიჯერეს მკითხავის სიტყვა: თედოს შეაბმევინეს ურემი, გადააფარეს ფარდაგი, ერთი კარგი ცხვარი დააკრეს ურმის ბოლოს, ახსენეს ღმერთი და ერთ მშვენიერ ზაფხულის დილას შეუდგნენ ქალაქის შარა-გზასა. ურემში ისხდნენ კნეინა დარეჯანი და მისი მოახლე ლამაზისეული. ერთი ბიჭი და ლუარსაბი თავის წითელს ულაყ ცხენზედ მჯდომი ნელ-ნელა აედევნენ უკან ფეხმძიმე ურემსა. მეომარის თვალადობა ჰქონდა ამჟამად ჩვენს უამისოდაც საყვარელს ლუარსაბსა, თუმცა კი, როგორც ბამბის ტომარა, ისე იდო ცხენზედა. წელზედ ერტყა ქართული ხმალი და გრძელი ლეკური ხანჯალი, უკან წელში გაყრილი ჰქონდა სევადიანი დამბაჩა. შავი შალის ჩოხა ეცვა, იმისი კალთები ვაჟკაცურად ამოტარებული ჰქონდა ჩოხის ჯიბეებშია. შარვალში იჯდა, შარვლის ტოტები ჩაეკეცნა მაღალყელიან ყარაბაღულ თეთრ ჩექმებში, წვივებზედ პტყელი ჩაღსაკრავი, გრძელფოჩებიანი, სირაჯსავით შემოეკრა. თავზედ ეხურა ლურჯი კალმუხის ქუდი – კახურად ჩატეხილი და შუბლთან შიგ შეკეცილი – რადგანაცა ცხელოდა, – ერთის სიტყვით, ხმლის პირი, ზედწამოცმულ ვაშლით, რომ ამოღებული სჭეროდა, თავიდამ ფეხამდინ ორშაბათის ყეინი[2] იქნებოდა.

– ამ ყოფით ავიდნენ თელეთში მეხუთე დღეს, ილოცეს და მეორე დღესვე დაბრუნდნენ. ქალაქს რომ ჩამოუარეს და შეუდგნენ კახეთის გზასა, კნეინა დარეჯანმა შეაქცია ზურგი კოფოსა[3], წამოიჩოქა და გამოჰხედა ქალაქსა. ლუარსაბს ურემში ეძინა. ისიც გააღვიძა.

ლუარსაბ, ერთი შეხედე, რა ამბავია. ამოდენა ქვეყანა გაგონილა, რომ აქ არის! დიდება შენდა, ღმერთო! სულ ქვითკირის შენობა უნდა იყოს.

---

[1] **ბაღდადი** – აქ: აბრეშუმის ოთხკუთხედი მანდილი ან ხელსახოცი.

[2] **ორშაბათის ყეინი** – ერთ-ერთი ბერიკა ყეენობის დღესასწაულზე.

[3] **კოფო** – ურმის, მარხილის ჭალებზე ჩამოცმული მეურმეს დასაჯდომი ფიცარი.

– კნეინას ქალაქი ჯერ არ ენახა.

– მაშ არა და წნული იქნება.

– ერთი შეხედე და, რამდენი საყდრებია!..

– ვიცი. განა არა ვყოფილვარ?

– პირველად რომ ჩაგიყვანეს, კენჭები არ ჩაგაყლაპეს?[1]

– როგორ არა? სამი ასეთი კენჭი ჩავყლაპე, რომ ძლივს მოვინელე.

– აღარ დაგცადა ქალაქმა?

– არა, რაღას დამცდიდა. რომ კენჭებ-ჩაყლაპული ვიყავ? რომ არ ჩამეყლაპა, მაშინ სხვა იქნებოდა.

– ეგ ხომ აგრეა. კაი სანახავი კი უნდა იყოს!

– კარგი როგორ არ არის, მთელი მილეთის ხალხი სულ მანდ დაწანწალებს...

– მართალია, რომ აქ კაცს თავს მოსჭრიანო და მერე ისევ გააცოცხლებენო?

– მართალია, მაშ? ეგ კიდევ რა! რაღაც მოუგონიათო, ფიცრებს თავის-თავად ხერხავსო.

– ეხლა ეგა სთქვი.

– თავი არ მამიკვდება.

– როგორ? ისე თავის-თავად?

– თავის-თავად.

– არც კაცია, არც ადამიანი?

– არა.

– მაშ ხერხი ვის უჭირავს?

– ეშმაკს და ქაჯს, ღმერთმა ნუ იცის რუსების თავი!

– რუსების მოგონილია განა ეგა?

– მაშ არა და შენის მაზლის დავითისაა!

დიდება შენდა, ღმერთო თვალთმაქცობას რომ ჰთამაშობენ, ისიც გინახავს?

– აბა რომელი?

– აი, გაჭენებულ ცხენზედ რომ კაცი დადგება, იმ კაცზედ კიდევ კაცი, იმაზედ კიდევ კაცი და კიდევა და კიდევა.

– ეგ რა არის? მე კი არ დავდგებოდი ხოლმე გაჭენებულ ცხენზედ ჩემ პატარა ბიჭობაში!.. – დაიკვეხა ლუარსაბმა.

– აი, შენმა მზემ! შენ კი იქნებოდი, რომ დამდგარიყავ.

– ღმერთმა იცის! ეხლა ჯანი აღარ მამდევს და სიმარდე, თორემ ეხლავ გიჩვენებდი.

– ნუ იკვეხ. ხომ ვიცი, ჩემო კარგო, რაცა ხარ.

– განა კვეხნისთვის ვამბობ? მე იმისთვის ვთქვი, რომ ეგ რა თვალთმაქცობაა-მეთქი. მაგაზედ უფრო ბევრი ასეთია, რომ...

– მაინც?

– რა ვიცი, რამდენი რამ არის.

– სთქვი რაღა, მეც ვიცოდე.

– ბევრია.

– მაინც?

– რა ვიცი, რამდენი რაღაცაებია...

– მაინც?

– ეჰ, ვინ მოსთვლის? ბევრია, ნეტავი შენ! რა-რიგად ჩამოცხა! უჰ!

რომ არ იცოდა რა ეთქვა ჩვენ უბოროტო ლუარსაბსა, სიტყვა გადაასხვაფერა. მოიხადა ყალმუხის ქუდი, შუბლიდან და სახიდან იმითი ჩამოიწმინდა ოფლი. მერე გააკეთებინა ჩიბუხი და ჩიბუხის წევაში ისევ ხვრინვა ამოუშვა, მერე ასეთი, რომ რამდენიმე დღის უძილო ეგონებოდა კაცსა.

X

მეხუთე დღეს შინ მშვიდობით მოვიდნენ ჩვენი ბედნიერი ცოლქმარნი, თან მოჰყვათ, რასაკვირველია, იმედი, რომ შვილი გაუჩნდებათ. მაგრამ გავიდა სამი თვე – ყმაწვილმა მუცელში არ გაიჩუჩუნა, გავიდა ექვსი თვე – კაბა არ დაუვიწროვდა დარეჯანსა. გავიდა ცხრა თვეც და დარეჯანს მუცელი არ ასტკივდა. დარეჯანი მაინც იმედს არა ჰკარგავდა: ამდენი სხვადასხვა ფერის და სხვადასხვა ნაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზედ დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა, და ჰქონდა კიდეც. თუ აქამდინ არ ეყოლა, ის იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა[2] და წააყვედრა – „შორს არისო“. თორემ ეს დამუნათება და წაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეჯდებოდა დარეჯანს კალთაში. ლუარსაბი ავ გუნებაზედ იყო. ეგ არაფერია, რომ შვილი არ უჩნდებოდა და ხატმა მოატყუვა: დაიბარა და არ მისცა კი

[1] ჩვენში ბევრსა სწამს, რომ თუ ვინც პირველად ქალაქში ჩადის და კენჭს არ ჩაყლაპავს, ქალაქი დასცდისო. მეც, ამის დამწერს, გადამაყლაპეს ერთს დროს (ავტორის შენიშვნა).

[2] **დაამუნათა** – საყვედურით აავსო, დაამადლა.

შვილი; ამის ჯავრი ის იყო, რომ დავითს, ამის ძმასა, უთქვამს: „ის ოხერი, როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო“. ესა ჰკლავდა ლუარსაბსა, თორემ შვილის უყოლობა ამისთვის კიდევ დიდი უბედურება არ იყო.

ერთხელ ესე დაღონებული აქეთ ტახტზედ გულდაღმა იწვა ლუარსაბი, იქით ტახტზედ კიდევ კნეინა დარეჯანი წინდასა ჰქსოვდა. ძალიან ცუდს გუნებაზედ იყო ხმაგაკმენდილი ჭერს გაუშტერა თვალი და ჰფიქრობდა, იმაზედ ჰფიქრობდა, როგორ მოახერხოს, რომ შვილი გაუჩნდეს. – „განა შვილი იმისათვის მინდა, რომ მართლა შვილი მყვანდეს? – ამბობდა თავის-თავად, – შენც არ მამიკვდე! დავითის გამოჯავრებით მინდა, ის არ მინდა ჩემს მამულებზედ გავახარო. იმისი ჯავრი არ მინდა შევირჩინო, თორემ ეს ჯაბრი რომ არ იყოს, ძალიანაც არ ვინაღვლიდი, რომ შვილი არა მყავს. ცოტანი არიან უშვილონი განა? მეც იმათში ვიქნებოდი. დავითი არ მინდა გავახარო, დავითი!“

ეს რომა სთქვა თავის-თავად, გადმობრუნდა დარეჯანისაკენ დაღონებული და მწუხარე ხმით უთხრა:

ეხლა დავითს უნდა შერჩეს ის სიტყვები!.. უნდა ჩვენს მამულდედულზედ გავახაროთ!.. დარეჯან შენი ჭირიმე, თუ გიყვარდე, თუ გიყვარდე, აი! ერთი ვაჟიშვილი ჰშობე, დავითის გამოჯავრებით მაინცა ჰშობე, რომ სხვა არა იყოს-რა. ოღონდ იმისი ჯავრი კი ამომაყრევინე და მერე თუნდა მამკალ. შენი ჭირიმე, შენი დედაკაცობის ჭირიმე! თუ გიყვარდე, აი!

– ვშობამ, შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, ვშობამ, თუ აგრეა! – უპასუხა კნეინამ ისე, ასე გგონია მართლა ამის ხელში იყოს შვილის შობა. – წუხელის სიზმარში ერთმა მოხუცებულმა კაცმა – ფეხებამდინ უმტვერო ქაღალდივით წვერი ჰქონდა – ერთი წამალი დამალევინა და მითხრა: გამრავლდი, ვითარცა იაკობო! მე მაშინვე მუხლზედ ვემთხვივე, შენ მაგიერადაც ვემთხვივე.

– მართლა? – წამოიძახა იმედმოცემულმა ლუარსაბმა, – ისე თვალითა ნახე?

– აი, როგორც შენა გხედავ.

– შენი ჭირიმე!.. მაშ იმედია, დარეჯან-ჯან!

– მაშ ქა!

– ო, შენ გეთაყვანე, შენა! – დაიჯერა და გაიღიმა ლუარსაბმა, – როგორ გითხრა?

– გამრავლდიო, ვითარცა იაკობ[1].

– იაკობი ვინ იყო?

– დარეჯანმა არ იცოდა, ვინ იყო. ისე კი გაეგო, მგონი – წირვა-ლოცვაზედ, იაკობის სახელი, და ვინ იყო, რა იყო, როდის იყო – ამაების არა იცოდა-რა. მაგრამ არცოდნა ითაკილა, ისევ რაღაცა მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმასა, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველმა იცის ხოლმე.

– ვინ იყო? – იკითხა დარეჯანმა, – წირვა-ლოცვაზედ მაინც არ გაგიგია? აბრაამის მძახლის განაყოფის შვილი იყო.

– ეხლა, გამრავლდიო, ვითარცა იაკობ, მითამ რაო?

– მითამ ისაო, რომ გამრავლდიო, – აუხსნა დარეჯანმა.

– აი, ვენაცვალე იმის ენას! მაშ იმედია?

– კიდევ! ნუ იცი შენ ეგ, ნუ! ნუ ხარ უჯერო, ცოდვაა.

– აღარ ვიქნები, აღარ, ოღონდ შენ შვილი ჰშობე, თუნდა ენასაც მოვიკვნეტ, ოღონდ კი დავითს ნუ გაახარებ.

– ღმერთია მოწყალე გეუბნები, არ გაავახარებ-მეთქი.

– ახ, ნეტავი კი მართალა ჰშობო და.

– კიდევ! ნუ ხარ უჯათი[2], წმინდა კაცის სიტყვაზედ როგორ ხარ უჯერო, რა დაგემართა?!

აი, დალახვრა ღმერთმა! ჩემ-თავად გულში უნდა მეთქვა – ღმერთმან იცის – და აკი კიდევ წამომცდა. ახ, ნეტ...

– კიდევ!

ფუი, დალახვრა ღმერთმა! კინაღამ კიდევ არ წამცდა!.. ეხლა, მეტად რომ მინდა, იმიტომ, თორემ... ეჰ, გადავბრუნდები, დავიძინებ, თორემ, მე რომ ვიცი ჩემის ენის

---

[1] **იაკობი** – ბიბლიური პერსონაჟი, აბრაამის შვილიშვილი, თორმეტი შვილის მამა. მათგან წარმოიშვა ისრაელის თორმეტი ტომი.

[2] **უჯათი** – დაუჯერებელი, თავნება, ჯიუტი.

ამბავი, ერთს კიდევ წამომაროშვინებს რასმეს და ღმერთი მიწყენს.

– თელეთისა არ იყოს! იმდენი ამუნათე, იმდენი იძახე – შორს არისო, რომ გაგვიწყრა და აი, დღესაც შვილი არა გვყავს.

– მერე აკი მაშინვე შევეხვეწე, ნუ გაჯავრდები-მეთქი. რატომ არ მაპატივა! რა ვუყოთ, რომ „შორს არის“-მეთქი ერთხელ წამომცდა? ერთი ალილო მღვდელსაც შესცდებაო.

– კარგი, კარგი! რაც იყო, იყო; ეხლა მაინც არ აწყენინო.

– მაშ დავიძინებ.

– შენი ნებაა.

ლუარსაბი გადატრიალდა და პატარა ხანს უკან ერთი მადლიანი თავისებური ხვრინვა ამოუშვა.

ნეტავი არ დაეძინა. ძილში საშინელი სიზმარი ჰნახა. ჰნახა, რომ დავითი სიხარულით აღარ არის, რომ ამას შვილი არ უჩნდება; დადის ყველგან და სულ იმას იძახის: ის ოხერი როდის იქნება ჩაძაღლდეს, რომ იმის მამულებზედ ვინავარდოო. სტკივა გული ლუარსაბსა, ჯავრი მოსდის, გული ყელში მოებჯინა. რა ჰქნას? – „ღმერთო! – ამბობს სიზმარში გულნატკენად ლუარსაბი, – რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რომ შვილს არ მაძლევ? მიბძანე და აკი გიახელ თელეთს სალოცავადა, თორმეტბაზიანი ცხვარი დაგიკალ, ორი აბაზის წმინდა სანთელი აგინთე. სხვა რა ვქნა? წირვა-ლოცვას უამისოდაც არ ვაკლდებოდი, მარხვა მე არ გამიტეხია, ყოველ წელიწადს წმინდა ზიარება მიმიღია და აღსარება მითქვამს. აბა ჩვენ მღვდელსა ჰკითხე, თუ მე ცოდვა მიქნია რამე. დავითის ლუკმად უნდა გამხადო?! რაც იმას ქვეყანაზედ ცოდვა ჩაუდენია, ვინ მოსთვლის? შარშან ივანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს ხორცი უჭამია. პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვევა, იქნება ფეხიც დაადგას და გასრისოს კიდეცა. უკურთხეველ ყურძენსა სჭამს, ფერისცვალობამდის არ მოიცდის ხოლმე, აღდგომადღეს მღვდელს არ მოუცდის – რომ სუფრა უკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულს – როგორც დათვი, ამისთანა მსუნაგია. ზიარებით კი ეზიარება ხოლმე, მაგრამ რა გამოვიდა? სამი დღე ემზადება, მარტო სამი დღე. აბა, ეს რა ზიარებაა! ეს ყველა იცი – შე დალოცვილო ღმერთო – და მაინც კიდევ იმისაკენა ხარ! დაილოცა შენი სამართალი! ჰო, მართლა, ერთი კიდევ დამავიწყდა: ერთი მწევარი ჰყავს, თავის თეფშში აჭმევს ხოლმე. ქრისტიანი კაცი კია! მე ხომ ამისთანას არაფერსა ვცოდავ, რად მიწყრები? მერცხალი გინდა, იმას დასძლევს ხოლმე[1], ოფოფი გინდა, იმას დასძლევს, გუგული, კვიცი – რაც გინდა, ყველაფერი ბოროტი იმაშია. მე კი – ღმერთო, ხომ შენ იცი – არაფერს არ დაუძლევივარ, რად მიწყრები? იმისთვის, რომ თელეთში წასვლაზედ ჭოჭმანობა დავიწყე? აკი მაშინვე მოვინანიე!..“

ეგრე უჩიოდა ღმერთს ლუარსაბი. მერე ჰნახა, რომ მითამ ღმერთმა მიიღო ეს ჩივილი საბუთად და გული მოიბრუნა ლუარსაბისაკენ, აი, მითამ რვა თვეც არის, რაც დარეჯანი ორსულია. ერთი თვეც, ერთად-ერთი, და ლუარსაბს შვილი ეყოლება და დავითს თვალი დაუდგება. უხარიან სიზმარში ლუარსაბსა, რომ ამის ჩივილმა გასჭრა, სიხარულით ფეხზედ ველარა დგება. დავით და იმისი ცოლი ჯავრით აღარ არიან. ლუარსაბს ისე შვილი არ უხარიან, როგორც ისა, რომ დავითი და ელისაბედი ჯავრით აღარ არიან. ორი კვირაც მითამ გავიდა, აი, ორი კვირა კიდევ და დარეჯანი დაწვება. უხარიან, უხარიან ლუარსაბს, მაგრამ! – აი, უბედურება – ლუარსაბი უეცრად ავადა ჰხდება და ძალიანაც ჰხდება, ასე რომ მითამ მოკვდა კიდეცა. მაგრამ ისე კი მოკვდა, რომ ყველაფერსა ჰგრძნობს. ესმის, რომ დარეჯანი საშინელის ხმითა სტირის და სოფლის მოტირალე დედაკაცები მწუხარე ბანს აძლევენ. ესმის, რომ იქით, სადღაც კუთხეში, დავითი და

[1] არის ამისთანა ამაოთმორწმუნება ჩვენში, რომ თუ ღვინო დალეული არ შეხვდა პირველად მერცხალს, მერცხალი დაგძლევს. კვიცი რომ დაინახო, მაშინვე ქვაზედ უნდა შედგე, თორემ დაძლეული იქნები, ოფოფს თავდავარცხნილი უნდა დახვდე და სხვა. ლუარსაბს, როგორც ათასს სხვას, ეს დაძლევა ცოდვა ჰგონია, ამიტომაც ეგრე გულმოდგინედ დავითს ღმერთთან აბეზღებს (ავტორის შენიშვნა).

ელისაბედი იცინიან, ჰხტიან და ლუარსაბის ავეჯეულობა თავის სახლში გადააქვთ. ლუარსაბს სისხლი ყელში მოსდის, უნდა წამოდგეს, მაგრამ იცის რომ მკვდარია და იმიტომ არა დგება. – „ხვალ მამულებს ჩავიბარებო,“ – იძახის ხმა-მაღლა დავითი. ლუარსაბი იწურება ამ სიტყვებზედა, იტანჯება, უნდა სთქვას – რომ „ნუ მისცემთო, დარეჯანი ორსულად არის, შვილი ეყოლებაო“, მაგრამ იცის, რომ მკვდარია და არას ამბობს. საშინელ მდგომარეობაშია საწყალი, ცოცხალ-მკვდარი ლუარსაბი. რა ჰქნას აბა მკვდარმა?

„ვაი, რა დროს მოვკვდი!.. როცა ღმერთმა შვილის მოცემა ინება, მაშინ! – ამბობს სიზმარში თავის-თავად ლუარსაბი, – ახ, ნეტავი ეხლა კი გავცოცხლდე და!..“

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, კუბოც მოიტანეს, აი, ჩაასვენეს კიდეცა და კუბოში ჩადებული და მორთული დაასვენეს ტახტზედა. მესამე დღეს მღვდლებიც მოვიდნენ, ასწიეს კუბო და წაიღეს გალობითა და ტირილითა. ამ გალობაში და ტირილში დავითისა და იმის ცოლის მხიარული სიმღერა ესმის ლუარსაბსა. ესმის ეს ყველაფერი, ჰგრძნობს რომ ანდერძიც აუგეს და სასაფლაოზედაც წაიღეს, უნდა სთქვას: „ნუ დამმარხავთო“, მაგრამ იცის მკვდარია და არას ამბობს. აი, მიწაში ჩაუშვეს საწყალი ლუარსაბი, ესმის, რომ საფლავის პირზედ დავითი სდგას და ეუბნება დიანბეგს: ხვალ მამულები უნდა ჩამაბაროვო. ელისაბედი კი უჯავრდება: რას ჰბოდავ? სახვალიოდ რად იხდი საქმესა, განა დღეს კი ვერ ჩაიბარებ? ლუარსაბს ეს ყველაფერი ესმის, ჰხვნეშის, ჰწვალობს, იტანჯება, ცივ ოფლს ასხამს, ჰკანკალებს, თრთის ცალკე შიშისაგან, ცალკე ჯავრისაგან, რომ დავითსა რჩება ბურთი და მოედანი. – „ახ! ნეტავი კი ეხლა გავცოცხლდე და!“ – იძახის გულში ლუარსაბი.

მაგრამ სად არის გაცოცხლება? აი, მიწაც მოაყარეს, ჯერ მუჭა-მუჭად მიწა ცვივა და კუბოს ფიცრებზედ რახარუხი გააქვს, მერე შეატყო, რომ ნიჩბებითაც დაუწყეს მიწის ყრა. ლუარსაბს უღონდება გული, სული ეხუთება, ჰაერი დაეხშო და, აი, ერთი წუთიც და გათავდება კიდეცა. მაგრამ ვინ არის მეშველი? ესმის, რომ ხალხის ხმაურობა თანდათან მისწყდა, ყველანი წავიდნენ და მარტო ლუარსაბი საფლავში დააგდეს დაფლული. გულმა ტეხა დაუწყო, რომ დარეჯანმაც კი – ამის საყვარელმა დარეჯანმაც კი – სხვებსავით თავი დაანება და ამასთან არ დაიმარხა. ლუარსაბს გული ამოუჯდა, დაიწყო ტირილი: „ეგ იმედი მქონდა იმისაგან!“ ამბობს თავის გულში: „დამაცა, შენც საიქიოს არ მოხვალ, იქ მოგაგონებ“. ამ ლაპარაკში რომ არის, საფლავზედ ფერხულის ხმა შემოესმა, ხმა გაიკმინდა, ყური დაუგდო. მოესმა, რომ დავითი და ელისაბედი ფერხულში ჩაბმულან და ჯერ კიდევ სველ საფლავზედა ფერხულსაც უვლიან. „ჩაძაღლდი, განა?“ – უყვირიან ზემოდამ. ეხლა კი გული აენთო; ერთი საშინლად გაინძრა, უნდოდა ისე წამოწეულიყო, რომ კუბოს თავი და მიწა აეგლიჯნა, საფლავიდამ ამოსულიყო, ამათთვის ერთი ყოფა დაეწია და თავზედ ლაფი დაესხა. ამ ტრიალში და ვაი-ვაგლახში რომ არის, ერთი იხტუნა, მითამ საფლავიდამ ამოხტომა უნდა, და ტახტიდამ ძირს აგურებზედ კი ბრაგვანი მოიღო. მაშინ კი თვალები დააჭყიტა, ჯერ კიდევ სიზმრის შიშის-ზარი ისევ უბზუოდა თავში, ასე რომ სულელსავით გაშტერებული და ფილაქანზედ გაშოტილი პირღია დარჩა. სასაცილო რამ იყო. ისე დაიკარგა, ისე გაფითრებული და ცივ ოფლში იყო, რომ დიდხანს გონზედ ვეღარ მოვიდა და არამც თუ წამოდგომა მოაგონდა, არც კი გაინძრა. ისეთი შეშინებული იყო, რომ სიკვდილის ფერი ედო ოფლიან სახეზედა. ამის დაცემაზედ ოთახი, რასაკვირველია, შეინძრა. დარეჯანს თურმე – იქით, მეორე ტახტზედ – ჩასძინებოდა და ოთახის ზანზარზედ ამასაც გამოეღვიძა. ამან, – რადგანაც ჯერ არ იცოდა ლუარსაბი რა ყოფაშია, – ჯერ წამოიძახა, – ლუარსაბ! გაიგე? მიწისძვრა იყო.

– ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავში იყო და ხმა არ გასცა, დარეჯანი წამოჯდა და მხოლოდ მაშინ დაინახა, რომ ლუარსაბი გაფითრებული აგურებზედ უძრავად ჰგდია და სულელსავით დაუჭყეტია უგუნური თვალები. დარეჯანს ფერი ეცვალა.

– უი შენს დარეჯანსა! ეს რა დაგმართვია, შენ გეთაყვანოს ჩემი ცოცხალი თავი! ლუარსაბმა ვერც ეს დარეჯანის ნათქვამი გაიგო. სიზმარმა ისეთი თავბრუ დაასხა, რომ შიში ჯერ გამონელებული არა ჰქონდა და ეს ამბავი სიზმრის გაგრძელება ეგონა, იმიტომ ჯერ არც-არა ესმოდა-რა და ვერცა-რასა ჰხედავდა, თუმცა თვალები კი ეჭყიტა. დიაღ, ჯერ ისევ სიზმარი ეგონა, მხოლოდ ის აოცებდა, რომ „აკი დამმარხესო და მგონი მე ჩემს ოთახში ვარ ეხლაო. ეს როგორ მოჰხდაო?“

– ამის ფიქრში დაიფანტა ამისი გონება. ამიტომაც პასუხის მაგიერად თავისი შიშნაჭამი თვალები გიჟსავით შეაჭყიტა დარეჯანსა, თითქო ჰხედავს კიდეცაო და არც იჯერებსო, რომ იმის წინ დარეჯანია. დარეჯანს ელდა ეცა, ხომ არ გაგიჟდაო. მაშინვე ტახტიდამ ჩამოფრინდა და მივარდა გაშოტვილს ლუარსაბს.

– რა დაგემართა, შენი ჭირიმე, შენი! ხმა ამოიღე, გეთაყვანე, თორემ ლამის მე ჩემი დამემართოს!

– დამაცა!.. – გაუქნივა თანაც ხელი ლუარსაბმა, მითამ მამშორდიო, – მინდა მოვიგონო.

ესა სთქვა, ხმა გაიკმინდა, მაინც არ წამოდგა და თვალებდაჭყეტილმა და პირდაღებულმა დაიწყო ფიქრი, რომ მოიგონოს ის, რაც დაემართა. ისე უეცრად და ამ ყოფით გამოღვიძებულს სიზმრის ამბავი ცოტაღა დაახსოვდა და ის უნდა მოეგონა.

– შენ გენაცვალე! – მიემუდარა დარეჯანი, – ჩქარა მითხარ, თორემ შიშისაგან ლამის გავთავდე.

ლუარსაბმა ყური არ ათხოვა და სიზმრის ფიქრში წასულმა თავისთავად ხმამაღლა ლაპარაკი დაიწყო:

– მე მოვკვდი. დარეჯანი ჯერ კი ტიროდა და მერე, როცა დამმარხეს და ყველამ თავი დამანება, დარეჯანმაც მიღალატა. ეგ იმედი მქონდა იმისაგან? თავი დამანება და ჩემთან არ დაიმარხა!.. აკი უყვარდი! დამაცალოს!.. ის სულ-ძაღლი დავითი!.. ის ქოფაკი ჩემი რძალი!.. ფერხული დააბეს განა, დამაცადონ!.. აი, მკვდარი არა ვყოფილიყავ, მე ვუჩვენებდი იმათ!.. მაგრამ რა მექნა, რომ მკვდარი ვიყავი!..

ბევრს რაღაცეების ბოდვას მოჰყვა ჩვენი ლუარსაბი. დარეჯანი კი გაფითრებული ყურს უგდებდა, არ ესმოდა რას ჰლაპარაკობს.

– შენი ჭირიმე, ლუარსაბ! – უთხრა კანკალით დარეჯანმა, – სიზმარში ხარ, თუ ცხადივ? მითხარ, თორემ შენს მაყურებელს სული დამელია.

– ეხლა განა? მაშინ რატომ არ დაგელია, როცა მიწა მომაყარე და მარტოკა ჩამფალი შავ მიწაშია?

– რას ამბობ, შენი ჭირიმე, რასა? ერთი შემატყობინე.

– რა უნდა შეგატყობინო? ცარიელი ტირილით რა გამოვიდა, უნდა თან ჩამამყოლოდი. არა გრცხვენიან, პირში როგორღა მიყურებ?

– უი, თვალები ეხლა დამდგომია, თვალები! – შეჰჭყივლა დარეჯანმა და მაშინვე გამოვიდა მოაჯირზედ, რომ ბიჭებს დაუძახოს, რადგანაც გული დააჯერა, რომ ლუარსაბისათვის ეშმაკს ძილში თავში ჩაუკრამს და ჭკვიდამ შეუშლია. ის კი არა თუ, ლუარსაბი ჯერ კიდევ სიზმრის ამბავშია.

– მიშველეთ, მიშველეთ! – ჰყვიროდა დარეჯანი მოაჯირიდამ თავში ცემით თავმოხდილი და გაწეწილი.

– მიშველეთ! უი ამ დღის მნახველსა, შე ქოფაკო დარეჯანო! – ჰყვიროდა კნეინა და იცემდა თავში, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ლუარსაბი ამ ყვირილზედ სრულიად გამოფხიზლდა. წამოხტა აგურებიდამ და ისე გაღეღილი გავარდა, რომ შეიტყოს, რა დამართვია დარეჯანსა. დარეჯანმა დაინახა თუ არა ლუარსაბი, ეგონა – მე გამომიდგაო, იშვირა ფეხი და ეცა კიბეს. კიბეზედ ფეხი გაუსხლტა და ისე რახარუხით ჩაგორდა ძირამდინა. ამ კიჟინაზედ და ვაი-ვაგლახზედ ბიჭები მოგროვდნენ.

– დაიჭირეთ, დააბით! – წივოდა გვერდებდალეწილი დარეჯანი, – დაიჭირეთ, თორემ დაგვჭამს, ვაი, შე ქოფაკო თავო! ამ დღესაც შეესწარ, რომ ქმარი გაგიგიჟდა! – ჰწიოდა საწყალი კნეინა და იცემდა ძალზედ თავში, თითქო იმისი ბრალი იყოს ლუარსაბის გაგიჟება. ლუარსაბი გაოცდა, ეს ამბავი რომ ჰნახა, სრულიად გაშრა. ეხ-

ლა ამას ეგონა, რომ ცოლი გაუგიჟდა და დაიწყო საწყალმა ტირილი: გულჩვილი იყო.

– რა გაყვირებს, ადამიანო, – გადასძახა ხმაამოჯდომით და ნაღვლიანად დარეჯანსა, სრულიად გონებაზედ მოსულმა და დამშვიდებულმა, – ვინ გაგიჟდა, შენი სულისა, შენი! მე ჩემ გონებაზედა ვარ.

დარეჯანმა შემოჰხედა, დაინახა, რომ ლუარსაბი ისევ ის ლუარსაბია, არც გიჟი, არც ჭკვიანი, არც ფლავი, არც ჩლავი[1]; მაგრამ მაინც კიდევ ჯერ ეჭვში იყო. გიჟმა იცის ხანდისხან დაჭკვიანებაო, გაიფიქრა გულში.

– აბა სწორედ შემომხედე, – დაუძახა ქვევიდამ დარეჯანმა და თვალები შემოაჭყიტა.

– აჰა, შენი სულისა! – სთქვა და შეჰხედა ლუარსაბმა.

– წეღან რას ჰლაპარაკობდი?

– აბა როდის, შენი ჭირიმე!

– აი, აგურებზედ რომ იწექი.

– სიზმარი ვნახე და იმას ვიგონებდი.

– მაშ აგურებზედ რად იყავი გაშოტილი?

– ცუდი სიზმარი ვნახე: მმარხავდნენ მითამ და საფლავიდამ ამოხტომა მინდოდა და ძირს კი დავეცი.

– მართლა, შენ გენაცვალე! – შემოჰხარა დარეჯანმა, – ვუი, შერცხვენილო თავო! მე კი ქვეყანა შევყარე, ქმარი გამიგიჟდა-მეთქი.

დარეჯანი ამოვიდა მაღლა ლუარსაბთან და მაშინვე შემოსცინა. ლუარსაბმაც კბილები დაუკრიჭა.

– მართლა გიჟი გეგონე, შენი სულისა? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– მართლა მეგონე, შენ გენაცვალოს ჩემი თავი.

– აი, დალახვრა ღმერთმა, მე კიდევ შენ მეგონე გიჟი. მადლობა ღმერთსა, ორივ კარგადა ვართ. კიბეზედ რომ ჩაგორდი?

– რა მიშავს? მე, რაკი შენ შენს გონებაზედ გხედავ, ყველაფერი დამავიწყდა.

– მეც ისე ვარ.

– უი, შენი ჭირიმე, შენი! რომ მართლა გაგიჟებულიყავ, რა მამივიდოდა? – უთხრა ესა დარეჯანმა და სიხარულით ატაცებულმა, რომ ლუარსაბი თავის ჭკვაზედ არის, ლოყაზედ უჩქმიტა.

ლუარსაბს იამა და, რომ უკან არ ჩამორჩეს ალერსშია, თითონაც უჩქმიტა და ზედ ტკბილის ხმით და ღიმილით „ჰი!“ დაატანა.

ესე მოხდა ეს ამბავი.

XI

ლუარსაბმა ეს სიზმარი თავიდამ ბოლომდინ, როგორც იყო, ისე უამბო. დარეჯანმა ისე ახსნა ეს სიზმარი, რომ სწორედ ცხრა თვეს უკან შვილი უნდა ეყოლოს.

– აბა, როგორ? – ჰკითხა ლუარსაბმა.

– ხომ სტიროდი სიზმარშია? – ეხლა დარეჯანმა ჰკითხა.

– ვტიროდი.

– მეც ხომ ვტიროდი?

– შენცა სტიროდი.

– ტირილი კიდევ სიხარულის ნიშანია. მე და შენ სიხარული სხვა რა გვექნება, თუ არ შვილის ყოლა? მაშ შვილი გვეყოლება და ჩვენი სიხარულიც ისე აგვიხდება. მართლა, ტირილი ხომ სიხარულის ნიშანია. უთუოდ ეგრე აგვიხდება. აი, ვენაცვალე სულში იმ სიზმარსა! თვალი არ დაუდგება დავითსა! აბა, ფერხულს მაშინ ჩამოუვლის, აი! ღმერთო, შენ იცი ეხლა.

ამ დროს ლამაზისეულმა კარი შემოაღო და გახარებული შემოვარდა ოთახში.

– ქალბატონო, ქალბატონო! – წამოიძახა გოგომა. – ჩამჩიაშვილს რომ ძაღლმა შვილი დაუცოფა, იმისთვის ერთი აქიმი დედაკაცი მოუყვანიათ, იმ დედაკაცმა თურმე მკითხაობაც იცისო. ხომ არა გნებავთ აკითხვინოთ? რაც კაცს გულში აქვს და შუბლზედ აწერია, ყველაფერს თურმე მაშინვე შეიტყობს.

– შენს პირს შაქარი, ჩემო ლამაზისეულო, შენს პირს შაქარი, – წამოიძახა გახარებულმა დარეჯანმა, – წადი და ეხლავ აქ მომიყვანე, ფულს გაჩუქებენ-თქო.

გოგო გამოტრიალდა და გაიქცა.

– დარეჯან, შენი ჭირიმე, დარეჯან! სიზ-

[1] **ჩლავი** – უცხიმო ფლავი; აქ: არც ფლავი, არც ჩლავი – არც ისა და არც ეს.

მარი ცხადდება! – შეჰყვირა ღრეჯით გახარებულმა ლუარსაბმა, – ვა! მეტი რაღა გინდა! ღმერთმა თავისთავად მკითხავი კარზედ მოგაყენა. ეს რის ნიშანია?

– მაშ, ქა, რომ გეუბნებოდი და არ მიჯერებდი, მაშ რის იმედით გეუბნებოდი, რომ შვილი მეყოლება-მეთქი? მე რა ხანია გული მითხრობდა.

– მეც დიდი ხანია გული მითხრობდა, თურმე ეს ამბავი იყო. აბა, ეხლა დაუდგება თვალი დავითსა, აი!

– რა ნაღველი აქვთ იმისთანა, რომ ავადმყოფს თავი დამანებებინეს და აგრე საჩქაროდ მიბარებენ? – ჰკითხავდა ლამაზისეულს გზადაგზა ერთი ტანში მოხრილი, პატარა, მოკუნტული, დაღმეჭილი ბებერი დედაკაცი.

– რა ვიცი? ხომ იცი, რომ უშვილონი არიან...

–ეგ ხომ მე უშენოდაც ვიცი, რომ შვილი არა ჰყავთ, – გააწყვეტინა სიტყვა ოსტატურად გამოქნილმა და ცბიერმა მკითხავმა.

სულელს ლამაზისეულს გაუკვირდა: საიდამ იცისო!

– მაშ ქალაქში რომ მკითხავს აკითხვინეს და ეთქო, თელეთი ილოცეთო, ისიც გეცოდინება? – უთხრა გოგომა და დააცქერდა გაოცებული, ვნახოთ, რას იტყვისო.

– მაშ, ჩემო კარგო, ჩვენი ხელობა რა არის? პურს მაგითი ვჭამ და ეგ როგორ არ მეცოდინება? – მიუგო ოსტატმა დედაბერმა ისე არხეინად, ასე გგონია – მართლა იცოდაო.

– თელეთში რომ ვიყავით, ისიც იცი?

– გეუბნები, შვილო, ჩვენი ხელობა ეგ არის-მეთქი. მაგითი ვცხოვრობთ, მაშ არ გვეცოდინება?

ძალიან უხაროდა გულში მკითხავსა, რომ ამისთანა სულელი გოგო შეჰხვდა, რომ ზოგიერთი საჭირო ამბავი გზა-და-გზა გამოათქმევინა. გოგოს კი საშინლად უკვირდა ამისთანა გულთამხილაობა ამ დედაკაცისა, სულელს ფიქრადაც არ მოუვიდა, რომ თითონ გააგებინა ყველაფერი, – უმაგისოდ არა ეცოდინებოდა-რა.

გოგომ თავლაზედ ამოატარა მკითხავი. მკითხავმა თავლის გარეშემო თვალი გადაავლო და ერთი ამოღრანტული რაღაცა შენიშნა „ეს კარგია“, სთქვა გულში.

ცოლ-ქმარი მოუთმენლად ელოდნენ მკითხავსა, ბოლოს მკითხავიც მოვიდა. რა წამსაც ფეხი ოთახში შემოდგა და თავი დაუკრა, მაშინათვე ოსტატურად მოფიქრებული სიტყვები მიაყარა:

ძერას ჰკითხეს: შვილები გირჩევნია, თუ ორი თვის წყალუსმელობაო? – წყლის უსმელობაო. ჯორსა ჰკითხეს: – შენ რაღაო? – უშვილობაო. თქვენთვის არავის უკითხავს და რატომ შვილი არა გყავთ? ვინ დაგწყევლათ ეგრე?

ცოლ-ქმარმა გაოცებით ერთმანეთს შეჰხედეს: საიდამ გაიგო ეგრე მალეო! ლუარსაბმა პირი დააღო ჯერა, მინამ სიტყვების აზრს მიჰხვდებოდა; როცა მიჰხვდა – თითქო შეშინდაო, პირჯვარი გადიწერა და სთქვა იმ სახით, როგორც ჭექა-ქუხილის დროს ვიცით ხოლმე:

– კურთხეულ არს სახელი უფლისა. ეს რა მესმის, თქვენი ჭირიმეთ!.. დედაკაცო!

ჩვენ გულში იჯექ?..

მკითხავმა ხმა არ გასცა, თითქო ამისთანა ქებას ყურსაც არ ათხოვებსო. მიუბრუნდა რაღაც მზრუნველობით გოგოს და უთხრა:

– ჯამით წმინდა წყალი მომიტანე, ერთი შავტარა დანა, ნახშირი და ახალი ხორბალი. მინამ გოგო ამას მოუტანდა, ლუარსაბი და დარეჯანი ენაჩავარდნილებსავით იყვნენ. ეგონათ, რომ თუ არ ეშმაკის მანქანებით, ამისთანა გულთმისნობა არ იქნება. მოდი და ეშმაკის ხსენებაზედ შიშისაგან ენა ნუ ჩაუვარდებოდათ!

გოგომ მოიტანა ყველაფერი. ბებერი ძირს ჩაჯდა. ჩააგდო ჯერ ერთი ხორბალის მარცვალი, აიღო ხელში დანა და ნახშირი და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, მითამდა ულოცავს. მერე გაუშტერა თვალი წყალსა. ჩვენი ცოლ-ქმარნი შიშით და კრძალვით ელოდებოდნენ, ჩვენი ბედისწერა რას იტყვისო.

ქალაქში მკითხავთან გიკითხვინებიათ, – დაიწყო კუდიანმა, – მკითხავიც კარგი შეგხვედრიათ. სწორედ უთქვამს, რომ თელეთი ილოცეთო.

ეხლა კი მართლა შეშინდნენ ცოლიცა და ქმარიცა. ერთმანეთს ყურება დაუწყეს. ამისთანა გულთამხილაობა რომ არ გაეგონათ თავის დღეში!

დედაბერი ვითომ არაფერს არ ამცნევს, რაც ძალი და ღონე აქვს აცმაცურებს ტუჩებსა და თითო ხორბლის მარცვალსა ჰყრის წყალში.

– კარგი გიქნიათ, – დაიწყო ისევ მკითხავმა, – კარგი გიქნიათ, რომ მკითხავისთვის დაგიჯერებიათ და თელეთის სალოცავად წასულხართ. შეგეწიოთ თელეთის მადლი; მაგრამ...

აქ სიტყვა გასწყვიტა ბებერმა: თითქო წყალში უნდა ამოიკითხოსო, თვალი უფრო დააკვირვა.

– მაგრამ ისა, რომ იმ მკითხავს გულთმისნობა სავსე არა ჰქონია, – ცოტა ჰკლებია, თორემ თელეთი როგორ არ გიშველიდათ, რომ გამოეცნო.

– აკი შენი ბრალიაო, დარეჯან! ადრევ რომ მითხარი. გამოდის ჩემი ბრალი არა ყოფილა, – უთხრა ლუარსაბმა თავის ცოლსა, მაგრამ ისე კი, რომ გაშტერებული თვალი მკითხავისათვის არ მოუშორებია.

– დამაცა, რა დროს ეგ არის. მე აქ შიშისაგან სული მძვრება. რა ყოფილა, შენ გენაც- ვალე, ეს დედაკაცი!.. – ამბობდა მართლა შეშინებული დარეჯანი.

– დიაღ, მკითხავის ბრალია, – მოჰყვა ისევ კუდიანი, – იმის ბრალია. იმას რომ მიგნება ჰქონოდა, ეხლა შვილი კალთაში გეჯდებოდათ. დიაღ გეჯდებოდათ, რომ...

აქ ისევ სიტყვა გასწყვიტა ხერხიანმა დედაკაცმა და უფრო გაუშტერა თვალი წყალსა. ლუარსაბი და დარეჯანი სმენად გადაიქცნენ.

– დიაღ, თელეთი გიშველიდათ – კიდევ შეგეწიოთ იმისი მადლი – თელეთი გიშველიდათ, – გააგრძელა სიტყვა მკითხავმა ისევ თვალაუღებლად, – რომ თქვენ სახლში ჯადო არა ყოფილიყო.

ლუარსაბმა და დარეჯანმა, შიშისაგან სულწასულთა, ერთს დროს და ერთხმად კანკალით წამოიძახეს:

– ვაი, ადრე და მალე დაღუპულო ოჯახო!..

– ნუ გეშინიანთ: ეხლა ის ჯადო საშიში აღარ არის, მე ხელში მყავს.

– აბა, მაჩვენე, თუ ხელში გყავს, – უთხრა ლუარსაბმა, მაგრამ, რადგანაც თითონ ეშინოდა იმისი ნახვა, დარეჯანს უთხრა: – მე კი ვერ შევხედავ, მე თვალებს დავხუჭავ და შენ გასინჯე.

– უი, არა გეთაყვანე, შენ თითონა ჰნახე, მე დავხუჭავ თვალებსა, – მიუგო შიშისაგან ფერმიხდილმა ცოლმა.

– ნუ გეშინიანთ, – დააშოშმანა მკითხავმა, – განა მართლა ხელში მყავს, ჯადო თქვენს ეზოშია.

– სადა, გეთაყვანე, სადა? არიქა, ბიჭებო, მიშველეთ! – დაიყვირა ბატონმა.

– თავლას უკან რომ ორმოა, ჯადო იქა დევს... – მშვიდად დაუმატა მკითხავმა.

– ბიჭებო, არიქა, ბიჭებო! აბა, თქვენი ჭირიმე, ბიჭებო! თუ ბატონის წყალობა გინდათ, ბიჭებო! თუ ჩოხები გინდათ, თავლის უკან ორმოაო! არიქა, ბიჭებო! თქვენი ჭირიმე, ბიჭებო!

ჰყვიროდა ოთახში ზარდაცემული ლუარსაბი. აქეთ კიდევ დარეჯანი კანკალმა აიტანა და ტუჩები გაულურჯდა, მაგრამ მაინც კიდევ ქმარს უთხრა:

– აქ რომ ჰყვირი, ვინ რას გაიგებს? გარეთ გადი და გაგზავნე ბიჭები.

– არა, გეთაყვანე, ეხლაკი შენ გადი და მერე თუნდა ორმოცჯერ მე გავალ.

– გადი, რისა გეშინიან, ჯადო ხომ არ დაგარჩობს, – ეუბნებოდა კნეინა და თითონაც კი ეშინოდა.

– არა, გეთაყვა, შენ გადი. რა არის? ეხლა, თუ ღმერთი გწამს, შენ გადი, თუ გიყვარვარ, შენ გადი.

– არა გრცხვენიან, მე დედაკაცსა მგზავნი და შენ კი ქუდი გეხუროს და კაცი გერქვას?

– რა დროს კაცობაა, რას ამბობ? სახლში ჯადო არისო.

– მე დავუძახებ ბიჭებს, – უთხრა მკითხავმა, – მაგაზედ როგორ დაღონდით!

– ო, გეთაყვა, შენ დაუძახე, ჩვენ – ხომ ხედავ – დავღონდით, – შეეხვეწა ლუარსაბი, – ეხლა, ოთახში რომ ჩვენ მარტონი დავრჩებით, ხომ არაფერი?

– არაფერი.

– მკითხავი გავიდა, ბიჭები გაისტუმრა

ჯადოს ამოსაღებად. ბიჭებმა ბევრი უტრიალეს თავლასა და ორმო ვერა ჰნახეს. მოვიდნენ და ბატონს უთხრეს: იქ ორმოს რა უნდაო.

– ვაი, შენ ჩემო თავო! – დაიძახა ლუარსაბმა, – დახე, ჯადოს ამათთვისაც თვალი აუბამს, რა გვეშველება?

მკითხავმა ჩაიცინა.

– მე წავალ თითონ. მე ჯადო თვალებს ვერ ამიბამს, – სთქვა მკითხავმა, – თქვენც წამოდით, რომ თქვენის თვალითა ჰნახოთ.

– არა, გეთაყვანე, ჩვენ ისეც დაგიჯერებთ, – უთხრა ლუარსაბმა, რომ ეშინოდა იქ წასვლა.

– უჩვენოდ წადი, შენა ჰნახე, მითამ ჩვენ გვინახავს.

– დედაბერი წავიდა, თან ბიჭები წაასხა და პატარა ხანს უკან რაღაცა ძონძები ამოიტანა.

– აქ ნუ შემოიტან, – ჰყვიროდა ლუარსაბი და თან კუთხეში იმალებოდა, – აქ ნუ შემოიტან, მანდვე დააწვევინე, მანდვე!

ჯადო დასწვეს.

XII

მეორე დღეს გუშინდელი ბიჭები დაიბარა ლუარსაბმა და ამისთანა საუბარი დაუწყო:

– მართლა ორმო იყო?

– თქვენი რისხვა არა გვაქვს, მართლა ვნახეთ, – მიუგეს ბიჭებმა. იმათ ხომ მალე იციან ამისთანაების გატანა.

– არა, თქვენ ის ორი თვალითა ჰნახეთ?

– ორის თვალითა, აი ისე, როგორც შენ გხედავთ, ბატონო!

– დიდება შენდა, ღმერთო! ამოდენა კაცი აქ დავბერდი და მე იქ ორმო არსად არ მინახავს!.. გაგონილა? როგორ შეიტყო? დიდი მისნობა არ უნდა ჰქონდეს?..

– მაგის ხელობა ეგ არის, შენი ჭირიმე, და იქიდამ შეიტყო, – მიუგეს ბიჭებმა.

– ალბად ეგრეა, თორემ... აი, დალახვრა ღმერთმა! აბა, თქვენ გინახავთ ვისმე იქ ორმო, ან გაგიგონიათ?

– რაც არ არის, რასა ჰნახავდნენ, – წაიბუტბუტა ერთმა თავმოწონებულმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც შორი-ახლო იდგა და მკლავი ხანჯალზედ ებჯინა, – ერთი რაღაც გოგო-ბიჭების ნაჩიჩქნია და იმ კუდიანმა ორმოდ გახადა. რა უკვირთ?

– ეს ისე სთქვა, რასაკვირველია, რომ ლუარსაბს არ გააგებინა.

– შენ რა გენაღვლება, ძმაო, – წასჩურჩულა ერთმა ხნიერმა გამოცდილმა გლეხკაცმა, – ხომ ჰხედავ – ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ ორმოა, შენ რა?

– შენი რისხვა არა მქონდეს, – მიუბრუნდა მერე ბატონს ცბიერი მონა, – მე იქ ორმო არც მენახოს და არც გამეგონოს დღევანდლამდინა. აი, ჭიპი აქ მომიჭრია და ამოდენა კაცს ლამის სულიც აქ დამელიოს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, შენი ჭირიმე, კუდიანის საქმე ეგ არის.

– განა ის კუდიანი იყო?

– მაშ? კუდიანობის ღამეს, ჭიაკოკონობას, შენი ჭირიმე, გადააჯდებიან ხოლმე – აი, დასწყევლოთ ღმერთმა – ცოცხზედა და თავის ბატონთან გაფრინდებიან ხოლმე. მოგახსენებენ, ჩიტურაშვილის დედა თურმე ბუხარში აძვრება ხოლმე, ცოცხზედ – როგორც ცხენზედ – შეჯდება და, ჰერი ბიჭო, გაუტევს ხოლმე.

– ეგ მეც გამიგია. რამდენი სასწაულია ქვეყანაზედ! დიდება შენდა ღმერთო!.. – გადიწერა პირჯვარი ლუარსაბმა, – მაშ ჩიტურაშვილის დედასაც ეცოდინება მკითხაობა?

– განა ყველამ იცის, შენი ჭირიმე! ის უფროსი რომ ჰყავთ და კუდიანობის ღამეს ძღვენით რომ მიდიან ხოლმე, ის უფროსი თურმე ეტყვის: შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის, მეორეს კიდევ ეტყვის: შენთვის – აქიმობაო, ესე გახლავთ.

– ეგრე იქნება, თორემ აბა საიდამ გამოიცნობდა, რომ იქ ორმო არის? ჭკვიანი არ უნდა იყოს ის უფროსი?

– მოგახსენებენ, სოლომონ ბრძენზედ უფრო ჭკვიანიაო.

– არ ეტყობა, თუ! დიდება შენდა, ღმერთო ჩემო! – გადიწერა ისევ პირჯვარი და შევიდა ოთახში დარეჯანთან.

– გაიგე, დედაკაცო, რა ამბები მოახდინა იმ უხეირო, უკბილო ბებერმა? – უთხრა ცოლსა, – ის უფროსი რომ ჰყავთ, იმისი

პირველი კარისკაცი ეგ უნდა იყოს. აი, დალახვროს ღმერთმა! ეს რა ვნახე, თქვენი ჭირიმეთ!

– კარგი, ნუღარ მომაგონე, თუ ღმერთი გწამს! აქამდინ ტანში შიშისაგან ჟრუანტელი მივლის.

– აი, გულთმისნობა რა არის! ამდენს ხალხს ჩემს სახლში ჭიპი მოუჭრიათ და ერთმა არ იცოდა დღევანდლამდინ, რომ იქ ორმოა. რა ქნა, თქვენი ჭირიმეთ! ღმერთო, შეგცოდე და, იმას თუ ეშმაკი არ ეჯდა ტანში, რა ვიცი?

ცოლ-ქმარმა ეშმაკის ხსენებაზედ პირჯვარი გადაიწერეს და სამჯერ შეაფურთხეს ეშმაკსა.

– ეხლა კი... რა ვიცი? ეხლაც რომ შვილი არ გვეყოლოს, ერთი მეტის-მეტი ღვთის წყრომა იქნება, – სთქვა ლუარსაბმა.

– ეჰ, შენც ერთი!.. მაგას რაღა თქმა უნდა. ისე დაჯერებული ვარ, რომ მითამ შვილი კალთაში მჯდომია. რაები არ გამოიცნო!.. მოდი და ნუ დაიჯერებ.

– მაშ! მეც იმიტომ ვამბობ და!.. მკითხაობა რომ არ გაეჩინა ღმერთსა – ვენაცვალე იმის სიბრძნეს – რა გვეშველებოდა? ჯადოს ვიღა იპოვიდა?

ორივენი ჩაჩუმდნენ და ორივენი მაინც კიდევ გაოცებულნი იმეორებდნენ გონებაში გუშინდელს საოცარს ამბავსა. ბოლოს ლუარსაბმა ისევ დაიწყო:

– დარეჯან! წყალში ხომ არა ჰხედავდა? ჰა? შენ რას იტყვი?

– იქნება მართლა! შენ ნუ მოუკვდები ჩემს თავს, სწორედ წყალში ჰხედავდა.

– რა ვქნა, მე კი აგრე მგონია და!

– ღმერთმან იცის, იქნება სწორედ ეგრე იყოს.

– რა ვიცი! მე კი რაღაც ეჭვი მაქვს და!

– შენმა მზემ, ეგრე უნდა იყოს.

– რა ვიცი, ჩემმა გონებამ კი ეგრე გასჭრა და!

– ჩემი გულიც ეგრე მითხრობს, ლუარსაბის სიცოცხლემ!

– იმ ხორბლის მარცვალს რომ ჩააგდებდა ხოლმე წყალში და რაღაცა რგოლები კეთდებოდა, ის ხომ არ იყო?

– იქნება მართლა! სწორედ ის იქნებოდა.

– რა „ის“?

– რომ სთქვი „ისა“.

– აკი გითხარ! – მიუგო ლუარსაბმა თავმოწონებით, რომ მე გამოვიცანიო, – სწორედ ეგრე უნდა იყოს, თორემ ის დედაკაცი ეშმაკი ხომ არ იყო, რომ იმისთანა სასწაული მოეხდინა.

– ეგრე უნდა იყოს, მე კი – ღმერთო, შეგცოდე, – ეშმაკობა შევწამე.

– შენგან არ მიკვირს! ეშმაკი როგორ იქნებოდა, რქები არა ჰქონდა. ეშმაკს რქები უნდა ჰქონდეს.

– ეჰ, განა ეგ მე კი არ ვიცი, ისე გავიფიქრე.

– ჰო, ეგ სხვა არის.

ორივენი დაჩუმდნენ, ორივენი დარწმუნდნენ, რომ რაც გუშინ არ ესმოდათ, მკითხავს რომ უყურებდნენ, ის დღეს გამოიცნეს და გაიგეს.

– მე კი გამოვიცან, აი, – დაიკვეხა ლუარსაბმა. დარეჯანს, თუმცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი, თუ ბრძენი, ყოველთვის თავმოყვარეა.

– განა, რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, – მიუგო დარეჯანმა, – არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა.

– ეხლა მაგას დაიჟინებ.

– ღმერთმანი, რომ ასეა.

–ეჰ, შენ ხომ კაცი ვერას დაგანახვებს და თუნდ სოლომონ ბრძენი მოვიდეს, მაშინ- ვე ეტყვი: მე შენზედ ჭკვიანი ვარო. ეხლა რა არის, ერთხელ მე დამითმო. უცხო ხომ არა ვარ, შენი ქმარი ვარ.

არ ვიცი, დარეჯანმა დაუთმო, თუ არა, ეს კი ვიცი, რომ ლუარსაბს ძალიან ეწყინა, დარეჯანი რომ შეეცილა.

ჩვენ და ტექსტი

1. ქორწინებასთან დაკავშირებული რა განზრახვები ჰქონდა თავიდან ლუარსაბს?
2. რა ხერხების გამოყენებით აღწევს სუტ-კნეინა ლუარსაბის ნდობის მოპოვებას? თქვენი აზრით, რატომ არის სუტ-კნეინას ხერხები ეფექტიანი?
3. რატომ ისმის კომიკურად ლუარსაბის განცხადება, რომ სუტ-კნეინასთან საუბრის შედეგად დარეჯანი შეუყვარდა? ლუარსაბისა და სუტ-კნეინას საუბრის რომელ სხვა მომენტებს მიიჩნევთ განსაკუთრებულად სასაცილოდ?
4. ლუარსაბის მოტყუების რა გეგმას შეიმუშავებს მოსე გძელაძე და როგორ დაიყოლიებს სუტ-კნეინას ამ გეგმის განხორციელებაზე?
5. რა გრძნობა აღუძრა დავითს სარძლოს ნახვამ? რატომ მოსდის მას ელისაბედთან კონფლიქტი? იმსჯელეთ ამის მიხედვით დავითის ხასიათზე, ძმასთან მის დამოკიდებულებაზე. როგორ იქცევა დავითი ქორწილში? რაზე მეტყველებს დავითის საქციელი?
6. როგორ გესმით ლუარსაბის და დარეჯანის ურთიერთობის დახასიათებისას ავტორის მიერ გამოყენებული სიტყვა „შეფერება“? ნიშნავს თუ არა იგი სიყვარულს? პასუხი დაასაბუთეთ.
7. ეთანხმებით თუ არა ავტორის აზრს, რომ ქართველი „ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე“? პასუხი დაასაბუთეთ.
8. განიხილეთ ავტორის მსჯელობა კმაყოფილების შესახებ. თქვენ რას ფიქრობთ ამ თემაზე?
9. როგორ ვლინდება ლუარსაბის სიზარმაცე თელეთის ხატზე საუბარში? როგორ შთაბეჭდილებას აღძრავს საგარეოდ გამოწყობილი ლუარსაბი?
10. მისი იერის აღწერის შემადგენელ რომელ დეტალებს მიიჩნევთ ყველაზე მეტყველად და ეფექტურად?
11. როგორ აღიქვამენ თათქარიძეები ქალაქის ცხოვრებას? რა ტექნიკურ საშუალებაზე ლაპარაკობენ ისინი და როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ მის მიმართ? რას გვეუბნება ეს თათქარიძეების ცნობიერებაზე?
12. როგორ ვლინდება ქალაქზე საუბრის ბოლოს ლუარსაბის თვისებები?
13. დავითის რა ნათქვამი აღიზიანებს ლუარსაბს? რატომ სურს ლუარსაბს, შვილი ჰყავდეს? როგორ ავლენს ლუარსაბის სურვილი ადამიანის ხასიათს;
14. როგორ წარმოჩნდება თათქარიძეების ბუნება დარეჯანის სიზმრის განხილვისას? ლუარსაბის სიზმრის მიხედვით, რა მიაჩნია ამ კაცს ნამდვილ ქრისტიანობად?
15. ლუარსაბის რა მტკივნეული განცდებია გამოხატული მის სიზმარში? თქვენი აზრით, რა განაპირობებს ამ სიზმრის მხატვრულ შთამბეჭდაობას? მიუთითეთ შეუსაბამობებზე, რომლებზეც აგებულია ლუარსაბის გამოღვიძებისა და დარეჯანთან ურთიერთობის სურათი. ამ სურათის რომელი დეტალები მიგაჩნიათ ყველაზე კომიკურად? როგორები ჩანან აქ ლუარსაბი და დარეჯანი? როგორ გგონიათ, რამდენად განსხვავდება ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფი ლუარსაბი „ჩვეულებრივი“ ლუარსაბისგან?

1. მინიდისკუსია – „ბედნიერი ერის“ თავისებურებანი

კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ეს მონაკვეთი:

„კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე. არც ერთისთვის გაიხეთქს თავს და არც მეორისთვის დაიწყებს ბრძოლასა, – და არის ისე ყველგან ერთნაირად გულგრილი და შეუპოვარი. ამ გულგრილობას და შეუპოვრობას კმაყოფილებად ადიდებენ; კმაყოფილება კიდევ – ვიღაცამა სთქვა – ბედნიერება არისო. ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმითი მაინც ვჯობივართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიცა ვართო. მე კი დავჩუმებულვარ და გამიფიქრია: „კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმაყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაში უნდა იყოს: უმადლონი სჯერდებიან მას, რაც არის, იმიტომაც იმათში უფრო ბევრია ბედნიერი, მადლიანნი კი ძნელად: ამათ ყოველთვის უკეთესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფ- რო კარგი მოსდევს თანა, „მჯობს მჯობი არ დაელევაო“, – ნათქვამია“.

- დაფიქრდით, რატომ „ერევა“ ავტორი ხანდახან თხრობაში ამგვარი მეტატექსტებით? როგორ ფიქრობთ ეს ზრდის მკითხველის„ ჩართულობას“ თუ არა?
- თქვენ ეთანხმებით ავტორს?

2. მინიდისკუსია – პრინციპი – „შენ რა“

ეპიზოდი	ეპიზოდის ანალიზი
მკითხავი „ჯადოს“ არარსებულ ორმოში პოულობს. ლუარსაბი გაოგნებულია. ერთი შინაყმა ამტკიცებს, იმ ადგილას ორმო ცხოვრებაში არ ყოფილაო, მეორე კი ... „– შენ რა გენაღვლება, ძმაო, – წასჩურჩულა ერთმა ხნიერმა, გამოცდილმა გლეხკაცმა, – ხომ ჰხედავ – ბატონს უხარიან, რომ იქ ორმოა. დაე ეგონოს, რომ ორმოა, შენ რა?“	აკაკი ბაქრაძის თქმით, პრინციპი – შენ რა – ყოველგვარ ვერაგობას უხსნის გზას.

როგორ გგონიათ, ასეა თუ არა? პასუხი დაასაბუთეთ.

3. მინიდისკუსია – ლუარსაბი სხვა რაკურსით

ლუარსაბის სიზმარი, ანუ აღსარება ღვთის წინაშე, მარტო პერსონაჟის გონის სივიწროვეს კი არა, მის უმწიკვლოებასაც ადასტურებს. ერთადერთი ცოდვა, რაც ამ სცენაში ლუარსაბმა ჩაიდინა, ის იყო, რომ თავისი ღვიძლი ძმა დავითი დაასმინა: შარშან, იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის დღეს, ხორცი ჭამაო, პურის ნატეხს რომ მიწაზედ ჰხედავს, არ აიღებს და არ ემთხვევაო, უკურთხებელ ყურძენს ჭამსო, აღდგომადღეს მღვდელს არ მოუცდის, რომ სუფრა აკურთხოს, ისე მივარდება ხორცეულს, როგორც დათვიო. ეს იყო და ეს... მაგრამ ლუარსაბს ჰქონდა ამგვარი რამის ჩადენის უფლება... იმ ხალხთან შედარებით, გარს რომ ახვევია, ლუარსაბი ციური ანგელოზია...

თამაზ ბიბილური

თქვენც ასე ფიქრობთ?

XIII

მკითხავმა მეტად მტკიცედ დააჯერა ცოლ-ქმარი, რომ შვილი ეყოლებათ. ამ იმედს მცირედი ეჭვიც არ შეურყევდათ. ამ დაჯერებამ იქამდინ მიაღწია, რომ ერთს მშვენიერს დღეს დარეჯანს ეჩვენა, ვითომც მუცელში ყმაწვილმა გაუჩუჩუნა. რასაკვირველია, გახარებულმა კნეინამ მაშინვე ლუარსაბს ახარა.

– მართლა გაიჩუჩუნა? – წამოიძახა სიხარულისაგან გონებამიხდილმა ლუარსაბმა.

– რას ამბობ, შენ გენაცვალოს ჩემი თავი!.. დარბაისელი დედაკაცი სიხარულისაგან კინაღამ არ შევხტი, მაგრამ მომაგონდა, რომ მუცელი წამიხდება-მეთქი, და შენ მაინც კიდევ არა გჯერა.

– უი, შენ კი ჩაგეკონე მაგ გემრიელ სულშია! ბარაქალა, რომ არ შეხტი, თორემ მუცელი წაგიხდებოდა. იმ სიხარულში ეგ როგორღა მოგაგონდა! მე კი – მე და ჩემმა ღმერთმა – შევხტებოდი, მერე ისე შევხტებოდი, რომ დავცემულიყავი, კიტრსავით გავსკდებოდი. დაუდგეს თვალი დავითსა! ფერხული, აბა, ეხლა დაუაროს, აი! მაშ დღეს მე და შენ ერთი კაი ქეიფი გავწიოთ, ერთი კაი წითელი ღვინო ავახდევინოთ, რომ შვილის სადღეგრძელო დავლიოთ. ურაა! – დაიყვირა ლუარსაბმა და, რადგანაც გულდაღმა იწვა, თავისებურად, ტახტზედ, ერთი ფეხიც აიშვირა მაღლა და მანამ „ურა“ არ გაათავა, ფეხი არ ჩამოუღია.

ეს ამბავი სადილობის დროს მოხდა. აახდევინეს წითელი ღვინო. ცოლ-ქმარნი, დაჯერებულნი, რომ მემკვიდრე ეყოლებათ და დავითიანთ თვალები დაუდგებათ, სადილზედ გამხიარულდნენ. ნამეტნავად ლუარსაბი შექეიფიანდა და კარგად გამოიბრუჟა. ელისაბედი ამბობდა, რომ ვითომც დარეჯანსაც უყვარსო ღვინის სმა. ეს კი ვიცი, რომ იმ სადილზედ ამანაც გადუსო ორიოდ ჭიქა. ლუარსაბმა სამი ჭიქა ერთად ჯერ არ-დაბადებულის შვილის სადღეგრძელო გადაჰყლაპა და ალავერდი დარეჯანთანაც მივიდა. დარეჯანმა, თუმცა ესეც ჩაღლეული იყო, მაგრამ დედაკაცობის პატივი შეინახა და ჭიქა თუმცა ჩამოართო, სულ არ დალია.

– დალიე, შენ გეთაყვანე! – ეუბნებოდა მთვრალი ლუარსაბი. – ეხლა ქეიფს ნუ წამიხდენ. ჩვენის შვილის სადღეგრძელოს როგორ არა სომ? თუ მე და შენ არ დავლევთ, მაშ ვინ უნდა დალიოს? ღმერთი გვიწყენს, იტყვის: მე შვილი მივეცი და ისინი სადღეგრძელოსაც არა სმენო. ნუ აწყენინებ მოწყალე ღმერთსა, ძლივს კაი თვალით არის ჩვენზედა. მეც ქეიფს ნუ წამიხდენ. დალიე, გეთაყვანე!

უთხრა და მიაწოდა ისევ ჭიქა.

დარეჯანმა ჩამოართო ჭიქა, მაგრამ ისეთის მორცხობით, ისეთის თვალების ხამხამით და გემრიელ ღიმილით, რომ მე მაშინვე მივხვდი, რომ კნეინა უამისოდაც გადაკრულია. ჩამოართო და გადაჰკრა. სასაცილო რამ იყო კნეინა: ღვინო თანდათან ეკიდებოდა, ლოყები აუხაშხაშდა კიდეც, ტუჩებს ღიმილი მიეკრა ზედა და აღარა ჰშორდებოდა. ქვევითი ტუჩი ძირს ჩამოეშვა და დორბლმა დენა დაუწყო, თვალები აემღვრა და თავისთავად ეხუჭებოდა, – ერთის სიტყვით – დარეჯანი ქეიფზედ იყო. ლუარსაბიც დაითვრა. მიუშვა აღვირი ღვინოსაგან მოდუნებულს ენასა და მოჰყვა უგზო-უკვლო ტიტინს, დარეჯანი სულ თავს აცანცარებდა და შესცინოდა.

– ვენაცვალე კახეთსა! – ამბობდა მთვრალი ლუარსაბი ენადაბმით, – ვენაცვალე! ეგ რომ არა ყოფილიყო, არც კახური იქნებოდა. მაშინ მე რაღა კაცი ვიქნებოდი? ჩემს განთქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა? დღეს თუ ლუარსაბის სახელი იხსენება სადმე, ღვინის მადლობელი უნდა ვიყო. თუ კაცი ვარ მე დღეს, აი, ამ შავის ყურძნის წვენითა ვარ კაცი! ჩემოდენას საქართველოში ორიც არ დალევს, დიდი მსმელი ვარ. მე რომ სიმღერა ვიცოდე, მთელის კახეთის ღვინო არ მომერევა. ეს არის რომ არ ვიცი და! სიმღერა ღვინოს ანელებინებს და! თორემ სხვაფრივ რა მიჭირს: ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩაეტევა. ხომ გახსოვს ის იმერელი? აი, რომ მოვიდა, დადიანის „პოვერნია“[1] ვარო?

[1] **დადიანის „პოვერნია“** – დადიანის რწმუნებული, სანდო პირი.

„პოვერნია“ კი არა, – შენც არ მამიკვდე – ის ძალად გამოგზავნეს იმერლებმა: აბა წადიო, კახეთში ერთი დევი კაცი არისო, ლუარსაბ თათქარიძე, ოღონდ ის კი დაგვითვრეო და ნახევარ იმერეთს შენ მოგცემთო. ეხლა იმან მე რომ დამინახა, მაშინვე მიხვდა, რა კაციცა ვარ, იმიტომ „პოვერნიობა“ დაირქვა, სახელი არ წამიხდესო. კვეხნაში კი ნუ ჩამომართმევ და ჩემი სახელი სათათრემდინ[1] არის გავარდნილი, იმერეთშიაც მისულა ჩემი ქება. მაგრამ აი, ამ შენმა უხეირო ლუარსაბმა ასე გაგიხადე ის ფხიკიანი იმერელი, რომ, რომ... სულ ჩემი მზე ვაფიცებინე. თითონვე თავის პირით მითხრა: ბაყბაყ-დევი ხარო. თითიც მომიკაკვა და ყურში ჩუმად ჩამჩურჩულა: სანაძლევო მოიგეო, ნახევარი იმერეთი შენი უნდა იყოსო. რომ მეჩივლა, რასაკვირველია, იმ ნახევარს გამოვიტანდი, მაგრამ ჩვენი მამა-პაპის მამულებიც მაშინ ისე ოხრადა გვრჩებოდა და იმერეთი რაღად მინდოდა? ეხლა ოხრად აღარ დაგვრჩება: ვენაცვალე შენს სტომაქსა! ეხლა შიგ პატარა თათქარიძე ზის და, მგონია, წითელ ღვინოში ჭყუპალაობს. უჰ, შენი კი ჭირიმე! მოდი ერთი ეგ ნაზი ტუჩები ამოგწუწნო! ეხლა ეგეც ხომ შვილი გვეყოლა, აბა ეხლა მაგის ქორწილზედ ვიფიქროთ. იცი, რა, დარეჯან? შენ ხომ ბრძენი დედაკაცი ხარ და არც მე ვარ – ღვთის მადლით – სულელი, თოთხმეტის წლისა შესრულდება თუ არა – აბა, იანგარიშე, როდის შესრულდება, მგონი ბევრი ხანი არ გასწევს, მალე შესრულდება, – შესრულდება თუ არა, ჯვარიც დავწეროთ, რაღას უნდა მოვუცადოთ? ეხლა მაგის ქორწილში ლეკურს არ ჩამოუვლი? მე კი – ღვთის წყალობა შენა გაქვს – ასეთს ბუქნას დავუვლი, რომ იქაურობას სულ მტვერი ავადინო... ეხლა იმ იმერელს რომ ვაჯობე, იცი, რა ვუთხარი? წადი-მეთქი, სადაც შენი სთქვა, იქ ჩვენიცა სთქვიმეთქი, და იმერლებსაც უთხარი, რომ, რაც თქვენ კრიკინას[2] წვენი გამოუვა, ერთ „ყლაპად“ არ მეყოფა-თქო, და „ყლუპი“ კი კიდევ თქვენზედ დარჩება-თქო. აი, ამისთანა კაცები ვართ კახეთში-მეთქი. მაშ!.. თუ ღმერთი გწამს – კარგად არ მითქვამს?

– კარგად და პატიოსნად.

– მაშ, მოდი ერთი კიდევ ამოვწუწნო ეგ შენი მარწყვი ლოყები. ეხლა, დარეჯან, შვილის ქორწილში ლეკურს არ ითამაშებ?

– რატომ.

– ჰო, გეთაყვანე! მოდი, იცი, რა ვქნათ? მითამ ეხლა ქორწილია: აბა ერთი... ერთი შენებური დიდოური... მე „განდიდურს“ დაგძახებ. თუ გიყვარდე, აი! მითამ ქორწილია. თუნდა ლეკური იყოს, ჰა! მე „პაწპაწინა ნიგვზის ტოტს“ დაგძახებ. ჰა და პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! პაწპაწინა ნიგვზის ტოტი! ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი-ჩუპარ, ჩუპრი დარეჯანასა!.. ურაა!.. აი, გიდი!.. ქუდი ჭერში!.. კახური კა... ცის... ჭი... რი... იი... მეე... ჩა... აა... რაკ... რაა... კებს... კუ... უუ... ლა... სა... იმ იმერელსაც... კაი... საქმე... დავმარ... დავითსაც... თვალიმც... გამოს... ძრო... მია... ურაა!..

ყროყინებდა სიმღერის ხმაზედ გაბრუჟებული ლუარსაბი, ჰბოდავდა რაღაცეებსა და ამ ბოდვაში ჩაეძინა კიდეცა.

XIV

აღარ გაათავებ? – მკითხავს მოწყენილი, და იქნება გაჯავრებულიც, მკითხველი. – როგორ არა? გავათავებ, მაგრამ იცით რითა? იმითი, რომ ლუარსაბის ბედნიერება დაირღვევა. თუ მაგისთანა მტკიცე ბედნიერებაც დაირღვევა, მაშ რაღა ყოფილა დაურღვეველი ქვეყანაზედ? – დაიძახებს ჩემთან ერთხმად დაღონებული მკითხველი.

მარტო ქვეყანაა, მკითხველო, დაურღვეველი, და ერთი ლამაზი, გონიერი ქართველის ანდაზა: „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, თორემ „ნუ დააგდებ ძველსა გზასაო“ – ეს ჩინეთიდამ შემოგვეპარა და რასაც ჩინეთის ფერი ადევს, ის რასაკვირველია, დაირღვევა ღვთისა და თქვენის წყალობითა, ჩემო ძველის გზის

[1] იგულისხმება – სათათრეთამდე, ლუარსაბი იყენებს მცდარ და სხვადასხვა ეთნოსის ადამიანებისთვის შეურაცხმყოფელ გამოთქმებს.

[2] **კრიკინა** – ველური ყურძენი.

მოყვარევ, მაგრამ მაინც კიდევ საყვარელო ქართველო!..

გაიარა რაოდენმამე ჟამმა და წუთისსოფლის დაუდგრომელმა ბრუნვამ ბევრი რამ გამოსცვალა დედამიწის ზურგზედ. ამათ შვილი არ მიეცათ. დარეჯანმა ერთი აქიმი დედაკაცი იშოვა და წამლობა დაიწყო, აქიმმა დედაკაცმა ერთი რაღაც წამალი მისცა, მთელი ორი კვირა ასმევდა და მესამე კვირას კი დარეჯანს ფეხები გააჭიმინა. დარჩა ქვრივად საწყალი ლუარსაბი. წვერი დაიყენა, შავები ჩაიცვა. თავისი ბედნიერება სულ დარეჯანთან დამარხა. ორი სიამოვნებაღა დარჩა ამ ტრიალ ქვეყანაზედ: ერთი – მადა; მეორე ისა, რომ ლამაზისეული ფეხთ უჯდა ხოლმე, როცა ძილს დააპირებდა ბატონი, ფეხის გულებზედ და კანჭებზედ ხელს უსვამდა და ისე აძინებდა. ესღა იყო ამისათვის ნუგეშად, თორემ ის პატიოსანი ფაშვი ჩამოებღერტა, ის ხაშხაში ლოყები ჩაუყვითლდა, ის დიდრონი ძროხის ოდენა თვალები უგემურად მიელივა, ის სამკეცი ფაფუკი ღაბაბი გუდა ლეღვსავით გაუხდა, ამასთანაც ის თავისებური განსხვავებითი მუდამი ღიმილი სახიდამ დაეკარგა, – ერთის სიტყვით, წახდა კაკალი კაცი. მწუხარებამ ესე იცის. ბოლოს, ფერისცვალობის დღეს, რაღაც ეშმაკად, ნათლიმამამ ნახევარი ლიტრა კალმახი მოართვა. ჯავრისაგან იმ კალმახს ლაზათიანად მიაძღა, მოუვიდა კუჭის ანთება და ჩაჰბარდა პატრონსა.

მოკვდა ლუარსაბიცა ისე, როგორც იხოცებიან ბევრნი ჩვენგანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უმატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიკვდილით აკლებენ.

წაიშალა ამ ორთა გვამთა ცხოვრების კვალი დედამიწის ზურგზედა. რისთვის მოვიდნენ და რისთვის წავიდნენ? ნუთუ ნახევარი საუკუნე იმისთვის იცხოვრეს, რომ ოთხი ფიჭვის ფიცარი ეშოვნათ და სამ-სამი ადლი მიწა? ან კიდევ ქვაზედ წაიწერონ, რომ „ჩყ... წლამდინ თავადი ლუარსაბი თათქარიძე და მისი კნეინა დარეჯანი ცოცხალნი ყოფილან და მერე დახოცილან?“ სხვა ხომ არაფერი გვეტყვის, რომ ესენი ამ ქვეყანაში ყოფილან და უცხოვრიათ. „წამკითხველო, შენდობა გვიბძანეთო“, ამბობს იმათი ქვის ზედწარწერილი. ნახევარი საუკუნე ამისთვის იცხოვრეს ამ ქვეყანაზედ, რომ ბოლოს მაინც კიდევ „შენდობა“ ითხოვონ და საბოდიშოდ გაიხადონ საქმე? უფროსთაგანს ქართვლის საფლავის ქვას რომ აწერია „შენდობა გვიბძანეთო“, ეხლა მესმის, რისთვისაც აწერია. მაგ შესანდობარს და შესაბრალისს ჩვეულებას თავისი აზრი და საფუძველი ჰქონია, მაგრამ არ გითარგმნი კი, მკითხველო! თუ კაი გული გაქვს და გამჭრე გონება შენც თითონ ჩემზედ უკეთესად მიხვდები, თუ არა და, თქმა საჭირო არ არის. ტყუილად გულს გატკენ, გაგარისხებ და ის რისხვა ისე აგიბამს თვალსა, რომ სხვას შენზედ მეტადაც რომ გული სტკიოდეს, ამას ვეღარ დაინახავ და იმის გულის სატკენ სიტყვას მუხანათობაში ჩამოართმევ.

მე გავათავე და შენ, რაც გინდა, ჰქმენ, მკითხველო! გინდა იცინე, გინდა იტირე, როცა ამ ამბავს წაიკითხავ. ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვს. თუ ოდესმე თვალი აგიხილებია და შენს გარშემო რაც გინახავს, იმაზედ გონება გივარჯიშებია, – ნახავდი, რომ ხშირად ერთი და იგივე საგანი ზოგს აცინებს, ზოგს ატირებს. მე მინახავს ერთი მოხუცებული, ღარიბი, შიშველტიტველი, ფეხებდახეთქილი დედაკაცი. ვინ იცის, რაგვარ უბედურობისაგან ლოთად ჩავარდნილიყო და ლოთობაში სამუდამოდ დაეკარგა თავისი დედაკაცობა და ადამიანობა. მე მინახავს ის საცოდავი დედაკაცი, ქალაქის ბიჭებს დაეჭირათ და ხუთ გროშად მთელი საათი ახტუნებდნენ პამპულასავით. მე მინახავს, რომ იმათში ბევრი იცინოდა და ზოგიერთს კი ამ საცოდავის დედაკაცის მაგ ყოფაზედ გული უტიროდათ. ვინ იყო ამათში მართალი? მოცინარენი, თუ მოტირალენი? ორივენი, იმიტომ რომ ერთნი თვალითა ჰხედავდნენ მარტო და თვალისათვის მართლა სასაცილო იყო, მეორენი კი თვალითაცა და გონებითაცა. გონებას-კი – ძნელად თუ გაეცინება. სჩანს, შეიძლება, რომ ერთი და იგივე ამბავი სატირალიც იყოს და საცინარიცა, – ეგ იმაზედ არის დამოკიდებული, როგორი აგებულებისა ხარ: თუ იმისთანა გონების ძალა გაქვს, რომ, რაც

უნდა მწუხარე ჭეშმარიტება იყოს, გულდაგულ შეხვდები, და თუ იმისთანა გულიცა გაქვს, რომ უბედურს და გზაკვალარეულს შეიბრალებ, ამისთანა სასაცილო ამბავი უფრო ხშირად უნდა გატირებდეს შენა, თუ არა და იცინე, რამდენიც გენებოს. იცინე და თანაც გაჯავრდი ამ მოთხრობის დამწერზედ და მამიგონე ჭორი – შენ ხომ ჭორების მოგონება გიყვარს – რომ მე ვითომც ქართველობას ვღალატობ, რადგანაც იმის სასაცილო ამბავს გიამბობ და არა ვმალავ ზოგიერთ გულ-მოკლე პატრიოტივით. ვიცი, რომ, ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში – როგორც მოყვარე – გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასცინებ, მითამ შენის თავისთვის დაგიცინია, თუ დასტირებ – ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს, შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ აგრე იყოს.

მე თუ შენ მიყვარხარ, მკითხველო, იმისთვის მიყვარხარ, რომ იმედი მაქვს ეგ გასწორების განზრახვა, დღესა თუ ხვალე, შენში გაიღვიძებს. ამ იმედს ნუ წაგვართმევ. ნუ იფიქრებ, რომ ამ მოთხრობას შენი გაჯავრება უნდა. ამას მარტო ის უნდა, რომ შენ დაგანახვოს – რამოდენადაც შეძლება აქვს-შენი ცუდი, შენი ავი, რომ იცოდე, რა გაისწორო. მინამ სარკეში არ ჩაიხედავ, ან სხვა არ გეტყვის, ხომ ვერ გაიგებ, რომ პირზედ ურიგობა რამ გატყვია? ეს მოთხრობა სარკე იყოს და მე – თუ გინდა – მთქმელი ვიქნები. დააკვირდი, იქნება გენიშნოს რამე. ესეც იცოდე: მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. მეც მოყვარესავით გექცევი, – სარკე მოგიტანე, ამაზედ როგორ უნდა გამიწყრე?! რა ვუყოთ, თუ ეს სარკე გაბზარული გამოდგება და შიგადაშიგ ლაქებიანიცა? რაცა მქონდა ის მოგართვი, როგორც შემეძლო, ისე დაგეხმარე. თუ მაინცდამაინც წყრომას არ დაიშლი, შენი ნებაა. მე შენის წყრომისა არ მეშინიან. მაშინ მხოლოდ დავღონდები, რომ შენშიაც მოვტყუვდი; რომ შენ ის არა ჰყოფილხარ, რაც მეგონე. მაშინ გულ-ხელ-დაკრებილს ესღა დამრჩება სათქმელად: მე მიყივლია და გათენდება თუ არა – ეგ ღმერთმა იცის! წყრომა კი რომ არა ყოფილიყო, ეგ გათენება, ჩვენც კარგად გვეცოდინებოდა, როდისაც იქნებოდა!..

სხვაფრივ მშვიდობით ბძანდებოდეთ და შენდობით იხსენიებდეთ მონასა თქვენსა...

1858-1863 წ.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ვლინდება ამ ეპიზოდში თათქარიძეების სწრაფვა თვითდამკვიდრებისკენ, ერთმანეთისთვის საკუთარი უპირატესობის დამტკიცებისკენ? თქვენი აზრით, რამდენად გვახასიათებს ასეთი სწრაფვა დღევანდელ ქართველებს? როგორ შეაფასებთ ამ სწრაფვას?
2. რაში ვლინდება თათქარიძეებისთვის დამახასიათებელი თვითმოტყუების უნარი მკითხავის ვიზიტის შემდგომ?
3. დაახასიათეთ ლუარსაბი ქეიფისას წარმოთქმული მისი მონოლოგის მიხედვით.
4. რომელ შტრიხებს მიიჩნევთ ქეიფის ეპიზოდში ყველაზე მეტყველად და კომიკურად? პერსონაჟებისადმი რა ემოციებს, განწყობას აღძრავს თქვენში ეს ეპიზოდი?
5. რა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს ის, რომ თათქარიძეებს შვილი არ რჩებათ?
6. რა კავშირი აქვს დარეჯანისა და ლუარსაბის სიკვდილს მათი ცხოვრების წესთან?
7. თქვენში რა განცდებს ბადებს ლუარსაბის და დარეჯანის სიკვდილი? რა განწყობით აღიქვამს თავისი გმირების სიკვდილს ავტორი?
8. რას ხედავს ავტორი გულსატკენს საფლავის წარწერაში: „წამკითხველო, შენდობა გვიბრძანეთ”?
9. როგორ განმარტავთ ავტორის მსჯელობას სასაცილოს და სამწუხაროს ურთიერთმიმართებაზე?
10. როგორ გესმით ავტორის მიმართვა მკითხველისადმი: „ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძუძუთი დაზრდილან“?
11. რას ნიშნავს „თავის გასწორების განზრახვა“?
12. ავტორის მსჯელობის მიხედვით, რაში გამოიხატება ერის ჭეშმარიტი სიყვარული?

სადისკუსიო კლუბი

1. დისკუსია – უმომავლო საზოგადოება – თათქარიძეობა, როგორც საერთო ქართული სენი

აკაკი ბაქრაძის თქმით, ნაწარმოებში ლუარსაბისა და დარეჯანის უშვილობის ხაზს ალეგორიული შინაარსი აქვს. ასეთ უსიყვარულო საზოგადოებას არ აქვს მომავალი (რომელიც მხატვრულ ნაწარმოებებში ხშირად, სიმბოლურად, შვილის სახითაა გამოყვანილი).

თქვენ რას ფიქრობთ აღნიშნული პრობლემის შესახებ? არგუმენტირებული მსჯელობით დაადასტურეთ ან უარყავით აქ გადმოცემული აზრი.

მკვლევართა დიდი ნაწილი თვლის, რომ თათქარიძეობა საერთო ქართული „საზოგადო სენია“ და საზოგადოებას, რომელსაც ეს სენი მორევია, მომავალი არ აქვს.

თქვენ როგორ ფიქრობთ?

თქვენი შეხედულებები შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრების აზრის გათვალისწინებით.

სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან **კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე, ლიტერტურათმცოდნე გრიგოლ კიკნაძე და მწერალი თამაზ ბიბილური.**

თათქარიძეობა არის ზარმაცობა, ცრუსაქმიანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, ბაქიაობა, მატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელობა და უნაყოფობა. ამგვარად, თათქარიძეობა არაფრობის განსახიერებაა. სად არის მათი ხსნა? ილიას აზრით, ყოველი პიროვნების ხსნა მტკიცედ უკავშირდება ღმერთმიმსგავსებულობის პრობლემას. თათქარიძეების დახასიათებისას იგი შენიშნავს – „რა იცოდნენ ამათ, რომ თავისის ქცევით, თავისის ცხოვრებით არისხებდნენ ღმერთსა, რომელსაც თავისი სული ამათთვის შთაუბერია“. რატომ უნდა გაერისხებინათ უწყინარ ლუარსაბსა და დარეჯანს ღმერთი? დანაშაული არ ჩაუდენიათ და ბოროტი არ უქნიათ. ეს თურმე არ კმარა: „წირვა-ლოცვას არ ვაკლდებითო, რა გამოვიდა? იქ ყოველთვის გსმენიათ ჩვენთვის ჯვარცმულის ქრისტეს სიტყვა: „ვითა მამა ზეცისა, იყავ შენ სრულიო“. აბა, ან ერთს წამს შენს სიცოცხლეში მაგისთვის სცდილხარ? არა, შენ მაგისთვის არა სცხოვრობ“. ე. ი. ადამიანის უპირველესი ამოცანა უზენაესის ბადალი სრულყოფისაკენ ლტოლვა ყოფილა.

აკაკი ბაქრაძე

თავისი ბუნებით ილია ჭავჭავაძე „პრაქტიკოსი ხელოვანი“ იყო იმ აზრით, რომ ვითარების გარდაქმნას, გარკვეული მიმართულებით მის შეცვლას მოითხოვდა. მაგრამ, თუ დაცინვის საზოგადოებრივი ფუნქცია გამოსწორებაში მდგომარეობს, აქედან ჯერ კიდევ არ გამომდინარეობს უთუო დასკვნა, რომ მწერალი მაინცადამაინც მის გამოსწორებას გულისხმობს, ვინც დაცინვის ობიექტადაა მიჩნეული. შეიძლება პირიქითაც იყოს: მწერალს შეიძლება ხელიც კი ჰქონდეს აღებუ-ლი დაცინვის ობიექტის გამოსწორებაზე და დაცინვას მხოლოდ იმის საშუალებად იყენებდეს, რომ სხვა არ გადაიქცეს ამდაგვარივე დაცინვის საგნად. ამ შემთხვევაში დაცინვის მთავარი მიზანი გაფრთხილებაა და არა ცარიელი აბუჩად აგდება. სწორედ ამ მომენტს აქვს არსებითი მნიშვნელობა „კაცია-ადამიანის?!“ გასაგებად, ვინაიდან მისი ობიექტური აზრი ისაა, რომ ლუარსაბ-დარეჯანის გარდაქმნა შეუძლებელია. ისინი განწირულნი არიან, მაგრამ ეს არ არის სხვისთვისაც გარდუვალი აუცილებლობა.

გრიგოლ კიკნაძე

2. ილიას სიცილი

არსებობს ასეთი გამოთქმა „სიმწრის სიცილი“. ასეთია ილიასეული სიცილი, ამიტომაც ლიტერატურათმცოდნენი ხშირად სვამენ ილიასავე დასმულ შეკითხვას – ვიცინოთ თუ ვიტიროთ? რა განწყობას უქმნიან მკითხველს ილიას პერსონაჟები – სასაცილოს თუ სატირალს?

გარემო სინამდვილეში სასაცილოს არ ეძებს ილია ჭავჭავაძე, რადგან სიცილი და გართობა ტყუპები არიან, ხოლო გართობისთვის კი ილიას არ ეცალა. ილია სავალალო ფაქტებზე ჩერდებოდა, მათ აანალიზებდა, გონების თვალით იკვლევ-

და და, როგორც თვით ამბობდა, „გონებას კი – ძნელად თუ გაეცინება“. სიცილი მისთვის არ იყო არც მიზანი და არც საშუალება. ილია გარემოს უგვანობით იყო აღშფოთებული, რასაც დაცინვით გამოხატავდა და არა სიცილით, რადგან სიცილი ვერ ასახავს გულდამწველ ვითარებას.

გრიგოლ კიკნაძე

მწერალი მკითხველს ორ არჩევანს სთავაზობს: ლუარსაბის ამბის გამო უნდა იცინოს და უნდა იტიროს. „ორივეს საბუთი ისევ ამავე მოთხრობაში გაქვსო“. არა, მწერალს არ დაუცინია ლუარსაბისა და მისი მეუღლისთვის. ვერც დასცინებდა, რადგან აშკარად გვეუბნება: თუ იმათ დასცინებ, გინდაც შენი თავისთვის დაგიცინიაო.

თამაზ ბიბილური

ოსტატობის სკოლა

ქვემოთ შემოთავაზებული ორი დავალებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და შეასრულეთ.

1. პერსონაჟთა გალერეა

„კაცია-ადამიანის?!“ პერსონაჟები

შეარჩიეთ ერთ-ერთი პერსონაჟი და დაწერეთ მისი დახასიათება, რომელშიც გადმოსცემთ ამ პერსონაჟის დამახასიათებელ თავისებურებებს.

2. საზოგადო სენი

დაწერეთ არგუმენტირებული ესე, რომელშიც დაასაბუთებთ, რა საზოგადო სენი აწუხებდა ილიასდროინდელ საზოგადოებას, მათგან რომელი აგრძელებს არსებობას დღესაც და რა საშუალებებით შეუძლია საზოგადოებას მისი დამარცხება?

ფანტაზიის გაკვეთილები

თანამედროვე ლუარსაბი და დარეჯანი

ლუარსაბ თათქარიძე არის პერსონაჟი, რომელშიც იმდროინდელი საზოგადოების ყველა სენი ერთადაა თავმოყრილი.

ყველა დროის საზოგადოებას თავისი პრობლემები აქვს. წარმოიდგინეთ „ახალი“ ლუარსაბ თათქარიძე, რომელიც თანამედროვე საზოგადოების მანკიერი მხარეებითაა „შემკული“ .

გადმოეცით რამდენიმე სცენა თანამედროვე ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებიდან.

წაკითხვამდე

ეპოქა და ავტორი

ჩვეულებრივ, ამ რუბრიკაში იმ ეპოქაზე გიამბობთ, რომელსაც ნაწარმოებში ასახული ამბები ეხება,თუმცა ამჯერად მთავარი პრობლემისა და ისტორიული კონტექსტის შესახებ თავად ავტორი საუბრობს პუბლიცისტურ წერილში „ზოგიერთი რამ“.

ზოგიერთი რამ

(ფრაგმენტები)

III

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულს გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვაფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძლურდების”, – ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ღაო!“.

– აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდამ მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორიგებული მისი შვილი სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა სწოვს.

V

იმერელი, გურული, მეგრელი, ქართლელი, კახელი – ეს ცალ-ცალკედ მითვისებული, კერძოობითაც მიღებული, განმაყოფელი სახელები, ჩემის ზემოხსენებულის სიტყვის ცხადი მაგალითებია, მაგრამ მეტყვიან: ეგ ყველა ხალხში არისო. მართალია, მაგრამ არა ეგრე გულსაკლავად, როგორც ჩვენშია. იქ, სხვა ხალხში, საცა თვითეულს პირს თავის დამოკიდებულება თავის ხალხთან არ შეუწყვეტია და სისხლში და ხორცში გამჯდარი აქვს, იქ მაგისთანა სახელები შინაურობაში იხმარება ერთურთის გასარჩევად და არა საქვეყნოდ, საგარეოდ. მარსელში მცხოვრებელი ფრანციელი, რასაკვირველია, ფრანციელსვე ეტყვის, მარსელელი ვარო, მაგრამ უცხო ქვეყნელს კი ეტყვის, ფრანციელი ვარო. ეგ იმას ნიშნავს, რომ იგი შინაურობაში მარსელელია და გარეობაში – ფრანციელი. უცხოსათვის ერთი იმათგანია, საცა ყველანი ამისათვის ცხოვრობენ და ყველასათვის თითონა ცხოვრობს. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი ძალა – ჩემი ხალხის ძალააო, ჩემი სიკეთე – ჩემი ხალხის სიკეთეაო, რომ ჩემი სისხლი ყოველს ფრანციელთან ერთად დუღსო, ყოველის ფრანციელის ცხოვრების ძარღვი ჩემის ცხოვრების ძარღვიაო, და თუ გინდაო, ყოვლის ფრანციელის ავად და კარგად მყოფობას ჩემს მაჯაზედ შეატყობო. ეგ იმას ნიშნავს, რომ ჩემი წყენა უცხოსაგან – ჩემი ხალხის წყენააო, და ჩემი ხალხის წყენა – ჩემი საკუთარი წყენააო.

ჩვენში? ეჰ, რაღა გითხრა,მკითხველო! შენც კარგად იცი, რომ ქართველი ჩვენის ტომის საერთო სახელი აღარ არის, აღარც შინა და აღარც გარეთ, არც მახლობლებისათვის და არც უცხოსთვის. იმერელი – იმერელია, გურული – გურულია, მეგრელი – მეგრელია, ქართლელი – ქართლელია, და სულ ყველანი კი ერთად ქართველები არ არიან.

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია და „ჩვენ“ – იშვიათი!..

VII

მამული!.. ამ სიტყვის ყოვლად-მპყრობელი მნიშვნელობა ვრცელია და ფართო. იქ, საცა ხალხობა დარღვეული არ არის და განთვითეულება – ეგ ჭირთა-ჭირი არა მეფობს, იქ მაგ სიტყვის აზრი ცხოვრების მიმნიჭებელი სულია, მთელის ხალხის ერთიანი მაჯის ერთიანი ძარღვია. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ თვითეულსა – მთელის ხალხისა და მთელს ხალხს – თვითეულისა ჭირი და ლხინი წარმოუდგება ხოლმე. იქ მაგ სიტყვის ხსენებაზედ დიდი და პატარა, ქალი და კაცი თავის ქვეყნის ნაღველითა ნაღვლობს, ლხენითა ლხინობს, დღეობითა და დიდებითა – დღესასწაულობს. იქ მაგ სიტყვაში ყოველია და ყოველში ყველა არის.

ჩვენში? ჩვენშიაც მაგ სიტყვას მაგეთი მნიშვნელობა ჰქონია თურმე. იცი როდის? როცა ჩემი „მე” და შენი „მე” ჩვენის ერთიანის ხალხის ცხოვრების საყევარში ერთად ბმულა...

VIII

ზღვა კოვზით არ დაილევაო, ნათქვამია, აი თუ არ დაილევა, სად არის მამულის ყოვლად-მპყრობელი, ვრცელი, ფრთაგასაშლელი მნიშვნელობა?

განვიმეორებ, განვთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ველარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილი საზიდია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ველარ იტვირთა. რაღა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრისკაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლოს ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივენით და ჩვენი ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შვილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავაკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენის რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდის „მამულის“ ნაშთი, თავთავად შეგმოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“ თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებიო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ამ სახით თვითეული ჩვენგანი თავის შემოღობილში შეიკეტა, თავისი საკუთარი ჭირი და ლხინი აიჩინა; და რომ თვითეულმან ჩვენგანმან საერთო საქმეს თვალი მოაშორა და გონება თავისი საერთო საგანზედ აღარ ავარჯიშა, ის გონებაც ისე დაუბრმავდა, რომ იგი თავის ქონების ღობის იქით ველარ გადაუცილებია, რომ თავის მოძმეს გაეხმაუროს მაინცა.

ლიტერატურული ძიებანი

პუბლიცისტიკის თავისებურებანი – დამოუკიდებელი კვლევა

1. კვლევა ტერმინზე დაფიქრებით იწყება: გაეცანით ქვემოთ მოყვანილ სალექსიკონო განმარტებებს და ჩამოაყალიბეთ თქვენეული განმარტება, რომელშიც მოკლედ გადმოსცემთ პუბლიცისტიკის არსს.

პუბლიცისტიკა წარმოდგება ლათინური სიტყვიდან „პუბლიკუს“, რაც საზოგადოებრივს, საზოგადოებისთვის გამიზნულს ნიშნავს.

ესაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე.

მიხეილ ჭაბაშვილი
უცხო სიტყვათა ლექსიკონი

პუბლიცისტიკა – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურაა თანამედროვე აქტუალურ თემებზე. ის იყენებს ცხოვრებისეულ მასალას, საზოგადოებისათვის აქტუალურ და პრობლემურ თემატიკას.

საზოგადოებისათვის მტკივნეული პრობლემები განაპირობებს პუბლიცისტიკის პათოსს, მის მწვავე და ზოგჯერ კატეგორიულ ინტონაციას.

პუბლიცისტიკის ფართო დიაპაზონი განაპირობებს მისი ფორმების მრავალფეროვნებას. პოლიტიკურის გარდა, გვხვდება ინფორმაციული, ეკონომიკური, ფილოსოფიური, პოლემიკური, მორალურ-ეთიკური, ანალიტიკური, დისკუსიური პუბლიცისტიკა.

არსებობს საგაზეთო-საჟურნალო პუბლიცისტიკის ჟანრები — ინტერვიუ, კორესპონდენცია, რეცენზია, მთავარი და პრობლემური სტატიები, მიმოხილვა, წერილი, ნარკვევი, პამფლეტი, ფელეტონი და ა.შ.

2. დაიყავით ჯგუფებად. შეარჩიეთ მოცემული ტექსტიდან თითო ნაწყვეტი და იმსჯელეთ:

- ამ ნაწყვეტში საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან რომელ პრობლემაზე მსჯელობს ავტორი;
- იგივე პრობლემა ილიას რომელ მხატვრულ ნაწარმოებებშია განხილული და როგორ?
- მხატვრულ ტექსტში პრობლემა პირდაპირაა დასახელებული, თუ ნაწარმოების სიუჟეტში არის გაბნეული, დაფარული? მკითხველს მწვავე საკითხებზე პირდაპირ ესაუბრება ავტორი, თუ პრობლემა ტექსტის სიუჟეტში მისაგნები და ამოსაცნობია? პუბლიცისტიკაში? რით განსხვავდება ეს ორი სხვადასხვა ფორმატის ტექსტი ერთმანეთისაგან? ჩამოწერეთ განსხვავებანი;

3. პუბლიცისტიკის ზემოთ ჩამოთვლილი ჟანრებიდან რომელს მიაკუთვნებდით ილიას წერილს „ზოგიერთი რამ“?

4. შეადარეთ პუბლიცისტური წერილისა და მხატვრული ტექსტის გამოხატვის ფორმები და გამომსახველობითი საშუალებები. როგორ გამოხატავს სათქმელს პუბლიცისტი და როგორ – მწერალი?

5. საზოგადოებაზე ზემოქმედების რა საშუალებები აქვს მწერალს და რა – პუბლიცისტს; რომელ სიტუაციაში რომელი უფრო ეფექტურია?
6. გამოყავით, რა ძირითადი ნიშნები ახასიათებს პუბლიცისტურ ტექსტს?

დამატებითი რესურსები

კვლევის შედეგები გადაამოწმეთ სახელმძღვანელოს დანართში. დანართი 4. „სამახსოვრო და პასუხები“ კომენტარში: 4.8. „პუბლიცისტიკის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი“, გვ. 544.

წაკითხვამდე

1. ნაწარმოებში, რომლის შესწავლასაც ახლა შევუდგებით, სწორედ ის პრობლემებია გამოკვეთილი, რომლებზეც პუბლიცისტურ წერილში იყო საუბარი. დააკვირდით, როგორ გადმოსცემს მხატვრული ტექსტი იმავე სათქმელს.
2. ტექსტზე მუშაობის პროცესში შეგიძლიათ გამოიყენოთ შესადარებელი ცხრილი:

პუბლიცისტურ წერილში დასმული პრობლემა	იგივე პრობლემა მხატვრულ ტექსტში

ეს საინტერესოა

როგორ იწერებოდა „ოთარაანთ ქვრივი“

(ნაწყვეტები მოგონებებიდან)

მახსოვს, როგორ წერდა ილია „ოთარაანთ ქვრივს“. ჩაიკეტებოდა თავის კაბინეტში, მიუჯდებოდა მაგიდას და წერდა განუწყვეტლივ, თავაუღებლად, დღისით და ღამით... ასევე იყო თავის კაბინეტში ჩაკეტილი, როდესაც გაშმაგებული, გაალმასებული წერდა თავის „ქვათა ღაღადს“.

მუშაობდა ასე. დაავიწყდებოდა ჭამაც და სმაც. ერთ ფინჯან ყავას თუ შეუტანდნენ და პატარა თეთრ პურს, თორემ სხვა საჭმელს არაფერს მიიკარებდა...

გაათავებდა წერას, მიატოვებდა კალამს და მთელი კვირაობით აღარ დაუბრუნდებოდა საქმეს. გადაიცვამდა თავის ჭრელ ხალათს, დაიხურავდა თავზე ფესს და ჩაიკეტებოდა ისევ თავის კაბინეტში, მხოლოდ არა მუშაობისათვის: წამოწვებოდა მხართეძოზე, აიღებდა ხელში გაზეთს და მიეცემოდა აზიურ განცხრომას, ზარმაცობას...

ბევრისგან გამიგონია, ილია მკაცრი, სასტიკი და, ხშირად, მკვახე ადამიანიაო, ტყუილად ხომ არ ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი თვით ილიაა, მხოლოდ კაბაში გადაცმულიო. რამდენადაც მე ვიცნობდი ილიას, ვერ ვიტყვი, რომ ეს სავსებით მართალი იყოს. ილია უფრო გულჩათხრობილი კაცი იყო, მაგარი, გაუტეხავი, ცოტა ჯიუტიც, მაგრამ სასტიკი კი არა. გულს ძნელად გაუხსნიდა ადამიანს

როგორი იყო ილია კერძო ცხოვრებაში? არ იყო მედიდური, გვარეულობით თავი არ მოჰქონდა, უბრალო, მდაბიური ცხოვრება მოსწონდა. შინ ჯდომა უყვარდა. დარბაზობა, ეგრედწოდებულ ვიზიტებზე სიარული სძულდა. შინ კი ბლომად მისდიოდნენ ნაცნობნი თავისი თუ ცოლისა, მაგრამ მათი დახვედრა, მათი მიღება ევალათ მის მეუღლეს და დას, რომელიც მათთან ცხოვრობდა.

ცოტა უკმეხი იყო, მარტოობას არჩევდა. ხშირად მთელი საათობით უძრავად იჯდა ჩაფიქრებული. გაცოცხლდებოდა ხოლმე მხოლოდ სჯა-ბაასის, კამათის დროს. თუ ვისმე დაიახლოვებდა და გულს გაუხსნიდა, მაშინ ოხუნჯობდა, ლაზღანდარობაც უყვარდა მათთან. მაგრამ აქაც საბელს არ მიუშვებდა, თავი ისე ეჭირა, რომ გაკადნიერებას ვერავინ გაბედავდა. თუ ვინმე თავს აიგდებდა და საზღვარს გადავიდოდა, ერჩია, თვითონვე ამოეკვეთა ფეხი ილიას სახლში. ილია პირს აღარ უჩვენებდა...

იაკობ მანსვეტაშვილი

ოთარაანთ ქვრივი

I

რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?

იმ ვეებერთელა სოფელში, რომელსაც თუნდა „წაბლიანს“ დავარქმევ, ყველამ იცოდა, ვინ არის ოთარაანთ ქვრივი. სოფლის გზირისათვის რომ გეკითხათ, ოთარაანთ ქვრივის კარმიდამოში მზისა და წვიმის მეტს არავის შეეძლო გავლა ქვრივის უნებურად. ნაცვალი თუ იასაული, – რაც გინდ დიდი საქმე ჰქონოდათ, – ოთარაანთ ქვრივის ეზოში ვერ გაიწაწანებდნენ, და თუ როგორმე გაჰბედავდნენ, ისეთს ალიაქოთს ასტეხ-და, რომ ბედსა და თავს დააწყევლინებდა. ნამეტნავად გზირს კარგად ახსოვდა ერთი ამბავი, და მერე ხომ მთელმა სოფელმაც შეიტყო. გზირს ერთხელ ერთი ქათამი წაერთმია, – დიამბეგი მობრძანდა, სოფლად ქათმებს ვაგროვებთო, და ისეთი ვაი-ვაგლახი დააწია, რომ, ამბობენ, გუბერნატორამდე თავის ფეხით იაროო და ერთი ქათამი შვიდეულად დაუსვა მოურიდებელს გზირსაო. თუმცა თითონ ქვრივსაც ერთი ათიოდ მანეთი შემოჰხარჯოდა მისვლა-მოსვლაში, მაგრამ ამას ამბობდა თურმე:

– ფული რა არის?!. ხელის ჭუჭყია... ერთი თუმანი რა სათქმელია!.. ჯავრი რომ არ შევარჩინე, – ეს რადა ჰღირს! ტყუილ-უბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?! დეე ამას იქით იცოდნენ, რომ მე ოთარაანთ ქვრივს მეძახიანო.

სწორედ იცოდნენ კიდეც. ჯგუფად რომ გლეხკაცობა სადმე მდგარიყო, ნამეტნავად თუ შიგ ერია სოფლის მოხელე ვინმე – ნაცვალი თუ მამასახლისი – და ოთარაანთ ქვრივი მიმავალი დაენახათ, ისე გაიფანტებოდნენ აქეთ-იქით, თითქო ალალმა დაჰქროლა წიწილებსო.

კაცი ვერ იტყვის, სძულდათ, თუ უყვარდათ ოთარაანთ ქვრივი სოფელში. შიშით კი ყველას ეშინოდა. ასე იფიქრეთ, ტირილით გაჭირვეულებულს და გაკაპასებულს ბალღებსაც კი ოთარაანთ ქვრივის სახელით აშინებდნენ გულზედ მოსული დედები.

– დაჩუმდი, შე არგასაწყვეტო, თორემ აგერ ოთარაანთ ქვრივი მოდისო. ოთარაანთ ქვრივმა ეს კარგად იცოდა და ბევრს არას ჰნაღვლობდა, რომ ასე ეკრძალებიან, ერიდებიან და უფრთხიან ყველანი.

– ქალაჩუნები რომ არიან, იმიტომაო, – იტყოდა ხოლმე თავისთავად. – ჩემი რად უნდა ეშინოდეთ? რა ბაყბაყ-დევი მე მნახესო! მე მარტო ისა ვარ, რომ ჩემს ჯავრს არავის შევარჩენ, ტყუილ-უბრალოდ არავის დავეჩაგვრინები. თუ გაჭირდა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს ავიღებ ხელში და ხელმწიფემდი ვივლიო.

სოფელმა კარგად იცოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს ტყუილ-უბრალოდ ბაქიობა და მუქარა არ უყვარდა. იმისი თქმა და ქმნა ერთი იყო.

– მე და ჩემმა ღმერთმა, ბარაქალა დედაკაციაო, – იტყოდა ხოლმე დათია ბადიაშვილი ოთარაანთ ქვრივზედ, – არც სხვისას შეირჩენს, არც თავისას შეარჩენს სხვასა. ახლა შინა ჰნახე, – რა ამბავი აქვს: მთელი დღე ციბრუტივით ტრიალებს ოჯახში. იმისი ხელი და ფეხი დილიდამ საღამომდე არ დადგებაო.

სოფლის დედაკაცობას ხომ უფრო ეშინოდა ოთარაანთ ქვრივისა. ვაი იმას, ვისაც უსაქმოდ მოასწრობდა ხოლმე: ძირიანად ამოიღებდა, ძირიანად მოსთხრიდა.

– რაო, მუქთამჭამელოო? – ეტყოდა ხოლმე, – შენს ქმარს თავის თავის გამოკვება კი ეადვილება, რომ შენც მუქთად გკვებოსო. რას დაგიკრებია გულზედ ეგ დასამიწი ხელები, – აი, მოგიკვდეს ეგ უგულო გული! მამაშენსა აქვს ცხონება, შენც თუ ხელი გასძარი, შენს ქმარს მეტი ლუკმა გულზედ დაადგება, აი!.. მეტი მოუვა განა!.. აი დამიწდი, დამიწდი კარგი რამ შენა ხარ!..

ისე არავის გაუვლიდა გვერდით, რომ არ გაეკენწლა, თუ რამ თვალში არ მოუვიდოდა. ძნელად იქნებოდა, რომ ტკბილი სიტყვა ეთქვა ვისთვისმე.

– ტკბილი სიტყვა რა არისო! – იტყოდა ხოლმე, – ამ გამწარებულს წუთისოფელში ტკბილი სხვა რა არის, რომ სიტყვა იყოს. რას მიქვიან ტკბილი სიტყვა! თვალთმაქცობაა, სხვა არაფერი. ტკბილი სიტყვა ნუგეშია, კაცს გულს მოჰფხანს. გულის ფხანა რაღა დარდუბალაა! ფხანა ქეცმა იცის. ნუ გაიქეციანებ გულს და ფხანაც საჭირო არ იქნება. სიტყვა სამურველი ხომ არ არის, მოსაკიდებელი ჩანგალია, რომ გული ან აქეთ მისწიოს, ან იქით, თორემ ობი მოეკიდება, როგორც კიდობანში დავიწყებულს პურს. გული ადგილიდამ უნდა მისძრასმოსძრას კაცმა, თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა. ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თავადიშვილები ფეხის გულზე ხელს ასმევინებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოჰგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთისოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა.

– ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, – ამბობდნენ სოფელში.

II

პილპილმოყრილი მადლი

მართლა ასე იყო თუ არა, ეს უნდა ეკითხოს ერთს სხვა ქვრივს დედაკაცსა, რომელიც სოფლის ნაპირას იდგა და მეტად წვრილშვილიანი იყო. ეს დედაკაცი ცოტა უხეირო, უნდილი რამ იყო: გარჯა ეზარებოდა და წვრილშვილი ნახევარზედ მშიერ-მწყურვალი ჰყვანდა. ოთარაანთ ქვრივი ყოველ კვირა დღეს ერთ ათიოდე შოთს და ერთ ბადია კორკოტს თავის ფეხით გადაუტანდა ხოლმე.

– აჰა, ხეთქეო, – ეტყოდა ხოლმე დედაკაცსა, – დაგიღია ეგ შავი მიწით ამოსავსები პირი, შე პირშავო, შენა, და შენი დღენი ძაღლსავით სხვას შეჰყურებ, აგერ გამოხრულს ძვალს გადმომიგდებენო. შე არდასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყის ოდენა მკლავები!.. დახე, დახე, ამ წუწკსა, წუწკის შვილსა, სამგლე გოჭსავით გათხვირულა, ლუკმაპურის შოვნის უნარი კი არა აქვს. რა კარგი დაეყრებათ ამ შენს ცოდვის შვილებსა! შენი მაყურებლები შენგან აბა რა კარგს ისწავლიან! ესენი მაინც არ გეცოდება, შე უბედურის დღისავ!..

დედაკაცი, ამისთანების ჩვეული, მაინც მადლობას ეტყოდა ხოლმე.

– მადლობა!.. შენთვის მაგრად შეინახე, ძონძებში გამოიკარ, არ დაგეკარგოს... დიდი განძია ეგ შენი მჭლე მადლობა ოთარაანთ ქვრივისათვის, ო, შენმა მზემ! ეგრე ხელგაშლით რად იხარჯები. აი, მეხი კი დაგაყარე! მადლობა!.. კარგია – მუქთაა, თორემ მაგასაც ხომ ვერ იშოვიდი, რომ გარჯით საშოვარი იყოს. მადლობა!.. ეგ შენი მადლობა გინდა გახიე, გინდა გაფხრიწე...

გლახა-მათხოვარა ისე არ მიადგებოდა კარს, რომ ოთარაანთ ქვრივს რითიმე არ გაეკითხა, მაგრამ თავისებურად კი წამოულაგებდა.

– ი... ი... ი... შენ კი მოგიკვდა ეგ უხეირო თავი! – მიაყოლებდა ხოლმე, როცა გასაკითხს აწვდიდა. – დაგიბრიყვებია ჩემისთანა სულელი დედაკაცები და ლუკმაპურს პირიდამ აცლი. აი, მეხი კი დაგაყარე მაგ ქეციან თავზედ. შე ოხერო, რომ აგიღია თავი და დაეხეტები სათხოვრად, ნამუსი აღარ გაქვს? ამ წუთისსოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ჰხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსა ჰშოულობს და შენ როგორღა გარჩინოს! ქვეყნისა არა გრცხვენიან? არა, შე ოყრაყო, ოთარანთ ქვრივი დედაა შენი, მამაა, თუ შენი მოვალეა, რომ შეგინახოს! აი გაგიხმეს ეგ ხელ-ფეხი! რისთვის გასხია ეგენი მაგ მუტრუკს ტანზედ, თუ ვერ მოგიხმარებია? ქვეყანას თავის თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს? ფუ, შენს ნამუსსა!..

თუ მეტად შესაბრალისი და ღონემიხდილი გლახა შეხვდებოდა, ამაებს ხომ ეტყოდა და ბოლოს დაუმატებდა:

– წამოეთრიე ერთი მარანში, ღვინოს ჩაგაცეცხლებ. ნუ გეგონოს კი, რომ მადლს გიშვრებოდე რასმე. აი, გაქრეს, ოთარაანთ ქვრივმა შენთვის არა გამოიმეტოს-რა. აი, ქვევრში რაღაც წუმპე ნაძირალა დამრჩა, მაინც გადასაღვრელია და ბარემ შენ ჩასცეცხლო.

წაიყვანდა, ერთ-ორიოდე ჩარექას კაი ღვინოს გადაახუხებდა და გამოისტუმრებდა თავისებურად ქება-დიდებით.

ერთხელ ერთი მათხოვარი მიადგა კარს. ოთარაანთ ქვრივმა გამოუტანა გასაკითხად ერთი უშველებელი შოთი, რასაკვირველია – თავისებური პილპილიც მოაყარა ზედ: კარგად, ლაზათიანად გამოგილანძღათ. როცა მათხოვარი გაბრუნდა, მაშინ შეასწრო თვალი, რომ ფეხები დაჰხეთქოდა ფეხუცმელობით.

– დამაცა, შე არდასაცალებელო, – დაუძახა მათხოვარს.

მათხოვარი გაჩერდა. ოთარაანთ ქვრივი შევარდა სახლში, იღლიას ქვეშ ამოიჩარა ექვსი შოთი, მოვიდა მათხოვარასთან და დაუყვირა:

– მე გამომყევ, შე ადრე და მალე დასამარხავო!

გაოცებული მათხოვარა გაჰყვა, ოთარაანთ ქვრივი გავიდა სოფლის ბაზარში, ერთი შოლტი საქალამანე ღორის ტყავი გადმოაღებინა მედუქნეს, ექვსი პური მისცა, ტყავი გამოართვა და ისე მიახალა თავში მათხოვარას, რომ საწყალმა თვალებზედ ხელი მიიფარა, ცხვირ-პირში არ მომხვდესო.

– აჰა, შე არდასარჩენო, ამოისხი და ჩაიცვი, იქნებ ამოსხმაც არ იცოდე, შე დასაღუპავო.

– რაო, ოთარაანთ ქვრივო, გემართა მაგისი, თუ რა არის? – ჰკითხა ქოსმანსავით გათხვირულმა მედუქნემ.

– მაშ არადა, მაგის თავის მზემ, ჩემს თავს პურს დავაკლებდი და მაგის ქალამანში მივცემდი, – იტყუა ოთარაანთ ქვრივმა.

III

ხუთი ქისა

ოთარაანთ ქვრივს სოფლის ნაპირას ერთი კაი მოზრდილი ფიცრული ედგა. მისი ეზო, საკმაოდ ფართო გლეხკაცისათვის, გარს შემორტყმულია ტყრუშულის ღობითა. ეზო წმინდაა, ფაქიზად შენახული და დერეფნიდამ მოყოლებული ჭიისკარამდე სიგრძე-სიგანეზედ მწვანით აბიბინებული. დერეფნის წინ, ერთ ოციოდე ნაბიჯზედ, უშველებელი კაკალი სდგას, შტოებძირდაშვებული, შემორგვალებული, თითქო განგებ შემოკვეცილიაო.

კაცის თვალს იამებოდა, რომ ეს ეზო ენახა. სახლი, როგორცა ვთქვით, ფიცრულია. მარტო ჩრდილის მხრივ კედელი მთლიანია, სხვა მხრივ კი ყოველგან თითო კარი აქვს დატანებული. კედლები ყველგან დაჩითულია სათოფეებითა. სჩანს, შიშიანობის დროს ყოფილა აშენებული.

ამ სახლს მარჯვნივ წალმით დახურული მარანი ედგა, ოთხკუთხივ ღია და ფარღალალა. სახლის უკან კალო-საბძელია და საბძელქვეშ გომური. სახლის მარცხნივ პატარა ადგილია შემოღობილი და შიგ ბოსტანია.

აქ მოჰყავს ხოლმე ოთარაანთ ქვრივს ყოველივე ბოსტნეულობა, რაც კი დასჭირდება საზაფხულოდ თუ საზამთროდ.

თავისის ხელით ჰბარავს, სთოხნის, ჰმარგლის, სთესს და ჰკრეფს ხოლმე. თუმცა სოფლელნი ბევრს იძახდნენ: ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი არას დაგიდევდათ.

– თუ არ გაუგონიათ, ეხლა გაიგონონო, – ამბობდა ხოლმე, – მითამ მე რითი ვარ ნაკლები აიმ დამპალ გოგიაზედ! თუ იმასა ჰშვენის ბარი და თოხი, მე რაღა ღვთისაგან შერისხული ვარ. რა ვუყოთ, რომ ის მამაკაცია და მე დედაკაცი. მითამ ჩემზედ წინ რით არის? იმასაც ორი ხელი და ფეხი აქვს და მეცაო. თუ ის ხელ-ფეხს ასაქმებს, მე რაღა დარდუბალა გადამკიდებია!.. რა საპყარი და დავარდნილი მე მნახესო!..

ბოსტანში მუშაობა ისე უყვარდა, რომ სხვის ხელს არ მიაკარებდა. ბოსტანში პატარა რუი იყო გაჭრილი და მუდმივ და გაუწყვეტლად წყალი ჩამოჩუხჩუხებდა, დიდის სასოფლო რუიდამ წამოყვანილი. იმ სოფელში წყალი ბევრი იყო, სოფელს ზედ შუაზედ სამის წისქვილის წყალი ჩამოუდიოდა. როცა ძალიან გოლვა იყო, მაშინ კი წყალს სოფლელნი ერთმანეთსა ჰპარავდნენ, სტაცებდნენ ბოსტნებისა და ნამეტნავად ვენახების სარწყავად. ოთარაანთ ქვრივს კი ვერ უბედავდნენ წყლის მოკლებასა. თუ ვინმე გაჰბედავდა, ვაი იმას!.. ოთარაანთ ქვრივი მეწისქვილესავით გაიდებდა ხოლმე მხარზე თოხსა და აჰყვებოდა რუს თავამდინა. გლეხები რომ ამ ყოფით დაინახავდნენ ოთარაანთ ქვრივსა, იტყოდნენ:

– წამოვიდა მეხი, და ვაი იმას, ვისაც დაეცემაო.

სახლში რომ შესულიყავით, ყველაზედ უწინარეს თვალში გეცემოდათ სიფაქიზე და დაგვილ-დაწმენდილობა იქაურობისა. თარო ჩრდილოს კედელზედ თავიდამ ბოლომდე გახიდულია და ზედ ჩამომწკრივებულია სუფთა ჭურჭელი ქაშანურისა. ორიოდე ქვაბი, ტაფა, ჩამჩა, ქაფქირი, ძალზედ დაწმენდილ დარეცხილი, მხიარულად გადმოიცქირებიან მაღლიდამ, თითქო თავს იწონებენ, რომ კარგი მომვლელი და პატრონი ასჩენიათ.

კერას აქეთ-იქით თითო ტახტია დაფენილი ჭრელის ფარდაგებითა. კარგა ხნის ფარდაგებია, მაგრამ კარგად შენახული და ნაპატრონები. ტახტების თავზე თითო ბაცანკალი, ანუ, როგორც ზოგან ეძახიან, სართუმალი სდგას ხარატით ნაკეთები. კუთხეში ერთი დიდი კიდობანია, ეტყობა ძველი ნაკეთობაა, იმიტომ, რომ წინა პირზედ გამოხარატებულია სხვადასხვა სახე და ძველებური გრეხილ-ხვეულები სილამაზისათვის. ერთი დიდი სკივრიცა სდგას მეორე კუთხეში. ეტყობა ერთს დროს ლურჯად ყოფილა შეღებილი და ეხლა კი საღებავი გადასვლია. ამ სკივრზედ აკოკოლებულია ქვეშსაგები, ლურჯის სუზანით თავიდან ბოლომდე ჩამოფარებული.

ამ სახლის, ანუ როგორც თვითონ ოთარაანთ ქვრივი ეძახდა, დარბაზის მოწყობილობისათვის რომ თვალი კარგად დაგეკვირვებინათ, იტყოდით – ამის პატრონი შეძლებული კაცი უნდა იყოსო. არც მოსტყუვდებოდით. გლეხკაცობის კვალობაზედ ოთარაანთ ქვრივს ბევრი შეჰნატროდა. ამას ქმრისაგან დარჩა ნახევარგუთნეული საქონელი, ორი ფურკამეჩი, სამი ძროხა, ამას გარდა ორის დღის კარგად გაკეთებული და გავსებული ვენახი და ოციოდ დღის სახნავ-სათესი მიწა.

ვენახს ქვრივი ძალიან კარგად უვლიდა, ძალიან აპატიებდა და ვენახიც კარგს მოსავალს იძლევოდა. ამბობდნენ, რომ ოთარაანთ ქვრივი, – რაც უნდა მდარე მოსავალი ყოფილიყო, – სამს საპალნეს ღვინოს მაინც გაჰყიდდაო ყოველწლივ. მისი ღვინო საპალნე შვიდ-რვა და ათ თუმნადაც ბევრჯერ გაყიდულა თურმე. შინაც სახარჯო ღვინოს სამყოფზედ მეტს ინახავდა. ათის დღის მიწას ყოველ-წლივ ხნავდა. სყიდვით იქნებოდა, ალოთი, თუ თავისის გუთნით, ათის დღისას უსათუოდ მოჰხნავდა და მოსთესავდა.

გაჰყიდდა ღვინოსა და მომეტებულს პურს თუ არა, ფულს ხუთ ნაწილად ჰყოფდა და ხუთ რიგად ინახავდა. ამისათვის ნაჭრებისაგან ჭრელი ქისები ჰქონდა, ჩანთასავით შეკერილები. ერთს ამისთანა ქისას „საჭირნახულოს“ ეძახდა და შიგ ინახავდა სახარჯოს პურისა და ქერების სამკალად, მოსაზიდად და სალეწად. მეორე ქისას „ბარაქალა“ ქისას ეძახდა. ამაში

ინახავდა სახარჯოს ვენახის სამუშაოსათვის. მესამე ქისას „საჯანაბო“ ერქვა. ამაში ინახავდა ფოსტის ფულსა და საბეგროსას, თუ ვინიცობაა სოფელი ოდესმე შეაწერდა. მეოთხე ქისაში ინახავდა მოჯამაგირის საჯამაგირო ფულსა. ამ ქისას ეძახდა „მიეცი და მოგეცესო“. მეხუთე ქისაში ჰქონდა საშინაოდ სახარჯო და ღარიბთა გასაკითხი ფული. ამ მეხუთე ქისას ოთარაანთ ქვრივი ხან „ფარსიღას ქარვასლას“ ეძახდა, ხან „შიოს მარანსა“.

თვლა თუმცა მაგრერიგად არ იცოდა და ხშირად კენჭებს მოიშველიებდა ხოლმე, როცა უამისოდ დათვლა უჭირდებოდა, მაგრამ ანგარიში ძნელად შეეშლებოდა. პირველს ოთხს ქისაში იმდენს ჩააწყობდა, რამდენიც საჭირო იყო და ძალიან იშვიათად მომხდარა – ანგარიში არევოდეს. რაც პირველს ოთხს ქისას გადარჩებოდა, ყველას მეხუთე ქისაში დაუთვლელად ჩაჰყრიდა და, მინამ გამოილევოდა, დაუთვლელადვე ჰხარჯავდა.

ჩვენ და ტექსტი

1. დასაწყისი ყოველთვის მნიშვნელოვანია ხოლმე. როგორ იწყებს ავტორი თხრობას? რას ნიშნავს მისი სიტყვები: „რომელსაც თუნდაც „წაბლიანს“ დავარქმევ? როგორ გგონიათ, აქვს რაიმე მნიშვნელობა, რომელ სოფელში ხდება ეს ამბავი? თქვენი აზრით, რამ განაპირობა საკუთარ პერსონაჟთა საცხოვრებელ ადგილთან მწერლის ამგვარი დამოკიდებულება?
2. როგორ ახასიათებს ოთარაანთ ქვრივი თავის თავს? როგორ ახასიათებს ოთარაანთ ქვრივს „ქათმის ამბავი“?
3. როგორია სოფლის დამოკიდებულება ოთარაანთ ქვრივთან და რა განაპირობებს ამ დამოკიდებულებას?
4. როგორია ოთარაანთ ქვრივის ცხოვრებისეული პრინციპები „ტკბილ სიტყვაზე“ მისი მსჯელობის მიხედვით?
5. თქვენი აზრით, რატომ, რა მიზეზით და მიზნით ელაპარაკება ოთარაანთ ქვრივი მკვახედ იმ ადამიანებს, რომლებსაც ეხმარება; რა აღიზიანებს მას ყველაზე მეტად ამ ადამიანებში, რას ებრძვის იგი?
6. როგორ მეტყველებს ოთარაანთ ქვრივის შინაგან ბუნებაზე, ხასიათზე მისი სახლ-კარის აღწერა; შეადარეთ ეს აღწერა ლუარსაბის საცხოვრებელს და იმსჯელეთ ილიას ორი პერსონაჟის განსხვავებაზე.
7. რა არის ოთარაანთ ქვრივის მთავარი თვისება (ან თვისებები), რომელსაც მისი მატერიალური კეთილდღეობა ემყარება?
8. როგორ ვლინდება ოთარაანთ ქვრივის ხასიათი და პრინციპები მის მიერ საკუთარი შემოსავლის განაწილებაში?

IV

განძი და ანდერძი

ყველაზედ უძვირფასესი განძი სხვა დარჩა ოთარაანთ ქვრივს თავისი ქმრისაგან. ქვრივს კი მართლა უძვირფასესად მიაჩნდა და სხვისა კი არ ვიცით. ეს განძი თოფ-იარაღი იყო. მისი ქმარი, დიდი გამრჯელი, მოამაგე, დიდი მუშაკაცი, განთქმული მონადირეც ყოფილა. სახლში რომ შესულიყავით და კერიდამ მარჯვენა ტახტის ზემოდ კედლისათვის შეგეხედნათ, ჰნახავდით ბუდით ჩამოკიდებულს კარგად მოზრდილ თოფს, ხმალს თავისი ყაწიმებითა, ხანჯალს, დამბაჩას, სასწრაფოს და საპირსწამლეს.

კვირა არ გავიდოდა, რომ ოთარაანთ ქვრივს არ ჩამოეღო ეს იარაღი და გულდადებით არ გაეწმინდა. როცა ამას შეუდგებოდა, გეგონებოდათ, ჰლოცულობსო, ისე გულდასმით, კრძალვით და სასოებით დაუწყებდა ხოლმე წმენდასა. რაც ქმარი მოჰკვდომოდა, ამას აქეთ სულ ასე ექცეოდა ამ იარაღსა. სულთმობრძავი რომ ყოფილიყო, მაინც ერთს კვირას ისე არ გაატარებდა, რომ არ დაეწმინდა, არ დაეკრიალებინა, ცხვრის დუმით არ გაეპოხა და ისე არ დაეკიდნა თავის ადგილას. ხოლო ერთხელაც ისე არ გაუწმენდია, რომ თვალში ცრემლი არ მოჰრევოდეს, გული არ ამოსჯდომოდეს და არ ატირებულიყოს.

– ვაი, ვაი, მე უბედურსა!.. – ჩაიკრავდა ხოლმე გულში ხელს. – სადედაბეროდღა გახდა ეს ვაჟკაცის იარაღი. მოგიკვდათ, თქვე საწყლებო, კაი პატრონი!.. უიმე!.. განა მარტო თქვენ მოგიკვდათ!.. ხომ მეც მომიკვდა, მეც!.. წაიღო შავმა მიწამ ჩემი თევდორე... წამოგექცა, ოჯახო, დედაბოძი, დაგიმიწდათ, თოფო და ხმალო, თქვენი ფანდი ვაჟკაცი... გატყდა შუაზედ ჩვენის წუთისოფლის უღელიცა, მოგიკვდა, ოთარაანთ ქვრივო, ტოლდასადები მეუღლე, დარჩი ცალად... ვაიმე უშენოსა!.. ყვირილობის თვეში რომ ირემს მომაყენებდა ურმით!.. იმისი ზარიანი ხმა რომ ყურს მომხვდებოდა, გული გადამიტრიალდებოდა ხოლმე სიხარულით. ჭირიცა და ლხინიც სულ მღერითა და გალობით იცოდა. კაცი იყო, კაცი!.. ვენაცვალე იმის ჩრდილს!.. იმისი მუშაობა რომ ენახა კაცს, – თუნდა მარტოც ყოფილიყო – ქორწილი ეგონებოდა. ქვასაც კი გააღვიძებდა და ხელს გაანძრევინებდა. ვენაცვალე იმის სახელს!.. რო კვდებოდა, მაშინაც კი არ შეუკრავს წარბი, დამიძახა და მითხრა:

– რა გატირებს, ადამიანო! განა შენ კი შეჰრჩები ამ წუთისოფელსაო. ყველას ბოლო ეს არის, ტირილით ნაშობი სიცილით უნდა კვდებოდესო. სააქაოს სტუმარი ვიყავ და ახლა შინ მივდივარო. რა გატირებსო.

– რა ვქნა მე უშენომა? – შევჩივლე მე.

– როგორ თუ რა ჰქნა!.. გაისარჯე და ირჩინე თავიო. მე კი თითებიდამ ზეთი და ერბო მწვეთდა თუ! ვირჯებოდი და უტკივარს ლუკმას ვჭამდიო. ქვეყანა ღონიერია, ნუ გეშისო. ოღონდ ჭირს ნუ გაუტყდები, ნუ გაელახვინებიო... ე, ჩემ პატარა გიორგის უპატრონეო, არ გამიღარიბო, არავის დამიჩაგვრინო, არავის არ შემინატვრინოო! გაიზარდოს და მერმე თითონ იცის. თუ იქნება, თავისით იყოს, თავისი მარჯვენით კაცობდესო. მამისეული თოფ-იარაღი შეუნახე, გამოადგება... თოფი ხაზინიანია, გაუფრთხილდეს, მხარში ცემა იცის. შორს მანძილზედ კარგად მიდის, ნიშანი კი ცოტა მაღლა დაუჭიროს... ეი... მაგის ტყვიის ზუზუნი ერთ რათმედა ჰღირს!.. ეჰ, რა ვუთხრა ამ წუთისოფელს!.. არ დამცალდაო... შენც მენანები, მაგრამ ეგ უფრო მენანება, ბალღია უსუსური, უმწეო, ეჰ, ნეტავი კი ეგ დავაჟკაცებული მენახა და!.. მერმე თუნდა ურმის თვალზედ გავცმოდიო... ეჰ, რაც არის, არის... ეშმაკის კერძად არ გამხადო, მკვდარს დამიურვე, მიპატრონეო.

ამის მერმედ ბევრი აღარა დასცალდარა. სთქვა ეს თუ არა, გადაბრუნდა კედლისაკენ, ერთი ამოიკვნესა, ჯიგარი თან ამოაყოლა, „მივდივარო“ მითხრა და მიაბარა ღმერთს ალალი სული. ვაი, შენს დამკარგავს, ჩემო კარგო თევდორე.

ყოველს ამას მოიგონებდა ხოლმე ოთარაანთ ქვრივი, კალთით მოიწურავდა თვალებიდამ ცრემლს, და მინამ თოფ-იარაღს კრიალს არ დააწყებინებდა, არ მოეშვებოდა არც წმენდას და არც ტირილსა. რა თქმა

უნდა, რომ ამ ცრემლებს არავის დაანახვებდა, შვილსაც კი, შვილსაც არ შეამჩნევინებდა ხოლმე.

ქმრის ანდერძს არ უღალატა. ოჯახიც შეინახა, სარჩო-საბადებელსაც თუ არა მოუმატა, არა დააკლო რა, იარაღსაც კარგად უვლიდა და მკვდარსაც უურვებდა იმით, რომ ყოველ კვირას კორკოტსა და წანდილს ჰხარშავდა იმის სულის საცხონებლად და ყოველწლივ აწირვინებდა.

შვილის მოვლას ხომ ზედ შეალია თავისი ყმაწვილქალობა. ოცდაოთხის წლისა ძლივ იქნებოდა, როცა დაქვრივდა და ერთის წლის შვილი დარჩა. ის დღეა და ეს დღე, ჩაიცვა ლურჯი შილის პერანგი, შავი კაბა, თავზედ შავი მანდილი მოიხვია და აი ეს ოცი წელიწადია მხიარული ფერი არ მიუკარებია ტანზედ. თუმცა ბევრი მთხოვნელი ჰყვანდა, ბევრი ეხარბებოდა ოთარაანთ ქვრივის ოჯახში შესვლას, მაგრამ – თქვენც არ მომიკვდეთ – არ გათხოვდა და არა.

– მერე რა პირით-ღა შევეყარო საიქიოს ჩემს ქმარსაო, – ამბობდა ხოლმე, – აი, უწინამც დღე დაუბნელდეს ოთარაანთ ქვრივს, მინამ მამინაცვალს სახლში დაუსვამდეს თავის პატარა გიორგისა. ვენაცვალე იმის სიყრმეს!.. მამაშენს ვუღალატო!.. შენ გაგცე!.. აი, უწინამც დედამიწა გაირღვევა და შიგ ჩამიტანს. გაიზარდე, ჩემო თვალის სინათლევ, და გაახარე აქ დედაშენი და იქ მამაშენი. აი, შენ დაგედოს მტლად შენი უბედური დედა!

იტყოდა ამას და შიგ გულში ჩაიკრავდა თავის პატარა ბუთხუზა ბიჭსა.

V

დედაშვილობა

იმ დროს, როცა ჩვენს მოთხრობას ვიწყებთ, ოთარაანთ ქვრივის შვილი გიორგი ოცდაერთის წლის ბიჭი იყო. ერთი ჯმუხი და ძარღვიანი ყმაწვილი კაცი დადგა. კუპრსავით შავი და კარგად დაკოკრებული წვერ-ულვაში ლამაზად უხდებოდა მის შავგვრემანს და მოხდენილად მოყვანილს სახესა. თვალადობით მეტად სანდომიანი და მარილიანი იყო, და უფრო უკეთესი იქნებოდა, რომ მისი დიდრონი ქორული თვალები ცოტა მრისხანედ არ გამომეტყველებოდნენ. თვალთა მეტყველების ჭექას აძლიერებდა გადაბმული წარბები. ეს მარილიანობას სახისას ბევრს უშლიდა. ამის გამო კაცი უნებურად თვალს მოარიდებდა პირველ თვალის მოსწრებაზედ. ხოლო რამდენსაც უფრო დააკვირდებოდით მის პირისახეს და თვალებსა, უფრო და უფრო მოგეწონებოდათ გიორგი. იშვიათად იცოდა ღიმილი, მაგრამ როცა გაიღიმებდა, თვალი ზედ დაგრჩებოდათ, ისე უხდებოდა ღიმილი. ტანადაც ერთი ბრგე კაცი იყო, მარჯვედ მოყვანილი და კარგად ჩამოსხმული.

კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყვარდა. იმისი ყაითნებით მორთული საცვეთები, ჭრელი წინდები და ლამაზად გაწყობილი ფეხზედ ქალამანი რომ გენახათ, მაშინ დაიჯერებდით, რომ ჩვენებურ გლეხის ფეხსაცმელსაც თავისი სიტურფე და სილამაზე აქვს.

ბაზარში რომ გაივლიდა, იტყოდნენ ხოლმე: ერთი დოინჯის შემოყრა-ღა აკლია, თორემ თავადიშვილია და თავადიშვილიო.

ბევრს სოფლის საპატარძლო ქალებს თვალი დარჩენიათ გიორგიზედ, ბევრს შევარდნია გული, ბევრს ჩასახვია გულში იმისი სურვილი. გიორგის კი აინუნშიაც არავინ მოსდიოდა... ტოლ-ამხანაგობას აგრერიგად არ ეწყობოდა და თუ როგორმე ჩაერევოდა, პირველობას ყველგან ამას უთმობდნენ.

მუშაობაში ხომ მთელს სოფელში ამას სწორი არა ჰყვანდა თითქმის.

– ერთი გიორგის ხელეური მთელ ძნად შეიკვრისო, – ამბობდნენ გლეხკაცები: – ბარს დაჰკრავს, ბარს, ასე გგონია, დედამიწა უნდა შუაგულამდე ჩაანგრიოსო. მარტოხელი ძნის ურემს დაუდებს და შინ მოიტანსო. რაკი საქმეს დაადგება, ზედ შეელევა, მინამ თითონ საქმეს არ შეჰლევსო. საქმის გულით ამყოლია და ბოლომდე გამტანიო.

ბევრს ამისათანაებს ლაპარაკობდნენ გიორგიზედ სოფელში და მუშაკაცობის სახელი გავარდნილი ჰქონდა.

– ძალიან ხელგამომავალი ბიჭიაო, – ამბობდა ხოლმე ამისი დედა, – დიდი გამრჯელი, მაგრამ ცხონებულსავით გულღია და გულმხიარული არ არისო. ის ცხონებული

ისე შეეჭიდებოდა საქმეს, თითქო ღრეობასა და ლხინშიაო. ეს კი იმისავით გულმოდგინეა, დაუზარებელი, ხელმართალი, მაგრამ ძნელად თუ სადმე წარბს გაიხსნის და საქმეს შესცინებსო. – სულ პირდაღვრემილია და წარბშეკრულიო.

თუმცა ასეთი იყო გიორგი, მაგრამ თავისის დედის ყურმოჭრილი ყმა იყო თითქმის. მის უნებურს თავის დღეში არ ინდომებდა. თუმცა კარგა მოზრდილი იყო, მაგრამ გიორგი სახლსა და ოჯახში ბატონობას არ შეეცილა დედას. გვგონია, პირველობას და უფროსობას არც კი დედა დაუთმობდა, თუმცა შვილი გაგიჟებით უყვარდა. ან რა საჭირო იყო? ვაჟკაცს არ შეეძლო ოჯახის მოვლა ისე, როგორც ოთარაანთ ქვრივსა.

ამათს დედაშვილობას ბევრი შეჰნატროდა. დედაც შეჰხაროდა თავმოწონებით შვილსა. დედამიწის ზურგზედ იმისი მეტი სიხარული და ლხენა სხვა არ ჰქონდა რა, რომ შვილისათვის ეცქირნა, შვილისათვის ეცოცხლნა. „შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენთვის დავიცემ დანასაო“, იტყოდა ხოლმე თავის გულში დედა, როცა შვილს სამუშაოდამ მომავალს დაინახავდა.

ხომ ესე იყო, მაგრამ თავის დღეში არავისთის შეუტყობინებია, რომ შვილი ასე გაგიჟებით უყვარს. შვილსაც კი უმალავდა თავის გულისნადებსა. მარტო ეს კი იყო, რომ შვილთან ტკბილი ლაპარაკი იცოდა. თავის დღეში არ გაუჯავრდებოდა, თავის დღეში ავი სიტყვით არ მოიხსენიებდა, თუმცა ხშირად კი სტუქსავდა. შვილი, რომელიც სხვისგან თავზედ ფრინველსაც არ გადიფრენდა და ფეხქვეშ ჭიანჭველასაც არ გაიტარებდა, დედას თავის დღეში სიტყვას არ შეუბრუნებდა, რაც უნდა ძლიერ ეტუქსნა.

– მართალია და იმიტომაო, – იტყოდა ხოლმე თავისთავად გიორგი, – ბრალი ჩემია და ტუქსვაც ჩემზედ ახიაო.

არც ერთხელ არ ახსოვს გიორგის, რომ დედას უმიზეზოდ, ტყუილ-უბრალოდ დაეტუქსოს. რაკი ჩაუფიქრდებოდა ტუქსვას, მაშინვე გულს დააჯერებდა, რომ დედა მართალია. მართალს შეჩვეულს თვითონაც მართალი უყვარდა. ღალატი და არმობა ისე გააწიწმატებდა ხოლმე, რომ თუ საჭირო იყო, ხელსაც გამოიღებდა, ჩხუბს ასტეხდა, თავს გამოიდებდა. ჯერ კიდევ ბალღობაში მოუხდა ამისთანა საქმე და აქამდე ახსოვდა. ახსოვდა იმიტომ, რომ დედისაგან ტუქსვას, შერისხვას მოელოდა, და ამის მაგიერ დედამ კი მოუწონა.

ერთხელ – ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა, – ერთს მოზდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისთვის ქამრის ღილები დაეტყუვნა. მოტყუებული ბალღი ტირილით იჭაჭებოდა და ის კი ღილებს არ უბრუნებდა, გიორგიც მაშინ იქ ყოფილა და ბალღებთან ჰთამაშობდა თურმე. ყური მოჰკრა ბალღის გულამომჯდარს ტირილსა. შეიტყო მიზეზიცა და აემღვრა პაწაწა გული. დაანება თავი თამაშობას და მივარდა ღილების დამჩემებლს: მიეცი, რას ემართლებიო. იმას ხელი ეკრა მეტიჩარასთვის და გადაექცია. გიორგი წამომხტარიყო და ქვა დაეშინა. მივარდნოდა ურჩი ბიჭი, ხელახლად წაექცია გიორგი და ცემა დაეწყო. მოშველებოდნენ გიორგის სხვა ამხანაგები, ამოედოთ ქვეშ გიორგის მცემელი, წაერთმიათ ღილები და კარგადაც დაეზილათ. თუმცა პატარა ბალღს დაუბრუნეს წართმეული ღილები, მაგრამ გიორგი კი კარგად იყო დაბეგვილი. ცხვირი გაეტეხნათ და სისხლი სდიოდა. წითელი გულისპირი სულ ჩამოეფხრიწნათ.

ცხვირპირდასისხლიანებული გიორგი, გულისპირჩამოგლეჯილი რომ შინ მიუვიდა დედას, ელდა ეცა.

– ეგ რა არის, შვილო, მაჩვენე ერთი, რა გაქვს გატეხილი?

– კუპრაანთ თედომა მცემა.

– რადა?

– თედოს მანასაანთ გოლასათვის ქამრის ღილები წაერთმია. ჩვენ უკანვე გვინდოდა გამოგვერთმია და ჩხუბი მოგვივიდა. მომერია, ის დიდია, მე პატარა.

– მერე წაართვით?

– წავართვით.

– რა უყავით?

– ისევ გოლას მივეცით.

დედას იამა და შუბლზედ წარბი გაეხსნა.

– ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები, დაგავიწყდება, – უთხრა შვილს.

– არ დამავიწყდება. დაიცა ერთი გავიზარდო!.. მე ვუჩვენებ, ცემა როგორც უნდა. დედამ შვილი გულს ჩაიკრა.

– სულ ცხონებული მამაა, ცხონებული მამა, – გაიხარა დედამ, – უი, შენ კი გენაცვალოს დედაშენი, ჩემო ქებავ და დიდებავ!

ეს გულში სთქვა და გულშივე დაიმარხა, შვილს ცხადლივ არა უთხრა-რა. ხოლო ცხვირ-პირი რომ დაჰბანა და მოალამაზა, ეს დაატანა:

– აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!.. წადი, შვილო, ითამაშე, ეხლა უფროც მოგიხდება. ჰტიროდა განა გოლა?

– მაშ?

– გაუხარდა ღილები?

– მაშინვე დაჩუმდა, აღარა ჰტიროდა.

პატარა გიორგი გამოჰწკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებისკენ სათამაშოდ.

დედამ უყურა, უყურა გამალებულს შვილსა და როცა თვალთაგან მიეფარა, სთქვა:

– უი, შენ კი გენაცვალე! მამაც კარგი გყვანდა და არც შვილი იქნება უარესიო.

VI

გიჟია, თუ რა?

ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედისავით, თავისი იყო, თუ სხვისა, თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. – კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? – არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თვითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა. ამას წინად, – სულ ორი კვირა არ იქნება, – კინაღამ სოფლის სასამართლომ გომურში არ დაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაედინა.

გიორგი ტყეში ყოფილიყო ჭიგოს საჭრელად. ომარაანთ მოჯამაგირე ენახა ტყეში. თურმე ურემი გამოუტანებიათ შეშისათვის და ის კი ჩრდილში წამოწოლილიყო და ლაზათიანად ჰხვრინავდა. ეს კიდევ არაფერი. კამეჩები წნელით გამოება ურემზე. საცოდავი პირუტყვები იქავ ურმის თვალთან ეყარნენ და ზარმაცად იცოხნებოდნენ უილაჯობით. გიორგი თურმე ზედ მიადგა მოჯამაგირეს, ტყიდამ მოდენილი. ფეხი წაჰკრა გასაღვიძებლად.

– ადე, ძმობილო, აუშვი ე კამეჩები, ცოდონი არიან.

– შენ რა ჩემი ფეხები გინდა, – დაუყვირა მოჯამაგირემ, როცა თვალები წამოაჭყიტა.

– თითონ რომ არ ვარგიხარ, შენი ფეხები ვისთვის რის მაქნისია. კამეჩები ცოდონი არიან-მეთქი.

– მერე შენ რა გეპრიანება?

– ის მეპრიანება, რომ არამია შენთვის ჯამაგირი. ვთქვათ, პატრონს ატყუებ და ატყუებ, ე პირუტყვი მაინც არ გენანება, ქრისტიანი არა ხარ, მაგათი ცოდო მაინც არ გწვავს!.. მიგიღძვია საცოდავები წნელით ურემზედ, შიმშილით ფერდები ჩასცვივნიათ.

– მაშ არა-და თავზედ დავისვამდი.

– დაისვამდი, მე ვიცი, მაგ ქეციან თავზედ ბევრს კი მოსძოვდნენ, აი!.. ვერა ჰხედავ, ტყეში ბალახი მუხლამდეა! ფასი ხომ არ გაგივა, გაგეშო, პირი მოეტყუებინათ.

– გამეშო, რა, მუქთი ფეხები მაქვს, მაგათ ძებნაში მერე სული ამომრთმევოდა?!

– აი, შე უნამუსო! აქაო-და არავინა მხედავსო, ნამუსის ქუდი აგიხდია. შენს ღმერთს რაღას ეუბნები! აქაო-და კამეჩები პირუტყვია, შებრალება არ უნდა, თუნდაც სხვის ამანათი, სხვის მონაბარი არ იყოს!

– მერე შენ რა? ვისი ტიკი-ტომარა ხარ. შენი მოჯამაგირე ხომ არა ვარ?

– აი გაქრეს, გიორგიმ შენისთანა კაცი ახლოც არ მიიკაროს!!. ჩემი რომ იყო, ცარიელ პურის ჭამის ფასადაც არ შეგინახავდი, ადე-მეთქი!..

– დამეხსენ... შენ შენს წერას ხომ არ აუტანიხარ, რატომ ეგრე არახუნებ. თუ ზურგი არა გქავა, შენ შენს გზაზედ წადი-მეთქი, თორემ..

– თორემ... მე ვიცი, ყურებზედ ხახვი არ დამაჭრა. ადე-მეთქი, ამ პირუტყვების ცოდვაში ნუ სდგები, თორემ ამ ჭიგოს ხომ ხედავ?..

გიორგიმ ამის თქმაზე ფეხი კიდევ წაჰკრა. მოჯამაგირე გულზედ მოვიდა. წამოუხტა ზეზე. გიორგის წინ აეტუზა, გულ-

მკერდი გადმოუგდო და მიუშვირა, თითქო ეუბნებაო: აბა, ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ კაცი ხარ და ქუდი გხურავსო.

გიორგის მოეწონა ამისთანა სითამამე მოჯამაგირისა, მაგრამ უკვირდა, – რის იმედითო.

– რა ვქნაო, – სთქვა გულში გიორგიმ. – თუ ეს მართლა ვაჟკაცია, საქმეს არ უღალატებდა, პირუტყვს შეიბრალებდა, და თუ ვაჟკაცი არ არის, რატომ ესე გაბედულად მომიშვირა გულ-მკერდი და თავმოწონებით ალვის ხესავით წინ გამემართაო.

– თუ კაცი ხარ და თითს დამაწებ!.. მაშინ ნახავ შენს სეირს, – უთხრა გულმკერდმოღერებულმა მოჯამაგირემ.

მუქარა იწყინა გიორგიმ. აღარც აცია, აღარც აცხელა, ეცა, გამოჰკრა სარმა და, თუმცა ვერ დასცა, წააბარბაცა კი და ცალი ხელი დააბჯენინა დედამიწაზედ. წამოუხტა ფიცხლავ მოჯამაგირე, დაეტაკა გიორგის და ჰკრა გულისპირში ხელი. გიორგი შეტოკდა და გადიზნიქა უკან.

– ბიჭოს!.. შენ აღარა ხუმრობ, – დაუძახა გიორგიმ, ჭიგო ხელიდამ გააგდო და შეძიძგილავდნენ.

გიორგიმ ბევრი აღარა აცალა: ჰკრა მოგვერდი და გააკრა დედამიწას, როგორც შოთი თონესა. წაქცეულს ხელიც კი არ დააკარა. მოჯამაგირემ დამარცხება ძალიან ითაკილა, – ისიც თავმოწონებული ბიჭი იყო, – წამოუხტა და ერთი ლაზათიანი სილა გაუშალა გიორგის უეცრად. როგორ თუ სილაო, მივარდა გიორგი, ამოიდო ქვეშ და იმდენი სცემა, რომ მოჯამაგირემ ხვეწნა დაუწყო.

– წადი, საცა შენი სთქვა, იქ ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო, – უთხრა გიორგიმ, – და ღმერთს კი არსად წაუხვალ ამ პირუტყვების ცოდვითაო.

თქმა არ უნდა, რომ გიორგისგან გაბოროტებულმა მოჯამაგირემ თავისი ცემა შესჩივლა ომარაშვილსა.

– რადა გცემაო? – ჰკითხა ომარაშვილმა.

– მაგდენს რად უდებ ურემსაო? ან საქონელი არ გეცოდება, ან შენი თავიო!.. ეგეც რომ არ იყოს, სხვასაც ხომ მაგდენს მოსთხოვენო. ვთქვათ, შენ შეგიძლიან, სხვა მაინც არ გეცოდებაო? მომდგა ამაზედ და ჭიგო ზედ დამალეწა. შენც დედა და მამა საფლავში არ დაგიყენა. აქაო-და, ჯამაგირს იძლევა, სულს ხომ არ ამოგართმევს ადამიანსო.

– ბიჭო-და, მაგდენი არა გედო-რა ურემზე!

– ეგა სთქვი-და!.. მეც ეგ არ მიკვირს, რა მოეჩვენა იმ ოჯახდაქცეულსა! მე კი ასე შემაქცია-და!..

ომარაშვილი გავლენიანი კაცი იყო სოფელში, ითაკილა, მოჯამაგირე როგორ გამილახა იმ გუშინდელმა ჭყლინტმაო. წაიყვანა მოჯამაგირე და სოფლის სასამართლოში აჩივლა. თითონაც, რასაკვირველია, წაექომაგა.

– მოწამე გყავსო? – ჰკითხეს მოჯამაგირეს.

– ოთარაანთ გიორგის რა მოწამე უნდა? ღმერთმანი, იტყუებს-და!.. – სთქვა ვიღაცამა.

– მაგას კი მართალს ამბობ, – სთქვა ერთმა მოსამართლემ, – ის ტყუილს არ იტყვის, პირიანი ბიჭია.

კვირა დღეს დაიბარეს გიორგი.

– მართლა სცემე? – ჰკითხეს.

– მართლა ვცემე.

– რადაო?

გიორგიმ ყველაფერი უამბო.

– ბიჭო-და, შენ რა დავა გქონდა?

– ის დავა მქონდა, რომ მაგისთანა ნამუსახდილ კაცისაგან ქვეყანაა დაღუპული. კაცი კაცს ველარა ჰნდობია. მაგის გამოისობით კარგს მოჯამაგირესაც სახელი აქვს გატეხილი. თითონ ხომ ეძინა და ეძინა, კამეჩებიც მიეღრძო ურემზედ. იმათ საცოდაობამ დამწვა, რომ სხვა არა იყოს რა.

თქვენი მტერი იყოს, მოსამართლეებს დღე დაადგათ. ომარაშვილის გულის მოგებაც უნდოდათ, ერთს სადილს მაინც გვაჭმევსო; ოთარაანთ ქვრივისაც ეშინოდათ, გუბერნატორამდის ივლისო. თუნდ ეგეც არ ყოფილიყო, გული გიორგისაკენ უწევდათ, თუმცა ცემა კი ცემად ედგათ თვალწინ. არ იცოდნენ, გულს აჰყოლოდნენ, ოთარაანთ ქვრივის შიშსა, თუ ომარაშვილის ხათრსა.

ომარაშვილმა დაიხსნა გაჭირვებისაგან სამართალი.

– მე ჩემ თავად მიპატიებია გიორგისათ-

ვის, – სთქვა ამან, – და სხვამ თავისი იცის. ყოჩაღ, ბიჭო, მე და ჩემმა ღმერთმა, ყოჩაღ!..

– უპატიებია!.. – წამოიძახა გაჯავრებულმა მოჯამაგირემ. – აი, გამიჯდა გვერდებში!.. ზოგი ამ ჩემს დალურჯებულს ბეჭებსაცა ჰკითხე.

– რა ვკითხო, შე ოხერ-ტიალო! მე თუ მკითხავ, ეგ ცოტაც არის შენთვის-და!.. – უპასუხა ოთარაშვილმა.

– მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს, – სთქვეს მოსამართლეებმა და დაითხოვეს შინ გამართლებული გიორგი.

– ბიჭო-და, ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი, – ეუბნებოდა გიორგიზედ ერთი იქ დამსწრეთაგანი მეორეს, როცა სასამართლოდამ ხალხი დაიშალა და შინისაკენ წავიდა-წამოვიდა, – რომ არ გაგონილა!..

– მე და ჩემმა ღმერთმა, მაგის გულში ან ღვთის მადლი ტრიალებს, ან ერთი რაღაც უბედურებაა მაგის თავს, – დაჰკრა კვერი მეორემ.

– იმდღევანდელი არ იყოს: ბეჟანაშვილის მოჯამაგირეს ურმით საფქვავი მოჰქონდა შინ. იმ ოჯახდაქცეულს თავსუბუქად დაედო. კამეჩები თურმე ყელში ჰხრიალებდნენ, ისე წასჭეროდათ აპეურები. ოთარაანთ გიორგი გზად მოდენილა თურმე. დაუნახავს ეს ამბავი. ამხტარა ურემზედა, საცალოები წაუწევ-წამოუწევია, გაუმართავს რიგზე ურემი, ერთი ლაზათიანი, შენი მოწონებული ჩაუთხლეშია თავში და უთქვამს:

– შე ადრე და მალე დასაბრმავებელო, ვერა ჰხედავდი, კამეჩები ირჩობოდნენ! რა პირით მიდიოდი პატრონთანაო.

– ეხლა ჩვენში რომ ვიკითხოთ: რა დავა ჰქონდათ?

– ეგა სთქვი და გაათავე: მეც ეგ არ მიკვირს! აკი ვამბობ, ეგ კაცი ან გიჟია, ან ერთი რამ ღვთის ნიშანია მაგის თავზედ-მეთქი.

– დედაც ხომ მაგისთანა გადარეული და დამთხვეული ჰყავს. მამაც კი – ღვთის წინაშე – ცოტა არ იყოს, მოუსვენარი კაცი იყო. ეგეები იმანაც იცოდა.

– აი, ამაზედ არის ნათქვამი: დედა ჰნახე, მამა ჰნახე, შვილი ისე გამოჰნახეო. მაგათში ან დიდი ცოდო ტრიალებს, ან დიდი მადლი. აქ სხვა ნიშანწყალია.

გიორგი რომ შინ მივიდა, ყველაფერი უამბო დედას. ოთარაანთ ქვრივს გაუკვირდა:

– დახე, მაგ ვირთაგვებსაც ზოგჯერ სწორე სამართალი სცოდნიათო!..

ჩვენ და ტექსტი

1. დაახასიათეთ ოთარაანთ ქვრივის გარდაცვლილი ქმარი იმის მიხედვით, რასაც ქვრივი მასზე ფიქრობს. როგორ გამოხატავს ოთარაანთ ქვრივი გარდაცვლილი მეუღლისადმი თავის დამოკიდებულებას; როგორია ეს დამოკიდებულება?
2. თქვენი აზრით, ოთარაანთ ქვრივის ქმრის ანდერძისეული რომელი რჩევა-დარიგებაა ყველაზე განზოგადებული და პრინციპული ხასიათის მქონე და ოთარაანთ ქვრივის მიერ პრაქტიკულად ხორცშესხმული?
3. როგორ მეტყველებს გიორგის ხასიათზე, შინაგან სამყაროზე მისი პორტრეტი. უპირველესად, რაში ვლინდება გიორგის ღირსების გრძნობა და გამორჩეულობა, რისთვისაც მას სოფელში აფასებენ?
4. რა თვისებებს ავლენს გიორგი ბავშვობაში; როგორ უღვივებს და უძლიერებს ამ თვისებებს მას ოთარაანთ ქვრივი;
5. დაახასიათეთ გიორგი იმის მიხედვით, როგორ წარმოჩნდება იგი ომარაშვილების მოჯამაგირესთან კონფლიქტისას – იმსჯელეთ გიორგის ზნეობრივ ღირებულებებზე, პრინციპებზე, შინაგან ბუნებაზე;
6. როგორ აფასებს სოფელი გიორგის პიროვნულ თავისებურებებს; თქვენი აზრით, რამდენად სწორია ან არასწორი ეს შეფასება.

VII

ჯავრი დედისა

გიორგი ოცდაერთის წლის ვაჟკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა. ოთარაანთ ქვრივი ამაზედ ძალიან ჰნაღვლობდა და სწუხდა.

– რა ვუყო?.. – ჰფიქრობდა ხოლმე, – ცოლქმრობის საქმე ცაში ჰრიგდებაო. სჩანს, ღმერთს ჯერ არ მოუწადინებია. დრო კი უწერს: მაგ ხნის ბიჭებს შვილებიცა ჰყავთ. ოი, ერთი მაგის შვილი კი გამიგორა კალთაში და თუნდა მაშინვე გულხელი დამიკრიბონ და ცოცხალი დამმარხონ.

ეს ხომ აწუხებდა და აწუხებდა, ამ მწუხარებას ერთი სხვა ნაღველიც ზედ დაემატა. ოთარაანთ ქვრივი ამ ბოლოს ხანებში ჰხედავდა, რომ შვილს გუნება ეცვალა, უფრო დაიღვრიმა, უფრო გული დაიხურა, უფრო ჩაიკეტა, უფრო დანაღვლიანდა. ხომ არც წინად იყო მხიარულის გუნებისა, მაგრამ ეხლა მეტის მეტია, თითქო რაღაც წაჰკიდებია და თქმა ეკრძალებაო.

მოვიდოდა შინ მუშაობიდამ კარგა ბინდისას და, თუ მთვარიანი ღამე იყო, წამოწვებოდა ეზოში მწვანეზედ, თავქვეშ ორსავე ხელს ამოიდებდა და გარინდებული იდო ხოლმე მთელს საათობით გულაღმა. შეჰყურებდა ცას და ღრუბლებს, თითქო ვარსკვლავებსა სთვლისო, ან ღრუბლებს თვალს ადევნებს თავის გასართობლადაო. რა მოერია, რამ სძლია, რამ დაუღონა შვილი, – დედას ვერ გაეგო.

– შვილო, შინ შემოდი, ნამუშევარი ხარ, დედამიწამ არ დაგცადოს, – უთხრა ერთხელ დედამა.

– არა მიშავს რა, დედი! ცოტა ხანს კიდევ მამყოფე ასე, დედაშვილობას.

– ძილის დროა, შვილო! ღამის ალიონი ამოვიდეს...

– ეჰ, დედი!.. ზოგჯერ ძილიც ძილი არ არის...

– რატომ, შვილო? – იკითხა დედამ და გასწია შვილისაკენ. თავს რომ წაადგა, უთხრა:

– გიორგი!.. შვილო!.. არ მეტყვი, ბიჭო, რა წაგეკიდა? დედა ვარ შენი, დედა... ნაღველი გაქვს რაღაცა და არ მეუბნები.

გიორგი წამოჯდა.

– არა, დედიჯან! ასე მიყვარს მთვარიან ღამეში გდება.

– ეს ორი წელიწადია, რაც ეგრე დაიჩემე. რატომ ადრე არ იცოდი?

– განა კაცი სულ ერთს გუნებაზეა! მაშინ ისე ვიყავ, ეხლა ასე ვარ. დრო იყო – ძუძუსა ვწოვდი, დრო მოვიდა – გამომცხვარ პურსა ვჭამ. ამით მითამ რაო?

– ისაო, შვილო, რომ ზოგი ჩემს გულშიაც ჩამოიხედე.

– ჩამიხედნია, დედი, ჩამიხედნია და ვიცი, რომ შიგ მარტო მე ვზივარ...

– მაგას არ გეუბნები... იმდღევანდელი არ იყოს!..

– რა იმდღევანდელი?

– აი, საბარავად რომ იყავი ვენახში. მე ჯერი ჩამოგიტანე. შენ ვაზებში გიპოვე: მხარი დაგებჯინა ბარის ტარზედ, ბარის ტარს დაჰყურებდი და გაშტერებული დასცქეროდი დედამიწას ელდანაცემსავით. რა ამბავი იყო? მაშინ არა გკითხე რა, აქ კი დავიჭდიე, აქ.

ოთარაანთ ქვრივმა გულისფიცარზედ დაიდო ხელი.

– წაშალე ნაჭდევი, ტყუილად გარჯილხარ. რა ამბავი იქნებოდა?! დავიღალე და ხელფეხს ქარი ამოვაღებინე, – უთხრა შვილმა.

– შენი ფიქრი სადა ჰქროდა, რომ ვერც კი გამიგე, როგორ მოგივედი, ისე სმენადახშული და გონებაგაქცეული იდექი. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: ჰმუშაობ, ჰმუშაობ და უცებ გაირინდები ხოლმე. განა ერთხელ და ორჯელ მინახვიხარ: სადილ-ვახშამზე ლუკმა პირში ჩაგიდვია, ყბაც არ მოგიქნევია, განაბულხარ, თითქო სადილიდამ წაგიღო რამემ, კლდის პირას დაგაყენა და ხელის კვრას გიპირებსო.

– ეგეც დრომ იცის, დედი!

– სხვამ არაფერმა?

– იქნება სხვამაც...

– ჯადომაც იცის, შვილო, ჯადომაც...

გიორგის გულში მოხვდა ეს უკანასკნელი სიტყვა. აიტკიცა, ეჯავრა. კარგადაც ვერ მიეგნო, რად უხსენა დედამ ჯადო. გუმანმა კი წაიღო, გუმანმა აიყოლია მისი გონება.

– ჯადო რა მოსატანი იყო? –ჰფიქრობდა გიორგი თავისთავად, – ვაი, თუ...

ვერ დაასრულა სათქმელი. სიტყვა შეეკრა, თითქო ელდა ეცაო, რომ გულიდამ კლიტე აჰგლიჯეს, კარი გაუღეს და შიგ ჩაჰხედეს.

გაიქნია უმადურად თავი, წამოდგა ფეხზედ, დედას ტკბილად მოჰკიდა მკლავზედ ხელი და უთხრა:

– წავიდეთ, ეხლა კი ძილის დროა. „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“, შენგან გამიგონია, დედი!

– „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგანაო“, მაშ, ესეც გაიგონე, ჩემო კარგო! – უთხრა დედამ.

– რა ვქნა, – ჰფიქრობდა გულში გიორგი, – რატომ ეგრე ახლო მიმივიდა? ცოდნით მოსდის, თუ ალალბედობით? თვითონ ჰტრიალებს ახლოზედ, თუ ჩემს გუმანს მოაქვს იმისი სიტყვა შორიდამ ახლოს. გაცლაო!.. თქმა ადვილია!..

იმ ღამეს ოთარაანთ ქვრივს დილამდე ძილი არ მიჰკარებია. იმ დღის ნალაპარაკევმა ათასნაირს ფიქრის მორევში ატრიალა ნაფოტსავით იმისი ჭკუა და გონება.

– პაჭიჭს კი, მგონი, წვერი შემოერღვა, – სთქვა თავისთავად ბოლოს, – მგონი, მივკვლიე: დროც ერჩის და ხანიც უწერს. რატომღა არ მეუბნება, ვინ არის?

ეხლა ამას სწუხდა, ამას მტკივნეულობდა დედა.

– არ უჭირს და ამიტომ, – ინუგეშა თავი ოთარაანთ ქვრივმა, – როცა გაუჭირდება, მეტყვის.

მოხუჭა თვალი ქვრივმა. არ დაეძინა. გადაბრუნდა ხან იქით, ხან აქეთ, ძილი არ მიეკარა.

ღამე კი არ უცდიდა, თავის გზას ეშურებოდა.

– მართლა კი მივუხვდი?.. მართლა კი მივკვლიე?.. – ეჭვობდა გიორგის დედა, – იქნება გუმანმა დამიბრიყვა და მატყუებს. რა ვიცი?.. ადამიანის გული თვალუწვდენი ორმოა. ვინ იცის?.. იქნება მე ერთი მგონია, იქ კი სულ სხვა ამბავია... სხვა რა უნდა იყოს, რა?.. – ჰკითხავდა თავისთავს და გული უკვნესოდა, რომ პასუხი ვერ ეპოვნა.

ღამე კი მიდიოდა და მიდიოდა. დიდვახშმობას გადასცილდა. ხმაურობა მისწყდა, მარტო კუთხეში, პურის კიდობანთან, თაგვი აფხაკუნებდა.

– სხვა რა უნდა იყოს, რა!.. – იძახდა ძილდამფრთხალი ოთარაანთ ქვრივი. – თუ გამტეხავს, ამის ნაღველი გამტეხავს... არ გამენდო... არ მეუბნება ჩემი გიორგი და არა... თუ გული შევარდნია ვისზედმე, რად უნდა მიმალავდეს! რა დასამალავია ჩემთან!.. და თუ სხვა რამ ასტეხია... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ...

გადაიწერა სამჯერ პირჯვარი, თითქო ლანდი რამ მოელანდა და იმას იგერიებსო. გვიანი მთვარე კი მთის წვერზედ შედგა და პირიქით გადაქანებას აპირებს. აგერ გადაექანა კიდეც და ჩავიდა. ღამე მიიწურა. უფრო დაბნელდა, ქვეყანა უფრო გაჩუმდა, უფრო გამუნჯდა, ხოლო თაგვი ისევ ცოდვილობდა კიდობანთან.

– ამ ორის წლის წინათ თოფ-იარაღი აისხა ზედ, – ვენაცვალე იმის სიყრმეს! უხდებოდა მამისეული, – წავიდა და სამი დღე შინ აღარ დაბრუნებულა. მე, სულელს, მაშინ ეს გუნებაშიაც არ გამიტარებია. ეხლა კი მაღონებს და გულთა მკბენს... სანადიროდ ვიყავიო, მითხრა. თუ სანადიროდ იყო, ხელცარიელი რად მოვიდა? მერე ყვირილობაც იყო... თავის დღეში ხელცარიელი არ მინახავს ნადირობიდამ დაბრუნებული. იმ ცხონებულს არ ჩამოუვარდება. თუ მეტი არა, მამაზედ ნაკლები არც ეს არის... მას აქეთ დაიგდო ნაღველმა. მე კი ესე დამახსოვდა-და!.. მას აქეთ დააწვა რაღაც ლოდი გულზედ და ველარ აუხსნია... ხომ კაცი... ღმერთო, ნუ მაფიქრებინებ, ღმერთო ცამრგვალის გამჩენო! რა ვიცი? ამ ტიალ წუთისოფელში ფათერაკი ბევრია... ღმერთო... მაშორე... ფუ, ეშმაკსა და იმის თავსა და ტანსა!..

შეაფურთხა ეშმაკს და გადაიწერა კიდევ სამჯერ პირჯვარი შეშინებულმა დედამ. ფიქრი კი მაინც ერჩოდა, ეჭიდებოდა.

ამოვიდა ალიონიც. ღამემ დღეს კარი დაურაკუნა.

რაკი ამისთანა ფიქრმა ერთხელ გული ამოუფრთხო ბუდიდამ, უძილობისაგან გალახულმა, ფიქრის ჭიდილში მოქანცულმა ოთარაანთ ქვრივმა თავი ველარ დაუჭირა გულს, ველარ დაიწყნარა, ველარ დაიმორჩილა.

– ღმერთო, მიხსენ! – იძახდა ღონემიხდილსავით და ერთს ავს ფიქრს რომ აიცილებდა, ახლა უფრო უარესს წააწყდებოდა. ფიქრი ლანდად გადაექცა.

ღამე გამოეთხოვა ქვეყანას. ერთი კალთა ცისა აიხადა. გარიჟრაჟდა, მტრედისფერმა გადაჰკრა ცის გუმბათსა. დილამ კარი გაუღო დღეს და გამოახედა.

ოთარაანთ ქვრივიც მოჰღალა ფიქრმა... თვლემა მოერია, ღვიძილი ძილად ექცა და ცხადი – სიზმრად. სჩანს, ამ ფიქრების ზარი ძილშიაც ჩაჰყვა, რომ მძინარემ რამდენჯერმე წამოიძახა:

– ღმერთო, მიხსენ! ღმერთო, მიხსენ!

VIII

„გასტეხს ქვასაცა მაგარსა...“

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო. ოთარაანთ ქვრივი პირდაბანილი და ტანთჩაცმულიც იყო, რომ მზემ მაშინ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდამ და გადმოხედა ქვეყანას თავის ერთადერთის ოქროსავით ბრჭყვიალა თვალითა. მთების ნამს მოახვედრა მზემ თავისი სხივი თუ არა, მთამ ორთქლი აუშვა, თითქო საკმელს უკმევს ამ უზარმაზარს ცეცხლის ბურთსაო.

– რა დამემართა წუხელის? – ჰკვირობდა ოთარაანთ ქვრივი. – რამ წამიღო? რამ დამძლია და ამითრია? ჭირს ნუ გაუტყდებიო, მითხრა ცხონებულმა. მოდი და ნუ გაუტყდები!.. დამალული ჭირი ძნელია. პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი... ვის ვეჭიდო და რას, რაც არ ვიცი, გული ამან შემიშინა... ბნელმა თავის ნაბადში გაახვია ჩემის გიორგის ამბავი. თუ სიყვარულია, ღმერთმა ბედი მისცეს და თუ სხვა რამ არის?.. ცოდო... სისხლი... ჩაიქოლე თავი, ოთარაანთ ქვრივო, ჩაიქოლე... გულზედ ლოდსავით დააწვება და თავის დღეში აღარ აეხსნება. აღარ აეხსნება... აღარ, აღარ!.. კიდევ აჰყვა წუხანდელს ფიქრსა. სულ ის სამის დღით წასვლა შვილისა აგონდებოდა და აფრთხობდა.

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდამ დაქანებულს: რაც დიდ მანძილზედ მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ოთარაანთ ქვრივსაც ასე მოუვიდა. დაუგუნდავდა ფიქრი, შვილის სიყვარულმა ხელი ჰკრა და დააგორა იმ მაღალ მთიდამ, საცა მარტო ჭეშმარიტი დედაშვილური სიყვარული ჰსადგურობს. რა გაუძლებდა!..

ყოველგვარი სიყვარული, – დედაშვილურია, თუ სხვა, – მაინც ფრთხილია და მშიშარა: ჭირი უფრო ელანდება, ვიდრე ლხინი, როცა საყვარელის ტკივილი გამოცანაა, დამალულია, მიუგნებელია.

დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა, როცა – აქაოდა, შვილი არ გამოვაღვიძოო – ბნელ სახლიდამ ფეხაკრებით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა, რომ თვალი შეასწრო გიორგის, კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს. გიორგის თავისებურად ამოედო თავქვეშ ორივ ხელები, პირაღმა იწვა ფეხებგაშოტვილი და კაკლის მაღალ შტოებს შესცქეროდა. თეთრი და ფაფუკი ღრუბელი ნაჭერ-ნაჭერ აქა-იქ მიდიოდ-მოდიოდა წყნარად და აუჩქარებლად გადაწმენდილ ცაზედ, თითქო ტოლ-ამხანაგებს ეძებენო ხელი-ხელს გადასაბმელად. ციაგმკრთალს ლაჟვარდს დილის ცისას საუცხოვოდ გადაეშალა თავისი კალთები ამ სუბუქად მცურავ პაწია სტუმრებისათვის, თითქო დედა იწვევს ახლად გაღვიძებულს ბალღებს კალთაში გასაგორებლადაო. სხვა დროს ამისთანა ცა, ამისთანა დილა ოთარაანთ ქვრივსაც კი გაუხსნიდა მჭახე შუბლსა. ეხლა კი დარდი და ნაღველი არ აცლიდა.

– შვილო, ამდგარხარ კიდეც!.. მე კი ისევ ქვეშაგებში მეგულებოდი, ვერც კი დავხედე შენს ქვეშაგებს, არ გავაღვიძო-მეთქი.

– ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩემი ვქენ, ძილმა თავისი, არ იქნა, არ დამეძინა. გამიხარდა, რომ გათენდა და გარეთ გამოვედი.

დედა მივიდა, თავთ დაუჯდა შვილს და შუბლზე ხელი გადაუსვა.

გიორგი, შენ შენსას მაინც არ იშლი...

– რას მიჩივი, დედი?

– რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი... წუხელის შენმა ჯავრმა არ დამაძინა.

– მართლა-და, ძილში ჰლაპარაკობდი, – შორს გადუგდო სიტყვა გიორგიმ, – სულ ამას იძახოდი: ღმერთო, მიხსენ, ღმერთო, მიხსენო!

– მე, შვილო?

– ჰო-და შენ.

– მე ძილში ლაპარაკი არ ვიცი.

– ეგრე კი იყო-და!

– მე ცხადლივაც მეჯავრება ტყუილუბრალო ღიჭინი.

– ღვთის ხვეწნა ტყუილუბრალოა?

– მა რა არის, როცა უდრო-უდროა. განა ჩემის მეტი დარდი არა აქვს ღმერთსა?! ვენაცვალე იმის მადლსა...

– დედი, რას ამბობ?

– იმას, ჩემო კარგო, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა, უბძანა: წადი, შენს თავს შენვე მოუარეო; შენ იცი და შენმა წუთისოფელმაო; რაც წაგეკიდოს, შენი ბრალი იქნება, მე ნურას დამაბრალებო; მე ხელი დამიბანიაო; აქ ჩემთან რომ ამოხვალ, მაშინ სხვა არისო. ადუღებულ კუპრის ზღვაზედ ბეწვის ხიდს გაგიდებ, თუ კარგი ხარ, – გაივლიო; მადლი მხრებში შეგიჯდება და გაგატარებსო; კაი კაცს არ ჩაუწყდებაო.

– მადლი სუბუქია და ცოდო მძიმე განა, დედი?

გიორგის უხაროდა, რომ დედა ფიქრით შორს წაუვიდა და ჰცდილობდა უკან აღარ დაბრუნებულიყო, კიდევ მე არ ჩამაცივდესო. ის კი არ იცოდა, რომ ცოდოს ხსენებაზედ დედას ელდა ეცა. ოთარაანთ ქვრივმა ყურები აცქვიტა, ცოდო რად ახსენაო. ჩვეულმა და ჭირვეულმა ფიქრმა ხელახლად დაჰქროლა და მოუშუშა გული.

– მა რა არის, შვილო!.. – უპასუხა გულშეხუთულმა დედამ. – ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულსავით სუბუქია. შენთან ცოდოს რა ხელი აქვს!.. – უთხრა დედამ და ჩაუკვირდა შვილს, აცა, რას იტყვისო. დამნაშავე სამაკვდინო განაჩენს ისე გულის ფანცქალით

არ მოელოდინება, როგორც ამჟამად დედა შვილისაგან პასუხს ელოდა.

– უცოდველი ვინ არის? ისეთისაგან კი ღმერთმა მიხსნა, – უპასუხა შვილმა. დედას გულზედ მოეშვა.

– მა რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო. შენი ჯავრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს და მჭამს. შემიბრალე და მაცოცხლე!..

გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქო ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტეხელმა დედამ თავი შეაბრალა. ამას ოთარაანთ ქვრივი ყოველთვის ჰთაკილობდა. ეხლა კი გულმა სძლია ხასიათის გაუტეხლობას. დედაშვილური სიყვარული მძლეთამძლეა.

შვილმა შეჰხედა დედას. ოთარაანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში... ოთარაანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზედ შვილს ცრემლი არ ენახა – ან იქნება ენახა და არ ახსოვდა; გიორგის ეოცა, გაუკვირდა. რკინის გადნობას ხელში ჭერისაგან დაიჯერებდა და დედის თვალში ცრემლს არა, სხვას რომ ეთქვა.

შეწუხდა გიორგი. ჩაუფიქრდა თავისთავს – დროა თქმისა, თუ არაო.

– დედი, – წამოძახა ბოლოს შვილმა, – გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწადიან. რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია, ვეჭიდები...

– რა არის, შვილო, მაგისთანა? – უპასუხა დედამა და მსწრაფლ უკუექცა თვალთაგან ცრემლი. ოთარაანთ ქვრივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა.

– მოჯამაგირედ მინდა დავდგე. გული შინ აღარ მიდგება.

– ეგ რა სთქვი, შვილო, მამისშენის შვილი და ბოგანა-მოჯამაგირეობა? საიდამ სადაო? ხომ საფლავში გადატრიალდა მამაშენი სირცხვილისაგან...

– ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ გაწყენდი... მეც შემიბრალე, ადამიანი ვარ.

– მერე რა წაგეკიდა სამაგისოდ?

შვილმა თავი ჩაღუნა და პასუხი არ გასცა. დედას ელვასავით გაურბინა რაღაცა ფიქრმა.

– მერე ვისთან აპირებ დგომას? – ჰკითხა ხელახლად დედამ.

– ერთად ერთი სახლია. ან იქ, ან არსად არ.

– ვისი სახლია ისეთი? გლეხისა, თუ თავადისა?

– თავადისა.

– აქ, ჩვენში?

– ჩვენში, არჩილს უნდა დავუდგე.

ოთარაანთ ქვრივმა ეხლა კი თითზედ იკბინა. თითქო რაღაც ენიშნაო, რაღაცას მიაგნოვო. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა-რა. აღარც შვილი გამოეკიდა, თითქო დიდმა საგონებელმა ამისთვის აღარ მოაცალაო.

IX
უცნაური ნასკვი

არჩილი ახლად გადმოსული იყო რუსეთიდამ. სწავლა იქ შეესრულებინა. ველარც დედას მოუსწრო, ველარც მამას, ორივენი დაჰხოცოდნენ. მარტო ერთი გასათხოვარი და-ღა ჰყვანდა და და-ძმანი ერთად სცხოვრობდნენ. გვარიანი სახლ-კარი და მამულები დარჩათ მამისაგან და იმავ სოფელში ჰქონდათ ბინა, საცა ოთარაანთ ქვრივი იყო.

სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ამ და-ძმასა. კაი ხალხიაო, ყველა ამას იძახდა, ვისაც კი დაეკითხებოდით. ოთარაანთ ქვრივსაც ზოგიერთი კარგი ახსოვდა ამ და-ძმისაგან. თითონ არჩილს და იმის დასაც ბევრი რამ ჰქონდათ შეტყობილი ოთარაანთ ქვრივზედ და ბევრს იცინებდნენ ხოლმე მოწონების სიცილითა, როცა კი უცნაურის ქცევის და სიტყვა-პასუხის ამბავს ამ დედაკაცისას გაიგონებდნენ.

– პატივსაცემი დედაკაციაო ეს ოთარაანთ ქვრივი, – ხშირად უთქვამთ დასაცა და ძმასაცა და ერთი შემთხვევაც არა ჰქონიათ, რომ სიყვარულით და თავაზით არ მოეკითხნათ, როცა კი ოთარაანთ ქვრივს შეჰხვედრიან.

არ ვიცით, ოთარაანთ ქვრივს საამურად ჰქონდა ეს თავაზიანი მოკითხვა, თუ არა. ეს კი ვიცით, რომ, როცა ამათზედ კარგს ვინმე იტყოდა, ოთარაანთ ქვრივი დაატანდა:

– ჭკუა აქვთ და იმიტომაო.

გიორგის ამბებიც არა ერთხელ მისვლიათ და-ძმასა და არა-ერთხელ გაჰკვირვებიათ მისი ზნე და ხასიათი. ვერ გამოეც-

ნოთ, – გლეხკაცობაში საიდამ და როგორ უნდა დაწნულიყო ამისთანა ზნე, ამისთანა ხასიათი.

– „ბევრი რამ არის, ჩემო ჰორაციო, ამ ქვეყნიერობაში იმისთანა საიდუმლო, რომელიც სიზმრადაც არ მოსჩვენებიათ ჩვენს ფილოსოფოსებსაო“, – ეტყოდა ხოლმე არჩილი თავის დას ჰამლეტის სიტყვებს, როცა გიორგიზედ ჩამოუვარდებოდათ ლაპარაკი.

გამოუცვნელს გამოცანას ამით მოუღებდნენ ხოლმე ბოლოს.

– გიორგი გეახლათ, – მოახსენა ერთს საღამოს მოსამსახურემ არჩილსა. არჩილი მაშინ ტახტზედ წამოწოლილი იყო და ყურს უგდებდა დას, რომელიც რაღაც წიგნს ხმამაღლა უკითხავდა.

– ვინ გიორგი? – ჰკითხა არჩილმა.

– ოთარაანთ ქვრივის შვილი.

– მობრძანდეს.

შემოვიდა გიორგი და, ქუდმოხდილი გაჩერდა რა კარებთან, სთქვა:

– საღამო მშვიდობისა.

– აი, გაგიმარჯოს, ჩემო გიორგი! – უთხრა მხიარულად არჩილმა. – რასა იქ? როგორა ხარ? როგორ არის შენი პატიოსანი დედა?

– რა გვიჭირს? ღვთის მადლით კარგადა ვართ.

– ამბავი, ხაბარი... რისთვის გარჯილხარ?

– ნუ მიოცებთ კი და თქვენთან ყოფნა მწადიან.

– მოდი-და ნუ იოცებ. რისთვის? როგორ?

– როგორც გნებავდეთ: გინდათ მოჯამაგირედ გიახლებით, გნებავთ, მუქთად გემსახურებით. ჩემთვის არაფერი ბედენაა.

– რას ამბობ, კაცო! – ჰკითხა მართლა გაოცებულმა არჩილმა. – შენის ოჯახის პატრონი და მოჯამაგირედ დგომა, – ვის გაუგონია? ან შენ ვერ გაგიგია, რა გინდა, ან მე არ მესმის, რას ამბობ.

– მე კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, თქვენ ოღონდ ეგ წყალობა მიყავით. გული აღარ მიდგება შინ, ლამის მარტოობამ დამლიოს.

– მერე დედაშენი? – იკითხა არჩილის დამა და თავისი მარილიანი თვალები მიაშუქა გიორგისა.

– დედაჩემი... დედაჩემსა სწყინს, ქალბატონო, მაგრამ ვეღარ გაუტეხივარ.

– აბა, ჩემო გიორგი, ჩვენ დედაშენს ვერ ვაწყენინებთ. იმისი დიდი თავაზა და ხათრი გვაქვს, – უთხრა არჩილმა.

– თქვენ ეს მიბრძანეთ, მამყოფებთ თქვენთან, თუ არა და დედიჩემისა მე ვიცი, არ ამიხირდება... დედისერთა ვარ...

– მამყოფებთო!.. ორისავე ხელით, სიხარულით. შენისთანას სად ვიშოვი. განა არ გიცნობ... ეს დედაშენი მაღონებს.

– მადლობელი ვარ. მაშ მშვიდობით ბძანდებოდეთ. ამ დღეებში გეახლებით.

– ჯამაგირი?

– გინდა იყოს, გინდა არა, მოგახსენეთ, დიდი ბედენა არ არის.

– ეგ არ იქნება, მაგისი ყაბული არა ვარ. სთქვი, – რა მოგცე?

– რაც შენი ნებაა.

– ეგ არ იქნება-მეთქი, სთქვი.

– რაცა ვღირდე, ის მომეცი.

– ჩემს ნამუსზედ აგდებ, რაღა?

– რა ცუდი თამასუქი ეგ არის!

– ჩემი ნამუსი რომ შენს კაიკაცობას არ გასწვდეს?!

– არა უშავს-რა!.. რაც დამაკლოთ, ალალი იყოს თქვენზედ, გულს არ დამაკლდება. მშვიდობით ბძანდებოდეთ.

ორივეს დაუკრა გიორგიმ თავი და მაშინვე გავიდა. დამა და ძმამ ერთმანეთს შეჰხედეს.

– ეს რა ამბავია? – ჰკითხა დას არჩილმა.

– არ ვიცი, შენ ნუ მოუკვდე ჩემს თავს! მიკვირს და მეოცება.

– უთუოდ ფული რამ დასჭირვებიათ.

– რომ არა ჰთხოულობს!..

– ეგეც კი. ჩვენ კი ბედი გვეწვია, რომ მაგისთანა კაცი ვიშოვეთ, და ოთარაანთ ქვრივს როგორღა გადვურჩებით, არ ვიცი.

– იმის უნებურად ნუ ვიქთ მაგასა: პატივსაცემი დედაკაცია, ნუ ვაწყენინებთ.

– შენც არ მომიკვდე, დედის უნებურად მე გიორგი სახლშიაც არ შემოვუშვა, თუმცა კი ძვირფასი კაცია ჩვენთვის.

დამა და ძმამა ცალ-ცალკეც ბევრი იფიქრეს, მაგრამ ამ უცნაურს ნასკვს წვერიც ვერ უპოვეს გამოსახსნელად.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ გამოიცვლება გიორგი და რა განცდებს, ფიქრებს აღუძრავს ოთარაანთ ქვრივს შვილის უცნაური ქცევა – რა აწუხებს ოთარაანთ ქვრივს ყველაზე მეტად, როგორ ჩანს აქ მისი ზნეობრივი სახე, მისი თვალსაზრისი ადამიანის ზნეობრივ ცხოვრებაზე?
2. როგორია ოთარაანთ ქვრივის აზრი ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებაზე და რა გავლენას ახდენს ეს აზრი მისი ცხოვრების წესზე?
3. როგორ ცდილობს დედა, ჩასწვდეს შვილის შინაგანი ცვლილების მიზეზს? მოძებნეთ ეპიზოდები, რომლებიც ცხადყოფს, რომ დედას არაფერი გამოჰპარვია და შვილის შინაგანი ცვლილების ყველა მომენტი ახსოვს?
4. როგორ გგონიათ, რატომ მივიდა დედა შვილის საწუხართან ასე ახლოს, რა როლი ეკისრება ამაში დედურ ინტუიციას?
5. მოკლედ დაახასიათეთ არჩილი და კესო; არჩილი მეორე „თერგდალეულია“, რომელიც იმ პერიოდის მხატვრულ ლიტერატურაშია აღწერილი; ამჯერად როგორ იხატება სასწავლებლად უცხოეთში ნამყოფი პერსონაჟი?
6. როგორ გგონიათ, რას გულისხმობს არჩილისა და კესოს შესახებ ოთარაანთ ქვრივის მიერ ნათქვამი სიტყვები: „ჭკუა აქვთ და იმიტომაო“?

ლიტერატურული ძიებანი

ა) დამოუკიდებელი კვლევა „თერგდალეულებსა“ და „თერგდალეულობაზე“

- გაიხსენეთ, პირველად სად, რომელ ნაწარმოებში შეგხვდათ ეს ტერმინი და რა შინაარსით?
- თქვენი აზრით, რის გამოხატვა სურდა გიორგი ერისთავს, როცა თავის თერგდალეულ პერსონაჟს ხატავდა? ამით საკუთარ ხედვას გადმოგვცემდა, თუ ხალხში გავრცელებულ შეხედულებებს?
- როგორაა იგი მოხსენიებული ილიას საპროგრამო ნაწარმოებ „მგზავრის წერილებში“ და ქართველთა როგორი დამოკიდებულება ჩანს „თერგდალეულთა“ მიმართ? თავად ილია რა აზრისაა ამ საკითხზე? შესაბამისად, როგორ პერსონაჟად წარმოაჩენს იგი უცხოეთში განათლებამიღებულ არჩილს?

თავი მოუყარეთ დამოუკიდებელი კვლევის შედეგებს და წარმოადგინეთ 2-3-წუთიანი პრეზენტაცია „თერგდალეულები“ მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში“.

სხვა მკვლევართა შეხედულებანი

საბოლოო აზრის ჩამოყალიბებამდე საინტერესოა სხვათა მოსაზრებების გათვალისწინება. გთავაზობთ, დაესწროთ საუბარს „თერგდალეულობა და ევროპეიზმი“, რომელსაც უძღვება ლიტერატურათმცოდნე **თამაზ ჯოლოგუა.**

დამატებითი რესურსები

1. დამოუკიდებელი კვლევის შედეგები გადაამოწმეთ აქ:
(ლიტერატურათმცოდნე თამაზ ჯოლოგუა უფროსკლასელებთან)
თერგდალეულები და ევროპეიზმი https://9nes.short.gy/581RIf

X

მხილებაა, თუ კადნიერება?

არ გასულა ამის მერმედ ორი დღეც, რომ ოთარაანთ ქვრივი არჩილიანთას მივიდა.

– ო, ნათლიდედ, ნათლიდედ! მობრძანდი, – დაუძახა შორიდანვე არჩილმა, როცა ოთარაანთ ქვრივს თვალი შეასწრო. დაძმანი ძირს, ეზოში ისხდნენ დიდ ფურცელქვეშ და დილის ჩაის შეექცეოდნენ.

– დილა კარგა-ყოფნისა, – მიესალმა ოთარაანთ ქვრივი, როცა ახლოს მივიდა. არჩილი წამოხტა, ოთარაანთ ქვრივს მიართვა თავისი სკამი და მიიწვია დასაჯდომად.

– დაბრძანდი, დაბრძანდი. კესო, ნათლიდედას ჩაი მოართვი, – უთხრა არჩილმა თავის დასა.

– ჩაი რა ჩემი საქმეა, თქვენ შეექეცით, მე უმაგისოდაც გავძლებ. ქალო, როგორ გიკითხო? ხომ მშვიდობით ბრძანდებით? – მოიკითხა ქალი ოთარაანთ ქვრივმა და ჩამოსკუპდა სკამზედ.

– ვართ შენის ლოცვითა და კურთ...

– მე ჩემთვისაც არა ვლოცულობ, ღმერთი არ შევაწუხო-მეთქი, და თქვენთვის სად ვილოცებდი, – უთხრა მკვახედ ოთარაანთ ქვრივმა და სიტყვა მოუჭრა.

– ჰა, აფრა არ აუშვა შენებურად, – უთხრა ღიმილით ქალმა და, თითქო მახლობელი მოყვარეაო, თავაზიანად ხელი დაჰკრა კალთაზედ, თავის სკამიდამ ლამაზად გადაწვდილმა.

ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუხნა. როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან: მე ვინ ვარ და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა. მიუხვდა კი, რომ კესო აფრთხილებს და ისე კი, რომ საწყენად არ დაურჩეს.

– ენამ გულისა უნდა სთქვას, ფერუმარილი რა საჭიროა, – უთხრა ქალს ოთარაანთ ქვრივმა ცოტა არ იყოს მწყრალად.

– ეგ რაზედ სთქვი?

– იმაზედ, რომ შენ ჩემს სიტყვა-პასუხს შეუშინდი და გაფრთხილება გინდა ჩემი. მიხვეულ-მოხვეულს სწორე სჯობია.

– მკვახედ იცი ლაპარაკი და კაი დედაკაცი კი ხარ.

– შენც რომ ჩემი დღენი გამოგევლო, ჩემს ტაფაში დამწვარიყავ, შენც ეგრე ილაპარაკებდი. ან სხვაფრივ ლაპარაკი რა საჭიროა? ადამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს. ქვეყანაზედ რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა: მეტი ბარგია. ლხინს რა ლაპარაკი უნდა? ძაღლს რომ უხარიან, კუდის ქნევითაც იტყვის ხოლმე.

– ე... ე... ე! თქვენ მე ვიცი, პატარა ხანს უკან ქვასაც ჩამოურევთ, – ჩაერია არჩილი,

– ნათლიდედა საქმის დედაკაცია, რა ემასლაათება? არა, ნათლიდედ?

– რატომ? ზოგან თქმაც კარგია.

– შენ ხომ მაგისათვის არ მოხვიდოდი ჩვენთან; საქმე რამ გექნება, – უთხრა ხელახლად არჩილმა.

– მართალია, უსაქმოდ არ მოვსულვარ.

– ბრძანე: შენი ხმალი და ჩემი კისერი.

– ჩემს გიორგის თქვენთან დგომა უნდა.

– ვიცით და შენ მოგერიდენით. შენი დიდი ხათრი გვაქვს და ხათრს ვერ გაგიტეხთ. შენს უნებურად ეგ საქმე არ მოხდება.

– ჩემი ნებაც არის. ჩემი შვილი ჯერ მე დამეკითხა. მეწყინა, მაგრამ დაშლა აღარ ეგებოდა. მცხვენიან, კაი ოჯახის შვილია, კაი მამის ჩამომავალია. ვთაკილობ და გვიანღაა წუწუნი: ვერ გავტეხე, ვერ ავუხირდი. დე, რაც საქნელია, იქმნას.

– თუ ეგრეა, უარს მე ვეტყვი, – უთხრა არჩილმა, – შვილი შენისთანა დედას როგორ არ უნდა ჰნებდებოდეს!..

– ნუ, ნუ!.. ნუ ეტყვი უარს. მე დედა ვარ და წამავალი. ის შვილია და მომავალი; მე მივდივარ, ის მოდის. იმისი დღენი გასავლელი მინდორია, მე კი ჩემი მანძილი გამივლია. მე ბოლოში ვარ, ის თავში. წინ ვერ ავეფარები.

– მითომ რა გაჭირებაა, თუ შენი საამური არ არის? – იკითხა კესომ.

– გაჭირება რას მიქვიან? სურვილია, იღბალია... ჯერ დაუდუღარი მაჭარია და ბუყბუყებს. დაუდუღარს მაჭარს სარქველი არ დაეხურება, ჭურჭელს გაჰხეთქს. დეე, თავის ნებაზედ იყოს. მე არ ვუშლი, რაკი თითონ არ იშლის.

– რაკი ასეა, ისე შეგინახავ შვილს, მტერიც კი შენატროდეს, – უთხრა არჩილმა.

– მაგას არ წავეხარბინები. ის თითონაც

კარგად შეინახავს თავის თავს, ისეთის მამის შვილია, – უპასუხა ოთარაანთ ქვრივმა, – ეჰ, კარგი იქნებოდა, სასხვისაოდ არ გაეხადნა თავი, მაგრამ რაც არის, არის!..

– ახლა შენ რომ მარტო დარჩები? – იკითხა კესომ.

– მარტო რად დავრჩები? ზოგი ჩემს გულშიაც ჩაიხედე, რამდენი ბღარტები მიზის. ჭირადაც მეყოფიან და ლხინადაც.

– აკი ნათლიდედამ მიხვევ-მოხვევა არ იცისო? აკი პირდაპირ თქმა უყვარსო? მე აქ არა მესმის-რა, – სთქვა არჩილმა და შეჰხედა დას, თითქო იმას ეკითხებაო.

– მიხვეულ-მოხვეული რა ვთქვი? ადამიანს მინამ ხელ-ფეხი ერჩის, მარტო არ იქნება, საქმეა ტოლ-ამხანაგი მარტოხელისა. წუთისსოფელი ვის აცლის მარტოობისათვის? მარტო თქვენისთანას... მარტონი თქვენა ხართ.

– მართალი გინდოდა და ეგეც მართალი, – უთხრა კესომ ძმას უწყინარობის ღიმილითა.

– ნათლიდედა სიტყვას მარტო ეკლადა ჰხმარობს, – მითამ და გაიხუმრა არჩილმა, მაგრამ ვაი ამ ხუმრობას!..

არჩილი წამოდგა ფეხზედ, ტანში გაიმართა, თითქო რაღაცამ დაუჭიმა ძარღვებიო, – ჩაიწყო ჯიბეში ხელები და მოჰყვა წინა და უკან სიარულს, მერე მივიდა, წინ დაუდგა კესოს და ჰკითხა რუსულად:

– როგორ გგონია? წინდახედული მხილებაა, თუ წინდაუხედავი კადნიერება?

– შენ მართალი ხარ, – უპასუხა დამ რუსულადვე, – ერთი ჭკუამ იცის და შესაწყნარებელია, მეორე ურცხვობამ და საწყენია. მე პირველი მგონია.

არ ვიცით, ძმამ დაიჯერა თუ არა დის სიტყვა, ამას კი ვიტყვით, რომ არჩილი ამის შემდეგ მივიდა ოთარაანთ ქვრივთან მხიარულის სახითა და მართალის გულით უთხრა:

– ბრძენი დედაკაცი ხარ, ნათლიდედ, ბრძენი!..

სხვა დროს იქნება ერთი თავისებური მკვახე სიტყვა ეტკიცა ოთარაანთ ქვრივს ამ ქებისათვის, მაგრამ ეხლა კი გაჩუმდა. მერე თითონაც უკვირდა, ნეტა ენა რამ დამიბაო.

XI

ორი თვალი

იმ დღეს, როცა გიორგიმ დააპირა არჩილიანთას წასვლა მოჯამაგირედ დასადგომად, ისეთი მხიარული სახე ჰქონდა, რომ ოთარაანთ ქვრივმა სიამოვნებითა სთქვა:

– ძლივს შუბლგახსნილი არა ვნახე! სიამოვნებით კი სთქვა?..

ამაზედ ჰოც ითქმის და არაცა. ეს რაღაც „მზიან-ჩრდილიანი“ სიამოვნება იყო. მზიანი იმიტომ, რომ უხაროდა შვილის სიხარული, ჩრდილიანი იმიტომ, რომ ეწუხებოდა დედური წუხილი, სტკიოდა დედური გული, – რად უხარიან ჩემგან წასვლა და სხვასთან ყოფნაო!.. მზე და ჩრდილი, ნათელი და ბნელი, ტკივილი და ამება ერთმანეთში გაება და ჩაეწნა.

დედამ შვილს ჩაულაგა ერთი ხელი უკეთესი ქვეშაგები, საცვალი ტანისამოსი, კაი ლეკურის შალის ჩოხა-შალვარი, ყანაოზის ახალუხი, ორი წყვილი თავისის ხელით მოქსოვილი ჭრელი წინდა, ახლად ნასყიდი ყაითნებით მორთული საცვეთები, ბაზარში განგებ შეკერილი და ყაითნებითვე დახლართული ქვემოური ქალამნები. ყველაფერი ეს გამოუკრა ჯერ სუზანში, მერე ფარდაგში და შეჰკრა მაფრაშასავით თოკებით.

– დედი, დედი! ეს რა ამბავია? – ჰკითხა გაცინებით შვილმა, როცა ეს სამზადისი დაინახა, – ცხრა მთას იქით ხომ არ მისტუმრებ, რომ მაგოდენა ბარგ-ბარხანას თან მატან.

– არა, შვილო!.. უამისობა არ იქნება. დეე იცოდნენ, რომ ოჯახის შვილი ხარ და არა ეული ვინმე, ბოგანა. დეე, იცოდნენ, რომ ოჯახიდამ გასდიხარ და არა უოჯახობიდამ.

– განა არ იციან?

– გაგონილს თვალით ნახული სჯობია. დეე, რაც ყურით გაუგონიათ, თვალითაც ნახონ.

– სასაცილოდ ამიგდებს მთელი სოფელი, ეგრე ბარგაკიდებული რომ მნახონ.

– თავ-სიცილს კაცი არ მოუკლავს. კაცი რომ სულელების კბილთა ღრეჭას აჰყვეს, სად წავა?

– მეტის მეტია, დედი, ამოდენა ბარგი!.. თითქო ქალი ვიყო და მათხოვებდე.

– ქალი რომ იყო, ეგრე ადვილად ვერ გამიფრინდებოდი ხელიდამ.

– ქალი ხომ უფრო საბოლოვო არ არის დედ-მამისათვის. ქალი მოდის იმისათვის, რომ წავიდეს და სხვაგან გაიკეთოს ბუდე.

– მართალია, მაგრამ ქალი, – მინამ გათხოვდება, – დასაფრენი ბღარტია და ფრთას ქვეშ უზის დედასა.

– როგორ? წნილად შემინახავდი თუ?

– მაგას არ გეუბნები. ქალი ბედს შინ მოელოდინება, კაცი კი გარეთ ეძებს.

გიორგი აიმრიზა, ხმა აღარ გასცა. მიჰტრიალდა და კუთხეში რაღაც ფაცური დაიწყო, ვითომდა, ეძებს რასმე.

ოთარაანთ ქვრივმა ეს უცებ გაწყვეტა ლაპარაკისა შენიშნა და არ შეიმჩნია კი.

– უფრთხის ახლოს მისვლასაო, – იფიქრა დედამ.

გიორგი პატარა ხანს შემდეგ ხელახლად მოუტრიალდა დედას, ხელი ჩაჰკიდა შეკრულს ბარგსა და ეგრე, ხელჩაკიდებისაგან ერთ მხრივ გადახრილმა, უთხრა:

– ნება შენი იყოს, დედი!.. ამ ბარგი-ბარხანით მიუვალ... სთქვა ესა, მხიარულად შეიგდო მხარზედ ბარგი და გასწია.

ოთარაანთ ქვრივმა დიდხანს ადევნა თვალი დერეფნიდამ... დიდხანს ადევნა, დიდხანს, მინამ თვალთაგან მიეფარებოდა შვილი, თითქო ხმაამოუღებლად იხვეწ-იმუდარებოდა, – ერთი მაინც შემომხედოსო. მაგრამ გიორგიმ უკან აღარ მოიხედა...

დედას გულმა ტეხა დაუწყო.

– უკან აღარ მოიხედა!.. – დაიკვნესა დედამ. – ჩემგან მიდის, თითქო ძაფიც არ იჭერს; სხვაგან მიდის, თითქო თოკით ეწევიანო.

ფეხთმდგომელას ოთარაანთ ქვრივს თავი ძირს ჩამოუვარდა დამბლასავით, თითქო კისრის ძარღვი გაუწყდა, ვეღარ შეიმაგრა და ნიკაპით გულზედ დასაბჯენად-ღა დაეკიდაო.

– ჩემგან მიდის და პატარა ნაღველიც უკან არ ახედებს... განა აქ არა დაჰრჩარა!.. სხვაგან მიდის და სიხარული მარტო წინ აყურებინებს... განა ყველაფერი იქ არის, სულ ყველაფერი!.. – დაიკვნესა ხელახლად დედის გულმა.

ამის თქმაზედ ოთარაანთ ქვრივმა კაბის სახელო წამოიწია და მთელი მკლავი დაჭიმული სახელოთი მოისო თვალებზედ.

თითონაც არ იცოდა, რადა ჰქმნა ესა. ეს უნებურად, უცოდნელად მოუვიდა. ხელმა თავისთავად დაასწრო, მინამ გული ცრემლს წამოღვრიდა. თითქო ხელი არ დაეკითხა გულს, – არ დამაგვიანოს, არ დამიშალოსო.

ოთარაანთ ქვრივს თვალში ცრემლი არ უჩანდა!.. განა აქვს კი ცრემლი ცეცხლმოკიდებულ გულსა?!

ჩამოჯდა ოთარაანთ ქვრივი დერეფნის დირეზედ. ჩაჰკიდა კვლავაც თავი და ორსავე იდაყვით მუხლების თავზედ დაებჯინა.

ოთარაანთ ქვრივი ფიქრმა წაიღო...

– დედაშვილობაში შენ-ჩემობა რად არის? – ჰკითხა ოთარაანთ ქვრივმა თავის თავსა. – დედაშვილობაში ორი თვალი რად უნდა იყოს? ნეტა დედას სხვასავით ორი თვალი არა ჰქონოდა... თუ აქვს, რად უჭრის ერთი თავისად, მეორე შვილისად? გული რად იხედება გარეთ ორის თვალითა, რად? – რატომ ერთი თვალი არ ებრმავის, როცა მეორე იყურება?.. ვინ ვისთვისაო, – რა საკითხავია დედაშვილობაში?.. ვაი, რომ საკითხავი ყოფილა! ამისი ჭიდილია თურმე დედა-შვილობაცა!..

დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ. მერე თითქო რაღაც ხიდი გაიდოვო მორევიდამ გამოსასვლელად, წამოდგა ფეხზედ და ხმამაღლა სთქვა:

– არა, შვილო!.. შენ გაიხარე, შენ!.. მე კი... მე კი... მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ და შენისად მაყურებლითღა ვივლი და ვიცოცხლებ...

XII

უცნაური წკიპურტი

გიორგი მოჯამაგირედ დადგა. პირველს დღესვე არჩილმა ვენახში წაიყვანა გიორგი. არჩილი ახალს ვენახს აშენებდა და უნდოდა, მიწა ჭანდრაკის ფიცარსავით უჯრა-უჯრად დაეყო და ისე მოერიგებინა ვაზი მწკრივად და ლარზედ. ორი ჭრა კიდეც გაეკეთებინა ასე და ვაზის რქა ჩაეყარა. ძალიან მოსწონდა არჩილს ესე უჯრა-უჯრა ჩარიგებული ვაზი. გიორგის რომ დაანახვა

ეს თავისი ახალშენი, თავმოწონებით უთხრა:

– როგორ მოგწონს? ერთი შეჰხედე გინდა აქედამ, გინდა იქიდამ, სულ ლარსა და მწკრივზეა ჩარიგებული.

– ეგრე ჩარიგება ვაზისა კარგია: მზე და ნიავი თანაბრად დაუვლის ყველგან. ამას წინად, – სამი-ოთხი წელიწადი იქნება, – გავიგე, კახეთში ეგრე უკეთებია ვენახი ერთს თავადიშვილს. გული არ დამიდგა, მინამ არ წავედი და არა ვნახე. ვნახე და მომეწონა. საკეთებლადაც უფრო სამხროა. კარგია ეგრე.

– ძლივს ერთი კაცი არა ვნახე ამ სოფელში, რომ მომიწონა ნაკეთები.

– ნაკეთებს კი ვერც მე მოგიწონებ.

არჩილი შეჰფიცხდა და აიტკიცა.

– რატომ, ბიჭო?

– იმიტომ, რომ აქ ფერდობია...

– ვაი შენ, ჩემო თავო! – გააწყვეტინა სიტყვა არჩილმა.

– შენც ბევრი არა გცოდნია რა, ჩემო გიორგი. ბიჭოდა, საქმეც ის არის, რომ ფერდობია და მზის გული ფერდობიცა.

– განა მაგას ვიწუნებ? მზისგულ ფერდობს რა სჯობია ვენახისათვის...

– მაშ რას ამბობ?

– აქ ჩვენში ხომ ნამი არ იცის, როგორც კახეთში, და მშრალი მიწაც არის. ჩვენში ვაზს რწყვა უნდა. რაც გინდ მაგრად იდგეს კაცი, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა მოახვედროს ვენახს წყალი, თორემ ვაზი ვერ მოიხდენს. პირველში ხომ კარგა წყალს მოინდომებს და მოინდომებს, მინამ რქა იხეირებს.

– მერე რა გინდა სთქვა?

– მერე ისა, რომ ეგრე სისწვრივ ვაზი რომ ჩაგიყრია ამ ფერდობის გარდიგარდმოდ, როგორღა მოატარებ ვაზებში წყალს. წყალი აღმა ხომ ვერ ივლის?

– მაშ, შენი ფიქრით, ლარი აღმა-დაღმით უნდა დაგვეჭირა თავთავქვესაკენ, რომ ზემოდან ქვევით ედინა წყალს?

– წყალი მაშინ, რა თქმა უნდა, კარგად ივლიდა, მაგრამ არც ეგ ივარგებდა. წყალი რუისა თუ ნიაღვრისა, მაღლიდამ დაქანებული, ზემოდამ სულ ქვევით ჩაიტანდა მიწას, ჩაჰრეცხდა ვენახსა, ზემოპირის ვაზს სულ ძირს გამოუხრამავდა.

– მაშ, როგორ უნდა ყოფილიყო?

– ეგრევ, მაგრამ ლარი სწორეზე კი არ უნდა წაგეღო, ცოტა გეზად უნდა დაგეჭირა, რომ წყალს საკმარისი თავთავქვე ჰქონოდა და მიწაც ზევიდამ ქვევით არ ეზიდნა. აგერ რუიც ხომ მარტო გარდი-გარდმოდ ემხრობა ამ ახალშენსა! აქედამ ცოტა გეზგეზად თუ არ წავიდა თავთავქვესაკენ, სხვა გზით წყალს ვენახი არ მოიხდენს. ეხლა კი წყალს ავალა პირაღმა აქვს. როგორ უნდა იდინოს? აბა, გაიხედე!..

არჩილმა გაჰხედ-გამოჰხედა, ხან აქედამ გაუსისწვრივა თვალი, ხან იქიდამ, ხან აქედამ მოუდგა, ხან იქიდამ და იმისთანა ვერა იპოვნა-რა, რომ ხელი ჩაეკიდნა და გიორგი გაემტყუნებინა.

– ბატონო და, მაგას რა დიდი ამბავი უნდა, – უთხრა გიორგიმ, რაკი შეამჩნია, რომ არჩილი ჰო-არაობაშია. – აი, თუნდა ეხლავ მოვუგდებ წყალს და მაშინაც არ გამოჩნდება!

– საჭირო არ არის. შენ მართალი ხარ, ჩემო გიორგი! კიდევ კარგია, ეხლა დროზედ შემომესწარ, ჯერ მინამ მარტო ორი ჭრა ჩამიყრია და გასწორება ადვილია, თორემ, შენი მტერი!.. აქაურს გლეხკაცობას სიცილად არ ვეყოფოდი, თუნდ ხარჯსაც აღარ შევშინებოდი.

არჩილი შინ ამოვიდა და ყველაფერი თავის დას უამბო. ბევრი იცინა დამ, რომ არჩილს ესეთი უეცარი წკიპურტი მოჰხვედრია.

– ეგ რა მოგსვლია?! – ჰკითხა კესომ და გულიანად ჩაიხარხარა. ჩაიხარხარა, მაგრამ წყენა დაცინებისა მოატკბო დაძმურის სიყვარულის კილომა: – ეგ რა მოგსვლია?

– ის, ჩემო კარგო, რაც თავმოწონებულს არცოდნას მოსდის ხოლმე ყოველთვის. ამოვიკითხავთ წიგნებიდამ რაღაცას და გვგონია, – ეს-ეს არის ქვეყნის ღერძს ხელი ჩვენ ჩავკიდეთო. ქვეყანაზედ ბევრი რამ არის უწიგნოდაც სასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ჩვენ კი აღარც იქით ვიხედებით, აღარც აქეთ. რაკი წიგნი ხელთ გვიპყრია, თითქო ჭკუა, თუ არ წიგნში, სხვაგან აღარსად იყოს.

– შენა და წიგნების ეგრე აბუჩად აგდება?

– მე აბუჩად წიგნებს კი არა, ჩემს თავს ვიგდებ: არც უწიგნობა ვარგა და არც მარტო წიგნებიდამ გამოხედვა. უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა და მარტო წიგნითაც საკმაოდ გრძელი არ არის. უკადრისობად მიგვაჩნია ჭკუა უწიგნო ტყაპუჭქვეშაც ვიგულვოთ. ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. რომ ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობარისათვისაც კი ოსტატია. ეს ტყუილი თაკილი...

– ტყუილმა ბრძნობამ იცის, – დაატანა კესომ და ჩამოართვა სიტყვა ღიმილით.

– და უვიცობის ცუდმედიდობამ!.. – დაუმატა არჩილმა.

XIII

ახალი ცოცხი კარგად ჰგვის

ამის თქმა ძლივს გაათავა არჩილმა, რომ ოთახში ერთი ყვირილი და ხმაურობა შემოესმათ. არჩილი მაშინვე გარეთ გავარდა და მოაჯირიდამ გადასძახა ჩალურიდამ გამოცვივნულ მოსამსახურებს:

– ეს რა ყვირილ-ღრიალია?

– რა მოგახსენოთ! თავლიდამ მოდის, – უპასუხა ვიღაცამ.

– ერთი შემიტყვეთ, რა ამბავია?

მინამ ერთ-ერთი ვინმე წავიდოდა, თავლიდამ გამოჰრბოდა კიდეც მეჯინიბე, ვიღასაც მხარუკუღმა მუშტს უღერებდა, იმუქრებოდა, მოილანძღებოდა.

– ბატონო, ეს რა ღვთის წყრომაა? – შემოსძახა ქვევიდამ მეჯინიბემ, მოაჯირზედ გადმომდგარს არჩილსა. – ეს ვიღაც ოხერტიალი მოთრეულა, თავ-პირი აღარ შემარჩინა ცემითა.

– ვინ ოხერტიალი?

– აი, ეს ახალი მოჯამაგირე.

– გიორგი?

– ეშმაკმა იცის იმისი თავი და ტანი, გიორგია თუ ვიღაცა.

– მერე რა იყო?

– რაღა რა იყო?!. თქვენ რომ ვენახიდამ მობრძანდით, თქვენს ცხენს მოვხადე და დავაბი. ისიც ხომ თქვენ ფეხდაფეხ მოგყვათ. შემოვიდა თავლაში, ჩხუბი დამიწყო, გამლანძღა, გავლანძღე და მერე ამომიდო ქვეშ და ისე გამხადა, რომ ნეკნები ჩემი აღარ არის.

– აბა ერთი, გიორგის დამიძახეთ, – უბრძანა არჩილმა.

ერთი მოსამსახურე გაიქცა დასაძახებლად. ამ დროს კესოც გამოვიდა მოაჯირზედ, გვერდით მოუდგა ძმას და ჰკითხა:

– რა ამბავია?

– რაღაც ჩხუბი მოსვლიათ.

– ვისა და ვის?

– გიორგისა და მეჯინიბეს.

– რაზედ?

– სწორედ არც მე ვიცი. აი, გიორგი მოვიდა და შევიტყობთ.

მოვიდა გიორგიცა. იღლიაში ახალუხი ჩამოჰხეოდა და სცდილობდა, დაემალა. გოგო-ბიჭებმა, ვინც კი ამ დროს სახლში მოიხელებოდა, ყველამ მოაჯირთან, ეზოში მოიყარა თავი.

– ჩხუბი მოგივიდა? – ჰკითხა არჩილმა გიორგის.

– არა. ამასთან საჩხუბარი რა მქონდა?

– მაშ, რას გიჩივის, მცემაო.

– ცემით კი ვცემე.

– ეგ ხომ ჩხუბზედ უარესია. რადა სცემე?

– შენი ცხენი ისე ოფლიანი დაება. თავლაში რომ შევედი, თითონ პირაღმა გაშოტილიყო ტახტზედ და ყალიონს ეწევოდა. მე ვუთხარი: – ცოდო არ არის, ოფლიანი ცხენი დაგიბამს, ცოტა ხანს მაინც ატარებდი, ზურგზედ წყალს მაინც გადაავლებდი-მეთქი. ხომ წახდა ცხენი: ან ზურგმა ჰავა აართვა, ან ფეხში დაიხუთა-მეთქი. არამკითხე მოამბეო, მიტყიპე და მიაგდეო, მითხრა არხეინად და ყალიონი ძალზედ გამოაბოლა. – ვერც მიმტყიპავ და ვერც მიმაგდებ-მეთქი. წავედი ცხენის ასაშვებლად, მე მინდოდა, პატარა მეტარებინა და წყალი გადამევლო ოფლიან ზურგზედ. – წადიო, ვიღაც მოთრეულხარო, – დამიძახა და დედა შემაგინა. ამაზედ გული მომივიდა და ვცემე. მამაჩემსაც არ შევარჩენდი დედიჩემის ავად ხსენებას.

– ეგრე კი იყო? – ჰკითხა კესომ გიორგის და გადმოჰხედა.

– ტყუილი რა საკადრისია!..

– ეგრე იყო, ეგრე! – დაიძახა პატარა

ბიჭმა – მეხბორემ, რომელიც მაშინ თავლაში შესწრებოდა.

– სწორედ ეგრე იყო, მე იქ ვიყავი.

– კესო, ერთი დავთარში ჰნახე, რა ერგება, და გამოუტანე.

კესო გამოუკითხავადაც მიჰხვდა, ვისზედ უთხრა ძმამ. შებრუნდა ოთახში, პატარა ხანს შემდეგ გამოვიდა და უთხრა:

– ოცდახუთი მანეთი-ღა ერგება. აი, ფულიც.

არჩილმა ჩამოართვა ფული, მოაჯრიდამ გადუგდო მეჯინიბეს და ჩასძახა:

– აი, ძმობილო, ეს-ღა გერგება. ალალი იყოს შენზედ და მე ჩემს სახლში ველარ დაგაყენებ...

– მე მცემეს და მევე მიწყრებით?!

– ამას იქით ჭკუა იცოდე: შენ რომ ცუდჰკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ.

არჩილი და კესო შებრუნდნენ ოთახში. გოგო-ბიჭები წავიდ-წამოვიდნენ.

– მითამ ახალი ცოცხია და კარგად ჰგვისო! – ამბობდნენ დაცინვით ზოგიერთნი ახალს მოჯამაგირეზედ.

– დასძველდები და შენც მოიტან ქვიშასაო, – იძახოდნენ მეორენი.

– ეგ სხვა დედის შვილია!.. მაგას ოთარაანთ ქვრივის შვილს ეძახიანო! – ამბობდა ამათში მარტო ერთადერთი კაცი. ისიც ხმაამოუღებლივ, თავის გულში ამბობდა.

ეს იყო მეწისქვილე არჩილის კარის წისქვილისა, კაცი ძველი, გულჩახვეული, გულჩაკეტილი, ჩუმი და ამიტომ ყველასაგან დაბრიყვებული. ვინ იცის, საიდამ სად იყო გადმოგდებული და აქ წისქვილში როდის შემოხიზნული? აქ მეწისქვილედ დაბერებულიყო უცოლოდ, უშვილოდ, უთვისტომოდ. არავინ იცოდა, ვინ არის და საიდამ არის... ამის ვარსკვლავი მარტო ამოსულიყო სადღაც და როდესღაც და ეხლა მარტოვე ჩადიოდა დინჯად და მშვიდობიანად, ტკბილად და უწყინარად.

XIV

განა თვითონ კი იცოდა?

– როგორ მოგეწონა ეს ამბავი? – ჰკითხა არჩილმა დას, როცა ოთახში შევიდნენ.

– ახირებული გული ჰქონია, – უპასუხა დამ, თითქო პირველ ხანს სხვა უკეთესი ვერა მოიგონა-რაო.

– ეგ ცოტაა. ნამუსი ჰქონია, ნამუსი!.. ის დიდი ნამუსი, რომელიც სხვისასაც ისე ერჩის, როგორც თავისას.

– ნურც აგრე გაადიდებ მაგ უბრალო საქმესა.

– მაგას ნუ იტყვი. რაც კარგია, იქ დიდპატარაობა მოსატანი, სახსენებელი არ არის. რაც კარგია – თავისთავად დიდია. ჰხედავ, უსწავლელი კაცია. მაგისი ნამუსი ჭკუით კი არ არის ახილებული, გულით გამოკვებილია, მარტო გულით. ეს დიდი საქმეა ჩემის ფიქრით, იმიტომ, რომ მაგისთანა ნამუსი მთელის გვამის, მთელის აგებულების წყურვილია, როგორც სითბო სიცივეში, როგორც სიგრილე სიცხე-პაპანაქებაში, როგორც პური შიმშილში. მინამ ჭკუა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის, რა ჰქმნას. ეს დიდი საქმეა-მეთქი, დიდი.

– რაო? დედის ავად ხსენება იწყინა, სხვა ხომ არაფერი?

– ეგ ბოლოა. შენ სათავე მოუჩხრიკე ამ საქმესა. გულმა არ მოუსვენა, ცხენი რომ მოუვლელი ნახა და მეჯინიბე არხეინად მწოლარე. საქმე და მოსაქმე ერთმანეთს გაჰყროდა და ეს მართალმა გულმა იუცხოვა, არ შეიფერა. ხომ არც ცხენი იყო იმისი, არც მეჯინიბე იმისაგან დავალებული. რა ეწოდა, რა უნდოდა, ჩვენად რომ ვიკითხოთ? ჩვენი ამება? ჩხუბი რომ არ მოსვლოდათ, ეს ამბავი ჩვენადმე ხომ არც მოაწევდა. მეჯინიბეს ჯავრი სჭირდა და მიზეზი მოუდო? რა ჯავრი უნდა სჭირებოდა, კაცს პირველადა ჰხედავს. არც ერთი და არც მეორე. საწანახედოდ გამხდარი საქმე ნახა, იქავ ხელთაუძრავი მოსაქმე და გულმა არ მოუთმინა. რაც გინდა სთქვი და, ეს დიდი ნიშანწყალია კაცობისა... სწორედ დიდი ნიშანწყალია. ეხლა მესმის, რაც იყო, იმ დღეს რომ მეწისქვილემ გვიამბო. აი, ბურკიაშვილის კამეჩი რომ დაეჭირა მინდვრიდამ მომავალს და კახუაშვილისათვის მიეყენებინა კარზედ, შენს ჯეჯილს აფუჭებდაო. მე თუმცა ზოგიერთი ამბავი ვიცოდი გიორგისა, მაგრამ, – ღმერთო შეგცოდე, – აქ კი გავიფიქრე, უთუოდ ბურკიაშვილის ჯავრი სჭირებია-მეთქი გიორგისა. ეხლა ვნანობ,

რომ ეს გავიფიქრე და ამ ფიქრით შევუგინე ნამუსი მაგ პატიოსანს კაცსა.

– ბოდიში მოიხადე, – უთხრა დამ გულითადად და ჭკვადასმით, რაკი ხუმრობაგაშვებით ჩაუკვირდა თავის ძმის ნათქვამსა.

– ბოდიშს იმით მოვიხდი, რომ მე მაგას შეგირდად მივებარები, დიაღ, შეგირდად. ჩვენ რანი ვართ მაგასთან!.. დეე, გვასწავლოს და გვწურთნოს...

არჩილმა წინა და უკან სიარული დაიწყო ოთახში და ფიქრს მიეცა. კესოც ჩაფიქრდა. გიორგი, როგორც ჩემთვის, მკითხველო, ისეც იმათთვის გამოცანა იყო.

– კესო! – შესდგა ბოლოს კესოს წინ არჩილი და უთხრა, – იცი, რას გეტყვი? აი, სახლის წინ რომ ყვავილების ბაღს იკეთებ, მოდი გიორგისაც დაეკითხე ხოლმე. მე მგონია, ეს ლოთი მებაღე სულაც დავითხოვოთ და გიორგის ჩავაბაროთ, ურიგო არ იქნება. ჭკვა-გონებიანი ბიჭია, შენ ოღონდ ანიშნე და, იმედი მაქვს, მიგიხვდება, სად რა როგორ გააკეთოს. სხვას ხომ დღიური მუშებიც გაუძღვებიან, რაკი გიორგი თავმდგომელი იქნება. ცოდოა მაგისთანა ბიჭის ამაზედ მოცდენა, მაგრამ ჯერ ეს იყოს და მერე სხვას რასმე ავუჩენთ.

– ძალიან კარგი, – მოუწონა დამ, – ოღონდ ეს არის, რომ ჯერ ყველაფერი მარტო ქაღალდზეა გამოხაზული და ვაი თუ ვერა გავაგებინო-რა. აბა, ჯერ ერთი ვაჩვენებ, გაიგებს რასმე თუ არა.

მეორე დღეს არჩილი დილა ადრიანად თავის ახალშენს ვენახში წავიდა. ცხენს რომ ქუსლი ჰკრა და პირი უბრუნა, პირუკულმა მოსძახა გიორგის:

– სამუშაოზედ არსად წახვიდე, კესოს შენთან საქმე აქვს.

„კესოს“?!.

გიორგის გული გადაუტრიალდა.

კესოც ადრე ამდგარიყო, მაგრამ მინამ მილაგ-მოლაგდებოდა, ჩაიცვამ-დაიხურავდა, კარგა ხანი გავიდა.

ბოლოს კესომ იხმო გიორგი.

გიორგიმ რომ მარტო ნახა თავისი თავი კესოსთან, თითქო შიშმა აიტანა. ალბად, იმორცხვა და საკვირველიც არ არის: თავის დღეში უცხო ქალთან მარტოდ არა ყოფილა.

კესოს ტახტზედ გადაეშალა დახაზული ქაღალდი, სხვადა-სხვაფერად აჭრელებული. ეს ბაღის მოხაზულობა იყო და რომელიღაც წიგნიდამ გადმოეღო თვითონ კესოს და ძმასთან ერთად შეესწორებინა თავის სურვილისამებრ.

– აბა აქეთ მო, გიორგი, ერთი ეს ნახაზი უნდა გაჩვენო, – უთხრა კესომ გიორგის, კარებში გაშეშებულსავით ატუზებულს.

გიორგიმ ფეხი წინ ვერ წასდგა.

– ეს ოხერი, რამ დამიდუნა მუხლებიო, – იფიქრა.

– რას იბუზები ახლად მოყვანილ პატარძალივით. ფეხი გადმოდგი, ნუ გეშინიან, არ შეგჭამ.

გიორგიმ ორი ბიჯი წინ წასდგა და მაინც შორი-ახლო დაუდგა კესოსაც და ქაღალდსაც.

– ე რა ფანცქალმა ამიტანაო!.. – გაიკვირვა გულში.

რა დაგემართა, ადამიანო! აი, აქ მო, ჩემთან ახლო, – უთხრა ეხლა კი ცოტად გაჯავრებულმა კესომ.

„ახლო“!.. – ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძელია.

გიორგიმ ფეხი არ გაანძრია. მარტო კისერი გადაიწვდინა და ისე შორი-ახლოდამ ჩაჰხედა ქაღალდსა, როგორღაც უხერხულად და გვერდელად.

– კაცო, არ გეყურება? მე ახლო ვარ და ძლივს ვხედავ და შენ მაინდამ რას დაინახავ, მამლაყინწასავით კისერი წამოგიშვერია. ახლო მოდი-მეთქი!

გიორგი მაინც ადგილიდამ არ დაიძრა.

– ე რა ფრთხოლამ ამიჩემაო! ჯადო მეწევა უკან, თუ ხატი არ მიშვებს წინ? – ჰკითხავდა თავისთავს გაოცებული გიორგი.

კესომ აღარ აცალა, წაავლო ხელი სახელოზედ და გამოსწია.

გიორგი წაბარბაცდა, თითქო მეხმა ახლო გაუარაო. ალბად, ფეხი წამოჰკრა რასმე...

– რა იყო? – ჰკითხა კესომ.

– არაფერი. ფეხი ფეხს თუ წამოვკარ, – მიუგო გიორგიმ და გულში გაიფიქრა: ფეხის ძარღვები დამაჭრეს, თუ რა მომდის ეს ოხერ-ტიალი!..

– აი, – უთხრა კესომ, როცა გვერდით დაიყენა გიორგი და ჩაახედა ქაღალდში, – დაბალ მესერით შემორტყმული ადგი-

ლი ხომ გინახავს ჩვენის სახლის წინ, – ეს ის არის. ეხლა, ჩემო გიორგი, ამ ადგილს ამისთანა მიხვეულ-მოხვეული გზები უნდა დაუკეთდეს. ამ გზებს აგურის ფხვნილით წითლად მოვფენთ. გზებსა და გზებს შუა აი, ასეთი კვლები უნდა დაიკვალოს, როგორც აქ არის გამოხატული. ამ კვლებში სხვადასხვა ფერადი ყვავილები დაითესება. აი, შუაგულს ხომ ჰხედავ? აქედამ...

– მე ვერასა ვხედავ, ვერა!.. შენი ჭირიმე, ეხლა თავი დამანებე, სხვა დროს მიბრძანე, – უთხრა გულამოსკვნილის ხვენნით გიორგიმ და განზედ გაუდგა კესოს. – რაღაცა ხათაბალა გადამეკიდა, თვალები ამება, რეტი დამესხა. ვერც ვერას ვხედავ, ვერც ვერა მესმის-რა. ეხლა დამითხოვე, შენის ღმერთის გულისათვის...

კესომ ნახა, რომ გიორგი მართლა არც თავის ფერზედაა, არც თავის გუნებაზედ. დაითხოვა და სთქვა თავისთავად:

– გულის ჭიდილი მოუვიდა, თუ რა ამბავია! განა თვითონ გიორგიმ კი იცოდა, რა ამბავია!

XV

კაცია და გუნებაო

ეს მოხდა მარტის დამდეგსა. გავიდა მარტი, გავიდა ლამაზი აპრილი და უფრო ლამაზი მაისი. დადგა თიბათვეცა. კესოს ყვავილების ბაღი, გეგმაზედ გაკეთებული, მოირთო, მოიკაზმა. ისე გაჰლამაზდა წითლად მიხვეულ-მოხვეული გზებითა, შიგადაშიგ დაყოფილ მწვანე მდელოებითა, ყვავილების ფერადითა, რომ კაცის თვალი ვერ გაძღებოდა. ღონიერი ბუნება და ადამიანის გამრჯელი ხელი თითქო ერთმანეთს შესჯიბრებოდნენ, – აცა, ვინ ვის აჯობებს ამ ბაღის გალამაზებასა და შემკობაშიო. ერთსაც და მეორესაც თითქო თავი არ დაეზოგათ, და რაც მადლი ჰქონოდათ, სულ აქ დაეპნიათ, სულ აქ დაებერტყნათ.

კესოს მეტისმეტად უხაროდა, რომ ასე კარგად, ასე ლამაზად აუსრულდა თავისი დიდი ხნის სურვილი. მინამ მთის იქიდამ მზე ამოალაპლაპებდა თავის სხივსა და თეთრს თოვლიან მთის წვერს ოქროს წყალს, ოქროს ჯავარს გადაასხამდა, კესო ჩაცმულ-დახურული ბაღში იყო ხოლმე ყოველ დღე და თითქმის საღამომდე, დიდბინდამდე არ აგონდებოდა, რომ სახლშიაც შესვლა საჭიროა. მთელი დღე დაჰგოგავდა ფერად ყვავილებს და მწვანე მდელოებს შორის და ყოველს ყვავილს, ყოველს ახლად ამოხეთქილს ნერგს, ყოველს ახლად გამოკვანძილს კოკორს შეჰხაროდა, როგორც საყვარელი საყვარელსა. თუ არავინ იყო, „ნამეტნავობისაგან გულისა“ დაუწყებდა ხოლმე გასაშლელად გაღიმებულს ყვავილს ალერსიანს საუბარსა, თითქო მერცხალი თავის ბღარტებს ეჭიკჭიკებაო.

ძვირად, ძალიან ძვირად კი შეემთხვევოდა, რომ იმის ბაღში სხვა არავინ ყოფილიყო: გიორგი იქ იყო და იქ! რაც უნდა ადრე გამოსულიყო ბაღში, გიორგი ან თოხით ხელში, ან ბარით, ან სასხლავით იქ დაჰხვდებოდა ხოლმე.

გიორგიმ არჩილისა და კესოს სწავლებითა და ჩვენებით გააკეთა და დაჰკვალა ის ბაღი და გიორგისვე ებარა. არა მგონია, თავის ორ თვალს ისე გაჰფრთხილებოდა, როგორც ამ ბაღს უვლიდა და უფრთხილდებოდა. მტვერი რა არის, – მტვერს არ დაადენდა, არ შეარჩენდა ბალახსა და ფოთოლსა.

არჩილი და კესო ძლიერ ემადლიერებოდნენ გიორგის და არაერთხელ უთქვამთ ერთმანეთისთვის, რომ ორი-სამის კაცის ოდენას აკეთებს ეგ ერთი კაციო.

არც გიორგი ემდუროდა თავის ბედსა. პირიქით, უხაროდა კიდეც თავისი ბედი.

– მე მეტი არა მინდა-რაო, – ამბობდა ხოლმე თავის გულში, როცა ამისთანაებს ჩაუფიქრდებოდა, – გადამკიდებიან, ჯამაგირისა სთქვი რამეო. რა ჯამაგირი მინდა!.. მე ისიც მყოფნის, რომ ყოველ ცისამარა დღეს მზეს ვუყურებო.

რა უნდოდა ამით ეთქვა გიორგის, გამოცნობა ძნელია. ეს კი სათქმელია, რომ როცა ბაღში ჰმუშაობდა და ქეიფზე მოვიდოდა, სულ ერთსა და იმავე სიმღერას ჰღიღინებდა ხოლმე ხმადაბლა: „ეს სოფელი მიტომ მინდა, შენ გიყურო, ჩემო მზეო“, თითქო სხვა აღარა იცოდა-რა, თითქო სხვა არაფერი ენატრებოდა, არაფერი ეხარბებოდა ამ დედამიწის ზურგზე.

მართლად თქმულა: კაცია და გუნებაო!

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ვლინდება თავადებთან სტუმრობისას ოთარაანთ ქვრივის ხასიათი, პრინციპები; დააკვირდით, როგორ უჭირავს მას თავი თავადებთან ურთიერთობისას;
2. შეაფასეთ ოთარაანთ ქვრივის აზრი მარტოობის შესახებ;
3. რაში მჟღავნდება გიორგის თავადების ოჯახში გადასასვლელად მზადებისას ოთარაანთ ქვრივის თავმოყვარეობა, ზრუნვა საკუთარი ოჯახის ღირსებაზე?
4. როგორ ფიქრობთ, ხვდება თუ არა ოთარაანთ ქვრივი, რომ გიორგი შეყვარებულია? დააკვირდით ოთარაანთ ქვრივის მსჯელობას დედაშვილობაზე; ამ მსჯელობის მიხედვით, ადამიანის რომელი ნაკლოვანი თვისებისგან არ არის თავისუფალი დედა? რაზე ამაღლებას ახერხებს ოთარაანთ ქვრივი?
5. ოთარაანთ ქვრივის რა თვისებებისა და პრინციპების გამოხატულებაა ის, რომ იგი ხელს არ უშლის გიორგის თავისი გადაწყვეტილების განხორციელებაში?
6. როგორ წარმოაჩენს გიორგის ეპიზოდი, რომელშიც გადმოცემულია მისი და არჩილის კამათი ვენახის გაშენების შესახებ. იმსჯელეთ იმ დასკვნებზე, რომლებიც არჩილს ამ კამათიდან გამოაქვს; როგორ ჩანს ამ ეპიზოდში არჩილი?
7. თქვენი აზრით, რა არის გიორგის მამოძრავებელი მოტივი მეჯინიბესთან დაკავშირებული ინციდენტისას – რამდენად სწორად მიგაჩნიათ გიორგის ქცევის არჩილისეული ახსნა და შეფასება?
8. იმსჯელეთ, როგორ იხატება, რაში პოვებს გამოვლენას გიორგის გრძნობა კესოსადმი, მისი ემოციური სამყარო?

XVI

ა ლ ბ ა დ ! . .

გავიდნენ კიდევ დღენი და თვენი. დადგა მაძღარი შემოდგომა. სოფელში გაიმართა ქვევრების რეცხვა, საწნახელების ხიზვა და წმენდა. ქარვასავით ჩაფერიანებული მსუქანი მტევნები თეთრის ყურძნისა, მაყვალსავით შავად შეკუნწლული საფერავის ვაზები იწვევდნენ პატრონებს დასაკრეფად, – მალეო, თორემ ვდუღვართ და გადმოვდივართო. დაიკრიფა ვენახებიც, დაიწურა ყურძენი, დაჰდუღდა მაჭრები. მისწყდა სოფელში ხმამაღალი სიმღერა საწნახელში ჩამდგარ და ხელი-ხელ გადაბმულ მუშებისა. მხიარულმა მაჭრობამ თავისი დრო მოჭამა და მიჩუმდა, თითქო მოიღალა და მოიქანცაო.

მოვიდა შუაგული შემოდგომისა. სოფლის ორღობეებში დაიწყეს ჭრიჭინი მძიმედ დადებულ თივის ურმებმა. სოფელი ეშურებოდა ვენახებიდამ შინ თივის ზიდვას საქონლის გამოსაკვებავად ზამთარში: ეშინოდათ, თოვლს არ მოესწრო.

არჩილსაც ოთხი საძნე ურემი შეება, თივას აზიდვინებდა და შინ, ეზოში, გომურის შორიახლო ბოძებზედ შემდგარს მაღალ სათივეზედ ადგმევინებდა, რომ საქონლის პირი არ მისწვდეს და არ გააფუჭოს.

მზე ჯერ მთას არ გადასცილებოდა ჩასასვლელად, იქ, მთის წვერზედ შემდგარიყო, თითქო ჰნანობს, – რას ვეშურები და ამ ლამაზ ქვეყანას ეგრე მალე რად ვეთხოვებიო. მშვიდობიანი, გრილ-სითბოიანი, მშრალი, უნესტო, უღრუბლო საღამო შემოდგომისა კუტსაც კი ფეხს აადგმევინებდა და გარედ გამოახედებდა.

არჩილი და კესოც გამოსულიყვნენ სახლიდამ, ჩასულიყვნენ სათივესთან, იქ ერთს უშველებელ კუნძზედ ჩამომსხდარიყვნენ და უცქეროდნენ მუშებს, რომელნიც თივასა სდგამდნენ.

არჩილს უამისოდაც ძალიან უყვარ-

და მუშებში ყოფნა და იმათთან ლაპარაკი, ზოგჯერ ლაზღანდარობაც. კესოსათვის არა-ერთხელ უთქვამს, რომ მე იმათგან ზოგჯერ ჭკუასა და ხშირად ენასა ვსწავლობო.

ოთხი ურემი ოთხკუთხივ მოსდგომოდა სათივეს. სამი დაცლილი იყო და ერთიდამღა აწვდიდნენ თივასა. შუა სარი სათივისა ორ ადლზეღა ჰჩანდა და სათივე ვიწროზე ადიოდა თავის მოსაბმელად.

ამ დროს გიორგის თოხი მხარზედ გაედო და მოდიოდა.

– პეტრე, აი პეტრე! – დაუძახა შორიდამ თივის მდგმელს. – ბაღისაკენ გადახრილია ე თავი სათივისა; გვერდელად აგყავს, არ ივარგებს, გაასწორე.

– გიორგია. საიდამ იძახის? – იკითხა არჩილმა, რადგანაც იმ მხრივ, საიდამაც გიორგი მოდიოდა, არჩილს წინ ურემი ეფარა. ურმის გამო ვერც გიორგი დაინახავდა არჩილსა და კესოს, ვერც ესენი გიორგისა.

– საიდამ მოსდიხარ თოხით მხარზე? – ჰკითხა არჩილმა, როცა გიორგი ახლო მოვიდა და საღამო-მშვიდობისა უთხრა დაძმასა.

– წყალი გადმოვარდნილიყო ამ ჩვენ პატარა ბაღში წისქვილის რუიდამ და იმის გადასაგდებად ვიყავი.

– რას იძახოდი?

– არაფერს. ცოტა თანაბრად ვერ ადის ვიწროდამ თივა, ავდრის წყალს დაიგუბებს და გაფუჭდება. ის დავუძახე პეტრეს, გაასწორე-მეთქი.

– აბა, მაჩვენე.

არჩილი წამოდგა. გიორგი გაუძღვა და მეორე მხრიდამ შეახედა.

– მართალი ხარ, – უთხრა გიორგის არჩილმა, – პეტრე! გიორგი მართალს ამბობს, თავი ვერ ედგმის კარგად.

პეტრემ შუა სარზედ ჩამობმულს წნელს მოჰკიდა ხელი და ეგრე ხელმომაგრებულმა გარშემო შემოუარა და ჩახედ-ჩამოხედა სიმრგვლივ სათივეს.

– აკი ღმერთი არ გამწყრომია! – დაიძახა პეტრემ. – გასწორება უნდა. მოდი, თუ ღმერთი გწამს, გიორგი, ერთი ამომეშველე, გავასწოროთ, თორემ მე მარტოკა დღეს მაგას ვეღარ მოვასწრებ და საქმის სახვალიოდ დაგდება კი მეზარება.

– კაცოდა ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა მაგ ვიწროზედ? – ასძახა გიორგიმ.

– მაშ, ნუ დამზარდები, შენის ღმერთის გულისათვის: მე ჩამოვალ და შენ ამოდი. მე მკლავებიდამ მოვწყდი, შენ შესვენებული ხარ, მალე გაასწორებ. აბა, თუ ბიჭი ხარ, მადლს იზამ და მარილს მოაყრი.

– იცი კი დადგმა თივისა? – ჰკითხა კესომ ამჟამად აქ მოსულმა. – ამბობენ, მაგას ცოდნა უნდაო.

– ხელობა რა არის, ქალბატონო, – შეჰღიმა გიორგიმ, – განა სად გავიზარდე!..

– მაშ აბა! – უთხრა არჩილმა, – ეს ბურთი და ეს მოედანი.

პეტრემ წაავლო სარზედ გამობმულს წნელს ხელი, ჩამოცურდა და ფეხი ძლივს მოაწვდინა საძნე ურმის ჭალებამდე ფეხის მოსაკიდებლად. როგორც იყო ჩამოვიდა, მივიდა, გიორგის მხარზედ ხელი დაჰკრა და ტკბილის გულით უთხრა: ჩემს კისერზედ იყოს, ჩემო გიორგი! არ დაგეკარგება, სხვა არა იყოს-რა, მამიშენის ხნის კაცი ვარ. ეჰ, შვილო და ძმაო, კაცი რომ დაჰბერდება, შვილდი უნდა ძირს დასდოს.

– რადაო? – ჰკითხა გიორგიმ.

– მათაო, ჩემო კარგო, რომ ბერკაცს თვალიც ატყუებს და ხელიც ჰღალატობს, ის ქარი აღარა აქვს, რაც ახალგაზრდას. შენს ხანში ხელს არ მოვიტეხდი, რომ ეს ამბავი მომსვლოდა?

– ახალსა ნამუდრაგალსა ბერის სჯობია ჩანჩალიო, გულს ნუ გაიტეხ.

– გაცოცხლა ღმერთმა, თქმაც იცი და კეთებაც.

გიორგიმ ეს უკანასკნელი სიტყვები ვეღარ გაიგონა, მაშინვე ავარდა ურემზედ, ორთითით მოიწვდინა თივაზე სარტყელსავით ჩამოკიდებული წნელი და თვალის დახამხამების უმალ სათივეს ზედ თავზედ მოექცა. მიშალ-მოშალა, ჩამოჰყარა ძირს თივა, დაადაბლა სათივე და, რაკი ჰნახა, – აქედამ ეხლა სწორედ ავაო, დაიწყო დგმა. მინამ დიდი ბინდი მოეფინებოდა ქვეყანას, გიორგიმ თავისი საქმე გაათავა.

– ცეცხლია, სწორედ ცეცხლი, ე დალოც-

ვილისშვილი! – ეუბნებოდა არჩილს გულმართალი პეტრე, როცა ქვევიდამ შესცქეროდა გამალებულს მუშაობას გიორგისას.

– მართლა კარგი რამ არის, – კვერი დაუკრა არჩილმა.

– კარგიო!.. ბადალი არა ჰყავს, ბადალი ამ სოფელში!.. გიორგიმ რომ გაათავა, გადმოსძახა პეტრეს:

– აბა, პეტრე, ერთი შენებურად დაუარე სიმრგვლივ, კარგად შემოკვერცხლილია, თუ არა?

პეტრემ აუარ-ჩაუარა სათივეს და ასძახა:

– კარგია, კარგი. ჩამოდი, მაგას სხვა არა უნდარა.

გიორგიმ წაავლო ხელი წნელს, ფეხები თივას მიაბჯინა, დასჭიმა წნელი და დაიწყო ჩამოცოცვა სათივიდამ. შუამდე მივიდა თუ არა, უეცრად გაუწყდა წნელი... გიორგი პირაღმა გადმოქცეული, წამოვიდა მაღლიდამ და ურმის ჭალას ზედ დაეგო ზურგითა. ჭალამ ვერ გაუძლო, გადატყდა, მაგრამ ზურგის ძვალი კი შეუნგრია.

არჩილი, კესო, ხალხი მისცვივდნენ და გიორგი ცოცხალმკვდარი ნახეს დედამიწაზედ პირქვე დამხობილი, სისხლი შადრევანსავით სცემდა...

არჩილი მაშინვე მუხლის კვერებზედ დაეცა გიორგის წინ და სცდილობდა, წყლული შეეხვია. ზოგი არჩილმა, ზოგი სხვებმა, როგორც იყო, წყლული შეუხვიეს და, ცოტა არ იყოს სისხლის დენამ უკლო.

ცოცხალმკვდარი გიორგი და გულშემოყრილი კესო ცალ-ცალკე შეიტანეს ხელით სახლში.

– აი, ღვთის წყრომა!.. რა შეგცოდე, ღმერთო, რომ მე გამხადე საბაბი!.. – უნებურად წამოიძახა პეტრემ და ატირდა.

– ხიფათი რომ იქნება, იქნება, – ანუგეშა ვიღაცამ პეტრე, – ალბად, ეგ წერებულა მაგის შუბლზედ!.. – შენი რა ბრალია?!.

XVII

ზარი

არჩილმა თავის ოთახში აატანინა გიორგი და თავის ლოგინზედ დააწვენინა. მაშინვე კაცი აფრინა მკურნალის მოსაყვანად მახლობელ ქალაქიდამ. ორი-სამი კაცი კიდევ სხვა გაჰგზავნა სხვადასხვა სოფლებში, რომ შინაური ჯარა-ექიმებიც მოეწვიათ, ვინც კი გამოჩენილი იყო და შინაკაცებმა დაუსახელეს.

თვითონ იმავ სოფელშიაც იყო ერთი სახელგანთქმული ჯარა-ექიმი – ოფოფაანთ დემეტრე. ისიც დაიბარეს და ნახევარ საათსაც არ გაუვლია, დემეტრე ჩამოვიდა.

გასინჯა დემეტრემ გიორგი. კარგა ხანს სინჯა, კარგა ხანს იქნია თავი და ბოლოს უთხრა არჩილს:

– არა, ბატონო!.. მე მაგას ხელს ვერ მოვკიდებ. ეგ ამ ქვეყნისა აღარ არის. მაგისი წერა ეგა ყოფილა...

– ერთი სცადე... თუ ღმერთი გწამს, ხელი დაადე... რაც გინდა მთხოვე და მაგის ცოდოს კი ნუ დაატრიალებ ჩემს სახლში, ჩემს თავზედ!..

ეხვეწებოდა, ევედრებოდა არჩილი, რომელიც იმ უბედურის წამიდან აღარ მოშორებია გიორგის: გიორგის ლოგინთან დაჩოქილიყო, მომაკვდავის ცივი ხელი თავის ხელისგულზედ დაედო და თვითონაც არ იცოდა, რისთვის უზელავდა ხელით ხელსა.

– ტყუილი წვალება-ღა იქნება უბედურისა. სჯობია, უწვალებლად მიაბაროს სული, – მიუგო დემეტრემ. – ამაღამ, დიდი საქმეა, თუ გაატანა: შიგანური სულ შენგრეული აქვს.

– მერე ცოდო არ არის ამისთანა ბიჭი მოკვდეს!.. – წამოიძახა გულამოჯდომოთ არჩილმა და თავი ჩაჰკიდა დიდის მწუხარებით.

– ჰაი, ჰაი რომ ცოდოა!.. – დაიღმუილა ვიღაცამ ტირილის ხმით.

ყველამ იქით მიიხედა, საიდამაც ეს ხმა მოვიდა და ბნელს კუთხეში არჩილის მეწისქვილე კი დაინახეს. ამ ბერიკაცს შეეტყო ეს ამბავი, მოვარდნილიყო, შეპარულიყო ოთახში, საცა გიორგი ესვენა და ბნელ კუთხეში მობუზული ქვითქვითებდა ჩუმად, თითქო ეშინიან, არავინ გამიგოსო...

– არ გებრალები, ჩემო სოსიავ, რომ ასეთი ცოდვა დატრიალდა ჩვენს ოჯახში!.. – შესჩივლა არჩილმა მეწისქვილეს, რაკი ნაღველის მოზიარე იგულვა, თითქო ამით ნაღვლის განქარვებას ჰლამისო.

– ოღონდაც, ბატონო, ოღონდაც!.. – წაიქვითინა ეხლა კი ხმამაღლა მეწისქვილემ, რაკი გული ველარ შეიმაგრა... – ვაი მაგის დედის ბრალი, ვაი!

მარტო ეხლა მეწისქვილის ხსენებამ მოაგონა არჩილს ოთარაანთ ქვრივი. ამ ვაივაგლახში აღარავის მოგონებია, შვილის ამბავი დედისათვისაც შეეტყობინებინათ.

ოთარაანთ ქვრივმა ჯერ არა იცოდა-რა.

არჩილი მეტად შესწუხდა, არ იცოდა, რა გზით და როგორ გაემჟღავნებინა დედისათვის. ამის ფიქრსა და წუხილში იყო, რომ გიჟსავით გაფეთებული შემოვარდა კესო, უკვე მოსულიერებული. კესოს ცოცხალის ფერი არ ედო.

– როგორ არის, არჩილ, როგორ? – ჰკითხა აჩქარებით ძმასა და მაშინვე გიორგის ლოგინთან მიიჭრა.

– შენი მტერიმც ნუ ყოფილა ასე!.. – ძლივ-ძლივ წაიდუდუნა ძმამ.

კესომ დაჰხედა გიორგის. გიორგი გვერდზედ დაეწვინათ, ასე რომ პირისახე კესოსაკენა ჰქონდა. კესომ ნახა, რომ ეს ბრგე ყმაწვილი კაცი ძლივსღა ჰფეთქავს... კესოს მტკივნეულად შეეკეცა შუბლი... მიიფარა ორივე ხელი ორსავ თვალზედ და, თითქო მოგუბებული ცრემლი უკუვ უნდა აქციოსო, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ჭმუჭვნა და სრესა დაუწყო თვალებსა ხელებჩამოუღებლივ.

– კესო, ნუ შევატყობინებთ დედასა? – ჰკითხა ძმამა.

– როგორ თუ ნუ? შვილი მოვუკალით და არც კი ვატყობინებთ, რომ სულთმობრძავს მაინც მოუსწროს, სული დედის კალთაში მაინც დაჰლიოს... – მოსთქვამდა ქვითინით კესო.

– მე აღარა მესმის-რა, – უთხრა ძმამა, – ამ საცოდავობამ გამაშტერა. აღარც ჭკუა მერჩის, აღარც ხელ-ფეხი!.. დაბნეული ვარ.

გაჰგზავნეს დედასთან ბიჭი. მალე მოვიდა ოთარაანთ ქვრივი. თუმცა ფეხაჩქარებით, მაგრამ ისე გულდინჯად შევიდა გიორგის ოთახში, თითქო შენათვალი არაფრად შეუმჩნევია და აინუნშიაც არა მოსდის-რაო. მარტო სახე თითქო უფრო ჩამოსჭკნობოდა, წარბებ შუა შუბლი ორსამ კეცად ჩაჰნაოჭებოდა და ზაფრანის ფერი ედო.

იმასთან გაგზავნილი ბიჭი კი გოგო-ბიჭებში ლაპარაკობდა, რომ შენათვალი ვუთხარი თუ არა, ეს ვეება დედაკაცი კინაღამ თავზე არ წამომექცაო.

– რა გატირებს, ჩემო კარგო!.. – უთხრა გზადაგზა გიორგისკენ მიმავალმა დედამ მტირალს კესოს. – განა სატირლადაც გაჰხდა საქმე!..

ხმა არავინ გასცა რიდისა და კრძალვისაგან. ზარი დიდი იყო!..

ოთარაანთ ქვრივი მივიდა შვილის ლოგინთან და რა დაჰხედა ცოცხალმკვდარს შვილს, ერთი საშინელი შემოიკრა თავში ხელი და იქავ მუხლი მოეჭრა და ჩაიჩოქა.

ხმაგაკმენდილს ოთახში ენა ველარავინ დასძრა, ასოც ველარავინ შეატოკა. მარტო ერთადერთის სანთლის ალი ჰთრთოდა ლოგინის თავში, სხვა ყველა სულიერნი თითქო გაქვავდნენ, თითქო მარილის სვეტებად გადაიქცნენო.

დადუმდა, შეჰდგა ყველა და მარტო დედაშვილობის საცოდავობაღა თავის დიდებულის ზარით ჰღაღადებდა უთქმელად, უტყვად, ხმაამოუღებლად.

ამას მარტო თვალი გულისაღა თუ ჰხედავდა და ყური გულისაღა თუ ისმენდა!.. ხორციელი სმენა, ხორციელი ხედვა ამისათვის უღონოა.

XVIII

უკანასკნელი განდობა

– მღვდელი, ღვთის გულისათვის, მღვდელი!.. – დაიკვნესა პატარა ხანს უკან დედამ, რა ცოტა გულს მოეშვა და დაბნეული გონება მოიკრიბა.

მოიყვანეს მღვდელი და შვილი უზიარეს!..

მანამ ეს მოხდებოდა, ოთარაანთ ქვრივი თითქო ღონეზედ მოვიდა. ჯერ ხომ გულმა გასტეხა, მერე თვითონ მოერია გულსა, თვითონ გაიტეხინა გული. როგორც ტყვიანაკრავი ვაჟკაცი, ისე გაუძალიანდა, გაუკერპდა, გაუჯიქდა ტკივილსა და წვა-დაგვას.

ოთარაანთ ქვრივმა ერთს მუხლზედ წამოიჩოქა, გადააწვდინა ხელი, გადაჰხადა

საბანი და გულზე ხელი მოუსვა ხმაჩაკმენდილს და თვალებდახუჭულს შვილსა.

დედის გულთამხილავმა გულმა პირველშივე შეიტყო, რომ აქ საშველი აღარა არისრა და შვილს სიკვდილი ხელიდამ აცლის. აღარაფერი იკითხა, აღარაფერი იძია... იმედგადაწყვეტილი მარტო იმას ღა ეშურებოდა, ისე არ მომიკვდეს, რომ ხმა არ გამცეს, არა მითხრას-რაო.

– შვილო, გიორგი! აბა ერთი მომხედე შენს დედას!.. რა დაგემართა!.. ვაჟკაცი რამ გძლია ისე, რომ დედისათვისაც თვალს არ ახელ!..

შვილმა იგრძნო დედის ხელი თავის გულზედ, თუ ხმამ დედისამ გამოაბრუნა, – ეს კი იყო, რომ თვალი გაახილა და უღონოდ მოატარა გარშემო. მალე ისევ მილულა თვალი, ისევ დაეხუჭა და ტუჩებს-ღა დაუწყო ტოკვა.

– თქმა უნდა და ილაჯი აღარა აქვს... – დაიკვნესა დედამ.

ამის თქმაზედ ორი სხვილი ცრემლი ჩამოუგორდა თვალთაგან და გაფითრებულ ლოყებზედ ნავალი დააჩნია, თითქო მდუღარე ტყვია იყო და საცა გაიარა, ამოსწვაო.

სახე კი... არ უტიროდა, არა!..

გაკერპებულმა დედამ სახეს არ ამოაბეჭდვინა მწვავი ტკივილი გულისა. ძალისძალად გაყინული ცრემლი კი დაადნო ცეცხლმოკიდებულმა გულმა და ძალისძალადვე შეუპოვრად შეკრულს სახეს ერთი ძარღვიც ვერ შეუშალა. იმედგადაწყვეტილობის სუსხმა ისევ გაჰყინა ეს დამდნარი დედაკაცი.

– წყა... – წამოიხრიალა გიორგიმ და ვერ დაათავა სიტყვა.

წყალი, წყალი! – დაიძახა რამდენმამე ხმამ ერთად.

დემეტრემ ურჩია, ღვინო მიაწოდეთ, ცოტად მოაღონიერებსო.

– შვილო, დედისერთავ, მამის ობოლო! ერთი ხმა გამე, ერთი კიდევ მომხედე!.. – შეჰკვნესა დედამ და ტუჩებთან მიუტანა პატარა თასით ღვინო.

გიორგიმ ორიოდე წვეთი ჩაჰყლაპა და თითქო მოსულიერდა, თვალი ხელახლად აახილა, წყნარად მიატარ-მოატარა და უეცრად გაუშტერდა.

დედამ შვილის თვალის სისწვრივად გაჰხედა და დაინახა მტირალი კესო...

– დედი! ჰხედავ... ამ... ანგელოზს!.. – ძლივძლივობით გამოსთქვა გიორგიმ, ისევ კესოზედ თვალგაჩერებულმა.

– ვხედავ, შვილო!..

– დედი! ღვინო...

დედამ კიდევ დაალევინა ღვინო.

– ეგ იყო ჩემი ბედისწერა... არა ვნანობ... არა! – კვლავ მიუბრუნდა გიორგი გაწყვეტილს სიტყვას.

არჩილმა გაოცებით შეჰხედა კესოს. კესოსაც ელდა ეცა, გაფითრდა, გაშრა, გაშტერდა. დედას კი თითქო არ ეუცხოვა ეს ამბავი.

არც არჩილმა, არც კესომ, არავინ, არავინ არ გაჰბედა ამისთანა ზარიანს დროს ხმა ამოეღო. ყველა სმენად გადიქცა.

– აი, ნეტავი ერთი შენს კალთას მაინც მამთხვევინა და ისე მომკლა!.. – ინატრა გიორგიმ და იმისმა თვალმა, კესოზედ მიქცეულმა, უფრო სთქვა ხვეწნა და ვედრება, ვიდრე ენამ და ხმამ.

კესო ტირილით მივარდა და თვალცრემლიანმა შუბლზედ აკოცა გიორგის... თავი რომ აიღო, ცრემლი მოსწყდა და მომაკვდავს გულზედ დაეცა. ამ პატარა უეცარმა ცრემლმა ერთხანად შესძრა გიორგი და შეაჟრჟოლა. ეს ცრემლი თითქო უკვდავების წყაროდ ებკურა, იამა, გაუხარდა, მოსულიერდა, თითქო მიმავალი სიცოცხლე უკანვე დაუბრუნდაო.

ამისთანა დროს სიხარული, ბედნიერება იგივ სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი.

– ჰხედავ, დედი!.. ცოცხალი მაგის ღიმს ვერ ვეღირსე, ვკვდები და მაგისი ცრემლი ზედ დამდის. ესეც მეყოფა თან წასატან ლხენად... არა ვნანობ, არა!.. მივდივარ და თან მიმაქვს ამის ცრემლით განედლებული სიხარული. იქ ვახეირებ, იქ... ნუ იწუხებ, დედი!.. შენგან გამიგონია, რასაც არა ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოსო!.. არჩილ, ნუ მიწყენ, ნუ!.. ნურც შენ, ნურც შენ!.. განა არ ვიცოდი, – მე ვინ და შენ ვინ!.. სად მოგწვდებოდი ცაში ვარსკვლავს... გული გწვდებოდა, გული, ხელი კი ვეღარ... ხატსავით გლოცულობდი, მზე-

სავით დამნათოდი... არც კი იცოდი, – ვის ათბობ, ვის ალხენ, ვის აცოცხლებ!.. მინამ ცოცხალი ვიყავ, ვერ გაგიტყდი, მრცხვენოდა... მერიდებოდა... მეშინოდა... ვკვდები და გეუბნები... მკვდარს რაღა მომეკითხება? მკვდარი ყველა თანაბარია!.. თავი ულონოდ მოსწყდა ბალიშზედ, თვალი ისევ მიელულა, სულმა ბრძოლა დაუწყო და

მარტო ხელსღა აფათურებდა უძლურად, თითქო ვიღასაც ეძებს და იმისი პოვნა უნდაო. პატარა ხანი კიდევ და გიორგი აღარ იყო.

– გაჰთავდა!.. – დაიკივლა დედამ და ზედ გადაეშვა მკვდარს შვილსა. პირქვე დაემხო შვილის გულზედ. აღარც ხმა, აღარც კრინტი!.. კაცს ეგონებოდა, დედამ შვილის გულზედ სული დაჰლიაო.

ცოტა ხანს მოუცადეს, ვითომ გულზედ მოეშოსო, მაგრამ რაკი ჰნახეს, რომ ეს დედაკაცი არც ხმას იღებს, არც იძვრის, ფიქრი მიეცათ, – ხომ არა აუტყდა-რაო.

კესო მივიდა და ჰლამობდა აყენებას. ოთარაანთ ქვრივმა მაშინ-ღა მოსცა ხმა.

– თქვენი ჭირიმე, მარტო მამყოფეთ ჩემ მკვდარ შვილთან. მე არა მიშავს-რა. იმისთანა ვარსკვლავზედა ვარ გაჩენილი... მე ბედშავი... ვაი, რომ არა მიშავს-რა!..

არჩილმა ყველას აქ მოგროვილს მოახლე-მოსამსახურეებს ჩუმად ხელით ანიშნა ოთახიდამ გასვლა. ყველანი გაიკრიბნენ. არჩილი და კესოც ფეხაკრებით გავიდნენ, მხოლოდ მოახლეს უბრძანეს მეორე ოთახიდამ ყური ეგდო ოთარაანთ ქვრივისათვის.

დაცარიელდა ოთახი.

ეხლა კი წაიშინა თავში ხელი ოთარაანთ ქვრივმა, რაკი მარტო იგულა თავი.

– ჩემი გიორგი აღარ არის, არა!.. – ჰღმუოდა ხმადაბლა დედა. – მე დავრჩი, მე, და გიორგი კი აღარ არის!.. შვილო, წამიხველ? მომიკვდი? წამიხველ, წამიხველ და აღარ მომიხვალ!.. შვილო, შენი დასამარხავი ვიყავ და მე გმარხავ შენა, მე!.. შენი დასატირებელი ვიყავ და მე დაგტირი!.. ამ ხელებმა გაგზარდა და ამ ხელებმავე უნდა მიწა მოგაყაროს!? მაგ ხელებს უნდა დაეკრიბნა ჩემთვის გულზე ხელები და ეხლა მე უნდა დაგიკრიბო, მე!.. ვაი დედას, ამის დამსწრეს!..

პირქვე დაეცა ხელახლად შვილის გაცივებულს გულს და ტირილი კი არა, მარტო ქვითქვითით გოდებაღა ისმოდა.

– ვუი, ვუი, ვუი!.. – გაისმა ოთახში ბღავილსავით ვიღაცის ტირილის ხმა. ოთარაანთ ქვრივმა იუცხოვა და თვალი წყრომით მოატარა ოთახში.

ერთადერთი სანთელი ბევრს არას ანათებდა ფართო ოთახში და ნამეტნავად ერთს კუთხეში ბნელოდა. აქ მობუზული კაცი დაინახა ოთარაანთ ქვრივმა.

თავის უნებური კაცი ჰნახა თუ არა, გულჩვილი დედა უცბად ისევ მჭახე ოთარაანთ ქვრივად გადაიქცა.

– შენ ვიღას მეტიჩარა ხარ? – შეჰყვირა ოთარაანთ ქვრივმა გაჯავრებით.

– შენს საცოდავობას ვეღარ გავუძელ, ტირილი ყელთ მომებჯინა და, არც მე მინდოდა, ტირილი წამსკდა და ძროხასავით ბღავილს მოვყევ ეს ოხერტიალი...

– მერე აქ რას უგდიხარ?

– მარტოდ შემეცოდე, ვთქვი – უცხო სახლია, ესეც ადამიანია, წყალს მაინც მივაწვდი-მეთქი.

– ვინა ხარ?

– სოსია.

– ვინ სოსია?

– თუ გაგონდები, კარგია, თუ არადა, მაინც ღმერთმა გილხინოს, თუ შვილის მერმედ კიდევ რამ სალხენი დაგრჩენია ამ წუთისოფელში.

– რატომ არ დამრჩენია? სიკვდილის მოლოდინი ლხენა თუ არა გგონია!..

ბებერი მეწისქვილე, როცა ყველანი გავიდნენ, სხვებს არ გაჰყოლოდა და აქ ბნელს კუთხეში ქურდულად მიმალულიყო, წინანდებურად მობუზული.

– წადი, აქ შენ ადგილი არა გაქვს, – უთხრა ოთარაანთ ქვრივმა, – მარტო მინდა ვიყო...

– შენი ნებაა, წავალ და კარებს უკან ძაღლსავით მივეგდები. თუ რამ დაგჭირდეს, დამიძახე.

– კარგი, მომშორდი!

XIX

ჩატეხილი ხიდი

დიდის ყოფითა და ამბით დაამარხვინა არჩილმა გიორგი. მთელი ახლომახლო სამღვდელოება, ახლომახლო სოფლები მოიწვია მიცვალებულის „გასაპატიოსნებლად“ და ამისთვის არა ხარჯი არ დაჰზოგა. ისე დაჰმარხა, თითქო იმის სახლისკაცი, იმის ოჯახისშვილი ჰყოფილიყო.

სახლიდამ ეკლესიამდე და მერე ეკლესიიდამ სასაფლაომდე კუბო ეჭირა არჩილს და გლეხკაცებთან ერთად ეწევოდა, ასე რომ არავის გამეცვლევინა.

კესო მძიმე შავებში ჭირისუფალსავით გულხელდაკრებილი და მგლოვიარედ თავჩაკიდებული ხმაამოუღებლივ მიჰყვა მიცვალებულს სასაფლაომდე. როცა კუბო სამარეში ჩაუშვეს, მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა და ხმაგაკმენდილი ჰლოცულობდა. ბოლოს, ერთი პეშვი მიწა მიაყარა და უცბად წამოდგა, გამოტრიალდა, თითქო შეაშინა რაღაცამაო.

– დახე, სტირის!.. – სთქვა ერთმა იქ მდგომელმა დედაკაცმა.

– სიყვარული ძნელია! – უპასუხა მეორემ. – გაიგებდი, ერთმანეთი ჰყვარებიათ.

– საწყალი, ცრემლსა ჰმალავს, თითქო სცხვენიანო.

– რა სირცხვილია, – გაიბა დედაკაცობაში ლაპარაკი, – ის კი ადამიანი არ იყო?! ლამაზი გოგო და ლამაზი ბიჭი – სხვა რა უნდა სიყვარულს?

გლეხკაცობამ ზოგმა მოუწონა და-ძმას ამისთანა თავმდაბლობა და „გაპატიოსნება“ მიცვალებულისა. ზოგი კი იძახდა:

– კაცი მოიდნეს და ქვეყანას ამით უბმენ თვალსაო.

იქნება ეგრეც იყო. ეს კია: სხვის გულში მართალი ადვილი საპოვნელი არ არის. განა არა, – არჩილს ამ სიტყვებისათვის სადღაც და როგორღაც ყური მოეკრა და როცა კესომაც შეიტყო და აპილპილდა, – ეს რა დაგვწამესო, არჩილმა უთხრა:

– ნუ გიკვირს.

– რატომ არ უნდა მიკვირდეს! ჩვენ წმინდა გულით ჩვენი ვალი გადავიხადეთ და იმათ ჩირქი მოგვცხეს.

– საკვირველი ის იქნებოდა, რომ ეგ არ ეთქვათ. ისინი თავის მხრით მართალნი არიან. ჩვენ-შუა ხიდია ჩატეხილი: ისინი იქით ნაპირას დაჰრჩნენ, ჩვენ აქეთ. შორი-შორსა ვართ და თვალი ერთმანეთისათვის ველარ მიგვიწვდენია, თვალი მართალი და უტყუარი. რად უნდა გვიკვირდეს, რომ იმ სიშორეზედ კაცს კაცი მარგილად ჰგონია და ღვთის მსგავსებით შექმნილი სახე ადამიანისა ელანდება, როგორც ერთი ტყლაპი რამ. ამ დიდ მანძილზედ განა ცოტა რამ არის, რომ უღონო თვალს თეთრი შავად აჩვენოს? ჩვენ კიდევ ხედვა გაძლიერებული გვაქვს, დურბინდით შეგვიძლიან ყურება და ეგ დურბინდი სწავლაა და ცოდნა, ისინი მაგასაც მოკლებულნი არიან.

– მაშ, მადლი მადლად, კეთილი კეთილად აღარ უნდა გადიოდეს იმათში?

– ჩვენი მადლი, ჩვენი კეთილი არა სწამთ, არა სჯერათ. ერთიც და მეორეც ჩვენგან უკვირთ, ეუცხოვებათ. რადა და რისთვისაო? იკითხავენ ხოლმე. კეთილისათვის? რად მიზამს კეთილსაო, ჩემო რაოვო? და აი, სწორედ აქ არიან მართალნი. მართლადა, ჩემო რაოვო? ჩვენ ვინ და ისინი ვინ! ორი სხვადასხვა ქვეყანაა. შორიშორსა ვართ-მეთქი... იმათს ჭირსა და ლხინს ცალკე ღობე ავლია, ჩვენსას – ცალკე. გული გულს ველარ მიგვიკარებია, ველარ მოგვიხვედრებია, და რად უნდა გვიკვირდეს, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმისრა. აბა ერთი მითხარ: რა დადის ეხლა ჩვენ შუა? მარტო ერთი პტყელი ენა მწიგნობარისა, – მე ჩვენისთანა კაცს მწიგნობარს ვეძახი, – მარტო პტყელი ენა-მეთქი მწიგნობარისა და ხარბი ხელი გაუმაძღარისა. ამისთანა მოციქულები აბა კარგს რას დაგვაყრიდნენ!

– მაშ, გული ქვეყანაზედ აღარ არის!.. მოჰკვდა, გამოეცალა ადამიანს...

– გული... გული, ესე იგი, ის მადლი, რაც ენას და ხელს უნდა ასაქმებდეს, მართლა რომ აღარ არის, ან არის და დამუნჯებულია, დაყრუებულია, თითქო იმათაც და ჩვენც მოგვკვდომოდეს, თუ მართლა არა, ერთი ნახევარი მაინც. ამ ცალთვალა და ცალყურა ნახევრით-ღა ვცხოვრობთ და ვკითხულობთ ერთმანეთს. აქ ცდომა უეჭ-

ველია, იმიტომ რომ სწორედ ის თვალია დახუჭვილი, ის ყურია დახშული, რომელიც სჭრის სხვის ხედვად, სხვის სმენად. გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა იყვნენ, რომ მადლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი არ არის, ან შემწირველი, მადლიც არ არის, მაშასადამე, გულიცა. თუ ორნი არ არიან, გულმა რისთვის ამოციქულს ან ენა, ან თვალი, ან ყური. თავის თავთან მოციქული საჭირო არ არის, მოციქული სხვასთან უნდა. უსხვისოდ ერთის გული მარტო პარკია, სისხლის აღებ-მიმცემი აგებულებისათვის. სად არის ის სხვა? წყალგაღმაა, შორს... შორს... მაშ, რაღად გვიკვირს, რომ იქიდამ ვეღარა გვხედვენ, ჩვენი აღარა სჯერათ-რა... კეთილიც კი. მაგ ჯერვამ თვალი რას მოაბას, ფეხი სად მოიკიდოს? მკვდარს გულში? შეუძლებელია.

– ეგ, ჩემო საყვარელო, ძველი მოთხრობაა ახლად ნაამბობი: აქაოდა გლეხია, ყოველთვის მართალი უნდა იყოს.

– მაგ სულელობას რადა მწამებ, ჩემო კარგო? მე გლეხკაცს გუშინდელ ბალღსავით კი არ შევხარი, – ანგელოზია-მეთქი, მე ვსინჯავ, მე ვჩხრეკავ და, როგორც ჭკვადამჯდარი მგლოვიარე, დავტირი ჩემს დაკარგულს ნახევარსა. ის ჩემგან მოკვეთილი ნახევარია, მე იმისგან. მე დაკარგული მენანება, მებრალება და არა მემართლება კი. გლეხი უწმინდურია თავისი ტყაპუჭით კი არა, ზოგჯერ თავისი გულითაც. ესეც ვიცი, მაგრამ ჩვენ კი უკეთესნი ვართ? ამ წმინდა და უმტვერო თოვლსავით სპეტაკს პერანგქვეშ განა ჩვენ იმაზედ მეტნი ვართ? ისინი მენანებიან, მებრალებიან-მეთქი, მე კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება. არა, ნახევარ კაცად, ნახევარ გულით ცხოვრება სიკვდილია, კვდომაა...

– კვდომა ხრწნაა და ხრწნას მარტო ჩირქი სდის. ეს თუ უნდა გეთქვა.

– შენ დამასწარ, მაგრამ ორ ტოტად კი. ერთი ტოტი – ჩვენი მკვდარის ნახევრისაა და ნუ გიკვირს, რომ ერთმანეთს უჩირქოდ ვერ გადვურჩებით, როცა ერთმანეთს მოვხვდებით ხოლმე. კარგს ვიზამთ რასმე და ერთმანეთს მკვდარის ნახევრით გულს ვუჩხრეკთ. ამიტომაც კარგის მქმნელი, – იმათია თუ ჩვენი, – ან სულელი გვგონია, ან მატყუარა. მკვდარი ცოცხალს ვერ დაინახავს, ვერ გაიკითხავს ცოცხლურად...

– მაშ, წასულია ჩვენი საქმე, თუ მართლა ეგრეა!

– ვინ გითხრა? ჩვენისთანისა – იქნება ჰო, მაგრამ იმათი კი არა.

– არ მესმის. აკი ორივენი, – ჩვენცა და ისინიც, – ერთნაირად მკვდარნი ვართ, შენის სიტყვით.

– ეგრეა, მაგრამ შენ ის ცოცხალი ნახევარი გავიწყდება, რომელიც შერჩენილი გვაქვს. განსხვავება აქ არის. ჩვენ რაცა ვართ, გაკეთებულნი ვართ, ისინი კი – შექმნილნი. ჩვენ დაბლანდულნი ვართ, ისინი კი გვირისტით შეკერილნი, იმ გვირისტით, რომელიც მარტო ბუნებამ იცის და ბუნება ხომ იცი, რა ოსტატია. ისინი ჩაკირულნი არინ, ჩვენ – დონდლონი, დუნენი. აბა, იმათს სიმღერას უყურე: ერთი გრძელი კვნესაა და მაინც სიმღერას ეძახიან. ჩვენი სიმღერა კვნესა არ არის და მაინც ლხენა ვერ დაგვირქმევია. გახსოვს, რა გვითხრა პაატამ, როცა ჩვენთან ქალაქში ჩამოვიდა იმ საშინელს თოვლჭყაპში სამის მანეთის სათხოვნელად და მე გავეხუმრე:

– ბიჭო, სამის მანეთისათვის ამ სიშორედ როგორ წამოხვედი-მეთქი ამ ვაი-ვაგლახში – „აი, ბატონოო, თქვენ რა იცით, ხურმა რა ხილიაო, – მითხრა უზრდელობით და არა წყენისათვის: – აქედამ რომ მივალ, ნაჯაფევი, გზისაგან გალახული, თოვლჭყაპისაგან გაწუწულ-გალაფული და ჩემს დაძონძებულ საბანში ცახცახით გავეხვევი და მივეგდები – რა ტკბილად დამეძინებაო, თქვენ ისე თავის დღეში ვერ დაიძინებთო“. იმათთვის ძილი მართალი მოსვენებაა, მართალი აღდგენა დახარჯულის ღონისა, ჩვენთვის კი ნებიერობაა, ღონის გასიებაა, დამძიმებაა, წყალმანკია, იმიტომ, რომ ჩვენი ღვიძილიც ძილია. იმათი ცოცხალი ნახევარი, ავად თუ კარგად, მაინც ჰსაქმობს,

და ჩვენი კი უქმია. საქმეა სიცოცხლე... ეს არის იმათი კარგი და ამითი გვჯობიან...

– ნადირი კი არ დაძრწის დილიდამ საღამომდე საჭმლის საშოვნელად. ჰშიან და, რომ ამისათვის ხელ-ფეხსა სძრავს, საქებ-სადიდებელია?! ადამიანს ადამიანობა უნდა ემჩნევოდეს. აქ არის თავი და ბოლო ქება-დიდებისა. მაგით რა უნდა სთქვა?

– ის, რომ ადამიანობით ისინი ჩვენზედ უარესნი არიან. გლეხკაცისთანა ხარბს, გლეხკაცისთანა გაუტანელს, გლეხკაცისთანა შეუბრალებელს და უმადურს ძნელად თუ ჰნახავ სადმე, მაშინაც კი, როცა თავის მოძმე გლეხს ვიწროში მოატანს: დაარჩობს, მიწასთან გაასწორებს. სხვას ვიღა სჩივის... – მჯერა, თითო-ოროლა ეგეები მეც ჩემის თვალით მინახავს, ჩემის ყურით გამიგონია. მაგრამ ცხოვრება მაინც იმათშია: იქა ჰდუღს ძარღვებში მოარული სისხლი, იქა სცემს თვითონ სიცოცხლის ძარღვიცა. რაც სთქვი, ეგ ჭუჭყია, ქაფია მდუღარე ცხოვრებისა, თავზედ მოდგმული. ძირში კი წმინდაა. მაშ, რა სწნავს იმისთანა კაცურკაცს, როგორც გიორგი იყო, ან იმისთანა დედაკაცს, როგორც ოთარაანთ ქვრივია? მაგისთანა პური მარტო იმათს თორნეში-ღა ჰცხვება, ჩვენი თორნე კი მარტო ჩვენისთანა კუტ პურს აცხობს. დღესაც ვერ გამომირკვევია – რა მოგვეჩვენა გიორგის სახით?.. ჩვენ ხედვად და სმენადაც უღონონი ვართ და იქ კი... იქ კი რამოდენა ღონე ყოფილა შექმნისა... გიორგი...

– ნუღარ მომაგონებ! მე ჩემი მემართება, როცა ის უბედური მაგონდება.

XX
დასაწყისი განთიადისა

არჩილმა გასწყვიტა ლაპარაკი და წინა და უკან მოჰყვა სიარულს ოთახში. ვინ იცის, –კესო შეეცოდა, თუ დაიღალა, და სიარულით ქარის ამოღება მოინდომა. ხოლო პატარა ხანს შემდეგ შუა გზიდამ უეცრად მოუტრიალდა კესოს და უთხრა:

– არა, ჩემო საყვარელო დაო! ნუ მიწყენ კი და ეგრე ადვილად გზაასაქცევი, თავიდამ მოსაშორებელი არ არის გიორგის ამბავი. გახსოვს გრიგოლ ორბელიანი? რარიგად აგვიტაცა იმისმა სიტყვამ, როცა ვკითხულობდით:

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას“.

– ეგ აქ რა მოსატანია? – ჰკითხა კესომ.

არჩილი ჩაფიქრდა: გაუკვირდა მიუხვედრელობა კესოსი.

– შენი კითხვა მაკვირვებს, კესო!

– საკვირველი აქ არა არის-რა, – მიუგო კესომ და თავი ჩაჰღუნა, თითქო ეს დუნე პასუხი თვითონვე ეთაკილაო.

– მაშ, გიორგის შეირთავდი? – ჰკითხა უეცრად არჩილმა.

კესომ ეს უეცარი კითხვა იწყინა, თუ რა, დიდხანს პასუხი არ გასცა.

არჩილმა აცადა. გული კი აუფანცქალდა. ვინ იცის, რა უფრო ენატრებოდა: ჰო, თუ არა. არჩილმა ხელმეორედ ჰკითხა:

– შეირთავდი?

– არა.

– მეც ეგრე მოვიქცეოდი. გამოდის, რომ თუ არა გვარიშვილობას...

– ნუ იტყვი მაგას!.. – შეჰკივლა კესომ წყრომითა და თვალები დაუბრიალა.

– ნუ სჯავრობ, კესო! მართალს თვალი თვალში უნდა გაუყარო უშიშრად. მადლი მაგასა აქვს...

– არ მიყვარდა და იმიტომ.

– ჩვენი ვაიც მაგაშია. სჩანს ჩვენთვის წიგნი სხვა ყოფილა და საქმე სხვა. არ გიყვარდა იმავ მიზეზით, რა მიზეზითაც არ შეირთავდი: გლეხკაცი იყო. სად არის აქ „თაყვანისცემა ღირსებისა“, რომელიც ჩვენ ასე მოგვწონდა? წიგნშია და არა საქმეში, ენაზეა და არა გულში. აბა, გიორგის ამბავი წიგნში ამოგვეკითხნა, რა პტყელ-პტყელ ლაპარაკს მოვყვებოდით მე და შენ და ჯვართ ვაცვამდით, ვისაც კაცის საწყაოდ გვარიშვილობა მოუხმარია. „ღირსების თაყვანისცემას“ ვიღა სჩივის, შენ ვერც კი მიუხვდი სიყვარულს, კაცი თურმე თავს გევლებოდა. აი, რა დიდი კედელია ჩვენსა და იმათ შუა! ჩვენის სისხლხორცის ქვითკირია, ქვითკირი... ჩვენ რომ გვკითხონ, ვითომ დიდი ხანია, გადაგვიქცევია ეს მაგარი კედელი. მაგრამ რით? მარტო წიგნისაგან გაალმასებული ენითა. ენით ვაქცევთ და

გული კი ისევ ებღაუჭება, ისევ აშენებს, აგებს... ნახევარ-კაცნი ვართ და ვაი, რომ უკეთესი ნახევარი მოგვთლია...

– არჩილ, მეტისმეტია.

– მკვახედ, უფერ-უმარილოდ ლაპარაკს გულქვაობაში ნუ ჩამომართმევ, ჩემო კესო. სიცოცხლეში ხშირად არ მოგვევლინება იმისთანა რამ, რომ ჭკვა გვასწავლოს, თვალი აგვიხილოს. ხომ მიწასთან გასასწორებელნი ვიქნებოდით, თუ ჩვენისთანებს იმოდენა ღონეც არა აქვს, რომ თვალის ახილების ტკივილს გაუძლოს. ეს-ღა გვაკლია.

– მაშ სთქვი!.. თუმცა ტკივილითა სჭრი, მაგრამ ამებით ჰკერავ კიდეც. სთქვი!..

– იცი, რა იყო გიორგი!.. გიორგი მთელი წიგნი იყო, ხიდ-გაღმა დაწერილი. გიორგი წიგნია-მეთქი, მთელი წიგნი ცხოვრებისა, სულ სხვა ასოებით დაბეჭდილი. წინ გადაგვეშალა ეს წიგნი და ვერ წავიკითხეთ. რას არა ვკითხულობთ მე და შენ და ათასი ჩვენისთანა. მწიგნობრობით დღეს ვის არ მოაქვს თავი და მაგის ანბანი კი თურმე არა გვცოდნია. გიორგი ცოცხალი ხატია ღირსებისა. „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებსო“, ნათქვამია, და რამდენჯერ გვითქვამს მე და შენ, – რა კარგად და მართლად არის ნათქვამიო. წიგნში ეს დანახული გვაქვს, ენაზედაც ხომ გვაკერია და გვაკერია. ცხოვრებამ კი რომ ამისი ცოცხალი ხატი წინ დაგვიყენა, ვერ ვიცანით: თვალით ნახული ვერ დავინახეთ. არ შეირთავდი!.. ვის? „მშვენიერს სულსა“. არ გიყვარდა, ვინ? „თაყვანსაცემელი ღირსება“. არ გიყვარდა ის, ვისაც „ცის სხივით აცისკროვნებს მშვენიერება“ სულისა.

– სიყვარული ბრძანებით არ მოდის.

– განა მზე კი უბრძანებს ხოლმე ვარდს, გაიშალეო!.. აქ თავისთავად უნდა მოსულიყო, რომ, უკაცრაოდ, ბრმა გული არ დახვედროდა, გვარიშვილობის ცხრა კლიტით დაკეტილი. აბა შენი ტოლი კაცი ყოფილიყო და ვინ იცის, იქნება ბრძანებასაც გაეჭრა, სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი და მაინც, სხვა არ იყოს-რა, თუნდა ნაასალი მადლიც გიორგისა არ სცხებოდა. აქ კი გვარიშვილობამ კარი გულისა არ გაუღო. წმინდა შუქი მშვენიერის სულისა ამაოდ და უქმადღა ჯავარსავით ეფინებოდა ცივს კედელს. შენ ვერც კი მიუხვდი, ვერც!.. იმან კი იცოდა და არა სჩიოდა. „არა ვნანობო, არაო!..“ მოკვდა და ეს უწყინარი სიტყვები ჩვენ დაგვიდო ჩვენის თავის გასაკითხად.

– ნურც ეგრე გამასწორებ მიწასთან!.. – მეყოფა!.. – უთხრა კესომ და ტირილი დაიწყო. არჩილს შეეცოდა, მივიდა და შუბლზედ აკოცა.

– წმინდაა ეგ ცრემლი და არ მოგწმენდ. თქვენ, ქალები, ამით გვჯობიხართ მამაკაცებს!..

– რომ ცრემლს, გვინდა თუ არა, წყალსავითა ვღვრით ხოლმე. კმარა სიცილი!.. დავიტანჯე!..

– ო, ჩემო კარგო, ზოგჯერ ცრემლი „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. ცრემლი ყოველთვის არ არის უბრალო წყალი, ცრემლი ზოგჯერ ფარია, და დროზედ ხმარებული ფარი იგივ ხმალიაო, ვიღაცას უთქვამს.

– მაგით რა გინდა სთქვა?

– შენი ტირილი მიხარიან... მეც ვიტირებდი, რომ მარტო უკანღა ვიხედებოდე, როგორც ეხლა შენ. იქ, უკან ბნელა... ღამეა...

და ხიდია ჩატეხილი, ხიდი!.. – წამოიძახა ტკივილით კესომ.

– ეგ მინდა, რომ ყველამ დავინახოთ, ეგ მინდა, რომ ყველამ ვიცოდეთ. შენ ეხლა ჰხედავ, შენ ეხლა იცი.

– ვიცი და ვტირი...

– ამიტომაც მიხარიან შენი ტირილი...

– არჩილ, წინ რაღაა, წინ! – შეჰბღავლა უეცრად კესომ და ორსავ ხელის თითები ერთმანეთში ჩაიწნა და ფშვნეტა და მტვრევა დაუწყო.

– ეგ ცრემლიანი ცოდნა უკანა სწვავს და ჰბუგავს, წინა ჰნამავს და ამწვანებს. ეგ ნამი რომ გაბევრდება, მდინარე წყლად იქცევა და მთელს ტივს მიიტანს, რომ ჩვენს შორის ჩატეხილი ხიდი გაამრთელოს და ეგრე ორსავ ნაპირს გააერთებს. ეგ ცრემლიანი ცოდნა, თუ ცოდნიანი ცრემლი უკანისაა, – შუქია წინასი და შუქი ხომ...

– დასაწყისია განთიადისა, განა, ჩემო კარგო?!

– სწორედ.

და-ძმანი სიხარულით ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ჩვენ და ტექსტი

1. გიორგის რა თვისებები, გრძნობები ხდება მისი დაღუპვის მიზეზი?
2. როგორ მეტყველებს არჩილსა და კესოზე ის, თუ როგორ რეაგირებენ ისინი მომხდარ ტრაგედიაზე?
3. როგორ წარმოდგება ოთარაანთ ქვრივი გიორგის სიკვდილის სცენაში; იმსჯელეთ, ფსიქოლოგიური ანალიზის რა საშუალებებით იხატება აქ ქვრივის სახე.
4. როგორ მჟღავნდება გიორგის სიყვარულის გრძნობა მისი სიკვდილის სცენაში? დაახასიათეთ ეს გრძნობა, გიორგის შინაგანი სამყარო მისი სიკვდილისწინა აღსარების მიხედვით.
5. როგორ ამჟღავნებს ეს ეპიზოდი კესოს შინაგან ბუნებას?
6. როგორ წარმოჩნდება ამ ეპიზოდში სოსია, მასთან ოთარაანთ ქვრივის დამოკიდებულება; თქვენი აზრით, რა აქვთ საერთო სოსიასა და გიორგის?
7. რა ემოციებს იწვევს თქვენში, როგორ შთაბეჭდილებას ახდენს გიორგის სიკვდილის სცენა?
8. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა რაიმე საფუძველი გლეხების აზრს, რომ არჩილმა და კესომ გიორგი „მოიდნეს“.
9. იპოვეთ არჩილის მსჯელობაში აზრი, რომ ურთიერთგაუცხოებული სოციალური ფენების წარმომადგენლები ერთმანეთს ადამიანებად კი არ აღიქვამენ, არამედ საგნებად. რა არის, არჩილის აზრით, ის მთავარი რამ, რაც სხვადასხვა ფენებს – თავადებსა და გლეხებს – ერთმანეთთან უნდა აკავშირებდეს და აღარ აკავშირებს; რა არის არჩილისთვის ზნეობის საფუძველი, რომელიც გამქრალია და რატომ?
10. როგორ ახასიათებს არჩილი გლეხობას, რა ღირსებებს და ნაკლს ხედავს მასში, რა უპირატესობას ანიჭებს მას არისტოკრატიასთან შედარებით; თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?
11. თქვენი აზრით, რა ღირსებათა გამო აფასებს არჩილი გიორგის, რას განასახიერებს გიორგი არჩილის თვალში?
12. არჩილის ფიქრით, რატომ ვერ შეძლო კესომ გიორგის სიყვარულის გაგება, რატომ დარჩა მისთვის ცარიელ სიტყვებად გრიგოლ ორბელიანის გამონათქვამი: „თაყვანისცემა ღირსებას“.
13. არჩილის მსჯელობაში წამოჭრილ რა პრობლემას ეხმიანება და – რით მომაკვდავი გიორგის სიტყვები: „მკვდარი ყველა თანაბარია!“.
14. რაში ხედავს არჩილი გამოსავალს; რის სიმბოლურ განსახიერებად გვევლინება არჩილის და კესოს საუბრის ბოლოს ცრემლი.
15. თქვენი აზრით, რამდენად გულწრფელია არჩილი, შეუძლია თუ არა მას, პრაქტიკულად დაამკვიდროს, რეალობად აქციოს ის, რასაც ქადაგებს?

XXI

ეძახის

შუახანში შესულმა შემოდგომამ ზამთრისაკენ პირი ჰქმნა და ნახევრად შექცეული ზურგი მთლად შეაქცია ზაფხულსა. ის თბილ-გრილი, ის მშრალ-სველი, ის ციაგ-ლურჯი შემოდგომა, რომელიც ჩვენმა დალოცვილმა ქვეყანამ ასე ტკბილად, ასე ლბილად იცის, მიჰბერდა და ჭაღარა მოერია. მისი ჭაღარა ჭირხლია.

მთა-ბარს, ტყე-მინდორს დილ-დილაო-

ბით ჭირხლი ედებოდა და მხოლოდ შუადღის გულზედ მზე პირდაპირ დაჰხედავდა თუ არა, ჭირხლს, ზოგს წყლად ქცეულს, მწყურვალი მიწა სვამდა და ზოგი ორთქლად ცას აჰქონდა და ბამბის ქულასავით თეთრ, ფუნჩულა ღრუბლად აქა-იქ ატარებდა თავის თვალგადაუწვდენელს სიგრძე-სიგანე-ზედ, სიღრმე-სიმაღლეზე.

მოვიდა ზამთარი და მოიტანა თოვლი. სწორედ შობის ღამეს ხელახლად მოვიდა დიდი თოვლი და სოფლის გზებსა და ორღობეებში თეთრ უმტვერო სუფრასავით დაეგო და დაეფინა. გლეხაკაცობის სახლებს, ჩალით და ზოგან კრამიტით დახურულებს, მძიმედ დაედო თოვლი და ჭუჭყიანი თავსახურავები მოჰრთო თეთრად, თითქო ძალზე გარეცხილი ჩადრები გადააფარაო. კაკლის ხეები ეზოებში და ხილისანი – ბაღჩებსა და ბაღებში შეიკუნწლა ახალის თოვლის ქულითა და შავად გაშიშვლებული ტოტები თეთრად გამოლამაზდა. ორღობის ღობეები, ზოგან ჯარჯით, ზოგან წალმით დახურული, სქლად დადებულ თოვლქვეშ ისე სჩანდა, თითქო თეთრი საფარავი აქვთ გადაჭედილი ზემოდამაო.

თოვლი რომ გადიღო, ბევრს ხანს არ გაუვლია, ყინვამ მოუჭირა: აცივდა, აყინდა. ძველს თოვლში შეპარებული სითბო დღისა თოვლიდამ ჯერ კიდევ წყალს აწვეთებდა, მაგრამ ყინვა არ უშვებდა და ყინულად ქცეული ნაწური ჩურჩხელებსავით ეკიდა ხის ტოტებს, ღობეების ნაპირებს, ჩარდახების და ბანების გარშემო.

ღამე არ იყო ბნელი. ცაზე დროგამოშვებით კაშკაშა მთვარე ხან გამოჰყოფდა თავს, ხან ისევ ღრუბლებში გაეხვევოდა, თითქო ღრუბლის ბნელი და მთვარის შუქი ერთმანეთს ეჭიდებიან და ხან ერთია ქვეშ, ხან მეორეო.

სოფელს დიდი ხანია ეძინა იმ გულიანის ძილითა, რომელიც მართლა სასვენია და არა სანებიერებელი. მისწყდა სოფლის ხმაურობა, დღის ჟივილ-კივილი, მისწყდა ადამიანის ფეხის ხმაც. ახლად მოსულს თოვლს, ყინვადაკრულს, არსად არ აჩნდა ნაფეხური ადამიანისა... სოფელს ხმა გაეკმინდა და თითო-ოროლა ადგილას მეტის-მეტად ფრთხილის ძაღლის ყეფა-ღა ისმოდა ხან-დისხან.

ყველას ეძინა, ყველას... ერთის მეტს.

იყო სახლი, საცა იმ ერთს არ ეძინა. ამ სახლში ჰბნელოდა. სანთელი არ ენთო და მარტო კერაში თავხეს სისქე კუნძს ცალ გვერდზედ ცეცხლი ეკიდა და უგემურად ჰბოლავდა. როცა ნაღვერდალ-მოსხმული გამომწვარი გვერდი ხისა დროგამოშვებით პატარა ენასავით ალს წამოაგდებდა, ერთი მხარე სახლისა პატარა მანძილზედ ცოტახნობით მოჰშუქდებოდა.

კერასთან, ცეცხლის შორიახლო ძაღლი იწვა. რგვლად გადმოექექნა თბილი ნაცარი, თვითონაც გორგალსავით დახვეულ-ჩახვეულიყო, უკანა ფეხები წინ წამოეყარა, წინანი – უკან, თავზედ ბანჯგვლიანი კუდი გადმოეფარა, ცხვირი კუდის ბოლოში წაეღო და ეძინა. ძაღლის გვერდით, ცოტა მოშორებით, ვიღაც მოხუცებული დედაკაცი კერასთან ცეცხლაპირასვე იწვა დედამიწაზედ გაშლილ ქვეშაგებში და გულიანად ეძინა. დედაბერის ქვეშაგების გვერდით ტახტი იდგა და ზედ იწვა სნეული, ქვეშაგებად ჩავარდნილი, დამდნარი, მილეული და თითქმის სასიკვდილოდ მიხრწნილი.

ეს იყო ის, რომელსაც მთელს სოფელში არ ეძინა...

– ვინ მეძახის, ვინ!.. – იძახოდა ძილდაკარგული სნეული თავის გულში, თუმცა არსაიდამ კი ხმა და ჩამიჩუმი არ იყო. – წადი, წადიო!.. რად იძახის გული? რად მეწევა, რად?

იტრიალა ღონემიხდილმა სნეულმა, იშფოთა...

– მივაღწევ კი?.. – ჰკითხა თავისთავს. – ფეხის გადადგმის ილაჯი აღარ მაქვს... გზაზედ დავეცე სადმე და სული დავლიო, ხომ საძაღლედ გაჰხდა ჩემი ლეში... რად მეძახი, რად?!.

შეჰკივლა ეხლა კი ხმამაღლა ვიღაცას კვნესითა და ვაებით და მაშინვე გადაჰხედა ცეცხლა-პირას მწოლარე ბებერ დედაკაცს, ხომ არ გამოეღვიძა და არ შემიტყოვო.

მარტო ძაღლმა წამოიხედა; პირველში, ერთი ყრუდ ყელში წამოიყეფა და რაკი დაინახა, პატრონია და სხვა არავინ, წინან-

დებურად წაჰყო კუდის ბოლოში ცხვირი და არხეინად ისევ ძილს მიეცა.

ბებერს კი ისევ ისე გულიანად ეძინა.

– სძინავს!.. – სთქვა ისევ ჩუმად სნეულმა. – მეც მალე დავიძინებ... სულთამხუთავი კარს მირაკუნებს. დავიძინებ და, მადლობა ღმერთსა, აღარ გავიღვიძებ... მეყოფა...

ამის თქმაზედ სნეული გაყუჩდა, თითქო რაც სტკიოდა, დაუამდაო.

– კიდევ!.. კიდევ მეძახის!.. დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!.. მოვდივარ, მოვდივარ!..

სთქვა და ქვეშაგებში უღონოდ წამოჯდა. ტანისამოსი იქავ თავით ელაგა. ჩაიცვა თბილი წინდები, თბილი ახალუხი, ზედ გადაიცვა კაბა, მოიხვია თავს შავი შალი, გადმოცოცდა ქვეშაგებიდამ, წაჰყო ქოშებში ფეხი და უღონობამ სძლია: ფეხი წინ ვეღარ წასდგა, დაჰბარბაცდა და ცალის ხელით ქვეშაგებს უკანვე გადაებჯინა, – არ წავიქცეო.

ცოტა ხანს ეგრე ხელდაბჯენილი იდგა გარინდებული. როცა პატარა მოსულიერდა, მისწვდა ჯოხს, ქვეშაგებზედ მიყუდებულს, და ფეხაკრებით გავიდა სახლიდამ. უღონოს სირულით ეზო გაიარა, ორისავ ხელით წინ წაძღოლილ ჯოხზედ დანდობილმა. ეზოს კარიდამ რომ ავადმყოფმა ფეხი ორღობეში გადმოდგა და დაინახა ახლად მოსული, ფეხუხლებელი თოვლი, სთქვა:

– ჯერ უწმინდური და მურტალი ფეხი ადამიანისა არ მოჰხვედრია და არ გაუცოდვიანებია ეს უცოდველი თოვლი... კიდევ!.. მოვდივარ, მო!..

ფრთხილს ძაღლს პატრონის გარეთ გასვლა არ გამოეპარა. ადგა, ნაცრიანი ბალანი ერთი ორჯელ შეიბერტყა, გაიბობღა, ტანი დაიგძელა, ჯერ წინა ფეხები დაიჭიმა, მერე – უკანა, გაიზმორა, დაამთქნარა და ზლაზვნით გაეკიდა პატრონსა. დერეფანში რომ გავიდა, პატრონი აღარსადა სჩანდა. ჩახტა დერეფნიდამ ეზოში, თოვლზედ ახალი ნაფეხური პატრონისა დაჰსუნა და აუჩქარებლის ძუნძულით აედევნა კვალსა.

ბებერმა დედაკაცმა კი ვერ შეუტყო ავადმყოფს გაპარვა, – იმას ისევ ისე გულიანად ეძინა.

რაში ჰგვანდნენ ერთმანეთს მძინარე და წამავალი?

მართალი უთქვამთ: წუთისოფელი ზოგისათვის მამაა, ზოგისათვის – მამინაცვალიო.

XXII

წყევაკრულვიანი საკითხავი

გათენდა შობა დღე. ჯერ თითქმის კარგადაც არ გათენებულიყო, რომ მინდვრის ფარეხებიდამ ორს მეცხვარე თუშს ოთხიოდე ჭედილა და ხუთიოდე თოხლი წინ გამოეგდოთ და სოფელში მიერეკებოდნენ, – ბედნიერი დღეა და გახსნილდა, იქნება გავყიდოთო. ძალიანა ციოდა. ცხვრები მოგოგავდნენ თოვლიან გზაზედ და მოაქანებდნენ თავისებურად დუმებსა. მეცხვარეებს ისე სციოდათ, რომ შეცივნული ხელები გულზედ გადაეჯვარედინებინათ და უბეში ეწყოთ, კომბლები კი იღლიაში ეჩარათ, წინ გამოშვერილები.

გზა სოფლის სასაფლაოს ბოლოზედ მიდიოდა და აქედამ უხვევდა სოფლის ორღობისაკენ. მოვიდნენ ამ გზაზედ თუ არა, სასაფლაოდამ ერთი ღმუილი შემოესმათ.

– ეს რა ჰღმუის? – იკითხა ერთმა.

– კაცო, აფთარი არ იყოს და არა სთხრიდეს ვისიმე საფლავსა. გავაფრთხოთ, მადლია, – სთქვა მეორემ და წელიდამ დამბაჩა გადაიძრო და დაჰცალა.

ღმუილი პატარა ხანს შესწყდა დამბაჩის ხმაზედ, მაგრამ ისევ მალე მოისმა. ეხლა კი ღმუილს წკავწკავიც მოემატა.

– აბა ერთი ვნახო... – სთქვა ერთმა მათგანმა და გასწია სასაფლაოსკენ. შორიახლო მიუვიდა ხმას და დაინახა, რომ ძაღლი წამოსკუპებული იჯდა ვიღაცის საფლავზედ, უკანა ფეხებზედ ჩამჯდარიყო და, წინა ფეხებზედ დაბჯენილი და სოფლისაკენ პირმიქცეული, საცოდავად ჰღმუოდა.

გაუკვირდა მეცხვარეს. მივიდა ახლო და ელდა ეცა. ძაღლის ზურგთ უკან მკვდარი დაინახა: საფლავზედ გარდიგარდმო გადაქცეულიყო, ფეხები აქეთ პირას მიწაზედ ებჯინა თითის წვერებითა და ორივე ხელი იქით პირას გადაეკიდნა. თითქო სდომებია მთელი საფლავი ქვითა და მკვდრით ერთის

ხვევნით გულში ჩაეკრაო.

ელდაცემულმა თუშმა დაუძახა ამხანაგს. ამხანაგმა ხმა არ მოსცა. ორღობეში შეესწრო და ძახილი ვერ მისწვდა.

გამოჰბრუნდა თუში, ნახულით გაოცებული.

– აქ რამ მოიყვანა ამ ყინვაში და რამ მოჰკლაო? – ჰფიქრობდა გზადაგზა. თავის ამხანაგს რომ დაეწია, უამბო ნახული.

– დახე, ძაღლი პატრონს არ მოჰშორებია! – წამოიძახა ამხანაგმა. – დალოცვილი პირუტყვია. ბარაქალა, ძაღლო, ბარაქალა!..

მეცხვარემ და, ნამეტნავად თუშმა, იცის ყადრი ამ ერთგულის და მართლა საქებარის ოთხფეხისა...

შეატყობინეს სოფელს. თუმცა შობის დღე იყო, მაინც დიდი და პატარა, კაცი და ქალი გაიკრიბა და სასაფლაოს ზედ დაედო.

ის მკვდარი ოთარაანთ ქვრივი გამოდგა, ის საფლავი – განა თქმაღა უნდა – გიორგის საფლავი იყო... ის ძაღლი... მაგრამ ძაღლს ვიღა იკითხავს?

შეიქმნა ჟღივილ-ყაყანი. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. მითამ არ იყო სალაპარაკო თუ? გაიბა ლაპარაკი... მითქმა-მოთქმაში დაავიწყდათ, რომ მკვდარს პატრონობა რამ უნდა. ყველას ის ეხარბებოდა, – ერთი გავიგო, ვინ რას ამბობს, – და საცა ჯგუფს დაინახავდა, ან ლაპარაკის ხათხათს ყურს მოჰკრავდა, იქ გარბოდა და მიეშურებიდა.

– გაჰტყდა ეს რკინის დედაკაციცაო, – ამბობდნენ ზოგიერთნი, – ეს ფესვმაგარი ხეც წამოიქცაო.

– დედისერთა შვილის დაკარგვა ძნელია, მერე, რა შვილისა! – იძახოდნენ დედაკაცები, – აკი ეს გაუტეხელი დედაკაციც გასტეხა და გაანადგურაო.

ბევრს ეცოდებოდა ეგრეთ გათავებული ოთარაანთ ქვრივი. დამტირებელი კი არავინ იყო. ძნელია ეგრედ წასვლა სააქაოდამ. მაგრამ რა? ვინც მოჰკვდა, თავსა მოუკვდაო, იტყვიან ხოლმე გლეხები. განა მართალი არ არის!

არა, ზოგჯერ მართალი არ არის. აქ იყო ერთი კაცი, რომელსაც მოუკვდა ოთარაანთ ქვრივი!.. ეს იყო სოსია მეწისქვილე. თითქმის ოცდაათი წელიწადია, მაგ დედაკაცზედ გული შევარდნილი ჰქონია. ჯერ გასათხოვარი ყოფილა, უთხოვნია და დაუწუნიათ. ის დღეა და ის დღე, სხვა აღარავინ უნდომნია, გული აღარავისზედ მისვლია. როცა ოთარაანთ ქვრივი დაქვრივდა, მაშინ ერთხელ კიდევ გაუარა თურმე გუნებაში იმისმა შერთვამ, მაგრამ თავის გულში სთქვა:

– მაგას ასეთი ქმარი მოუკვდა, რომ მე ფეხის ჩლიქადაც არ ვეკადრებოდი... ვეღარ შევბედავ, ვეღარა!..

სთქვა და ახლოც თურმე აღარ გაუარა ოთარანთ ქვრივსა რიდისა და კრძალვისაგან. სოსია მეწისქვილეს ეხლა ორივე მუხლი მოეყარა უსულო ოთარაანთ ქვრივის წინ,

იმისი მკვდარი ხელი ხელთ ეჭირა და ქვითქვითებდა ჩუმად.

– ადე, რას ჰღმუი უპატრონო ძაღლსავით! – დასცინა მოხუცს ახალგაზრდა გლეხმა ბიჭმა ამხანაგების სამასხროდ. – შენც მითამ მარაქაში ერევი... შენი რაო?

– ნუ ამბობ მაგას, ჩემო მამავ და შვილო! – უპასუხა თავისებურად ტკბილად მოხუცმა ტირილის ხმით. – სხვა სხვის ომში ბრძენიაო...

იქნება კიდევ ეთქვა რამე სოსიას, მაგრამ ამ დროს ხელდახელ გაკეთებული საკაცეც მოიტანეს და რომ მივიდნენ მკვდრის ასაწევად და საკაცეზედ დასადებად, ვიღაცამ წაიბორძიკა მეწისქვილის ფეხზედ და ითაკილა.

– ეს ვიღა ოხერია, ფეხებში გვედებაო! – სთქვა წაბორძიკებულმა და, ღონივრად წაჰკრარა ფეხი ბერიკაცსა, დაატანა: – წადი, იქით გაეთრიეო.

დაბრიყვებული ბერიკაცი გადაიქცა თოვლზედ, როგორც იყო წამოდგა და როცა ტყავის კალთებს თოვლისაგან იბერტყავდა, უთხრა ხელის მკვრელს:

– ცოცხალზე არ გამახარა წუთისოფელმა და მკვდარზედაც აღარ მატირებთო!.. ცოდო ვარ, შვილო, ცოდო!

მართლა, რომ ცოდოა!..

მაგრამ სხვა ვინ არ არის ცოდო?

ერთიც ეს საჭირბოროტო და წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ არის გამოხატული ოთარაანთ ქვრივის ტკივილი, მარტოობა, ტრაგიკული ხვედრი ბოლოსწინა ეპიზოდში; რა საშუალებით უსვამს ხაზს ავტორი ქვრივის მარტოობას, იმას, რომ იგი თანაზიარ ადამიანს მოკლებულია.
2. როგორ გამოხატულებას პოვებს აქ ოთარაანთ ქვრივის სულიერი კავშირი შვილთან. როგორია ოთარაანთ ქვრივის აზრი ადამიანებზე?
3. თქვენი აზრით, აქვს თუ არა მინიჭებული რაიმე მნიშვნელობა ნაწარმოებში იმას, რომ ოთარაანთ ქვრივი შობა-დღეს კვდება; როგორ ფიქრობთ, ვის შესახებ ამბობს ის: „...მეძახის! ...დღევანდელ დღეს დაიბადა, დღევანდელ დღეს!..“
4. რა ემოციებისა და ფიქრების აღმძვრელია მეცხვარეების მიერ ოთარაანთ ქვრივის პოვნის სცენა.
5. რას გვეუბნება სოსიას სახე, ამ პერსონაჟის ბედი მოთხრობის ფინალში. იმსჯელეთ ავტორის მიერ აქ გამოთქმულ თვალსაზრისზე – რამდენად ჭეშმარიტია ეს თვალსაზრისი?
6. იმსჯელეთ, როგორ ეწინააღმდეგება ოთარაანთ ქვრივის სახე იმას, რაც წარმოჩენილია ილიას ლექსში „ბედნიერი ერი“, მოთხრობაში „კაცია-ადამიანი?!“.
7. შეეცადეთ ამოიცნოთ პერსონაჟები ეპითეტებით, ამისათვის დაასახელეთ დამახასიათებელი ეპითეტი, სხვები კი შეეცდებიან, გამოიცნონ პერსონაჟი.

სადისკუსიო კლუბი

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ციტატებს და იმსჯელეთ, რით ეხმიანება ნაწარმოებში ასახული საკითხები აქ მოყვანილ მსჯელობას? (შეარჩიეთ ერთ-ერთი სადისკუსიო საკითხი.)

1. მინიდისკუსია. შრომასა და აქტიურ ცხოვრებისეულ პოზიციაზე ილიას დროს და დღეს

არსებობენ აქტიური და პასიური ადამიანები. ზოგს არ ესმის, რომ აქტიური ცხოვრება, მუდმივი საქმიანობა ადამიანის განვითარების საწყისია, მოდუნება და მოშვება კი – რეგრესის.

- იმსჯელეთ, როგორ არის მოთხრობაში განსახიერებული ის, რაზეც ქვემოთ მოყვანილ ციტატაშია ლაპარაკი.
- იმსჯელეთ, რამდენად ავლენენ თანამედროვე ქართველები ციტატაში მინიშნებულ პოზიტიურ თვისებებს.

„ეხლანდელი დრო ისეთია, რომ თუ კაცი თვითონ არ ჰშველის თავის თავს, თვითონ არ ირჯება თავის სიკეთისა და ბედნიერებისათვის და თავის საკუთარ მხნეობის გარეთ ეძიებს სახსარს ცხოვრების ავკარგიანობის გასაძღოლად, – ამისთანა კაცი გადადებულია უფრო სასიკვდილოდ, ვიდრე სასიცოცხლოდ.

სხვის იმედის მქონებელი გლახაა, მთხოვარაა და გლახა-მთხოვარობით ცხოვრება სათაკილოა, თვითონ ადამიანის ღონის მომშლელი და დამდუნებელია... და ეს უღონობა, დაუძლურება – კვდომაა, ხრწნაა...

წუთისოფლის სუფრა წვეულების სუფრა არ არის: ამ სუფრაზედ ყველამ თავის საკუთარი კერძი თვითონ უნდა მოიტანოს და დაიდგას, თვითონ უნდა მოჰთესოს, მოჰხნას, მოიმკოს, მოზილოს და გამოაცხოს თავისი არსობის პური. ამაების იქით ხსნა არ არის და ტყუილად ჰფიქრობენ, ვითომც ეხლანდელ დროში სხვისით რჩენა შეიძლებოდეს. წავიდა ის დრო სამუდამოდ და დღეს ვინც თვითონ არის გამრჯელი და მხნე, ბურთი და მოედანი ცხოვრებისა, კეთილისა და ბედნიერებისა იმისია და მარტო იმისი“.

ილია ჭავჭავაძე

სწორედ ამავე პრობლემებზე წერს **თომას კარლაილი**[1].

„ჩვენი დროის მიერ გამოკვეთილი და დამკვიდრებული მცნება ასეთია – შეიცანი შენი საქმე და შეასრულე იგი; არაფერი ამაზე უკეთესი შენთვის არ შეიძლება არსებობდეს; უსაქმურობა მარადიული სასოწარკვეთაა.

კურთხეულია, ვინც თავისი საქმე იპოვა... ყველაზე უსიამოვნო საკუთარი უძლურების გრძნობაა, ხოლო ძალა არაფერში შეიძლება გამოვლინდეს ისე სრულად, როგორც შესრულებულ სამუშაოში, საქმეში ... ჩვენი თვითცნობიერება ბუნდოვანია და მხოლოდ ჩვენს საქმეებს შეუძლიათ, მკაფიოდ დაგვანახონ, ვინ ვართ...

ყველაზე მოკრძალებული შრომაც სულში ჰარმონიას ასადგურებს. ვნებები, იმედგაცრუება, დარდი დუმდება, როცა ადამიანი თავისუფლად და მხნედ ჰკიდებს ხელს შრომას.

ადამიანის მთელი ზნეობა – მისი გონიერება, მოთმინება და გამძლეობა, პატიოსნება, ერთგულება, ყველა ძალა, რომელსაც ადამიანი ფლობს, აღბეჭდილია მისი შრომის ნაყოფში“.

- გამოიყენეთ ეს ციტატა ოთარაანთ ქვრივისა და გიორგის დასახასიათებლად.

2. მინიდისკუსია. „ხიდჩატეხილობის“ (კომუნიკაციის) პრობლემა ილიასდროინდელ და თანამედროვე საზოგადოებაში.

ადამიანთა შორის უთანასწორობით იწყება საზოგადოების რღვევა, გახლეჩა, გაუცხოება და დაპირისპირება, რაც, საბოლოო ჯამში, მას უზნეო, გადაგვარებულ (მარგინალურ) მასად აქცევს.

დააკვირდით, „ოთარაანთ ქვრივის“ მიხედვით, რამდენად არსებობს ილიასდრონდელ საზოგადოებაში „ხიდჩატეხილობის“ (კომუნიკაციის) პრობლემა, რას ფიქრობენ ამაზე თვით ნაწარმოების პერსონაჟები და როგორია ილიას პოზიცია?

დისკუსიაში გამოკვეთეთ:

- **წოდებრივი გაუცხოება.** ილიას სიტყვებით რიმ ვთქვათ, „თავადს აზნაური სძულს, აზნაურს – თავადი, გლეხსა – ორივე...“ (მოიყვანეთ ტექსტიდან კონკრეტული მაგალითები);
- **პიროვნული განსხვავებულობა.** მაგ., ოთარაანთ ქვრივმა ვერ დაინახა სოსიას გრძნობა; ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ გიორგისა და კესოს შემთხვევაშიც, წოდებრივზე უფრო მეტად, სწორედ ამ პიროვნულმა სხვადასხვაობამ იმოქმედა:
- **გაუცხოება ერთი წოდების შიგნით.**

✓ რამდენად უგებენ გიორგის მისივე სოციალური ფენის წარმომადგენლები;

✓ ივარაუდეთ, ექნებოდათ თუ არა არჩილსა და კესოს იგივე პრობლემა თავისსავე სოციალური წრის შიგნით? (არ დაგავიწყდეთ, რომ ქართველ თავადთა ტიპური სახე „თათქარიძეობაა“, ხოლო არჩილი – სასურველი, გამონაკლისი, სანიმუშო სახე...)

✓ ოთარაანთ ქვრივი ვერც ამჩნევს თავისივე წოდების კაცს, სოსიას;

✓ ქვრივის საფლავზე მოტირალი სოსიასი არ ესმის იქვე მყოფ რამდენიმე გლეხს...

შევაჯამოთ: ეს არის საზოგადოება, რომელშიც ადამიანებს ერთმანეთი (ქვემოთ დასახელებულთაგან შეარჩიეთ ერთ-ერთი და პასუხი დაასაბუთეთ):

---

[1] **თომას კარლაილი (1795-1881)** – ინგლისელი მწერალი, პუბლიცისტი, ისტორიკოსი.

- ✓ უყვართ;
- ✓ არ უყვართ;
- ✓ არც უყვართ, არც სძულთ, უბრალოდ, მხოლოდ საკუთარი თავისთვის არსებობენ, სხვას ვერც ამჩნევენ.

გაიაზრეთ, თავად ილიას შესაძლებლად მიაჩნია თუ არა ამ პრობლემის დაძლევა? მისი რომელი პერსონაჟის პოზიციაა ამ კუთხით განსაკუთრებით საინტერესო?

- **გაუცხოება თაობათა შორის** – ახალგაზრდებს წინა თაობის არ ესმის და პირიქით;
- **გაუცხოება დედა-შვილს შორის...**

იმსჯელეთ სადისკუსიო საკითხებზე, მოიყვანეთ ტექსტიდან სათანადო მაგალითები და შეაჯამეთ დისკუსია კლუბის სტუმრების მოსაზრების გათვალისწინებით.

„განკერძოება წოდებათა, განცალკევება ერთის ქვეყნის შვილთა, რომელთა ცხოვრება, ინტერესები, გრძნობა, აზრი და მისწრაფება ურიცხვის სიმით არის გადაბმული და გადახლართული დანაშთენთან, შეცდომაა. ეს შეცდომა დაჰგმო ძველ ერთა ისტორიამ და დაამტკიცა, რომ მხოლოდ ყველა წოდების კავშირი გაუძლებს ხალხის განათლებისა და დაწინაურების დამაბრკოლებელს მიზეზებს.

უმთავრესი და იქნება ერთად-ერთი გარემოება, რომლის წყალობითაც დაიღუპნენ და აღიგვნენ დედამიწის ზურგითგან მრავალნი ძლიერნი და სახელოვანნი ერნი, – იყო უთანხმოება და განსხვავება წოდებათა შორის!

თუმცა დიდი მოძღვარი ინდოელთა – ბუდდა და შემდეგ მაცხოვარი ჩვენიც ერთსა და იმასვე ასწავლის ქვეყანას – თანასწორობას და სიყვარულს წოდებათა განურჩევლად, მაგრამ ეს სანატრელი და თაყვანის-საცემი მცნება დღესაც თეორიად რჩება“.

ილია ჭავჭავაძე

„განხეთქილების მიზეზი აქ ხიდის უქონლობა კი არ არის, არც გვარიშვილობა, არამედ კულტურული განსხვავებულობა. აბა, გიორგი უბრალო მოჯამაგირედ, ისიც უსწავლელ, უწიგნო კაცად არ მისდგომოდა კესოს კარებს?

წარმოიდგინეთ, რომ გიორგი ყოფილიყო, ვთქვათ ინჟინერი, ექიმი, მასწავლებელი, – როგორ გგონიათ, კესო გულცივად შეხვდებოდა გიორგის? არა, ეს შეუძლებელია, ეს არაბუნებრივი იქნებოდა. კესო არც კი იკითხავდა, გიორგი გლეხია თუ თავადიშვილიო“.

ნიკო ნიკოლაძე

კლუბის სტუმართა მოსაზრებებში, ალბათ, არის რაღაც, რასაც არ ეთანხმებით, განიხილეთ იგივე პრობლემები ჩვენი თანამედროვე საზოგადოების ჭრილში. თქვენი აზრით, როგორია ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის, საზოგადოების ერთმანეთისგან განსხვავებულ ჯგუფებს შორის დღევანდელ საქართველოში.

3. დისკუსია. დედაშვილობაში „შენ-ჩემობა რად უნდა იყოს“

„ორი თვალი – ერთი – თავისად მაყურებელი და მეორე – შვილისად“ მხოლოდ „ოთარაანთ ქვრივში“ არ ქცეულა პრობლემად.

იმსჯელეთ თაობათა ურთიერთობის ამ მწვავე პრობლემაზე. დაასახელეთ და გააანალიზეთ სხვა მაგალითებიც ლიტერატურიდან.

იმსჯელეთ:

- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა შვილი, მისი აზრით, არასწორ და საკუთარი თავისთვის საზიანო გადაწყვეტილებას იღებს;
- როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, როცა ხედავს, რომ მასა და შვილს შორის კომუნიკაცია ირღვევა? შვილი? თუ მიგაჩნიათ, რომ კომუნიკაციის დარღვევა ბუნებრივად მოსდევს მომავალი თაობის ზრდა-განვითარებას, მათ დამოუკიდებელ გზაზე გასვლას და ამაზე ყურადღების შეჩერებაც არ ღირს?
- როგორ გესმით ოთარაანთ ქვრივის სიტყვები – „მე ჩემისად მაყურებელს თვალს დავიბრმავებ...“? იმსჯელეთ, სწორია, როცა მშობელი შვილის გამო საკუთარ პიროვნულ ინტერესებს თრგუნავს?
- როგორ, რა დოზით მიგაჩნიათ მშობლის ჩარევა შვილის საქმეებში დასაშვებად, თუ, საერთოდ, ამის წინააღმდეგი ხართ? რატომ?

დისკუსია შეაჯამეთ ლიტერატურული პარალელების გაცნობის შემდეგ.

პარალელები

მშობლებისა და შვილების ურთიერთობის პრობლემას ეხება ჯიბრან ხალილ ჯიბრანის ქვემოთ მოყვანილი ორი ტექსტი. გაეცანით მათ, ამ ტექსტების გათვალისწინებით უპასუხეთ მესამე მინიდისკუსიაში („დედაშვილობა...“) დასმულ შეკითხვებს.

ჯიბრან ხალილ ჯიბრანი

1. შვილები



ჯიბრან ხალილ ჯიბრანი (1883-1931) ლიბანური წარმოშობის ამერიკელი მწერალი

თქვენი შვილები თქვენ არ გეკუთვნით.

ისინი არიან ვაჟიშვილები და ქალიშვილები ცხოვრების სევდისა საკუთარი თავის გამო. ამ ახალგაზრდა ვაჟებსა და ქალიშვილებს ცხოვრების საკუთარი სევდა აქვთ.

ისინი თქვენი წყალობით მოდიან, მაგრამ არა თქვენგან და, თუმცა თქვენთან ერთად არიან, თქვენს საკუთრებას არ წარმოადგენენ.

შეგიძლიათ, მისცეთ მათ თქვენი სიყვარული, მაგრამ არა აზრები, რადგან მათ თავიანთი ფიქრები აქვთ.

შეგიძლიათ, შეიკედლოთ მათი სხეულები, მაგრამ არა – სულები, რადგან მათი სულები ხვალინდელი დღის მკვიდრნი არიან, თქვენ კი ოცნებაშიც არ შეგიძლიათ მომავლის მონახულება.

შესაძლოა, ესწრაფოდეთ, მიემსგავსოთ მათ, მაგრამ ნუ ეცდებით, დაიმსგავსოთ ისინი, რადგან ცხოვრება უკან-უკან არ მიდის და გუშინდელ დღესთან არ ყოვნდება.

თქვენ მშვილდები ხართ, რომლიდანაც თქვენი შვილები, როგორც ცოცხალი ისრები, წინ-წინ გაიჭრნენ.

მსროლელი[1] ხედავს მიზანს უსასრულობის ბილიკზე და ის გღუნავთ თქვენ, რომ მისი ისრები[2] სწრაფად და შორს გაფრინდნენ.

დაე, თქვენი ქედმოდრეკა უფლისა და მომავლის წინაშე იყოს ბედნიერი და სიხარულის მომტანი, როგორც მოხრა მშვილდისა, რომელმაც მიზანში მოხვედრილი ისარი გაისროლა..

[1] **მსროლელი** – იგულისხმება ღმერთი.

[2] **ისრები** – იგულისხმებიან შვილები.

მსროლელს კი...

მსროლელს ერთნაირად უყვარს შორეული მიზნისკენ გასროლილი ისარიც და მოხრილი მშვილდიც, რომელიც ადგილზე რჩება, მაგრამ სწორედ მისი ძალისხმევით მიფრინავს ისარი მომავლისაკენ...

2. სიბორია, დედა იუდასი:

ჩემი შვილი კარგი, ალალ-მართალი კაცი იყო – სათნო, ლმობიერი; უყვარდა ახლობლები და თანამემამულენი; ეზიზღებოდა ჩვენი მტრები, წყეული რომაელნი, იმ მეწამული ტოგებით რომ იმოსებოდნენ, რომელთა მოსაქსოვადაც ჩხირიც კი არ გაეტოკებინათ და ჯარასთან საქსოვად არასდროს დამსხდარიყვნენ; მუდამ იქ რომ მკიდნენ, სადაც არასოდეს ეთესათ და ხნულში ერთი მარცვალიც კი არ გადაეგდოთ.

ჩვიდმეტი წლის იყო, როცა დაიჭირეს. მაშინ ისრები დაუშინა რომაელთა ლეგიონს, რომელმაც ჩვენს ვენახს ჩაუარა გვერდით.

იმ წლებშიც კი, თავისი ცხოვრების გარიჟრაჟზე, იგი სხვა ჭაბუკებს საკუთარი ქვეყნის დიდებულებაზე ესაუბრებდა და ისეთ უცნაურ რამეებს ამბობდა, რისაც მე თვითონ არაფერი გამეგებოდა.

ჩემი ძე იყო, ჩემი ერთადერთი ვაჟიშვილი.

ამ, აწ უკვე ჩამომჭკნარი ძუძუების რძით გამოზრდილი.

ამ ბაღჩაში აიდგა ფეხი; ამ თითებზე, ახლა რომ გამხმარ, ქარით აცახცახებულ ლერწამს დამსგავსებიან, მეჭიდებოდა თავისი პატარა, ფუნჩულა, ლიბანური ყურძნის მტევნის მსგავსი ხელებით.

პირველად რომ ხალები ეცვა, დედაჩემის ნაჩუქარ სელის ნაჭერში გამოვკარი და დღემდე აგერ, იმ ფანჯარასთან მდგარ ზანდუკში ვინახავ.

ჩემი სიყრმის შვილი იყო და ფეხი რომ აიდგა, სიარული მეც მაშინ ვისწავლე, რადგან ქალები მხოლოდ მაშინ თუ დააბიჯებენ, როცა წინ შვილები მიუძღვიან.

ახლა მითხრეს, რომ თავი დაუსჯია და ქარაფიდან გადმომხტარა, რადგან ნანობდა, თავის მეგობარს, იესო ნაზარეველს რომ უღალატაო.

ვიცი, ჩემი შვილი მოკვდა, მაგრამ ვერ დავიჯერებ, ვინმესთვის ეღალატა. მას უყვარდა თავისი გვარ-ტომი და რომაელთა გარდა, არავინ სძულებია.

ჩემი შვილი ისრაელის ზეობისთვის იღვწოდა. სიტყვა არ უთქვამს და საქმე არ უქნია ისე, რომ ამ მიზანზე არ ეფიქრა.

ხოლო როცა თემშარაზე იესოს შემოეყარა, მიმატოვა და მას კვალში ჩაუდგა.

გული მიგრძნობდა, რომ სხვისი აყოლა კარგს არას უქადდა.

როცა გამოსამშვიდობებლად მოვიდა, ვუთხარი, რომ არასწორად იქცეოდა, მაგრამ ჩემი ნათქვამი არ შეისმინა; შვილები ხომ არასოდეს ჩვენს რჩევებს ყურს არ დაუგდებენ. ისინი დღევანდელის ყოვლისწამლეკავ დინებას ჰგვანან, გუშინდელის წამლეკავ დინებათა რჩევას აინუნში რომ არ აგდებენ.

გთხოვთ, ნუღარას მკითხავთ ჩემს ძეზე. მე იგი მიყვარს და სამუდამოდ ასე მეყვარება. სიყვარული რომ ხორცთან შეზრდილი ყოფილიყო, სიმშვიდის მოსაპოვებლად რკინის გახურებული მარწუხებით ამოვიშანთავდი. მაგრამ სიყვარული სულშია განზავებული და მისი მოხელთება შეუძლებელია.

ახლა კი წადი და სხვა ქალებს ესაუბრე, იმ პატივით რომ გარემოცულან, რაც იუდას დედას არ გააჩნია.

წადი იესოს დედასთან. ისიც, თავის მხრივ, გულგაპობილია. ჩემზე მოგიყვება, და ალბათ, შენც გამიგებ...

არაბულიდან თარგმნა – გიორგი ლობჟანიძემ

ოსტატობის სკოლა

შეარჩიეთ ქვემოთ დასახელებულთაგან ერთ-ერთი დავალება, თქვენთვის სასურველი ტექსტის ფორმატი, მთხრობლის ხედვის კუთხე და გადმოეცით:

- „ოთარაანთ ქვრივის“ ცხოვრების ტრაგედია;
- „ოთარაანთ გიორგის“ ცხოვრების ტრაგედია;

ფანტაზიის გაკვეთილები

„შეუმჩნეველი ადამიანის ცხოვრების ტრაგედია“

(ალტერნატიული დავალება)

ოთარაანთ ქვრივის დიდი ტრაგედიის ფონზე ყურადღებას არავინ აქცევს სოსია მეწისქვილეს.

- შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ტექსტის ფორმა, მთხრობლის ხედვის კუთხე და სოსია მეწისქვილის მაგალითზე გადმოეცით: „შეუმჩნეველი ადამიანის ცხოვრების ტრაგედია“.

თქვენს ნაშრომში:

- გამოკვეთეთ თქვენ მიერ შერჩეული ტექსტის ჟანრული და კომპოზიციური მახასიათებლები;
- გადმოეცით პერსონაჟის განცდები, მისი სურვილებისა და ცხოვრებისეული შესაძლებლობების წინააღმდეგობრივი ხასიათი;
- კონკრეტული ეპოქისა და იმდროინდელი საზოგადოების როლი ამგვარი ტიპების შექმნაში, მათ ცხოვრებისეულ ტრაგედიაში.

წაკითხვამდე

1. დაფიქრდით ამ თავის სახელწოდებაზე; იმსჯელეთ, რა იგულისხმება „ხსნის გზაში“? ვინ შეიძლება დაადგეს ამ გზას: კერძო კაცი, ერი თუ მთელი კაცობრიობაც კი?

ტექსტების სამყაროში

„განდეგილი“
(ლეგენდა)

ვუძღვნი ოლღა ჭავჭავაძისას

I

სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა
ორბნი, არწივნი ვერ შეჰხებიან,
სად წვიმა-თოვლნი, ყინულად ქმნილნი,
მზისგან აროდეს არა დნებიან,
სად უდაბურსა მას მყუდროებას
კაცთ ჟრიამული ვერ შესწვდენია,
სად მეუფება ჭექა-ქუხილსა,
ყინულს და ქართა მხოლოდ ჰშთენია, –
უწინდელს დროში ღვთისა მოსავთა
გამოუქვაბავთ მუნ მონასტერი
და იმ ყინულში შეთხრილს ღვთის ტაძარს
ბეთლემს უწოდებს დღესაცა ერი.
ფრიალოსაებრ ჩამოთლილი აქვს
იმ წმინდანთ სადგურს ყინულის ზღუდე,
და ზედ კარია გამოკვეთილი –
ვით კლდის ნაპრალზედ არწივის ბუდე.
ზღუდის ძირამდე რკინის რამ ჯაჭვი
ზედა ჰკიდია თურმე იმ კარსა, –
და თუ არ ჯაჭვით, სხვაფრივ ვერა გზით
ვერ ძალუძს ასვლა ვერარა კაცსა.

II

აქა ყოფილა უწინ კრებული
ღვთისთვის ქვეყნიდამ განდეგილ ძმათა
და მყინვარს ამას უდაბნოს თურმე
ისმოდა ქება წმიდა-წმიდათა.
აქა გამდგარან, განშორებიან
ამ წუთისოფლის სამაცდუროსა,
აქ ჰღირსებიან მართალთა თანა
სავანესა მას საუკუნოსა.
გასულან ამა ქვეყნით მამანი
და ტაძარი ღვთის გაუქმებულა...
იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მადლი
მთიულთა შორის ყველგან განთქმულა.
და ის ადგილი, ის არე-მარე
ესოდენ წმინდად სწამს დღესაც ერსა,
რომ ნასროლს ნადირს, მუნ შეფარებულს,
მონადირეც კი ვერ ახლებს ხელსა.
თუ არ ღვთის ღირსი, სხვა ვერვინ თურმე
ამ წმინდა ადგილთ ვერ შეეხება,
და თუ შეჰბედავს, მსწრაფლ რისხვა ღვთისა
ჭექა-ქუხილით მოევლინება.

III

ოდესღაც ტაძარს იმ გაუქმებულს
მეუდაბნოე შეჰკედლებია;
საიქიოსთვის ეს სააქაო
დაუთმია და განშორებია.
განშორებია ვით ცოდვის სადგურს,
ვით სამეუფოს ბოროტისასა,
სადაც მართალი გზას ვერ აუქცევს
განსაცდელსა მას ეშმაკისასა;
სად ცოდვა კაცსა სდევნის დღე-და-ღამ,
ვითა მპარავი და მტაცებელი;
სად, რასაც ჰხადის მართალი მართლად,
მას უმართლობად ჰქმნის ცოდვის ხელი;
სად რყვნა, წაწყმედა და ღალატია,
სადაც ძმა ჰხარობს სისხლსა ძმისასა,
სად ცილი, ზაკვა ძულებადა ჰხდის
წმინდა სიყვარულს მოყვასისასა.
განშორებია ამ წუთისოფელს,
სად ყოვლი ნიჭი მაცდურებაა,

სად თვით სიტურფე და სათნოება
ეშმაკის მახე და ცდუნებაა.

IV

განდეგილა და ამ ყინულებში
სულ მარტოდ-მარტო დაყუდებულა
და გვამი მისი ცოდვილთ ფიქრთაგან
იმ დღიდგან აღარ შეძრწუნებულა.
განუდევნია გულიდამ ყველა
მსოფლიო ზრახვა, ფიქრი, წადილი,
რათა წარუდგეს უფლისა მსჯავრსა
სულით განწმენდილ და განბანილი.
დღე-და-ღამ ლოცვით, გოდებით, გვემით
ხორცი სულისთვის უწამებია,
და ვით ჭურჭელი იგი წყმედილი –
ცრემლით ურეცხავს, უსოვლებია.
დღე-და-ღამ სულთქმა და ღაღადება
მოჰფენია კლდეს ყინულისასა,
და არ შემწყდარა მუნ ლოცვის ცრემლი,
ვითა ღელესა მას გლოვისასა.
განყენებული წუთისოფლისგან
აქ სული მისი აღყვავებულა,
და ხორციელი გულისთქმა ყველა
დამარხულა და განსვენებულა.

V

არ იყო ხნიერ, მაგრამ ვით წმინდანს
სულის სიმაღლე ზედ დასჩნეოდა,
ზედ ეტყობოდა, რომ სული მისი
სულ სხვა მსოფლიოს შეჰხიზნებოდა.
სახე გამხდარი, კუშტი და მწყრალი
სიწმინდის მადლით დაჰშვენებოდა,
და მაღალს შუბლსა, ნაოჭად შეკრულს,
შარავანდედი გადაჰფენოდა.
მისთა მცხრალ თვალთა ღრმა
მეტყველება
ესოდენ იყო წყნარი და ტკბილი,
თითქო მათ-შიგან ჩასახებულა
თვით სათნოება, კდემით მოსილი;
თითქო ნელისა სიხარულითა
სამოთხის ღია კარს შეჰხარიან
და სულთან ერთად უფლისა მიმართ
სასოებითა მიისწრაფიან.
ლოცვით და მარხვით
ხორც-უძლურ-ქმნილი
ჰგვანდა წმინდანსა იგი წამებულს,
მრავალგზით ტანჯულს და ტანჯვათ ზედა
ძლევით-მოსილსა და განდიდებულს.

VI

წამება მისი ღმერთს შეუწირავს,
ვედრება მისი ღმერთს უსმენია,
და სასწაული ნიშნად მადლისა
მღაღადებელზედ მოუვლენია.
ბნელსა სენაკსა, სად იგი მდგარა,
ჰქონია მზის მხრივ ერთი სარკმელი,
და მუნით თურმე გადმოდენილა
შუქი მზისა და მთვარის ნათელი.
ოდეს უდაბნოს გასწვრივ მთის წვერზედ
მზე სხივგაფენით ამოვიდოდა,
იმ სარკმლით სხივი მისი სენაკში
სვეტად ბრწყინვალედ ჩაეშვებოდა.
როს ჰლოცულობდა, იმ სხივსა თურმე
თვის ლოცვანს მწირი ზედ დააყრდენდა,
და ხორცთუსხმელი მზის სხივი იგი
უფლის ბრძანებით ზედ შეირჩენდა.
ეგრე ვიდოდნენ დღენი და წელნი,
ეგრე უბიწოდ იგი სცხოვრობდა...
და თვის სიწმინდეს ყოველდღე თურმე
ამ სასწაულით შეიმოწმებდა.

ჩვენ და ტექსტი

1. დააკვირდით პეიზაჟს, თქვენი აზრით, როგორი ადამიანი „გამოჩნდება“ ამ ყინულებში?
2. როგორია განდეგილის თვალით დანახული ადამიანთა სამყარო? თქვენ ეთანხმებით ამქვეყნიური ყოფის განდეგილისეულ შეფასებას?

3. ახლა ადრე შესწავლილი მეუდაბნოენი გაიხსენეთ. თქვენი აზრით, რით ჰგავს განდეგილი ძველი დროის ბერებს? რაზე მეტყველებს განდეგილის იერი?
4. მოძებნეთ და გააანალიზეთ ეპიზოდები, რომლებშიც განდეგილის პოზიცია, მისი ცხოვრებისეული მრწამსი ჩანს;
5. რას მოწმობს სასწაული – მზის სხივზე ლოცვანის დაყრდნობა?

ტექსტების სამყაროში

VII

ერთხელ, საღამოს, ლოცვით დაღლილი,
გადმომდგარიყო ზღუდის კარებსა
და დაფიქრებით გადმოჰყურებდა
მწვანით დაფენილს მთისა კალთებსა.
მზე გადახრილი ჯერ კიდევ სრულად
მთისა გადაღმა არ დასულიყო
და მთის წვერზედ, ვით ცეცხლის ბორბალი,
ირგვლივ სხივგაშლით ანთებულიყო.
ცისა ლაჟვარდი, ვით ნაკვერჩხალი,
წითლად და ყვითლად მზისგან ჰღუვოდა,
და განმსჭვალული მისით ღრუბელი
შორს ათასფერად სხივებში ჰთრთოდა.
ამა უბიწო დიადის ხილვით
წარტყვევნილ იქმნა განყენებული
და ვით ცხოველს ხატს ღვთის დიდებისას
შესცქერდა მზესა განცვიფრებული.
უეცრად ასტყდა რამ ნიავ-ქარი,
დაჰბერა კლდეთა, ნაპრალთ და მღვიმეთ,
და მყინვარიდამ ვითა ვეშაპი
შავი ღრუბელი დაიძრა მძიმეთ.

VIII

დაიძრა მძლავრი, უზარმაზარი,
ცაზედ განერთხო და გაიშალა,
და იქ, თითქო მტერს შეეჯახაო,
ჭექა-ქუხილით დაიგრიალა.
შეირყა მთელი ცა და ქვეყანა
იმა ჭექით და იმა ქუხილით,
ცა აირია, დაბნელდა უცებ
და წამოვიდა სეტყვა შხუილით.
ქუხვა და ჭექა, ელვა და სეტყვა,
არევ-დარევით ღრუბლების სრბოლა,
ქართა, აწ გრიგლად რადმე ქცეულთა,
ზარით და ზათქით კლდეებში ქროლა, –
ესე ყოველნი, ერთად რეულნი,
ჰგვანდნენ ცით ვლენილს რისხვას
ღვთისასა,
თითქო ღმერთი სჯის ქვეყანას ცოდვილს
დღეს მას საშინელს განკითხვისასა.
ამ დროს ის მწირი სენაკში იყო,
ცრემლით ალტობდა ღვთის-მშობლის
ხატსა
და ხელაპყრობით ევედრებოდა
წარწყმედისაგან ქვეყნისა ხსნასა.

IX

უცებ მოესმა რაღაც კაცის ხმა...
ეოცა ეს ხმა უჩვევი მწირსა.
ყური ათხოვა – და თითქო ვიღაც
ჰკივის, იძახის ზღუდისა ძირსა.
ეცა მსწრაფლ კარებს და გადიხედა...
ვიღაც კარის ჯაჭვს ზედ მოსდგომოდა,
და ვით ყრმა ვინმე, ღაღადების ხმით,
შესაფარებელს ბინას ითხოვდა.
თუ ძეა კაცის, რამ მოიყვანა
ამ დროს, ამ ღამეს ქვეყნისა რღვნისას?
მხეციც, ნადირიც თვის ბუდეში ჰძრწის
მორიდებული ამ რისხვას ღვთისას!
ჰკითხა, – „ვინა ხარ? კაცი, თუ მავნე,
აქ მოგზავნილი ეშმაკისაგან?“
– „კაცი ვარ, კაცი!.. მომეცი ბინა,
მიხსენ, ღვთის მადლსა, სიკვდილისაგან.
ვერ ჰხედავ, ლამის ცა ჩამოიქცეს
და ზედ დაეცეს დედამიწასა?
რა დროს კითხვაა? შემიბრალე მე
და ნუ დამიჭერ ჭერსა, ბინასა“.

X

– „მართალი სთქვი შენ... თუ ხარ ძე კაცის,
ცოდვაა გარეთ დაგტოვო ამ დროს;
თუ მაცდური ხარ, სჩანს ღმერთს სწადიან
მწირი ცოდვილი დღეს გამომცადოს.
ამოვედ, ვინც ხარ!.. იყავნ ნება ღვთის!..
ხელი ჩაავლე ემაგ რკინის ჯაჭვს,
ნუ შეშინდები... კიბეა იგი
და ზედ რგოლები საფეხურად აქვს“.
და იმ ბნელაში იგი წვალებით
ავიდა მაღლა იმა ჯაჭვითა.
მუნ დახვდა მწირი... რაა? ვინ არის?
ვერ გაარჩია სიწყვდიადითა.
– „გამომყევ, ვინც ხარ! ბინას მოგცემ შენ,
გაგიზიარებ ჩემსა სენაკსა...
სახლი ღვთისაა... შენც შეგივრდომებს,
შენებრ მახვეწარს მრავალსაც სხვასა“.
წაუძღვა წინ და შევიდნენ სენაკს...
იქ უფრო, ვიდრე გარეთ ბნელოდა,
მხოლოდ კი ერთგან ღველფად ქცეული
ცეცხლი ჩამქრალი ფერფლ-ქვეშე ჰჩნდოდა.

XI

რა დედა-ღვთისამ სენაკს შეუშვა
და არ შერისხა იგი მოსული,
გულში სთქვა მწირმა: ძეა კაცისა
და არა მავნე, ბოროტი სული.
სტუმარი იგი დანაცრულს ცეცხლსა
ფიცხლავ მივარდა დამზრალი, სველი,
ღველფი გაქექა, ჩაჯდა ცეცხლა-პირს
და გაიწოდა სათბუნად ხელი.
– „უჰ, უჰ, რა ცივა!.. – სთქვა მან
სტუმარმან: –
ლამის გავშეშდე სიცივისაგან!..“
მწირს ხმა ეოცა... ქალის ხმას ჰგვანდა...
შეკრთა, შეშინდა ამა ხმისაგან.
ნუთუ აწ ბედმა ქალის სახითა
განსაცდელი რამ მას მოუვლინა?
და ვითა ელვამ, ამისმა ფიქრმა
გულში ზარცემით მწირს გაურბინა.
მაგრამ იქნება ბედმა ეგე ჰქმნა
მისდა საცდელად თვით უფლის ნებით!..
და კისრად იდო, ვით ნება ღვთისა,
სასოებით და გულდამშვიდებით.

XII

– „შეშა არა გაქვს? – ჰკითხა სტუმარმა: –
მოიტა, ცეცხლი ავანთო ერთი,
ხვალ თუნდა მთელ ზურგს მე ამოგიტან,
ოღონდ დღეს გავთბე, შენ შენი ღმერთი“.
მეუდაბნოემ იქავ კუთხიდამ
მოზიდა შეშა, ცეცხლი აანთო.
რა გაძლიერდა, ცეცხლისა შუქმა
ბნელი სენაკი სინათლით მორთო.
ხოლო რა შუქი იმა ცეცხლისა
სტუმარს იქ მჯდომელს ზედ მიეფინა,
გასაოცარი რაღაც შვენება
განდეგილს თვალწინ წარმოედგინა:
ყმაწვილი ქალი, სავსე სიცოცხლით,
სავსე შვენების ჯადოთი, გრძნებით,
ნაზად, ამაყად ცეცხლის პირს იჯდა,
ვით მინდვრის შველი ყელმოღერებით.
ეშხითა მფრქვევსა მის შავსა თვალებს
თვით ცეცხლი სითბოს ეცილებოდა,
მის ელფერთაგან თვით ცეცხლის შუქი,
ვითა ძლეული, უკუ-ჰკრთებოდა.

XIII

თვით მადლს ტრფობისას რომ მოესურვოს
ხორცსხმულად ვლენა ოდესმე ქვეყნად,
უკეთესს სახეს ვერ ინატრებდა
თავის სიცოცხლის გამომსახველად.
მაშინაც ვინ სთქვას, – ვინ ვის აშვენებს,
მადლი ამ სახეს, თუ სახე მადლსა!..
თვით შური, მტრობა ვერ უპოვიდა
ქალს მშვენიერსა ვერაფერს ნაკლსა.
მის თვალთა ელვით, ღაწვთა შუქფენით,
გულ-მკერდის რხევით ვინ არ
ათრთოლდეს!..
დახე მის ტუჩთა!.. თითქო თვით
ტრფობას
თვის ნაზი კოცნა ზედ დარჩენოდეს.
ვის არ მოიმხრობს, მოინადირებს
ყოვლად ძლიერი მშვენიერება!..
თქმულა – მხეციც კი გააფთრებული
მის წინ დატკბება და დაწყნარდება.
და დაუწყნარდა ძალს შვენებისას
იგი მწირიცა მწყრალი, გულმშრალი,
და უცოდველის გულის-ტკივილით
ქალს შეაჩერა ტყვექმნილი თვალი.

ჩვენ და ტექსტი

1. რა სანახაობა ატყვევებს განდეგილს? რის გამოხატულებად აღიქვამს იგი მზის ჩასვლას?
2. თქვენი აზრით, რას გამოხატავს მეტაფორულად ავდრის სურათი? როგორ ფიქრობთ, რა გრძნობებს, ემოციებს აღუძრავს განდეგილს ავდრისას გაგონილი უცარი ძახილია? რას ამჟღავნებს ეს ფიქრი?
3. რაზე საყვედურობს უცნობი განდეგილს, თქვენ იზიარებთ ამ საყვედურს?
4. როგორ ასაბუთებს განდეგილი თავის გადაწყვეტილებას, შეიფაროს უცნობი? ვისი ნების გამოვლინებად მიიჩნევს განდეგილი იმას, რომ უცნობი სენაკში დაუბრკოლებლად შედის?
5. რა გრძნობებს, რა აზრებს აღუძრავს განდეგილს ის, რომ უცნობი ქალი აღმოჩნდება?
6. როგორ წარმოჩნდება აქ უცნობი ქალის ბუნება?
7. როგორ არის დახატული მწყემსი ქალი? რომელ ეპითეტებს იყენებს ავტორი ამ მხატვრული სახის გადმოსაცემად?
8. რომელი ეპითეტებითაა გადმოცემული განდეგილის შინაგანი მღელვარება?
9. რა ძალა ახდენს განდეგილზე დამატყვევებელ და დამამშვიდებელ ზემოქმედებას?

ტექსტების სამყაროში

XIV

ბოლოს ჰკითხა მან: – „ვინა ხარ, შვილო?
ამ უდაბნოში რამ მოგიყვანა?
მერე ამ დროსა, როს ავდრისაგან
ლამის წაირღვნას მთელი ქვეყანა?“
– „მწყემსი ქალი ვარ... აქ მთის კალთებზედ
ცხვარს ვაძოვებდი მამი-ჩემისას,
ბალახმა ცხვარი ამოიტყუა
და მეც ამოვყევ ფარასა ცხვრისას.
ლამაზი იყო ამ დღის საღამო,
რა-რიგ ჰშვენოდა მზე დამავალი!
შევხედე თუ არ იმ მზეს, იმ ცასა,
გავშტერდი, ველარ მოვსხლიტე თვალი.
ღვთის სახესავით გარს შუქმოსხმული
მთის წვერზედ დიდი მზე
ბრწყინვალებდა
და საკვირველი ის სანახავი
თვალთანა ერთად გულსა მტაცებდა.
სულ დამავიწყდა მამის ნათქვამი: –
ნუ ენდობიო, შვილო, ამ მყინვარს,
ნახავ, მზე ადგას, უცებ გაწყრება
და წამოხეთქავს ციდამ ნიაღვარს.

XV

„მაგრამ რას იზამ? მოდი, გულს უთხარ, –
კარგ სანახავზე ნუ ხარ-თქო ხარბი!..
მე იქ გავერთვი... მყინვარმა თურმე
უცებ შეიკრა მრისხანედ წარბი.
ცა მოიღრუბლა, წამს ჩამობნელდა,
მთიდამა ცივი ავარდა ქარი,
მოვინდომე ცხვრის გამობრუნება,
გვიანღა იყო, ვერ მოვასწარი.
უცებ შემემთხვა იქავ ავდარი,
სეტყვა ტყვიასებრ წამოუშინა,
ცხვარი გამიფრთხო, ვერ მივეშველე,
ბნელაში ფეხიც ვერ წავდგი წინა.
მართლა უნდობი ყოფილა ეს მთა!
უცებ სცოდნია ჩამობნელება,
უცებ სამოთხეს ჯოჯოხეთად ჰქმნის,
უცებ გიტკბობს და უცებ აფთრდება.
ვიშ!.. რად გავტეხე მამის ნათქვამი!..
ახია ჩემზე, რაც დამემართა!
მამის ურჩსაო, გამიგონია,
გზა თურმე არსად არ წარემართა.

XVI

„დავლუპე ცხვარი მე მამის ურჩმა,
მე გავცემ პასუხს, ჩემი ბრალია!..
მაგრამ შენვე სთქვი: განა წაუხვალ,
რაც ფათერაკად მოსავალია?
თითონ ცხვარს მაშინ როდი ვჩიოდი,
მე მამა-ჩემი მებრალებოდა,
მამის-ერთა ვარ, მამას ვუყვარვარ,
ვწუხდი, რომ ჩემთვის შეწუხდებოდა.
ცხვარი დავლუპე, – ეგ ერთად-ერთი
მამის სარჩო და საბადებელი,
მაგრამ წარბსაც კი არ შეიხრიდა,
ოღონდ ვენახე მე უვნებელი.
ვიდექ სეტყვის ქვეშ ბნელაში სერზედ...
ცა ქვეყნის დანთქმას თითქო ჰლამობდა,
ჰჭექდა და ჰქუხდა... და ჩემთა ფეხ-ქვეშ
თითონ მთის ძირიც იძროდა, ძრწოდა.
რა მექმნა ბეჩავს!.. საბრალო თავი
სად შემეფარა, გადამერჩინა?
ვსთქვი, – აქავ დავრჩე და ბედს მივენდო,
თუ გავბედო და წავიდე შინა?

XVII

„დავრჩენილაყავ, მერე ვინ იცის,
გავაღწევდი-ღა ამ ღამეს ბედშავს?..
წავსულიყავ და ამ ბნელაშია
კლდე-ღრეში სადმე ჩავიჩეხდი თავს...
მაინც გავბედე შინისკენ წასვლა,
ვსთქვი, რაც მომივა, დე მომივიდეს!
თურმე ნუ იტყვი, გზა ამრევია
და მოვსდგომივარ მონასტრის ზღუდეს.
ჯაჭვს ზედ წავაწყდი... და მაშინ მივხვდი,
რომ აქ მყინვარის მონასტერია,
ისიც ვიცოდი მამი-ჩემისგან,
რომ მონასტერში ვიღაც ბერია.
გახარებული გეძახდი დიდ ხანს,
შენც კი კარგა ხანს მე ხმა არ გამე...
ვსთქვი, – ვაიმე თუ ვერ გავაგონო
და აქ მომიხდეს ვათიო ღამე!..
მაგრამ მიბრალა ჩემმა გამჩენმა
და შენამდე ხმა ამოვაწვდინე...
სხვა ხომ შენც იცი... ღმერთმა გარჩინოს,
როგორც შენ მე დღეს გადამარჩინე“.

XVIII

– „მე ნუ მიმადლი, შვილო, შენს დახსნას,
ღმერთია ყველას მშველელი, მხსნელი...
ღვთით არ-განწირულს ყველგან წინ
უძღვის
მისი მარჯვენა შემწყნარებელი“.
– „შენ კი ეშმაკი, მგონი, გეგონე“.
– „ნუ მიწყენ, შვილო, და ნურცა გიკვირს!..
შენვე სთქვი, სხვა ვინ მოხედავს ქვეყნით
ერთს დავიწყებულს და განდეგილს მწირს!“
– „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს,
ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?“
– „მყვანდნენ... და ყველას გამოვეთხოვე,
აქ მოველ და ღმერთს შევწირე თავი“.
– „მას აქეთ ბევრი წელიწადია?“
– „არ ვიცი“. – „როგორ?“ – „არ ვთვლი
წელთა-სვლას,
მოვშორდი, შვილო, წუთის-სოფელსა
და რაღას ვაქნევ იმის ჟამთა-ცვლას!“
– „მოშორდი და აქ სულ მარტოკა ხარ?“
– „ეგეთი არის, სჩანს, ნება ღვთისა“...
– „როგორ თუ ღვთისა?
ღმერთს რაში უნდა
ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?

XIX

„ღმერთო, ნუ მიწყენ, ნურც შენ გამკიცხავ
მე უმეცარსა მეტის თქმისთვისა...
როცა აქ ცხვარი მიძოვებია
და შემიხედავს მყინვარისთვისა,
მომგონებია მამის ნათქვამი,
იქ, ყინულებში კაცი სცხოვრობსო,
სულისთვის ხორცი გაუწირნია,
უწუთისოფლოდ მარტოდა სძლებსო, –
გამკვირვებია მე ეს ამბავი!..
მითქვამს: იქ ყოფნა რას არგებს სულსა?
განა სწყინს ღმერთს, რომ კაცი შეჰხარის
ქვეყანას, ღვთითვე დაბადებულსა?
ვფიქრობდი: ნეტა მაშ რისთვის მორთო
ესე ლამაზად წუთის-სოფელი?
განა მისთვის, რომ ადამიანმა
შეაჩვენოს და აიღოს ხელი?
ყველაფერს უნდა გამოვეთხოვო,
ჩემს ტოლს და სწორსა, ლხინს და
სიხარულს?!.
ღმერთო, ნუ მიწყენ... ვერ ვიზამ მაგას!
ადრე და მალე ვერ მოვიკლავ გულს!..

XX

„ან შენ როგორ სძლებ უწუთისოფლოდ!
მერე იცი კი რა-რიგ ტკბილია!
აქ სიკვდილია, იქ კი სიცოცხლე,
აქ ჭირია და იქ კი ლხინია.
ნუთუ თვისტომი, ტოლი და სწორი
ყველა გულიდამ ამოგიღია?
ნუთუ ნაღველი, დარდი და ჯავრი
თან არავისი წამოგიღია,
არ გაგონდება არც მამა, დედა,
ან ძმა, ანუ და, ან სახლი, კარი?
ნუთუ მის-დღეში არა გყოლია
მოკეთე, გულის შემატკივარი?!
როგორ მოშორდი?..“ – „რა გითხრა,
შვილო?
ყველაზე უფრო სული ტკბილია,
იგი ტყვე არის წუთის-სოფლისა
და ეგ ყოველი მის ბორკილია“.
– „მაშ ვინც ქვეყნად ვართ, ყველა
წავწყდებით,
ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?“
– „ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ აღიქვამს მწყემსი ქალი მზეს? რა აქვს საერთო ამ ხედვას მზის განდეგილისეულ აღქმასთან?
2. თქვენი აზრით, რას გამოხატავს სიმბოლურად ის, რომ მყინვარი, ერთი მხრივ, არაჩვეულებრივად მშვენიერი და მიმზიდველია, მეორე მხრივ კი, მრისხანე და საშიში?
3. ქალის აზრით, როგორი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ადამიანს ცხოვრების მიმართ? თავად ქალი როგორ აფასებს „უწუთისოფლოდ“ ცხოვრებას? რა მოწმობს, რომ ღმერთს სურს ადამიანის ამქვეყნიური ბედნიერება?
4. გასულ წლებში თქვენ შეისწავლეთ აკაკი წერეთლის „თორნიკე ერისთავი“. გაიხსენეთ, როგორ უყურებს ამქვეყნიურ ყოფას კათალიკოსი და რას უწოდებს „საცალმაგო“ და „შემაცდენ ახსნას“? თქვენი აზრით, რატომ ემთხვევა მწყემსი ქალისა და კათალიკოსის შეხედულებები?
5. რატომ აოცებს მწყემს ქალს მწირის ამ ქვეყნისაგან განდგომა?
6. როდის შეეპარა ეჭვი განდეგილს საკუთარი რწმენის სიმყარეში? მოიხმეთ სათანადო მაგალითი პოემიდან.
7. რასთან აიგივებს ქალი ადამიანის ამქვეყნიურ, საზოგადოებრივ არსებობას და რასთან – მყინვარზე განდეგილობას, სრულ მარტოობას?
8. როგორ გესმით განდეგილის სიტყვები:

   „ხსნა ყველგან არის, ხოლო გზა ხსნისა
   ასეთი მერგო, მე უბედურსა“?



XXI

„უბედურსაო“?!.. და მწირსა უცებ
გულს ელდა ეცა ამ სიტყვის თქმაზედ...
ესეთი სიტყვა ხომ ჩივილია,
და ვით მოადგა იგი ენაზედ?
„უბედურსაო“?!.. ეგ ხომ სიტყვაა
გულის-ტკენის და სამდურავისა!
ეგ ხომ სულთქმაა, აღმოკვნესაა
ბედნიერების დამკარგავისა!..
მან რა დაჰკარგა?.. ნუთუ არ ჰყოფნის,
რომ მან დასძლია საწუთროება,
განდგა მისგან და აქ მოიპოვა
სულის მშვიდობა და მყუდროება?
ნუთუ დაკარგვად აწ მიიჩნია
დამარხვა ხორცის, გულთქმის, ვნებისა,
და არა ჰკმარის, რომ სულს დაუდგა
წმინდა საყდარი უკვდავებისა?
რა დაემართა? რა მოუვიდა?
ნუთუ უჩივის აწ იგი ბედსა?
ნუთუ აწ ჰნანობს ქვეყნის დათმობას
და მუნათს რასმე სდებს შემოქმედსა?

XXII

არ შეჰკადრებს ღმერთს იგი სამდურავს!
არ გასწირავს სულს შევედრებულსა!
ვით არ იკმარებს ღვთისა კურთხევას,
მასზედ გულუხვად მომადლებულსა!..
არა და არა!.. მაშ რამან სძლია
და ეს სიტყვა რამ ამოაკვნესა?
მიმოიხედა თვის გარს საბრალომ,
თითქო მტერს ეძებს შემაცდენელსა.
არავინ იყო... ხოლო ცეცხლა-პირს
ქალს დაღალულსა მისძინებოდა,
და ცეცხლის შუქი მის ტურფა სახეს,
ვით საყვარელსა, ზედ დაჰხაროდა.
საოცარ იყო მიძინებული
იგი სიტურფე, იგი შვენება!..
თითქო მის შექმნას ერთად ცდილანო
თვით სიყვარული და ნეტარება.
თითქო თვით მადლსა შვენებისასა
თვისი საუნჯე აქ დაჰბნევია
და ეშხსა, ვითა იადონს ვარდზედ,
სული მის ღაწვზედ დაულევია.

XXIII

და რა იხილა კვლავ იგი მწირმა,
დაუცხრა სული აქოთებული
და რაღაც ძალით ქალზე კვლავ დარჩა
თვალი ტყვექმნილი, გაშტერებული.
რად შეემსჭვალა თვალი ამ სახეს?
ის სახე ატკბობს, თუ ეოცება?
მორიდება ჰსურს და ნეტა თვალი
რად ეურჩება და არ ჰნებდება?!
დიდ-ხანს დასცქერდა... ნეტა რა სხივი
გულს ჩაეფინა ნელი და თბილი!..
ჰძრწის, მაგრამ იგი ძრწოლა რად არის
ესოდენ ამო, ესოდენ ტკბილი!
აქამდისაც ხომ გული უძგერდა...
ეხლა სულ სხვაა მის გულის ძგერა!..
ეხლა მის გული თითქო ებანს სცემს
და ისმის ჩუმი ებნის სიმთ ჟღერა.
როგორ იწამოს და რა დაარქვას
ამ ჯერ არ-ცნობილს სიტკბოებასა?
თუ ცოდვა არის, ეგრე რადა ჰგავს
სულისთვის აღთქმულ უკვდავებასა?

XXIV

ფეხი წინ წადგა... არ იცის კი რად?
ქალს კვლავ ეძინა ნეტარის ძილით,
ძილში ჩაყოლილს ფიქრს, თუ ოცნებას
ბაგე გაეპო ლაღის ღიმილით.
იმა ღიმილის გრძნეული ჯადო
ზედ დასაკვდომად კოცნას იწვევდა
და იმა წვევის მაცდურებასა
ზე-არსთა ძალიც ვერ გაუძლებდა...
და ვერ გაუძლო საწყალმა მწირმაც...
და დაიხარა თავი თუ არა,
უცებ გაშეშდა... ეჰა, წაწყმედავ,
ეს რა სურვილი გულს გაიტარა!..
ნუთუ იძლია? არა და არა!..
მის სასოება არ დაუძლურდეს
და რაცა სწყურდა აქამდე მის სულს,
იგივე უნდა ბოლომდე სწყურდეს!..
არა და არა!.. არ აიყრის მადლს,
და სულს, ღვთისაგან უკვე მიჩნეულს,
არ ანაცვალებს და არ დაუთმობს
ხორცს, ესდენ ღვაწლით და ტანჯვით
ძლეულს!

XXV

მაგრამ ეს რაა?.. „წაწყმდი თუ არა!..“
ეს ვინ ჩასძახის ნიშნ-გებით ყურში!
„დაგძლიე თუ არ!..“ ეს ვინ გაჰკივის
გახარებული იმის მკვდარ გულში!
ეს რა ჰხარხარებს! ეს რა დასცინის!
ეს რა ხმა ისმის მის გარს ლხენისა!
მართლა ეგრეა, თუ ყველა ესე
მხოლოდ ცდომაა ყურთა სმენისა!..
და შიშით, ზარით გარს მოიხედა...
კვლავ არვინ იყო... ქალს კვლავ ეძინა...
იდგა და უცებ ძრწოლით, კანკალით
პირქვე დაემხო ღვთის-მშობლის წინა.
მით რა ეშველა?.. იგივ ქენჯნაა,
იგივე ძრწოლა, შიში და ზარი!
რად არ დადგება, რად არა სცხრება
იგი ნიშნ-გების წყეულთ ხარხარი!
სული გულს იწვევს ღვთისა ვედრებად,
გული სხვას ამბობს, არა ჰნებდება...
ნუთუ ღვთის-მშობლის
საფარველ-ქვეშეც
წყეული ხორცი არ დაწყნარდება!..

XXVI

ზე აიხედა... დედა-ღვთის ხატსა
მავედრებელი შეჰმართა თვალი...
და ვაი, წმინდა ღვთის-მშობლის ნაცვლად,
თვალთ-წინ დაუდგა იგივე ქალი!
ეს რა ეწვია? ამას რას ხედავს?
ცხადია იგი, თუ აჩრდილია?
ნუთუ მის ცოდვით თვით წმინდა ხატი
ამ ცოდვილ სახედ გარდაქმნილია?
ნუთუ აწ ღმერთი ღირსად არ ჰხადის,
რომ დედა-ღვთისა კვლავ ინახულოს
და მის შეწევნით მისვე წინაშე
ხორცზედ კვლავ ძლევა ისასწაულოს?..
პირჯვარი უნდა – ხელი არ ერჩის,
ლოცვის თქმა უნდა – ენა ებმება,
ხატის ხილვა სწყურს და იგივ... იგივ...
ქალი წყეული თვალთ ელანდება!
„აბა სძლიეო!..“ და კვლავ ვიღაცამ
გაიხარხარა იმის სენაკში...
აწ იმა ხარხარს ველარ გაუძლო
და როგორც გიჟი გავარდა კარში.

XXVII

რიჟრაჟი იყო და თენდებოდა,
გადაყრილიყო ციდამ ღრუბელი,
და დაწყნარებულს წუთის-სოფელსა
დილის ნიავი დაჰქროდა ნელი.
ეს ვინ ჰრბის, დაძრწის? ეს ვინ
ჰტანტალებს
იმ კლდეებშია თმააბურძგნული?
ნუთუ მწირია?.. იგია, იგი,
ვითა სიკვდილი გაფითრებული.
აჰა მოვარდა, ზღუდის პირს დადგა
და მწყურვალებით უცქერს მთის წვერსა,
თითქო იქიდამ გამოელისო
თვის უკანასკნელს ნუგეშს და ბედსა.
მზის ამოსვლასა ელოდებოდა...
რად არ ამოდის? რად გვიანდება?
დღემდე თვით ჟამი არარა იყო,
და ეხლა წუთიც რად უძნელდება?..
ამოვიდა მზეც... მსწრაფლ უკუ-იქცა,
შევარდა სენაკს გახარებული,
და კვლავ მზის სხივი იმავე სვეტად
ჰნახა სარკმლიდამ გადმოშვებული.

XXVIII

გულზედ მოეშო... კვლავ სასოებით
დედა-ღვთისასა მიაპყრა თვალი,
კვლავ ჰნახა იგივ ცხოველი ხატი
მადლით, ნუგეშით გადმომზირალი.
არ შერისხულა, სჩანს, ჯერეთ ღვთისგან!..
და ღმერთს მადლობა ცრემლით შესწირა...
მივარდა ლოცვანს, დააყრდო სხივზედ
და, ეჰა, სხივმა არ დაიჭირა!..
დაესხა რეტი, თვალთ დაუბნელდა,
გაშრა, გაშეშდა ზარდაცემული,
ერთი საშინლად შეჰბღავლა ღმერთსა
და იქავ სხივ-ქვეშ უტევა სული.

და იქ, სად წმინდანთ უდიდებიათ
ღმერთი მსჯავრის და ჭეშმარიტების,
იქ, სად უწირავთ უფლისა მიმართ
მსხვერპლი ქებისა და ღაღადების, –
აწ შორის ნანგრევთ და ნატამალთა
მარტო ქარიღა დადის და ქშუის,
და გამომფრთხალი ჭექა-ქუხილით
მუნ შეხვეწილი ნადირი ღმუის...

1883 წ.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს განდეგილის დაეჭვებას საკუთარ არჩევანში?
2. როგორ ვლინდება განდეგილის – ასკეტის – მტკიცე ნებისყოფა? როგორ წარმოჩნდება გრძნობა, რომელიც განდეგილს ქალის მიმართ უჩნდება? რას ამსგავსებს განდეგილი ამ გრძნობას და რაზე მიგვანიშნებს ეს?
3. მწირს ღვთისმშობლის ხატი მწყემსი ქალის სახით წარმოუდგება. როგორ განიცადა ეს ფაქტი თავად განდეგილმა?
4. როგორ არის გამოხატული განდეგილის სულიერი შფოთვა, სინდისის ქენჯნა? თქვენი აზრით, რატომ აღარ დაიჭირა სხივმა ლოცვანი?

პარალელები

ასკეტის და ასკეტიზმის თემას XIX საუკუნის ლიტერატურაში რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები მიეძღვნა – ფრანგი მწერლების, გუსტავ ფლობერის (1821-1880) „წმინდა ანტონის ცდუნება“ და ემილ ზოლას (1840-1902) „აბატ მურეს შეცოდება“, რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის (1828-1910) „მამა სერგი“ ...თუ ფლობერის და ზოლას ნაწარმოებებში გამოხატული პოზიცია რელიგიის, ქრისტიანობის მიმართ სკეპტიკური (ეჭვიანი) და კრიტიკულია, ტოლსტოი, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, ქრისტიანულ მსოფლხედვას იზიარებს და ეყრდნობა. მისი გმირი, დიდი სულიერი ენერგიით აღჭურვილი ასკეტი, დაუნდობელია თავის თავთან ბრძოლაში, მაგრამ მაინც მარცხდება, ქალის სახით მოვლენილ ხორციელ ცდუნებას ვერ უძლებს. იგი ვერც თავის პატივმოყვარეობას, ამპარტავნობას ძლევს – თვით ასკეტური სიწმინდის მოპოვებაში მიღწეული გამარჯვებები მის ფარულ ამპარტავნობას აძლიერებს. ის სერიოზულად ეჭვდება ღმერთის არსებობაში. მისთვის რეალურად მიუწვდომელი რჩება უმთავრესი ქრისტიანული ფასეულობა – მოყვასის უანგარო და ქმედითი სიყვარული. ეს ფასეულობა ხორცს ისხამს მისი ძველი ნაცნობის, უბრალო ქალის ცხოვრებაში, რომელსაც არ აქვს გამორჩეულობის, რელიგიური გმირობის პრეტენზია. ტოლსტოის მოთხრობის მთავარი პერსონაჟი აღმოაჩენს, რომ ნამდვილი ქრისტიანობა, ქრისტიანულ ღმერთთან ნამდვილი სიახლოვე, უპირველესად სხვა ადამიანებისადმი წრფელი სიყვარული და თანაგრძნობაა, საკუთარი სულიერი ძალების სხვებისთვის უხვად გაღებაა, ეგოიზმისგან თავისუფლებაა.

აქ მოცემული მსჯელობის მიხედვით, შეადარეთ ერთმანეთს ტოლსტოისა და ილიას ასკეტი გმირები.

ოსტატობის სკოლა

ქვემოთ მოცემული ორი დავალებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და დაწერეთ **ანალიტიკური ესე:**

1. „ერთი სამყაროს ორი ხატება“, რომელშიც ასახავთ ცხოვრების განდეგილისეულ და მწყემსი ქალისეულ აღქმას.
   ესეს დასკვნით ნაწილში გადმოეცით თქვენი პირადი პოზიცია;
2. დაწერეთ ესე „განდეგილის ტრაგედია“, რომელშიც წარმოაჩენთ და გააანალიზებთ იმ მიზეზებს, რომლებმაც ამ გმირის დამარცხება გამოიწვია.

კომპლექსური დავალება

პუბლიცისტური წერილი ინტერნეტგამოცემისათვის – „ბედნიერი ერი დღეს“

სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში შესწავლილი მხატვრული ტექსტებისა და პუბლიცისტური წერილების მიხედვით ჩამოაყალიბეთ ილიასდროინდელი საზოგადოების მანკიერი მხარეები, შეადარეთ ისინი ჩვენი საზოგადოების პრობლემებს და დაწერეთ ინტერნეტგამოცემისათვის პუბლიცისტური წერილი „ბედნიერი ერი დღეს“.

წერისას გამოკვეთეთ აბზაცები, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში წარმოაჩინეთ:

- საზოგადოების რა მანკიერი მხარეები თუ პრობლემებია გამოკვეთილი ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში, როგორია მწერლის პოზიცია მათ მიმართ, რაში ხედავს ის გამოსავალს (თქვენი მოსაზრებების დასაბუთებლად დაიმოწმეთ შესაბამისი მაგალითები ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებებიდან);
- რა პრობლემები ანდა მანკიერი მხარეებია დამახასიათებელი თანამედროვე ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის;
- რა მსგავსება-განსხვავებაა ილიას ეპოქისა და თანამედროვე დროის საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემებს შორის, რითია ისინი განპირობებული;
- რა გზა იქნება ყველაზე ეფექტური თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად, რამდენად და როგორ შეიძლება ამისთვის ილიას მემკვიდრეობის გამოყენება;
- მიზეზშედეგობრივი მიმართებების გამომხატველი სიტყვები და გამოთქმები;
- პუბლიცისტური წერილის სტრუქტურული ნაწილები – შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

წაკითხვამდე

სტუმრად აკაკისთან

მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა შორის აკაკი ბედნიერი გამონაკლისია, რომლის კადრებიც კინემატოგრაფმა შემოგვინახა.

პოეტის ბიოგრაფიის გაცნობამდე გთავაზობთ ვირტუალურ შეხვედრებს მასთან და მოგზაურობას მის სახლ-მუზეუმში. თქვენ კი წინა კლასებში შესწავლილი მასალის მიხედვით მოამზადეთ მისი ლიტერატურული პორტრეტი.

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

1. ვრცელი ვერსია
2. მოკლე ვიდეორგოლი
3. აკაკის სახლ-მუზეუმი

https://9nes.short.gy/cdwzEj
https://9nes.short.gy/Wx3Y98
https://9nes.short.gy/saMlvN



აკაკი წერეთელი
1840 – 1915

ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,
ხან არც ისა ვარ, არც ისა!
გარემოების საყვირი,
არც მიწისა ვარ, არც ცისა.

აკაკი წერეთელი არისტოკრატიული ოჯახიდან წარმოდგებოდა. დედამისი ეკატერინე იმერეთის მეფის, სოლომონ პირველის ქალიშვილის, დარეჯანის, შვილიშვილი იყო. თავად წერეთლების გვარი შედარებით გვიან გამოვიდა ისტორიულ ასპარეზზე. იმერეთის მეფეები მეთვრამეტე საუკუნეში ხშირად ამ გვარის უფროსი შტოდან ნიშნავდნენ თავიანთ სახლთუხუცესებს, სარდლებსა და ელჩებს. აკაკი წერეთელმა ბავშვობა რუსული ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილ ატმოსფეროში გაატარა.

აკაკი დაიბადა საქართველოს პროვინციაში, რომელიც ყოველთვის შედარებით უკეთ იყო დაცული უცხოელების ზეგავლენისაგან. თავისი ბავშვობა მან გაატარა მრისხანე მოდინახეს ციხის ძირში, რომელიც თითქოს ამოზრდილია საჩხერის კლდეებიდან, სავანის ტაძრის გვერდით, რომელიც, თავისი მცირე ზომის მიუხედავად, გვაოცებს თავისი ხაზების ჰარმონიულობითა და პროპორციულობით, საზოგადოებრივ წრეში, სადაც გამძაფრებული იყო ისტორიული ტრადიციების შეგნება.

ძველი ქართული ფეოდალური ადათის მიხედვით, პატრონების შვილები ხშირად რამდენიმე წელიწადს ვასალების ოჯახებში ატარებდნენ. მეფისწულები თავადების ოჯახებში, თავადებისა – აზნაურიშვილებისაში, ხოლო აზნაურიშვილებისა გლეხებისაში. ამ გზით ხდებოდა მმართველი და ქვეშევრდომი ფენის დაახლოება, თვით ერთგვარი დამოყვრება. რო-

გორც ცნობილია, აკაკი წერეთელმაც თავისი ბავშვობა შვიდ წლამდე გაატარა არა მამაპაპისეულ ქვიტკირის პალატებში, რომელიც დღემდე შენახულია მის სამშობლო სოფელ სხვიტორში, არამედ მეზობელ სოფელ სავანეში, ძიძასთან, გლეხის უფანჯრო, უსაკვამურო ქოხში, კერასთან, სადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მხართეძოზე წამოწოლილი დევივით იდო დიდი, უზარმაზარი ჯირკვი და გაუსხლეტლად ზამთარ-ზაფხულ ცეცხლი გუზგუზებდა. „არ შემიძლია, არ გამოვტყდე, რომ თუკი რამ დარჩა ჩემში კარგი და კეთილი, უფრო იმის წყალობით, რომ მე სოფელში ვიყავი გაბარებული და გლეხების შვილებთან ერთად ვიზრდებოდი“, – წერდა მოგვიანებით პოეტი.

აკაკი წერეთელმა გლეხკაცის ოჯახში მიიღო არა მარტო ჯანსაღი, სპარტანული აღზრდა[1], რომელმაც მას შემდეგ ცხოვრების გზაზე მრავალგვარი გაჭირვება გადაატანინა. აქ მან კერის პირას თუ მინდორში გაიგონა ის ხალხური სიმღერები, ლექსები და ზღაპრები, რომელთაც ასეთი კეთილისმყოფელი გავლენა იქონიეს მის გამჭვირვალე და ნათელ პოეტურ შემოქმედებაზე.

როგორც პოეტის ავტობიოგრაფიიდან ნათლად ჩანს, არც ქუთაისის გიმნაზიას და არც პეტერბურგის უნივერსიტეტს მაინცდამაინც ნაყოფიერი გავლენა არ მოუხდენია მის სულიერ განვითარებაზე. დიდად დამახასიათებელია, რომ მას არც ატესტატი მიუღია და არც დიპლომი. როგორც ეტყობა, პირველად საშუალო სასწავლებლის გაკვეთილებმა და უნივერსიტეტის ლექციებმა ჩააგონეს მას ის სიძულვილი რუსიფიკატორული სკოლის, გონებაშეზღუდული ჩინოვნიკების, გადაგვარებული ინტელიგენციის, გაქნილი ვაჭრების მიმართ, რომელიც მას შერჩა მთელი მისი ლიტერატურული მოღვაწეობის მანძილზე.

როგორც ხშირად სჩვევიათ მნიშვნელოვან ადამიანებს, რომელნიც თავიანთ თავს ვულგარულ[2] საზოგადოებრივ გარემოცვაზე მაღლა გრძნობენ, აკაკი წერეთელიც ცხოვრებაში მრავალ ნიღაბს ატარებდა: მიზანტროპისა[3], პილპილიანი ნაკვესების ოსტატისა, ბანქოს მოთამაშისა, გულცივი მოაშიკისა. ის ხშირად გაქცევას აპირებდა საქართველოდან, იმიტომ რომ დროგამოშვებით მართლაც დევნას განიცდიდა, როგორც ოფიციალური ხელისუფლების, ისე მტრულად განწყობილი ქართული არისტოკრატიის ზოგიერთი ელემენტის მხრივ. თავის თანამედროვეებზე ის ახდენდა სახარების ფრინველის შთაბეჭდილებას, რომელიც არ მკის და არ სთესს და რომელსაც ყოველ შემთხვევაში ხელში ფული არ მიეცემა. მართლაც, მას წარმოდგენა არ ჰქონდა არც მარტივ, არც ორმაგ ბუღალტერიაზე და თუმცა პირველმა აღმოაჩინა ჭიათურის შავი ქვა და მისი მნიშვნელობა სწორად დააფასა, ვერავითარი რეალური სარგებლობა ვერ ნახა ამ უმდიდრესი მადნის ექსპლოატაციიდან.

მაგრამ მოხსენით მას ეს ყოველდღიური ნიღბები და თქვენ დაინახავთ, რომ მისი სახე ღრმა ჩაფიქრების და სევდის ნაოჭით არის დაღარული. გაიხსენეთ მისი ისტორიული პოემები და დრამები, მისი პატრიოტული და სამივჯნურო ლექსები, წაიკითხეთ ზოგიერთი მისი კერძო წერილი და თქვენ დარწმუნდებით, რომ ეს არის თორნიკე ერისთავის, ცოტნე დადიანის და პატარა კახის თანამებრძოლი, რაინდული და იდეალისტური მიჯნურობის გმირი, საქართველოს უანგარო ტრუბადური[4], რომელსაც თითქოს რამდენიმე საუკუნით დაუგვიანია და იმის მაგივრად, რომ თავისი პოეტური შემოქმედებით ძველი საქართველოს ლაშქარი აღეფრთოვანებინა, გაიძვერა ადვოკატების და გონებაჩლუნგი მედუქნეების წრეში მოხვედრილა.

[1] **სპარტანული აღზრდა** – ძველი საბერძნეთის ერთ-ერთ პროვინციაში – სპარტაში გავრცელებული აღზრდის სისტემა, რომელიც თავისი სიმკაცრით გამოირჩეოდა.

[2] **ვულგარული** – უხამსი, უხეში, უგვანი.

[3] **მიზანთროპი** – პირი, რომელიც ადამიანებს, საზოგადოებას გაურბის; უჟმური; კაცთმოძულე.

[4] **ტრუბადური** – აქ ადამიანი, რომელიც აქებს, ადიდებს რასმე.

ბალზაკივით[1] ის მრავალ პრაქტიკულ საქმეს ჰკიდებდა ხელს, თეატრის ანტრეპრიზას[2], წიგნის და გაზეთის გამომცემლობას, ვერცხლის და ნავთობის ბუდობების აღმოჩენას, ის ცდილობდა ევროპელი კაპიტალისტები დაეინტერესებინა საქართველოს მადნეულობის ამოღებაში. ცნობილია, რომ ჭიათურის შავი ქვის პირველი პარტია ევროპის ბაზარზე აკაკი წერეთლის სახელით გავიდა. მაგრამ თვით მას მიწის წიაღის სიმდიდრე იმისთვის აინტერესებდა, რომ მოგებული კაპიტალით უფრო ძვირფასი სიმდიდრე გადაერჩინა, სახელდობრ, ქართველი ერის წიაღში დამარხული ხალხური პოეზია.

„ჩემ ხანგრძლივ ცხოვრებაში საპირადო, კერძოსა და წვრილმანებში უხასიათობა გამოვიჩინე, მაგრამ დიდისა და საზოგადოებრივისთვის კი ჩემს დღეში არ მიღალატია“, – ამბობს ის. მართლაც, იგი პირველი შეხედვით ცვალებადი, მერყევი ბუნების ადამიანად გეჩვენებათ; მაგრამ ჩაიხედეთ უფრო ღრმად მის არსებაში და თქვენს თვალწინ კერპი ხასიათის, თვით მკაცრი ზნეობრივი ვალდებულების ადამიანი აღიმართება. მას შეიძლება დაავიწყდეს რამდენი ფული გესესხათ ან რამდენი გასესხათ, შეიძლება დაავიწყდეს ოჯახური ვალდებულებების შესრულება, მაგრამ არასოდეს დაავიწყდება თავისი სამოქალაქო და პატრიოტული ვალდებულებების მოხდა. მას თამამად შეეძლო ანტონ I-ის[3] სიტყვები გაემეორებინა: „მოვიცალე სხვათა ყოველთა კეთილთაგან და ვერ მოვიცალე საქართველოს მსახურებისაგან“.

ამ შეუდრეკლობას, ამ სიკერპესთან ერთად მას ჰქონდა საკუთარი ადამიანური ღირსების გრძნობა, რომელიც, როგორც ეტყობა, ერთი მხრით მისი წარმოშობით და აღზრდით აიხსნებოდა, ხოლო მეორე მხრით, საკუთარი პოეტური გენიის განცდით. არც ამ ღირსების გრძნობისთვის უღალატნია მას არასოდეს. ნაწილობრივ პირადი დაუდევრობისა და უანგარიშობის, ნაწილობრივ უკუღმართი საზოგადოებრივი პირობების წყალობით მას ხშირად დიდი მატერიალური გაჭირვება გადაუტანია; ერთხელ ის იძულებული გამხდარა ცოლ-შვილი მოყვრებში გაეგზავნა, ხოლო თვითონ ზნეობრივი გამხნევება ეძებნა ნიკოლაძის და ხელთუფლიშვილების ოჯახებში. გავლენიან პირებს მისთვის სახელმწიფო სამსახური ან ბანკში მუშაობაც შეუთავაზებიათ, მაგრამ დამოუკიდებლობის სიყვარულს ყოველთვის დაუძლევია, და პოეტი ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა ამ ცთუნებისაგან.

მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ ბრძოლაში აკაკი წერეთელს, მისივე მოწმობით, მხარში უდგნენ საზოგადოების უფრო მგრძნობიარე ელემენტები, ქალები, ახალგაზრდები და ქართული დემოკრატიის უსახელო წარმომადგენლები, სასტუმრო „კოლხიდის“ და „ივერიის“ პატრონები, გიორგი ჭილაძეები და სხვანი, რომელნიც ოთახსა და საჭმელ-სასმელს სთავაზობდნენ, ოღონდ მას ქედი არ მოეხარა მტრის წინაშე.

აკაკი წერეთელი თავისი აზრების გამოსახატავად მონუმენტურ სტილს ეძებდა და მონუმენტურობა დამახასიათებელია არა მარტო მისი ოლიმპიური ფიგურისთვის, არამედ მისი ისტორიული პოემებისა და მოთხრობებისთვისაც. მართალია, პოეტი ყოველთვის ანგარიშს არ უწევს ისტორიულ ფაქტებს, ყოველთვის რეალისტურად არ გადმოგვცემს ამა თუ იმ დეტალს, მაგრამ ის სწორად გრძნობს ეპოქის სტილს და აღწევს როგორც მხატვრულ ეფექტს, ისე სასურველ იდეოლოგიურ ზემოქმედებას. მისი მთავარი იდეოლოგიური მიზანი კი ის არის, რომ ისტორიული გმირების ჩვენებით პატრიოტული სული განამტკიცოს მკითხველში და ზნეობრივად აამაღლოს ის.

გერონტი ქიქოძე

---

[1] **ონორე დე ბალზაკი (1799–1850)** – ფრანგი რეალისტი მწერალი; ქართულად თარგმნილია მრავალი მისი ნაწარმოები.

[2] **ანტრეპრიზა** – თეატრის, ცირკის, მსახიობთა დასის მესვეურობა კერძო პირის მიერ.

[3] **ანტონ I, კათალიკოსი (1720–1788)** – ერისკაცობაში თეიმურაზ ბაგრატიონი, მწერალი, მეცნიერი, ღვთისმეტყველი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე.

წაკითხვამდე

1. მეცხრამეტე საუკუნის ლიტერატურაში ძნელია მოიძებნოს მეორე ავტორი, რომელიც პოპულარობით აკაკი წერეთელს შეედრებოდა. მის შემოქმედებას თქვენ რამდენადმე უკვე იცნობთ. წინა წლებში შესწავლილი მასალის გათვალისწინებით იმსჯელეთ, რა შეიძლებოდა ყოფილყო პოეტის განსაკუთრებული პოპულარობის მიზეზი?
2. „გველის“, „ვეშაპის“, „ქაჯთა მიერ დატყვევებული სატრფოსა“ და მისი გათავისუფლებისათვის ებრძოლი რაინდის სახეები ყველა დროისა და ხალხის ლიტერატურაში გვხვდება. ივარაუდეთ, რა მნიშვნელობით გამოიყენებოდა ისინი ძველ მწერლობაში და რა ახალი შინაარსით გაამდიდრა ეს სახე-სიმბოლოები რომანტიზმმა?

ჭაღარა

ის აღარა ვარ, რაც ვიყავ,
ძნელი ყოფილა ჭაღარა...
ველარ გაჰკივის თამამად
ჩემი დაფი და ნაღარა.

გული არ იშლის გულობას,
მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე!..
ვარ ბევრი „ვაის“ მნახველი
და ბევრი „უის“ გამგონე.

ამევსო გული წვეთ-წვეთად
ნაღველითა და შხამითა,
ისე, ვით საუკუნები –
სხვადასხვა მრავალ წამითა.

მაშ რაღად მინდა სიცოცხლე
მე, აწმყო-გამწარებულსა,
თუ, ვისაც ვეტრფი, ვინც მიყვარს,
ვხედავ მას აოხრებულსა?

მაგრამ იმედი, ცის ნიჭი,
რომ გამიელვებს გლახ-გულსა,
თავი ტარიელ მგონია,
ოცნებით გარემოცულსა.

ვუხმობ ფრიდონს და ავთანდილს,
მხარი მხარს მივცეთ, ხელი ხელს,
ნესტან-დარეჯან ქაჯებს ჰყავს,
მოელის ტურფა გამომხსნელს!

რა ვუყოთ, თეთრი მერიოს!?
სისხლით შევღებავ ჭაღარას
და სულ სხვა ხმაზე დავუკრავ
ამ ჩემს დაფსა და ნაღარას.

მაგრამ ვაიმე, რომ ეჭვი
მოუგზავნია ჯოჯოხეთს:
მაცდურ სარკეში მახედებს,
ოცნებას მიკლავს... გულს მიხეთქს!..

ამბობს: „ფრიდონ და ავთანდილ
ჯერ ვერ გადიხდის ომსაო!...
და შენც ტარიელს მოჰგავხარ
ისე, ვით კატა ლომსაო“.

მართალი არის, მაგრამ რა?
რისთვის დავკარგო იმედი?
გმირს წინა-უძღვის ყოველთვის
უძლური წინამორბედი!..

არა! აყვავდეს იმედი!...
გულს ვერ გამიტეხს ჭაღარა!..
გმირებს უძახის... უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა!..



ირაკლი თოიძე
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია

ჩვენ და ტექსტი

1. პოეზიის ალეგორიად თუ სიმბოლოდ ხშირად მუსიკალური საკრავები გვევლინება, მაგალითად, ლირა ძირითადად ნაზი, ლირიკული განწყობის გამომხატველია, ქნარი – ამაღლებულისა და ღვთაებრივის და ა. შ.
   თქვენი აზრით, როგორ განწყობას გამოხატავს აკაკის „დაფი“ და „ნაღარა“?
2. რა საერთო შეინიშნება რომანტიკოსების პატრიოტულ ლირიკასა და აკაკის ამ ლექსს შორის? რა საერთო საწუხარი აქვთ აკაკისა და რომანტიკოსების ლირიკულ გმირებს? მოძებნეთ მათ ლექსებში თქვენი მოსაზრებების დამადასტურებელი სტროფები.
3. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში („ვისაც გსურთ“) სამშობლო „დატყვევებული სატრფოს“ სახითაა წარმოდგენილი. თქვენი აზრით, რა განასხვავებს რომანტიკული და რეალისტური ნაწარმოებების ლირიკული გმირების განწყობას ერთმანეთისაგან? რომელს უფრო აქვს საკუთარი ძალების რწმენა?
4. რომელი ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟები „ცოცხლდებიან“ ლექსში და რა ახალ შინაარსს იძენს მათი სახეები აკაკისთან?
5. ლექსში თითქოს ლირიკული გმირის დაეჭვებული ორეული ჩნდება, რომელიც ესაუბრება, ეპაექრება მას. დააკვირდით ამ „დიალოგს“ და გამოკვეთეთ თითოეული მათგანის პოზიცია.

   რა ფუნქცია აქვს ამ ლექსში ირონიას, ეპითეტს, მეტაფორას? როგორ ახერხებს გმირი დაეჭვებული ორეულის დამარცხებას?
6. შეადარეთ ერთმანეთს ქვემოთ მოცემული სტრიქონები:

ველარ გაჰკივის თამამად ჩემი **დაფი და ნაღარა.**	გმირებს უძახის... უყივის ჩემი **დაფი და ნაღარა!..**

   ლირიკული გმირის რა განწყობილება იგრძნობა ლექსის დასაწყისში და როგორ იცვლება იგი ფინალურ სტრიქონებში?

წაკითხვამდე

1. ალბათ, გსმენიათ გამოთქმა „ამ ცხოვრების ოღროჩოღრო გაზე აღმართიც ბევრია და დაღმართიც“. იმსჯელეთ, რა იგულისხმება ცხოვრების გზაზე შეხვედრილ აღმართ-დაღმართში?
2. თქვენ ცოტა ხნის წინ ჩაატარეთ დამოუკიდებელი კვლევა სახე-სიმბოლოების შესახებ („გზა და ძიების გზაზე დამდგარი გმირი“, თავი II, გვ, 132). გაიხსენეთ, რა სიმბოლური „შინაარსი“ აქვს გზას, მთას, მზეს, აღმართს, მაღლა ასვლასა და დაბლა დაშვებას, გზის პოვნასა და გზის დაკარგვას? ამ სიმბოლოების გათვალისწინებით იმსჯელეთ, რაზე მიგანიშნებთ ლექსის სათაური?

აღმართ-აღმართ

აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა,
სერზედ შევდექ, ჭმუნვის[1] ალი მენელა[2].

მზემან სხივი მომაფინა მაშინა,
სიცოცხლე გვრძენ, სიკვდილმა ვერ მაშინა[3].

შემიდუღდა მაშინ სული და გული,
იმ ნადუღში თვით მე ვიყავ დაგული[4].

გულმა ძგერა, სულმა შფოთვა დამიწყო,
ჩანგმაც თვისი მე სიმები დამიწყო.

ხმა სიმართლის შეუპოვრად გაისმა,
რომ დღეის-დღის ხმა ისმინოს გაისმა[5].

ცის მახლობლად ფეხქვეშ ვიგრძენ მიწა მე,
ვსთქვი: „ცხოვრებავ, მეც ერთ კაცად
მიწამე!“

და ვიფიქრე: „ჩემი სატრფო სად არი?
ნისლი ჰბურავს, თუ დღე უდგას სადარი?[6]“

გადვიხედე, ვნახე, რომ სხვას ჰმონებდა!
გამიკვირდა! ვსთქვი: „მტერს როგორ
მონებდა[7]?

მოხიბლულა, შემცდარია, ის არი!..
ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!“

მივაძახე: „ჭინჭარში ნუ ვარდები!..
ნუ გგონია იქ ია და ვარდები!

შეიბრალე თავი შენი, იცოდე![8]
მაგ შარბათში საწამლავს ჰსვამ, იცოდე!“

არ მისმინა მწუხარებით დანაგულს[9],
და დამასო საუკუნოდ დანა გულს!

აღმართ-აღმართ მივდიოდი ნეტა რად,
თუ ამ სერზედ თავს ვერ ვგრძნობდი
ნეტარად?

ჩემო თავო! ველარ გკურნვენ წამალით!
დაღმართ-დაღმართ დაუყევი, წა მალით![10]

იქ ჩაბრძანდი, სად გელიან ლოდებით[11],
ბარით, ნიჩბით, კუბოთი და ლოდებით!

დაივიწყე, ვინც გახსოვდა მარად, ის!
ხელდაკრეფით განისვენე მარადის!

---

[1] **ჭმუნვის** – დარდის;

[2] **მენელა** – შემინელდა, გამიქარვდა;

[3] **ვერ მაშინა** – ვერ შემაშინა;

[4] **მე ვიყავ დაგული** – მე ვიყავ დამწვარი, დადაგული;

[5] **გაისმა** – მომავალმა დრომ;

[6] **სადარი** – მზიანი, მოწმენდილი დარი;

[7] **როგორ მონებდა** – როგორ დამორჩილდა, როგორ დანებდა;

[8] **იცოდე** – შეიცოდე;

[9] **დანაგული** – დაპატარავებული, დაშრეტილი, დამცრობილი;

[10] **წა- მალით** – წადი სწრაფად;

[11] **ლოდებით** – მოლოდინით.

ჩვენ და ტექსტი

1. რას ნიშნავს აღმართ-აღმართ სვლა და რა კავშირი აქვს მას სათაურთან?
2. ამ ლექსში გვხვდება ცალკეული სახე-სიმბოლოები... ესენია: აღმართი, დაღმართი, მზე, სხივი, სიცოცხლე, სატრფო, სერი, ია-ვარდი, ჭინჭარი და სხვ... ეს სიმბოლოები თქვენ ადრეც შეგხვედრიათ. იმსჯელეთ, რა შინაარსი აქვს მათ აკაკის ლექსში?
3. რატომ უკავშირდება შვება („ჭმუნვის ალი მენელა“) აღმართზე ასვლას? რატომ ვერ შეაშინა სიკვდილმა სერზე მდგარი, მზის სხივებით გარემოცული გმირი?
4. როგორაა გამოხატული ლექსში ლირიკული გმირისა და გარესამყაროს ჰარმონიული ერთიანობა? დაიმოწმეთ ტექსტი;
5. რით იქცევს ყურადღებას ლირიკული გმირის მიერ გავლილი გზა და რით უკავშირდება იგი მის შინაგან სულიერ სწრაფვას?
6. ამ ლექსში კვლავ გვხვდება სატრფოს სახე-სიმბოლო. რა ახალი შინაარსი შეიძინა მან? რატომაა სატრფო „ალერსით მთვრალი“ და რატომ არ აქცევს ყურადღებას ლირიკულ გმირს?
7. ლექსის ფინალში რას უნდა გამოხატავდეს დაღმართ-დაღმართ სვლა?
8. მიუხედავად ერთნაირი ბგერითი შედგენილობისა, რა განსხვავებული შინაარსი აქვს სარითმო სიტყვებს? იმსჯელეთ ლექსში გამოყენებულ მაჯამებზე.

ლიტერატურული ძიებანი

ლიტერატურული კვლევა – აკაკის სახე-სიმბოლოები

გთავაზობთ ამონარიდებს ლიტერატურათმცოდნე მაია ჯალიაშვილის სტატიიდან „კულტურის კოდები – აკაკი წერეთლის „აღმართ-აღმართ“ სწავლებისათვის“.

მკვლევრის თითოეულ მოსაზრებას მოუძებნეთ სათანადო არგუმენტი აკაკის ლექსში „აღმართ-აღმართ“.

- სერზე შედგომა, ამოსუნთქვა მიანიშნებს სულიერი ზრდის გარკვეულ საფეხურს. შორს რჩება მიწა, ყოფითობა, რომელთანაც დაკავშირებულია ათასგვარი სურვილი, ხორციელი ტანჯვა.
- ჭმუნვის ალის განელება, აკაკის ლექსის მიხედვით, ხორციელი ყოფის დაძლევამ გამოიწვია. პოეტის მზერა მიწას მოსწყდა და ზეცისკენ მიიმართა. სხეული სიხარულით აივსო:
- მზე, ტრადიციულად, ღვთის ხატია.
  სიმაღლეზე, ღვთის სიახლოვეს, რა თქმა უნდა, მზის სხივების, მისი მადლის შეგრძნება უფრო ძლიერია.
- პოეტს სიკვდილის აღარ ეშინია, რადგან სიკვდილი სხეულთან არის დაკავშირებული. სული კი არ კვდება, ის მარადიულობასთან არის წილნაყარი.
- პოეტი ტკბება, იშვებს და ნეტარებს სულიერი სიმაღლის შეგრძნებით, მაგრამ უცებ ბზარი ჩნდება: ...სული ცის სანახებს მიეახლა, მაგრამ პოეტი მთლიანად მაინც ვერ მოსწყდა მიწას.

- ერის ბედის წინაშე პასუხისმგებლობა ვერ მისცემდა მას მარტო, ცის სიმაღლეზე, მწვერვალზე ნეტარი ბედნიერების უფლებას. თვითონ კი იშვებდა, მაგრამ სამშობლო?
  ...ეს კითხვა გამოფხიზლებასავით არის. იმ სიმაღლეზეც კი ბოლომდე არ დავიწყებია ერის ბედი...
- სულიერი სიმაღლით მოგვრილი ნეტარება სადღაც გაქრა, გაცამტვერდა. პოეტმა დაღმა ჩამოსვლა დაიწყო, რომ გამოეფხიზლებინა „სატრფო“ და შეეგნებინა მისთვის საფრთხის საშიშროება...
- ჭინჭარი კი აკაკი წერეთლის შექმნილი კოდია–პოეტური სიმბოლოა, რომელიც ფარული საფრთხის მნიშვნელობისაა.
- სამწუხაროდ, ამაო გამოდგა ძახილი, ვედრება. პოეტმა და ქვეყანამ ერთმანეთს ვერ გაუგეს, თითქოს სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდნენ...
- „ამ ლექსის ლირიკული გმირი აღმართზე ჯიუტად მიმავალი და მწვერვალისკენ მაცქერალი სიზიფესაც მოგვაგონებს, მძიმე ლოდით რომ მიუყვება გზას. მართალია, მისი ბედი წინასწარ განსაზღვრულია, ლოდი აუცილებლად დაუგორდება, მაგრამ ის იმედს მაინც არ მოიშლის. ეს სვლა სიმაღლისკენ, ერთდროულად, მისი ჯილდოცაა და სასჯელიც. „მარტო მწვერვალებისკენ მიმართული მზერა კმარა კაცის გულის ასავსებად. სიზიფე ბედნიერად უნდა მიგვაჩნდეს“ (ალბერ კამიუ).

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ ანალიტიკური ესე – „ბედნიერია თუ უბედური სულიერი სრულყოფის გზაზე დამგარი გმირი“.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

გურამ საღარაძე კითხულობს ლექსს „აღმართ-აღმართ“.

https://9nes.short.gy/jzc12W

წაკითხვამდე

პოემის სათაურისა და ეპიგრაფის მიხედვით, გამოთქვით ვარაუდები, რის შესახებ შეიძლება იყოს ტექსტში საუბარი? მანამდე თუ გისწავლიათ ან წაგიკითხავთ აღმზრდელის ან მასწავლებლისთვის მიძღვნილი ნაწარმოებები?

გამზრდელი

I

მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად,
მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს; თვალთ
ისარი, შენატყორცნი,
ვერ არჩევს მის სიგრძეს და განს.

ის ფაცხაა, მღვიმის პირად
მიწნული და მიგრეხილი,
დრო და ჟამის შესაფერად –
ზამთარ თბილი, ზაფხულ გრილი.

როდესაც მთა-ბარს და ვაკეს
ემუქრება წარღვნა-ღელვას, –
ფაცხაც ღრუბელს გარს იბურავს, ეკრძალება
ჭექა-ელვას.

მაგრამ, როცა დაჰქათქათებს
თავზე იქვე მზე და მთვარე
და თვალის წინ ფიანდაზად
ეფინება არემარე,

მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავად ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც-კი ციხე-დარბაზია.

გზა მიუძღვის საცალფეხო,
მიხვეული, მოხვეული;
მასზე გამვლელს უნდა ჰქონდეს
მარჯვე თვალი, მტკიცე გული;

ანუ ჰყავდეს რაში ცხენი,
მთაში გაზრდილ-გამოწვრთნილი:
კლდიდან კლდეზე გადამფრენი,
უშიშარი და თან ფრთხილი.

ამ შორეულ ფაცხა-მღვიმეს
ვინ ჰპატრონობს, ვისი არის?
და საამო კარ-მიდამოს
ვინ შესტრფის და ვინ შეჰხარის?

ერთი ვინმე ახალგაზრდა
აფხაზია, ამ მთის შვილი,
რთულ ცხოვრების უარმყოფი,
მცირედითაც კმაყოფილი.

კარგი თოფი, კარგი ხმალი,
კარგი ცხენი და ნაბადი!..
რას ინატრებს სხვას, ამის მეტს,
კაცი, მისებრ დანაბადი?

მხოლოდ ერთს კი... და ის ერთიც
არის მარტო სიყვარული,
რითაც მხოლოდ ქვეყნიური
ნეტარება არის სრული.

ბედმა ესეც არ დააკლო,
განასხვავა, ვით რჩეული...
სიყვარულსა, მის მონაშუქს,
მიაშუქა სიყვარული:

ერთი თვეა, რაც რომ ცოლად
მიიყვანა, ვინც უყვარდა,
ვისაც გულში ცისქვეშეთი
შეუწონა, შეუფარდა...

ნაზიბროლა – სახელია,
სამეგრელოს ასულია,
მოწყვეტილი ცით ვარსკვლავი
ედემს ალვად ასულია!..

ელფერობით ვარდი არის,
სინაზით-კი – მორცხვი ია...
ტრფობისათვის ჯერ პირველად
გულის კარი გაუღია.

ცა და ქვეყნის შუამავლად
მიაჩნია მას აფხაზი!..
გულში გულს სდებს, სულში სულს ცვლის,
ხორცს ეწმახვნის სურო-ვაზი!..

ნეტავი მათ!.. მათ სიყვარულს
და მათ უხმო აღსარებას!..
ერთად გრძნობენ ამ ქვეყნადვე
სასუფევლის ნეტარებას...

მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი
გაახარებს ვისმე განა?
თაფლში ურევს მწარე ნაღველს...
მტრისას მისი გამოცანა!..

II

ბნელა ისე, რომ აღარ ჩანს
თითი, თვალთან მიტანილი!..
ცა მრისხანებს, ელვა-ჭექამ
ნადირსაც-კი უფრთხო ძილი!..

ქარი ზუის გულსაკლავად,
წვიმა უშვებს კოკის პირად;
ხან აქ, ხან იქ მთა-ღრეებში
გავარდება მეხი ხშირად.

თითქო მართლა თვით ჯოჯოხეთს
აუშვია ქვეყნად ზარი!
აიტანა შიშის ქარმა
თანასწორად მთა და ბარი!

ამ დროს ხოლმე თვით ეშმაკიც
ეძებს ძრწოლით თავშესაფარს,
მაგრამ, დახეთ, ვიღაც მგზავრი
სტუმრად მოსდგა აფხაზის კარს!..

დაურეკა და ხმა მისცა:
„გამომხედეთ!.. ვინ ხართ შინა?
სტუმარი ღვთის კარზე ვდგავარ,
ცხენს და კაცსა გვინდა ბინა!“

გაუკვირდა აფხაზს და სთქვა:
„ამ თავსხმაში ეს ვინ არი?!“
შეუკიდა ცეცხლს და უცბად
გამოაღო ფაცხის კარი.

გავიდა და შემოუძღვა
ფეხებამდე დასველებულს,
მიიყვანა ცეცხლის პირად,
უდგამს სამფეხს სკამს – დაღალულს.

ხმას არ იღებს ჯერ სტუმარი,
ნაბდის თასმებს ნელა იხსნის...
თავ-პირი აქვს შებუდნული
ყაბალახით[1] და იცინის!..

ჯერ ნაბადი მიაყუდა,
ბნელ კუთხისკენ მიდგა წყნარა
და, ბაშლიყი რომ გადიძრო,
მოტრიალდა უკან ჩქარა:

„მასპინძელო! – სიცილით სთქვა,
– წახდა ჩემი ხუმრობაო!..
ვერ მიცანი, თუ გეწყინა
ეს უდროვო სტუმრობაო?“

„საფარ, შენ ხარ?.. ენაცვალოს
ძიძის შვილი მაგ შენს თავსო...
ეს თვალები რაღას ნახვენ
შენს უკეთეს სანახავსო?“

მოეხვია, გადაკოცნა,
როგორც ძმა და თვისი ტოლი,
და მერე კი გააღვიძა
შიგნით მწოლი მისი ცოლი.

შეეხვეწა: „აბა ჩქარა
მოამზადე ვახშამიო:
შორი გზა აქვს გამოვლილი,
არ ექნება ნაჭამიო“.

„არა, ბათუ, ვახშამს არ ვჭამ,
არ მცალია იმისთვისო!
მე სხვა მადა მაქვს აშლილი,
სხვანაირი გულისთქმისო...“

უპასუხა და მოუყვა:
„მინდა, გითხრა ჩემი ჭირი:
დღემდის მტკიცე პირიანსა,
დღეს მიტყდება, ძმაო, პირი!

ალმასხიტს ხომ კარგად იცნობ,
თავმომწონე ინალიფას?
მის ცხენსა და მის იარაღს
ვერვინ დასდებს ღირსეულ ფასს.

ვაჟკაცია თვალ-ტანადი,
ცხენოსანი უებარი!..
მეტოქეა ჩემი მხოლოდ,
ერთადერთი საშიშარი.

შორს გაისმის მისი ქება,
ჩვენიც ხშირი სტუმარია;
ბიჭობით და სილამაზით
ქალებიც კი გადარია.

ერთი მხოლოდ ზია-ხანუმ
არად აგდებს, არც უყურებს,
რადგან იცის, რომ სხვებსავით
იმას ის ვერ იმსახურებს.

---

[1] **ყაბალახი** – იგივეა, რაც ბაშლიყი ან ბაშლაყი; მამაკაცის თავსაბურავი.

ზია-ხანუმ, შენც კი იცი,
რომ მშვენებით განთქმულია;
ბევრი კარგი ახალგაზრდა
მისი ეშხით დაბმულია;

მთვარესავით ხელუხლები,
– სხივებს ჰფენს და არვის ათბობს;
მომხიბლავი შორეულად
თანასწორად ყველას ატკბობს.

ჯერ გაჰღალავს[1], მიიბირებს, დაიმონებს,
იგდებს ხელში,
მერე უნდა გამოსცადოს:
აგდებს მის მსხვერპლს განსაცდელში!..

მეც მომხიბლა ჯადოსანმა,
დამამარცხა, დამიმონა!..
და, თუ ქალი მაჯობებდა,
არ ვფიქრობდი, არ მეგონა...

დამაჩემა: „თუ გიყვარვარ
და ხარ ჩემი მოგვარეო,
ინალიფას ლურჯა ცხენი
ამ სამ დღეში მომგვარეო!“

ინალიფა მის ბედაურს
არ დაუთმობს ნებით გამჩენს
და, თუ ვინმე ძალას იხმარს,
შეაკვდება, არ შეარჩენს!

სხვა გზა არ მაქვს: მოპარვაა
მხოლოდ ერთადერთი ღონე,
თუმც-კი სხვა დროს არ იკადრებს
ამას კაცი თავმომწონე.

აი, რისთვის მოვსულვარ აქ,
ჩემო კარგო მეგობარო!
მე მინდა, რომ ალმასხიტის
ლურჯი ლაფშა მოვიპარო“.

მოუსმინა ძიძიშვილმა,
ყველა კარგად გაიგონა,
მაგრამ საქმემ უკუღმართმა
შეაწუხა, დააღონა.

უთხრა: „ვწუხვარ, რომ ეგ საქმე
უკადრისი გიკისრია,

მაგრამ, რადგან სიყვარულის
ტკბილი სენი შენც შეგყრია,

გზა აღარ გაქვს!.. უნდა გული
დაუდვა და ემსახურო,
რომ სატრფოს წინ შენ სირცხვილის ოფლი
აღარ მოიწურო:

მის ოცნებას, მის გულისთქმას
უნდა მიჰყვე, დაემონო,
გინდ სიცოცხლეც შენი ტკბილი
მწარე სიკვდილს შეუწონო.

ეს შენც იცი, – არ ხარ ქვეყნის
უცადი და უმეცარი,
– სავაჟკაცოდ გამოსული,
უდრეკი და უშიშარი!

მაგრამ მარტო უშიშრობა
ძლევისათვის არა კმარა,
თუ სიფრთხილეც გონივრული
დროზე მას არ დაეხმარა.

ერთმანეთის მინამსგავსი,
შიში სხვაა, სიფრთხილე სხვა,
ისე, როგორც სხვადასხვაა
ღვთის წყალობა და ღვთის რისხვა.

რომ მიდიხარ, სად მიდიხარ?
მართალია, გიჭრის თვალი,
მაგრამ ჩვენში, როგორც უცხოს, აგებნევა
გზა და კვალი.

შენ ეგ საქმე მე მომანდე,
მე ვიზამ შენს მაგივრობას:
ან მოგიყვან იმ ცხენს, ან თავს
შევწირავ შენს მეგობრობას!

შენ აქ დარჩი, დაიძინე,
გამოშუშდი ცეცხლის პირას!..
და, თუ დამრჩა გამარჯვება,
მაშინ მოგთხოვ ფეხის ქირას“.

გაეხუმრა, გამოეწყო
სამგზავროდ და გავლო კარი.
მიდის, ელვა გზას უნათებს
და დაჰზუის თავზე ქარი.

---

1 გაჰღალავს – გათვალავს.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ფიქრობთ, რაზე მიგვანიშნებს აკაკი, როცა ხაზს უსვამს, რომ ფაცხა „მთის მწვერვალზე, ცის მახლობლადაა“?
2. როგორ ახასიათებს პოეტი ფაცხის პატრონ ახალგაზრდა აფხაზს?
3. როგორ გესმით ფრაზა: „რთულ ცხოვრების უარმყოფი, მცირედითაც კმაყოფილი“?
4. ლიტერატურიდან ჩვენ სიყვარულის სხვადასხვაგვარ გამოვლინებას ვიცნობთ. როგორ დაახასიათებდით ბათუს გრძნობას მეუღლის მიმართ? რას უსვამს ხაზს ავტორი?
5. როგორ ფიქრობთ, რა დატვირთვა აქვს პირველი თავის ბოლოს დასმულ რიტორიკულ კითხვას, რისთვის გვამზადებს ავტორი?
6. როგორი განწყობა შეგვიქმნა ავტორმა,როცა საშინელი ავდარი დაგვიხატა? როგორ გგონიათ, ეს, უბრალოდ, სიუჟეტის ნაწილია თუ მას მხატვრული დატვირთვა გააჩნია? რატომ ფიქრობ ასე?
7. რომელი ლექსიკური ერთეულები გვიქმნის საშინელი ამინდის აღწერისას რაღაც ტრაგიკულის მოლოდინს?
8. ვინ აღმოჩნდება იდუმალი სტუმარი?
9. რა ვიცით ძიძიშვილობის ტრადიციის შესახებ?
10. დაახასიათეთ ზია-ხანუმი და იმსჯელეთ, რატომ მოინდომა მან ინალიფას ცხენის ხელში ჩაგდება?
11. რატომ გადაწყვიტა საფარ-ბეგმა ცხენის მოპარვა?
12. როგორ გგონიათ, იკვეთება თუ არა საფარის ქმედებებიდან მისი ხასიათი და თვისებები?

სადისკუსიო კლუბი

მინიდისკუსია

1 . სიყვარული თუ...

თქვენი აზრით, როგორი დამოკიდებულება იკვეთება ზია-ხანუმსა და ალმასხიტ ინალიფას შორის, რითაა მოტივირებული ქალის მოთხოვნა ინალიფას ცხენის მოპარვასთან დაკავშირებით? როგორ პიროვნებებად აღიქვით თითოეული მათგანი?

2. წინდაუხედაობა თუ...

შეაფასეთ ბათუს საქციელი, როცა ის თავად წავა ცხენის მოსაპარად და ძიძიშვილს სახლში დატოვებს. რამდენად მართებულად მიგაჩნიათ მისი საქციელი?

დისკუსია შეაჯამეთ სადიკუსიო კლუბის სტუმრის მოსაზრების გათვალისწინებით. კლუბის სტუმარია კრიტიკოსი აკაკი ბაქრაძე.

„შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ბათუ წინდაუხედავად მოიქცა. ეს ფიქრი უსამართლო შეურაცხყოფა იქნება ბათუსი. მან ადამიანის უკეთილშობილესი თვისება გამოამჟღავნა – ნდობა“.

აკაკი ბაქრაძე

იმსჯელეთ, ეთანხმებით თუ არა მკვლევარს.

ოსტატობის სკოლა

ფანტაზიის გაკვეთილები

ამბავი პერსონაჟის ხედვის კუთხის შეცვლით

შეეცადეთ, „ცხენის ქურდობის ამბავი გადმოსცეთ:

- ზია-ხანუმის ხედვის კუთხით (რომელშიც გამოიკვეთება, რატომ აგზავნის ის საფარ-ბეგს ალმასხიტის ცხენის მოსაპარად);
- ბათუს ხედვის კუთხით;
- საფარ-ბეგის ხედვის კუთხით;

რატომაა საინტერესო ერთი ამბის სხვადასხვა რაკურსით წარმოდგენა?

III

ირიჟრაჟა, ქარი ჩადგა,
გადიყარა, დადგა დარი;
ლურჯ ბედაურს მოაგელვებს
მეგობრისთვის მეგობარი.

მოიყვანა, დააბა და
შინ შევიდა წყნარად, ფრთხილად.
გრძელ ნაბადში გამოხვეულს
სტუმარს სძინავს იქვე თბილად.

აუარა გვერდი, მიდის
იქ, სადაც ის ეგულება,
ვინც სიცოცხლეს ურჩევნია,
სულს სწირავს და თავს ევლება.

გულში ამბობს: „ერთს დავხედავ
ტკბილად მძინარ ნაზიბროლას,
თუ გავუძელ გულის ძგერას,
სულის ბრუნვას, ხორცის ჟრჟოლას...“

სასოებით შედის ქვაბში
და რას ხედავს იქ საკვირველს?!
ნაზიბროლა ჩუმად ტირის,
პირს იხოკავს, იკაწრავს ყელს!..

თმაგაშლილი, ტინის კედელს
თავს ახლის და ხმას არ იღებს...
მინგრეულს და მონგრეულსა
ხედავს იქვე მის ქვეშაგებს!..

მიეხვდა ქმარი, რაც მომხდარა,
ზარმა დაჰკრა, ელდა ეცა!..

და, რომ კრინტიც არ დაუძრავს,
იქვე უხმოდ ჩაიკეცა.
დიდხანს იჯდა რეტდასხმული,
უყურებდა ცოლის ტანჯვას;
ბოლოს ღონე მოიკრიფა
და მოეგო ისევ ჭკუას.

მივიდა და უთხრა მტირალს:
„ჩუ, ნუ ტირი, გენაცვალე!
რაც გინახავს – სიზმარია,
დაივიწყე ისევ მალე!

„ყოველგვარი მოსავალი
კაცის თავზე უნებური,
ღვთის რისხვაა და ტყვილად ბედს
რას უჩივი, რით ემდური?

„გადაიგდე გულიდან ეგ
ცრუ ზღაპარი და სიზმარი!..
მე და შენი სიყვარული
წმინდა არის, ვით ლამპარი“.

მოეხვია და ცრემლები
ამოუშრო თვალში კოცნით,
დააწყნარა, დაამშვიდა
ალერსით და ბევრი ხვეწნით.

მაშინ მხოლოდ გამობრუნდა
სტუმრისაკენ და უთხრა ეს:
„ადე, ძმაო, გაღვიძებას
არ აპირებ, მგონია, დღეს!“

წამოვარდა ზეზე საფარ
შემკრთალი და დარცხვენილი!..
მაგრამ როცა მშვიდ სახეზე
შეამჩნია მას ღიმილი,
გაიფიქრა: „მადლობა ღმერთს!
არაფერი შეუტყვია,
თვარა გულ-მკერდს გამიხვრეტდა
ხანჯლის წვერი და ან ტყვია!

„არ უთქვამს ქალს, რაც შევცოდე,
ჩანს, ნამუსი შეუნახავს.
ჩემ საქციელს, სამარცხვინოს,
ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს?“

მერე უთხრა მის ძიძიშვილს:
„გატყობ, რომ ხარ კმაყოფილი,
შეასრულე განა ჩემი
ძნელი ნატვრა და სურვილი?“

„შევასრულე: მოგიყვანე,
დროა, აწ-კი გაეშურე!
ნუ დამძრახავ, საკმარისად
თუ რომ ვერა გემსახურე!“

ხან ესა სთქვეს, ხან ისა სთქვეს,
ისაუბრეს ჯერ ერთხანად,
მერე წყალიც მოუტანა
მას ხელ-პირის დასაბანად.

გამოაწყო, არ დააკლო,
რაც წესია, სამსახური,
რომ სტუმარი არ გაუშვას
გულნაკლი და უმადური.

შეუკაზმა ცხენი, შესვა,
თვითონ შეჯდა ნაქურდალზე
და ორივემ მათრახები
ატკაცუნეს ერთხანს ძალზე.

გაახურვეს მათ ცხენები,
ააღელვეს, ააჩქარეს
და ვიწრო გზით ის დაღმართი
სულ კუნტრუშით ჩაატარეს.

რომ ჩავიდენ შორიახლოს
მინდვრის პირად, იქვე დაბლა,

მასპინძელმა შეაჩერა
ცხენი და ხმა აიმაღლა:

„საფარ-ბეგო! პირშავობა
შენი ვიცი, შემიტყვია!..
და დღეიდან ჩვენ ორს შუა
მოციქული არის ტყვია!
არა სთქვა რა!.. არც მე გკითხავ:
არის ზოგი შეცოდება,
რომ სათქმელად საძნელოა...
არც შენდობა უხერხდება!

ახლა წადი! დამეკარგე!
ფრთხილად! არსად შემეყარო,
რომ ცუდ გულზე უცაბედად
შენი სისხლი არ დავღვარო!“

ეს რომ უთხრა, შეკრთა საფარ,
გაშრა, ფერი დაედვა მკვდრის,
ჩაუვარდა ენა პირში,
გაქვავდა და აღარ იძვრის...

ძლივს წარმოსთქვა: „მართალი ხარ!..
აღარა მაქვს მე სათქმელი!..
შემაცდინა თვით ეშმაკმა
და დამრია ცოდვილს ხელი!..

შენი ტყვე ვარ!.. ჰა, ხომ ხედავ,
იარაღი დამიყრია...
სასიკვდილოდ ჩემი ნებით
შენ წინ თავი დამიხრია...

ჩემ სიცოცხლეს სიკვდილი სჯობს,
მომკალ... ტანჯულს რამ მიშველე,
მაზღვევინე, რაც შეგცოდე,
სინიდისი გამიმრთელე!..“

„არა! შენ ვერ შეგეხება
სასიკვდილოდ ჩემი ტყვია:
დედიჩემის გაზრდილი ხარ,
მისი ძუძუ გიწოვია...

რაც ქვეყანას მიაჩნია
რჯულზე უფრო უმტკიცესად,
რომ გასტეხე, ის გეყოფა
სიკვდილამდე შენ საკვნესად.

წადი ჩემგან შენდობილი,
მაგრამ შორს კი... და მშვიდობით!..
დღეიდან ჩვენ წმინდა გულით
ერთმანეთს ვერ მივენდობით!

მაგრამ ერთს კი დაგავალებ,
ამისრულე უეჭველად:
რომ მიხვიდე ყაბარდოში,
იცოდე, რომ სულ პირველად,
წადი, ნახე ის მოძღვარი,
ვინც შვილივით გამოგზარდა,
და უამბე შენი პირით,
რაც სირცხვილი დაგემართა!“

გადმოხტა და ლურჯი ლაფშა
მისცა ხელში, ჩააბარა,
მოტრიალდა და აღმართი
ძლივს ბარბაცით აიარა.

IV

არც გვარით, არც ვაჟკაცობით,
არც სიმდიდრით, არც ქონებით,
ჰაჯი-უსუბ ცნობილია
მხოლოდ ჭკუით და გონებით.

ჭირში, ლხინში საზოგადოდ
უმისობა არ იქნება;
ხელის გულზე უწერია
თვით მაჰმადის წმინდა მცნება.

ზღვა და ხმელი მოვლილი აქვს, მნახველია
ცა და ქვეყნის;
ჯერ ისევე ჭანმაკია[1],
თუმც არ არის კი მცირე ხნის.

ხელ-ფეხს ერჩის, თვალსაც უჭრის,
– არ ტყუილი ქადილია;
სადაც კია გვარიშვილი,
ყველა მისი გაზრდილია.

საფარ-ბეგიც მან გაზარდა
ისე, როგორც სხვები ყველა,
მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს,
თუ ბუნებამც არ უშველა?

აი, სწორედ ამ უსუბთან
მიდის ახლა საფარ-ბეგი,
მორდუობის[2] გამტეხი და
ჩვეულების გადამდეგი.

ეუბნება ყოველისფერს,
უნებურად რაც შეემთხვა;
ცრემლები სდის და ეჩრება
ბურთად ყელში მწარე სიტყვა.

ყურს უგდებდა ჰაჯი-უსუბ,
სახე მოინაღვლიანა:
სიდიადე ამ მუხთლობის
თვალწინ გაისიგრძეგანა.

ოხვრით ჰკითხა: „მერე? მერე?
რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა?“
„მაპატივა შეცოდება,
როგორც ძმამ და მეგობარმა!..

მხოლოდ ეს-კი დამავალა:
ნახე შენი გამზრდელიო
და მაგ შენი საქციელის
პასუხს მისგან მოველიო!“

„მესმის, მესმის და პასუხიც
ჩემი მხოლოდ ეს არიო,
რომ ნამუსის გასაწმენდად
ჩემი ხელით სისხლს დავღვრიო!..“

შეაყენა ზედა ფეხზე
მან დამბაჩა გატენილი;
მორჩილებით გულ-მკერდს უშვერს
საფარ, მისი გამოზრდილი.

მაგრამ უსუბ ეუბნება:
„შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ?!
სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ,
რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“

წარმოსთქვა და საფეთქელში
მიიჭედა ცხელი ტყვია!..
ჩაიკეცა სულთამბრძოლი,
წამლის კვამლში გაეხვია...

1898 წ.

---

[1] **ჭანმაკი** – ჭარმაგი; ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე მამაკაცი.

[2] **მორდუობა** – ძიძიშვილობა.

ჩვენ და ტექსტი

1. რამდენად შესაძლებელია, ადამიანმა უმძიმესი ფსიქოლოგიური დარტყმის შემდგომ ისე მართოს საკუთარი თავი და ემოციები, როგორც ეს ბათუმ შეძლო? ხომ არ გაიხსენებდით ლიტერატურულ პარალელებს?
2. როგორ ფიქრობთ, მართლა შეიძლებოდა, სძინებოდა საფარ-ბეგს თუ არა?
3. რამდენად ჩანს ტექსტიდან, რომ საფარ-ბეგისათვის გაუმხელელი დანაშაული მორალურ პრობლემას არ წარმოადგენს? დაიმოწმეთ ციტატა.
4. რატომ არ კლავს ბათუ საფარ-ბეგს? ეს პატიებაა თუ დასჯა?
5. რატომ აგზავნის ბათუ საფარს აღმზრდელთან?
6. რატომ დაემორჩილა საფარი ბათუს მოთხოვნას, რატომ წავიდა გამზრდელთან?
7. რომელი სტრიქონები მოწმობს, რომ ბათუს თავშეკავება უდიდესი ძალისხმევის ფასად უჯდება?
8. როგორ ახასიათებს ავტორი ჰაჯი-უსუბს?
9. შეაფასეთ ჰაჯი-უსუბის თვითმკვლელობის ფაქტი, რა არის ეს, თქვენი აზრით, საკუთარი თავისთვის გამოტანილი განაჩენი თუ აღზრდილის დასჯა?
10. რამდენად ეთანხმებით აკაკის მოსაზრებას: „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა?!“ რა ასრულებს გადამწყვეტ როლს ადამიანის პიროვნებად ფორმირების ურთულეს პროცესში?
11. თქვენი აზრით, როგორ გააგრძელებს ცხოვრებას საფარ-ბეგი? ბათუ?
12. როგორ გგონიათ, რატომ მიუძღვნა აკაკიმ ეს პოემა პედაგოგებს?
13. დღევანდელი გადმოსახედიდან, როგორ შეაფასებდით ნაწარმოებში განვითარებულ მოვლენებს? რამდენად აქტუალურია ტრადიციების ერთგულება და პატივისცემა, დანაშაულისა და სასჯელის, აღზრდისა და შურისძიების მოტივები ჩვენს რეალობაში?
14. „მთის მწვერვალზედ, ცის მახლობლად
    მერცხლის ბუდედ რაღაც მოჩანს“
    რა მხატვრული ფუნქცია აქვს ადამიანთა სამყოფის მერცხლის ბუდესთან შედარებას.
15. ამოწერეთ ეპითეტები, რომლებითაც ბათუ დსა ნაზიბროლაა დახასიათებული და შადარეთ ეპითეტებს, რომლებიც საფარ-ბეგსა და ზია ხანუმს ახასიატებს; რა მხატვრული ფუნქცია აქვს ამ ეპითეტებს პერსონაჟთა სახეების გადმოცემისას?

ლიტერატურული ძიებანი

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია

მხატვრული ნაწარმოები გარკვეული გეგმით იგება. სიუჟეტის განვითარებაც ძირითადად სწორედ ამ ხაზს მიჰყვება. ნაწარმოების გარკვეული პრინციპით აგებას **კომპოზიცია** ეწოდება. ნაწარმოები ეპიზოდებისაგან შედგება, ხოლო თითოეული ეპიზოდი ემსახურება როგორც სიუჟეტური ხაზის განვითარებას, ისე კომპოზიციის აგებას. ქვემოთ წარმოგიდგენთ სქემას, რომელშიც კომპოზიციის განვითარების ეს საფეხურები ჩანს. გარდა ამისა, ნაწარმოებს შეიძლება ახლდეს **წინა ამბავი** და **ბოლო ამბავი**, ან **პროლოგი** და **ეპილოგი**.

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია

კომპოზიციის კომპონენტები	დანიშნულება ნაწარმოებში
ექსპოზიცია	ლიტერატურული ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც აღწერილია ძირითადი მოქმედების წინა ვითარება.
კვანძი	ნაწარმოების ის ნაწილი, რომელშიც ვლინდება პრობლემა, წინააღმდეგობა, კონფლიქტი, რაც შემდგომ მოქმედების განვითარებას განაპირობებს.
მოქმედების განვითარება	მოქმედების განვითარება კვანძის შემდგომ, რაც სიუჟეტურ ხაზს განავრცობს და მკითხველს შემდგომი საფეხურისათვის ამზადებს
კულმინაცია	მხატვრული ნაწარმოების ყველაზე უფრო დაძაბული ადგილი, წინააღმდეგობების უმაღლესი წერტილი.
კვანძის გახსნა	სიუჟეტის განვითარების ბოლო საფეხური, ნაწარმოების ის ადგილი, რომელშიც ვლინდება წინააღმდეგობათა შედეგი, რომლის შემდეგ მთავრდება ძირითადი ამბის გადმოცემა და მოქმედება აღარ ვითარდება.

- დაუკვირდით კომპოზიციის განვითარების სქემას და დაუკავშირეთ იგი აკაკი წერეთლის „გამზრდელს“. გადაიხაზეთ მოცემული სქემა რვეულში, ჩაწერეთ მასში მონაცემები პოემიდან და შემდეგ დაასაბუთეთ ტექსტის ეპიზოდების შესაბამისობა კომპოზიციის ამა თუ იმ საფეხურთან.

ოსტატობის სკოლა

ფანტაზიის გაკვეთილები

წარმოიდგინეთ, როგორ გაგრძელდებოდა ეს ამბავი და გადმოეცით მოვლენების განვითარების თქვენეული ვარიანტები.



გია მურღულია

იმავე საკითხზე საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს ცნობილი ლიტერატურათმცოდნე და პედაგოგი გია მურღულია.

საფარ-ბეგის აღსარება

სიკვდილი მოკვდა ჩემთვის. მის მათხოვრად ვიქეცი, მაგრამ ვერ ვკვდები. როდესაც საკუთარი თავი მივატოვე, მაშინ მიმატოვა ყველამ – კაცმაც და ღმერთმაც. ახლა ჩემი გამზრდელის ჯერ კიდევ თბილ გვამს დავცქერი და თავში ათასი სურათი მიტრიალებს – ნაზიბროლას ვედრებით სავსე გაოცებული სახე... ბათუს რაღაცნაირი ღიმილი, წყალს რომ მისხამდა მეორე დილას ხელ-პირის დასაბანად... ჰაჯი-უსუფის დანაღვლიანებული მზერა და მისი ის კითხვა, რომელზე ჩემი პასუხიც დამბაჩის გასროლის წინამორბედი იყო.

მე არ მსურდა, ბოლო გაკვეთილი ასეთი ყოფილიყო. „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარო...“ რას გულისხმობდა? მარტო იმას, რომ მთავარ დამნაშავედ არ მცნობდა? სასიკვდილო მხოლოდ მე ვარო... თავისი თავი გამოაცხადა ჩემი ბოროტების სათავედ და მიზეზად. და რატომ?

მისი რა ბრალი იყო?! მისნაირი კაცი არ მინახავს – ალბათ, სხვას არც უცხოვრია ასეთს არასდროს. გასროლა რომ დააპირა, მადლობით შევხედე – ბოლო გაკვეთილი მეგონა, სულ სხვანაირი იქნებოდა. რატომ ქნა ასე? რატომ წამართვა ცოდვა! განა არ იცოდა, რომ ცოდვა კაცს ვერც წაერთმევა და ვერც თხოვნით გამოერთმევა? მე დამიცვა თუ საკუთარ ღირსებას გადაუხადა ხარკი? – რამდენი კითხვა დამიტოვა ჩემი ერთი კითხვის პასუხად. „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარო...“ იქნებ, მართლა, პირდაპირ მითხრა სათქმელი? – სიკვდილსაც დამსახურება უნდაო.

შავი ყორანივით დავატყდი თავს ბათუს იმ საშინელ ღამეს. ღამესავით შავი იყო ჩემი განზრახვაც – უკადრისი საქციელისთვის ვეახლე ძმადნაფიცს. როგორ შემომხვდა: „საფარ, შენ ხარ, ენაცვალოს ძიძიშვილი მაგ შენს თავსო, ეს თვალები რაღას ნახვენ შენს უკეთესს სანახავსო“. იმანაც ჩემი მაგივრობა გასწია – ის უკადრისი ქურდობა თვითონ იტვირთა. მე თითქოს აღარც ვცხოვრობ – ცოდვაც და მისი გამოსყიდვაც სხვებმა იკისრეს. შემეხუმრა და ისე დამტოვა ფაცხაში ბათუმ – სხვაგვარად არც დავრჩებოდი.

მერე რაც მოხდა, ეშმაკისაა – ასეთ რამეს ყველაზე საშინელ ხილვასაც ვერ მივანდობდი. სურვილმა ისე დამრია ხელი, თითქოს მე მე აღარ ვიყავი. ვერ ვძლიე თავს – ნაზიბროლას სილამაზე დაუმთავრებელ წყევლად მექცა. განსაცვიფრებელი ის იყო, როგორ ვხედავდი ამ ჩემს ახლანდელ ფიქრს ჰაჯი-უსუფის ნაღვლიან თვალებში, ახლა რომ ასე ჩამქრალან. ყველაფერი დაინახა მოხუცმა – ადამიანის სული მისთვის ნათელი დღე იყო. ერთ წამს მის თვალებში ამ კითხვამაც გაიელვა: „კი მაგრამ, საფარ, კაცის მეუღლის შეურაცხყოფის შემდეგ მის სახლში რაღამ დაგაძინა?“ მეც ვეკითხები ახლა ამას ჩემ თავს. ან არ შემრცხვა, ან არ შემეშინდა?! ნუთუ მართლა ცხენის მოყვანას დაველოდე? ჰო, ბათუმ რომ გამაღვიძა, შევკრთი ძალიან – მეგონა, მესროდა და ადგილზე დაამთავრებდა ჩემს სიცოცხლეს. ასე რომ არ ქნა, ვიფიქრე, თუ არავის არაფერი ეცოდინება, სადღაა ცოდვა-მეთქი. კაცის ფიქრს ვფიქრობდი და არა ღმერთისას – თანაც ცუდი კაცის ფიქრს. არაფერი მაკადრა ბათუმ თავის სახლში – მთის მწვერვალზე, ცის მახლობლად. ცასთან ცხოვრობენ ის და ნაზიბროლა – ვერ გავსვარე მათი ერთად ყოფნა – არ მიიკარეს სულის ტალახი.

დაბლა რომ ჩამოვედით, მერეღა მითხრა ბათუმ, რომ ყველაფერი იცოდა და ყველაფერიც დამთავრდა. სიკვდილი და სინიდისის გამთელება ვთხოვე მორჩილებით, მაგრამ უარი მივიღე. ეს პირველი უარი იყო, მეორე გამზრდელისგან მელოდა, რომელთანაც ძუძუმტის მოთხოვნით მოვედი. ახლა ვფიქრობ, რა მოხდა ჩემს თავს და სხვა პასუხი არ მაქვს – მე ვარ კაცი, რომელმაც რამდენიმე წუთად გაყიდა მარადისობა. მერე მთელ სიცოცხლეს ვიხდიდი ერთი დღის პატიებაში და ამ ფასადაც არავინ მომყიდა ეს ერთი დღე.

ბათუმ ის აღმართი „სულ ბარბაცით აიარა“ – დავინახე, რად დაუჯდა დუმილი და ღიმილი ფაცხაში. ჩემი აღმართი აუსვლელი დარჩა – ვერც პატარა ფაცხა მექნება ცის მახლობლად. ჩემი ცხოვრება დამთავრებულია, თუმცა ჯერ ისევ ცოცხალი ვარ. არ მსურს ასეთი სიცოცხლე, ან რად უნდა მიღირდეს, როდესაც ჩემი თვითმკვლელობაც კი სხვისი ხვედრი გახდა.

ცხენის მოსაპარად წამოვედი და საკუთარ თავს ღირსება მოვპარე. დავცქერი ახლა უღირსებო კაცი ჯერ კიდევ თბილ ღირსებას. ვფიქრობ, რა ან რისთვის მითხრა ჰაჯი-უსუფმა თავისი სიკვდილით? იქნებ ის, რომ, თუკი წუთისოფელში დავრჩი, არასდროს ვიქნები მარტო და გამზრდელი აღარ მიმატოვებს? ყველაფერი სიკვდილისკენ მეძახის და მხოლოდ ჩემი გამზრდელი მომიწოდებს სიცოცხლისკენ თავისი სიკვდილით. ქრისტიანთა ტანჯული ღმერთივით უბრალომ ხურჯინივით აიკიდა მხრებზე ჩემი მძიმე ცოდვა და მომდევნო ცხოვრების გზა დამანახვა. არასდროს დაეცე ისე, რომ ფეხზე წამოდგომა ვეღარ შეძლოო.

მან მითხრა, რისი თქმაც სურდა. ახლა მე გავაკეთებ იმას, რისი გაკეთებაც შემიძლია. ჯერ არ ვიცი, რისი. ახლა ფეხზე წამოვდგები და ორიდან ერთ-ერთ გზას ავირჩევ – გამზრდელის დამბაჩა ერთხელაც გაისვრის... ან კარს გავაღებ და გარეთ გავალ, რათა გავარკვიო, მართალია თუ არა ჰაჯი-უსუბი.

მინიდისკუსია

1. რატომ არ დასაჯა ბათუმ საფარ-ბეგი?

- იყო თუ არა ბათუს საქციელი საკუთარ თავზე გამარჯვება, საკუთარ არსებაში შურისძიების ინსტინქტის დათრგუნვა?
- ჩანს თუ არა, რამდენად გაუჭირდა ბათუს გადაწყვეტილების მიღება?
- როგორ გგონიათ, ბათუმ აპატია საფარ-ბეგს დანაშაული, თუ პირიქით, უფრო მძიმე განაჩენი გამოუტანა?
- თქვენი აზრით, რას ელოდა ბათუ ჰაჯი-უსუბისაგან?

დისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრების მოსაზრებათა გათვალისწინებით.

„ბათუს „ბარბაცი“ მისი სულიერი დაღლილობის გამოხატულებაა, ოღონდ ესაა არა დათრგუნული, არამედ მძიმე სახადისგან განკურნებული, სიმრთელეშენარჩუნებული სულის დაღლილობა.

...

შესაძლოა, ჯობდა მწერალს ისე გაეყვანა კადრიდან თავისი გმირი, რომ ეს მისი უკანასკნელი მოძრაობა არ დაენახებინა ჩვენთვის. მაგრამ, ამავე დროს, აკაკის არ შეეძლო, ბოლოს და ბოლოს მაინც არ ეთქვა მკითხველისთვის, თუ რა არაადამიანური დაძაბვის ფასად დაუჯდა მის გმირს იმ უფსკრულიდან ამოღწევა, რომელშიც მისი სული ჩაჩეხეს. არ შეეძლო, რადგან XIX საუკუნის რეალისტური მწერლობა თავისი მთავარი ტენდენციით ვერ ეგუება მრავალწერტილს, ქარაგმას, დედააზრის ბოლომდე გამოუთქმელობას.

გურამ ასათიანი

..ბათუმ გამოძებნა სულიერი ძალა და საფარ-ბეგი არ დასაჯა, რაკი დაინახა, რომ დამნაშავე ალალად ნანობს დანაშაულს და ესმის თავისი საქციელის არსი.

აკაკი წერეთელი გვიამბობს არა სინდისიანისა და უსინდისოს ბრძოლაზე, არამედ საფარ-ბეგში აღორძინებული პატიოსნების ტრაგედიაზე. პოემაში ერთმანეთის პირისპირ ორი თანაბარი სულიერი ღირსების კაცი დგას, თუმცა ერთს დანაშაული აქვს ჩადენილი და მეორეს – არა.

აკაკი ბაქრაძე

2. როგორ შეაფასებთ ჰაჯი-უსუბის გადაწყვეტილებას?

- დაინახა თუ არა ჰაჯი-უსუბმა თავისი გაზრდილის სინანული?
- როგორ გგონიათ, მან დანაშაული აპატია თავის გაზრდილს თუ არა?
- ჰაჯი-უსუბმა მართლა საკუთარ დანაშაულად მიიჩნია გაზრდილის საქციელი, თუ „ბოლო გაკვეთილი“ ჩაუტარა მას?
- როგორ გგონიათ, გამზრდელის საქციელი აფექტის მდგომარეობამ განაპირობა, თუ ეს გააზრებული ქცევაა?

დისკუსია შეაჯამეთ ლიტერატურული პარალელების გათვალისწინებით.

პარალელები

სიცოცხლით დასჯილი პირველი ადამიანი.

კაენი და აბელი

(დაბადება 4)

3. გამოხდა ხანი და მიართვა კაენმა უფალს ძღვენი, მიწის ნაყოფი.
4. აბელმაც მიართვა თავისი ფარის რჩეული პირუტყვი. მოჰხედა უფალმა აბელს და მის ძღვენს.
5. ხოლო კაენსა და მის ძღვენს არ მოჰხედა. ძალზე გამწარდა კაენი და თავი ჩაღუნა.
6. უთხრა უფალმა კაენს: რად გამწარდი, რად ჩაღუნე თავი?
7. თუ სიკეთის მქნელი ხარ, განა თავაწეული არ უნდა იყო? თუ სიკეთის მქნელი არა ხარ, ცოდვა ჩასაფრებულია კართან, შენსკენ აქვს მას ლტოლვა, შენ კი იბატონე მასზე.
8. უთხრა კაენმა თავის ძმას, აბელს: გავიდეთ ველად. და როცა ველად იყვნენ, დაეცა კაენი აბელს და მოკლა.

კაენს საკუთარი დანაშაულის დაფარვა უნდოდა, რადგან დაფარული დანაშაული მას არ აწუხებდა, სინდისი არ ქენჯნიდა. ის უფლის მოტყუებასაც კი შეეცადა.

- და თქუა უფალმან ღმერთმან კაენის მიმართ: სადა არს აბელ, ძმაჲ შენი? და თქუა: არა უწყი, ნუ მცველი ძმისა ჩემისა ვარ მე?
- და თქუა ღმერთმან: რაჲ ესე ჰყავ? ჴმაჲ სისხლისა ძმისა შენისა ღაღადებს ჩუენ-და-მო ქუეყანით[1].
- და აწ წყეულ იყავ შენ ქუეყანისაგან, რომელმან განაღო პირი თჳსი შეწყნარებად სისხლისა ძმისა შენისასა ჴელისაგან შენისა.
- რამეთუ ჰშურებოდი ქუეყანასა და არა შესძინოს ძალი თჳსი მოცემად შენდა, იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა.



ჰენრი ვიდალი,
კაენი აბელის მკვლელობის შემდეგ

[1] ჩუენდამო ქუეყანით-მიწიდან შემოგვღაღადებს, (ჩუენდამო-ჩვენ მიმართ)

- და თქუა კაენ უფლისა მიმართ ღმრთისაჲ: უფროჲს არს ცოდვაჲ ჩემი მოტევებისა ჩემისა.
- და უკუეთუ განმაძებ მე დღეს, პირისაგან ქუეყანისა და პირისაგან შენისა დავიმალო და იყოს, ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე.
- და ჰრქუა მას უფალმან ღმერთმან: არა ეგრეთ... და დასდვა უფალმან ღმერთმან სასწაული კაენს არა მოკლვად მისა ყოვლისაგან მპოვნელისა მისისა.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ გესმით ფრაზა „იწროებით და ძრწოლით იყო ქუეყანასა ზედა“;
2. ავდაპირველად კაენს დაფარული დანაშაული არ აწუხებდა. როგორ გგონიათ, როდის გააცნობიერა მან თავისი ცოდვა? რატომ ამბობს ის, რომ მისი დანაშაული მიუტევებელია (უფროᲩს არს ცოდვაᲩ ჩემი მოტევებისა ჩემისა). ამავე დროს, იფიქრეთ, გააცნობიერა კი თავისი დანაშაულის სიმძიმე საფარ-ბეგმა, და თუ გააცნობიერა, როდის?
3. ორივე დამნაშავე სიკვდილს ითხოვს. დააკვირდით, გულწრფელნი არიან ისინი? ყურადღება მიაქციეთ მათ ლექსიკას, ერთიც და მეორეც სიკვდილს შვებად აღიქვამს („უფროის არს ცოდვაი ჩემი, მოტევებისა ჩემისა“ და „ყოველმან მპოვნელმან ჩემმან მომკლას მე...“ ამის გვერდით – „მომკალ, ტანჯულს რამ მიშველე“), მართლა სურთ მათ ეს, თუ ეს ფარისევლური მონანიებაა?

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ ანალიტიკური ესე „სასჯელად ქცეული სიცოცხლე“, რომელშიც დაასაბუთებთ, სიცოცხლე ამ პერსონაჟებისთვის (საფარბეგისა და კაენისთვის) სასჯელია თუ საჩუქარი.



თავი V
არჩევანი

§10 ქართველების ჰომეროსი, ანუ ტრაგიკული გარდუვალობა (ალექსანდრე ყაზბეგი)

წაკითხვამდე

გაეცანით ლიტერატურულ-ბიოგრაფიულ მოზაიკას, რომელშიც მოცემულია ცნობილი ადამიანების გამონათქვამები ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ. რომელმა მათგანმა იქონია გავლენა ამ პარაგრაფის სათაურის შერჩევაზე? ივარაუდეთ, რატომაა ყაზბეგი „ხევის ჰომეროსი“ და რატომ დაუკავშირდა სათაურში ამ ორ მწერალს შესიტყვება „ტრაგიკული გარდუვალობა“?

ლიტერატურულ-ბიოგრაფიული მოზაიკა

„მე კავკასიის ქედები მთხოვენ,
მე მთხოვს მუსიკა თერგის ხმაურის,
ვუსმინო ყაზბეგს, ხევის ბეთჰოვენს,
აგუგუნება კაიშაურის...“

გალაკტიონი

გურამ ასათიანი ყაზბეგის გმირებზე წერდა, ამ პერსონაჟებს შექსპირული ხასიათები აქვთო.

„მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან და მათთან არის მთას შეფარებული ქართული სული“.

ვახტანგ კოტეტიშვილი

მე ვწერდი მოთხრობებს მთის ცხოვრებიდგან და ვცდილობდი, დამეხატა ის წმინდა ჩვეულებანი, ადათები და წესები, რომელიც ხალხის გონიერებამ მიიღო და დაადგინა...

მე მესმის ამგვარი შრომა, ამგვარი მოთხრობა და აღვიარებ ამათ სარგებლობას. ეს იყო მიზეზი, რომ მე გულმოდგინეთ ვმუშაობდი...

ალექსანდრე ყაზბეგი,
„ბატონ მეუნარგიასგან „მოძღვრის“ წერილის გამო“

„ქართველების ჰომეროსია, შაბაშ!“

წააწერა გრიგოლ ორბელიანმა გაზეთში დაბეჭდილ მის მოთხრობას.

ჩვენი ვარაუდები

1. რა წარმოდგენა შეგექმნათ მწერალსა და მის შემოქმედებაზე ლიტერატურულ-ბიოგრაფიული მოზაიკის მიხედვით?
2. გაეცანით ნაწყვეტებს ალექსანდრე ყაზბეგის შესახებ არსებული მოგონებებიდან და მემუარული ტექსტებიდან. იმსჯელეთ მოგონებებისა და მემუარული ლიტერატურის მახასიათებლებზე, ასევე, ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნულ და შემოქმედებით თავისებურებებზე.
3. როგორც ხედავთ, სახელმძღვანელოს ბიოგრაფიულ ბლოკში სხვადასხვა ჟანრისა და ტიპის ტექსტები გხვდებათ. ამჯერად მწერლის ბიოგრაფიას მემუარული ტექსტებიდან ამონარიდებითა და სხვადასხვა პირის მოგონებებით გაეცნობით.

5. საინტერესოა, როგორი იქნებოდა ალექსანდრე ყაზბეგის „ავტოპორტრეტი“ ან მისი თანამედროვეებისა და ახლობლების თვალით დანახული მწერალი. შექმენით მწერლის პიროვნული და შემოქმედებითი თავისებურებების ჩამონათვალი, შემდეგ წაიკითხეთ ნაწყვეტები მემუარული ტექსტებიდან და იმსჯელეთ, რომელი თვისების ამოცნობა შეძელით და რამ შეგიწყოთ ამაში ხელი?

ტექსტების სამყაროში

ბიოგრაფიის მაგივრად

ალექსანდრე ყაზბეგი – 100 ამბავი
(შეადგინეს ლევან ბებურიშვილმა და ანა პაპოშვილმა)

1.

მე ვარ მთიელი და არა „მთიული“, როგორც ჩვენს ლიტერატურაში მოგვიხსენიებენ ხოლმე. დიახ, მთიელი, აღზრდილი ხალხში, შობილი იქ, სადაც ყმა და მონობა ძველთაგანვე სამარცხვინოდ ყოფილა... სადაც სიტყვა „ბატონყმობას“ ადგილი არასოდეს არა ჰქონია და სადაც კაცს პატივისცემა მხოლოდ პირადის ღირსებით შესძლებია.

ალექსანდრე ყაზბეგი, „მკითხველო!“

6.



გაბრიელ ყაზბეგი

...გაბრიელ ჩოფიკაშვილს[1] მამის სახელის მიხედვით მიუღია გვარი ყაზბეგი. აქედან დაწყებულა ყაზბეგების გენეალოგია. გაბრიელის დამსახურებისა და მისდამი პატივისცემის ნიშნად, რუსებმა მყინვარწვერსა[2] და სტეფანწმინდასაც ყაზბეგი უწოდეს.

ვანო შადური

7.



მიხეილ ყაზბეგი

ალექსანდრე ყაზბეგის მამამ, მიხეილ ყაზბეგმა იქორწინა ელისაბედ (შინაურობაში კეკე) ესტატეს ასულ თარხნიშვილზე...

ვალერიან ითონიშვილი

8.



ელისაბედ თარხნიშვილი

ელისაბედ (კეკე) თარხნიშვილი [ალექსანდრე ყაზბეგის დედა], იმ დროის კვალობაზე, განვითარებული ქალი იყო. ზეპირად იცოდა სალმრთო სჯული, „ვეფხისტყაოსანი“. გვარწმუნებდა, ჩვენ ღვთისმშობლის ნათესავები ვართ, ბაგრატიონებს მისგან აქვთ მოდგმაო (კეკე ყაზბეგი იყო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი მეთორმეტის, უფროსი ქალის – სოფიო ბატონიშვილის შვილიშვილი).

სონა მაღალაშვილი

11.

სანდროს დედ-მამას ადრე ვიცნობდი. მამა გენერალი იყო და დედა თარხნიშვილის

---

[1] **გაბრიელ ჩოფიკაშვილი** – ალექსანდრე ყაზბეგის პაპა, რომელმაც თავისი სახელის, ყაზიბეგის, გამო გვარად ყაზბეგი მიიღო.

[2] **მყინვარი** – მწვერვალი ყაზბეგის მუნიციპალიტეტში. მისი სიმაღლე 5054 მ-ს აღწევს.



ქალი, ძველებურად გაზრდილი. დედისერთა სანდრო ძალიან სათუთად და ნებიერად იზრდებოდა, მისთანას არას აიჩემებდა, რომ მშობლებს, თუკი მოახერხებდნენ, არ აესრულებინათ მისთვის. მდაბალი ხალხი იმთავითვე ბავშვობაშივე უყვარდა. სულ ბიჭებში მიდიოდა და, ვგონებ, მიზეზიც იგივე იყო, რომ რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ დიდის ხნით ცხვრის სამწყემსურში გადავიდა. ფულის ყადრი, პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდა. გამოართმევდა ხოლმე მამას ვერცხლის ფულს, ჩაიყრიდა ჯიბეში და გაუდგებოდა გზას. აედევნებოდნენ სოფლის ბიჭები, ისიც იღებდა ხოლმე ჯიბიდან ფულებს და გადაუყრიდა ბიჭებს;

აკაკი წერეთელი

16.

სანდრო ხშირად ბუტიაობდა, ყველაფერს, რასაც მოუტანდნენ, იწუნებდა, ჯავრობდა, თუ რასმე დაუშლიდნენ. ჟინიანობდა, იშვიათი არ იყო იმისთანა დღეები, როცა მთელი ოჯახი აყალ-მაყალში და უსიამოვნებაში ვარდებოდა... ერთს ამისთანა ღრუბლიანს დღეს, როდესაც სანდრო ამგვარად ავზნეობდა და იმის დედასთან ზედიზედ რამდენიმე საჩივარი შეიტანეს, მაშინ ძალუა [მწერლის დედა] წამოხტა, ვითომ სანდროს დასატუქსავად, ახლო მივიდა და გაჯავრებულმა უთხრა:

– რა ღმერთი გაგწყრომია, რომ ქვეყანას ეჩხუბები? რა დაგმართვია, სწორედ მოჩხუბარიძე ხარ!..

სანდროს ეს სახელი ძალიან მოეწონა და საჩქაროდ წამოიძახა:

– ჰო, მოჩხუბარიძე ვარ და აკაკიაცა მქვია! ასე მესიამოვნება!

ამ დღიდან სანდროს მეტსახელად დაერქვა მოჩხუბარიძე და ბოლოს იმის ფსევდონიმიც „აკაკია მოჩხუბარიძე“ გახდა.

ელისაბედ ყაზბეგი

20.

1864 წელს სანდრო თბილისის I კლასიკურ გიმნაზიაში მიაბარეს... გიმნაზიიდან ზაფხულში რომ დაბრუნდა, უფრო მუყაითი იყო სწავლაზე, რაღაცა ლექსების წერა შევამჩნიე, მაგრამ კი არავის გვაჩვენებდა...

ელისაბედ ყაზბეგი

23.

ალექსანდრე ყაზბეგის გამზრდელი იყო მოხევე ნინო... ნინო რომ ცნობილი და კეთილშობილი პიროვნება ყოფილა, ჩანს თუნდაც იმ ფაქტიდან, რომ ელისაბედ თარხნიშვილმა თავისი ერთი შვილი გასაზრდელად სწორედ ნინოს მიაბარა...

ნინოს შთამომავალთ ახლაც შენახული აქვთ ის ოთახი, სადაც ყაზბეგი იძინებდა, პურს სჭამდა და კერიასთან ისმენდა ნინოს ზღაპრებს და ისეთ ამბებს, რომლებიც გულსა და გონებაში სამუდამოდ აღებეჭდნენ.

სტეფანე ალიბეგაშვილი

24.

წერილი გამზრდელისადმი

ჩემო საყვარელო გამზრდელო ნინო!

ჩემისთანა ღარიბ კაცს რა ექნება, რომ შენ დაგიგდოს სახსოვრად ან მოგიძღვნას?! ამაზედ უძვირფასესი მე არა მქონდა რა და ამის გამოისობით შენ გიძღვნი ემ რამთვენიმე ჩემი გრძნობისა და სულის მოძრაობას, რომლის აღზრდაშიაც შენ ისეთს მონაწილეობას იღებდი... გახსოვს, რა თანაგრძნობით მიამბობდი მოსამსახურის და ყმების მდგომარეობაზედ ბატონების ხელში?.. გახსოვს, შენმა სიტყვებმა რამდენჯერ დამაღვრევინა მდუღარე ცრემლები და თანამაგრძნობინა ტანჯული ხალხისათვის?

შენი სიტყვები არ დაიკარგა და აქ დაიმარხა, ჩემს გულში... და ეხლა... შემიძლიან, სიამაყით გითხრა, შენს გაზრდილში თუ

იპოვება რამე რიგიანი ბავშვობიდანვე ჩანერგილი, ამის მიზეზი შენა ხარ, რომლისათვისაც გმადლობთ წარმოუთქმელად.

შენი აკაკია მოჩხუბარიძე
[ალექსანდრე ყაზბეგის ფსევდონიმი]

29.

მამიჩემის სიკვდილის შემდეგ მე დამრჩა მხოლოდ ერთი მეგობარი, ნამდვილი მეგობარი ბ.[1], რომელიც იყო მოსკოვის უნივერსიტეტში. მე მივწერე მას... რომ მსურდა რუსეთს წასვლა და უეჭველათ სწავლა. ამაზედ იმან მიპასუხა პირდაპირ, როგორც შეეფერებოდა სვინდისიანს კაცს, შემდეგით:

„თუ შენ გინდა ნამდვილი სწავლისათვის წამოხვიდე, იმედი გაქვს შენის ძალისა, რომ აღსრულებაში მოიყვან შენს სურვილს, მაშინ წამოდი...“

მე მივეც ჩემს თავს სიტყვა, რომ წავიდე და დავუმტკიცო როგორც ბ-ს, ისე მთელს ქვეყანას, რომ ჩემმა წინანდელმა ნებივრად აღზრდამ იმდენად არ გამრყვნა, რომ სწავლის გაგრძელება არ შემეძლოს.

ალექსანდრე ყაზბეგი, „მკითხველო!“

31.

სტუდენტ ალექსანდრე ყაზბეგის წერილი დედას:

საყვარელო დედავ!

შენი წიგნი მივიღე, რომელმაც დიდად მასიამოვნა...

ძნელს და ძნელს საქმეს ვებრძვი, მაგრამ იმედი მაქვს, თავი გავიტანო და... შემოვალ საქართველოს კარებში დიდებით...

ქართული ანდაზაა – ცდა ბედის მონახევრე არისო... უკეთუ კაცს ცდა ექნება, უეჭველათ მიაღწევს ღვთით...

...მე თვითონ არა მქონდა ჩემი თავის იმედი, რომ ამოდენა ჯდომას გაუძლებდი და ჩემი დაუდგომარი ფეხები სიარულს დაიშლიდნენ....

მე ქვეყანაზედ აღარაფერზედ, აღარაზედ ვფიქრობ, გარდა ჩემს სწავლაზედ...

შენი ა. ყაზბეგი
1868 წ. 29 იანვარს.

33.

„სანდრო ყაზბეგს ჩემი ახალგაზრდობის დროიდან ვიცნობდი.. ახალგაზრდა ქალები შურით უყურებდნენ, ჩუმად ჩურჩულებდნენ... ყური მოვკარ, ამბობდნენ, რომ თავისი ძიძის – ნინოს ქალიშვილის მული ჰყვარებიაო, გარბანელი ქალი ძიძია, მაგრამ ნათესაობა აღდგომიან წინაო და ქორწინებაც ჩაშლილაო...

სანდროს და ძიძიას სიყვარული შეუმჩნეველი არ დარჩენილა ძიძიას ძმებისათვის და ამის გამო, თავიანთ დას აუკრძალეს სანდროსთან შეხვედრა... ამ აუხდენელი სიყვარულის გამო, ძიძია ტუბერკულოზით დაავადებულა...

ვერ მოახერხა სანდრომ იმ ქალის შერთვა... აი, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ძიძია გარდაიცვალა სანდროს დარდით...

ტასო გიგაური

34.

მე 18... წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს. მე თითონ, როგორც მთის კაცს, მყავდა რამდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთ მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამგვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი, ყველამ, განურჩევლად ყველამ, მასხრად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელოვანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდე ძლიერი იყო, რომ არავითარ რჩევას ყური არ ვუგდე: მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი და მეცხოვრა იმათი ცხოვრებით...

ალექსანდრე ყაზბეგი,
„ნამწყემსარის მოგონებანი“

[1] იგულისხმება ალექსანდრე ბახუტაშვილი, ალ. ყაზბეგის მეგობარი, პროფესიით ქირურგი.

37.

მწყემსად ყოფნის დროს, რამდენიმე ხნის განმავლობაში ყაზბეგის მოქმედებამ თვალსაჩინო გავლენა იქონია ჩეჩნებ-ყაზახებში, რადგან ყველა მათმა სოფლებმა შეიტყვეს ყაზბეგის ვინაობა, რადგანაც ყაზბეგის საჩივრის გამო თერგის თემის უფროსმა განკარგულება მოახდინა, რომ უკეთუ მეცხვარეს შეურაცხყოფას მიაყენებდა ვინმე, ის მახლობელი სოფელი უნდა მისცემოდა სასტიკ პასუხისგებაში და მის შემდეგ, ნაცვლად გაჯავრებისა, თავაზიანად დაიწყეს ცხვარ-მეცხვარეთ გაცილება თავთავიანთ საზღვარზედა, რის გამოც მთიელმა მეცხვარეებმა სანდრო ყაზბეგს მთიელთა ფარი უწოდეს.

იაგორ ღუდუშაური

42.

გაიარა რამდენიმე ხანმა, როდესაც შევამჩნიე, რომ ორი ვიღაცა კაცი შტაცკურს ტანისამოსში მოდიოდნენ ჩემკენ... ისინი მოვიდნენ ახლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი „ბასარა“ ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ, მე დავუძახე ძაღლს, ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან. უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და დამტვრეულის რუსულის ენით ლაპარაკი დამიწყეს:

– собак, собак... нет кусай..[1]

– нет кусай,[2] – ვუპასუხე მეც ამგვარადვე.

– баран, баран,[3] – დაიწყო ერთმა, ველარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა და მიუბრუნდა ამხანაგს ფრანცუზულად: – როგორ უნდა ვკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?

– მეც არ ვიცი, – ფრანცუზულადვე უპასუხა მეორემ.

ბოლოს იმათ გააბეს ლაპარაკი მატყლის სიკეთეზედ და უკვირდათ, იმოდენა ფარას მთაში როგორ ვათავსებდით. ბოლოს კიდეც მოიწადინეს შეტყობა: სადა ვყიდით მატყლს და რამდენი ფუთის მოგროვება შეიძლებოდა მთაში.

მე ვლაპარაკობდი ფრანცუზულს, გულმა ველარ გამიძლო და ამისთვის ვუპასუხე:

– მთაში ძალიან ბევრია ცხვარი, ხალხი თითქმის ამით სცხოვრობს. მატყლს კი აქვე ყიდულობენ სომეხი ვაჭრები.

წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაცა უცნაურს და ველურს მთებს შორის, სადაც, იმათის შეხედულებით, ბარბაროსები სცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად მეცხვარე, უბრალო მთის კაცი ფრანცუზულად ელაპარაკება.

– როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანცუზულად?! – გაშტერებით წამოიძახეს ორთავ ერთად.

– დიახ, ცოტაოდენს.

– რას ამბობთ, სად გისწავლიათ?.. არა, ეგ შეუძლებელია!

მე მომწადდა იმათთან ხუმრობა და ამისთვის ვუპასუხე:

– ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანცუზულად... მე სხვა ადგილებში ვიყავ მოჯამაგირედ და კიდევ გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანცუზებისაგან.

– რას ამბობთ?! აი, გასაშტერებელი საქმე! – ეუბნებოდნენ ერთმანეთს, – ჩვენ კი ველურ ხალხად მიგვაჩნია ეს ხალხი!..

ალექსანდრე ყაზბეგი, „ნამწყემსარის მოგონებანი“

49.

1874 წ. მე ვიყავი თბილისში, სადაც გახშირებული ლაპარაკი იყო რეპერტუარის უქონლობის გამო. ესევე იყო მიზეზი, რომ თითო-ოროლა სპექტაკლებიც დიდი გაჭირვებით იმართებოდა, რადგანაც ერისთავისა და ანტონოვის თხზულებათ თავი საკმაოდ მოეძულებინა საზოგადოებისათვის. მე წავედი შინა და მოუდექ პიესების წერას, თარგმანს და გადმოკეთებას.

ალექსანდრე ყაზბეგი, „ფაქტები“

56.

მე არ მაქვს დასახული მიზნად, სახელი უკვდავი გავიხადო და არ მივიბრძვი, უკვდავი შექსპირის გამოკვლევას მივყო ხელი, მე არ ვხატავ ლირებს და ჰამლეტებს,

---

[1] დამახინჯებული რუსულით: – ძაღლი, ძაღლი, ხომ არ იკბინება.

[2] – არ იკბინება.

[3] – ცხვარი, ცხვარი...

ჩემს მოძმეთათვის გაუგებარს პირებს, მე ველტვი ჩემს ქვეყანას, კეკლუცს და შემკობილს, ველტვი მის ბუნებას, რომელმაც აღზარდა და შეიფარა ჩემი მოძმენი. შევხარი იმათ და ვტირი იმ ტირილით, რომელიც გვასწავლა მისმა მოქმედებამ. მთა რომ ჰკვნესის და ჰგმინავს...

ალექსანდრე ყაზბეგი, „ბატონ მეუნარგიასგან „მოძღვრის“ წერილის გამო“

71.

„ძალიან კარგია...“

„დიდად მიამა...“

„მშვენიერება არის...“

„უფალო მოჩხუბარიძევ, გიხაროდეს, შენა ხარ პირველი მწერალი, დრამატიკი საქართველოში...“

„ღმერთმა გაკურთხოს, მოჩხუბარიძევ, იმ გულის დატკბობისათვის, რომელიც მომეცა ამ მოთხრობის წაკითხვის ჟამს. ჯერ ქართულ ენაზედ მზგავსი არა დაწერილა რა...“

„ქართველების ომიროს [ჰომეროსი] არის, შაბაშ!!!“

გრიგოლ ორბელიანის მინაწერები გაზეთ „დროების“ იმ ნომრებზე, სადაც იბეჭდებოდა ალ. ყაზბეგის „ელგუჯა“ და „მამის მკვლელი“

72.

ანტონ ფურცელაძე იგონებს, როგორ შეიძინა ალექსანდრე ყაზბეგის წიგნი „მოძღვარი“.

„წავიღე წიგნი და ვიფიქრე, მოდი ერთი, შევუდგები კითხვასა. შევუდექ კითხვას მოღლილ-მოქანცული... დარწმუნებული, რომ მესამე გვერდზევე შევდგები და გადვისვრი წიგნს. მაგრამ!

სტრიქონები სტრიქონებს, გვერდი გვერდს გასდევდნენ და მე დამავიწყდა ძილიც, მოსვენებაც...

მე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მწერლობაში ვითვლები დიდ წუნია მწერლად... აქ კი უცებ ჩემს აღტაცებას, ჩემს განცვიფრებას აღარა ჰქონდა საზღვარი...

იმავ დილით გავექანე ყაზბეგისაკენ. ის დამიხვდა რედაქციის კარებთან. მე აღტაცებით ვეცი იმას და დაუწყე კოცნა. სანდროს სიამოვნებისაგან მოერია თვალებში ცრემლი, იმას არა სჯეროდა, რომ მე, ანტონ ფურცელაძე, იმისი ნაწერებით ასეთს აღტაცებაში შავიდოდი.

ანტონ ფურცელაძე

74.

დავით კლდიაშვილის წერილი ალექსანდრე ყაზბეგს:

ღრმად პატივცემულო ალექსანდრე მიხეილის ძევ!

გიგზავნით გულითად სალამს! თქვენი „განკიცხული“ შედევრია, რომელიც ყოველ ჩვენგანს, ქართველს, უფლებას აძლევს, სიამოვნებით თქვას: ჩვენ ჯერ არ დაგვიკარგავს ყველაფერი, ჯერ კიდევ ვცოცხლობთ და დიდხანს ვიცოცხლებთ!

ვრჩები თქვენი მარადის პატივისმცემელი დავით კლდიაშვილი

79.

ვალებმა ძირს დასცეს ერთ დროს განთქმული მდიდარი ოჯახი მიხეილ ყაზბეგისა [მწერლის მამისა]... ალექსანდრეს დედას ტვირთად დააწვა სახლ-კარის მოვლა და გადახდა. ჩავარდა საწყალი ელისაბედი გაჭირვებაში. ამ გარემოებით ისარგებლა მიხეილის ძმისშვილმა, გიორგი ყაზბეგმა, რომელიც იმ დროს უკვე პოლკოვნიკის ჩინს ატარებდა. ის ასესხებდა ელისაბედს ფულებს და, საბოლოოდ, იმ თანხების ანგარიშში შეიძინა ალექსანდრეს უძრავი ქონება, მიწები და სახლი.

გიორგი მოზდოკელი

90.

დადიოდა ალ. ყაზბეგი ქუჩა-ქუჩა ეული, თითქოს არაფერი აკავშირებდა თანამედროვე საზოგადოებასთან. უმეტეს დროს ატარებდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩაზე, იქ, საცა ამჟამად გრიბოედოვის სახელობის თეატრია. მაღაზიის გამგე იყო ჩვენი საბავშვო პოეტი შიო ქუჩუკაშვილი. ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც უპატრონო ალ. ყაზბეგს ტკბილად დაუხვდებოდა, ადამიანურად გამოეხმაურებოდა, ცდილობდა,

სულიერი და ხორციელი ობლობა შეემსუბუქებინა...

თედო სახოკია

93.

ბოლოს, დასნეულებული, იგი მოათავსეს მიხეილის საავადმყოფოში. ამ დროს კიდეც გამოიცა მისი მოთხრობები სამ ტომად. გამოცემული წიგნები მიუტანეს ავადმყოფს. მან გადაშალა, დააჩერდა თავის პორტრეტს, მერე ამოხია იგი, წიგნის ფურცლებიც მიხი-მოხია და გადაყარა იქით...

დავით კლდიაშვილი

94.

საკვირველს ხასიათს იჩენს ჩვენი საზოგადოება: მინამ არ მოკვდება ჩვენი საზოგადო მოღვაწე, რაც უნდა დღე ადგეს, რაც უნდა გაჭირვებაში იყოს, კაცი არა ჰყავს ყურის მგდებელი, გულის შემატკივარი...

აბა, ვინ იცის, რომ ჩვენი სასახელო, ჩვენი უნიჭიერესი ბელეტრისტი [პროზაიკოსი], ალექსანდრე ყაზბეგი იმყოფება დღეს საავადმყოფოში? კაცმა, რომელმაც ამოდენა ღვაწლი და ამაგი დასდო ქართულს მწერლობას... დღეს ეს კაცი არის დარჩენილი მარტო, იმ ულუფის ამარა, რომელიც ეძლევა საავადმყოფოდან. არც მნახველი, არც გროშის მიმწოდებელი... საავადმყოფოს მოხელეთა თქმით, ამას არავინა ჰყავს... ნუთუ აქამდისაც მივედით!

ანტონ ფურცელაძე

97.

ჩვენი საზოგადოება ცოტა პირშავად არის მასთან. მაშინ, როდესაც მისი ნაწერები ათასობით იყიდებოდა და, როგორც მწყურვალი წყაროს, ისე ეწაფებოდნენ მის ნაწერებს, ის სამხედრო ჰოსპიტალში იწვა ავადმყოფი, დიდ გაჭირვებაში. სიკვდილის შემდეგ კი შეინანა საზოგადოებამ, მაგრამ რაღა დროს? მისი სიკვდილიც კი უცნაური იყო. ერთხელ ვარანცოვის ძეგლთან ვიდექ და იქ შევნიშნე, რომ საზოგადოება მუშტაიდისაკენ[1] მიესწრაფებოდა... აქ თურმე წარმოდგენა იყო: ვირი აჰყავდათ მაღლა აეროსტატით!.. სწორედ იმ დროს, მოვიდა ჩემთან დანაღვლიანებული ზ. ჭიჭინაძე და ნაღვლიანად, თავის ქნევით დამეკითხა: „სად მიდის ეს ქართველი საზოგადოება სასეირნოდ? სულ ნახევარი საათი არ იქნება, რაც ჰოშპიტალში ყაზბეგი გარდაიცვალა და მეც იქიდან მოვდივარო“! ამ ამბავმა დამაღონა და შეწუხებული დავბრუნდი შინისაკენ.

აკაკი წერეთელი

98.

მოჩხუბარიძის დამარხვას მრავალნი დავესწარით. დიდებით და პატივით გაასვენეს თბილისიდან სტეფანწმინდას... სოფლელები სამღვდელოებით რამდენსამე ვერსზე შეეგებნენ. სოფელში ხელით შეიტანეს, თავის გაოხრებულის კერის წინ დაასვენეს. ჭირისუფალთ მიეგება გამზრდელი ნინო, ძაძებჩაცმული, თეთრთმაგაშლილი, მწარედ, მოთქმით დასტიროდა თავისაგან ნებიერად გაზრდილს საყვარელს სანდროს. საწყალი ბებერი გამდელი! „სანდროს სიცოცხლემაო“ – ფიცულობდა და ეხლა იმ დღეს შეესწრო, როდესაც „სანდროს სულის მზეს“ დაიფიცავს... ნინო მუდამ ნატრობდა: სანდროს ხელით დამარხვა მეღირსოსო. და ახლა 88 წლის დედაკაცი იძულებული გახდა, თავისი ხელით მიწა მიეყარა... ასე ბრუნავს წუთისოფელი და ვინ ვის ჩაასწრობს, არავინ ვიცით.

ელისაბედ ყაზბეგი

მე მინდა, ვიყო კარგი შვილი საქართველოსი. პირადად ღირსეული იმ წმინდა საგნებისა, რომელთაც მე შევდგომივარ და უეჭველად ჩემი საქმე ჩემს სიტყვას უნდა მიზდევდეს. მე სხვა რიგად კაცი არ მესმის...

მე არც ცოლი, არც შვილი, არც თუ სხვა რომელიმე გულის შემატკივარი არ დამრჩება. თუ საქართველოში ჩვენი დროის პირველის ბელეტრისტის [პროზაიკოსის] სახელი არ დამრჩა, – დამრჩება მისთვის პირველის გულის შემატკივარის სახელი!

ალექსანდრე ყაზბეგი, „ბ. რედაქტორო“

---

[1] **მუშტაიდის ბაღი** – ბაღი თბილისში. გაშენებულია 1830-იან წლებში.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ახასიათებს ყაზბეგი მთიელებს? რა ყოფილა მათი უპირველესი ღირებულება? რას ამბობს ყაზბეგი მთაში გავრცელებული ბატონყმობის თავისებურებების შესახებ?
2. დაახასიათეთ ყაზბეგის მშობლები. რა ემთხვევა სხვათა და თავად ავტორის ნაამბობში?
3. „ფულის ყადრი პატარა რომ იყო, მაშინაც არ იცოდაო“, წერს აკაკი წერეთელი. იმსჯელეთ, თქვენი აზრით, რამ გამოიწვია მისი ასეთი დამოკიდებულება ფულისადმი;
4. როგორ, რა სიტუაციაში „დაიბადა“ მწერლის ფსევდონიმი?
5. აღწერეთ ალექსანდრე ყაზბეგის ბავშვობისა და მოსწავლეობის ხანა;
6. დაახასიათეთ სანდროს გამზრდელი მოხევე ნინო. როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მწერალს ძიძასთან?
7. როგორ ხვდებოდა ხალხი ყაზბეგის ახირებებს – მის მედუქნეობას, მწყემსობას?რატომ?
8. მოგონებებითა და ამონარიდებით აღადგინეთ მწერლის ცხოვრების ბოლო წლები. რამ მოახდინა თქვენზე ყველაზე დიდი ემოციური შთაბეჭდილება?
9. ზემოთ მოყვანილი ტექსტი (ამ სახით) ბუნებაში არ არსებობს. იგი სხვადასხვა ტექსტისგან „შეკრული“ ბიოგრაფიული კოლაჟია. და მაინც, რა ქმნის მასში მთლიანობის განცდას? შეიძლება თუ არა, ვისაუბროთ ამ ტექსტის სიუჟეტზე?
10. შეიძლება თუ არა, ამგვარმა კოლაჟმა სრულფასოვნად შეცვალოს ბიოგრაფია?
11. შეადარეთ ერთმანეთს ბიოგრაფია და ბიოგრაფიული კოლაჟი, რომელს რა უპირატესობა გააჩნია?
12. თქვენი აზრით, როდისაა ტექსტი უფრო სანდო – როცა ადამიანი საკუთარ თავზე გვიამბობს, თუ მაშინ, როცა მასზე თვითმხილველები საუბრობენ?

ენა და ტექსტი

ეს ტექსტი გამორჩეულია, რადგან მას მრავალი ავტორი ჰყავს. მათ შორის განსწავლული და საქვეყნოდ ცნობილი ადამიანებიც არიან და საშუალო და დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებიც. ალბათ, შენიშნეთ, რომ ტექსტი არაერთგვაროვანია და ეკლექტური.

შეავსეთ ტექსტზე დაკვირვების კოგნიტური სქემა. დააჯგუფეთ მსგავსი ტიპის ტექსტები ტიპურ ჯგუფებში და იმსჯელეთ, რამდენი ტიპის ტექსტია ამ კოლაჟში, მოკლედ დაახასიათეთ თითოეული მათგანის ენობრივი გარემო და მოიყვანეთ მაგალითები ტექსტიდან (იხ. ნიმუში, რომელშიც მარცხენა სვეტში მოკლედ და სქემატურადაა მოცემული, ტექსტის რომელ მახასიათებლებს უნდა მიაქციოთ ყურადღება. ტექსტზე მსჯელობისას განავრცეთ ეს მონაცემები კონკრეტული მაგალითებით):

ტექსტის ძირითადი მახასიათებელი	ტექსტის ნომერი და კონკრეტული მაგალითები
ტექსტი იმდროინდელი აკადემიური ენითაა დაწერილი, იგრძნობა ავტორის განსწავლულობა და ლექსიკური მარაგის სიმდიდრე.	
ტექსტი ჩვეულებრივი სასასუბრო ენითაა დაწერილი, იგრძნობა დიალექტიზმებისა და ფოლკლორული გამოთქმების სიჭარბე. სავარაუდოდ, მისი ავტორი არც არისტოკრატიას მიეკუთვნება და არც სოციალური ფენის ყველაზე დაბალ საფეხურზე დგას.	
ტექსტი პროფესიულ ჟარგონს შეიცავს. გვხვდება სპეციფიკური ლექსიკა და ტერმინოლოგია, რაც ცხადყოფს, რომ მოსაუბრე ამა თუ იმ პროფესიულ ჯგუფს განეკუთვნება.	
ტექსტში გვხვდება დიალექტის ჭარბი გამოყენება, მთხრობელი მიეკუთვნება ამა თუ იმ დიალექტურ ჯგუფს.	

ბიოგრაფიული ქრონიკები

ალექსანდრე ყაზბეგი დაიბადა 1848 წელს, სტეფანწმინდაში, ხევის მმართველის მიხეილ ჩოფიკაშვილის (ყაზბეგის) და ელისაბედ თარხნიშვილის ოჯახში.

1859 წელს მშობლებმა თბილისში ჯერ ჰაკეს, შემდეგ კი კანონიჩის პანსიონში მიაბარეს.

1863 წლიდან სწავლობდა კლასიკურ გიმნაზიაში, 1867-1870 წლებში – მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში.

1870 წელს ალექსანდრე ყაზბეგი დაბრუნდა სამშობლოში ისე, რომ დასახელებული უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია და მწყემსობა დაიწყო, რამაც მისი ახლობლები აღაშფოთა. მწყემსობაში მან შვიდი წელი დაჰყო. სწორედ ამ დროს ეზიარა დიდი მწერალი უბრალო ხალხის ცხოვრებას, მათ გასაჭირსა და მძიმე ყოფას. ალბათ, მის მოთხრობებში აღწერილი მრავალი მშვენიერი ეპიზოდი ამ პერიოდის შემოქმედებითი ანარეკლია. ამიტომაც ითვლება ეს წლები მწერლის ცხოვრებაში ერთ-ერთ ყველაზე პროდუქტიულ ხანად.

1879 წელს ალექსანდრე ყაზბეგი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. ამ დროიდანვე იწყებს მოღვაწეობას ქართულ თეატრსა და მწერლობაში.

პირველი მოთხრობა – „ციცკა“ – 1880 წელს გამოაქვეყნა. ყაზბეგი ბევრს და სწრაფად წერდა, თითქოს სათქმელის მოსწრება სურდა. ამიტომაც სულ რაღაც 5-6 წელიწადში შექმნა მდიდარი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

1886-1887 წლებში იგი მძიმედ დაავადდა. 1890 წელს მოათავსეს ფსიქიატრიულ საავადმყოფოში.

1893 წლის დეკემბერში ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა. დაკრძალულია მშობლიურ სტეფანწმინდაში.



ალექსანდრე ყაზბეგის სახლ-მუზეუმი

ოსტატობის სკოლა

მოგონებებისა და მემუარული ტექსტებიდან მოყვანილი ამონარიდების გამოყენებით შექმენით ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული პორტრეტი.

დამატებითი რესურსები

ნიმუშად შეგიძლიათ, გამოიყენოთ სახელმძღვანელოს დანართ 2-ში მოცემული ალექსანდრე ყაზბეგის ლიტერატურული პორტრეტი (ავტორი – გერონტი ქიქოძე) და, ასევე, სხვა ავტორთა ლიტერატურული პორტრეტები, რომლებიც ამ სახელმძღვანელოს ბიოგრაფიულ ბლოკებში გხვდებათ.

წაკითხვამდე

როგორ ვიკითხოთ?

ჩვენ ვიცით, რომ ტექსტის კითხვის დროს ვიშველიებთ და ვეყრდნობით სხვადასხვა ხერხს, სტრატეგიებს, რომლებიც ტექსტის გაგებას გვიადვილებს.

ამჯერად გთავაზობთ, ყურადღება მიაქციოთ ისტორიულ კონტექსტს, თანამედროვეობის ალეგორიის შემცველ ეპიზოდებს, სპეციფიკურ ეთნოკულტურულ გარემოს, კუთხის თავისებურებებს – ტრადიციებსა და ზნე-ჩვეულებებს, ფოლკლორული პირველწყაროსა და ტექსტის სიუჟეტის ურთიერთმიმართებას.

ა) მოთხრობის ისტორიული კონტექსტი

მე-17 საუკუნემდე თავისუფალი („უბატონო) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი (ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი და ხევი) მათთვის არასასურველი ისტორიული ფაქტის წინაშე აღმოჩნდა. მეფის ბრძანებით, აღმოსავლეთ მთიანეთი (მთიულეთი, დუშეთი, ანანური, ხევი) სამართავად ნუგზარ არაგვის ერისთავს გადაეცა. ამის გამო მთიანეთი პროტესტის ტალღამ მოიცვა.

სწორედ ეს ფაქტი გახდა ალექსანდრე ყაზბეგის ამ მოთხრობის ისტორიული საფუძველი.

ბუნებრივია, ისტორიულ თემაზე შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებში ფაქტები, ძირითადი თემა გარკვეული ისტორიული სინამდვილიდანაა აღებული, თუმცა ეს მხოლოდ ჩარჩოა, რომელსაც მხატვრულ ნაწარმოებად ავტორის შემოქმედებითი ფანტაზია და მწერლური ალღო გარდაქმნის.

ბ) ისტორიულ მასალაში ჩართული მწერლის თანადროულობა

ხშირად ასეც ხდება: ავტორი წარსულზე, რაღაც კონკრეტულ ისტორიულ პერიოდზე წერს, თუმცა ნაწარმოებში იმდენად მკაფიოდ იჩენს თავს იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი იდეალები თუ პრობლემები, რომლებშიც მწერალი ცხოვრობს და მოღვაწეობს, რომ მკითხველი ადვილად ამოიცნობს, რომელი პერიოდის მოღვაწეა იგი. მაგ., გაიხსენეთ, აკაკის „ბაში-აჩუკში“ აღწერილ შაჰ-აბასის დაპყრობით პოლიტიკაში როგორ აირეკლებოდა მე-19 საუკუნის რუსული იმპერიალისტური სახელმწიფო პოლიტიკა. კითხვის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ, რის გამოსახატად იყენებს ავტორი ისტორიულ მასალას, რა სათქმელი იმალება მე-17 საუკუნის ისტორიული კონტექსტის საფარქვეშ?

გ) სპეციფიკური ეთნოკულტურული გარემო, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები

შესაძლებელია, თავდაპირველად ტექსტში ბევრი რამ გაუგებრად ან უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგალითად, ხევის რომელიმე ტრადიცია, ანდა იმ პერსონაჟთა ქცევის მოტივები,

რომლებიც განსხვავებულ ეთნოკულტურულ გარემოში ცხოვრობდნენ. ნაწარმოების კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ იმ ეპოქისა და თანამედროვე ადამიანებს შორის ბუნებრივად არსებობს განსხვავებანი, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს სპეციფიკური ეთნოკულტურული გარემო. ამიტომაც, თუ გვსურს, უკეთ „გავუგოთ“ ნაწარმოების პერსონაჟებს, ვიგრძნოთ და გავაანალიზოთ მათი ქცევის მოტივი, ყურადღებით უნდა გავეცნოთ ამ განსხვავებულ ეთნოკულტურულ გარემოს, ამ საზოგადოების ფასეულობებს, ტრადიციებს, მათი ცხოვრების წესსა და იდეალებს.

დ) ფოლკლორული პირველწყარო და მხატვრული ტექსტი – ნაწარმოებს საფუძვლად უდევს ფოლკლორული გადმოცემა, რომელიც მწერალმა გამოიყენა სიუჟეტურ საწყისად, ერთგვარ „ჩარჩოდ“. ტექსტის დასრულების შემდგომ საგანგებოდ შევჩერდებით ფოლკლორული პირველწყაროს მხატვრულ ნაწარმოებში გარდასახვის თავისებურებებზე, ამჯერად გირჩევთ, კითხვის დროს დააკვირდეთ ამბის განვითარებას და გაიაზროთ, რა შეიძლება მომდინარეობდეს ფოლკლორული პირველწყაროდან და რა იქნება მწერლის ფანტაზიის ნაყოფი? რას და რატომ შეცვლიდა მწერალი ამბის სიუჟეტში?

სადისკუსიო კლუბი

1. მინიდისკუსია – განუხორციელებელი სიყვარული

1. რა არის სიყვარული? რა შეგიძლიათ თქვათ უეცრად გაჩენილი სიყვარულის გრძნობის შესახებ? თქვენი აზრით, შესაძლებელია ერთი ნახვით შეყვარება?
2. თქვენი სიტყვებით გადმოეცით, როგორ გესმით აკრძალული, განუხორციელებელი, უპერსპექტივო სიყვარული? იმსჯელეთ, აქვს თუ არა ვინმეს უფლება, „აკრძალოს“ სიყვარული და რატომ?
3. სხვისი პოზიციის გააზრებისას უნდა გახსოვდეთ, რომ ხშირია შემთხვევა, როცა გამოთქმული შეხედულებებიდან რაღაც მისაღებია და რაღაც – არა. ასეთ შემთხვევაში ამბობენ, რომ ეს აზრი ნაწილობრივ მისაღებია. გაეცანით ქვემოთ მოყვანილ შეხედულებებს და იმსჯელეთ, რომელ მათგანში რას იზიარებთ და რა მიგაჩნიათ საკამათოდ?

„მე არასოდეს დავგმობ ცოდვილ სიყვარულს, მაგრამ დასანანია, რომ მკაცრ ზნეობრიობას გაქრობა ემუქრება, ხოლო გრძნობიერება ცდილობს, კვარცხლბეკზე ავიდეს“.

„სიყვარული სიყვარულია, ის არ შეიძლება იყოს ცოდვილი, აკრძალული, მიუღებელი... სიყვარული მარადიული და უმაღლესი ფასეულობაა, ამიტომაც მის წინაშე ყველა სხვა ღირებულება ფასს კარგავს, ცამტვერდება“.

„გული, ცნობა და გონება ეთმანედზედა ჰკიდიან, რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან, უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია...“

„სიყვარული არის ყველაზე ძლიერი ვნება, რადგან იგი ერთდროულად ეუფლება თავს, გულსა და სხეულს“.

„სიყვარული ძლიერი ემოციური მდგომარეობაა, ამიტომაც შეუძლებელია, მას შეეწინააღმდეგო, დაამარცხო, ასეთი წინააღმდეგობები აძლიერებს სიყვარულს და ანგრევს ადამიანის პიროვნებას; ბრძოლას აზრი არა აქვს, რადგან ადამიანი სიყვარულის უძლეველი გრძნობის წინაშე მარცხდება“.

„ადამიანმა უნდა შეძლოს, გონებით დაიმორჩილოს გული... თუ საკუთარი გონება რაიმეს ურჩევს, ეს ნიშნავს, რომ საკუთარ და არა სხვის ნებაზე დადის, მაგრამ თუ გულს აჰყვება, ეს ნიშნავს, რომ მას საკუთარი აზრი არ გააჩნია და გრძნობები თავის ნებაზე დაატარებენ“.

4. აკრძალული, განუხორციელებელი სიყვარულის ტრაგედია

ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც არის შემთხვევები, როცა სიყვარული „ჩნდება“ იქ, სადაც მას განვითარება და მომავალი არ უწერია. სიყვარულის უპერსპექტივობა, შესაძლოა, სულ სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული.

გაიხსენეთ ამგვარი შემთხვევები ლიტერატურიდან („მარიტა“) ან ცნობილი ადამიანების ცხოვრებიდან და, ნაცნობი ეპიზოდების გათვალისწინებით, იმსჯელეთ, როგორ შეიძლება განვითარდეს „განუხორციელებელი სიყვარული“ ტრადიციების მკაცრად დამცველ საზოგადოებაში?

ხევისბერი გოჩა

I

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს[1] რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდე მარხილი მიუახლოვდა.

მხედრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთიერთმანეთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად, სიმღერით და თოფის სროლით. აშკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ასე გულადად და პირდაპირ შესულიყვნენ ხევის სოფელში, რომელიც თავისთავად მთელს, ძნელად ასაღებს, სიმაგრეს წარმოადგენს.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, იმათ გამოეგებნენ იქაური ყმაწვილი ბიჭები და ორივე ცხენოსანთ გუნდი ერთმანეთისკენ ყიჟინით და თოფის სროლით გაექანნენ. ცხენები მიდიოდნენ თავბრუსდამხვევის სიჩქარით. მისი პატრონები ელვასავით ატრიალებდნენ თოფებს, ხან გადიზნიქებოდნენ, მიწას დასცემდნენ ხელს და ხან ისევ ისარსავით სწორედ გამართულნი, ნაზის, გულშემტაცებელის რხევით ერთმანეთისკენ მიესწრაფებოდნენ.

აგერ, მიუახლოვდნენ ერთმანეთს, ცხენების თავები თითქმის ერთმანეთს სწვდებიან, საცაა შეეჯახებიან. მაგრამ სწრაფად, თითქოს მანქანებით, ერთბაშად შეჩერებულნი, ქვისგან გამოჭრილს სურათებს დაემსგავსნენ და ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება:

– გზა მშვიდობისათ!

– მშვიდობითაც გივლიათ!

ამის შემდეგ მოკითხვა, სალამი, ქალამი და ყველანი, ერთმანეთში არეულნი, გაემართნენ გაცალკევებულის სახლისკენ, სადაც სარკმლებიდგან გაჩაღებული ცეცხლის შუქი და მხიარული ტაშ-ფანდურას ხმა გამოდიოდა.

კარებთან გაცვივდა კიდევ თოფები და დამბაჩები, და ამ გრიალს შეუერთდა იქავ მოგროვილის ბავშვების ყიჟინის ხმა, და ცხენოსნები ჩამოხტნენ.

პატარები მისცვივდნენ ცხენებს, ჩამოართვეს და დაუწყეს წინ და უკან ტარება, რადგანაც გაოფლიანებულს ცხენებს ორთქლი კორიანტელსავით ასდიოდათ და სიარულში შეშრობა ეჭირვებოდათ, რომ ცივს ნიავს არ დაეკრა და არ დაეხუთა.

[1] ყანობი – სოფელია ხევში.

სტუმრები მოგროვდნენ კარებთან, შუაში ჩაიყენეს ერთი წარმოსადეგი, ახლად წვერ-ულვაშ აშლილი ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მოუყენეს მეორე ყმაწვილი ბიჭი, უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო– ვერცხლით შეჭედილი.

ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

ცოტა ხანიც და, გაისმა წვრილი, წკრიალა ხმა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურის, ძლიერის და ამ ერთადერთის სავაჟკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტკბობს, ძლიერებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!..

ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში. ეხლა ქორწილი გახლდათ. ნაბდიანი კაცი, გუგუა ფიჩიტაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ყმაწვილი, მდიდრულად ჩაცმული – ონისე, შვილი განთქმულის „ხევის ბერისა“ გოჩასი, რომელიც გუგუას ხელისმომკიდედ, მეჯვარედ მოჰყოლოდა.

II

სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოჭედილს სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და „ხელის მომკიდესთან“ და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნ-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით“.

აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდგან, სადაც სენა იყო გამართული. იქ გაემართათ ტაშ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ყმაწვილი ბიჭები, რომელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ლაზათით სავსე მოლეკურე ქალებს.

ყველანი მხიარულად თამაშობდნენ, მაცდურად გაუხტ-გამოუხტებოდნენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელსამე „შავ ბიჭს“ ეშმაკურად ჩაუკრენტდნენ თვალსა და ესეც, აღგზნებული რაღაცა ძალით, წახალისებული გაეკიდებოდა ხან წყნარად, დამშვიდებულს წყალსავით მიმდინარს და ხან მთის მდინარესავით გაცოფებულს და გაშმაგებულს ქალსა.

აგერ მირბის, დამკრთალს არჩვსავით, მოხევის შავთვალა ქალი, იმისი სახე სრულს შიშს გამოსთქვამს, რადგანაც არწივსავით მკლავებგაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თანდათან დუნდება, კაცი ეწევა, აი, წუთიც და, გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. ერთბაშად გატრიალებული ქალი ხელიდგან ეცლება და მეორე მხარეს გამხტარი ფეხებს ათამაშებს. გულდაწყვეტილი კაცი გასცქერის და ხედავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის ღიმილით და მოჟუჟუნე თვალებით, რომელნიც იმას იწვევენ, იპატიჟებენ და თითქოს ეუბნებიან: „დამიჭირე და მე გაგრძნობინებ სიცოცხლის სიტკბოებას!“

ონისე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად, თუმცა გული და სული გამხიარულებულ ყმაწვილებთან ჰქონდათ და ჩუმჩუმად გასცქეროდნენ იმ მხარეს, საიდგანაც ლხინის და თამაშობის ხმა მოდიოდა. გუგუა იწოდა სურვილით, რომ თავის სანატრელის ძიძიასთვის თვალი შაეკრა და ონისე კი, რომ ქორებრივი თვალი გაეყარა ვისთვისმე განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის, მის თვალებსაც ელვარება ჰქონოდა, ტუჩებს მიმზიდველობა, ლოყებს სიყმაწვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხჩუხებელი ძალა.

არ გაუვლია რამდენსამე წუთს, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ „ხელის მომკიდესთან“ მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა:

– აბა, ჩემო ყველავ[1], ჩემ ქალა-შავას[2] შენ გაბარებ... შენ უნდა მოუარო, შენ უპატრონო, იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო!

– ღმერთს არ მოეტყუების, ხაზუავ, რომ, რაიც ხელიდგან გამამივა, თავს არ შევიშურებ, – უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და დაუმატა არა სახუმრო კილოთი: – ვინც მაგას აწყენინებს, იმას ჩემთან ექნების საქმე და, ღთის მადლმა, ჩემთან მასხარობას კი არც-ვის არ ვურჩევ.

– გუგუაი ბალღია[3], – დაუმატა მოხუცმა, – და სოფელი კი – ჭრელი... კაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაარიგოდე ეს ბალღი, ცხოთა ენას ნუ მიჰყვების, ქვეყანაზედ მტერი არ დაილევის და იმათ სიტყვას რომ მიჰყვეს, ე მაგ ქალა-შავას ჩამომიდნობს, დამილევს...

– რაისთვი, რაისთვი ამბობ მაგას ხაზუაისი! – გააწყვეტინა ონისემ: – გუგუაი, მართალია, ბალღია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... ამხანაგებს თავის მარჯვენა თოლსავით[4] უყვარსთ, ყველა თავს დასდებს მაგისთვი, ამიტომ რომ თავად გუგუაც ეგეთია მეზობლისთვი... გუგუაი ვაჟკაცია და, ღთის მადლმა, ჯალაბობაშიაც[5] თავს არ შეირცხვენს.

– შენს პირს შაქარი, ჩემო ყველავ, შენს პირს შაქარი! – უპასუხა მოხუცმა და დაუმატა, – ნუ დამძრახავ, ონისეისი!.. ცას შევაბერდი, ადამის ჟამისა შევიქენ და მაგ ერთაი ქალაის მეტი არა გამაჩნია-რა... მაგაზედ ამომდის მზე და მთორე, მაგაზედღა ვიბრუნებ სულსა.

– კარგი-ღა, ხაზუაისი, სტუმარი ნუღარ შეაწუხე, – დასძახა ვიღაც მოხუცებულმა კაცმა და დაუმატა: – წაიყვანე და პატარძალი ჩააბარე.

– აგრე, აგრე, შენაი ჭირაიმე... იარე, ონისე! – მოხუცი დედაკაცი გაუძღვა ონისეს და გუგუამ კი შურით ავსებული თვალები გაადევნა, რადგანაც იქ უნდა დარჩენილიყო და ძიძიას ხილვამდის კიდევ რამდენსამე საათს უნდა გამოევლო.

ჩვენ და ტექსტი

1. ილია ჭავჭავაძე გვეუბნება, „რიტორიკაში სწერია: ყველაფერი შესავლით უნდა დაიწყოს კაცმაო“. იმსჯელეთ, როგორ იწყება ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა? შეგიძლიათ, ტექსტიდან გამოყოთ შესავალი? რა განასხვავებს ამ მოთხრობის დასაწყისს თავისი თანადროული პროზისაგან?
2. იმ პერიოდის მკითხველი შეჩვეული იყო, რომ ცალკეული ეპიზოდებისა და პერსონაჟების მეშვეობით რეალისტი მწერლები რაღაც იდეებსაც გადმოსცემდნენ, მაგ., „რუსის იამშჩიკი“, რომელიც, რამდენადაც ნახატზე მშვენიერია, იმდენად საძაგელია სინამდვილეში, გამოხატავს რომანტიკული ხელოვნების სინამდვილესთან დაშორებას, „ფრანსიელი“ – მოწინავე ევროპულ კულტურას, ძლივს მორახრახე ეტლი – რუსული იმპერიის გაჭირვებით გადაადგილებას, თერგი – მოძრაობას, მყინვარი – ცხოვრებისაგან განდგომას და ა. შ.

   გვხვდება თუ არა ამ მოთხრობაში მაგავსი „იდეური შინაარსით“ დატვირთული სახეები? იგრძნობა თუ არა რაიმე სიახლე ამ კუთხით?

---

[1] **ჩემო ყველავ** – ალერსიანი მიმართვა ხევში.

[2] **ქალაშავა** (კნინობითი ფორმა მთის კილოებში) – ქალი.

[3] **ბალღია** – ბავშვია.

[4] **თოლსავით** – აქ: თვალივით; თოლი – თვალი.

[5] **ჯალაბობაში** – ოჯახში (მოხევ.).

3. ხედავთ თუ არა ამ მოთხრობის პირველ თავში ხევის (მთის) სიმკაცრესა და კარჩაკეტილობას? თქვენი პასუხი დაადასტურეთ უშუალოდ ტექსტიდან მოხმობილი ციტატის მეშვეობით.
4. ამ მონაკვეთში კონკრეტულად ხევის რომელ ადათ-წესზე გვესაუბრება ავტორი?
5. თქვენ ხვდებით, რომ ტექსტის ენა განსხვავებულია, ალბათ, ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობა ცოტა ძნელად გასაგებიც კი. როგორც წესი, მწერალმა საერთო სალიტერატურო ენაზე უნდა წეროს, ანუ ყველასათვის გასაგები ენით ესაუბროს მკითხველს, თუმცა აშკარაა, რომ ალექსანდრე ყაზბეგის პერსონაჟები აქ მოხეურ დიალექტზე მეტყველებენ. როგორ ფიქრობთ, რას ემსახურება აღნიშნული ფაქტი და რისი ჩვენება სურდა ამით ავტორს? გამოთქვით თქვენი ვარაუდები.
6. ხაზუა საკმაოდ ბევრჯერ უმეორებს ონისეს, იზრუნე ჩემს ერთადერთ ქალიშვილზეო. ყურადღება მიაქციეთ მწერლის თხრობის მანერასა და გამოხატვის ფორმებს. თქვენი აზრით, რას უნდა მოასწავებდეს ამ დეტალის ხაზგასმა?

III

დაბნელებულს სენაკში, რომელსაც ოდნავ ანათებდა მბჟუტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი ძიძია თავის რამდენიმე ამორჩეულის მეგობრებით, რომელნიც მის გართობას ცდილობდნენ.

ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე, ასაკში მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში აღელვებული სისხლი ქაფდება, სდუღს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული მიილტვის რაღაცა ჯერედ უცნობის ბედნიერებისაკენ და თრთოლით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვრება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ. თეთრ-ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლედ არ გადადიოდა; მოჟუჟუნე, ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულის გამგმირავს ისართ ისროდა; შავი გრძელი წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და წვრილი, ხავერდისებრივი წარბები გრძლად გადასჭიმოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოჰხვეოდა, – სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახველი ვერ გასძლებდა, არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“.

ძიძიას შეტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი, რამდენჯერმე მისი მოტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედ-იღბალი გუგუა იყო და მას დარჩა.

რაკი გუგუამ თავისად დაასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ველარავინ გაუბედავდა რასმე, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში გუგუას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დააბნელებდა იმის მზეს, ვინც წინ გადადგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისის სურვილით, თუმცა მოსწონდა თავისი გუგუა და არა ერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შაერთებაზედ ფიქრით, არა ერთხელ მოზმანებოდა მისი ლომებრივი, ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნდა გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდგან დედაკაცობაში პირველი ნაბიჯი უნდა შაედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგად ჰქონდა იგი შეთვისებული; ის იყო ყოველთვის და ყველასგან განებივრებული, ყველას უყვარდა, ყველა უალერსებდა და, ვინ იცის, მომავალიც ამასვე მისცემდა?

ქალი ჰგრძნობდა რაღაც ინსტიქტიურს მღელვარებას და ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის. ამ მდგომარეობას მოეპა-

რა მისთვის ფერი, ნაზად გაეცრიცა და ამ ფერს კიდევ უფრო მეტად დაემშვენებინა მისი ანგელოზებრივი სახე.

მეგობრები ანუგეშებდნენ, ეხუმრებოდნენ, როდესაც მოისმა ხმა:

– „ხელისმომკიდე“ მოდის, „ხელისმომკიდე!“ – და ყველანი ზეზედ წამოცვივდნენ. ძიძიამ იგრძნო, რომ თითქოს მას გულში რაღამაც უჩხვლიტა. მთელს სხეულში გაურბინა რაღაცა უსიამოვნო გრძნობამ და ფეხზედ წამოდგომით საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე.

ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვიღაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელის სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ.

ბოლოს, შესწყდა სიმღერა, მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი, წყნარად გადაიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ– ანგელოზები დ მიუბრუნდა ონისეს:

– ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად. – ამ სიტყვებზედ იმან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლვარე და გახურებული ხელი.

ონისემ რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეჰკრთა, დაიბნა და თითონაც გაჟრჟოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

– აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არავინ ეყოლების, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

– აბა, ღმერთს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა:

– ეგ და – მე ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

– რაი მოგივიდა? – მიეშველა მოხუცი.

– არც-რა, არც-რა, დამცხა, თავს ბრუ რასმე დამეხვა, – ძლივსღა წარმოსთქვა ონისემ.

– ბევრი თუ არა სვი?.. მაიტა-ღა წყალი, – მიუბრუნდა მოხუცი იქ მყოფებს.

– არ მინდა, შენაი ჭირაიმე, – უპასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაგავდა მას, უღელვებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა.

ონისემ მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირდაპირ შეჰხედა ქალს და ხმამაღლა, მტკიცედ წარმოსთქვა:

– იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გავუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები! – ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეჰკრთა, კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა, ერთი შეჰხედა და მაშინვე თავი დაჰხარა. წყნარმა, მაგრამ ძლიერმა ოხვრამ ონისეს სიტყვა გაუწყვიტა პირში და გული მოუსვენრად გაუფართხალა.

IV

ონისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაქანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უიალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჯავრობდა თავის თავზედ, ჯავრობდა, რომ აღძრული გრძნობა ველარ შეემაგრებინა, ავარდნილი გული ველარ შეეყენებინა, ცდილობდა, ქალისთვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირგამშრალი, თითქოს ყელში რაღაცა გახირებიაო, ენას ველარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქელილი.

ონისე გამოეთხოვა ქალსა და გავიდა სამყოფო სახლში, სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულობდნენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანეთს ებაასებოდნენ და მოხუცი ხალ-

ხი კი საქართველოს მომავალს მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს „სიფროები“[1], გაავსეს „ფუნთუშებით“ და მოვლილის ჭედილების[2] მსუქანი ხორცით.

რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა ჩამოსულს ზვავებს სადმე გზა არ შაეკრა და ახალ ჯვარდაწერილები გარეთ ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველაწმინდო[3] თასმაც ჩამოიარა; გვარის უფროსმა, სუფრის თავს „მარტოშკამზედ“[4] მჯდომარემ, აანთო წმინდა სანთელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზნი და მექორწილენი ღმერთს შეავედრა. მერე მიუბრუნდა ონისეს და რამდენიმე სიტყვით მოაგონა „ხელისმომკიდის“ მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

არ გაიარა წუთმა და ხელისმომკიდე ხელახლად წაიყვანეს სენაში, სადაც პატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ონისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის და გაბრუებული, რაღაცა უცნაურს მდგომარეობაში მყოფი, სრულიად დაფანტული აღსრულებდა, რასაც კი ეუბნებოდნენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი ხელში და მოისმა ისევ ჯვარული. ხელისმომკიდემ და ქალმა გამოსწიეს სამყოფო სახლისკენ, სადაც სიძე იყო, ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ონისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ გუგუა მთლად აინთო, ნაღვერდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხვობამ თავი დაახრევინა.

ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით, საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეჰკრთა და ხელისმომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გუგუამ გაავლო ხელი და ისეთ რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინაღამ შეჰყვირა. ონისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქმროს მარხილამდე უნდა მიეცილებინა, და იქ კი პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელისმომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდნენ, ჩვეულებისამებრ, მხოლოდ ხელისმომკიდე და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წამოსულიყო, რადგანაც ქალს ჯვარისწერამდის ვერ მიეკარებოდა. მეორე მარხილზედ დაუწყეს მზითევი და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის სროლით და ყიჟინით გამოსწიეს შინისკენ.

V

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განათებული. ხანგამოშვებით ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და წვრილი, მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწკეპლავდა.

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში გახვეული, ცხენს მიერეკებოდა, რადგანაც თოვლს გზა ჩაეჩუმქრა და ცხენს სიარული უძნელდებოდა და გასავლელი გზა კი ჯერ ბევრი ჰქონდათ.

მაყრიონი, გახურებული ჯირითობით და წარსულის ქეიფით, მარხილს კარგად დაჰშორებოდა და ხან ცხენების ერთმანეთზედ მიგდებით, ხან ერთისაგან მეორის ქუდის გატაცებით და გადაგდებით, მესამისაგან კიდევ გაჭენებულის ცხენიდგან გადაზნექით და ისე აღებით კიდეცა თბებოდნენ და დროსაც ატარებდნენ.

ონისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან ყაბალახი, გადაეწია ქუდი და გახურებული შუბლი და სახე გამყინავის ქარისთვის მიეშვირა.

წმინდა ჰაერმა, თუ ხანის გამოვლამ იმას

---

[1] **სიფროები** – სუფრაგადაფარებული მაგიდები.

[2] **ჭედილა** – წლისა და მეტი ხნის მამალი ცხვარი, მეორე წლის შემოდგომამდე.

[3] **საყველაწმინდო** – მთაში ბოლოს სვამენ ყველა წმინდა სალოცავის დიდებისას, ამას საყველაწმინდო ჰქვია.

[4] **მატროშკამი** – მარტოსკამი,სპეციალური, განცალკევებული დასაჯდომი პატივცემული ადამიანისათვი.

თითქოს მოაზრების საშუალება მისცა და მხოლოდ ეხლა დააკვირდა თავის მდგომარეობას. მხოლოდ ეხლა იგრძნო პირველად გაღვიძებულის გრძნობის სიტკბოება და მასთან ის მტანჯავი მდგომარეობა, რომელიც ვალად სდებდა, გვერდით მყოფს სატრფოს სრულიად სხვა გვარად მოჰქცეოდა.

იმას მიექცია პირი ქარისა და თოვლისაკენ, რომელთაც აღარაფერი უშლიდა და სხაპა-სხუპით სცემდა პირისახეში; ის მათგან მოელოდა რაოდენადმე შეღავათსა და დამშვიდებას.

იმას ეგონა, რომ შუბლის გაგრილებისთანავე სისხლიც დაუმშვიდდებოდა და ავარდნილი გული თავისავე დონეში ჩავარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი ატყუებდა და დაღონებული ხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრელად ჩასახულიყო ძიძიას სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არხევდა; არხევდა იმ სიფრთხილით და მზრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირმშოს, როგორც ყაჭის[1] პარკს ნაზი ნიავი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების აღორძინება ბუნებისგანვე ჰქონდა მინდობილი.

ონისემ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ ქალისკენ არ მოეხედნა, არ დალაპარაკებოდა მას, რადგანაც იცოდა, რა საშიში განსაცდელი იყო მისთვის ამგვარი საქციელი.

იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა ეშინოდა, არამედ განძრევას, მომეტებულს ამოქშენასაც კი ვერა ჰბედავდა, რათა რომელიმე მოულოდნელობით არ შეეწყვიტა ის ხასიათი, რომელზედაც თავშეკავება ეკიდება.

ძიძიაც იჯდა გაჩუმებული, თავდახრილი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის, იმის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რაგვარს ტალღებს ააგორებდა, საითკენ და რა ძალით მიაქროლებდა, ან რომელს საგანს ჩასცივებოდა. რა სურათი წარმოსდგომოდა თვალწინ და გაწამებული ზედ დაჰკდომოდა.

მაყურებლისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული, სადაც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, საიდანაც ვერას ამოიკითხავდა, და მისი გულის მოძრაობის შეტყობის მსურველი პასუხისმიუცემლად, იმედგადაწყვეტილი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში და ზეიდგან წამოგდებული ჰქონდა შალი, რომელიც ავდრისა და ქარისაგან საკმაოდ ვერ იფარავდა. ის თანდათან თოშდებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და მეტად აწუხებდა.

იმის „ხელისმომკიდეს“ ეს შემთხვევა თავში არც კი მოჰსვლია, იქამდის გართულიყო თავის საკუთარის მდგომარეობით. იმას ცოტა ფიქრი არ უნდოდა,

რადგანაც ნათესავობამ სათემოდ ძიძიას მომავალი მის სინიდისს და მზრუნველობას ჩააბარა. ამ ქალის სახელი და პატივი, ქმრის წინაშე დაცვაც კი მისი მოვალეობა გამხდარიყო, ხოლო მთიელთ შეხედულობით, „ანაბარი მგელმაც კი იცის“. და ამ დროს, როდესაც თითონ მას შესდგომოდა მაცდურად გრძნობა, ჩასვლოდა სულის საძირკვლამდის და ძვალსა და ტვინს უწოვდა, შეუბრალებლად უღრღნიდა, ონისეს ამისთანა ძნელად შესასრულებელს მოვალეობასა სდებდნენ.

ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ვეღარ გასძლო და გაჟრჟოლებულს ცახცახი დააწყებინა. მის პირველსავე მოძრაობაზედ ონისე გველის ნაკბენსავით შეჰკრთა და თავისავე უნებურად კისერი ქალისკენ მიეღრიჯა. იმან დაინახა თხელს ტანისამოსში ქალი და გული მოუკვდა. ძიძია, იმის ღმერთაი, სალოცავი, სიწმინდე ამ გაჭირვებაში იყო და იმას არც კი მოჰგონებოდა იმაზედ ზრუნვა!

ერთი თავის მიბრუნება, ერთი შეხედვა, ოდნავი მიკარება საკმარისი იყო, რომ თოფის წამალსავით ეფეთქა და მთელს სხეულს ცეცხლი მოსდებიყო.

– ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!.. მთლად გათოშილხარ და მე კი არც კი მომაგონდი!.. – წარმოსთქვა ონისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაეტყო.

– არა მიშავს-რა, შენაი ჭირაიმე – წარმოსთქვა ქალმა ნაზის და, ვინ იცის, რა მიზეზის გამო ცრემლმორეულის ხმით.

[1] ყაჭი – აბრეშუმის ჭია.

– ბეჩაუ[1], არა მიშავს-რა რაია?.. შენ რომ ავად გახდე, მე რაიღა მეშველების? – ამ სიტყვებით ონისემ აიწია ნაბადის კალთა, წამოახურა ძიძიას, რომელსაც სველი შალი მოხსნა და იქვე მარხილში ჩააგდო. მერმე მაგრა მოიჭუჭკა ნაბადი და ნაზს წელზედ ხელმოხვეული ქალი მკერდზედ მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ონისეს გული მეტისმეტად გათრთოლდა, შეიკუმშა და შესდგა, გათრთოლდა კიდევ, კიდევ და ერთბაშად აძაგძაგებულმა გზა მისცა გამოქანებულ ადუღებულ სისხლს, რომელიც მწვავედ და სანეტარო აღმაშფოთებლად მთელს სხეულში დაიმქრა[2], რომელმაც სხეულის ყოველს ძარღვში დაჰკრა. ძიძიაც გაჩუმებული, გაწამებული და გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შეეშინებინა, დაემონებინა, თუ გაეგებინებინა მისი გაჭირება, არ ეწინააღმდეგებოდა ონისესა. ამ კაცს დაეკარგნა მოაზრება, დაჰვიწყებოდა თავისი თავი, თავის მოვალეობა და თანდათან უფრო და უფრო ჰხვევდა ხელს, უფრო და უფრო იკრავდა გულში და ყოველ მოძრაობაზედ გონებასა ჰკარგავდა.

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შეედრება-რა. რაღა საქმე ჰქონდა ან ხალხთან, ან ქვეყანასთან, სადღა ეცალა მათზედ საფიქრებლად. ონისეს თავი წყნარ-წყნარად იხრებოდა, და უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზედ სწვავდა კაცის გახურებული ქშენა. ის თანდათან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენელის სიტკბოებით, იმ სიტკბოებით, რომლითაც მართლა წრფელის გულით შეყვარებულს შეუძლიან, როგორც შეყვარებულს კაცს, რომელსაც მრავალსიტყვიერება გადაჰვიწყებია.

– გცივა, კიდევა გცივა... ჩემო ყველავ!.. – მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ონისე, მაგრამ ამ ორიოდ სიტყვაში ხმას იმდენი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთის ჰარმონიით იმკობოდა, რომ აშკარად შენიშნავდით აღგზნებულს საკირეს, მის გულში ანთებულს გამხეცებულს სიყვარულს, მის მბრძანებლად გამხდარს.

ძიძია, კურდღელსავით განაბული, კაცს მიჰკრობოდა მკერდზედ და მისი ნორჩი გული შიშგარეულის სიხარულის ფართხალით უპასუხებდა ქალის მდგომარეობას. აქამდისა ჰფარავდა თავშეკავება, ამ წუთებამდის ძალა კიდევ შესწევდა გრძნობა დაეფარა. მაგრამ ეხლა, როდესაც ონისეს თავი თანდათან იხრებოდა, როდესაც იმის სახე თანდათან უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, უკანასკნელი ჰგრძნობდა კაცის გახურებულს ქშენას, ძიძიას გაუწყდა ხასიათზედ ჩამოკიდებული მოთმინება, თვითონაც მოუთმენლად ამოიქშინა და მადლიერი თვალები მისკენ მიაქცია.

შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთ რიგის წადილით, რაღაცა უხილავი ძალა ერთმანეთისკენ იზიდავდა. წუთიც და სიტკბოებით დამთვრალთ-დაბნედილთ ტუჩები, მათსავე გაუგებრად, ერთმანეთს ჩაეწებნენ.

VI

ვინ იცის, შეყვარებულთ ალერსი სანამდის გაგრძელდებოდა, თუ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ დაეშალა. ერთს მაყარს მეტად შესცივნოდა და მოეწადინა არაყით გათბობა, ამისათვის შეეყენებინა ცხენი და მარხილს ელოდა, რომელშიაც ტიკჭორები[3] ეწყო.

როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. ამგვარი საქციელი მთის კაცს არ მოეწონა, რადგანაც მამაკაცს სიმხდალე დედაკაცისთვის არ უნდა ეჩვენებინა: ეს, მთიელთ შეხედულობით, სირცხვილიც იყო და დამამცირებელიც, და ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თითონ მომქმედს.

ამისთვის მაყარმა გადუქნია ონისეს

[1] **ბეჩაუ** – ბედშავო.

[2] **დაიმქრა** – გაიშალა.

[3] **ტიკჭორა** – საქონლის გამოუყვანელი ტყავისგან დამზადებული ჭურჭელი, რომელშიც სასმელს ინახავენ.

მათრახი და, თუმცა შეხუმრებით, მაგრამ საგრძნობლად უთხრა:

– რას სჩადი, ბუგრიანო[1], თუ არ გაიყინე?

ონისე შეჰკრთა და გაჟრჟოლდა. იმან წამოიხედა და ჯერედ კიდევ წარსულის წუთებით დაფანტულს თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა. პირველში[2] ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ მას დაურღვიეს სიტკბოება, დაუშალეს წუთის ბედნიერება. მაგრამ რადა, ვინა? ამაში ანგარიში ვერ მიეცა.

მაგრამ ამგვარს მდგომარეობაში მხოლოდ ერთს წუთს იყო. ონისე ჩქარა გონს მოვიდა და აშკარად დაინახა შეუწყალებელი ჭეშმარიტება, რომელიც უსპობდა არამც თუ ამ წუთის სიამოვნებას, არამედ მომავალს მოსვენებაზედაც კი იმედს აკარგვინებდა, და ცივი ოფლი დაასხა. წუთის წინ ის იყო შეპყრობილი მხოლოდ ერთის გრძნობით: მას უყვარდა ანგარიშმიუცემლად, ხარკს აძლევდა ამ ძალას; მაშინ ყველაფერი გადაჰვიწყებოდა, ყველაფერი: ხალხიც, მათი მოვალეობაც, დებულებაც, თვით მოაზრებაც და მარტო მთრთოლვარე გულის ფართხალს მისცემოდა, მით უფრო სასიამოვნოს, რომ ამითვე პასუხს აძლევდნენ; – ეხლა კი ის იყო კაცი, რომელიც სჯიდა, ანგარიშს აძლევდა თავის მოქმედებაში და სწონავდა თავის მდგომარეობას.

ონისემ აშკარად დაინახა შეცდომა, აშკარად იგრძნო თავის წადილის აღსრულების შეუძლებლობა და სინანულის ნაპერწკალმა მწვავედ გაჰკრა გონებაში: – „მაშ ტყუილად თრთოდა მისი გული სანეტარო მომავლის მოლოდინით?.. მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენრად ტოკავდა მისი გული? ამაოდ სტყუვდებოდა და ამ გრძნობითვე აღელვებულს ძიძიასაც ტყუილად იწვევდა საალერსოდ?“ ეს კითხვები სწრაფად ებადებოდნენ თავში, სწრაფადვე სცვლიდნენ ერთმანეთს და ერთს გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, ერთი პასუხი შეეფეთებოდა და ყურში მწარედ თითქოს ვიღაცა ჩასწივლებდა: „ტყუილად იკლავ თავს“.

– ბიჭაუ, რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არა ხარ? – გასწყვიტა სიჩუმე მაყარმა, რომელსაც ონისე გაშტერებით შეჰყურებდა.

– ჰაი, რაი? – წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გაჰშორებოდა გულში და გონებაში ჩაჭედილს გრძნობას.

– ავად თუ არა ხარ? რას სჩადი?

– არ ვიცი, ღვთის მადლმა!.. ისე უგუნებოდ რასმე შევიქენ.

მაყარი მიუახლოვდა მარხილს, გადაიზნიქა ცხენიდან და პირდაპირ პირისახეში შეჰხედა ონისეს, რომელმაც თავი იქით მიიბრუნა და გაბრაზებით წარმოსთქვა:

– რას მიყურებ, რაი გინდა ჩემგან?

– არც რაი, – გაიკვირვა მაყარმა და დაუმატა: – მინდოდა, მენახა, სიცხე თუ არ გქონდა, გაწითლებული თუ არ იყავი?

– ღამეში რაი უნდა დაინახო, ღთის მადლსა? – იმავე კილოთი უთხრა ონისემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: – სიცხეცა მაქვს, თავიცა მტკივა და მიბრუვდება.

მაყარმა ისე შეჰხედა, თითქოს არ უჯერებდა, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ თავშეკავებულმა ცხენს მკერდზედ მათრახი-ღა გადაჰკრა, ეტყობოდა მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა, რადგანაც სიცივეც გადავიწყებოდა და არაყიც, რომლის დასალევადაც აქ მოვიდა.

კარგა ხანმა გაიარა საერთო სიჩუმეში, ყველა თავის გულისთქმას ჩაჰბრუნებოდა, თავის საკუთარს აზრებს დაჰკვირვებოდა და რაღაცა უცნაურს დუმილში ჩავარდნილიყო.

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმღერის ხმა და მას მოჰყვა ლექსი:

გაუსვი და გამოუსვი, ვითომ ჭიანურიაო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო.

ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა, რადგანაც წინ წასული მაყრები შემდგარიყვნენ და მარხილების მოლოდინში ლხინი დაეწყოთ.

გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდნენ ცხენოსნები, რომელთაც მარხილი მიუახლოვდა.

---

[1] **ბუგრიანო** – ბუგრდახვეულო, ბუგრი მცენარის პარაზიტია, ჭიისებრი მავნებელი, რომელიც მცენარეებს ანადგურებს.

[2] **პირველში** – პირველად.

ყმაწვილი მაყრები ხუმრობდნენ ერთმანეთში, ეხუმრებოდნენ ონისესაც, მაგრამ იძულებულნი იყვნენ, თავი დაენებებინათ, რადგანაც პირველად მოსულმა მაყარმა შეატყობინა, რომ ონისე ავად არის და იმათი ხუმრობისა არა სცხელა.

ამისთვის მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს კი მაინც არა შორდებოდნენ. მხიარულება ერთბაშად შესწყდა და მის მაგიერ რაღაცა ჭმუნვით სავსე სიჩუმე ჩამოვარდნილიყო; ხვრიში წვნიკი თოვლი განუწყვეტლად მოჰქროდა ქვენა ქარისაგან გამოტაცებული და მთლად ათეთრებდა ნაბდიან მგზავრებს.

ამგვარად მიდიოდნენ გაჩუმებული მაყრები, გულჩახურული და ჩაბნელებული ხელისმომკიდე და მიჰყვანდათ გამოუცდელი ქალი, რომლის გულსაც ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნო, მის სიტკბოება ნახევრად გამოეცადა და ის კი არ იცოდა, მისი მომავალი რას შეამთხვევდა.

რამდენიმე წუთი და ხშირს ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების სურათები ბუნდად გამოჩნდა. კიდევ წუთიც და ყველამ შეამჩნია, რომ სოფელს მიახლოვებულან. მარტო ონისე იჯდა გაფითრებული, თავდაღუნული და მწარე ფიქრებისაგან წაღებული ვერაფერს ამჩნევდა.

მაყრებმა იგრძნეს, რომ მაყრიონის ასე ჩუმად მისვლა არ შეჰფეროდა არც იქაურს ჩვეულებას და არც იმათ სიყმაწვილკაცეს და ამიტომ დასჭყივლა ერთმა, გავარდა თოფი და მეორე გაქანდა მახარობლად. ყველა შეინძრა, აღელდა, სიცოცხლე გამოიჩინა. ჰაერში გაისმა სიმღერა და ყიჟინა, მიმავლებს სიცოცხლე დაეტყოთ.

გამოფხიზლდა ონისეც, მაგრამ ის სრულიად განშორებოდა დანარჩენებს, იმისმა გულმა სრულიად სხვა იგრძნო. იმან იცოდა, რომ სოფელში მისვლისთანავე ჰკარგავდა სატრფოს, რომლის გამოუცდელობაც და სირცხვილიც ხალხის ჩვეულების წინააღმდეგ ვერ წაიყვანდა და მასთან ერთად დაჰკარგავდა მოსვენებასაც...

ჩვენ და ტექსტი

1. გადმოეცით ძიძიას პორტრეტი. თქვენი აზრით, ეს პორტრეტი რეალისტური უფროა თუ რომანტიკული? პასუხი დაასაბუთეთ;
2. მოძებნეთ მესამე თავში ეპიზოდი, რომელიც გუგუას მკაცრ ხასიათზე მიანიშნებს;
3. ქორწილია, ყველა გახარებული უნდა იყოს, მაგრამ ადამიანები თითქოს მხოლოდ სავალდებულო რიტუალს ასრულებენ. პატარძალიც რაღაც გამოუცნობ შიშს შეუპყრია, ხელისმომკიდეც და პატარძლის ოჯახიც. როგორ ახსნით პერსონაჟთა ამ სიტუაციისთვის შეუფერებელ განწყობას?
4. თქვენ როგორ გგონიათ, რატომ გაუჭირდა ონისეს ფიცის სიტყვების წარმოთქმა?
5. იპოვეთ ეპიზოდი, რომელშიც ჩანს, რომ ონისე თავიდანვე შეეწინააღმდეგა ახლად გაჩენილ უცნაურ გრძნობას;
6. როდის დაიწყო ონისემ თავისი მდგომარეობის გააზრება, როდის ჩნდება ტექსტში ძიძიას გვერდით სიტყვა „სატრფო“? როგორ გგონიათ, ეს სიტყვა ავტორმა უბრალოდ გამოიყენა, თუ იგი ონისეს მიერ გაცნობიერებულ რეალობას ასახავს?
7. რა მდგომარეობაში იყო მარხილში მჯდომი პატარძალი? „მაყურებლისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული,“ ვინაა ამ ეპიზოდში მაყურებელი? ვისთვისაა მისი გული „ბნელი უფსკრული“?
8. რა ემოციები ირევა ერთმანეთში მარხილის სცენაში? რა დატვირთვა აქვს ამ ეპიზოდში ბუნების სურათებსა და ცუდ ამინდს?

9. რატომ არ მოეწონა ონისეს მეგობარ მაყარს ის, რომ ონისე „სიცივეს ემალებოდა“ და თავი ნაბადში ჰქონდა ჩაყოფილი? როგორ იმოქმედებდა მეგობრის ოდნავ უკადრისი საქციელიც კი სხვა დანარჩენებზე?
10. სიყვარული თავიდან ბრმად და ანგარიშმიუცემლად იბადება. როდის გააცნობიერა ონისემ, რაც ემართებოდა? რამ შეუწყო ხელი ამაში?
11. თქვენი აზრით, გრძნობს თუ არა ონისე ქალის დამოკიდებულებას მისდამი თავიდანვე?
12. ჯერ არავინ არაფერი იცის, მაგრამ ონისეს უკვე შეახსენეს კაცური ღირსების შესახებ, თქვენი აზრით, გაიაზრა მან მთვრალი მაყრის ნათქვამი?
13. რა მოვალეობები აკისრია ძიძიას მშობლიური ოჯახისა და მისი მეუღლის ოჯახის წინაშე? ფიქრობს თუ არა იგი ამაზე?
14. თქვენი აზრით, ვინ უფრო იაზრებს შექმნილ სიტუაციას და ეწინააღმდეგება ახლად ჩასახულ გრძნობას – ონისე თუ ძიძია?

პარალელები

თემის დამუშავების პარალელურად გირჩევთ, წაიკითხოთ სოფოკლეს ტრაგედია „ანტიგონე“ და ევრიპიდეს „მედეა“. ეს პერსონაჟები საპირისპირო თვისებების მატარებელნი არიან, რადგან სიყვარულისა და მოვალეობის ჭიდილში დიამეტრულად განსხვავებულ გადაწყვეტილებებს იღებენ.



ლიტრას ნიკიფოროსი
ანტიგონე და პოლინიკე



შარლ ჟალაბერი
ანტიგონე და მამამისი ტოვებენ თებეს

ანტიგონე

ანტიგონე ოიდიპოსისა და იოკასტეს ქალიშვილია, ის თავისი სურვილით მიჰყვება განდევნილ მამას. თუმცა მალევე, მამის სიკვდილის შედეგ, ბრუნდება უკან, თებეში. ანტიგონეს საქმროა თებეს მაშინდელი მმართველის, კრეონტის, ვაჟი ჰემონი. ახალგაზრდებს ერთმანეთი უყვართ და მათი ქორწინებაც მოახლოებულია, მაგრამ ამ დროს კრეონტის წინააღმდეგ აჯანყდება ანტიგონეს ძმა, პოლინიკე, რომელიც ბრძოლაში იღუპება. კრეონტი ყველას აუკრძალავს მის დამარხვას და აკრძალვის დამრღვევს სასტიკი სასჯელით, ცოცხლად დამარხვით, ემუქრება. ანტიგონე არ ემორჩილება მეფის ბრძანე-

ბას. დაუმორჩილებლობისათვის მას ცოცხლად მარხავენ. მისი საქმრო ამ შემზარავი ამბის გაგების შემდეგ თავს იკლავს.

ანტიგონეს სახე მამაშვილური და დაძმური სიყვარულის, მოვალეობის შეგნებისა და სიმამაცის განსახიერებაა. ეს საუკეთესოდ აისახა სოფოკლეს ტრაგედიებში „ოიდიპოსი კოლონოსში“ და „ანტიგონე“.



მედეა

მედეა სიყვარულისთვის ყველაფერს გაწირავს, უპირისპირდება მშობლიურ ოჯახს, მამას და ძმებს და მთელი თავისი არსებით ემორჩილება იაზონის სურვილებს, ეხმარება მას ოქროს საწმისის გატაცებასა და სიძნელეების გადალახვაში.

კითხვისას დააკვირდით – რა არის ამ პერსონაჟების მოვალეობა და როგორ ებრძვის მათ არსებაში სიყვარული მოვალეობას? იმარჯვებენ თუ მარცხდებიან ეს გმირები ამ ტრაგიკულ ჭიდილში?

ამ ტექსტების გადახედვა გაგიფართოვებთ თვალსაწიერს და პერსონაჟთა ქმედებებს ახალი კუთხით დაგანახვებთ.

მედეა
მხატვარი ეველინ დე მორგანი

VII

აგერ შევიდნენ სოფელში, მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვიღაც წარმოსადეგი მოხუცი, გათეთრებული, როგორც თოვლი, და მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ პატივისცემას გაგრძნობინებდათ და ჭკვიანი თვალები, გულკეთილობის გარეშე, მბრძანებლობით გამოიყურებოდნენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევისბერი გოჩა, მმართველი, მამა თავის ხალხისა, ახალგაზრდებს. იმას პირველს უნდა დაელოცა მექორწილენი და მშობლიურის ლმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონისემ შეჰხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და რომლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა, და ფერმა მეტად გადაჰკრა, პირი მომეტებულად გაუშრა.

მარხილი შესდგა, მაგრამ ონისე იქამდის დაფანტულიყო, რომ გადმოსვლაც კი ვეღარ მოეხერხებინა, სანამ მამამ არ დასძახა:

– გადმოხე, რაღას ელი?

ყმაწვილი ბიჭი ჩამოხტა ანგარიშმიუცემლივ, დადგა იქავ და, მკვდარს დამსგავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში ბუზსავით ირეოდა.

პატარძალს მიეხვივნენ დედაკაცები, ჩამოსვეს და გოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ღმერთი და უთხრა:

– გაკურთხოს უფალმა! – ხელი გამოართვა და მაშინვე დაამატა: – ბეჩაუ, მთლად გაყინულხარ... მთლად კანკალებ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიაშველა მეორე ხელიც და ქალის ნაზს ხელებს ისე დაუწყო სრესა, თითქოს მათი გათბობა უნდოდა. მერე მოაშორა ერთი ხელი, გაუშვირა იქავ მდგომს გუგუას და საცოლეს ხელი ხელში ჩაუდო.

– უფალმა შეგაერთათ, კაციმც ნუ გაგაშორებსთ! – მტკიცედ წარმოსთქვა მოხუცმა.

ამ სიტყვებზედ ქალი თითქოს უმეტესად გაჟრჟოლდა და ქშენას მოუმატა, ონისე კი

წატორტმანდა, მაგრამ იქავ მყოფმა ვიღაცა კაცმა დაიჭირა. ხალხმა დაიძახა „ჯვარულის“ და მეფე-დედოფალი საყდარში შევიდნენ, სადაც შემოსილი მღვდელი ელოდათ და გოჩა კი შვილს მიუბრუნდა.

– რაი მოგსვლია? – ჰკითხა იმან და გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება.

– არც რა, – მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დაღუნა, რადგანაც მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო.

– რაღა არც რა, რომ ადამიანის ფერი აღარ გაძევს და ფეხზედაც ძლივს-ღა სდგეხარ?

– უგუნებოდ რასმე შევიქენ.

– უგუნებოდ? – გააგრძელა მამამ და კიდევ დააკვირდა: – მაშ, ქორწილში რაი გინდა? შინ წადი და დაწექ... ხელისმომკიდე სხვა იქნება ვინმე.

ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ გუგუას ნათესაობა, დაუწყეს ონისეს ხვეწნა, რომ ამისთანა დროს თავი არ დაენებებინა და თავისი მეგობარი გუგუა მარტოკა არ დაეგდო, მაგრამ ონისეს გაუხარდა, რომ მისთვის მეტად სატანჯავს სურათს მოჰშორდებოდა და თავის უბედურებას თვალით მაინც აღარ უყურებდა. გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისკენ, სადაც ბნელა „საწოლში“ პირქვე დაეგდო.

გოჩა კი შევიდა და ჯვარისწერასთან ერთად უყურებდა პირბადე ჩამოფარებულს ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აჟრჟოლებდა და ხანგამოშვებით ქშენას ძალზედ უმატებდა.

რამდენიმე კაცი, რომელიც გოჩასთან იდგნენ, მიუბრუნდნენ მოხუცს და გულმტკივნეულად ეუბნებოდნენ:

– ბეჩავი, როგორ შესცივნია!..

მაგრამ გოჩა, პასუხის მაგივრად, შუბლზედ ხელს გადაისვამდა და ისეც შეჭმუხვნილს წარბებს მეტად შეიჭმუხვნიდა.

ჯვარისწერა ჩვეულებისამებრ მიდიოდა: ონისეს მაგივრად „ხელისმომკიდედ“ სხვა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს. ყველაფერი მომზადდა. მღვდელი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და ჰსურს ჯვარისწერა, თუ არა? კაცმა გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმობა გამოაცხადა. მერმე ამავე კითხვით მიუბრუნდა ქალსა, რომელსაც სიცოცხლის ნიშანი მარტო სუნთქვაზედ და მხრების მოძრაობაზედ ეტყობოდა.

ქალმა პასუხის მაგივრად მარტო თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დედაკაცებმა, ყოველთვის სხვის მაგიერ მოპასუხეთ, – ყაყანი დაიწყეს.

– ჰაი, ჰაი, რო სურს!.. რაიღა კითხვა უნდა?.. თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა?.. ართმევდნენ ერთმანეთს სიტყვას, მაგრამ ძიძია კი ჩუმად იყო.

– მაშ, შენის ნებით იწერ ჯვარსა? – გაიმეორა მღვდელმა.

– თავის ნებით იწერს, ჩემო ყველაო, თორემ მოძალადე ვინა ჰყავს! – მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს[1] აღსრულებას.

VIII

ჯვარისწერამ გაიარა ჩვეულებრივის მხიარულებით: მოგროვილი ხალხი, მაყრები და მეტადრე დედაკაცები არ ისვენებდნენ და ყოველთვის საჩურჩულო მასალას პოულობდნენ და, ერთხელ მომზადებულნი სამხიარულოდ, შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდა სასაცილო არა მომხდარიყო-რა.

მარტო პატარძალი იდგა ქვასავით დამუნჯებული და გოჩა, რომლის სახეც რაღაცა დამყარებულის, პატივსაცემის სხივით ბრწყინავდა. იმას აშკარად ეტყობოდა, რომ გულწრფელის რწმუნებით იყო გატაცებული და მთლად მისცემოდა თავის გრძნობას და უზენაესს გულწრფელად ევედრებოდა.

გოჩა იყო მშობელი მამა თავის ხალხისა და, მაშასადამე, იმისთანა ამაღლებულს შესამჩნევ შემთხვევის დროს, როგორიც ქორწინება არის, თავის შვილებისთვის რომ არ ელოცნა, არ იქნებოდა. ამასთანავე, მას სწამდა, რომ ხალხისაგან ამორჩეული, ღმერთისაგანაც ამორჩეული უნდა ყოფილიყო, რადგანაც, აღზრდილს ხალხის ჩვეულებათა შორის, ანდაზად გარდაქცეუ-

[1] **მეშვიდე საიდუმლო** – ხარვეზია, უნდა იყოს მეექვსე (ქორწინების) საიდუმლო.

ლი რწმუნებაც, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. გოჩა დარწმუნებული იყო, რომ მისს გულწრფელს ვედრებას უზენაესი შეისმენდა და, რწმუნებით დაიმედებული, იმ კაცის სახე, გულმხურვალე ლოცვის დროს, რაღაც ძლევამოსილს, ხალხის დამმორჩილებელს სურათს წარმოადგენდა.

ასეთი იყო მოხუცებული გოჩას სახე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ ზრუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და გონებრივ მუშაობას უფრო უმეტესის პატიოსნების, ჭკუის და ადამიანობის ბეჭედი დაესვა. ეს სახე ხანდისხან იცვლებოდა იმის კვალობაზედ. თუ მისი აზრები და გონების მიმდინარეობა რა საგანს შეეხებოდა და ამგვარადვე ეცვლებოდა ფერი პირისახეზედ.

ხანდისხან რაღაცა მჭმუნვარება შეუხრიდა წარბებს, შეუკრავდა შუბლს, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს მზეზედ გადაფარებული ღრუბელი, რომელსაც მხოლოდ წუთით შეეძლო მოჩრდილება, – მლოცველის თვალები, ცისკენ მიპყრობილნი, ისევ ძლევამოსილის, გამარჯვებულის შუქით აინთებოდნენ.

გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაცა უბედურების მოახლოვებასა ჰგრძნობდა, მისი გამოცდილის თვალებისთვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქროდა ნიავი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, – მოხუცი ვერ მიმხვდარიყო.

გათავდა ჯვარისწერა, მეფე-დედოფალი წაიყვანეს სახლში, შემოატარეს კერას და გააშორეს, რათა დედოფლისთვის ქალებში მისვლით რაოდენიმე თავისუფლება მიეცათ, და ხალხი კი, გოჩას თავმჯდომარეობით, ვახშმად დალაგებულიყო.

რასაკვირველია, სიძეც, თავზედ ფოჩებიან გვირგვინით, იქვე შუა ადგილას დაესვათ, ტოლ-სწორები გარს შემოჰხვეოდნენ და ლაჟღანდარობით გართულს და ბედნიერებით გახარებულს, დროს ატარებინებდნენ.

დაიწყო საერთო მხიარულება, სმა, სიმღერა და „სმურები“[1]; ხანგამოშვებით რომელიმე მოხუცი გადმოიღებდა ფანდურს და თითების ჩაკვრით სევდიანს სიმებს ააჟღერებდა და ზედვე სევდიანად, მაგრამ საგრძნობლად დასძახებდა რომელსამე გმირის ლექსად მოთხრობილს მოქმედებას.

ამ წუთებში გამხიარულებული, აყაყანებული ხალხის ხუმრობა ერთბაშად შესწყდებოდა, ჩამოვარდებოდა სრული სიჩუმე და გულის ძგერით ყურს მიაპყრობდნენ სახალხოდ წარმოთქმულს სიტყვას, სადაც ქვეყნისთვის თავდადება და სამსახური, სივაჟკაცე და პატიოსნება ისე უხვად ჯილდოვდებოდა და სადაც კაცის მოვალეობა ცხოვრებაში ისე ნათლად იხატებოდა და შეისწავლებოდა...

ამას ისევ შესცვლიდა „სმური“, მერე „გოგონა“ და ასე გრძელდებოდა გათენებამდის.

IX

ამ საერთო მხიარულების დროს, როდესაც გუგუას სახლში თავმოყრილთ გულები მხიარულად ყინულზედ გამოსულს უზრუნველს ბატკნებსავით თამაშობდნენ, ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდგან ვერ აეღო. მას სისხლი მოსწოლოდა თვალებში და დროგამოშვებით ბრჭყვიალებით უელავდა, თავი ძალზედ გაჰბრუებოდა და საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებსა სცემდნენ; ყურებში ხუილის ხმა გაისმოდა და ტანი, ცეცხლსავით გახურებული, რაღაცა მოუსვენრობაში ამყოფებდა. ჩქარ– ჩქარა და ძალზედ ქშენა აშკარად ამტკიცებდა, რომ რაღაც აწუხებდა და იმის მოშორება თითქოს მკლავების უაზრო წყვეტებით უნდოდა.

ამ მდგომარეობაში მყოფი ონისე ხან მთლად გაცივდებოდა და ხან ცივ ოფლსავე დასხმული წამოტრიალდებოდა, წამოჯდებოდა, უსაგნოდ გაუშტერებდა რასმე თვალებს, თავი და მკლავები ჩამოუცვივდებოდა და, ნახევრად ტუჩებგახსნილი, რაოდენსამე ხანს ასე დარჩებოდა. მერე ისევ მოუსვენრად მიეგდებოდა და თვალწინ დაუწყებდნენ თამაშს სხვადასხვა სურათები, ერთი მეორეზედ უფრო საოცნე-

[1] სმურები – სადღეგრძელოები.

ბო, უფრო გასაშტერებელი, მაგრამ იმათ არავითარი გადასაბამი, შემაერთებელი ნასკვი არ მოსდევდა.

მაგრამ ეს თავდავიწყება იყო წუთისა, რადგანაც ონისემ ერთბაშად დაიკივლა და გაფითრებული ფეხზედ წამოიჭრა. შესდგა, წუთზედ მოიფშვნიტა გახურებული თვალები, რომლებშიაც ეკლებსავით რაღაცა სჩხვლეტავდა და სიტყვებით: „არ იქნების, არ მოხერხდების!“ კარებისაკენ გაქანდა.

– სად მიხვალ? – იქავ შეაყენა ვიღაცას ხმამ და კარების ზღურბლზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც ანთებული კვარი ხელში ეჭირა.

– გოჩა! – მოულოდნელობის გამო უკან მოწყვეტით წამოიძახა ონისემ და შესდგა. მოხუცმა შეჰხედა შვილსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შევიდა სახლში და ჩამოჯდა.

– დაიჭი, კედელში გაამაგრე, – გაუშვირა მამამ კვარი, რომელიც ონისემ გამოართვა და ბუხრიდგან გამოშვერილს ჭაჭზედ დადო.

– სად მიდიოდი? – ისევ იმ მბრძანებელის, თუმცა დამშვიდებულის, კილოთი გაიმეორა ხევის ბერმა.

– არც-სადა, – ვეღარა მოახერხა-რა ონისემ.

– ეგ პასუხი არაა, – შეიჭმუხვნა წარბები მოხუცმა, რომელსაც უნდობლობა არ უყვარდა.

– ქორწილში ვაპირობდი წასვლას...

– რაიღა ქორწილისაა, ეხლა იქ გალექებული ხალხის მეტი ვინღაა?

– მთები ჩამოთოვლა და ნადირებს ქვევით ჩამოჰყრიდა; ვამბობდი, ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, ნამგალად გავიხდიდი და ნადირობ ერთად წავიდოდით. ონისემ ეს სატყვები ხელად მოიგონა, რადგანაც მამა ჩასცქეროდა და მას კი გულის

გადახსნა არ უნდოდა.

– ბალღო, რას ხუმრობ?

– რაისთვი ვხუმრობ? – მოუთმენლად შეჰხედა ონისემ, რომელსაც გადაჰკიდებოდნენ და აღარ ეხსნებოდნენ.

– ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გაისვლების?.. ზოვმა სადმე ჩაგმარხოს, ის თუ არ გინდა?

ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო და ამისთანა მოუაზრებლობა, უმიზეზოდ ძალად გაჭირვების თავს მოხვევა გამოცდილს მოხევეს არ მოეწონებოდა.

– რაისთვი? – მოიწადინა შვილმა შეცდომის გასწორება: – ქარი იყო და ქედებზედ თოვლებს აღარ დააყენებდა.

მოხევემ კიდევ შეჰხედა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

– იყუჩე, ბალღო! შენ ცხო რაიმე გაქვს გულში.

– რაი უნდა მქონდეს? – აჩქარდა ონისე.

– არ ვიცი და ამას არცა გკითხავ, – მტკიცედ უთხრა მოხუცმა და დაუმატა: – შენ ისა სთქვი: იცი, ვისი გორისა ხარ?

ამ სიტყვებზედ რიგი ონისეს შეჰხვდა, – გაკვირვებით შეეხედა მოხუცისათვის.

– ჰაი, ჰაი, რო ვიცი.

– აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, – თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: – ვინძლო, ქვეყანა არ გააცინო...

ყმაწვილმა ბიჭმა თავი დაჰხარა, თითქოს დანაშაული იგრძნოვო და ლოყები წითლად აენთო.

– აბა, მაშ წადი, – წამოდგომით გააგრძელა მოხუცმა: – წადი, სადაც გინდა, ოღონდ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი.

ამ სიტყვებზედ მოხუცმა კვარს ხელი დაავლო და შვილთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ კიდევ შესდგა, შეჰხედა შვილსა, თითქოს რაღაცა უნდოდა, ეთქვა, მაგრამ ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და სამყოფო სახლში შევიდა.

ონისე კი რამდენსამე ხანს იმავ ადგილს დერეფანში იდგა და ანგარიშმიუცემლად ადგილიდგან ვერ დაძრულიყო.

იმას ესმოდა, რომ შვილის მდგომარეობას მამა მიმხვდარიყო, მაგრამ სადამდე მიუღწევია ამ მდგომარეობას, მოხუცს ჯერ ვერ გამოერკვია, თუმცა ესმოდა, რომ ეს მდგომარეობა მის სახელსაც შეეხებოდა.

მამა ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს

პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი, თუ დამამცირებელი არის. მაგრამ, თუნდ ასეც არ ყოფილიყო, ონისესაც კარგად ესმოდა თავისი ვალი, წუთის თავდავიწყებას საკმაო დანაშაულადა სთვლიდა, ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდგან აღმოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა:

– წავალ, შევალ ქორწილში... ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გულიც უნდა დამმორჩილდეს.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა კიბისკენ, რამდენიმე გადახტომაზედ ჩავიდა ქვევით და მივიდა გუგუას სახლში, სადაც ჯერ კიდევ გაცხარებული ტაშ-ფანდურა და მხიარულება იყო, თუმცა გათენებას უკვე მოელწია.

ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზედ მეტს მხიარულებდა, ყველაზედ მეტს მღეროდა, ყველაზედ მეტს ოხუნჯობდა...

X

გათავდა ქორწილი მხიარულების პირველმა დღეებმა გაიარეს. პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუჭრეს ხაბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისათვის შემოღებული ლექსი:

ჩემო ხელისმომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო...

და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

ძიძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად ექცეოდა. მისგან არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსი რძლები, ყოველთვის უმცროსების დამჩოლფოტებელნი, ძიძიას ნამდვილს დასავით უვლიდნენ.

გუგუა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ის იყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტოობას ეძებდა. და იმისი ფერდაკარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებდა.

ყველანი ცდილობდნენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევის სხვა რძლებთან, თავისუფლებას აძლევდნენ, დაჰყვანდათ ხატობაში და სატირალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელს ადგილს, სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავები და მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან და დიდხანს შეგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ ისე გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა: საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც; არ აკლდა არც მზრუნველები, არც მოსიყვარულე გული, მაგრამ მის არსებას რაღაცა სჩაგრავდა, რაღაცა აღონებდა და ჰლევდა.

პირველში ბევრსა ცდილობდნენ, გაეგოთ, რა მოსდის საბრალო ქალსა, მაგრამ ჩქარა იძულებულნი იყვნენ, თავი დაენებებინათ, რადგანაც მის გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდნენ და გადასწყვიტეს, რომ ასეთი ხასიათისა ყოფილაო.

ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა და იქ ნადირობაში და მეცხვარეობაში აპირობდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას, მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა გულში და სანეტარო, ტკბილს, მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომ-ღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ, სატრფოსთან დადარებით, თავდავიწყებამდის ეალერსებოდა.

XI

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიის ფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს. მასთან ერთად

გაჰქრნენ ჩრდილოეთის ცივი ქარებიც, რომელნიც ბაიყუშურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდნენ დედამიწის გაცოცხლებულს სურნელოვანს ფარდაგს და სულშეხუთულს ახმობდნენ, ფშვნეტდნენ და მტვრად აქა-იქ აბნევდნენ. ბუნება შეიცვალა: მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თავისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმარებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზო-უკვლოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტვირთისგან განთავისუფლებულმა კავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და, დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ, მწვანე ხავერდი გადაიფარეს. გაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანეთს არშიყობა. გაშმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ჰლამობდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდნენ. მარტო დაუსვენარს ფუტკარს ვერ ემალებოდნენ და ნებას აძლევდნენ, სურნელიანი ფერფლი მოეკრიბა თავის ნაზის, რბილის, ბუსუსიანის ფეხებით და გაშმაგებულს ამოეწოვა აქ სანეტარო ნექტარი.

დილის ნამი მარგალიტსავით ესხმებოდა სიცოცხლით სავსე მწვანე ფოთლებს და მზისგან მეტად გახურებულს მცენარეთ რაოდენადმე აგრილებდა.

ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა, რომელთაც მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ; ტკბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისთვის. ყველა გაცოცხლებულიყო, ყველას გული სცემდა და მიიბრძოდა ტოლთან საფართხალოდ.

ბუნების ამ საერთო მეჯლიშს დაჰყურებდა ონისე, რომლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლმოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო.

ყველასთვის ტკბილი, გასახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები, მაგრამ ონისეს გულს კი მარტო ნაღველს აწვეთებდნენ და, სიტკბოების მაგივრად, ძირმწარეს აპკურებდნენ.

ონისე ოხრავდა, ჰქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად.

ისა სწუხდა და ღონდებოდა, უნდოდა, თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, უნდოდა, თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა, რადგანაც სხვა ქვეყნის წყალის არამც თუ გემო, არამედ ხმაურობაც კი ისეთს მოალერსედ აღარ ეჩვენებოდა, როგორც ვეფხსავით გააფთრებულის, კლდიდგან კლდეზედ მხტუნავის თერგისა. ონისეს ეხლა თავის ქვეყნის იმ ადგილების ნახვაც კი სანეტაროდ გაჰხდომოდა, რომელნიც უწინ თვალდასანახად ეჯავრებოდა, მაგრამ თავის მხარეში მიბრუნება ვერ გაებედა, რადგანაც ეშინოდა, ღონეს არ ეღალატნა და მამის სიტყვები: „იცი, ვისი გორისა ხარ?.. ქვეყანა არ გააცინო“, რომელსამე უცაბედო შემთხვევას არ გადაევიწყებინა.

ონისეს იმედი ჰქონდა, რომ ძიძიასთან დაშორება გულის ცეცხლს გაუქარვებდა; ამავე აზრით ეარშიყებოდა თუშის ტანად ქალებს; იმედი ჰქონდა, რომ მათი ალერსი დააკმაყოფილებდა, მაგრამ რაწამს ტკბილს სიტყვას ვისმე ეტყოდა, რაწამს მიუახლოვდებოდა რომელსამე თვალჟუჟუნას, მაშინვე ძიძია მაცდურად დაებადებოდა თვალწინ და კეკლუცის, ჭკუის ამრევის ღიმილით დაუწყებდა ცქერას; დაუწყებდა ცქერას, აღუშფოთებდა სისხლს, გულს, მთელს არსებას. ის შემოსცინებდა და ამ ღიმილში გამოიხატებოდა სიტყვები: „თავს უბრალოდ აწყვეტ, ვერსად წამიხვალ“. და ეს საკმარისი იყო, რომ ანგელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა.

ამგვარად ატარებდა ონისე დროსა და უიმედოდ, უბრალო ბრძოლაში ჰლევდა ყმაწვილკაცობის გრძნობას და ცეცხლსა.

ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი ფიქრები ერთისა და იმავე გადაწყვეტილებით თავდებოდა და ეს გადაწყვეტილება იყო, რომ ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაევიწყა.

XII

ერთს დღეს, არხოტის ერთი მთის ძირას, სადაც თუშებს საზაფხულოდ ცხვარი ედგათ, მწყემსები შეყრილიყვნენ და საღმრთო გაემართათ. მწყემსთა შორის მრავალი მოხევეები იყვნენ, რომელთაც თუშების ცხვარი „დაეზიარებინათ“ და აქ ელოდნენ ყავლის გასვლას.

საკლავები მოხარშულიყო და მოგროვილი ხალხი ერთმანეთს ეთავაზებოდნენ, რომ რიგზედ უფროსობით დამსხდარიყვნენ; ნახევარი წილი ხალხისა კიდეც დალაგებულიყო, როდესაც ქედზედ გამოჩნდა ვიღაცა კაცი, გაშიშვლებული თოფი გადაეგდო მხარზედ, წამოეკეცა ჩოხის კალთები და გამალებული მოაბიჯებდა; მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და მით ჩქარ-ჩქარად იწმენდდა შუბლსა, რომელზედაც ხვითქი გადმოსდიოდა.

როგორც ეტყობოდა, მომავალი შორის გზიდგან უნდა ყოფილიყო და უეჭველად საჭირო საქმეზედ წასული, რადგანაც ყოველ ფეხის გადადგმაზედ ცდილობდა, ნაბიჯისთვის მოემატებინა და მით გძელი გზა შეემოკლებინა. მთაზედ მყოფმა ხალხმა მომავალს შეჰკრა თვალი და ყურება დაუწყო. მთაში მგზავრი ძნელად ჰხვდება, და ამისათვის ახლადმოსულისაგან ყველა ახალს ამბავს მოელის ხოლმე; ყველას იმედი აქვს, რომ თავის სოფლის, თუ სახლობის მდგომარეობაზედ რასმე გაიგონებს და ამის გამო მომავლის ყოველ ნაბიჯს მოუთმენლობაში შეჰყავს მომლოდინე და გულის ძგერით ასურვებს მის ჩქარა მოახლოვებას.

სწორედ ასე იყო ეხლაც. ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: „ვინ იქნება? ძალუმ ჩქარა კი მოდის...“ – დაუწყეს ყურება.

მზე მომავლის მხრიდგან იყო და, რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისთვის და ისე გასცქეროდნენ. მაყურებელთ შორის ონისეც ერია, რომელსაც მოუთმენლობა ყველაზედ მომეტებულად დასტყობოდა და ყველაზედ წინ გასულიყო, რომ უცნობს სხვაზედ ადრე შეჰყროდა.

უცნობი ჯერ შორს იყო და ღელე ჰქონდა გამოსავლელი, რომელშიაც ჩქარა ჩაეფარა. ონისე თვალს არ აშორებდა ამ ადგილს, სადაც ის კაცი უკანასკნელად დაინახა.

მომავალმა ამოიარა ღელე, თავი ამოჰყო ფერდობზედ და ონისემ ერთი შეჰკივლა და სიხარულით მომავლისკენ შავარდენსავით გაქანდა. იცნო თავისი მეზობელი და თავისთან ერთად შეზრდილი მოხევე.

– გზა მშვიდობისა, დათაუ! – შორიდგანვე შესძახა გახარებულმა ონისემ.

– მშვიდობა მოგცეს უფალმა, – გადაუხადა სალამი დათამ.

ორნივ მიუახლოვდნენ ერთმანეთს, შესდგნენ და გადაეხვივნენ. მასუკან გაშორებულნი რაოდენსამე ხანს ჩუმად დარჩნენ. ონისეს ვერ მოეხერხებინა, ეკითხა რამე, რადგანაც ძალზედ მოწოლილი სურვილი ათასის ამბის ერთად შეტყობისა ნებას არ აძლევდა, რომ ერთერთიდგან დაეწყო გამოკითხვა და დათა კი თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა.

ახლადმოსული მეტად დაფიქრებული იყო, რომ მის მხრით ეს სიჩუმე ონისეს ხუმრობად მიეღო; უეჭველია, იმას რაღაცა უბედურება მოელოდა და დათა იმიტომ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

ონისემ შეჰხედა და ფერი ეცვალა.

– რაი ამბოვია, მითხარ? – თითქმის ხვეწნით და კანკალით წარმოსთქვა ონისემ და უანგარიშოდ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს ეშინოდა, არ წაქცეულიყო.

– ამბოვი... მივიდეთ ბინაში და გეტყვით, ყველას გიამბობთ.

ონისეს, როგორც მარტო ერთს საგანზედ დაფიქრებულს, სხვა ვერა წარმოედგინა-რა, რომ საქმე ძიძიას შეეხებოდა და ეგონა, რომ ახლადმოსული სიბრალულით არ უმჟღავნებდა.

იმ წუთში ონისე ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ დათამ იმის მდგომარეობისა არა იცოდა-რა და, მაშასადამე, მის სიბრალულსაც ვერ იგრძნობდა.

აღგზნებული გონება ფარვანად გადაჰქცეოდა, მისთვის მხოლოდ ერთს ადგილს ანათებდა სიწმინდის ლამპარი და მას დასტრიალებდა, მას ევლებოდა თავსა. სხვა სა-

განი არც მის გულს, არც მის აზროვნებას არ ეკარებოდა.

– მითხარი, ბალღო, ნუღარ მიმალავ, – ძლივს წარმოსთქვა ონისემ და დაუმატა: – დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?

ახლადმოსულმა შეხედა ონისეს და დაინახა, რომ სამარის ფერი დასდებოდა. იფიქრა, რომ ონისეს უეჭვლად ეგონა, შინ რაიმე უბედურება შეემთხვა და მისი შეეშინდაო.

– ბეჩა, რაი მოგსვლია? ყველანი მშვიდობით არიან.

– ნუ მომატყუებ, ღთის მადლსა!

– არა, სპარს-ანგელოზის[1] მადლმა. აბა რაისთვი მოგატყუებ.

ლაპარაკი ისევ შესწყდა. დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტინქტიურად უკან გაჰყვა.

– დათაუ, მაშ, რად არ მეუბნები, რაი ამბავია? – ისევ ეჭვმა გაურბინა გულში.

– მშვიდობის მეტი არა ვიცი-რა.

– მოიცა-ღა! – შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება კი ვეღარ მოახერხა; სიტყვა ძიძიაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდა.

– რაი გინდა? – ჰკითხა იმან ბოლოს.

– მე... მე... მამაი კარგადაა? – ძლივს გაიგნო ენა. ახალადმოსულმა გაოცებით შეჰხედა.

– გონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

– მაშ, მიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი, – აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეჰხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

– გოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღთის მადლით შენი ჯალაბობა ყველა მშვიდობითაა... ისრე არიან, ღთის მადლმა, თიკნის ყურიც არ დაჰკლებიათ.

– მაშ, რაი ამბავია?

– რაი ამბავია და ნუგზარ ერისთავს ჩვენი ყმად გახდომა გაუზრახავს.

– რაო? – გაიკამათა ონისემ ისეთის ხმით, თითქო არ სჯეროდა.

– თუ არ დამმორჩილდითო, ლაშქრით თავს დაგესხმით და ამოგწყვეტავთო.

– მანამ ნურას სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს, – ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხვნა.

ამ ლაპარაკში მოვიდნენ სხვა მწყემსებიც.

– აბა, ეგ ნიადაგ ეგრე იქნების, მაგრამ ნუგზარის მოუსვენრობა სათემოდ გავარდნილია... რაკი ერთს იტყვის, თავადაც იცით, რომ უსისხლოდ აღარ დადგების...

– მაშ, ხევში რას აპირობენ? – იკითხეს იქეთ-აქეთ.

– ემზადებიან... თუ ძალა მოინდომეს, უჩხუბრად ვერ მოვრჩებით: მთებში ყველგან ბიჭები გაგზავნეს, რომ საცა ჩვენი მწყემსები არიან, მოაგროვონ, მეც აქ გამომგზავნეს. მთელი მთიულეთი შეუყრია. ოსებიც მას მისდგომიან და ჩვენზედ წამოსულან... ეხლა თრუსოს ხეობაში თურმე დგანან.

– წავიდეთ, წავიდეთ! – გაისმა რამდენიმე კაცის ხმა, რომელთაც იარაღს გაივლეს ხელი, თითქოს ეხლავ ომში უნდა შერეულიყვნენ.

– ოსებს რაიღა უნდათ? – იკითხა ონისემ, რომელსაც ამ საქმემ ძიძია ერთის წუთით დაავიწყა.

– ოსები ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი წყალს ამღვრევენ... თავად ჩვენთან ვერა გაუწყვიათ-რა და ახლა ნუგზარაის იმედი აქვსთ.

– აბა, ბიჭებო! გვიანობისა აღარაა! – დაიძახა ონისემ და დაუმატა: – რაიც ამბოვია, იქაც გავიგებთ.

– წავიდეთ, წავიდეთ! – მისცეს პასუხად და გაქანდნენ თავიანთ ბარგისა და თოფებისაკენ.

XIII

გარიჟრაჟი იყო. თერგის ხეობაზედ ხშირი და ბამბასავით გაჰპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, მოებურა, მთელი მიდამო, სოფლები თითქოს შიგ გახვეულიყვნენ. რამდენიმე ადგილს ნისლი ამოეგლიჯა უმაღლეს მთის წვერებს და ისე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით

[1] **სპარს-ანგელოზი** – წვერის სპარსანგელოზი, მოხევეთა სალოცევი ყაზბეგის ახლოს, სნოსთან.

ლაჟვარდოვანი ცა შეწითლებულიყო მზის მოახლოვებულის შუქით. ვარსკვლავებს ეგრძნოთ დღის მოახლოვება და შემკრთალები ნაზის სხივით ძლივსღა ციმციმებდნენ. გათეთრებული მოხუცი კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რომელზედაც ამავე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდილი, გამწვანებულს ყვავილიან ველზე წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო. ქვეშ მიმდგარს თანასწორ ნისლს წმინდა სახსოვარი ჩვენის წარსულისა თითქოს დედამიწისაგან განეშორებინა.

ამ ადგილიდგან ყველაფერი მედიდურად მოჩანდა. ყველას ეძინა, გაყუჩებულიყო და თვით ეს გაყუჩება რაღაცა სევდიანს დუმილს ჰბადავდა. თვით დაუდგრომელს ნიავსაც კი სული გაენაბა და ცელქად აღარ შესთამაშებდა კეკლუც სურნელებს. ათასში ერთხელ დამკრთალი ჯიხვის ფეხით გადმოგორებულის ქვის ხმაურობა თუ დაარღვევდა საზოგადო სიჩუმეს და შეუერთდებოდა მთებიდგან გადმონადენის ჩანჩქერის ჩხრიალს, რომელიც დაძაბულს ბუნებას მშობლიურს ნანას ეუბნებოდა.

ერთბაშად გაისმა გაგრძელებული სტვენა: ეს რომელსამე მოუსვენარს შურთხს ეგრძნო გათენების სიახლოვე ან სიზმრად ტოლი მოჰლანდებოდა.

გაწითლდა ყინვარწვერის თავი, მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი გადმოფინეს, თეთრმა უმტვერო თოვლმა ნათლად ბრჭყვიალი დაიწყო. მას მოჰყვა კაკბის კაკანი, რომელიც გაშმაგებით ეძახდა გულის მეგობარს, რადგანაც ბუნების მშვენიერებით მარტო დატკბობა არ ესმოდა. შეფრთხა ჯიხვიც და არჩვიც, ღამემ საკმაოდ დაუღალა მარდი და მკვირცხლი ფეხები, ვარჯიშობა ეჭირვებოდათ, თეთრი, ათასფერად მოკამკამე თოვლი სათამაშოდ იზიდავდა, სასიამოვნო სურნელება ტვინს უმღელვარებდა, თავბრუს ახვევდა და დაჭარბებული სიტკბოება ფრუტუნით უნდა მოეშორებინა. შორი-ახლო მყოფს „დათვის ტყეში“ შაშვმაც გრძნობით შესჭიკჭიკა ბუნების სიტკბოებას. ერთბაშად დაჰკრა ზარმა და მისი ხმა ლტოლვით და თანდათან მისუსტებით ამოვარდნილმა ნიავმა გაჰფანტა მთებში. მოისმა მეორეჯერ და მას მოჰყვა ჩქარ-ჩქარი და ხანგამოშვებით რეკა. ეტყობოდა, სამების ტაძარში მყოფს ყარაულებსაც გაეღვიძნათ.

დილის ნიავმა დაჰქროლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა, მოეშველა მზის შუქიც და

ნისლმა აღშფოთებულს საყვარელსავით, რომლისთვისაც განთიადს მოესწრო, წყნარად მთა-მთა დაიწყო გაპარვა.

გამოჩნდა ხეობა და მასთან ერთად გველსავით დაკლაკნილი, გამხეცებული და აქაფებული თერგი. სოფლებიც მოძრაობაში მოსულიყვნენ. ყველგან ხალხი მიდი–მოდიოდა, სოფლების წინ ჯგუფდებოდა და რაღაცას მღელვარებდა. ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელიც ნიავისაგან წყნარად ფრიალებდა.

ამ ხანში წმიდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქუდები მოიხადა. მედროშენი დროშებით გაუძღვნენ წინა; უკან წამოჰყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმინდანს, ცეცხლშიაც წარბშეურხევლად გადაჰყვებოდა.

ყველანი სამებისკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისაკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისაგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა.

მათ სამების საბჭოში მოელოდა ორის კვირით „საწმენდად გასული“ ხევისბერი გოჩა და მისნი თანაშემწენი, რომელნიც ორი კვირის მარხულობაში და ლოცვაში იყვნენ, რომ სათემო „დროშის თავის“ შეხების ღირსნი გამხდარიყვნენ.

„დროშის თავი“ მათთვის სახუმრო არ იყო: მის წინაშე ნათქვამი სიტყვა ველარ გადაბრუნდებოდა, ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას... გულის საყვარელსაც კი, მაგრამ ამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულს სიტყვას კი ველარ უღალატებდა.

არც სახუმრო საქმისთვის იყრებოდა დღეს თემობა. თავისუფალთ ყმობას უქადდნენ, დამოყვრებული მეზობლები ომს უცხადებდნენ, გაუმაძღარი ნუგზარ ერისთავი ლომსავით ბრდღვინდა, მის განუსაზღვრელს წადილს ხალხის დამონებისას მარტო მთიულეთი ვეღარ აკმაყოფილებდა, მისი ბატონური მოთხოვნილება თავისუფალ მეზობლებთან ვეღარ თავსდებოდა, იმათი დამორჩილება უნდოდა და უნდა დაემორჩილა, თუნდა ამისთვის მოძმეთა სისხლით შეღებილიყო.

მოხევეებს ესმოდათ, რომ საქმე სახუმრო არ იყო და ღირსეულს ღირსეულად დახვედრას უპირებდნენ.

XIV

სამების ტაძარი სდგას ყინვარწვერიდგან თავქვე მინდვრად წამოსულს ქედის ბოლოზედ, სადაც პატარა გორას მრგვლად და მოხდენილად თავი აუმართავს და თერგის მხარეს კი ერთბაშად მძიმე დაღმართად დაშვებულა სოფელ გერგეტამდის. აშენებული თლილის ქვით, საკმაოდ დიდი ტაძარი, სამრეკლო და საბჭო, რომლისთვისაც ჯერ ბუნებას შემოუვლია მაგარი კლდის კედელი და მერე ზოგიერთს ადგილებში კაცის ხელს კიდევ უფრო შეუმაგრებია, ამაყსა და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს.

ამ ადგილს ახლო-მახლოდ არა აქვს სათალი ქვა, რომლითაც ტაძარი აშენებული არის, წყალიც საკმაო სიშორეზედ, ქვევით ხევში ჩამოუდის. გზად მხოლოდ ერთი პატარა ხვეული ბილიკი შესდევს, რომელზედაც ქვეითი კაციც კი გაჭირვებით ადის. ასე რომ, პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის თავს ეკითხება: საიდგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისთვის მასალა, ან რითი მოუზიდნიათ?

საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულს ძალას და მათს ამაღლებულს სულიერს მდგომარეობას. ტაძრის კედელში მხოლოდ ერთს ადგილს ჩატანებულია მარმარილოს ქვა, რომელზედაც ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწვრია სრულიად ამოეშალა ზედ წაწერა და მწიგნობარს კიდევ შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები „...ხარი ლომა... მწყემსი თევდორე...“ – ეს ორი სახელია, რომელთაც, უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზედ. მიმავალი ხალხი შეეფინა მთის გვერდოზედ და, სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხი შეგროვდა მინდორზედ, ტაძრის გალავნიდგან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა, რომელიც გაშლილიყო და წყნარად ფრიალებდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლებზედ დაეცა და მიწასთან გაერთებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს.

კედელზედ გადმოჩნდა ქუდმოხდილი კაცი, გძელის გაშლილის თეთრის თმით და წვერით. ხამის უმტვერო თეთრი პერანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ქამრად შემოეჭირა, რაღაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. გაბრწყინვებული, მაგრამ დამყარებული მოხუცის სახე, ზრუნვითა და მჭმუნვარებით სავსე, ყველას გულს იგებდა და მისვე უნებურად იმორჩილებდა. ხალხს მოჰშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთრჩოხა მედროშეებმა და რამდენსამე წუთს შემდეგ დროშის თავს გარს შემოახვიეს. ყველა გაჩუმდა, დაწყნარდა. ჰაერმაც კი იგრძნო, რომ უნდა დამშვიდებულიყო, თავი მოეხარა ამ სახალხო ყრილობის წინაშე, რომელსაც დღეს უნდა გადაეწყვიტა ხევის ბედი. მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი, რომელმაც შეაკრთო მუხლმოყრილი ხალხი და ძარღვებში ჟრუანტელსავით გაურბინა.

– ამწყალობებენ, ამწყალობებენ! გოჩა ამწყალობებს! – ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა.

გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავის ხალხის კეთილდღეობისთვის. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარ-

ში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აეღო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ.

დამწყალობების დროს გოჩას ყოველს შესვენებაზედ ხალხში გრგვინვასავით გაირბენდა: „ამინ, შენს მადლსა“. ამ ხმას მთები მისცემდნენ ბანსა და ათასგვარად შეცვლილ ხმად ჰაერში დაფანტავდნენ.

როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

აქამდის მშვიდად და წყნარად მყოფი ხალხი ერთბაშად შეინძრა. ერთბაშად აღელდა და, უკმაყოფილების გამო, კარგა ხანს ბორგავდა.

– გაჩუმდით! – რამდენჯერმე გაიმეორა ხმა-მაღლად გოჩამ და, კარგა ხანს შემდეგ, დაიწყო.

– ღმერთი დიდია და გულუხვი!.. თავის გაჩენილს კიდეც დაარჩენს... ჩვენც არ დაგვკარგავს... რაი უნდა ჩვენგან ნუგზარას, რაისთვი გვეჭრება ოჯახობაში?.. ჩვენც ვიცნობთ ქართველთა მეფეს და დღემც გაშავებია იმ მოხევეს, უკუღმართადამც მოჰქცევია იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც მეფის გაჭირვებაში შვილი შეიბრალოს, ხალხისთვის სახლიც, ნაშობიც არა გასწიროს!.. ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრეც უნდა იყოს. მაშ ძმა რაისია, თუ გაჭირვების დღესაც ძმას არ მიეშველების?.. მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და, დღეს გაძლიერებულს, გაუმაძღარი თვალი ჩვენკენ მოუქცევია, ორი მეზობელი ერთურთს უნდა წაჰკიდოს, მოხევე და მთიულნი ერთურთს შეახოცოს და თავად კი გაბატონდეს... რას იტყვით, ჯამაათნო!.. ნუგზართან ბრძოლა ადვილი არაა, მთიულთაც ძმობა დავიწყებიათ და ჩვენზედ გამოლაშქრებას აპირობენ... დავმორჩილდეთ?

დამშვიდებული ხალხი ისევ შეირყა და აღელდა; გრგვინვასავით გუგუნი ხალხისა გაერთებულიყო და ჰაერს მხოლოდ ერთი მედგარი სიტყვა არყევდა.

– არა, არა, არა! – განუწყვეტლად ისმოდა ხალხში.

ერთბაშად მინდორზედ ხალხის წინ ერთი ყმაწვილი ბიჭი გამოვიდა, რომელმაც ხელით ხალხს გაჩუმება ანიშნა და დაიწყო:

– გოჩაუ! რაისთვი გვეკითხები მაგას!.. ხევმა ძმობა იცის და, ღთის მადლმა, მოკეთედ მყოფს მეზობლისთვის ჩვენგანი ყველა თავს გადასდებს... მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ქუდოსანი, ვინც მეზობელს ღალატად შეადგებს!.. მაგრამ ის მოხევეც დაიმარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს!.. ნუგზარაი ცხოგან გახელებულა და ჰგონია, ჩვენი დამორჩილებაც ადვილ იქნების. მთიულთაც დავიწყებიათ ჩვენი კაცობა და პურმარილი: ჩვენზედ მოდიან... ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!

– გავწყდეთ, გავწყდეთ, – იყო ამ სიტყვების საერთო პასუხი.

მოლაპარაკეს მიუახლოვდა ვიღაცა მოხუცი, დაეყრდნო ჯოხზედ და მიუბრუნდა:

– ონისევ! ღთის მადლმა, კარგი მამის შვილი ხარ და თავადაც კარგი ვაჟობა გეტყობის... ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას – ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა... რაიც სთქვი, ღთის მადლმა, კარგადა სთქვი და აგრეც უნდა ყოფილიყო!.. მაგრამ მთიულნი ჩვენი ძმები არიან, იმათ მაცდურად შესდგომია ნუგზარაი, ჯერ ვეცადნეთ მათთან მორიგებას და ოსებისა კი რაი მორიდება გვინდა.

ამ სიტყვებზედ ხალხი ორ დასად გაიყო. ერთი ითხოვდა პირდაპირ შებმას განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე, მეორეს კი მოძმედ შეცდომისთვის მორიგების უცდელად შებმა არ უნდოდა.

ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა და არავითარს გადაწყვეტილებას არ ადგებოდა. გაისმა ისევ ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხში ისევ სიჩუმე ჩამოაგდო.

– ხალხო! – დაიწყო გოჩამ, – გვიანობისა აღარაა, მტერი კარს მოგვდგომია, გამოვიდნენ თემის თავები... მტერსა და მოყვარესა ყველას დახვედრა უნდა... თემის

კაცი! – დაიძახა იმან.

ამ სიტყვების შემდეგ, ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები და გასწიეს წმინდის სამების საბჭოში, სადაც ხევისბერის გოჩას თაოსნობით, ხევის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

XV

მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. იქნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუაკაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნათ.

ყველაზედ უფროსობა და განკარგულების მიცემა კი, უფლებისამებრ, გოჩამ მიიღო თავის თავზედ.

ამ ჩვეულებრივი მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიაც ხალხის სურვილი და წადილი გამოითქმოდა, გოჩამ შუაკაცები მთიულეთს გაამგზავრა და ყრილობა კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზედ კაცი სიონის მინდორზედ გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირებდნენ გზის შეკვრას.

ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, გოჩასა და სოფლის მედროშეთა გარდა, რომელთაც უკანასკნელად უნდა ელოცათ და ხევის კეთილდღეობა შეევედრებინათ ღვთისთვის.

მომავალ ხალხში, სხვათა შორის, ონისეც ერია და ძალზედ გამალებული მოდიოდა თავის სოფლისკენ, სადაც დიდიხნის უნახავს ძიძიასთან შეხვედრის ნეტარება მოელოდა.

ტოლ-სწორნი, რომელნიც ონისეს გარს შემოჰხვეოდნენ, არ უსვენებდნენ თუშებისა და ფშავლების ამბის გამოკითხვით. მაგრამ ონისე მხოლოდ ერთს საგონებელს წაეღო და ამისთვის უსიამოვნოდ და მოკლედ უპასუხებდა.

ისინი ჩამოვიდნენ იმ ადგილს, სადაც ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებიყო: შავხილსა, ხახამასა და ქუბსა ჰკრებდა.

– უყურე-ღა, ონისევ! ქალები ცხორსავით არ მოსდებიან ამ ველსა. – უთხრა ონისეს ვიღაცა მოხევემ და გაიშვირა ქალებისკენ ხელი. ონისემ მხოლოდ იმისთვის მიიხედა იქით, რომ თავიდგან მოეშორებინა თავისმომძულებელი მოსაუბრე, რომელიც უშლიდა თავის ფიქრებს დაჰკვირვებოდა და მთლად გულის მოძრაობას ჩაჰბრუნებოდა. მაგრამ, რაწამს მიიხედა, რაწამს თვალი გადაავლო იქაურობას, გული როგორღაც შეუთამაშდა, რამდენჯერმე გაიბრძოლა და შესდგა. ონისე შეჩერდა, გაფითრდა და შუბლზედ ხელი გადისვა.

– რა მოგივიდა? – ჰკითხა ამხანაგმა, რომელმაც პირისახეზედ ცვლილება შეატყო.

– არც რაი, არც რაი... – საჩქაროდ უპასუხა ონისემ და ბოლოს დაუმატა: – ჭაჭმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა.

ამ სიტყვებით კოჭლობით მივიდა ქვასთან, ჩამოჯდა და ფეხსაცმელის ხდა დაიწყო.

– მაი, მე გაგხდი, – მიუახლოვდა პირველი მოსაუბრე.

– არა მინდა-რა, შენაი ჭირაიმე, არა!.. მე თავად გავიხდი. – უპასუხა ონისემ, რომელმაც აღარ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ მარტო დარჩენილიყო.

– ბეჩაო ჩემო თაო, – დაიწყო ისევ უცნობმა: – რას მეხათრები, ბალღი ხომ არა ხარ? მაი, გაგხადო! – გაიშვირა ხელები.

– არ მინდა, მე თავადაც გავიხდი, – ვეღარ მოითმინა ონისემ და შეუტია, მაგრამ ჩქარა ისევ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

– აგერ, მზე გადიწვერა, ნუღარა გვიანობ... მე დაღალული ვარ, პატარას დავისვენებ. მეორე მოხევემ შეჰხედა, აღარა უთხრა-რა, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გასწია.

ონისე კი ღორღიანებში გადავიდა და იქ ისე მიიმალა, რომ ჩამომვლელებს ვერ შეემჩნიათ, თუმცა თითონ იმათაც ჰხედავდა და მოხილე ქალებსაც, რომელთ შორის ძიძიაც იყო, უთვალთვალებდა...

სამებაში მყოფი ხალხი მალე ჩამოიკრიბა, რადგანაც ყველა შინ მიეშურებოდა, რომ დანიშნულ დროსთვის მომზადება მოესწრო და ზოზინობისთვის ამხანაგების სასაყვედურო არ გამხდარიყო.

ონისე იჯდა თავის საფარში და გულის ძგერით გასცქეროდა ქალებს, სადაც ხილსა ჰკრებდნენ და თავისუფლად ერთმანეთს ელექსებოდნენ.

მარტო ძიძია განმარტოებულიყო ამ საერთო მხიარულებას და ცალკე გასული, ფერწასული და დაღონებული თავაუღებლივ ხილსა ჰკრებდა.

შორიდგან რომ შეგეხედნათ ქალებისთვის, მაშინათვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ თაბუნს არ ეკუთვნოდა, იმათთან საერთო არა ჰქონდა-რა და არც არაფერი აკავშირებდა მათთან. ონისე გულამღვრეული გონებადაფანტვით შესცქეროდა მოხევის გოგოს და ჰგრძნობდა, რომ მისი ფიქრების მიზეზი ის იყო; უნდოდა დაეძახნა: აქა ვარ, აქ მოდი, მე ვარ შენი ტოლი, მხოლოდ მე შემიძლიან შენი გახარება, მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა, რადგანაც ძიძიას ამხანაგებისთვის არ უნდოდა შეეტყობინებინა არც თავისი სიახლოვე და არც გულის პასუხი. ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყივნებას ქვეყანაში.

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ონისე იყო დამალული, და მათს მოახლოვებაზედ კი მოხევეს ცახცახი ეკიდებოდა. ისა ჰგრძნობდა, რომ, ძიძიას მოახლოვებასთან ერთად, რაღაც ძალა ემატება, რომელიც თანდათან მაგრადა ჰკრავს და ჰბოჭავს მოხევის გულს, თანდათან მეტის სიმძლავრით და მედგრად იზიდავს თავისკენ.

ერთბაშად ქალები გაბრუნდნენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისემ კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენს ამხანაგებს გამოშორდა და პირდაპირ მოხევესკენ წამოვიდა.

ონისეს ქშენამ იქამდის მოუმატა, რომ გულმა ძალზედ დაგადუგი დაუწყო და განუწყვეტლივ სულსა სტაცებდა.

ძიძია გამოვიდა ღორღებზედ, დასდგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან, რომელსაც მიაპყრო სევდიანი თვალები და დაფიქრდა.

ონისე მიიბრძოდა ქალისკენ, მაგრამ რაღაცა გრძნობა ძალას ართმევდა და გაუბედაობაში აგდებდა. ხანდახან იმ მდგომარეობამდისაც კი მიდიოდა, რომ პირმოკუმულს სუნთქვაც კი ვეღარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედის მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია და ნაზი ქმნილება არ დაეკრთო.

ძიძიამ ერთბაშად ამოიოხრა, მოერია თვალებზედ ცრემლები და წყნარის ზუზუნით მღერა დაიწყო. მერე მარგალიტსავით გადმოეკიდა გრძელსა და შავს წამწამებზედ ცრემლი; იმას მოჰყვა მეორე და ქალმა წყნარად ტირილი დაიწყო.

ონისემ სატანჯავს ვეღარ გაუძლო და ჩუმად მიუახლოვდა.

– ქალაუ, რაი გატირებს? – ნიავსავით ჩუმის ხმით ჩასჩურჩულა ონისემ, მაგრამ ეს ხმა იქამდის ძლიერად ეჩვენა ძიძიას, რომ მხოლოდ შემოხედვა მოასწრო და გაშეშდა. ძიძია იჯდა გაქვავებულსავით, შესცქეროდა ონისეს და მხოლოდ ტუჩების მოძრაობა უმტკიცებდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

– მითხარ, ქალაუ, მითხარ... – დაიწყო ისევ ონისემ და ძიძიას წინ ჩაიჩოქა: – რაისთვი მერიდები, განა შენი ხელისმომკიდე არა ვარ?

ძიძია შეინძრა, მის ლოყებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყო, ელფერი შეუთამაშდა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს და გაოცებულს ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყო. ძიძია კარგა ხანს იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება ნებას არ აძლევს, თავისი გრძნობა გამოირკვიოს. ბოლოს წინ გამოიშვირა ხელები და წყნარად, მაგრამ გარკვევით, წარმოსთქვა:

– ონისე!.. საით მოხვედი?

ონისე თანდათან უახლოვდებოდა ქალსა, რადგანაც ნახევრად მიწოლილი ხელებზედ დაყრდომილიყო და ხელები კი ცახცახით თანდათან ქალს უახლოვდებოდნენ. მოხევე შესცქეროდა ძიძიას აღგზნებულის თვალებით და აშკარად სჩანდა, რომ ამდენი ხნის განშორებას მის გულში ტრფიალების ცეცხლი არამც თუ ვერ გაექრო, არამედ უფრო გაეძლიერებინა და მისი გული სატრფოსთან შეყრის სურვილს უფრო გაეკაპასებინა. მის მეცადინეობას ამაოდ ჩაევ-

ლო, რადგანაც მხოლოდ ერთი შეხვედრა ძიძიასთან, ერთი თვალის მოკვრა საკმარისი იყო, რომ ყოველისფერი ხელახლად გადაევიწყებინა და აკანკალებულის ხმით და მთრთოლვარე ტუჩებით მარტო ამ ქალის სახელი შერჩენოდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზედ ამის მეტი სიტყვა აღარ მოიძებნებოდა...

– ძიძიაუ, ძიძიაუ!.. – იმეორებდა ის მეათასედ და ხმა ისეთგვარად ტრიალებდა, ისეთგვარად გამოისმოდა, რომ მართლადაც თავის გრძნობის გამოსათქმელად უკეთესს ვეღარას მოიგონებდა.

ეს სახელი ონისესთვის მეტად ძვირფასი იყო, რომ მისი თანაბარი სხვა სიტყვა კიდევ რამ ჰქონოდა, ან ისეთის ძალით წარმოთქმა შესძლებოდა. აშკარა იყო, რომ ძიძიაცა გრძნობდა ამ სიტყვებს, რადგანაც გაკვირვება თანდათან შორდებოდა; მისი ნაზი სხეული ონისესკენ იხრებოდა და კეკლუცი სახე, რომელიც თანდათან მეტად ენთებოდა, მოხევეს უახლოვდებოდა.

გაიარა წუთმაც და ორი დაბნედილი ქმნილება, ერთმანეთის სუნთქვისაც კი ერთმანეთში გადამნერგავნი, მიუახლოვდა და გაშმაგებული შესცქეროდა ერთმანეთს. სწორედ ამ დროს, ცელქმა და მოუსვენარმა ნიავმა დაჰქროლა და ძიძიას მოგლიჯა თავშალი. ხშირი და გრუზი შავი დალალები გადმოსცვივდნენ და ონისეს სახეს ციგლიგი დაუწყეს. ეს-ღა აკლდა, რომ ორთავეს უკანასკნელი ძალაც მიხდოდათ და მათი ტუჩები წუთზედ შეწებებულიყვნენ...

ვინ იცის, სადამდის გაგრძელდებოდა, სადამდის გასტანდა მათი ტრფიალი, თუ მოახლოვებული ქალების ხმაურობას შეყვარებულნი თავდავიწყებიდამ არ გამოეყვანა.

ძიძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც, ხალხის რწმუნებით, ხელისმომკიდეს ანათესავებდა, და ამ ფიქრმა გამსჭვალა. წარბები შეეკრა, სახე დაეპრანჭა და მეტისმეტმა ტკივილმა, რომელიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა. ქალმა ხელისკვრით მოიშორა ონისე და ფეხზედ წამოიჭრა, გაბრუნდა და უკან მოუხედავად გაემართა ამხანაგებისკენ. ონისე კი იმავ ადგილს დარჩა გაწამებული და დაღონებული, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მიზეზი იყო ძიძიას ისე წასვლა.

ძიძია შეუერთდა ქალებს, რომელთაც ჩამოიარეს ღორღიანი ადგილი და ონისე კი გულის ძგერით უცქეროდა თავის სანატრელს, რომელსაც ქორწინების შემდეგ ტუჩებზედ პირველად გადაჰშლოდა ვარდი, თვალებში გაჰბრწყინვებოდა სიამოვნების ნაპერწკალი და ჯეირანსავით ყელმოღერებული კოხტად მიგოგავდა.

ონისე უყურებდა გულის ძგერით. ნებაუნებლივ გუნებაში კითხვა ებადებოდა: „ასე თავი რად დაანება, რატომ არა უთხრა-რა, ან კიდევ შეჰხვდებოდა როდისმე მასთან ალერსი?“

ქალები გასცდნენ და ონისეც წამოდგა ზეზედ. ის გაიზმორა. მედიდურად მიიხედ–მოიხედა და რაღაცა ძალა იგრძნო, რომელსაც თავის თავს დღემდის ვერ ამჩნევდა. ძიძიას უყვარდა – ქვეყანა თავისი ეგონა!..

XVI

სადაც ეხლა საქართველოდგან ჩრდილოეთისკენ გზა მიდის, სოფ. კობის ქვეიდგან, რაკი სამტვეროს მინდორს ჩამოსცდება, გზა გრკალსავით იხრება და სამმხრივ ჩამოლესილს სიონის კლდეს სარტყელსავით ერტყმება. ზედ კლდის წვერზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას. ეს ადგილი მბრძანებლობს იქ გასასვლელს ადგილებზედ და მოსავლელი მხოლოდ ნაროვანის უღელტეხილიდგან აქვს. შემკობილი მშვენიერის საძოვრით, წყალითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატეხს სიმაგრედ შექმნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგეშო ადგილად ითვლებოდა. სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ჭაჭით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისგანვე გამაგრებულს ადგილს უფრო მეტად ამაგრებდნენ.

აი, ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიბებოდა, რომ წარსულის დროის მტარვალის წადილს წინ გადასდგომოდა და მისი მოსისხლე სურვილი შეემუსრა. რადგანაც

გოჩას ხევის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისათვის ხევისბერმა გასცა განკარგულება, ვისაც ხევში იარაღის ტარება შეეძლებოდა, ყველა ბრძოლის ველზედ გამოსულიყო, ხოლო რათა დედაკაცებიც უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენ ამ საერთო საქმეში, ვალად დაედოთ, მთებიდგან, სადაც ცხვარი საწველად ედგათ, ჯარისთვის ყველი, ერბო და რძე ეზიდათ. პური კი ყველას თავთავიანთ სახლიდგან უნდა მოსვლოდა.

ამგვარად მოზიდული ხორაგი ყველას თანასწორად ეძლეოდა, თუმცა მიმღებთ შორის ისეთნიც ერივნენ, რომელთაც საკუთარი ცხვარი სულაც არა ჰყვანდათ.

ტყვია საკმარისი ჩამოჰქონდათ ხდიდგან, გვარჯილას ჰკრებავდნენ შიგვე სოფელს სიონში გამოქვაბულს კლდეებში, სადაც თეთრ მარილსავით მიწაზედ ეყარა და გოგირდი კი წინადვე ჰქონდათ დამზადებული. იქვე სწვავდნენ არყის ხესაც და ამგვარად ამზადებდნენ თოფის წამალსა.

მოხევენი ამაგრებდნენ აგრეთვე სიონის წინ მდებარე სამტვეროს ტყესა და საზოგადოდ ისე ემზადებოდნენ, თუ ბედი უკუღმა დაუბრუნდებოდათ, ძვირად დაესვათ თავიანთი დამარცხება.

ერთს ბნელ ღამეს, როდესაც კაცი თვალთან მიტანილს თითსაც კი ვერ გაარჩევდა, სამტვეროს თავში მოისმა წყნარი ხმაურობა რამდენისამე მომავლის კაცისა. ისინი მოუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა. მაგრამ ერთბაშად იძულებულნი იქმნენ შემდგარიყვნენ, რადგანაც გაიგონეს რამდენისამე კაცის ხმა.

– ვინაა? შესდგეს, თუ თავი ებრალება.

ამ სიტყვებთან ერთად, მომავალთ იგრძნეს, რომ მათ მკერდებს თოფის ტუჩები შეეხოთ. ისინი შესდგნენ.

– ვინა ხარ? – იკითხა ისევ იმ უცნობმა, რომელიც პირველში გამოელაპარაკა.

– ჩვენა: წმინდი-სამების ყმები, – იყო პასუხი.

– სად მიხვალთ?

– გოჩასთან.

– საიდგან მოდიხართ?

უშიშრად ეპასუხებოდა ერთი მომავალთაგანი, რომელმაც დაუმატა: – ონისე, შენ არა ხარ?

– ჰო, მე ვარ, – უპასუხა ონისემ და პირისახის ახლო მიტანით ჩააკვირდა უცნობს: – აჰუ, ვეღარ გიცან, თოლიკაუ!.. მოხვედ მშვიდობით.

– მშვიდობა მოგცა უფალმა, – უპასუხა ახლადმოსულმა და დაუმატა: – გოჩა სადაა, იმის ნახვა გვესწრაფის.

– იარეთ, – მიუგო პასუხად ონისემ და გაუძღვა წინ.

თოლიკე იყო ერთი იმ შუაკაცთაგანი, რომელიც მთიულებთან იყვნენ გაგზავნილნი და ყოველი მოხევე გულის თრთოლით მოელოდა მათს დაბრუნებას.

რასაკვირველია, ონისესაც გულით უნდოდა, შეეტყო, რა პასუხი მისცეს მთიულებმა, მოუხდებოდათ დამოყვრებულ ხალხთან ჩხუბი, თუ მშვიდობიანად მოშორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საიდუმლოება არ გამოაშკარავებულიყო, – კითხვას ვერც კი ჰბედავდა.

იმას არც კი შეუმჩნევია, რომ ამ გამოკითხვის სურვილი ჰქონდა და თავის სიმუნჯით ამ საგანზედ ამტკიცებდა, რაოდენად პატივსა სცემდა ხალხის სარგებლობას და რაოდენად ესმოდა სიჩუმის საჭიროება.

შუაკაცებიც ქვასავით გაჩუმებულები მისდევდნენ ონისეს და იმ წუთს რომ ასო– ასოდ დაეჭრათ, მინდობილს პასუხზედ საჭიროებამდე ხმას ვერ გააწყალებინებდნენ. იმათ კარგად ესმოდათ, რადგანაც საუკუნოებით შესჩვეოდნენ, ერთს მომეტებულს სიტყვას ხანდისხან რა ვნების მოტანა შეუძლიან.

ისინი მივიდნენ გოჩასთან, რომელიც მოსულთ დანახვისთანავე ფეხზედ წამოიჭრა, შეიყვანა შუაკაცები საწოლში და დასხა უბრალო ფიცრის ტახტზედ, რომელიც ხევისბერს სარეცელადა ჰქონდა გაკეთებული.

ონისე, რომელიც იქვე იდგა, ელოდა გოჩას ბრძანებას და მოხუცმაც დიდხანს არ დააგვიანა.

– ბალღო, ამათ მოჰყევ? – ჰკითხა იმან ონისეს.

– ჰაი, ჰაი, – იყო პასუხი.

– კარგი, წადი, მიჰხედე შენს ამხანაგებს.

ვინძლოთ, ფრთხილად იყვნეთ, – უთხრა გოჩამ და მბრძანებელის კილოთი დაუმატა: – არავინ გამოგეპაროსთ, თორემ თქვენის თოლების მეტი ველარა გიხსნით-რა.

– ბეჩაო ჩემო თაო! – ამაყად წამოიძახა ონისემ და მედიდურად დაუმატა: – ქუდები არ გვხურავს?! მშვიდობით. – ოდნავ თავი დაუკრა და გამოვიდა.

– ღმერთმა ხელი მოგიმართოს, – დალოცეს ახლადმოსულებმა და მამამ კი, თუმცა ხმა არ გასცა, მაგრამ ისეთის სიყვარულით გაადევნა თვალი, იმდენი სიამოვნება გამოიხატებოდა იმის სახეზედ შვილის პასუხის დროს, რომ ყველა აშკარად დაინახავდა, – მოხუცს მზე და მთვარე ონისეზედ ამოსდიოდა.

ჩვენ და ტექსტი

1. გადმოეცით ხევისბერის პირველი პორტრეტი: „იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით...“ და ა. შ. რა განცდას ტოვებს იგი მნახველში?
2. რა შენიშნა მამის მახვილმა თვალმა? თქვენი აზრით, გააცნობიერა გოჩამ მომხდარი? საიდან ჩანს, რომ მოხუცს რაღაც ავად ენიშნა და წინათგრძნობა სასიკეთოს არაფერს უკარნახებდა?
3. რატომ ტოვებს ონისე ქორწილს და რატომ არ აჩერებს მას მამა? რატომ არ ცდილობს ხევისბერი სიმართლის გარკვევას და, მიუხედავად ამისა, რა ათქმევინებს მას ასეთ ზუსტ, წინასწარმეტყველურ სიტყვებს? ეს მამის ინტუიციაა თუ ხევისბერის სიბრძნე?
4. გადმოეცით ხევსიბერი გოჩას მეორე პორტრეტი – „გოჩა იყო მშობელი მამა...“ რომელიც განსაკუთრებით შთამბეჭდავია: შეადარეთ იგი წინა პორტრეტს. რა განსხვავება შენიშნეთ? გაიხსენეთ ჰაგიოგრაფიულ წმინდანთა პორტრეტები, ილიას განდეგილის, აკაკი წერეთლის, თორნიკე ერისთავის სახეები და ა. შ. იმსჯელეთ, რით ჰგავს ხევისბერი გოჩას პორტრეტი აქ დასახელებულთ და რით განსხვავდება მათგან? რა ანიჭებს ამ პორტრეტს ამაღლებულობის განცდას?
5. გადმოეცით სახლში მარტო დარჩენილი ონისეს მდგომარეობა. რას მიემართება მისი სიტყვები: „არ იქნების, არ მოხერხდება“; რატომ ბრუნდება იგი ქორწილში?
6. ონისეს სამხიარულოდ არ სცხელა, აკრძალული სიყვარული სწვევია, რაც სულს უხუთავს და უფორიაქებს, მაგრამ, მოულოდნელად, ის იღებს ქორწილში მიბრუნების გადაწყვეტილებას და ტაშ-ფანდურით ყველაზე მეტად სწორედ ის ხალისობს. რას მიაწერთ ონისეს მხიარულებას ქორწილში?
7. უცნაური საქციელის შემჩნევისთანავე რომელი „მთავარი შეგონება“ შეახსენა მამამ შვილს? დღეს აქვს თუ არა ფასი ამგვარ ზნეობრივ ორიენტირებს? იმსჯელეთ, გოჩას მიერ შვილისთვის შეხსენებული ფასეულობა მარადიულია, თუ მხოლოდ იმ ეპოქისთვისაა მნიშვნელოვანი?
8. გადმოეცით, როგორ შეხვდა გულჩათხრობილ პატარძალს ახალი ოჯახი; რას მიაწერეს მისი მუდმივი სევდა? ახლა ფშავს შეფარებული ონისეს მდგომარეობა გადმოეცით, რა აერთიანებს შეყვარებულთა განწყობას, მათ სულიერ მდგომარეობას?
9. გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმაო, წერს ავტორი. დააკვირდით პეიზაჟის დანიშნულებას ამ ეპიზოდში. რისი თქმა სურდა ამ ფრაზით მწერალს?

10. ტექსტში ზამთრის ადგილს გაზაფხულის სურათები იკავებს. რას მოელის მკითხველი გაზაფხულისგან?
11. რა ურყევი გადაწყვეტილება მიიღო ონისემ გუგუასთან დაკავშირებით, როგორ გგონიათ, შეძლებს იგი ამ გადაწყვეტილების შესრულებას? რა მიგვანიშნებს, რომ ონისე დამარცხდება „ამ ბრძოლაში“?
12. ვინ მოიტანა ხევიდან შემაშფოთებელი ამბავი და რა გადაწყვიტა ონისემ? რამ დააგვიწყა ონისეს დროებით ძიძია?
13. აღწერეთ, დროშასთან შეხების როგორი ტრადიცია არსებობდა ხევში?

    სამების ტაძარში, თემობის წინ გამოჩნდება ხევსიბერის მესამე და ყველაზე სრულყოფილი პორტრეტი. „კედელზედ გადმოჩნდა ქუდმოხდილი კაცი, გრძელის გაშლილის თეთრის თმითა და წვერით...“ ხევისბერი გოჩას ყოველი მომდევნო პორტრეტი წინას გაუმჯობესებაა, ამაღლებულობის მიღმიერთან ზიარებისა და სულიერი სრულყოფის თვალსაზრისით. იმსჯელეთ, ახლა რა საშუალებებით მიიღწევა ეს მხატვრული ეფექტი ხევისბერის პორტრეტის ხატვისას?
14. გოჩას, როგორც ხევის მმართველისა და ლიდერის, რა თვისებები ჩანს მოთხრობის XVI თავში?
15. რა შეგიძლიათ, თქვათ მამა-შვილის – გოჩასა და ონისეს – ურთიერთობის შესახებ?

წაკითხვამდე

მინიდისკუსია – დანაშაული და სასჯელი

არსებობს თუ არა „გაუხმაურებელი“, „დაფარული“ დანაშაული, რომლის შესახებ არავინ იცის და, ბუნებრივია, მას სასჯელიც არ მოჰყვება? ივარაუდეთ, რა განცდა ეუფლება ადამიანს, როცა ასეთ „გაუხმაურებელ დანაშაულს“ დაატარებს მთელი ცხოვრება? შესაძლებელია თუ არა, დანაშაულის შესაბამისმა სასჯელმა ადამიანი სინდისის ქეჯნისგან გაათავისუფლოს, ანუ სასჯელით სულიერი სიმშვიდე მოიპოვოს?

XVII

ვიდრე მოხევენი სამზადისში იყვნენ და თავიანთ ადგილებს ამაგრებდნენ, ნუგზარ ერისთავიც არ იყო გულზედ ხელდაკრებილი და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, თავისი ჯარი გაემრავლებინა, რათა აუარებელის რიცხვით ხევს თავს დასხმოდა და ერთბაშად ძლიერის შეტევით მოემტვრია მოხევეთა სიკერპე.

ის არ კმაყოფილდებოდა ოსების და მთიულების უმრავლესის ჯარით, იმას უნდოდა საქმეში ჩაერია ხანდოსხეველნი, ჭართლელნი და გუდამაყრელნი, რომელთანაც კაცები გაეგზავნა და დღედღეზედ პასუხს მოელოდა. ამათ გარდა, ის მოელოდა კიდევ ლეკებს, რომელთა დაპირებაც დიდად აიმედებდა.

ნუგზარ ამგვარს საქმეებში გამოცდილი იყო, კარგად იცნობდა ხევსა. თავს არ აიმედებდა, რომ საქმე სახუმროდ გათავებული იყო, ის ვაჟკაცი და შეუბრალებელი იყო, სისხლის ღვრა მისთვის დროს გასატარებელი მეჯლიში იყო, მაგრამ მას გოჩასი ეფიქრებოდა, რადგანაც ამის მოაზრების და გამოცდილების სახელიც მთელს მთაში გავარდნილი იყო.

ერთს დილით, გარიჟრაჟზედ, მთიულეთის ურდოში შევიდა ტანად მოსული და კარგად ჩასხმული ვიღაცა წვერიანი კაცი. იმის ჯაჭვის პერანგი, თვლებით და მძიმედ ოქროთი მოჭედილი ხმალი, ოქროთივე ნაჭედი ჩაჩქანი ამტკიცებდა, რომ ის უბრალო მთიულებს არ ეკუთვნოდა და რომელიმე გამოჩენილი გვარისა უნდა ყოფილიყო. იმის ტლანქი პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდენადმე გადმობრუნებული ტუჩები, მსხვილი, მოგრძელო ცხვირი, განიერის ნესტოებით და პატარა, ქუთუთოებ შეშუპებული თვალები ამტკიცებდნენ მის შეუბრალებლობას და დაუდგრომელს, მხნე ხასიათს. ხშირი, გაერთებული შავი წარბები, ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად, უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, რომელიც თვალის კილოებიდან სხვადასხვა მხარეს შუქსავით იბნეოდნენ, აშკარად გიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო. იმის მისვლასთან ერთად მთიულების ურდო შეინძრა და უფროსი კაცები მისალმებით მიეგებნენ.

ხალხი მისვლის უმალ ქუდს უხდიდა და მდაბლად თავის დაკვრით ეუბნებოდა:

– ბატონს ნუგზარს გაუმარჯოს, ბატონს ნუგზარს ვახლავართ! – და ისიც სიამპარტავნით და მედიდურად ოდნავ თავის მოხრით სალამის ღირსად ძლივსა ჰხდიდა.

ნუგზარ მივიდა იმ ადგილს, სადაც ურდოს შუაგულში, ცეცხლის პირას, ნაბადი იყო დაგდებული და ზედ მოიკეცა. მთიელთა ჯარის უფროსნი გარს შორი-ახლო შემოეხვივნენ.

– დასხედით, სიტყვა მაქვს, – მოკლედ, მაგრამ ბრძანებელის კილოთი და ბოხის ხმით დაიწყო ნუგზარმა.

მთიულებმა მოიკეცეს ბალახიანს ველზედ და მოთმინებით ელოდნენ, რას ეტყოდა იმ ხანებში ქართლში ნათესავების შემწეობით გამძლავრებული ერისთავი.

– ხალხო! – დაიძახა ნუგზარმა და ხმაში მრისხანება დაეტყო: – გუდამაყრელებსა, ხანდოსხეველებსა და ჭართლელებს უარი შემოუთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ და ვფიცავ ანანურის ღვთისმშობელს, რომ მკაცრად გადავუხდი მაგ უარისთვის, გავუმწარებ სიცოცხლეს და მზეს დავუბნელებ... ვეცდები, რომ მათ სოფლებში იმდენი ყვავილი არ გაწითლებულიყოს, რამდენსაც მათი სისხლით შევღებავ, იმდენი ყორანი არ მოიპოვებოდეს, რამდენსაც შავად შევმოსავ... იმათ მოთავეებს ჩემის ხელით ამოვგლეჯ გულებს, სიამოვნებით გამოვწურავ სისხლს და ჩემი გული მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხელი იგრძნობს მათს უკანასკნელს ფართხალს...

აქ ნუგზარ შესდგა რამოდენსამე წამს. მისი თვალები ბოროტების ცეცხლით აინთნენ და ჩასისხლიანდნენ. მსმენელთ შორის ბევრნი ისეთნი იყვნენ, რომელნიც პირზედ ღიმილით სიკვდილს ათასჯერ პირმომცინარნი შეჰგებებოდნენ და განუწყვეტლივ ბრძოლაში გული კაჟად გადაქცეოდათ, მაგრამ იმათაც კი ველარ შეიმაგრეს თავი და ნუგზარის სიტყვებზედ რაღაცა აღშფოთებამ უსიამოვნო ჟრუანტელად გაურბინა სხეულში. ხალხში სრული სიჩუმე იყო, ყველას სული გაენაბა.

– მაგრამ ეგ შემდეგისაა!.. მოხევეებისთვის ჩვენცა ვკმარვართ... მე არ მინდოდა ბევრი ბრძოლა, ვფიქრობდი, ერთბაშად გამესრისა ისინი, მაგრამ არა უშავს-რა... ხმლის თითო მოქნევის მაგიერ, ოროლჯერ მოვიქნიოთ და ისევ ის იქნება... ნუღარ ვიგვიანებთ, წავიდეთ დღესვე!

ნუგზარ, რომელიც თანაგრძნობის ყიჟინს მოელოდა, ერთბაშად შესდგა; ხალხში სიჩუმე ოდნავის შერხევითაც არ დარღვეულა. ნუგზარმა შეჰხედა იმათ და სახეს სიბრაზის ალმურმა გადაჰკრა.

– ხალხო, ეს რა ამბავია? – წარმოსთქვა იმან ცუდად დაფარულის თავშემაგრებით. ამაზედაც სრული სიჩუმე იყო პასუხად. ნუგზარმა ველარ მოითმინა და მრისხანედ

წამოიძახა:

– აქაც ღალატია, თუ შიში?!. ლაჩარო დიაცებო... ვინ გაჰბედავს ჩემს წინ უარს?!. ვინ არ გამომყვება? – ნუგზარ დადგა განზედ და კრებას ისეთ რიგად დაუწყო ყურება, თითქოს თვალებით შეჭმას უპირობდა.

მთიულთა მოთავეთ შორის გამოვიდა ერთი და პირდაპირ ნუგზარს დაუდგა.

– მე, შენი კვნესა-მე!.. მე არ გამოგყვები.

ამ სიტყვებზედ ნუგზარმა თოფის წამალსავით იფეთქა, გაივლო ხმალს ხელი, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

– შენა?.. შენ ამბობ მაგას?.. მაგრამ მართალი ხარ... შენი კაცობა ვის გაუგონია, შენი საქმე მანდილოსნებთან ყოფნაა... წადი შინ, მოუჯექ დედაკაცებს, ბრძოლის ველზედ შენ რა ხელი გაქვს?.. შენს მაგიერ შენი ჯარი მოთავედ სხვას ამოარჩევს და, უეჭველია, ის შენზედ გულადი იქნება.

მთიული, რომელიც მოთმინებით ელოდა ნუგზარის სიტყვების გათავებას, ერთბაშად გაიმართა წელში და მხოლოდ ხმის მცირედს კანკალზედ შეატყობდით, რომ საწყენი სიტყვები გულამდის ჩასწდომოდა.

– ჩვენი თავი, ნუგზარაუ, მეფემ შენ ჩაგაბარა... შენი სახელი დღეს მეფის სახელია და იცი, რომ იმის სახელი გიფარავს, მთიული ქართველთ მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს... რად მლანძღავ?.. ჩვენგან არც ერთი არ წამოვა, არც ვინ არ მოგექომაგება... რაი გვაქვს გასაყოფი მოხევეებთან?.. არა, ხალხო? – მიუბრუნდა მთიული დანარჩენებს.

– მართალია, მართალი, ლომისის მადლმა! – გრგვინვასავით გაირბინა ხალხის ხმამ. ამის ნახვაზედ ნუგზარი რაოდენადმე შეჰკრთა და აირია, რადგანაც ამგვარად საქმის დატრიალებას არ მოელოდა, მაგრამ, როგორც გამოცდილმა კაცმა, თავი მალე შეიკავა და უფრო დაწყნარებით ჰკითხა:

– მაშ, სიტყვა რად მომეცით, რადა მპირდებოდით?

– შენ გვითხარ, რომ პირ-იქითელს ოსეთზედ უნდა გავილაშქროთო, გვითხარ, რომ ჩვენს მეფეს ეწინააღმდეგებიანო, მოგვატყუე, რომ მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთო და იმად წამოგყევით.

– მართალი არის... მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთ, უნდა გადავახდევინოთ.

– ტყუილია. ტყუილი! – ერთხმად იგრიალა ხალხმა.

ნუგზარ სიბრაზით ტუჩებს იკვნეტავდა და გულით უნდოდა, შეეტყო, ვინ შეატყობინა მთიულებს ეს ამბავი.

– ვინ გითხრათ, რომ ტყუილია? – ერთბაშად წამოიძახა ნუგზარმა, რომელიც იმედობდა, რომ მოღალატის სახელს გაიგონებდა.

– თავად გვითხრეს, თავად! – მოისმა რამდენისამე კაცის ხმა.

– და თქვენც დაუჯერეთ?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! – ბოროტად გაიხარხარა ნუგზარმა.

– რად არ უნდა დაგვეჯერებინა?

– იმიტომ, რომ თქვენი შეშინებიათ და უნდათ, თავიდგან მოგიშორონ.

– ტყუილია, ტყუილი! – განიმეორა ხალხმა საერთოდ.

ნუგზარ მთლად გალურჯდა სიბრაზისაგან, რადგანაც ამგვარ პასუხს ის დაჩვეული არ იყო. იმ წუთში იმას რომ შესძლებოდა, იქავ ყველას გასრესდა, გაანადგურებდა, მტვრად აქცევდა და ქვეყანაზედ გაჰფანტავდა, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ, ნებაუნებლიედ, თავი უნდა შეეკავებინა.

– მაშ, იმათი სიტყვა გჯერათ? – იკითხა ნუგზარმა.

– გვჯერა, ლომისის მადლმა! – მისცა რამდენმამე კაცმა პასუხი: – გვჯერა იმად, რომ მოხევის კაცები იყვნენ, შემოგვფიცეს და ჭდე დასდეს... ჭდეს საით ეღალატების, არა, ხალხო?

– არ ეღალატების, არა!.. წავიდეთ, დავბრუნდეთ შინა! – ყვიროდნენ მთიულები, რომელნიც აიშალნენ, აირივნენ და თავიანთ ბინას ხელი წამოავლეს.

კარგა ხანს გრძელდებოდა ჟღავილ-ჟღუილი და ჩოჩქოლი, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც მთიულები პირველს ბეგობას გადაეფარნენ. დაცარიელებულს მინდორზედ მარტო ერთი კაცი ღა დარჩა. იმისი დაღვრემილი სახე ღრმა ფიქრს წაეღო და მთლად გაფითრებულიყო.

კარგა ხანმა გაიარა, რომ ეს კაცი ასე გაქვავებული იდგა, თითქოს განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. მერე ერთბაშად აიქნია თავი, დააღრჭიალა კბილები და მუქარით წამოიძახა: – თქვენი ფეხი დამკარით, თუ დღევანდელი დღისთვის არ გადაგიხადოთ!

XVIII

თრუსოს ხეობის გამოსავლელში, სადაც თერგი ვიწრო ხეობიდგან თავს აღწევს და იშლება კობის გადაჭიმულს ვაკეზედ, ოსების უკანასკნელს სოფელს ოქროყანასთან, საკმაოდ ხალხი მოგროვილიყო და მხიარულის სიმღერით დროს ატარებდა. თუმცა ეს მხიარულება და განუწყვეტელი ყიჟინა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი ხალხი რაღაცა სიამოვნებაში იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი არც რომელსამე დღეობას შეეყარა, რადგანაც არც ერთი ქალი არ მოჩანდა მათ შორის, და არც რომელსამე სახალხო დროს გატარებას; ყველანი თავიდგან ფეხებამდე შეჭურვილნი იყვნენ და ურიცხვი ბარგაკიდებული ცხენები ჭიხვინით ტოტებსა სცემდნენ მიწას და აქეთიქით მოუთმენლად მიიზიდებოდნენ.

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო, ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირობდნენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

ესენი ამ ლხინში იყვნენ, როდესაც თრუსოს ხეობის ხვეულს ბილიკზედ კორიანტელი ავარდა და მომღერლების ყურადღება მიიქცია.

ყველანი გაჩუმდნენ, გაიშალნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საიდგანაც მოჩანდა მტვერი. მტვერი თითქოს მოძრაობდა, ადგილს იცვლიდა და შეკრებილს ხალხს თანდათან უახლოვდებოდა.

აშკარა იყო, რომ რამდენიმე მხედარი ცხენებს მოაჭენებდა, მაგრამ ცხენების ფეხით ავარდნილი მტვერი და გზის ნაპირას მყოფი ქვები მაყურებელთ უშლიდა, მომავალნი დაენახათ. ცოტა ხანმაც ამ მდგომარეობაში გაიარა და ერთს ჩამოლესილს კლდის ნაპირზედ, ერთბაშად, თითქოს მიწიდგან ამოიზარდნენო, გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ამ ადგილს ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მომავალნი კლდიდგან ცხენებს გადმოხტომას უპირებენო; ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, მედიდურს და გულისშემტაცებს ოცნებად მოგეჩვენებოდათ და გასურვებდათ, მათთვის თვალი არ მოგეშორებინათ, მაგრამ სწრაფად გამოჩენილები სწრაფადვე ჩაიმალნენ ამაღლებულს ქედის უკან, ისე, თითქოს წუთზედ ამოჩენილნი წუთზედვე მიწამ ჩანთქაო.

თუმცა ამ სურათის ცვლილება წუთზედ მოხდა, მაგრამ შეყრილის ხალხისათვის ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ მგზავრები ეცნო.

– ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! – დაიძახა სიხარულით ხალხმა და სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირისახეზედ.

დიაღ, ეს გახლდათ ნუგზარი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგულის ოსების ურდოსკენ, სადაც, პირობისამებრ, ისინი უნდა მოგროვილიყვნენ, აქ შეერთებოდნენ მთიულებს და საერთო ძალით ხევზედ გალაშქრებულიყვნენ.

ოსებს ძალიან გაეხარდათ ნუგზარის დანახვა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსვლა მაყურებლებს მეტად აკვირვებდა, რადგანაც ნუგზართან ერთად მთიულებსაც მოელოდნენ; ოსებმა სრულიად არა იცოდნენ-რა მთიულების შინ დაბრუნებისა, რადგანაც უკანასკნელები პირდაპირ ლომისის მთაზედ გადასულიყვნენ და ოქროყანას მოგროვილ ოსებს ველარ შეხვდებოდნენ.

– მარტო რად მოდის? საკვირველია, ღვთის მადლმა! – იძახდნენ ოსები, მაგრამ ისევ მალე მშვიდდებოდნენ ზოგიერთების პასუხით:

– ალბად ჯარი უკან მოდის და ეგ კი თავდარიგის მისაცემად წინ წამოსულა.

ამ სიტყვების შემდეგ ოსების ურდოდგან განცალკევდა რამდენიმე გამორჩეული მხედარი, ამხედრდა და თავსბრუ დამხვევის სისწრაფით ნუგზარის მისაგებებლად გაჰქუსლა.

ყველანი მიაჭენებდნენ სიმღერით, თოფის სროლითა და ყიჟინით და თანდათან უახლოვდებოდნენ ერისთავს, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მთის ბილიკებიდგან ჩამოსვლა მოესწრო და გათქვირებულს ცხენს, მთლად ოფლში გაქანებულს, მოაქროლებდა.

ოსები და ნუგზარ გაექანნენ ერთმანეთისკენ და ცხენებს ჯილავი მხოლოდ მაშინ მოსწიეს, როდესაც მათი შუბლები თითქმის ერთმანეთს შეეხო. პირდაღრენილი ცხენე-

ბი უკან მოაწყდნენ, უკანა ფეხებით ჩაიჩოქეს და გაქვავებულსავით შესდგნენ.

– და ფანდაგ რასტ (გზა მშვიდობისათ)! – მიესალმა ნუგზარ და პასუხად მიიღო:

– და ყუტა რასტ!

– სხვა?! როგორა ხართ, რასა იქთ?

– კარგად ვართ, ღვთისა და შენის წყალობით.

– ჯარი მოგროვდა?

– მოგროვდა; ყველანი იქ არიან, – უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულს ოსებში თაობდა.

– ხომ არავინ დაჰკლებია? – მზრუნველობით კითხულობდა ნუგზარ და ცდილობდა, მხიარულად სჩვენებოდა, თუმცა შუბლი შესჭმუხვნოდა და პირისახეზედ მწარე დუმილის ბეჭედი დასტყობოდა.

– თუ კი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? – მოუქასურა ოსმა და დაუმატა: – ყველანი აქ არიან, შენი ჭირიმე, ყველას შენი სამსახურისთვის თავი გადაუდვია.

ნუგზარს სიამოვნების ნაპერწკალმა გაურბინა გულში, სახე რაოდენადმე გაუღიმდა, მაგრამ მაშინვე ისევ გაფითრდა, შუბლი შეიჭმუხვნა.

– მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ნავრუზ!

– აბა, რა მადლობას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, შენი სამსახურის ღირსიც კი არა ვართ, არა, ჩემმა მზემ!.. არა, ბიჭებო? – მიუბრუნდა ოსებს.

– ჰაი, ჰაი, რო აგრეა, – დაუმოწმეს სხვებმა.

ნუგზარ გაჩუმდა, რადგანაც მისი გონება მეტად სატანჯავს საგანს დააკვირდა, მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო, რადგანაც ოსების გულადობა მხოლოდ მთიულების დაამხანაგების გამო წარმოსდგებოდა და კარგად იცოდა, რომ, თუ იმათ მოშორებას თრუსოელები გაიგებდნენ, მათი დაჭერაც ძნელი-ღა იქნებოდა.

მაშ როგორ მოქცეულიყო, რომ ოსები არ შემოჰფანტოდა და მათზედ გავლენა არ დაეკარგა, როდესაც ეს უკანასკნელები ჭეშმარიტებას შეიტყობდნენ? ეთქვა ყველაფერი პირდაპირ, თუ დროსთვის მოეცადნა?

აი, ეს იყო ის მწარე ფიქრები, რომელთ გადაწყვეტასაც ნუგზარის მთელი არსება შეეპყრო და, ყოველთვის ამაყად მოსაუბრისთვის, დღეს პირში სიტყვა გაეწყვიტა.

– მართლა, შენი ჭირიმე, სულ არ დამავიწყდა! – დაიწყო ნავრუზმა.

– რაი ამბავია? – მოკლედ იკითხა ნუგზარმა.

– ლეკებში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა!

– დაბრუნდა?! სად არის? მიჩვენე ჩქარა! – მოუთმენლად წამოიძახა ნუგზარმა და თვალები გაუბრწყინდა.

– იქ, ბინაზედ არის.

– რა ამბავი მოიტანა?.. მითხარ, მითხარ ჩქარა!..

– ლეკებიც ამაღამ გადმოვლენო, – უთხრა ოსმა და ნუგზარი სიხარულით აინთო.

– მართალს ამბობენ, მართალს?! – დაფანტვით მივარდა ოსს, მაგრამ საჩქაროდ თავი შეიკავა, გასწორდა, გაიმართა ცხენზედ და კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა: – ახლა კი მე ვიცი.

ამ წუთის შემდეგ ნუგზარ ისევ გამოიცვალა და, თუ წეღან რაღაცა მოლბობილი და თავმდაბლობის კილო გამოითქმოდა მის საუბარში, ეხლა სრული მბრძანებელი შეიქნა.

– მაშ, გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ! – ეს წარმოსთქვა, შეიბერტყა, გასწორდა ღა გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრით. წუთს შემდეგ ისინი ოქროყანის ბანაკში გაჩნდნენ და ნუგზარ მბრძანებლობდა სრულის თავის მედიდურობით.

XIX

ნუგზარის მოძრაობა მოხევეთათვის ფარულად არა რჩებოდა, რადგანაც, ერთის მხრით, ოსებს უთვალთვალებდნენ თავგამოდებული მოხევეები, რომელნიც უშიშრად ხან საიდგან მოექცეოდნენ მტრის ჯარს და ხან საიდგან, დაწვრილებით ტყობილობდნენ მათს მდგომარეობას და ყოველ დღევე ხევისბერს გოჩას უამბობდნენ; მეორეს მხრით, ოსები საიდუმლოს ვერ ჰფარავდნენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლად ჰყიდდნენ.

ერთს საღამოს, მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც გოჩამ შემოიკრიბა თავისი ხალხი და, დამწყალობების შემდეგ, დაიძახა:

– ხალხო და ჯამაათნო! ნუგზარისგან მთიულების გაშორებამ ომი თავიდგან არ აგვაცილა... მათ მაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რაისთვი დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების, ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ვეღარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტერი ძლიერია და ნუგზარ კი – სისხლით გაუმაძღარი... იცოდეთ, სახუმრო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების, რამდენადაც საქმე გაჭირდების, იმდენადაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთზედ ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების, იმად რომ ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალნი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირობენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს გაწბილებას და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანეტაროც არის!.. ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი? ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის!

– დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარზე მომდგარს მტერს გამოექცეს, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოღალატეს რისხავდეს სამება!

– ო-ომენ! – იყო საერთო გრგვინვასავით პასუხი, რომელიც ახლო მყოფმა მთებმა ბანსავით რამდენჯერმე გაიმეორეს. ხალხი აღელდა და აიშალა, გოჩას თვალებს კი ცრემლი მოერია და გულმა ვეღარ გაუძლო, რომ შურით არ წამოეძახნა:

– ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ღონე გერჩისთ. ნეტავი თქვენ, რომ იბრძოლებთ. ნეტავი იმას, ვინც ამგვარს საქმეში მოკვდების, სასუფევლის გზა გაკაფული აქვს.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი შემოჯგუფდნენ საყდრის გალავნის კედელთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა, რათა საერთო პურის ჭამის დროს ერთმანეთს გამოსალმებოდნენ და თავიანთ ადგილებზედ გასულნი, თავის მოვალეობას შესდგომოდნენ. ვინ იცის, ხვალ ვისი მზე დაბნელდებოდა, ვისი თვალი დაიხუჭებოდა, ვისი დედა ატირდებოდა მდუღარე ცრემლით.

XX

ბინდბუნდი იყო; დღე წყნარადა ჰქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები სევდიანად ესალმებოდნენ მთის წვერებს. გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედამიწიდგან და ოშხივარსავით ეფინებოდა მწვანე მინდორს. სოფლის სიონის სამრეკლოდგან ღამის გუშაგებს თავთავიანთ ადგილებზედ გასვლა ანიშნეს. ზარის ხმა დანოტიოებულს, გაჟღენთილს მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ჟღრიალებდა. მოხევეთა გუშაგებს რაღაცა განსაკუთრებული მოუსვენებლობა ეტყობოდათ. ყველას პირისახეზედ მზრუნველობის ბეჭედი დასტყობოდა; გაფრთხილებულნი სმენად და ჭვრეტად გადაქცეულიყვნენ; მცირედი მოძრაობა არ გამოეპარებოდათ და თუ თვალით ვერ დაინახავდნენ, მოძრაობის ხმას ყურს მაინც არის მოჰკრავდნენ. ასეთია მდგომარეობა კაცისა, როდესაც იგი აღელვებულია, მოელის რასმე. მოხევეთაც გამოეცხადათ, რომ მომავალს ღამეს ნუგზარ უნდა დასცემოდა და ყველანი ემზადებოდნენ, გაუფრთხილებლობით არა წაეგოთ-რა და სხვა კი ღმერთზედ და შემთხვევაზედ მიეგდოთ.

ამ საერთო მზადების დროს, გოჩას საწოლის კარები ვიღამაც შეაღო და იქავ კარებში შეჩერდა. მოხუცი ქუდმოხდილი პატარა ჯვარცმის წინ იდგა და მხურვალედ ლოცულობდა. მას მაღლა აეღო თავი და თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შეხურებულ გულს სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორედ დალაგებული თმა, ეხლა ძარღვთა ჟრიამულს აეშალა. გადაჭიმულს ყელზედ გამაგრებული და სისხლით გაჭედილი ნეშტვები ხნიერებისაგან მოღმენჭილს კანს ქვეშ ამობურცებოდა. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ სახის მოძრაობაზედ აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება, შემორტყმოდა გულსა და სისხლს უჩუხჩუხებდა.

შემოსულმა ვერ გაჰბედა ამ წმინდა მყუდროების დარღვევა, წყნარ-წყნარად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას, ჯერ გახევდა, მერე წყნარ-წყნარადვე თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრძნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა; კიდევ ერთი წუთიც და, აშკარად გაიგონა: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!“ და ამ სიტყვებზედ კარებთან მყოფი შეჰკრთა. შეჰკრთა მოხუციც მის მოძრაობაზედ; მოიხედა და დასუსტებული წყნარად წამოდგა. მივიდა შვილთან ლასლასით, დაადო თავზედ ხელი და აღელვებულმა მთრთოლვარეს ხმით განიმეორა:

– ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს!..

ამ სიტყვებზედ მოხუცს გამხდარ ღაწვებზედ გადმოედინა მდუღარე ცრემლები, რომელნიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ვეღარ გაუძლო, მოხუცის მოჩვილების ხილვით თითონაც მოლბა და თვალები წვიმაში მზის მსგავსად გაუბრწყინდა. იმან იგრძნო, რარიგად უყვარდა მამას, რა უნდა ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსაცდელი კი იქავ ახლოს, ზურგს უკან ედგა; რამდენიმე წუთის შემდეგ მთვარის შუქზედ მახვილი გაკრიალდებოდა და ჰაერში სტვენით და ზუზუნით წამოსული, ვინ იცის, ვის პირზედ ღიმილს გააცივებდა, ვის გრძნობის მოჩუხჩუხე წყაროს ყინვასავით მოასწრობდა.

– მამაისი, რაი გატირებს?

– ვინ იცის, რაი შეგემთხვევა, – ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

– რაი უნდა შემემთხვას? – გაუმაგრა გული ონისემ, – ღმერთი მოწყალეა!.. მტერს გავაბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

– ბრძანოს უფალმა, – წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა: – წადი, ონისე, დროა... ღმერთიმც იქმნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების!.. მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს.

– მაგას ნახავ!

– არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟვენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ...

მოხუცი შესდგა, დააცქერდა შვილსა, რამდენჯერმე სცადა კიდევ რაღაცის თქმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ხელი გაუქნია და ძლივსღა წარმოსთქვა:

– წადი, კარგია...

ონისე სწრაფად გამოვიდა და გაემართა დანიშნულ ადგილისკენ, მოხუცი კი იმავ ადგილიდგან თვალს ადევნებდა იმ დრომდის, ვიდრე შვილი სახლის კედლებს არ მოეფარებოდა.

მერე ოდნავ ამოიხვნეშა, გადისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

– ახლა ჯარს უნდა მივხედო.

XXI

ონისე გასვლის უმალ გაემართა ნაროვანისკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და, თავისი გუნდის უფროსის ბრძანებით, მტერზედ თვალი დაეჭირა და მათი მოახლოვება დროზედ შვეტყობინებინა.

ის მიდიოდა ჩვეულებრივის სიფრთხილით, როდესაც მის წინ რაოდენიმე მანძილზე ქვა ვიღამაც შეანძრია. ონისე ვეფხვივით გადახტა გზას იქით, ამოესაფრა ქვასა და ღამის მშვიდობიანობის დამრღვევს მოელოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხვეულს ბილიკზედ გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, აშკარად ესმოდა. წუთიც და გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყვანდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთიდგან ჯარის-

თვის ყველი მოჰქონდათ.

ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევენი უნდა ყოფილიყვნენ და, ის იყო, თავის საფარიდგან გასვლას აპირობდა, როდესაც აშკარად გაიგონა თავისი სახელი და სული განაბა.

მომავლები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და თითქოს მათ შორის უკმაყოფილება ეტყობოდა.

ორნივ გაუსწორდნენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზედ ჩამოსხდნენ.

– ქალაუ, – დაიწყო კაცმა, – ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავილიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

– რაი ვქნა, თუ კი არ მიყვარხარ.

– ვითმენდი და აბა... აქამომდის ზღვას დააშრობდა, რაც გულში ცეცხლი მენთებოდის... მოვმკვდარვიყავ მაინც, გზა მოგეცემოდის.

– რაისთვი თავს არ მანებებ!.. რაი გინდა ჩემგან? ძალად ხომ ვერ შეგიყვარებ?

– თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს.

– მაშ, რაი გიყო?

– რაი მიყო და, ცოლობა უნდა გამიწიო.

– კარგი-ღა, ღვთის მადლსა, ბიჭაუ!.. გითხარ, არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა!

კაცი გაჩუმდა რაოდენსამე ხანს და თავჩაკიდებული იყო. შემდეგ წყნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდნენ.

– იყუჩე, ქალაუ!.. შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მე აღარ გებრალები. ქალმა შეჰხედა და მხრების აწევით უპასუხა:

– შესაბრალებელი რაი მაქვს! მომკლავ და გული დამშვიდდების...

– მაშ, აღარ იქნების?.. არც როდის არ დამიბრუნდები, არ შემიყვარებ?

– არა.

კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

– მაშ, იმისი უნდა იქმნა?.. გგონია, რომ დაგანებებ?.. დაგითმობ იმას?.. ღვთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არვის ვახარებ.

– აი, მომკალ!.. ცხვებს რაისთვი ექადი, რას ემართლები! – ქალმა მიუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აღგზნებულის თვალებით დაუწყო ყურება.

კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

– მაშ, სიკვდილი გინდა?.. კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან...

ამ სიტყვებით კაცი გადახტა გზას იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბეგობას გადაეფარა და მწარედ შესძახა:

– გუგუაუ, გუგუაუ!.. ნუ დამღუპავ, რას ჩადი!.. ვაიმე დაღუპულმა! – წამოიძახა იმან და გაქანდა ფრიალო კლდისკენ.

ის-იყო, მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირობდა, როდესაც ვიღამაც ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა.

ქალმა მოიხედა და ღონემიხდილმა ძლივს-ღა წარმოსთქვა:

– ონისე! – და კაცის ხელებზედ მიელუშა...

XXII

კარგა ღამემ გაიარა. მოწმენდილს ცაზედ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ნაზის სხივით იქაურობას ეკამკამებოდა.

ონისე და ძიძია იმავ ადგილს ისხდნენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დასცა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და დაბანგულებსავით სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდნენ. მთვარის შუქი ნაზად შესთამაშებდა ძიძიას დათენთილს სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც გიჟსავით ჰკოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანეთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს, და კვნესაშერეულის სიტკბოებით აღსავსე გულს აფართხალებდა. ორთავ დავიწყებოდათ, სად იყვნენ, დავიწყებოდათ თავიანთი თავი და მხოლოდ ერთს-ღა ცდილობდნენ, რომ ერთი მეორეში გადაქცეულიყო.

ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს, მხოლოდ ეხლა მოა-

გონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალწინ წუთზედ გაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალწინ გადეშალა შემაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც, ონისეზედ დაიმედებულნი, მიწოლილიყვნენ და უზრუნველად დაეძინათ.

ქვეით გაიმართა მკვირცხლი თოფის სროლა. თოფები ელავდნენ, ცეცხლები ენებსავით გრძელდებოდნენ და გრიალით განაქრობდნენ ლომებრივ მამაცთა სიცოცხლეს.

ონისემ შეჰხედა ძიძიას, გული აუდუღდა და გუნებაში გაურბინა სიტყვებმა: მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!.. მშვიდობით, ჩემო ვაჟკაცობავ!

ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთით თავის დავიწყება, მაგრამ გვიან-ღა იყო: მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აეღო და მათი დროშა ონისეს დახოცილი ამხანაგების ხროვაზედ ფრიალებდა.

ჩვენ და ტექსტი

1. აღწერეთ ხევის მდგომარეობა ნუგზარ ერისთავის ლაშქრობის წინ. როგორ ახასიათებს ავტორი ნუგზარ ერისთავს; როგორ ჩანს მის პორტრეტში ამ პერსონაჟის ბუნება?
2. აღწერეთ მთიულთა წინააღმდეგობა. ვინ იწყებს ამ წინააღმდეგობას და რატომ? როგორ ცდილობს ნუგზარი ქართველები ერთმანეთს გადაჰკიდოს? რომელი გარეშე დამპყრობლები მიმართავდნენ იმავე ხერხს? თქვენი აზრით, რომელი ისტორიული მაგალითი ჰქონდა მხედველობაში ავტორს ამ ეპიზოდის გადმოცემისას, რა ისტორიული ალეგორია შეიძლება იგულისხმებოდეს ამ ეპიზოდში?
3. აქ დახატული რეალობის გათვალისწინებით, ლეკებსა და ოსებს თავად სურთ ხევზე გალაშქრება თუ მათ სხვა „ამხედრებს“? იციან თუ არა ამის შესახებ მოხევეებმა?
4. საქართველოს ისტორია და ლიტერატურა მრავალ სალაშქრო სიტყვას იცნობს, რომლითაც მხედარმთავარნი მოლაშქრეებს ბრძოლის წინ მიმართავდნენ. შეადარეთ ისინი ხევისბერის მიერ წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვას. კონკრეტულად, რომელ ეპიზოდებში იგრძნობა ისტორიული და ლიტერატურული ტექსტების გავლენა?
5. გადმოეცით, გვიანი შემოდგომის სურათებში როგორ იხატება ბრძოლის წინ გარინდებული ხევის სურათები?
6. გადმოეცით ხევისბერის პორტრეტი, როცა ის ბრძოლის წინ განმარტოებით ლოცულობს. რით გამოირჩევა იგი ხევისბერის წინამორბედი პორტრეტებისაგან? რაზე ლოცულობს მოხუცი განსაკუთრებით მხურვალედ? მლოცველი ხევისბერის პორტრეტში სად ჩანს, რომ ხევის მამა რაღაც გაურკვეველ შიშს შეუპყრია? „ადრევე მოუსპე სიცოცხლე“, – საკმაოდ უცნაური დასაწყისია ხევისბერის ლოცვისთვის, რატომ სთხოვს ღმერთს ასეთ გაუგონარ რამეს ხევისბერი? რა ქვეცნობიერი შიში აწვალებს მას?
7. მლოცველი გოჩას სახის ხატვისას, რომელ ეპიზოდში „ასწრებს“ მწერალი მოვლენებს, რა სახიფათო ინტონაციები შემოიჭრება თხრობაში?
8. შეშფოთებული მამის სახის გადმოცემის შემდეგ, შესაძლებელია, მოვლენები უმტკივნეულოდ და მშვიდად განვითარდეს, არაფერი მოხდეს? მოვლენათა ასეთი განვითარების შემთხვევაში, რა დანიშნულება ექმნება საწოლ ოთახში მლოცველი ხევისბერის სცენას და საერთოდ მთელ თავს? რა ტრაგიკულ გარდუვალობაზე მიგვანიშნებს ეს ყველაფერი? საიდან ჩანს, რომ განსაცდელი გარდაუვალია?
9. „მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!..“ – გაიფიქრებს ონისე; თქვენი აზრით, რამდენად მართებულია მის მიერ ძიძიას დადანაშაულება?

XXIII

ონისე თავგადაგლეჯილი მირბოდა თავქვე და გონებადაფანტულმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა.

მტრის ლაშქარს აეღო მოხევეთ პირველი სანგალი და მისი დამცველნი თითქმის მთლად გაეწყვიტა. საცოდავი ჰგრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავდავიწყება, რომლის გამოც იმდენი მამაცი ბედის უცდელად, ბიჭობის გამოუჩენლად შეიმუსრა, და სინიდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო ტანჯვა. გონება სინანულის მეტს ვეღარაფერზედ ვეღარას ფიქრობდა და დაძმარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა და ანადგურებდა.

ის გარბოდა და პირისახე გიჟს დამსგავსებოდა; ქუდი მოხდოდა, თმა ასწეწიყო და ტანისამოსი არეოდა. ამღვრეულს თვალებს თუმცა უნუგეშოდ, მაგრამ როგორღაც უცნაურად აქეთ-იქით ატრიალებდა. კაცი ვეღარ იტყოდა, იმ წუთში რას გამოსთქვამდა მისი სახე, რადგანაც მისი აზრის ტრიალი ელვასავით მკვირცხლი იყო და წუთზედ ათას რიგად იცვლებოდა. ის მირბოდა გამარჯვებულის მტრის რაზმისკენ, რადგანაც გონება პირველი აზრის გაელვებას შეეპყრო და მხოლოდ იმას მოჰყავდა მოძრაობაში საკუთარს წადილს მოშორებული მოხევე. ეს იყო სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო, იმ მახვილით, რომელიც მისი მეზობლების უბრალო სისხლით შეღებილიყო.

ის იყო, ონისე იმ ჭალაში ჩავიდა, სადაც გამარჯვებული ოსები მხიარულის ვარაიდათი ფეხქვეშ ჰქელავდნენ მამულის დამცველთ პატიოსანს გვამებს და აპირობდნენ თავიანთ ბანაკისკენ გაბრუნებას, როდესაც წინ შეეფეთა რამდენიმე მოხევე, აღებულის სანგალის გუნდიდგან გადარჩენილნი.

– ვინა ხარ? – ერთბაშად ონისეს წინ გადაეღობნენ მოხევენი, რომელთაც თოფის ტუჩები დაადეს გულზედ.

– მე ვარ! – გაბრაზებით, მაგრამ თითქმის ტირილით შესძახა ონისემ, – მესროლეთ, მომკალით!.. მადლია თქვენთვის!

– აბაიმე, ონისე! – წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს.

– მადლი უფალს, ცოცხალი გადარჩენილხარ, – დაუმატა მეორემ.

ონისემ დაღონებით შეჰხედა, მაგრამ მაშინვე თვალები ელვასავით გაუბრწყინდა: იმას ეგონა, რომ მოლაპარაკემ იცის მისი საქციელი და დასცინის, მთლად აენთო და იწოდა უხილავის ცეცხლით, რომელიც მით უფრო ძნელი იყო, რომ არ დარჩენოდა სახსარი, სადაც ძალზედ არ აღგზნებიყო და თავისი ძალა არ ეგრძნობინებინა.

– მომკალით, ღირსი ვარ, მომკალით!.. ღთის მადლსა, ნუღარ დამინდობთ! – ემუდარებოდა ონისე და მდუღარება გადმოსდიოდა, – მომკალით, გეუბნებით, მადლია თქვენთვის!.. თუ დაბრმავდით, რომ ვაჟკაცი დიაცივითა ვტირი!..

მოხევეები გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ონისეს და ვერ მიმხვდარიყვნენ მის საქციელს.

– მაშ, აღარ გებრალებით, აღარა?!. გინდათ, ასე ვეწვალო?! მოსტყუვდით, ღთის მადლმა! ეგრე არ იქნების... ონისე ქვეყნად აღარ ივლის, მტერს არ გააცინებს!.. გიხარიანთ, გიხარიანთ განა?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! – მწარედ გაიხარხარა ონისემ და გაჰქანდა მტრის ბინისკენ.

პირველის გაშტერების შემდეგ, იქ მყოფნი მოხევენი გონს მოვიდნენ, გამოეკიდნენ ონისესა და დაიჭირეს.

– სად მიხვალ, რას სჩადი, ბეჩაუ!.. გონთ-გამოსულხარ, თუ რაია?!. – ეუბნებოდნენ ონისეს, რომელიც ძალზედ იბრძოდა და ცდილობდა, გაშვებინებოდა.

– რაი გინდათ, რად მიჭერთ?.. სადაც ამხანაგები დამილიეს, მეც იქ უნდა ჩავეკაფვინო... მაშ, თუ ეგრეა, თავად მოვიკლამ თავსა! – წამოიძახა ონისემ და ჩახმახწამოყენებულის დამბაჩის ლულა პირში მიიცა, მაგრამ ვიღამაც ხელიდგან გამოსტაცა და სიკვდილს ასე გადაარჩინა.

იქ მყოფთ ეგონათ, რომ ონისე მეგობრების გაწყვეტას აერია და, რადგანაც გონს ვეღარ მოეყვანათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი, შეჰკრეს და თან წაიყვანეს.

– უღმერთონო, რას მემართლებით? – გულსაკლავად წარმოსთქვა ონისემ და ჯავრისაგან გამოწვეული მდუღარე გად-

მოედინა: – რაი გინდოდათ, მოვეკალი... ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებთ?

კიდევ ბევრსა ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგანაც ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისკენ მიესწრაფებოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.

XXIV

ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. პირისახე ზაფრანად გარდაჰქცეოდათ, ტუჩები მოჰკუმოდათ და თვალები ცეცხლებსავით ანთებოდათ.

მეტისმეტად ძნელი იყო მათი მდგომარეობა, რადგანაც მტერთან შებრძოლებაც კი ვერ მოესწროთ და ისე უნდა დამორჩილებულიყვნენ, ან დიაცებრ გამოქცეულიყვნენ, ან არა და, ცხვრებსავით კისერი მიეშვირათ, რომ სისხლით გაუმაძღარის ნუგზარის ჯარს შეუბრალებლად ხანჯალი ან ხმალი გამოესვა.

ბრძოლას გულით მოწადინებულებს, თითო სროლაც კი ვერ მოეხერხებინათ, ისე დაეცნენ თავზედ და, ვინ იცის, რამდენი სალექსე ქებაშესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავმოსაწონი, უცდელად გაფუჭებულიყო.

ვინც გადარჩნენ, ან იმათ რაღა მოელოდათ? სათემოდ მოყივნება, რადგანაც მთაში გაუფრთხილებლობით საქმის წახდენა მასხარად ასაგდებია, დამარცხება კი – უბედურება!.. პირველ შემთხვევაში ყველასგან ზიზღი, დამცირება მოელის, მეორეში კი – სიბრალული და თანაგრძნობა.

მიმავალნი მოხევენი იქამდის დაეხოცა თავიანთ უბედურებას, რომ თავიანთ თავს იმის ანგარიშსაც ველარ აძლევდნენ, თუ როგორ მოეპარა მათ ნუგზარის ჯარი ისე, რომ მოძრაობა ვერც კი გაეგოთ.

იმათ მხოლოდ ერთი დასამშვიდებელი ის-ღა ჰქონდათ, რომ სამი კაცი შეკრული მიჰყვანდათ და, მათის აზრით, ესენი იყვნენ ოსების და ლეკების გზის მაჩვენებლები.

ამათ შემოეპარებინათ იმათი ჯარი და მოხევეთათვის გარს შემოერტყათ.

ამ დაჭერილთ შორის იყო ორი ოსი, რომელნიც თავიანთ ხალხს ადრიდგანვე გამოჰქცეოდნენ და ხევს შემოჰხიზნებოდნენ, ამათგან გაცემა და ჯაშუშობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მესამე დაჭერილი უხეთქავდა მათ გულსა. ის იყო მოხევე და მისი საქციელი მთელს ხევს ჩირქად ეცხებოდა.

დაღონებული, დასუსტებული და სულიერად დაცემული ონისე მისდევდა ამ ხალხს და თვალი ვერავისთვის გაესწორებინა.

– ონისე, შენც დაგიჭირეს? – ერთბაშად გაიგონა იმან, შეჰკრთა, მიიხედა და გაშტერდა.

იმის თვალწინ იდგა გაფითრებული და აღელვებული გუგუა, რომელიც მთლად კანკალებდა.

– გუგუა! – ბოლოს ძლივს მოახერხა ონისემ და ანიშნა შეკრულს ხელებზედ: – რაი მოგსვლია, რაისთვი შეუკვრიხართ?

– ღალატს მაბრალებენ, – ყრუდ წარმოსთქვა იმან და მეტის სიბრაზით გადააფურთხა.

ონისე ამ კაცს კარგად იცნობდა, გამოცდილი ჰყვანდა და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამხანაგების ღალატი შეუძლებელი იყო. ამის გარედ, ამ უბედურობის შემთხვევის წინედ, გუგუა ძიძიასთან ერთადა ნახა, თავის ყურებით გაიგონა მათი ლაპარაკი და დაინახა, რომ სრულიად სხვა აზრით გასწია მოხევეთა ბინისაკენ. გუგუას ონისეს სიკვდილი უნდოდა, ონისე იყო მისი მტერი, მისდამი აღვსებოდა გული მძულვარებით.

„მაგრამ, იქნება“... – ერთბაშად გაურბინა ონისეს თავში: „ამ კაცს ჩემი მტრობა ედო გულში, მაგ ჯარის მშვიდობიანობა მე მქონდა მონდობილი და შურისძიების გრძნობამ მოღალატედ გახადა?“ – ონისეს წარბები შეეჭმუხნა და უსიამოვნო გრძნობა კბილების ღრჭიალზე დაეტყო.

– რაისთვი არას მეუბნები? – დაიწყო ისევ გუგუამ.

– რაი-ღა გითხრა?

– მაშ, არა გაქვს-რა სათქმელი? – მწარედ წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: – იყოს, მეც გავჩუმდები... უფალს მადლობა უთხარ, რომ თავს ველარსაით ვიმართლებ.

თორემ, ღთის მადლმა, მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი... ეხლა დღე შენია. შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა... ალბათ, უფალს ეგრე უნდა და დეე, გაბრწყინდეს... სიკვდილს არ ვნანობ, მაგრამ ვაი ამითი, რომ ყველასთვის მოძმეთ მოღალატე დავრჩები.

ამ სიტყვების შემდეგ გუგუამ ჩაჰკიდა თავი, თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა კისერზედ, მწარედ ამოიხვნეშა: „ოჰ-ჰ!“ და განშორდა ონისეს; ონისეს გულს კი ერთი წვეთი ნაღველი-ღა აკლდა, რომ გავსებულიყო და გუგუამ დამატებით ჩაუწვეთა.

XXV

ჯერ კიდე დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა, მათ შეეტყოთ, რომ ნუგზარის შეერთებულს ჯარს მათი სანგალი აეღო, და შიგ მყოფ მოხევეთ გუნდისაგან მხოლოდ მცირე რიცხვი-ღა დარჩენილიყო. ყველა აღგზნებულიყო გადახდის სურვილით და თვალებანთებულნი, პირგამეხებულნი ხმამაღლად გადახდევინებას ითხოვდნენ.

– სისხლი, სისხლი! მოძმეთ სისხლი ავიღოთ! – იძახდა მთლად ხალხი და ამ სიტყვის მეტი მათგან სხვა არა გაიგონებოდარა. მათ შორის მხოლოდ ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ავიწყდებოდა, როგორს მდგომარეობაშიაც უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა ,საქმის ყოველივე მხრისათვის ყურადღება მიექცია.

ეს გახლდათ გოჩა და ამისთვისაც იმან დაიბარა სანგალზედ გადარჩენილი მოხევენი.

გოჩას დიდი იმედი ჰქონდა თავის შვილისა და ის კი იქ იყო; მაშ, როგორ მოხდა, რომ მტერი შეუმჩნევლად დაეცა?

– მითხარით, ჩქარა მითხარით: საქმე როგორ იყო? – დაიწყო გოჩამ, რაწამს დაბარებულები დაინახა.

– რაიღა როგორ იყო, – დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა: – ოსი ბეჩირაი და თაფსირუყო წასულიყვნენ მტრებთან, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სანამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

მოსაუბრე გაჩერდა და გოჩა კი მთლად სმენად გადაიქცა. მისი გული თრთოდა და თითქოს რაღაცა უსიამოვნებას მოელოდა.

– ცხო? ცხო თუ აღარვინ ყოფილა? – იკითხა გოჩამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და წარბები შეეკრა.

– ბარემდის, რომ იმის მეტი არვინ ყოფილიყო?

– ცხო ვიღაა? – საჩქაროდ იკითხა გოჩამ და თვალები აენთო.

ის ჩააცქერდა მოსაუბრეს, რომელსაც მოღალატის დასახელება თითქოს უჭირდებოდა.

– ვინაა-მეთქი? – მკაცრად გაიმეორა გოჩამ.

– გუგუაი.

– როგორა, როგორ სთქვი? – ზარდაცემულსავით წარმოსთქვა მოხუცმა და ყელმა ხრიალი დაუწყო. გოჩას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

– გუგუაი! – გაიმეორა მოხევემ.

მეტისმეტად ძნელი გასაგონი იყო გოჩასთვის თავისი მეზობლის დასახელება, იმ მეზობლისა, რომელიც იმის სამწყსოს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, გუგუას ზნეობრივს მიმართულებაში მასაც წილი უნდა სდებოდა.

– უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე! – წარმოსთქვა მოხუცმა და თვალები ზეცას მიაპყრო.

მის გულს მწარედ სდაგავდა ამგვარი შეურაცხყოფა მთელის ერობისა და კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო, ამ მაგალითს ხალხზედ მეტად ცუდი გავლენა ჰქონოდა.

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა, გაჩუმდა და დიდხანს ხმაამოუღებელი იდგა. იმის პირისახე ამ ხანში მთლად მოძრაობდა და ააშკარავებდა, რომ მისი გონება შეუწყვეტლად მუშაობდა და მოაზრებაში იყო.

ბოლოს მოხუცმა გადაისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი, რამდენჯერმე შეჰხედა გამომცდელის თვალით მოსაუბრეს და პირველად დაეტყო გაუბედაობა. მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და საყვედურს ერთად გამოსთქვამდნენ. მაგრამ რა გასჩენოდა ხევის ბერს, ხევის მმართველს უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვე-

დურო? გოჩას ერთადერთი შვილი ჰყვანდა, ონისე დაღუპულის სანგალის დამცველთა შორის იყო და ის არსადა სჩანდა... მაშ, რა იქნა. რატომ არ ეუბნებოდა რასმე მოსაუბრე უბედურს მამას?.. თუ მოკვდა, რატომ მის გმირულის სიკვდილის ამბით არ ანუგეშებდა მშობლის სევდამოცულს გულს?

ყველა ეს მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და მედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა. მოხუცმა ვეღარ მოითმინა და კიდევ წყნარად შეხედა, მოიკრიბა უკანასკნელი ძალა და წარმოსთქვა:

– ონისე რაიღა იქნა, რას მიფრთხილდები?

– ონისე, ბეჩავი!.. კინაღამ გაგიჟდა... ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, მტერს თავს შეაკლავდა, ღთის მადლმა.

გოჩა ამ მხრით რაოდენადმე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და ვაჟკაცად ეჩვენებინა თავი. სხვა რაღა უნდოდა?

– ეხლა სადღაა?

– ეხლა ბატარაი დამშვიდდა და ამხანაგებთანაა! – უპასუხა ისევ იმ მოსაუბრემ და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, დაუმატა: – ასეთია ბეჩავი, რომ დანა პირს ვერ გაუხსნის.

მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა, რაოდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა.

– უთხარ, დამნაშავენი დაამწყვდიონ და კარგად თვალყური ადევნონ... ჩვენ კი ღმერთი ვახსენოთ და მტერს მოძმეთ სისხლი მოვთხოვოთ, – წარმოსთქვა გოჩამ და გამოვიდა გარეთ, სადაც ჯარი უკვე მოგროვილიყო და მოუთმენლად ელოდა მტერზედ გალაშქრების წამს.

XXVI

გოჩას გამოსვლაზედ ხევის ჯარი წყნარად შეინძრა, გაიყო სამ რაზმად და ბელადების წინამძღოლობით მტრისაკენ გაემართა. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ, ნუგზარისგან დაჭერილს სიმაგრეს სამ მხრივ დასცემოდნენ და საერთო იერიშის მიტანით მტრისათვის გადაეხადნათ. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ხევის მომავალი მდგომარეობა და ბედ-იღბალი.

ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში გაითქმებოდა. სააქაოს მოელოდა სანეტარო ხსენება და საიქიოს – ზეციერი ჯილდო. მაშასადამე, ამგვარი რწმუნების ხალხისათვის ბრძოლა თვითმყოფელობისთვის, თავის მიწა-წყლის დასაცავად, მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა. ბრძოლისა და მტერთან შეტაკების სურვილს უმეტესად უცხოველებდა მოძმეთ წამების მოგონებანი, რომელნიც გულს ძალზედ უმღვრევდა და სისხლისთვის სისხლს მოაწყურებდა.

მიმავალთ მოხევეთა შორის ონისეც იყო, რომელსაც მხიარული, მუდამ მოღიმარი სახე ჭმუნვარებით შესცვლოდა, და, ძალზედ მოკუმულს ტუჩების გამო, სახის კანიც გასჭიმოდა. თვალებაღგზნებულს ღაწვები თითქოს გამობურცებოდა და, სიბრაზის ნიშნად, ლოყების ძარღვები ძალზედ უცემდა.

ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთი–ორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა, მეტის თავგანწირვით ცოდვა რაოდენადმე შეემსუბუქებინა.

იმას ჰყვანდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა და მინდობილი ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარა მტრისგან სადარაჯოდ გამოყენებულს კაცებს შეუმჩნევლად მიჰპარებოდა და ან შეეპყრა, ან დაეხოცა. ამასთანავე, ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ მტრის უმთავრესს გუნდს ვერ შეეტყო, რათა მათ მოხევეების დასახვედრად მომზადება ვერ მოესწროთ.

ონისე მიუძღვებოდა თავის პატარა რაზმს და ყოველგვარად ფრთხილობდა, ბრძანება გადაუბრუნებლად აღესრულებინა. ყველაზედ წინ მიდიოდა სმენადგადაქცეული ონისე და შემდეგ მწკრივად მისდევდნენ დანარჩენები, რომელნიც სიფრთხილით აბიჯებდნენ და ფეხს თითქმის იმავ ადგილას ადგამდნენ, რომელზედაც წუთის წინეთ მათი ბელადის ფეხი მდგარიყო.

რიყიან ადგილზედ მეტად დიდი გაფ-

რთხილება და ფეხის სიმარჯვე უნდოდა, რომ ქვების შენძრევით ღამის მყუდროება არ დაერღვიათ და მით თავიანთ მოძრაობაზედ მტრის ყურადღება არ მიექციათ. ბანდულებჩაცმული მოხევენი მიიპარებოდნენ და, სანამ დედამიწაზედ მაგრად დააბიჯებდნენ, რაოდენსამე ხანს ადგილის სიმკვიდრეს ფეხით სცდიდნენ. ერთბაშად ონისე შესდგა და იმ ადგილზედვე ჩაწვა. სხვებიც ხმის ამოუღებლივ ამგვარადვე მოიქცნენ და მიწას გაკრულებმა ხანჯლები ამოიღეს.

გაიარა რამდენმამე წუთმა ამ სიჩუმეში და მოპირდაპირე მხრიდგან ხუთი კაცი გამოჩნდა, რომელნიც ამგვარადვე სიფრთხილით და გაჩუმებულნი მოდიოდნენ. ონისემ დააცალა, სანამ უკანასკნელი გაუსწორდებოდა და, რა მოუახლოვდა, ფეხზედ წამოიჭრა. მასთან ერთად წამოცვივდნენ დანარჩენებიც და წუთს შემდეგ ადგილის დასათვალიერებლად გამოგზავნილი ოსები მიწაზედ ფართხალობდნენ. და რამდენადაც სისხლი აკლდებოდათ, იმდენად სიკვდილს მეტის გამწარებით ებრძოდნენ.

ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსებმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. რაკი მოხევეებმა ამათგან მოიცალეს, ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და, ალიონის აწევასთან ერთად, მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ. იქ ჩასაფრდნენ და ამხანაგებს ლოდინი დაუწყეს. მტრის ბანაკში სრული მყუდროება სუფევდა, რადგანაც, ერთის მხრით, გაზვიადებულნი პირველის გამარჯვებით და მეორეს მხრით დარწმუნებულნი თავიანთ დარაჯების სიფრთხილეში, თავისუფალს, დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდნენ. ნუგზარ დარწმუნებული იყო, რომ მოხევენი შეშინდებოდნენ და მეორე-მესამე დღეს შუაკაცებს გამოუგზავნიდნენ. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ხევის ერთი მუჭა ხალხი მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მით უფრო, რომ მას ახლდა საკმაო რიცხვი ლეკთა გარაზმული და კარგად შეიარაღებული ჯარისა.

მოხევეთ სამივე მხრიდგან წამოუარეს და შეუმჩნევლად მტერს გარს შემოერტყნენ. გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

წამოცვივდა ნუგზარის ჯარი, მაგრამ მოულოდნელობის გამო მთლად აირია და გონებადაკარგული მებრძოლნი უაზროდ დარბოდნენ. შესეული მოხევენი დროს არ აძლევდნენ, რომ გონს მოსულიყვნენ და უწყალოდ ჰხოცდნენ. ამ საერთო არეულობაში, მხოლოდ ერთს ადგილს მოჩანდა თეთრი ცხენი და მაზედ ამხედრებული ნუგზარ, რომელსაც ხელში ხმალი ეჭირა და მარჯვნივ თუ მარცხნივ სხეპავდა. მას გვერდს მოსდგომოდა რამდენიმე გამოჩენილი ლეკთა ვაჟკაცი და ღირსეულს მხარს უშვენებდნენ; აშკარად სჩანდა, რომ მათს გულში ვაჟკაცობის ცეცხლი უმეტესად ინთებოდა, ვიდრე იმ თრუსოელებისაში, რომელთაც შებმას გაქცევა ერჩიათ.

ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაც კი შეეყრებოდა, მზისთვის დიდხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულს ბრძოლას და, სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფად შუაგულში მოექცეოდა, თუმცა სიკვდილის მძებნელი მოჯადოებულსავით ყველგან უვნებლად რჩებოდა.

მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულობა მაყურებელთ აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა.

ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლოდა და ნიავი უმღელვარებდა. დროშის თავი, რომელიც ხელში ეჭირა, სანუგეშოდ ფრიალებდა და წვერზედ გაკეთებულს ოქროს ჯვარს კრიალი გაჰქონდა.

გოჩას ცხენი ამაყად და მედიდურად მიაბიჯებდა, თითქოს ჰგრძნობდა, რომ მისი მხედარი ხალხისაგან იყო არჩეული და მას არც ერთხელ თავის ამრჩევთაგან საყვედური არ მიეღო.

მოხუცმა შეუტია ცხენსა და გააქროლა იმ მხარისკენ, სადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა.

– აბა, ბიჭებო!.. მომყევით. ვისაც გული გერჩისთ! – დაიძახა გოჩამ და ხალხი სწრაფად შეჯგუფდა, ბურთსავით შეიკრა ნუგზარის გარშემო.

ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა; მზის შუქიც კი თითქოს მიბნელ-

და. აქამდისინ მოყიჟინე, ეხლა გაჩუმებულიყვნენ და მყუდროებას მხოლოდ კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახა-ჩუხის ხმა დაარღვევდა.

ხანდახან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უვნებლად ფრიალებდა და მებრძოლთა გულებს ფოლადად უწრთობდა. ერთბაშად შეკუმშული ხალხი როგორღაც წამოტრიალდა, გაიშალა და ასტყდა ისევ ყიჟინა.

ქარმა გაჰფანტა ბრძოლის მტვერი და წუთს წინეთ სიცოცხლით სავსე მებრძოლთაგან კოშკად აშენებული დახოცილები-ღა გამოჩნდა! მათ შორის იდგა გოჩა,

დაღონებული, გაფითრებული და სევდიანი თვალები ზეცისკენ მიეპყრო! შორს გზაზედ მტვერი მოჩანდა და იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც სიკვდილს რაღაცა მანქანებით გადარჩენოდნენ.

XXVII

ხალხი დაწყნარდა; დაასაფლავა თავიანთი დახოცილები, მაგრამ ჯერ არ იშლებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო. რომ ნუგზარ ასე მალე ველარ მოუბრუნდებოდა და საკმაოდ დაფრთხობილს ოსებს ისე ადვილად ველარ დაიყოლიებდა მოხევეებზედ გასალაშქრებლად.

ამ გორაკის ერთს ადგილას რგვალად შემოწყობილს ქვებზედ მოგროვილიყვნენ თემისა და ჯარის თავები. იქვე მოსულიყვნენ დეკანოზები სასოფლო დროშებით და ხევისბერს გოჩას გარს შემოჰხვეოდნენ. ეს წრე მხოლოდ ერთის მხრით იყო გახსნილი და იქ დანარჩენი ხალხი მოგროვილიყო. ყველას პირისახეზედ რაღაცა ჭმუნვარება ეტყობოდა; კაცი ვერ გაარჩევდა, ეს იყო გლოვა თავიანთ დაკლებულობისა, თუ რომელიმე უსიამოვნობის მოლოდინი. გოჩას და მასთან ერთად თემის უფროსებს თავები ჩაეკიდათ და ხმაამოუღებელნი რაღაცა ფიქრს ეძლეოდნენ. მეტისმეტი მძიმე მდგომარეობა იყო, სურათი შავად და ბნელად მოცულიყო, მაყურებლის გული ჰკვნესოდა მოლოდინით.

ერთბაშად გოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და გოჩას შეჰყურებდა, გაჟრჟოლდა, თვალი ველარ გაუსწორა მოხუცს და თავი დაჰხარა.

გოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

– მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და გუგუა.

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის, რა უნდა გადაეწყვიტა.

– გაუხსენით ხელები, – ბრძანა გოჩამ და მისი ბრძანება მსწრაფლად აღსრულდა. ამის შემდეგ გოჩამ, ხევისბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ. ხელით თავი მიიბჯინა და, მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდგან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

– ხალხო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება... აი. თქვენს წინა სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკდომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკდომა უბედურებაა და უბედურები ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა, სტუმარს დაემალოს, მთხოვარაი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და, ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა,

ისინი ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით, ხალხო და ჯამაათნო!.. ყველა შეგატყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი.

მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას დაჯდა.

– იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ, – წარმოსთქვა გოჩამ, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდნენ, მაგრამ საქმეში კი არ ერეოდნენ. ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას მოჰყოლოდნენ და ამისთვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდნენ პატიებას, მაგრამ მსაჯულნი მათ მუდარისადმი ყრუდა რჩებოდნენ. ისინი შეჯგუფდნენ გოჩასთან, ცოტა ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ, გოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა:

– ორნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ჟრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი სრულიად დააკარგვინა. ერთი მათგანი მიუახლოვდა გოჩას, რომელმაც გადაწყვეტილების წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წავიდა.

– გოჩავ, გემუდარები: – დაიძახა ოსმა: – ყმად გაგიხდები, ოღონდაც დამიხსენ.

– ჩაქვავდეს! – იმავ ხმით გაიმეორა გოჩამ.

– მაშ, უნდა მომკლან, ჩამაქვაონ?! – დაიძახა ოსმა და ფეხზედ წამოვარდა: – დეე მომკლან, მაგრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად, ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოხის ქვეშ ჰქონოდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთსავით შეიკუმშა და როდესაც გაიშალა, გოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა! ადგილიც კი არ შაეცვალა მოხუცს, მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელნიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდნენ.

XXVIII

როდესაც ოსებისგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად და დამშვიდებით წარმოსთქვა:

– მოიყვანეთ გუგუა.

რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს. პირველსავე განძრევაზედ მოხევეს თვალთ დაუბნელდა, წატორტმანდა, წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და შედგა.

ბრალდებული გუგუა მთლად გაფითრებული და პირგამშრალი იდგა ხალხის წინ და უაზროდ თვალები ერთის ადგილისკენ მიექცია.

ხალხი სწყევლიდა, ლანძღავდა და ერთმანეთს თითით უჩვენებდა ამ ავაზაკზედ.

როგორც წეღან, ეხლაც გამოვიდა ერთი თემის თავთაგანი და შეუდგა გუგუას გამტყუნებას.

აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი მოხევეთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა, გუგუა მათ წინ მოუძღოდა და, უეჭველია, ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა.

– გაიმართლე თავი, თუ შეგიძლიან, – უთხრა გოჩამ და გაჩუმდა.

გუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალები და ონისე, რომელიც ისევ იმ ადგილზედ გაქვავებულსავით იდგა, დაინახა. გუგუას თვალები გაუბრწყინდა, პირისახე გაუწითლდა, გაიბრძოლა იმისაკენ, დატორტმანდა და თავი შეიმაგრა. გუგუა მობრუნდა მსაჯულებისკენ და მწუხარებისაგან დაღრეჯილი სახე შეაქცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რომელიც თითქოს თავსა სწვავდა და დედამიწაზედ დაახეთქა.

– სთქვი, თუ სათქმელი რამე გაქვს! – გაიმეორა გოჩამ და ხმამ მხოლოდ ერთს ადგილას უღალატა, ერთგან გაისმა დანჟღრეულს სიმად.

– რაი ვთქვა, რაი გითხრათ?.. – მწარედ წარმოსთქვა გუგუამ: – უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტერის წინ მომძღოლი მნახეს და ვინ დამიჯერებს?.. რაისთვი-ღა მაწვალებთ, რაისთვი მალაპარაკებთ?.. მომკალით და თქვენც მოისვენებთ!

– ბალღო, სიკვდილი ძნელი არაა... – ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ გოჩამ და ხმაში აღგზნებული სიყვარული დაეტყო: – მაგრამ გულს არ სჯერა, რომ ხევის მიწაწყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზრდილი, – მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევ-

და!.. გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა არ დაელევის, ნისლს ველარ გაიცლის, თუ მართლა მოძმეთ გამსყიდავად გიცნო.

გუგუას ამ სიტყვებმა გული მოულბო, იმან დაინახა, რომ მოხუცის გული მშობლიურის მზრუნველობით ექცეოდა და გულით უნდოდა, პატიოსნებით სავსე კაცი მაინც დაერწმუნებინა, რომ მართალი იყო.

– გოჩავ, უფლის მადლმა, დიდებულის წვერის სპარს-ანგელოზის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილკაცობის სიყმეს, ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე.

– მტრის ჯარში საიდგან გაჩნდი?

– საიდგან?.. გინდა ყველაფერი მათქმევინო?.. თავი დამანებე, გოჩავ!.. ნუ მალაპარაკებ!.. ხომ ხედავ, რომ ლაპარაკი მიძნელდების?.. ყოველთვის გულკეთილს, დღეს ჩემი წვალება რაისთვი-ღა მოგიწადინია?

– ჩემი გულიც არ არის მოსვენებული, გუგუავ, უწყის უფალმა!.. ყოველ სიტყვაზედ, ყოველ კითხვაზედ ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც... მაშ, გვითხარ ყველაფერი.

– გითხრათ?.. კარგი!.. – წამოიძახა მოხევემ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა.

საცოდავს სახე მთლად დაპრანჭოდა და მძიმე ტვირთს თითქოს ოთხად მოეხარა. გაყვითლებულს პირისახეზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტყობოდა. გუგუა ისევ შესდგა, შეიმაგრა თავი და მსაჯულებისკენ გამობრუნდა.

– გამიგონეთ... სიკვდილისა არ მეშინიან, თუნდა გამამართლოთ კიდეც, ღთის მადლმა, თავს აღარ ვიცოცხლებ. რაისთვი-ღა მინდა ერთხელ გაწბილებული სიცოცხლე!.. მაშ, გამიგონეთ... ყველას მართალს გეტყვით, – მე მთიდგან მოვდიოდი და, როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფეთე... გამოვიქეც, რომ საფარში შემეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მომდევდა და ველარ მივასწარ... ისინი თოფს არ მესროდნენ, რომ ხმაურობაზედ ჩვენი მდევარი არ გამოსულიყო და მე კი თოფ-ტიელას ჩახმახი მომეშალა... ჩვენებმა მტრის ჯართან დამინახეს და მოღალატე გამხადეს... თუ ვსტყუოდე, მიწამც გამისკდეს... და თან ჩამიტანოს!

– მთაში რაი გინდოდა? – ჰკითხა ერთმა მსაჯულთაგანმა.

– საქმე მქონდა.

– მარტო იყავ?

გუგუამ არა უპასუხა-რა და ამისთვის კითხვა გაუმეორეს.

– მარტო იყავ?

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა, იმ ქალის სახელი მოეყივნებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

– რაი ბედენაა, მარტო ვიყავ, თუ არა? – ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: – თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ, თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდნიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის, ჩემს გაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწმე ღმერთია!.. ცხოს ნუღარას მკითხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს.

ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა, დაიკრიბა გულ-ხელი და გაჩუმებული დადგა. ყოველ კითხვაზედ ის მუნჯად რჩებოდა და მისი სიჩუმე მძიმე ლოდად აწვებოდა ონისეს.

ხალხი გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდა თემის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც გოჩას შემოჰხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ.

ერთბაშად გაიშალა კრება, და მსმენელთ გულის ძგერამ უფრო იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელს საზღვრამდის მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და, საერთო სიჩუმის დროს, წამოდგა გოჩა.

– ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა გაწირული, მოშორებული იყვეს თემისაგანაც და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება, თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ, არც ვის არა აქვს ნება, მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდა ნა-

ხა, მიაწოდოს წყალი, თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური, თუ მშიერი ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მის ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს და გადამბრუნებელს შენა რის...

– შესდეგ! – ერთბაშად ვიღამაც ხელი გაავლო გოჩას და სიტყვა გააწყვეტინა.

ხალხმა გაკვირვებით შეჰხედა ხევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

– შესდეგ, ხევისბერო! გუგუა მართალია! – დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო.

ხალხი აიშალა. აირია და ყაყანი დაიწყო. გოჩამ შეარყია დროშა და, ზარების ხმასთან ერთად, ხმამაღლად, მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

– იყუჩეთ! – და ამ ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაჩქურდა.

– სთქვი, რას ამბობდი?

– გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს, ერთმანეთის მოსისხლენი შევქმნილიყავით.., ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

– ეგ ვიღამ გიამბო? – ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეჭვისაგან თვალები აენთო.

– ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ ჩასაფრებული... რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გაწყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა! – ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლად კანკალებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო. ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ყვედრებით წარმოსთქვა:

– მაშ, ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასაგან მოძულებულო, დედ-მამის საფლავიდგან ამომგდებო!.. რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ!.. – ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: – მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!

კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

– გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

– მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუვა... ონისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!

– გოჩაუ, – სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგამეხებული ხევისბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

– უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებლად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ, სამართლიანად მოექცეთ... მე მიყურეთ... – მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა:

– მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

ამ სიტყვებთან ერთად იელა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო; მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურების შეყენება ველარავინ მოასწრო.

ხალხი შემოიფანტა და ახლო ველარ მიჰკარებოდა მოხუცს, რომელსაც ძარღვები ძალზედ უღმეჭავდნენ და უცნაურად უთამაშებდნენ სახეს.

– გოჩა! – ცოტა ხანს შემდეგ ვიღამაც ხელი გაავლო მოხუცს.

– ჰაი? – ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა. მის წინ იდგა გუგუა.

– გოჩავ! – განიმეორა იმან ხმამაღლა: – წელან გითხარ, რომ დამნაშავე არა ვარ–მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგგვარის ცილის წამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ-მეთქი...

ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკავს... მშვიდობით გოჩავ, მშვიდობით ხალხო! – ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა...

მოხუცმა მხოლოდ ამოიკვნესა, მიიხედ-მოიხედა შეშინებულის თვალებით და შეჰკრთა. ბოლოს დააწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი, რომელიც ხელში ეჭირა, შორს გადასტყორცნა... რაოდენსამე ხანს ისე ჩუმად იდგა. დაესხა თავსბრუ და ჩაიკეცა, ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოსთქვა:

– შვილო, შვილო! – და ზედ გაეკრა.

კარგა ხანს დასტიროდა ონისეს გაყინულს სხეულს; ბოლოს წამოიხედა, ველურად დაიწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინებული წამოვარდა.

– შორს, შორს!.. – დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა: სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი! – ძალზედ შეჰკივლა და ვეფხივით ღრიალი დაიწყო...

გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა. ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო.

მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასათვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა და გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიჟებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდგან. მერე დაუწყებდა მუქარას, რომ შაეტყობინებინათ, რა მოუვიდა ონისეს, და ბოლოს შემზარავის ღრიალით გაათავებდა.

ასე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის, სანამ ერთს ზამთარს თოვლს ვიწრო ხევში არ ჩაეჩუმქრა.

რაც შეეხება ძიძიას, ის იმ ღამიდგან, რაც ონისეს განშორდა, აღარავის უნახავს.

ჩვენ და ტექსტი

1. ტრაგიკული გმირები უძველეს მწერლობაშივე გაჩნდნენ. მსოფლიოში პირველი მხატვრული ნაწარმოების გმირები ენქიდუ და გილგამეში სწორედ ტრაგიკული პერსონაჟები არიან, ტრაგიკული სახეები განვითარების მწვერვალზე აიყვანა ანტიკურმა ლიტერატურამ. მაგ., ჰომეროსის ყველა გმირი სწორედ ამ ანტიკურ ტრაგიზმთანაა ზიარებული. დაფიქრდით ამ პარაგრაფის სათაურზე, თქვენი აზრით, რას გამოხატავს ეპითეტი „ქართველების ჰომეროსი“ და მის გვერდით არსებული შესიტყვება „ტრაგიკული გარდუვალობა“?
2. რა კონკრეტულ მოვლენებში გამოიხატა ეს ტრაგიკული გარდუვალობა, რა შეემთხვა ონისეს?
3. ფაქტი და მისი ახსნა ზოგჯერ სრულიად სცილდება ერთმანეთს. გუგუა მტრის ჯარს მოუძღვოდა, მაგრამ მოღალატე არაა, ონისეს მტერი გამოეპარა, მაგრამ მოღალატე არაა... იმსჯელეთ, რა შემთხვევაში შეიძლება, ვისაუბროთ პერსონაჟის ტრაგიკულობაზე?
4. ონისე და გუგუა ერთმანეთის დაუძინებელ მტრებად იქცნენ, მაგრამ სამსჯავროს წინაშე ორივე ღირსებას ინარჩუნებს, გუგუას მარტივად შეეძლო თავისი სიმართლის დამტკიცება, როგორ გგონიათ, რატომ არ აკეთებს ამას? პერსონაჟის რომელ სულიერ ფასეულობებზე მეტყველებს ეს ფაქტი;
5. ონისეს შეეძლო, გაჩუმებულიყო და მის დანაშაულს ვერავინ შეიტყობდა, როგორ გგონიათ, რატომ ვერ შეძლო მან გაჩუმება? გმირის როგორი ზნეობრივი სამყარო ჩანს ამ ეპიზოდში?
6. ერთი და იმავე დანაშაულისათვის ხევისბერი ორ განსხვავებულ სასჯელს ადებს თემის წევრებს – ონისესა და გუგუას. რაზე მეტყველებს ეს ფაქტი? იმსჯელეთ ხევისბერის ქცევის მოტივზე ამ ორ შემთხვევაში;

7. გუგუა გამართლდა, მაგრამ ამან ის სიკვდილისგან ვერ იხსნა, როგორ გგონიათ, რატომ?
8. რა არის ნათქვამი ნაწარმოების ფინალში ძიძიაზე, რა ბედი ეწია მას?არსებობს ვარაუდი, რომ ყაზბეგს უყვარდა გლეხის ქალი, სახელად ძიძია, რომელიც ადრე გარდაიცვალა. ივარაუდეთ, ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში შეფარვით მწერლის ალტერ ეგო ხომ არ იჩენს თავს? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
9. იმსჯელეთ, ხომ არ არის გოჩას ქმედება ადამიანურობის მიღმა ჩადენილი დანაშაული? განსაზღვრეთ პერსონაჟის ქცევის მოტივი და შეაფასეთ მისი საქციელი.
10. სამსჯავროს სცენა ემოციური სიმძაფრით გამოირჩევა. დაახასიათეთ თითოეული პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა ამ მომენტში. იმსჯელეთ, რა მართავს ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ამ პერსონაჟებს – გადარჩენის სურვილი, თუ უმაღლესი ადამიანური ღირებულებანი;
11. გაიხსენეთ ადრე შესწავლილი ნაწარმოებები, რომლებშიც აღწერილია პერსონაჟის გრძნობა-გონების ჭიდილი, შეადარეთ სხვადასხვა ნაწარმოების პერსონაჟები ერთმანეთს, რა მსგავსება-განსხვავებაზე შეგიძლიათ ისაუბროთ?
12. რა არის ამ ტექსტის მთავარი სათქმელი, რა შეგიძლიათ, თქვათ ნაწარმოების თემისა და იდეის შესახებ?
13. ისაუბრეთ სიუჟეტის განვითარების საფეხურებზე, შეუსაბამეთ ნაწარმოების ცალკეული ეპიზოდები სიუჟეტის განვითარების საფეხურებს (მაგ., სად ხდება კვანძის შეკვრა);
14. ისაუბრეთ, რა ფუნქცია ენიჭება ნაწარმოებში დიალექტს? კერძოდ, რა დატვირთვა აქვს მას პერსონაჟთა სახეების ხატვისას?
15. მოძებნეთ ტექსტში ეპიზოდები, რომლებშიც განსაკუთრებით იგრძნობა ავტორის პოზიცია?

ლიტერატურული ძიებანი

დამოუკიდებელი კვლევა

ა) პორტრეტის შესახებ

ილია ჭავჭავაძის შემოქმედების შესწავლისას თქვენ გაეცანით მისი გმირების ლიტერატურულ პორტრეტებს. პორტრეტებს ყაზბეგთანაც შეხვდებით.

კიდევ ერთხელ გადახედეთ იმ ეპიზოდებს, რომლებშიც პერსონაჟების პორტრეტებია გადმოცემული და იმსჯელეთ, რა განასხვავებს ერთმანეთისგან ალექსანდრე ყაზბეგისა და ილიას პორტრეტებს?

- რომელ პორტრეტებში უფრო მეტად ჩანს ადამიანის განწყობები, შინაგანი ღელვა, ემოციები, სულის მოძრაობა?

ბ) პეიზაჟის შესახებ

პეიზაჟი აქამდეც არაერთხელ შეგხვედრიათ. იგი ხან „გულგრილია“ ადამიანის მიმართ, ბუნების ჰარმონიულობას ვერ არღვევს ადამიანის შინაგანი შფოთვა და ღელვა, ხან კი პირიქით, სრულიად ეხმიანება ადამიანის სულიერ განწყობას. ასეთ დროს პეიზაჟსა და პერსონაჟს შორის სრული ჰარმონიაა.

ამოწერეთ ყაზბეგის პეიზაჟები და იმსჯელეთ, არის რაიმე კავშირი კონკრეტულ პეიზაჟსა და გმირის/ გმირების შინაგან განწყობას შორის?

გ) რიტორიკული შეკითხვები, რიტორიკული მიმართვები

ყაზბეგთან ხშირია რიტორიკული ფიგურალური გამოთქმები. ასე პერსონაჟები მხოლოდ ერთმანეთს კი არა, ხშირად საკუთარ თავსაც ესაუბრებიან. რიტორიკულ ფიგურებს ხშირად იყენებენ შინაგანი სულიერი ჭიდილის დროსაც.

ამოწერეთ ტექსტიდან რიტორიკული ფიგურალური შესიტყვებანი და იმსჯელეთ, რა დანიშნულება აქვს მათ პერსონაჟის ხატვისას?

კომპიუტერთან

დამატებითი ელექტრონული რესურსების სწრაფი გაცნობა, კვლავ სტრატეგია „ჯიქსო“

ეს სტრატეგია თქვენ ადრეც გამოგიყენებიათ. მისი დანიშნულებაა, შედარებით მოკლე დროში გაეცნოთ შემოთავაზებული მასალის ძირითად შინაარსს.

დაიყავით ოთხწევრიან ჯგუფებად. ჯგუფის წევრებს ენიჭებათ ნომრები, შესაბამისად – 1,2,3,4. გაინაწილეთ ელექტრონული რესურსები. მოუსმინეთ, გააანალიზეთ. მასალის მოსმენისას შეგიძლიათ, ჩაინიშნოთ ძირითადი მომენტები.

შემდეგ თავდაპირველი ჯგუფები იშლება და ყველა პირველი ერთიანდება ერთად, ყველა მეორე – ერთად და ა. შ., ისე, რომ ყველა ჯგუფში არის მოსწავლე, რომელსაც აქ დასახელებული ერთ-ერთი რესურსი დამუშავებული აქვს. შეეცადეთ, ერთმანეთს გააგებინოთ იმ რესურსის მთავარი სათქმელი, რომელიც მხოლოდ თქვენ იცით.

ჯუფები ადგენენ კითხვარებს, შემდეგ ამ კითხვარებს ერთმანეთს უცვლიან და უპასუხებენ მოწინააღმდეგე გუნდების მიერ შედგენილ კითხვებს.

ა) მაია ჯალიაშვილი – ხევისბერის სახე
https://9nes.short.gy/HrGoBr

ბ) მაია ჯალიაშვილი – ონისეს სახე
https://9nes.short.gy/JGzAFX

გ) გია მურღულია – ტელესკოლის გაკვეთილი „ხევისბერი გოჩა“
https://9nes.short.gy/j3sbsd

დ) ინტერპრეტაცია „ხევისბერი გოჩა“. სტუდიის სტუმრები არიან პროფესორები გია ალიბეგაშვილი, გია არგანაშვილი.
https://9nes.short.gy/dpr1n2

2. ნახეთ მხატვრული ფილმი „ხევისბერი გოჩა“.

https://9nes.short.gy/61s2DX

იმსჯელეთ:

- ფილმისა და ტექსტის ურთიერთმიმართებაზე.
- როგორ გამოხატავს სათქმელს ტექსტი და რა გამომსახველობითი საშუალებები შესძინა სათქმელს კინოს სპეციფიკამ?
- არის თუ არა სცენარში ტექსტისაგან განსხვავებული ადგილები?
- მსახიობთა ოსტატობაზე; რეჟისორის ნამუშევარზე;
- რა მოგწონთ ფილმში და რა – ტექსტში.

პარალელები

1. სიყვარული და მოვალეობა მსოფლიო ლიტერატურაში

პიერ კორნელის ტრაგედია „ჰორაციუსი“

ტექსტის მოკლე მიმოხილვა:

ტრაგედიის სიუჟეტი ეფუძნება ისტორიულ ამბავს. ეს იმ დროს ხდებოდა, როცა რომი ერთიმეორის მიყოლებით იპყრობდა ოდესღაც მეგობრულად განწყობილ ქალაქებს და პატარა ქალაქ-სახელმწიფოდან იმპერიის ცენტრად ყალიბდებოდა. ტრაგედიის მოქმედი პირები არიან რომაელი და ალბელი წარჩინებულები.

ალბელ რაინდს კურაციუსსა და რომაელ ასულს კამილს უყვართ ერთმანეთი. ამავე დროს, კამილის ძმას, ჰორაციუსს, ცოლად ჰყავს კურაციუსის და საბინი, ამდენად, ამ ოჯახებს ნათესაობა აკავშირებთ. კამილისა და კურაციუსის ქორწილი მოახლოებულია და სწორედ ამ დროს რომი ალბასთან ომს იწყებს.

ახალგაზრდების გულში იწყება ჭიდილი პატრიოტულ განცდებსა და სიყვარულს შორის, რაც კარგად ჩანს კურაციუსის ერთ-ერთ გამოსვლაში, როდესაც ის, დროებითი ზავის დროს, ჩუმად ხვდება თავის სატრფოს-კამილს:

„ვინც აქ გეახლათ, არ იფიქროთ, რომის მტერია!
ის არც დაგიპყრობთ, არც მონობა არ უწერია!
ხედავთ ჩემს ხელებს, გააფთრებულ მტერთან მორკინალს?
არც რომაელის სისხლი სცხია, არც შებორკილა!
მეც მეტრფით, რომსაც! ვერასოდეს შეძლებთ არჩევანს,
ჩემი მონობაც გეზიზღებათ და გამარჯვებაც!
რახან ისურვა ზეცამ ჩვენი კეთილდღეობა,
არც დამპყრობელის გვირგვინი მსურს და არც ტყვეობა.“

ახალგაზრდებს მშვიდობის იმედი უჩნდებათ, ამ დროს მეომარი მხარეები გადაწყვეტენ, დიდი ომის ნაცვლად, რაინდთა ორთაბრძოლა გამართონ, შეარჩიონ 3-3 რაინდი თითო მხრიდან და ვინც ამ ორთაბრძოლაში ცოცხალი გადარჩება, მისი ქალაქი ჩაითვლება გამარჯვებულად.

ამ ტრაგედიას ისიც ამძაფრებს, რომ მეომარი მხარეები რჩეულ რაინდებს სწორედ ამ შეყვარებული წყვილების ოჯახებიდან შეარჩევენ. კერძოდ, ორთაბრძოლაში ალბელთა მხრიდან მონაწილეობას მიიღებს კამილის სატრფო კურაციუსი და მისი ორი ძმა, ხოლო რომაელთა მხრიდან – კამილის ძმები, მათ შორის ნაწარმოების მთავარი გმირი და ჩვენთვის სათაურიდანვე ცნობილი ჰორაციუსი.

მდგომარეობა გამოუვალია. ერთ-ერთი მხარე აუცილებლად დამარცხდება. კამილი და საბინი მწარედ გლოვობენ თავიანთ ტრაგიკულ ბედს.

საბინის გამოსვლა და მონოლოგი ამ ტრაგიკული გაორების ნათელი მაგალითია.

„რა გზას დავადგე, სულო ჩემო, მარქვი, რა გიყო,
ვიყო ერთგული მეუღლე თუ მკვიდრი და ვიყო?!
ორად ნუ გავყოფთ ჩვენ სურვილებს, რაღაც ვიღონოთ,
ვეცადოთ, მძიმე განსაცდელმა არ დაგვიმონოს,
ვის მივეკედლო, ვის მივემხრო, რომ აღარ ვიცი?
მტრად ვინ ვიგულო: მეუღლე თუ ჩემი ძმა ღვიძლი?
ქმარს სიყვარული იცავს, ძმას კი თვითონ ბუნება,
და ორივესთან მიმაჯაჭვა ვალდებულებამ!
მათ მაღალ ზრახვებს უნდა აჰყვეს ჩემი ფიქრები,
ვიქნები ცოლიც და სამი ძმის დაიც ვიქნები!“



ჯუზეპე ჩეზარი, დუელი

დუელში გაიმარჯვებს ჰორაციუსი, კამილი სატრფოს გლოვობს, საბინი – ძმას. განსაკუთრებით მძაფრია და-ძმის (კამილისა და ჰორაციუსის) დიალოგი. კამილი გამწარებული წყევლის რომს იმის გამო, რომ მისი საქმრო მოკლეს.



ჟაკ-ლუი დავიდი, ჰორაციუსების ფიცი

კამილი

ეგების მე ვარ დამნაშავე, მაგრამ რას ვიზამ?
არ მომსპო, არა, მწუხარებამ და არ გამსრისა...
ზეცაო, იქნებ, შეგაშფოთე და გაწყენინე,
რომ ჩემს სიყვარულს სამშობლო და ძმები
შევწირე?[1]
იქნებ ამიტომ დამსაჯე და საქმრო მომისპე?
თანაც ამ ამბავს მაგებინებს მისი მოქიშპე...
მაგრამ ეს რაა, ეს ცოტაა, მეტი სჭირდებათ!
მთხოვენ, ვუმღეროთ გამარჯვებულ რაინდს დიდება!
რაც მტანჯავს, თურმე დაცინვის და ზიზღის ღირსია,
თურმე ცრემლების გადმოფრქვევაც საძრახისია!

[1] შეწირვაში კამილი გულისხმობს იმას, რომ იგი ღმერთებს სატრფოს ცოცხლად დარჩენას სთხოვდა.

მხოლოდ სიმკაცრეს აღმერთებენ და შენატრიან,
კაციჭამია თუ არა ხარ, კაცად არ გთვლიან!
მაშ, გარდაიქმენ ჩემო სულო, თუკი ასეა!
ბარბაროსობა, ჟლეტა, სისხლი თუ სინაზეა,
დე, ნუ ჩამთვლიან ამგვარ მამის შვილობის ღირსად,
მინდა, უღირსი დაი ვიყო სულგრძელი ძმისა!
არარობად თუ ჩამთვლიან, დიდებულია,



ლუი-ჟან-ფრანსუა ლაგრენე
ჰორაციუსი კლავს კამილის

როცა მხეცობა სათნოებად მიჩნეულია!
აჰა, მობრძანდა, მე ვუჩვენებ რომაელ ბატონს,
რა შეუძლია ქალს, როდესაც უკლავენ სატრფოს!

ძმას კამილი ერთგვარი მრისხანებით ხვდება.
ძმას თითქოს უკვირს მისი ასეთი სიმტკიცე:

ჰორაციუსი:

გავანადგურე რომის მტერი! მოვსპე, გავწყვიტე!
შენ კი კვლავ ეტრფი, ვერ იქნა, ვერ გადაგავიწყე...

კამილი:

რომია ჩემი გაავების, ჭმუნვის მიზეზი,
რომს შეეწირა სატრფოს სული უფაქიზესი,
რომია მხოლოდ შენი კერპი, შენი ღირსება,
რომი, რომელიც შენ გადიდებს, მე მეზიზღება.

ამ სიტყვების გამო გაბრაზებული ჰორაციუსი კლავს კამილს.

სულიერი ჭიდილი და ტრაგიკული გაორება ჩანს საბინის სიტყვებშიც, როცა იგი გამარჯვებულ მეუღლეს ხვდება, მეუღლეს, რომელმაც რომის გამარჯვებისთვის მისი ძმები დახოცა:

საბინი

შენი ბრწყინვალე მრისხანება რატომ შენელდა?
წადი, სულს ღაფავს მამის მკერდზე ღვიძლი შენი და!
ერთნაირად ვართ დამნაშავე, ვგოდებთ და ვდარდობთ,
მე სამ ძმას ვტირი, იგი მიჯნურს დასტირის მარტო,
რახან მკაცრი გაქვს კანონები, ალბათ, ისა სჯობს,
რომ შენ, საყვარელ დასთან ერთად მეც დავისაჯო...

სასამართლო პროცესზე, რომელიც ამ დანაშაულს მოჰყვა, მოხუცი ჰორაციუსი იცავს შვილს. იგი აცხადებს, რომ ეს ნაბიჯი ჰორაციუსს სამშობლოს წინაშე ვალდებულებამ გადაადგმევინა.

მეფე ტულუსისათვის ჰორაციუსი არის რომის მხსნელი გმირი. ეს ნაწარმოები კლასიციზმის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია. ივარაუდეთ, როგორ გადაწყვეტდა კლასიციზმის მიმდევარი ავტორი (და, შესაბამისად, მეფე ტულუსი) რომის მხსნელის ბედს?

შენიშვნა: ტექსტში გამოყენებულია ამონარიდები პოემიდან „ჰორაციუსი“, მთარგმნელები რუსუდან დოდაშვილი და ლევან ჭუბაბრია.

დამატებითი რესურსები

თქვენი ვარაუდები გადაამოწმეთ სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 5, სამახსოვრო და პასუხები, 4.10. „მეფე ტულუსის განაჩენი“, გვ. 545).

არ არის აუცილებელი, დაეთანხმოთ ნაწარმოების ავტორსა და პერსონაჟს. თუ თქვენ არ იზიარებთ ტულუსის მიერ გამოტანილ განაჩენს, ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია.

ჩვენ და ტექსტი

1. იმსჯელეთ, როგორაა წარმოჩენილი პიროვნების გაორება კორნელის ტრაგედიაში „ჰორაციუსი“, რომელი უმაღლესი ადამიანური ფასეულობები უპირისპირდება აქ ერთმანეთს? რა განაპირობებს პოემის გმირთა ტრაგიზმს? ამ კუთხით, როგორ ეხმიანება იგი ყაზბეგის „ხევისბერ გოჩას“?
2. რომელი გმირები ახერხებენ გონების მეშვეობით ემოციების დამორჩილებას და რომლები – ვერა?
3. ნაწარმოებში არის პერსონაჟი, რომელიც ფიქრობს, რომ რომისთვის გაწეული თავდადებისთვის ჰორაციუსს დიდება უნდა მიეზღოს, მაგრამ ანტიადამიანური დანაშაულისათვის (დის მკვლელობა) კანონის შესაბამისად უნდა დაისაჯოს. თქვენ როგორ ფიქრობთ? რამდენად სამართლიანად გეჩვენებათ ტულუსის განაჩენი? თქვენ რა გადაწყვეტილებას მიიღებდით?
4. ჰორაციუსის შემთხვევაში კანონი ირღვევა, მას არ ასამართლებენ (მოქმედებს პრინციპი – გამარჯვებულებს არ ასამართლებენ); ონისეს შემთხვევაშიც კანონი ირღვევა – მას იმაზე მკაცრი სასჯელით სჯიან, ვიდრე ეს კანონითაა დადგენილი (გავიხსენოთ, რომ იმავე დანაშაულისათვის გუგუას მხოლოდ თემიდან მოკვეთა ემუქრება). რა საშიში ტენდენცია გამოიკვეთა? თქვენი აზრით, რა შეიძლება დაემუქროს საზოგადოებას, რომელშიც შერჩევითი სამართლის პრინციპი მოქმედებს?
5. რა შემაშფოთებელი ნიშნები გამოჩნდება რომაელი გმირის სახეში, რომელიც გამარჯვებით ბრუნდება უკან და რომის სახელით კლავს დას? როგორ ფიქრობთ, კლასიციზმის წარმომადგენელი ავტორისათვის მისაღებია თუ არა მისი ქცევა იმ სიტუაციაში? ხედავს თუ არა ავტორი, საით მიემართება მისი გმირი?
6. მკვლელობის აქტის აღსრულების შემდეგ გოჩა ჭკუიდან იშლება, ჰორაციუსი კი თავისი პრინციპების დაცვით „ლოგიკურად“ უხსნის ცოლს, საბინს, როგორ უნდა გაგრძელდეს მათი ცხოვრება და რას ითხოვს ცოლისგან, რომელსაც ძმები დაუხოცა, შემდეგ კი სამსჯავროზე ისმენს მის დასაცავ სიტყვას და ქებას რომის მმართველისაგან. ამ თემის ყაზბეგისეული და პიერ კორნელისეული გადაწყვეტებიდან თქვენ რომელი უფრო მაღალმხატვრულად მიგაჩნიათ და რატომ?
7. რომელი მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებებით გადმოსცემს ავტორი პერსონაჟთა სულიერ მდგომარეობას;
8. რა კავშირია პეიზაჟებსა და გმირთა შინაგან განწყობილებებს შორის, დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები;
9. როგორ გადმოსცემს პერსონაჟთა განწყობილებას მათი მეტყველება, განსაკუთრებით დააკვირდით, რიტორიკულ ფიგურებს. მოიტანეთ კონკრეტული მაგალითები.
10. მხატვრულ სახეებზე დასაკვირვებლად, გთავაზობთ, ლიტერატურულ თამაშს „ესტაფეტა – ტროპების მოზაიკა“: თითოეულ მოსწავლეს ტექსტიდან მოჰყავს ტროპის ერთი მაგალითი, რომელიც ყველაზე მეტად მოეწონა და განმარტავს, რატომ თვლის ამ კონკრეტულ მხატვრულ სახეს ყველაზე ეფექტურად?

2. დანაშაული და სასჯელი მსოფლიო ლიტერატურაში

მსოფლიო ლიტერატურა მრავლად იცნობს შემთხვევებს, რომლებიც დანაშაულისა და სასჯელის თემას ეძღვნება. ზოგიერთ მათგანში დაფარული დანაშაული ადამიანებს არც კი მიაჩნიათ დანაშაულად, სხვაგან კი ადამიანს შურისძიების ქალღმერთვით სდევს საკუთარი სინდისი და მოსვენებას არ აძლევს. ამიტომ სასჯელი მისთვის ერთგვარი შვებაც კია.

ამ ნაწარმოებზე მუშაობის პარალელურად გაიხსენეთ ტექსტები და ეპიზოდები, რომლებშიც დაფარულ თუ აშკარა დანაშაულსა და შესაბამის სასჯელზეა საუბარი, მაგ., ბიბლიური ეპიზოდები:

- ადამისა და ევას შეცოდება;
- კაენის მიერ აბელის მკვლელობა;
- იუდას დანაშაული და სასჯელი;



პიტერ პაულ რუბენსი
კაენი კლავს აბელს



ჯოტო
იუდას ამბორი

გააანალიზეთ, ამ შემთხვევაში ცდილობდნენ თუ არა დამნაშავეები დანაშაულის დაფარვას და რა შედეგი გამოიღო ამან?

დანაშაულისა და სასჯელის თემა ყოველთვის აქტუალური იყო ლიტერატურაში.

დოსტოევსკი, „დანაშაული და სასჯელი“

მოკლედ ნაწარმოების ფაბულის შესახებ:

მთავარი გმირი როდიონ რასკოლნიკოვი უნივერსიტეტიდან გარიცხული ხელმოკლე სტუდენტია. ასევე ხელმოკლედ ცხოვრობენ მისი დედა და დაც.

სტუდენტი, თავის პატარა ოთახში ჩაკეტილი, ფიქრობს სამართლიანობაზე და ასკვნის, რომ სამყარო მას უსამართლოდ ექცევა. სწორედ სამართლიანობის აღდგენის სახელით

თვლის, რომ სწორი იქნება, თუ მოკლავს მევახშე ქალს, მოხუცს, რომელმაც მრავალ ადამიანს გაუმწარა ცხოვრება. ჩანაფიქრის აღსრულებისას რასკოლნიკოვი იძულებული ხდება, მოიშოროს უნებლიე მოწმე, მევახშის და, უდანაშაულო მოხუცი. ამ დანაშაულის შესახებ ვერავინ ვერაფერს იგებს, ერთი შეხედვით, ახალგაზრდა სტუდენტმა თავისი გადაწყვეტილება აღასრულა – მოკლა მევახშე და დაეპატრონა მის ქონებას, დანაშაულის შესახებ არავინ არაფერი იცის და შეუძლია, „მშვიდად“ განკარგოს თავისი ნაქურდალი ქონება. მაგრამ... სწორედ აქ იწყება ყველაზე საშინელი რამ მის ცხოვრებაში.

ივარაუდეთ, რა შეუშლიდა ხელს ახალგაზრდა სტუდენტს მძიმე ჩანაფიქრის აღსრულებაში?

თქვენი ვარაუდები გამოაკარით კლასში თვალსაჩინო ადგილას და, ტექსტის წაკითხვის შემდეგ, იმსჯელეთ, რამდენად ამოიცანით მწერლის ვარაუდები.

შენიშვნა: სასურველია, გაეცნოთ დოსტოევსკის „დანაშაულსა და სასჯელს“, რათა ლიტერატურული პარალელების კითხვისას მიღებული გამოცდილება გამოიყენოთ „ხევისბერი გოჩას“ ანალიზის დროს.

სადისკუსიო კლუბი

1. დისკუსია ფოლკლორული პირველწყარო და მხატვრული ტექსტი

თავად ყაზბეგი წერს, რომ ხევისბერი გოჩას ამბავი მისთვის სიტყვასიტყვით უამბნია მოხუც მოხევეს, ღინჯა ხულელს. მის პორტრეტს ავტორი „ელგუჯაში“ ხატავს: „...ეს იყო მთაში განთქმული მეფანდურე და ჭკუამახვილი, გრძნობით სავსე მოლექსე, მაშასადამე, ყველასგან პატივცემული და საყვარელი სტუმარი. ტკბილი მოსაუბრე, ამაღლებული გრძნობით აღსავსე ღინჯა ყოველი სიმის ჩაკვრაზედ ფანდურს ისეთ ხმას აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა, ჟრუანტელს აღუძრავდა და ოფლს დაასხამდა“.

მოაწყვეთ დისკუსია და იმსჯელეთ:

1. ივარაუდეთ, რამდენად „სიტყვასიტყვით“ გადმოიღებდა ყაზბეგი ღინჯა ხულელის მოყოლილ ამბავს?
2. როგორ თანაარსებობს მოთხრობაში ხალხური სიტყვიერება და მწერლის შემოქმედება, რა შეიძლება იყოს ფოლკლორული და რა – თავად მწერლისეული? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე;
3. მოძებნეთ ტექსტში, კიდევ სად ჩანს ფოლკლორი (თქმულებები, გადმოცემები, საგმირო ეპოსი, საწესჩვეულებო და საყოფაცხოვრებო პოეზია და ა. შ.). ამოკრიბეთ ამგვარი ეპიზოდები.

გამოიყენეთ გრაფიკული მაორგანიზებელი:

ეპიზოდი ტექსტიდან	ანალიტიკური კომენტარი
ქორწილში ასრულებენ „ჯვარულს“	„ჯვარული“ საწესჩვეულებო სიმღერაა. თავად ავტორი განმარტავს, რა შემთხვევაში სრულდება იგი.

4. ხალხური ვერსიისაგან განსხვავებით, ყაზბეგი თავისი მოთხრობის სიუჟეტში რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს ცვლის, ამის შესახებ გვესაუბრება კრიტიკოსი გურამ ასათიანი:



გურამ ასათიანი

„არსებობს „ხევისბერი გოჩას“ ორი, ხევში ჩაწერილი ფოლკლორული ვარიანტი, რომლებიც ზოგიერთ მომენტში არსებითად განსხვავდება ლიტერატურული ნაწარმოებისაგან.

კერძოდ, საყურადღებოა, რომ ხალხურ ვერსიებში ძიძია ბევრად უფრო აქტიურია და კლასიკური „მაცთური“ ქალის როლში გამოდის. ყაზბეგის მოთხრობაში, პირიქით, ძიძია სრულიად მოკლებულია არათუ რაიმე აქტივობას, არამედ თავდაცვის საშუალებასაც კი. ის არის არა შემცდენი ონისესი, არამედ ისეთივე მსხვერპლი ამ საბედისწერო გრძნობისა, როგორც ეს უკანასკნელი...

...

აქ საჭიროა, აღვნიშნოთ, რომ „ხევისბერი გოჩას“ ფოლკლორულმა ვარიანტმა არ იცის მამისაგან შვილის მოკვლის მოტივი. ხალხურ თქმულებაში „ვანისეს“ ჰკლავს არა გოჩა, არამედ გუგუა. ყაზბეგის მოთხრობაში შვილის მოკვლის მოტივი აშკარად აქცენტირებულია... “

როგორ გგონიათ, რატომ „გადაასხვაფერა“ ავტორმა ფოლკლორული ტექსტის შინაარსი? რა მხატვრული და იდეური დანიშნულება ჰქონდა ამას? რა მოხდებოდა, მწერალს უცვლელად რომ გაემეორებინა ფოლკლორული ვერსიის სიუჟეტური ჩარჩო? რატომ „ჩაამატა“ მწერალმა მამის მიერ შვილის მკვლელობის შემზარავი ისტორია? ამ ცვლილებით მოიგო თუ წააგო ნაწარმოებმა? პასუხი დაასაბუთეთ და შეადარეთ ამ ნაწყვეტის გაგრძელებას, რომელშიც მკვლევარი იმავე კითხვებზე გვცემს პასუხს. საინტერესოა, რამდენად დაემთხვა თქვენი მოსაზრებები.

დამატებითი რესურსები

გაეცანით სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 5. „პასუხები და სამახსოვროები“) მოცემულ ამონარიდს (4.9. გვ. 545), „რატომ შეცვალა ყაზბეგმა „ხევისბერი გოჩას“ ფოლკლორული ვარიანტი და რატომ ჩაამატა მამის მიერ შვილის მკვლელობის ეპიზოდი?“

2. დისკუსია სიყვარული და მოვალეობა

გრძნობა-გონების ჭიდილი ადამიანის მარადიული დილემაა. ამ თემაზე მრავალი შედევრი შექმნილა. დისკუსიის დროს გაითვალისწინეთ და გააანალიზეთ:

ლიტერატურული წინაპირობები

გაიხსენეთ „ვეფხისტყაოსნიდან“ ეპიზოდი, როცა ავთანდილი დაბნედილი ტარიელის მოსულიერებას ცდილობს. ამ ეპიზოდში ორ გმირს განსხვავებული პოზიციები აქვს:

- „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რაგინდა ვინ გივაზიროს“ – ეს ერთის ცხოვრებისეული მსოფლაღქმაა;
- „რაცა არ გწადდეს იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“ – ეს მეორე გმირის პოზიციაა. თქვენ რომელ თვალსაზრისს იზიარებთ?

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, როცა სიყვარული (გრძნობა, ემოცია) ერთს აიძულებს, გონება (მოვალეობა) კი სრულიად სხვას კარნახობს?

ტექსტზე მუშაობის დაწყებისას გირჩიეთ, გაგეხსენებინათ „მედეასა“ და „ანტიგონეს“ სახეები. დაფიქრებულიყავით, როგორაა წარმოჩენილი სიყვარულისა და მოვალეობის ურთიერთმიმართების საკითხი მსოფლიო ლიტერატურაში.

3. დისკუსია რატომ მოკლა ხევსბერმა შვილი?

განცდები, რომლებზეც მოგვიწევს საუბარი, თვალსაჩინოდ ჩანს ილუსტრაციებზე. ესაა რემბრანდტის „ისააკის შეწირვა“და რეპინის ცნობილი ტილო „ივანე მრისხანე და მისი შვილი“. ეს ტილოები სრულიად განსხვავებულ ამბებსა და სიტუაციებს გადმოგვცემს, მაგრამ მათ აერთიანებს ერთი რამ – მამების შეძრწუნებული, ლამის შეშლილი სახეები. ამ ტილოებზე მსჯელობას, ალბათ, გაკვეთილზე გააგრძელებთ.



რემბრანდტი. „ისააკის შეწირვა“



რეპინი. „ივანე მრისხანე და მისი შვილი“

მოაწყვეთ საკლასო დისკუსია და შეაჯამეთ იგი რუბრიკა „პარალელებში“ მოცემული მხატვრული ტექსტებიდან ამონარიდებისა და „სადისკუსიო კლუბის სტუმრების“ პოზიციების გათვალისწინებით.

სადისკუსიო კლუბის სტუმრები არიან ლიტერატურათმცოდნეები: **გრიგოლ კიკნაძე, აკაკი ბაქრაძე** და **მაია ჯალიაშვილი.** გაეცანით მათ მოსაზრებებს და უპასუხეთ მთავარ სადისკუსიო კითხვას – რატომ მოკლა ხევსიბერმა შვილი?



გრიგოლ კიკნაძე

„რატომ მოკლა ხევისბერმა თავისი ვაჟი? იმიტომ, რომ ის სამშობლოს მოღალატეა? სრულიადაც არა! ღალატი იქაა, სადაც რამდენადმე მაინც შეგნებული, წინასწარგანზრახული მოქმედებაა. რასაკვირველია, ასეთი რამ გამორიცხულია ონისეს საქციელში. მას უყვარს თავისი კუთხე, თავისი თემი და, ამ მხრივ, მასზე წინ არავინაც არაა. ეს იცის თვითონ ხევისბერმაც და თემმაც...

ეგების, ასე იმიტომ მოიქცა გოჩა, რომ სამაგალითოდ დასაჯა ონისე, რათა სხვას აღარ გაემეორებინა ის, რაც ონისეს დაემართა. მაგრამ ასეთი ახსნა გულუბრყვილობაა: ონისეს ყველაფერი მისდაუნებლიეთ მოუვიდა...

ეგების, გოჩა იმიტომ მოიქცა ასე, რომ შვილმა მისი რჩევა ვერ განახორციელა? მაგრამ შვილის მოკვლა დარიგების უნებლიე შეუსრულებლობისათვის უახლოვდება შვილის მოკვლას პატივმოყვარეობის შელახვისათვის. ასეთი ბრალდება შეურაცხყოფდა გოჩას პიროვნებას. მაშ, რატომ მოკლა მამამ შვილი, თუ ეს უკანასკნელი მოღალატე არ არის და ეს იცის მამამაც და თემმაც?..

ურთულესი კითხვაა... ფარულად მიმდინარე გრძნობათა ჭიდილის უფაქიზესი ფორმები დაგვიხატა ყაზბეგმა. ურთიერთის საპირისპირო გრძნობები ერთად ცხოვრობენ პიროვნებაში. აი, რა გვაჩვენა ყაზბეგმა და ამით ჩასწვდა ის ადამიანის უღრმეს სულიერ ფენებს“.



ანტიდაბადება, ანუ არსებობის მარადისობის რღვევა დანაშაული მოხდა

შვილის მოკვლა მამის მიერ, რა პირობებშიც უნდა მოხდეს ეს, ანტიბუნებრივი მოვლენაა. ამგვარი პათოლოგიური შემთხვევა აღწერეს გოგოლმა, პროსპერ მერიმემ, ალ.ყაზბეგმა. თუმცა ყაზბეგი უფრო დამაჯერებლად ხატავს მამის მიერ შვილის მკვლელობის სურათს. ჯერ ერთი, ხევისბერი აფექტის დროს კლავს ონისეს. ე.ი. გოჩას საქციელი არაცნობიერია. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს ქმედება კი ცნობიერია. ისინი ამას წინასწარმოფიქრებულად აკეთებენ. მეორეც, როგორც კი ხევისბერმა გააცნობიერა, რაც ჩაიდინა, იგი გაგიჟდა. ბუნებრივია, ჩადენილი აქტი... თავზარდამცემია და ვერც ერთი ნორმალური გონება ვერ გაუძლებს მას.

თუ ზნეობრიობის თვალსაზრისით შევხედავთ ალ. ყაზბეგის, გოგოლის, პროსპერ მერიმეს აღწერილ შემთხვევებს, უნდა ვთქვათ, რომ არ არსებობს უფრო დიდი უზნეობა, ვიდრე მამის მიერ შვილის მოკვლაა (ან შვილის მიერ მამის მოკვლა). მაგრამ ხევისბერმა გოჩამ ზღო ეს დანაშაული, გამოწვეული ელდის დაცემით. მან გონება დაკარგა, თავადვე შეიქმნა თავისივე საქციელის მსხვერპლი. ტარას ბულბასა და მატეო ფალკონეს სულიერ სამყაროში შვილებისადმი თანაგრძნობის მისხალიც კი არ აღმოჩნდა.

... უმთავრესად ის მიმაჩნია, რომ შვილის მოკვლით მამა არსებითად თვითმკვლელობას სჩადის, რამეთუ ანადგურებს საკუთარ მომავალს. ეს ნათლად იხატება ალ. ყაზბეგის მოთხრობაში, როცა ონისეს მოკვლის შემდეგ გოჩა გიჟდება.

ამრიგად, მამამ, რომელმაც შვილი მოკლა, არსებითად, ჩაიდინა თვითმკვლელობა (ე.ი. გაიმეორა ჰაჯი-უსუბის საქციელი), მოისპო მომავალი, დაარღვია ბუნების კანონი (მამა უნდა მოკვდეს, შვილი დარჩეს) და გაწყვიტა დროთა კავშირი. ლიტერატურაში ამ პრობლემას ეწოდება ანტიდაბადება ან არსებობის მარადისობის დარღვევა...

აკაკი ბაქრაძე

განსხვავებული ინტერპრეტაცია:

არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციაც, მამამ იმიტომ მოკლა შვილი, რომ ნაძრახი სიცოცხლისთვის ვერ გაიმეტაო.

სადისკუსიო კლუბის სტუმარია ფილოლოგიურ მეცნირებათა დოქტორი
მაია ჯალიაშვილი

დანაშაული და სასჯელი

სამართლებრივი, ტრადიციული და მორალური მართლმსაჯულება



მაია ჯალიაშვილი

„...ხევისბერს შვილის დასჯას კანონი არ ავალდებულებდა, ასეთი კანონი არასოდეს არავის შუქმნია. ტრადიციის თანახმად, ხევისბერი ვალდებული იყო, დამნაშავეთათვის განაჩენი გამოეტანა...

და კიდევ, არსებობს მორალური მართლმსაჯულება, რომლის შესახებაც საუბრობს ლიტერატურათმცოდნე მაია ჯალიაშვილი და რომელიც ყველაზე მძიმე და გარდუვალია.

– ონისე ეხლავე მკვდარია! – ამბობს ზარდაცემული ხევისბერი, როცა ონისეს მარცხს შეიტყობს. მან, როგორც მსაჯულმა, იცის, რომ ონისე მოღალატე არ არის, მაგრამ როგორც მამა, გრძნობს უსაშინლეს სიმართლეს – ონისე უნდა მოკვდეს; ეს ერთადერთი გამოსავალია უბედური შვილისათვის, უნდა მოკვდეს ახლავე და უნდა მოკვდეს მამის ხელით, სხვა ამ ცოდვას ვერ დაიდებს და სხვისი გაჩენილის მიმართ ვერც იმ ჯოჯოხეთურ სიბრალულს იგრძნობს, რომლის გამო ხევისბერი ვერ იმეტებს ონისეს უღირსი არსებობისთვის, გაუნელებელი სატანჯველისთვის.

ამგვარად, თუ ხევისბერ გოჩას, როგორც მსაჯულს, ონისეს მოკვლის უფლება არ ჰქონდა, მას, როგორც მამას, რომელიც ვერაფრით ააცდენდა შვილს სოციალურ სიკვდილს, ისღა დარჩენოდა, შეეწყვიტა მისი ნაძრახი სიცოცხლე, რომელიც ფიზიკურ სიკვდილზე უფრო მტანჯველია, რადგან საკუთარ ფიზიკურ სიკვდილს ონისე უკვე ვეღარ განიცდიდა. მას განიცდიდა სხვა – მის სოციალურ ატომში ყველაზე ახლოს მდგომი – მამა. ამ განცდის შედეგიც – გოჩას ჭკუაზე შეშლა – ლოგიკური და ბუნებრივია“.

ლიტერატურული ძიებანი

მონოლოგი, შინაგანი მონოლოგი

მონოლოგი (ბერძნ. მონოს – „ერთი“ და ლოგოს – „სიტყვა“) მხატვრული ნაწარმოების მოქმედი პირის ვრცელი სიტყვაა, რომლითაც პერსონაჟი მიმართავს საკუთარ თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს. მასში გადმოცემულია გმირის სულიერი განწყობილება, ამ ტექსტში იხსნება პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი ხასიათი, ზოგჯერ მოქმედების განვითარების ქარგაც.

ზოგჯერ ავტორებს უყვართ საკუთარი აზრების პერსონაჟთათვის მიწერა და მათი მეშვეობით გაჟღერება.

გაიხსენეთ ამონარიდები ლიტერატურულ პარალელებში მოყვანილი პოემიდან „ჰორაციუსი“ და იმსჯელეთ, გმირთა რეპლიკებიდან რომელი შეიძლება ჩაითვალოს მონოლოგად?

მონოლოგი საკუთარ თავთან (ფიქრები)

აქ ადამიანი მარტოა დარჩენილი საკუთარ თავთან, ფიქრობს და შინაგან მონოლოგში პერსონაჟის პირადი განცდები, ემოციები და განწყობებია გადმოცემული.

შინაგანი მონოლოგის მაგალითია, მარტო დარჩენილი ხევისბერის ფიქრები შვილზე. მონოლოგი შესაძლოა, ვინმესთვის იყოს განკუთვნილი, მაგრამ შინაგანი მონოლოგი ყველაზე გულწრფელია და სანდო.

მონოლოგის ერთ ერთი მთავარი მახასიათებელია მისი მთავარი თემის განსაკუთრებული მნიშვნელოვნება. ჩვეულებრივ ყოფით ამბებს მონოლოგებს არ უძღვნიან, ამიტომაც ხშირად ინტონაცია აწეულია და ტრაგიზმის ელემენტებს შეიცავს.

მონოლოგი გულწრფელია და გმირის განცდათა დამტევი.

განსაკუთრებული ემოციურობის გამო, მონოლოგი რიტმულია, მასში ხშირია, გამეორება, რიტმულად მსგავსი მონაკვეთების კანონზომიერი მონაცვლეობა, რაც მონოლოგს თავისებურ მუსიკალურობას ანიჭებს.

ასევე, ხშირად რიტმი თანდათან იძაბება, იზრდება (გრადაცია) და კულმინაციას აღწევს.

მონოლოგში ყველაზე უკეთ ჩანს გმირის სახე, მისი ცხოვრებისეული კრედო, მისი პოზიცია.

მონოლოგებში ასევე ხშირია რიტორიკული ფიგურები – რიტორიკული მიმართვები და რიტორიკული შეკითხვები.

დავალება

ამოწერეთ „ხევისბერი გოჩადან“ ეპიზოდები, რომლებშიც მონოლოგები გვხვდება. იმსჯელეთ, რომელია ჩვეულებრივი მონოლოგი და რომელი ჰგავს მონოლოგს საკუთარ თავთან? გამოიყენეთ გრაფიკული მაორგანიზებელი:

მონოლოგი (ამონარიდი ტექსტიდან)	მონოლოგი საკუთარ თავთან (ფიქრები) (ამონარიდი ტექსტიდან)

მწერლის ენა



ბესარიონ ჯორბენაძე

როგორც იცით, სტილისტიკა ენათმეცნიერების დარგია და იგი შეისწავლის ენობრივ საშუალებათა გამოყენების ხერხებს. სტილისტიკის შესწავლის ერთ-ერთ საგანს მწერლის ენა წარმოადგენს. ყოველი მწერალი თავისი ინდივიდუალური წერის მანერით გამოირჩევა.

გთავაზობთ შეხვედრას სადისკუსიო კლუბში, სადაც ცნობილი ენათმეცნიერები ალექსანდრე ყაზბეგის ნაწარმოებთა ენობრივ თავისებურებებზე საუბრობენ.

- „ალექსანდრე ყაზბეგი სრულიად შეგნებულად მიმართავს პერსონაჟის დასახასიათებლად მის მეტყველებას... პერსონაჟების მეტყველების ნაირგვაროვნება შემთხვევითი არ არის ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებებში“.

- „დიალოგს ავტორის ფრიად ძუნწი რემარკები ახლავს, პერსონაჟთა ხასიათი თვით მათს საუბარშია გახსნილი. აღწერას გაცილებით უფრო ეფექტური ხერხი ცვლის: პერსონაჟთა ბუნება მათი მეტყველებით წარმოჩნდება“.
- „ალექსანდრე ყაზბეგის პროზა უმძაფრესი შინაგანი დინამიზმით გამოირჩევა“.
- „პერსონაჟის სულიერი ძვრების გასახსნელად ყაზბეგი ხშირად მიმართავს ბუნებას“.
- „ალექსანდრე ყაზბეგი ხშირად მიმართავს ფრაზეოლოგიზმებს, რომლებიც ფართოდ არის გამოყენებული ცოცხალ მეტყველებაში... ფრაზეოლოგიზმებით შეზავებული მეტყველება ემოციურად უფრო ტევადი ხდება, ფორმით – უფრო დახვეწილი, რაც შესაძლებლობას იძლევა, სხარტად, ზედმეტი ახსნა-აღწერის გარეშე იქნეს გამოხატული პერსონაჟის სულიერი სამყარო, მისი მრწამსი ან თუნდაც წამიერი გუნება-განწყობილება. ამ რიგისაა, არსებითად, ალერსის ფორმულები: „შენი კვნესამე!“, „ჩემო ყველავ!..“
- „ფრაზეოლოგიზმების, აფორიზმებისა და ანდაზების გამოყენება ხალხურ კილოსთან აახლოებს ყაზბეგის თხრობას“.
- „ყაზბეგი უხვად იყენებს ისეთ დიალექტურ ლექსიკას, რომლის ფარდი არ ეგულება სალიტერატურო ენაში... ზოგჯერ კი ყაზბეგი შეგნებულად ამჯობინებს დიალექტურ ვარიანტებს“.

ბესარიონ ჯორბენაძე
წიგნიდან „ბალავარი მწერლობისა“



ალექსანდრე ყაზბეგის ენობრივი სამყარო სავსებით თავისებურია და, ამიტომაც, განუმეორებელი. მისთვის დამახასიათებელი თქმის ლაპიდარული მანერა და რამდენადმე ნერვიული სტილი სავსებით შეესაბამება იმ შინაგან დინამიზმსა და ექსპრესიას, რომლებითაც გამოირჩევა მისი მხატვრული პროზა“.

(შ. ძიძიგური)



„ადვილად და ნათლად ხერხდება ზღვარის დადება ავტორის ენასა და პერსონაჟის მეტყველებას შორის.

(ი. ქავთარაძე)

ენათმეცნიერთა მოსაზრებების გაცნობის შემდეგ, უპასუხეთ კითხვებს:

1. რა ადგილი უჭირავს მოთხრობაში დიალექტს? განსხვავდება თუ არა მწერლისა და პერსონაჟის ენა? როგორ მეტყველებს მწერალი და როგორ – პერსონაჟი?

2. რა როლი ენიჭება დიალექტსა და, საერთოდ, პერსონაჟის მეტყველებას ამ პერსონაჟის სახის ხატვისას?

3. ყაზბეგის გმირებს ხშირად ახასიათებთ ფსიქოემოციური დაძაბულობა, სტრესი, აღგზნებული მდგომარეობა. როგორ გადმოიცემა პერსონაჟთა განწყობილებები ენობრივად?

4. როგორია თხრობის რიტმი და რა საშუალებებით აღწევს მწერალი თხრობის ექსპრესიულობას? მოძებნეთ და გააანალიზეთ კონკრეტული მაგალითები.



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

კომპლექსური დავალება

კომპლექსური დავალება 5.

პერსონაჟის მონოლოგი

მოირგეთ ალ. ყაზბეგის „ხევისბერი გოჩას“ ერთ-ერთი პერსონაჟის როლი და დაწერეთ მისი მონოლოგი სამსჯავროზე ან სამსჯავროს გამართვის წინ. ამისათვის შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა ეპოქის ლიტერატურული მონოლოგები, გამოკვეთეთ მათი ჟანრობრივი თავისებურებანი და შეიმუშავეთ მონოლოგის ჩარჩო-სქემა, შემდეგ შექმენით მონოლოგი. ამისათვის:

- ✓ წარმოაჩინეთ პერსონაჟის ფიქრები, ემოციები და დამოკიდებულებები სხვა პერსონაჟების, ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების, თემში მოქმედი კანონების მიმართ;
- ✓ გადმოეცით, როგორ აფასებს პერსონაჟი თავის ქმედებებს, როგორ ხსნის მათ;
- ✓ შეეცადეთ გადმოსცეთ შერჩეული პერსონაჟის მეტყველების სპეციფიკა;
- ✓ მონოლოგის რიტმულობისა და ემოციური მუხტის შესაქმნელად გამოიყენეთ შესაბამისი ენობრივი საშუალებები (მაგ., ემოციების გამომხატველი ლექსიკა, რიტორიკული შეძახილი, რიტორიკული შეკითხვა).

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევრის წარდგენისას ისაუბრეთ:

- რატომ ფიქრობთ, რომ თქვენი ნამუშევარი მონოლოგია;
- ტექსტში მოცემულ რომელ მინიშნებებს დაეყრდენით მონოლოგის წერისას;
- რა ახალი დეტალებით გაამდიდრეთ პერსონაჟის სახე;
- რამდენად და როგორ შეძელით პერსონაჟის მეტყველების თავისებურების წარმოჩენა (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები ალ. ყაზბეგის ნაწარმოებიდან და თქვენი ნამუშევრიდან);
- რომელი ენობრივი საშუალებები გამოიყენეთ მონოლოგის რიტმულობისა და ემოციური მუხტის შესაქმნელად (მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები თქვენი ნამუშევრიდან);
- კონკრეტულად, რაში და როგორ ასახეთ მონოლოგში ნაწარმოებში აღწერილი მოვლენების ისტორიული კონტექსტი.

კომპლექსური დავალება 6.

ანალიტიკური ესე „სიყვარული და მოვალეობა ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და პიერ კორნელის „ჰორაციუსის“ მიხედვით.

სათაურში გამოტანილი პრობლემის – სიყვარული და მოვალეობა – მიხედვით ჩაატარეთ ალექსანდრე ყაზბეგის „ხევისბერი გოჩასა“ და პიერ კორნელის „ჰორაციუსის“ ტექსტების შედარებითი კვლევა, მიღებული დასკვნების საფუძველზე დაწერეთ ანალიტიკური ესე.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში:

- გააანალიზეთ გამოკვეთილი დილემის ფონზე პერსონაჟთა ქცევა და მოტივაცია (ნაწარმოებებიდან სათანადო ადგილების დამოწმებით);
- წარმოაჩინეთ, რა გავლენას ახდენს ეპოქის თავისებურებები მხატვრულ ნაწარმოებში მოვლენათა განვითარებასა და პერსონაჟთა ქცევის მოტივზე;
- გამოიყენეთ მსგავსებისა და ურთიერთსაპირისპირო აზრის გამომხატველი ენობრივი კონსტრუქციები (მაგ., „როგორც... ასევე“; „ერთ შემთხვევაში... მეორეგან კი“; „ამისგან განსხვავებით“);
- გამოკვეთეთ ესეს შემადგენელი სტრუქტურული ნაწილები (შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა);

შეარჩიეთ სათანადო სტილი, დაიცავით ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და პუნქტუაციის წესები.



თავი IV
თვითშემეცნების გზაზე

წაკითხვამდე

ჩვენი ვარაუდები

1. დააკვირდით პარაგრაფის სათაურს, მხატვრულ ლიტერატურაში თქვენ აქამდეც ბევრი პერსონაჟი შეგხვედრიათ, რომელთაც რთული გზის გაკვალვა მოუხდათ. იმსჯელეთ, რა ინფორმაციას იტევს ეს სათაური? რას მიგანიშნებთ იგი ჯერ კიდევ შეუსწავლელ ტექსტებზე?
2. წინა თავში ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობის შესწავლისას თქვენ გაეცანით თემს, რომელსაც თავისი წეს-კანონები აქვს. ადამიანები მკაცრად იცავდნენ ამ ტრადიციულ წესებს. იმსჯელეთ, რა შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე თემმა, მისმა ტრადიციებმა და რა შეგიძლიათ თქვათ ადამიანთა ურთიერთობებზე თემის შიგნით? რა არის თემის წევრთათვის უზენაესი?

ლიტერატურული ძიებანი

შტრიხები ვაჟას პორტრეტისათვის

ვაჟა-ფშაველაზე აქამდეც ბევრი გსმენიათ. გთავაზობთ ვიდეომოგზაურობას ვაჟას სამყაროში.

გაეცანით მითითებულ ვიდორგოლებს და ამოკრიბეთ ბიოგრაფიული დეტალები ვაჟას შესახებ. მოამზადეთ 2-3 წუთიანი პრეზენტაცია – შტრიხები ვაჟას პორტრეტისათვის.

1. რაზიკაშვილები.

   https://www.google.com

2. ვაჟა ფშაველას სახლ-მუზეუმი

   https://www.facebook.com

დამატებითი რესურსები

სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 2. „დამატებითი საკითხავი“, 2.6. გვ. 502) გაეცანით ამონარიდებს აკა მორჩილაძის წიგნიდან „ქართულის რვეულები“, ვაჟა-ფშაველა.



წაკითხვამდე

ჩვენი ვარაუდები

1. სათაურის მიხედვით გამოთქვით ვარაუდი, რაზე შეიძლება იყოს საუბარი ლექსში?
2. ალბათ, გსმენიათ, რომ ბუნებაში სრული ჰარმონია სუფევს, აქ ყველა და ყველაფერი ურთიერთკავშირშია. როგორ გესმით ეს ფრაზა? მაგალითად, როგორ გგონიათ, „იდეალურ“ პეიზაჟში მხოლოდ პოზიტიური ემოციის გამომწვევი მხატვრული დეტალები მოხვდება, თუ მასში შერწყმული იქნება ბუნების იდილიაც და წინააღმდეგობებიც? რატომ ფიქრობთ ასე?

ღამე მთაში

დაღამდა... წვრილნი ვარსკვლავნი
აყვავდნენ, დასხდენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსადა სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა,
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა!
ჯერ გამარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივნი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა.
მგზავრს უჭირს ბნელით გამოსვლა,
დადგომა სწორეს გზაზედა.
მთებს ჩაუცვიათ შავები,
ჭმუნვით დასცქერენ ხევებსა;
ცივს ნიავს შესთავაზობენ
უფსკრულს მოარულს დევებსა;
ტყისთვისაც ძაძა ჩაუცვამს
სიბნელეს დანატევებსა[1].
გორით-გორს ბუვი გასძახის,
თრთიან ყვავილნი მთებისა,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი,
დარაჯად დაადგებისა.
მითამ იციან ღავღუვი,
რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!
წყალი სჩქეფს, ხევი ჩასტირის,
განა ერთი და ორია:
აქაც, იქ, იმას იქითაც,
საცა ფერცხალა[2] გორია,
ლამაზის მთების ასულთა
ხმა ხმისთვის შაუწონია.
მადლი შენ, ყველა ერთმანეთს,
უფალო, დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!..
ხევი მთას ჰმონებს, მთა – ხევსა,
წყალნი – ტყეს, ტყენი – მდინარეთ,
ყვავილნი – მიწას და მიწა –
თავის აღზრდილთა მცენარეთ
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზედ ოფლგადამდინარედ!
ეხლა ცა წყნაროობს... სოფელსაც
გულწყნარად დაეძინება.
უეცრად შუაღამისას
ცას ჯანღი დაეფინება,
შავი ზღვის შავი ვეშაპი
პირღია დაგვეღირება,
ჩვენ, მოსვენებით მძინარეთ,
საჭმელად დაგვეპირება.
მოჰსქდება ქარი და ღვარი,
სდგას ლეწა-მტვრევა ბრძოლისა;
დროება ჩამოვარდნილა
დიდი შიშის და ძრწოლისა.
მთელი მთა-ბარი იქცევა,
მეორმოსვლაა სწორედა!
მოჰკაწრავს ღვარი ტყე-კლდეებს,
მოაქვს და მოსდგამს ყორედა.
ბუნება მბრძანებელია,
იგივ მონაა თავისა,
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,
ზოგჯერ მქნელია ავისა;
ერთფერად მტვირთველი არის
საქმის თეთრის და შავისა;
საცა პირიმზეს ახარებს,
იქვე მთხრელია ზვავისა...
მაინც-კი ლამაზი არის,
მაინც სიტურფით ჰყვავისა!..

---

1 **დანატევები** – შემომტევი;

2 **ფერცხალა** – დაღარული.

ჩვენ და ტექსტი

1. რასთან არის არაპირდაპირ შედარებული ლექსის დასაწყისში ვარსკვლავები; რა განცდებს, შთაბეჭდილებებს აღძრავს ეს შედარება?
2. როგორ წარმოდგება ლექსში მთვარე – შორეული და „ცივი“ მნათობი – და რა ხერხის გამოყენებით იქმნება მისი ხატი?
3. როგორ ზრუნავენ ერთმანეთზე ბუნების ქმნილებები? დაასახელეთ სათანადო ეპიზოდები ტექსტიდან.
4. „მითამ იციან ღავლუვი, რად არ ჰყეფს ჯოგი მგლებისა?!“ თქვენი აზრით, პეიზაჟში როგორი განწყობილება შემოაქვს ამ დეტალს?
5. როგორ წარმოისახება ხმათა ჰარმონია ბუნებაში?
6. რა სიტყვას, ცნებას იყენებს ავტორი ბუნებაში არსებული კანონზომიერების გამოსახატად; რა კანონზომიერებაა ეს და, თქვენი აზრით, რამდენად ზუსტად ახასიათებს მას ავტორის მიერ შერჩეული სიტყვა?
7. როგორია პოეტის დამოკიდებულება ბუნების კანონზომიერებისადმი და რა განსაზღვრავს ამ დამოკიდებულებას?
8. რაზე მიგვანიშნებს გამოთქმა: „პირზე ოფლგადამდინარედ“, რომლითაც ავტორი თავის თავს ახასიათებს? რა პროცესი აკავშირებს ავტორს (და საერთოდ ადამიანს) ბუნებასთან; რატომ ამბობს იგი: „და მე ხომ ყველას მონა ვარ“?
9. მიუთითეთ ფანტასტიკურ სახეზე ავდრის სურათში; თქვენი აზრით, რას მატებს ავდრის სურათს ეს სახე?
10. რომელი სიტყვები, გამოთქმები გამოხატავს ყველაზე მძაფრად ბუნების აგრესიულობას?
11. როგორ გესმით ეს აზრი: „ბუნება მბრძანებელია, იგივ მონაა თავისა“?
12. რა ქმნის ბუნების ორსახოვნებას და, თქვენი აზრით, რატომ ვერ ართმევს ეს ორსახოვნება ბუნებას მშვენიერებას?

სადისკუსიო კლუბი

1. მინიდისკუსია – გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ამონარიდებს და იმსჯელეთ, თემაზე – რა ქმნის ბუნების ჰარმონიულ სურათს?

„ვხედავთ კარგად, ბუნებას რომ თვალები არა აქვს, არც თავი აბია და ტვინი სად ექნება? მაგრამ მისი წესი და რიგი, მისი სიმტკიცე აზრისა და მისწრაფებისა ჩვენ გვაოცებს, გვაკვირვებს. მისი გონიერი მოქმედება ადამიანის გონიერებას ბევრად აღემატება.... ბუნება თავდაუზოგავად ჰღელავს, იბრძვის, მიისწრაფვის ერთხელ არჩეულ, აჩემებულ გზაზე. აზრი მაღალი აქვს, ფიქრი კეთილი, მაგრამ შეცდომაც ბევრი მოსდის, უნაკლო არც იგია“.

ვაჟა-ფშაველა

ბუნება შეუდარებელი მხატვარია: უბრალო მასალისგან ქმნის იგი სრულიად ურთიერთსაპირისპირო ხასიათის ნაწარმოებებს და თვალწინ გასაოცარ სანახაობას გადაგვიშლის. ბუნებაში ყველაფერი ცოცხლობს, იცვლება, მოძრაობს, მაგრამ წინ ის არ მიდის. იგი მტკიცეა, მისი ნაბიჯები გამოზომილია, თავისი გზიდან იშვიათად უხვევს. მას შეუცვლელი, გარდაუვალი კანონები წარმართავს. ყოველი მისი ქმედება სიკეთეა, რადგან აუცილებლობაა.

ბუნებას არა აქვს ენა, სიტყვები, მაგრამ ქმნის ათასობით ენას და გულს, რომელთა მეშვეობითაც ლაპარაკობს და გრძნობს.

სიცოცხლე ბუნების საუკეთესო გამოგონებაა; სიკვდილი მისთვის სიცოცხლის ზრდის და გაძლიერების საშუალებაა.

ბუნება ყველაფერია: იგი თვითონ აჯილდოებს და სჯის, ახარებს და აწამებს თავის თავს; ის მკაცრი და სათნოა, ვუყვარვართ და გვაძრწუნებს; ის კეთილია, ბრძენია; ცბიერია, მაგრამ მხოლოდ სიკეთეს ემსახურება“.

გოეთე[1]

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ ანალიტიკური ესე – „ბუნება მბრძანებელია“.

წაკითხვამდე

როგორ ვიკითხოთ?

1. დამოკიდებულება ფოლკლორსა და ხალხურ ტრადიციებთან.

ვაჟას ნაწარმოებების კითხვისას უნდა გავითვალისწინოთ მისი განსაკუთრებული დამოკიდებულება ფოლკლორთან, ხალხურ ტრადიციებთან. ბევრი რამ მის პოეზიაში, შესაძლოა, სწორედ აქედან მომდინარეობდეს. ამას ერწყმის მწერლის ორიგინალური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ხედვა. ამიტომაა, რომ ვაჟას სამყარო სრულიად თვითმყოფადი და თავისებურია.

ზოგჯერ მწერალი თავად აზუსტებს, რომელ ნაწარმოებში რამდენადაა გამოყენებული ფოლკლორი, მაგ., წერილში „ჩემი პოემების შესახებ“ ვაჟა „სტუმარ-მასპინძლის“ ხალხურ წარმომავლობაზე მიუთითებს: „ზეპირგადმოცემამ მომცა მხოლოდ ერთი ადამიანის, ზვიადაურის სახელი და ერთი ეპიზოდი, სახელდობრ, ის, რომ მას ქისტები თავიანთი მკვდრის, დარლას საფლავზე ჰკლავენ, ხანჯალს ურჭობენ ნელ-ნელა ყელში და ცდილობენ, როგორმე შეაშინონ, მოდრიკონ, რომ მსხვერპლი მსხვერპლად გამოდგეს. ზვიადაური ქვავდება და გაიძახის: ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! დანარჩენი პოემაში საკუთარი ფანტაზიის ნაყოფია“. ასევე, წერილში „კრიტიკა ბატონი იპოლიტე ვართაგავასი“ ვაჟა წერს, რა გამოიყენა ხალხური თქმულებებიდან თავის პოემებში.

„სტუმარ-მასპინძელში“ მრავალ ხალხურ ტრადიციასა და წეს-ჩვეულებას შეხვდებით. პოემა საშუალებას გაძლევთ, საუკუნეების წინანდელ მთასა და მის მცხოვრებთა ყოფას დააკვირდეთ. საინტერესოა თუ არა ეს სამყარო თქვენთვის?

რა მოლოდინები გაქვთ და რისი შეტყობა გსურთ ვაჟას გმირებისაგან?

[1] **იოჰან ვოლფგანგ გოეთე (1749-1832)** – გერმანელი მწერალი.

2. პერსონაჟებს ზოგჯერ ერთი ან რამდენიმე პროტოტიპი ჰყავთ.

მთაში გავრცელებული თქმულებებისა და გადმოცემების გმირები ხშირად ვაჟას პერსონაჟების პროტოტიპებად გვევლინებიან. შესაძლოა, მწერალმა ორი, ან რამდენიმე გმირის თვისებები ერთ პერსონაჟში გააერთიანოს.

გადმოცემით, „სტუმარ-მასპინძლის“ სამივე მთავარ პერსონაჟს თავისი პროტოტიპები ჰყავდა:

ჯოყოლას პროტოტიპი: ერთი გადმოცემის თანახმად, შამილის მიერ შარიათის კანონების გავრცელებას თავისუფლებისმოყვარე მთიელთა ერთმა ნაწილმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია. ამის გამო შამილმა მთას ბლოკადა გამოუცხადა და ქისტები იძულებულები გახდნენ, საქართველოში გადმოსულიყვნენ. შამილის სერიოზულ მოწინააღმდეგეთა შორის იყო **ჯოყოლა დარქიზანაშვილი.** სწორედ ეს ჯოყოლა უნდა იყოს ვაჟას გმირის პროტოტიპი.

ზვიადაურის პროტოტიპი: ზვიადაურის პროტოტიპი უნდა იყოს **ლაგაზათ ზვიადი,** შემორჩენილია მისი საფლავი სოფელ არდოტში. მისი გვარი ყოფილა **გიგაური**.

აღაზას პროტოტიპი: ფოლკლორში ცნობილია ლეკების მიერ თუში ლუხუმის მოკვლის ამბავი. ლუხუმის ამბავში ქალის მოტივიც არსებობს, რაც აღაზას მოტივს ნაწილობრივ ეხმაურება. ამ გადმოცემით, ლუხუმის დასჯას დაღესტანში ტყვედმყოფი თუში ქალიც ესწრებოდა. მან დამსჯელებს ვაჟკაცობა დაუწუნა და შესძახა – თუ არ გეშინიათ, ხელი შეუხსენითო. ლუხუმს ერთადერთი, მარჯვენა ხელი ჰქონდა, მაგრამ ისიც არ შეუხსნეს. ითვლება, რომ აღაზას სახე, შესაძლოა, ამ ეპიზოდის პოეტური გარდასახვაც იყოს (იხილეთ დანართი 2; 2.7. გვ. 506).

სტუმარ-მასპინძელი

I

ღამის წყვდიადში ჩაფლული,
გამტკნარებულის[1] სახითა,
მოსჩანს ქისტეთის მიდამო
სალის კლდეების ტახტითა.
ბნელს ხევზე მოჰყეფს მდინარე,
გულამღვრეული ჯავრითა.
გადმოხრილიყვნენ მთანიცა,
ხელ-პირს იბანდენ წყალზედა;
ბევრი მომკვდარა მათს მკერდზე,
სისხლს ვერ იხდენენ ტანზედა;
ძმის მკვლელის სისხლი სწყურია,
კაცი რომ მოდის გზაზედა.
გზას ვამბობ, თორემ რა გზაა,
ვიწრო ბილიკი კლდეზედა?
სავალად მეტად ძნელია,
ფეხს ძლივს აცილებს ფეხზედა.
გაღმა სჩანს ქისტის სოფელი
არწივის ბუდესავითა, –
საამო არის საცქერლად
დიაცის უბესავითა.
სოფლის თავს სძინავს შავს ნისლსა
დაფიქრებულის სახითა.
ყურს უგდებს არე-მარესა,
გულ-ლაღობს სანახავითა.
სტუმარი ცოტა ხანისა
ხვალ სხვაგან წავა აქითა.
წავა, გადივლის გორებსა,
ქედებსა ყინულიანსა;
აბნელებს, უხილავად ჰქმნის
ქვეყანას ხილულიანსა.
თუ მონადირეს ატირებს,
გზა-დაკარგულსა კლდეშია,
ალაღებს მგელსა და ქურდსა,
მოარულთ სიბნელეშია.

[1] **გამტკნარებული** – გაფითრებული, გაქვავებული, გაოგნებული.



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაცია

ჩვენ და ტექსტი

1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალში, ისევე როგორც მუსიკალური ნაწარმოების პრელუდიაში, უმეტესად ის ძირითადი თემები და მოტივები გაიელვებს ხოლმე, რომლებიც შემდეგ მასში იშლება.

   ვაჟას „სტუმარ-მასპინძელი“ პეიზაჟით იწყება, თუმცა ჩენ უკვე ვიცით, რომ მხატვრულ ტექსტში პეიზაჟს მხოლოდ ნეიტრალური (ტექსტისგან დამოუკიდებელი) – ბუნების სურათების ჩვენების ფუნქცია არ აქვს. ბუნება მჭიდრო კავშირშია ადამიანთან, ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილთან. ამის გათვალისწინებით, ჩამოწერეთ ყველა სავარაუდო თემა და მოტივი, რაც პეიზაჟში გაიელვებს და რაც თქვენი აზრით, ნაწარმოებში შემდეგ განვითარდება, მაგ., სიბნელეში ნათლის ძიება; გზის ძიება, დაგუბებული ბრაზი და ჯავრი გამოსავალს ეძებს, შურისძიების მოტივი და ა. შ.

   ამ თვალსაზრისით კიდევ ერთხელ გადახედეთ შესავალს. რა დანიშნულება აქვს მას? რა თემები და განწყობილებები ჭარბობს მასში?

2. უცნობ მგზავრთან ერთად ამ ძნელ და მძიმე გზას, თითქოს, მკითხველიც გადის. იმსჯელეთ, როგორ სამყაროში აღმოჩნდით?

3. პეიზაჟის რომელი ნაწილი ეთმობა სოფლის თავს მძინარე შავ ნისლს (მოძებნეთ და ხელახლა გადაიკითხეთ)? გადმოეცით ეს ეპიზოდი დაწვრილებით. რა დანიშნულება უნდა ჰქონდეს ამ გაპიროვნებას? ივარაუდეთ, რატომ შემოიტანა ავტორმა პეიზაჟში შავი ნისლი.

4. ამ გარემოში რა განწყობას უნდა ბადებდეს ადამიანის გამოჩენა? ივარაუდეთ, როგორ შეხვდება ორი სრულიად უცნობი ადამიანი ამ ფონზე ერთმანეთს – ნდობით, სიყვარულით, იმის იმედით, რომ ამ პირქუშ და სახიფათო გარემოში მეგზური და მშველელი გამოჩნდა, თუ პირიქით, უნდობლობით, სიფრთხილით? ადამიანის გამოჩენა გაზრდის თუ შეამცირებს საფრთხის შეგრძნებას?

II

ზევიდამ ვიღაც უცნობმა
კლდის ლოდი გადმოაგორა,
მგზავრმა შეჰხედა პირ-აღმე,
წინ უდგას მაღალი გორა.
ყურს უგდებს... ცოტა ხანს შემდეგ
მოესმა ქვიშის ჩხრიალი.
მგზავრი სიათას[1] იმარჯვებს:
მტერი არ იყოს ტიალი.
შესცქერის გაფაციცებით
ფეხზე შემდგარის თოფითა,
ჰხედავს, რომ მოალაჯუნებს
კაცი ორ-კაპის ჯოხითა.
შავი რამ მოსთრავს პირ-თავქვე,
ქვიშა ქანავდა იმითა.
არას ამბობდა უცნობი,
სიტყვა არ მოსდის პირითა.
უპრჭყვინავს სალტა თოფისა,
ვით წვიმის ცვარი დილითა.
– ვინ ხარ, რა სულიერი ხარ,
რას იარები ამ დროსა?
– ვინ გინდა? მონადირე ვარ,
კაცს შენ ვერ გხედავ სანდოსა.
– რაობით სანდო არა ვარ?
სიტყვას რად ამბობ მცდარესა?
ვითომ, რომ დავხეტიალობ
შენებრ ამ კლდიან მხარესა?
მეც მონადირე გახლავარ,
დღეს-კი ვეხეტე უბრალოდ.
– წესია მონადირისა,
ხომ მაინც დაჰრჩი უვალოდ?
– ესეც ვალია, ძმობილო,
ძლივს-ღა დავათრევ ფეხებსა,
სულ დავიარე ჭიუხი,
არა ვსტოვებდი ხევებსა.
ზედ შავი ნისლი ჩამოწვა,
ნიავი მოსცა ძლიერი,
ხევებით შემომღმუოდა,
როგორაც მგელი მშიერი.
თვალ-წინ გზას ვეღარ ვირჩევდი,
კლდეზე გადვარდნას ვლამობდი,
ხამად ვარ[2], გეზი არ ვიცი,
ამით ძლიერა ვწვალობდი.
ბევრგან დავაფთხე ნადირი,
ცხადად ფეხის ხმა მესმოდა,
ან როცა გადაფრენილის
ჯიხვის რქა კლდეებს ესმოდა.
ის იყო გულის საკლავი,
თვალით ვერაფერს ვხედავდი,
სროლას ან მოკვლას ვინ იტყვის,
წინ სვლას ვეღარა ვბედავდი.
უცნობი ახლოს მივიდა,
შორი-ახლოსა მდგომარე,
„გამარჯვებაო“, მისძახა,
„ნუ სჩივი, ნუ ხარ მწყრომარე“.
– შენც გაგიმარჯოს, ძმობილო,
ჰხოცო ნადირი მხტომარე.
– აი, ნადირი, რას სჩივი? –
უჩვენა ჯიხვი რქიანი, –
მკვდარი, რქებ-გადაგდებული,
დადუმებული, ჭკვიანი. –
თუ გინდა ეხლავ გავიყოთ,
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც[3] არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოთ სწორადა.
ამაღამ ჩემთან წამოდი,
სახლი არ მიდგა შორადა.
სადაური ხარ, ძმობილო?
სახელიც მითხარ შენია.
ნუ სწუხარ, საზრდო შენთვისაც
დღეს უფალს გაუჩენია.
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულს ჯიხვშია.
რად გიკვირს, არ გეხუმრები,
არც გეფერები პირშია.
მაშ, თუ ეს ასე არ არის,
რად შამეფეთე ამ დროსა?!
შაჰრცხვეს, ჩემს თავად, ვინც შენა
ნაწილი დაგიკარგოსა.
რა გქვიან? სახელი მითხარ,
ხევსური სჩანხარ იერით.
– ნუნუა მქვიან, ძმისაო,
გადმოხვეწილი ჭიელით, –
იცრუა ზვიადაურმა,
თვისი სახელი დამალა.
რა ქნას? მის სახელს იცნობენ,
ქისტებს ბევრს სისხლი ავალა;
ბევრს ქისტს მოაჭრა მარჯვენა,
უდროდ საფლავში ჩალალა.

---

[1] **სიათა** – ძველებური თოფია ერთგვარი.

[2] **ხამად** – პირველად, გამოუცდელად.

[3] **ჩიჩქი** – ერთი ციცქნა, ერთი ბეწვა (ხორცი).

– შენი სახელიც მასწავლე,
ჩემი ხომ გითხარ მართლადა.
– ჯოყოლა მქვიან, ძმობილო,
ალხასტაისძე გვარადა;
არ მოგვიხდება, ერთურთში
სიტყვა ვიუბნოთ მცდარადა.
სახლი აქ, ჯარეგას მიდგა,
ქავი და ციხე კარადა.
ამაღამ ჩემთან წამოდი,
მე გაგიძღები თავადა.
თუ კარგად არ დაგიხვდები,
არც დაგიხვდები ავადა.
ხვალ თითონ იცი, ძმობილო,
საითაც გინდა, იარე.
ზოგს მე გიამბობ ჩემს დარდსა,
ზოგიც შენ გამიზიარე.
– საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ვმკო – ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,
ფეხებიც ჩატყაულია.
გესტუმრო, უარს არ გეტყვი,
გიშველი ჯიხვის ზიდვასა,
წილს-კი არ მოგთხოვ, იცოდე,
თავს არ ვაკადრებ იმასა.
შამოატყავეს ნადირი,
წავიდნენ ჯარეგაშია,
ბევრი იუბნეს ამბავი,
ერთურთს გაეცნენ გზაშია.

III

მივიდნენ, კოშკები დაჩნდა,
აქა-იქ ჰყეფენ ძაღლები;
კარებში იცქირებიან
ცნობისმოყვარე ბალღები.
დაეტყო ცხადად კლდის მსგავსად
სიპით ნაგები სახლები.
– აი, ეს ჩემი ოჯახი,
ჩემი ციხე და სახლია;
მობრძანდი, როგორც ძმა ძმასთან,
ნათლიმამასთან – ნათლია.
ცოლს დაუძახა ჯოყოლამ:
– გამოიხედე კარშია! –
ეტყობა თავმოწონება
მასპინძელს საუბარშია.
სდგანან დერეფანს, უცდიან...
ცეცხლი ჰკრთებოდა ღველფზედა[1],
ჩონგურს უკრავდა, დროული
კაცი რამ უჯდა გვერდზედა.
დაჰმღერდა გმირობისასა,
მამა-პაპათა ცდისასა:
როგორ არბევდნენ ფშავ-ხევსურთ,
სისხლს არ არჩენდენ ძმისასა;
ყველგან მადლობას სწირავენ
მარჯვენას კაის ყმისასა.
გამოჩნდა ქალი ლამაზი,
შავის ტანსაცმლით მოსილი,
როგორაც ალვა ტანადა,
ვარსკვლავი ციდამ მოცლილი.
– აი, სტუმარი მოგგვარე, –
ღვთის წყალობაა ჩვენზედა, –
როგორც დაგვხვდები, დიაცო,
ეხლა ჰკიდია შენზედა.
ქალმა სალამი მიართო:
– სტუმარო, მოხვედ მშვიდობით!
– შენდაც მშვიდობა, გაცოცხლოს
თავის ქმრითა და წილობით!
სტუმარს აბჯარი წაუღო,
მიიპატიჟეს შინაო;
ქალი მისდევდა უკანა,
ჯოყოლა მიდის წინაო;
თან მისდევს ზვიადაური,
ძმობილი გაიჩინაო.

IV

კაცი რომ სჩანდა სახლშია,
ჭაღარ-შერთული, ხნიერი,
წამოდგა ისიც ფეხზედა,
როგორც კლდის ვეფხვი, ძლიერი.
სტუმრად მოსული უცნობი,
სტუმარს პატივს სცემს სხვისასა,
ფეხზე ადგომა წესია,
წესს ვერ დაარღვევს მთისასა.
მაგრამ, როს ნახა უცნობი,
ფერი დაედო მგლისაო;
ადვილად აიცნობოდა,
რასაც ფიქრობდა ისაო.
არ ეჭაშნიკა დროულს ქისტს
დანახვა უცხოს ყმისაო.
გული სცემს ბრაზმორეული,
სახეც არ ჰმალავს ამასა,
ხანჯრისკე ხელი მიუდის,
ჩუმად სინჯავდა დანასა,
მაგრამ სტუმარი სხვის სახლში

[1] **ღველფი** – კერა.

ვერ გაჰშლის ხათაბალასა.
ადგა და ჩუმად გავიდა,
თითზე იკბინა მწარედა,
სამჯერ ჩაიკრა გულს ხელი,
როცა გავიდა გარედა.
წავიდა. კარი-კარ დადის,
ენასა ჰლესავს შხამითა:
„ქისტებო, ჩვენი მოსისხლე
შემოგვეპარა ღამითა.
სჩანს, რო ჯოყოლა ვერ იცნობს,
არ უნახია თვალითა
ეგ ჩვენი ამომგდებელი,
ჩვენი მრბეველი ძალითა;
გაუმაძღარი მუდამ ჟამს
ჩვენის სისხლით და ძვალითა
დღეს ჩვენს ხელთ არის, ვეცადოთ,
ვაგემოთ გემო მწარია!
მაგათ მოკლული ამ ზაფხულს
გვყავს უპატრონო მკვდარია.
სთქვით, თუ არ ვამბობ სიმართლეს,
თუ ჩემი სიტყვა მცდარია?!
გაიგოს ჩვენმა დუშმანმაც,
არ გვაქვს უჯიშო გვარია.
მიკვირს ჯოყოლას ჭკვისაგან,
მტერს რად გაუღო კარია,
ვისა ჰმასპინძლობს ჭკვათხელი,
ცნობაზე რად არ არია?!
ცხვირიდამ უნდა ვადინოთ
ზვიადაურსა ძმარია,
თუ არა, დიაცთ დაუთმოთ
ჩვენი ხმალი და ფარია“.
აღელვდენ ქისტის შვილები,
ყველამ შაიბა ხმალია,
აღელვდა მთელი სოფელი:
ბალღი, კაცი და ქალია.
უნდა შასწირონ თავის მკვდარს
ზვიადაურის თავია;
უნდა მტრის საფლავზე დაკლან,
როგორაც წესი არია.
გაგზავნეს ერთი მზვერავი,
თან აბარებენ ჩუმადა,
მივიდეს ჯოყოლასთანა
მეზობლურადა, ძმურადა;
სოფლის განზრახვა არა-გზით
მას არ ჩაუგდოს ყურადა.
ივახშმოს, იმუსაიფოს,
გაიგოს სტუმრის ლოგინი;



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაცია

ღამე დაესხნენ, შაკონონ,
არ უნდესთ ბევრი ლოდინი.
მივიდა მოყურიადე
ლაქარდიანის[1] ენითა,
სახელს ულოცავს ჯოყოლას,
ლაღობს, არ არის წყენითა.
ხალვათობს, ამბობს ამბებსა,
ენას აკვესებს კვესითა.
ვინ იცის, გული სავსე აქვს
გველის შხამით და გესლითა.
ივახშმეს. თვისი სტუმარი
მასპინძელს მოსწონს გულითა.
„კარგი ვაჟკაცი ეტყობა“, –
ფიცულობს თავის რჯულითა:
„ეს ერთი ცნობა, ხვალ ძმობა,
ერთად შევთვისდეთ სულითა“...
მიიპატიჟა საძილედ,
დაუთმო თვისი ლაჭანი[2].

---

[1] **ლაქარდიანი ენა** – ტკბილშემპარავი, მლიქვნელი, თილისმიანი ენა.

[2] **ლაჭანი** – წნელისგან დაწნული საწოლი.

– არაო, – სტუმარი ეტყვის, –
არ მინდა ლეიბ-საბანი.
მე დერეფანში დავსწვები,
შინ ძილს არც-კი ვარ ჩვეული...
ასრულდა მისი წადილი,
გულიდამ ამოწეული,
მოყურიადეს ეს უნდა,
ამად არს აქ მოწვეული.
წავიდა გახარებული,
შეატყობინა ყველასა.
მამლის საჯდომი თუ იცის,
მეტი რა უნდა მელასა?!

ჩვენ და ტექსტი

1. დააკვირდით ამ პირქუშ გარემოში გამოჩენილ ადამიანს. როგორ ხვდება უცნობი მგზავრი მონადირეს? რა არის მისი პირველი რეაქცია და რაზე მეტყველებს მისი ჟესტი?
2. რაზე მეტყველებს მათი პირველივე რეპლიკები: ადამიანთა შორის ნდობასა თუ უნდობლობაზე? შეადარეთ წინა თავში გამოთქმული თქვენი მოლოდინები პოემის რეალობას; რამდენად სწორად ივარაუდეთ პოემის გარემო, ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობები და რამდენად ეხმიანება შესავალ ნაწილში გადმოცემული პეიზაჟი ამ გარემოს?
3. მიუხედავად გაბატონებული მტრობისა და უნდობლობისა, რატომ ახერხებენენ პერსონაჟები დამეგობრებას, მთაში გაბატონებული რომელი ტრადიციები უწყობს ამას ხელს?
4. ზვიადაურმა იცის, რომ ქისტებში ბევრი მტერი ჰყავს. თქვენი აზრით, რატომ გადაწყვიტა მან სტუმრად სწვეოდა ახლად გაცნობილ ქისტს?
5. რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე ქისტების სოფელი?
6. ზვიადაურისა და ჯოყოლას სახლში მისვლისთანავე რამდენიმე ახალი პერსონაჟი ჩნდება. იმსჯელეთ, რა შთაბეჭდილებას ტოვებს თქვენზე კერასთან მომღერალი მოხუცი ქისტი? როგორ ხვდება იგი ჯოყოლას სტუმარს? როდის შეეტყო მას შეშფოთება?
7. აღწერეთ ჯოყოლას ცოლის პირველი გამოჩენა. რა შთაბეჭდილებას ტოვებს იგი მკითხველზე?
8. რატომ გადაწყვიტა „დროულმა ქისტმა“, სოფელი სისხლის ასაღებად აემხედრებინა? როგორ გგონიათ, მან არ იცოდა, რომ მთაში სტუმარი ხელშეუხებელია?
9. რატომ გადაწყვიტა სოფელმა ფარულად შეეტყოთ სტუმრის ადილსამყოფელი და არასგზით არ გაეგებინებინათ თავიანთი განზრახვა ჯოყოლასათვის? ჯოყოლასთან სოფლის როგორ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ეს ფაქტი?
10. თქვენი აზრით, როგორი პიროვნებაა „მოყურიადე“? ადამიანის ხასიათის რომელი თვისებებია ხაზგასმული ამ სიტყვაში?

ოსტატობის სკოლა

1. **ჩანახატი „მთვლემარე შავი ნისლი და სოფელი“**
2. **მოგზაურის ჩანაწერები**

წარმოიდგინეთ, რომ რაღაც უცაბედი შემთხვევის წყალობით თქვენც ამ გარემოში მოხვდით და შეუმჩნეველი და უსაფრთხო ადგილიდან აკვირდებით მთავარ გმირებს, თვალყურს ადევნებთ მათ ქმედებებს;

დაწერეთ რამდენიმე მოკლე შეტყობინება, რომლებსაც ამ ადგილიდან ახლობლებს გამოუგზავნიდით, როგორ დაახასიათებდით გარემოს, ადამიანებს, რა მოლოდინებს აღძრავენ ისინი თქვენში?

დაწერეთ ამ ორი ტექსტიდან ერთ-ერთი:

- „მოგზაურის ჩანაწერები“
- „მოგზაურის სმს შეტყობინებები უცნობი ადგილიდან“

ფანტაზიის გაკვეთილები

1. ჩანახატი – „გარინდება, ანუ სოფელი მთვლემარე ნისლქვეშ“

ჩანახატი მოკლე ტექსტია, რომელშიც ჯერ არაფერი ხდება, იგულისხმება, რომ ყველაზე მთავარი ან უკვე მოხდა, ან მომავალში მოხდება, ეს არის გარინდება მოვლენებამდე, ან მოვლენების შემდეგ. ჩანახატში ძირითადად აღწერა ჭარბობს – აღწერენ გარემოს, საგნებს, ნივთებს, დეტალებს და ამ დეტალთა ერთობლიობა ქმნის მხატვრულ ტილოს.

გთავაზობთ, შესავალი პეიზაჟი აქციოთ მგზავრის ჩანახატად. საინტერესოა, რა განწყობილებებს ბადებს პოემის პეიზაჟი და რამდენად გაიზიარებს თქვენი ჩანახატი ამ ემოციურ ფონს. ასევე საინტერესოა, რამდენად შეესატყვისება თქვენ მიერ შექმნილი ჩანახატი პოემაში მოგვიანებით განვითარებულ მოვლენებს.

V

– რა ამბავია, დიაცო?
ხმალი მინდა და ხანჯარი!
სახუმრო საქმე არაა,
თავზე დაგვესხა მტრის ჯარი!
ნამდვილ აკლებას გვიპირობს,
გვღალატობს ჩვენი სტუმარი;
ძმობით და მეგობრობითა
შემოგვაპარა ლაშქარი!
სუ, დაიცადე!.. მოვსტყუვდი...
ჩვენი ქისტები არიან.
რისთვის მოვიდნენ ამ დროსა,
რას ბჭობენ, ვის რა სწადიან?!
ყური დაუგდე კარგადა,
კაცისა მესმის ხრიალი.
რა მქისე ხმაურობაა,
რა საზარელი გრიალი!
ჩემს სტუმარსა ჰკვლენ, სწორედა,
უდგასთ ხანჯრების პრიალი.
უყურე უნამუსოთა,
ჩემს ოჯახს როგორ ჰქელავენ!
ჩაიგდეს ჩემი კაცობა,
ფეხს ქვეშ ტყლაპივით სთელავენ,
გავიგო, აბა, წავიდე,
რაზე, რისთვისა ჰღელავენ?!
ეს სთქვა ჯოყოლამ, წამოდგა,
ხელ-ხანჯრიანი წავიდა.
გააღო სახლის კარები,
შეუპოვარად გავიდა.
– რას სჩადით? – შემოუძახა: –
ვის სტუმარს ჰბოჭავთ თოკითა?
რად სტეხთ საუფლო ჩვენს წესსა,
თავს ლაფს რად მასხამთ კოკითა?
ჩემს სჯულსა ვფიცავ, სისხლს დავღვრი,
განანებთ ბრიყვულს ქცევასა,
განანებთ, თუმცა ძმანი ხართ,
ჩემის კაცობის ქელვასა!..
– რას ამბობ, შტერო, რას ამბობ?
რად არ მოდიხარ ცნებასა?
მოსისხლე სტუმრის გულისთვის
ძუძუს ვინ მოსჭრის დედასა?! –
შემოუძახეს ქისტებმა
ერთხმად, ძლიერად, ჭექითა: –
შენ და შენს სტუმარს, ორივეს
ერთად გადგისვრით ბექითა.
თემს რაც სწადიან, მას იზამს
თავის თემობის წესითა.
მთელის ქისტების ამომგდე
სტუმრად რადა გყავ სახლშია?
ზვიადაურის სახელი
ბავშვმაც კი იცის მთაშია.
ეს იყო მუდამ, ჭკვათხელო,
ჩვენის გაჟლეტის ცდაშია,
მგლურად რო გვეტევებოდა,
რო გვიჯდებოდა გზაშია.
ჯოყოლა ცოტას შეფიქრდა,
პირს სინანული წაესო,
თითქოს ნატყორცი ისარი
ზედ გულის კოვზზე დაესო.
– თვით ამან მოჰკლა შენი ძმა

არყიანებში თოფითა,
ჩვენ ვიცნობთ მაგის სახესა,
გადალესულსა ცოფითა.
„გახლავართ ზვიადაური!“ –
ჩამოგვკიოდა გორითა;
სულ კარგად ვიცით, ცხადადა,
თვალს ვადევნებდით შორითა.
აავსო ფშავ-ხევსურეთი
აქით წასხმულის ძროხითა.
უკან გაუდგა ლაშქარსა
ფეხმარდი, ლეგის ჩოხითა.
თავს რად იმურტლავ, ბეჩავო,
გაუმაძღარის ღორითა?
გული როგორ არ გერევა
მაგასთან ჯდომა-ყოფნითა?!
– ეგ მართალია, იქნება...
რა უნდა მითხრათ მაგითა,
მითც ვერ მიაბამთ ჩემს გულსა
თქვენს გულისთქმასთან ძაფითა.
დღეს სტუმარია ეგ ჩემი,
თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა,
მითაც მე ვერ ვუღალატებ,
ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა.
მე გთხოვ გაუშვა, მუსაო,
ნუ სტანჯავ უდიერადა,
როცა გასცდება ჩემს ოჯახს,
იქ მოეპყარით ავადა.
ვის გაუყიდავ სტუმარი?
ქისტეთს სად თქმულა ამბადა?
რა დავაშავე ისეთი,
რომ მომიხედით კარადა?
თვის რჯული დაგვიწყებიათ,
მიტომ იქცევით მცდარადა;
ჩემს ოჯახს პასუხს რით აძლევთ?
სახლში ხართ, განა შარადა!
ვაი თქვენ, ქისტის შვილებო,
მომდგარნო ჩემს კარს ჯარადა!
უიარაღოს აწვალებთ,
გული რასა ჰგრძნობს თავადა?

მუსა (ჯოყოლას)
„შენაც ამასთან შაგკონავთ,
თემის პირს რომ სტეხ, თავხედო!
ჩვენის ნარჩევის დარღვევა
შენ როგორ უნდა გაჰბედო?
აჰყეფდი ქოფაკივითა,
აბდა-უბდაობ შტერადა;
ამ გიაურის გულისთვის
ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
არ იცი, რომ შენი საქმეც
დღეიდგან წავა ცერადა?!
ჯოყოლა (მუსას)
„რაო? ქოფაკო?! შენ ამბობ?
ახლა ძაღლადაც გამხადე?! –
იძრო ხანჯარი, მუსასა
გულში უმარჯვა ვადამდე.
– უყურე თვით ძაღლს, უყურე,
გამითამამდა სადამდე!
ჩემის კაცობის დამქცევნო,
ლანძღვასაც მემართლებითა?
ალლახსა ვფიცავ, გაგმუსრავთ,
მანამ ამკაფავთ ხმლებითა,
გრისხავდესთ ცა-ქვეყნის მადლი,
უსამართლობას შვრებითა!
– რა ქნა უღმერთომ, რა ქნაო,
გაგიჟდა, ჭკვაზე მცდარია... –
ჯოყოლას თავზე დაეცა
მთელი ქისტების ჯარია,
ხელი შაუკრეს... არ მისცეს
ნება, ეხმარა ხმალია...
ხელ-ფეხშაკრული დერეფანს
დააგდეს, როგორც მკვდარია.
წყევლა ხალხისა ჭექაა,
ნაფურთხი – წვიმის ცვარია.
წამოიყვანეს დაჭრილი,
ზვიადაურიც სტანია.
რას ამბობს ზვიადაური?
სახე რადა აქვს მტკნარია?
ბოღმა მიტომ ჰკლავს ვაჟკაცსა,
რომ ხელთ არა აქვს ხმალია:
„ჩამიგდეთ ხელში, ძაღლებო,
კარგი დაგიდგათ დარია“.
ამას ამბობდა დინჯადა,
სხვად არას მოუბარია.
მიჰყავდათ სასაფლაოზე,
სადაც ქისტების მკვდარია,
უნდა თავის მკვდარს შესწირონ,
რომ იქ უზიდოს წყალია,
მსახურად ჰყავდეს, მორჩილად,
და გაუბანდოს ჯღანია[1]...

[1] **ჯღანი** – გაცვეთილი ფეხსაცმელი.

VI

სოფლისა გაღმა გორია,
დამწვარი, ქვიშიანია.
ბევრი წევს იქა ვაჟკაცი,
გულ-ლომი, ჯიშიანია.
ძირს მისდგამს ბექი მდუმარე,
ნაღვარი, თიხიანია.
ხმალ-ხანჯრის, თოფის მხმარეთი
არა სძგერს გული მაგარი;
იმათ სჭამს მიწა უენო,
სასტიკი, გაუმაძღარი;
მასში ეშლება ყველასა
ადამიანის იერი...
ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯღალით
ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.
ბუნების ცოდვა ესაა,
მუდამ საწყინო ჩემია:
ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,
არავინ გადურჩენია.
ყველა მგზავრთათვის ინთქმევა,
როცა იღუპვის გემია!..
მზე ჯერ არ ამოსულიყო,
ნამს ჯერ ბალახზე ეძინა,
არ დაებერა ნიავსა,
დაბლა არ ჩამოეფინა,
ურიცხვი კაცი და ქალი
ჭალაზე შამოეფინა.
მოჰყავდა ზვიადაური
ხელშეკონილი გროვასა,
ყველას უხარის მის მოკვლა,
ან ვინ დაიწყებს გლოვასა?!
სიკვდილი ყველას გვაშინებს,
სხვას თუ ჰკვლენ, ცქერა გვწადიან;
კაცნი ვერ ჰგრძნობენ ბევრჯელა,
როგორ დიდს ცოდვას სჩადიან.
რამდენი ავსული ვიცი,
წარბშეუხრელად დადიან;
თავის მტანჯველის შემუსრვა
ან კი ვის არა სწადიან?!

VII

აი საფლავიც ქისტისა,
ხალხი მოერტყა გარსაო,
მოლა მოჰყვება ლოცვასა,
იხსენებს თავის მკვდარსაო:
„ნუ იტანჯები, დარლაო,
ნუ შეიწუხებ თავსაო,
მოვსდეგით შენი მოძმენი
შენის სამარის კარსაო,
მსხვერპლსაცა გწირავთ, იხარე,
არ გაჭმევთ მტრისა ჯავრსაო“.
– ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა! –
ვაჟკაცი იღებს ხმასაო,
ბეწვს იშლის ბრაზმორეული,
როგორაც ვეფხვი – თმასაო.
საკირის ცეცხლი ედება
სამსხვერპლოს გულის-თქმასაო.
რა მოსდრეკს წარბ-დაღრუბლილსა,
ქედ-ჩაჟანგებულს მთასაო!
აქცევენ ზვიადაურსა,
ყელში აბჯენენ ხმალსაო:
„დარლასამც შაეწირები“,
ყველა დასძახის მასაო.
„ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა!“ –
უპასუხებდა ხალხსაო.
არ იდრიკება ვაჟკაცი,
არ შეიხრიდა წარბსაო.
გაოცდენ ქისტის შვილები,
ხალხი დგებოდა ყალხსაო.
„ლამის რომ არ შაეწიროს,
ერთი უყურეთ ძაღლსაო!“
ჰყვირიან, თანაც ნელ-ნელა
ყელში ურჭობენ ხმალსაო.
„ძაღლ იყოს“, ყელში ამბობდა,
მანამ მოსჭრიდენ თავსაო!
„უცქირეთ, ერთი უცქირეთ,
არ ახამხამებს თვალსაო!“
სიცოცხლე ჰქრება, სისხლი დის, –
ზვიადაური კვდებოდა,
გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა,
გული გულადვე რჩებოდა.
და ამ სურათის მნახველი
ერთი დიაცი ბნდებოდა,
ცრემლებს ჰმალავდა ლამაზი,
ხალხზე უკანა დგებოდა.
მიშველებასა ჰლამობდა:
„ნუ ჰკლავთ!“ ეძახის გულიო,
ფიქრობდა ბრაზმორეული:
ნეტავი მომცა ცულიო,
ნეტავი ნებას მაძლევდეს
დედაკაცობის რჯულიო,
რომ ეგ ვაცოცხლო, სხვას ყველას
გავაფრთხობინო სულიო.
ნეტავი იმას, ვინაცა

მაგის მკლავზედა წვებოდა,
ვისიცა მკერდი, აწ კრული,
მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა!
ნეტავი იმას ოდესმე
ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?!
ქისტები გაწყრენ, იტკიცეს:
ვერ აუსრულდათ წადილი,
ვერ გაუკეთეს თავის მკვდარს
მის შესაფერი სადილი.
დაკლულმა დაჰკლა მათ გული
და გაუცრუა ქადილი.
შეურაცხყოფილთ უნდოდათ
ერთად გაეძროთ ხანჯრები
და გაეკეთათ მკვდრის გვამზე
სისხლით ნაღები ფანჯრები.
მაგრამ ვერ ჰბედვენ, სცხვენიანთ:
„ცოდვაა!“ – ყველა ჰფიქრობდა.
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდენ:
ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა,
ყველა ალლახსა ჰფიცავდა,
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.
მაგრამ მტერს მტრულად მოექე,
თვითონ უფალმა ბრძანაო,
ის სჯობს, რაც მალე ვეცდებით,
გულში ჩავურჭოთ დანაო.
წავიდნენ. ზვიადაური
ზეზე გაწირეს ტიალად.
თუნდა ძაღლებმა ათრიონ,
ფრინველთა ჯიჯგნონ ზიარად;
არ შაეწირა, ეგდოსო,
ეგეც ეყოფა ზიანად.
ამას იძახდენ ქისტები
თავმოწონებით, ხმიანად.
ამ ხმასვე იმეორებდენ
ბნელი ხევები მთიანად.
ჩამოდგა საღამოს ჟამი,
მთიდამ მზის სხივი ჩამოხდა,
სიბნელე მოიპარება,
სინათლეს სული ამოჰხდა.
დადგნენ, სულ დადგნენ მზის სხივნი,
აღარ ელავდა ქვიშაო;
აღარსადა სჩანს, გამქრალა
თეთრი თმა შავის მთისაო;
ნაღვლით ნაქარგი, ნაქსოვი
სახე იმ სალის კლდისაო,
რო მუდამ მგლოვიარეა,
ცრემლი ანკარა სდისაო.
სიკვდილსა გლოვა უხდება,
მკვდარს ძმას – ტირილი დისაო,
ტყესა – ხარ-ირმის ნაფრენი,
ზოგ დროს – ყმუილი მგლისაო.
ვაჟკაცსა – ომში სიკვდილი,
ხელში – ნატეხი ხმლისაო,
ომს – ლხინი გამარჯვებულთა
და დამარცხება მტრისაო.
ზვიადაურსა გლოვობდა
შფოთვა და ბორგვნა წყლისაო,
ნიავად ჩამონადენი
ოხვრა მაღალის მთისაო.
ცრემლი ნისლების ჯარისა
ნაბრძანებია ღვთისაო.
და წყაროს პირზე დიაცი, –
ტურფა, ლამაზი, – ქისტისა,
შუბლზე და მკერდზე წყალს ისხამს,
დრო და დრო გული მისდისა.
ბევრი იტირა ჩუმადა,
თუმცა დრო და დრო ჰკრთებოდა,
ზვიადაურის სიკვდილი
თვალებში ელანდებოდა.
სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით – ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს.
ეს ფიქრი გონებისაა,
გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა.
ქალის გულს იგი სურათი
შიგ გაეყარა ისრადა;
იმან დაადვა ლამაზსა
დაკლულის გლოვა კისრადა.
სიბნელეს უცდის, მივიდეს,
ღამით იტიროს მკვდარიო;
იმას აღარა ჰფიქრობდა,
ჯოყოლა როგორ არიო.
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?

რას სჩადის ჭკვაზე მცდარიო?!
იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
სახლსაც შაუხსნეს კარიო!
წამოდგა, იხედებოდა,
როგორც დამთხვარი[1] ნადირი,
ხედნებ-ხედნებით ამოვლო
ხევის კლდიანი ნაპირი;
წყვდიადში საზარლად ისმის
წყალთ ანაძრახი საყვირი.
ამოვლო კრძალვით საფლავთან,
მკვდარსა მუხლ-მოყრით დაეყრდნო,
ქვითინებს გულამოსკვნითა,
ცრემლსა სიპი ქვა დაედნო,
აიხსნა დანა, მიჰმართა
ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად
სამი ბალანი პირითა,
ჩიქილის[2] ტოტში შეხვია
ბროლის თითებით თლილითა...
ეს რა ხმა ესმის, დგანდგარი?
ყურებს გაუდის ჟივილი...
საფლავებიდან მოესმის
მკვდრების წყრომა და ჩივილი!
თითქოს ბალღებიც ატირდენ,
გაუდისთ მწარედ წივილი!
საერთო წყრომის ხმა ისმის,
საერთო გულის ტკივილი:
„რას შვრება უნამუსოვო“,
გამწარებულნი ჩიოდენ, –
„მაღალი ღმერთი გრისხავდეს!“
სამარით შემოჰკიოდენ.
აჩქარებული ღრუბლები
ცის პირზე გადმოდიოდენ.
გაიქცა, მირბის, იხედავს, –
მკვდარნი მისდევენ, სწორია.
„შინით სად გაგვეხვეწები,
აქით თუ გაგვეშორია!?“
ხმა ისმის დანადევნები,
მასვე იძახის გორია,
გარშემო დაყუდებული
განა ერთი და ორია.
„უნამუსოვო“! მისძახდენ
ტანდაწკეპილნი დეკანი,
ბალახნი, ქვანი, ქვიშანი,
იმ არე-მარეს მდებარნი.
აგერ, საფლავით ამოდგა
მისი მკვდარი ძმა ებარი,
თავის ტოლებში უსწორო,
ქისტეთს გათქმული მხედარი.
თან მიჰკიოდა თავის დას,
სიტყვა პირს მოსდის მჭეხარი:
„ვაჰ, დაო, დაო, რა მიყავ?
რისხვა რად დამეც მედგარი?
მეორეს საფლავში ჩამდევ,
ერთს სამარეში მდებარი!
მაგით მიმტკიცებ დობასა,
შენი ქალობა ეგ არი?!“
ბილიკზე მოსუნსულებდა
სასაფლაოსკე მყეფარი.

VIII

– სად მიხვალ, სადა, წყეულო?
საითკე მიეჩქარები?!
ვინ გაჭმევს კაის ყმის ლეშსა?
ძაღლო, დაგიდგა თვალები!
შენს საჯიჯგნადაც გამხდარა
ზვიადაურის ძვალები?! –
სთქვა ეს აღაზამ და ქვებსა
ესროდა ხშირა-ხშირადა.
მირბის და მისდევს შმაგადა
კლდიანის ხევის პირადა.
ხმა ისევ ესმის მკვდრებისა,
მას ბანს აძლევენ მთანიცა,
სამდურავს ეუბნებიან
აღაზას გიშრის თმანიცა.
მოუახლოვდა თავის სახლს,
სინათლე მოსჩანს იქითა;
უნდა იძახოს: „მიშველეთ“,
ხმა მიაწვდინოს შიგითა.
მაგრამ ვერ ამბობს ვერაფერს,
ოფლი წყლად მოსდის შუბლზედა.
მივიდა სულშეხუთული
და გადაიქცა ზღუბლზედა.
კერის პირს იჯდა ჯოყოლა,
მუხლი გადეგდო მუხლზედა.
„ვაჰმეო,“ – ეს კი იძახა,
სიტყვა გაუშრა ენაზე.
ქმარმა მოჰხვია ცოლს ხელი
და მიათრია კერაზე.

[1] **დამთხვარი** – დამფრთხალი.
[2] **ჩიქილა** – აბრეშუმის თავშალი, ლეჩაქი.



მხატვარი ქეთევან კობახიძე
„ზვიადაურის სიკვდილი“

– რა დაგემართა, დიაცო? –
ჩაეკითხება მშფოთარე, –
სხვა სადარდელი მაკლია,
ახლა შენ მექმნა მოზარე?!
რა დაგემართა, რა არი?
მითხარ, გახსენი ბაგეო!
ხომ არვინ მოიწადინა,
გადაეგორე მკლავზეო?
მითხარ, არ გაჭმევ იმის ჯავრს,
ვანანებ ემავ წამზეო.
ჩემის ნამუსის შემბღალავს
მალე მოვიყვან ჭკვაზეო,
როგორც ვანანე მუსასა
მიხდომა სხვისა კარზეო. –
პასუხს ელოდა ცოლისგან,
დასჩერებოდა თავზეო.
და თანაც ხანჯარს ჰბღუჯავდა,
ხელი ეკიდა ტარზეო.
ქალი ვერაფერს ამბობდა,
გაჰმტკნარებოდა სახეო.
თავს დასტრიალებს ჯოყოლა,
ელის, რას ეტყვის ცოლია,
შუაღამის დროს აღაზამ
თანთან მოიცა გონია.
უთხრა ჯოყოლას: – „რას ამბობ?
თავი რად დაიღონია?
რად მოიგონებ იმასა,
რაიც არ მოსაგონია?
სულ ტყუილია... კაცისა
არსად მინახავს ჭაჭანი,
ვინ გამიბედავს მაგასა,
რად მინდა ლეჩაქ-კაბანი?!
სასაფლაოდამ დავბრუნდი,
შენს ცხენს ვეძებდი ხევებში,
ცხენის მაგივრად ბედკრული
შიგ შევერიე დევებში.
დამიხვდა შავ-ნაბდიანი,
უზარმაზარის ტანისა,
ჯერაც თვალებში მიელავს
სიმყრალე იმის კანისა;
დიდ-ყურა, კბილებ-ღაჯუნა,
უმსგავსო, ფერად შავისა;
ხელები გამომიწვადა,
დიდი ხელები თავისა,
მთის ოდნად სჩანდა მის თავზე
მოშავფრო ქუდი ტყავისა.
თან მითხრა: ჩემთან წამოდი,
ჩემთან იცხოვრე, ქალაო,
ბევრი მაქვს ოქრო და ვერცხლი,
არაფერს დაგიმალაო.
მე გამოვიქე, შევშინდი,
დევიც მომდევდა ღრიალით;
მთელი ქვეყანა იძვროდა
იმის ფეხებს ქვეშ გრიალით;
მზარავდა ეს ხმაც, მთა-ბარიც
წაღმა-უკუღმა ტრიალით,
ძლივს მოვაღწიე და გამცნე
ჩემი ვაება ხრიალით“.
ჯოყოლა ეტყვის: დევს გარდა
სხვა რამ საქმეა კიდევა,
ჩემს ჭკვას არ სჯერა ნათქვამი,
ჩემი ფიქრები ირევა.
ნამტირალევი რადა ხარ?
ღაწვებზე ცრემლი გდენია;
ჩქარა სთქვი, სწორედ მითხარი,
თორემ ვერ მომითმენია!
სადარდო, საგულისხმო რამ
გრძნობა გულს გადაგფრენია.
ჩემს თვალებს ვერ დაემალვის
იმ გრძნობის ნაკვალევია;
არ შაიძლება არ დაჩნდეს
ნასვამი, დანალევია!..
– რა დაგიმალო, ჯოყოლავ,
ან რად შემრისხავ თქმისადა? –
ეტყოდა ცოლი და ნაზი

თრთოლა მიეცა ხმისადა: –
ცრემლები შემიწირია
იმ შენის მეგობრისადა.
ძლიერ შემბრალდა ბეჩავი,
რომ უცხოეთში კვდებოდა,
არც ნათესავი, არც მოძმე,
რომ ვისმე შეჰბრალებოდა!
მაგრამ, როს ჰკლავდენ ხანჯრითა,
ოდნავაც არა ჰკრთებოდა.
იქნებ შენც გცოდე, ღმერთსაცა,
მაგრამ ვიტირე, რა ვქნაო!..
– მაგისთვის როგორ შეგრისხავ?
ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.
იტირე?! მადლი გიქნია,
მე რა გამგე ვარ მაგისა?
დიაცს მუდამაც უხდება
გლოვა ვაჟკაცის კარგისა.

მეორეს დილას აღაზამ
ძროხა გარეკა მთისაკე,
ჩამოდიოდენ ფრინვლები,
იზიდებოდენ მკვდრისაკე;
აღაზაც მიიპარება
სასაფლაოს თავს კლდისაკე.
იქიდამ აფრთხობს ყორნებსა,
სვავთა მხარ-მოფარფაშეთა,
ორბებსა გაუმაძღრებსა,
მკვდრის ლეშზე მოყაშყაშეთა;
ხელს ამუშავებს და ჰმალავს
თვალებს, მზებრ მოკაშკაშეთა.
კლდიდამ გადისვრის კენჭებსა
და თან წინდას ქსოვს ვითომა,
ოსტატობს, ხალხმა ვერ შესძლოს
იმის ფიქრების მიხდომა.

IX

ჩვენ და ტექსტი

1. რა მცდარი აზრი გაუჩნდა ჯოყოლას შუაღამისას მის ოჯახში ატეხილი ხმაურის გამო? თქვენი აზრით, რით იყო განპირობებული ეს ფიქრები; ენდობოდა თუ არა იგი ბოლომდე სტუმარს; მთაში გავრცელებული როგორი შეხედულებები კვებავს მის ეჭვს;
2. როგორ ვლინდება ჯოყოლას მიმართ უნდობლობა და არაგულწრფელობა ქისტების ქმედებაში მანამ, ვიდრე ისინი მის ოჯახს თავს დაესხმებოდნენ;
3. რა რეაქცია ჰქონდა ჯოყოლას, როცა „შუაღამის დაუპატიჟებელ სტუმრებში“ ქისტები შეიცნო? რაში დასდო მან ბრალი თემს და რა უპასუხეს თანასოფლელებმა? ორივე მხარეს თითქოს საკუთარი სიმართლე აქვს. თქვენ ვისი სიმართლე გეჩვენებათ უფრო დამაჯერებლად?
4. რაში ადანაშაულებს თემს ჯოყოლა და პირიქით, რაში ადანაშაულებს თემი მას? როგორი პოზიცია აქვს თემს ჯოყოლასთან მიმართებით?
5. როგორი შეხედულება აქვს თემს პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებაზე? თქვენ აზრით, როგორი შეიძლება იყოს ჯოყოლას დამოკიდებულება ამ შეხედულებისადმი?
6. ჯოყოლას აზრით, რა ბრალი მიუძღვით თავდამსხმელებს მის მიმართ? რა სულიერ ტკივილს გრძნობს ჯოყოლა ქისტების თავდასხმის გამო? ჯოყოლას შეხედულებით, რას ღალატობს თემი, როცა მის სტუმარს თავს ესხმის?
7. ჯოყოლას ბოლომდე არ სჯერა შინ დაბრუნებული აღაზას ნაამბობი, ის ამჩნევს, რომ ქალი რაღაცას მალავს. რას გვეუბნება ეს ჯოყოლას ხასიათზე და აღაზასთან მის დამოკიდებულებაზე?

8. ცნობილია, რომ აღაზას აღსარებაზე ჯოყოლას პასუხის მოფიქრებას ვაჟამ დიდი დრო მოანდომა, რაც მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას მოწმობს. როგორ წარმოჩნდება ჯოყოლას სულიერი სამყარო, ზნეობრივი პრინციპები ამ პასუხში?

9. თქვენი აზრით, აღაზას რომელი ქმედება გამოხატავს ყველაზე თვალსაჩინოდ მის თაყვანისცემას მოკლული ზვიადაურის მიმართ?

10. ვისი სახით ეცხადება თემი ზვიადაურის დამტირებელ აღაზას? აღაზას რა გრძნობებს გამოხატავს მისი ხილვები?

11. გადმოეცით სასაფლაოს სურათი და ჯარად მომდგარი ხალხის ზრახვები;

12. სიკვდილით დასჯის სცენა ერთ-ერთი ყველაზე მძიმე სურათია ამ პოემაში. ხალხის რა თვისებები იჩენს თავს ამ მძიმე სიტუაციაში;

13. რას ამბობს ავტორი სიკვდილზე?

14. როგორ გესმით სიტყვები „კაცნი ვერ გრძნობენ ზოგჯერა, როგორ დიდ ცოდვას სჩადიან“, რა ცოდვაზე საუბრობს ავტორი?

15. რით გააოცებს ზვიადაური ხალხს? იცვლება თუ არა ხალხის დამოკიდებულება ზვიადაურის მიმართ?

16. შეადარეთ, რას ამბობს ერთსულოვნად მთისკენ მიმავალი ხალხი და როგორ ფიქრობს ის, უკვე უკან მობრუნებული? სად იგრძნობა უკვე ქისტების თანაგრძნობა ზვიადაურისადმი? როდის და საიდან გაჩნდა ეს თანაგრძნობა? შესაძლებელია თუ არა, ამგვარი ადამიანური თანაგრძნობა ერთად თავშეყრილმა ადამიანებმა გამოავლინონ? რა ახალი, ჯერაც უცნობი, განცდა გააჩინა „კაცის კაცურად სიკვდილმა“ ხალხში? თქვენი აზრით, აცნობიერებენ თუ არა ქისტები ამ ახალ გრძნობას?

17. აღწერეთ აღაზას განცდები ზვიადაურის სიკვდილით დასჯის დროს, რა არის მათში მოულოდნელი და უჩვეულო? როგორ აღიქვამს თავად გმირი საკუთარ განცდებს?

18. როგორ გგონიათ, ქვემოთ მოყვანილი ფრაზები ავტორის მეტატექსტია, თუ თავად პერსონაჟის ფიქრები?

იმას აღარა ჰფიქრობდა,
ჯოყოლა როგორ არიო.
ვის ცოლი ვის ქმარსა სტირის?
რას სჩადის ჭკვაზე მცდარიო?!
იქნება ჰკლავენ ჯოყოლას,
სახლსაც შაუხსნეს კარიო

19. გადმოეცით ხილვა-ჩვენება, რომელიც მაშინვე იწყება, როდესაც აღაზა ზვიადაურს სახსოვრად თმის სამ ღერს ააჭრის. როგორ გგონიათ, რისი შედეგია ეს კოშმარული ჩვენება? პასუხი დაასაბუთეთ.

სადისკუსიო კლუბი

1. მინიდისკუსია – აღაზას ხილვა-ჩვენება – გარესამყაროს პერსონაჟისეული აღქმა თუ მისი შინაგანი ჭიდილის გამოხატულება?

რა დაემართა აღაზას, რატომ „აუმხედრდა“ მას ირგვლივ ყველა და ყველაფერი? ასე აღიქვა მან თემის გულისწყრომა, თუ თავადაც ეეჭვებოდა საკუთარი ქმედების სიმართლე? თავად პიროვნებაში ხომ არ დაიწყო დაეჭვება, ჭიდილი სამშობლოსა და თემის ერთგულების ძველ რწმენასა და ახლად აღმოჩენილ უნივერსალურ ღირებულებებს შორის?

უპასუხეთ სადისკუსიო კითხვებს:

1. თქვენი აზრით, რა წარმოდგენები ჰქონდა აღაზას ოჯახისა და თემის ერთგულებაზე? რა კვებავდა ამ წარმოდგენებს?
2. ზვიადაურის სიკვდილით დასჯის დროს რა „აღმოაჩინა“ აღაზამ? ეს „აღმოჩენა“ ფიქრის, განსჯისა და მსჯელობის შედეგი იყო, თუ უცაბედად, „თავისით“ გაჩნდა? რას ხედავს აღაზა ისეთს, რაც სხვებისათვის მიუწვდომელია?
3. ეწინააღმდეგება თუ არა ერთმანეთს ოჯახისა და თემის ერთგულების შესახებ აღაზას ძველი რწმენა-წარმოდგენები და ახლად აღმოჩენილი, ახლად მიგნებული ჭეშმარიტება?

დისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრის, კრიტიკოს თამაზ ჩხენკელის მოსაზრების გათვალისწინებით:

„თანამედროვე ფსიქოლოგები ადამიანის ფსიქიკას ორ ნაწილად ყოფენ. იმ ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს, ვთქვათ, საზოგადოებაში ჩვენს თავდაჭერას, „ცნობიერს“ უწოდებენ. ჩვეულებრივ, იგი აღზრდით და საზოგადოებაში მიღებული ტრადიციების ზეგავლენით ყალიბდება. ამ შემთხვევაში აღაზას ცნობიერი იმ შინაარსისგან შედგება, რასაც მას გონება კარნახობს (ღვთის შიში, თემის ხათრი, ქმრის მორიდება)...

ადამიანის ფსიქიკის მეორე ნაწილს „არაცნობიერს“ უწოდებენ. არაცნობიერი ძირითადად ადამიანის, როგორც ბიოლოგიური არსების, დამახასიათებელი ინსტინქტებისაგან შედგება.

ცნობიერისა და არაცნობიერის ურთიერთმიმართება ასე უნდა წარმოვიდგინოთ: ჩვეულებრივ, ცნობიერი თრგუნავს არაცნობიერში გაჩენილ იმპულსებს და საშუალებას არ აძლევს მათ, ზედაპირზე ამოვიდნენ. პოემაში არაცნობიერს გული განასახიერებს. ხშირად ადამიანი დათრგუნული იმპულსების გამო არავითარ დისკომფორტს არ განიცდის. ჩვეულებრივ, ე. წ. ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ ადამიანში ეს ორი საწყისი მეტ-ნაკლებ წონასწორობაში იმყოფება ერთმანეთთან, მაგრამ ზოგჯერ ეს წონასწორობა მკვეთრად ირღვევა.

საქმე ის არის, რომ გულში (არაცნობიერში) გაჩენილი სწრაფვა შეიძლება უზარმაზარი სტიქიური ძალის მქონე აღმოჩნდეს. ასეთ შემთხვევაში იქმნება ვითარება, როცა ცნობიერს (გონებას) აღარ შეუძლია დათრგუნოს არაცნობიერის (გულის) სწრაფვა.

ამგვარი ვითარება ძალიან საშიშ დაძაბულობას ქმნის ადამიანის ფსიქიკაში.

დისკუსიის შეჯამებისას უპასუხეთ კითხვებს:

- რა მომცა დისკუსიამ, რა ახალი წარმოდგენებით გამდიდრდა ჩემი ცოდნა ამ ნაწარმოებისა და პერსონაჟის შესახებ?
- როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი დღევანდელობას, რატომაა საინტერესო ამ საკითხებზე მსჯელობა ჩემთვის, თანამედროვე ადამიანისათვის: რა მარადიულ „ჭეშმარიტებებს“ მივაგენი პრობლემაზე მუშაობის დროს?

ლიტერატურული ძიებანი

1. ნაწარმოების ერთი ეპიზოდის ანალიზისთვის.

ლე ბონის „ბრბოს ფსიქოლოგია“ და ბრბოში ჩაკარგული ადამიანის ნება

პოემის ერთ ეპიზოდში სასაფლაოზე ჯარად ასული ქისტები უკან უკვე ცალ-ცალკე ბრუნდებიან და ყველა თავისი საფიქრალს დასტრიალებს.

...
„ცოდვაა!“ – ყველა ჰფიქრობდა. –
ხალხის გული და გონება
სასინანულოდ მიჰქროდა.
სთქვეს, როცა სახლში გაბრუნდნენ,
თავ-თავქვე ჩამოდიოდნენ:
„ხომ მაგას არ მოვუკლავდით
მტრებს, ავს რომ არ სჩადიოდნენ?
კარგი ვაჟკაცი ყოფილა, –
ყველა ალლაჰსა ჰფიცავდა, –
იმიტომ ვეფხვებრ გვებრძოდა,
თავის მიწა-წყალს იცავდა.“

ეს იგივე ხალხია, ერთად ყოფნისას რისხვით რომ ენთო და დაუნდობლად გაუსწორდა ზვიადაურს?!

იმსჯელეთ, რით განსხვავდება ერთმანეთისაგან ამ ხალხის ცოტა ხნის წინანდელი განწყობა და უკან მომავალთა განცდები?

გაეცანით ფრანგი მეცნიერის გუსტავ ლე ბონის შეხედულებებს ბრბოს თავისებურებების შესახებ და შეადარეთ იგი პოემაში აღწერილ „თემს“, იმსჯელეთ, რა აახლოებს ზოგჯერ თემს ბრბოსთან?

იმისათვის, რომ პასუხი გაგიადვილდეთ, გთავაზობთ, შეავსოთ ცხრილი.

ცხრილის მარცხენა სვეტში მოცემულია მოსაზრებანი ბრბოს თავისებურებების შესახებ. დააკვირდით, როგორაა ეს ფაქტორები ასახული თქვენ მიერ უკვე შესწავლილ ლიტერატურულ ნაწარმოებში და შეავსეთ დარჩენილი გრაფები (იმუშავეთ რვეულში. ასეთივე ცხრილი შეავსეთ ვაჟას მომდევნო პოემის, „ალუდა ქეთელაურის“ შესწავლის შემდეგაც).

ლებონის მიხედვით, ბრბოს ახასიათებს	პოემების მიხედვით	
	სტუმარ-მასპინძელი	ალუდა ქეთელაური
ბრბოში ცნობიერი პიროვნება ქრება და ბრბოდ წოდებული მთლიანობის შემდგენელი ყველა ერთეულის გრძნობები და იდეები იძენს ერთსა და იმავე მიმართულებას, წარმოიქმნება **კოლექტიური სურვილი,** რომელსაც აქვს დროებითი ხასიათი და ძალიან განსაზღვრული თვისებები.		

შეკრება გადაიქცევა ორგანიზებულ ან ზეშთაგონებულ ბრბოდ, რომელიც წარმოადგენს **ერთიან არსებას** და ექვემდებარება ბრბოს სულიერი ერთიანობის კანონს.		
ბრბოს არასოდეს შეუძლია, შეასრულოს ისეთი ქმედებები, რომლებიც ამაღლებულ გონებას მოითხოვს. ბრბოში შეიძლება ხდებოდეს არა ჭკუის, არამედ სისულელის დაგროვება და მას შეუძლია **დამანგრეველი როლის თამაში.**		
ბრბოში ინდივიდი იძენს **დაუმარცხებელი ძალის** შეგრძნებას, მისთვის ცნება „შეუძლებელია“ არ არსებობს და იძენს ისეთ ინსტინქტს, რომელიც მარტო მყოფს არასოდეს ექნება.		
მას **უქრება პასუხისმგებლობის გრძნობა.** ბრბოს მახასიათებელია **გადამდებობა**, **იგი ჰიპნოზური მოვლენაა.** ამ დროს ინდივიდს თავისი პირადი ინტერესები ადვილად **მიაქვს კოლექტიური ინტერესების მსხვერპლად**, ამას მხოლოდ მაშინ აკეთებს, როცა ბრბოს ნაწილია. ბრბოს შემადგენელი ინდივიდი ვერ აცნობიერებს თავის საქციელს...		
ცნობიერი პიროვნება ქრება, ჭარბობს არაცნობიერი პიროვნება, რომელიც მიისწრაფის, მალევე მოიყვანოს მოქმედებაში შთაგონებული იდეები, რადგან აღარ ეკუთვნის თავის თავს...		
იზოლირებულ მდგომარეობაში შეიძლება იყოს კულტურული ადამიანი, ბრბოში **ის ბარბაროსად გადაიქცევა.**		
ბრბოს მახასიათებელი თვისებებია: იმპულსურობა, გაღიზიანებულობა, გააზრების, მსჯელობისა და კრიტიკის უუნარობა, გადამეტებული მგრძნობელობა და მრისხანება.		
ბრბოს ყოველთვის ჰყავს **წინამძღოლი,** რომელსაც ბრბოს ყველა ინდივიდი ემორჩილება. ბრბოში მთავარი მხოლოდ წინამძღოლია, მისი როლი მნიშვნელოვანია, მისი ნება არის ბირთვი, რომლის გარშემო ერთიანდება აზრები. წინამძღოლები ხშირ შემთხვევაში არ მიეკუთვნებიან მოაზროვნეთა რიცხვს, ისინი მოქმედების ადამიანები არიან		

იმსჯელეთ, ბრბოს რომელი თვისებები ახასიათებს ერთად შეკრებილ ხალხს პოემაში? რა ემართება ადამიანს, როცა ის ბრბოს ნაწილი ხდება?

თქვენი აზრით, რა განასხვავებს ბრბოს საზოგადოებისაგან? ივარაუდეთ, როგორი შედეგებით შეიძლება დასრულდეს ბრბოსა და პიროვნების დაპირისპირება?

2. როლური თამაში „დებატები – პოზიციის მიხედვით ამოვიცნოთ პერსონაჟი“

მოთამაშეები იყოფიან სამ-ოთხწევრიან ჯგუფებად, თითოეული ჯგუფი იღებს ყუთიდან ფურცელს, რომელზედაც პერსონაჟის სახელი წერია. ისინი ცდილობენ, დებატებში წარმოაჩინონ ამ კონკრეტული გმირის პოზიცია ისე, რომ პერსონაჟი არ დაასახელონ. ბუნებრივია, მათ ეკამათებიან საპირისპირო პოზიციის მქონე მოთამაშეები. დებატების ბოლოს აცხადებენ, მათი აზრით, რომელი ჯგუფი რომელი პერსონაჟის პოზიციას წარმოადგენდა.

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ არგუმენტირებული ესე

„დამარცხებული გმირის გამარჯვება“, რომელშიც არგუმენტირებულად გადმოსცემთ, რა მორალური გამარჯვება მოიპოვა ზვიადაურმა ქისტებზე.

ფანტაზიის გაკვეთილები

მუშაობა სხვადასხვა ჟანრის ტექსტზე

შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ჟანრის ტექსტი და დაწერეთ:

1. პერსონაჟის მონოლოგი (ზვიადაურის, ჯოყოლასი, აღაზასი, მუსასი ან უცნობი ქისტისა, რომელიც სასაფლაოდან უკან მარტო ბრუნდება და ზვიადაურის სიკვდილით დასჯა მანამდე უცნობ, მტანჯველ განცდას უჩენს);
2. ჩანახატი (რომელშიც გამოიყენებთ გაპიროვნების მხატვრულ ხერხს, მაგალითად – რას ფიქრობს იქვე მდგარი ხე, ბუჩქი, კენჭი, მდინარე და ა. შ. მომხდარზე);
3. მოთხრობა, რომელშიც სხვა დამატებით პერსონაჟებს შემოიყვანთ და სიუჟეტს თქვენთვის სასურველი კუთხით განავრცობთ.

X

ბისოს მოვიდა ამბავი,
ვით ნაქუხარი მეხადა:
„მოუკლავთ ზვიადაური,
ცით ჩამოსული სვეტადა,
ფშავ-ხევსურეთის ფარ-ხმალი,
გამოსადეგი მეტადა!“
შავის ამბისა გამგონეთ
ზარი გამართეს დედათა.
ბისოს ტიროდა ბებერი,
მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:
„ბედკრული რად ვარ ცოცხალი?
მეც მიწას მიმაბარეთა;
მკლავნი მაჩვენეთ შვილისა,
მოიტათ, ჩამაბარეთა!
ჩემის შვილისა მარჯვენით
გულს მიწა მომაყარეთა;
ვაჰმე, რადა ვარ ცოცხალი?
რისთვის-ღა ვსთელავ არეთა?!
მკვდარნო, რად არ მეც ადრევე
თქვენთან არ დამიბარეთა?
როგორ ვიგონო თავის ძე
ურჯულოს არე-მარეთა?!“
ვაჟკაცთ გაიგეს ამბავი,
გასაგონარი ჭირითა,
ერთმანეთს გადაეძრახნენ
ბოლმით შემკულის პირითა:
რად გიკვირთ, როცა ჩვენს მფარველს
ცხარის ცრემლითა ვსტირითა?!
გამოიტანეს შუბები
დუმით ნაპოხის ცხვირითა,
ფარ-ხმალით მოკაზმულები
ჯარს ამზადებენ დილითა.
ეს ხომ ახალი არ არის,
სისხლმა იდინოს მილითა.
იძახის აპარეკაი:
„საგძალი გინდათ კვირისა!“
„ქუდზე კაც უნდა წავიდეს!“ –
ბაბურაული ჰყვირისა.
აღელვებულთა ბორგვნაა,
ხმა არ გეგონოსთ სტვირისა!

XI

– კარში გამოდი, ჯოყოლავ,
წყნარად ნუ სწევხარ კერასა,
რამდენი ხალხი მოერტყა
იმ ჩვენის მთების წვერასა!
ჩვენთან მოდიან სტუმრადა,
ჩვენ გვიპირობენ წვევასა.
შეგვანანებენ დედათა
შვილთა აკვნების რწევასა.
საქონელს ერეკებიან,
რეულობაა როგორი?!
აავსო ჯარმა, გაჰხედე,
ჯარეგის თავი, სამ-გორი,
დამთხვალთა მენახირეთა
კლდეები მოსდევს ნაგორი.
წადი, უშველე თავისებს,

მტრის დასახვედრად მირბიან,
შენც ისე წადი, ჯოყოლავ,
როგორაც სხვანი მიდიან.
– გავყვე?! რას ამბობ, ჭკვა-თხელო?
არ გამივლევენ ახლოსა!
მარტოკამ უნდა ვიომო,
მთელმა ჯარეგამ მნახოსა;
ვინ ერთგულია, ვინ არა,
ქვეყანამ დაინახოსა.
ქისტებს ორგული ვგონივარ,
გამდგარი თავის რჯულზედა,
ჰფიქრობენ, ვითომ ჯოყოლამ
თავი გაჰყიდა ფულზედა,
ქისტეთის მოღალატე ვარ,
ხელაღებული სულზედა;
მოაქვთ და ცოცხალს მადებენ
საფლავის ქვასა გულზედა.
ამას ამბობდა ჯოყოლა,
თან აბჯარს ისხამს ტანზედა:
წელზე შაიბა ფრანგული,
თოფი გადიგდო მხარზედა,
ქისტს არ მაუდის ჯიშადა
მუზარადის დგმა თავზედა.
მარტოკა მიდის ცალს მხარეს,
თავდადებული ცდაზედა,
მტრის დასახვედრად სხვანიცა
შამოეფინნენ მთაზედა.

XII

ჩამოდის ხევსურთა ჯარი
დროშა მოჰქონდა წინასა;
მიჰმართეს სასაფლაოსა,
მდუმარეს ქისტთა ბინასა:
მოძებნონ თავისი მკვდარი,
მოკრიბონ გმირის ძვალები,
ზვიადაურის მტანჯველთა
ძირში მოსთხაროონ თვალები.
დაუხვდათ ქისტის ჯარიცა,
ხევ-ხევის პირას მალული;
შამოესროლეს თოფები,
მაჟრები[1] შემოსალტული;
გზას არ უთმობენ ხევსურთა
ბიჭები ამოსხარტული.
ორივე მხრიდამ თოფებსა
ზედ დაკიჟინით ისვრიან,
ორსავე საქმე აწუხებს,
ორნივე მედგრად იბრძვიან.
ბლომად დალია ტყვიამა
სისხლი, – მოძოვა ქუჩია,
მაინც არ გატყდენ ქისტები,
სდგანან ვით ციხე-ბურჯია.
ბაბურაულმა ხევსურთა
ხმალ-და-ხმალ ჩასვლა ურჩია.
მივიდა საქმე ხმალზედა,
ფარმა გზა მისცა საკაფი,
საძევარი აქვთ ხევსურთა
ძვირი განძი და ალაფი.
ფარო, ნუ ჰმტყუვნობ გორდასა,
შენა ხარ მაგის ჯალაფი;
თავქვე მორბინალთ ხევსურთა
წინ კლდე დაუხვდათ წარაფი[2].
კლდიდამ გადუხტა უეცრად
ქისტი ხმალ-მოღერებითა,
აკვირვებს ქისტის ლაშქარსა
მტრის ჯარის მოგერებითა.
ზოგს მოტყუება ეგონა,
ამბობდენ მოჩვენებითა:
– ეგ ვინ უხვდება ხევსურთა?
ჩვენი მხარეა, ვინ არი?
– ეგ უნდა ჯოყოლა იყოს,
სწორედ, ნამდვილად ის არი! –
სთქვა ერთმა, სხვანიც დასთანხმდენ,
გაოცებულნი უცქერენ.
როგორ არ უფთხის გროვასა,
თუმცა ხმალ-ხანჯრებს უღერენ.
მოჰკლეს კიდეცა, იქცევა,
მკერდს ხანჯრის წვერით უწერენ.
ქისტთ გაუხარდათ დიაღაც, –
„მოჰკლან, თუ მოჰკლეს – ახია!
ეხლაც მასხარად აგვიგდო,
წინად ხომ ბევრჯელ აგვრია,
სოფლისა გადრა ინდომა,
ჩვენ-კი ტალახში გაგვრია.
მარტოკა მტრის ჯარს დაუხვდა,
სწორედ დავლათით დაგვრია.“
ხევსურთ ჯოყოლა გაწირეს
მკვდარი, კლდის თავსა, კეტამზე[3].
თითონ დაესხნენ ქისტებსა,
ჩამოეფინნენ ფერდაზე.
გახდა ხმალ-ხანჯრის ტრიალი,

[1] **მაჟარი** – ძველებური თოფი (მადიარული, უნგრული წარმოშობისა).

[2] **წარაფი** – შვეული კლდე.

[3] **კეტამი** – კლდის ქიმი.



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაცია

დაკრული მიდის მკერდამდე;
ფარ-ხმალის ჩხერა, წკრიალი
ცას ადიოდა ღმერთამდე.
გაიქცა ქისტის ლაშქარი,
კოშკებს მიჰმართა გრიალით,
უკან მისდევენ ხევსურნი,
თავზე ჩაჩქნების პრიალით;
მოკრიბეს სასაფლაოზე
ზვიადას ძვლები ტრიალით:
ზოგი სად ეგდო, ზოგი სად,
ფრინველთ ნაჯიჯგნი ფრიალით.
მოკრიბეს ძვლები ხურჯინში
და გამობრუნდენ შინათვე,
ასრულეს გულის წადილი,
დანაპირები წინათვე.
გამოირეკეს ცხვარ-ძროხა,
გადმოავლიეს მთანია;
ამოიყარეს მტრის ჯავრი,
სადარდო რაღა არია?!
უცხოეთს მაინც არ დაჰრჩათ,
შინ მოაქვთ თავის მკვდარია,
ფშავ-ხევსურეთის იმედი,
ქავ-ციხე, რკინის კარია.
მოძმენი დაიტირებენ
თავის მკვდარს თავის წესზედა,
მიაბარებენ სამარეს
მამა-პაპათა გვერდზედა:
ძვირად ღირს დანადინარი
თავისის ცრემლი მკერდზედა!

XIII

– უცხოს კაცისა მოზარევ,
ხევსურთ მოგიკლეს ქმარია.
წადი, იტირე, აღაზავ,
სამარეს მიაბარია.
თავს დაჰყრანტალებს ყორანი,
წვერ-ულვაშს უცრის ქარია.
– შენს მტერსა ისეთი ყოფნა,
რო ჩემი ყოფნა მწარია!
აღარვინ მივლის ახლოსა,
არვინ მიჭირა მხარია.
იქვე დავმარხე კლდის თავზე,
საფლავიც გავუთხარია;
სუყველამ ზურგი მაქცია,
ყველაყა განზე მდგარია.
სასაფლაოც კი შემიკრეს,
რო დამემარხა ცხედარი:
ჯოყოლამ გვიღალატაო,
მაგის ადგილი ეგ არი,
საცა მარტოკა ომობდა,
ჩვენთვისა ჩირქის მცხებარი,
თემის პირისა გამტეხი,
ორგული, დაუდეგარი.
ცეცხლი მწვავს, ძმაო, ცეცხლი მწვავს
უალო, მოუდებარი;
გულს მიკლავს, გონებას მირევს
ფიქრები გაუგებარი!
ცოლი სტიროდა ჯოყოლას,
ცრემლს ასხურებდა ხშირადა,
არჩვი ყელ-გადაგდებული,
თმა-ხშირი, მთვარე პირადა,
ეკერებოდა გულ-მკერდზე
ქმარს მარგალიტის ღილადა.

XIV

ღამეა ბნელი, დელგმაა,
დგანდგნარებს არე-მარეო.
ღმერთო, მოჰხედე ტანჯულთა,
უშველე, შაიწყალეო!
კარგი კარგია მაინცა, –
ბეჩავი შაიყვარეო!

ტანჯულთა ლოცვა-მუდარა
გულს ვარდად დაიყარეო!
თუ არ უშველი, საწყლების
სულები მიიბარეო!..
გეყო მაგდენი მუქარა,
ღრუბელო, გადიყარეო!
მდინარე მოჰქუხს, მრისხანებს,
ზედ ასქდებოდა ლოდებსა,
დღესაც ისევე ბოროტობს,
არ იცის, რისთვის ჰგოდებსა.
არ ეშინიან ტანჯვისა,
იმან არ იცის სიკვდილი.
ერთი რამ იცის მხოლოდა:
ცრემლის ღვრა, მაღლა ყვირილი,
მუდამ ჟამს უცინარობა,
მარტო ტირილი, ტირილი...
ქარი სცემს, დაბლა ხევებით
ჩამოკიჟინებს მთებითა;
ქალი სდგას, მდინარეს დასცქერს,
კლდეზე, გაშლილის თმებითა;
სხივ მიხდილს ვარსკვლავს მაგონებს
მკრთალად მთრთოლარის ყბებითა.
არ იღებს ხმასა... შემკრთალი
ჰკრთის, რომ დასცქერის მდინარეს;



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„სტუმარ-მასპინძლის“ ილუსტრაცია

რა საზარლადა ხმაურობს,
როგორ საზარლად მდინარებს!
ლაშ-დაღრენილი, სასტიკი
შავი ხეობა მძვინვარებს.
„თავს ნუ იკლავო!“ აბა, თუ
ერთმა ურჩიოს მაინცა.
დახუჭა ქალმა თვალები,
მსწრაფლად მორევში ჩაიქცა.
– რაღად ვიცოცხლო, რიღასთვის?
ამას ჰფიქრობდა ქალია. –
ქისტეთში ჩემი ერთგული
კენჭიც კი არსად არია.
ორთავ შევცოდეთ ქისტებსა,
მათ შამიჩვენეს ქმარია...
მე უფრო დიდი ცოდვა მაქვს,
უცხოსთვის ცრემლი ვღვარია.
წაიღო წყალმა აღაზა,
ლამსა და ქვიშას შაჰრია.

XV

იმ კლდის თავს, საცა ჯოყოლა
მოჰკლეს ხევსურთა ბრძოლაში,
ღამ-ღამ ჰხედავენ სურათსა
ზვავისგან ნაგალს[1] გორაში:
კლდის თავს წადგება ჯოყოლა,
სასაფლაოსკე იძახებს:
„ზვიადაურო, ძმობილო,
რად არ მაჩვენებ შენს სახეს?!“
სასაფლაოდამ წამოვა
აჩრდილი ფარ-ხმალიანი,
გულზე უწყვია დაკრეფით
მკლავები სამკლავიანი.
მივა და მიესალმება
თავის ძმობილსა მდუმარედ.
იქვე აღაზაც ამოდის
სახე მოწყენით, მწუხარედ.
ენთება ცეცხლი მათს გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.
როცა მათ ჰხედავს ერთადა
კაცი, ვერ ძღება ცქერითა;

[1] **ნაგალი** – იგივეა, რაც გავლილი.

მაგრამ გაჩნდება ჯანღი რამ
კურუმად შავის ფერითა,
დაეფარება სანახავს
წერა-მწერელის წერითა.
ზედ აწევს ჯადოსავითა,
არ დაიმტვრევა კვერითა,
ვერც შეულოცავს მლოცავი,
არც აიხდება ხელითა.
მხოლოდ მდინარის ხმა ისმის,
დაბლა მიქანავს ხველითა
და უფსკრულს დასცქერს პირიმზე
მოღერებულის ყელითა...

1893 წ.



ირაკლი თოიძე
„ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაცია



მირიან ჭანკვეტაძე
„გამოცხადება“

სული დაიღეს, დადუმდეს ორთავე ცეცხლი სდებოდა
ასმათი შეჰყვა, შევიდა, მათებრ სახმილი ჰგზებოდა
დაუგო ტყავი ვეფხვისა, რომელ კვლა მიწყივ ჰგებოდა;
ორნივე დასხდეს, უბნობდეს, რაცა მათ ეამებოდა.

ენთება ცეცხლი მათს გვერდით,
მკრთალადა ბჟუტავს მთაზედა;
იმათ ჰმასპინძლობს აღაზა,
ჯიხვის მწვადს უწვავს ალზედა.
ვაჟკაცობისას ამბობენ,
ერთურთის დანდობისასა,
სტუმარ-მასპინძლის წესზედა
ცნობის და და-ძმობისასა.
როცა მათ ჰხედავს ერთადა
კაცი, ვერ ძღება ცქერითა.

ჩვენ და ტექსტი

1. ზვიადაურის პიროვნება მკითხველისათვის ცოტა ბუნდოვანი რჩება, თითქოს „გაცნობას“ ვერც ვასწრებთ. თავდაპირველად გმირი თავის ვინაობას მალავს და მალევე იღუპება. სიკვდილის სცენა არის ერთადერთი ეპიზოდი, როცა მკითხველს, მასზე, როგორც უებრო ვაჟკაცზე, გარკვეული წარმოდგენა ექმნება. იმსჯელეთ, რით ავსებს ამ დანაკლისს მშობლიური სოფლის მიერ დაკარგული ვაჟკაცის გლოვა, რა ახალი შტრიხები შესძინა საყოველთაო გლოვამ ზვიადაურის სახეს;

2. მეათე თავი ძირითადად თხრობაა, მაგრამ ამ თხრობაშიც გამოერევა ორსტრიქონიანი ავტორისეული ჩანართი, რომელშიც ვაჟა-ფშაველა საკუთარ პოზიციას წარმოაჩენს. მოძებნეთ ეს ადგილი. იმსჯელეთ, სისხლის აღების შესახებ მწერლის რა პოზიცია მჟღავნდება ამ ორ სტრიქონში?
3. როგორ ერთვება ჯოყოლა ბრძოლაში და რატომ მიიღო მან ასეთი გადაწყვეტილება?
4. როგორ აღიქვეს ქისტებმა ჯოყოლას მტერთან მარტო შებრძოლების ამბავი? რამ გააღიზიანა ისინი? როგორი დამოკიდებულება აქვთ მათ საკუთარი რჩეული ვაჟკაცის მიმართ? თქვენი აზრით, სამართლიანია მათი გულისწყრომა?
5. როგორ შეხვდნენ ქისტები სოფელში გამორჩეული ვაჟკაცის, ჯოყოლას, მოკვლას? რამდენად ბუნებრივად გეჩვენებათ მათი რეაქცია;
6. დააკვირდით მეთოთხმეტე თავის დასაწყისში გადმოცემულ პეიზაჟს. რა კავშირი აქვს ამ სურათს ნაწარმოების შინაარსთან, პერსონაჟის სულიერ მდგომარეობასთან? რა საშიშ მინიშნებებს შეიცავს ეს პეიზაჟი?
7. მოძებნეთ პეიზაჟში ავტორისეული ჩანართები. იმსჯელეთ, რა ფუნქცია აქვს ამ ჩანართებს;
8. აბობოქრებული წყალი გველეშაპია, რომელიც ნათელს (მზეს) ჩასათქმელად ემუქრება. რა გამოხატულება ჰპოვა პოემაში ამ ჯერ კიდევ ზღაპრებიდან გავრცელებულმა ალეგორიამ?
9. რატომ გადაწყვეტს აღაზა თავის მოკვლას?
10. რა მომავალი ელის საზოგადოებას, რომელიც თავის გამორჩეულ, ღირსეულ შვილებს მოიკვეთს, ვერ გაუფრთხილდება, დასაღუპად გაწირავს?
11. თქვენი აზრით, რა დარჩა ამ სამი გამორჩეული გმირის ცხოვრების გზისგან? რატომ არ მთავრდება გმირთა სიკვდილით ამბავი? რა უნდოდა ვაჟას ეთქვა, როცა პოემის ფინალში ხალხის ოცნება გააცოცხლა?
12. როგორ გგონიათ, ადამიანებში, რომლებიც მთის მწვერვალზე უცნაურ გამოცხადებას ხედავენ, ჯოყოლასა და აღაზას მიმდევრები ჭარბობენ თუ, დავუშვათ, მუსასი? რა აჩვენებს, რომ მიუხედავად რჩეულ გმირთა სიკვდილისა, ცხოვრებამ მათი არჩევანის ჭეშმარიტება დაადასტურა?
13. პოემის ფინალში ორ ილუსტრაციას ხედავთ: ერთი მათგანი „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდს ასახავს, ხოლო მეორე ვაჟასეული ხილვა/ჩვენებაა. რა აკავშირებთ ამ პერსონაჟებს ერთმანეთთან, რა საერთო იდეალებისთვის იბრძვიან ისინი? და ბოლოს, რატომ განხორციელდა იდეალი „ვეფხისტყაოსანში“ და რატომ „დამარცხდნენ“ ვაჟას გმირები? იმსჯელეთ, ეს რეალური დამარცხებაა, თუ მსხვერპლია სიკეთის, მშვენიერებისა და სიყვარულის იდეალების გადასარჩენად?

ეს საინტერესოა

ხევსურეთში, სოფელ არდოტში დღესაც აჩვენებენ ადგილს, რომელსაც სოფლელები ზვიადაურისა და მისი ძმის საფლავს უწოდებენ. ამის შესახებ უფრო მეტი იხ.

https://9nes.short.gy/zwkYr7



გადმოცემით, ზვიადაურისა და მისის ძმის საფლავი

ლიტერატურული ძიებანი

1. მანგად მოთხრობილი სტუმარ-მასპინძელი (კლასიკა და თანამედროვეობა)

რა არის მანგა?

„ეს წიგნი არის მანგად მოთხრობილი „სტუმარ-მასპინძელი“, – ამბობს ვაჟას „სტუმარ-მასპინძელის“ იაპონურად მთარგმნელი, ენათმეცნიერი იასუჰირო კოჯიმა და თავად განმარტავს, რა არის მანგა. „არის ასეთი კულტურა, – იაპონური კლასიკური ლიტერატურიდან, ძველი ნაწარმოებებიდან იღებენ ნიმუშებს და მანგად გადააკეთებენ , რადგან ძველი ნაწარმოებების გაგება ახალგაზრდობას უჭირს, მანგას კი სიამოვნებით კითხულობენ. ასეთი პრაქტიკა ხშირია. მახსოვს, მეც სიამოვნებით ვკითხულობდი ბევრ მანგას, რომლებიც კლასიკური ნაწარმოებებიდან იყო აღებული“.

ცხადია, კლასიკას ვერაფერი შეცვლის , უბრალოდ, უნდა იცოდეთ, რომ ამგვარი გზებიც არსებობს, რაც ზოგჯერ შეიძლება მოსახერხებელიც კი იყოს. თუმცა წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ მხოლოდ სიუჟეტური ქარგით ნაწარმოების მხატვრულ სამყაროს ვერ ჩავწვდებით.

ქვემოთ გაეცანით მანგას განმარტებას და თქვენი სიტყვებით გადმოეცით, რას ნიშნავს მანგა, როგორი შეიძლება იყოს მანგად მოთხრობილი ამბავი? რა უპირატესობები და ნაკლი აქვს მანგად მოთხრობილ კლასიკას?

მანგა ერთგვარი კომიქსია, იგი მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა.

სიტყვა „მანგა“ როგორც მისი დასავლური შესატყვისი „კომიქსი“, გულისხმობს არა მარტო კარიკატურას, არამედ ანიმაციას, მულტიპლიკაციას.. მანგას მიხედვით შექმნილ იაპონურ ანიმაციურ ფილმებს ანიმე ეწოდება.

იაპონიაში მანგა უაღრესად მრავალფეროვანია, იგი ნებისმიერი ასაკისა და სქესის ადამიანისთვის გამოდის და მოიცავს მრავალ ჟანრს – თრილერს, სპორტს, მუსიკას, ფენტეზის, სამეცნიერო ფანტასტიკას, დრამას, დეტექტივს, კომედიას და ა.შ.

მანგა ძირითადად იბეჭდება შავ-თეთრად, თუმცა ფერადი მანგებიც გვხვდება. მანგას ავტორია მანგაკა.

1950-იანი წლებიდან იაპონიის საგამომცემლო ინდუსტრიაში მანგას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. დღესდღეობით ბევრი მანგა ითარგმნება სხვადასხვა ენაზე, ძირითადად ინგლისურად მათი ელექტრონული ვერსიები ხელმისაწვდომია თითქმის მთელ მსოფლიოში.

ჯგუფური სამუშაო:

დაიყავით ჯგუფებად, თითოეულმა ჯგუფმა შეარჩიეთ თქვენთვის სასურველი ეპიზოდი და გადმოეცით ეს მონაკვეთი მანგად.

წინასწარ შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რომლითაც შეაფასებთ თქვენ მიერ მანგად მოთხრობილ ეპიზოდებს.

გამოავლინეთ საუკეთესო ნაშრომები, გააერთიანეთ ისინი საერთო სათაურით-„მანგად მოთხრობილი სტუმარ-მასპინძელი “ და გადაეცით სკოლის რესურსბანკს.

დამატებითი რესურსები

მანგად მოთხრობილი ტექსტი

ნიმუშად იხ. „მანგად მოთხრობილი „სტუმარ-მასპინძელი“. ქვემოთ დასახელებულ საიტზე იხილავთ კომიქსის სტილში შემოთავაზებულ პოემას, აქვე მრავლადაა ილუსტრაციები, რომლებიც ნაწარმოების გმირთა სულიერი სამყაროს გაგებაში დაგეხმარებათ.

https://9nes.short.gy/jO5b4f

https://9nes.short.gy/SfpEHJ

1. სტუმრად ვირტუალურ ვერნისაჟზე

უკვე შეეჩვიეთ, რომ ლიტერატურული მასალის აღსაქმელად ხშირად მივმართავთ ხოლმე ხელოვნების მონათესავე დარგებს, მუსიკას, მხატვრობას და ა. შ.

ამჯერად გთავაზობთ, ესტუმროთ ვირტუალურ ვერნისაჟს და თავად შეარჩიოთ ილუსტრაციები ტექსტისათვის.

მანამდე კი

წუთშესვენება ვერნისაჟში სტუმრობამდე

თქვენ იცით, რომ გმირის ხასიათი სხვადასხვა სიტუაციაში სხვადასხვაგვარად ვლინდება. თქვენ რომ მხატვარი იყოთ, რომელ ეპიზოდებს შეარჩევდით პერსონაჟთა ხასიათების, პოემაში აღწერილი გარემოს ტექსტში გადმოცემული თემებისა და მოტივების გასაცოცხლებლად? რატომ?

ვერნისაჟის დათვალიერების დროს იმსჯელეთ, რამდენად დაემთხვა ერთმანეთს თქვენი და მხატვრების მიერ შერჩეული ხედვის კუთხე.

ვერნისაჟის პირველი დარბაზი

ვერნისაჟის პირველი დარბაზი სახელმძღვანელოა, რომელშიც ცალკეულ ეპიზოდებთან განთავსებულია ილუსტრაციები. ესაა ვაჟას შემოქმედებაზე შესრულებული ტრადიციული ნამუშევრები, რომლებიც ემთხვევა ტექსტის „კლასიკურ“ გაგებას. მხატვარი თეიმურაზ ყუბანეიშვილი ჩვენ თვალწინ აცოცხლებს ვაჟას პოემათა მხატვრულ სამყაროს.

ვერნისაჟის მეორე დარბაზია მხატვარ ილია პატაშურის ნამუშევართა გამოფენა მხატვრისა და პოეტის პეიზაჟები

ვაჟას გმირების გარემო ილო პატაშურის მხატვრული სამყაროსთვის მშობლიური და ახლობელია. დაათვალიერეთ მისი ნახატები და იმსჯელეთ, რომელ ნამუშევრებს შეარჩევდით ვაჟას ნაწარმოებების ილუსტრაციებად და რატომ? (განსაკუთრებით საინტერესოა, მხატვრის მიერ გადმოცემულ მთის პეიზაჟებში რამდენად ამოიცნობთ ვაჟას სამყაროს). იხ. ილო პატაშურის ნამუშევრების ვერნისაჟი;

https://9nes.short.gy/FlTxsR

3. სხვა რაკურსით

ეწვიეთ ლევან ცუცქირიძის გამოფენას. იქ თქვენ შეხვდებით საინტერესო და ორიგინალურ ჯოყოლასა და აღაზას.

4. მანგად მოთხრობილი ტექსტი

https://9nes.short.gy/PnnAnX

დაათვალიერეთ მანგად გამოცემული ტექსტი და პოემის ცალკეულ ეპიზოდებს შეურჩიეთ სათანადო ილუსტრაციები. მოამზადეთ ამ ეპიზოდების ილუსტრირებული

ელექტრონული ვერსია, ამისათვის მოგიწევთ ტექსტის შემოკლება, ისე, რომ იგი მანგას ტექსტად იქცეს, და სათანადო ილუსტრაციების შერჩევა.

5. ჩემი შთაბეჭდილებები ვერნისაჟის შესახებ.

იმსჯელეთ, რომელი მხატვრის ნამუშევრებს რომელ სიტუაციაში გამოიყენებდით და რატომ? მაგ., რომელი უკეთ გადმოსცემს ვაჟას ბუნების სურათებს, გმირთა ხასიათებს, მათ გუნება-განწყობილებებს, ვაჟას პოემებში ასახულ პრობლემებსა და ძირითად თემატიკას, თანამედროვეობიდან დანახულ ვაჟას სამყაროს და ა. შ.

რამდენიმე წუთი კომპიუტერთან

1. მოისმინეთ რადიოთეატრი „სტუმარ-მასპინძელი“. რომელმა სცენამ დატოვა თქვენზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

დაიყავით ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი არჩევს მისთვის სასურველ სცენას და ამზადებს მის რადიოინსცენირებას; წინასწარ შეიმუშავეთ კრიტერიუმები, რომლებითაც შეაფასებთ ჯგუფების მიერ მომზადებულ რადიოინსცენირებებს.

2. ლევან ბერძენიშვილი საუბრობს პოემა „სტუმარ-მასპინძელზე“

ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ ქართული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, სტუმარმასპინძლობა კი ჩვენი, კავკასიური, იდენტობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ნიშანი. ამის გამო, ეს პოემა ძალიან უყვართ მთელ კავკასიაში...

„...ეს არ არის პოემა მთაზე, ეს არ არის პოემა მთის კაცებზე – ეს არის პოემა კაცობრიობაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე და გამოყენებულია – სტუმარმასპინძლობის დაუწერელი, მაგრამ ყველასთვის სავალდებულო წესი!“

მოუსმინეთ ამ საუბარს და იმსჯელეთ, რა არგუმენტები მოჰყავს ავტორს იმის დასასაბუთებლად, რომ „ეს არის პოემა კაცობრიობაზე“.

პარალელები

1. რომანი, რომელიც ჯერ არ დაწერილა

ლიტერატურული პარალელების რუბრიკაში გთავაზობთ სახალისო აქტივობას – „რომანი, რომელიც ჯერ არ დაწერილა“. ამისათვის, სასურველია, მას, ვინც აქტივობაში მონაწილეობს, არ ჰქონდეს წაკითხული ნაწარმოები, რომელსაც რუბრიკა პარალელები გთავაზობთ.

ქვემოთ გთავაზობთ ერთ-ერთი რომანის სიუჟეტის ზოგად ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც თქვენ შექმნით ვერსიებს იმ რომანების სიუჟეტებისას, ჯერ რომ არ დაწერილა.

სტუმარმასპინძლობისა და სისხლის აღების ადათი მხოლოდ ქართულ სინამდვილეში არ ყოფილა გავრცელებული. ამის აშკარა დადასტურებაა რუბრიკა „პარალელებში“ შემოთავაზებული ნაწარმოებები.

ისმაილ კადარეს რომანი „გახლეჩილი აპრილი“

ისმაილ კადარეს რომანის, „გახლეჩილი აპრილის“, მთავარი გმირია ალბანეთის მთიანეთის მკვიდრი, 26 წლის ახალგაზრდა კაცი ჯორჯ ბერიშა, რომელსაც უფროსი ძმა მოუკლეს. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ადათის თანახმად, მან სისხლი უნდა აიღოს და ძმის მკვლელი მოკლას. შემდეგ მოკლულის ოჯახმა უნდა აიღოს სისხლი და ასე დაუსრულებლად...

მთებში ამ დროს ქალაქელი ახალგაზრდა წყვილი ატარებს თაფლობის თვეს და მთის ტრადიციებს ეცნობა. პატარძლისათვის ეს საშინელი და ანტიადამიანური ტრადიცია მიუღებელია. „ქმრის მონათხრობი მისთვის რეალურ სახეს მაშინ იღებს, როდესაც გზაზე გადაეყრებიან რომანის მთავარ გმირს და მათი მზერა ერთმანეთს შეხვდება... “ - წერია წიგნის ანოტაციაში.

როგორ განვითარდება ეს ამბავი, რას მალავს ანოტაციის ფრაზა- „მათი მზერა ერთმანეთს შეხვდება“... ამას რომანის წაკითხვის შემდეგ შეიტყობთ, მანამდე კი გთავაზობთ, თავად შექმნათ სიუჟეტის განვითარების რამდენიმე ვერსია. შეურჩიეთ თქვენს ვერსიებს სათაურები.

რომანის წაკითხვის შემდეგ შეადარეთ თქვენული ვერსიები რომანის კომპოზიციას და იმსჯელეთ ამ განსხვავებულ ინტერპრეტაციებზე. რამდენი „დაუწერელი რომანი“ შეიქმნა თქვენს კლასში და რით იყო საინტერესო ამ ვერსიებში გადმოცემული იდეები?

რაში დაემთხვა მწერლისა და თქვენეული თვალთახედვა?

შეადარეთ ერთმანეთს ვაჟასა და კადარეს ნაწარმოებები. რით ჰგავს ისინი ერთმანეთს და რით განსხვავდება?

2. მიხეილ ლაკერბაია „სტუმარი“

ამჯერად გთავაზობთ დამატებით საკითხავ მასალას დანართიდან. გაეცანით აფხაზი მწერლის, მიხეილ ლაკერბაიას მოთხრობას და იმსჯელეთ, რა საერთო თემები და მოტივები მეტყველებს იმაზე, რომ ამ ტექსტებს საერთო კულტურულ-ისტორიული არეალი აქვთ; რა აახლოებს აფხაზი მწერლის მიერ გადმოცემულ გარემოს ვაჟა-ფშაველას სამყაროსთან?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს მოთხრობა ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“ შორეული გამოძახილია?

დამატებითი რესურსები

გაეცანით სახელმძღვანელოს დანართ 2-ში („დამატებითი საკითხავი“) მოცემულ მასალას, „2.8. მიხეილ ლაკერბაია, „სტუმარი“, გვ. 508.

3. სოფოკლე, „ანტიგონე“

თვითმყოფადი პიროვნების დაპირისპირების თემა ლიტერატურაში დიდი ხნის წინ გაჩნდა. იგი მკაფიოდ ვლინდება ბერძენი დრამატურგის, სოფოკლეს (ძვ.წ. 495-406) ტრაგედიაში „ანტიგონე“. ამ ტექსტს თქვენ უკვე იცნობთ, ისიც იცით, რომ ანტიგონეს ბიძამ კრეონტმა აკრძალა ანტიგონეს ძმის პოლინიკეს დაკრძალვა.

მეფე კრეონტის სისასტიკე თითქოს სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე და საზოგადოებრივი მორალის სიმტკიცეზე ზრუნვით არის ნაკარნახევი, მაგრამ ანტიგონე ფიქრობს, რომ ყველაფერზე აღმატებულია ღვთაებრივი და ადამიანური ზნეობრივი კანონი, რო-

მელსაც თავის თავში აღმოაჩენს. ეს ახლობელი ადამიანის სიყვარულისა და ერთგულების კანონია. ანტიგონემ იცის, რომ „სიყვარულისთვის დაიბადა და არა სიძულვილისთვის“, რომ თუ სიყვარულს, საკუთარ ზნეობრივ პრინციპს უღალატებს, პიროვნულ ღირსებას, პიროვნულ დამოუკიდებლობას დაკარგავს. ამიტომ იგი ტრაგიკულ ხვედრს ირჩევს, თავის სიმართლეს მსხვერპლად ეწირება.

4. ბლეზ პასკალი



ბლეზ პასკალი 1623-1662 წწ.

იმაზე, თუ სინამდვილეში როგორი უნიადაგო და აბსურდული შეიძლება იყოს მტრობა სხვადასხვა ეროვნების, სარწმუნოების, კულტურული ტრადიციების ადამიანებს შორის, კაცობრიობა დიდი ხანია ფიქრობს. მწარე ირონიით გამოხატავს ფრანგი ფილოსოფოსი ბლეზ პასკალი (1623 - 1662) თავის დამოკიდებულებას ამგვარი მტრობის მიმართ:

„რატომ მკლავ, კაცო?“ – „როგორ თუ რატომ? შენ ხომ წყალგაღმა ცხოვრობ? შენ რომ გამოღმა ცხოვრობდე, ჩემო კეთილო, მე მართლაც მკვლელი ვიქნებოდი და შენი მოკვლა ბოროტმოქმედებად ჩამეთვლებოდა, მაგრამ რაკი წყალგაღმა ცხოვრობ, ჩემი საქმე სამართლიანია და მე გმირი ვარ“.

რამდენად შეიძლება დავუკავშიროთ ეს ირონიული აზრი „სტუმარ-მასპინძელს“ და ჩვენს დღევანდელობას?

5. შექსპირი, „ვენეციელი ვაჭარი“



უილიამ შექსპირი
1564–1616 წწ.

საოცრად ტრაგიკულ, მაგრამ აღმაშფოთებელ სახეს ხატავს შექსპირი თავის „ვენეციელ ვაჭარში“. ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი, მოხუცი შაილოკი ვალში თავისი მოვალის გულს მოითხოვს. მისი მონოლოგიდან ისე ჩანს, თითქოს ის შურს იძიებს იმ ანტისემიტური დამოკიდებულებისათვის, რომელსაც საზოგადოება იჩენს მისდამი.

შაილოკი გარშემო მყოფთა ბოროტებას ბოროტებით უპასუხებს, რაც შექსპირის აზრით, გამოსავალი არ არის.

სადისკუსიო კლუბი

1. მინიდისკუსია – აღაზას ამოუხსნელი განცდები

იმსჯელეთ, რა განცდები დაეუფლა აღაზას ზვიადაურის მიმართ; რატომ შეეპარა მას ეჭვი საკუთარ თავში და როგორი სულიერი მდგომარეობა გამოიწვია ამ ეჭვმა?

როგორ შეხვდა ჯოყოლა აღაზას „აღიარებას“ ? რა არის აღაზას განცდებში ისეთი, რაც ჯოყოლასათვის გასაგები და მისაღებია, აღაზას კი ჯერ ვერ აღმოუჩენია, ვერ გაურკვევია და ეწინააღმდეგება. რა არის კოშმარული ხილვების მიზეზი?

რა შინაგან ჭიდილს იწვევს აღაზას პიროვნებაში კონფლიქტი „ძველ ტრადიციულ“ ღირებულებებსა და ახლად აღმოჩენილ განცდებს შორის?

თქვენ რას დაარქმევდით აღაზას განცდებს ზვიადაურის მიმართ?

რატომ მოიკლა მან თავი? მოასწრო თუ არა მან, გაეაზრებინა ახალი ჭეშმარიტება - ის, რაც მისმა ქმარმა „აღმოაჩინა“?

დისკუსია შეაჯამეთ სადისკუსიო კლუბის სტუმრის აზრის გათვალისწინებით. კლუბის **სტუმარია ლიტერატურათმცოდნეები თამაზ ჩხენკელი და კიტა აბაშიძე.**

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღაზა ქმრის წინაშე შიშისა თუ მორიდების გამო პირდაპირ პასუხს არ იძლევა და იმასაც, რომ იგი მაღალი ზნეობის და, მაშასადამე, ფხიზელი თვითცნობიერების ქალია, ცხადი უნდა იყოს, რომ მისი ნაამბობი მისივე არაცნობიერი სწრაფვის ცენზურაგავლილ და ამიტომ ნეგატიურ ინტერპრეტაციას წარმოადგენს:

დევი ხელებს იწვდის აღაზასკენ („ნეტავი იმას, ვინაცა მაგის მკლავზედა წვებოდა“), დევს „მყრალი კანი“ აქვს („ვისიცა მკერდი, აწ კრული, მაგის გულ-მკერდსა სწვდებოდა“). ეს კანი „ჯერაც თვალებში უელავს“ აღაზას (ზვიადაურის სიკვდილი მას „თვალებში ელანდება“). დევი ცოლობას სთხოვს აღაზას: „ჩემთან წამოდი, ჩემთან იცხოვრე, ქალაო“ („ნეტავი იმას, – ე. ი. ზვიადაურის ცოლს, – ოდესმე ქმრის ტრფობა გაუცვდებოდა?“) და შეძრწუნებული აღაზა სახლისკენ გამორბის, მაგრამ მისივე ძლიერი არაცნობიერი სწრაფვის განმასახიერებელი „დევი“ ღრიალით მოსდევს უკან...“

თამაზ ჩხენკელი

ჯოყოლას ცოლი ზვიადაურს დაინახავს თუ არა, მისი ეშხით აინთება... მსხვერპლად შეწირვის შემდეგ ზვიადაურის სიკვდილი თვალიდან აღარ შორდებოდა და მუდამჟამს ცრემლს აფრქვევდა ამის გამო:

„სტიროდა, მაგრამ ტირილი
არ იყო, ეხათრებოდა:
ერთ მხრივ ხათრი აქვს თემისა,
მეორით – ღმერთი აშინებს,
ქისტეთის მტრისა მოზარეს
თავს რისხვას გადმოადინებს“.
მაგრამ ეს ფიქრი გონებისაა.
„გული თავისას შვრებოდა,
კაცის კაცურად სიკვდილი
გულიდამ არა ჰქრებოდა....
აიხსნა დანა, მიჰმართა ზვიადაურსა იმითა,
ააჭრა ნიშნად, სახსოვრად სამი ბალანი პირითა“.

მართალია, ამის შემდეგ მას საფლავებიდან ესმის მკვდრების წყრომა და ჩივილი... მაგრამ აღაზა ეომება ყველაფერს - სულიერსა და უსულოს; იგი დღეს სიყვარულს შეუპყრია, იგი მისი მორჩილია, იგიც ერთგვარი ურჩია თემისა, რომელიც თავის გრძნობასა და ზრახვას არავის უმორჩილებს...

კიტა აბაშიძე

არის თუ არა აღაზას ზვიადაურისადმი თანაგრძნობაში სატრფიალო ნიუანსი? არავითარ „ტრფობაზე“ და მით უმეტეს, „ეშხით ანთებაზე“ ლაპარაკი არ შეიძლება აქ. ასეთი მიდგომა აუბრალოებს საქმის არსს და პრიმიტიული გადაწყვეტისკენ გვეზიდება. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღაზას გრძნობა ზვიადაურისადმი უბრალო, ჩვეულებრივ თანაგრძნობაზე მეტი რამ არის, რაკი იგი ღვთის, თემისა და ქმრისადმი დამოკიდებულების მისთვის აქამდე გაშინაგნებულ ტრადიციებს არღვევს. ასეთი „თანაგრძნობის“ ენერგიას პიროვნების შინაგანი არსების ყველა სფერო უნდა მოეცვა და „გულის“ უღრმესსა და უძლიერეს განცდას უნდა დამყარებოდა... აღაზას განცდა არაცნობიერში იბადება და, ჩვენი აზრით, მას ეროტიული იმპულსის ხასიათი აქვს (ვაჟას აქცენტირებული არა აქვს ეს იმპულსი. იგი თავისთავად ჭვივის აღაზას ფიქრებში, ქცევასა და ნაამბობში). ხოლო ქალის ცნობიერში ეს იმპულსი ყოვლისგადამლახველ, ზნეობრივად სრულყოფილ, უნივერსალიზმამდე ამაღლებულ „თანაგრძნობის“ სახეს იღებს.

ვაჟა ადამიანური ბუნების მთელი სისავსით გვიხატავს აღაზას, მისი ამაღლების საფუძვლად მისსავე დიაცურ ბუნებას მიიჩნევს, რითაც „მორცხვი“ ასკეტიზმისაგან სავსებით თავისუფალ თვალსაზრისს ამჟღავნებს

თამაზ ჩხენკელი

2. მინიდისკუსია – პიროვნება და საზოგადოება

იმსჯელეთ საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობაზე პოემაში გადმოცემული ეპიზოდების მაგალითზე.

გაიაზრეთ, რატომ წარმოიშვება კონფლიქტი პიროვნებასა და საზოგადოებას შორის? თქვენი აზრით, რომლის მხარესაა სიმართლე ამ დაპირისპირებაში?

როგორ იქცევა საზოგადოება? საბოლოო ჯამში, რა ზიანი მოაქვს თავად საზოგადოებისათვის ამგვარი პიროვნებების ჩამოშორებას? ვინ, როგორი პიროვნებები განაპირობებენ საზოგადოების განვითარებას?

3. მინიდისკუსია – იდეალური საზოგადოების ვაჟასეული მოდელი და დღევანდელობა

- რა მიაჩნია ვაჟას ადამიანური ურთიერთობების იდეალად ამ პოემაში?
- რატომ იყო შეუძლებელი ამ იდეალის განხორციელება მოცემულ ცხოვრებისეულ სინამდვილეში?
- პოემის მთავარი გმირები იღუპებიან. საიდან ჩანს, რომ მათმა იდეალებმა გავრცელება პოვა ხალხში? დააკვირდით, ვინ ხედავს პოემის ფინალში გადმოცემულ ხილვას? ესე იგი, ვისი ოცნებების განხორციელებაა ამ სამი გმირის ღამეული შეყრის სურათი?
- დღეს რამდენადაა შესაძლებელი ამ იდეალთან მიახლოება, როგორ ებრძვის ჩვენი თანამედროვეობა სხვადასხვა ტიპის (ეთნიკურ, გენდერულ და ა. შ.) დისკრიმინაციას? იმსჯელეთ, რა როლი შეიძლება ჰქონდეს ახალგაზრდობას ამ მნიშვნელოვან საქმეში?

ოსტატობის სკოლა

ქვემოთ მოცემული საკითხებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი და დაწერეთ არგუმენტირებული ესე:

- პიროვნების ბედი მკაცრ და დაუნდობელ საზოგადოებაში;
- აღაზას ფსიქოლოგიური პორტრეტი.

წაკითხვამდე

1. პოემაზე მსჯელობა დავიწყოთ იმ მარადიული თემით, რომლითაც „სტუმარ-მასპინძელი“ დავასრულეთ: „და უფსკრულს დასცქერის პირიმზე, მოღერებულის ყელითა“... – ასე გადმოსცა ვაჟამ სინათლისა და სიბნელის მუდმივი დაპირისპირება.
როგორ გგონიათ, არსებობს ამ საყოველთაო სიბნელიდან, ტრაგიკული ყოფიდან თავის დახსნის იმედი? აქვს კი აზრი ამ დაპირისპირებას და ვინ რჩება საბოლოოდ გამარჯვებული ამ ბრძოლაში?

2. დავფიქრდეთ სათაურზე, პოემას მთავარი პერსონაჟის სახელი და გვარი აქვს სათაურად შერჩეული. როგორ გგონიათ, ეს რაიმეს მანიშნებელია,თუ, უბრალოდ, შემთხვევითობაა?ტექსტში კონკრეტულად ერთი ადამიანის თავგადასავალს გავეცნობით, თუ სათაური რაღაც უფრო მნიშვნელოვანზე მეტყველებს?
იმსჯელეთ და გამოთქვით ვარაუდები.

ალუდა ქეთელაური

(ხევსურების ცხოვრებიდან)



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„ალუდა ქეთელაურის“ ილუსტრაცია

I

მაცნე მოიდა შატილსა[1]:
– ქისტებმა მოგვცეს ზიანი,
დაგვიწიოკეს მწყემსები,
ავნია, ავი-ზნიანნი.
ალუდა ქეთელაური
კაცია დავლათიანი[2],
საფიხვნოს[3] თავში დაჯდების,
სიტყვა მაუდის გზიანი;
ბევრს ქისტს მააჭრა მარჯვენა, –
სცადა ფრანგული[4] ფხიანი.
ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!
ქისტებს წაუსხამ ცხენები,
ალუდაისიც ფთიანი.

[1] **შატილი** – სოფელი ხევსურეთში.

[2] **დავლათი** – იღბალი, ბედი, სვე (ვაჟასთან „დავლა-თი“ ყოველთვის ამ მნიშვნელობით იხმარება, „დოვლათს“კი ჩვეულებრივი მნიშვნელობა აქვს).

[3] **საფიხვნო** – ადგილი სოფელში, სადაც თავს იყრიანდა ბაასობენ.

[4] **ფრანგული** – ერთგვარი ხმალი.

გუმან აქვ, გადაავლიონ
არხოტის თავი მთიანი,
გადაბერტყინონ ნალითა
ქუჩი მთებისა ცვრიანი.
ეს რო ალუდამ გაიგო,
თოფს დაუპირა ტალიო[1];
აისხა იარაღები,
გააფხავიდის[2] ხმალიო;
გაუშინჯიდის ვადანი,
ხმალს არ მაუტყდეს ტარიო.
ცისკრის ხანია, მტერს მისდევს
კლდის შავარდენი ჩქარიო.
გათენებისას ჭიუხში[3]
შურთხმა[4] დარეკა ზარიო,
ძაღლებს-კი სძინავ თეოზე,
ჯერ არ გაშლილა ცხვარიო.
მალე შააგდო ალუდამ
ქისტების ნავალს თვალიო.
მარჯვედვე გადაეწია,
თოფმა გაიღო ჩქამიო:
ერთს ქურდ-კანტალას[5] ღილღველსა
ცუდი დაუდგა წამიო;
გადავარდება ცხენზეით,
ყელ-თავქვე ეკიდებისა;
ნატყვიარი სჭირს ბეჭის თავს,
ზედ ცეცხლი ეკიდებისა;
ამხანაგ-მოკლულ ღილღველი
ჩახმახსა ეზიდებისა.
გამასტყვრა მუცალის თოფი, –
კლდის პირი დაიშლებოდა,
ნაძოძი[6] ტყვიის ალუდას
კალთაში ჩაეშლებოდა.
– არა გჭირსაა, რჯულ-ძაღლო?! –
მუცალი ეუბნებოდა.
– ნუ გგონავ, მჭირდეს, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა! –
ხმა ალუდაის თოფისა
ჭეხასა ჰგვანდა ცისასა.
– არ მოგხვდაუა, რჯულ-ძაღლო? –
ისევ ეძახის იმასა.

– მუცალს არა სჭირს, რჯულ-ძაღლო, –
ნამტვრევს მაშლიდა კლდისასა...
– ოჰო, ქუდ გაუხვრეტია,
წვერებსა სტუსავს თმისასა.
– მაღლა დაგიცდა, ბეჩავო,
კენჩხას[7] არა სჭირს ძვლისასა.
გამოსტყვრა მუცალის თოფი,
ტყვია ჩქამს იზამს მქისესა[8],
გაუტეხს ქეთელაურსა
საპირისწამლეს რქისასა.
– არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! –
ზედაც დაჰვედრებს იმასა.
– არა სჭირს, არა, რჯულ-ძაღლო,
ყმასა გუდანის ჯვრისასა,
გამმარჯვედ ჯვარი დაჰყვების,
ძალს შაახვეწებს ღვთისასა.
გულს არ ჰხვდა, ნუ გეგონების,
ამტვრევდა წამლის ქისასა.
რაკი სრევაზე მიდგება,
ჯავრს არც მე შავჭამ მტრისასა.
შატილიონის[9] ნასროლი
ქისტს უმტვრევს გულის ფიცარსა.
– არც ახლა გჭირსა, რჯულ-ძაღლო?! –
შამაუჭყივლებს ქისტასა.
– გულში მჭირს, გულში, რჯულ-ძაღლო,
ვაჰ ცდასა მუცალისასა!
ძმაც ხო მამიკალ, მეც მამკალ,
რა ვუთხრა მადლსა ღვთისასა.
მუცალს არ სწადის სიკვდილი,
ფერს არა ჰკარგავს მგლისასა,
მაჰგლეჯს, დაიფევს წყლულშია
მწვანეს ბალახსა მთისასა.
ერთიც ესროლა ალუდას,
ხანს არა ჰკარგავს ცდისასა.
თოფიც ალუდას გადუგდო,
ერთს კიდევ ეტყვის სიტყვასა:
– ეხლა შენ იყოს, რჯულ-ძაღლო,
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა.
სიტყვა გაუშრა პირზედა,
დაბლა გაერთხა მიწასა.
ალუდას თოფი არ უნდა,
ატირდა როგორც ქალიო;
არ აჰყრის იარაღებსა,
არ ეხარბება თვალიო.

---

[1] **ტალი** – კაჟი.

[2] **გააფხავიდის** – გალესა.

[3] **ჭიუხი** – „წვეტიანი კლდე“ (ვაჟა), კლდოვანი მთა.

[4] **შურთხი** – მოზრდილი ფრინველი ქათმისებრთა ოჯახისა.

[5] **ქურდ-კანტალა** – ქურდ-ბაცაცა.

[6] **ნაძოძი** – ნაფლეთი, ნაგლეჯი.

[7] **კენჩხა** – თავის ქალა.

[8] **მქისე** – მეტად ცუდი, არასასიამოვნო, საზარელი.

[9] **შატილიონი** – შატილელი.

თავით დაუდვა ხანჯარი,
ზედ ეკრა სპილოს ძვალიო,
გულზედ ძეგლიგი[1] დაადვა,
მკლავზედ ფრანგული ხმალიო.
მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა: ცოდვა არიო;
ვაჟკაცო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო,
შენ ხელ შენს გულზედ დამიწდეს,
ნუმც ხარობს ქავის[2] კარიო,
კარგი გყოლია გამდელი,
ღმერთმ გიდღეგრძელოს გვარიო!
სიგძივ გაჰხურა ნაბადი,
ზედ გადაადვა ფარიო.

II

მზემ აიწია ცაზედა,
ნისლებმ დაწირეს ხევები;
მისჯარებიან ცის კიდეს
კავკასიონის დევები.
აშლილან სანადიროდა
ქორებ, ფრინველთა მლევლები;
სოვნი არწივებს მასდევენ,
მუქთად ჭამისთვის მხლებლები.
ჯიხვნი მაებნენ მყინვარსა,
მადლი რქათ ადგა ღვთისაო.
ხევი-ხევ შამოყრანტალებს
ყორანი ავის ხმისაო:
„მამკვდარა ქისტი მუცალი,
თვალნ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
კალთა დავხურო მხრისაო“.
შატილს ჯერ არ ჩასწდომია
შუქი შუადღის მზისაო,
არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
ცა ახურია კლდისაო.
ყმა მოდიოდა გორი-გორ,
არ ეწონება თავია;
პირს დასწოლია ნისლები,
გულით ნადენი, შავია.
ტახტაზე დაუკიდებავ
მუცალის ძმისა მკლავია,



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„ალუდა ქეთელაურის“ ილუსტრაცია

ვერცხლით მორთული ბაზალა[3], –
ეგ ხოროსნული ხმალია.
მეება[4] ჭიუხიანსა,
სადაც იმედას ქავია,
ზაფხულს თოფის ხმას იყურებს[5],
ზამთარ ჩამუდის ზავია.
ბევრჯელ მაასწრო დელგმამა[6],
ჰყეფდა ყორანი შავია.
დაჰფამფალებდა თავზედა
გაუმაძღარი სვავია,
ვერვინ მაჰრივა იღბალი,
ვერავინ უყვა ავია.
ურჯულოს ხელებსავ ადნობს
ზედ მზის სხივები მწვავია.
გველმა ვერ გასჭრა ლიბოი[7],
დღესაც ცოცხალი არია.
ზოგჯერ ავდარი დადგება,

[1] **ძეგლიგი** – ძველებური, კაჟიანი თოფი
[2] **ქავი** – ქვის მაღალი გალავანი.

[3] **ბაზალა** – ერთგვარი თოფია.
[4] **მეებმის** – დაადგება (გზას), მოეკიდება.
[5] **იყურებს** – მოისმენს.
[6] **დელგმა** – დიდი წვიმა, თავსხმა.
[7] **ლიბო** – საძირკველი.

ზოგჯერ მზე ბრწყინავს, დარია.
რა უყვათ, ბევრი უნახავ
ულვაშ-აშლილი მკვდარია!
ბევრჯელ წასულა საჭალოდ
დახოცილთ სისხლის ღვარია;
შაულებია წითლადა
ავი არდოტის[1] წყალია.
ვისაც მტერობა მასწყურდეს,
გააღოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში,
თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს,
პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს,
მითამ საყდარში არია.
სისხლშია ჰქონდეს ქორწილი,
იქ დაიწეროს ჯვარია,
დაიპატიჟოს სტუმრები,
დაამწკრიოდეს ჯარია.
სისხლში დაიგოს ლოგინი,
გვერდს დაიწვინოს ცალია,
ბევრი იყოლოს შვილები,
ბევრი ვაჟი და ქალია;
იქვე საფლავი გათხაროს,
იქ დაიმარხოს მკვდარია.
შენ რო სხვა მაჰკლა, შენც მოგკვლენ,
მკვლელს არ შაარჩენს გვარია.
შატილს გადმოდგა ბანებზედ
ხევსურთ ქალი და რძალია,
გამეგებნენ ალუდას
ძმა, ძმისწულები სამნია.
ბევრს უნდა ამბის გაგება,
ბევრნი მოვიდნენ სხვანია.
მიულოციან ალუდას:
– სახელიანიმც ხარია!
ბებერი ჰკითხავს უშიშა
ალუდას ამბავს ცდისასა.
უამბობს ქეთელაური
ამბავს ღილღველის მგლისასა:
„აქით წასულმა, უშიშავ,
კვალი შავაჭერ მთისასა,
მოკლედავ გადავეწივე,
ნავალ დავატყვე ქვიშასა,
ორნ იყვნენ, თოფი ვიხმარე,
წვერს ვერ ვუწვდენდი ხმლისასა.

[1] **არდოტის წყალი** – მდინარე ხევსურეთში, შატილთან.

იმ ცხონებულსა მუცალსა,
რკინა სდებიყო გულადა!
– რას ამბობ? ქისტის ცხონება
არ დაწერილა რჯულადა.
– მით ვაქებ ვაჟკაცობასა,
არ იყიდება ფულადა.
სამ მე ვესროლე, სამ – იმან,
მესამით დავასრულია.
მკერდზე ნაკრავმა ტყვიამა
გაუნაძოძა გულია.
ნატყვიარს ბრძამით[2] იფევდა,
ისრე დალია სულია.
სულს არ აცლიდა ამოსვლას,
კიდევ მიხსენა რჯულია.
ჩვენ ვიტყვით, კაცნი ჩვენა ვართ,
მარტოთ ჩვენ გვზდიან დედანი;
ჩვენა ვსცხონდებით, ურჯულოთ
კუპრში მიელის ქშენანი.
ამის თქმით ვწარა-მარაობთ,
ღთიშვილთ უკეთეს იციან;
ყველანი მართალს ამბობენ
განა, ვინაცა ჰფიციან?!
ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა, არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
„დაე დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“.
ხევსურთა ახალ-უხლები
გადაიქციან ტყემლადა,
ავად შაჰხედნეს ალუდას,
შაუძრახნიან ხმელადა:
– მოკვდი, სიკვდილი გირჩევნავ,
რა ხარ სიცრუის მთქმელადა;
აიხსენ გველის-პირული[3],
დიაცთ გადუგდე ცხემლადა[4];
ფარი – ქსლის ჩასაბეჭავად,
ხირიმ[5] – გაუდვან გარადა;
დამბაჩა გამოადგებისთ
საბრუნლად, თითისტარადა!
გამოჰქცევიხარ ქისტიშვილს,
გადუქცევიხარ ქალადა.

[2] **ბრძამი** – მთის მცენარეა ურო-ბალახასავით (ვაჟა)
[3] **გველისპირული** – ხმლის ეპითეტია.
[4] **ცხემლა** – საქსოვი დაზგის იარაღი
[5] **ხირიმი** – ყველაზე კარგი კაჟიანი თოფი (ოდესღაც ყირიმიდან შემოტანილი).

მაჰკალ, მარჯვენა არ მასჭერ,
უკვენ მისდევდი მა რადა?!
ზურგი აქციეს ალუდას
პირითა ჯავრიანითა;
თავ-თავის სახლებს მიჰმართეს
ჭერხოთით[1] კარიანითა.
გაწირეს ქეთელაური
გულითა ნარიანითა,
სახელსა ალუდაისას
იძახდენ ბრალიანითა.
შატილს მინდიაც მოიდა
ზერდაგით რვალიანითა,
წელზე ნარტყამის ფრანგულით,
მკლავითა ფარიანითა,
თორმეტის ქისტის მამკლავი
შუბითა ტარიანითა.
ირემს ჰგავ მინდის წითლაი
შუბლითა მთვარიანითა.
ალუდას აუგს ეტყოდენ
სიტყვითა შხამიანითა.
იწყინა, შუბლი დაკეცა
ნაოჭით ზარიანითა.
– ნუ იტყვით ვაჟკაცის აუგს
ენითა ქარიანითა.
ადვილად მტერი მოგიკვდესთ,
ადვილ გავიგო მართალი.
ბევრ დაღონება არ გვინდა,
ერთი დღის მეყოს საგძალი,
გზა-კვალი არ ამერევა,
ყოველ მხრივ ვიცი სავალი,
დღესავ მოგივათ მინდია,
მანამ დაბრძანდეს მრავალი.
ქუსლი ჰკრა, წითლა გამალდა,
ნიავქარივით მავალი.

III

დაბნელდა, წყალნი ტირიან,
კალთა გვეხურვის ღამისა;
დროა ვარსკვლავთა ჟიკჟიკის,
მცვრევა ბალახზედ ნამისა,
მკვდართ სულთ საფლავით გამოსვლის,
დრო მათ სიმღერის წყნარისა.
დევნი გამოვლენ კლდიდამა,
ხევ-ხუვში ეხეტებიან.
ყველამ ივახშმა და ახლა
საძილედ ემზადებიან.

– პურ მიირთვიო, – ალუდას
და-დედან ეხვეწებიან.
– მე პურ არ მინდა, დედაო,
გული შამეკრა რადამე,
წუხელ ცუდ სიზმრები ვსინჯე,
რიგში ვიყოდი სადამე.
წინ გვედვა მიცვალებული,
ხევსურნ შაწყენით[2] ისხდენა.
სალაშქროდ დამზადებულნი,
ზოგნი კარებზე იდგენა.
მენაც იქ ვიყავ, ვტიროდი,
როგორც წესია კაცისა.
გუმანი მქონდა სალაშქროდ,
ხანიც მოვიდა წასვლისა.
ერთს წამს ხელ ვინამ დამტაცა,
ტარი ჩამიდვა ხანჯრისა.
შავხედენ, მუცალი იყო,
ტანთ ეცვა ჯაჭვი რვალისა,
გულზე ემჩნივა ნიშანი
მე-დ იმის ბრძოლის წამისა,
ეფინა ნატყვიარშია
ლეგა საფევი ბრძამისა,
კლდედ იდგა, გაუტეხლადა,
ცრემლ არ ჩამოსდის თვალისა.
„მინდა სიკვდილი, არ ვკვდები,
მამკალო, მითხრა ხვეწნითა.
თქვენ დაგრჩეს წუთისოფელი,
მე-კი წავიდე ქვეყნითა,
დაძეღით, ხევსურთ შვილებო,
ლაშქრობით, ხმლების ქნევითა“.
დავჯე, ჯამ ვინამ დამიდგა,
კაცის ხორც იყო წვნიანი,
ვსჭამდი, მზარავდა თუმცა-ღა
კაცის ხელ-ფეხი ძვლიანი.
რასა ვსჩადიო, ვსჯავრობდი,
უმსგავსი, შაჩვენებული.
„ჭამეო, რამამ მიძახა,
ნუ ჰხდები გაშტერებული:
კიდევ მიმირთვით ალუდას
წვენ-ხორცი გაცხელებული“.
მიმატეს კაცის ულვაშით
წვენ-ხორცი შანელებული...
სიზმართ დამტანჯეს, იმით ვარ
გუნება-აღელვებული.

[1] **ჭერხო** – ხევსურული სახლის მეორე სართული.

[2] **შაწყენა** – მგლოვიარედ ყოფნა.

ჩვენ და ტექსტი

1. „ალუდა ქეთელაურის“ შესავალი ვაჟას სხვა პოემებისაგან იმით განსხვავდება რომ იგი პირდაპირ, ყოველგვარი ექსპოზიციის გარეშე იწყება. ლიტერატურათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ თხრობის რიტმი თავიდანვე თავბრუდამხვევია. იმსჯელეთ, რაზე მეტყველებს ამგვარი დასაწყისი? თქვენი აზრით, რატომ უღალატა ვაჟამ ტრადიციულ შესავალს?
2. ჯერ მთავარ გმირს, ალუდა ქეთელაურს არ ვიცნობთ, მაგრამ სოფლის აზრი ამ პერსონაჟზე საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის. დაახასიათეთ ჯერაც უცნობი პერსონაჟი;
3. დააკვირდით ქისტების თავდასხმის სურათს. რა მნიშვნელობას იძენს ძარცვისა და აწიოკების ფონზე ცხენების ფლოქვებით გასრესილი მთის ბალახის, ქუჩის, შემოტანა? რისი სიმბოლოა აქ ეს მცენარე?
4. თავდამსხმელებს ერთი ადამიანი უპირისპირდება. როგორ ახასიათებს ეს ამ პერსონაჟს, სად არიან დანარჩენები?
5. როგორაა გადმოცემული პირველი ქისტის მოკვლის სცენა? როგორ მოიხსენიებს მოკლულ ქისტს ავტორი? თავად ალუდას აქვს თუ არა რაიმე ტიპის ემოციური დამოკიდებულება მისგან მოკლულ ქისტთან?
6. აღწერეთ ორთაბრძოლა. როგორ ეხმიანება გარემო გმირების დაპირისპირებას: რა შთაბეჭდილებას ტოვებს ორთაბრძოლა – რომელია მოპაექრეთა შორის ძლიერი? ორთაბრძოლის ფინალი, თქვენი აზრით, კანონზომიერი მოვლენა იყო (ძლიერმა გაიმარჯვა) თუ შემთხვევითობა?
7. რა უკანასკნელი სურვილი დაიბარა მომაკვდავმა ქისტმა? რაზე მეტყველებს მისი ბოლო ქმედებები? მომაკვდავი ქისტის რომელი ჟესტი აეკვიატა ალუდას და რატომ?
8. ალუდა პირველად არღვევს ტრადიციას და მარჯვენას არ სჭრის მტერს. როგორ ფიქრობთ, სწორად იქცევა იგი თუ არა? რატომ? დააკვირდით, ამ ეპიზოდში ჩანს თუ არა, როგორ მოექცევა იგი მეორე მოკლულ ქისტს? ივარაუდეთ, არც მას მოჭრის მარჯვენას? რაზე მეტყველებს რიტუალი, რომლითაც ალუდამ მოწინააღმდეგე დაიტირა. რა განცდა დაეუფლა მას მოკლული ქისტის მიმართ? როგორ გგონიათ, რატომ?
9. როგორი გარემო იხატება მეორე თავის დასაწყისში? რა დეტალები ამძიმებს ამ პეიზაჟს? როგორ ფიქრობთ, ეს ალუდას თვალით დანახული და ახლებურად აღქმული სურათებია, თუ გარემოს რეალური სურათი? რატომ?
10. დააკვირდით ოპოზიციებს:

    არწივები, ქორები (მონადირენი) – სოვნი; (მუქთად ჭამისთვის მხლებლები)
    ჯიხვნი („მადლი რქად ადგათ ღვთისაო“) – ყორანი (შავის ხმისაო);

    ცხოველთა სამყაროდან აღებული თითოეული წყვილის ერთი წევრი რჩეულია, მეორე კი ნეგატიურადაა დახატული. ეს, უბრალოდ, პეიზაჟია, თუ წინ უსწრებს მოვლენებს და მიანიშნებს პოემაში არსებულ ადამიანთა სამყაროზე, ივარაუდეთ, ადამიანთა შორისაც ხომ არ არიან „რჩეულნი, ღვთის მადლცხებულნი“ და სხვის გაკვალულ გზაზე „მუქთად ჭამისთვის მხლებლები“? პასუხი დაასაბუთეთ.
11. როგორ გესმით ფრაზა:

    „შატილს ჯერ არ ჩასწდომია
    შუქი შუადღის მზისაო,
    არ ჩაუშვებენ ჩამსვლელსა,
    ცა ახურია კლდისაო.“

ეს ბუნების სურათის რეალური აღწერაა, თუ იქ გამეფებულ სიმკაცრესა და სიბნელეზე (ნათლის ნაკლებობაზე) მიუთითებს? პასუხი დაასაბუთეთ.

12. როგორი განცდებით ბრუნდება უკან ქეთელაური? ყურადღება მიაქციეთ დეტალს:

„ტახტაზე დაუკიდებავ
მუცალის ძმისა მკლავია“...

თქვენი აზრით, როდის მოაჭრა მარჯვენა მან მუცალის ძმას? რას უნდა მივაწეროთ ალუდას ამგვარი შერჩევითი საქციელი?

13. გადმოეცით გზად მიმავალი ალუდას ფიქრები, ეს გაცნობიერებული ფიქრია თუ ქვეცნობიერი შეგრძნებები და განცდები, რომლებიც მთავარ გმირს ჯერ ბოლომდე არც გაუაზრებია; ივარაუდეთ, როგორ განვითარდება აზრი?

14. ალუდა უამბობს ხევსურებს ორთაბრძოლისა და მუცალის ამბავს, მისი ლაპარაკი თითქოს საკუთარ თავთან დიალოგიცაა და აქვე ჩნდება პირველი ეჭვი მანამდე არსებულ ცოდნასთან მიმართებით. იგი თითქოს მთელ საზოგადოებასა და საკუთარ თავსაც უსვამს კითხვას, რომელმაც უნდა შეარყიოს ის, რაც მანამდე ურყევ ჭეშმარიტებად აღიქმებოდა. რომელი სტრიქონებითაა გადმოცემული ალუდას ეს დაეჭვება?

15. სიზმარს ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ენიჭება. რაზე უნდა მიანიშნებდეს ალუდას სიზმარი? როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება ჩავთვალოთ ის გმირის ქვეცნობიერი სამყაროს გამოძახილად და რატომ?

16. მოცემული ნაწყვეტიდან ამოკრიბეთ შედარებები, ეპითეტები და მეტაფორები და იმსჯელეთ, რა განწყობილების გასაძლიერებლად მიმართავს ავტორი მათ.

17. მოცემულ ნაწყვეტში მოძებნეთ გაპიროვნების მაგალითები და იმსჯელეთ, მათი მეშვეობით, რომელი ადამიანური თვისებები გადააქვს პოეტს გარესამყაროში და რა განწყობილებას იწვევს გაპიროვნების მაგალითები თქვენში. რით ემსგავსება ბუნება ადამიანს?

IV

თენდება, მთის წვერნ დაწითდენ,
ნისლნი აგროვდენ მთებზედა.
დგება, იღვიძებს სოფელი,
მგზავრი მიდ-მოდის გზებზედა.
სოვნი სამგზავროს წავიდენ,
მთა-ბარს მაავლეს თვალია;
რამდენს ფრაშ-ფრაშში[1] არიან,
ცას ვერ გაავლეს კვალია!
ვინ მოდის წითლის ცხენითა,
გამაიარა წყალია?
– მოხველ მშვიდობით! – მინდიას
ხევსურთა შაუძრახნიან[2]. –
რა მაიტანე ამბავი? –
შორითვე დაუძახიან.
– ახლებო, სისხლი გიფუისთ,
სჭრითა და ჰკერავთ გულითა,
გულს ათრევინებთ გონებას,
თავს აჭრეინებთ ცულითა,
ადვილ ვერ იცნობთ ვაჟკაცსა
მის ვაჟკაცურის რჯულითა!
ერთურთს ნუ დააჩაგვრინებთ,
გული-დ გონება ძმანია.
მართალი არი ალუდა,
თავს არ დამექცნენ ცანია!
თუ არა გჯერათ, ქისტისა,
აი, მოჭრილი მკლავია.
ენა ქარქაშში გეჭიროსთ,
ადვილ ნუ იტყვით სიტყვასა,
ადვილ ნუ იტყვით ვაჟკაცზე,
არა ვარგაო, იმასა!
ხელი ალუდას მიართვის:
– წაიღ, მიაკარ ქავადა!
– თუ ხელის მოჭრა მდომიყო,
გან ვერ მოვსჭრიდი თავადა?
ვერ გიქნავ კარგად, მინდიავ,
საქმე მოგირთავ ავადა;
რაად მინდარის, ვერ მიხმლობს,
არ გამოდგება ფარადა;
მთაში წავიღო, არ მითიბს,
არც მარგებს თივის კავადა.

[1] **ფრაშ-ფრაში** – დიდ ფრინველთა ფრთების ქნევა და მით გამოწვეული ხმაური.
[2] **შაძრახება** – შეხმიანება, დაძახება.

წაიღე, თუ გწამ უფალი,
ნუღარ მაჩვენებ თვალითა.
კაის ყმის მარჯვენა არი,
გული მეწვება ბრალითა.
რაად სწყრებიან ხევსურნი,
რადა ტყვრებიან ჯავრითა?!
მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი
მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!
„წესი არ არის მტრის მოკვლა,
თუ ხელ არ მასჭერ დანითა“.
ვაი ეგეთას სამართალს,
მონათლულს ცოდვა-ბრალითა!

V

ჟამი მოვიდა საუფლო.
ხალხი ხატობას დიოდა:
უნდა აცნობონ ბატონსა[1]
ვისაც-კი რამა სტკიოდა.
მოქუჩდა ქალი და კაცი
სახვეწრით ცხვრით და ხარითა;
მიართმევდიან ბატონსა
სახვეწარს ბეღლის კარითა.
ეს ვინ-ღა მოდგა, ნისლივით,
თითბრით ნაზიკის[2] ხმალითა?
ხევისბერს აძლევს მოზვერსა,
დადგა დახრილის თავითა.
– ვის ამწყალობნებ[3], ალუდავ,
ამა კურატით[4] შავითა? –
ჰკითხავს ალუდას ხუცესი
გადაწეულის მკლავითა. –
დიდია ჩვენი ბატონი,
გუდანის ჯვარი თავითა,
საყმონიც ძლიერნი ჰყვანან,
ღვთითა და ღვთისა ძალითა.
კარგი ყმა უყვარს ბატონსა,
წყალობა ემეტებისა;
ვაჟკაცნი იმედიანნი
ჩვენს ბატონს ებედებისა.
მითხარ სახელი, ვის სწირავ,
იმასამც შაეწირება. –

ხანჯარს აიძრობს, დიდების
სათქმელად დაეღირება.
– ეგ სამხვეწროა, ბერდიავ,
ძოღან მოკლულის ქისტისა.
მუცალს ეტყოდენ სახელად,
მაუნათლავის შვილისა.
კარგადაც დამიწყალობნე,
გამიმეტებავ მისთვინა,
როგორც უნდომლად[5] მოკლულის
თავის ლამაზის ძმისთვინა.
– გაურჯულებულს არჯულებ,
შენ ეგ არ შაგიხდებისა,
ქისტისად საკლავის დაკვლა
კარგად არ მოგიხდებისა.
მამით არ მოდის ანდერძი,
პაპით და პაპის-პაპითა,
გონთ მოდი, ქრისტიანი ხარ,
ურჯულოვდები მაგითა;
ეშმაკს ნუ მისდევ... ეგ სიტყვა
როგორ ამოგცდა ბაგითა?!
რამდენ სხვა მაჰკალ, შენს ქავზე
ხელებ ჯღრდესავით[6] ჰკიდია.
ზოგი ლეკისა, სხვა ქისტის,
მარჯვენეების ხიდია;
ციკანიც არვის დაუკალ,
განღამც კურატი დიდია.
როგორ ვახვეწო უფალსა
ძაღლი, ძაღლების ჯიშისა,
მანამ სჯობს, ცანი დამექცნენ,
ზურგი გამისკდეს მიწისა,
ან თუ ზღვამ დამნთქას უძირომ,
სადილი ვსჭამო ქვიშისა!
ფერი ედება ბერდიას,
ფერი სხვა-რიგის შიშისა.
– ზღვენსა ნუ გამიმსუბუქებ[7],
მადლი თუ გწყალობს ღვთისაო,
ყმა ვარ მეც გუდანის ჯვრისა,
ხევსური თქვენის წყლისაო,
მითამ ერთნი ვართ, ბერდიავ,
მცხოვრებნი ერთის მთისაო.
– ტყუილად სცდები, ალუდავ,
ტყუილად იცვეთ პირსაო.
გაჯავრდა ქეთელაური,

---

[1] **ბატონი** – ხატი, ღვთაება.
[2] **ნაზიკი** – მორთული, მოკაზმული (ვერცხლით, თითბრით...).
[3] **ამწყალობნებს** – ხატის სახელით ლოცავს, ვინმესთვის ხატს წყალობას გამოსთხოვს.
[4] **კურატი** – უღელდაუდებელი ხარი, რომელიც სამსხვერპლოდაა შეწირული.
[5] უნდომლად – ძალაუნებურად.
[6] **ჯღრდე** – აჩხორილი, ერთმანეთში არეული, მიხერგილი.
[7] **გამსუბუქება** – შერცხვენა

ფერი დაიდვა მგლისაო;
ხელი დაიკრა ფრანგულსა,
შუქი ამოხდა მზისაო.
უქნივა მოზვერს ქედზედა,
თავი მიგორავს ძირსაო.
თან შაეხვეწა ბატონსა,
ნუ შამიცოდებ შვილსაო,
ალლადა ჰქონდეს მუცალსა,
მაგ მოუნათლავ გმირსაო.
ბერდია ჯაგარაშლილი
ხალხისკე იზამს პირსაო.
– გაგონილაა, – იძახდა, –
ასრე აგდება რჯულისა:
საკლავს თვითონ ჰკლავს ალუდა,
მამხსენე ქისტის სულისა,
ხალხო, მინდარის გავიგო
პასუხი თქვენის გულისა.
დაჯარდით, ხევსურთ შვილებო,
ყველანი – დიდნი, მცირენი, –
სამართალი ვქნათ, ვუმტვრიოთ
ალუდას სახლის დირენი;
ნუ დაინანებთ, ექმნენით
ცოლ-შვილის ამატირენი.
მოკვეთილ იყოს, სხვა ქვეყნის
ცა-ღრუბლის შანამზირები.
წადით, უმტვრიეთ შავ-ბნელსა
სახლისა, ციხის კარები.
ცეცხლი მიეცით საძნოვარს, –
ცასა სწვდებოდეს ალები,
სათემოდ გამოირეკეთ
ცხვარი, ძროხა და ხარები.
შატილს ცოლ-შვილი უტირეთ,
გუდანს – შინშნი[1] და ქალები;
ჰრისხამდეს ჩვენი ბატონი,
არ არის შასაბრალები.
ამის გამგონე მინდიას
მაუწყლიანდის თვალები,
ვეღარასა ჰშველს ალუდას,
გულზე გადიწყვის მკლავები,
შასმულებმ[2] ხევსურთ შვილებმა
მაიმარჯვიან ფარები,
უნდა სცან ქეთელაურსა,
კაპასად ჟღერენ რვალები.
ჯარად დამსხდართა ხევსურთა
თავზედ წაადგა ბალღები,
ერთს ხელში დაუჭერია
მარჯვენის ნახრავ ძვალები.
– ვაჟნო, ვინდომებ თქვენთვისა
წყალობას ბატონისასა,
საკარგყმო დამალეინეთ,
მოგიტანთ ხელსა მტრისასა.
ყორანს მიჰქონდა ბრჯღალითა,
ყურეს უმარჯვდა კლდისასა.
იმ დროსა ვსტყორცნე ისარი
ლაღად მიმავალს ცისასა;
მართალ გამოდგა ნასრევი[3],
ყორანს უვლიდა ფრთისასა;
კლანჭით გაუშვა ნადავლი,
გადმეესრია მიწასა.
– მუცალის მარჯვენა არი,
მიზეზი ხევსურთ რჩევისა, –
წყრომით იტყოდა მინდია, –
მიზეზი იმათ წყევისა;
მე მივუტანე ალუდას,
ფერი დავადევ წყენისა;
რო არ მიიღო ალუდამ,
სიღრმე ვაჩვენე ხევისა.
– წაიღეთ, – ამბობს ბერდია, –
ტოტი ურჯულოს ძაღლისა,
არა ვართ ხევსურთ შვილები
ყმანი ეშმაკის, ალისა.
ძაღლს მიუგდიან საჭმელად
ხელი მუცალის მკლავისა.
პირი არ ახლო ქოფაკმა,
მორთო ღმუილი ბრალისა.
ხევისბერ იტყვის ბერდია:
– ხევსურნო, ნახეთ თვალითა:
ძაღლი ძაღლის ძვალს არ სტეხსო,
თქმულია იმავ თავითა.
ქისტის მარჯვენას ბალღები
დაბლა ათრევენ კავითა.

VI

თოვლი სთოვს, ქარი ბობოქრობს,
ყელებ შაკრულა მთებისა;
ჩამოდის ხევად ზოვები,
ჩამონასხლეტნი კლდებისა.
გაუბამ ყინულს ლურჯადა
უბე-კალთები წყლებისა,

[1] **შინში** – ბიძაშვილი ან დეიდაშვილი.
[2] **შასმული** – ნასვამი, მთვრალი.
[3] **ნასრევი** – ნასროლი.



თეიმურაზ ყუბანეიშვილი
„ალუდა ქეთელაურის“ ილუსტრაცია

მიუნაქრია ერთიან
ვიწრო სავალი გზებისა.
ვის მასწყენია სიცოცხლე,
გზას ის ვინ გაუდგებისა?
წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს,
ხუთიც უკვენა ჰყვებისა.
სიმშილით შაწუხებული
მთას ღმუის ჯოგი მგლებისა.
„კარგს ნურას ჰნახავთ, ხევსურნო“,
ერთი დიაცი სწყრებისა.
„ავაჰმე, ჩვენო სახ-კარო,
ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,
ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე
ეხლა ყოვები სხდებაო“.

დედა ეტყოდა ალუდას:
– შვილო, იარე ნელაო,
შენთან ვერ გავძლებთ ვერც მენა,
ვერც შენი ცოლი ლელაო,
ბალღები აგვიბოჟირდა,
ხელ-ფეხ დაგვიზრა ძნელაო.
ვაჰმე, რა უგზოდ დავდივართ,
ვაჰმე, როგორა ბნელაო!
ნეტავ არ დასჭირდებაა
ხევსურთა შენი შველაო?!
ვის რა წყალ-ჭალა გვისტუმრებს,
სად რა-რა დავილევითა?
უბინო, უსახ-კარონი
სხვაგანაც დავიწყევითა.
ველარ მიუვალთ ჩვენს სახ-კარს,
გაღმა შატილის ხევითა.
თავის მიწა-წყლის გაწირვა
ძნელი ყოფილა მეტადა;
მამაკვდავს დავფერებივარ,
გონი გამხდია რეტადა.
მუხლებ არ მამდევს, გულშია
ბნელი ჩამიდგა სვეტადა.
ვაჰ, მამა-პაპის საფლავნო,
კლდენო, დამდგარნო მწვეტადა!
ჯავრობით ეტყვის ალუდა:
– დიაცნო, ნუ ხართ ყბედადა,
მოდით, მამყევით, ვიდინოთ,
ღმერთმ ეს გვარგუნა ბედადა,
ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,
ნუ გადიქცევით ცეტადა!
ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“
გაწირეს მგზავრთა სამუდმოდ
წყალი და მიწა თავისა.
შტერად დამდგარან მთის წვერნი,
ისმის ხვივილი ქარისა.
გადვიდნენ, ქედი გადავლეს,
თხრილი აღარ ჩანს კვალისა.
ერთი მაისმა შორითა
მწარე ქვითინი ქალისა.

1888 წ.

ჩვენ და ტექსტი

1. მეოთხე თავის დასაწყისში პეიზაჟში კვლავ გამოჩნდებიან „სოვნი“, რომელთა საქმიანობასაც კვალის დატოვება არ შეუძლია:

„სოვნი სამგზავროს წავიდენ,
მთა-ბარს მაავლეს თვალია;
რამდენს ფრაშ-ფრაშში არიან,
ცას ვერ გაავლეს კვალია“!

იფიქრეთ, რას უნდა მიანიშნებდეს პეიზაჟის ეს დეტალი? როგორი ადამიანები ჰგვანან აქ აღწერილ „სოვებს“?

ახლა იმას მიაქციეთ ყურადღება ვის მიართმევს მინდია მუცალის მოჭრილ მკლავს, როგორც ალუდას ვაჟკაცობის მტკიცებულებას? რა კავშირია პეიზაჟსა და პოემაში განვითარებულ მოვლენებს შორის? იმსჯელეთ, როგორ ამზადებს პოემაში პეიზაჟი შემდგომ მოვლენებს.

2. როგორ არიგებს ალუდას სიმართლეში დარწმუნებული მინდია ახალგაზრდებს, რაზე უმახვილებს მათ ყურადღებას?
3. როგორ შეაფასა ალუდამ ხევსურული წესი და „სამართალი“ მოკლული მტრის მიმართ?
4. რომელი შედარებით გამოხატა ავტორმა ხატობაზე მისული ალუდას სულიერ სამყაროში არსებული სიმძიმე და შფოთვა? მოძებნეთ ეს სტრიქონი.
5. როგორ გგონიათ, რამდენად სწორად იქცევა ალუდა, როდესაც ხატობაზე კურატის თვითნებური შეწირვით თემის კანონს არღვევს? შეაფასეთ ალუდასა და თემის პოზიციები.
6. „ხელი დაიკრა ფრანგულსა, შუქი ამოხდა მზისაო...“ ხომ არ შეიძლება ეს სტრიქონები ავტორისეულ მინიშნებად ჩავთვალოთ, განსაკუთრებით იმ კონტექსტში, როცა ხაზგასმით ამბობს: „შატილს ჯერ არ ჩასწვდომია შუქი შუადღის მზისაო“? იქნებ ამ მხატვრული სახეებით ვაჟა მეტაფორულად გამოხატავს თავის დამოკიდებულებებს და მკითხველსაც განაწყობს ფიქრისთვის? იმსჯელეთ და გადმოეცით თქვენი მოსაზრება.
7. თემიდან ადამიანის მოკვეთა უმძიმესი განაჩენია. რამდენად სამართლიანია, თქვენი აზრით, თემი თავისი გამორჩეული წევრის მიმართ? რატომ არავინ აღმოჩნდა, ვინც ალუდას დაცვას შეეცდებოდა?
8. ბოლო ეპიზოდი განსაკუთრებით შთამბეჭდავია: ოჯახი გზას მიიკვლევს თოვლში და მტირალ ქალებს ალუდა ამშვიდებს. ის თითქოს აბსოლუტურად შეგუებულია თავის განაჩენს. იგრძნობა თუ არა მის სიტყვებსა და ინტონაციაში ბრაზი, პროტესტი ან აგრესია? როგორ გგონიათ, რატომ?
9. „წინ მიდის მგზავრი, მიჰკვალავს“... – წერს ავტორი ბოლო ეპიზოდში. შესაძლებელია თუ არა, განვაზოგადოთ ალუდას სახე, როგორც კაცობრიობისთვის კვალის დამტოვებელი „წინმვალი“ გმირისა? რატომ?

პარალელები

გაიხსენეთ პლატონის გამოქვაბულის მითი. გამოქვაბულში მცხოვრები გამოღვიძებული ადამიანი ცდილობს, თავი დააღწიოს წყვდიადს და გავიდეს მზეზე, ანუ იმ სინათლეზე, რომელიც ეხმარება მას, გათავისუფლდეს ილუზიებისა და სიცრუისაგან,შეიმეცნოს საკუთარი თავი, განიცადოს სულიერი აღმასვლა და დადგეს სამყაროს შეცნობის გზაზე. ჩვენ უკვე ვიცით, როგორ სრულდება მისი მცდელობა.

სინათლისკენ სწრაფვა ადამიანის მარადიული მოთხოვნილებაა, ამას ჯერ კიდევ მითოსურ ტექსტებში ვხვდებით. გავიხსენოთ ცნობილი მითი დედალოსსა და იკაროსზე.

დედალოსი მეფე მინოსის ტყვე იყო. მან მტკიცედ გადაწყვიტა კუნძულის დატოვება, ხშირად მიდიოდა ზღვის სანაპიროზე, ჩამოჯდებოდა და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორ დაეღწია თავი მეფე მინოსის ტყვეობიდან. გამოსავალი დიდხანს არ ჩანდა. ერთხელ დედალოსმა მზერა ზეცას მიაპყრო და გაიფიქრა, „ტყვეობას თავს ვერც ზღვით და ვერც ხმელეთით ვერ დავაღწევ, ხსნის ერთადერთი გზა ცა არის, ადამიანსაც რომ შეეძლოს ჩიტივით ფრენა“.

დედალოსმა ფრთები დაამზადა, მხრებზე მიიმაგრა და ცაში აიჭრა. გაკვირვებული შესცქეროდა დედალოსის ვაჟი იკაროსი მამის ფრენას, უზარმაზარი ფრინველივით რომ აიჭრა ცაში და კამარა შეკრა. მასაც მოუნდა ცაში ნავარდი, მამას სთხოვა, მისთვისაც დაემზადებინა ფრთები და თან წაეყვანა. დედალოსი დათანხმდა.

კრეტიდან გაფრენის დღეც დადგა. დედალოსმა და იკაროსმა ფრთები ზურგზე მიიმაგრეს და ცაში აიჭრნენ. ვინც ხმელეთიდან მათ ჩიტივით ფრენას შეჰყურებდა, ფიქრობდა, რომ ორი ღმერთი მისრიალებდა ცის ლაჟვარდზე. იკაროსი ფრენით გაერთო, გათამამდა, სულ უფრო ძლიერად იქნევდა ფრთებს. დაივიწყა მამის დარიგება და ზეცაში სულ უფრო მაღლა და მაღლა აიჭრა. მცხუნვარე მზემ ცვილი გაადნო. იკაროსს ფრთები დასცვივდა და უზარმაზარი სიმაღლიდან ზღვაში ჩავარდა. სულ მალე ზღვამ ნაპირზე იკაროსის სხეული გამორიყა.

სწორედ მზისკენ სწრაფვას შეეწირა მითოსური პერსონაჟი. მისი მცდელობა ტრაგიკულად დასრულდა. ეს მხოლოდ მითი არაა, იკაროსი მზისა და თავისუფლების მაძიებელი ადამიანის სიმბოლოდ იქცა.

როგორ ფიქრობთ, მიუხედავად უდიდესი რისკისა და განსაცდელისა,რატომ აგრძელებენ მაინც ადამიანები ჭეშმარიტებისა და თავისუფლებისკენ სწრაფვას?

კითხვაზე პასუხის გაცემადე დაფიქრდით და გაიხსენეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“. ასევე გაეცანით დამატებით რესურსებს.

დამატებითი რესურსები

სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 2. „დამატებითი საკითხავი“) გაეცანით, მოკლე ამონარიდებს რიჩარდ ბახის მოთხრობიდან 2.10. „თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი“, გვ. 524.

სადისკუსიო კლუბი

1. მინიდისკუსია – ვაჟას პოემების მიხედვით, იმსჯელეთ და ჩამოაყალიბეთ თქვენი პოზიცია თემაზე „ჭეშმარიტების მაძიებელი გმირის ცხოვრების გზა“

უპასუხეთ სადისკუსიო კითხვებს:

რატომ ტოვებს ადამიანი მისთვის შეჩვეულ მშობლიურ გარემოს (საკუთარ „კომფორტის ზონას“) და, ძიების გზაზე დამდგარი, ირჩევს შეუცნობელ, სუსხიან და რთულ ყოფას (იმსჯელეთ უკვე შესწავლილი პერსონაჟების მაგალითზე – ავთანდილი, „მერანის“ ლირიკული გმირი და სხვ.)

როგორია ამგვარი „წინმავალი“ ადამიანების ხვედრი და ვინ რჩება რეალურად გამარჯვებული საზოგადოებასა და პიროვნებას შორის დაპირისპირებაში?

მოიძიეთ ვაჟა-ფშაველას პოემის, „გველისმჭამელის“, ტექსტი, გაეცანით მას და უპასუხეთ ქვემოთ მოცემულ კითხვებს.

წაკითხვამდე

ქვემოთ გაეცნობით პოემას, რომელსაც საფუძვლად ხალხური გადმოცემა უდევს. გაიხსენეთ, ადრეც ხომ არ შეგისწავლიათ ნაწარმოებები, რომლებიც ფოლკლორული გადმოცემებიდან იღებდნენ სათავეს. თქვენი აზრით, ასეთ ტექსტებში წარმმართველი ხალხური გადმოცემაა თუ ავტორის ფანტაზია? დაასახელეთ კონკრეტული მაგალითები და იმსჯელეთ, რით გაამდიდრა ფოლკლორული ამბავი მწერლის ფანტაზიამ?

2.9. გველის მჭამელი

(ძველი ამბავი)

I

სასტუმროს იყვნენ ხევსურნი,
ლუდი ედუღა წიქასა;
ისხდნენ ბანზედ და ღრეობდნენ,
თასებით ჰსვამდენ იმასა;
ზოგნი უკრავდენ ფანდურსა,
ზედ დაჰმღეროდნენ დიდადა, –
მსმენელთა გრძნობას უდებდენ
საგმირო ამბებს ხიდადა;
აღგზნებით გმირთა სახელებს
ლექსებში სთვლიდენ წმიდადა;
მოხუცნი ჩიბუხებს სწევდენ,
ბოლი ეხვიათ ნისლადა,
განმარტავდიან მათ ამბავს,
შანდობა თქვიან გმირთადა.
ახლების საწურთნელადა
იხსენებდიან ქებითა:
„თქვენ იცით, ამას იქითა
კაცად ვინც გამასდგებითა!“
კრებაში ერთი ვინმე სჩანს
სახემკრთალი და მშვიდია,
როგორც თაფლს მწერი, ეხვევა
იმის მცირე და დიდია.
დაღვრემილს წელზე ხმალი ჰრტყავ,
მხარ-იღლივ ფარი ჰკიდია.
მუხლებს წინ თავშიშველანი
ორნი უსხედან ჩოქითა,
თასებს აწვდიან, იღებენ
შავს ლუდსა დიდის გობითა. –
„– შასვი, მინდიავ, – ეტყვიან, –
კაი ლუდია, სვიანი,
გვითხარი რამე, ღვთის მადლსა,
ერთი ქართუალი გზიანი“.
„– მთვრალმა რა გითხრათ, კაცებო,
ჭკუა სასმელმა დაძალა,
სათქმელი მერმისთვის დარჩეს,
თუ კი სიკვდილმა მაცალა“.
ასწია კარახანასა,
გადიწურა და დაცალა.
ტყვეობით დაბრუნებული
ძმებში ყოფნითა სტკბებოდა,
როგორაც სხვანი მრავალნი,
ისიც ლუდითა თვრებოდა.
ამ მინდიაზე ამბობდენ
დაუჯერებელს ამბებსა:
მინდია ტყვედა ჰყოლია
თორმეტს წელს თურმე ქაჯებსა.
ტყვეობამ ფრიად დაჩაგრა,
სამშობლოს გარეთ ყოფნამა;
მიდის დრო, განვლო მრავალმა
აღდგომამა და შობამა,
მაგრამ მინდიას ტყვეობას
არ ექნა დასასრულია,
გული დაუდნო მონებამ,
ამოსვლას ლამობს სულია.
აგონდებოდა თავისი
ჩამოთოვნილი მთებია,
ჩაბნელებული ხევები,
უსწორმასწორო გზებია,
მის ბედის მგლოვიარენი
დედა, მამა და ძმებია,
თავისი ქოხი მწირული,
სამოთხედ მისაღებია,
ეშველათ, ბევრჯელ ხატ-ღმერთსა
მხურვალედ შაჰვედრებია.
ბოლოს სთქვა: „თავსა მოვიკლავ,
ასეთ სიცოცხლეს სჯობია!“
ქაჯთათვის ცეცხლზე ნადგამი
სადილად ნახა ქობია.
იცოდა, გველსა ხარშავდენ,
იმასა სჭამდენ ხშირადა;

ქაჯნი ქაჯობით იტანდნენ
გველის მიღებას პირადა,
და თავის თავზე იფიქრა,
რომ ექცეოდა ჭირადა.
აიღო ერთი ნაჭერი,
ზიზღით, ქურდულად შეჭამა
და ამ დროს მოწყალეს თვალით
ტყვეს გადმოჰხედა ზეცამა:
ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.
ესმის დღეიდან ყოველი,
რასაც ფრინველნი გალობენ,
ან მცენარენი, ცხოველნი,
როდის ილხენენ, წვალობენ.
რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ-უსულო,
ყველასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო.
ამას ჰგრძნობს, უკვირს თვითონაც
ტყვეს თვის ბუნების ცვალება.
შეიგნო, ჭამა გველისა
ქაჯთაგან იყო ზმანება.
სიბრძნე აჩვენეს გველადა,
რომ ჰზიზღებოდა საჭმელად,
თუმც „შენც ჭამეო, მინდიავ“,
არა ზარობდენ სათქმელად.
შეიგნო სიბრძნე ქაჯების
ამიერიდამ ტყვემაო;
მას მუსაიფი დაუწყო
ცამ, დედამიწამ, ტყემაო.
მხოლოდ ბოროტმა მის გულში
ვერ მოიკიდა ფეხია,
სხვა დანარჩენი ქაჯური
ყველა ისწავლა ხერხია.
მას აღარაფრის ეშინის,
თუნდ თავს დაატყდეს მეხია.
ქაჯნი ბრაზობენ, რა ჰხედვენ –
გამეცნიერდა გლეხია.
აღარ აშინებს ტყვეობა,
აღარც ხრიკები ქაჯური,
დღეს თუ ხვალ იმედიანობს,
ქაჯებს უჭიროს პანჩური.
მალია ტყვიასავითა,
გრძნეული, როგორც გველია,
აღმერთებს, ნუგეშად ჰსახავს
ფშავ-ხევსურეთი მთელია,
გვირგვინოსანი თამარი
სულმუდამ ამის მთქმელია:
„– ოღონ მინდია თან მყვანდეს,
მასთან მთიელი ერია,
რაც უნდ ძალიან ეცადოს,
ვერას დამაკლებს მტერია“.
იცის მტრის დასამარცხები
და შემმუსვრელი ფანდია,
თუ დაჭრილს ცოცხალს მიუსწრო,
ნუ აქვს სიკვდილის დარდია.
შუაზე გაჭრილს გაჰკურნავს
მის უებარი წამალი;
მით არ მცირდება ომებში, –
მუდამ ჯარი ჰყავ მრავალი;
შორს არის ამბად წასული
მისი თავგადასავალი.

II

როცა კი გაზაფხულდება,
გამოიღვიძებს ქვეყანა:
სილაღე, სიმხიარულე
დასეირნობენ ყველგანა,
გაჩნდება ჩირთი, ყვავილნი
ეკონებიან მწვანესა,
მინდია გაფაციცებით
სულ მიმოივლის მთა-ველსა.
ყველა მცენარეს და მღილსა
ის ეგებება სალმითა,
ბუნებაც „ვაშას“ უძახის
მდიდრად მორთულის ალმითა.
ყვავილნი ყელ-გადაგდებით,
დახატულები კალმითა,
„– მინდიას გაუმარჯოსო,“
ერთხმად ასტეხენ ჟიჟინსა,
ხეები ფოთლებს არხევენ,
ბუნება იწყებს ბიბინსა.
და მერე სათითაოდა
ყველა მოჰყვება ტიტინსა:
„– მე ვარო ა მ ი ს წამალი“;
სხვა გაიძახის – „ი მ ი ს ა; “
მინდიაც მოსწყვეტს, თან მიაქვს
ჯერ ზედ ნამი აქვთ დილისა.
თურმე ზნედა სჭირთ ყვავილთა:
ოღონდ ეწამლონ სნეულთა,
სიცოცხლით გაფუფუნებულს
არად აგდებენ სხეულთა:

სალხინოდ ჰსახვენ, კაცთ სარგოდ,
ძვალ-ხორცთა ჩამორღვეულთა.
ყვავილთ ეს ზნე სჭირთ და ხეებს
თურმე მოუვათ ტირილი;
მარტოკა მინდიას ესმის
მათი კვნესა და ჩივილი.
ამისგან მისი ცხოვრება
ძალიან დაცარულია:
მივიდა ხესთან ცულითა,
სთქვა: „უნდა მოვჭრა ესაო!“
შემოჰკრავს ცულსა და ამ დროს
ხის შემოესმის კვნესაო:
„– ნუ მომკლავ, ჩემო მინდიავ,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?!“
დაუდუნდება მკლავები,
შტერად გაჰხედნებს ზეცასა.
სხვა ხეს მიჰმართავს, ის უფრო
მეტად დაიწყებს კვნესასა.
ხელცარიელი წამოვა,
ვერ მოიყოლებს შეშასა,
და რომ ღველფზედა არ გაჰქრეს
ცეცხლი, აანთებს თივასა
ან ჩალას, გამხმარს ჯოყრებსა,
თან მიაშველებს წივასა.
თუ სად ხმელს წიწკრებს იპოვნის,
არც დაიწუნებს იმასა.
მაინც ღმერთს ჰმადლობს, მაინცა,
საღამოსა და დილასა.
სხვებსაც მას ურჩევს: – „კაცებო,
მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;
ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ
ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა“.
არავინ უსმენს, არქმევენ
ამგვარს მის რჩევას ბოდვასა.
„– ღმერთს ჩვენთვის გაუჩენია
სარგოდა, მოსახმარადა!“
და დღესაც არავინ ჰზოგავს
ვერხვ-წიფელს მოსაკლავადა.

III

როცა ყანის მკას დაიწყებს,
გიჟია, გადარეული:
ერთს ფეხს აქ მოსჭრის, ერთს იქა,
საგულეჩამოხეული
სულ გადასთელავს ყანასა,
გაჰბურდღნის, გაატიალებს,
მინამ ღონე აქვ მკლავშია,
ციბრუტივითა ტრიალებს,
და როცა დაიქანცება,
გაიშხლართება მიწაზე.
რო ჰკითხოთ: – „ასე რად სჩადი?“
ის გიპასუხებსთ იმაზე:
„– რას ამბობთ, კაცნო, არ გესმისთ,
მიტომ მიწუნებთ ქცევასა.
ის როდი იცით, თავთავნი
როგორ მიწყებენ ხვეწნასა;
უნდა იცოდეთ, ჰხედავდეთ
თავთვების ყელის წევასა,
ათი-ათასი ყოველ მხრივ
რომ დაიქუხებს ერთადა, –
ხელნამგლიანი როცა ვარ,
მნახავენ თავის ღმერთადა.
„– არა, მე მომჭერ, მინდიავ,
ნუ მტოვებ,შენი კვნესა-მე!“
„– არა, მე, – სხვა გაიძახის, –
უფრო მაშინებს ზეცა მე.
პატარა ნისლიც რო ვნახო,
ჩამოვიშლები ტანითა.
ვაი თუ სეტყვა მოვიდეს,
ყელი გამომჭრას დანითა“. –
სხვა უფროც ჰყვირის: „– ნუ მწირავ,
იხარე თავის ჯანითა!“
გამაგიჟებენ ბოჟირით,
გადავირევი ბრალითა:
ვცდილობ და ყველას ვერ ვწვდები
ორის ხელით და თვალითა
და ამ დროს თავადაც ვხდები
მოსაბრუნები წყალითა.
ყანასა სეტყვა აშინებს, –
კაცთ უსაზრდოოდ დარჩენა,
თორემ ვით ნამგალს, სეტყვასა
სით შეუძლიან წახდენა?!..
კაცთ სარგოდ თავსა ჰზოგავენ
თავთავნი ოქროს ფერანი, –
არ სწადით ოხრად ლპებოდნენ,
ჰკენკდნენ ყვავნი და ძერანი.
მიტომ ჩქარობენ მომკასა,
ერთად ჟივიან ყველანი,
ჰსურთ პურად იქცნენ, საჭმელად,
რომ მითი გაძღნენ მშიერნი, –
მკვდართ კაცთა შანდობა ვუთხრათ,
ძალნი ვახსენოთ ციერნი“.

IV

ხატობა ჰქონდათ ხევსურთა,
ლუდის სმა არი, ღრეობა.
დიდს მლოცავს მოიპატიჟებს
გუდანის ჯვარის დღეობა.
ხალხია დაჯარებული,
ბჭობენ უფროსნი მრავალსა:
ზოგნი ამბობენ სხვის ამბავს,
სხვანი – თავგადასავალსა!
ამბობენ ვაჟკაცობისას,
თოფისასა და ხმლისასა,
ჯაჭვის მჭრელს წელზე ვინ ირტყამს,
ყველა აქებდა იმასა.
უსმენენ მოწიწებითა,
თუ ვინ რას იტყვის ცდისასა.
თანაც გააბეს მსჯელობა
გველისმჭამელის ცოდნაზე,
ხის მჭრელის, ბალახთ მთიბელის,
მათ ჩანადინარს ცოდვაზე.
ჩალხია ეტყვის კრებასა:
„– მიკვირს ეგ თქვენი ფიქრია,
წინავაც ბევრჯელ გითხარით,
ეხლაც იმასვე ვიტყვია:
ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა,
ჩვენც რად არ გაგვიგონია?
ჩვენს სატყუებლად მინდიას
სიცრუე მოუგონია.
ჩვენც მისებრ კაცნი არა ვართ,
ჩვენც ყურები გვსხავ, მგონია?!
მე სამალავად არ ვამბობ,
თითონაც მისდის ყურშია;
თუ ამას მართალს არ ვამბობ,
იფიქროს თავის გულშია.
ვსთქვათ, სიბრალული კარგია
ხე-ქვა-ბალახთი, ცხოველთი...
კაცის კვლა ყველასა სჭარბობს,
თუნდ მტერი იყოს, ყოველთი.
მაშ აღარც კაცთ უნდა ვკლავდეთ,
გეტყვით, მისმინეთ, მე რასა:
მტრისას, ხმლით ნაჭერს, მინახავ
მინდია სდგამდეს გორასა.
რად სჩადის ამას, ხომ რჯულიც
კვლისას არ გვაძლევს ნებასა,
მაგრამ ვკლავთ იმას, ვინაცა
ჩვენსა დაარღვევს შვებასა,
ან მამულს გვართმევს, ან ცოლსა,
ან გვიშლის რჯულის ცნებასა.
მაშინ არც ღმერთი გვიცოდვებს
მტრისას შაქცევას ხელისას,
ეგრევე, ოღომც ვიცხოვროთ,
მოჭრას წიფლის და თელისას“.
„– არ სტყუის, არა, ჩალხია,
მინდია ცრუობს სწორედა,
ათასნაირი ტყუილი
თვალწინ აგვიგო ყორედა“, –
ამბობდენ ხალხში ზოგები
გაუბედავად, დონედა.
„– მაგ ფიქრს რომ მივყვეთ, შენს მტერსა,
როგორღა გვეცხოვრებისა?
ის რად ვიცოდვოთ, უფლისგან
რაიც არ გვეცოდვებისა?!
თემთ რო გვარიგებს მაგაზე,
ძალიან ცუდად შვრებისა.
კარგთაგან იმედი გვაქვის
მუდამ შველის და რგებისა
და არა ჩვენის დაღუპვის,
ჩვენის ცხოვრების ვნებისა!..“ –
ეს იყო გამონასკული
აზრი ხევსურთა კრებისა...
მინდია იქავე იჯდა,
თვალთაგან ცრემლი სდიოდა.
არვინ იცოდა, თუ იმას
გული რისაგან სტკიოდა.
თვალნი მიეპყრნო ერთს მხარეს,
ხალხისა არა ესმოდა;
გამოერკვია ფიქრთაგან,
როცა ბერდია ეტყოდა:
„– რად არ ყურს გვიგდებ, მინდიავ,
ნეტავ რისათვის სტირია?
ეს არც კი მიკვირს შენგანა,
არც სხვისგან გასაკვირია –
ერთს წამში ცხრაჯერ შესცვალო
გლოვა-ტირილზე ლხინია,“ –
და მთელმა ხევსურთა გუნდმა
მინდიასკენ ქნა პირია...
„– ჰოდა სთქვი, – კვლავ სთხოვს ბერდია,
გულზე რა ჭირი გჭირია?“
„– აგერ იმ ჩიტებს ყურს ვუგდებ“, –
თითით უჩვენა ჩიტებზე,
ორნი ფრთებ-ჩამოშვებულნი
იფნის ქვეშ ისხდენ სიპებზე.
„ერთი მეორეს უამბობს
სიკვდილის ამბავს შვილებზე;
მარცხნით მჯდომარე დედაა,

მარჯვნისკე – ამბის მთხრობელი,
თქვენს მტერს, რომ გულმოკლულადა
შვილებსა ტირის მშობელი“.
ჩიტებს ეხლა-ღა შესცქერის
ხევსურთა კრება სრულია,
ჩიტთაგან ერთი იმ დროსა,
თითქო მოჰსვლოდეს რულია,
სიპიდან დაბლა დაეცა
და განუტევა სულია.
რომელი მოკვდა ორთაგან!
ამის გაგება – რჯულია!
ხევსურთ შაჰხედეს ერთმანეთს
გაოცებულის თვალითა;
„ნუთუ ასეთი ცოდნაო
იქნება კაცის ძალითა?“
დარწმუნდნენ იმის ცოდნაში,
საქმე წინ ედვა ყველასა,
მაგრამ ნაგრძნობსა გულითა
გონებით ჰშველენ ვერასა:
ბალახსაც სთიბენ, ნადირს ჰკვლენ,
შეშით ანთებენ კერასა.
ქათმის ხორცს რა შააძულებს,
თქვენვე მითხარით, მელასა?!
ვინ ჩამოჯდება ღველფზედა,
თუ ზედ არ ჰხედავს ძელასა?!.

V

ბევრჯელ მოუნდათ ლაშქრობა
ლეკ-სპარსებ-ქისტებ-თურქთანა,
გამარჯვებულნი მოდიან
ხევსურეთს ვაჟნი მუდამა.
ზღუდე გამაგრდა ქართლისა,
მტერს შაუკერეს სუდარა.
ერი თუ მტრის მძლეველია,
მის მეტი არა უნდარა.
მანამ მინდია ჰბელადობს,
ხევსურებს არა უშავთრა,
ვეღარვინ ჰბედავს რჩოლასა,
მყუდროობაა ყველგანა...
ნეტავი იმას, ვისაც კი
მადლიერი ჰყავს ქვეყანა.

VI

ფრიალო კლდის თავს სახლი დგა,
ცას ებჯინება ბანითა,
ირგვლივ მთებია დიდრონი,
აყრილნი სრულის ტანითა,
გადალესილნი თოვლითა,
მოუღალავნი ჯანითა.
ერთხელ თუ ჰნახე ამგვარად,
სულ გინდა ჰსინჯო თვალითა.
იმაზე ლამაზებია,
როცა ჰღელავენ მწვანითა.
თუნდ მზე დაადგესთ გულმკერდზე,
ზვავი სდიოდესთ ჭექითა, –
ახველდებიან ხევები,
ვით ავადმყოფნი ჭლექითა,
მაინც სიტურფე იმათი
ნაკურთხი არის ზეცითა.
ბევრჯელ დაჰბრუნავს თავზედა
გრილი ნიავი კვნესითა.
ზაფხულში შავი ღრუბლები
სანთლებს უნთებენ კვესითა.
იქ ხომ ხვნით არავინა ჰხნავს,
არც ვინ რას სთესავს თესითა,
მარტო ჯიხვები დადიან
კლდეებზე რქების ლესითა.
და სალნი კლდენი, პირქუშნი,
უფსკრულს ჩასულნი ფესვითა,
არც რო სულზედა ფიქრობენ,
არც სუქდებიან ლეშითა,
უსალმო-უალერსონი,
გამომზირალნი ბრეშითა.
სახლზე კოშკია მიდგმული,
შემურვილია ბოლითა,
დღე-მუდამ შეძრწუნებული
ჯაზეირების სროლითა.
რა დაასვენებს საბრალოს,
მინამდე ირგვლივ მტრებია,
მინამდე შურისძიება
კაცის ტომს გულში სდებია,
ნასროლი ტყვია მტრისაგან
მკერდზე მრავალი სცხებია!
სახლიდან ისმის ჯავრობა,
ხმა კამათობის, წყრომისა;
ბევრნიც არავინ არიან, –
საუბრის კილო ორისა.
ღველფზედა ცეცხლი ანთია,
გაჩაღებული შეშითა,
იქით მხარეზე დიაცი
მოჩანს ბალღების გვერდითა,
აქეთ მარტოკა ხევსური
ბევრს რასმე მოსთქვამს ხვნეშითა.

ქმარი

„– ის დღე გაშავდეს, რა დღესაც
შენ მე დაგისვი ცოლადა.
მინამდე კაცი არ მაჩნდა
მიწაზე თავის ტოლადა.
სრულ შენგან გავხდი, წყეულო,
უგერგილოდ და ყროლადა.
რა ვარ? განაღა კაცი ვარ,
ღირსი, ცის ქვეშე ვიდოდე?!
იმადვე ყოფნის, რაც ვიყავ,
ნეტავ წამალი ვიცოდე!..
ფუჭია ჩემი სიცოცხლე,
დღეს მჯობ შავის კლდის ლოდია,
თქვენგან მჭირს ჭირი უწამლო,
უფალს თქვენგანა ვცოდია.
შვილებიც ჭირად გამიხდა,
შამაცვლევინეს ფიქრია,
დაკარგულს სულს და ხორცზედა
ეხლა დღედაღამ ვტირია“.

ცოლი

„– მე რად მაბრალებ თავის ბრალს,
შინ როს მოგივედ ძალითა?
გზად არ მიტევდი მიმავალს,
მავსებდი ცოდვა-ბრალითა:
„მზიავ, ძალიან მიყვარხარ,“
ცრემლებს აბნევდი თვალითა
და ჩემს ძმათ ჩემის გულისად
შინ უხდებოდი ხმალითა.
წინაზე ტკბილი შაქარი
ეხლა გემწარე რისადა?
ან შვილთა ყოლას რად ჰგლოვობ,
მდურვას რად იტყვი ღვთისადა?!
თავისი ცოლი და შვილი
ვის გადაუგდავ სხვისადა?
ჩვენ რადა გვსახავ მიზეზად
შენის გუნების ცვლისადა?“

ქმარი

„– იმიტომ, უჭკო დიაცო,
რომ სწუწუნებდი, სჩიოდი:
„სიცივე ბალღებს მილევსო“,
შვილ-მამკვდარივით ჰკიოდი.
„ბერდიას რამდენ შეშა აქვ,
როგორ ცეცხლს ანთებს, ჰნახოდი“,
ცხოვრების მაგალითადა
ბრიყვები დამისახოდი.
გულზე მოსაყვანს ქართულსა
ჩემს გასაგონად ამბობდი,
გეწადა კაი ცხოვრება,
მოწამლულს ქადას აცხობდი.
და მეც დღეს-ხვალეობითა,
ცოტ-ცოტად, ნელაობითა
დავიწყე თავის რწმენასთან
მოქცევა მელაობითა.
დღეს მოვჭერ ერთი ჭანდარი,
თუმც მემუდარა ბევრია:
„– რად სჩადი მაგას, მინდიავ,
ვითომ არ იყავ მტერია?!“
ხვალ ორი მოვჭერ და ასე
გული ჩავიდევ ქვისაო,
რომ სულ აღარა მეგრძნო რა,
ძალაც ვითხოვე ღვთისაო.
შენ ჯიხვის ხორცსა ჰნატრობდი,
თუ ვის მოკლული გსმენია.
რამდენჯერ ჩემი გულმკერდი
ამ ჩივილს გაუსენია:
„ყმაწვილ უხორცოდ დაზრდილნი
რა ვაჟკაცობას იზამენ?
არსად არ გამიგონია
ასრე გაზრდილი სხვისა მენ“.
ახ, რატომ ამის თქმამდინა
არ დაგეყარა მიწა შენ!..
მეც მივყევ – ვხოცე ნადირი,
გასუქ-გალაღეთ ლეშითა,
თავის ბალღებით ჰხარობდი,
მე დავრჩი თავისტეხითა.
სჯობდა კი ასე გახდომას
გავთაულიყავ მეხითა;
დაკარგულს ველარ მოვხელავ
ვერა რომელის ხერხითა“.

ცოლი

„– ან შენ რა გიჭირს ისეთი,
თავს რად იტკივებ ძალადა;
შეშის ჭრას, ნადირთ ხოცვასა
სხვან რად არ სთვლიან ბრალადა?“

ქმარი

„– არ იცი, არა ჭკვათხელო,
ყბედო, ზეზერე მგრძნობარევ,
თავისა სასიამოვნოდ
წუთისოფლისა მცნობარევ!
არა ღირს იმად – ვიგლოვო

თვისი ცოდნა და ძალია,
რომ ჩემთან ერთიც მათგანი,
ბრიყვო, აღარსად არია?!
არ უღირს, მკვდარმა იცოდეს
თავის სიკვდილი, – მკვდარია,
იგლოვოს თავისი თავი,
თვის ყოფნა შესაზარია?
სხვა ყოფნა, ამაზე მწარე,
მიპოვნე შესადარია!
ამგვარი მკვდარი დღეს მე ვარ,
სხვა მკვდრებს რა უჭირთ მკვდრობითა!
არიან მოსვენებულნი,
არაფერს გრძნობენ გრძნობითა.
რითიღა ვარგო ქვეყანას,
დავცარიელდი ცოდნითა:
ყვავილნი არას მეტყვიან,
აღარც ცნობა მაქვს იმათი;
განა მეტილა იქნება
კაცმა თავს უგდოს ხიფათი?
აღარა მესმის ფრინველთი,
აღარა მესმის ყანისა,
აღარ მსმენია მას შემდეგ
ტკბილი სალამი მწვანისა.
ეს არაფერი, სხვაფრივაც
აღარ ვვარგივარ არადა;
გინდა აქ ვეგდო მთაშია,
გინდა ჩავიდე ბარადა,
ჩემფერას უკეთურებსა
არვინ იყიდის ჩალადა.
ვეღარას ვარგებ ქვეყანას
მტრის მამგერებელს ჯარშია,
მიტომ, რომ წინანდებული
ცნება აღარ მაქვს თავშია.
რატომ მალედვე არ გაქრა
ჩემი ვარსკვლავი ცაშია!
დღესნამდე მტრები შინაით
ვერა ძვრებოდნენ კარშია
შიშით, და ეს რომ გაიგონ,
მოვლენ, მიწა-მტვრად გვაქცევენ,
ჩვენს სახლებს, ციხე-კოშკებსა
ნაოხრად გადააქცევენ.
ცოცხალი ამას ვერ ვნახავ,
თქვენი დღეც გათაულია,
თქვენგან დავკარგე გონება,
წმინდა გავყიდე რჯულია...
ახლა ქვეყანაც დავღუპო,
თქვენ პირში გედგასთ სულია!..
ან მე რად მინდა სიცოცხლე,
ან თქვენ გაცოცხლოთ რაღადა,
თუ მთელი ჩემი არსება
აღარ იქნება საღადა?!.
ან აქ რა პირით ვიცოცხლო?
თავს რით ვიმართლებ ღმერთთანა?
ყველასთან შარცხვენილი ვარ –
ცოცხლებთანა და მკვდრებთანა.
რისთვისღა მინდა აბჯარი,
რისათვის მინდა ხმალია,
თუ კი ჩემს მტრისად დაკრულსა
აღარ ექნება ძალია?!
ამ მიწის ამონაცენი
ჩემი სესხი და ვალია,
როგორღა ან პური ვჭამო,
როგორ დავლიო წყალია?!“
ადგა და გულხელდაკრეფით
გამოეფარა გარეთა.
მთათ რომ შეჰხედა მაღალთა,
დაიქვითინა მწარედა.

ჩვენ და ტექსტი

1. როგორ ჩანს ხევსურთა ცხოვრების წესი და ფასეულობები მათი თავშეყრის აღწერაში.

როგორ წარმოჩნდება აქ მინდია თავიდან – როგორია მისი განწყობა, რაზე მეტყველებს მისი იერი.

2. როგორ ავლენს მინდიას სულიერ სამყაროს ის სიტყვები, რომლითაც ხევსურების თხოვნას პასუხობს – რას მოელის, რაზე ფიქრობს იგი.
3. თქვენი აზრით, რას განასახიერებენ ქაჯები; შეადარეთ ვაჟას პოემის პერსონაჟი ქაჯები „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს.
4. ყველაზე მეტად რა უმძიმს მინდიას ქაჯთა ტყვეობაში ყოფნისას და როგორ წარმო-

აჩენს ეს ამ ადამიანს.

5. როგორ ავლენს მინდიას ხასიათს, ბუნებას მისი გადაწყვეტილება, თავი მოიკლას. თქვენი აზრით, რა სულიერი გამოცდილება მიიღო, რას შეეხო სულიერად მინდია თვითმკვლელობის ცდისას; ფსიქოლოგიურად როგორ შეიძლება აიხსნას ამ გამოცდილების საფუძველზე მინდიას ფერისცვალება.
6. რით ჰგავს მინდიას ფერისცვალება ალუდა ქეთელაურის გარდაქმნას და რით განსხვავდება მისგან.
7. რა თვისებების მქონედ წარმოუდგება ბუნება შინაგანად გარდაქმნილ მინდიას. როგორ გგონიათ, რომელი სიტყვებით არის გამოხატული ყველაზე მკვეთრად მინდიას გარდაქმნის სისრულე, ყოვლისმომცველობა; რა მოვლენის ტოლფასად არის ეს მოვლენა არაპირდაპირ წარმოდგენილი.
8. რით არ დაემსგავსა მინდია ქაჯებს, რომელთაც სიბრძნე მოსტაცა და, თქვენი აზრით, რამ განაპირობა ეს.
9. როგორ ფიქრობთ, რატომ, რა ლოგიკით უკავშირებს ავტორი მინდიას თამარ მეფის ეპოქას.

*

10. რატომ ხვდება ბუნება მინდიას აღტაცებით.
11. რატომ არ აშინებთ სიკვდილი ყვავილებს – რა გრძნობაა მათი მამოძრავებელი. რით ემსგავსებიან ადამიანებს ხეები, რომლებსაც მინდია მოჭრას უპირებს და რატომაა მათი მოჭრა ცოდვა. როგორ ჩანს აქ ბუნებასთან დამოკიდებულებაში მინდია.
12. რა არგუმენტით უარყოფს ხალხი მინდიას რჩევას, არ მოჭრან ხეები; თქვენ როგორ შეაფასებდით ამ არგუმენტს.
13. რა დეტალების მეშვეობით იხატება მინდიას ექსტაზი – თავდავიწყება ყანის მკისას; ამ დეტალებიდან რომელს მიიჩნევთ განსაკუთრებით შთამბეჭდავად.
14. თქვენი აზრით, რატომ არ აშინებთ თავთავებს მომკვა – რატომ არ არის ეს მათთვის სიკვდილი, როგორი არსებობაა მათთვის სიკვდილის ტოლფასი და რატომ.

*

15. შეაფასეთ მინდიას წინააღმდეგ მიმართული ჩალხიას არგუმენტი: „ენა თუ ჰქონდეს ხე-ქვათა, ჩვენც რად არ გაგვიგონია?“ – რამდენად დამაჯერებელია იგი.
16. როგორ ფიქრობთ, მართალია თუ არა ჩალხია, როცა ერთმანეთთან შეუთავსებლად აცხადებს მინდიას დაუნდობლობას მტრის მიმართ და მცენარეებისადმი მის სიბრალულს. რა თვისებებს ავლენს ამ ეპიზოდში მასა.
17. „ჩიტების ამბის“ მიხედვით, რა შეადგენს მინდიას სიბრძნის არსს – რას შეიგრძნობს მინდია ბუნებაში. თქვენი აზრით, როგორ უკავშირდება „ჩიტების ამბავი“ იმას, რომ მინდია უარს ამბობს ძალადობაზე ბუნების მიმართ.
18. როგორ გგონიათ, რატომ არ იზიარებს ხალხი მინდიას დამოკიდებულებას ბუნებისადმი იმის მიუხედავად, რომ მისი სიმართლე ცხადად დადასტურდა.
19. პოემის V თავის მიხედვით, რას ემყარება საზოგადოებაში მინდიას მაღალი ავტორიტეტი.

*

20. როგორ იხატება მთები, კლდეები VI თავის დასაწყისში – მათი რა ურთიერთსაწინააღმდეგო თვისებებია აქ წარმოჩენილი; ამ სურათის რომელი დეტალები ახდენს თქვენზე განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას.
21. თქვენი აზრით, რით ქმნის კონტრასტს მინდიას კოშკის აღწერა-დახასიათება მისი მფლობელის შინაგან ბუნებასთან; როგორ ფიქრობთ, ავტორის რომელი სიტყვები

მიგვანიშნებს ამ კონტრასტის განმაპირობებელ მიზეზზე.

22. როგორ შეფასებას აძლევს მინდია თავის თავს ცოლთან საუბრის დასაწყისში; მინდიას რა ემოციები, გრძნობები იკვეთება აქ. თქვენი აზრით, მინდიას რომელი სიტყვებია მზიასთვის ყველაზე მტკივნეული და საიდან ჩანს, რომ ასეა. როგორ ფიქრობთ, რამდენად ესმის მზიას ქმრის შინაგანი მდგომარეობა, ქმრის ბრალდებათა აზრი, მნიშვნელობა.

23. მინდიას სიტყვების მიხედვით: „ცხოვრების მაგალითადა ბრიყვები დამისახოდი“, რა წარმოადგენს მზიასთვის ცალკეული ადამიანის, ინდივიდის არსებობის ორიენტირს – გეზის განმსაზღვრელს.

24. თქვენი აზრით, რა გრძნობას აღუძრავდა მზია მინდიას თავისი ჩივილით, რა გრძნობამ უბიძგა მინდიას, თავისი რწმენის საწინააღმდეგოდ მოქცეულიყო; მინდიასთვის დამახასიათებელი რა ღრმა თვისება უწყობს ამას ხელს.

25. თქვენი შეხედულებით, რამდენად სამართლიანია მზია ქმრისადმი, აქვს თუ არა მზიას თავისი სიმართლე.

26. რა წარმოუდგენია მინდიას მზიას მამოძრავებელ შინაგან მოტივად; პასუხი ტექსტის მონაცემებით დაასაბუთეთ.

27. როგორ შეძლებს მინდია იმას, რაც ძალიან უჭირს – მცენარეების და ცხოველების მოსპობას; თქვენი აზრით, მინდიას მიერ გამოყენებული რომელი სიტყვა ახასიათებს ყველაზე ხატოვნად, ზუსტად მის ქცევას.

28. როგორ გესმით მზიას მინდიასეული დახასიათება: „თავისად სასიამოვნოდ წუთისოფლისა მცნობარევ“.

29. რატომ აღარ აქვს მინდიასთვის მის სიცოცხლეს აზრი, ფასი.

30. რატომ მიიჩნევს მინდია თავის თავს მკვდრად და რატომ წარმოუდგენია საკუთარი თავი სხვა მკვდრებზე უფრო უბედურად; გაიხსენეთ, რა „ფორმულით“ გამოხატავს ვაჟა სხვა ნაწარმოებში სიკვდილისნაირ სიცოცხლეს. უპირველეს ყოვლისა, რა არის მინდიასთვის სიკვდილის ტოლფასი.

31. ყველაზე მეტად რის გამო აქვს მინდიას დანაშაულის გრძნობა და როგორ ავლენს ეს მინდიას სულიერ ბუნებას, ზნეობას.

32. რამდენად გამართლებულად თვლით მინდიას აგრესიულ დამოკიდებულებას ცოლშვილთან.

33. ვის წინაშე გრძნობს მინდია პასუხისმგებლობას ყველაზე მეტად და რატომ. როგორ გესმით „საღად“ ყოფნა, რაზეც მინდია ლაპარაკობს.

34. რატომ უწოდებს მინდია თავის „სესხს და ვალს“ პურს, წყალს.

45. თქვენი აზრით, მინდიას გოდებაში გამოხატულ გრძნობათაგან რომელია ყველაზე ძლიერი, მძაფრი.

VII

მთანი ჩამოშრენ, პირ-თავქვე
ქოთით მოდიან ღვარები,
ხევებში ზვავი შათხელდა
ვეშაპის მინაგვარები.
აჩქამდა ბუერაზედა
ანკარა წვიმის ცვარები,
ველებზე ბზინვენ ყვავილნი –
თამარ-დედოფლის თვალები.
კლდის პირზე მოსულს პირიმზეს
გულ-მკერდში ვენაცვაᲐლები!..
მთაზე უვნებლად გადმოხდენ
პირიქითული მგზავრები.
მთის კალთებს ჰშვენის ცხვარ-ძროხა,
როგორც ლამაზს ქალს ხალები;
გაცოცხლებულა მთა-ბარი
ზამთრისგან დანაწვალები.
ქვეყნად ბევრია ბეჩავი,
ბევრია შესაწყალები, –
ერთი რო ვნახოთ, სხვას ბევრსა
ვერ ჰხედვენ ჩვენი თვალები!
სოფლებში ხმაურობაა,
ძახილ-ძუხილი დიდაია:
„– გააგებინეთ, სად არი
გველის-მჭამელი მინდია;
ქისტების მოდის ლაშქარი,
არღუნს ჩატეხეს ხიდია,
დახვედრა მტრისა, ვაჟებო,
ეხლა ჩვენზედა ჰკიდია!“
დიდი მზადება შაექნათ,
ხალხი ზღვასავით ღელავდა,
საით მხარესაც გაჰხედავ,
თოფი და ხმალი ელავდა.
კარგა ხანია ხევსურნი
მტრის რაზმებს აღარ სცელავდენ,
მათ აოხრებულს ბანაკსა
უწყალოდ აღარ სთელავდენ;
ომისკე დამშეულები
ძლივს მოელიან დილასა,
ყველას ისა აქვს გულშია –
ბელადს ვინ მოჰკლავს წინასა,
თავსა და მარჯვენას მასჭრის,
შინ მოვა სახელიანი,
საკარგყმოდ თასი მიერთმის
ხატობას სანთლებიანი.
გვარიც დარჩება იმისი
სამუდმოდ საქებიანი.
ციხე-კოშკებში შადიან
დიაცნი ბალღებიანი,
მზად შაუნახეს ქმარ-შვილთა
გუდები საგძლებიანი.

VIII

ბინდდება. ბნელი ხევები
იმურებიან შავადა.
თვალს ისე ეჩვენებიან,
თითქო გამხდარან ავადა.
მთები მაღლები, კლდეები,
ლაღი არაგვი თავადა –
მოწყენილია სუყველა,
ვხედავ, ჩუმადა ტირიან.
მხოლოდ თამამად შიკრიკნი
სოფლითი-სოფლად ყვირიან:
„– ვინაც ხვალ ლაშქარს დააკლდეს,
ამოვარდებამც ძირიან!“
გარეთ აღარსად ცეცხლი ჩანს,
არ ისმის სტვენა მწყემსისა,
კარში აღარა დასტოვეს
დანაფასები ნემსისა.
სოფლად მილაგდნენ ყველანი,
კოშკ-ციხეები ჰფარავენ,
ცხვარ-ძროხას, საგანძურებსა
ფარულს ალაგას ჰმალავენ.
ცოტა რამ მკრთალი ნათელი
ხახმატს ხატშია ჩნდებოდა,
სანთლები ენთო ყორეზე,
ალი იფნებსა ჰხვდებოდა,
ხან ცისკრად გამოაშუქის,
ხან კი მინელდის, ჰქრებოდა,
სულ-მაბრძოლ სნეულსა ჰგავდა,
ტანჯვა-ვაებით კვდებოდა.
სხვა იქ კაცის ძე არა ჩანს,
ორნი ჰყუდიან ველზედა,
ერთს სისხლიანი ხანჯარი
უპყრავ, სისხლი აქვს ხელზედა;
მათ წინ დაკლული კურატი
წამოწოლილა გვერდზედა.

ბ ე რ დ ი ა (ხევისბერი)

„– წყალობა მოგცეს, მინდიავ,
იმა გულზედა და წესზედა,
რა ფიქრითაცა სწირავდე,
იმედოვნებდე ღმერთზედა;
ნუმც მოგეშლება სახელი,

მინამ ხმალი გრტყავ წელზედა.
იმედო ხევსურეთისავ,
მწყალობელიმც გყავ ჯვარია,
მუდამამც გამარჯვებული
მიგყავ და მოგყავ ჯარია!
მგონია, მეათე დაჰკალ
წელსა, გასწყვიტე ძროხები,
რას ეხვეწები მაგდენსა,
რა გაქვის შანაცოდები?
ერთი წესია, ორიცა,
შენ ხვეწნა მეტის-მეტია.
ნურასამც ვაწყენ ამით ღმერთს,
რაც ეხლა დავიყბედია.

მ ი ნ დ ი ა

„– ყევარი ხარი კიდევ მყავ,
სამი თუ ოთხი ფურები –
იმათაც აუსახელებ,
ოღომც მამირჩეს წყლულები“.

ბ ე რ დ ი ა

„– რა წყლული, კაცო, შენ წყლული
ჩვენ არვის გაგვიგონია,
შენ წყლულიანებს სხვებს არჩენ
ათასობითა, მგონია“.

მ ი ნ დ ი ა

„– სხვა რამ საქმეა, ბერდიავ,
ადვილ ვერ ვიტყვი იმასა:
თავის მარცხს კაცნი ვერ ვიტყვით,
ჩქარა ვიუბნებთ სხვისასა.
ფულის პატრონნი, თუ იცი,
ყველგან გაჰხსნიან ქისასა?
ხვალ, ხვალე-ზეგავ გაიგებთ,
მაცნე რო მოვა მთისასა“.

ბ ე რ დ ი ა

„– შენა ხარ ჩვენი იმედი,
ხევსურთ დავლათიც შენთანა.
ჩვენა გვწამ, შენაც ხომ იცი,
რომ ჰლაპარაკობ ღმერთთანა,
ხატიც გამმარჯვედ დაგყვების,
კარგად იციან ყველგანა.
ნუმც მოგეშლება დავლათი
წმინდის გიორგის ძალითა,
ნუმც გაგვიმეტებს უფალი,
არ გიმფარველოს კალთითა.

აიღო თასი ხელშია
და კვლავ დაიწყებს ბერდია:
„სადიდებულო გიორგის
და სამწყალობლო შენია!..
შენ მეშველიმც-ა, რაც უფალს
ხატები გაუჩენია,
შენი მერჩოლი, ცოცხალი
ერთიც ნუ დაურჩენია.
ხვალ თუ ხვალე-ზეგ უცილოდ
ომი გვექნება მტერთანა,
მანამ ცოცხალი გვყევიხარ,
რას გახდებიან ჩვენთანა?!“
ეს რომ სთქვა, მლოცავს თვალები
აევსო ცხელის ცრემლითა,
არ შამნიშნოსო, მობრუნდა
და მოიწმინდა ხელითა.
დაემხო საჯარის წინა,
როგორც მოჭრილი ცელითა
ჯოყარი რამა, თუ ფიჩხი,
შასაკონავი წნელითა.
ლოცულობს თვალცრემლიანი,
აზრი არ ისმის ლოცვისა.
ასე მხურვალედ მლოცველი
ვერ ნახა ვერა როდისა
წინად ბერდიამ, – ეს უკვირს:
უფრო ტანჯვაა გლოვისა,
ვიდრე გულ-დაწყნარებული
წყალობის გამოთხოვისა.
ცრემლი სდის, ჩუმი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს, დაჩოქილია,
ხანიც მრავალი ელევა.
„უსმინე, ხახმატის ჯვარო!“ –
თვითაც უმატებს იგია:
„ნუ გაუქარწყლებ ვედრებას,
კეთილზე დაარიგია“.

IX

შუაღამისას დაიწყო
დელგმა, მოჰხეთქა ღვარები,
გატეხეს, თუ სად ლოდების
ხევებში იყო კარები
და სწორედ არ მიუტანეს
ბარს მთისა დანაბარები.
ხშირად დაედვა ბალახთა
ღრუბელთა ცრემლის ცვარები,
გაჰქრა და აღარცა ბჟუტავს

ხახმატს ლოდებზე სანთლები.
აღარსად ხევისბერი სჩანს,
აღარც მლოცავი მტირალი,
მარტო საჯარის ყორეა
მრისხანედ გამომზირალი
და კლდეებს არღვევს არაგვი
გაბეზრებული, მყვირალი.

X

დილაზე ფრთა-დაკეცილთა,
ნამტირალევთა ღამითა,
მთებზე ეძინა ნისლებსა
მიტკლით შაკრულის თავითა;
ზოგჯერ რო გაგვახარებენ
მაცოცხლებელის ცვარითა,
სხვა დროს ბედს გვაწყევინებენ
ჩანადინარის ავითა.
დაბლა ჭალა და ხევები,
გუშინ სავსენი ზვავითა,
დღეს სიცოცხლითა ხარობენ,
გაბადრულნია მწვანითა,
და კოშკი დაფიქრებული
ხეობას დაჰმზერს მაღლითა.
კოშკში მოსჩანან ქალები,
როგორც ყვავილნი მთისანი, –
სძლევენ მტერს, თუ ვერ ხევსურნი,
მათ სასაუბრო ის არი.
სათოფურებით ჩაჰმზერენ
მოუსვენარად ჭალასა
და ახვეწებენ თავის ჯარს
ღვთისა და ხატის ძალასა.
აქით კარგად სჩანს მიდამო:
მთა, მთის ყელები ყოველი,
ვერ დაემალვის კაცის თვალს
მწერი, ვერც ერთი ცხოველი.
ზოგები სხედან ფიცარზე,
ჰბჭობენ, თან ჰქსოვენ წინდასა,
ისინიც სამშობლოსადა
ლოცვას ამბობენ წმინდასა.

ს ა ნ დ უ ა (დედაკაცი)

„– მზიავ, გულშამოყრითა ხარ
შენ უფრო სხვებზე მეტადა;
ქმარას თუ ჰნანობ, თვალშურთხო,
ვერ ჰქშერობ მოსაკვლელადა,
არა გცოდნია, რო ომსა
ის ჰსახავს თავის ბედადა
და მინდიაის მამკლავი
ჯერ არ გაუზდავ დედასა.
მაშ მე რაღა ვქნა? ჩემები
ბევრნი წავიდნენ ლაშქარსა:
ჩემ კაცი, ძმანი სამნივე
არ მაჰკლებიან ამქარსა.
შენს ქმარს ხომ ვერვინ აჯობნებს,
ძველებურს იზამს ნაქნარსა,
როგორაც ბევრჯელ უწინა,
ეხლაც მტერს მისცემს ზიანსა:
ვისაც მაუკლავს, ის მაჰკლავს
ხარსა ირემსა რქიანსა.

მ ზ ი ა

„– ვაჰმე, რო ველარ იბიჭოს,
ისეთს სიზმრებსა ჰხედავდა:
მთელს ერთს წელს სნეულსა ჰგვანდა,
თავის ხორცთ კბილით ჰკვნეტავდა.
„ცოლ-შვილთ გაგჟლეტთო“, იძახდის,
თუმც რადღაც არა ჰბედავდა.
ხატ-ღმერთს მიეყრდნო, შასწირა,
თუ სად რა გვყვანდა საქონი,
მოვიდის, პურიც არ ჭამის,
ვაპატიჟოდი რამდონი.
მარტოკაც ბევრჯელა ვნახე,
ჩუმად, ბალღივით ტიროდის:
„დავკარგე ძვირი საუნჯე“, –
თავისთვის ამას იტყოდის.
სულ ბანზე იჯდის ღამითა,
აშტერდებოდა ცასაო,
მოსულს და წასულს, არავის
აღარა სცემდა ხმასაო;
აღარც სტუმარი უნდოდის,
ჩვენ ხომ არა და აღარა,
ამ ცოტა ხანში თმა-წვერი
დარდმა თუ გაუჭაღარა?!.
ბევრჯელ ქურდულად ბნელაში
დაუყუროდი ჩუმადა,
მაგრამ მის მარტოდ ყოფნასა
მე ვერ შაუვედ გულადა.
რომ თავს და ხალხსა ტიროდის,
ის კი შავიგენ სრულადა:
„ველარას ვარგებ ქვეყანას“, –
ტიროდა დაფარულადა.
ცოლ-შვილთ კი, უფრო ბოლოს დროს,
გვეკიდებოდა მტრულადა“.

სანდუა

„– ჩვენ ეგ არ გაგვიგონია,
პირველად მესმის შენგანა:
მე ისივ მინდია მგონავ,
შასადარები მზესთანა.
მაგას, ათასი იუბნო,
არ დაგიჯერებს ქვეყანა.
მიკვირს, ეგ შენი ნათქვამი
რად არ იუბნა სხვებთანა?
ვითომ რას ცოდნას გლოვობდა,
რომელს ცოდნაზე ჩიოდა?
ან თქვენ რის დამნაშავეთგან
გული იმრიგად სტკიოდა,
რომ ცოლ-შვილთ დასალევადა
ხმლისკე ხელ მიუდიოდა?!.

მზია

„– ისიო, იმას ამბობდა,
ემათ მზემ, არ ვსთქვა მრუდია, –
ხელი დაადო შვილებსა,
ორივ მის გვერდზე ჰყუდია, –
რომ თქვენგან ცოდვაში შაველ,
არსაქნელი ვქენ საქმეო:
შეშა ვჭერ, ნადირი ვხოცე,
როგორც უბრალო რამეო.
ყვავილნი ხმას აღარ მცემენ,
აღარც ვარსკვლავნი ღამეო.
უფლისგან მომადლებული
დიდი ცოდნა და ძალია
დავკარგე შენის აყოლით,
წელზე რადღა მრტყავ ხმალია?“
და სხვა ამგვარი ათასი
შამიგმის პირზე ცოფითა
და ორჯერ-სამჯერ გადურჩი,
კინაღამ მამკლა თოფითა.
ალბათ ჯერ იმედი ჰქონდა,
ხატებს ეხვეწა, იშრომა...
თან ჩვენაც ვებრალებოდით
და არ დაგვხოცა მიტომა“.

სანდუა

„– თუ მართალია, რაცა სთქვი,
შენგან ცოდვაში შავიდა,
უნდა მოგეჭრას ეგ ენა,
მაღლა დაგკიდონ კავითა,
ძირს ცეცხლი შემოგიკეთონ,
დაიწვა იმის ალითა:
ქვეყნის ცოდვაში ჩამდგარხარ,
ჩვენ ხო ვართ იმის ძალითა!“

მზია

„– ჰო, თუ ბრალი მაქვს რაიმე,
ღირსიც ვიქნები დასჯისა;
ის ცოდვა რად უნდა უყოს,
ფიქრი რომ მივეც გარჯისა?
ცოლ-შვილნ თუ უნდან ვაჟკაცსა,
შნოც უნდა ჰქონდეს ხარჯისა.
ჩვენ საქმე ვიცით, დიაცთა
რა გაგვეგება აბჯრისა...
ეს თითონ უნდა ეფიქრა,
კაცი იმისთვინ კაცია:
ერთს თუ სხვისათვის არ უვნავ
და არა გაუტაცია,
ბრალი რად უნდა დაედვას
ალალს, არმქნელსა ცოდვისა?
ცოდვა ერთისა სხვამა ზღოს, –
მადლად სად თქმულა, როდისა?
რაღაც ცუდს გრძნობდა მაინცა,
იმითა სწუხდა ბეჩავი,
ჩვენზედ იყრიდა ბოლოს ჯავრს,
საქმის წინადვე მხედავი.
წუხელაც ცუდ სიზმარ ვნახე,
რა-რა იქნების, ნეტავი?!“

სანდუა...

„– რა ჰნახე, მზიავ, მიამბე,
იქნება ახდეს კარგადა
და არ გაგვხადოს უფალმა
დასალევ-დასაკარგადა?“

მზია

„– ცუდი რამ ვნახე, სანდუავ,
საზარო, გულის მგმირავი,
სულ-ხორცის ამაშფოთები,
გონების ამაზრზინავი:
მოვარდნილიყო ღვარები,
როგორც დევები მქშინავი;
თან მაარღვევდნენ მთა-ბარსა,
იდგა დგანდგარი, ღრიალი,
ცა-ხმელთა დაქცევას ჰგვანდა,
ისეთი ისმის გრიალი.
მთებსა სტყდებოდა წვერები,
დაბლა ხევებში წვებოდნენ;
მთებთან ერთადა კლდეებიც

თოფებივითა ტყვრებოდნენ.
ცა ისეთი ჩნდა, ვით კუპრი,
შავად ჰღელავდა, შხიოდა,
კუპრს აწვიმებდა მიწასა,
ცხელი წვეთები სცვიოდა,
ღვარები ისე საზარლად,
შეუპოვარად დიოდა.
„– გვიშველეთ, ვიღუპებითო“, –
ათასგნით ხალხი ჰკიოდა.
მართლაც ვუყურებ, რომ მოაქვს
წყალს ხალხი, ფარი, ხმალია,
ათასგან ციხე ირღვევა,
ქავ-ციხეებთან სახლია;
ამოდენს საბრალოობას
მარტო მოზარე აკლია,
ჩვენ ვითომ არა გვიჭირდა,
ვითომ უვნებლად ვიყვენით,
ბოლოსა ვნახე სახლ-კარით
რომ ჩვენაც გავირიყენით.
მოასქდა ღვარი ზენაით,
ლიბო მაჰგლიჯა ციხესა
და შეურია ისიცა
დაბლა არაგვის რიყესა.
სახლიც წაიღო ჭერხოთურ,
გაგვიყოლია ჩვენაცა,
მინდა ვიძახო – მიშველეთ,
ვეღარ ვაგებდი ენასა.
ბალღებს კი გულში ვიკრავდი,
ხატ-ღმერთსა ვსთხოვდი შველასა.
თან გამოსვლასა ვცდილობდი,
ვეგანებოდი კიდესა;
ბალღებს ვაფარებ პირებზე
შავის მანდილის რიდესა.
და რამდენჯერაც მივჯარდი
ნაპირს, იმდენჯერ მქისია,
კაცების სახე წინ დამხვდა
შავები, როგორც ფისია.
ხელი მკრეს, წყალშივ ჩამაგდეს,
თან გადმომძახეს ისია:
„– სად მოხვალ? წადი, წყალს გაჰყევ,
ბრძანება არის ღვთისია!“
და ამ დროს ვნახე, ჩვენ წინა
წყალს მიაქვს ჩვენი კაცია,
შამომიბრუნდა და მითხრა,
ტკბილი ხმა ჰქონდა, ნაზია,
„– გთხოვ, მაპატიო, მზიაო,
რაც გლანძღე, გაგაბრაზია;
რასაცა ჰხედავ ჩემს თავზე,
ღირსი ვარ, სწორედ ახია,
ბალღები არ დამიჩაგრო,
გთხოვ, კარგად შამინახია!“
მტერს, რომ მე წუხელ ვიტანჯე,
მე რომ სიზმარი ვნახია!..“

სანდუა
„– მაშ ვერ გამოხვედ, წაგიღოთ?“

მზია
„– ვერა... წაგვიღო, სანდუავ,
დედა-შვილები ყველანი“.

სანდუა
„– ავი ნურაიმც მოგივათ,
ღმერთმა გამყოფნესთ მთელანი“.

საერთო ხმა ქალებისა
„– მოდიან, მოდის ლაშქარი,
ღმერთო, დასწერე ჯვარია!..
მზიავ, წამოდექ, გაჰხედე,
აგერა შენი ქმარია,
დროშიონთ მასდევს მხარდამხარ,
ამომავალი მთვარია.

ერთი დედაკაცი
„– აგერა ჩვენებ ვაჟები,
დედა ენაცვლოსთ მხრებშია...
ვაჰმე, რა ლამაზებია,
ვინ ჰნახავს იმათ მკვდრებშია!..
ღმერთიმც ნუ მახილებინებს
მაგ ამბავს თავის დღეშია“.

მეორე დედაკაცი
„– გაჰხედე, ჩემ უნცრუაი
იმეებს მისდევს გვერდშია.
რა მშვენივრები მიდიან,
დედა ენაცვლოსთ მკერდშია!..“

გასათხოვარი ქალი
„– დამც ენაცვლება თოთიას,
ვერ-როგორ ვარჩევ ხალხშია.
ვნახე... ძლივ სადამ ვიცანი
მიხვრა-მოხვრაზედ, ტანშია.
ლაგმის პირს უჭამს ულაყი,
დაძაგრულია მკლავშია“.

მეორე ქალი

„– ჩვენ უშიშაიც მარჯვეს ჰყავ,
როგორ აგელებს ლურჯასა!..
საქმე რო ხმალზე მიდგება,
არც ეგ დაიწყებს კუნჭვასა.
მაშინამც მაყურებინა,
ფარს რო დაუწყებს ბღუჯვასა“.

პირველი ქალი

„– მე ვერ ვნახავდი ჩემს ძმასა,
გამიძნელებდა სუნთქვასა:
პირს სხვაგნისაკე ვიზამდი,
თვალთ დაუწყებდი ხუჭვასა“.

მეორე ქალი

„– მე არა. ძმისა სიკეთე,
კარგი ყოფნა და სახელი
ისრე კი მინდა, ზექაუვ,
როგორც ბნელაში სანთელი,
დამაშვრალს, მომშიებულსა
მოსვენება და საჭმელი.
კარგია, ძმისა სიკეთე
რო არს ყველაის სათქმელი“.

პირველი ქალი

„– ეგ ვის არ უნდა, შვენაო,
ვინ არი ისე ჭკვათხელი?
მაგრამ და თვალდამწვარია
ძმის გასაჭირში მნახველი“.

მეორე ქალი

„– უმისოდ სახელს ვინ მისცემს,
თუ კი არა ქნა საქნელი?!.“

საერთო ხმა

„– ღმერთო, უშველე, ხატებო,
თქვენ უწინამძღვრეთ მხედართა,
ეგრევ უვნებლად გვაჩვენენ,
როგორაც ეხლა ვხედავთა“.
ბევრისა გული ღელავდა
ათასნაირის შიშითა –
ნურც ვის კი გაუკვირდება,
კაცთ ეს მოგვიდის ჯიშითა,
საშიშს დროს საყვარელს საგანს
რო ვიგონებდეთ შიშითა!..

XI

შამწკრივდა მთაზე ლაშქარი,
დიდს ვაკეზედა გროვდება.
თოფ-იარაღის ბრჭყვიალი
მზის სინათლესთან სწორდება.
ცხენთ ტერფით ჩამონაგლეჯი
თავქვე ლოდები გორდება.
აქვე შაექნათ თათბირი
მტრის დასახვედრელს წესზედა:
ვაკეს ადგილზე ჩავიდენ,
თუ მიეგებნენ სერზედა.
ყველანი ფეხზედა დგანან,
ხელები უდევთ ხმლებზედა.
თვალები ყველამ მინდიას
მიაპყრო, პასუხს ელოდენ:
ის რომ არაფერს ეტყოდა,
ხევსურნი ერთხმად ეტყოდენ.

ლაშქარი

„– მუდამ შენს რჩევას ვრჩეობდით,
არც რა ზარალი მოგვსვლია.
როგორ მოვიქცეთ, გვირჩიე,
შენი პასუხი მოკლია?!“

მინდია

„– მე ვერას გირჩევთ, ხევსურნო,
აღარ ვვარგივარ მრჩევლადა:
ის სხვა დრო იყო, სხვა ჭკუა,
ეხლა კი ჩემი ნარჩევი
გამოგადგებათ ძნელადა.
აწონ-დაწონეთ, ჯარი ხართ,
ფიქრი შეკარით მთელადა.
მე მარტო უნდა ვიომო,
მიტომ გამოვედ ველადა;
ან როდის საუკუნოდა
მე ხალხმა გამაბელადა?!.“

ლაშქარი

„– ღმერთი გაუწყრესთ და ხატი,
ვინც რომ შენს რჩევას იქითა
ფეხი გადადგას საომრად,
თუნდ თავში სცემონ მჯიღითა:
მოკვდეს და პირი აევსოს
ცივის სამარის თიხითა“.

მ ი ნ დ ი ა

„– კარგია... რა ვქნა, არ მწადდა
გავრეულიყავ რჩევაში.
გეტყვით, რადგანაც ჩამქსოვეთ
ამდენს ფიცში და წყევაში.
სხვას ვერას გირჩევთ: დავუხვდეთ
ქისტებს მოწამლულს ხევაში“.
უსიამოვნო ჩურჩული
მორთეს ერთ-ურთში მხედრებმა;
დარდი დაჰბადა ადგილმა
ქისტების დასახვედრელმა.
მაინც რას იზმენ?.. ვერაფერს,
რაკი სთქვეს, დაიფიცესა,
უარს ვერ იტყვის ლაშქარი,
უნდა იქითკე ვლიდესა,
საცა მინდიამ უჩვენა
ადგილი საომარია,
თუნდ ერთმაც აღარ იცოცხლოს,
ყველაც იქ დარჩეს მკვდარია.
აღარა ეთქმისთ, წავიდნენ,
დროშა ამართეს წინათა,
მსუბუქად მიაბიჯებენ,
შავარდნებს ჰგვანან მფრინავთა,
თან გადიყოლეს მზის სხივი
შუბისა წვერთა მბრჭყვინავთა.

XII

ორი დღე არის მთას იქით
ომია, დიდი ვაება:
მეტად სასტიკი ბრძოლაა,
ვეფხვები ლომებს შაება
და სისხლის თოკი მთიდამა
დაბლა ჭალამდი გაება.
ორსვე ერთგვარად არ ჰნახავს,
ერთს გაუმარჯვებს ღვთაება.
ხუთსა თუ ექვსსა ხევსურსა,
შამურვილებსა სახითა,
კაცი მოჰქონდათ ხელდახელ
შაკრული კაბალახითა.
პირ-აქათ გადმაიყვანეს,
დაბლა დააგდეს ვაკეზე
და სამდურავით მიჰმართეს
ჯავრ-მოსულებმა ბაგეზე.

ხ ე ვ ს უ რ ნ ი ე რ თ ა დ

„– კაცო, რად იკლავ ძალად თავს,
ძალად სიკვდილი გწადიან?
შიგნით რომ იწევ მტრის ჯარში,
ხომ ხედავ, რასაც სჩადიან?!.
დღემდე ჩვენ ვთელეთ ეგენი,
ახლა ეგენი დადიან
ჩვენზე, და იქნებ, მინდიავ,
ჩვენც მოვაგვაროთ სხვა რამე,
ვეცდებით, ბინდმაც ხო გვისწრო,
რო გავისარჯნეთ ამ ღამე“.
ეს სთქვეს და იმ წამს გაბრუნდენ,
გაიქცენ როგორც ქურდები,
ამოღებული ხმლები აქვთ,
ხელში უპყრიათ შუბები,
ძნელია, თუ კი ვიფიქრებთ,
სიკვდილ-სიცოცხლის წუთები;
რა ქნან! რო შარცხვენ, ძნელია,
ტანზე ჩაეცმისთ ჯუბები,
თავს დაეხურვისთ მანდილი
და მოეხდებათ ქუდები,
თუკი არ გაირჯებიან,
როგორც ლაჩრები, ცუდები.
ტყვე კბილებს აღრჭენს და ცდილობს,
უნდა გაიხსნას ხელები,
დიდხანსა წვალობს, გორაობს,
ვარმისგან განაცხელები.
ძმებთან სწადიან სიკვდილი,
აღარ რჩებიან მთელები,
უჭირსთ და აღარსადა ჰყავ
ლაშქარი მისაშველები.
ღამეც გახშირდა კარგადა,
ტყვემ აისრულა წადილი,
ორივე ხელი გაიხსნა,
ფეხზე წამოდგა დაღლილი
და ამ დროს ნახა სოფლებში
ცეცხლები, – ცუდი ნიშანი.
გაიგო, რაც მომხდარიყო,
აღარ უნდოდა მისანი.
გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი
არ მოსდგომოდა თვალებში;
სულ გულში ჩაგუბებულა
და გაბნეულა მკლავებში...
ქუდს იხდის... სიტყვა ვერა სთქვა,
ხმლის ტარს შაეხო ცერითა,
ამოიწვადა ქარქაშით,
გულს მიიბჯინა წვერითა.
მკერდიდან სისხლი, ვით წყარო,
გადმოუვიდა ჩქერითა.
მთვარემაც გადმოუშუქა

საჯიხვეების სერითა
და დააშტერდა თავის მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა...
ნიავიც მიდ-მოდიოდა
უდარდოდ, ნელის მღერითა...
ფრთა გაჰკრის წვერსა ხმლისასა
ამოღერებულს ენითა,
შაღებილს ჭიაფერადა
კაცის გულ-მკერდის წვენითა,
და გათამაშდის მწვანეზე
ლაღად, მოლხენით, სტვენითა.

1901

ჩვენ და ტექსტი

1. თქვენი აზრით, გაზაფხულის დადგომის სურათის შემადგენელი რომელი სახეა ყველაზე უჩვეულო და ეფექტური.
2. როგორ ფიქრობთ, რა კავშირი აქვს მინდიას სახესთან და ნაწარმოების მთავარ პრობლემასთან ავტორის განსჯას: „ქვეყნად ბევრია ბეჩავი, ბევრია შესაწყალები...“
3. თქვენი შეხედულებით, რატომ მოელიან ხევსურები მომავალ ომს ენთუზიაზმით. როგორ გგონიათ, რით, რომელი სახეებით შეესატყვისება ბუნების, გარემოს აღწერა პოემის VIII თავში მინდიას მძიმე სულიერ მდგომარეობას, ტრაგიკულ ხვედრს. რატომ ვერ უმხელს მინდია თავის გასაჭირს ხევისბერს; თქვენი აზრით, რა გრძნობის კარნახით იქცევა იგი ასე.
4. როგორ ფიქრობთ, რატომ აგრძნობინებს მინდიას ტკივილს ბერდიას ლოცვა. როგორ არის გამოხატული ეს ტკივილი; როგორ წარმოაჩენს მინდიას, რას გვეუბნება მასზე ის შედარებები, რომლებსაც აქ ავტორი იყენებს. როგორ გგონიათ, აქვს თუ არა მინდიას ხსნის იმედი.
5. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება ეშველოს მინდიას სისხლიანი მსხვერპლშეწირვის მეშვეობით.
6. თქვენი შეხედულებით, ავტორის რა ზოგადი თვალსაზრისის გამომხატველია ავდრისა და გამოდარების სურათები.
7. სანდუას რომელი გამონათქვამი შეიძლება მივიჩნიოთ აფორიზმად; რა აზრის შემცველია ეს გამონათქვამი და რამდენად ჭეშმარიტი გგონიათ იგი.
8. როგორ წარმოჩნდება მინდიას ტრაგედია მზიას ნაამბობში; მზიას რა გრძნობების გამომხატველია ეს ნაამბობი; როგორ წარმოაჩენს იგი მზიას სულიერ და გონებრივ შესაძლებლობებს.
9. თქვენი აზრით, რამდენად დამაჯერებელია მზიას თავის მართლება; რამდენად სწორია მზიას შეხედულება იმაზე, თუ ვინ არის დამნაშავე.
10. როგორი ემოციების, გრძნობების აღმძვრელია ბუნების სურათი მზიას სიზმარში; თქვენი აზრით, რომელი სახეები, გამოთქმები და სიტყვებია აქ ყველაზე მეტი გამომხატველობითი ძალის მქონე – ექსპრესიული.
11. მზიას რა გრძნობებს, სურვილებს გამოხატავს მის მიერ სიზმრად ნანახი მინდიას ნათქვამი.
12. როგორ აღიქვამენ ქალები ლაშქარს – მათი რა გრძნობები, ემოციები, ფასეულობები მჟღავნდება აქ; რაზე კამათობენ ქალები და თქვენ რა აზრის ხართ ამ კამათზე.
13. დამაჯერებელია თუ არა თქვენთვის ის, რასაც ავტორი X თავის ბოლოს ამბობს. როგორ ფიქრობთ, რატომ არ უმჟღავნებს მინდია ლაშქარს იმის მიზეზს, რომ მის წინამძღოლად აღარ გამოდგება.

14. რა თვისებებს ამჟღავნებს ხალხი მინდიასთან ურთიერთობაში, როცა მისგან წინამძღოლობას მოითხოვს.
15. გამოყავით ომის სურათში მეტაფორები, შედარებები; თქვენი აზრით, რით არის მეტყველი და ეფექტური ეს სახეები.
16. როგორ დამოკიდებულებას იჩენენ მინდიასადმი მეომრები, რომლებსაც იგი ბრძოლის ველიდან ძალით გამოყავთ.
17. როგორ ავლენს მთიელთა საზოგადოების, თემის მორალს ამ მეომრების შემდგომი ქცევა.
18. როგორ წარმოჩნდება მარტო დატოვებული მინდიას სულიერი მდგომარეობა. რას გვაგრძნობინებს, დაგვანახებს ეს სახე: „გაშრა, გაფითრდა, ცრემლი კი არ მოსდგომოდა თვალებში, სულ გულში ჩაგუბებულა და გაბნეულა მკლავებში“.
19. რით არის შთამბეჭდავი მთვარის ხატი მინდიას თვითმკვლელობის სცენაში. თქვენი აზრით, ფინალის რომელი ხატები განგვაცდევინებს ყველაზე მტკივნეულად მინდიას მწარე ბედს.
20. როგორ წარმოისახება აქ ნიავი და რას გვიმხელს მისი ხატი – როგორ განაზოგადებთ ამ სახის აზრს და მნიშვნელობას.
21. მინდიას ცხოვრების რომელ ეპიზოდს გვახსენებს მისი თვითმკვლელობა და რას ნიშნავს ეს თანხვედრა.
22. იმსჯელეთ ავტორის დამოკიდებულებაზე პოემის მთავარ გმირთან – რა ღირებულებები აქვთ მათ საერთო და სად შორდებიან ისინი ერთმანეთს.
23. შეადარეთ ერთმანეთს მინდია და ალუდა ქეთელაური. შეადარეთ მინდიას და „მერანის“ გმირის ტრაგიზმი.
24. შეადარეთ ბუნებისადმი მინდიას დამოკიდებულება ბუნების რომანტიკულ აღქმას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“.
25. იმსჯელეთ თქვენთვის ცნობილ ლიტერატურულ გმირებზე, რომლებიც, თქვენი აზრით, მინდიას ენათესავებიან.

ოსტატობის სკოლა

დაწერეთ არგუმენტირებული ესე
მინდიას სულიერი აღზევება და დაცემა; ჩემი დამოკიდებულება ამ პერსონაჟთან.

კომპლექსური დავალება

პოდკასტის შექმნა

მწერლის შემოქმედების შესწავლის შემდეგ, ალბათ, ყოველ თქვენგანს წარმოდგენაში რჩება ინდივიდუალური, ყველასაგან განსხვავებული, მხოლოდ თქვენეული მწერლის სახე.

გთავაზობთ, შექმნათ პოდკასტი, რომელშიც წარმოაჩენთ მწერლის პიროვნებასა და შემოქმედებას ისე, როგორც თქვენ ხედავთ. ამისათვის შეარჩიეთ პოდკასტის კონცეფცია, რომელიც თქვენეული ხედვის გამოკვეთაში დაგეხმარებათ. ამ კონცეფციიდან გამომდინარე, დაინაწილეთ ფუნქციები, მოამზადეთ პოდკასტის მასალები და შექმენით 10-15-წუთიანი აუდიო – ან ვიდეოპოდკასტი.

შეფასების კრიტერიუმები

ნამუშევარში:

- ისაუბრეთ ვაჟას შემოქმედების უმთავრეს მოტივებზე – ადამიანი და საზოგადოება, ადამიანი და ბუნება, მორალური პრინციპების უზენაესობა;
- აღნიშნეთ, რა გავლენა იქონია მწერლის ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ და თანადროულმა ეპოქამ მის შემოქმედებაზე; ვაჟა-ფშაველას, როგორც ხელოვანის ჩამოყალიბებაზე;
- წარმოაჩინეთ, რითია ფასეული ვაჟა-ფშაველას შემოქმედება თქვენთვის ანდა თანამედროვე ეპოქის მკითხველისთვის;
- თქვენი მოსაზრებების დასადასტურებლად მოიყვანეთ მაგალითები ვაჟა-ფშაველას პოემებიდან „ალუდა ქეთელაური“ და „სტუმარ-მასპინძელი“, ასევე მწერლის სხვა თქვენთვის ნაცნობი ნაწარმოებებიდან; საჭიროებისამებრ, დაიმოწმეთ კონკრეტული ფაქტები ვაჟას ბიოგრაფიიდან;
- წარმოაჩინეთ პოდკასტისთვის დამახასიათებელი ჟანრობრივი თავისებურებები (ლაკონიურობა, ინფორმაციულობა, დოკუმენტურობა, სანდოობა, არგუმენტირებული მსჯელობა, ემოციურობა, ორიგინალურობა).

დამატებითი რესურსები

მოკლე ინსტრუქცია პოდკასტის შექმნის პრინციპებზე იხილეთ სახელმძღვანელოს დანართში (დანართი 4, 4.11. „რა არის პოდკასტი და როგორ შევქმნათ იგი?“, გვ. 546).

დანართი

დანართი 1

საუბრები ლიტერატურაზე

1.1. მელიქსეთბაშის[1] თბილისი

ქალაქი სამეფო კარისა



დარეჯანის სასახლის ფოტო

...ამ ხვეულ კიბეს უნდა ამოჰყვე და მერე გაჩერდე აივანზე, გადმოხედო თბილისს. ეს დარეჯანის სასახლეა. ეგებ, არცა ჰგავს სასახლეს სიმდიდრითა და სიფართოვით, სახლად კი მშვენიერია და მისი აივანიც საუკეთესო აივანია თბილისში: აქედან მთელი ქალაქი ხელისგულზეა.

დარეჯანი დედოფალი იყო, იმ სულკურთხეული მეფე ერეკლეს ცოლი. მისი სასახლე ერთადერთი გადარჩენილი სასახლეა იმ დროიდან, როცა ამ ქალაქში პოეტი ბესიკი ცხოვრობდა. პოეტი ბესიკი, რომელიც დაბლა, ალბათ, აგე, იქ იდგა: ზედ მდინარის პირას და აივნებს უჭვრეტდა ხოლმე. ეს ჭვრეტა ბოლოს ძვირად დაუჯდა, მაგრამ პოეტიც ხომ იმისია, რომ უფრო ძვირად დაუჯდეს რამები, ვიდრე სხვას.

ძველებურად მოვყვეთ ამ ამბავს, ისე, როგორც იმ პატარა კახის მეფობისას მოჰყვებოდნენ ხოლმე.

პოეტი ბესიკი ცხოვრობდა მეფე ერეკლეს, დროებაში და იცნობდა ამ მეფეს, ისევე როგორც ყოველ ადამიანს იმ დროის ქალაქ თბილისში. ეს იყო ქალაქი ეკლესიებისა, ბაღებისა, ვიწრო ქუჩებისა და ფართო აივნებისა, ჯარისა და სამეფო ტახტისა. ეს იყო დროება ლექსებით ლაპარაკისა.

დიახაც, ნუ გაგიკვირდებათ.

თბილისი ქცეულიყო მშვიდობის ქალაქად. ომები მოეთავებინა და ნელ-ნელა შენდებოდა. გარშემო იყო ლეკიანობითა და სიღატაკით გულდამძიმებული ქართლის ქვეყანა, ოღონდ კი თბილისს ხალისობის გემო გაეგო და შეჰხაროდა სიმშვიდესა და სატახტოობად ყოფნას. აქ სიცოცხლის განახლების წყურვილი თვალში მოგხვდებოდათ. სიტყვა ფილოსოფიის დასაწერად მოიხმარდნენ ლათინურ ჶ-ს და, რატომღაც, მოდაში შემოსულიყო გვარების რუსულად მობოლოება. ალბათ, იმ ორპირა გენერალ ტოტლებენის ნაქართველარ ოფიცერთა წაბაძვით.

და დიახაც, ლექსებით იყო მთელი ამბავი: მღვდლები, ნაცვალნი, დიდებულნი, მიკიტანნი, თავადის ქალნი, ფილაფოზნი[2] და მესტვირენი ლექსებს თხზავდნენ, ლექსად ლაპარაკობდნენ, მიიწერ-მოიწერდნენ ლექსად. ლექსად შეადგენდა ხოლმე საბუთს

[1] **მელიქსეთბაში (მელექსეთბაში)** – პოეტების, მელექსეების მეთაური, პირველი მელექსე.

[2] **ფილაფოზნი** – ფილოსოფოსნი.

მდივანბეგი, თუ კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა. მეფესაც კი გაჰქცევია კალამი. იოხუჯებდნენ, სიყვარულს გაამხელდნენ, წრფელ თუ ირიბ გრძნობას, ჯავრს თუ სიხარულს გამოხატავდნენ. სახუმარო ამბავი და პაექრობა ხომ სულ ამგვარი პიიტიკოსობით იყო. ყველა მსუბუქი, მახვილგონივრული, ზმიანი შაირების განწყობას გაჩვეოდა, იყო ერთი გაგზავნა და გამოგზავნა, პასუხის ლოდინი და სიცილ-ხარხარი.

ლექსებს წერდნენ უწვრილეს ყალმით ცხვირსახოცებზე და შეუგდებდნენ მიჯნურს ფანჯარაში. ლექსებს წერდნენ ყანწებსა და დოქებზე, ხმლის პირებსა და ქარქაშებზე, ლექსებს წერდნენ წითელ ღვინოში ჩალბობილი ვარდის კოკრებით მიტკალზე და ღამღამობით სახლებშიც კი იპარებოდნენ, რომ ინაში თითებამოსვრილებს სარკეებზე მიეწერათ ლექსები, რათა გათენებულზე ამოეკითხა ახალგაღვიძებულ ბანოვანს. ლექსებს წერდნენ ისრის პირებით ტანისამოსზე და ფუნჯით – მიწაზე. ყველას ლექსებს უწერდნენ: საყვარელსა და საძულველს, მტერსა და მოყვარეს.

ლექსთა კორიანტელს და ჟივილ-ხივილს, საყოველთაო გაწყობა-გამოწყობას და გარითმვას სიტყვებისას ზედ ახლდა შესაბამისი იერიც.

ყოფაში მეტად მკაცრ, მლოცველ და მარხვის შემნახავ მეფე ერეკლეს სამი რამ უყვარდა: ძვირფასად ჩაცმა-დახურვა, საოხუნჯო ლექსები და სმენა საზანდარისა, სპარსული მკვნესავი სიმღერისა.

ერეკლე სპარსეთში იყო გაზრდილი, სიყმაწვილეშივე ინდოეთამდე მისული კაცი იყო. იმ სპარსეთიდან, იქ რომ კაეშნიანი იყო, გამოჰყოლოდა სიყვარული იქაური სევდიანი გაწელილი ჰანგისა, იქაური სიმღერისა. ამ სიმღერების სიყვარული მთელს ქართველ ბრწყინვალე თავადობას ჰქონდა მაშინ. ამიტომ იყო, რომ მოიახლოვა მეფე ერეკლემ საიათნოვა, აშუღი, რომელმაც პირველმა შეუხამა სპარსულ ჰანგს ქართული და სომხური ჰანგები.

აი, ამგვარ ქალაქში 1750 წელს დაიბადა ბესარიონ გაბაშვილი, ცნობილი პოეტ ბესიკის სახელით.

...

ვის გააკვირვებ იმ თბილისში პიიტიკოსობით, როცა მეფეც კი ხელრთვებს ლექსებად სწერს? ვის გააკვირვებ სამღერლად მომართულ ტკბილი და წკრიალა ხმით ქალაქში, რომელსაც უცხოელები სიხარულის სახლს უწოდებენ? ვის გააოცებ საზანდაროზით იმ ადგილას, სადაც ყოველ ყავახანაში ვირტუოზი საზანდარი ზის და ბრმაც ისე მუსიკობს, რომ თვალხილულს შეშურდება? ვის დაამახსოვრებ თავს ღვინის სმით? ანდა, რამდენი უნდა დალიო ამ პირკურთხეულ ქალაქ თბილისში, რომ თქვან, აჰ, აი, მართალი მოქეიფე გამოჩნდაო?

რა უნდა ქნას ახალგაზრდა კაცმა, რომ მთელი ქალაქი გიცნობდეს?

ბესიკი დიდად ნიჭიერი პოეტია, ოღონდ კი, მაშინ ფასი მისი პოეტობისა არ იყო გადამწყვეტი, ვინაიდან სალაღობო სიმზე მომართულ ლექსაობაში უფრო თვითმიზნური სალექსო ტექნიკა მეფობს და ყოველ ჭკვიან კაცს შეუძლია, ისე დაატრიალოს ლექსი, რომ პიიტიკოსად გამოჩნდეს. ერეკლეს დროის თბილისურ სტამბაში ჯერ არ იბეჭდება ლექსები. თბილისური სტამბების უბრალო ლექსებზე გადარევა მოხდება მხოლოდ ასი წლის შემდეგ, მანამდე კი – დავითნი, ჟამნი, ანტონის თხზულებანი, მავან პოღოსის წიგნი და ასე. პოეტობა კალმის, მიჯნურობის, ეპიგრამის ხელობაა. ლექსები თბილისის სტამბას არ სჭირდება. ისინი გადაიწერება, ან ზეპირად გავრცელდება.

და ბესიკი გამორჩეულია ამაში.

რა გამოჰყვა მამისა და – სიტყვათა მოფიქრების და მტკიცედ დაწყობის უნარი. რა გამოჰყვა და – ენა. ენა ერთადერთი და განუმეორებელი მთელს ქართლში...

ენა, სავსე დაცინვა-გათამაშების, მოსწრებული სიტყვა-პასუხის ასიათასი ხერხით, იმგვარი ლაპარაკით, რომ ვერ გაიგებ, კაცი ხუმრობს, თუ მართლა გელაპარაკება. ეს იყო ენა იოლად შესამჩნევი, სხარტ ლექსში გადატანილი, მწარედ და მართლად გადაქარგული სიტყვებით რომ ახითხითებდა მთელს ქალაქს. მაგრამ იმავდროულად ეს იყო ტკბილი ენა, და თუ ბესიკის ალა-

ლი გული სიტკბოებაზე მომართავდა თავის ჩანგს, მაშინ ყოველი ადამიანი, მსმენელი ბესარიონ გაბაონისა, იჯდა მდუმარე, თავის ფერად ფიქრებს მინებებული და ჩამტკბარ-ჩარბილებული, როგორც ბავშვის მუჭში ჩამალული შაქარყინული.

და კიდევ, ბესიკის ენა იყო ენა სევდისა, სიყვარულისა, იმედისა და დარდისა და ბესიკი აღარავისთვის იყო უცნობი ამ ქალაქში, არამედ, ყველასთვის სასურველი.

ერთგვარად ბესიკი გამოდიოდა გამოხატულება ამ ქალაქის ლხინისა, სევდისა, სიყვარულისა, იუმორისა, მუსიკისა და იერისაც.

მაშინ ცალკე მოხელედ ცენზორი არ არსებობდა. ნაწერისა და ნათქვამის ამბავს, ცხადია, განსაზღვრავდა ეკლესია და ის სულიერი განწყობანი, რომლებიც ჩამომდგარიყო სამეფო კარზე...

მეტისმეტად ლაღი პიიტიკობიდან ეგებ გვარიანი სასჯელიც გამომდნარიყო...

ეროვნება ბესიკის დროინდელ თბილისშიც პირობითი იყო და მიბმული რჯულზე. აქა სცხოვრობდნენ ქართველები, სომხები, სპარსნი, ოსმალნი, ებრაელები და ათასიც სხვა. თბილისი იყო ბაღებში ჩაფლული, ვაჭართა და ხელოსანთა საუფლო, გზებით გადასერილი, ალაყაფებით შეკრული, გორაკებზე ციხეებშემომდგარი, შუა მდინარით გაჭრილი და ამ ქალაქის მოსახლეთა უმეტესნი გახლდნენ მამაპაპეული ხელოსნები და ვაჭრები.

ბესიკი თითქოს აშუღებსაც ჰგავდა, რომლებიც ერთ ფასსაც კი იღებდნენ მომლხენთა დატკბობაში. მაგრამ ბესიკი გვარიანი კაცი იყო, სამეფო კარზე მყოფი და მას აშუღობას ვერავინ შეჰბედავდა. უბრალოდ, ეს იმ იერით თუ მოხდებოდა, რომ, აი, ასეთი კარგი ახალგაზრდა აზნაურია და ჩვენთან, უწოდებოებთან, ტეხს პურსო. ესეც ბატონო, ერთი ჩანასახი კაპიტალიზმისა, რომელიც ძალიან შორს იყო აქედან.

ამგვარ ქცევას მერე და მერე დიდ ნაკლად უთვლიდნენ ბესარიონ გაბაშვილს, ყოველ სუფრაზე აგდიაო, იტყოდნენ, მაგრამ მისი ყოველი ნათქვამი მეორე დილას მთელს ქალაქს პირზე ეკერა, მისი ყოველი ოხუნჯობა ანეკდოტად გადადიოდა.

მწარე ენას ისედაც შეეძლო მტრები მოემრავლებინა ბესიკისთვის, მაგრამ მარტო ენამწარობას ვერ დავაბრალებთ მის მძიმე ხვედრს, გადმოცემით, ახალგაზრდა პოეტთან ბევრ სახიფათო თავგადასავალსა და სატრფიალო საიდუმლოსაც აკავშირებდნენ. ამის კვალი კი მის ლირიკაშიც ჩანს. უწყალო სატრფო, განწირული, უპერსპექტივო სიყვარული ბესიკის ცხოვრების ნაწილად იქცა.

თბილისი და ბესიკი

ეს ქალაქი ზემოქმედებდა ბესიკზე. მისი სიჭაბუკის დროის ლექსები იყო ამ ქალაქში დამკვიდრებული; პიიტიკოსობის თუმცა ღა გამორჩეული, მაგრამ ნამდვილი მაგალითი. ცოტა თუ გამოერეოდა ისეთი, რაც დღესაც ააჩქროლებს კაცის გულსა. ბევრი ამათგანი თითქოს იმ დღისთვის გამოითქმოდა, რათა ქალაქელ საზანდრებს დილით გამოთქმული საღამოთივე გაემუსიკებინათ. არაკეთილმოსურნეთა შორის ბესიკს მეტსახელიც კი შეერქვა, ბლიაძე. ეს მეტსახელი ნიშანია იმისა, თუ რაგვარი ხალხი იცნობდა, ყვარობდა, ეთაყვანებოდა ბესარიონ გაბაშვილს. სულ უბრალო ხალხი მის ლექსსა და ნამღერს ამ ქალაქში თავისად მიიჩნევდა. ეგებ, გადამწერლებთან რიგიც კი იდგა, ბესიკის ლექსები გადაგვიწერეო.

თბილისი არ იყო მხოლოდ აშუღთა ქალაქი. ის მესტვირეთა ქალაქიც იყო. ბლიაძე კი, ისევე, როგორც სხირტლაძე, აგერ მეოცე საუკუნის დასაწყისამდე თბილისში მესტვირეს ნიშნავდა. რაჭული წარმომავლობის ეს გვარები, გამორჩევით კი პირველნი, მოდგმით და მამა-პაპით მისდევდნენ მესტვირეობას...

...იმ დროს საქართველოში რამოდენიმე ქართული ენა მოქმედებდა და, ალბათ, ყველას სჯობდა ენა ხალხური თქმისა, ისევე, როგორც სამეფო ქაღალდებისა, სახელმწიფო საქმისა. ამათ გამოარჩევდა სისადავე

და უბრალოება, მოქნილობა და სიმსუბუქე...

...ბესიკი თავიდანვე სიმსუბუქით გამოსთქვამდა ლექსებს...

ამიტომაც ბლიაძეაო,

მაგრამ ამ ბლიაძეობის გვერდით იყო სევდის ბაღიც და უკვე არსებობდა ლექსის წერის ყაიდაც...

ოცი წლისა, ბესიკი უკვე მეტად ცნობილი ახალგაზრდა კაცია. მისი წუღის ქვეშაა მთელი ქალაქი, უკვე ნაამბობი იერითა და განცდით. ის პოეტია, ოღონდ პოეტობა არ გახლავს ხელობა იმ დროში მისი წარმომავლობის კაცისათვის...

განწირული ურთიერთობა

ბესიკის ცხოვრების რომანი

...მისახვედრია, რომ მისი ბუნებისა და ქალაქს მოდებულობის გამო, გაეხვეოდა სასიყვარულო თავგადასავლებში...

სწორედ ამ თავგადასავლებს დაუკავშირდა პოეტის სამეფო კარიდან და, საერთოდ, ქალაქიდან გაძევება.

სევდის ბაღი

(ცნობილი არ არის რატომ, მაგრამ მეფე ერეკლემ ბესიკი სამეფო კარიდან დაითხოვა)

არავინ იცის, შეხვდა თუ არა მეფეს პოეტი. დაითხოვა და მორჩა...

...საერთოდ, ეს ხანა ერეკლეს გამორჩეული წყრომის ხანაა, მალე დავით ალექსი-მესხიშვილსაც შემოსწყრებიან და დავით სარდალსაც აუკრავენ გუდა-ნაბადს სასახლიდან. კარგს მოიშორებენ, ცუდს დაიტოვებენ.

ამბობენ, რომ ბესიკი სატუსაღოში ეჯდათ.

მაშინ თბილისის მოურავად ჯერ კიდევ იყო დავით სარდალი.

ამბობენ, ბესიკი ციხიდან გაიპარაო.

ამბობენ, დავითის გარეშე ეს საქმე არ მოგვარდებოდაო. იმასაც ამბობენ, თვალი დახუჭეს, გაუშვი, წავიდეს, მოშორდესო.

ის იყო ოცდაშვიდი წლისა და გაიპარა ამ ქალაქიდან, რომელშიც დაიბადა და იცხოვრა ამდენ წელიწადს. გაიპარა და აღარ დაბრუნებულა...

თბილისში გაჰქრა მისი კვალი.

სულ მალე ის შეიქმნა თავადი, დიდი მოხელე იმერეთის კარისა, ელჩი, მოგზაური და იყო სულ მარტო...

მისი საფლავი არსებობდა: ბერძნულ-ქართული, იმ დროისთვის ჩვეულებრივი, დღეისათვის ნამეტანი წარწერით: „საფლავსა ამას შინა მდებარე არს თავადი ბესარიონ ზაქარიას ძე იობიან გაბაშვილი...“

ეს არის საფლავის ქვა. თავად საფლავი კი, ვინ მოძებნიდა?

იგი დაკარგულია.

თბილისი იყო ბესარიონ გაბაშვილის ქალაქი. ის პოეტის ქალაქი იყო. ბესიკი სუნთქვას აძლევდა თბილისს...

აკა მორჩილაძე

1.2 „მეცხრამეტე საუკუნე“

(გაგრძელება)

მორჩილებას თავი შეიძლება დააღწიო მხოლოდ თავისუფლების მოპოვებით. ამიტომ იკითხა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პირით, გაგულისებულმა მე-19 საუკუნემ: „მაგრამ შენ, მეფევ, ვინ მოგცა ნება – სხვას განუბოძო შენთ ყმათ ცხოვრება, მისდევდე შენსა გულისკვეთებას და უთრგუნვიდე თავისუფლებას?“ კითხვა დაგვიანებული იყო. იგი, თუ უფრო ადრე არა, მე-18 საუკუნეში მაინც უნდა დასმულიყო. მაგრამ, რაც მოხდა, მოხდა: ისტორიის შემობრუნება შეუძლებელია. მე-19 საუკუნეს ისღა დარჩენოდა, წარსულის შეცდომა მომავლისათვის გამოესწორებინა. განაცხადა კიდეც:

„მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...
ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს,
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს...“

ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვებით მე-19 საუკუნე სახავდა იმ გზას, საითაც უნდა ევლო ქართველ ხალხს. მაგრამ ამ გზაზე მე-19 საუკუნეს ყოველთვის არ უვლია პირდაპირ, მტკიცედ, ურყევად. ხშირი იყო მერყეობაც, ორჭოფობაც და გაუბედაობაც. ამას არა მარტო ნიჰილისტთა საქმიანობა მოწმობს, არამედ სხვებისაც. ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ განცხადებად არ დარჩეს, ყურადღებას მივაქცევ ზოგიერთ ისეთ მოტივს, რომლებიც ცხადად გამოხატავს მე-19 საუკუნის საერთო სულიერ განწყობილებას.

დავიწყებ იმით, რომ გაგახსენებთ მზიას სიზმარს ვაჟას „გველისმჭამელში“

„მოასქდა ღვარი ზენაით,
ლიბო მოჰგლიჯა ციხესა
და შეურია ისიცა
დაბლა არაგვის რიყესა,
სახლიც წაიღო ჭერხოთურ,
გაგვიყოლია ჩვენაცა...“

მზიას სიზმარი, როგორც ვიცით, მოასწავებს მინდიას დაღუპვას. იგი იღუპება,



ნიკოლოზ ბარათაშვილი მხატვარი ლევან ჭოლოშვილი

როგორც პიროვნება და როგორც იდეა. სახლ-კარის დაქცევა სიმბოლურად ყოფიერების საფუძვლის მოშლას ნიშნავს. სახლ-კარი სამყაროა, ურომლისოდაც არ არსებობს ადამიანი, დიდი კოსმოსის პაწია ნაწილი. თუ ადამიანს იგი არ გააჩნია, ქონებრივად ბოგანო ხდება და სულიერად – ბეჩავი. იღუპება სახლ-კარი, იღუპება ადამიანიც. იღუპება ადამიანი, იღუპება სახლ-კარიც. ამის გამოა, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში სახლ-კარის პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა: სამწუხაროდ, იგი ყოველთვის იქცევა ან სოციალური, ან ეროვნული, ან სულიერი მოუწესრიგებლობის შედეგად.

დარღვეულია და მოშლილია ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარი („კაცია-ადამიანი?!“). მოვლილი და ნაპატრონევია ოთარაანთ ქვრივის კარ-მიდამო („ოთარაანთ ქვრივი“), ავ თვალს რომ არ ენახვება, ისეა, მაგრამ ესეც დაიქცევა, რაკი გიორგიც დაიღუპა და ოთარაანთ ქვრივიც შვილის საფლავს დააკვდა. საბოლოოდ მშრომელისა და უქნარას, გამრჯესი და ზარმაცის ბედ-იღბლის რეზულტატი ერთნაირია...

...განა შეიძლება ამ სურათების დავიწყება? „კარგი რამ იყო თავად თათქარიძის სახლ-კარი... იატაკი აგურისა არის. ეს არის ძნელი, რომ აგურები შიგა-და-შიგ ამოცვივნულან; ამათი ალაგი ამოთხრილ ორმოებად დარჩენილა. თვალების ძალიან გაფაციცება უნდა, თორემ, თუ ფეხი შიგ ჩაგივარდა, ვაი შენს მტერს! ან კისერი მოსტყდება კაცსა, ან თითონვე ფეხი... ამ



ოთარაანთ ქვრივი – ილია ჭავჭავაძე
მხატვარი ჰენრიკ ჰრინევსკი



ილია ჭავჭავაძე – კაცია-ადამიანი?!
ჰენრიკ ჰრინევსკი

ხიფათს შეიძლება კაცი გადაურჩეს, თუ რომ ოთახი ნათელი იყოს. ვაი, რომ არც ეს არის. თუმცა ორი, სათოფეზედ კარგა მოდიდო, ფანჯარა აქვს, მაგრამ ოთახი მაინც ბნელია, იმიტომ რომ ფიჭვის ჩარჩოზედ, მინის მაგიერად, მეტად გამჭრიახ გონებას გაქონილი ქაღალდი გაუკრავს... იმ თათქარიძის ოთახში იდგა ორი გრძელი ტახტი, ერთმანეთის პირისპირ... ორ ტახტ-შუა აღმოსავლეთის კედელზედ მოსჩანდა: კბილებჩამოცვივნულ ბებერ დედაკაცის დაღებულ პირსავით, ერთი ამოჭვარტლული გარედამ და შიგნიდამ, ერთი მწუხარე და დაღრეჯილი ბუხარი. აქა-იქ ოთახის სამკაულად ეყარა სხვადასხვანაირი ნივთები, მაგალითებრ: ტალახიანი ყარაბაღული თეთრი წაღები, პირმოტეხილი სპილენძის თუნგი, ქონიანი შანდალი, სპილენძის საჩაიეში მოხარშული მყრალა-ბალახი, ზურგიელის ნაჭერი და სხვანი და სხვანი“ (ილია ჭავჭავაძე – „კაცია-ადამიანი!?“)...

...დიდ შეცდომას დავუშვებდით, თუ ამ სურათებს მხოლოდ სოციალ-ეკონომიკური გასაჭირის ილუსტრაციად ჩავთვლიდით. მარტო სოციოლოგიური კუთხით განვიხილავდით. დაქცეული სახლ-კარი დაპატიმრებული თავისუფლების სიმბოლოც არის. თუ ქონებრივი სიდუხჭირე, ერთი მხრივ, ნიჰილისტთა წისქვილზე ასხამდა წყალს, მეორე მხრივ, ოპტიმისტთა ოცნებას ფრთებს აკვეცავდა. ბოჭავდა და ზღუდავდა მათ. სიღატაკის სურათები იმ კაეშანსა და სევდას გვიჩვენებენ, რომლითაც შეპყრობილია არა მარტო პროტაგონისტები ამ მოთხრობებისა და რომანებისა, არამედ მათი ავტორებიც, ამდენად, მთელი მე19 საუკუნის მოაზროვნე საქართველოც. ამას ადასტურებს ის წერილიც, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილმა გაუგზავნა ბიძას, გრიგოლ ორბელიანს, 1843 წლის 21 აგვისტოს:

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო! მე არ მძინავს, მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა ღრე-კლდეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გადავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

წერილის თარიღს მნიშვნელობა არა აქვს. ეს მთელი მე-19 საუკუნის საქართველოს ოცნებაა. საქართველოსაც სჭირდებოდა კაცი, რომელიც გაიყვანდა მას ეროვნული მონობის ღრე-კლდიდან.

გათავისუფლების პრობლემა სხვადასხვა კუთხით ისმოდა: პიროვნული, ეროვნული და ორივე ერთად. რაკი მკვიდრდებოდა საქართველოში ახალი, უცნობი ზნე-ჩვეულება, ცხოვრებისა და აზროვნების წესი, ქართველს არა მარტო ქონებრივი რღვევა ემუქრებოდა, არამედ ცნობიერების დაშლაც.

თუ ალექსანდრე ორბელიანი გაუბედავად მაინც ფიქრობდა – „მე რუსები საქართველოში არ მიყვარან, მინდა აქედან ისე გადაიკარგნენ, რომ საქართველოს სუნიც იმათ ვეღარ მიედინოს და რუსეთში კი ბედნიერად იყვნენ“, – დიმიტრი ყიფიანი


ალექსანდრე ორბელიანი

გულახდილად აღიარებდა, – „მე რუსი ვარ ჩემის სამსახურით, ლუკმა პურით, რომელსაც ვჭამ, და ჩემის აზრის მიმართულებით. მე ქართველი ვარ გვარტომობით და მოძმეთა ენით“.

ასე დაკავშირდა ერთმანეთთან ქონებრივი და სულიერი ვითარება: რუსი ვარ, რაკი რუსის ხელფასით ვიკვებები, ქართველი ვარ, რაკი ქართულად ვმეტყველებ. ჩამოყალიბდა ახალი ტიპი, რომლის არსი რუსთა პატივში მყოფმა გლახა ჭილაშვილმა (მეორე სახელითაც არის ცნობილი – გაბრიელ ჭილაძე) ასე გამოხატა: „რუსიცა ვარ და ქართველიც“. გაჩნდა ორბუნებიანი ქართველი, რომლის არსებობა დღესაც გრძელდება.


აკაკი წერეთელი

„ქართულ ტანისამოსსა აბა რაღად იკადრებს: სწავლული კაცი არის, ტანზედ ფრაკი აცვია; ვინც რუსული არ იცის, მთის ნადირსა ადარებს, – ვინც ამტყუნებს, მართალს ბრძანებს: ის სწავლული კაცია! არ მოსწონს სალამური, არც თარი, არც ჩონგური, ლეკური ეზიზღება, მოსწონს ტანცი-მანცია; ვერ დავძრახავთ: ოპერისთვის მიუჩვევია ყური! უჰ! რა შვილი დამდგარა! რა სწავლული კაცია!... თუ რუსული არ იცი, ახლოს ნუ ეკარები, მუსაიფი არ უყვარს, ქართულში ზარმაცია; უსწავლელებთან, თურმე, მოსდის ზაფრის ქარები; რა ჰქნას? არ გავამტყუნებ: ის სწავლული კაცია!... გაბუტვით დადის, სიბრძნე აღარ ეტევა ყელში, მთელს „ნაციას“ ის მოსწონს, მას სძულს მთელი „ნაცია“! აი, სწავლული შვილი, სანატრი ამ სოფელში, ქართველების შეხედვით, ყოვლად კარგი კაცია!“... (აკაკი წერეთელი)

მიმდინარეობს დიდი სულიერი, შინაგანი კონფლიქტი. დრო აჩვენებს, რა დასძლევს – ქართული თუ რუსული ბუნება. დიმიტრი ყიფიანი ღონიერი კაცი იყო და, როცა ვითარებამ მოითხოვა, მასში ქართულმა ბუნებამ გაიმარჯვა. მართალია, ამ გამარჯვებას ხორციელად შეეწირა, მაგრამ სული მისი გადარჩა. ყველას არა აქვს დიმიტრი ყიფიანის ძალა, ამიტომ ბარე ორი საუკუნე მიმდინარეობს სულის რღვევა. ენა სულის ნაწილია, თუ სული ირღვევა, ირყვნება ენაც და, პირიქით – თუ ირყვნება ენა, ირღვევა სულიც. ეს გრიგოლ ორბელიანმა აფორიზმით გამოთქვა: „ერის ცხოვრება, მისი დიდება, მის ისტორია დაცულ არს ენით; რა ენა წახდეს, ერიც დაეცეს... წაეცხოს ჩირქი ტაძარსა წმინდას!...“


დიმიტრი ყიფიანი

ხოლო გიორგი ერისთავმა მთელი სურათი დახატა. მისი პერსონაჟები ამღვრეული ენით მეტყველებენ: ქართულ-რუსულ-სომხურად.

ჩვენ ხშირად ვლაპარაკობთ, რომ ლავრენტი არდაზიანმა, გიორგი ერისთავმა, გიორგი წერეთელმა დაგვიხატეს ახალი, ვაჭართა კლასის გამოჩენის სურათი ქართულ სინამდვილეში. მაგრამ არაფერს ვამბობთ უმთავრესზე: როგორ შემოვიდა ქართულ მწერლობაში ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები. განსაკუთრებით სრულად ეს გიორგი ერისთავის პიესებში გამოჩნდა.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებული ადამიანები სრულიად თავისებური მოვლენაა. ისინი არსებობენ მხოლოდ კოლონიურ ლიტერატურაში და იბადებიან ორი კულტურის შეჯახების დროს. მით უმეტეს, თუ ერთი კულტურა მეორეს ჩაგრავს პოლიტი-

კურად, სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების მხრივ.

ცნობიერების მთლიანობას მოკლებულ ადამიანების სამყაროში არ არსებობს ამაღლებული. მათი სულიერი მიდრეკილებანი შეზღუდულია და არ სცილდება ქონებრივ ინტერესს. მათ სამყაროში იღუპებიან ისინი, ვისი სულიც იღვიძებს. მათი მიდრეკილება მიბაძვაა ან უფლებრივად, ან წოდებრივად, ან ქონებრივად უპირატესისა. ამდენად, უცხოა მათთვის თავისუფლების წყურვილი. სულერთია, გულით ამბობენ თუ ორპირობენ, ისინი ელაქუცებიან ძლიერს, მბრძანებელს. ავლენენ ლაქიურ ერთგულებას. ივიწყებენ ეროვნულობას....



გიორგი ერისთავი

...ჩამოყალიბებულია საზოგადოება, რომელმაც სახე დაკარგა. გაითქვიფა და აირია. უარყო საკუთარი მე. დრო მიდიოდა, მაგრამ ვითარება არ იცვლებოდა. მდგომარეობა იგივე რჩებოდა. როცა დრო მდინარებს, მაგრამ ვითარება მდგომარეობა უცვლელი რჩება, ხალხს ეუფლება სასოწარკვეთილება. ყოველი ადამიანი დროის სვლასთან აკავშირებს ვითარება-მდგომარეობის ცვალებადობასაც. ეს ბუნებრივი სურვილია. ბუნებრივი კანონიც არის. ხალხი თუ პიროვნება, რომელიც ამ კანონზომიერებიდან ამოვარდება, განწირულია.



გიორგი წერეთელი

უნდა გადალახულიყო სასოწარკვეთილებისა და განწირულების განცდა. სასოწარკვეთილებასა და განწირულებას მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ ოთხი მხრიდან შეუტია:

1. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეროვნული და პიროვნული თავისუფლების ამბოხით,
2. რაფიელ ერისთავის სოფლის ყოფის მშვენიერებით,
3. ილია ჭავჭავაძის ეროვნული და სოციალური პროგრამით,
4. აკაკი წერეთლის შემოქმედებითი არსებობის სიხარულით.

ამ ოთხ დარტყმას უნდა დაენგრია რუტინა და ქართველი ერისათვის ისტორიის ასპარეზი გაეკაფა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის რთულ და ნაირფეროვან პოეზიაში ბობოქარი, მოუსვენარი, აჯანყებული სული ტრიალებს. მართალია, მარტოობის მძაფრი განცდა მას არასოდეს ტოვებდა, მაგრამ ამ სოფელზე უარის თქმა მას ადამიანის დამცირებად და უღონობად მიაჩნდა. აქარსებობას მომღერალ, ცრუსა და მუხთალ სოფელს ეძახდა, მაგრამ მის ხიბლსაც უტყუარად ხედავდა. მას არც საყვარელი ქალის საყურის თამაში დარჩენია შეუმჩნეველი და არც ყაბახით აღგზნებული კეკლუცის ფეფები. არც მიბნედილი თვალების მიმართ დარჩენილა გულგრილი და არც ნიავის მიერ მიშლილ-მოშლილი დალალებისა. მის ყურს ფორტეპიანოზე მომღერალი მზეთუნახავიც ატკბობდა და ჩვილი ყრმის ტიკტიკიც. მას ფრიალო კლდეზე გადამდგარი ჩინარიც ხიბლავდა და მცინარი და ცრემლიანი მთაწმინდაც. მაგრამ გულში მაინც განუკურნებელ სევდას ატარებდა. სევდას, გამოწვეულს მამულისა და პიროვნების ბედით.

„ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხვრა არის შვება უბედურისა!“

თუმცა გულდახურულობისა და სოფლისმომდურაობის გამო არ გამხდარა იქარსებობის მონატრული. პირიქით, სხვა რამ ეოცნებებოდა – „მინდა, რომ ვიყო ვარსკვლავი, განთიადისა მორბედი, რომ ჩემს აღმოსვლას ელოდენ ტყეთა ფრინველნი და ვარდი...“ უნდოდა, მარადიულ კოსმოსურ კანონზომიერებას შერწყმოდა: „საღა-



ნიკოლოზ ბარათაშვილი – მერანი
მხატვარი ირაკლი თოიძე

მოს მისთვის შთავიდე, რომ დილა უფრო ვაცხოვლო“. იმასაც ნათლად ხედავდა, რომ მარადიული კოსმოსური კანონზომიერებისაკენ მიმავალი გზა იმ მუხთალ და ცრუ წუთისოფელზე გადიოდა, რომელსაც ყოველი კაცი უჩივის, მაგრამ არავის ეთმობა.

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან – შვილნი სოფლისა,
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!“

„მერანის“ ავტორი თავის ქვეყნის ღვიძლი შვილი იყო და მამულის ბედი – მისი ფიქრისა და ზრუნვის საგანი. მართალია, საქართველოს ბედი „დიდი ხანია, გარდუწყვეტია გულს ირაკლისა“, მაგრამ ნ. ბარათაშვილი ვერ გახდებოდა მისი თანახმა. ის, რასაც „ბედი ქართლისაში“ სოფიო ამბობს, პოეტის გულის ამოძახილია.

„უწინამც დღე კი დამელევა მე!
უცხოობაში რაა სიამე,
სადაცა ვერ ვის იკარებს სული
და არს უთვისო, დაობლებული?
რა ხელ-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული!
და ველად იგი, ამხანაგთ შორის,
ჭირსა, ვით ლხინსა, ერთგვარ დამღერის!
ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?“

ამას ის გულახდილი, დაუფარავი აღტაცება-შეძახილი ადასტურებს: „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა, ტკბილ-სახსოვარნო!“

როგორც პიროვნების, ისე ერის მონობა სამყაროს მთლიანობასა და ჰარმონიას არღვევდა. იმ უხილავ, მისტიკურ კავშირს წყვეტდა, რომლითაც ყველაფერი ერთმანეთს ებმის და ერთიანი ხდება. რა კავშირსაც ნ. ბარათაშვილი მთელი არსებით გრძნობდა და სულის თვალებით ხედავდა. „მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულთ შორის, და უცხოელეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის საუბრის!“ ამას საუკუნის დასასრულს მეორე ჯადოქარიც დაინახავს და წინაპარს „გველისმჭამელის“ დაწერით შეესიტყვება.

საუკუნის სული გამთლიანდება. ნ. ბარათაშვილსაც ის ენა ესმის და ის კავშირი აქვს კოსმოსთან, რა ენაც ესმის და რა კავშირიც აქვს ვაჟა-ფშაველას. ქართული მე-19 საუკუნე 1783 წელს იწყება და 1907 წელს მთავრდება, მაგრამ იგი ერთიანია, რამეთუ მისი გამჭოლი ხაზი ნ. ბარათაშვილის მერანის ლტოლვაა თავისუფლებისაკენ. მე-20 ასწლეულში მას მესამე ჯადოქარი გამოეხმაურება „ლურჯა ცხენებით“. ნ. ბარათაშვილსა და ვაჟა-ფშაველას დარად, მანაც იცოდა, რომ „სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმერებს!“ გამოუცნობი ქიმერების წვდომა თავისუფალ სულს შეუძლია. მას ერიც უნდა მისწვდეს და პიროვნებაც. არ არსებობს თავისუფალი ერი თავისუფალი პიროვნების თვინიერ, და პირიქით: არ არსებობს თავისუფალი პიროვნება თავისუფალი ერის თვინიერ. თავისუფალი კაცობრიობა თავისუფალი ერებისა და პიროვნებებისაგან ყალიბდება.

„სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს,
იქ იყოს ჩემი მიწა, სამშობლო;

მხოლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა,
ვამცნო გულისა მე საიდუმლო!“

რა არის ეს გულის საიდუმლო?

„რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

ქართული მე-19 საუკუნე ამ მზიანი დილის მოლოდინი იყო. ამბოხებულ სულის გვერდით, საქართველოში ის კაციც ცხოვრობდა, ვინც დღედაღამ მიწას დასცქეროდა და დაკოჟრილი ხელებით ხორცისა და სულის საზრდელს ქმნიდა. მას იმედი და სიხარული სჭირდებოდა. რაფიელ ერისთავი გლეხის ყოფის მძიმე სურათს ხატავდა, მაგრამ ამას გვერდით თან ახლდა რაღაც სილამაზე, რასაც სოფლური არსებობის იდილია და გლეხის დაუმორჩილებელი და გაუტეხელი ბუნება ქმნიდა. ბატონის, მამასახლისის, გზირისა და მევახშის მიერ დაჩაგრულ მშრომელს აქარსებობის მაინც არ ეშინოდა.



რაფიელ ერისთავი

„მოხან, მოთესე, მოიმკე,
ბუნება მწყალობელია;
გამხნევდი, ძმაო, იმედი
არსად არ გაგიფრინდება,
ღმერთი დიდია, ღარიბო,
გული ნუ შეგიშინდება“...

...მიწას მიბმულ მაშვრალს აქარსებობის იმედს თავად ბუნების მშვენიერება აძლევდა. ყველაფერი გარემომცველი უთვალავ სილამაზეს შეიცავდა. ნუთუ შემოქმედი ამ მშვენიერებას ადამიანის აქყოფნის გასამწარებლად ქმნიდა? ძნელი დასაჯერებელი იყო ეს. ამიტომ ადამიანი ბუნებით ტკბობას უნდა მისცემოდა და სულის სიმშვიდე ეპოვნა...

...არა მარტო რ. ერისთავს, არამედ მე-19 საუკუნის მთელ ქართულ მწერლობას სწამდა და სჯეროდა, რომ ქრისტეს მიერ მონათლული კაცობრიობა არ დაკმაყოფილდებოდა შრომის იდილიით. შრომა გათავისუფლდებოდა და კაცობრიობაც შვებით ამოისუნთქებდა.

„შრომისა ახსნა – ეგ არის ტვირთი
ძლევამოსილის ამ საუკუნის,
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი
მაგ ახსნისათვის მედგრადა იბრძვის...
შრომის სუფევა მოვა მაშინა
ჭეშმარიტების მის ძლიერებით
და განტკიცდება სოფელსა შინა
კაცთმოყვარების სახიერებით...“

ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე ამ სიტყვებით რ. ერისთავის ოცნებასაც აგრძელებდა და საკუთარ მრწამსსაც ერს აცნობებდა. შრომის გათავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო. ალბათ, მეტად იშვიათად გამოსულა სამოღვაწეო ასპარეზზე ყმაწვილი კაცი ისეთი ნათელი და გარკვეული პროგრამით, როგორიც ილია ჭავჭავაძეს ჰქონდა: „ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა“. და მართლაც, წინ უძღოდა, სანამ წიწამურში არ დაეცა განგმირული.

ილიას პიროვნებისა და ცხოვრების წესის თავისებურება იყო ისიც, რომ თანაბრად მოახერხა შემოქმედებითი და პრაქტიკული საქმიანობის შერწყმა. დღეს უკვე გვიჭირს, გავარკვიოთ – ვინ უფრო დიდია, მწერალი (პოეტი, პროზაიკოსი, პუბლიცისტი) ილია ჭავჭავაძე, თუ ბანკირი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ვინ უფრო სჭირდებოდა მე-19 საუკუნის საქართველოს. უფრო მართალი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ილია ჭავჭავაძის ორივე ჰიპოსტასი თანაბრად აუცილებელი და საჭირო იყო. ადამიანური საქმიანობის ორივე მიმართულებას – მხატვრულ შემოქმედებასა და ეკონომიკურ-ფინანსურ პრაქტიკას – იგი ერთი მიზნისათვის იყენებდა: საქართველოს თავისუფლებისათვის. მაგრამ, ილიას აზრით, ვერც სოციალურად და ვერც ეროვნულად ვერ გათავისუფლდებოდა ქართველობა, თუ სამი პრინციპი არ განხორციელდებოდა რეალურად: შრომის უანგარო სიყვარული, იდეალის უდრეკი სამსახური და ეროვნული ერთიანობა.

ოთარაანთ ქვრივი და მისი გიორგი

იდეალური მშრომელი ადამიანები არიან. გიორგისათვის ჩემი და სხვისი არ არსებობს. სხვისას იგი ისევე უვლის და პატრონობს, როგორც თავისას. არჩილის მეჯინიბესაც გულიანად სცემა. რატომ? მეჯინიბეს არჩილის გაოფლიანებული ცხენი დაება. არ გაუტარ-გამოუტარებია, რომ ოფლი შეშრობოდა. ცხოველს დახუთვა ემუქრებოდა. ეს უსულგულობა ვერ აიტანა გიორგიმ. გიორგის ეს თვისება სოფელს უკვირს. „ეს კაცი ან გიჟია, ან ღვთისაგან მოგზავნილი“. გიორგი არც გიჟი იყო და არც ღვთისგან მოგზავნილი. იგი მშრომელი კაცის ის იდეალი იყო, რომელზეც ილია ოცნებობდა, მაგრამ გიორგისა და მისთანების სიცოცხლისათვის გარემო არ არსებობდა. იმისათვის, რომ ადამიანმა შემოქმედებითად იცოცხლოს, მარტო მისი თვისება არ კმარა. გარემოც უნდა უწყობდეს მას ხელს, მისი გაეგებოდეს და ესმოდეს. სამწუხაროდ, გიორგის გაგება, არა თუ გარემოს, არჩილსაცა და კესოსაც არ შეეძლოთ. არა იმიტომ, რომ ისინი სოციალურად იყვნენ განსხვავებული. ომარაანთ მოჯამაგირეც გლეხია და არჩილის მეჯინიბეც, მაგრამ იმათაც ვერა გაუგიათ რა გიორგისი. მათი გათიშვის საფუძველი ცნობიერების სხვადასხვაობა იყო. გიორგი იმ ცნობიერების ნაყოფი იყო, რაც ილიას ჰქონდა, რაც ახალი იყო და მომავლის იდეალი. არჩილიც, კესოც, ომარაანთ მოჯამაგირეც თუ არჩილის მეჯინიბეც ჯერ ძველისაგან ვერ გათავისუფლებულიყვნენ. მათ ტრადიცია ბოჭავდა, ზღუდავდა. არჩილსა და კესოს გონება გიორგის სიკვდილმა გაუთავისუფლა, შიგნიდანმხედველი თვალები აუხილა. ამიტომ გაუხარდა არჩილს კესოს ტირილი. ამით დაინახა მან გაყოფილი ცნობიერების გამთლიანების იმედი, ძველი ირღვევოდა და იშლებოდა. შორეულ თვალსაწიერზე მოსჩანდა ახალი. ცნობიერების გამთლიანება ეროვნული მასშტაბით უნდა მომხდარიყო. სხვაგვარად თავისუფლების მოპოვება არ მოხერხდებოდა. ცნობიერებადაშლილი ხალხი მონობას თავს ვერ დააღწევდა.

„აგერ ორ-სამს კაცს რაღაც უგრძვნიათ,
ქვეყნისა სახსრად ერთად მოდიან,
ერთის საქმისთვის გაუღვიძნიათ
და ერთმანეთს კი არ ენდობიან.
ერთმანეთისა მათ სიკეთე ჰშურთ,
თუმც ერთისათვის თითქო იღვწიან;
თვით ამხობენ მას, რის აღდგენაც ჰსურთ,
თვით ჰშველიან მას, რასაც ებრძვიან...“

ეს გაორება იმის ბრალიც იყო, რომ იდეალის სამსახურში ბევრი მერყეობდა. რაც დღეს სწამდა, იმისი ხვალ არ სჯეროდა. რასაც ხვალ იწამებდა, იმას ზეგ ეჭვის თვალით შეხედავდა. იდეალის წამდაუწუმ ცვლა მათ ზნეობრივ ტკივილს არ აყენებდა. სულის სიმტკიცე იშვიათი თვისება გამხდარიყო. როცა „განდეგილი“ იწერებოდა, ილიას სწორედ რწმენის სიმტკიცის პრობლემა აწუხებდა. ბეთლემს შეხიზნული ბერი მანამ მშვიდად და პირნათლად გრძნობდა თავს, სანამ მწყემსი ქალის სახით განგებამ ცდუნება არ მოუვლინა. განდეგილის რწმენის სიმტკიცე შეირყა.

„– მაშ, ვინც ქვეყნად ვართ, ყველა
წავწყდებით,
ველარ დავიხსნით ვერაფრით სულსა?
– ხსნა ყველგან არის... ხოლო გზა ხსნისა
ესეთი მერგო მე... უბედურსა...“

ეს უკვე მერყეობა აღარ იყო. ეს რწმენის უარყოფა იყო. განდეგილიც დამარცხდა.

იმ სამ პრინციპს, ილიამ რომ წამოაყენა – მამული, ენა, სარწმუნოება – განხორციელება მაშინ ეწერა, როცა ქართველი შრომის სიყვარულს ისწავლიდა, ეროვნულ ერთიანობას მიაღწევდა და იდეალის სამსახურში ვერავითარი ცდუნება ვერ დასძლევდა. ეროვნული ცნობიერების გამთლიანებაც, შრომის სუფევაც, თავისუფლებაც ქართული მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო.

ალბათ, მე-19 საუკუნის არც ერთ ქართველ მწერალს არ უთქვამს იმდენი მწარე სიტყვა საქართველოზე, რამდენიც აკაკი წერეთელს. ეს მან დაიკვნესა – „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!“ ეს მან დაამუნათა ქართველი – „თუ გშია, პატრიოტობ, შენ მოძმესაც უწყრები; მაგრამ მაშინ კი სხვა ხარ, როდესაც გამოძღები;



„განდეგილი“, ილია ჭავჭავაძე
მხატვარი ჰენრიკ ჰრინევსკი

თავი ქონით გაქვს სავსე და ტვინით კი – ფეხები“. ეს მან უსაყვედურა ჩვენს ხალხს – „გამტანია ჩემი ერი, გარეგანად მშვენიერი... ისე უყვარს ქვრივ-ოხერი, რომ ჰსურს, იყოს ჩვენში ბევრი...“ მაგრამ აკაკის შემოქმედებაში არის ერთი თვისება, რომელიც მას რენესანსული ტიპის პოეტად ხდის. მრავალ ღირსებასთან ერთად, რენესანსულ ხელოვნებას ჰქონდა კიდევ ერთი თვისება – შემოქმედების სიხარული. რენესანსის ეპოქის ხელოვნება იქმნებოდა სიხარულით. თავად შემოქმედება იყო სიხარული. არა ძალდატანება, არა იძულება, არა შეკვეთა, არამედ სიყვარული. ტკივილი, ტანჯვა, მწუხარება, სიკვდილი, ყველაფერი წარმოჩენილი იყო აქარსებობისა და შემოქმედების სიხარულის ნათელში. ასეთი სიხარულის ნათელით არის გამსჭვალული აკაკის პოეზიაც. ამ თვალსაზრისით არის იგი რენესანსული პოეტი. გესლიან სატირას წერს იგი თუ პათეტიკურ პოემებს, სევდით ევსება გული თუ ომახიანად ყიჟინებს, აწმყო გულს უკლავს თუ მომავალი ახარებს – ყველგან სიხარულის ნათელი სუფევს, რომელსაც მის შემოქმედებაში სიმბოლური ხატი აქვს – ცისარტყელა...

. . .

„რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა,
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა...“

. . .

„ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტად
გადმოეშვა ცისარტყელა:
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!“

აკაკი წერეთლის შემოქმედების ამ თვისებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისთვის. შემოქმედი მარტო ის კი არ არის, ვინც ქმნის, არამედ ისიც, ვისაც შემოქმედება ესმის და გაეგება. ქართველ ხალხს ესმოდა კიდეც და გაეგებოდა კიდეც აკაკის შემოქმედებაში არსებული სიხარულის ნათელი. ეს ნათელი თავად ქართველი ერის ბუნებიდან ამოდიოდა. გრიგოლ რობაქიძეს აქვს ნათქვამი – ქართველი ცხოვრობსო პრინციპით: გაიხარე – გამახარე. მართალია, აკაკი, ბევრად ადრე, მისებურად ენაკვიმატობდა და ხუმრობდა: ქართველების დევიზია – გატირებ და გიტირებო, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ ქართველის ბუნების უმთავრესი თვისება სწორედ სიხარულია. სიხარულით ებრძოდა ქართველი ყველა ჭირ-ვარამს, რომელიც კი მას თავზე დასტეხია გრძელი საუკუნეების მანძილზე. ქართველის გონება არასოდეს არ ყოფილა ფანატიზმით დაბნელებული. არც რელიგიურ, არც პოლიტიკურ, არც სოციალურ, არც ფილოსოფიურ ფანატიზმს მისთვის საღი განსჯის უნარი არ წაურთმევია. არც გამარჯვებას და არც დამარცხებას ქართველში არ ჩაუკლავს ცხოვრების ხალისი. იგი ყველგან და ყველაფერში პოულობდა სიხარულის წყაროს. თუ ჩვენს ისტორიაში ბევრი შავი ფურცელია – ადამიანით ვაჭრობით დაწყებული, ღალატითა და დასმენით დამთავრებული, – ეს მაშინდელია, როცა ქართულ სულიერ სამყაროს უცხო ძალა თრგუნავდა. რაც ყოველთვის გვიჭირდა და დღესაც გვიჭირს, ეს არის უცხო სულიერი გავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევა. ხორციელ ბრძოლას უფრო იოლად

ვახერხებთ, ვიდრე სულიერს. სულიერად დაბეჩავებული კი ადვილად ვემორჩილებით ბოროტებას. ყოველნაირ ბოროტებას აკაკი წერეთელი სიხარულის ნათელით ებრძოდა –„ვნახავ ქორწილს ბუნებისას, გავიგონებ მის მაყრულსა“. ანდერძად კი გვიტოვებდა:

„მონას რად უნდა კრული სიცოცხლე?
ვისთვის აანთოს წმინდა ლამპარი?
სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

მაგრამ ეს ანდერძი უკვე მე-20 საუკუნის საქართველოს ეკუთვნოდა. სიხარულის ნათელის დადგომაც მე-19 საუკუნის მოლოდინი იყო. მოლოდინი მოლოდინად, სურვილი სურვილად, ოცნება ოცნებად დარჩა. მე-19 საუკუნის ქართულმა მწერლობამ მაინც ვერ სძლია და დაამარცხა საბოლოოდ სასო და იმედწარკვეთილობა, ამიტომ დაიგმინა გრიგოლ ორბელიანმა: „ან ეს რაცა ვჰსთქვი, რადა ვჰსთქვი, თუ რაც მინდოდა ვერა ვჰსთქვი...“ თქმით, რაც სათქმელი იყო, კი ითქვა, მაგრამ პრაქტიკული შედეგი არ სჩანდა, ალბათ, ამის მიზეზი ისიც გახლავთ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში ყოველი ზნეობრივად ამაღლებული და სპეტაკი პროტაგონისტი იღუპება.

ზვინიდან გადმოვარდნილი გიორგი ურმის ჭალს ზედ დაეგო და დაიღუპა. ოთარაანთ ქვრივი შვილის დარდს გადაჰყვა („ოთარაანთ ქვრივი“).

ჰაჯი-უსუბმა თავი მოიკლა, რაკი მისმა აღზრდილმა ზნეობასა და კეთილშობილებას უღალატა („გამზრდელი“).

ბეთლემს შეხიზნულმა ბერმა ცდუნებას ვერ გაუძლო და შეიშალა („განდეგილი“).

რაკი ონისემ მამის იმედი ვერ გაამართლა, გოჩამ შვილი მოჰკლა და, საზარელი დანაშაულით შეძრწუნებული, შეირყა („ხევისბერი გოჩა“).

ალუდა ქეთელაური, ვინც, მტრის ვაჟკაცობით აღტაცებულმა, მარჯვენის მოკვეთის ადათი არ შეასრულა და მოსისხლეს მსხვერპლიც შესწირა, თემმა მოკვეთა და გააძევა („ალუდა ქეთელაური“).

ზებუნებრივი ნიჭი დაკარგა და გველის-მჭამელმა მინდიამ თავი მოიკლა („გველის-მჭამელი“).

ასე ტოვებენ აქარსებობის ასპარეზს ისინი, ვინც ღვთის მადლით არიან ცხებულნი. ერთი მხრივ, მორღვეულ-მოშლილი სახლ-კარი და, მეორე მხრივ, სიკვდილი აღარ ტოვებენ იმედისა და ნუგეშის ადგილს. ადამიანის სული შვებას ზმანებებსა და ხილვებში ჰპოვებს. აკაკის „თორნიკე ერისთავში“ ხილვაა:

„ენახა: ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა – წმინდა მოწმობის.
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყროთ სამთავეს თვალნი,
საქართველოსკენ იშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმაშეწყობილად,
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
– დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდე ცოდვა!... ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!...
მოეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გარდმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
განუმტკიცებდე აღმაფრენასა
და შენს საქებრად, სადიდებელად
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!“

ამ ხილვაში როგორც აკაკი წერეთლის, ისე მთელი ქართველი ერის ოცნებაა გაცხადებული.

ვაჟა-ფშაველაც ზმანებაში ხედავდა საქართველოს თავისუფლებას. „ბახტრიონში“ ამას არა მარტო კვირიას სიზმარი ადასტურებს, არამედ პოემის ფინალიც, გველი რომ მკურნალობს ლუხუმს და ლაშარის გორზე შედგომის შესაძლებლობას აძლევს. ვაჟას კვირიაც სიზმარში შავ ვეშაპს ხედავს, რო-

მელსაც „პირითაც ცეცხლი სდიოდა, საზარელ იყო მეტადა“, აკაკის მოძღვარიც „ბაში-აჩუკში“ გველეშაპს ნახულობს სიზმრად, ალავერდის მონასტერს რომ შემოხვევია. აკაკისთანაც და ვაჟასთანაც გველეშაპის მოკვლა საქართველოს მტრების დამარცხებას ნიშნავს...

...ქართული მე-19 საუკუნე ზმანებებისა და ხილვების საუკუნეც იყო. მე-20 ასწლეულის დასაწყისში მათ გაქრობა ელოდათ, ის თაობა მოდიოდა, რომელიც...

...ქართული ეროვნული ნიჰილიზმის ნიადაგში სოციალიზმის ხე ირგვებოდა. იმათ, ვისაც საქართველოს ეროვნული ენერგია არ სწამდათ, ერთგული გამგრძელებლები ებადებოდათ ქართველი მარქსისტების სახით: „რის ქართველობა, რა ქართველობა! მითომ რას გვავნებს უცხო ტომობა?“ ნ. ბარათაშვილის ეჭვი რეალური საფრთხე ხდებოდა...

...მართლაც, ქართველი აღარ მღეროდა – „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა გმირი!... სიხარულით შეეცვლება იმდენი ხნის გასაჭირი!“ მას ხელში სოციალიზმის დროშა ეჭირა და ეჟენ პოტიეს „ინტერნაციონალს“ აქუხებდა...

...გახდებოდა თუ არა კაცობრიობა მთლიანი, ინტერნაციონალური, ეს არავინ უწყოდა. ქვეყანას რომ დაანგრევდნენ და გაანადგურებდნენ, ეს ცხადი და ნათელი იყო, მაგრამ ისტორიის ჩარხი მაშინ მაინც მარქსიზმის სასარგებლოდ ბრუნავდა.

ილიას ეტლი წიწამურს უახლოვდებოდა. მას წიწამურის ჯაგებში ჩასაფრებულ-ჩაცუცქული სოციალისტ-ინტერნაციონალისტები ელოდნენ.

დიდი ეპოქა მთავრდებოდა.

აკაკი ბაქრაძე
1991 წ.

1.3. ქართული რომანტიზმის ისტორიულ-კულტურული კონტექსტი

(ამონარიდები)

რომანტიზმის ფილოსოფიური წყაროები მრავალრიცხოვანი და უაღრესად მრავალფეროვანი იყო.

რომანტიზმი ილაშქრებდა განმანათლებლობის იმ რწმენის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც გონება აბსოლუტური ძლიერების მატარებელია და მხოლოდ რაციონალურ პრინციპებზე დაყრდნობითაა შესაძლებელი კაცობრიობის წინაშე მდგომი არსებითი პრობლემების გადაწყვეტა...

...რომანტიზმის მსოფლმხედველობამ ზეგავლენა მოახდინა XIX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე იმ პროცესებზე, რომლებიც ეროვნული თვითმყოფადობის აღორძინებისა და ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნისაკენ იყო მიმართული (რაც შეიძლება დახასიათდეს, როგორც პოლიტიკური რომანტიზმი).

...რომანტიზმში ხდება მიკრო და მაკროკოსმოსის, შინაგანისა და გარეგანის იდენტობის შუასაუკუნეობრივი პრინციპის აღორძინება.

ეს პრინციპი გამოთქმულია ნოვალისის ცნობილ აფორიზმში: „ჩემი სატრფო მინიატურაში მოცემული (ასე ვთქვათ, „შეკუმშული“) სამყაროა, ხოლო სამყარო – განვრცობილი (გაშლილი) ჩემი სატრფო“.

რომანტიზმის მოძღვრებიდან აბსოლუტების, აგრეთვე, მიკრო და მაკროკოსმოსების ერთიანობის შესახებ, ლოგიკურად გამომდინარეობს ბუნების რომანტიკული გაგება. რომანტიკოსთა მიხედვით, ბუნება არ შეიძლება გავიგოთ, როგორც მკვდარი რამ. იგი სხვა არაფერია, თუ არა მთვლემარე მდგომარეობაში მყოფი სული.

ადამიანის არსს, რომანტიზმის მიხედვით, განსაზღვრავს სწრაფვა, ლტოლვა, შინაგანი აქტივობა, ნება. ამასთან, რომანტიზმი ამ სწრაფვას თავისებურად იაზრებს და მას ადამიანის სასრულობას უკავშირებს. რომანტიზმის თანახმად, ადამიანის არსი ისაა, რომ იგი უნდა ესწრაფოდეს, უპირველეს ყოვლისა, მიღმურს, აბსოლუტურს. ამავე დროს, მას, თავისი სასრულო-

ბის გამო, არასდროს ძალუძს ამ აბსოლუტურის მიღწევა; აქედან გამომდინარეობს ადამიანის განუწყვეტელი მერყეობა, მისი ხასიათის გამუდმებული ცვალებადობა. მიზნისაკენ აუცილებელი სწრაფვისა და მისი მიღწევის შეუძლებლობა... ცნობიერება საშუალებას გვაძლევს, რომანტიზმი დავახასიათოთ, როგორც „უბედური ცნობიერების“ ნაირსახეობა. ამავე დროს, ზემოთ თქმული არ ნიშნავს იმას, თითქოს რომანტიზმი ფატალიზმისა და ბედთან შეგუების უბრალო მქადაგებელი იყოს, პირიქით, იგი სწორედ აქტიური საზოგადოებრივი პოზიციის დამკვიდრებისკენაა მიმართული.

მართალია, ადამიანი ესწრაფვის იმას, რისი მიღწევაც თავისი სასრულობის გამო არ ძალუძს, მაგრამ მას შეუძლია, წარმოსახვის მეშვეობით მისწვდეს თავის საგანს.

რომანტიზმის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს აგრეთვე ისტორიზმის პრინციპის დამკვიდრება. მათთვის წარსული არაა გაყინული იდეალი, ის რეალობაა თავისი დადებითი თუ უარყოფითი მხარეებით.

რომანტიკოსთა კიდევ ერთი დამსახურება ისიცაა, რომ მათ ხელოვნებას მიზნად დაუსახეს არა მხოლოდ ანტიკური ისტორიის გამოსახვა, არამედ საკუთარი ეროვნული ისტორიის მხატვრული წარმოჩენაც. მათ პირველებმა მოაქციეს ჰუმანიტარული კვლევის ცენტრში ეროვნული ფოლკლორი, თქმულებები, ხალხური პოეზია.

რომანტიზმი შეიძლება შეფასდეს, როგორც ერთ-ერთი უდიდესი კულტურული მოვლენა კაცობრიობის ისტორიაში.

...

რომანტიზმის თეორეტიკოსები საგანგებოდ შეჩერდნენ ხელოვანის ბუნების რაობაზე. მათი აზრით, ნამდვილი რომანტიკოსი პოეტის მისწრაფებას არ შეეძლო, მოეთმინა რაიმე კანონისა თუ წესის იძულებითი ზემოქმედება: რომანტიკოსი პოეტის სწრაფვა შეუზღუდავი და დაუქვემდებარებელი უნდა ყოფილიყო, რადგან თვით ასეთი პოეტი ქმნიდა კანონებს საკუთარი შემოქმედებისათვის.

რომანტიკოსი საინტერესოდ მხოლოდ ინდივიდუმს მიიჩნევდა და მთელ პოეზიას უაღრესად პიროვნულ მოვლენად თვლიდა. მისთვის პოეტი ქურუმი იყო, რომელიც მომავალს წინასწარმეტყველებდა და მსოფლიოს კანონებს უწესებდა; იგი უკეთ წვდებოდა ბუნებას, ვიდრე მეცნიერის გონება, რადგან მას ხელმძღვანელობდა განგება, რომლის საყრდენსაც ადამიანის გრძნობები წარმოადგენდა.

ასეთი იყო რომანტიზმის მთავარი ამოსავალი და სახელმძღვანელო პრინციპები.

კახა კაციტაძე, კახა ჯამბურია

დანართი 2.
დამატებითი საკითხავი

2.1. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება

(მასალა მომზადებულია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, ამირან თაბუაშვილის, საჯარო ლექციის – „ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება“ – მიხედვით

http://www.ianusi.com/2018/04/blog-post_23.html)

1800 წლის 18 დეკემბერს პავლე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვითაც, უქმდებოდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველო უშუალოდ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა. ეს დოკუმენტი საიდუმლოდ გადაეგზავნა გენერალ კნორინგს, რომელსაც ავადმყოფი მეფის გიორგი XII-ის გარდაცვალებამდე ის არ უნდა გამოეცხადებინა. 10 დღის შემდეგ, 1800 წლის 28 დეკემბერს გიორგი XII გარდაიცვალა. ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე სვეტიცხოველში დაკრძალეს.

გიორგი XII-ის გარდაცვალებისთანავე გენერალმა ლაზარევმა შეკრებილ თავადებს განუცხადა, რომ ქვეყნის შემდგომ ბედს რუსეთის იმპერატორი გადაწყვეტდა. მომავალი მეფის საკითხს გენერალი საერთოდ არც შეხებია. ლაზარევის სიტყვას მისი თარჯიმანი თარგმნიდა, მაგრამ იქვე მდგარმა სოლომონ ლიონიძემ თავადებს განუცხადა: გენერალი დავით გიორგის ძეს მეფობას ულოცავსო. ამის გამო სოლომონ ლიონიძემ მკაცრი შენიშვნა მიიღო, რომ არ ჩარეულიყო იმ საქმეში, რაც მას არ ეხებოდა. შეკრების დამთავრების შემდეგ სოლომონ ლიონიძე დააპატიმრეს. მან გაქცევა მოახერხა და თავი იმერეთს შეაფარა.

ამასობაში, 1801 წლის 18 იანვარს, რუსეთში გამოქვეყნდა პავლე I-ის მანიფესტი. ქართლ-კახეთის სამეფოს დროებით გამგებლად დაინიშნა დავით გიორგის ძე. 1801 წლის 11 მარტს შეთქმულებმა მოკლეს რუსეთის იმპერატორი პავლე I. ტახტზე აიყვანეს მისი ვაჟი – ალექსანდრე I. ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა (1801-1825 წწ) კავკასიის ხაზის უფროსს კნორინგს დაავალა, გაერკვია ვითარება ქართლ-კახეთის სამეფოში. კნორინგი ჩამოვიდა თბილისში, გადააყენა დავით გიორგის ძე და ქვეყნის მმართველად დანიშნა გენერალი ლაზარევი. კნორინგმა „შეისწავლა“ ვითარება ქართლ-კახეთში და თავისი დასკვნა რუსეთის სახელმწიფო საბჭოს გააცნო. კნორინგის აზრით, ქართლ-კახეთს დამოუკიდებლად არსებობა არ შეეძლო. სახელმწიფო საბჭოში ეს აზრი არ გაიზიარა მხოლოდ ორმა კაცმა, გრაფმა კოჩუბეიმ და გრაფმა ვორონცოვმა.

შედგა ახალი მანიფესტი, რომელსაც ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა 1801 წლის 12 სექტემბერს. ამ მანიფესტით გაუქმდა ქართლ-კახეთის სამეფო და აღმოსავლეთ საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ეს მანიფესტი მხოლოდ 1802 წლის 12 აპრილს წაუკითხეს სიონის ტაძრის ეზოში შეკრებილ ალყაშემორტყმულ ქართველებს.

ქართლ-კახეთის უმაღლეს ხელისუფლებას სათავეში ედგა საქართველოს მთავარსარდალი, მას მთავარმმართებელსაც უწოდებდნენ. პირველი მთავარმმართებელი იყო გენერალი კნორინგი. მთელი ქართლ-კახეთი დაიყო მაზრებად. სულ შეიქმნა 5 მაზრა: გორის, ლორეს, სიღნაღის, დუშეთისა და თელავის. მაზრებს სათავეში რუსი სამხედრო მოხელეები – კაპიტან-ისპრავნიკები უდგნენ. ყოველ მაზრაში შეიქმნა სამაზრო პოლიცია და სამაზრო სასამარ-

თლო. სასამართლოში გაბატონდა რუსული ენა. ქალაქის მმართველობა დაეკისრათ კომენდანტებს.

რუსეთმა, ფაქტობრივად მოახერხა ის, რასაც ბრძოლით ვერ ახერხებდნენ ირანი და თურქეთი. მან თითქმის ყოველგვარი გართულების გარეშე, გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო. ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება, პირველ ყოვლისა, შედეგი იყო ქვეყნის შინაგანი სისუსტისა, ასევე, იმ არახელსაყრელი საერთაშორისო ვითარებისა, რომელიც მაშინ არსებობდა.

რუსეთმა აღმოსავლეთ საქართველო იმპერიის უბრალო პროვინციად აქცია. ქართლ-კახეთმა თავისი სახელმწიფოებრიობა ვერ დაიცვა. მიუხედავად ბაგრატიონთა ოჯახის დიდი წინააღმდეგობისა, რუსებმა ისინი ძალით გადაასახლეს სამშობლოდან. გასახლებულთა შორის იყო ერეკლეს ცოლი – დარეჯან დედოფალი, რომელიც უკვე სამოცდაათს გადასცდენოდა. დარეჯანი პეტერბურგში აღესრულა და იქვე დაკრძალეს. სამაგიეროდ, რუსეთში წასვლაზე მტკიცე უარი განაცხადა გიორგი XII-ის მეუღლემ – დედოფალმა მარიამმა. გენერალი ლაზარევი დედოფლის საწოლ ოთახში შეიჭრა და მისი ძალით გამოყვანა მოინდომა. ამ ძალადობას რუსი გენერალი შეეწირა. იგი იქვე მოკლეს. მიუხედავად ამისა, მარიამი რუსეთში გადასახლებას მაინც ვერ გადაურჩა. 1803 წელს პეტერბურგში გადაასახლეს ქართლ-კახეთის ტახტის უშუალო მემკვიდრე დავით ბატონიშვილიც. 1804 წელს იგივე ბედი ეწიათ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებს. მათი ხვედრი გაიზიარეს ბაგრატიონთა სამეფო სახლის სხვა წარმომადგენლებმაც, როგორც ქართლ-კახეთში, ასევე იმერეთშიც.

დასრულდა ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის ისტორია, მეფობა დაკარგა თითქმის ათასწლოვანმა ბეგრატიონთა სამეფო დინასტიამ, ხოლო რუსეთმა კავკასიაში გაბატონება დაიწყო. ქართველი ერი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. გრძელდებოდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

2.2. ტატოს ცხოვრება

ერთ შემოდგომას ისე მოხდა, რომ ცნობილმა ოფიცერმა ილია ორბელიანმა თავისი დისშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, დუელში გამოიწვია და, თავისი ჭკუით, მოკლა კიდეც.

ეს სასაცილო ისტორია თავიდან ძალიან ბრაზიანად და არეულად დაიწყო.

საქმე ისე იყო, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი და მისი ახლო მეგობარი, მაღალაშვილი, ყოველთვის და ყველა წვეულებაზე ძალიან აქილიკებდნენ ილიკოს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და ცნობილი ოფიცერი იყო და ნიკოს ბიძა პირობითად თუ დაერქმეოდა, რადგან მასზე სულ ორი წლით იყო უფროსი და ისინი უფრო ძმები იყვნენ, ვიდრე ბიძა და დისშვილი.

დუელის ამბავი კი საღამოს მოხდა, წვეულებაზე, სადაც ნიკო მაღალაშვილის გარეშე მივიდა და ილიკოს ჩვეულად დაუწყო ქილიკი და აგდება. ილიკო თურმე დილიდანვე ფიქრობდა ამ წვეულებასა და დუელზე,რადგაც ბიჭების დაცინვა ყელში მოსდგომოდა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მაღალაშვილის გამოწვევას აპირებდა, ის კი წვეულებაზე არ მივიდა.

დუელი, დუელიო და რადგან ორივე გაიქაჩა და რადგან საქმე სერიოზულად იყო, სეკუნდანტებიც დაინიშნენ – ნიკოს ეს მაღალაშვილი წაჰყვა და ილიკოს კი ერთი ყაბარდოელი ოფიცერი და, რა თქმა უნდა, მეგობრების მთელი არმიაც, იმიტომ რომ დუელი ქალაქგარეთ უნდა შემდგარიყო.

მეგობრები სწორედ ნიკოს ამხენევებდნენ და არა ილიკოს.

ნიკო სამოქალაქო პირი იყო, ილიკო კიდევ – სამხედრო.

ცხადია, მათი სროლაში გაჯიბრება უნდა დასრულებილიყო ოფიცრის გამარჯვებით. ძალიან უხერხული და რთული ამავი ელოდათ... დუელისთვის უცნაური ადგილი შეარჩიეს – თავდაღმართი.

მაღალი და ახოვანი ილიკო დააყენეს

აღმრთის თავში, ნიკო კიდევ, უფრო დაბალი და უფრო ჩაფსკვნილი, თავთაღმართში.

სეკუნდანტებმა დამბაჩები შეამოწმეს, მერე დუელიანტებს ჩამოურიგეს და მათაც ისროლეს.

ნიკოსი გავარდა, მაგრამ ასე გამოჩნდა, რომ ასცდა. ილიკოსი კი არ გავარდა: მისმა დამბაჩამ მხოლოდ ცხვირი დააცემინა და გაბრაზებულმა ერთი ამბავი ატეხა, თქვენო ფინთიხი არ ჩამიყარეთ დამბაჩაშიო. თუმცა, შემოწმების შემდეგ, დარწმუნდა, რომ ყველაფერი წესრიგში იყო...

დაუმიზნა და ესროლა.

ნიკო წაიქცა...

ილიკო ატირებული გამოქანდა თავდაღმართიდან, დაახტა წაქცეულ ნიკოს და ხელებით დაუწყო სინჯვა, რათა ჭრილობა ეპოვა და უცებ გაიგონა მისი ხმა: ბიჭო, ჯიბეში ქიშმიში მიდევს... ქიშმიშსა მპარავსო.

ყველამ სიცილი დაიწო. ილიკოს გარდა, ყველამ იცოდა, რომ დამბაჩებში ტყვია-წამალი არ ეყარა.

ილიკო საშინლად გაბრაზდა, მაგრამ გაუხარდა, ნიკო რომ არ მოკლა... ნიკოს და მაღალაშვილს კიდევ დიდხანს ჰქონდათ საოხუნჯოდ, როგორ აპირებდა ბიძა დიშვილის მოკვლას.

ნიკოლოზ ბარათაშვილი დიდოსტატი იყო ათასგვარი გათამაშებისა და ათასგვარი ფანდის მოგონებისა.

თხუთმეტი წლის განმავლობაში იყო თბილისის ყველაზე ხალისიანი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ჰქონდა დიდი დარდი და სევდა და რომელსაც ეკუთვნოდა იმაზე ბევრად მეტი, ვიდრე თავისი ხანმოკლე ცხოვრების განმავლობაში მიიღო.

იმას არ ვამბობ, რომ ის დიდი პოეტი იყო.

მისი პოეზია იმ დროის თბილისური საზოგადოებისთვის არ იყო ძალიან საინტერესო. უფრო მიმზიდველი მისი ხასიათი იყო.

მისი ლექსები მხოლოდ მისი ნათესავებისა და მეგობრების წრეში ტრიალებდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილი იყო ორი განთქმული ოჯახის დამოყვრების შედეგად დაბადებული ყმაწვილი კაცი, რომელმაც ამ ბრწყინვალებისაგან ბევრი რამ მიიღო, მაგრამ რაც ყველაზე მეტად უნდოდა, ცხოვრებას ვერაფრით გამოჰგლიჯა.

ნიკოს დედა, ეფემია, იყო სამი განთქმული ოფიცრის, გრიგოლ, ზაქარია და ილია ორბელიანების და.

ეს იყო ძალიან შთამბეჭდავი და ძველი ოჯახი, რომელიც, ერთი მხრივ, იყო ყაფლან ორბელიანის შთამომავალი და ამიტომაც სიამოვნებით უწოდებდა თავს ყაფლანიშვილებს, ანდა, ყაფლანიანთ; მეორე მხრივ კი, ეს იყო ერეკლე II-ის ქალიშვილის, ელენეს შთამომავლობა. ძმებისა და ეფემიას დედა, ხორეშანი, იყო ერეკლეს შვილიშვილი.

მამისაგან კი – ნიკო გამოდიოდა ბარათაშვილთა მდიდარი და ცნობილი შტოს მემკვიდრე. მამამისი მელიტონი ძალიან შეძლებული კაცი იყო, თუმცა მთელი სიმდიდრე თბილისურ წვეულებებში დააბანდა. ის ძალიან კარგახსნილი კაცი გახლდათ, რითაც ისეთი ვალები დაიდო, რომ მთელი ცხოვრება ვეღარ გადაიხადა და ნიკოსაც, ვისაც უფრო ტატოს ეძახდნენ შინაურები, სატანჯველად გაუხდა ეს ვალი...

ძველი თავადი იყო, ხვალისას ძნელად ფიქრობდა.

იმ ხანებში კარგი თარჯიმნები და კავკასიელთა ენებზე მოლაპარაკე ხალხი ჭირდა და რუსები ასეთებს ძალიან აფასებდნენ. თუმცა, მელიტონი სამსახურშიც დიდად არ იკავებდა თავს და ვინმესთვის ხელის შემორტყმა იშვიათობად არ უჩანდა. გალახული ჰყავდა კანცელარიის მთელი ადმინისტრაცია და წვრილ-წვრილი ჩინოვნიკები.

ასეთი კაცი იყო, არც სახლში და არც გარეთ ხელს არ აკლებდა...

მას და ეფემიას თოთხმეტი შვილი ეყოლათ, მაგრამ უმრავლესი ჩვილობაშივე დაეხოცათ. გადარჩნენ მხოლოდ ოთხი ქალიშვილი და ერთი ვაჟი – ნიკოლოზი, ნიკო, ტატო, ტატიკო.

ეს ერთადერთი ბიჭი იყო საბრალო ეფემიას იმედი და ხელისგულზე სატარებელი, მით უმეტეს, რომ ბიჭი იყო განსაკუთრებული ხასიათის, ძალიან ხალისიანი, მოძრავი და, როგორც იტყოდნენ, პირველი „მოტანცავე“ ქალაქში მოწაფეობის დროიდან.

ოხუნჯობა ტატოს თანდაყოლილი ნიჭი იყო, მაგრამ თბილისიც ისეთი ქალაქი იყო,

რომ თუ არა მისი ოხუნჯობები, მთლად საღათას ძილს მიეცემოდა – მაშინ არ იყო არც თეატრი, არც გაზეთი, არც სხვა რამ თავშესაქცევი.

მთავარ გასართობად იყო სეირნობები ბაღებში, წვეულებები, ერთმანეთთან სიარული და დროსტარება: ვთქვათ, მანანა ორბელიანის სალონში ჯდომა, ლაპარაკი და ჭორები, ჭორები, ჭორები...

თბილისი არი ჭირი და ჭორიო, როგორც თავის ოფიცერ ბიძებს სწერდა ტატო, როცა თბილისში შავი ჭირის გაჩენას შიშობდნენ. გაუთავებელი ფლირტი ბიჭობიდანვე – ქმრიანებთან, უქმროებთან, თავის ტოლებთან, უფროსებთან, უმცროსებთან, ესეც იყო მისი ცხოვრება.

ტატო ამის ოსტატიც იყო, თუმცა არც ერთი ფლირტი საბოლოოდ ღრმა და ნამდვილ ურთიერთობაში არ გადაზრდილა.

ჰქონდა ამის სურვილი, მაგრამ ვერ გადაზარდა და ამის გამოც ძალიან სევდიანი იყო. ხშირად სწერდა თავის ბიძებს, ეს ქალაქი სულისთვის, გულისთვის და გონებისთვის არაფერს იძლევაო;ძალიან უყვარდა აქაურობა და ამით საზრდოობდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ეკუთვნოდა რაღაც უფრო მეტი და მეტის ნახვა უნდოდა.

მისი ერთი ბიოგრაფი წერს, საბრალო ბიჭი იყოო, რადგან თერგიც კი არ დაელიაო.

ეს იმას ნიშნავს, რომ მშობლებმა არც უნივერსიტეტში გაუშვეს და არც სამხედროში.

თერგი არ დაელიაო, ქუთაისშიაც კი არ ყოფილა და ზღვაც არ ენახაო.

ამ პატარა ქალაქს ის გაცილებულიც არ იყო და ამ ქალაქისთვის ის იყო ძალიან დიდი ხალისი და თვალი; ყმაწვილი კაცი, რომელმაც დაამთავრა კეთილშობილთა სასწავლებელი და რომელსაც ჰქონდა იგივე ოცნება, რაც მთელს მის თაობას – სამხედრო სამსახური, სახელის განთქმა კავკასიის ომებში და კარიერის პოვნა. ბევრმა მისმა მეგობარმა ეს ბრწყინვალედ მოახერხა: თუნდაც ლევან მელიქიშვილმა, მისმა უახლოესმა ადამიანმა, რომელმაც აგერ, 80-იან წლებამდე მოაღწია და გახდა დიდი გენერალი და უდიდესი თანამდებობებისა და პატივის კაცი;ასევე მისმა ბიძებმა, რომლებიც საერთოდაც ლეგენდით იყვნენ შემოსილნი, და უამრავმა ასეთმა ახალგაზრდა ქართველმა თავადიშვილმა.

ვინც კი მოინდომა, ყველა გახდა სამხედრო.

ის, რომ ბარათაშვილი სამხედრო ვერ გახდა, უბრალო რამით აიხსნება: კეთილშობილთა სასწავლებელში ის კიბიდან გადმოვარდა, მოიტეხა ორივე ფეხი და როცა მოშუშდა, გაირკვა, რომ საბოლოოდ დაკოჭლდა ცალი ფეხით...

ტატოს მზად ჰქონდა მეორე სურვილიც – უნივერსიტეტში სწავლა, მაგრამ ამ დროს მელიტონი ავად გახდა და – მე რომ რამე მომივიდეს, მთელი ოჯახი შენი სარჩენი იქნება, სად გაგიშვაო.

რაღა თქმა უნდა, მელიტონს არაფერი მოუვიდა და თხუთმეტ წელიწადს კიდევ იცოცხლა ტატოს გარდაცვალების შემდეგ.

ასე და ამგვარად, მას ყოველგვარი კარიერის შანსი მოესპო და მუშაობა დაიწყო სტოლონაჩალნიკად, გახდა ჩინოვნიკი თბილისის ექსპედიციაში „სუდა ი რასპრავი“.

იყო ძალიან დიდი შეუსაბამობა მის ხასიათსა და კანცელარიის ცხვირჩამოშვებულ მოხელეებს შორის.

როგორც კი საქმეს მორჩებოდა, იწყებდა სირბილს მთელ ქალაქში, ამბების მიტან-მოტანას, ნაირგვარ ოჯახებში მისვლა-მოსვლას.

სამსახურში ყველაფერი იმდენად მოწესრიგებული ჰქონდა, რომ მისი უფროსები გაოცებულებიც კი იყვნენ, ძალიან შორს წავა საჩინოვნიკო გზითო. მაგრამ საჩინოვნიკო საქმე არ იყო მისი გზა, ის ბოლომდე დარჩა მოსურნე სამხედრო კარიერისა. ოცნებობდა, როგორმე თავი დაეღწია თბილისისთვის და უკეთესი ადგილი ენახა თავისი მომავლის მოსაგვარებლად

გრძნობდა, მეტი შეეძლო, და უნდოდა, რაღაც უკეთესი ეკეთებინა.

თბილისში წიგნების შეზღუდული რაოდენობა იყო, ყველას ყველაფერი წაკითხული ჰქონდა მასაც ძალიან უყვარდა კითხვა. ძალიან უყვარდა მსოფლიოს ამბების ცოდნა. ამავდროულად, გაუთავებლად გატაცებული იყო, ძალიან მგრძნობიარე გახლდათ და ძალიან ხშირად უყვარდებოდა.

ხშირად მისი ლექსები ამ სიყვარულებს ეძღვნებოდა...

ლევან მელიქიშვილი იგონებს, როგორ მოვარდა ერთხელ ტატო, ერთ წვეულებაზე ეკატერინე ჭავჭავაძის საყურის ციმციმმა გამაგიჟაო, და იქვე დაწერა ლექსი.

ტატო გრძნობდა, რომ აქ წინ ვერ წავა და ერთადერთი, რაც შეიძლება გააკეთოს, ისაა, რომ სამსახურში დაწინაურდეს და ისიც შეზღუდული ფორმით, რადგან არა აქვს ის განათლება და საბუთები, მაღალ კარიერას რომ სჭირდება.

ამ დროს კი ცხოვრება ეგებ ქუხდა და გადმოქუხდა კიდეც. მისი მეგობარი ლევან მელიქიშვილი და ბიძები თავიანთი სიმამაცითა და იარაღით იხვეჭდნენ სახელს, ისინი უკვე იყვნენ რუსეთის ძალიან ერთგული და განთქმული ოფიცრები. მისგან ნაქილიკები ილია ტყვედ ჩაუვარდა შამილს.შამილმა მთელი მოღალატე დაღესტნელები მის თვალწინ დაახოცვინა, ილიამ კი წარბიც არ შეიხარა და უთხრა, თქვენ ამით ვერაფერს დაამტკიცებთო.

მისმა პასუხმა დაარწმუნა შამილი, რომ ილია განსაკუთრებული ადამიანია და რუსებთან მის მომგებიან გაცვლაზე ლაპარაკი შეიძლება. სწორედ ამის შემდეგ მოხვდა ილია ორმოში.

ასეთი ამბები ვრცელდებოდა მაშინ თბილისში,მაგრამ უცნაური ის იყო,რომ ნიკოც და სხვებიც ამტკიცებდნენ,ილია კარგად არის და არ გატყდებაო.ჩანს,მათ იცოდნენ ილიას ხასიათი.მიმოწერაში კარგად ჩანს: ნიკოც და გრიგოლიც ამბობდნენ, არაფერი, არაფერი... რაღაც საერთო განწყობა იყო, რომ ილია გამოძვრება, ილია გადარჩება, ილია არ განადგურდება და ასეც მოხდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „მერანი“ სწორედ ილიას გადარჩენისადმია მიძღვნილი – იმისადმი, რომ ილია გადარჩეს.

ასეც მოხდა: ილია ორმოცი წლისა გახდა გენერალ-მაიორი, მას მიჰყვა გრიგოლიც.

ილია თურქეთთან ომში დაიღუპა,ბევრით არ გადაუსწრია თავისი დიშვილისთვის. ზაქარია პოლკოვნიკი იყო,ისიც ადრე გარდაიცვალა,ლევან მელიქიშვილი კი კავკასიის მეფისნაცვლის თანაშემწე და მარჯვენა ხელი გახდა,ძალიან გავლენიანი კაცი.

საერთოდ,ტატოს მთელი სამეგობრო ძალიან კარგად მოეწყო რუსულ საჩინოვნიკო და სამხედრო საქმეში.....

ბიძებისადმი ტატოს წერილებს რომ გადავავლოთ თვალი, იქ ხშირად წყენაც გამოჩნდება ხოლმე.ილიკო და ნიკო თითქმის ტოლები იყვნენ და მათ მიმოწერაში უფრო მეგობრული დამოკიდებულებაა, გრიგოლი კი უფროსი იყო, მას მეტი მოეთხოვებოდა და ნიკოც სწორედ მას სწერდა გულისნადებს.

სადღაც უცხოეთში, უცხო ქვეყანაში არის ასეთი წესი, რომ მეგობრები მოჰკიდებენ ხელს თავიანთ დაჩაგრულ მეგობარს, გამოიყვანენ ცხოვრებაში, გადაადგმევინებენ ნაბიჯებს წინ და მერეღა შეუშვებენ ხელს.

აი, ამას სწერს ბიძას და უხსნის, რომ დახმარება სჭირდება.

გრიგოლ ორბელიანი კი უკვე ძალიან ცნობილი სამხედროა კავკასიის ომებში. ბიჭოო, – ასე სწერს ილიკოს, – ახლა კი ჩვეულებრივად ვეღარ მოგწერ წერილებს, ავარიის ხანი ვარო; ჰაქიმ-ხან ემირი ვარ უკვეო, – აი ასეთი სიამაყით ამცნობს, – და ჩემს ბეჭედს აწერიაო: „მუთავაქილ ქნიაზ ორბელიან, ხან ემირ ავარ“... დიდი სიამაყითა და განცდით; ავარიის გამგებელი, დიდი თავგადასავლებით,დიდი სამხედრო გამოცდილებით,საგმირო ეპიზოდებით,შამილთან ლამის უშუალო ბრძოლით.

მერე, როცა უკვე დატყვევებული შამილი ნახა პეტერბურგში, ალექსანდრე II-სთან, სადაც თვითონაც იყო მიწვეული, მოიწერა: რა დარბაისელი კაცი ყოფილა, რას ვეომებოდით ამდენ ხანსო. მანამდე კიდევ – შამილა, შამილაო, ასე იწერება. იგრძნობა, რომ არა აქვს შამილის პატივისცემა ახალგაზრდობის და ომის დროინდელ წერილებში. არადა, ბევრი რუსი ოფიცრის წერილებში შამილი მოიხსენიება, როგორც „ჩვენი დიადი მტერი“, „ჩვენი მამაცი მტერი“, „ჩვენი ღირსეული მეტოქე“.

გრიგოლთან ასეთს ვერ შეხვდები, ერეკლე მეფის შვილთაშვილია და ლეკთა ბატონზე არ იხარჯება. მხოლოდ სიბერეშიღა მოლბა. მოხუცები, ხომ იცით.

ანდა, მისი თავგადასავალი ჰაჯი მურატთან, რომელმაც გრიგოლ ორბელიანს რეზიდენციიდან მოსტაცა აჰმედ ხანის

ულამაზესი ქვრივი ნოჰ ბაქე, და გრიგოლი სერთუკისამარა, ლოგინიდან წამოვარდნილი გაეკიდა, ქალი რომ წაერთმია; ანდა, ის ამბავი, მერე როგორ შერიგდნენ ის და ჰაჯი მურატი, როგორ ნადირობდნენ ზაქათალაში და, საერთოდ, მთელი მისი თავგადასავალი, რომლის შესახებაც ის თითქმის არასდროს ჰყვებოდა.

მოგონებებიდან დაგვრჩა მხოლოდ ის, რომ გრიგოლი იყო რუსეთის უერთგულესი და ალბათ ყველაზე სანდო მოხელე – ერთადერთი ქართველი, ვინც მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლად იყო. ასევე ის, რომ მან გურიის აჯანყება ტყვიით ჩაახშო და თბილისის ყარაჩოღელების აჯანყებასაც ტყვიით უპასუხა მას შემდეგ, რაც ლაპარაკმა არ გაჭრა.

ანდრია პირველწოდებულის ორდენი თბილისში ჩამოუტანა თავად ალექსანდრე II-მ.

ასეთი კაცი, ასეთი ბიძა, ასეთი გავლენა და აქეთ ეს საბრალო ბიჭი თავისი უსაზღვრო ნიჭით,რომელიც სთხოვს რაღაცაში მომეხმარე, რაღაც გამიკეთეო, და არაფერი გამოდის.

ის დუმს, სწერს ტკბილ წერილებს.

ტატო ეძებს ადგილს, ახალ სამსახურს სადმე სხვაგან; ცდილობს, ვიღაცას გაჰყვეს სადმე.

მის მეგობრებს უკვე ნიშნავენ მაზრის უფროსებად, 28-29 წლის ბიჭებს აწინაურებენ და ისინიც როგორღაც არ ივიწყებენ ტატოს.

ლევან მელიქიშვილს ნახჭევანში მიჰყავს,სადაც თავად მაზრის უფროსადაა.ტატოც სიხარულით მისდევს, როგორც თანაშემწე.

იქ დიდხანს არ გაჩერებულან. ექვსი თვის თავზე ლევანი თბილისში გამოიხმეს...

...ტატომ ისიც იგრძნო, რომ თბილისში იოლად დაივიწყეს. დარჩენილია მისი საყვედურიანი წერილები, მესამე თვეა, აქა ვარ და რომელს გაგახსენდით ერთიო.

თბილისში მობრუნებული, ის კვლავ ცდილობს ახალი ადგილის პოვნას. თითქოს გამოჩნდა კიდეც – თელავში, სადაც მაზრის უფროსად მიდიოდა მამუკა ორბელიანი. წამოგყვებიო, სთხოვა ტატომ და იმანაც თანხმობა უთხრა, მაგრამ მამუკას უცებ შეუცვალეს ადგილი და გადაისროლეს განჯაში. ტატო იქაც წაჰყვა.

ოღონდ კი წასულიყო.

ჰოდა, სწორედ განჯაშიც გარდაიცვალა.

გარდაიცვალა ძალიან უბრალოდ, როგორც სუსტი და მიტოვებული კაცი.

ყაჩაღების დევნაში გაჰყვა მამუკას და გაცივდა.

მერე თითქოს გამოკეთდა, მაგრამ, ეტყობა, გამოშუშება არ აცალა...

შეუბრუნა და ვეღარ გამოვიდა.

გვარიანად დასუსტებული, ვერც კლიმატს შეეგუა, ვერც სხვა რამეებს და იქვე, განჯაში დაკრძალეს.

შინ წამოსვენებაზე არც კი უფიქრია ვინმეს კარგა ხანს, ნახევარ საუკუნეზე მეტხანს. უკვე მერე, ნიკოლოზ II-ის დროს, მიმართეს მისმა სამმა დამ და ილია ორბელიანის ვაჟმა, გიორგიმ, მეფისნაცვალს თხოვნით, გადმოვასვენებთო.

მანამდე კი ესვენა განჯაში და აღმოჩნდა, რომ ყველას უცბად დააკლდა.

ილიკო სწერდა გრიგოლს, რა ბედნიერი ხარ, აქ რომ არა ხარ და ეფემიას არ უყურებო. დედას დიდხანს აღარც უცოცხლია.

ლევან მელიქიშვილის წერილებზე პირდაპირ ცრემლებია. გრიგოლს სწერდა: მე ვცოდავ ახლა, მაგრამ ღმერთს რატომ მიჰყავს ასეთებიო; არ ვიცით, რა ვქნათ, სადაც შევალთ და დავსხდებით, ვგრძნობთ, რომ ერთი ადგილი ცარიელიაო;ყველა წვეულებაში, ყველა სუფრასთან მგონია, რომ იქაა და ვერ ვხვდები, რატომ არ არის, რა დაააშავა ასეთიო.

არის ეფემიას წერილებიც – ერთადერთი იმედი მომიკვდაო.

აი, ასე წავიდა და გაქრა მისი ხალისი და მისი სიცილი. ამოვარდა ყოფიდან.

მისი ლექსებიც კარგა ხანს არსად გამოჩენილა. უკვე მერე ილია ქავჭავაძე წააწყდა იმ ცნობილ რვეულს პეტერბურგში, ეკატერინე ჭავჭავაძესთან, და დაუბრუნა ქართველებს ეს დიდი პოეტი, რომელიც ამხელა დარდით და ამხელა ხალისით დადიოდა თბილისში.

ცხოვრება კი გაგრძელდა.

აკა მორჩილაძე

2.3. „ქართულის რვეულები“

ოპერა

მოსაწყენ და მოწყენილ თბილისს გაუჩნდა ახალი და მოულოდნელი გასართობი. გასართობი არც იყო, ბევრად მეტი გამოდგა. იმან, რაც გაუჩნდა, მთლიანად შეცვალა ქალაქის ცხოვრება.

ეს იყო ოპერა...

1889 წელს, როცა დიუმა ჩამოვიდა თბილისში, აქ ორი ღირსშესანიშნაობა დაუხვდა. ყველა ამ ორი რამით აღფრთოვანდებოდა ხოლმე და დიუმაც ამით აღფრთოვანდა.

ერთი იყო თბილისური აბანო, თავისი განთქმული გოგირდის წყლებით და მეორე კი სწორედ რომ ოპერა.

თეატრი, თეატრი, თეატრი – აი, ეს უნდოდა ვორონცოვს; ჟურნალები, გაზეთები, წიგნები ყოფილიყო ქართულად; ქართველებს ელაპარაკათ, ესმინათ, ეთამაშათ სცენაზე.

თეატრი კი უნდოდა, მაგრამ არ ჰქონდა არანაირი სახსრები ახალი შენობის ასაშენებლად. თეატრში იქნებოდა დრამაც, ოპერაც და ყველაფერიც.

ამისთვის ვორონცოვმა მოლაპარაკებები წამოიწყო თბილისელ ყაზაზებთან, ანუ ფართლეულის განთქმულ ვაჭრებთან და ცდილობდა მათგან მიეღო თანხა, რომლითაც ააშენებდა ახალ, დიდ შენობას, სადაც იქნებოდა თეატრი – ახალი ქალაქის, ახალი თბილისის გული.

ყაზაზებთან მოლაპარაკება ვორონცოვს არ გამოუვიდა. მათ იუარეს, არა გვაქვს თავისუფალი თანხებიო და სწორედ ამის შემდეგ იპოვა მან გაბრიელ თამამშევი, რომელიც დასთანხმდა.

ოღონდ დასთანხმდა თავისებური პირობით: სოვდაგარმა თქვა, რომ შენობა, რომელიც იქნებოდა თეატრი და თან ოპერა, იმავდროულად უნდა ყოფილიყო ქარვასლაც, სადაც ის გააქირავებდა მაღაზიებს, ან სულაც თავისთვის ექნებოდა მაღაზიები.

გაბო თამამშევი ჭკვიანი კაცი იყო და იმგვარად მოხერხებული, რომ უნდოდა, სანამ კაცი თეატრში შევიდოდა, მანამდე მაღაზიების რიგები გაევლო.

დღისით კიდევ შენობა მხოლოდ ქარვასლა იქნებოდა.

იმ დროს, როცა თამამშევმა ადგილი იყიდა, ახლომახლო მხოლოდ ორი შენობა იდგა: ერთი ნახსენები საპოლიციო უბანი წინ თბილისის პირველი შადრევნით, და მეორე ცოტა დაბლა, ძველი 70-ოთახიანი ქარვასლის ადგილას აგებული ახალი ქარვასლა,- რომელიც ცნობილ ქართველ კათოლიკე დიდვაჭარსა და მილიონერთა განთქმული ოჯახის წინაპარს, იაკობ ზუბალაშვილს აეშენებინა და რომელიც დღემდე დგას.

როცა ნიკოლოზ პირველი ჩამოვიდა საქართველოში – ის იყო პირველი რუსი იმპერატორი, ვინც თბილისს ეწვია – უკეთესი შენობა ვერა ნახეს და სწორედ ზუბალაშვილის ქარვასლაში გაუმართეს მეჯლისი.

ისევ თბილისური წვიმის დრო იდგა და მუხლამდე ტალახი იყო, იმიტომ, რომ მაშინ თბილისში ქვაფენილი არ იყო.

ყველას უნდოდა მეჯლისზე დასწრება, რათა ხელმწიფე – იმპერატორი ენახა.

მოიწვიეს იტალიელი არქიტექტორი სკუდიერი, რომლის ხელობაც ვორონცოვს ოდესაში გამოეცადა და რომელსაც დიდი ამაგი აქვს თბილისზე: მშრალი ხიდიც კი მისი აგებულია.

სკუდიერიმ ააგო ეს შენობა: ძალიან ლამაზი, მოქნილი, თავისებური, ძალიან ტევადი და, ამავე დროს, ძალიან სადა, თითქოს მავრიტანული იერისა.....

ოპერამ გააჩინა და გაამრავლა თბილისში ფრანგული მოდის მაღაზიები, ოპერამ გააჩინა თბილისში მეყვავილეები.

ეს ყველაფერი საოცარი იყო. გარეთუბანში, ანუ ახალ ქალაქში, ყველაფერი იცვლებოდა, ყველაფერი ტრიალებდა სწორედ ოპერის გარშემო.

ოპერაში კი რაღაცეები ხდებოდა. არცთუ უბრალო.

რიგები იყო წარმოუდგენელი, იყვნენ გადამყიდველები, იყო ერთი ამბავი – აბა, დღეს რა არი, დღეს რას თამაშობენ, დღეს რას მოვისმენთ.

დილიდან, როგორც კი აფიშა გამოიკვრებოდა ხოლმე, მთელი ქალაქი იმდღევანდელი წარმოდგენის არიებს ღიღინებდა. ვისაც როგორ შეეძლო, ისე.

მაიკო ორბელიანი თბილისის უგანთქმულესი სალონის მასპინძელი იყო.

მის სახლში იკრიბებოდა ყველა ნასწავლი, ყველა ნიჭიერი, ყველა დიდგვარიანი ქართველი...

(თავის დროზე სწორედ მაიკო ორბელიანის სალონში გადაწყდა ისიც, რომ ვორონცოვისთვის გიორგი ერისთავი გაეცნოთ და თეატრის გახსნა ეთხოვათ.)

1867 წელს ოპერის პარტერში აღმოჩნდნენ გიმნაზიელები, რომლებმაც ააფრიალეს სამეფო დროშა ქართული და დასძახეს პატრიოტული ლოზუნგები.

სანამ სინათლე აინთებოდა, გიმნაზიელები გაიპარნენ და გაიქცნენ, მაგრამ მათმა ამ წამოყვირებამ ის გამოიწვია, რომ კავკასიის მმართველობამ საერთოდ შეაჩერა იტალიური ოპერა, დასი დაშალა და იტალიელი მომღერლების გასტროლები შეწყვიტა.

ეს იყო უცნაური დრო. ეს იყო გარიბალდის დრო.

ეს იყო იტალიის დრო მაშინდელ თბილისში. თუ გიყვარდა იტალიური ოპერა, გიყვარდა იტალიაც, მაშინ გიყვარდა გარიბალდიც, გიყვარდა იტალიელების ბრძოლა თავისუფლებისათვის. თბილისში მაშინ მოდაში იყო გარიბალდური ქუდი. ბევრ ადამიანს სახლში ეკიდა გარიბალდის ფოტო. მოდიოდა ათასგვარი ნამდვილი თუ ტყუილი ამბავი იტალიიდან გარიბალდელთა ომების შესახებ და იტალიური ოპერა ყველაფერ ამას ეხმარებოდა. იტალიელი თბილისში იყო მაშინ ყველაზე დიდი და საინტერესო კაცი.

ამას შფოთისა და არასასურველი განწყობილებების სუნი უდიოდა.

მაგრამ 1867 წლის შემდეგ ოპერა შეიძლებოდა მხოლოდ რუსული, მხოლოდ რუსი მომღერლებით.

ამას დასაწუნი, აბა, რა ჰქონდა, მაგრამ ოპერას ერთ-ერთი მთავარი ინტრიგა მოაკლდა. ის უკვე უბრალოდ ოპერა და ხელოვნება იყო და არა ცხოვრების ნაწილი.

ოპერა როგორღაც ჩაკვდა, ჩაწყნარდა და მერე მიხვდნენ, რომ ასე არ შეიძლება და თბილისს აკლდება მთავარი რაღაც.

და იტალიური ოპერაც აღდგა. ისევ გამოვიდნენ მაღაზიებს შეხიზნული თბილისში ჩარჩენილი იტალიელი მომღერლები, ისევ დაიწყეს ხმის დამუშავება, ისევ გამოჩნდნენ ახალი დასები და თბილისის ოპერამ განაგრძო კვლავ იტალიური ცხოვრება.

ეს არ იყო უკვე მხოლოდ ოპერა. ეს იყო ქალაქის მთავარი ამბავი, მთავარი ადგილი კაცის გულისათვის, სადაც უერთდებოდი მსოფლიოს და ფიქრობდი იმაზე, რაზეც ფიქრობს მსოფლიოს უკეთესი ნაწილი, იტალია – თავისუფლებაზე.

ასე ხედავდნენ და გრძნობდნენ მაშინ.

აკა მორჩილაძე

2.4. „კომედია „გაყრასა“ და ქართული თეატრზე“
სცენა – ცხოვრების სარკე

კომედია „გაყრა“ ქართველ თავადთა ოჯახური ყოფის საოცრად რეალისტური სურათებით სარკის ეფექტის მომხდენია. მწერალმა მკითხველი შეიყვანა ქართველი თავადების ოჯახში, სადაც გამეფებულია ის მახინჯი ცხოვრების წესი, მანკიერებები და მორალურ-ეთიკური სნეულებები, რომლებიც ხელს უშლის ჩვენს ხალხს წინსვლისა და თვითგანვითარებისკენ მიმავალ გზაზე.

სამი ძმის ცხოვრებაში „არეკლილი“ იმდროინდელი ქართული საზოგადოება

მოქმედება მიმდინარეობს დიდებულიძეების ოჯახში. მთავარი გმირია სამი ძმა: ანდუყაფარი, პავლე და ივანე, რომ ელთა შორისაც უფროსი (ანდუყაფარი) ძველი, ფსევდოკონსერვატიული იდეების მიმდევარია, შუათანა პავლე დარდიმანდი, ნადირობის მოყვარული, ექსცენტრული, ქა-

რაფშუტა, არასერიოზული ტიპია, ხოლო ივანე „თერგდალეულია“, რუსეთსა და პოლონეთში უსწავლია და ყველაფერი ქართული მიუღებელია მისთვის, ცდილობს რუსულ-ევროპულ ყაიდაზე იცხოვროს და ეროვნულ ტრადიციებს არაფრად აგდებს. დრამატურგმა ამ სამი გმირის სახით სხვადასხვა გემოვნების, გაგებისა და ტემპერამენტის სახეები შექმნა, ხოლო მათ გარშემო გააცოცხლა ისეთი გმირები, რომლებიც ეპოქის რეალურ სურათს აღადგენენ მაყურებლის თვალწინ. უკვდავი სახეა სომეხი ვაჭარი მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი. ის ამ პერიოდში თბილისში მომრავლებულ სომეხი ეროვნების ვაჭართა კასტას განასახიერებს თავისი თვისებებით. ასევე დაუვიწყარია სუდის სეკრეტარ რამაზისა და მოურავ ბარამის სახეები. რამაზი იმდროინდელ მოხელეთა და სასამართლოს სახე-სიმბოლოა, ხოლო მოურავი ბარამი განასახიერებს თავადთა გარშემო თავმოყრილი თაღლითი, მლიქვნელი, უსამართლო, გაიძვერა ადამიანების სახასიათო ნიშან-თვისებებს. თავადის ოჯახის წვრილფეხობას განასახიერებენ ივანეს მსახური გაბრიელი და მოახლე გოგო ყარდაშვერდი. ავტორმა ყველანაირი სოციალური სტატუსისა და ფსიქოკონსტიტუციის ადამიანი გამოიყვანა კომედიის სიუჟეტში, რათა მის მიერ გაცოცხლებული სამყარო დამაჯერებელი, შეულამაზებელი და მამხილებელი ყოფილიყო.

ოჯახური დრამა დაიწყო იმით, რომ რუსეთიდან დაბრუნებულმა უმცროსმა ძმამ მამულის გაყოფა და საკუთარი წილის მიღება მოითხოვა. პიესა იწყება საგონებელში ჩავარდნილი ანდუყაფარის სასოწარკვეთილი მონოლოგებითა და გაიძვერა ბარამთან კონსულტაციებით. ანდუყაფარისთვის მამულის გაყოფა წარმოუდგენელია. ის ქვრივია, მის გარშემო არ ჩანან არც შვილები, უკვე მხცოვანია და მისი დრო წასულია, მაგრამ მაინც ებღაუჭება ქონებას და ძმებისთვის არაფრის დათმობა არ სურს. ვალებში ჩავარდნილ, გაღატაკებულ ოჯახში გასაყოფი არც არაფერია და დგება ასეთი რეალობა: ცარიელი და გაპარტახებული სახლ-კარი უნდა დარჩეს უმცროს ძმას, როგორც მთავარ მემკვიდრეს, ხოლო ანდუყაფარი და პავლე უნდა აღმოჩნდნენ უსახლკაროდ, უნდა დატოვონ მამაპაპისეული სამკვიდრო. საკვირველია ძმების დამოკიდებულება ერთმანეთისადმი. მათ შორის არის სრული დისჰარმონია, შეუთანხმებლობა, ანტაგონიზმი, აცდენა ერთმანეთის ინტერესებისა და გეგმებისადმი. მათ ერთმანეთისა არაფერი ესმით. არცერთი არ ფიქრობს სხვის უფლებებსა და ინტერესებზე. ეგომ სრულად დააბნელა მათი ხედვა, დაუხშო მათ თანაგრძნობისა და სიყვარულის უნარი. გამხეცებულ-გამგელებულები ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ ძმებს და საერთოდ არ ანაღვლებთ მათი ყოფა. თან ყველაფერ ამას ცდილობენ თაღლითური მეთოდებით. გაიძვერა მოურავი ბარამი ანდუყაფარს ურჩევს, რომ ან შინაყმები ჩააბაროს ძმას, ან ზასედატლად გაამწესებინოს, ან დაუარონ გლეხებს, „შეაწერონ“ ოთხასიოდე თუმანი და მოისყიდონ სასამართლო. ბარამი დარწმუნებულია, რომ თუნდაც ასი თუმნით სასამართლოს მოსყიდვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს: „ასის თუმნითა, აბა, რას ბრძანებ? სუდსა, პალატას ხელით ვაქანებ, ჩვენ სუდიასა – აიმ კუკნასა, სულ ვათამაშებ ლეკურ-ბუქნასა...“

თუ ანდუყაფარს ეძნელება ბარამის რეკომენდაციების შესრულება, სამაგიეროდ სასამართლოს მოსყიდვის გეგმით აქტიურად მოქმედებს პავლეს ცოლი მაკრინე, ასევე გაიძვერა და თვალთმაქცი ქალი, რომელსაც ფული არა აქვს სუდის სეკრეტარ რამაზის მოსასყიდად, მაგრამ ყიდის იმას, რაც გააჩნია – საკუთარი ქალიშვილის მითხოვებას ჰპირდება, ხოლო როცა პავლე აღშფოთდება, იქნებ ფიქრობ, ჩვენი ქალი იმ მაიმუნს მისცეო, მაკრინე პასუხობს: „მედიატორათ ვირჩევ, ვატყუებ, აგება ჩემკენ იყოს, თორემ ყარდაშვერდი გოგოსაც არ მივცემო“. პავლე მეუღლის „სიბრძნით“ მოხიბლულია და დითირამბებს უმღერის მას: „ჩემი ცოლი თამარ მეფის დროს რომ ყოფილიყო, ვეზირობას მისცემდნენ... რაც უნდა ჭკვიანი კაცი იყოს, პამპულათ გახ-

დის... ეგ რო კაცი ყოფილიყო, დიდებულიძეებს სულ აჰყრიდა“...

საკვირველია ისიც, რომ ივანეს საერთოდ არ ედარდება, მამისეული სახლიდან გასახლების შემდეგ რა ბედი ეწევათ მის ძმებს. მისთვის ანდუყაფარი ველურია და უკვე ჭარმაგი ძმისადმი მისხალი თანაგრძნობაც კი არ გააჩნია. პირველივე მოქმედების მესამე გამოსვლაში, როცა ივანე პირველად გამოცხადდება ანდუყაფარისა და ბარამის წინაშე, ის მწარედ დასცინის და ამასხარავებს, ამცირებს საკუთარ ძმას. შემოდის წკეპლით ხელში, ანტრაშისა და პირუეტის მოძრაობებით და გაოგნებულ ძმას ასე მიმართავს: „ბონჟურ, ყაფარ, კაპარ! კაკ იმია, დაკ ი ონ დიკარ!“. დასცინის ქართულ ტრადიციებს, მეურნეობას, ღვინოს. აქვს ილუზია, რომ თავად რუსულ-ევროპულად მოაწყობს საკუთარ მამულს და სასწაულებს მოახდენს.

ადამიანის იმგვარი დაცემა, როგორსაც გიორგი ერისთავის კომედიაში ვხვდებით, ტრაგედიაა და დაკავშირებულია ადამიანის სულიერად დაპატარავებასთან, რწმენისა და სიყვარულის დეფიციტთან. გიორგი ერისთავი პიესაში დაუზოგავად ამხელს თავისი გმირების მწვავე მორალურ-ეთიკურ პრობლემებს. ანდუყაფარის სიხარბესა და ექსპლუატატორულ ბუნებას, გლეხთა ძარცვის გამოცდილებას, პავლეს მცონარობასა და ქარაფშუტობას, ივანესა და მისი მსახურის, გაბრიელის გულგრილობას, ცინიზმსა და ანტიქართველობას, მაკრინესა და თათელას ანგარებასა და მესაკუთრეობას, მიკირტუმ გასპარიჩის დაუნდობლობას, ხრიკებსა და ინტრიგებს, რომლებშიც ობობას ქსელივით ახვევს ადამიანებს, ბარამისა და რამაზის მზაკვარ ბუნებას, უსამართლობას, ყარდაშვერდის ანგარებას. აქ ვერ იპოვით ზნეობრივ ადამიანს, გამქრალია ღირსება, სამართალი არ არსებობს, ერთმანეთის დანდობა არავის სურს, ყველა მომხვეჭელი, ხარბი, ანგარებიანი, ეგოისტი, უგულო და უსიყვარულოა. გამეფებულია ყოველგვარი ადამიანური ზადი და მანკი, არავის აღარაფერი შერჩენია წმინდა და ნათელი. ასეთი საზოგადოება არამცთუ მზად არის, რომ სახელმწიფოს აღმშენებლობაში თუნდაც უმნიშვნელო როლი შეასრულოს, მათ არ ძალუძთ არც პირადი და ოჯახური პრობლემების მოგვარება, რადგან ამგვარი თვალთმაქცური ურთიერთობებით, ცხადია, ყოველთვის შარში ეხვევიან, გარშემო ყველაფერი ენგრევათ, სხვებსაც აზიანებენ და საკუთარ სინდისსაც.

„გაყრას“ სულ ათიოდე აქტიური მოქმედი გმირი ჰყავს, თუმცა ყოველი მათგანი უკვდავი და დაუვიწყარი მხატვრული სახეა, განზოგადებული და მრავლისმთქმელი, როგორც კრიტიკული რეალიზმის მწერლობისთვის არის დამახასიათებელი. გმირი აქ ერთ კონკრეტულ პერსონად კი არ წარმოგვიდგება, არამედ კრებითი სახეა ხალხის მანკიერებებისა. ამიტომაც ის იქცევა უკვდავ არქეტიპად, რომელიც ყოველ დროში ცოცხლობს და ყოფის ავკარგიანობაზე დაგვაფიქრებს.

თუ თეატრი არ ასრულებს ამ ორ მისიას, რომ დაეხმაროს მაყურებელს უკეთეს ადამიანად ქცევაში და, ამავე დროს, იყოს საუკეთესო გასართობი, მაშინ ის ჯობია, არც არსებობდეს. თუ ვინმე იკითხავს, თუ როგორ მოახერხებდა საზოგადოების გაკეთილშობილებასა და ადამიანთა სულების გამთლიანებას გ. ერისთავი თავისი უკიდურესად დემორალიზებული გმირების სახითო, ამაზე ერთადერთი პასუხი გვაქვს: საზოგადოებას ისევე ეხმარება კათარსისში ადამიანური ზადისა და მანკიერებების შეუღამაზებლად ჩვენება, როგორც იდეალური მოდელების ჩვენება, მაგალითად, როგორებიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“, რენესანსული ცნობიერების წიგნში. „გაყრა“ ხომ არა რენესანსის, არამედ დეკადანსის ეპოქის პროდუქტია, თავისი ეპოქის რეალობას აცოცხლებს, გმობს ყველა იმ საზოგადოებრივ მანკს, რომელიც ქვეყანას წინსვლის შესაძლებლობას უსპობს. ეს ყველაფერი, რაც გიორგი წერეთელმა სცენაზე აიტანა, იდეალურ გმირთა სამყაროზე კიდევ უფრო მეტად, უფრო ექსპრესიულად, უფრო დამაჯერებლად გვასწავლის ცხოვრების გაკვეთილებს. საზოგადოების ზრდა და წვრთნა შეუძლია იმის ჩვენებას, თუ როგორები არ უნდა ვიყოთ.

მაკა სახურია

2.5. ალექსანდრე ყაზბეგი

(ლიტერატურული პორტრეტი)

ცხოვრების გზის სულ მცირეოდენ მანძილზე ყაზბეგმა გრანდიოზული პირადი კატასტროფა განიცადა, ოცი-ოცდასამი წლის ასაკში, როდესაც მოსკოვში ცხოვრობდა, რათა უმაღლესი განათლება მიეღ... იგი ყოფილა მოხდენილი ახალგაზრდა, კარგი მოცეკვავე, კარგი მოსაუბრე, დარდიმანდი, ხელგაშლილი... თხუთმეტიოდე წლის შემდეგ აკაკი წერეთელი და სხვები მას გვიხატავენ ნაადრევად დაბერებულ, დაღვრემილ, უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანად.

ის თვითონ ეთიშება იმ საზოგადოებას, რომელიც მას გაურბის. თავისი ლიტერატურული მეგობრის, სერგეი მესხის1, გარდაცვალების შემდეგ თითქმის სრულიად განმარტოებული რჩება ჟაკო მაიმუნის საზოგადოებაში, რათა ბოლოს საგიჟეთში[1] დაბინავდეს, სადაც ცხოვრება მას უკანასკნელ ილუზიას აწვდის, მისი მოთხრობების კრებულის პირველ გამოცემას, რომელსაც ის ერთ ხანს უაზროდ დასცქერის, ხოლო შემდეგ ხევს და განზე ისვრის.

მართალია, ალექსანდრე ყაზბეგი რუსეთის მეფის ერთგულ ოჯახში დაიბადა და მი- სი მამა და პაპა გენერლის ჩინებით იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ მის მრავალრიცხო- ვან გადიებსა, აღმზრდელებსა და მასწავლებლებს შორის ყოფილან ისეთებიც, რომელ- თაც ნაზად მგრძნობიარე ბავშვის გულისყური სამშობლოსა და მდაბიო ხალხისკენ მი- უპყრიათ...

შემდეგ ახალგაზრდა ყაზბეგმა უკუღმართი და ერთიმეორის საწინააღმდეგო გავ- ლენები განიცადა, ჯერ თბილისის არისტოკრატიულ პანსიონში, სადაც მას ფრანგულ ენას, მუსიკას და ცეკვას ასწავლიდნენ, შემდეგ გიმნაზიაში, სადაც მხოლოდ მეოთხე კლასს მიაღწია. ბოლოს მოსკოვში, სადაც, როგორც ეტყობა, უფრო მდიდარი ქალის შერთვაზე ოცნებობდა, ვიდრე მევენახეობის და მეცხოველეობის შესწავლაზე. მისი წერილები, მოსკოვიდან მისი დედისადმი მიმართული, სადაც ის ფულსა და ძვირფას სამკაულებს თხოულობს, უფრო ფანტაზიაში, ვიდრე სინამდვილეში არსებული საპატარძლოს დასანიშნავად, ან სადაც ირწმუნება, პატარა დავით წინასწარმეტყველივით თავს მოვჭრი დიდ გოლიათს და დიდებით შემოვალ საქართველოშიო, ზნეობრივი წონასწორობის დაკარგვას მოწმობს.

ზნეობრივი წონასწორობის და პრაქტიკული ალღოს უქონლობას მოწმობს აგრეთვე ალ. ყაზბეგის მთელი შემდგომი ცხოვრება. ეს ადამიანი, რომელიც დაიბადა განმარტოებული მთის თემში, სადაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ხალხს წარმოდგენა არ ჰქონდა, თუ რისთვის იყო საჭირო ფული, მოულოდნელად მოხვდა საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი, თვით ადამიანის ღირსებაც კი ფულით იზომებოდა. როგორც აკაკი წერეთელი გვარწმუნებს, ალექსანდრე ყაზბეგი ყრმობის ასაკში სოფლის ბიჭებს იმით ართობდა, რომ მუჭა-მუჭა ვერცხლის ფულს უყრიდა. სიმწიფის ასაკში კი იძულებული გახდა, საგვარეულო სახარება, დედის ნაქონი ქირმანის შალი და ბოლოს, თავისი ჟაკო მაიმუნიც გაეყიდნა. მოსკოვიდან სტეფანწმინდაში დაბრუნების შემდეგ ის ცხვრის ფარას ყიდულობს და მას დასდევს საძოვრებზე, როგორც მომთაბარე მწყემსი. ალ. ყაზბეგი საუცხოოდ ეცნობა მთის ბუნებას და ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მთიელების ყოფა-ცხოვრებას და მსოფლმხედველობას. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ის მწყემსობას თავს ანებებს, რათა სამხედრო მოიჯარადრე გახდეს, მაგრამ მთავრობისგან ავანსად აღებული თანხები შემოეხარჯება, ვალი დაედება და იძულებული ხდება, თითქმის მთელი თავისი მამული გაჰყიდოს მის დასაფარავად. ასევე სამწუხაროდ სრულდება მისი ცდა თბილისში სტამბის გახსნისა.

ბოლოს ის გადაწყვეტს, ახლად შემდგა-

---

[1] **საგიჟეთი** – არაეთიკური ტერმინი, რომლის ნაცვლად დღეს გამოიყენება „ფსიქიატრიული კლინიკა“.

რი ქართული დრამატული დასის მსახიობი და დრამატურგი გახდეს. ორიოდე წლის განმავლობაში ოცდათხუთმეტ პიესას წერს ან აქართულებს. მაგრამ ქართული საზოგადოების მოწონებას ვერ იმსახურებს, ვერც როგორც დრამატურგი და ვერც როგორც მსახიობი; თეატრის აუდიტორიას მხოლოდ მისი ცეკვის ოსტატობა ხიბლავს.

როდესაც ალექსანდრე ყაზბეგმა თავის ნამდვილ დანიშნულებას მიაგნო, ის, ალბათ, ინსტინქტით გრძნობდა, რომ მისი დღეები დათვლილი იყო. ამით აიხსნება ის აჩქარება, ის შემოქმედებითი ციებ-ცხელების თრთოლვა, რომელიც მის მოთხრობებს ატყვია და რომელიც მათ ემოციურ ზეგავლენას აძლიერებს, მაგრამ მათ მხატვრულ სრულყოფას ხშირად ზიანს აყენებს.

ყაზბეგი დიდი პოეტია, დიდი ფერმწერალი, ის დიდი ოსტატობით ანვითარებს სიუჟეტს და მოთხრობის მსვლელობაში დიალოგებს ურთავს, ძალიან ბუნებრივსა და მეტყველს. თავისი შემოქმედებით ის წარმოდგენას იძლევა სხვა სამყაროზე, უფრო ამაღლებულსა და ტრაგიკულად გათიშულზე, ვიდრე ემპირიული სინამდვილეა... იშვიათია ისეთი ქართველი მკითხველი, რომელსაც ახალგაზრდობის დროს ცრემლები არ დაეღვაროს ყაზბეგის მოთხრობებზე...

გერონტი ქიქოძე

2.6. „ქართულის რვეულები“

ვაჟა-ფშაველა

ვაჟას ხასიათი

იმ დროში, როცა სახელგანთქმულ მწერლად იქცა, ვაჟა-ფშაველას ძნელი ცხოვრება ჰქონდა. ეს იყო ხალისს მოკლებული, მძიმე შრომითა და ჭაპანწყვეტით სავსე, დუხჭირი და ხელმოკლე, მთის რთულ ყოველდღიურობაში დანთქმული და სამწერლობო საქმიანობას სრულიად მიუსადაგებელი ცხოვრება.

იკითხავენ, ვისი ცხოვრებაა იოლიო. ალბათ, არავისი, მაგრამ ვაჟასთვის შეღავათი მოგინდება ხოლმე. ამ შეღავათის შეუძლებლობის გამო კი სევდიანად იოცნებებ, რა მოხდებოდა, ამ კაცს დრო წვრილმანებში, მეტიც, წვალებაში არ დაეკარგა და მთლიანად იმისთვის მოეხმარა, რაც ღმერთს მისთვის ასე მოემადლებინაო.

...თითქოს ვაჟას ცხოვრება რაღაც ულმობელი, ეგებ ვერაგი წონასწორობის ამბავი იყო....

...რა სისულელეებს არ წერდნენ ვაჟას შემოქმედებაზე, მაგრამ ერთი ასეთიც იყო: „ივერიის“ სარედაქციო ოთახში ილია ჭავჭავაძე შემოვიდაო; ყურსუკან ფანქარი გაეჩხირა თავისებურად, ჩანს, გახაზვა-გამოხაზვით ეკითხა რაღაც და თქვა: დაიბადა, როგორც იქნა, დაიბადაო. ახლა ეს პირდაპირ სტამბაში გააქანეთ და მომდევნო ნომერში მთლიანად დაბეჭდეთო.

ეს იყო ვაჟას „მოხუცის ნათქვამი“.

რუსთაველის მერე ჩვენ ასეთი არავინ გვყოლიაო, ესეც იმდროინდელია და ილიასია. ილია იყო მისი პირველი დიდი მიმხვედრი, დიდი მცნობი და, რასაც სწვდებოდა, მიმხედავი.

ვაჟა ხასიათი იყო, გამოკვეთილი, შთამბეჭდავი, ოდნავ უცხო, ოდნავ საშიშიც კი ქალაქის ახალდაგებულ ქვაფენილზე. ვერა სცნობდნენ ხოლმე. როცა ასაკში შევიდა, მაშინ ხომ საერთოდ. დადიოდა იმ თავის ჯუბაში გამოხვეული, ძველი ჩოხით, გაფუჭებული თვალით, ახოვანი, ადრე დაბერებული...

...იმ ფოტოებზე, რომლებიც შემოგვრჩა, ვხედავთ მის გამართულ წელს, მხრებს, კაცურად გადგმულ ფეხებსა და ძველი ვაჟკაცის აგებულებას. ფიგურა არქაული, იზლაზნებოდა, როგორც ჰერალდური ნადირიო, წერს ვახტანგ კოტეტიშვილი. რაღაც იყო, კლდე კი არა, უფრო ლოდი, ალაგ-ალაგ ჩამოკვეთილი, ტანთხლად, შთამბეჭდავად.

საუნივერსიტეტო განათლება არ ჰქონია. სტუდენტად არც მიიღებდნენ, მაგრამ ამბობენ, იურისტობა უნდოდაო. წელიწად-

ზე ცოტა მეტხანს იყო თავისუფალ მსმენელად უფროს ძმასთან, გიორგისთან ერთად პეტერბურგში. მეტი ვერ გასტანა.....

...მგონი, იმავე დროის ლაპარაკია, ძმებმა ყიფშიძეებმა: გრიგოლმა[1] და ალექსანდრემ[2] რომ წამოიწყეს, მოდი, ვაჟა გერმანიაში გავუშვათ სასწავლებლადო; და ილიას უთხრეს, უშენოდ არ გამოვა ფულის შოვნაო. ილიას უფიქრია, ეგ რომ წავიდეს, იქ მოდგება ფილოსოფიის კითხვას და ისეთი ვინმეა, წერას თავს მიანებებს, ამიტომ, ჯობია, აქ იყოსო. ჩვენ მოვუხერხოთ რაღაც, ჰონორარი წინდაწინ ვუგზავნოთო. ილიასვე უთქვამს ახალგაზრდა ვაჟასთვის, პოეზია კი კარგია, მაგრამ პროზას რას უწუნებო. ვაჟა კი უკვე წერდა პროზასაც. საერთოდ, აღარც ახსოვდა ხოლმე, სად რა გამოექვეყნებინა. გამუდმებით ამ სიებს ადგენდა.

წასვლით კი საბოლოოდ არსად წასულა, მშობლიურ სოფელში დაბრუნდა.

ახალგაზრდა ვაჟა

...აი, კიდევ რა კაცი იყო პავლე მღვდელი: როცა შვილებს წერის ნიჭი შეატყო, ნახა, რომ განათლებასაც იღებენ და ლექსებიც გამოუდით, თვითონაც დაიწყო წერა. ერთ-ერთი იშვიათი ქართველი მამა იყო, რომელიც შვილებს კი არ იმგვანებდა ძალით, არამედ რაც კარგი ჰქონდათ, თვითონ იღებდა. მგონი, ვაჟა ერთადერთი ქართველი მწერალია, რომლის მამამაც მემუარები დაწერა. პატარა ხელნაწერია,მაგრამ ნამდვილი ნიშანი ამ კაცის ბუნების განსაკუთრებულობისა. სანამდეც გასწვდა ხნიერი, შრომით დაღლილი და ლოცვით დაუღლელი კაცი, გასწვდა...

...ვაჟა ჯერ თელავის სასულიერო სასწავლებელში სწავლობდა, მერე თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის ორწლიან კურსებზე, ბოლოს კი – გორის საოსტატო სემინარიაში...

...ვაჟამ თბილისი კარგად იცოდა და კარგადაც გრძნობდა აქ თავს. ფშავში ყოველდღიური საქმე ნთქავდა და სულ თავისუფალი წუთის ძებნაში იყო. აბა, წარმოიდგინეთ, როცა სათიბში ჩაიმუხლებდნენ, უბიდან ამოიღებდა გალეულ ფანქარსა და ქაღალდის ნაგლეჯს და ერთ-ორ სტრიქონს ჩაიწერდა. საერთოდ, ხშირად ყოფილა, რომ წერდა იქ, სადაც ქაღალდს მოიხელთებდა. ვთქვათ, მამასახლისის კანცელარიაში ან სადმე ასეთ ადგილას.

თბილისში კი თითქოს აგარაკზე ყოფილიყო: ერთი პატარა, უფანჯრო ოთახი ეჭირა სანდროს სახლში; ნასადილევს წაუძინებდა და შემდეგ წერდა ხოლმე. ძალიან ბევრ რამეს ასწრებდა აქ...

იმავდროულად, თბილისი ის ადგილი იყო მისთვის, სადაც ლექსები პირველად მოაქცია ერთ რვეულში და ნამდვილ მწერალსაც წააკითხა. ანტონ ფურცელაძემ კიდეც შეაქო და კიდეც უსწორა, რაც ვაჟას დიდად არ მოეწონა. იმ ახალბედობის დროს ლუკა ფშაურ კილოზე არ წერდა, არამედ – სალიტერატურო ქართულით. მოგვიანებით, გორში სწავლისას, გადაწყვიტა, ფშაური კილო აეღო. სწორადაც გადაეწყვიტა, ნამდვილად ისე ჯობდა, როგორც გულიდან და ფიქრიდან ამოსდიოდა.

მასწავლებელი და დაოჯახებული გლეხი

ვაჟა რომ წერდა, ხშირად ნავთი არ ჰქონდა და ბუხრის შუქს უჯდა, ანდა არყის ხის ქერქის გამხმარ ნაყარს უკიდებდა და ეს იყო ხოლმე მისი სინათლე.

აკაკი შანიძე[3] იგონებდა: ვესტუმრე და ჩაით გამიმასპინძლდა, კოვზი ვერ მოიძია, ხის ტოტს წაატეხა და იმით მოურიაო.

მწერალი იყო და დრო უმეტესად სხვა საქმეზე მიუდიოდა. იმის საშუალებაც არ ჰქონია, დღის სინათლეზე ეწერა ხოლმე. არ ეცალა დღისით. იმ თავის პატარა სახლში მიეტიხრა კუთხე, გამოეჭრა სარკმე-

---

[1] **გრიგოლ ყიფშიძე** – (1858-1921) – ბიბლიოგრაფი, კრიტიკოსი, მთარგმნელი, მწერალი.

[2] **ალექსანდრე ყიფშიძე** – (1862-1916) – პუბლიცისტი, ისტორიკოსი.

[3] **აკაკი შანიძე** (1887-1987) – ენათმეცნიერი, დიალექტოლოგი, ფილოლოგი, ლექსიკოლოგი, რუსთველოლოგი, ფოლკლორისტი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის თანადამფუძნებელი.

ლი და მოეწყო თავისი „კაბინეტი“. იქ ედგა ტახტი, ელაგა თოფები და ფანდური.

მოკაფიავე ხომ არ იყო, მაგრამ ფანდურს საშინაო ხალისობისას გადმოიღებდა ხოლმე და წერისასაც ხშირად აჩხაკუნებდა. ვინ იცის, ეგებ რიტმს ზომავდა ან სტრიქონებს არგებდა ერთმანეთს. საერთოდ, უცნაური ის იყო, რომ ეს საჯარო ლექსაობა არ უყვარდა, მაგრამ შინ ყოველ დიდსა თუ პატარა ამბავზე ლექსს ამოთქვამდა ხოლმე. აქედან შედევრებიც იბადებოდა და ბავშვების გასახალისებელი შაირებიც. ვაჟას შეეძლო, უბრალო ამბავი დრამად და მაღალ ტრაგედიად ექცია.

საზოგადოების მზერა

ცენზურასთანაც უჭირდა. ყოფილა, რომ არათუ პოემა, მოთხრობა წლობით დებულა რედაქციებში სწორედ ცენზურის შეუვალობის გამო. მის ბევრ პოემასა და ლექსს ეწერა: „ძველი თქმულება“, „გაგონილი ამბავი“, „ძველი ამბავი“, „ლეგენდა“. ამას ვაჟა იმიტომ აკეთებდა, რომ ცენზორს შეთხზულ, ახალ და თანამედროვე რამედ არ ჩაეთვალა.

საერთოდ აკაკი და ვაჟა რთული ამბავია. აკაკი თავიდანვე ამბობდა, მისი ფშაური კილო და ენა არ მომწონს, ამახინჯებს, აფუჭებს ქართულსო. „ენას გიწუნებ, ფშაველო“ – გვიანდელია, აკაკისებურად დამთხვეული, ვაჟას იუბილეს ამზადებდნენ და იმის წინა დღეებში გამოაქვეყნა ეს სიტყვები. ვაჟამ პასუხი მისწერა – ცნობილი: „მე არცერთ კილოს არ ვწუნობ, თუა ქართველის გვარისა“. ბევრად ღრმა პასუხი იყო, ვიდრე აკაკის აზრები ვაჟას ენის შესახებ. დიდი საჭორაო გაჩნდა თბილისში აკაკის იუბილეს დროს: აბა, ვაჟა მოვა თუ არაო.

მოვიდა. ადამიანი იყო. ეშმაკობა, ვერაგობა და ასეთი ამხანაგები არასდროს ჰყოლია, რატომღაც ჭორაობისთვის რომ ყურადღება მიექცია.მაგრამ აკაკი სადაც წასწვდებოდა, გადაიხვევდა ხელზე ამ ფშაურ კილოს და აკრიტიკებდა. მიზეზი ეგებ ცოტა სხვაც იყო; ძნელი სათქმელია, მაგრამ იოლიც. რას შემოგიჩნდა ეს აკაკიო, ეტყოდნენ ხოლმე. ვაჟამ მეგობრებში თქვა ერთხელ, მე რა მიკვირს იცითო?! იმერელმა ფშაველს ქართული როგორ უნდა დაუწუნოს და შეუმოწმოსო?! ასეთი პირდაპირი პასუხები იცოდა.

აკაკისა და ვაჟას ურთიერთობას მაინც გამოაბეს რაღაც კუდები, მერე აკაკის დაკრძალვის ნახსენები ამბავი იყო.

ვაჟა იმის ხურდა არ იყო, ასეთებით ეცხოვრა. აკაკიმაც კარგად იცოდა, ვინ იყო ვაჟა...

მძიმე ცხოვრება და აჯანყება საქართველოსთვის

ვაჟა ადრე დაბერდა, ჯანი ადრე მოაკლდა...

რუსეთის პირველი რევოლუცია ვაჟას რევოლუცია იყო. ამ დროს დაწერა ყველაფერი დიდი. „გველისმჭამელიც“ კარგა ხნის გამოქვეყნებული ჰქონდა. ვაჟამ ეს რევოლუცია საქართველოსათვის ბრძოლის დასაწყისად აღიქვა.

ეს მისი ძველი ოცნება იყო და უკვე არად დაგიდევდათ,რომ რევოლუცია სულ სხვა ლოზუნგით მიმდინარეობდა. იქ მთავარი სოციალიზმი იყო, მაგრამ ვაჟა ერთს ფიქრობდა: მეფის ჩამოგდებასა და საქართველოს გათავისუფლებას...

სანდრო შანშიაშვილი იგონებს: ერთხელ ქოსების დუქანში სულ მუშტი ურტყა მაგიდას და ლამპები დააქრო, როცა იქ მყოფებს საქართველოს მომავალზე საუბრისას ნიჰილიზმი შეატყოო. მეორე დღეს ჩაფიქრებული შემხვდა რედაქციაში და მითხრა, ხვალ მარტო შენ მოდი ქოსების დუქანში, შენთანა მაქვს სალაპარაკოო...

იაფი ადგილი იყო და იქ ჯდომა უყვარდა. რა მინდა ძვირიან ადგილებში, ნამდვილი ხალხი აქ არის, ამბავს გაიგებ, ჭიქას მოგიჭახუნებენო.

შანშიაშვილი წერს, ჩავედი საღამოს, დამიხვდა სუფრასთან, დამისხა წითელი ღვინო და მითხრა: გეგმა მაქვს და შენც გევალება ერთი რამე. კახეთში ათი სანდო კაცი უნდა აარჩიო, სულ ისეთები, ვინც საქართველოსთვის თავს დადებსო. ვითომ ცოტაა, მაგრამ ძნელი საძებარია. მთელ საქართველოში ხალხი უნდა დავგზავნო და

ხუთი ათასნი რომ მოვგროვდებით, ჩემს ნიშანზე ყველანი ერთად შემოვეწყობით თბილისს და რუსებს დავიფრენთ აქედანო.

პირველი მსოფლიო ომი დაიწყო თუ არა, ყველას ეუბნებოდა, ეგ საჩვენოდაა და გაგვათავისუფლებს, მზად იყავითო. ბევრი ელოდა ამას, აკაკიც ელოდა. სანდრო იგონებდა, წინ ომის რუკა გვედო და ვკამათობდით. ვაჟა ისეთ დაუჯერებელ რამეებს ამბობდა, ვიღაცამ რუკის კიდეზე ჩაიწერა და წლების შემდეგ რომ დავხედე ამ რუკას, ყველაფერი ისე მომხდარიყო, როგორც ამბობდაო.

უკეთესი სამშობლო უნდოდა. ამიტომ დაადგა თურმე ჩარგლელ მღვდელს, გიგო სონღულაშვილს და უთხრა: აბა, მღვდელო, წამოიღე შენი ჯვარი და წამომყევი, მთელი სოფლები უნდა დავიაროთ, ხალხი ერთგულებაზე დავაფიცოთ და მამასახლისებს ჯინჯილები ავყაროო. გიგო მღვდელს უთქვამს: რას ამბობ, ციმბირს უკან დაგვატოვებინებენო.

ვაჟამ მათრახის მოღერება იცოდა: ციმბირამდე ვინ მიგიშვებს, იქავე მიგასაკლავებო, და ასე წაუყვანია. წაუყვანია და ბლომად უვლიათ, აფიცებდა ხალხს საქართველოს ერთგულებაზე, იმ გაქანებულ წითელი დროშების ფრიალში. მერე, სახლში რომ დაბრუნებულა, ცოლისთვის მიუყრია მამასახლისებისთვის ართმეული სახელისუფლებო ჯინჯილები, მძივები გაიკეთეო. ოღონდ ეს მთიურად სახალისო ამბავი მხოლოდ ერთი, სულ პატარა სურათია იმ საქმეებისა, ვაჟა რომ მისდევდა...

ვაჟა რადიკალია. მორალისა და პოლიტიკის რადიკალი. ადამიანებთან ურთიერთობაში ისედაც ღია, უბრალო; პირდაპირი და როგორღაც უკანმოუხედავ სიმართლემდე მისული. ისეთ სიმართლემდე, არავის რომ სიამოვნებს ხოლმე.ზოგჯერ ეს მის შემოქმედებაშიც გადადიოდა – შექსპირს გარიბალდი ცვლიდა. ასეთი იყო ის ვაჟა, რომელსაც მთიელებმა დამალული ძველი დროშები მოუტანეს. თამარ დედოფლის ნაქონი. გაგვიძეხ, დევოო.

დევი!

რევოლუცია დამარცხდა. საქართველო ვერ გათავისუფლდა. ცოტა იყო დარჩენილი.

რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ეს ფიქრი და ოცნება არ მოკვდა. ამიტომაც დაიბარა ვაჟამ შანშიაშვილი „ქოსებში“, ის ჯავრი მკვდარი არ იყო. გიჟდებოდა, რომ გაიგონებდა, საქართველო რააო, როგორ გათავისუფლდებაო. ამას ვერავისგან ითმენდა. ავტონომიაო, რომ ეტყოდნენ, იმასაც კი.

როცა თბილისის ოპერის აივნიდან 1918 წლის 26 მაისს ნოე ჟორდანიამ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ერთი ვინმე საოცარი კაცი, ვლასა მგელაძე გაქანებულ ფაეტონს შეახტა და მთაწმინდისკენ გაარეკინა.

იქ დარბოდა და ჩასძახოდა საფლავებს დაღამებამდე. ვერ დაწყნარდა: გიხაროდეთ, საქართველო გათავისუფლდაო.

ვლასა მგელაძე კი ჩასძახოდა საფლავებს, ხმა აღარ მოსდევდა უკვე, ტიროდა, იცინოდა და ხაოდა. ვაჟა იქ არ იყო. ეს პატივი არ მიეგო...

...მერე აასვენეს მთაწმინდაზე. საბჭოთა კომედია კარგი იყო...

ისტორიას შემორჩა ძველ რევოლუციონერთა მოგონებანი და იმათში გაკრთება ხოლმე ვაჟას სახელიც, როგორ ეხმარებოდა ბარიდან ამოსულ მებრძოლებს, როგორ უმალავდა იმავ ოზიაშვილსა და მის ჩაფრებს. ერთ ასეთ მოგონებაში, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გადაეყარა ბესო შანიძის დუქანში წითელრაზმელი ვაჟას, მოცემულია მოკლე და შთამბეჭდავი დიალოგი: ამ უცნობ კაცში, რომელმაც თავის სუფრასთან მიმიწვია, პოეტი ვაჟა ამოვიცანი, მან კი მკითხა:

პაროლი?

თავისუფალი საქართველო, – მიუგო ამ რაზმელმა. და ამ სიტყვებზე გადამეხვია: მაშ, წავიდეთ, დახმარება დაგჭირდებაო.

...ჯერ კიდევ როდის, დიდი თონეთიდან გაგზავნილ საჩივარში ეწერა, ბავშვებს ხელმწიფე-იმპერატორის სურათი დაახევინაო, ეგ როგორი მასწავლებელი უნდა იყოსო. ასეთი კაცი იყო, ხელისუფლებისაც არ ეშინოდა და არც მისი პატივისცემა ჰქონია ოდესმე.

უადგილობა, თავისაზე დგომა, შეუთავსებლობა მის პოემებში ტრაგედიებად იქცეოდა ხოლმე. ამის შემხედავიც ბევრი არავინ იყო...

უკანასკნელი ზაფხული

ადრე მოტყდა. ადრე დაბერდა. უყვედლაფრობისგან. მძიმე შრომისგან.....

ვაჟას თბილისი უყვარდა და იქ კარგი მეგობრებიც ჰყავდა, რომლებთანაც ამოისუნთქავდა ხოლმე...

თბილისში ჩამოსულ ვაჟას საყვარელი დუქნებიც გაახსენდებოდა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, „ქოსებს“ მიაკითხავდა...

ის ბოლო ჩამოსვლა კი ასეთი იყო:

ზამთარმა რომ გადაიარა, მოიგდო თავისი ხურჯინი და წამოვიდა, თითქოს უფრო სამკურნალოდ. თავად კი ხუმრობდა, რუსთ ხელმწიფესთან საშაროდ მივდივარო. მეორე მხრივ, გაზაფხულობით ყოველთვის ჩამოდიოდა ხოლმე. მაგრამ ამ ჯერზე ჯანი აღარ ჰქონდა და ძლივს წამოვიდა. იგონებენ, ხინკლის ხორციც კი ვერ აკეპაო, მეზობლის ბიჭს დაუძახაო. უყვარდა ეს საქმე, ხალისობდა. ჩაყარა ის ბოლო ხინკალი და წამოვიდა.

უმცროს ძმას, სანდროს მლეთის ქუჩაზე მისი სახლისკენ მიმავალი შეხვდა. ნაბადში გამოხვეული მიაბიჯებდა მძიმედ და შესჩივლა, მთელი ზამთარი ავადა ვარო. მართლაც, გამხდარი და მოტეხილი იყო.

ომის დრო იდგა. თბილისი ლაზარეთების ქალაქად ქცეულიყო. დაიბუდა იმ მაღლა, პატარა ოთახში, სადაც ყოველთვის ჩერდებოდა ხოლმე...

...გაზაფხულის ბოლო დღეები იყო, დაწვა, წაიფარა ნაბადი და აღარც ამდგარა. მისუსტებული, ოფლმდინარი იწვა იმ მაღლა ოთახში...

...შინ ერჩია, მაგრამ მის მდგომარეობას რომ უყურეს, მაინც ლაზარეთში გადაიყვანეს, ომიანობისა და დაჭრილ სალდათთა სიმრავლის მიუხედავად, ნათელ საოფიცრო პალატაში დააწვინეს მესამე სართულზე.

არაფერი აკლდა, მნახველებს ბლომად ხილი მოჰქონდათ...

...ასეთი ლაღი ქართველური ვითარება იყო: კაცი გადადებული იწვა და მაინც რაღაც მხიარულება სუფევდა გარშემო. მნახველი მოუდიოდა, თუმცა დაკვირვებული თვალი მაინც იწუნებდა იმ გარემოს, რომელშიც იყო...

სანდრო შანშიაშვილი რომ მივიდა მანამდე და ნახა, იგრძნო, ამქვეყნისა აღარ არისო. ძალიან გამხდარი იყო, წონაში იკლებდა. მანამდე იოსებ იმედაშვილმა მიიყვანა ახალგაზრდა ფოტოგრაფი ევტიხი ჟვანია და ასე დაგვრჩა ის ცნობილი ფოტო მოწყალების დებთან ერთად. შანშიაშვილმა უთხრა, მხატვარს მოვიყვან და დაგხატავს, მერე ნახავ და იხალისებ, როგორი გამხდარი ყოფილხარო. ატყუებდა, რა თქმა უნდა. სინამდვილეში უნდოდა, სიკვდილისწინა სურათი დაგვრჩენოდა. ვაჟა მოსე თოიძეს დაეხატა ადრე და მორჩა.

ჰოდა, მოვიდა სიდამონ-ერისთავი და ხატავდა მთელი დღე მომაკვდავს.

მისი იმ პალატაში წოლის დღეები, საათები, წუთები, სულ სამახსოვრო გამოვიდა. თითქმის მთელ თვეს იწვა და მიდიოდა ნელ-ნელა, წვეთწვეთობით...

იმ საღამოს პირზე მარტო გარდაიცვალა...

სიცხეში, უაზრობაში გარდაიცვალა, ორმოცდათოთხმეტი წლის, მოხუცის იერის, ჭარმაგი კაცი... მოუვლელობის, გლეხური უბედურების გამო.

აკა მორჩილაძე

2.7. კრიტიკა ბ. იპ. ვართაგავასი

(ფრაგმენტები)

...უნდა ყველამ კარგად იცოდეს, ხალხის თქმულება, რაც უნდა იგი მდიდარი შინაარსისა იყოს, აზრიანი და ხელოვნური, თუ პოეტმა იგი არ გარდაქმნა, საკუთარ სულიერ ქურაში არ გადაადნო, არ გადაადუღა, მასალიდან ახალი რამ არ შექმნა და დაწერა ისე, როგორც ხალხი ამბობს, არაფერი გამოვა.

ამის მაგალითები მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ბევრია.

რა მაქვს დასამალი და დასაფარი – არაფერი. „სტუმარ-მასპინძლის“ და „გველის მჭამელის“ ვინაობას კი არა, მთელ ჩემ ნაწარმოებს გავაცნობ მკითხველებს და ვეტყვი, რაა იქ ხალხური და რაა ჩემი საკუთარი.

ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვა, ბევრი ამბავი და ზღაპარი, მე შევქმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავიო“, „ზღაპარიო“, „თქმულებაო“.

ჩემი პოემები თითქმის ყველა სულ ხალხურ თქმულებებზე, ძველ ამბებზე არიან დაფუძნებულნი, თვითვეული მათგანი სხვა და სხვანაირად, ზოგი ცოტად თუ ბევრად უახლოვდება დედანს.

„სტუმარ-მასპინძელი“, მაგალითად, არის აშენებული შემდეგ ამბავზე: ზვიადაური ხევსური შემთხვევით ჩაუვარდა ქისტებს ხელში. რა შემთხვევით, ეს მე არ გამიგონია, მაშასადამე, ჯოყოლას შეხვედრა და მის მიერ ზვიადაურის შინ მიპატიჟება და შეპყრობა ეს ავტორის საკუთრებაა. ქისტებს, მოგვითხრობს ძველი ამბავი, ჰყავთ ახალი მკვდარი ვიღაცა ხევსურისაგან მოკლული. თანახმად ჩვეულებისა, საჭიროა სისხლის აღება. თვით მიცვალებული თხოულობს ამას და რათა დააკმაყოფილონ იგი, დააშოშმინონ გარდაცვალებული თანამოძმის აღტყინებული გრძნობა შურისძიებისა, ქისტები ჰკლავენ ზვიადაურს დარლას (ამბით ქისტის სახელი არ გამოგონია) საფლავზე. ამ დაკვლის დროს დიდი ვაჟკაცობა და გულადობა გამოიჩინა ხევსურმა ზვიადაურმა. ...ხანჯლის წვერით ყელში სჩხვლეტენ ქისტის საფლავზე ხარივით წამოქცეულს სამსხვერპლო ზვიადაურს და როცა ქისტები იტყოდნენ: – იყავ საიქიოს მონა-მოსამსახურე დარლასი, უზიდე წყალი, გაუბანდე ჯღანი, რაც სამსახური მოითხოვს შენგან თავგამოდებით, ერთგულად აუსრულო, – ეს უკანასკნელი, ვიდრე სულს დაჰლევდა, ხრიალებდა ყელში: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადაო“. აი მთელი ამბავი, რომელზედაც მე ავაშენე „სტუმარ-მასპინძელი“. მაშასადამე ჯოყოლა, აღაზა და ამ უკანასკნელის გლოვა ზვიადაურისა, აგრეთვე გალაშქრება ხევსურებისა ზვიადაურის ნეშტის გადმოსასვენებლად და სხვა, ყველა ეს ავტორის ბრალია, მისი ფანტაზიის ნაცოდვილარი.

„გველის მჭამელის“ არაკი, რაც მე გავიგონე და რაზედაც ავაშენე მთელი პოემა, შემდეგია: ხევსური მინდია ჩაუვარდება ტყვედ ქაჯებს; მათ შორის ცხოვრებამ იქამდის დააღონა მინდია, თავის მოსაკვლელად გველის ხორცი სჭამა, რომლითაც ქაჯები იკვებებოდნენ. გველის ჭამამ სრულიად სხვა ნაყოფი გამოიღო: მინდია ბრძენ კაცად გადაიქცა; მისი სიბრძნე, ხალხური თქმულებით, სჩანს მცენარეების ცნობაში, თუ რომელი მცენარე რა სატკივარის წამალია, რადგან ყველა მცენარე თავად იძახის, რის წამალიც არის და მინდიამაც ამ მცენარეთა ენა კარგად იცის. შედეგი ამ ცოდნისა არის მინდიას გაექიმება. მისი წამალი უებარია, ხალხური თქმულება ამას იქით არ გადის, მაშასადამე, მინდიას დაცოლშვილება, ცოლთან ბაასი, ხორცის უჭმელობა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მხედართმთავრული ნიჭი გველის მჭამელისა, ჩიტების ენის ცოდნა, ხალხურ თქმულებას არ ეკუთვნის.

ვაჟა-ფშაველა

2.8. სტუმარი

მოხუცი ხანაშე ცუგბა ფაცხის წინ, ეზოში იჯდა. მაღალი ალვის ხის ჩრდილი აგრილებდა მის ნაოჭიან შუბლს. მუხლებზე დამბალი ტყავის ნაჭერი ედო და თავის ერთადერთ შვილს – თემირს ქალამანს უკერავდა.

მოულოდნელად წამოვარდა ძაღლი და ყეფა დაიწყო. მოხუცმა თავი ასწია და უცნობ ახალგაზრდა კაცს მოჰკრა თვალი, რომელიც მთელი ძალით მორბოდა, მან ჭიშკრამდე ვერ მიაღწია, მესერს გადმოევლო და ეზოში აღმოჩნდა. ეტყობოდა, მეტად დაღლილი იყო. ჭაბუკმა მოხუცთან მიირბინა და დამტვრეული აფხაზურით ხვეწნა დაუწყო, დამმალეო. მისმა კილომ მოხუცს აფიქრებინა, რომ მოსული ჩერქეზი უნდა ყოფილიყო.

– მდევარი მომდევს, – ქლოშინით თქვა ჭაბუკმა. – მიხსენი, მოხუცო, დამმალე, თუ დამინახეს, მომკლავენ.

– სახლში შედი, სახლში! – უცებ წაილაპარაკა ხანაშემ და ახალგაზრდა ფაცხაში შეიყვანა. მან კედელზე კიბე მიადგა და სტუმარს თავანზე მიუთითა.

– აცოცდი, შვილო, იქ მატყლის გროვაა და დაწექი, მშვიდად იყავი, არ შეშინდე, უშიშარ ადგილზე ხარ.

– დარდი აშოროს შენ მოხუცებულობას, – მადლობის ნაცვლად წაიბუტბუტა ახალგაზრდამ და საჩქაროდ აძვრა თავანზე.

მოხუცი გარეთ გავიდა, გაიხედ-გამოიხედა და რაკი დარწმუნდა აღარავინ ჩანდა, უკან ფაცხაში შემობრუნდა და ქვევიდან შეეკითხა:

– არ შეშინდე, შვილო, არავინ ჩანს, ალბათ არავის შეუხედნია შენთვის, როცა ჩემს ეზოში გადმოხტი. ისე კი მითხარი, რატომ გდევნიან და ვინ არის შენი მდევარი. რა დააშავე, რომ მოკვლას გიპირებენ?

– კაცი შემომაკვდა, მისი მეგობრები დამედევნენ, შური უნდათ იძიონ.

– რისთვის მოკალი კაცი?

– შეურაცხყოფა მომაყენა, დოღის დროს ჩემს ცხენს მათრახი გადაუჭირა.

– ვინ არის მოკლული, სახელი არ იცი?

– არ ვიცი, მე ხომ თქვენს სოფელში პირველადა ვარ.

ამ დროს ძაღლმა გაბმით დაიწყო ყეფა და ორივენი გაჩუმდნენ.

– ჩუმად, მე წავალ, დავათვალიერებ, – წყნარად თქვა მოხუცმა და ეზოში გავიდა.

შორს, გორაკის წვერზე რამდენიმე კაცი გამოჩნდა. უკან ხალხი მოსდევდა. მოხუცმა, მზისთვის თვალი რომ აერიდებინა, შუბლზე ხელი მიიფარა და იქით გაიხედა. ახლა აშკარად ჩანდა, რომ ისინი მისი სახლისაკენ მოდიოდნენ. ხალხი ნელა, მძიმე ნაბიჯით მოძრაობდა. რამდენადაც მის ფაცხას უახლოვდებოდნენ, ხალხის რაოდენობაც იზრდებოდა.

– ესენი, ალბათ, ამისათვის მოდიან, მკვლელს ეძებენ, – გაიფიქრა მან და მთელი ძალ-ღონე მოიკრიფა, რათა დაეცვა სტუმარი. მაგრამ ეს რა არი?! ორიოდე კაცი წინ წამოვიდა, ხალხს გამოეყო, დაწინაურდა, ეზოს ჭიშკარი გამოაღეს და შიგნით შემოვიდნენ. თან ხალხი შემოჰყვა. ეზო აივსო. ახლა მოხუცმა ნათლად დაინახა, რომ მათ ხელით რაღაც ნაბადში შეხვეული მოჰქონდათ.

მოხუცი ადგილზე გაშეშდა. ნაბადს დააჩერდა თუ არა, ისე შეირხა, თითქოს მის მოხუც გულს ხანჯალი მოხვედროდეს სასიკვდილოდ. ხალხს თეთრწვერა მოხუცი აშვიუ აბიდჟი გამოეყო. აშვიუ მისი ტოლი კაცი იყო და ოჯახის ძველი მეგობარი. მან მოკრძალებით, ნაღვლიანად შეხედა მას და წყნარად თქვა:

– ძალა მოიკრიბე, ხანაშე! გამაგრდი, დღეს შენ დიდი და ძლიერი მწუხარება დაგატყდა თავზე. მაგრამ განა ამ ქვეყნად არის ისეთი ძალა, რომელიც დროს არ შეენელებინოს და დაესუსტებინოს, თვითონ შენ გისწავლებია ჩვენთვის: „ძლიერი ხასიათის კაცი დიდ ჭირს აიტანს, დიდ მწუხარებას გაუძლებსო“, დღეს კაცთსაძულველმა ჩერქეზმა შენი თემირი მოჰკლა! მოხუცს მუხლი მოეკვეთა. მან კანკალით წაივლო გულზე ხელი და წაიქცეოდა კიდეც, რომ ხალხს არ დაეჭირა. ქალების წივილ-კივილმა ეზო ააფორიაქა.

ორი დღე-ღამე ესვენა ხის ლოგინზე შვილის გაციებული ცხედარი. სხვადასხვა მიზეზით რამდენჯერმე ავიდა მოხუცი თავანზე. აკანკალებული ხელით და ნაღვლიანი სახით მიჰქონდა ახალგაზრდა ჭაბუკთან ულუფა.

მესამე დღეს დაასაფლავეს თუ არა თემირი, მისი მეგობრები მოხუცთან ერთად დაბრუნდნენ ეზოში. შუაღამემდე ისხდნენ ისინი მოხუცთან... შემდეგ კი გულმოკლული კაცი მარტო რომ მოესვენებინათ, გამოემშვიდობნენ.

– ჩვენ ვიცით, – თქვა ერთმა მათგანმა, თემირის ტოლმა და ყველაზე საყვარელმა მეგობარმა. – ყველანი ერთად ვერ შეგიცვლით შენს თემირს, შენს შვილს, მაგრამ ჩვენ შენთან ერთად გავიზიარებთ ამ საერთო მწუხარებას. ყოველდღე შენთან მოვალთ, თითქოს თემირი ცოცხალი გვყავდეს, ყველანი მოგეხმარებით, ყველანი მოგეფერებით. მისი სიტყვები ახლა საზეიმოდ და მტკიცედ ისმოდა ეზოში.

– სიტყვას გაძლევთ, – დაუმატა მეორემ, – რომ შურს ვიძიებთ. მართალია, მოხერხებულად დაიმალა ის ჩერქეზი, თვალდახელშუა გაგვიძვრა ტყეში, შეიძლება სადღაც სულ ახლოს არის, ალბათ, ვიღაცა მალავს კიდეც, მაგრამ მალე მოვძებნით მას, მალე გაიგებ, მოხუცო, მის სიკვდილს. ეს·ცნობა, ალბათ, მცირედ მაინც შეგიმსუბუქებს მწუხარებას და დაგამშვიდებს. ამ სიტყვების მემდეგ თემირის მეგობრები წავიდნენ.

მოხუცი მარტო დარჩა. ნაღველით სავსე თვალები მოავლო გარემოს. ხომ არავინ არის ახლომახლოო, გაიფიქრა, მერე მივიდა, ხურჯინი ჩამოიღო, მსუყე საჭმელით აავსო, კიბე თავანზე მიდგა და ჩერქეზ ჭაბუკს დაუძახა:

– ჩამობრძანდი, სტუმარო, ჩამობრძანდი. აქ აღარავინ არის, ყველანი წავიდნენ. როცა სტუმარი კიბეზე ჩამოცოცდა, მოხუცმა ათრთოლებული ხელით გაუწოდა ხურჯინი.

– წაიღე, – უთხრა მან. – აქ ორი დღის საგზალი დევს. სახლისაკენ იჩქარე, შვილო, ტყით ახლოსაა გადასასვლელი. ახლა ბნელი ღამეებია, ვერავინ დაგინახავს.

ნელა დახარა თავი სტუმარმა, ნელა მიიტანა ტუჩებთან მოხუცის ჩოხის კალთა, მოკრძალებით ეამბორა მას, სიტყვის უთქმელად გავიდა ფაცხიდან და სიბნელეში გაქრა.

მიხეილ ლაკერბაი

თარგმნა მამია ასათიანმა

2.10. თოლია, სახელად ჯონათან ლივინგსტონი

დილა იყო და ახლადამოწვერილი მზე ოქროს აფრქვევდა წყნარად აჭავლებულ ზღვას. ნაპირიდან ერთი მილის მოშორებით გემი წყალზე ირწეოდა, როცა ჰაერი საუზმის გუნდის შესახებ ნათქვამმა სიტყვამ შეარხია. ამას მალევე მოჰყვა ასეულობით თოლია, რომლებიც ერთმანეთში აირივნენ საჭმლის ნარჩენებისათვის ჭიდილში. ახალი დღე იწყებოდა. მაგრამ გემისა და ნაპირისაგან მოშორებული ჯონათან ლივინგსტონი განმარტოებით ვარჯიშობდა.

ის ჩვეულებრივი თოლია არ გახლდათ. თოლიების უმრავლესობა თავს არ იწუხებს იმით, რომ ფრენის ელემენტარულ წესებზე მეტი რამ ისწავლოს, – მხოლოდ იმდენი, რამდენიც ნაპირიდან გაფრენასა და საკვების შოვნას ეყოფა. მათთვის მთავარი ხომ ფრენა კი არა, საჭმლის შოვნაა. თოლია ჯონათან ლივინგსტონს კი ყველაზე მეტად ფრენა უყვარდა. თუმცა ასეთი ხასიათი, როგორც თვითონვე მიხვდა, სულ არ ხდიდა პოპულარულს სხვა თოლიების თვალში. თვით მისი მშობლებიც კი შეაშფოთა იმ ამბავმა, რომ ჯონათანი მთელ დღეებს მარტოობაში ატარებდა.

– მოიხედე, ჯონათან, – უთხრა მამამ არცთუ ბრაზიანად, – ზამთარი შორს აღარ არის და თუ სწავლას აპირებ, მაშინ საკვები და მისი მოპოვება შეისწავლე. გაფრენა-გამოფრენა კარგია, მაგრამ მაგით კუჭს ვერ დაიოკებ. არ დაგავიწყდეს, რომ შენი ფრენის მიზანი ჭამაა. ჯონათანმა მამას მორჩილად დაუკრა თავი. რამდენიმე მომდევნო დღის მანძილზე შეეცადა სხვა თოლიებივით ეცხოვრა. მართლა შეეცადა... მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

*

ჯონათანი გამალებით ვარჯიშობდა. იყო გამარჯვებისა და დამარცხების პერიოდები. ერთხელაც, როცა ქანცგაწყვეტილმა ის იყო წყალში ჩაყვინთა, მის გონებაში თუ სხეულში უცნაური და ყრუ ხმა აჟღერდა: „ამას ვერსად წავუვალ. მე თოლია ვარ. მე დასაზღვრული ვარ თვით ჩემი ბუნებით. მართალს ამბობდა მამაჩემი: უნდა დავივიწყო ეს სისულელე, გუნდს უნდა დავუბრუნდე და იმით დავკმაყოფილდე, რომ ერთი საბრალო, ბევრი არაფრის მცოდნე თოლია ვარ“.

ხმა მიჩუმდა. ჯონათანი ყველაფერში დაეთანხმა. ღამით თოლიას ადგილი ნაპირზეა და მანაც დაიფიცა, ამიერიდან ნორმალურ თოლიად ვიქცევი, ეს ხომ ჩემ ირგვლივ ყველას გაუხარდებაო. ჰო, – გაიფიქრა ჯონათანმა, – დამთავრდა ის ყველაფერი. მეყოფა, რაც ვისწავლე. მეც ისეთივე თოლია ვარ, როგორც ყველა დანარჩენი, და ამიერიდან მათსავით ვიფრენ“.

ჯონათანი მძიმე-მძიმედ ავიდა ასიოდე ფუტის სიმაღლეზე და იქ ფრთები უფრო ძალუმად დაიქნია, ვინძლო სწრაფად გაეღწია ნაპირზე. როგორც კი გადაწყვიტა, გუნდის ყველა სხვა წევრივით ვიცხოვრებო, თავი უკეთ იგრძნო. ახლა უკვე ველარაფერი აიძულებს, კიდევ ისწავლოს...

თუმცა ეს დროებითი იყო.

ერთხელ ჯონათანმა რაღაც არნახულ საოცარ ხერხს მიაგნო, რაც მისი ფრენის სისწრაფეს მკვეთრად აუმჯობესებდა. თავდაპირველად ეგონა, რომ ახალი მიღწევებით სხვა თოლიებს გაახარებდა.

„ამას რომ გაიგებენ, – გაივლო ჯონათანმა, – ამ გარღვევის ამბავს, სიხარულით გაგიჟდებიან. კიდევ რამდენი რამისთვის ღირს, თურმე, ცხოვრება! იმის ნაცვლად, რომ სულ წინ და უკან ვიბოდიალოთ თევზსარეწ გემებზე, ახლა ცხოვრების მიზანი გაჩნდა! ახლა შეგვიძლია უმეცრებიდან გამოვიდეთ, შეგვიძლია დავინახოთ, რა სრულქმნილი, რა გონიერი, რა ოსტატობის მფლობელი ქმნილებები ვართ. ჩვენ შეგვიძლია, ვიყოთ თავისუფლები! ჩვენ შეგვიძლია, ვისწავლოთ ფრენა!

ძირს დაშვებულ ჯონათანს თოლიების საბჭო შეკრებილი დახვდა. აშკარად მას ელოდნენ.

– ჯონათან ლივინგსტონ! შუაში გამოდი! – უხუცესის სიტყვები უკიდურესად ცერემონიულად ჟღერდა. შუაგულში დგომა ან დიდ სირცხვილს ნიშნავდა ან დიდ პატივს. პატივისათვის ცენტრში დგომა წი-

ლად ხვდა თოლიების გუნდის ყველა გამოჩენილ ლიდერს. „რა თქმა უნდა, – გაიფიქრა ჯონათანმა, – გუნდი ჩემს გარღვევას ნახავდა. მაგრამ მე არავითარი პატივ-დიდება არ მინდა, მხოლოდ ის მსურს, რომ გავუზიარო, რაც გავიგე, ვუჩვენო, რა შესაძლებლობები ჰქონია თითოეულ ჩვენგანს. და ჯონათანი წინ მიდგა.

ჯონათანი მოტყუვდა, მას პატივისთვის არ უხმობდნენ. თოლიებისათვის მიუღებელი ქცევის გამო იგი გუნდიდან მოიკვეთეს. სხვა რა გზა იყო, თავი შორეულ კლდეებს შეაფარა.

იმდენად მარტოობა კი არ ტანჯავდა, არამედ ის, რომ სხვა თოლიებმა არ ირწმუნეს, დანახვა არ მოისურვეს.

ჯონათანი ყოველდღე რაღაც ახალს სწავლობდა. მალე მას თავის მსგავსი „უცნაური“ თოლიები შეუერთდნენ. ისინი საღამოს მოვიდნენ, როცა მარტოხელა ჯონათანი ლაღად დასრიალებდა თავის საყვარელ ცაში. ორი თოლია ამოუდგა ფრთებთან აქეთ-იქედან, ორივე ვარსკვლავის შუქივით წმინდა იყო, მაგრამ ყველაზე გულისგამლღობ სანახაობას მაინც მათი ფრენის საოცარი ხელოვნება წარმოადგენდა: ჯონათანმა სტუმრებს უსიტყვოდ ჩაუტარა გამოცდა, არასოდეს რომ არ გაუვლია არც ერთ თოლიას. ისინიც მიჰყვნენ, მომღიმარნი. ჯონათანმა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, ხმა ამოიღო:

– ძალიან კარგი, ვინ ხართ?

– ჩვენ შენი გუნდიდან ვართ, ჯონათან, შენი ძმები ვართ, – ამ სიტყვებმა მშვიდად და მძლავრად გაიჟღერა, – მოვედით, რომ მაღლა, შინ წაგიყვანოთ.

– მე სახლი არ მაქვს. არც გუნდი მყავს. მე განკვეთილი ვარ. ახლა ჩვენ დიდი მთის ქარის თავზე მივფრინავთ. აქედან ჩემს მოხუც სხეულს სულ რამდენიმე ასეულ ფუტზეღა თუ ავიტან.

– არა, ჯონათან, შენ მეტი შეგიძლია: შენ ხომ ისწავლე. ერთი სკოლა დამთავრდა, ახლა მეორე სკოლის ჯერი დადგა. აქამდეც ასე იყო, რაღაც გამოანათებდა ხოლმე და ჯონათანიც სწორედ მაშინ ხვდებოდა, როგორ ეფრინა. ახლაც ასე გამოუნათა თოლია ჯონათანს გაგების სხივსინათლემ. ისინი მართალს ამბობდნენ: მას უფრო მაღლა აფრენა შეეძლო და თან შინ დაბრუნების დროც იყო. ცას უკანასკნელად შეხედა, შეხედა იმ გასაოცარ ვერცხლისფერ ქვეყანას, სადაც მან ფრენა ისწავლა.

– მე მზად ვარ, – თქვა ბოლოს. და თოლია ჯონათან ლივინგსტონი ვარსკვლავივით სხივოსან ორ თანამგზავრთან ერთად ზემოთ წავიდა და სრულქმნილი ცის მანათობელ წყვდიადში გაუჩინარდა.

***

„ესეც ზეცა“, – გაიფიქრა ჯონათანმა და საკუთარ თავზე გაეცინა. თავის სხეულს ისევ თოლიას სხეულად გრძნობდა, მაგრამ ეხლა ეს უკანასკნელი ისე მიფრინავდა, როგორც არასოდეს უფრენია მის უწინდელ სხეულს.

ახალი თვალსაწიერები, ახალი აზრები, ახალი კითხვები.

მომდევნო დღეებში ჯონათანმა დაინახა, რომ იმდენივე რამ ჰქონდა ფრენაში სასწავლი, რამდენიც იქ, მიწიერ ცხოვრებაში. თუმცა იყო ერთი განსხვავებაც. აქაური თოლიები ისევე ფიქრობდნენ, როგორც ჯონათანი: თითოეული მათგანი ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სრულყოფილების მიღწევას.

ყველა ისინი დიდებული ფრინველები იყვნენ და ყოველდღიურად საათობით ვარჯიშობდნენ: უმაღლეს პილოტაჟში იწვრთნებოდნენ. ჯონათანმა დიდი ხნით დაივიწყა ის ქვეყანა, საიდანაც მოვიდა.

ერთხელ ჯონათანი იქაურ თოლიასთან საუბარმა გაიტაცა

– რატომ ვართ ასე ცოტა? იქ, საიდანაც მოვედი... – ათასობით თოლია იყო.

– ვიცი, ჯონათან, – და სალივანმა თავი დააქნია, ერთადერთი ჩემი პასუხი ისაა, რომ შენ მილიონში ერთი ფრინველი ხარ. უმეტესი ძალზე ნელა ვითარდება. ერთი სამყაროდან გადავდივართ მეორეში, თითქმის იმ პირველის მსგავსში; მეყსეულად გვავიწყდება, საიდან მოვედით; არც იმას დაგიდევდთ – საით მივდვართთ, და მხოლოდ მოცემული წამით ვცხოვრობთ. შეგიძლია წარმოიდგინო, რამდენი ცხოვრება უნდა გავიაროთ, ვიდრე პირველად მოგვი-

ვა თავში, რომ არსებობს კიდევ სხვა ცხოვრება, ჭამის, ჩხუბისა და გუნდში პირველობისათვის ბრძოლის გარდა? – ათასი ცხოვრება, ჯონ, ათი ათასი ცხოვრება! მერე კიდევ ასი ცხოვრება გვინდა, ვიდრე შევუდგებოდეთ იმის სწავლას, რომ არსებობს ისეთი რამ, როგორიცაა სრულქმნილება; შემდეგ კიდევ ასი ცხოვრება იმის მისახვედრად, რომ ჩვენი ცხოვრების მიზანი ამ სრულყოფილების პოვნა და გამოვლენაა. ახლაც იმავე კანონით ვმოქმედებთ: ჩვენ ვირჩევთ ჩვენს მორიგ სამყაროს იმისდა მიხედვით, რასაც ამჟამად ვსწავლობთ. ნურაფერს ისწავლი და შემდეგი სამყარო ზუსტად ასეთივე იქნება, იმავე დასაზღვრულობებით და იმავე გადასალახავი სიმძიმეებით. მან ფრთები გაშალა და ქარისკენ შემობრუნდა: – მაგრამ შენ, ჯონათან, პირველივე ჯერზე იმდენი რამ ისწავლე, რომ აღარ მოგიხდა ათასი საფეხურის გავლა ამ ცხოვრებამდე მოსაღწევად. ერთ წამში ისინი ისევ ჰაერში იყვნენ და საფრენ ილეთებს ამუშავებდნენ.

... ჯონათანმა მთელი თავისი გამბედაობა მოიკრიბა და უხუცეს თოლიასთან მივიდა, რომელსაც, როგორც ამბობდნენ, ეს ქვეყანა მალე უნდა დაეტოვებინა. – ჩიანგ... – მიმართა ჯონათანმა ცოტა ნერვიულად. მოხუცმა თოლიამ თბილად შეხედა: – რაო, შვილიკო? უხუცესი სიჭარმაგეში შესვლას კი არ დაესუსტებინა, არამედ უფრო და უფრო მოემძლავრებინა: გუნდის ვერც ერთი თოლია ვერ გაუტოლდებოდა ფრენაში და უკვე ისეთ ოსტატობას დაუფლებოდა, როგორსაც სხვები მხოლოდ ნელნელა თუ უახლოვდებოდნენ.

– ჩიანგ, ეს ადგილი სულაც არ არის ზეცა, არა? მთვარის შუქში გახვეულმა უხუცესმა გაიღიმა: – შენ ჯერ კიდევ სწავლობ, თოლია ჯონ!

– ჰოდა, ამ სწავლის შემდეგ რა იქნება? სად მივდივართ აქედან? არის სადმე ზეცად წოდებული ადგილი?

– არა, ჯონათან, ასეთი ადგილი არ არსებობს. ზეცა არც ადგილია და არც დრო. ზეცა სრულყოფილი არსებობაა, – უხუცესი ერთხანს დადუმდა, – შენ უსწრაფესი მფრინავი ხარ, არა?

– მე... მე მიყვარს სისწრაფე, – თქვა შეცბუნებულმა, თუმცა ამაყმაც იმით, რომ უხუცესს მისი ღირსებები შემჩნეული ჰქონდა.

– შენ იმ მომენტში შეეხები ზეცას, როდესაც სრულქმნილ სისწრაფეს დაეუფლები, ეს კი იმას არ ნიშნავს – საათში ათასი ან მილიონი მილი დაფარო ან სინათლის სიჩქარით იფრინო. რადგან ყოველგვარი რიცხვი დასაზღვრულია, სრულქმნილებას კი საზღვრები არა აქვს. სრულყოფილი სისწრაფე, შვილო, ნიშნავს აქ ყოფნას. ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ჩიანგი გაქრა და წამის მეათედში ზუსტად წყლის კიდეზე გაჩნდა ორმოცდაათი ფუტის მოშორებით. შემდეგ ისევ გაქრა და ისევ წამის მეათედში ჯონათანის გვერდით გამჟღავნდა.

– ეს ისე, ხუმრობით, – თქვა უხუცესმა. ჯონათანი ისე გაოგნდა, რომ ზეცაც კი დაავიწყდა:

– ამას როგორ შვრები? რას გრძნობ ამ დროს? სადამდე შეგიძლია გადაადგილდე?

– დაიხსომე ჯონათან: ზეცა არც ადგილია და არც დრო, რადგან ადგილსაც და დროსაც, ამ მხრივ, არანაირი აზრი არა აქვს. ზეცა არის...

– შეგიძლია, ეგეთი ფრენა მასწავლო? – თოლია ჯონათანი მისთვის უცნობი მორიგი მწვერვალის დაპყრობის სურვილს აეტანა.

– რა თქმა უნდა, თუკი სწავლა გსურს.

– მსურს. როდის დავიწყებთ?

– თუნდაც ახლა, თუ შენ გსურს.

ჯონათანი მალე მშვენიერ ოსტატად იქცა, იგი სხვებს ასწავლიდა. მალე მან ერთი სამყარო დატოვა და განვითარებისათვის შემდეგ სამყაროში გაფრინდა. მისი მოსწავლე ფლეტჩერი ხშირად ფიქრობდა ჯონათანის სიტყვებზე. განსაკუთრებით მაშინ, როცა უჭირდა, ან პირიქით, ეჩვენებოდა, რომ სრულყოფის ზღვარს მიაღწია: „არავითარი საზღვარი, ჯონათან? – ფიქრობდა ფლეტჩერი, – „მაშ, არავითარი საზღვარი, არა?“ – ღიმილით იმეორებდა იგი და მიჰყვებოდა დაუსრულებელი წინსვლის მარათონს.

რიჩარდ ბახი

დანართი 3

სხვადასხვა

3.1. აღმოსავლურ-დასავლური დივანი

(* წიგნი წიგნში)

აღმოსავლურ-დასავლური დივანი საგანგებოდ თქვენთვის შექმნილი მცირე კრებულია, რომელშიც აღმოსავლური და დასავლური ლირიკის ნიმუშები შევიდა. ესაა მცირე წიგნი სახელმძღვანელოში. იგი მრავალჯერ დაგჭირდებათ, როგორც დამატებითი რესურსი, აღმოსავლური და დასავლური პარალელების გასაცნობად.

ეს პატარა კრებული ძირითადად ვახუშტი კოტეტიშვილის მიერ შდგენილი ანალოგიური სხაელწოდების კრებულიდან ამონარიდებს მოიცავს, თუმცა მასში სხვა ლექსებიცაა შესული.

თავისუფალ დროს გთავაზობთ ჩაატაროთ თარგმანის გაკვეთილები, რაშიც ეს პატარა კრებული და მისი წინასიტყვაობა დიდ დახმარებას გაგიწევთ.

მთარგმნელის აღსარება, ანუ მხატვრული თარგმანის პარადოქსები

დავიწყოთ ამ წიგნის სახელწოდებით: მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება ასოციაცია გოეთეს „დასავლურ-აღმოსავლურ დივანთან“, რამაც შესაძლოა, კრებულის შემდგენლის მიმართ გარკვეული პრეტენზიულობის ეჭვიც კი აღძრას. მკითხველის დამშვიდების მიზნით უნდა განვაცხადო, გოეთეს ეს წიგნი ორიგინალური ლექსების კრებულს წარმოადგენს, ხოლო ჩვენს შემთხვევაში სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა აღმოსავლური და დასავლური ლექსების კრებულს, ვინაიდან არაბულ-სპარსულ პოეტიკაში ლექსების ყოველგვარ კრებულს, ჩვეულებრივ, „დივანი“ ჰქვია.

ჩვენი წიგნის ამგვარი სახელწოდება, შესაძლოა, რადიარდ კიპლინგის ცნობილი გამონათქვამის საპასუხოდ უფრო ჩაითვალოს, აღმოსავლურსა და დასავლურ კულტურას ერთმანეთისგან რადიკალურად რომ თიშავდა და მათი შეერთების შესაძლებლობას გამორიცხულად მიიჩნევდა. ვფიქრობ, მისთვის რუსთაველის ფენომენი რომ ყოფილიყო ცნობილი, რომელშიც საოცარი სისავსით არის მოცემული ეს სინთეზი, მის განცხადებას ასეთი კატეგორიული ტონი არ ექნებოდა.

ამგვარი კრებულების გამოცემა სწორედ რუსთაველის ქვეყანაშია მოსალოდნელი და ბუნებრივი, ვინაიდან საქართველოს კულტურა ოდითგანვე უაღრესად ნოყიერ ნიადაგს ქმნიდა პართენონის სუროზე შირაზის ვარდის დასამყნობად.

ზემოხსენებული პრეტენზიულობის შესაძლო ბრალდებას რაც შეეხება, მის განსაქარვებლად ავჯობებს, მამაჩემს, ვახტანგ კოტეტიშვილს დავესესხო, ვინაიდან ვგრძნობ, რომ მასზე უკეთ ძნელი იქნება ამ აზრის გამოხატვა. 1925 წელს „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ შესავალში იგი წერდა:

„წინასიტყვაობის დაწერა, მეტწილად, ბოდიშის მოხდა არის ხოლმე მკითხველის წინაშე, რომლის უკანაც იმალება ავტორის ქედმაღლობა და ზოგჯერ განდიდების სენიც.

მინდა დავარწმუნო მკითხველი, რომ ამ შემთხვევაში არც ბოდიშს ვიხდი მის წინაშე, რადგან საბოდიშო არაფერი მაქვს, და არც ქედმაღლობის გამოჩენა მინდა, რადგან მორიგი მუშა ვარ ჩვენი განათლების მომცდარ ყანაში. მე გავაკეთე ის, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, და თუ მკითხველი არ დაკმაყოფილდება, ეს იქნება ჩემთვის სასიხარულო. სჩანს, რომ ჩვენი სული მომწიფებულა და მომავალი გააკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ამ წიგნის ავტორმა ვერ შეძლო“.

ახლა კი ორიოდ სიტყვით მინდა ამ წიგნის

ახალგაზრდა მკითხველებსა თუ მომავალ მთარგმნელებს გავუზიარო ჩემი ზოგიერთი შეხედულება მხატვრული თარგმანის წყალქვეშა მეჩეჩებზე და იმ საბედისწერო მოულოდნელობებზე, რაც ამ ფათერაკიან გზაზეა მოსალოდნელი. საყოველთაოდ ცნობილია, რომ თარგმანის სხვადასხვა სახეობა არსებობს: ზეპირი, ანუ სინქრონიული, დოკუმენტური (კანცელარიული, იურიდიული და სხვ...), მეცნიერული, პწკარედული და მხატვრული, რომელიც თავად ორ სახეობად იყოფა: პროზაულად და პოეტურად. მაშასადამე, გვაქვს ორი უმთავრესი სახეობა:

მხატვრული და არამხატვრული თარგმანი. მათ შორის უმთავრეს სხვაობას სიზუსტის კრიტერიუმების განსხვავებულობა ბადებს: არამხატვრულ თარგმანში სიზუსტე სიტყვათა სემანტიკურ იგივეობას, იდენტურობას ნიშნავს, მხატვრულ თარგმანში კი – მხატვრულ ადეკვატურობას, მსგავსებას, ემოციურ შესატყვისობას.

არამხატვრულ ტექსტში სიტყვა მონოსემანტიკურია, ერთმნიშვნელოვანი, მხატვრულ ტექსტში კი პოლისემანტიკური, ანუ მრავალმნიშვნელოვანი. ამას ის განაპირობებს, რომ პირველ შემთხვევაში ცნებებთან, ტერმინებთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში კი მხატვრულ სახეებთან, პოეტურ ხატებთან, მეტაფორულ აზროვნებასთან.

ახლა გადავხედოთ მხატვრულ ტექსტს და მისი თარგმნის პრობლემატიკას: აქ ზემოთ განხილული ტექსტებისათვის დამახასიათებელ სიტყვათა მონოსემანტიზმს მხატვრული სიტყვის პოლისემანტიზმი, ანუ მრავალმნიშვნელოვნება უპირისპირდება, რაც განპირობებულია მხატვრული ენის ტროპული ბუნებით, მეტაფორული აზროვნების თავისებურებით. მხატვრულ ტექსტში ყოველ სიტყვას თავისი პოლისემანტიკური ველის უგრძესი „შლეიფი“ მოჰყვება. ნახსენებია, მაგალითად, „ლომი“, მაგრამ იგი გარეულ ცხოველს კი არ ნიშნავს, არამედ „გმირს“. „ვარდი“, სულაც არ არის აუცილებელი, რომ ყვავილს აღნიშნავდეს, იგი ამჯერად თურმე მშვენიერი სატრფოს ღაწვს უდრის. სამშობლოს მთების ფერი პოეტურ აღქმაში „დაბინდული ქლიავის“ ასოციაციას იწვევს, ხოლო თოვლი ზოგჯერ თურმე, შესაძლოა, „იისფერიც“ იყოს.

მეტაფორის შესანიშნავ განმარტებას გვაძლევს ცნობილი ამერიკელი მეცნიერი დონალდ დევიდსონი: „მეტაფორა არის ენის სიზმარი“ (dreamwork of language). ეს დეფინიცია თავისთავად მეტაფორაა, თანაც გენიალური. და აი, მხატვრული ტექსტის მთარგმნელს ენის ამ სიზმართა საუფლოში უწევს ბოდიალი ყოველგვარი რუკისა და კომპასის გარეშე. მას ბეატრიჩე არ ჰყავს, იგი მხოლოდ საკუთარ ალღოსა და გუმანს არის მინდობილი. ყოველი ენა, თავისთავად, ოკეანეა, უძირო და უკიდეგანო, შიგ ჩაძირული „ატლანტიდებითა“ თუ „ბერმუდის სამკუთხედების“ იდუმალებით უხვად მოფენილი. ამიტომაც მთარგმნელს დიდი ნიჭი, ცოდნა და გამოცდილება მართებს, რომ ამ ჯადოსნურ სამყაროთა შორის გზა გაიგნოს.

მან, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა გაითვალისწინოს, რომ სხვადასხვა ენებში ერთი და იმავე საგნის აღმნიშვნელი სიტყვები არ უდრის ერთმანეთს. ავიღოთ, მაგალითად, რუსული „стол“ და ქართული „მაგიდა“. ამ ორი სიტყვის პირველად, სალექსიკონო მნიშვნელობებს შორის შესაძლოა დაისვას იგივეობის ნიშანი, მაგრამ, საკმარისია, ისინი მოხვდეს გარკვეულ კონტექსტში, რომ მათ ეს ჩვეული სემანტიკური ჩარჩო აღარ მოერგოს.

„Богатый стол“, ჩვეულებრივ, „მდიდრულ მაგიდას“ ნიშნავს, თუკი ამ ნივთის თვისებებზეა საუბარი. ვთქვათ, ძვირფასი ხისგან არის დამზადებული, ინკრუსტირებულია და ანტიკვარულ ფასეულობას წარმოადგენს. მაგრამ თუ მასზე მორთმეული გასტრონომიული სიუხვე იგულისხმება, იგი ქართულად „მდიდრულ სუფრად“ უნდა ითარგმნოს. ხოლო ეს უკანასკნელი რუსულად რომ ვთარგმნოთ, როგორც „богатая скатерть“, რუსი მკითხველის მიერ იგი პირდაპირი მნიშვნელობის, ანუ ძვირფას ქსოვილად აღიქმება მხოლოდ.

ეს ყველაფერი კიდევ უფრო რთულდე-

ბა, როდესაც მთარგმნელი იდიომებს მიადგება. მაგალითად, „скатертью дорога“, რასაკვირველია, არ შეიძლება ითარგმნოს, „გზად სუფრა დაგეფინოსო“, ვინაიდან აქ არც ფიანდაზზეა საუბარი და არც არსენა ოძელაშვილის „ჰობი“ იგულისხმება, „გზებზე სუფრის გადაფენა“ რომ უყვარდა ცხონებულს. ერთი სიტყვით, არამხატვრული თარგმანი ხელობაა, მხატვრული კი ხელობაც არის და ხელოვნებაც. და იგი ბევრად უფრო სახიფათო სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ორიგინალური შემოქმედება, სადაც ხელოვანი თავისუფალია ყოველგვარი შეზღუდვისგან და მას მართლაც შეუძლია გალაკტიონისებურად ბრძანოს: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“ (რასაკვირველია, ამ განცხადებას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნება გამართლება, თუ მას ღვთით ბოძებული ნიჭი უდევს საფუძვლად და არა მანიაკალური ამბიცია). და მაინც, ამ სირთულეების მიუხედავად, რა აიძულებს ხელოვან ადამიანს, თავისი პირადი, საკუთარი შემოქმედება გვერდზე გადადოს და სხვისი ნააზრევის ლაბირინთებში დაიწყოს უგზო-უკვლო ხეტიალი? რით არის გამართლებული ეს ფათერაკებით აღსავსე „ოდისეა“? რატომ „იტკიებს აუტკივარ თავს“ და ნებაყოფლობით რატომ იწვდის შიშველ კისერს ულმობელი კრიტიკის გილიოტინაზე?

ამ ახირებული კითხვების უპირველესი პასუხი ალბათ რაციონალური იქნება: მთარგმნელს ამოძრავებს კეთილშობილური მისია, იყოს დესპანი სხვადასხვა კულტურათა შორის, გაამდიდროს საკუთარი ერის ესთეტიკური სამყარო და სხვა მისთანანი... ეს ყოველივე, რასაკვირველია, სიმართლეა, თუმცა მას ამაღლებული, მაგრამ მაინც უტილიტარიზმის სუნი დაჰკრავს, რაც წმინდა, ჭეშმარიტი ხელოვნების არსში ჩასაწვდომად არ გამოდგება.

განა პოეტი ლექსის საწერად კალამს რომ მოიმარჯვებს, იმაზე ფიქრობს: მე ახლა დავწერ ისეთ ლექსს, რომელიც ჩემი ერის კულტურას აუცილებლად გაამდიდრებსო? რასაკვირველია, არა. შემოქმედება, უმთავრესად, ქვეცნობიერი აქტია, როგორც ჟინი და ვნება და მას ვინ მადლად აღიქვამს და ვინ ჯადოდ, ეს უკვე აღმქმელის ინტელექტუალურ სინდისზეა დამოკიდებული. მთარგმნელობაც ისეთივე სენია, როგორც ხელოვნების ნებისმიერი დარგი: მუსიკა თუ პოეზია, მხატვრობა თუ პლასტიკა... ქვეცნობიერების საწყისი მასშიც ისეთივე ძლიერია, როგორც ხელოვნების სხვა დარგებში, მაგრამ ცნობიერების დოზა მასში მაინც ჭარბობს, ვინაიდან ეს ერთგვარი სიტყვიერი „იკებანაა“, რომელშიც გონება და გემოვნება, ცოდნა და გამოცდილება თუ არ ჩაერთო, მხოლოდ შიშველი ნიჭი ვერას გახდება. არ შეიძლება ანტიკურ ტექსტს თარგმნიდეს კაცი და ტოგას ტუნიკისგან ვერ ასხვავებდეს, ანდა ინდური ტექსტის თარგმნისას პრანა და ტანტრა ერთმანეთში აერიოს...

კლასიკური ლიტერატურის თარგმნისას, ვაი რომ, მხოლოდ ენის ცოდნა არ არის საკმარისი. თარგმანი თავისთავად, უპირველეს ყოვლისა, ჰერმენევტიკული პროცესია, ანუ მხატვრული ტექსტის სწორად წაკითხვისა და ინტერპრეტაციის ხელოვნება. სწორად წაკითხვა-მეთქი ვამბობ, მაგრამ არსებობს კი დედნის ტექსტის სწორად წაკითხვის რაიმე ობიექტური კრიტერიუმი? აქ მე მხოლოდ მთარგმნელისეულ სუბიექტურ ინტერპრეტაციას არ ვგულისხმობ. ხომ არ არსებობს კიდევ სხვა, უფრო დიდი და გლობალური, ე. წ. ეპოქალური სუბიექტივიზმი? იქნებ ამის გამოა, რომ დედანს ასაკი არა აქვს, არ „ბერდება“, თარგმანს კი ხშირად ყავლი გასდის, ძველდება და ამიტომაც ახალი ეპოქა გენიალური ქმნილებების ახალ-ახალ თარგმანს მოითხოვს. ეს არ ეხება მხოლოდ კონგენიალურ თარგმანებს, რომლებიც მყარად იმკვიდრებენ ადგილს ორიგინალური ლიტერატურის წიაღში. მაგალითად ქართული „ვისრამიანი“ და მაჩაბლისეული შექსპირიც კმარა.

მაგრამ ორიგინალის ტექსტის ამგვარად თარგმნას, დიდი ნიჭის გარდა, უაღრესად ბევრი რამის ცოდნა სჭირდება, ბევრად მეტის, ვიდრე ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს თარგმნის ჟინით შეპყრობილ და მხოლოდ ენის ცოდნით აღჭურვილ ახალ-

გაზრდა მთარგმნელს. მე არაფერს ვამბობ ისეთ აუცილებელ სფეროებზე, როგორებიც არის იმ კონკრეტული ქვეყნის ფილოსოფია თუ ფსიქოლოგია, მითოლოგია თუ რელიგია, ისტორია თუ გეოგრაფია, ფოლკლორი თუ ეთნოგრაფია, რომელთა საფუძვლიანი ცოდნის გარეშე თარგმნას აზრი არა აქვს. მთარგმნელმა ეს ყოველივე კი არა, იმ ქვეყნის მცხოვრებთა ყოველდღიური ყოფის დამახასიათებელი დეტალებიც კი უნდა იცოდეს.

ავიღოთ თუნდაც ასეთი ჩვეულებრივი მაგალითი: ირანელი, როდესაც რაიმე მნიშვნელოვან საქმეს მორჩება (სახლს აიშენებს, შვილს დააქორწინებს, დიდ ნაშრომს დაასრულებს თუ დისერტაციას დაიცავს), იტყვის: „მან გელიმე ხოდრა აზ აბ დარ ავარდამ“, ანუ „მე ჩემი ხალიჩა წყლიდან ამოვიღეო“. ვინც ირანელთა ყოფა არ იცის, ის ამ ფორმულად ქცეულ ფრაზას ვერ გაიგებს, მიუხედავად იმისა, რომ მის მიღმა დიდი სირთულე არ იმალება. ირანი, როგორც კარგად მოგეხსენებათ, ხალიჩების ქვეყანაა. ოჯახი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე ქსოვს უზარმაზარ ნოხს. ქსოვა რომ დასრულდება, ამ ნოხს ქუჩაში დააფენენ, რათა გამვლელ-გამომვლელთა ფეხქვეშ კარგად გაითელოს და ზედმეტი ხაო ჩამოშორდეს. ბუნებრივია, იგი დაისვრება და დაიმტვერება. ამიტომ, როდესაც მისი მოთელვა სასურველ ზღვარს მიაღწევს, მას ააგორგოლავებენ ან აკეცავენ და მდინარეში ჩააფენენ, რომ გამდინარე წყალით კარგად გაირეცხოს. ახლა წარმოიდგინეთ, რაოდენ რთული საქმე იქნება გაჟღენთილი, დამძიმებული უზარმაზარი ნოხისა თუ ხალიჩის წყლიდან ამოღება და გასაშრობად გაფენა. აი, საიდან იღებს დასაბამს ეს სპარსული ფრთიანი გამოთქმა, რომელიც იმ თანამედროვე ირანელებსაც კი აკერიათ პირზე, ვისაც ხალიჩა თავის ცხოვრებაში არასოდეს მოუქსოვია, და მხოლოდ ფეხმორთხმითა და ყელმოღერებით მჯდარა მასზე.

ანდა ავიღოს სხვა მაგალითი: არაბულ პოეზიაში ქალი თუ ცხენს ან აქლემს იქნება შედარებული, არ გეგონოს, თითქოს პოეტს მისი ლანძღვა და შეურაცხყოფა ჰქონდეს მიზნად. ეს დიდი სიყვარულის გამომჟღავნება და უზენაესი ხოტბაა, ვინაიდან ბედუინისთვის აქლემზე და ცხენზე ძვირფასი რამ ამქვეყნად არ არსებობს.

მაგრამ მთარგმნელმა ეს შედარება თუ მეტაფორა სიტყვასიტყვით რომ თარგმნოს, აბსურდი გამოუვა. მან შეძლებისდაგვარად ზუსტი ადეკვატი უნდა მოუძებნოს დედნის პოეტურ ხატს თავისი ენის ხატოვანი რესურსებიდან. აქ უდახვეწილესი სიფრთხილეა საჭირო, რომ თარგმანის ენის ტრაფარეტებში არ გაითქვიფოს და, ამასთანავე, ეგზოტიკურობის ელფერიც შენარჩუნებულ იქნეს სასურველი, ზომიერი დოზით.

დიდი რუსი პოეტი მარინა ცვეტაევა, რომელიც, ამავე დროს, დიდებული მთარგმნელიც გახლდათ, თავის მთარგმნელობით მეთოდს ასე წარმოგვიდგენს: მე ჯერ ვეძებ იმ ერთ თუ ორ სტრიქონს, რისთვისაც არის დაწერილი ეს ლექსი და ვცდილობ, მაქსიმალური სიზუსტით ვთარგმნო. დანარჩენი კი, როგორც მომიხერხდებაო. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, „სიზუსტე“ სიტყვასიტყვით თარგმანს კი არ ნიშნავს, არამედ მხატვრულ ადეკვატურობას, მხატვრულად ზუსტ შესატყვისს. ამიტომაც გაჩნდა მთარგმნელობით თეორიაში ასეთი ფრთიანი და, ამავდროულად, პარადოქსული პოსტულატი: „თუ გინდა, ზუსტად თარგმნო, ორიგინალს უნდა დაშორდე“.

გავკადნიერდები და ერთ უაღრესად თვალნათლივ მაგალითს დავიმოწმებ საკუთარი მთარგმნელობითი ლაბორატორიიდან: წინამდებარე კრებულის პირველსავე ლექსს რომ ვთარგმნიდი, რუდაქის ბოლო ბეითში წავაწყდი სიტყვას „აფსუს“, რაც საერთოა სპარსული და ქართული ენებისთვის:

„ბად ო აბრ ასთ ინ ჯეჰან, აფსუს,
ბადე ფიშ არ, ჰარ ჩე ბადა, ბად“.
(ქარი და ღრუბელია ეს ქვეყანა, აფსუს,
მოიტა ღვინო, რაც მოხდება, მოხდეს).

მაშასადამე, ამ სიტყვას თავისუფლად შეეძლო გადმოსკუპება დედნის ტექსტიდან ქართულ თარგმანში, რაც მოხდა კიდეც: აფსუს, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი, მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

დავსვი ბოლოში ძახილის ნიშანი და ჩავაგდე საწერი მაგიდის უჯრაში „დასაღვინებლად“. ეს აუცილებელი პროცესია შემოქმედების ყოველი დარგისთვის და თარგმანისთვის განსაკუთრებით.

გამოვაღებ დროდადრო უჯრას, გადავიკითხავ ჩემს თარგმანს და ვატყობ, რომ რაღაც არ მომწონს, მეყოყმანება. მაგრამ რა – ვერ ვხვდები. ასე განმეორდა რამდენჯერმე. თითქოს ყველაფერი რიგზეა, სიზუსტე ლამის სიტყვასიტყვით არის დაცული, შენარჩუნებულია დედნის განწყობილება, სტილი, ინტონაცია და ა.შ., მაგრამ რაღაც მაინც მიღრღნის გულს და არ მაკმაყოფილებს. ბოლოს, როგორც იქნა, მიზეზს მივაკვლიე: სწორედ ეს „აფსუს“ არ მეპიტნავება. და იცით, რატომ? ამ სიტყვას ქართულში თითქოს ოდნავ კნინი მნიშვნელობა აქვს, პასიური სინანულის გამომხატველია, მასში ტრაგიზმის მუხტი ნაკლებია, რაც, ჩემი აზრით, რუდაქის ტექსტში დომინანტობს. უცებ გამინათდა გონება, გადავშალე ეს „აფსუს“ და მის ნაცვლად მსხვილი ასოებით ჩავსვი „ვაგლახ“. ჩავსვი და მოვისვენე:

ვაგლახ, ქარი და ღრუბელია წუთისოფელი,
მოიტა ღვინო და დავლიოთ, რაც არი, არი!

ორიგინალს დავშორდი თუ მივუახლოვდი, ეს შენ განსაჯე, ჩემო ძვირფასო მკითხველო. ახლა კი, რახან ჩემი ლაბორატორიის კარი ოდნავ გაგიღე და ღრიჭოში შემოგაჭვრიტე, მოდი ბარემ ერთ საიდუმლოსაც გაგანდობ, ბროდსკის თარგმნისას რაც ჩავიდინე. ლექსი, რომელსაც ჰქვია „ორი საათი რეზერვუარში“, ავტორი გერმანულნარევი ჩიქორთული რუსულის ისეთ საოცარ, დიდოსტატურ ეკვილიბრისტიკას გვთავაზობს, რომ მთარგმნელს კი არა, მკითხველსაც კი თავბრუს დაახვევს. აქ ბევრია სიტყვათა თამაში, რომლის თარგმნა, მართლაც, უმაღლეს პილოტაჟს მოითხოვს. აქ გვხვდება ასეთი სტრიქონები:

Бог органичен\ Да\ А человек“

А человек= дол;но быть ограничен\

ღმერთი ორგანულია. დიახ. მაგრამ ადამიანი?

ადამიანი ალბათ უფრო შეზღუდულია.

რუსულ ტექსტში სიტყვათა თამაში გვაქვს. მათი ქართული შესატყვისები კი „ორგანული“ და „შეზღუდული“ ერთმანეთთან თამაშისა და ლაღობის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებენ. ვერც მათი სინონიმების ძებნამ გამოიღო სასურველი შედეგი. იძულებული ვხდები, გამოვიგონო ახალი, მანამდე ქართულ ენაში არარსებული სიტყვა და ჩემს სტვირზე ავათამაშო ეს სტრიქონები:

უფალი არის ბუნებრივი. ადამიანი?

ადამიანი ალბათ უფრო უნებრივია.

რით არის დასაწუნი ეს ახლად გამომცხვარი სიტყვა? „შეზღუდული“, „უნებისყოფო“, „უნებო“, „უნებრივი“. მე მგონი, ქართულად ჟღერს და ბუნებრივად ჯდება ქართული სიტყვებისათვის ჩვეულ პარტიტურაში.

აი, ჩემო ახალგაზრდა მკითხველო და, ვინ იცის, მომავალო მთარგმნელო, რამდენ ხათაბალასთან არის დაკავშირებული ეს ყოვლად უმადური შრომა. უმადურს იმიტომ ვამბობ, რომ, თუ თარგმანი კარგად გამოგივიდა, ამ სიკეთეს ავტორს მიაწერენ და არა მთარგმნელს, ხოლო თუ რაიმე შეგეშალა ან ოდნავ წაიბორძიკე, იმწამსვე აყაყანდებიან, მთარგმნელის ბრალიაო.

რილკეს „დუინური ელეგიების“ პირველი თარგმანები რომ გამოვაქვეყნე, ერთი ფილოლოგ-ფილოსოფოსი შემხვდა და ჩვენს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

ის: – რილკეს შენეული თარგმანები წავიკითხე.

მომეწონა, მაგრამ ერთი შენიშვნა გამიჩნდა.

მე: – ბრძანე.

ის: – თარგმანი კარგია, მაგრამ შენ ვერ დაგინახე.

მე: – რილკე თუ დაინახე?

ის: – რილკე კი, მაგრამ შენ არსად ჩანხარ.

მე: – მე რად უნდა ვჩანდე, მთავარია, რილკე ჩანდეს.

გამეცინა და დავშორდი. თუმც არ გამკვირვებია. რა ექნა, ასე იყო მიჩვეული, რომ მთარგმნელები ხშირად ავტორზე წინ საკუთარ პერსონას გამოაგელვებენ ხოლმე ავანსცენაზე. ამიტომაც არის, რომ ბერძენი

თუ ინდოელი, სპარსელი თუ ინგლისელი, ესპანელი თუ იაპონელი ავტორები გაჭრილი ვაშლებივით დაემსგავსებიან ხოლმე ერთმანეთს.

მთარგმნელის ერთ-ერთი გამორჩეული ნიჭი გარდასახვის უნარი უნდა იყოს. როგორც მსახიობმა არ შეიძლება ერთი სტილითა და მანერით შეასრულოს ჰამლეტისა და ტარტიუფის, ოტელოსა თუ ლუარსაბ თათქარიძის როლები, ასევე მთარგმნელმა განსაკუთრებული ინტონაცია უნდა მოუძებნოს ბაირონსა თუ ომარ ხაიამს, პუშკინსა თუ ალიშერ ნავოის, ისიკავა ტაკუბოკუსა თუ შარლ ბოდლერსა და არტურ რემბოს.ამისთვის კი უტყუარი პოეტური სმენაა საჭირო, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება მუსიკალურ სმენას. მთარგმნელს თუ ეს სმენა ღალატობს, უმჯობესი იქნება, სხვა საქმე აირჩიოს საასპარეზოდ, უფრო ნაღდი და სარფიანი.

მთარგმნელს კიდევ ერთი რამ უნდა ჰქონდეს აუცილებლად: სინდის-ნამუსი. მე არ ვხუმრობ. მთარგმნელობა დიდ ზნეობრივ სიმაღლეს მოითხოვს. შენ რა უფლება გაქვს, გააუფასურო ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც თავის ქვეყანაში სულიერ ფასეულობას და ეროვნულ განძს წარმოადგენს, და ხელყო მისი ღირსება? მთარგმნელობა დიდი პასუხისმგებლობაა საკაცობრიო კულტურის წინაშე.

მე მგონი, მეტისმეტად მენტორული წინასიტყვაობა გამომივიდა, მაგრამ ალბათ ესეც ასაკის ბრალია. „თარგმანის თეორიასა და პრაქტიკას“ იმდენი წელია ვასწავლი თბილისის უნივერსიტეტებში, რომ ჩემდაუნებურად ზოგჯერ ყველაფერი ერთად ამომეთქმევინება ხოლმე.

ამ კრებულში ჩემი თარგმანების ნაწილი შევიდა მხოლოდ, რომლებიც სხვადასხვა დროს არის შესრულებული ორმოცდახუთი წლის მანძილზე, ე. ი. 1955-2000 წლებში. ერთი კრებული ყველა თარგმანს, ბუნებრივია, ვერ დაიტევდა და არც იყო საჭირო. ერთი მთარგმნელის რჩეული თარგმანების კრებულის გამოცემა იმითიც არის საინტერესო, რომ უფრო ნათლად წარმოჩნდება მისი სახე, ანუ მრავალსახოვნება მთარგმნელისა.

ლორდი ბიკონსფილდი, იგივე ბენჯამენ დიზრაელი (1804-1881) ამბობდა: „როდესაც მინდა წიგნის წაკითხვა, მე მას ვწერ“. მის კვალდაკვალ მე ვიტყოდი: „როდესაც მინდა წიგნის წაკითხვა, მე მას ვთარგმნი“. ვინაიდან ავტორის შემდეგ მთარგმნელზე უკეთ არავინ იცის ამ წიგნის ჭეშმარიტი ფასი და ყადრი.

დასასრულ, დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო ნაირა გელაშვილი და გივი მარგველაშვილი, სერგო ოქროპირიძე და აწ გარდაცვლილი დავით დავლიანიძე, რომელთა ღვაწლი უაღრესად დიდია რილკეს ჩემეულ თარგმანებში. ასევე ქედს ვიხრი გამომცემლობა „დიოგენეს“ მატრიარქის თამარ ლებანიძის წინაშე, რომლის დაუცხრომელი სურვილით და ძალისხმევით იხილა მზის სინათლე ამ კრებულმა.

და შენც გიხდი მადლობას, ჩემო მკითხველო, რომ ლექსებისთვის მოიცალე ამ არაპოეტურ დროში. გზა მშვიდობისა!

ვახუშტი კოტეტიშვილი

3.2. აღმოსავლური ლიტერატურული მოზაიკა

ომარ ხაიამი

რობაიები

1.

ვინც ამო ღვინით იქარვებდა დარდებს ამო დღეს,
მასზე თქვეს, თითქოს ჯოჯოხეთში კუპრი ჩამოსთხევს,
თუ მსმელს და მიჯნურს ჯოჯოხეთში ელით მოხვედრა,
ხელისგულივით ხვალ ცარიელს ნახავთ სამოთხეს.

2.

სამყარო ესე უკიდეოდ განაკიდია,
თავსა და ბოლოს ვერ გაუგებ, სადა ჰკიდია,
ვერვინ ამიხსნა, ეს ამდენი ხალხი რომ მიდის,
ნეტავ საიდან – ან მოდიან, ან სად მიდიან?

3.

უსარგებლოა გარდასულზე დარდიც და დავაც,
ცხოვრებამ გული დაუკოდა ჩვენსავით მრავალს,
ამივსე თასი, გადავკრა და მეფონოს გულზე,
მომხდარი – მოხდა, მოსახდენი მოხდება კვლავაც.

4.

არაფერია, რაც რამ ქვეყნად თვალით გვინახავს,
რაც გვითქვამს, უთქვამთ ანუ ხსოვნით შემოგვინახავს,
რაც გვიხვეჭნია, გვიშოვნია, რაც გზა გვილახავს,
ავაგლახ, თურმე სულ ტყუილად წყალი გვინაყავს.

5.

ვიეთთა აზრით ლოთიცა ვარ, ავარაცა ვარ,
წარმართიცა და გიაურიც, ასჯერ სხვაცა ვარ,
ხალხი ყბედია, როგორც უნდა ისე გაგჭორავს,
არადა ის ვარ, რაც ვიყავ და ეხლაც რაცა ვარ.

6.

ჩუმად იცხოვრე, ცუდუბრალოდ რომ არ გაფუჭდე,
ჭკუით იყავი, თავს დარაჯად უნდა დაუჯდე,
საღად გასხია სანამ ენა, თვალი და ყური,
ხამს, ხან დაბრმავდე, ხან დაყრუვდე და ხან დამუნჯდე.

თარგმნა ზეზვა მედულაშვილისა

6.

იმხიარულე და ცხოვრება
გაილამაზე,
დრო რომ იცვლება,
ნუ ინაღვლი, ძმაო, ამაზე,
ქვეყნად ყოველი მარადისი
რომ ყოფილიყო,
არ გაჩნდებოდი არასოდეს
ამ ქვეყანაზე.

7.

რომელმან შეჰქმნა ეს სამყარო
და ცის თაღები,
თავის ქმნილებებს არსებობას
უსპობს განგებით.
თუ ცუდად შეჰქმნა,
ვის მიუძღვის ამაში ბრალი?
და თუ კარგია,
რაღად ამსხვრევს მათ ხელაღებით?

8.

ნუ ნანობ ცოდვებს,
არას გარგებს უიმედობა,
ტყუილუბრალოდ ცრემლების ღვრას
ნურვინ ენდობა,
ვინც არრა სცოდა,
რაღად უნდა შენდობა იმას,
იცოდე, მხოლოდ ცოდვილთათვის
არის შენდობა.

თარგმანი
ვახუშტი კოტეტიშვილისა

1.1 .

აფსუს, გავლიე უსარგებლოდ მთელი ცხოვრება,
გაარმდა ლუკმა, სუნთქვაც ჰაერს იმათხოვრება,
პირშავად დამსვა ცით ნაბრძანის არშესრულებამ,
ჩემით კი რაც ვქმენ, ვაჰ, რა მწარედ მემახსოვრება!

1.2.

აფსუს, გავლიე უსარგებლოდ ცხოვრება მთელი,
გაარმდა ლუკმა, ჭირს სუნთქვა და კარგს არას ველი,
პირშავად დამსვა ცით ნაბრძანის არშესრულებამ,
ჩემით კი რაც ვქმენ, იმისგან მაქვს თვალები სველი.

1.3.

აფსუს, რა ფუჭად ცხოვრებაში გზა-კვალი ვკოდე,
გაარმდა ლუკმა, ჭირს სუნთქვა და ახლოა კბოდე,
რაც ღვთის ნებისად არ მიქნია, მით ღმერთსა ვცოდე,
ჩემი ნებისად რაც მიქნია, იმაზე ვგოდებ.

1.4.

აფსუს, გავლიე უსარგებლოდ ცხოვრება მთელი
გაარმდა ლუკმა, ჭირს სუნთქვა და კარგს არას ველი,
რაც ღვთით მებრძანა და არ ვქმენი, შევცოდე უფალს,
რაც ჩემით ვქმენი, მის გამო მაქვს თვალები სველი.

თარგმნა ზეზვა მედულაშვილისა

ჰაფეზი

რობაიები

1.

ცხოვრებისაგან გავიწირე მწირი, პარტახი,
თავს ჩამომექცა დანისლული ზეცის ჩარდახი,
ვისაც შევფიცე მეგობრობა, მტრად გადამექცა
და ბედმა გულზე მომიჭირა დარდის არტახი.

2.

სწორად მოიქცა ვინც ბაღნარში წყაროს ნაპირთან
მოილხინა და მწუხარებას გაუნაპირდა,
ჩვენი სიცოცხლე ვარდის მსგავსად ათდღიანია
ნურას ინაღვლი, ეს სამყარო ვის რას დაჰპირდა?!

3.

მოლხენისათვის სიყრმის ჟამი უმჯობესია,
ლამაზის ღაწვთან ლხინის ჯამი უმჯობესია,
თუ ეს ქვეყანა ბოლოს მაინც უნდა დაიქცეს,
მოდი და მოგვეც ჩვენ ეგ შხამი, უმჯობესია!

თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა

შენ ცისკარი ხარ

შენ ცისკარი ხარ, მე – მიმქრალი სანთლის მუდარა,
მაგრამ განთიადს სანთლისაგან არა უნდა-რა.

სული მხდება და მებინდება სიცოცხლის დღენი,
შენმა ღიმილმა ჩემს სულს ვეღარ გამოუდარა.
სამარეს ია ამიყვავებს, რადგან ამ გულმა
ზედ დაჭდეული ზილფის დაღი იას უდარა.

ჰაფეზ, შენს საფლავს სატრფომ სიოდ რომ ჩაუქროლოს,
შემოგეხევა ვნებისაგან ტანზე სუდარა.

თარგმანი ვახუშტი კოტეტიშვილისა

ხმამ იდუმალმა...

ხამ იდუმალმა მამცნო, რომ სევდა
და მწუხარება წარმავალია,
არრა დარჩება სამარადისოდ,
რადგან ყოველი წარმავალია.

რადგან ყოველი, ქვეყნად რაც არი,
იწვის და რჩება მხოლოდ ნაცარი.
და სხვა ნუგეში ქვეყნად არც არი,
რადგან ყოველი წარმავალია.

საწუთროს ბჭესთან დგას კარის მცველი,
ხელთ უმოწყალო უპყრია ცელი,
ყოველ ჩვენთაგანს ის ცელი ელის.
რადგან ყოველი წარმავალია.

ცრემლთა მდინარის სველი ნაპირი
და სიხარული სევდით ნაფერი,
აღარ დარჩება აღარაფერი,
რადგან ყოველი წარმავალია.

ჭეშმარიტებას ახადე ფარდა,
ნახე წარწერა იდუმალ კართა:
კეთილშობილურ საქმეთა გარდა
ქვეყნად ყოველი წარმავალია.

ჰ ა ფ ე ზ, ავდარი კვალდაკვალ გდევდა,
ოცნების აფრებს გრიგალი ხევდა,
მაგრამ გაივლის ეგ შენი სევდა,
რადგან ყოველი წარმავალია!

თარგმანი
ვახუშტი კოტეტიშვილისა

აბდ-ორ-რაჰმან ჯამი
XV ს.
აბდ-ორ-რაჰმან ჯამი (XV ს.)

* * *

ჰე, მერიქიფევ, მომაწოდე ის დიდი ჯამი,
ჩემს არსებას რომ განმაშორებს, თუნდ ერთი წამით,

ჩემში რომ დაშლის თიხისა და წყლის შენაერთებს,
აღმამაღლებს და უზენაეს სულთ შემაერთებს.

მოდი, მუტრიბო, ააკვნესე შენი ლერწამი,
ის ხმა მასმინე, რომლისთვისაც მიწყივ ვეწამე,

რომ ამ მდაბალი ბუნაგიდან გამოვმზეურდე,
და დავრდომილი მას შეუვრდე და ავზეურდე!

* * *

ჰე, მერიქიფევ, ანთებული ღვინის ფიალით
გარდამავიწყე ამა ქვეყნის ორომტრიალი.

შენ ამ ზვირთებში სიმტკიცე და ძალი მომანდე,
რომ სამშვიდობოს გავიყვანო ჩემი ხომალდი.

მოდი, მუტრიბო, ჩანგს ჩამოჰკარ ბროლის თითები
და ის გლახაკი მოიხსენე ქება-დიდებით.

ვინც ღამები ცხოვრებისა ცის ქვეშ ათენა,
მაგრამ სამეფო გვირგვინი კი ფეხით გათელა.

* * *

გარდიქეც სანთლად და დაიწვი, როგორც სანთელი,
რათა მოჰფინო სხვათა ლხინს და ნადიმს ნათელი.

ავსა და კეთილს შენ მიაგე მხოლოდ კეთილი,
უმეგობრე და ნუ იქნები გულჩაკეტილი.

გარდაიქეც ღრუბლად, რომ იწვიმო და წვიმის დარად
სარეველას და ვარდს თანაბრად ეპკურო ცვარად.

3.3. დასავლური ლიტერატურული მოზაიკა

გოეთე

მთვარისადმი

გადანისლავ ტყეს დაბუჩქებს
გამჭვირვალე ნისლით,
უმალ დამხსნი ქვეყნის ტრიალს,
სიზმრად გადამისვრი.

ჩემს ველებზე, ჩემს ბორცვებზე
დახვალ თანისთანად,
როგორც თვალი მეგობრისა
სვესა ჩემსა დანათ.

მარტოდმარტო გამოვყვები
შენი შუქის ლივლივს,
სიხარულს და წუხილს შორის
მარტოდმარტო ვივლი.

დაიღვარე თეთრო ღვარო,
წამისაა შვება,
ვინც გვიყვარდა, რაც გვიყვარდა,
გულის ძაფზე გვება,

დაიღვარე, დაეფინე
მთა-ბარს კიდით კიდე,
ჩემს ჰანგებში იშრიალებ,
საგალობლად იდენ,

როცა ბორგავ, მოიმღვრევი
პირქუში და ავი,
თუ ციმციმით ეწვეთები
გაზაფხულის ყვავილს.

ნეტარია, ვინც განშორდა
გნიასსა და ყავყავს,
ვისაც მხოლოდ ერთი უყვარს
და, ვინც უყვარს, თან ჰყავს.

მის გვერდიგვერდ, ღამით ღამე
ეძებს, უსმენს, ეძებს,
რაც არვისგან მისაგნები
ბრუნავს გულის გზებზე.

თარგმანი დავით წერედიანისა

პერსი ბიში შელი

მთვარე

როგორ დაღლილხარ,
ფითრი გაქვს ცისვე,
თან, მოწყენილი ჩამოგვყურებ
ლაჟვარდებიდან
და ჩვენს მიწაზე მარტო ხარ ისე,
სულაც არ გგვანან ვარსკვლავები
ვარსკვლავეთიდან.
შენა ხარ ცისა, დედამიწისა
და შენ არა იცი, რად ხარ ეული,-
გინდა იპოვო ადამიანი,
შენი ღირსი და, შენი რჩეული?

თარგმანი მაია კახიძისა

თემა – დაკარგული ედემი

ჯორჯ გორდიონ ბაირონი

მთელი წარსული...

მთელი წარსული მაშინ შეჯერდა,
ამ გარდასულის განცდა-ვედრებით.
კარიბჭის იქით თურმე შეჩერდა,
როცა დატოვა კაცმა ედემი.
ტყუილად იგზნო, ამაოდ დაშვრა,
არარად ერგო ბედის განდობა.
ედემში ყოფნა წუხილად დარჩა,
ბედი რთულია გამოსაცნობლად.

უტკბესო ჩემო, მეც ამას ველი.
იგივ ცდუნება მოდის თავისით.
და უძველესი წარსულის გვერდით,
ტკივილსაც მოაქვს რაღაც ხალისი.
ჩუმად გშორდები, სულიც ამომხდეს
არას ვინაღვლი, არ მედარდება.
მე ვერ მოვითმენ ვჭვრეტდე სამოთხეს,
და არ შემეძლოს შიგ ნეტარება!

თარგმნა ზაალ ჯალაღონიასი

უძინართა მზევ

უძინართა მზევ, შენ ვარსკვლავო კაეშნიანო,
აცრემლებული სხივები, რომ გადმოგდენია.
მრუმე წყვდიადი შენს ცრემლებში ამოდ ხმიანობს
და გარდასული აქ იღვიძებს დღეთა გენია.

ეს სიხარული- მოკამკამე ნათლის მარმაში,
უკვე ვერ შველის, სამყაროა იმდენად ბნელი.
ცათა მშვენებავ, მწუხარე ხარ, არ გსურს თამაში,
და შორით ჩანხარ ასე ცივი და უგრძნობელი.

თარგმანი ზაალ ჯალაღონიასი

ჯორჯ გორდონ ბაირონი

ის მოდის სათნო...

ის მოდის სათნო და მშვენიერი,
ვით ნათელ ქვეყნის ღამე ვარსკვლავა,
და მის თვალებში, და მის იერში,
ბნელსა და ნათელს არა აქვთ დავა,
ჩრდილით რბილდება შუქი ციერი,
აღტაცებისთვის გული მზადაა.
მოაკლდეს სხივი ან მცირე ჩრდილიც, –
დაზიანდება მისი მშვენება,
მშვენებად ღელავს კულული ხშირი
და ჩვილი შუქი სახეს ევლება,
შუბლზე ეხატვის ფიქრები ტკბილი,
უცოდველობა, ბედნიერება.
ლაჟვარდეული მიმოქრის შვება,
ნაზი და თბილი ღიმილი მისი
სიკეთედ განვლილ დღეებზე ჰყვება;
ვინ, ვინ გახდება ედემის ღირსი!
მის სულში სუფევს თვინიერება,
გულმა უმანკო ტრფიალი იცის!

თარგმანი რატი ნინუასი

გნახე, ტიროდი...

გნახე, ტიროდი – ლურჯი თვალიდან
გდიოდა ფართო ცრემლი ნათელი,
ტიროდი... ნელა დაბლა ჩავიდა
ნამი იიდან ჩამონადენი.
შენ გაიღიმე – და საფირონმა
უკან წაიღო ციმციმი ყველა,
ვერ შეძლო ცოცხალ სხივთან ცილობა,
შენ რომ აფენდი გულების მწველად.
რბილი და თბილი ფერებით ღრუბლებს
როგორც დაფერავს ჩამავალი მზე,
და მაშინ ზეცა ნათელს აუფლებს
მოახლოებულ დაისის ჩრდილზე,
ისე ღიმილი შვებას ჰფენს შენი
თვით უპირქუშეს, ვნებულ გონებას,
მისგან გზა რჩება შუქით ფენილი,
გულსაც სინათლე ჩაეკონება.

ბაირონი თარგმნა რატი ნინუამ

თემა – წარსული იმედებისა და ოცნებების მსხვრევა

ბაირონი

ხსოვნანი გათავდა!
ჩემი ოცნება მიხვდა,
– აღარ ღირს რწმენა მომავლის სხივთა,
მე ბედნიერი ვიყავ მცირე ხანს...
უსასოობის ქარმა დაბერა,
ჩემი აისი ჯანღით დაფერა,
გზა – ზამთრეული თოვით მილექა.
მშვიდობით – ლხინო, ტრფობავ, ნატვრანო,
ნეტავი ხსოვნაც თან გაგატანოთ!

თარგმნა რატი ნინუამ

თემა – გმირი რომანტიკულ ლიტერატურაში

ბაირონი

კატალონიის დღიურიდან
გამოიღვიძეს თვით საფლავშიც, – როგორ ვიძინო,
ტირანს ებრძვიან: მე რაღატომ დავდრკები წელში?..
მოწეულია მოსავალი – მკა ავიცილო?
მე არა მძინავს, ეკალია ჩემს სარეცელში:
ყოველ ცისმარე შემომესმის, ბუკი როგორ ხმობს,
და ჩემი გული მის დაძახილს ექოდ პასუხობს...

თარგმნა რატი ნინუამ

* * *

შენი დღეები, აჰა, დასრულდა...
შენი დღეები, აჰა, დასრულდა,
უკვე დიდება იწყება შენი,
ძლევებზე, შენი ხმლით რომ გასრულდა,
მღერიან ქვეყნის ამაყი ძენი,
შენ აღუდგინე მამულს წარსული,
თავისუფლება მოჰბერე ძველი!
ჩვენს გულს სიცოცხლე ვიდრე ახარებს,
დავიწყებისთვის შენ ვერ გაგწირავს,
იმ წმინდა სისხლმა, რაც შენ დაღვარე,
ფუჭად მიწაში ჩასვლას დასცინა,
ის ჩვენ ძარღვებში იჩქეფს მღელვარედ
და შენი სული იფრენს არწივად!
ბრძოლებში ჩვენთვის გულისმომცემი
კვლავ დაიქუხებს შენი სახელი,
ველზე გმირული შენი დაცემა
იქნება ქალწულ ხმებით ნამღერი,
არ გიტირებენ შენ მამაცები,
შენთან გოდებას არა აქვს ხელი!..

თარგმანი რატი ნინუასი

თემა – დროთა ცვალებადობა, წარმავალობა

ცვალებადობა

პერსი ბიში შელი

ჩვენ ვართ ღრუბლები და პირბადით შევბურეთ მთვარე,
ჩვენ მივიჩქარით ნარნარად და თეთრი აფრებით...
წყვდიადშიც გვახლავს სისპეტაკე! მაგრამ სულ მალე,
ღამეც მიაღწევს თავის სასრულს და ჩვენც გავქრებით.

ჩვენ მივიწყებულ ლირას ვგავართ, მოშლილ სიმებით
სხვადასხვა ჰანგზე რომ ხმიანობს ყველა შეხებით;
ბზარებსღა ვითვლით... თითქოს სიმით იმ გზას მივებით,
ბოლოსდაბოლოს უფსკრულში რომ გადვიჩეხებით.
...
აქ ყველაფერი სულერთია – ვდარდობთ თუ ვხარობთ,
გრძნობათა ცვლაში სულ არ ვიცით გულის დანდობა;
გუშინდელს ხვალ თუ ველარ ნახავთ, ნუ მგლოვიარობთ, –
მარადიული არის მხოლოდ ცვალებადობა.

თარგმანი ალექსანდრე ელერდაშვილისა

ჰაინე

* * *

მე შევაბიჯე იმ დიდ დარბაზში,
სად ერთგულების ფიცი ვისმინე,
სადაც მან ცრემლი დაღვარა მაშინ,
ვხედავ, გველების მოდგმა სისინებს...

ჰაინე

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი

სად დაისვენებს დაღლილი მგზავრი,
განსასვენებელს სად ჰპოვევბს ბინას,
სამხრეთში, სადაც სითბო დგას მძლავრი,
თუ ჩრდილოეთში, რაინის პირას?

ვინ იცის, იქნებ სადმე უდაბნოს
უცხო მოზარემ დამმარხოს ვიშით,
არ მოვისვენო ადგილს უდაბურს
გადაფარულმა ზღვის ლურჯი ქვიშით.

რა უშავს! იქნებ ზეცის ნათელი
შემომეხვევა გაშლილ მკლავებით,
ჩემს თავზე, როგორც ცხედრის სანთლები
იციმციმებენ ცის ვარსკვლავები.

მთარგმნელი მიხეილ ბეროშვილი

დანართი 4

სამახსოვრო და პასუხები

4.1. მურმან ლებანიძის ლექსის „მეცხრამეტე საუკუნე“ დასასრული

და ხმა იდუმალი მესმის ხშირად ყურში:
– „იქ რომ ყოფილიყავ, მეცხრამეტის გულში,
სად, სად იქნებოდი
– ორში რომელ ქალაქს?!
შენ სად იდგებოდი
– ძველს თუ ახალ ბანაკს?!

ოჰ, სვამს ერთმანეთში
ნარევს ტკბილს და მწარეს,
ვინც კი მეცხრამეტის
ყურს მიუგდებს ქარებს.
და დგას, რა თქმა უნდა,
ხატით, სჯულით, ღმერთით –
არა ხარაბუზა ღენერლების გვერდით!

მურმან ლებანიძე

4.2. ლექსი და ავტორის ბიოგრაფია

ლექსი „კატალონიის დრიურიდან“ ეხმიანება იმ პერიოდს, როცა ბაირონი უშუალოდ მონაწილეობდა იტალიელი ხალხის ბრძოლაში ავსტრიელთა ბატონობის წინააღმდეგ. საერთოდ, ბაირონის ბიოგრაფია მდიდარია ბრძოლითა და განმათავისუფლებელ მოძრაობებში აქტიური მონაწილეობით. (1820-1821 წწ) იგი იბრძოდა იტალიელთა თავისუფლებისათვის, ხოლო 1823 ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრა საბერძნეთში, სადაც მალე ავად გახდა და გარდაიცვალა.

4.3. აქტივობა ვერნისაჟის პასუხები

ილუსტრაცია 1. დევიდ ფრიდრიჰი;
ილუსტრაცია 2. იოჰან კრისტელი დალი;
ილუსტრაცია 3. კონსტემბლი
ილუსტრაცია 4. ედვარდ იაკობ ვონ შტეინლი;
ილუსტრაცია 5. დევიდ ფრიდრიჰი;
ილუსტრაცია 6. იოჰან კრისტელი დალი;
ილუსტრაცია 7 იოჰან კრისტელი დალი
ილუსტრაცია 8. კონსტემბლი
ილუსტრაცია 9. დევიდ ფრიდრიჰი;

4. 4. როგორ ვიკითხოთ ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსები?
(პასუხების სქემა)

N	**ლექსებში ასახულია...** **(ძირითადი თემატიკა)**	**მწერლის განწყობა...** **(მისი დამოკიდებულება ამ თემისადმი)**	**როგორ ვიკითხოთ?** **(ჩვენ მიერ შერჩეული კითხვის სტრატეგია)**
1	საზეიმო, სალხინო, სალაღობო „მისი ლექსი შვებით, ლხენით ხან მეჯლისში მოჰფრინდება, გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს, გამღერებს და ამღერდება;	გულს ჩაგეკვრის, ჰლაღობს, ჰხარობს, გამღერებს და ამღერდება;	**ბ)** დაკვირვება ლექსის მუსიკაზე (მოტივებსა და კეთილხმოვნებაზე) სიტუაციის გააზრება აღმოსავურ სალხინო-საალაღობო მოტივებზე, ასევე აღმოსავლური ლექსისათვის დამახასიათებელი თავდავიწყებისა და ექსტაზის ფონზე, რასაც ბუნებრივად ერწყმის ქართული ტრადიციული სალხინო, სუფრული) მოტივები და თემატიკა.
2	სატრფიალო ლირიკა ხან ბუჩქებში მიმალული ჰზის მარტო, ვით იადონი, შეჰყეფს სატრფოს გულსაკვდავად, ტრფობის ისრით განაწონი;	პესიმისტური, სევდიანი ხან ღონდება ნაზ ქალსავით უიმედო სიყვარულით...	**დ)** დაკვირვება ლექსის სტრუქტურასა მუსიკაზე. აზრობრივი კავშირი აღმოსავლურ სატრფიალო მოტივებთან. სასურველია, მასალაზე დაკვირვება აღმოსავლური სამიჯნურო პოეზიის ანალოგიით.
3.	იმედიანი, მხნე, სარაინდო ხან იფეთქებს ჭაბუკსავით და განდევნის სევდას გულით;	ოპტიმისტური, ენერგიული იმედიანი,	ა) დაკვირვება ლექსის მსოფლმხედველობრივ ქარგაზე, ლირიკული გმირის მოაზრება ჰეროიკულ რაინდთა და გმირთა ანალოგიით. (რომანტიკულ- საგმირო ინტონაცია)
4	ჭეშმარიტების მაძიებელი, მარტოსული, ხან ჰრბის ველად, მარტო ჰგალობს უდაბნოში, ვითა მწირი,	რომანტიკული მიღმიერი სამყაროს მაძიებელი, მარტოსული, შინაგანი ჭვრეტის, თვითსრულყოფის პროცესში;	**გ)** დაკვირვება ლექსის რომანტიკულ საწყისებზე, მსოფლმხედველობრივ ქარგაზე, ლექსის ლირიკული გმირის მოაზრება მარტოსული მოხეტიალე რაინდებისა და მაძიებელი პერსონაჟების (მწირი, პილიგრიმი და ა. შ.) ანალოგიით.
5	რომანტიკული პატრიოტუიზმი შეჰკვნესს შავ-ბედს ქვეყანისა, ქვეყნისთვის ანატირი;	უიმედობა, გულგატეხილობა... პოეზიაში ბატონიშვილების ხაზის გაგრძელება	**ვ)** ლექსების გააზრება ქართული რომანტიზმისათვის დამახასიათებელი „პატრიოტული რომანტიზმის[1]“ პოზიციიდან.
6	წუთისოფლის წარმავალობა... დროთა ცვალებადობა... ხან დაჰყურებს ნაღვლიანად, დაფიქრებით გოგჩის ტბასა	და ემდურის მწვავის მოთქმით დაუდგრომელ დროთ ბრუნვასა...	**ე)** ლექსის ფილოსოფიურ-კონცეპტუალურ შინაარსზე დაკვირვება, მისი გააზრება მსოფლიო რომანტიკული სევდის ჭრილში

1 პატრიოტული რომანტიზმი- ვახტანგ კოტეტიშვილის ტერმინია.

სქემა მოკლედ შემდეგნაირადაც შეიძლება ჩავწეროთ:

1-1-ბ. // **2-2-დ**
3-3-ა **5-5-ვ**
4-4-გ
6-6 ე

4.5. ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ და ედგარ ალან პოს „იულლიამ უილსონი“

T დიაგრამა 1 (განსხვავებების სქემა)

„ხმა იდუმალი“	ედგარ ალან პო „უილიამ უილსონი“
1. ბარათაშვილის ლირიკული გმირი ეძიებს საკუთარ ბედისწერას და აცხადებს, რომ სინდისი სუფთა აქვს: „ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისისა? მაგრამ მე ჩემში ვერ ვჰპოვებ ავსა, მისს საშფოთველოს და საქენჯნავსა“...	პოს გმირი თავის ყველა მონოლოგში აღიარებს, რომ მისი სინდისი დამძიმებულია ცოდვით, უსიყვარულობით, ადამიანთა დაუნდობლობით, თაღლითობის, პარვის, სიცრუის, მრუშობის, ანგარების, ბილწი ადამიანური ვნებების ტვირთით...
2. ლირიკული გმირი გაორებულია, თუმცა საკუთარი ძალების რწმენა მასში ერთგვარად მაინც იგრძნობა და იდუმალი ხმა, სავარაუდოდ, არის არა მისი ალტერ ეგო, არამედ დაუნდობელი წუთისოფელი, ბედისწერა;	უილიამ უილსონი გაორებულია, მისი ბიოგრაფია და დაბადების თარიღიც კი ემთხვევა ავტორისას და ის აღმოაჩენს, რომ მისი მსგავსი არსება, რომელიც მას დევნის და მოუწოდებს ცოდვათა დაძლევისკენ, მისი მეორე „მეა“...
3. ლექსის ბოლო ტაეპებით ირკვევა, რომ მთავარი ლირიკული გმირი მაინც ჯერ კიდევ გაურკვევლობაშია... ანუ სადღაც იმედი მაინც იკითხება... ჯერ ყველაფერი არ დამთავრებული...	უილიამი მოთხრობის ფინალში კლავს თავის მეორე „მეს“, ანუ თვითმკვლელად იქცევა... მისი აღმოჩენა სარკესთან შემზარავია: „მეტოქე – უილსონი იდგა ჩემ წინ, სულთმობრძავი, სახემორღვეული... მისი განუმეორებელი სახის ყოველი ნაკვთი სრულიად დამთხვეოდა ჩემსას! გათავდა, მორჩა, შენ გაიმარჯვე, მაგრამ აწ მკვდარი ხარ, მკვდარი ამ სოფლისთვის, სასოებისთვის, მაღლა ცისთვის! ჩემში იყო შენი არსებობა და ჩემშია შენი სიკვდილიც, საკუთარი სახე გამცნობს, ვით მოიკვეთე სამარადისოდ!“.

ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ და ედგარ ალან პოს „იულლიამ უილსონი“

T დიაგრამა 2 (მსგავსების სქემა)

ბარათაშვილის „ხმა იდუმალი“ და ედგარ ალან პოს „უილიამ უილსონი“ (მსგავსებების სქემა)
1. ახალგაზრდა რომანტიკოსი მწერლების სულიერი ძიებანი, გარდასახული მათ მიერ გაცოცხლებული მხატვრული სახეების (ლექსის ლირიკული გმირი/მოთხრობის პერსონაჟი) განსაცდელში... 2. „მსოფლიო სევდის“ უკიდეგანო ოკეანე, რომელიც გმირის დემორალიზაციას იწვევს... 3. სულიერი გაორება, საკუთარი თავის მისტიკურ, ილუზორულ, ირეალურ სამყაროში წარმოჩენა...

4.6. ლექსების დაწერის თარიღები

„შემოღამება მთაწმიდაზედ“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა 1836 წელს დაწერა.
„გოგჩა“ ალექსანდრე ჭავჭავაძემ 1841 წელს დაწერა.
„საღამო გამოსალმებისა“ გრიგოლ ორბელიანმა 1841 წელს დაწერა.

4.7. სიტყვა „ყაბახის“ მნიშვნელობები

ლექსიკურ ერთეულზე მუშაობისას თქვენ უნდა მიგეღოთ დაახლოებით ამგვარი სქემა

N	სიტყვა	მნიშვნელობა	კონტექსტი
1	ყაბახი	სპორტის სახეობა	ყაბახი ძველებური საცხენოსნო სპორტი და ქართველ არისტოკრატთა უსაყვარლესი გასართობი იყო.
2	ყაბახი	თასი,რომელიც მაღალ სვეტზე იდგა და რომლის ჩამოგდებასაც ცდილობდნენ მოჯირითენი ისრით.	ყაბახიდან თასის ჩამოგდება სისხარტის, მოქნილობის მაჩვენებელი იყო და დიდ სავაჟკაცო საქმედ ითვლებოდა.
3	ყაბახი	მოედანი, რომელზეც ასპარეზობა იმართებოდა.	ასპარეზობისას უცხო პირთა ყაბახზე შესვლა იკრძალებოდა.
4	ყაბახი	ადგილი, ქალაქის უბნის ის ნაწილი, სადაც საასპარეზო მოედანი მდებარეობდა.	თბილისის ყაბახის გრაფიკულ გამოსახულებას პირველად ქალაქის ტურნეფორისეულ ჩანახატზე ვხვდებით.

რომანტიკულმა პოეზიამ სრულიად ახალი, ამჯერად უკვე მხატვრული დატვირთვა შესძინა ამ სიტყვას, „ყაბახი“ მათთან რომანტიკულ-გმირული წარსულის, ვაჟკაცური ასპარეზობისა და გმირული სულისკვეთების გამომხატველ სიმბოლოდ იქცა.

ყაბახი მარტო საასპარეზო ადგილი არ ყოფილა. აქ იკრიბებოდა უმაღლესი არისტოკრატია, ვაჟები ყაბახში ასპარეზობდნენ, ქალები მათ გულშემატკივრობდნენ. ყაბახი გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის საყვარელი თავშესაქცევი ადგილი იყო.

4.8. პულიცისტიკის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი

პუბლიცისტიკის ძირითადი ნიშნები:

- პრობლემის სიმწვავე და აქტუალობა;
- პრობლემისადმი ავტორის დამოკიდებულების მკაფიო გამოხატვა (მხატვრულ ტექსტში ავტორის პოზიცია ნაწარმოების სიუჟეტსა და მხატვრულ ქსოვილშია შეფარული, იგი ამოსაცნობი ამოსაკითხი და მისახვედრია, ამიტომაც აქვს მხატვრულ ტექსტს ქვეტექსტური შინაარსი);
- სათქმელის ემოციური გამოხატვა (შესაბამისად ემოციური მოდალობების მქონე ენობრივი კონსტრუქციების (გაკვირვების, დაეჭვების, კატეგორიული, მოთხოვნის) ხშირი გამოყენება.
- მარტივი და საზოგადოების ყველა ფენისათვის ადვილად გასაგები ენა;

პუბლიცისტიკის თავისებურებანი

- მკითხველთან უშუალო მიმართვა, დიალოგი და ზოგჯერ პოლემიკაც კი (შესაბამისად, რიტორიკული ფიგურების ხშირი გამოყენება);
- სხვადასხვა დამარწმუნებელი ხერხის გამოყენება – მსჯელობა, არგუმენტირება, ციტირება, ავტორიტეტების, სხვათა ნათქვამების, კვლევების შედეგებისა და ა. შ. დამოწმება (მოყვანილი ფაქტების სანდოობა, შესაბამისად, ცალკეულ შემთხვევაში ოფიციალურ-საქმიანი სტილის შემოტანა);
- მწიგნობრული და სასაუბრო ენის ერთგვარი სინთეზი, შესაბამისად, სასაუბრო, სამეცნიერო და პუბლიცისტური სტილის ერთგვარი შერწყმა.

4. 9. რატომ შეცვალა ყაზბეგმა „ხევისბერი გოჩას“ ფოლკლორული ვარიანტი და რატომ ჩაამატა მამის მიერ შვილის მკვლელობის ეპიზოდი?

„ყაზბეგის მოთხრობაში შვილის მოკვლის მოტივი აშკარად აქცენტირებულია. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ამაღლებს და თავისებური შარავანდედით მოსავს გოჩას სახეს. სწორედ ეს მოქმედება და არა რაიმე სხვა აქცევს მას ხევისბერ გოჩად, რადგან ამ აქტით იხსნება მთლიანად მისი ხასიათი. მაგრამ სწორედ აქვე ხდება უაღრესად ნიშანდობლივი გარდატეხაც. ამ აქტის აღსრულების შემდეგ გოჩა კარგავს მთელ თავის სიდიადეს. იგი შეიშლება, ხდება უმწეო, შესაბრალისი - სრული ანტიპოდი თავისივე ხასიათისა. რით უნდა აიხსნას ასეთი გარადატეხა გოჩას ხასიათში? ჩვენი ფიქრით, ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის გაცემა შეიძლება: ის, რაც გააკეთა გოჩამ, აღემატება ადამიანის ძალას და ბუნებას. ის მწვერვალი, რომელზედაც მან ფეხის შედგმა გაბედა, ძალზე ციცაბო აღმოჩნდა უბრალო მოკვდავი ადამიანისათვის, რათა მას თავი შეეკავებინა ამ სიმაღლეზე...

ყაზბეგი აღტაცებულია თავისი გმირით, მისი ხასიათის განსაცვიფრებელი მთლიანობით და სიძლიერით, მისი ურყევი რწმენით და ნებისყოფით, მაგარამ, ამავე დროს, იგი თითქოს ჩვენთან ერთად შეძრწუნებულია ამ ზეადამიანური ხასიათის მოქმედებით“

გურამ ასათიანი

4.10. მეფე ტულუსის განაჩენი

მეფე ტულუსი ვერ დასჯის რომის მხსნელს, მისთვის სხვა კანონები მოქმედებსო, ამბობს იგი.

„ზოგჯერ იმდაგვარ რამეს სჩადის ვინც ფიცხელია,
კანონს რომ მიჰყვე პატიება მართლა ძნელია...
დაე ცოცხლობდეს, სირცხვილისგან ვინც რომი იხსნა,
დანაშაულსაც ვაჟკაცობამ აჯობა მისმა,
გმირო, უებრო ჰორაციუს, დაი გასწირე,
მიზეზი გიცავს და ამართლებს მაგ შენ საქციელს!“

4.11. რა არის პოდკასტი და როგორ შევქმნათ იგი?

(მოკლე ინსტრუქცია)

ტერმინი პოდკასტი ერთგვარი აბრევიატურაა და იგი ორი ან რამდენიმე სიტყვის ცალკეული ბგერების გაერთიანებითაა მიიღებული. ამ ტერმინში გაერთიანდა ორი ინგლისური სიტყვა iPod (პორტატული ციფრული აუდიო პლეერი) და მაუწყებლობა (ბროადცასტინგ).

პირველი პოდკასტები 2000-იანი წლების დასაწყისში გამოჩნდა.

პოდკასტი აუდიოფაილია, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა აუდიომაუწყებლობაში (რადიოპროგრამებსა და მუსიკაში) თუმცა დღეს ინტერნეტსივრცეში უკვე ფართოდაა გავრცელებულა პოდკასტების ვიდეოვერსიებიც. შესაბამისად, თუ ადრე პოდკასტებს უფრო რადიოგადაცემებში იყენებდნენ, დღეს მას სულ უფრო ხშირად ნახავთ სატელეცვიზიო და ინტერნეტსივრცეში. პოდკასტებს ასევე წარმატებითთ იყენებენ ბლოგერები.

ამჯერად ლიტერატურულ პოდკასტზე შევჩერდებით.

პოდსდკასტებს მრავალფეროვანი და ერთმანეთისგან განსხვავებული ფორმატი აქვს, თუმცა ყველაზე გავრცელეულია 3-ნაწილიანი პოდკასტი.

პირველი ნაწილი (შესავალი, მიმოხილვითი ნაწილი) – წამყვანი ასახელებს პრობლემას, მოკლედ მიმოიხილავს აზრთა სხვადასახვაობას დასახელებულ საკითხზე;

მეორე ნაწილი სტუმრებს ეთმობა, აქ მოწვეული პირები განიხილავენ პრობლემას, ასაბუთებენ საკუთარ მოსაზრებებს, მოჰყავთ არგუმენტები.

მესამე ნაწილი (შეჯამების, რეფლექსიის) წამყვანი და მოწვეული სტუმარი (ან მარტო წამყვანი) აჯამებენ გამოთქმულ მოსაზრებებს. აყალიბებენ დასკვნებს.

პოდკასტის მომზადებიისას უნდა გაითვალისწინოთ მისი სტრუქტურა და ის მოთხოვნები, რომლებიც პოდკასტის თავსებურებითაა განპირობებული.